საისტორიო ნარკვევები

როინ მეტრეველი

არტანუჯი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲠᲝᲘᲜ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ

ᲡᲐᲘᲡᲢᲝᲠᲘᲝ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲔᲑᲘ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ **ᲐᲠᲢᲐᲜᲣᲯᲘ**
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 2009

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინამდებარე გამოცემაში შესულია აკადემიკოს როინ მეტრეველის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული (ზოგი გამოუქვეყნებელი) ისტორიული ნარკვევი. ესაა უშუალოდ ისტორიული (ძირითადად შუა საუკუნეების ისტორია), წყაროთმცოდნეობითი, ისტორიოგრაფიული, საზოგადოებრივი აზრის ისტორიის ამსახველი მასალა.

წიგნში ცალკეა რუბრიკები: „ადამიანები, მოვლენები", „მიმართვები" და „ინტერვიუები", სადაც გადმოცემულია ავტორისეული დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენასთან და ადამიანებთან. გამოცემა გათვალისწინებულია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

გამოცემა განხორციელდა ქართველი მეცენატის
ვანო ჩხარტიშვილის თანადგომით

ISBN 978-99940-55-88-3

© როინ მეტრეველი
© გამომცემლობა ARTANUJI, 2009.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღუვსებელი საწყაული ანუ ამაოება ამაოთა

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა – წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?

ნ. ბარათაშვილი, „ფიქრი მტკვრის პირას"

დღესდღეობით, XXI საუკუნის ათიან წლებში, მსოფლიო კვლავ შფოთავს. კვლავ უხვადა გვაქვს ომები, რევოლუციები; იხოცება ადამიანები. ბუნებაც გამძვინვარებულია – მიწისძვრებმა და ქარბორბალებმა უმძიმესი დაღი დაასვა ცხოვრებას; დიდია მსხვერპლი – ათასობით ადამიანი ეწირება სტიქიას, ინგრევა შენობები – უბინაოდ რჩებიან მისი ბინადარნი. ადამიანებში ისადგურებს პესიმიზმი, ფიქრი იმაზე, რომ მომავალი არ არსებობს. უნებლიედ ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონები გახსენდებათ: „არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება".

ძლიერნი ამა ქვეყნისანი ივიწყებენ ისტორიის გაკვეთილებს. ეს კი ტრაგედიად უჯდება ხალხს. ევროპაში ომებისაგან XVII საუკუნეში 3,3 მილიონი კაცი დაიღუპა; XVIII საუკუნეში – 5,4 მილიონი. 1801-1914 წწ-ში – 5,7 მილიონი. პირველმა მსოფლიო ომმა 9 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მეორე მსოფლიო ომმა 40 მილიონზე მეტი. პოლიტიკურ ლიდერთა გეგმებმა საფუძვლიანად გაანადგურა ევროპის კონტინენტი. ევროპა ვეღარ იჯერებდა, რომ შესაძლო იყო მშვიდობიანი მომავლის დადგომა. ფრანგი პოეტი პოლ ვალერი 1945 წელს წერდა: „ჩვენი იმედები ბურუსიანია, ჩვენი შიში კი სრულიად განსაზღვრული". კვლავ მოვიხმობთ გენიალური ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონებს:

„თვითონ მეფენიც მებრძოლენი, რომელთ უმაღლეს
ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,
შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან „როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?" და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!..."

ეს ნარკვევი 2008 წლის აგვისტოში იწერება. საქართველო ფაქტობრივად ოკუპირებულია რუსეთის რეგულარული ჯარების მიერ. რუსებმა გაანადგურეს ცხინვალი, მთელი სამაჩაბლო; ტრაბახობენ, რომ დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლები მიწასთან გაასწორეს. დაბომბეს თბილისი, გორი, ზუგდიდი, ფოთი, ვაზიანი, მარნეული, რაჭის რამდენიმე სოფელი, სამეგრელოს სოფლები. გაიძარცვა მოსახლეობა – მათ პირადი ქონება და პირუტყვი წაართვეს. გაიძარცვა სკოლები,

სხვადასხვა დაწესებულებები, დაინგრა მრავალი შენობა. ქვეყნის ოკუპაციამ, რუსი ჯარისკაცების აღვირახსნილობის ფონზე, გაჭიანურდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1991 წლის მარტში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II სწერდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს ალექსი II-ს (რუსეთის პატრიარქმა 1991 წლის 23 მარტს წერილით მიმართა ილია II-სა და მორწმუნე ქართველებს ე. წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე კონფლიქტის თაობაზე):

„Ваше святейшество, дорогой во Христе брат!

...Вся трагедия и состоит в том, что на грузинской земле проливается именно грузинская кровь, грузины вынуждены обороняться от тех людей, которых Грузия спасла, приняла как беженцев и которые вместо благодарности претендуют на нашу территорию и угрожают отторгнуть ее от Грузии. Вся трагедия, Ваше Святейшество, в том, что на собственной территории грузины оказались беженцами; тысячи грузин из так называемой „Южной Осетии", которую именуют по-грузински Шида Картли (Внутренняя Грузия), спасая свою жизнь, вынуждены бежать в другие районы".

ეს იყო 17 წლის წინ. 17 წლის შემდეგ ტრაგედია უფრო საშინელი სისასტიკით დატრიალდა. დაიღუპა მშვიდობიანი მოსახლეობა – მოხუცები, ბავშვები, ქალები. თუ გავიხსენებთ XX საუკუნის ომების ევოლუციას, აქ აშკარად დაინახავთ, რომ პირველ მსოფლიო ომში დაღუპულთაგან 95 პროცენტი სამხედრო მოსამსახურე იყო, სამოქალაქო მოსახლეობა მხოლოდ 5 პროცენტი. მეორე მსოფლიო ომში ეს თანაფარდობა იყო შესაბამისად 52 და 48 პროცენტი, კორეის ომში 16 და 84 პროცენტი, ვიეტნამის ომში – 8 და 92 პროცენტი. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ატომური ომის დროს სამხედრო მოსამსახურეთაგან მხოლოდ 1 პროცენტი დაიღუპება. 99 პროცენტი კი მშვიდობიანი მოსახლეობა ემსხვერპლება. ამ კანონზომიერებას რუსეთის მიერ წარმოებული ომიც (ცინიკურად ჟღერს, როცა თავად რუსეთის ხელმძღვანელობა აურაცხელი ჯარისა და ტექნიკის შემოყვანის მიზეზად სამშვიდობო ჯარების დახმარებას სახავს) ემორჩილება. ასეულობით დაღუპული და ორი ათასამდე დაჭრილი მშვიდობიანი ადამიანი ამისი დასტურია. ამ რუსული თავდასხმის შედეგი საშინელი ტრაგედიაა. ტრაგედიამდე კი დანაშაულებრივმა მოქმედებამ მიგვიყვანა.

* * *

მსოფლიო სოციალისტური სისტემის დანგრევამ და საბჭოთა კავშირის დაშლამ აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისა და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინაშე დააყენა მეტად სერიოზული ამოცანა – განესაზღვრათ თავიანთი ადგილი მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში. ეს თავის მხრივ რთული პროცესია, რისთვისაც საჭიროა არა მარტო ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის, არამედ ადამიანთა მენტალიტეტისა და საზოგადოებრივი აზროვნების შეცვლა. მსოფლიო სოციალისტური სისტემის

პირობებში აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა რესპუბლიკების მეურნეობებს გარკვეული ეკონომიკური სპეციალიზაცია ჰქონდათ და ჩართულნი იყვნენ მსოფლიო სამეურნეო სისტემაში. დღესდღეობით, როცა საბაზრო ეკონომიკის კანონები ბატონობს, როცა კონკურენცია და ბაზრისათვის ბრძოლა განსაზღვრავს ეკონომიკურ ცხოვრებას, ყველა ყოფილი სოციალისტური ქვეყანა იძულებულია ეძებოს ეკონომიკური განვითარების ახალი გზები. ეს მეტად მტკივნეული პროცესი ნაკლებად პრობლემურია ბუნებრივი რესურსებით (კერძოდ, სასარგებლო წიაღისეულით) მდიდარი (აზერბაიჯანი, უზბეკეთი, თურქმენეთი) ქვეყნებისათვის. იმ ქვეყნებში კი, სადაც მინერალური ნედლეული არ მოიპოვება, საქმე უფრო რთულადაა. ასეთ მდგომარეობაშია ყოფილი სოციალისტური ქვეყნების უმრავლესობა და შავი ზღვის აუზის რესპუბლიკები.

ამ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ბუნებრივ რესურსს, როგორიცაა ხელსაყრელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა. არ შეიძლება ეს ფაქტორი პანაცეად ჩაითვალოს და მთელი იმედები საზოგადოების კეთილდღეობისა მასზე დამყარდეს, თუმცა, არ შეიძლება არ ითქვას, რომ მსოფლიოს სავაჭრო არტერიებთან მოხერხებული მდებარეობა გარკვეული უპირატესობაა ამა თუ იმ ქვეყნისათვის.

კავკასია თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ბუნებრივი ხიდია აზიასა და ევროპას შორის. აქ გადის აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის დამაკავშირებელი უმოკლესი გზები. განსაკუთრებით მოხერხებული ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა აქვს საქართველოს, რომელიც მსოფლიოში ყველაზე „შიდაკონტინენტური“ საზღვაო ქვეყანაა, ოკეანეში პირდაპირი გასასვლელით. საქართველო ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან ერთადერთი საზღვაო სახელმწიფოა; ქალაქები ფოთი და ბათუმი კი უმნიშვნელოვანესი საზღვაო პორტებია.

კავკასია მსოფლიოსათვის ისტორიულად იყო უმნიშვნელოვანესი რეგიონი. იგი ყოველთვის იყო მსოფლიოს ხალხთა თვალსაწიერში, უკანასკნელმა ათწლეულებმა კი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრად აქცია. ამის მიზეზი ის პოლიტიკური მოვლენებია, რომლებიც კავკასიის თითქმის ყველა კუთხეში დატრიალდა. ეს რეგიონი ე. წ. „ცხელ წერტილად“ იქცა და საერთაშორისო ინტერესთა არეალში მოექცა[11].

კავკასიამ, კავკასიელებმა მძიმე ბრძოლებით აღსავსე გზა გაიარეს. უძველესი დროიდან მოექცა კავკასია ევროპისა თუ აზიის სახელმწიფოთა თვალსაწიერში. სხვადასხვა სახელმწიფოთა ე. წ. „კავკასიური პოლიტიკა“ რეგიონს მუდმივ საომარ მდგომარეობაში ამყოფებდა.

ოქროს საწმისის ხელში ჩასაგდებად მოსულმა ბერძნებმა კოლხებთან საზღვაო ომი გადაიხადეს. კავკასიას არაერთხელ დაესხა თავს სკვითები და სარ-

---

[1] იხ. რ. მეტრეველი, კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში, თბ., 2007.

მატები. კავკასიის სახელმწიფოები იძულებით ჩაებნენ ბიზანტიასა და ირანს შორის ატეხილ ხანგრძლივ ომში. კავკასიის საგარეო პოლიტიკას საუკუნეების მანძილზე განსაზღვრავდა არაბებთან, სელჩუკებთან, ბიზანტიელებთან ბრძოლები. რეგიონისათვის დამანგრეველი იყო მონღოლთა შემოსევები, როცა მთელი კავკასია მონღოლთა მფლობელობაში მოექცა (XIII ს.). მოსახლეობა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა ჯერ ხორეზმშაჰ ჯალალედინის, შემდეგ თემურლენგის რვაგზის შემოსევამ.

კავკასიის რეგიონის, მისი მოსახლეობისათვის მეტად მძიმე აღმოჩნდა კონსტანტინოპოლის ოსმალთა ხელში გადასვლა (1453 წ.). XVI საუკუნიდან მოკიდებული კავკასია ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი ომების ასპარეზად იქცა.

განსაკუთრებული საკითხია რუსეთის დამოკიდებულება კავკასიასთან. რუსეთს ადრიდანვე ჰქონდა „თვალი დადგმული" ამ რეგიონზე. რუსებმა უზარმაზარი მსხვერპლი გაიღეს იმისათვის, რომ კავკასიაში გავლენა და მასზე ბატონობა მოეპოვებინათ. მათ მიაჩნდათ, რომ „Кавказ был ключем, без которого невозможно было овладеть обширными равнинами и запереть их от вторжений новых да новых племен и народов" (ვ. პოტო).

რუსული მატიანეები გადმოგვცემენ სვიატოსლავის ბრძოლის შესახებ ყუბანში, მსტისლავისა და ჩერქეზთა ბატონის ურთიერთშებრძოლებისა და სხვა ფაქტების შესახებ. კავკასიისათვის ბრძოლას აწარმოებდნენ რუსეთის მეფეები ივანე III, ივანე IV (მრისხანე). რუსეთი პრაქტიკულად იჭრება კავკასიაში. XVI საუკუნის მეორე ნახევარში ჩრდილოეთ კავკასიაში ფუძნდება რუსული ახალშენები და ციხე-სიმაგრეები (თერგის, სუნჯის). განსაკუთრებით უტევს კავკასიას რუსეთი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში რუსები მტკიცედ იკიდებენ ფეხს კავკასიაში. არსდება ქალაქები: ყიზლარი, მოზდოკი, ვლადიკავკაზი (დააკვირდით სახელწოდებას!), შეიქმნა კავკასიის გამაგრებული ხაზი. 1783 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის გიორგიევსკში დაიდო ე. წ. „მფარველობითი ხელშეკრულება", ტრაქტატი, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ არ შეასრულა და 1801 წელს შეიერთა ქართლ-კახეთის სამეფო. ეს ქვეყნის დაპყრობის ტოლფასი იყო, რადგან გაუქმდა მეფობა და საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრიობა. რუსეთის ხელისუფლების ქმედება კიდევ უფრო შორს წავიდა – გააუქმეს ქართული სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, გააუქმეს კათოლიკოს-პატრიარქობა (საქართველოს ეკლესია V საუკუნიდან ავტოკეფალური და საკათალიკოსო იყო, XI საუკუნიდან – საპატრიარქო) და ნაცვლად საეგზარქოსო დააარსეს (1811 წ.). პირველი ეგზარქოსის (ვარლამ ერისთავი) შემდეგ ყველა მომდევნო რუსი იყო.

კავკასიელები ძლიერ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსეთის დამკვიდრებას მათ მიწა-წყალზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩრდილო კავკასიელი – დაღესტნელი და ჩეჩენი მთიელების ბრძოლა რუსი მოძალადეების წინააღმდეგ. სამხრეთ დაღესტანში XIX საუკუნის 20-იან წლებში დაწყებული ანტირუსული მოძრაობა ფართოდ გაიშალა. მის სათავეში ღაზი მუჰამედი იდგა. მას წინააღმდეგობა

გაუწიეს ავარელმა ხანებმა, რომლებიც მთაში ცარიზმის დასაყრდენს წარმოადგენდნენ. 1831 წელს, ღაზი მუჰამედმა გაანადგურა სამეფო ჯარის ნაწილები და დაიკავა გეოგრაფიული პუნქტები: პარაული, ტარკი, ყიზლარის ციხე-სიმაგრე. 1832 წელს შეიჭრა ჩეჩნეთის სიღრმეში, ილაშქრა ვლადიკავკაზზე და ალყა შემოარტყა ნაზრანს.

ჩრდილო-კავკასიელთა ბრძოლა რუსული რეჟიმის წინააღმდეგ ახალი ძალით გაიშალა შამილის მეთაურობით (1834 წლიდან). შამილი იმამი გახდა და ახალი ძალით მთელი 25 წლის განმავლობაში აწარმოებდა ბრძოლას. შამილმა მიურიდიზმი სამხედრო-პოლიტიკურ ძალად აქცია. იგი გახდა ჩეჩნეთისა და დაღესტნის შეიხი და მთელი აღმოსავლეთ კავკასიის აღიარებული პოლიტიკური ხელმძღვანელი. შამილს იმედის თვალით უყურებდნენ ინგუშები, ბალყარელები, ყარაჩაელები, ასევე აბაძეხები, შაფსუღები, აფხაზები – ყველა ისინი ვისი შევიწროება და ნაყოფიერი მიწებიდან აყრაც რუსეთმა დაიწყო. შამილმა მთიან ყარაბაღში პოზიციები გაიმაგრა.

რუსი გენერლები კავკასიის დაპყრობისათვის მუხანათურ ხერხს მიმართავდნენ, დასაყრდენს თვით კავკასიელების წიაღში ეძებდნენ და გულუხვად აჯილდოებდნენ ხანებსა და ბეგებს. რუსეთის ჯართან სისხლიანი შებრძოლებები ჰქონდათ აზერბაიჯანელებსაც. შამილის დაქვემდებარებაში მყოფი მასები რუსების სიძულვილის პროპორციულად იზრდებოდნენ. რუსებმა მოახერხეს შამილის დატყვევება, თუმცა ბრძოლა ჩრდილოკავკასიელებს მაინც არ შეუწყვეტიათ[1]. 1785 წელს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყდა შეიხი მანსური, 1878 წელს ნოღაელები და ყაბარდოელები აჯანყდნენ, მაგრამ ძალა აღმართს ხნავდა – რუსეთმა შესძლო თავისი გავლენის გაფართოება. XIX საუკუნეში რუსეთი ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად რუსეთმა შეიერთა აზერბაიჯანი, სომხეთი, დასავლეთი საქართველო. რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიაში თავისი მფლობელობა დაამყარა. კავკასია დაიყო გუბერნიებად. 1844 წელს კავკასიაში რუსეთის მეფის ნაცვალი დაინიშნა. სამეფისნაცვლოს ცენტრი თბილისი იყო. მეფის ნაცვლები უხეშად ატარებდნენ კავკასიის დაპყრობის პოლიტიკას. ეს პოლიტიკა, ცხადია, კოლონიური იყო. არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ ინტერესებს. რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას ვერ ეგუებოდნენ კავკასიის ხალხები. ამის ნათელი მაგალითია ის ომები, რასაც 1817-64 წლებში ჰქონდა ადგილი. რუსეთმა მოახერხა კავკასიის დაპყრობა და შეერთება. „Кавказ! Какое русское сердце не отзовется на это имя, связанное кровною связью и с исторического, и с умственною жизнью нашей родины, говорящее о неизмеримых жертвах и в то же время о поэтических вдохновениях“ – ეს კავკასიის ომების მკვლელვარის ვ.პოტოს გულწრფელი სიტყვებია და აშკარად გამოხატავს იმდროინდელი რუსეთის დამოკიდებულებას კავკასიისადმი. ერთი სიტყვით, რუსეთისათვის კავკასია ყოველთვის სანუკვარი იყო. ეს ინერცია დღემდე

[1] Ир. Гусейнова, История народов Кавказа, Баку, 2006 г., стр. 60-75.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჰყვათ და დღემდე, მიუხედავად ახალი ვითარებისა, არ ეთმობათ. რუსეთის კავკასიურ ომებზე მოგვითხრობენ ვ. პოტო და ნ. დუბროვინი, საინტერესო მასალაა დაცული კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში, თანამედროვე ავტორთა შრომებში.

კავკასიისათვის განსაკუთრებულად მძიმე გამოდგა XX საუკუნეც. უმძიმესი სამამულო ომები და მეთერთმეტე არმია ფაქტობრივად იპყრობენ რეგიონს, განსაკუთრებული სისასტიკით ხდება საქართველოს ანექსია 1921 წელს.

ნიშანდობლივია, რომ კავკასიელთა ომები ძირითადად თავდაცვითი ხასიათისა იყო. მომხდური მტრის მიზანი სხვადასხვანაირი იყო: ზოგჯერ ქვეყნისა და ერის ერთიანად ამოგდების სურვილი, ზოგჯერ ნადავლის მოპოვება, გავლენის გაძლიერება თუ სხვ. კავკასიას უდიდესი მსხვერპლის გაღება უხდებოდა: ადამიანების, ტერიტორიების, ნატურალური დოვლათის სახით. იყო შემთხვევები დამარცხებისა, ამა თუ იმ ტერიტორიის დაკარგვისა, ქვეყნის დანგრევა-განადგურებისა. მიუხედავად ამისა, კავკასიის სახელმწიფოები და ხალხები გადარჩნენ.

გადარჩნენ კი?

ჩეჩნეთში დატრიალებული „ცოდვის კალო" და ბესლანის ტრაგედია – ამის დავიწყება შეუძლებელია, არ გვაძლევს საშუალებას ვილაპარაკოთ კავკასიის ხალხების გადარჩენილობაზე. ამას აგვირგვინებს 2008 წლის აგვისტოში რუსეთის რეგულარული ჯარების მიერ გაუგონარი სისასტიკით (ადამიანთა, მათ შორის მოხუცების, ქალებისა და ბავშვების დახოცვა, მშვიდობიანი ქალაქების, სოფლებისა და ზოგადად მოსახლეობის ძარცვა) საქართველოს დარბევა-ოკუპაცია.

აშკარად გამოჩნდა შეუსაბამობა საერთაშორისო ურთიერთობების იმპერიულ კულტურასა, რომელიც გათვლილია ძველი, ადამიანთა განვითარების დისპერსიულ ეტაპზე და XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის ხარისხობრივად სრულიად ახალ მდგომარეობაზე. ჯერ კიდევ არსებული სოციორეგულაციური კულტურა სრულიად არაადეკვატური აღმოჩნდა ერთიან ურთიერთდამოკიდებული გლობალურ სისტემად კაცობრიობის გარდაქმნის პირობებში.

კავკასიის ხალხთა ცარიზმისა და ტოტალიტარიზმის ორსაუკუნოვანმა ყოფნამ თავისი დაღი დაასვა მათ კულტურულ-ისტორიულ ცხოვრებას. როგორც კი დაინგრა საბჭოთა კავშირი, უმალ 30-მდე კონფლიქტის კერა წარმოიქმნა. ნაყოფიერი მიწების სიმცირე და შრომისუნარიანი მოსახლეობის სიჭარბე, ისტორიული ნაწყენობა, ურთიერთტერიტორიული პრეტენზიები და დეპორტაციის შედეგები კავკასიაში პერმანენტული არასტაბილურობის საფუძვლად იქცა.

კავკასიის რეგიონში წარმოქმნილი მძიმე ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები ყოფილი „ცენტრის" მიერ იყო ინსპირირებული. იმისათვის, რომ რესპუბლიკებზე თავისი გავლენა შეენარჩუნებინა, „ცენტრმა" ზოგან „ინტერფრონტები" შექმნა. ზოგან კი მოახერხა რესპუბლიკური ხელისუფლებისათვის ავტონომიების დაპირისპირება. რუსეთის ცალკეული საპარლამენტო ჯგუფები აქტიურ ანტიქართულ საქმიანობას ეწევიან აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში. სამწუხაროდ ეთნოკონფლიქტები ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის შეი-

არაღებულ ბრძოლაში გადაიზარდა (2008 წლის აგვისტოს მოვლენებზე ზემოთ გვქონდა საუბარი). 1988 წელს დაიწყო და გრძელდება სომხეთისა და აზერბაიჯანის კონფლიქტი მთიანი ყარაბახის გამო. ყოველივე ამან კავკასიის ყველა ნების ეკონომიკა დააზარალა, ასობით ათასი ადამიანი ლტოლვილად იქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიელებმა უნდა გაითვალისწინონ წარსულის გაკვეთილები, როცა 1918–21 წლებში სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) არსებობდა და, როცა ინგლისმა, საფრანგეთმა და გერმანიამ აქ თავისი პროტექტორატის განხორციელება მოინდომეს. სწორედ შინა ომებისა და ეთნოკონფლიქტების გამო მათ უარი თქვეს განზრახვაზე. ამ დროს რუსეთმა ყველაფერი გააკეთა სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებისათვის.

ამ ეტაპზე განსაკუთრებული სიმძაფრით გამოიკვეთა ეროვნებათშორისი კონფლიქტების რეგულირება-მოგვარებაში საერთაშორისო საზოგადოების მონაწილეობა. უკანასკნელ ხანს მსოფლიოს მოსახლეობამ თვალნათლივ დაინახა ყველა არსებული საერთაშორისო ორგანიზაციის, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის, მათ შორის აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მხარდაჭერა საქართველოს სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფოსადმი; შესაბამისად დაგმობილ იქნა რუსეთის აგრესია და მისი შედეგები (ქვეყნის ფაქტობრივი ოკუპაცია, ადამიანთა მსხვერპლი, ძარცვა და ნგრევა) საქართველოში.

* * *

დღეს, როცა საქართველო საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული სახელმწიფოა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის, ევროსაბჭოს წევრია და იღვწის ევროკავშირში შესვლისათვის, მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დგას, ესაა: ქვეყნის ეკონომიკის დაწინაურება, კულტურული წინსვლა, ადამიანის უფლებათა განუხრელი დაცვა და სხვ. საქართველოს სწრაფვა დასავლეთისკენ (ევროპა, აშშ) თვალნათელია.

რა ვითარებაა თვით დასავლეთში – ევროპასა და აშშ-ში?

XXI საუკუნემ თავისი კორექტივები შეიტანა მათი მდგომარეობის შეფასებაში. დრომ გარკვეულად შეცვალა ვითარება. თუ 50-60 წლის წინ ამერიკის შეერთებული შტატების შემოსავალი 2-ჯერ აღემატებოდა დასავლეთ ევროპისას, იაპონიისას კი 5-ჯერ, ამჯერად იგი გაუთანაბრდა ევროკავშირში შემავალი ქვეყნების შემოსავალს, იაპონიისას კი მხოლოდ 2-ჯერ აღემატება. აშშ-ს განუსაზღვრელი პოლიტიკური სიძლიერეც რამდენადმე შესუსტდა.

დღევანდელი ევროპა, რომლის საგარეო პოლიტიკა აქტიური და მიზანსწრაფულია, წარმატებული კონტინენტია. ევროპული ქვეყნების ეკონომიკა ამერიკის შეერთებული შტატებისას დაეწია. ევროპა დაეხმარა მთელ რიგ ქვეყნებს გადაელახათ დიქტატორული რეჟიმები და აეშენებიათ დემოკრატიული საზოგადოება.

XXI საუკუნეში მიმდინარე პროცესების შეცნობისათვის აუცილებელია გადავხედოთ ადამიანთა მსოფლგაგებასაც. ისეთი ზესახელმწიფოებიც კი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, აღარ შეიძლება შეფასდეს ყოვლისშემძლედ. ამას ადასტურებს ისტორიის მსვლელობა, ანალიტიკოსებს XXI საუკუნე – ევროპის საუკუნედ მიაჩნიათ.[1] მათივე დაკვირვებით, ევროპის კავშირი ხასიათდება მოცულობის სიფართოვით და სიღრმით: ხვდებიან თუ არა მისი გავლენის ქვეშ, ქვეყნები იცვლებიან. ბოლო ორმოცდაათი წლის მანძილზე ევროპა შეფარებული იყო ამერიკული უსაფრთხოების საშუალებებზე და სწორედ ამ პერიოდში შექმნა დემოკრატიული თანასაზოგადოება. ევროპამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საბაზრო ეკონომიკის გაფართოებას, ბევრი პარამეტრით მიმზიდველი გახადა ევროკავშირის წევრობა და ამ კავშირთან თანამშრომლობა. სახელმწიფოს მოწყობის ევროპული მოდელი მოხერხებული გამოჩნდა ბევრი სახელმწიფოსათვის – იგი კეთილდღეობის გაზრდისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტად გამოჩნდა.

თუკი მსოფლიო რუკას დავხედავთ, აშკარად შევიცნობთ ევროპული გავლენის სფეროს სიფართოვეს, რომელიც ირლანდიის დასავლეთი სანაპიროდან ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთამდე, ჩრდილოეთის პოლარული წრიდან გიბრალტარის სრუტემდე ვრცელდება. სტატისტიკოსები ევროპის გავლენის სფეროში, ე. წ. „ევროსფეროში“, 2 მილიარდ კაცს, ანუ დედამიწის მოსახლეობის ერთ მესამედს ითვლიან.

ევროპის (ევროკავშირის) ძალა არ განიზომება სამხედრო ბიუჯეტის სიდიდით, არც მაღალი კლასის რაკეტული ტექნოლოგიებით. იგი არ არის გამიზნული მცირე გამარჯვებების მოპოვებისა და ამით მიღწეულ ტკბობაზე. ეს ძალა საკმაო ხანია რაც არსებობს და მიმართულია სამყაროს გარდაქმნისკენ. ჰქმნის რა საერთო სტანდარტებს, რომლებიც მოქმედებენ ეროვნული ინსტიტუტების საშუალებით, ევროპა თავის გავლენას იმგვარად ავრცელებს, რომ არ ხდება მტრულად მოქმედების ობიექტი. ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, რომლის ყველა სამხედრო ბაზა, საელჩო თუ სხვა დაწესებულება ტერორისტების სამიზნედაა ქცეული, ევროპა მოკრძალებულად დგას ჩრდილში და საკუთარ საქმეს აკეთებს – აფართოებს თავისი გავლენის სფეროებს მთელს მსოფლიოში.

სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისას ევროპელების ინტერესების სფეროშია არა მათი გეოპოლიტიკური მიმართულებები, არამედ ის თუ რა ღირებულებებს უჭერს მხარს ესა თუ ის სახელმწიფო, როგორია მისი კონსტიტუციონალური სისტემა და საკანონმდებლო ბაზა. ნიშანდობლივია, რომ ევროპა (ევროკავშირი) გავლენას არ ავრცელებს მუქარით, როგორც ეს ზესახელმწიფოებს ახასიათებთ. ევროპის სოციალური მოდელი უზრუნველყოფს ადამიანებისათვის დროსა და დასვენების საშუალებას, განასახიერებს ენერგიისა და თავისუფლების სინთეზს, აქედან გა-

---

[1] იხ. М. Ленорд, XXI век – век Европы, М., 2006.

მომდინარე ლიბერალიზმს – სტაბილურობითა და კეთილდღეობით (ეს სოციალური დემოკრატიის წყალობაა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა ძლიერი ძალის წარმოქმნამ (ევროკავშირია მხედველობაში) არ გამოიწვია სხვა ქვეყნების წინააღმდეგობა. თითქმის ყველა მსხვილი სახელმწიფო (მაგალითად, ესპანეთი XVI საუკუნეში, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები XIX საუკუნეში, შემდეგ გერმანია, იაპონია, საბჭოთა კავშირი XX საუკუნეში, აშშ – XXI საუკუნეში) თავისი გავლენის საპირწონე ძალის შექმნის პროვოცირებას ახდენდნენ. ევროპა კი ისე გახდა ერთიანი და ძლიერი, რომ მეზობლების ამგვარი დამოკიდებულება არ გამოუწვევია. ნიშანდობლივია, რომ ისეთი დიდი სახელმწიფოები, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი ევროპის ეკონომიკური სიძლიერის ზრდაში ნაკლებ საფრთხეს ხედავენ, ვიდრე ერთმანეთის ეკონომიკის ცვლილებებში.

ინგლისელი მეცნიერი არნოლდ ტოინბი ამტკიცებდა, რომ კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ცივილიზაციები შეეჯახებიან ერთმანეთს.[1] ცივილიზაციური წინააღმდეგობები გამოჩნდა იმ კონფლიქტში, რომელიც დასავლურ ცივილიზაციასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის არსებობს. XX საუკუნესა და XXI საუკუნეში დასავლეთის ცივილიზაცია ევროამერიკული გახდა. ამერიკის შეერთებული შტატები პრეტენზიას აცხადებს მსოფლიოში პოლიტიკურ და ცივილიზაციურ ჰეგემონობაზე. მიუხედავად ევროპული ქვეყნების მცდელობისა, შეინარჩუნონ თავისი ტრადიციები და ცხოვრების წესი, ამერიკანიზაცია მაინც მიმდინარეობს.

დღესდღეობით როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ისე ევროპის ქვეყნების მნიშვნელოვანი პრობლემაა დემოგრაფიული ვითარება. შემცირებულია შობადობა და გაზრდილია უცხოელთა შემოჭრა (იმიგრაცია). ეს ორი ფაქტორი ცივილიზაციის განვითარებას ან უკან სწევს, ან ცივილიზაციებს დაცემით ემუქრება. დიდია სიკვდილიანობა. ევროპის არც ერთ სახელმწიფოში (მუსლიმური ალბანეთის გარდა) ადგილობრივი მოსახლეობის შობადობის დონე არ იძლევა ბუნებრივი მატების გარანტიას. ეს მდგომარეობა ევროპის მსხვილ ქვეყნებში ათწლეულების მანძილზე გრძელდება. ბევრ ქვეყანაში ადგილობრივი (მკვიდრი) მოსახლეობის რიცხვი მცირდება კიდეც. მიჩნეულია, რომ უცხოელ მიგრანტთა რიცხვის ზრდამ, რაც კატასტროფული ინტენსიურობით ხდება, შეიძლება დასავლეთის დეკონსტრუქცია და ცივილიზაციის დაღუპვა გამოიწვიოს.[2]

ბარბაროსთა შემოსევებმა რომის იმპერიის დაღუპვა განაპირობა (ა. ტოინბი). შექმნილი კრიზისი – დაშლილობა და ქაოსი, კათოლიკურმა ეკლესიამ განმუხტა.

---

[1] А. Дж. Тойнби. „Столкновения цивилизаций", в кн.: Цивилизация перед судом истории, М., 2003, с. 400-407. იხ. აგრეთვე რ. მეტრეველი, გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები, თბ., 2006.

[2] П. Бьюкенен, На краю гибели, М., 2007, с. 14, С. Хантигтон, Столкновение цивилизаций, Полис, 1994, № 1, стр. 34

შეიქმნა რა ახალი რელიგიური თემი, მან დასაბამი მისცა ახალ კულტურასა და ცივილიზაციას. აქედან დაიწყო ქრისტიანული სამყაროს ისტორია. XV-XVIII საუკუნეებში ქრისტიანულმა სამყარომ, ევროპის ქვეყნებმა ბევრი სიახლე შესძინეს მსოფლიოს. ევროპა XX საუკუნეში, პრაქტიკულად მთელ პლანეტას განაგებდა. დასავლეთის წინსვლას დაქვეითება მოჰყვა. დაეცა ესპანეთის იმპერია, 1914–1945 წწ. დასავლური ცივილიზაციის ომი სასიკვდილო ჭრილობებით გასრულდა. 1918 წლისათვის დაეცა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის იმპერიები. მეორე მსოფლიო ომმა ბრიტანელებისა და ფრანგების ბატონობას მოუღო ბოლო. ომის დამთავრების შემდეგ ერთმანეთზე მიყოლებით დაიშალნენ დასავლეთის ფორპოსტები: სუეცი, პალესტინა, როდეზია, სამხრეთი აფრიკა, ჰონკონგი. ევროპას აზიასა და აფრიკაში აღარაფერი დარჩა.[1]

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირი დაიშალა თხუთმეტ ცალკეულ სახელმწიფოდ. ამჟამად აფრიკელები, აზიელები, მუსლიმები, სხვადასხვა ქვეყნებიდან, ლათინოამერიკელები, რომლებზეც დასავლეთი ერთ დროს ბატონობდა, საკმაოდ აქტიურად ავსებენ ყოფილი მეტროპოლიების მოსახლეობას.

მოსახლეობის სიკვდილიანობა, კულტურის დეზინტეგრაცია და უცხოელთა (იმიგრანტთა) შემოჭრაზე წინააღმდეგობის გაუწევლობა დასავლურ ცივილიზაციას მწვავე კრიზისით ემუქრება. თითქმის მთელ მსოფლიოში შეიქმნა პენსიონერთა სიჭარბე, რომლებიც მშრომელთა კმაყოფაზე არიან. ამ უკანასკნელთა რიცხვი ევროპაში თანდათან იზრდება. 1960 წელს 60 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა 20%-ს შეადგენდა, 2000 წელს კი 35%-ს გაუტოლდა. პროგნოზით 2020 წელს ეს მაჩვენებელი 47%-მდე გაიზრდება. 2050 წელს კი 70%-ს მიაღწევს. აქედან გამომდინარე, ევროკომისიამ გათვალა, რომ 2040 წლისთვის წლიური მატება დაიკლებს დაახლოებით 2%-იდან 1,25%-მდე.

ცხადია, პროგნოზისტი დემოგრაფების მიერ გამოვლენილი ტენდენცია არ ნიშნავს გარდაუვალ კატასტროფას. ცნობილია, რომ დემოგრაფიული წინასწარმეტყველებების უმრავლესობა არ გამართლდა. ასეთი ბედი ხვდა წილად თომას მალთუსის აპოკალიპტურ დასკვნას მოსახლეობის გეომეტრიული პროგრესით ზრდისა და მათი შიმშილით მასობრივად დაღუპვის შესახებ. არ არის გამორიცხული ცდომილება თანამედროვე პროგნოზებისაც. ამისი გარკვეული ნიშნები შეიმჩნევა კიდეც. ასე მაგალითად, წლების მანძილზე შობადობის კლების შემდეგ ინგლისში, საფრანგეთში, შვედეთში, დანიასა და ნორვეგიაში გარკვეული სასიკეთო დემოგრაფიულ ცვლილებებთან გვაქვს საქმე. ამჟამად შობადობის ყველაზე დაბალი დონის ევროპულ ქვეყნებს: იტალიას, გერმანიასა და ესპანეთს საგანგებო ზომების გატარება უხდებათ (ძირითადად ფინანსური და საგადასახადო შეღავათები), რათა მოხდეს ცოლქმრული წყვილების სტიმულირება შვილიანობის რიცხობრივი გაზრდის მიზნით.

---

[1] П. Бьюкенен, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმე დემოგრაფიული ვითარებაა რუსეთშიც. გამოკვეთილია მოსახლეობის შემცირების ტენდენცია. მხოლოდ 2005 წელს 750000 რუსი გარდაიცვალა, ეს მეტ-ად შემცირებული შობადობის ფონზე მოსახლეობა 143 მილიონამდე შემცირდა. როგორც ვარაუდობენ, შობადობის დაბალი დონისა და ადრეული სიკვდილიანობის პირობებში, უახლოეს 10 წელიწადში მოსახლეობა კიდევ 10 მილიონით შემცირდება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩინელი მუშები და ვაჭრები, ყოველწლიურად ათასობით კაცი, გადმოდის და იკავებს რუსეთის ტერიტორიას.

როცა ცივილიზაციათა დაპირისპირებაზეა ლაპარაკი, აქ განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ჩინეთი – უძველესი წარსულისა და ცივილიზაციის ქვეყანა, მზარდი მოსახლეობით. არ გამოვრიცხავთ (ცხადია, ჩვენ არა ვართ ორიგინალური), რომ XXI საუკუნეში ჩინეთი და ჩინური ცივილიზაცია მთელს მსოფლიოში წამყვანი გახდეს. დღესდღეობით ჩინეთში მნიშვნელოვან პრობლემად რჩება დემოკრატიის მდგომარეობა და ადამიანის უფლებების დაცვა. ქვეყანაში შეიმჩნევა სწრაფვა მერიტოკრატიული (განსაკუთრებულად განათლებულთა მმართველობა) სისტემის შექმნისაკენ კომუნისტური პარტიის შიგნით; მიიზიდეს წარმატებული ბიზნესმენებიც. ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ ჩინეთი ემზადება დიდი რევოლუციისათვის – დემოკრატიული რევოლუციისათვის (სახელმწიფო და საქალაქო დონეზე არჩევნების დაწესება).

აბრაამ ლინკოლნმა თავის ერთ-ერთ „მიმართვაში" დემოკრატია განსაზღვრა, როგორც ხალხის მმართველობა, რომელიც ხალხის მიერ ხორციელდება, ხალხისავე ინტერესებში. სახელმწიფო უნდა იყოს ანგარიშვალდებული ხალხის წინაშე და მისი პოლიტიკა ხალხის ნებას უნდა შეესაბამებოდეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩინეთისთვის დემოკრატიული გარდაქმნების გატარება ხანგრძლივი პროცესი იქნება.

ჩინეთი შევიდა მსოფლიო ბაზარზე და მნიშვნელოვანი ადგილიც დაიკავა. იგი მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკასა და მრავალმხრივი ურთიერთობების პრინციპს ემხრობა. როცა ჩინეთი ზესახელმწიფო გახდება (ეს ადრე თუ გვიან აუცილებლად მოხდება), იგი თავის გავლენას სხვა დიდ სახელმწიფოებზეც გაავრცელებს. აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა გულწრფელად და დარწმუნებით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს დღესდღეობით სხვა ქვეყნებთან შედარებით პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო უპირატესობა აქვთ. მაგრამ 30 წლის შემდეგ ჩინეთის ეკონომიკას შესაძლებლობა აქვს აშშ-ს ეკონომიკას გაუთანაბრდეს, შეიძლება უფრო წინაც წავიდეს. მაშინ ამერიკა ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოში ლიდერობას შეინარჩუნებს, ბატონობას კი ვერა. კლინტონი დარწმუნებულია, რომ თუკი ამერიკა და ჩინეთი შეეჯახებიან (დაუკვირდით – ესეც ცივილიზაციათა შეჯახების მაგალითია), საკითხი საერთაშორისო სამართლის ნორმებით გადაწყდება და არა სამხედრო ძალით.

ფაქტი ერთია – ჩინეთი წინ მიიწევს და მსოფლიოსთვის არსებით, ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს.

ალბათ მართებულია მეცნიერთა მოსაზრება, რომ დასავლეთს მოუნევს სხვადასხვა ცივილიზაციის არაერთი კონტრდარტყმის გადატანა. ამასთან დასავლეთი უნდა შეებრძოლოს, ერთი მხრივ, ცივილიზაციურ ექსპანსიას, მეორე მხრივ, „ჩასახლებულთა" (მიგრანტთა) ექსპანსიასაც. ევროპის ქვეყნებისა თუ ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქები სავსეა აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოსახლებულებით. თითქოსდა უწყინარი მიგრანტები (ასე მოჩანდნენ ერთ დროს) ევროპელებისათვის მიუღებელი გახდნენ, რადგან სერიოზული საფრთხე შეუქმნეს როგორც სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობას, ასევე პოლიტიკურ კულტურულ ვითარებას.[1]

1960 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში აზიისა და ესპანურენოვანი ქვეყნებიდან ჩამოსული 5 მილიონი კაცი ცხოვრობდა. დღესდღეობით მათი რიცხვი 57 მილონს შეადგენს. ყოველწლიურად აშშ-ში შემოედინება 1–2 მილიონი კაცი, თანაც თითქმის მათი ნახევარი არ სცნობს ამერიკის კანონებსა და მის საზღვრებს. არის არალეგალურ მიგრანტთა დიდი მასა (შეფასებით 12-დან 20 მილიონამდე). მიუხედავად ამერიკელთა წინააღმდეგობისა, ამერიკის ტრანსფორმირება მაინც ხდება. შპენგლერისა და ტოინბის წყალობით, კარგადაა ცნობილი ბზარშეპარული ცივილიზაციის ნიშნები: რწმენის დაკარგვა, მორალის დაქვეითება, ძველი ღირებულებების სიძულვილი, კულტურის კოლაფსი და ნების დამბლა. ამას ემატება კიდევ ორი გარემოება – მკვიდრი მოსახლეობა მცირდება და წინააღმდეგობა არ ეწევა უცხო ქვეყნებიდან მიგრანტთა შემოჭრას.[2]

ამერიკის ელიტარულმა საზოგადოებამ ღიად უსაყვედურა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს, რომ მისი თაოსნობით 2006 წლის მაისში გამოცხადდა ამინისტია 12 მილიონი უკანონოდ შემოსული იმიგრანტისათვის. თავად პრეზიდენტს მოუხდა აღიარება, რომ აშშ-ში კანონდარღვევით შემოჭრისას 4,5 მილიონი უცხოელი დაიჭირეს, რომელთაგან 350000 კაცს კრიმინალური წარსული ჰქონდა (ჯ. ბუშის გამოსვლა ტაქსონში 2005 წლის ნოემბერში).

დღესდღეობით ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთაგან 36 მილიონი წარმომავლობით უცხოელია. აქედან 30% მექსიკელები არიან. საინტერესოა იმიგრაციის წარსულიც. 1820-იან წლებში აშშ-ში 150000 იმიგრანტი შევიდა, 1840-იან წლებში – 1,7 მილიონი, 1870-იან წლებში – 2,8 მილიონი, 1880-იან წლებში – 5,2 მილიონი, XX საუკუნის პირველ ათწლეულში – 8,8 მილიონი კაცი. ასე რომ, აშშ რეალურად მრავალენოვანი, მრავალრასული, მულტიეთნიკური და მულტიკულტურული ქვეყანაა. ვერ სრულდება თეოდორ რუზველტის მოწოდება, რომ ამერიკელებს შეეცნოთ საკუთარი თავი და იმადვე დარჩენილიყვნენ. ამერიკელი პოლიტოლოგები შიშობენ, ხომ არ მიდის ქვეყანა ბალკანიზაციისაკენ, რაც თავის მხრივ სახელმწიფოს განადგურებას მოასწავებდა.

---

[1] იხ. რ. მეტრეველი, გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები, თბ., 2006; გ. ანთელავა, თანამედროვე ევროპა და თურქული მიგრაცია, თბ., 2004.

[2] П. Бьюкенен, На краю гибели, გვ. 13.

სემუელ ხანტინგტონი მიიჩნევს, რომ თანამედროვე ეპოქის უმნიშვნელოვანესი პრობლემა აშშ-სთვის მიგრაციაა. ამერიკელები მისტირიან იმ დროს, როცა მოსახლეობა უპირატესად ევროპული წარმოშობის ამერიკელები იყვნენ. 1960 წელს აშშ-ის მოსახლეობა 180 მილიონი იყო. აქედან 89% ევროპელი წარმოშობის ამერიკელები იყვნენ, 10% – შავკანიანები, აზიური წარმოშობისა და ესპანურენოვანი მიგრანტები შედარებით მცირე იყვნენ. მოსახლეობის 97% ლაპარაკობდა ინგლისურ ენაზე. სტატისტიკოსები ძალიან მძიმე პროგნოზებს აკეთებენ: 2050 წელს ქვეყნის მოსახლეობა 1960 წელთან შედარებით 2,5-ჯერ გაიზრდება – გახდება 420 მილიონი. ამჯერად ევროპული წარმოშობის ამერიკელები ეროვნული უმცირესობა იქნება (ეს მოვლენა დღესაც შეიმჩნევა კალიფორნიაში, ტეხასსა და ნიუ-მექსიკოში). ესპანურენოვანი მოსახლეობა 102 მილიონამდე გაიზრდება და საერთო რაოდენობის 24%-ს შეადგენს.

ამერიკელებს უხდებათ კონსტატირება იმ ფაქტისა, რომ მცირდება სკოლაში მოსწავლეთა რიცხვი და სასკოლო განათლების დონე დაბლა იწევს. ბავშვები ძლივს ეუფლებიან წერა-კითხვას; სტუდენტები ვეღარ უწევენ კონკურენციას ევროპელ და აზიელ თანატოლებს. ყოველივე ეს იმ ფონზე, როცა ზრდასრულ ამერიკელთა 45 პროცენტმა არ იცის წერა-კითხვა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულის დონეზეც კი. აქ სტატისტიკას იმიგრანტები „აფუჭებენ". ამერიკელი იმიგრანტები, სხვა ქვეყნების იმიგრანტებთან შედარებით დაბალი დონისანი არიან.

იმიგრაციის საკითხების წამყვანი მკვლევარის ედვინ ს. რუბენსტაინის დაკვირვებით, ცოდნის ტესტური შემოწმებისას თეთრკანიანმა და აზიური წარმოშობის ამერიკელებმა შეფასება „ხუთი" მიიღეს; ესპანურენოვანი და შავკანიანი ამერიკელები უკეთეს შემთხვევაში „ოთხი მინუსით" შეფასდნენ. აშშ-ს განათლების სამინისტროს 2005 წლის ანგარიშში მინიშნებულია, რომ კოლუმბის ოლქში, სადაც სკოლის მოსწავლეები თითქმის მთლიანად იმიგრანტების, ან აფროამერიკელების შვილები არიან, ერთ მოსწავლეზე წლიურად 16.344 დოლარი იხარჯება. ეს ყველაზე მეტი დანახარჯია ქვეყნის მასშტაბით. სწორედ აქ 2005 წელს მერვეკლასელების მხოლოდ 12% დაეუფლა კითხვას სასკოლო მოთხოვნილების დონეზე და 7% – მათემატიკას სკოლის პროგრამის ფარგლებში.

ერთი სიტყვით, დემოგრაფიულ პრობლემებთან ერთად იმიგრაციული პრობლემები ამერიკის შეერთებული შტატების მძიმე ტვირთად რჩება. უდიდესი დარტყმა იყო 2001 წლის 11 სექტემბერის ტერორისტული აქტი, რომელმაც კარდინალური ცვლილება შეიტანა აშშ-სა და საერთოდ მსოფლიოს ხალხების ცხოვრებაში. თავის დროზე ცივი ომის დამთავრების (1990 წ.) შემდეგ გლობალიზაციური პროცესები დაჩქარდა, ძალთა გადანაწილება შეიცვალა. აქედან მოკიდებული ძალის ვექტორი დასავლეთის ქვეყნებიდან აღმოსავლეთისაკენ გადაიხარა; საზოგადოების ძირითადი საზრუნავი საფრთხეებისგან (გენოციდი, ტერორიზმი, გლობალური დათბობა) ადამიანთა დაცვა გახდა; დაიწყო სწრაფვა რეგიონალური ინტეგრაციის სისტემის დამკვიდრებისათვის. დღესდღეობით ევროპას აქვს შანსი შექმნას მსოფლიო წესრიგის ახალი მოდელი, მაგრამ ეს ამერიკის გარეშე ვერ

მოხერხდება. ამიტომ მასთან ერთად უნდა გამოინახოს ახალი კავშირის ბერკეტები. ევროპას სჭირდება ახალი ეპოქის შესაბამისად მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა, ინტერნაციონალიზმის პრინციპების დამცველი და ამ საქმის ნარმატებაში დაინტერესებულ ამერიკასთან ერთად. მხოლოდ ერთობლივი სწრაფვით (ცხადია, სხვა ქვეყნებთან ერთად) შეიძლება წარმატების მიღწევა.

XXI საუკუნის ათიან წლებში არსებული ვითარებისას, აღარ შეიძლება მსოფლიოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას განაგებდეს მხოლოდ ევროპისა და ამერიკის ინტერესების უზრუნველმყოფი სისტემა. ამ საუკუნეში სიმძიმის ცენტრი ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან აღმოსავლეთისა და სამხრეთისკენ გადაადგილდება. არ გამოვრიცხავთ, რომ ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, საუკუნის შუა წლებში, ჩინეთმა ეკონომიკის თვალსაზრისით გაასწროს კიდეც ამერიკის შეერთებულ შტატებს. ჩინეთს ამჟამად უცხოური ვალუტის რეზერვი 440 მილიარდი დოლარი აქვს (შესყიდული აქვს აშშ-ს ობლიგაციები 5 მილიარდი დოლარის ოდენობით); აღსანიშნავია, რომ ინდოეთსაც 100 მილიარდი დოლარი აქვს სარეზერვო ფონდში. თუ ხანგრძლივ პერსპექტივას განვიხილავთ, როცა ჩინეთი და ინდოეთი უფრო გაძლიერდებიან და უფრო აქტიურ როლს შეასრულებენ მსოფლიოს არენაზე, ამერიკა იძულებული გახდება კვლავ დააფასოს საერთაშორისო სამართლისა და მსოფლიოს ინსტიტუტების არსებობის აუცილებლობა. აშშ კვლავ დარჩება ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ მსოფლიოში, მაგრამ მისი წილი მსოფლიოს ძალებში შემცირდება, თანაც თანაბარი შესაძლებლობების ქვეყნების პოლიტიკას ვეღარ განსაზღვრავს.

არნოლდ ტოინბი მიუთითებდა, რომ ცივილიზაცია მაშინ იღუპება, როცა მას არ ძალუძს თავისი ეპოქის კრიზისის დაძლევა. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ დასავლეთის ცივილიზაციის ეგზისტენციალური კრიზისი – ესაა კულტურის კოლაფსი და დემოგრაფიული პრობლემები (მოსახლეობის კლება).[1] ამასთან ე. წ. მესამე სამყაროს მოსახლეობა ყოველ თვრამეტ თვეში 100 მილიონს მატულობს. ცხადია, მესამე სამყარო მთელი ძალით იჭრება ისტორიაში. აღარავის უკვირს, როცა დასავლეთელი ადამიანები ნატრობენ უინსტონ ჩერჩილისა და შარლ დე გოლის ევროპას; ენდრიუ ჯეკსონის, თეოდორ რუზველტისა და დუაიტ ეიზენჰაუერის ამერიკას.

კაცობრიობა მოუთმენლად ელოდა XXI საუკუნეს. არც ეს საუკენე გამოდგა სიმშვიდის მომტანი. კვლავ ჰყვავის ტერორიზმი, იღუპებიან ადამიანები, მძვინვარებს ომები. ხალხთა მასებში განახლდა მოლოდინი „მეორედ მოსვლისა“, განკითვხის დღისა და საშინელი სამსჯავროსი. ხშირად მოიხსენიება იოანეს „გამოცხადება“ (იოანეს „გამოცხადების“ ჭეშმარიტებაში დღეს დარწმუნებულია ყველაზე დიდი რაოდენობა ადამინებისა, ვიდრე ოდესმე ყოფილა), სახელდებიან

[1] П. Бьюкенен, На краю гибели, стр. 288.

სხვადასხვა წინასწარმეტყველები (ნოსტრადამუსი და სხვ.). თავი იჩინა ესქატოლოგიური პრობლემების გააქტიურებამ.[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ყოველგვარი წინასწარმეტყველებანი მიუხედავად ზოგიერთი მოვლენის დამთხვევისა, არ შეიძლება იყოს სწორი. უფალი იესო ქრისტე გვაფრთხილებს, რომ „მეორედ მოსვლის" დღე იცის მხოლოდ მაღალმა ღმერთმა და სხვამ არავინ. ადამიანები ფიქრობენ ცხოვრების ამაოებაზე.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ამ საერთო, გლობალურ კონტექსტში განსაკუთრებულად წარმოჩნდა საქართველო. ამ უძველესი ისტორიისა და ცივილიზაციის ქვეყანას XXI საუკუნემ უმძიმესი „სიურპრიზები" მოუმზადა. 2008 წლის აგვისტო საბედისწერო გახდა სახელმწიფოსათვის. ეს პატარა წერტილი მსოფლიოს რუკაზე საერთაშორისო ცხოვრების ცენტრში მოექცა. მეტად აქტიური მასმედიის წყალობით საქართველო მსოფლიოს ყურადღების არეალში შევიდა.

К 4

საქმე ისაა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთელს პოსტ საბჭოთა სივრცეში ინსპირირებულ იქნა ეთნოკონფლიქტები და საქართველოსაც XX საუკუნის 90-იან წლებიდან მოუხდა ამ პრობლემასთან შეჯახება. იგივე პრობლემები გადმოვიდა XXI საუკუნეში. საქმეს რუსეთი ართულებდა ტრადიციულად. იგი ვერ თმობს თავის ჰეგემონობას პოსტსაბჭოთა სივრცეში და საომარ ისტერიასაც არ ერიდება. გავიხსენოთ ჩეჩნეთის აურაცხელ მსხვერპლიანი მოვლენები, ბესლანის ტრაგედია. მძევალთა გადასარჩენად გაცემულმა რუსეთის ხელისუფლების ბრძანებამ 334 ადამიანის, მათ შორის 186 ბავშვის სიცოცხლე შეიწირა, 700-ზე მეტი მძიმედ დაიჭრა, დაღესტნისა და ინგუშეთის სისხლიანი ამბები.

საქმე ისაა, რომ XX საუკუნის მიწურულიდან კავკასიის ქვეყნები და საზოგადოებები პოსტსაბჭოთა ანუ პოსტიმპერიულ ეპოქაში იმყოფებიან. საბჭოთა იმპერიამ ამოწურა თავისი თავი და დაინგრა. ახალმა ისტორიულმა ვითარებამ ახალი პრობლემები დააყენა: საზოგადოებაში ყალიბდება ახალი მენტალური სტრუქტურები, გამომუშავდება ახალი კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორები.

კავკასიის ხალხების ასიმილაცია ძალზე მცირე მასშტაბით ან პრაქტიკულად არ ხდება. აქ მოსახლე ხალხები, განსაკუთრებით ქართველები და სომხები, რომლებსაც რუსეთის იმპერიაში შესვლამდე სახელმწიფოებრიობისა და ცივილიზაციის ხანგრძლივი ისტორია აქვთ, მნიშვნელოვნად მცირე ასიმილაციური მიდრეკილებას იჩენენ, ვიდრე ის ეთნოსები, რომლებიც პირველად მოხვდნენ მდგრადი, რეგულარული ხელისუფლების (რუსეთის სახელმწიფო) პირობებში.

იმპერიულიდან პოლიტიკურ ერად გარდაქმნის პროცესი ახალი ეროვნული იდენტურობის სტრატეგიის შემუშავების ფონზე რთულად მიმდინარეობს. კავკასიის რეგიონში ინტეგრაციული პროცესების პარალელურად მწვავე ეთნოსეპარატისტული მოვლენებიც ფიქსირდება. მეცნიერები ადასტურებენ ჩრდილოეთ კავკასიაში

---

[1] იხ. Д. Уилсон, История будущего, М., 2007.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

დერუსიფიკაციისა და რუსების გამოდევნის ტენდენციებს. რუსეთის იმპერიისა თუ საბჭოთა პერიოდში რუსი ეროვნების ხალხის დასახლება ჩრდილო კავკასიაში ინტენსიური იყო, თანაც ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ასიმილირება ხდებოდა. ამასთან რუსეთის ოლქები კავკასიიდან მოსახლეობის მიგრაციისათვის დაკეტილი იყო. ტრადიციული კულტურები, როგორც წესი, თვითჩაკეტილები არიან, ამ კულტურის მატარებლები არ ისწრაფვიან ურბანიზებული იმპერიული ცენტრებისაკენ.[1] უკანასკნელ ხანს ეს ვითარება შეიცვალა. კავკასიელები ზეწოლის გზით რუსულ მოსახლეობას თავიანთი ოლქებიდან „გამოდევნიან", თვითონ კი რუსეთში მიდიან და სახლდებიან უპირატესად დედაქალაქში, ან სხვა მსხვილ ქალაქებში. ბოლო პერიოდში, კავკასიიდან მნიშვნელოვანი მიგრაცია შეიმჩნევა. ეს რუსეთის ხელისუფლებისათვის სერიოზული პრობლემაა, რადგან რუსი ეროვნების ბიოლოგიური აღწარმოება შემცირებულია. რუსეთი, ცხადია ცდილობს მართოს დემოგრაფიული პერსპექტივა. დემოგრაფიული სტატისტიკა მიანიშნებს იმ სერიოზულ კრიზისზე, რომელიც დღესდღეობით რუსეთშია და რომლიდან გამოსვლაც მნიშვნელოვან რისკებთანაა დაკავშირებული. ამიტომ არ არის გასაკვირი ის უხეში ნაბიჯები, რასაც რუსეთის ხელისუფლება მიმართავს. აზერბაიჯანელების, ჩეჩნებისა და ქართველების დეპორტაცია, რომელიც საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევით გატარდა, ამის ნათელი მაგალითია.

სრულიად განსაკუთრებული საკითხია ე. წ. სამხრეთ ოსეთისა (სამაჩაბლო) და აფხაზეთის საკითხი რუსულ პოლიტიკაში. ამ ორი სეპარატისტული ერთეულის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის მიერ პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ორგანიზაციამ (ევროკავშირი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნატო და სხვ.) და თითქმის ყველა სახელმწიფომ დაგმო. განსაკუთრებულად გაუმართლებელი არის საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია რუსეთის მიერ. უხეშად დაირღვა საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპები – მოხდა ადამიანის უფლებების ხელყოფა, დაიღუპა დიდი რაოდენობით მშვიდობიანი მოსახლეობა, დაანგრიეს სახლები, სკოლები, სამედიცინო დაწესებულებები. რუსეთის ხელისუფლება ცდილობს გაამართლოს თავისი საქციელი. საკუთარმა მოსახლეობამ ნაწილობრივ შესაძლოა კიდეც იწამა რუსეთის საქართველოში შეჭრის სამართლიანობა. ეს დიდი დამსახურებაა რუსული მასმედიისა, რომელიც ცალმხრივად აშუქებს მოვლენებს. ყალბდება ისტორია, რაშიც დიდი „ამაგი" მიუძღვით, როგორც ზოგიერთ აფხაზ და ოს, ისე რუს ავტორებს.

რეალურად საქმე სხვაგვარადაა.

დავიწყოთ იქედან, რომ ტერიტორიები, რომელიც ოსებსა და აფხაზებს უჭირავთ, ისტორიულად ქართულია. საქართველოს საზღვრების საკითხი საფუძვლიანად გამოიკვლია ივანე ჯავახიშვილმა (იხ. მისი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბ., 1919.). ისტო-

---

[1] И. Г. Яковенко, Постсоветская Россия: логика разворачивания этнокультурных процессов в свете конца империи и глобализации, вып. 6. М., 2004, стр. 78, 84.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიულ წყაროებზე დაყრდნობით, აშკარად მტკიცდება, რომ შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთის საზღვარი თეთრ წყლებზე ანჩისუსუნზე გადიოდა (ჟამთააღმწერელი). უფრო ზუსტად ეს საზღვარი თეთრ წყლებსა და შამახიის მთის ძირას (თეთრი წყალი შამახიას მთის დასავლეთ ფერდობს ჩამოუდის) მდებარეობდა. საკუთრივ საქართველოს ეთნიკური საზღვარი კი, როგორც ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, უფრო დასავლეთით – გიშის წყალზე გადიოდა. დასავლეთი საზღვარი „ყოველი იმერი სამეფო" იყო, ე. ი. მთელი დასავლეთი საქართველო სრულიად საქართველოს სახელმწიფო შემადგენლობაში შედიოდა. ასე რომ, სახელმწიფო საზღვარი დასავლეთით შავ ზღვამდე აღწევდა. სამხრეთით საზღვარი ქურდვაჭრის იქეთა (აღმოსავლეთი) მხარეა (ბასილი ეზოსმოძღვარი), რომელშიც იგულისხმება კაენისა (მდ. აღსტევის ხეობაში) და კაინონის (მდ. ქურდვაჭრის – დებედის მარჯვენა მხარეს) ციხეები. უფრო ზუსტად, ესაა გარდაბანი, ე. ი. ტერიტორია, რომელიც ქურდვაჭრის (მდ. დებედა) ხევსა და მდ. აღსტევს შორის მდებარეობდა (ჟამთააღმწერელი). საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთმდებარე საზღვრისპირა მხარედ წყაროები შამქორს ასახელებენ (ჟამთააღმწერელი). ესაა გელაქუნის ტბასა და მდინარე მტკვარს შორის მოქცეული ტერიტორია. ქვეყანას სამხრეთითვე ესაზღვრებოდა აირარატის პროვინცია, მდ. რახსი და ნახჭევანი („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"). თამარისდროინდელი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი სპერია („ჯავახეთით სპერამდის").

საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის ქედის გასწვრივ ჩრდილო-დასავლეთით ნიკოფსიამდე მიდიოდა, ჩრდილო-აღმოსავლეთით შამახიის მთამდე ვრცელდებოდა („ნიკოფსიიდან დარუბანდამდე"). კავკასიონის მიღმა მდებარეობდა საქართველოს ყმადნაფიცი (ვასალური) ქვეყნები: ქაშაგეთი, ოვსეთი, დურძუკეთი, დიდოეთი, ღუნძეთი, ლეკეთი (ბასილი ეზოსმოძღვარი).

დავით IV აღმაშენებლის ტიტულატურაა – „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა". აქ დიდი მეფის მფლობელობაში შემავალი ქვეყნებია დასახელებული. დავით აღმაშენებელი თავის ანდერძშიც ხაზგასმით მიანიშნებს, მისი „მოგებული" მამული გადაჭიმულია „ნიკოფსიიდგან დარუბანდის ზღუდამდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგაწადმდე". დავით აღმაშენებლის ტიტულატურის ანალოგიურია მეფე თამარის ტიტულატურაც. აქაც რეალურადაა ასახული საქართველოს პოლიტიკური სიძლიერე და გეოგრაფიული სიდიდე.

იქნებ არც იყო საჭირო დეტალურად საქართველოს ისტორიული საზღვრების შესახებ ვრცელი საუბარი, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოს ისტორიის გაყალბების ყოველგვარი მცდელობა მტრულად განწყობილი პირებისა, უსუსურია და სინამდვილეს არ შეეფერება. ეს კარგად იცოდნენ თვით აფხაზმა და ოსმა მეცნიერებმაც.

აფხაზური ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი დიმიტრი გულია საგანგებოდ აღნიშნავდა: „Абхазия, которая всегда была неотъемлемой

частью Грузии, жила с нею на протяжении всей истории одной жизнью, органически участвовала в созидании грузинской культуры и государственности и играла существенную роль в борьбе за свободу и независимость страны, в борьбе за объединение отдельных грузинских племен и областей в единое мощное национальное грузинское государство" (Д. Гулия, О моей книге „История Абхазии"). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აფხაზეთის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი ზურაბ ანჩაბაძე როგორც თავის მონოგრაფიულ ნაშრომში „Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), ისე ქართული ენციკლოპედიისათვის დაწერილ განმაზოგადებელ სტატიებში, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „აფხაზთა სამეფო" „ერთ-ერთი ადრინდელი ფეოდალური ქართული სახელმწიფოა" (ქსე, ტ.II, სტ. „აფხაზთა სამეფო"). ამ თვალსაზრისით სხვა აფხაზი ავტორების დასახელებაც შეიძლება. შეგნებულად არ მოვიხმობთ იმ ქართველ მეცნიერთა (ივ.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია, ნ.ბერძენიშვილი, გ.მელიქიშვილი, მ. ლორთქიფანიძე და სხვ.) მოსაზრებებს, რომელთაც არაერთი გამოკვლევა მიუძღვნეს აფხაზეთის ისტორიას. ნიშანდობლივია, რომ ამ დროს საურთიერთობო ენა საკუთრივ აფხაზეთში ქართული იყო. ქართულ ენაზე მიმდინარეობდა საკანცელარიო საქმიანობა, წირვა-ლოცვა. ერთი სიტყვით, ქვეყნის ყველა კუთხის (მათ შორის აფხაზეთის) სახელმწიფო ენა ქართული იყო.

რაც შეეხება ოსებს, ვფიქრობთ სადავო არ არის, რომ ისინი ჩრდილო კავკასიაში (ახლანდელი ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე) გარკვეული საუკუნეების წინ დასახლდნენ სკვითურ-სარმატულ ტომებთან ერთად (ნიშანდობლივია, რომ ოსური ენა განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ენათა ჩრდილო აღმოსავლურ ჯგუფს). X-XII საუკუნეებში ოსეთის სამეფოს ურთიერთობა ჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთანაც (XI-XII სს-ში ოსეთი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო). თემურ-ლენგის შემოსევებმა ოსების გაერთიანებას ბოლო მოუღო და ისინი გაიფანტნენ სხვადასხვა მხარეს (უნგრეთში, ბალკანეთის ქვეყნებში და სხვ.). ოსების ერთი ნაწილი შეეცადა ქართლში გადმოსვლას და დამკვიდრებას, მაგრამ ქართველ ფეოდალთა წინააღმდეგობის გამო ეს ვერ მოხერხდა და იძულებულნი გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ. XVII-XVIII სს-ში ოსები საქართველოს მთისწინა და ბარის ზოლში (ქართლის ჩრდილო განაპირა ტერიტორიაზე) ჩამოდიან და სახლდებიან. მცირე ნაწილი (კუდაროს ოსები) იმერეთის სამეფოში ჩასახლდა.

ქართლში დამკვიდრებული ოსები არაგვისა და ქსნის ერისთავებისა და მაჩაბლების სამფლობელოში მოხვდნენ. ისინი ფეოდალებს ქართველი ყმა-გლეხების მსგავსად ემსახურებოდნენ. ნიშანდობლივია, რომ ოსები ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ მომხდური მტრის წინააღმდეგ. შემონახულია ცნობები, რომ ოს ყმა-გლეხებს ყურადღებით ეკიდებოდა ერეკლე II. იგი საგანგებოდ სწერდა ზაზა მაჩაბელს, რომ მის მსახურებაში მყოფი თორმეტი ოსისათვის დროულად მიეწოდებინა საკვები და კეთილად მოჰკიდებოდა მათ.

გაკვირვება გამოიწვია რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის ჩ-ისადმი მიცემულ ინტერვიუში გამოთქმულმა კატეგორიულმა განცხადებამ, რომ რუსეთის შემადგენლობაში არსებობდა ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი (ერთიანი ოსეთი), რომ ი. სტალინმა ოსეთი გაჰყო და სამხრეთი ოსეთი საქართველოს გადასცა, სადაც ავტონომიური ოლქი შეიქმნა; რომ ი. სტალინისავე ძალისხმევით აფხაზეთის ტერიტორია საქართველოს გადაეცა: აქ შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. ჩვენ ვერ მოვთხოვთ ბატონ ვ. პუტინს კავკასიის ისტორიის უზადო ცოდნას, მაგრამ ისინი კი ვინც პრემიერ-მინისტრს ამგვარი ინფორმაცია მიაწოდა, შორს არიან ჭეშმარიტებისაგან. როცა სახელმწიფოს მეთაური ამგვარ განცხადებებს აკეთებს, მას მეტი დაფიქრება სჭირდება; არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ფაქტებს გადამოწმებაა საჭირო. სამწუხაროდ ბოლო პერიოში რუსეთ-ოსეთის ისტორიის ბევრი ფაქტის გაყალბება ხდება (იხ. ან. თოთაძე, ოსები საქართველოში: მითი და რეალობა, თბ., 2006 წ.).

საკმარისია გავეცნოთ ოსი ისტორიკოსის პროფესორ გ. თოგოშვილის გამოკვლევებს, მის სტატიებს ქართულ ენციკლოპედიაში, განსაკუთრებით სპეციალურ ტომში „საქართველოს სსრ". თავი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სამხრეთი ოსეთი" (1981 წ., გვ. 337-339), რომ რეალურად წარმოვიდგინოთ სამხრეთ ოსეთის ისტორია. ამ თვალთახედვით საინტერესოა, ვ. აბაევის, ბ. ფლიევის, ო. თედეევას, ზ. გაგლოითის, პ. დოგუზოვისა და სხვ. ნაშრომები. აი, რას წერს ოსური მეცნიერების პატრიარქი ვასილ აბაევი: „Главный Кавказский хребет – естественная граница между Грузией и Осетией, а всякая попытка размыть эту границу повлечет за собой состояние перманентного конфликта между грузинами и осетинами... надо прежде всего покончить с разговорами об отторжении Южной Осетии от Грузии. Ни одно грузинское правительство с этим никогда не согласится и будет право, потому что это будет означать нарушение территориальной целостности Грузии.

Кто хочет мира между южными осетинами и грузинами, должен навсегда отвергнуть идею присоединения Южной Осетии к Северной. Кто хочет мира между Грузией и Россией, также должен оставит эту идею. Такова реальность („Независимая газета, 1992 г., 22.I., № 13.). აი, ჭეშმარიტი ოსი პატრიოტის, დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მოსაზრება. კომენტარი ზედმეტად მიმაჩნია. სამწუხაროა, რომ ამგვარი სიბრძნე არც ოსმა და არც რუსმა ფუნქციონერებმა არ გაითვალისწინეს. ალბათ წინ მძიმე შედეგს უნდა ველოდეთ.

ბოლო პერიოდში რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ვრცელდება აბსურდული მტკიცება – თითქოს 1774 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, რუსეთს შეუერთდა არა ისტორიული ოსეთის ერთი ნაწილი, არამედ მთელი ოსეთი. აქ შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილსაც გულისხმობენ, სადაც შემდგომში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა. 2004 წლის 10 ივლისს რუსეთის დუმამ უპასუხისმგებლო, შეიძლება ითქვას, აბსურდული განცხადება გააკეთა, თითქოს და 1774 წელს ოსეთი ნებაყოფლობით

შეუერთდა რუსეთს. აქედან გამომდინარე საჭიროდ ჩაითვალა, რომ რუსეთმა დაიცვას ოსი მოქალაქეების უფლებები. აქ საქმე გვაქვს ისტორიის ელემენტარულ უცოდინარობასთან. აღვნიშნოთ, რომ იმ დროს გეოგრაფიული ცნება „ოსეთი" არ არსებობდა. ცხადია, არც ასეთი სახელმწიფო არსებობდა. თვით ოსებსაც, რომლებიც ქართლის მთიანეთში ცხოვრობდნენ, თავი ხიზნებად მიაჩნდათ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსი ჩინოვნიკები ცდილობენ დაამკვიდრონ ხელოვნური ტერმინები „ჩრდილოეთი ოსეთი" და „სამხრეთი ოსეთი". XIX საუკუნემდე კი არავითარი საბუთი არ მოიპოვება, რომელიც დაამტკიცებდა, რომ შიდა ქართლის მთიანეთი ოსეთად იწოდებოდა. რეალურად 1774 წელს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა ჩრდილო კავკასიის სამი ხეობის – ალაგირის, ქურთათის და თაგაურის ოსური თემები. მეოთხე თემი – დიგორი ყაბარდოს გამგებლობაში იყო და რუსეთს 1781 წელს შეუერთდა. რაც შეეხება შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილს, სადაც შემდგომში ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა, ჯერ ერთიანი საქართველოს, შემდეგ ქართლისა და ბოლოს ქართლ-კახეთის სამეფოში შედიოდა განუყოფლად. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე თანდართული მასალები საშუალებას გვაძლევს დაბეჯითებით ვთქვათ, რომ შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი და მისი უკიდურესი ჩრდილოეთი პროვინცია დვალეთი ქართლ-კახეთის შემადგენლობაში შედიოდა. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსირების (1801 წ.) შემდეგ შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი დვალეთითურთ ერთხანს იმერეთის გუბერნიაში შედიოდა, შემდეგ თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში. 1858 წელს კავკასიის მეფისნაცვლის ალექსანდრე ბარიატინსკის განკარგულებით დვალეთი „კავკასიის ლინიის" ოსეთის ოკრუგს გადასცეს. ამგვარად, ჩრდილოეთ ოსეთს მიურეთეს მხოლოდ დვალეთი და არა შიდა ქართლის ის მიწა, სადაც შემდგომში ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ჩამოყალიბდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის (1918 წ.) შემდეგ (ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთის იმპერიაც დაანგრია) დვალეთი კვლავ საქართველოში შემოვიდა. 1920 წლის 7 მაისის რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა საქართველო-რუსეთის საზღვარი – იგი კავკასიის მთავარ ქედზე გადიოდა. ამდენად სრულიად ცხადია, რომ შიდა ქართლის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი – დვალეთი საქართველოს შემადგენლობაში იყო.

რუსეთს მიზნად ჰქონდა დასახული შიდა ქართლის შეერთება და ყოველგვარად ცდილობდა ოსებსა და ქართველებს შორის კონფლიქტური სიტუაციის შექმნას. საბჭოთა რუსეთმა ოსეთში და შიდა ქართლში შეიარაღებული აჯანყებების ინსპირირება მოახერხა. მათი მიზანი იყო „სამხრეთ ოსეთში" საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, მისი საქართველოსგან ჩამოცილება და რუსეთისთვის მიერთება. შემდეგ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასაც ჩაიგდებდნენ ხელთ. 1920 წელს საბჭოთა რუსეთმა და ბოლშევიკებმა აჯანყებულ ოსებს ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი ე. წ. სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოც-

ხადებას და ეს ტერიტორია საბჭოთა რუსეთის ნაწილად გამოაცხადეს. ეს აქტი ყველა ნორმის დარღვევით გატარდა: დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, იგნორირებულ იქნა ქართველი მოსახლეობის აზრი და ნება. რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტის 1920 წლის 23 მარტის დადგენილებაში ვკითხულობთ: „I. Организовать ревком в Южной Осетии... 2. Объявить Советскую власть... 3. Немедленно сформировать вооруженный отряд. 4. Войти в связь с Северной Осетией... в распоряжении Ревкома отпустить 100 тысяч рублей (сто тысяч рублей). არის ასეთი მიმართვაც: „Москва, ЦК РКП(Б), товарищу Ленину и Чичерину. Согласно приказу Кавказского Краевого комитета от 23 марта, подтвержденному особыми Курьерами того же Комитета... 8 июня в Южной Осетии провозглашена Советская власть“ არსებობს სხვა მასალები, საიდანაც თვალნათლივ ჩანს, თუ ვისი კარნახით გააჩაღეს ოსებმა ძმათამკვლელი ბრძოლა. ამდენად საქართველოს ე. წ. „ნაციონალ-შოვინისტური“ მთავრობის დადანაშაულება ოსი ხალხის „გენოციდში“ რბილად რომ ვთქვათ, უზნეობაა.

ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ განხორციელდა საბჭოთა რუსეთისა და ბოლშევიკური პარტიის მზაკვრული გეგმა – 1921 წლის თებერვალში საქართველო გასაბჭოვდა. რაც ფაქტობრივად ანექსიის (უკვე მეორედ) ტოლფასი იყო. ამით საბჭოთა რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება. ნიშანდობლივია, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთს ბოლშევიკებმა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური ოლქის სტატუსი მისცეს (1922 წ. აპრილი). რაც შეეხება ოსების ისტორიულ სამშობლოს – ჩრდილოეთ ოსეთს, მას ორი წლის შემდეგ (1924 წლის ივლისი) მისცეს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და იგი რუსეთის შემადგენლობაში დარჩა. ე. წ. სამხრეთ ოსეთში შევიდა მეტ-ნაკლებად ოსური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული რაიონები და ხელოვნურად მიმატებული ქართული ქალაქი ცხინვალი (1900 წლის „Кавказский календарь“-ის მიხედვით XX საუკუნის დადგომისას ცხინვალში ცხოვრობდნენ, ქართველები, ქართველი ებრაელები და სომხები) და მის ირგვლივ მყოფი რამდენიმე ქართული სოფელი. ეს გარკვეული ძალადობით მოხდა და ქართველი მოსახლეობის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია (მასალები იხ. წიგნში: „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან“, თბ., 1991, გვ. 56–73). ავტონომიური ოლქის შექმნამ იმ რეგიონის ქართული მოსახლეობა საკუთარ სამშობლოში ეროვნულ უმცირესობად აქცია, რაც თავის მხრივ ადამიანის და ერის უფლებათა და თავისუფლებათა უხეში დარღვევა იყო.

აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ოსებს საქართველოს შემადგენლობაში ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარების ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი. საბჭოთა კავშირის დაშლის წინ 1990-91 წლებში საქართველოში 100 ზოგადსაგანმანათლებლო ოსური სკოლა იყო, აქედან 90 ე. წ. სამხრეთ ოსეთში იყო. აქ სწავლა ოსურ ენაზე მიმდინარეობდა. დამოუკიდებელ საგნებად გადაიცემოდა ოსური ენა და ოსური ლიტერატურა. ცხინვალში ფუნქციონირებდა

პედაგოგიური ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, სამედიცინო, მუსიკალური, სამხატვრო სასწავლებლები; პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები და სხვ. 1979 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ე. წ. სამხრეთი ოსეთი უმაღლესგანათლება მიღებულთა რაოდენობით ყოველ ათას სულ მოსახლეზე საბჭოთა კავშირში მეორე ადგილზე იყო. 1927 წელს შეიქმნა მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი, რომელიც შემდგომში გარდაიქმნა სამხრეთ ოსეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტად (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში). ცხინვალში მომზადდა და გამოიცა ოსეთის ისტორიის (დოკუმენტები და მასალები) მრავალტომეული, „სამხრეთ ოსეთის ისტორიის" ორტომეული, „ოსური ენის განმარტებითი ლექსიკონი" ოთხ ტომად, „ოსური ლიტერატურის ისტორიის" მრავალტომეული, ოსური ზღაპრების სამტომეული, ოსური სიმღერების კრებული (ნოტებითურთ). აქ ფუნქციონირებდა სახელმწიფო ეროვნული თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სამხატვრო გალერეია, საჯარო ბიბლიოთეკა; მწერალთა), მხატვართა, კომპოზიტორთა კავშირები, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოება, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ეროვნული ანსამბლი. მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა რადიომაუწყებლობა. გამოიცემოდა გაზეთები, ჟურნალები, მხატვრული ლიტერატურა. 1988 წელს ავტონომიურ ოლქში ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან შედარებით ყოველ 10 ათას ოსი ეროვნების მოსახლეზე 5-ჯერ მეტი წიგნი გამოიცა, 3-ჯერ მეტი ტირაჟით. როგორც ვხედავთ, ოსებს საქართველოს სახელმწიფო და ქართველი ხალხი ყველანაირ საშუალებას აძლევდა ეროვნულ-კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისათვის.

რაც შეეხება რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, იქ ვითარების დასახასიათებლად მოვიტანთ მცირე ამონარიდს ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ა.გალაზოვის პუბლიკაციიდან: „Мне всегда искренне жаль молодых людей моей национальности, когда, несмотря на знание иностранных языков и мировой цивилизации, они чувствуют себя неуютно дома в силу незнания элементарных основ осетинской культуры... Национальную молодежь, к примеру, лишили ее родного языка. До прошлого года в Северной Осетии фактически не было ни одной школы с осетинским языком обучения" (გაზ. „Правда", 1989, 11–XI). აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვ. პუტინმა ზემოხსენებულ ჩ-ისადმი მიცემულ ინტერვიუში აფხაზეთის საქართველოსათვის გადაცემის შესახებ მცდარი ვერსია წამოაყენა. საქმე ისაა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების დროს (1801 წ.) აფხაზეთის სამთავრო ოსმალეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. 1812 წლის ბუქარესტის ზავის მიხედვით, ოსმალეთმა რუსეთის სასარგებლოდ დასთმო აფხაზეთი. მოგვიანებით აფხაზეთის სამთავრო სოხუმის ოკრუგის სახით ქუთაისის გუბერნიაში შევიდა. XX საუკუნის დასაწისში სოხუმის ოკრუგის ჩრდილო დასავლეთი ნაწილი (აქ გაგრაც შედიოდა) შავი ზღვის გუბერნიას გადასცეს (1904 წ.).

1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს შეთანხმებით (ხელშეკრულებით) საქართველოს საზღვარი რუსეთთან მდინარე ფსოუზე გავიდა და შესაბამისად, აფხაზეთის სამთავროს მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში დარჩა.

მას შემდეგ, რაც საქართველო გასაბჭოვდა (1921 წ.), აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში იყო და აქვე დარჩა. ასე რომ, ამ ტერიტორიის ვინმესგან (რუსეთისა თუ ი. სტალინისგან) გადმოცემის საჭიროება არ არსებობდა. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება აფხაზეთს საქართველოს განუყოფელ ნაწილად აღიარებდა.

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, მიუხედავად ყბადაღებული დაუსაბუთებელი მტკიცებებისა (რასაც რუსი ფუნქციონირები ეწაფებიან) ისტორიულად ყოველთვის იყო საერთო ქართული ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სივრცის ორგანული ნაწილი (იხ. З. Папаскири, О социально-государственном облике Абхазии/Грузия, თბ., 2003). 1918 წლის 11 ივნისს აფხაზეთის სახალხო საბჭოსა და საქართველოს დემოგრაფიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც აფხაზეთი გაერთიანდა დანარჩენ საქართველოსთან ავტონომიის უფლებით. ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა აფხაზეთის ახლადარჩეულმა სახალხო საბჭომ 1919 წლის 20 მარტს. 1920 წლის 16 ოქტომბერს მიღებულ იქნა აფხაზეთის ატვონომიის კონსტიტუცია, რომელმაც ხაზგასმით დააკანონა აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. ეს დებულება თავის მხრივ გაამაგრა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ, რომელიც საქართველოს დაფუძნებელმა კრებამ მიიღო 1921 წლის 21 თებერვალს. საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლის 16 დეკემბერს განსაკუთრებული „სამოკავშირეო ხელშეკრულებით" აფხაზეთი შევიდა საქართველოს შემადგენლობაში ე. წ. „სახელშეკრულებო რესპუბლიკად", თუმცა რეალურად იმთავითვე განიხილებოდა, როგორც საქართველოს ავტონომიური ერთეული. 1931 წელს აფხაზეთი გარდაიქმნა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად (ასსრ) საქართველოს შემადგენლობაში.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან აფხაზეთში დაიწყო სეპარატისტული მოძრაობა, რომელსაც საბჭოთა ხელმძღვანელებიც ახალისებდნენ. ეს მოძრაობა განსაკუთრებით გამძაფრდა 80-90-იან წლებში, როცა სეპარატისტებმა ძმათამკვლელი კონფლიქტის ინსპირირება შესძლეს. 1993 წლის შემოდგომაზე რუსეთის ფედერაციის რეგულარული სამხედრო დანაყოფების მხარდაჭერით საქართველოსთან შეიარაღებული დაპირისპირებისას „გამარჯვება" მოიპოვეს. ბოლო 10-15 წლის მანძილზე საქართველოს ხელისუფლება ვეღარ აკონტროლებდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონს, ისინი ფაქტობრივად გასული იყვნენ საქართველოს იურისდიქციიდან.

სწორედ უკანასკნელი 15 წლის მოვლენები გვიჩვენებენ, რომ რუსეთი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, კერძოდ საქართველოში, ხელოვნურად შექმნას მუდმივი საომარი რეჟიმი. რუსეთის პრობლემა ისაა, რომ მას აღარა აქვს უფლება იყოს დომინანტი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე. მისთვის ძნელია დაიჯეროს, რომ ეს რესპუბლიკები დამოუკიდებელი სახელმწიფოებია. დღეს პოლიტოლოგები საყოველთაოდ აღიარებენ, რომ რუსულ ელიტას სხვებზე დომინირების, ერთხელისუფლებიანობის ინსტიქტი ამოძრავებს. ისინი ცხოვრებას განიხილავენ იმ ადამიანის პოზიციიდან, რომელსაც სხვისი დაჩაგვრა შეუძლია. რაც შეეხება კავკასიას, მისი ტრადიციები და კულტურა თავისუფლების სიყვარულითაა გაჯერებული. ჯერ იყო და რუსეთის არმიის შენართები უშუალოდ მონაწილეობდნენ საქართველოს წინააღმდეგ აფხაზეთის კონფლიქტისას. რუსეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ეს თავად აღიარა საქართველოში ვიზიტის დროს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში სიტყვით გამოსვლისას.

რუსეთის სწრაფვა საქართველოში დამსჯელი ექსპედიციის მოვლენისა და ქვეყანაზე გავლენის გავრცელების სურვილი აშკარად გამოჩდა ზემოხსენებული 2004 წლის 10 ივლისის რუსეთის დუმის განცხადებაში, სადაც თითქოს რუსი მოქალაქეების დაცვის მიზნით, საქართველოს „დასჯით" დაემუქრნენ. თვით რუსი პოლიტოლოგი-ანალიტიკოსები დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსეთი არ წავიდოდა ჩეჩნეთში ომის ესკალაციასა და საქართველოში სამბრძოლო მოქმედების გადატანაზე. არ გამართლდა ექსპერტთა მოლოდინი. ჩეჩნეთში სისხლისმღვრელი ომი გააჩაღა რუსეთმა. პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ ეს ომი აუცილებელი იყო მაშინ პრეზიდენტობის კანდიდატის ვლადიმერ პუტინისათვის, რომლის რეიტინგი 2 პროცენტს უდრიდა. გასამარჯვებლად რაღაც უნდა გაკეთებულიყო. მიზანში ჩეჩნეთი იქნა ამოღებული. რუსულ ელიტას მუდამ სჭირდება საგარეო საფრთხის შექმნა, რათა რუსმა ადამიანმა არც ისე ხშირად იფიქროს ამ ელიტის კორუმპირებულობაზე და ქვეყანაში დემოკრატიული წყობის შექმნაზე (დეივიდ სატერი – აშშ-ის ჰუვერისა და ჰადსონის ინსტიტუტების მეცნიერი-მკვლევარი).

ომისაკენ სწრაფვას განსაკუთრებით გამოხატავდა რუსეთის პრეზიდენტის 2002 წლის 11 სექტემბრის განცხადება, რომლის ძირითადი მომენტი იყო თეზისი, რომ თუ საქართველოს ხელისუფლება კვლავაც დააპირებს „игнорировать резолюции ООН и не положат конец бандитским вылазкам с территории Панкисского ущелья", რუსეთი ჩათვლიდა თავს უფლებამოსილად თავი იარაღით დაიცვას, ე. ი. მიმართოს შეიარაღებულ იძულებით ზომებს. გაუთვითცნობიერებელ პიროვნებას, ვინც ამ განცხადებას გაეცნობა, ჩეჩნეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილი ეგონება, საიდანაც ხდება მეზობელ რუსეთზე „бандитские вылазки".

რას ნიშნავს „самооборона" საერთაშორისო სამართალშიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოებს აქვთ უფლება ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვისა (самооборона). ამასთანავე მკაცრად გასათვალისწინებელია, რომ შეიარაღებული ძალის გამოყენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდაცვისათვის მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ესაა ერთი სახელმწიფოს აგრესიაზე საპასუხო მოქმედება მეორე სახელმწიფოსი, პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით. ყოველი შემთხვევისათვის ასეთი აგრესორი არ შეიძლება საქართველო ყოფილიყო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „წონით კატეგორიებში" ასტრონომიული სხვაობაა რუსეთის სასარგებლოდ. რაც შეეხება ჩეჩნეთს, ესაა ერთ-ერთი ეროვნული რესპუბლიკა, რომელიც რუსეთის ფედერაციაში შედის და რომლის ხალხიც უთანასწორო ბრძოლაში იცავდა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, გაეროს წესდების 51-ე მუხლის გამოყენებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ჩეჩნეთის სამხედრო კომპანიის საქართველოზე გავრცელება, როგორც ჩანს, რუსეთის უმაღლესი გენერალიტეტის მიზანს შეადგენდა. მიზანი კი საქართველოს ქალაქებისა და სოფლების დაკავება და მოსახლეობის გაძარცვა იყო. დავუშვათ, რომ პანკისის ხეობიდან მართლაც გადადიოდნენ რუსეთში თუნდაც ბანდიტები. ვთქვათ, ისინი წინააღმდეგობის გარეშე ჰკვეთდნენ საქართველოს საზღვარს, მაგრამ როგორ გადადიოდნენ რუსეთში, იქ ხომ რუსეთის მესაზღვრეები იდგნენ. როგორ ჰკვეთდნენ საზღვარს რუსეთისათვის არასასურველი პირები? აქ ხომ არ ვეძებოთ დამნაშავეები.

ვლადიმერ პუტინის 2002 წლის 11 სექტემბრის განცხადება საერთაშორისო ექსპერტების განხილვის საგანი გახდა. ნიშანდობლივია აშშ-ის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლის ბერლინში დ. ევანსის განცხადება: „ვაშინგტონში თვლიან, რომ პუტინი თავის გენერლებს მთლად ვერ აკონტროლებს. სრულიად შესაძლებელია, რომ რუსეთის პრეზიდენტის მრისხანე განცხადება საქართველოს შესახებ – ამ სისუსტის კიდევ ერთი გამოვლინებაა".

რუსეთის სახელმწიფოს მეთაურის განცხადება ფაქტობრივად ულტიმატუმი იყო (დაწვრილებითი შეფასება იხ. Л. Матарадзе, О силе, возомнившей себя добродетелью и притязающей на вседозволенность, „Свободная Грузия", 2002 г., 31. X). ეს იყო მუქარა-მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ძალის გამოყენების. ამგვარი მუქარა კი აგრესიის ქრესტომატიული ნიმუშია (აგრესია მხოლოდ ძალის გამოყენება კი არა, არამედ მუქარაცაა ამ ძალის გამოყენების შესახებ). პრეზიდენტის განცხადებას დასავლეთის პრესის დაუფარავი კრიტიკა მოჰყვა და არა მხოლოდ დასავლეთისა. რუსეთის საერთო-ეროვნულმა კომიტეტმა „ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის დამყარებისათვის" გამოაქვეყნა თავისი მიმართვა: „Любая попытка вторжения в Грузию станет абсолютной катастрофой для России... Удар по Грузии станет тягчайшим преступлением против российской истории и государственности. Это будет удар в сердце самой России, страшные последствия которого придется искупать еще многим поколениям".

სხვადასხვა ფაქტორების გამო საქართველოს „დასჯის" მისია გადაიდო. მაგრამ არც ისე დიდი ხნით. დროის მსვლელობა და ვითარება აჩვენებდა, რომ რუსეთი პატივს არ სცემდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მის (ისე, როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების) სუვერენტიტეტს. იგი კვლავ ფიქრობს, რომ

ყველაფერი კრემლმა უნდა გადაწყვიტოს და მზადაა მკაცრად დასაჯოს, ვინც ევროკავშირის ან ნატოსკენ გაიხედავს. ასეთია რუსული რეჟიმის ხასიათი. როცა ასეთი ხელისუფლება კარგად შეიარაღებული და სამხედრო მზადყოფნაშია, მისი ფუნდამენტალისტური მენტალიტეტიდან გამომდინარე, საშიში ფაქტორია. თანაც ტრადიციული დიდმპყრობელური ფსიქოლოგია ზნეობრივი ნიადაგისგან შორსაა.

ნიშანდობლივია, რომ ვ. პუტინის პრეზიდენტად ზეობის პერიოდში საქართველოს მიმართ მკვეთრი საომარი ნაბიჯი არ გადადგმულა. სწორედ ახალი პრეზიდენტის ბრძანებით შემოვიდა რუსეთის ჯარი საქართველოში და ხალხის ხოცვა-ულეტა და ქვეყნის ოკუპაცია მოახდინა. ამას ხაზი გაუსვა თვით ვ. პუტინმაც – აგვისტოს ომისდროინდელ პირველივე ინტერვიუში ხმამაღლა მიუთითა მემკვიდრეზე – ომი პრეზიდენტ დ. მედვედევის ბრძანებით დაიწყოო. შედეგი? შედეგი კატასტროფულია. ამაზე ალბათ ბევრი დაიწერება. დღეს ერთი რამის თქმა ღიად შეიძლება – **ეს იყო რუსეთის მიერ წინაწარ გათვლილი და კარგად დაგეგმილი ოპერაცია. საქართველო მკაცრად „დაისაჯა“.**

რუსეთის მმართველი ელიტის აზრი საკმაოდ გულწრფელად გადმოსცა დუმის დეპუტატმა სერგეი მარკოვმა. საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენის“ კორესპონდენტის კითხვაზე, თუ როდის დამთავრდება ომი კავკასიაში, ს. მარკოვმა უპასუხა: „კავკასიაში ომები დამთავრდება მხოლოდ მის შემდეგ, რაც ამ რეგიონში რუსეთის სრული და განუყოფელი დომინირება დამყარდება“ (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2008 წ., 9/IX.). ვფიქრობთ, ყველაფერი ნათელია.

* * *

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა-ნუთისოფელი“ – გენიალური ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს სტრიქონი მარადიული შეკითხვის ბადალია. დღეს, როცა მომხდური მტრისგან დანგრეულ და გადამწვარ სოფლებს ვუყურებთ, როცა ჩვენს თვალწინ ათასობით საკუთარი საცხოვრისიდან აყრილ და საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად ქცეულ ათასობით ადამიანს ვხედავთ, როცა ტკივილებთან ერთად დამარცხებით გამოწვეულ შეურაცხყოფის გრძნობა არ გვტოვებს, ადამიანი მტკიცედ რწმუნდება ამაოების ბიბლიური განსაზღვრის ჭეშმარიტებაში.

„ნუმცა დაგემართოთ ამგვარი რამ, გზად ჩამვლელნო! მოიხედეთ, შეხედეთ, თუ ყოფილა სატკივარი ჩემი სატკივრის მსგავსი, მე რომ მჭირს, უფალმა რომ შემყარა თავისი რისხვით!“ – ეს იერემია წინასწარმეტყველის გოდება (I–12) საოცრად ეხმიანება ქართველი კაცის დღევანდელ განწყობას.

გვიხდება კონსტატირება სამწუხარო ფაქტის, რომ XXI საუკუნეში, ამ ე. წ. იმედის საუკუნეში, ადამიანი ისეთივე ხარბია და ბოროტი, როგორიც წინა საუკუნეებში იყო. ძალმომრეობას კვლავ ფართო გზა აქვს. ცხოვრებაც „აღუვსებელ საწყაულად“ დარჩა და იმავ მიწისთვის ბრძოლა, „რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან“ გააფთრებით მიმდინარეობს. მოკვდავთა ვალია, კარგად შეიმეცნოს და გაითავისოს ეკლესიასტეს სიტყვები: **„ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაოა“.**

2008 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში

უნიკალური გეოპოლიტიკური, გეოკულტურული და ეკონომიკური მდგომარეობით კავკასია ყველა დროში იქცევდა ყურადღებას. იგი, როგორც კაცობრიობის ცივილიზაციის უძველესი კერა, ბუნებრივი ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, ყოველთვის ასრულებდა უდიდეს როლს კულტურათა დიალოგში, ხალხთა დაახლოებასა და ურთიერთგაგებაში.

დღეს, XXI საუკუნის დასაწყისში, მსოფლიოში ახალი ტექნოლოგიური რეალიების პირობებში, რაც ერთგვარად აღრმავებს კაცობრიობის კატასტროფის მომასწავებელ პლანეტათშორის კრიზისს, უფრო მეტად აქტუალური ხდება კავკასიის რეგიონის როლი დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაახლოების პროცესში. ეს პროცესი მიზანმიმართულად დაიწყო უძველესი დროიდან, ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელისა და დიდი აბრეშუმის გზის ეპოქებიდან. აღნიშნული მიმართულებით კვლევას ამჟამად, სამწუხაროდ, ართულებს წარმოქმნილი შეუსაბამობა კაცობრიობის განვითარების დისპერსიულ ეტაპზე დაფუძნებულ იმპერიულ კულტურათა და ბოლო, XXI საუკუნის ხარისხობრივად ახალ მდგომარეობას შორის. შესაბამისად, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არსებული სოციორეგულატორული კულტურა სავსებით არაადეკვატურია ერთიან, ურთიერთდამოკიდებულ გლობალურ სისტემად კაცობრიობის გარდაქმნის პირობებში. ამიტომ სავსებით სამართლიანად თვლიან მეცნიერები, რომ სიტუაციის განბლოკებისათვის საჭიროა ძალისხმევათა არნახული, მჭიდრო კოოპერაცია, რათა შეიქმნას სახელმწიფოთა და ხალხთა ურთიერთობის მომცველი პრინციპულად ახალი ფასეულ-ნორმატიული ცივილიზაციის ბაზისი. ამ პროცესში კავკასიის ხალხთა ჩართვას მრავალმხრივ განსაზღვრავს რეგიონში დემოკრატიული გარდაქმნებით სვლა კულტურათა დიალოგისათვის, პირობების შექმნა სოციალურ-კულტურული იდენტურობის შენარჩუნებისათვის. ისტორიული გამოცდილება გვკარნახობს, რომ აუცილებელია ნაციონალურ-საზოგადოებრივი აზრისა და სამეცნიერო-ინტელექტუალური ტრადიციების ფორმირება, რაც მიგვიყვანს ღია, თვითმმართველი საზოგადოებების შექმნის აუცილებლობასთან. ყოველი მათგანი, თავისი ეფექტურობიდან გამომდინარე, დაინტერესდება რეგიონალურ ინტელექტუალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალისხმევათა ინტეგრაციაში „ლოკალურ“ და „გლობალურ“ ამოცანათა ამოხსნით. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით წინსვლაც ნელი ტემპით მიმ-

დინარეობს. განგაშს იწვევს აგრესიული სეპარატიზმი და კონფლიქტები, რაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას. ერთი სიტყვით, პოსტკომუნისტურმა დემოკრატიულმა გარდაქმნებმა, ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის, მერაბ მამარდაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩვენი თავი გვერდიდან დაგვანახვა". ცარიზმისა და ტოტალიტარიზმის ორსაუკუნოვანი გავლენის ქვეშ მყოფი კავკასიელი ხალხის კულტურულ-ისტორიულ სინამდვილეს „ტყვეობის" კვალი, უდავოდ, დაეტყო, ხოლო როგორც კი მოეხსნა მას იმპერიის დამთრგუნველი წნეხი, წარმოუდგენლად სწრაფად დაიშალა „ხალხთა დიადი ძმობა" და მის ნაცვლად წარმოიშვა კონფლიქტის რამდენიმე კერა. ნაყოფიერი მიწების დეფიციტმა და შრომისუნარიანი მოსახლეობის სიჭარბემ, ისტორიულმა წყენამ, ურთიერთტერიტორიულმა პრეტენზიებმა და დეპორტაციის შედეგებმა კავკასიაში პერმანენტული არასტაბილურობა წარმოშვა.

კავკასია – ცივილიზაციის უძველესი კერა

კავკასია მსოფლიოსათვის ყოველთვის იყო უმნიშვნელოვანესი რეგიონი. ცივილიზებული მსოფლიოს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრება წარმოუდგენელია, ნაკლული და უსრულია კავკასიის გარეშე. კავკასია ყოველთვის იყო მსოფლიოს ხალხთა თვალსაწიერში, მაგრამ უკანასკნელმა ათწლეულებმა ეს რეგიონი მსოფლიოს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოაქცია. ამის მიზეზი ის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მოვლენებია, რომლებიც პოლიტიკური თვალსაზრისით კავკასიის თითქმის ყველა კუთხეში დატრიალდა. ნებსით თუ უნებლიეთ, ამ მოვლენებმა, სხვა ფაქტორებთან ერთად, კავკასია ე. წ. „ცხელ წერტილად" ან „ცხელ ლაქად" აქცია და საერთაშორისო საზოგადოების ინტერესთა არეალში მოაქცია.

ევრაზიის კონტინენტის ცივილიზაციური სტრუქტურა რეგიონთა შორის ურთიერთობათა განსაკუთრებული სირთულითა და სპეციფიკურობით გამოირჩევა. ამ კონტინენტის ისტორიულ განვითარებას თან ახლდა გლობალური გარდაქმნები, ტრანსფორმაციები, რომლებიც ორგანულად იყვნენ დაკავშირებულნი მსოფლიო იმპერიების შექმნასა და დაცემასთან, მასობრივ მიგრაციებთან, ცივილიზაციისა და ბარბაროსობის ურთიერთბრძოლასთან, ცივილიზაციური ცენტრების ურთიერთობაში ცვლილებებთან და სხვა მრავალ ფაქტორთან. მსოფლიო ცივილიზაციური პროცესები ჯერ კიდევ ოთხი-ხუთი ათასი წლის წინათ იწყება, როცა პირველი კერები ცივილიზაციისა წარმოჩნდა დიდი მდინარეების: ტიგროსისა და ევფრატის, ინდისა და ხუანხეს ველებზე. აქედან მოკიდებული, ცივილიზაციური ზონები თანდათან გაიზარდა და ევრაზიის კონტინენტი ინტენსიურად მოიცვა. აქ განსაკუთრებული ადგილი კავკასიურმა ცივილიზაციამ დაიკავა. ეს არ იყო შემთხვევითი. კავკასიას განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. იგი ნაწილია როგორც აზიის, ისე ევროპი-

სა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა რეგიონის პოლიეთნიკურობა და პოლიკონ-
ფესიურობა (ჰეტეროგენულობა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასია ევრაზიის კონტინენტის მნიშვნელოვანი ნაწილია. ტერმინი „კავკასია“ პირველად მოხსენიებულია ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში ბერძენი დრამატურგის, ესქილეს ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთე“. იგი კავკასიონის ქედზე, მყინვარწვერზე (ყაზბეგი) პრომეთეს მიჯაჭვას ეხება. დღეს ტერმინ „კავკასიას“ ქვეშ მოცემული და გააზრებულია ტერიტორია შავი, აზოვისა და კასპიის ზღვებს შორის. მისი ფართობი 440 ათასი კვ. კილომეტრია. კავკასიონის მთავარი ქედი კავკასიას ყოფს ჩრდილოეთ კავკასიად ანუ იმიერკავკასიად (250 ათასი კვ. კილომეტრი) და სამხრეთ ანუ ამიერკავკასიად (190 ათასი კვ. კილომეტრი).

რა შეიძლება ზოგადად ითქვას კავკასიაზე, მასში შემავალ ქვეყნებსა თუ ხალხებზე?

კავკასია მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრია, ადამიანთა ერთ-ერთი უძველესი საბინადრო რეგიონია.[1] აქ ჩამოყალიბდა ერთ-ერთი უძველესი მონათმფლობელური სახელმწიფო ურარტუ, შეიქმნა კოლხეთის (ძვ. წ. VIII-VI სს.), აირარატისა (ძვ. წ. IV ს.) და იბერიის (ძვ. წ. IV-III სს.) სამეფოები. ძვ. წ. II საუკუნეში წარმოიშვა დიდი სომხეთისა და კავკასიის ალბანეთის სახელმწიფოები.[2]

კავკასია აზიისა და ევროპის გზაჯვარედინზე მდებარეობს. აქ გადაეჯაჭვა ერთმანეთს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციები, რამაც თავისი გავლენა მოახდინა კავკასიაზე, მის კულტურაზე, ყოფასა და ცხოვრებაზე, განსაკუთრებული მენტალიტეტის ჩამოყალიბებაზე.

კავკასია საინტერესოა იმითაც, რომ აქ ერების, ეროვნებათა და ენათა დიდი მრავალფეროვნებაა; თავმოყრილია ენათა რამდენიმე ოჯახი[3], ძველიდან შექმნილია მაღალი დონის სამწერლობო შედევრები.

კავკასია თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრებით ოდითგანვე რთული ორგანიზმი იყო და ეს გარკვეულ გავლენას ახდენს რეგიონის დღევანდელობაზეც.

---

[1] ამის დასტურია საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიებზე აღმოჩენილი პირველყოფილი ადამიანის სადგომები; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დმანისის ექსპედიციის ბოლო პერიოდის აღმოჩენები. იხ. ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006; იხ. აგრეთვე კრებ. „ქართველი ხალხის ეთნოგენეზი“, თბ., 2002.

[2] Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959; მისივე, Наири-Урарту, Тб., 1954; С. Еремян, Общность судеб и культурно-политическое содружество народов Закавказья в IX-XIII вв., Кавказ и Византия, I, Ер., 1979, стр. 5-9.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართულ-ქართველურისა და ე. წ. კავკასიის ენების შესახებ მწერლობის მოკლე მიმოხილვა, თხზულებანი, ტ. X, თბ., 1992, გვ. 3-119; Е. И. Крупнов, О чем говорят памятники материальной культуры Чечено-Ингушской АССР, Грозный, 1961; მისივე, Древнейшая культура Кавказа и Кавказская этническая общность (к проблеме происхождения коренных народов Кавказа), СА, 1964, №1; Р. М. Мунчаев, Древнейшая культура Северо-восточного Кавказа, М., 1961.

კავკასიაში ცხოვრობს 50-ზე მეტი ეროვნების ხალხი, რომლებიც ლაპარაკობენ იბერიულ-კავკასიურ (ქართველური, აფხაზურ-ადიღეური, ნახური და დაღესტნური ენათა ჯგუფები),[1] ინდოევროპულ (რუსული, უკრაინული, სომხური, ირანული ჯგუფის ენები) და ალთაურ (თურქული ჯგუფის ენები: აზერბაიჯანული და სხვ.) ენობრივ ოჯახთა ენებზე. აქ მცხოვრები ხალხები სხვადასხვა რელიგიის აღმსარებლები არიან. ქრისტიანები: ქართველებისა და აფხაზების უმრავლესობა, რუსები, უკრაინელები, ოსების ძირითადი ნაწილი, მოზდოკის ყაბარდოელები (მართლმადიდებლები), სომხები (მონოფიზიტები). დანარჩენი ხალხების დიდი ნაწილი მუსლიმები არიან, მათ შორის ლეკების მცირე ნაწილი – შიიტები; სხვები და ნაწილობრივ აფხაზები, ოსები და ქართველები (აჭარლები, ინგილოები) – სუნიტები. ქართველი (და მთიელი) ებრაელები იუდაისტები არიან.

„კავკასიის", როგორც გეოპოლიტიკური ცნების თანამედროვე შინაარსი დაკავშირებულია რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობასთან (XVIII-XIX სს.). ამ დროიდან იწყება დაყოფა „კავკაზ"-ად და „ზაკავკაზიედ". ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ზაკავკაზიე" (ქართ. ამიერკავკასია) იხმარებოდა არა უბრალოდ გეოგრაფიული, არამედ უპირატესად გეოპოლიტიკური მნიშვნელობით. „ზაკავკაზიეს" შემოტანა ააშკარავებდა რუსეთის საგარეო-პოლიტიკურ კონცეფციას, იმპერიულ მიზანს – დაეცალკევებინა დაპყრობილი კავკასიის ხალხები. ეს ტერმინი (და მხოლოდ ეს ტერმინი!) გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე – XX საუკუნის 90-იან წლებამდე. ამ ბოლო პერიოდში „ზაკავკაზიე" (ამიერკავკასია) პრაქტიკულად შეცვალა ტერმინმა „სამხრეთი კავკასია", რომლის შემადგენლობაშიც მოიაზრება აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო.[2] „სამხრეთ კავკასიაში", გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ის ქვეყნებია წარმოდგენილი, რომლებიც, განსხვავებით ჩრდილოეთი კავკასიისაგან (რუსეთის შემადგენლობაში დარჩენილი ქვეყნები), რუსეთისაგან დამოუკიდებლად არსებობენ. ამ ტერმინმა, ფაქტობრივად, დააფიქსირა კავკასიაში ახალი პოლიტიკური სიტუაცია. ეს კი თავისთავად უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია – საფუძველი ჩაეყარა ერთიანი კავკასიის შექმნის პერსპექტივას. აქვე აღვნიშნავთ, რომ გამოითქვა მოსაზრება (ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევი), რომ ტერმინი „სამხრეთი კავკასია" მთლად ადეკვატურად ვერ ასახავს კავკასიაში მიმდინარე ცვლილებებისა და გეოპოლიტიკური პროცესების შინაარსს.[3] მართლაც, არ არის გამართლებული ერთი ტერმინის („ზაკავკაზიე") მექანიკური ჩანაცვლება მეორე ტერმინით („სამხრეთი კავკასია"), მით უმეტეს, რომ კავკასიაში ზოგადად და კონკრეტულად „სამხრეთ კავკასიაში" არ არის შეტანილი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი (ყარსის, არდაგანის, ართ-

---

[1] Г. Топуриа, Г. Бурчуладзе, А. С. Чикобава и языковой мир Кавказа, Caucasica, vol. 2, 1998, გვ. 198-204.

[2] T. Gamkrelidze, "Transcaucasia" or "South Caucasus?" Towards a More Exact Geopolitical Nomenclature, Marco Polo Magazine, 1999, N4/5. http://www.traceca-org.org./rep/Marco/mp40. მისივე, Transcaucasien oder Südkaukasus? Caucasica, vol. 2, 1998, გვ. 77-79.

[3] იხ. Э. Исмаилов, В. Папава, Центральный Кавказ: от геополитики к геоэкономике, Стокгольм, 2006, стр. 19.

ვინის, იგდირისა და სხვა ვილაიეთები) და ირანის ჩრდილო-დასავლეთი (აზერბაიჯანული პროვინციები) ოლქები. ამის გამო კავკასიის პერიმეტრი შემცირებულად წარმოდგება. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, კავკასიის რეგიონის სტრუქტურიზაცია შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ცენტრალური კავკასია – საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი; ჩრდილოეთი კავკასია – კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარე, რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიური ფორმირებები; სამხრეთი კავკასია – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსაზღვრე, თურქეთისა და ირანის პროვინციები. კავკასიის პარამეტრის ამგვარი განსაზღვრა და სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ასეთი დაყოფა რაციონალურად წარმოაჩენს რეგიონის თანამედროვე გეოპოლიტიკურ რეალობას.[1]

ცივილიზაციური განვითარების თვალსაზრისით, უდიდესი მემკვიდრეობა დაგვიტოვა შუა საუკუნეებმა. ეს შეეხება როგორც ზოგადად ევროპას,[2] ისე კონკრეტულად კავკასიის რეგიონს. სწორედ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა ევროპული ცივილიზაცია, რომლის ნაწილობრივი უნივერსალიზაცია შემდგომში მთელ სამყაროში განხორციელდა. შუასაუკუნეობრივი ევროპული სამყარო კი, რომელიც შეიქმნა ანტიკური საზოგადოების დაცემისა და დეურბანიზაციის ფონზე, ქრისტიანობის გავრცელებისა და დასავლეთი ევროპისა და ბალკანების შესაბამისი ბარბარიზაციის პირობებში (ახალი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუა პერიოდი) წარმოადგენდა (რამდენადმე მაინც) ევროპის შემდგომი ცივილიზაციის განმსაზღვრელ ფაზას.[3]

განსხვავებით დასავლეთ-ევროპულისაგან, სადაც წამყვანი იდეოლოგია ქრისტიანობა იყო, კავკასიაში ქრისტიანობასთან ერთად გარკვეული ადგილი მუსლიმურ სარწმუნოებას (კონფესიას) ეკავა. საქართველოსა და სომხეთში პირველი საუკუნიდანვე იწყება ქრისტიანობის გავრცელება და IV საუკუნის დასაწყისში იგი სახელმწიფო რელიგიად ცხადდება. მოგვიანებით, რეგიონის ცალკეულ კუთხეებში ისლამიც იკიდებს ფეხს.

პოლიტიკური სირთულეების მიუხედავად, შუა საუკუნეებში კავკასიის რეგიონი ვითარდება, არსდება ქალაქები, ცხოველდება საქალაქო ცხოვრება (ხელოსნობა, ვაჭრობა), იქმნება მნიშვნელოვანი ინსტიტუტები (სახელმწიფო, სასამართლო და სხვ.), წინაურდება ხუროთმოძღვრება, მშენებლობა, მწერლობა, მუსიკა, მხატვრობა, ხელოვნების სხვა დარგები. სომხეთში მესროპ მაშტოცი (361-440) ქმნის ანბანს, წარმატებას აღწევს სომხური ისტორიოგრაფია (კორიუნი, აგათანგელოსი, ფავსტოს ფუზანდი, მოსე ხორენაცი, ლაზარ ფარპეცი, ანანია შირაკაცი (პირველი სომეხი მათემატიკოსი), იგება შესანიშნავი ტაძრები, ვითარდება მხატვრობა და

---

[1] Э. Исмаилов, В. Папава, Центральный Кавказ: от геополитики к геоэкономике, Стокгольм, 2006, стр. 20-21.

[2] Е. Б. Рашковский, Средние века: Становление цивилизационного лика Европы, цивилизациий, вып. 7, Диалог культур и цивилизаций, М., 2006, стр. 129-132.

[3] იქვე, გვ. 131.

სკულპტურა.[1] შუა საუკუნეების აზერბაიჯანში დაწინაურდნენ და მსხვილ საგაჭრო და ხელოსნურ ცენტრებად იქცნენ ქალაქები: ბარდა, ბაქო, განჯა, შემახა, ნახიჩევანი. აქედან აღმოსავლეთის ქვეყნებში, ბიზანტიასა და ხაზარეთში გაჰქონდათ აბრეშუმი, ბამბა, შალეული, ნოხები, საღებავები და სხვ. საერთო მუსლიმური კულტურის შექმნაში დიდია აზერბაიჯანის წვლილი (არაბებთან, ტაჯიკებთან, უზბეკებთან ერთად). უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ხაკანისა და ნიზამი განჯელის შემოქმედებას. აზერბაიჯანში ვითარდება მედიცინა, ასტრონომია, გეოგრაფია, ისტორია, ფილოსოფია. განსაკუთრებული თავისებურებით გამოირჩევა აზერბაიჯანული არქიტექტურა. დღემდეა შემორჩენილი შუა საუკუნეების დროინდელი ხუროთმოძღვრების მეტად საინტერესო ნიმუშები.[2] სწორედ შუა საუკუნეებში გაერთიანდა ფეოდალური საქართველო პოლიტიკურად და ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. საქართველოს წინსვლა მის განათლება-კულტურაშიც გამოიხატა. აქ მოხდა მართლმადიდებელი ქრისტიანული და მუსლიმური კულტურების შეხვედრა-შერწყმა. შეიქმნა მდიდარი, მაღალმხატვრული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, მაღალ დონეს მიაღწია საერო ლიტერატურამ, განვითარდა მხატვრობა (განსაკუთრებით მონუმენტური), ჭედური ხელოვნება, მუსიკა, შეიქმნა ხუროთმოძღვრული შედევრები.[3] ხელოვნების მაღალი დონე ნათლად უჩვენებს ქართველთა მყარ ერთობას. XII საუკუნის დასაწყისში, დავით IV აღმაშენებლის თაოსნობით, დაარსდა უმაღლესი განათლების ცენტრი – გელათის აკადემია. იგი რეალური მოთხოვნილების საფუძველზე შეიქმნა და უწინარა იმ იდეოლოგიურ მოძრაობას, რომელიც გზას უკაფავდა ქართულ-კავკასიურ რენესანსს. XII საუკუნის დასაწყისიდან ფართოდ ვითარდება ქართული საერო მწერლობა, შეიქმნა საერო პოეზია. ქართული მწერლობის მაღალ დონეზე მიუთითებს ჩახრუხაძის „თამარიანი“, იოანე შავთელის „აბდულმესიანი“. ამ პერიოდში შეიქმნა მსოფლიო ლიტერატურის შედევრი – შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. მეცნიერების დარგებიდან დაწინაურდა ფილოსოფია, ისტორიოგრაფია. ამ დროს მიიღო ერთიანი, გაბმული ისტორიის სახე „ქართლის ცხოვრებამ“.

---

1 იხ. Культура раннефеодальной Армении (IV-VII вв.), Ереван, 1980.

2 История Азербайджана, т. I, Баку, 1958, стр. 153-154. შდრ. Адам Меу, Мусульманский ренессанс, М., 1973; С. Червонная, Исламская культура Северного Кавказа: единство и многообразие, Caucasica, vol. 2, 1998, стр. 53-69; M. A.-L. Comneno, Le Caucase et L'Islam (VIII$_e$-XVIII$_e$ siècle), Caucasica, vol. 1, 1998, გვ. 109-116; შდრ. П. Дж. Бьюкенен, Враждебен ли ислам? В кн. Правые и неправые, М., 2006, стр. 91-128.

3 შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961; შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, თბ., 1956, გვ. 433; ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959; გ. აბრამიშვილი, პ. ზაქარაია, ი. ციციშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბ., 2000; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 371-516; რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002, გვ. 339-350; 690-704.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედმა თუ ისტორიამ კავკასიის რეგიონს განვითარების ურთულესი გზა არგუ-ნა, ქარტეხილებითა და მძიმე ბრძოლებით აღსავსე. ამიტომ მშვიდობას კავკასიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. მშვიდობა ყველგან მშვიდობაა. კავკასიაში კი, სადაც ომების საოცარი სიხშირე იყო, ეს ამოსუნთქვის, ძალის მოკრების, კერის აღდგენის და უამრავი სხვა სასიცოცხლო ფაქტორის გადარჩენის აუცილებელი პირობა გახლდათ. ნიშანდობლივია, რომ ქართულ ენაში გვაქვს ძალზე საინტერესო პასუხი ისტორიულ ვითარებაზე ორ ტერმინში: მისალმება ქართულად არის „გამარჯობა" (გამარჯვება), გამოთხოვება კი „მშვიდობით" (რუს. с миром).

ომი, თავისი არსით, გაგრძელებაა პოლიტიკისა, ოღონდ სხვა „საშუალებებით". აი, სწორედ აზიის თუ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოს „კავკასიური პოლიტიკა" ამ რეგიონს თითქმის პერმანენტულად საომარ მდგომარეობაში ამყოფებდა.

უხსოვარი დროიდან მიიპყრო კავკასიამ უცხოელთა ყურადღება. ოქროს საწმისის ხელში ჩასაგდებად მოსული ბერძნები შეეჯახნენ კოლხეთის სამეფოს და, მიუხედავად მოხერხებული მოქმედებისა, მათ მოუხდათ საზღვაო ომის გადახდა. კავკასია არაერთხელ გახდა სკვითების, სარმატებისა და სხვათა თავდასხმის ობიექტი.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში კავკასია ბიზანტიასა და ირანს შორის ატეხილი ხანგრძლივი სამკვდრო-სასიცოცხლო ომის სარბიელი გახდა. კავკასიური სახელმწიფოები იძულებულნი იყვნენ ამ ომში მიეღოთ მონაწილეობა, თანაც დიპლომატიური შორსმხედველობა გამოეჩინათ, თუ ვის მხარეზე ყოფილიყვნენ, ვისი პოზიცია დაეკავებინათ. ეს პრობლემა ძალზე მწვავე იყო და ყოველთვის სწორად ვერ წყდებოდა – ზოგჯერ პოზიციის მცდარობა გვიან (შედეგით) მჟღავნდებოდა.

VII-VIII საუკუნეებში კავკასია (სახელდობრ ცენტრალური კავკასია) არაბებმა დაიპყრეს. არაბებთან, შემდეგ სელჩუკიან თურქებთან და ბიზანტიასთან ბრძოლები განსაზღვრავდა კავკასიის საგარეო პოლიტიკას რამდენიმე საუკუნის მანძილზე. კავკასიელთა ბრძოლა თავდაცვითი ხასიათისა იყო. ამგვარ ბრძოლებს სამართლიანს უწოდებენ ისტორიაში. ეს ბრძოლები გარკვეული ინტერვალებით მიმდინარეობდა. სწორედ ამ ინტერვალებს, ანუ მშვიდობას, მშვიდობიან პერიოდს ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა კავკასიის ქვეყნებისათვის. სწორედ ამ პერიოდში, ომების პირობებში ჩამოყალიბდა ორი მსხვილი სახელმწიფო: სომხეთი და საქართველო. X საუკუნიდან დაწინაურდა საქართველო, რომელმაც XII-XIII საუკუნეებში კავკასიაში სრულ ჰეგემონობას მიაღწია.

კავკასიისათვის დამანგრეველი იყო მონღოლთა შემოსევები. XIII საუკუნეში მთელი კავკასია მონღოლთა მფლობელობაში მოექცა. მძიმე იყო XIV-XV საუკუნეებიც, როცა კავკასიას, განსაკუთრებით საქართველოსა და სომხეთს თავს ესხმიან უცხოელი დამპყრობლები. საქართველო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ჯერ ხორეზმშაჰ ჯალალედინის, შემდეგ, განსაკუთრებით, თემურის რვაგზის

შემოსევამ. ჩრდილო კავკასიის ხალხები დიდხანს იყვნენ მონღოლთა ბატონობის უღელქვეშ, რამაც დიდად შეუშალა ხელი მათ განვითარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიისათვის მძიმე იყო ბიზანტიის იმპერიის დაცემა და 1453 წელს კონსტანტინოპოლის ოსმალთა ხელში გადასვლა. XV საუკუნეში აზერბაიჯანში შეიქმნა თურქული სახელმწიფო წარმონაქმნები. XVI საუკუნიდან მოკიდებული, კავკასია, კერძოდ საქართველო და სომხეთი, ირანისა და ოსმალეთის გაჭიანურებული ომების ასპარეზად გადაიქცა. ამ ომებმა გავლენა იქონია, და პრაქტიკულად განსაზღვრა XV-XVIII საუკუნეებში საქართველოსა და სომხეთის, ქართველი და სომეხი ხალხების განვითარების ხასიათი.

უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში. რუსეთმა ძალზე დიდი მსხვერპლი გაიღო იმისათვის, რომ კავკასიაში გავლენა და მასზე პრაქტიკული ბატონობა მოეპოვებინა. კავკასიის ომების ცნობილი მკვლევარი ვ. პოტო ხაზგასმით მიუთითებს რუსეთისათვის კავკასიის მნიშვნელობაზე: "Кавказ был ключем, без которого невозможно было овладеть обширными равнинами и запереть их от вторжений новых да новых племен и народов".

მატიანეები გადმოგვცემენ სვიატოსლავის ბრძოლის შესახებ ყუბანში, მსტისლავისა და ჩერქეზთა ბატონის ურთიერთშებრძოლებისა და სხვა ფაქტების შესახებ. კავკასიისათვის ბრძოლის მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება რუსეთის მეფის, ივანე III-ის დროს, XV საუკუნეში. ამ საქმეს თავისი ხელი დასდო ივანე მრისხანემაც. XVI საუკუნის II ნახევარში ჩრდილოეთ კავკასიაში გაჩნდა რუსული ახალშენები და ციხესიმაგრეები (თერგის, სუნჯის და სხვ.). განსაკუთრებით გააქტიურდა რუსეთი XVIII საუკუნის I ნახევარში. ამ საუკუნის მეორე ნახევარში კი მტკიცედ მოიკიდა ფეხი კავკასიაში, როცა დააარსა ქალაქები: ყიზლარი, მოზდოკი, ვლადიკავკაზი. ამ დროს იქმნება კავკასიის გამაგრებული ხაზი. 1783 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი – ე. წ. „მფარველობითი ხელშეკრულება". დაიწყო საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობა. მიუხედავად კავკასიელთა წინააღმდეგობისა (1785 წელს აჯანყდა შეიხი მანსური, 1878 წელს მოხდა ნოღაელთა და ყაბარდოელთა აჯანყება), რუსეთმა კიდევ უფრო გააფართოვა თავისი გავლენის მასშტაბები. 1801 წელს რუსეთმა შეიერთა ქართლ-კახეთი, დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი და პრაქტიკულად გააუქმა მეფობა, რითაც სახელმწიფოებრიობა დაკარგა ქვეყანამ. XIX საუკუნეში რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების შედეგად რუსეთმა შეიერთა აზერბაიჯანი, სომხეთი, დასავლეთი საქართველო. კავკასია დაიყო გუბერნიებად. 1844 წელს შეიქმნა კავკასიის სამეფისნაცვლო, რომლის ცენტრი თბილისი იყო. მეფისნაცვლები, ფაქტობრივად, ატარებდნენ კავკასიის დაპყრობის პოლიტიკას, ეს პოლიტიკა კოლონიური იყო. იგნორირებული იყო ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ინტერესები. რუსეთის ამგვარ პოლიტიკას კავკასიაში თავისი შედეგი ჰქონდა – კავკასიური ომები. ეს იყო იმ ბრძოლათა წყება, რომელიც რუსეთმა კავკასიის წინააღმდეგ ჩაატარა. ეს ბრძოლები მიმართული იყო ირანისა და ოსმალეთის ექსპანსიის

წინააღმდეგ და ამით კავკასიის ხალხთა ინტერესებს ეხმაურებოდა, მაგრამ, ამასთან, მათი კოლონიური ხასიათი აშკარა იყო და 1817-64 წლებში რუსეთის მიერ წარმოებული ომების წყალობით დასრულდა მთელი კავკასიის შეერთების პროცესი. "Кавказ! Какое русское сердце не отзовется на это имя, связанное кровною связью и с историческою, и с умственною жизнью нашей родины, говорящее о неизмеримых жертвах и в то же время о поэтических вдохновениях" – ეს ვ. პოტოს გულწრფელი სიტყვებია და დაუფარავად გამოხატავს იმდროინდელი რუსეთის დამოკიდებულებას კავკასიისადმი. არც ისაა შემთხვევითი, რომ ავტორმა თავისი "Кавказская война"-ს მრავალტომეულის თითოეულ ტომს ეპიგრაფად წაუმძღვარა ციტატა გრაფი ე. სოლოგუბის მისასალმებელი სიტყვიდან – დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძისადმი, როცა ამ უკანასკნელს მეფისნაცვლად ნიშნავდნენ:

"Вы теперь близко увидите, как живет и умирает кавказский воин, каким самоотвержением совершает он свой подвиг и сколько неизвестных истории героев молча легли для защиты знамени и долга."

ყოველივე ზემომოყვანილიდან ნათელია, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთი კავკასიის დაპყრობასა და მის ფლობას.

რთული იყო კავკასიისათვის XX საუკუნეც. უმძიმესი სამამულო ომების გვერდით, რომელთა სიმწარე უშუალოდ იგემა კავკასიაში მცხოვრებმა ხალხმა, იყო ცალკეული ბრძოლებიც, იყო და არის დაძაბულობა პოსტკომუნისტური წყობის ნანგრევებიდან ამოსვლის პროცესში.

უფრო დაწვრილებით ომებზე შეჩერება ზედმეტად მიმაჩნია. ამ საკითხებზე ფართო ლიტერატურაა შექმნილი. მხოლოდ ვ. პოტოსა და ნ. დუბროვინის[1] მრავალტომეულების, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების[2] დასახელება საკმარისია. ბუნებრივია, არსებობს სხვა ძველი თუ თანამედროვე ავტორების შრომებიც.[3]

ომები კავკასიაში სხვადასხვა ტიპისა იყო. ჩვენ ზემოთ ძირითადად დაპყრობითი ომების მაგალითები მოვიყვანეთ და აღვნიშნეთ, რომ კავკასიელთა ომები ძირითადად თავდაცვითი იყო – პასუხი იყო შემოსევებზე. იყო სხვა ხასიათის ომებიც. კერძოდ, შიდა ომები, რომლებიც სამოქალაქო ომის ნიშნით მიმდინარეობდა (ამგვარი ტიპის ომები უხვად იყო შუა საუკუნეებში და, სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდშიც გვქონდა. მაგალითად, საქართველოში, სხვა პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომები მთელ კავკასიაში).

---

[1] В. Потто, Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, т. I, СПб., 1887, стр. 2.

[2] Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. 1-12, Тифл., 1866-1904.

[3] Н. А. Смирнов, Мюридизм на Кавказе, М., 1963; М. Лордкипанидзе, К вопросу "Кавказского единого дома", Caucasica, vol. 2, Tb., 1998, გვ. 163-169; R. Metreveli, On the Problem of War and Peace in the Caucasus, Caucasica, vol. 2, Tb., 1998, გვ. 170-182.

კავკასიაში ყველა ტიპის ომების მიმდინარეობასა თუ მათი შედეგების განხილვას მივყავართ ერთ დასკვნამდე. მომხდური მტრის მიზანი სხვადასხვაგვარი იყო: ზოგჯერ ქვეყნისა და ერის ერთიანად ამოგდების სურვილი, ზოგჯერ ნადავლის მოპოვება, ზოგჯერ გავლენის გაძლიერება და სხვ. ასე იყო შინაომების დროსაც. ბევრჯერ მტერი გარკვეულ მიზანს აღწევდა. კავკასიას უდიდესი მსხვერპლის გაღება უხდებოდა: ადამიანების, ტერიტორიების, სხვა სახის სიმდიდრის (ნატურალური დოვლათის) სახით. ისტორიის მანძილზე იყო შემთხვევები დამარცხებისა, ამა თუ იმ ტერიტორიის დაკარგვისა, ქვეყნის დანგრევა-განადგურებისა, მაგრამ კავკასიის ყველა სახელმწიფო გადარჩა, გადარჩნენ კავკასიელი ხალხები.

ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, ოსეთიდან არეგაწამდე

განსაკუთრებულად მტკიცედ, შეკავშირებულად ჩანან კავკასიის ხალხები XI-XII საუკუნეებში. უდიდეს ყურადღებას აქცევდა და თავის საგარეო-პოლიტიკურ თვალსაწიერში წამყვან მიმართულებად მიაჩნდა დავით IV აღმაშენებელს (1089-1125 წწ.) საერთოდ კავკასიისა და, კერძოდ, ჩრდილო კავკასიის ქვეყნებსა და ხალხებთან ურთიერთობა. მათში საქართველოს მეფე იმ მნიშვნელოვან ძალას ხედავდა, რომელსაც თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლასა და ერთიან კავკასიურ სახლად კონსოლიდაციაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლო.

დავით აღმაშენებელს კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ ცალ-ცალკე არსებობა კავკასიის ქვეყნებისათვის იმდროინდელ საგარეო-პოლიტიკურ ვითარებაში (ბიზანტიის სწრაფვა კავკასიაში ჰეგემონობისათვის, თურქ-სელჩუკთა შემოსევები) რთული იქნებოდა.[1] სოციალური და ეთნიკური დაშორიშორება, ეკონომიკის სისუსტე და მძლავრი სახელმწიფო ინსტიტუტების უქონლობა კავკასიის რეგიონს მრავალგვარ საფრთხეს შეუქმნიდა. ამიტომ გაატარა დავით IV აღმაშენებელმა ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი რეფორმები (სამხედრო, სასამართლო, საფინანსო, ეკონომიკური და სხვ.) და სახელმწიფოში არსებულ ეროვნულ უმცირესობათა მიმართ ტოლერანტობის გზას დაადგა.[2] ყოველივე ამან შექმნა როგორც საკუთრივ საქართველოს გაძლიერების, ისე კავკასიის ხალხების ერთიან პოლიტიკურ პლატფორმაზე დადგომის წანამძღვრები.

კავკასია ერთიან გეოპოლიტიკურ სამყაროდ ჰქონდა წარმოდგენილი XI საუკუნის მემატიანეს ლეონტი მროველს, რომლის მიხედვითაც კავკასიის მოსახლეობა (ქართველები, სომხები, კავკასიის ალბანელები, ჩრდილო კავკასიის

---

[1] იხ. ალ. რონდელი, სუსტი ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე, ქართული დიპლომატია, 2, თბ., 1995, გვ. 5-24; მისივე, პატარა ქვეყნის დიპლომატიური საქმიანობა, ქართული დიპლომატია, 7, თბ., 2001, გვ. 5-19.

[2] რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002, გვ. 81-239.

ხალხები) თარგამოსის რვა შვილის (ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მთვაკანი, ლეკი, ჰეროსი, კავკასი, ეგროსი) შთამომავალია.[1] შუა საუკუნეების ისტორიკოსის ეს კონცეფცია, ასაბუთებს რა კავკასიური სამყაროს ერთიანობას, მნიშვნელოვან იდეოლოგიურ საფანელს უქმნის საქართველოს ხელისუფლების მიზანსწრაფვას, მის პოლიტიკურ საქმიანობას.[2] კავკასიის ხალხებს აერთიანებდა არა მარტო საერთო წარმომავლობის (გენეტიკური კავშირის) რწმენა, არამედ ის ერთობაც, რომელიც შერწყმული იყო როგორც შინაგან წინააღმდეგობებთან, ომებთან და სხვ., ისე პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებთან, ყოფისა და ადათ-ჩვეულების მსგავსებასთან, კულტურული მიღწევებით ურთიერთგამდიდრებასთან. XI-XII საუკუნეებში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ განსაკუთრებული აქტუალობა შესძინა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ურთიერთობას.

ჩრდილოკავკასიელი ეთნიკური მოსახლეობისაგან თავისი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური დონით ოსები (ალანები) გამოირჩეოდნენ. ალანთა სამეფოს („მულქ ალლანი") ფართო ტერიტორია ეკავა კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.[3]

საქართველოსა და ოსეთის ურთიერთობები გაფართოვდა XI საუკუნიდან, როცა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებაში ამ პოლიტიკურმა ერთეულმა გარკვეული მნიშვნელობა შეიძინა. გიორგი I-მა (1014-1027 წწ.) და ბაგრატ IV-მ (1027-1072 წწ.) ოსებთან დამოყვრებით კიდევ უფრო განამტკიცეს მათთან ურთიერთობა და, ფაქტობრივად, განსაზღვრეს ამ ორი ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულების კეთილმეზობლური ხასიათი.[4] როცა ყივჩაყთა ჩამოსახლების საკითხი დადგა, დავით აღმაშენებელი და გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ოსეთში წავიდნენ (არ არის გამორიცხული, რომ მათ თან ახლდა გარკვეული სამხედრო ძალაც). ამ მისიის მიზანი მხოლოდ ყივჩაღ-თათვის მშვიდობიანი გზის უზრუნველყოფა არ ყოფილა. არსებითი იყო ჩრდი-ლო კავკასიის საქართველოს დამაკავშირებელი საუღელტეხილო გზების დაკა-ვება. იმხანად დარიალსა და სხვა უღელტეხილებს ოსები აკონტროლებდნენ. ძლიერი ფეოდალური საქართველოსთვის აუცილებელი შეიქნა აღნიშნული გადასასვლელების დაუფლება და დავით აღმაშენებლის მიზანიც ამ ამოცანის

---

[1] ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავ-თა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 3.

[2] დ. მუსხელიშვილი, კავკასიური პოლიტიკა შუა საუკუნეების საქართველოში (XIII საუკუ-ნემდე), ქართული დიპლომატია, 5, თბ., 1998, გვ. 13.

[3] А. П. Новосельцев, К истории алланских народов, "Материалы по археологии и древней истории Северной Осетии", т. II, Орджоникидзе, 1969, გვ. 132.

[4] ოსი ისტორიკოსი გ. კოკიევი მიიჩნევს, რომ დინასტიური ქორწინებები და ნათესაური კავ-შირის დამყარება საქართველოს სამეფო კარისთვის ოსეთზე გავლენის გავრცელების ხერხი იყო. იხ. Г. А. Кокиев, Очерки по истории Осетии, ч. I, Владикавказ, 1926, გვ. 26; იხ. აგრეთვე ჯ. სტეფნაძე, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან, თბ., 1974, გვ. 74.

განხორციელება იყო.[1] ნიშანდობლივია, რომ დავით აღმაშენებელს „მოგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი...“[2] საგულისხმოა ისიც, – რომ საქართველოს მეფემ მძევლები ჩამოართვა როგორც ოსებს, ისე ყივჩაყებს და „ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი“. ამის შემდეგ დავითმა აიღო და დაიკავა „ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისასა და კავკასიისა მთისანი.“[3] კავკასიის უღელტეხილების დაკავება საქართველოს მიერ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი იყო – ოსეთი საქართველოს სამეფოს სრული გავლენის ქვეშ მოექცა.[4]

ზემოთ აღინიშნა, რომ ჩრდილო კავკასიის ხალხებიდან ოსები, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, სხვებზე მაღლა იდგნენ, რაშიც გარკვეული როლი შეასრულა ქრისტიანული რელიგიის გავრცელებამ X საუკუნეში.

საქართველოსა და ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებს შორის ურთიერთობაში ერთობ მნიშვნელოვანი მომენტია მცდელობა ამ უკანასკნელთა გაქრისტიანებისა. ოსთა გაქრისტიანება უკავშირდება კონსტანტინოპოლის პატრიარქს – ნიკოლოზ მისტიკოსს და აფხაზთა მეფე გიორგის (921-955 წწ.). ამ აქტიდან აშკარად ჩანს ოსეთის და მთელი ჩრდილოეთი კავკასიის ხალხთა მისწრაფება საქართველოსაკენ (ზ. ანჩაბაძე, მ. ცინცაძე). ქრისტიანობის საშუალებით საქართველო მთის მოსახლეობას თავის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ გავლენას უმორჩილებდა. ზოგჯერ ამგვარ მცდელობას ჩრდილოკავკასიელი ხალხების მხრიდან გარკვეული რეაგირებაც მოჰყვებოდა. მაგ., თამარის დროს დიდოელებისა და ფხოველების გამოსვლა, რომელიც თავისი არსით იყო ფეოდალიზაციისათვის ერთგვარი რეაქცია გაბატონებული კლასის ცდაზე – გაეძლიერებინა ექსპლუატაცია (ფეოდალურ ურთიერთობებში მთის მოსახლეობის ჩაბმით) და გაევრცელებინა ქრისტიანობა.[5]

ნიშანდობლივია, რომ ოსეთში გადასვლისას დავით აღმაშენებელს თან ახლდა გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. ამ აქტში ქრისტიანული რელიგიის გავრცელება-განმტკიცებისათვის ზრუნვა მოჩანს (გ. თოგოშვილი, ზ. ანჩაბაძე, მ. ცინცაძე).

XII საუკუნეში საქართველოს ურთიერთობა ჰქონდა ჩაჩნეთ-ინგუშეთთან (ქართული წყაროების ძურძუკები, კავკასიანი), დაღესტნის ხალხებთან, ადიღესთან

---

[1] გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 140.

[2] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, თბ., 1955, გვ. 336.

[3] იქვე.

[4] ჯ. სტეფნაძე, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში, თბ., 1974, გვ. 114; გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 141; ზ. ანჩაბაძე, მ. ცინცაძე, საქართველო და ჩრდილო კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში, კრებ.: „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 14; З. Папаскири, У истоков грузино-русских политических взаимоотношений, Тб., 1982, გვ. 57.

[5] რ. მეტრეველი, მთიელთა აჯანყების საკითხისათვის XIII ს-ის ათიან წლებში. წგნ.: მცირე გულანი, ქუთაისი, 1979, გვ. 58-75.

(ჯიქნი-ქაშაგნი). ამ უკანასკნელთან ურთიერთობაში დამაკავშირებელ რგოლს აფხაზეთი წარმოადგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოსა და ქართული კულტურის გავლენა ჩრდილო კავკასიის ხალხებზე უდავოა. ქართველებისა და ჩრდილოეთი კავკასიის ხალხთა ურთიერთობამ თავისი კვალი დატოვა. არაერთი ქართული სიტყვა შევიდა ჩრდილოკავკასიელი ხალხების ლექსიკურ ფონდში.[1] გავრცელდა ქართული დამწერლობა,[2] ხშირია ქართული წარწერები (დაღესტანში ოცამდე ქართული წარწერაა დამოწმებული),[3] შეიმჩნევა ქართული სტილის გავლენა არქიტექტურაში.[4]

1118-1120 წლებში დავით აღმაშენებელმა ჩრდილო კავკასიიდან საგანგებოდ ჩამოასახლა ყივჩაყთა 40 ათასი ოჯახი, რომლებიც დაასახლა და ფეოდალურ ვალდებულებად თითოეულ ოჯახს თითო მოლაშქრის გამოყვანა დააკისრა. ამ გზით ქართულ ჯარს შეემატა ყივჩაყთა 40000-იანი ლაშქარი. ამ ნაბიჯს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის შენარჩუნებისა და ძლიერი ფეოდალური მონარქიის შექმნა-განმტკიცებისათვის. ძლიერი მუდმივი ჯარის შექმნით საქართველოს მეფე ფეოდალებისაგან სრულიად დამოუკიდებელი გახდა.[5]

ყივჩაყთა[6] ერთი ნაწილი მდ. დონს გაღმა ცხოვრობდა, მეორე ნაწილი კი ოტროკის (ქართული წყაროებით, ათრაქა შარაღანისძის მეთაურობით) ჩრდილო კავკასიაში ოსების მეზობლად მოვიდა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ისინი ვლადიმერ მონომახმა შეავიწროვა.[7] ყივჩაყებსა და ოსებს შორის თავი იჩინა უთანხმოებამ. ყოველივე ამან ხელი შეუწყო საქართველოში ყივჩაყთა ჩამოსახლების პროცესს. აგრეთვე, იმანაც, რომ დავით აღმაშენებელს ცოლად ჰყავდა ყივჩაყთა მთავრის, ათრაქა შარაღანისძის ასული – გურანდუხტი.[8]

---

[1] История Дагестана, М., 1967, გვ. 215; А. Шавхелишвили, Из истории взаимоотношений между грузинскими и чечено-ингушскими народами, Грозный, 1963, გვ. 54, 93, 94. Х. Х. Рамазанов, А. Р. Шихсаидов, Очерки истории Южного Дагестана, Махачкала, გვ. 47.

[2] М. Чентиева, История чечено-ингушской письменности, Грозный, 1958, გვ. 18.

[3] დაღესტანში ოცამდე ქართული წარწერაა დამოწმებული. იხ. История Дагестана, М., 1967, გვ. 215.

[4] Е. И. Крупнов, Грузинский храм Тхоба-Ерды на Северном Кавказе. Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Института истории материальной культуры, т. XV, 1974, გვ. 116.

[5] რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002, გვ. 191-193.

[6] ნ. მურღულია, ყივჩაყთა ეთნოგენეზის საკითხისათვის, თსუ შრომები, 113, თბ., 1965, გვ. 145-173.

[7] С. А. Плетнева, Печенеги, тюрки, половцы в южнорусских степях. კრებ. Материалы и исследования по археологии СССР, №62, М., 1958; В. Г. Пашуто, Внешняя политика Древней Руси, М., 1968; Н. Ф. Котляр, Половцы в Грузии и Владимир Мономах. Сб. Из истории украино-грузинских связей, Тб., 1968, გვ. 16-24.

[8] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 336. არსებობს ცნობა XVII საუკუნისა, დაცული ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოსის შვილის პავლე ალეპოელის თხზულებაში, რომ ყივჩაყთა ჩამოსახლება საქართველოში დავით აღმაშენებელმა წინასწარ საგანგებოდ შეუთანხმა ვლადიმერ მონომახს (თხზულება სათანადო კომენტარებით გამოსცა პროფ. ნ. ასათიანმა).

აღსანიშნავია, რომ ოსებთან ერთად საქართველოს გვერდით იყვნენ ჩერქეზები, ძურძუკები, ღუნძები და სხვა ჩრდილოელი მეზობლები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ კავკასიის ერთიანი დიდი ფეოდალური სამყაროს წარმოქმნაში. თამარის მეფობის (1179-1213 წწ.) ბოლო პერიოდში იმიერკავკასიელი მთიელები საქართველოს სახელმწიფოს ძლიერ კულტურულ გავლენას განიცდიდნენ.[1] ქართველებისა და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ურთიერთობამ თავისი კვალი დატოვა.

საქართველოსა და ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებს შორის ურთიერთობაში ერთობ მნიშვნელოვანი მომენტია მცდელობა ამ უკანასკნელთა გაქრისტიანებისათვის. დიდოელებისა და ძურძუკების, ისე როგორც სხვა ტომების, გაქრისტიანებისათვის ბრძოლა დაკავშირებულია თამარ მეფის სახელთან. დღესდღეობით სამეცნიერო ლიტერატურაში ეს დებულება სადავო არ არის. აღიარებულია, რომ "Активная деятельность христианской церкви в Дагестане связана с именем царицы Тамары, в правление которой предпринимались неоднократные попытки христианизировать северокавказские народы."[2] ქართული ნარატიული წყაროების ხაზგასმით მითითება ჩრდილოეთი კავკასიის ხალხების (დიდოელები, ფხოველები) არაქრისტიანობაზე შემთხვევითი არ უნდა იყოს. „ისტორიანი და აზმანი" არ ასახელებს XIII საუკუნის დასაწყისში სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლის მიზეზებს; თავის მცირე ცნობაში ავტორი ადგილს პოულობს იმისთვის, რომ აქცენტი გააკეთოს დიდოელთა რელიგიურ რწმენაზე. საქართველოს სამეფო, როგორც ჩანს, ძალ-ღონეს არ იშურებს დაღესტნის გაქრისტიანებისათვის. ამ პროცესთან, ასევე სხვა კულტურულ კონტაქტებთანაა დაკავშირებული დაღესტანში ქართული დამწერლობის გავრცელება. შემთხვევითი არ არის, რომ დაღესტანში აღმოჩენილია ბევრი ქართული წარწერა, რომელთაგან ზოგიერთი ბილინგვას წარმოადგენს, შესრულებულს ქართულ და ავარიულ ენებზე. არ არის შემთხვევითი, რომ კავკასიის ხალხებში ძველთაგან ერთგვაროვანი ეთნოტოპონიმები მოიპოვება.[3] ქართული ქრისტიანული არქიტექტურის გავლენის დაღი აზის ბევრ ნაგებობასაც.

ბუნებრივია, ქრისტიანობის გავრცელებას მთიელი მოსახლეობა გარკვეული წინააღმდეგობით ხვდებოდა, არ იღებდა ახალ რელიგიას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთიელთა მასა ჯერ კიდევ არ არის მთლიანად ჩაბმული ფეოდალურ

---

[1] В. Б. Виноградов, О реальности грузинского влияния на Северо-западном Кавказе в X-XIII вв. მაცნე, ისტორიის სერია, თბ., 1988, 2, გვ. 162-169. ამ სტატიაში პასუხი გაეცა ზოგიერთი მეცნიერის (მაგ. ვ. კუზნეცოვის) მცდარ შეხედულებას ჩრდილოკავკასიელთა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ შუა საუკუნეებში.

[2] История Дагестана, М., 1967, გვ. 14. იხ. აგრეთვე М. Г. Гаджиев, Северо-Восточный Кавказ как географическая и этнокультурная область. Древние культуры Северо-Восточного Кавказа. Махачкала, 1985, стр. 19; Н. Гарунова, Дагестанские и грузинские источники о культурном взаимодействии народов Дагестана и Грузии, Caucasica, vol. 7, 2003, გვ. 89-95.

[3] Р. Абашиа, Из истории образования древнейших этнотопонимов Кавказа, Caucasica, vol. 6, Tb., 2003, გვ. 7-13.

ურთიერთობაში. მთის მოსახლეობის ეკონომიკური საშუალებები რამდენადმე შეზღუდული იყო, რაც ხშირად ბარის მოსახლეობის მიმართ ანტაგონიზმს წარმოშობდა.[1] ამის შედეგი იყო ის თავდასხმები, რომლებსაც მთიელები ბარის მოსახლეობის მიმართ ახორციელებდნენ. ყოველივე ეს განაპირობებდა მთიელთადმი მტრულ დამოკიდებულებას, ერთი მხრივ, ფეოდალური ზედაფენისა, რომელიც ესწრაფოდა მთიელთა შებმას ფეოდალურ უღელში, მეორე მხრივ – ბარის მწარმოებელი მოსახლეობისა, რომელიც მთიელთა თავდასხმების ობიექტი ხდებოდა. თამარის დროს, როგორც ჩანს, მთიელთა ამ თავდასხმების ასალაგმავადაც გატარდა ღონისძიებები.[2]

ამგვარად, საქართველოს ფეოდალური მონარქიის სწრაფვა მთიელთა ფეოდალიზაციისა და გაქრისტიანებისათვის თითქმის ერთდროულად მიმდინარეობდა (XIII საუკუნის დასაწყისში დიდოელთა და ფხოველთა აჯანყება სწორედ ამ პროცესის საწინააღმდეგო რეაქცია იყო).

ყურადღებას მივაქცევთ ერთ საინტერესო ფაქტსაც. ირანის ხელნაწერთა ფონდებში პროფესორმა მაგალი თოდუამ მიაკვლია და შემდეგ კიდეც გამოაქვეყნა (1979 წ.) XII-XIII საუკუნეების ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა მიმოწერა მახლობელი აღმოსავლეთის სულთნებთან.[3] ამ მიმოწერაში ქართველ მეფეებს მუსლიმი მფლობელები მოიხსენიებენ „აბხაზის, შაქის, ალანისა და **რუსის** მეფედ-მეფედ...“ სხვა წერილში „აბხაზთა მეფედ-მეფედ, რუმისა და **რუსის** მარზბანად...“ ან კიდევ „ ... ქვეყანათა მფარველი, გურჯის, აბხაზის, ალანის, შაქისა და ხაზარის მეფეთა მეფე...“ ამთავითვე შევნიშნავთ, რომ პირველ ორ შემთხვევაში „აბხაზი“ ნიშნავს სრულიად (აღმოსავლეთ და დასავლეთ) საქართველოს. ეს აღმოსავლეთის სხვა ავტორებთანაც კარგად ჩანს. მაგალითად, ხაყანი შარვანი (XII ს.) გვამცნობს, რომ „აბხაზს მოსახლე გავხდი და ქართულად მოლაპარაკეო“ (ვიმოწმებთ მ. თოდუას წიგნიდან „ქართულ-სპარსული ეტიუდები,“ III, გვ. 33). მესამე წერილში აბხაზი და გურჯი ერთადაა ნახსენები. ე. ი. აბხაზი არ არის ნახმარი სრულიად საქართველოს მნიშვნელობით (სავარაუდებელია, იგი დასავლეთ საქართველოს გულისხმობდეს). არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ წერილების ადრესატი დავით აღმაშენებელია (მ. თოდუა მიიჩნევს, რომ წერილები მიმართულია ლაშა-გიორგისადმი. თუ მ. თოდუას მიერ ირანიდან დაბრუნების შემდეგ წაკითხულ ლექციას გავიხსენებთ, შევნიშნავთ, რომ თავდაპირველად მეცნიერი ქართველ მეფეში დავით აღმაშენებელს გულისხმობდა). ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს წერილების ადრესატის „რუსის მეფეთ-მეფედ“ ან „რუსის მარზბანად“, ან კიდევ „ხაზარის მეფეთა-მეფედ“ მოხსენიება. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, აქ „ხაზარი“ ჩანს „რუსის“ ბადალი. ამის დადგენა ქართული

---

[1] გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 79.

[2] იხ. ლაშა-გიორგისდროინდელი მემატიანე, ცხოვრება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 369.

[3] მ. თოდუა, ქართულ-სპარსული ეტიუდები, III, თბ., 1979.

წყაროებითაც შეიძლება. ხაზარეთის ყოფილი ტერიტორია თამარის პირველი ისტორიკოსის („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი") მიერ რუსეთად არის მიჩნეული. „ქართლის ცხოვრების" სხვადასხვა ნუსხაში (დადიანისეული, ბარათ-ლისეული, ფალავანდიშვილისეული და სხვ.), იქ, სადაც ხაზარეთზეა ლაპარაკი, აშიაზე წერია: „ხაზარეთი რუსეთიაო."[1] ისიც ნიშანდობლივია, რომ მ. თოდუას მიერ გამოქვეყნებულ წერილებში, თუ ხაზარი და ყივჩაყია დასახელებული, რუსი ნახსენები აღარ არის, ან, პირიქით.

სხვადასხვა ისტორიკოსის (ბ. ზახოდერი, ა. კოვალევსკი, ვ. ბარტოლდი, ა. შახმატოვი, ვ. მინორსკი, ნ. ხანიკოვი, ა. ნოვოსელცევი და სხვ.) მოსაზრებების გათვალისწინებით, მუსლიმურ წყაროებზე (ხაყანი, ნიზამი და სხვ.) დაყრდნობით, მართებული ჩანს მ. თოდუას დასკვნები, რომ რუსი არა მარტო თანამედროვე რუსეთის ჩრდილო ნაწილს ეწოდებოდა, არამედ ამიერკავკასიაში დაფუძნებულ გარკვეულ ერთეულსაც (რუსთა ერთ გარკვეულ შტოს) აღნიშნავდა და ამავე მნიშვნელობით იყო ნახმარი ეს ტერმინი ქართველი ადრესატებისადმი გამოგზავნილ წერილებში. ეს **რუსი** მოწყვეტილი იყო პირვანდელ საცხოვრისს და ჩრდილოეთიდან ემეზობლებოდა საქართველოს. როგორც ჩანს, ეს ერთეული ბაგრატიონთა სამეფო სახლის გავლენის ქვეშ მოქცეულია XII საუკუნეში, რაც, თავის მხრივ, ქართველ მეფეთა ტიტულატურაშიც ასახულა.[2]

საქართველოსთან ერთად მისი მეზობლები სამხრეთ-აღმოსავლეთით დიდად დააზიანა თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა XI საუკუნის მეორე ნახევარში.[3] ბიზანტიის იმპერიის უხეშმა ჩარევამ სომხეთის საშინაო საქმეებში დამანგრეველი გავლენა იქონია. სომხეთმა დაკარგა სახელმწიფოებრიობა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ბიზანტიელებმა აჰყარეს და იმპერიის სხვადასხვა მხარეში ჩაასახლეს. ასეთი დამცრობილი, საკუთარ ხელისუფლებას მოკლებული ქვეყნის დაპყრობა სელჩუკებს არ გასჭირვებიათ. მათ მიერ ოთხგზის ლაშქრობის შემდეგ სომხეთი ეკონომიკური და კულტურული დაცემისა და ეთნიკური გადაშენების საფრთხის წინაშე დადგა. ცალკეული სომხური სამთავროები (ლორე, სივნიეთი) უბრძოლველად ჩაბარდნენ თურქ-სელჩუკებს და მათ მორჩილებაში იყვნენ. წარმოიქმნა დვინის, ანისისა და შაჰ-არმენების სელჩუკური საამიროები. თურქ-სელჩუკთა აგრესიის პლაცდარმად იქცა ქ. განძა, რომელიც 1068 წლიდან მათი გავლენის ქვეშ იყო. სწორედ აქედან დაიწყო ლაშქრობები სომხეთისა და საქართველოს წინააღმდეგ. განძის დაპყრობამ განაპირობა თურქ-სელჩუკთა გაბატონება არანში. შირვანშა ფარიბურზ I იძულებული გახდა, სელჩუკთა სასარგებლოდ ხარკი ეკისრა.

სომხეთისა და შირვან-არანის დაპყრობა დიდი დანაკლისი იყო საქართველოსათვის. ამიერიდან სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით მოძმე ხალხების

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 11.

[2] რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002, გვ. 314-315.

[3] ნ. შენგელია, თურქ-სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968.

ნაცვლად მას დამპყრობელი გაუმეზობლდა. სამხრეთი საზღვარი, ფაქტობრივად, მორღვეული იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებელმა საქართველოდან თურქ-სელჩუკების გარეკვის შემდეგ ლორე აიღო (1118 წ.) და ტაშირ-ძორაკეტის სამეფო საქართველოს შემოუერთა. ვარდან ბარძბერდეცი გადმოგვცემს, რომ დავით აღმაშენებელმა საქართველოს შემოუერთა გაგი, ტერუნაკანი, კაინი, კაიწონი, ტავუში, მაჰკანაბერდი და სხვ.[1]

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დავით აღმაშენებლის მიერ შირაკის სამეფოს დედაქალაქის – ანისის გათავისუფლებასა და საქართველოსათვის შემოერთებას (1124 წ.). დავით აღმაშენებელზე სომეხი ხალხის კურსის აღება არ იყო შემთხვევითი. საქართველოს მეფე XII საუკუნის ოციან წლებში ძლევამოსილი იყო და განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობდა. დავითის წინამძღოლობით ქართველი ხალხის წარმატებები სომხებს იმედს უჩენდა, რომ საქართველოს დახმარებით თვითონაც შეძლებდნენ მომხდური მტრის ბატონობისაგან თავის დახსნას (ჰ. მანანდიანი, „სომეხი ხალხის ისტორიის კრიტიკული მიმოხილვა", ტ. III, გვ. 93 (სომხურ ენაზე). არ არის გამორიცხული, რომ ანელ თავადთა ორიენტაცია საქართველოს მეფეზე წინასწარი შეთანხმების შედეგი იყოს. მართებული გვეჩვენება ვარაუდი, რომ სამხრეთით დაინტერესებული დავით აღმაშენებელი გაითვალისწინებდა ანელი ქრისტიანების განწყობილებას. მათ სიძულვილს შედადიანებისადმი და გარკვეულ ღონისძიებასაც გაატარებდა მათი საქართველოს სამეფოსადმი კეთილად განსაწყობად.

დავით აღმაშენებლის მოქმედება თანაგრძნობასა და მოწონებას პოულობდა სომეხ ხალხში იმიტომ, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული სიახლოვე იყო, თანაც საქართველოს მეფე ებრძოდა სომეხი ხალხის დამპყრობლებს.[2] ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ სომეხმა ისტორიკოსებმა დიდების შარავანდედით შემოსეს საქართველოს მეფე.

საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში მეტად საინტერესო მოვლენაა საქართველოს მესვეურთა მცდელობა სომხეთის ეკლესიის შემოსაერთებლად. სომხური ეკლესიის ქართულთან გაერთიანების სურვილმა განსაკუთრებულად იჩინა თავი დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პერიოდში. საქართველოს მეფე, რომელიც უდიდეს პატივს სცემდა სომხური სარწმუნოების აღმსარებლებს,[3] ცდილობს სომეხთა და ქართველთა სარწმუნოებრივ გაერთიანებას.[4] აღნიშნული

---

[1] Вардан Великий, Всеобщая история, пер. Н. Эмина, М., 1861, გვ. 146-147.

[2] С. Т. Еремян, Общность судеб и культурно-политическое содружество народов Закавказья в IX-XIII вв., сб. Кавказ и Византия, I, Ереван, 1979, გვ. 5-9.

[3] ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა, თბ., 1928, გვ. 33-35.

[4] „ქართლის ცხოვრების" ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1953, გვ. 254.

პრობლემის გადასაჭრელად საგანგებო კრება გაიმართა.[1] ამ დისკუსიაში საქართველოს მეფის მოწვევით მონაწილეობდნენ იოანე ქართლის კათალიკოსი, ამ დროის გამოჩენილი მეცნიერი – არსენ იყალთოელი (განმანათლებელი ყოველთა ეკლესიათა), ეპისკოპოსები, მეუდაბნოენი, მეცნიერნი და სხვანი. კამათი დილაადრიან დაწყებულა და „ცხრა ჟამამდე" გაგრძელებულა, მაგრამ საბოლოო დასკვნამდე ვერ მისულან. მაშინ თვით დავით აღმაშენებელი ჩარეულა პაექრობაში. საქართველოს მეფის სიტყვას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია საზოგადოებაზე. მეფისთვის სომხებს მიუმართავთ: „ჩუენ, მეფეო, მოწაფე გუეგონე ამათ მოძღუართა თქუენთა, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ სამე ხარ მოძღუარი მოძღუართა, რომლისა ბრჭალსა ვერ მიმწუთარ არიან ეგე მოძღუარ საგონებელნი თქუენნი".[2]

„ქართლის ცხოვრების" სომხური თარგმანის მიხედვით, დავით აღმაშენებელმა „მარტივი და ცხადი სიტყვით დააწყნარა ორივე მხარე და გაუშვა კრება".[3]

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებისა და მისი სომხური თარგმანის კრიტიკული განხილვა აშკარას ხდის, რომ საეკლესიო კრების მიზანი ქართული და სომხური ეკლესიების გაერთიანება იყო.[4]

მიუხედავად კრების შედეგისა (საქართველოს სამეფოს სურვილი ვერ განხორციელდა, სომხური ეკლესიის შემოერთების საკითხი კი დავით აღმაშენებლის შემდგომ პერიოდშიც იდგა), ქართველ-სომეხთა ურთიერთობა მეგობრული და კეთილი იყო. სომხური ტერიტორიები კი, დავით აღმაშენებლის დროიდან მოკიდებული, საქართველოს უშუალო შემადგენლობაში შედიოდა (ეს დამოკიდებულება მონღოლების შემოსევამდე გაგრძელდა).

საქართველოს ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობდა შირვანთან ურთიერთობას. მას შემდეგ, რაც კახეთ-ჰერეთი საქართველოს ერთიან სამეფოს დაუბრუნდა, შირვანთან დამოკიდებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა. ალბათ, პოლიტიკური შინაარსიც ჰქონდა დავით აღმაშენებლის ასულის – თამარის შირვანშაჰის მემკვიდრეზე დაქორწინებას.[5] ეს ნაბიჯი, როგორც ჩანს, გამიზნული იყო შირვანშაჰთან კეთილი დამოკიდებულების დასამყარებლად და მის ჩასაბმელად თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში. თამარი დაქორწინდა აფრიდუნ შირვან-შაჰის ძეზე – მანუჩეჰრ II-ზე.[6]

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 356.

[2] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 357.

[3] „ქართლის ცხოვრების" ძველი სომხური თარგმანი, გვ. 254.

[4] მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს და სომხეთის ურთიერთობის წარსულიდან. კრებ.: XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 132.

[5] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 334; თამარის ქორწინების თარიღის შესახებ იხ. ნ. ასათიანი, საქართველო-შირვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში. კრებ.: XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 26; З. М. Бунятов, Государство атабеков Азербайджана, Баку, 1978, გვ. 148.

[6] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 17.

როგორც ჩანს, ქორწინების აქტმა დავით აღმაშენებლის მოლოდინი არ გაამართლა და საქართველოს მეფე აქტიურ პოლიტიკურ მოქმედებაზე გადავიდა შირვანის მიმართ. მან რამდენჯერმე დალაშქრა ეს ქვეყანა. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, შირვანის ციხე-ქალაქებში საქართველოს მეფის გარნიზონები ჩადგნენ, საქმეთა გამგებლად კი ვაზირი სვიმეონი – ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი და ბედიელ-ალავერდელი იყო. აქედან მოკიდებული, შირვანი ვასალურ დამოკიდებულებაში იყო ფეოდალური საქართველოს მონარქიასთან. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ დროიდან (XII საუკუნის ოციანი წლები) ატარებდნენ ქართველი მეფეები „შირვანშაჰის" (ამის შესახებ ზემოთაც ითქვა) ტიტულს.[1] ამ ტიტულით XII საუკუნის საქართველოს მეფეთა მოხსენიება წერილობით წყაროებში (სამართლებრივი ძეგლები და სხვ.) არის ერთ-ერთი მაჩვენებელი შირვანის ყმადნაფიცობისა საქართველოს მიმართ. იმ ფაქტზე, რომ XII საუკუნის ოციანი წლებიდან მონღოლთა შემოსევებამდე შირვანი საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყო, საგანგებოდ მიუთითებენ მკვლევრები. ასე მაგალითად, აკად. ვ. ბარტოლდი წერს: "Ширваншахи фактически были подчинены им (грузинским царям)... Сами грузинские цари тоже называли себя ширваншахами."[2] ან კიდევ: "На самом же деле Ширван находился тогда в полной зависимости от грузинских царей, которые сами приняли титул "Ширваншах."[3] აზერბაიჯანის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ე. პახომოვი წერს: "Еще в начале XII в., при царе Давиде IV Строителе, грузины многократно вторгаются в Ширван и подчиняют его своему влиянию."[4] ცნობილი ინგლისელი ორიენტალისტი ვ. მინორსკი დასაბუთებულად აღნიშნავს, რომ "в начале XII века Ширван привлек к себе внимание западных соседей – грузин, царство которых переживало период подъема и экспансии. Грузины не раз вторгались в Ширван... В течение ста лет (вплоть до 1223 г.) Ширван испытывал грузинское влияние и грузинские цари прибавили Ширванша к числу своих титулов."[5] ასე დაწვრილებით არ შევჩერდებოდით ზემომოყვანილ ცნობილ ციტატებზე, რომ ზოგიერთ ისტორიკოსს ეჭვი არ შეეტანა საქართველო-შირვანის დადგენილ ურთიერთობათა ისტორიაში.[6] კიდევ ერთი დასკვნა ცნობილი აზერბაიჯანელი კავკასიოლოგისა და აღმოსავლეთმცოდნის ზია ბუნიატოვისა: "Ширван... был политически и экономически отделен от Азербайджана и Аррана и более других испытывал на себе влияние усилившейся Гру-

---

[1] ნ. ასათიანი, საქართველო-შირვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში, გვ. 39; შდრ.: ჯ. სტეფნაძე, XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის. კრებ.: ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 161.

[2] В. В. Бартольд, Место прикаспийских областей в истории мусульманского мира. Соч., т. II, ч. I, М., 1963, გვ. 692.

[3] В. В. Бартольд, Ширваншах (статья в "Энциклопедии ислама"). Соч., т. II, ч. I, გვ. 877.

[4] Е. А. Похомов, Краткий курс истории Азербайджана, Баку, 1923, გვ. 15-16.

[5] В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, М., 1963, გვ. 180.

[6] იხ. Р. А. Гусейнов, Историография истории Закавказья XI-XII вв. Тюркологический сборник, М., 1976, გვ. 34.

зии... В этом влиянии были заинтересованы и представители ширванской династии, поскольку Грузия могла поддержать владычество Ширвана в Южном Дагестане. Только миром и союзом (в котором Ширван сыграл подчиненную роль) с Грузией можно было обеспечить мир на западной границе владения Ширваншахов."[1] ნიშანდობლივია, რომ შირვანის გამგებლად დავით აღმაშენებელმა სამეფო კარის პირველი ვაზირი დანიშნა (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი და ბედიელ-ალავერდელი სვიმეონი), რაც იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკა შირვანში სამოქალაქო-ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებას ისახავდა მიზნად. დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დროს შირვანის აღმოსავლეთ ნაწილში აღდგენილ იქნა შირვან-შაჰის ხელისუფლება ვასალური დამოკიდებულების პირობით, დასავლეთი ნაწილი კი საარიშიანოს შემოუერთდა, ე. ი. საკუთრივ საქართველოს საზღვრებში შემოვიდა.[2] საქართველო და შირვანი მთელი XII საუკუნის განმავლობაში (განსაკუთრებით გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) დროს) ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ[3] (ასე გაგრძელდა მონღოლთა შემოსევებამდე).

საქართველოს საგარეო პოლიტიკაში დიდი ყურადღება ექცეოდა დარუბანდის საკითხს. გეოგრაფიულმა გარემომ, ეთნიკურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ შექმნა ის ბაზა, რომელზეც ჩამოყალიბდა დარუბანდის ქალაქი-სახელმწიფო.[4] დარუბანდზე გამავალი საქარავნო გზა უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. დავით აღმაშენებელი დიდ ყურადღებას ანიჭებდა კასპიის კარის სტრატეგიულ მნიშვნელობას და აქედან გამომდინარე, არ იყო შემთხვევითი, რომ 1124 წლის აპრილში დავითის მოლაშქრეები ხელში იგდებენ („მოსწყდნეს ქურდნი, ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი") შირვანს (ღასანნისა და ხოზონდის ციხეებს) და მათ მიმდებარე ტერიტორიას, შემდგომში, როგორც ჩანს, დარუბანდსაც.

ჩვენ განგებ ვამახვილებთ ყურადღებას XI-XII საუკუნეების კავკასიაზე, რადგან სწორედ ამ პერიოდში რეგიონი მეტ-ნაკლებად ურთიერთშეკავშირებული ჩანს (ჩვენ ვითვალისწინებთ რა შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ფეოდალური წყობის სპეციფიკურობას, არ ვამახვილებთ ყურადღებას იმაზე, თუ რა პირობებით იყო ეს კავშირი). ფაქტი ერთია, რომ კავკასია (მასში შემავალი სახელმწიფოებით), ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არეგაწამდე,[5] ერთ მთლიან პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ორგანიზმს ქმნიდა.[6] ეროვნულ-

---

[1] З. М. Бунятов, Государство атабеков Азербайджана, Баку, 1978, გვ. 159.

[2] ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 257.

[3] История Азербайджана, Баку, 1958, стр. 142.

[4] იხ. პ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში, თბ., 1975, გვ. 107-141.

[5] ანდერძი დავით აღმაშენებლისა (1125 წ.), ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, II, თბ., 1965, გვ. 19.

[6] С. Т. Еремян, Общность судеб и культурно-политическое содружество народов Закавказья в IX-XIII вв., Кавказ и Византия, т. I, Ереван, 1979, გვ. 8; История Азербайджана, Баку, 1958, გვ. 144.

სარწმუნოებრივი განსხვავების მიუხედავად, კავკასიაში ხორციელდებოდა სრული თანასწორობის პრინციპი. უცხო ეროვნებათა წარმომადგენლებისა და ახალგაზრდა რწმენის აღმსარებელთადმი საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება ლოიალური იყო, მისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა სრულ თანასწორობაზე იყო აგებული.[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის რეგიონის ეკონომიკურ დაწინაურებას ხელს უწყობდა სავაჭრო-სატრანზიტო გზები, რომელიც უძველესი დროიდან არსებობდა და მნიშვნელოვან როლსაც ასრულებდა ვაჭრობისა და საერთოდ სახელმწიფოთა შორის ურთიერთკავშირის განვითარებაში. X საუკუნის შუა ხანებისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა კავკასიის გზების სატრანზიტო მნიშვნელობა. ბიზანტიასთან შეწყვეტილი ვაჭრობის სანაცვლოდ სახალიფომ სავაჭრო ურთიერთობა დაამყარა ჩრდილო კავკასიის, ვოლგისა და დონის აუზის ქვეყნებთან. ამ ვითარებაში განსაკუთრებული მდგომარეობა მოიპოვა თბილისმა, განჯამ, ბარდავმა და დარუბანდმა. გადიოდა აბრეშუმი, საფეიქრო ნაწარმი, ხალიჩები, ნელსაცხებლები, ჩრდილოეთიდან შემოდიოდა ბეწვეული, ქარვა, გადმოჰყავდათ ტყვეები და სხვ. თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა გარკვეული დროით შეაფერხა სავაჭრო ურთიერთობები. XII საუკუნის 20-იანი წლებიდან, დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული აქტიური საგარეო პოლიტიკის წყალობით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სტაბილური პოლიტიკური ვითარება დამყარდა და კავკასიის ეკონომიკური ერთიანობის წინაპირობები შეიქმნა. ამან, თავის მხრივ, სატრანზიტო ვაჭრობის გაზრდა გამოიწვია. დმანისიდან, ყარსიდან და ბარდავიდან აბრეშუმი ირანში გაჰქონდათ. შემოჰქონდათ მატყლი, ირანული და ჩინური ჭურჭელი. საქონლის ერთი ნაწილი ჩრდილოეთში (ძირითადად დერბენდში) გადაჰქონდათ და იქ ჰყიდდნენ. ბარდავიდან გადიოდა საქონელი სამხრეთით – არდებილში, თავრიზსა და სხვა ქალაქებში; ჩრდილოეთში – შამახიის გავლით დერბენდში. მნიშვნელოვანი სატრანზიტო გზა გადიოდა დვინისკენ, შემდეგ ტრაპეზუნდსა და შავი ზღვის სანაპირო მხარეში. XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჯერ მონღოლთა, შემდეგ კი თემურ-ლენგის შემოსევებმა კავკასიის ქვეყნების ეკონომიკის მკვეთრი დაქვეითება განაპირობა და დასავლეთისა და აღმოსავლეთის შემაერთებელმა სავაჭრო მაგისტრალებმა სომხეთისაკენ გადაინაცვლეს. 1453 წელს ოსმანთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობამ კავკასია კარგა ხნით მოსწყვიტა დასავლეთის სამყაროს.[2]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი 12 ტომად, II, თბ., 1983, გვ. 385-387.

[2] კავკასიის სატრანზიტო გზების შესახებ იხ. დ. მუსხელიშვილი, ფეოდალური ხანის საქართველოს და ამიერკავკასიის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში, ჟურნ. „ცისკარი", 1970, 11; В. В. Бартольд, Место прикаспийских областей в истории мусульманского мира. Соч., т. 2, ч. 1, М., 1963; Я. А. Манандян, О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Ереван, 1954; З. И. Ямпольский, К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Куре через Грузию и Черному морю, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1956, ტ. II; История Азербайджана, Баку, 1958, стр. 134.

არ შეიძლება განსაკუთრებულად არ აღინიშნოს, რომ უდიდესი ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზა, რომელსაც „აბრეშუმის დიდი გზა“ ეწოდებოდა, კავკასიაზე (კერძოდ, საქართველოზე) გადიოდა. ამ გზით ჩინეთი შავსა და ხმელთაშუა ზღვების სანაპიროებს უკავშირდებოდა. კერძოდ, კასპიის ზღვით ცენტრალურ კავკასიაზე გადიოდა, გადაკვეთდა საქართველოს და ფაზისიდან ბიზანტიონსა (კონსტანტინოპოლს) და რომს აღწევდა. „აბრეშუმის დიდმა გზამ“ XVII საუკუნიდან დაკარგა მნიშვნელობა. საერთოდ, ამ გზის მნიშვნელობა განუზომელია – მან რეალურად განსაზღვრა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარება.[1]

კავკასიური ცივილიზაციის თავისებურებანი

კავკასიის, როგორც ერთიანი ისტორიულ-კულტურული ფენომენის არსი წარმოჩნდება რეგიონში არსებული ენების მრავალფეროვნებასა და, ამასთან ერთად, მათ (ამ ენათა) ახლო ნათესაობაში. შექმნილია კონცეფცია იბერიულ-კავკასიური ენების ოჯახის არსებობის შესახებ. და თუ აღნიშნულ საკითხში არის განსხვავებული მოსაზრებები, კავკასიის ხალხების ერთობაზე დამაჯერებლად მეტყველებენ ანთროპოლოგიური, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები. ცხადია, საუკუნეების მანძილზე ადგილი ჰქონდა ადამიანთა მასების გადაადგილების, კავკასიის რეგიონში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ჩამოსახლებას. შესაბამისად, შემოდიოდა სხვა ენობრივი ელემენტი და ირეოდა ადგილობრივ მოსახლეობაში. ფაქტი ერთია, რომ გენეტიკური ფესვებისაგან დამოუკიდებლად, ათასწლეულების მანძილზე არსებულ გეოგრაფიულ გარემოში ჩამოყალიბდა კავკასიელის ტიპი ერთგვარი ხასიათითა და ფსიქიკური წყობით. ბევრი თანხვედრაა ფოლკლორში, ისტორიულ თქმულებებში, მსოფლმხედველობრივ წარმოდგენებში, კულტურაში. ამასთან ხაზგასასმელია, რომ თითოეულ ხალხს თავისი კონკრეტული საცხოვრისი ჰქონდა და იბრძოდა თავისი სახელმწიფოებრიობისათვის.

დღესდღეობით, როცა მეცნიერები თანამედროვე სამყაროს, მისი ცივილიზაციის გენეზისზე ლაპარაკობენ, ხაზს უსვამენ მის ევროპოცენტრისტულ ხასიათს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპული ცივილიზაცია შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა[2] და მისი ნაწილობრივი უნივერსალიზაცია შემდგომი პერიოდის მსოფლიოს სტრუქტურებში მოხდა. სწორედ შუასაუკუნეობრივი ევროპული სამყარო, რომელიც ანტიკური საზოგადოების ნანგრევებზე ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი

---

[1] ნ. აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, თბ., 1957, გვ. 116-144; Л. С. Васильев, Культурные и торговые связи ханьского Китая с народами Центральной и Средней Азии, Вестник истории мировой культуры, М., 1958, №5.

[2] Ж. Делорм, Основные события Средневековья, М., 2004.

ათასწლეულის შუა ხანებიდან აღმოცენდა, ევროპული ცივილიზაციის შემდგომი ბედის განმსაზღვრელ ფაზად იქცა.[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიური ცივილიზაცია თავისი ხასიათით ლოკალურია, ის შემთხვევაა, როცა ლოკალურობა უნივერსალიზმის ბუნებრივი შემადგენელი ნაწილია. კავკასიური სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილის იდეოლოგიას ქრისტიანობა განსაზღვრავდა, მეორე ნაწილი ისლამის მიმდევარი იყო. როგორც ერთმა, ისე მეორე რელიგიამ დიდი როლი შეასრულა ცივილიზაციური პროცესების წარმართვაში. შეიქმნა დიდი ქრისტიანული[2] კულტურა (ლიტერატურა, მუსიკა, ხუროთმოძღვრება, ოქრომჭედლობა და სხვ.). ისლამის (ფაქტობრივად, ეს არაბულ-ისლამური ცივილიზაცია იყო) გავლენით იძლია ადრეშუასაუკუნეობრივი ბარბარიზაცია და წინარენესანსული შეფერილობა მიეცა შუა საუკუნეებს.[3]

დღესდღეობით მსოფლიოში შექმნილმა ვითარებამ, დაჩქარებულად (განსაკუთრებით XXI საუკუნეში) მიმდინარე გლობალიზაციურმა პროცესებმა კონკრეტულად დააყენა ცივილიზაციების საკითხი. დასავლეთის (უპირატესად ევროპის, შემდეგ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების) გავლენა მსოფლიოზე და მასთან წინააღმდეგობა სხვა ცივილიზაციებისა, ცივილიზაციათა შეჯახებებს განაპირობებს.[4] ამისი არაერთი მაგალითი არსებობს. ცივილიზაციის ზოგადი ობიექტური მონაცემებია: ენა, ისტორია, რელიგია, ტრადიციები, ასევე თვით ადამიანთა სუბიექტური თვითიდენტიფიკაცია. სწორედ ყველა ამ მონაცემებითაა უაღრესად საინტერესო კავკასიური ცივილიზაცია, ცივილიზაცია, რომელიც, თავისი ლოკალურობის მიუხედავად, საერთო-ევრაზიული ცივილიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილია და მის კონტექსტში თავსდება. აქ ისმება კითხვა: რას უქადის მას გლობალიზაცია. დღეს მეცნიერები ხმამაღლა აცხადებენ, რომ XX საუკუნის სამმა მსოფლიო ომმა (მესამედ „ცივი ომი" იგულისხმება) უდიდესი და უმძიმესი კვალი დააჩნია კაცობრიობას და სამივე უძლიერესი იმპერიების კრახით გასრულდა. პირველმა მსოფლიო ომმა შეიწირა რუსეთის, ავსტრია-უნგრეთისა და ოტომანთა იმპერიები. მეორემ ბოლო მოუღო რეიხს, ბრიტანეთისა და იაპონიის იმპერიებს. მესამე კი საბჭოთა კავშირის დანგრევით დამთავრდა. XXI საუკუნეში, ფაქტობრივად, ცივილიზაციური ომი დაიწყო, როცა დასავლეთის

---

[1] Е. Б. Рашковский, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

[2] შემთხვევით არ დაინტერესდა ახალგაზრდა არნ. ტოინბი ქართული ქრისტიანობით: "Я стал изучать разновидности христианства в Грузии..." (А. Дж. Тойнби, Цивилизация перед судом истории, М., 2003, გვ. 111).

[3] Е. Б. Рашковский, დასახ. ნაშრომი, გვ. 136. არ იყო შემთხვევითი, რომ არაერთი უცხოელი ავტორი დაინტერესდა შუა საუკუნეების კავკასიის ისტორიით, კავკასიური ცივილიზაციით. იხ. Felix Holldak, Von der Sage und dem Reich der grusinishen Königin Tamara (verßassungsgeschichtiches und rechtsphilosopisches), Leipzig, 1906; ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, მ. მგალობლიშვილის თარგმანი და კომენტარები, თბ., 1975; А. Дюма, Кавказ, Тб., 1988... და სხვ.

[4] С. Хантигтон, Столкновение цивилизаций, Полис, 1994, №1, стр. 34; А. Дж. Тойнби, Столкновения цивилизаций, в кн.: Цивилизация перед судом истории, М., 2003, стр. 400-407. იხ. აგრეთვე, რ. მეტრეველი, გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები, თბ., 2006.

(ევრო-ატლანტიკური) ცივილიზაცია დაუპირისპირდა დანარჩენი მსოფლიოს ცივილიზაციებს. მიუხედავად ამ ომის „საინფორმაციო-კულტურული“, ძირითადად მშვიდობიანი ხასიათისა (ზოგიერთი შეიარაღებული კონფლიქტის გამოკლებით), ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ შედეგი, შესაძლოა, კატასტროფული იყოს – დაიღუპოს რომელიმე ცალკეული იმპერია კი არა, მთელი ცივილიზაცია.[1]

ცივილიზაცია, თავისი არსით, გლობალური ისტორიის განუყოფელი ობიექტია. გლობალიზაცია, ერთი მხრივ, ერთიანი მთლიანი, მეორე მხრივ, განვითარების ურთიერთმოწინააღმდეგე ვექტორების მქონე დანაწევრებული პროცესი. ცივილიზაციებს (ორ ან მეტ) შორის დამოკიდებულება, შესაძლოა, იყოს რთული იმის გამო, რომ თითოეული მათგანის გლობალიზაციური ვერსია შეიძლება იყოს ურთიერთსაწინააღმდეგო და კონფლიქტური.[2] გლობალიზაცია განიხილავს ცივილიზაციას ფართოდ, ისტორიის მასშტაბით, ცივილიზაციათა შორის ურთიერთშეღწევისა და ურთიერთგამოკვების შესაძლებლობით. თავის მხრივ, ცივილიზაცია გლობალიზაციური იმპულსების წყაროა. თითოეულ ცივილიზაციას საკუთარი ფასეულობების საფუძველზე გლობალიზაციის პროცესის საკუთარი წარმოდგენა, საკუთარი პროექტი გააჩნია.

ცალკეულ ცივილიზაციაში არის ძალა, რომლითაც იგი ებრძვის სხვა ცივილიზაციისაგან შემოთავაზებულ გლობალიზაციის ვერსიებს. თუმცა ნებისმიერ ცივილიზაციაში მოიპოვება კულტურული ინტეგრაციის გარკვეული პოტენციალი – ახალი ინოვაციური ნაკადი შეიტანოს გლობალიზაციურ პროცესებში. ვფიქრობთ, სწორია მოსაზრება, რომ ცივილიზაცია "... лавирует между стремлением утвердиться, укрепиться, предлагая свой цивилизационный проект всему человечеству, и страхом перед результатами собственных проектов, которые потенциально угрожают ее существованию."[3]

შუა საუკუნეების კავკასიური კულტურა ტრადიციულია, შესაბამისად ცივილიზაციაც ტრადიციულია. აქ შუა საუკუნეები, ისე როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში, XIX საუკუნემდე გაგრძელდა, ვიდრე მრეწველობის რეალური ჩანასახები არ შემოიჭრა რეგიონში (ევროპაში ეს პროცესი XVIII საუკუნეში საფრანგეთის რევოლუციით დასრულდა). მომდევნო პერიოდში საზოგადოება სწორედ შუა საუკუნეების მატერიალური და ინტელექტუალური ნარჩენებით ცხოვრობდა. „ტოტალური ისტორიის“ კონცეფცია (ეს კონცეფცია ფრანგულმა ჟურნალმა „ანალებმა“ წარმოადგინა) კულტურასა და ცივილიზაციასთან ერთად მოიცავს მატერიალურ კულტურას – ტექნიკას, ეკონომიკას, ყოველდღიურ ცხოვრებას. ამასთან კულტურა – ცივილიზაციის და მატერიალურ კულტურას

---

[1] Ф. Фукуяма, Полемика о статье "Конец истории", Диалог-США, 45, 1990, стр. 12; С. Хантигтон, Столкновение цивилизаций, Полис, 1994, №1, стр. 33. შდრ. И. Валлерстайн, Анализ мировых систем и ситуация в современном мире, СПб., 2001, стр. 49-51; П. Дж. Бьюкенен, Смерть Запада, М.-СПб., 2004; А. Дж. Тойнби, Цивилизация перед судом истории, М., 2003.

[2] А. С. Ахиезер, Специфика Российской цивилизации, Цивилизации, вып. 6, М., 2004, გვ. 219.

[3] იქვე, გვ. 220.

შორის არ არსებობს არავითარი იერარქია და ისინი თანაბრად მნიშვნელოვანნი არიან, ტოტალური ისტორია ეყრდნობა სოციალურ ისტორიას, რომელიც ისტორიის ჭეშმარიტი საფუძველია. შუა საუკუნეების ცივილიზაციაში ზოგადად და კონკრეტულად კავკასიურ ცივილიზაციაში არსებითია ადამიანთა მენტალობა, ემოციურობა და ქცევის წყობა, რომლებიც სრულიადაც არ წარმოადგენენ ისტორიის ზედმეტ „მორთულობას". "Символическое мышление, чувство неуверенности или вера в чудеса сказали бы нам больше о средних веках, чем изощренно построенные догмы и идеологические анахроничные абстракции."[1]

ჩვენ შეგნებულად ვამახვილებთ ყურადღებას კავკასიური ცივილიზაციის ლოკალურობასა და ტრადიციულობაზე. საქმე ისაა, რომ მეცნიერები ცივილიზაციათა კლასიფიკაციაში კავკასიურს საერთოდ არ მოიხსენიებენ. არნოლდ ტოინბი ისტორიას მოიაზრებდა როგორც ლოკალური ცივილიზაციების მიმოქცევას, რომელთაც იგი 21-ს მოითვლიდა, შემდეგ თავადვე შეამცირა 13-მდე[2] (ეს ინგლისელი მეცნიერის რამდენადმე სქემატიზებული კონცეფციაა). ა. ტოინბისთვის ცივილიაზაციები ადამიანთა საზოგადოებების გარკვეული ტიპები იყო, რომლებიც ერთგვაროვან ასოციაციებს იწვევდნენ რელიგიის, ხუროთმოძღვრების, მხატვრობის, ადათ-წესების – ზოგადად კულტურის სფეროში. თანაც მეცნიერი კულტურას განიხილავს დროსა და სივრცეში და თვლის, რომ ასე შეიძლება ცივილიზაციის ერთეულის განსაზღვრა. ა. ტოინბისეული ცივილიზაცია ესაა თვითიდენტიფიკაციის საზღვარს მიღწეული კულტურა, რაც შეიძლება იყოს ადამიანური და გლობალური ცივილიზაციის ფარგლებში. მეცნიერი ე. წ. დამოკიდებულ ცივილიზაციათა შორის მოიხსენიებს მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ ცივილიზაციას რუსეთში.[3] ეს ჩვენ სრულიად მართებულად მიგვაჩნია, მაგრამ ამ ფონზე გაუმართლებლად გვეჩვენება კავკასიური ცივილიზაციის არ მოხსენიება, იგნორირება.[4]

---

[1] Ж. Ле Гофф, Цивилизация средневекового Запада, предисловие к русскому переводу, Екатеринбург, 2005, стр. 7. უნდა აღინიშნოს, რომ „ახალი ისტორიული სკოლისა" („ანალები") და მასში შემავალი ისტორიკოსების (მათ შორის ჟ. ლე გოფის) ზოგიერთი მოსაზრება მეცნიერთა კრიტიკის სფეროში მოექცა. იხ. Карлос Антонио Агирре Рохас, Критический подход к истории французских Анналов", М., 2006. საერთოდ ევროპის ისტორიის პრობლემატიკაც კრიტიკულად განიხილება. ცნობილი გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე – უ. ტოპერი სრულიად უარყოფს დღეს არსებული ევროპული ისტორიის ქრონოლოგიას, სასულიერო და საერო ისტორიის კონსტრუირების მექანიზმს. იხ. У. Топпер, Великий обман, Выдуманная история Европы, СПб., 2006. ისტორიის ე. წ. „ახალი ქრონოლოგია" შემოგვთავაზეს რუსმა მეცნიერებმა (არაისტორიკოსებმა) ა. ტ. ფომენკომ და გ. ვ. ნოსოვსკიმ. მათი ერთ-ერთი ბოლო ნაშრომი "Царь славян" 2005 წელს გამოიცა პეტერბურგში. აღნიშნულის კრიტიკული მიმოხილვა იხ. С. О. Шмидт, "Феномен Фоменко" в контексте изучения современного общественного исторического сознания, М., 2005.

[2] А. Дж. Тойнби, Постижение истории, М., 2004, გვ. 97-101.

[3] იქვე, გვ. 98.

[4] ეჭვი არ არის, რომ არნ. ტოინბიმ იცოდა კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ისტორია. იხ А. Дж. Тойнби, Цивилизация перед судом истории, М., 2003, გვ. 111.

თავის მხრივ, ევრაზიის გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ერთობა ყალიბდებოდა ათასწლეულების მანძილზე და ძველი ბაბილონი თუ ასურეთი, აქემენიდური ირანი თუ ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფო, რომის იმპერია, არაბთა სახალიფო თუ ჩინგიზიდების იმპერია მეტ-ნაკლები წარმატებით ისწრაფოდნენ გაეერთიანებინათ უზარმაზარი ევრაზიული სივრცე და ერთიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალად ექციათ იგი.[1] ამასთან ანტიკური თუ შუასაუკუნეობრივი დიდი იმპერიები ემყარებოდნენ ცალკეულ ცივილიზაციურ ცენტრებს. ერთ-ერთი ასეთი ცენტრი ევრაზიის კონტინენტისათვის იყო სწორედ კავკასიის რეგიონი, თავისი ცივილიზაციური სისტემით.

გლობალიზაციური პრობლემები

ამჯერად, როცა გლობალიზაციური პროცესები ხდება ყოვლისმომცველი და შეუქცევადი, სახელმწიფოები, ეთნოსები, ცალკეული ინდივიდები გარკვეული სიფრთხილით (ზოგჯერ შეშფოთებითაც) უყურებენ მათ. წინა ხაზზე გამოდის პრობლემები, რომელთაც საყოველთაო ხასიათი აქვთ ყველა ხალხისა და სახელმწიფოსათვის. ამასთან, მათი გადაჭრა შეუძლებელია ერთი ცალკეული სახელმწიფოსათვის. ესაა უსაფრთხოების, საერთაშორისო ტერორიზმის, ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის, ეკოლოგიური საკითხების გადაწყვეტის, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დაცვის (მათ შორის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების) პრობლემები. მატერიალური წარმოების ინტერნაციონალიზაცია სტიმულს აძლევს სახელმწიფოთა ეკონომიკურ, ფინანსურ და სავაჭრო ურთიერთობების გააქტიურებას. ინტეგრაციული პროცესები ინტენსიური ხდება გლობალური სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის, პლანეტათშორისი საინფორმაციო სივრცის შექმნისა და კულტურული და სოციალური მიღწევების ურთიერთგაცვლის ფონზე. გლობალიზაციას ცვლილებები შეაქვს ცივილიზაციის კონცეფციაშიც კი, რადგან გლობალური ბირთვული კატასტროფის საფრთხე თანამედროვე მსოფლიოში პირველად სვამს საზოგადოების თვითგადარჩენის საკითხს. ყოველივე ეს კი სახელმწიფოთა წინაშე სახავს ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების ამოცანას, მსოფლიო წესრიგისა, რომელიც ყველა ხალხისა და სახელმწიფოს უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, ხელს შეუწყობს მათ თანამშრომლობას ეროვნული და საერთაშორისო ინტერესების ჰარმონიზაციისათვის.[2] გლობალიზაციური პროცესები უბიძგებენ სახელმწიფოებს

---

[1] В. В. Лапкин, В. И. Пантин, Россия и Евразия в контексте глобальной политической истории: проблемы идентичности и политики, Цивилизации, вып. 6, М., 2004, стр. 13.

[2] Л. А. Морозова, Влияние глобализации на функции государства, Известия Международной академии наук высшей школы, М., 2005, №3(33), стр. 88. იხ. აგრეთვე Г. Чоговадзе, Глобаланс, гл. Культура глобализации и глобализация культуры, М., 2006, стр. 76-89.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლობალური პროცესების წინაშე ერთიანობისაკენ, ამასთან, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს სახელმწიფოთა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში.

გლობალიზაციას გარკვეულ პოზიტიურ სიკეთესთან ერთად თან ახლავს ნეგატიური შედეგებიც. საქმე გვაქვს ამერიკელ მეწარმეთა სწრაფად მზარდი კაპიტალის გვერდით, ე. წ. მესამე სამყაროსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ეკონომიკურ დაპირისპირებასთან, რაც ანტიგლობალური მოძრაობის გამომწვევი მიზეზია. მსოფლიოს ეკონომიკური სისტემის განვითარება და საერთაშორისო საფინანსო სისტემის მართვა ე. წ. განვითარებად ქვეყნებში არყევს ხალხის რწმენას გლობალიზაციის კეთილი მისიისა და მისი გავლენით ჩატარებული რეფორმების რაციონალურობაში.

გლობალიზაციისადმი გარკვეული უნდობლობა ბევრ სახელმწიფოშია და გამონაკლისს არც კავკასია წარმოადგენს. მით უმეტეს, რომ რეგიონში მრავალი გადასაჭრელი პრობლემაა. დღესდღეობით კავკასიის ცალკეულ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, ლტოლვილთა რიცხვმა რამდენიმე ასეულ ათასს გადააჭარბა. ყოველივე ამან დღის წესრიგში უპირველეს ადგილზე მშვიდობის პრობლემა დააყენა.

ისტორიულად იყო პერიოდები, როცა მშვიდობა ომებს შორის ხანმოკლე დროით სუფევდა მხოლოდ და არ იყო შემთხვევითი, როცა კაცობრიობა ძველიდანვე ოცნებობდა მშვიდობიანი საზოგადოების შექმნაზე. მშვიდობისათვის ბრძოლამ, თავის მხრივ, განაპირობა დიპლომატიური საქმიანობის სისტემის წარმოშობა და განვითარება. დიპლომატიური საქმიანობის ორგანიზაცია მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მოქმედების ფუნქციას, დიპლომატია იქ იწყება, სადაც ომები მთავრდება. ომის დამთავრება უდიდესი მოვლენა იყო და ქმედითი დიპლომატია უზრუნველყოფდა (ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა უზრუნველყო) ხანგრძლივ მშვიდობას.[1]

კავკასიაში ძველიდანვე მოჩანს ხალხური თუ სახელმწიფოებრივი დიპლომატიის არსებობა. იგი თავის დასაწყისში, რასაკვირველია, არ იყო სრულყოფილი. აქ, ისე როგორც სხვა რეგიონებში, დიპლომატია არ ყოფილა აღჭურვილი სრულყოფილი პოლიტიკური ფორმებით. ზოგადად დიპლომატიური სამსახურის ნორმა შეესაბამება საზოგადოების იმ ბაზისს, რომელიც მოცემულ სახელმწიფოში არსებობდა. კავკასიაში, ისე როგორც მსოფლიოს სხვა რეგიონებში, დიპლომატიური საქმიანობა განისაზღვრებოდა შეთანხმებებითა და მოლაპარაკებებით, ხელშეკრულებებით, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლებოდა გამართულიყო და დადებულიყო.[2]

კავკასიის რეგიონის საგარეო პოლიტიკა ორი მიმართულებით ვითარდებოდა: 1. პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობები კავკასიის რეგიონს შიგნით,

---

[1] რ. მეტრეველი, გ. ბოლოთაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიის შესწავლისათვის, ქართული დიპლომატია, 1, თბ., 1994, გვ. 5-19.

[2] Э. Хоштария-Броссе, Кавказский политический узел в прошлом и настоящем, ქართული დიპლომატია, 9, თბ., 2002, გვ. 45-68.

კავკასიის ქვეყნებში. ეს თავისთავად მნიშვნელოვანი პრობლემა იყო. როგორც ზემოთაც ვნახეთ, კავკასიაში დიდი სიჭრელეა ეროვნული თუ რელიგიური თვალსაზრისით, სოციალური თუ კულტურული დონის მიხედვით და, ცხადია, შიდაკავკასიური პრობლემები უხვად იყო ისტორიის მთელ მანძილზე. ამდენად, პირველი რიგის ამოცანა სწორედ შიდაკავკასიური მშვიდობა იყო.[1]

2. საგარეო ურთიერთობები რეგიონს გარეთ მდებარე ქვეყნებთან: რომის იმპერიასთან, ბიზანტიასთან, ირანთან, ოსმალეთთან, ევროპის, აზიისა და აფრიკის სხვა ქვეყნებთან.

ჩვენ უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური ტრადიციები, ამ ტრადიციების გავლენა საგარეო პოლიტიკაზე. დიპლომატია გარკვეულ დონეზე ამსახველია საზოგადოების პოლიტიკური კულტურისა, რომელიც, თავის მხრივ, პოლიტიკური ტრადიციებით განისაზღვრა. ამ უკანასკნელში ჩადებულია ამა თუ იმ სახელმწიფოს ეთნოკულტურული თავისებურებები.

საზოგადოების საგარეო კავშირები მისი განვითარების ყველა ეტაპზე ამდიდრებს მოცემული ეთნოსის საშინაო ცხოვრებას, გარდა იმ კრიზისული პერიოდებისა, როცა ეთნიკური ტერიტორია ხდება უფრო დაბალი კულტურის მქონე ხალხების შემოსევის ასპარეზი. კავკასიაში ამგვარ მოვლენებს საკმაოდ ხშირად ჰქონდა ადგილი.

კავკასიამ, კავკასიის ხალხებმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისტორიის დიდი გზა გაიარეს. ესაა ადრინდელი, პროტოფეოდალური ხანა, ფეოდალური შუღლისა და დაქუცმაცებულობის პერიოდი, პერიოდი უცხოელთა ბატონობისა, ცარიზმის კოლონიური ჩაგვრისა და საბჭოთა იმპერიის მარწუხებისა. ჩვენ გვიწევს დაფიქსირება იმ ფაქტისა, რომ წყაროების მონაცემებით ყველაზე ახლოს კავკასია ერთიანობასთან XII საუკუნეში იყო, როცა საქართველოს ჰეგემონობით თითქმის მთელი რეგიონი გაერთიანდა. მაგრამ ეს არ იყო, თანამედროვე გაგებით, „კავკასიური სახლი". ეს ფეოდალური ტიპის გაერთიანება იყო.

საქართველოს ძველთაგანვე მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა კავკასიის მთიანეთისა და ცენტრალური კავკასიის მთისწინა ქვეყნებთან. საქართველოს მეფეები მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკურსა და კულტურულ ურთიერთობას ამყარებდნენ ჩრდილოეთის მეზობლებთან. ჩერქეზ-ოსები და დურძუკ-ღუნძები აქტიურად მონაწილეობდნენ კავკასიის ერთიანი დიდი ფეოდალური სამყაროს წარმოქმნაში და, ცხადია, ისინი ვერ დარჩებოდნენ იმ სამყაროს გარეთ, რომელიც ხსენებული პროცესის შედეგად საქართველოს მოთავეობით წარმოიქმნა. თამარის მეფობის ბოლო პერიოდში (XIII ს. დასაწყისი) ჩრდილოკავკასიელი მთიელები საქართველოს მეფის ყმადნაფიცთა შორის იყვნენ და ფეოდალიზაციის გარდა, ერთიანი საქართველოს ძლიერ კულტურულ გავლენას განიცდიდნენ. აქ ჩვენ ვეყრდნობით როგორც რუს, ისე სხვა ჩრდილოკავკასიელ და ქართველ ისტორიკოსთა

---

[1] А. Койчуев, Северный Кавказ: проблемы мира и международного согласия, Caucasica, vol. 2, 1998, стр. 137-147.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზრებებს და „ქართლის ცხოვრების" მონაცემებს. ეს უკანასკნელი მინდა მოვიყვანო კიდეც. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: [დავით აღმაშენებლის] „ჩრდილსა შეკრებილ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ხელმწიფენი, ოვსეთისა და ყივჩაყეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი".[1]

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" გვაუწყებს, რომ გიორგი III-ს „სძღვნობდეს და სძმობდეს... მეფენი ბერძეთანი, იერუსალიმს ალამანთანი, და ჰრომთანი, და ჰინდოთანი, და ხონელნი... სკვითნი, ხაზარნი, ალანნი, ხუარასანი და ხუარაზმშა..." და ა. შ. „ყოველნი ენანი და ნათესავნი მაშრიყით მაღრიბამდე".[2]

კავკასიის ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში) სწორედ ომებისა და სხვა ხელისშემშლელი პირობების (შინა დაძაბულობა და წინააღმდეგობები გვაქვს მხედველობაში) გამო ძლიერი სახელმწიფოები ხანგრძლივად ვერ არსებობდა. ვერც ძლიერი სახელმწიფოებრიობისაკენ მისწრაფება იქცა პოლიტიკური ტრადიციების მაგისტრალურ ხაზად.

ისეთ დიდსა და მძლავრ სახელმწიფოებში, როგორიცაა აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, იაპონია პოლიტიკური ვითარება შედარებით მდგრადია, სახელმწიფოთა პოზიციების ბევრი კომპონენტი უცვლელია და მათი ეროვნული ინტერესები ნაკლებადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი რეჟიმებია ამ ქვეყნებში. ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, ზღვაზე გასასვლელის არსებობა, საზღვრების დაცული კონფიგურაცია და, რაც მთავარია, გეოპოლიტიკური მდებარეობა – ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც XVIII საუკუნის მონარქიისათვის, ისე XX საუკუნის რესპუბლიკისათვის, როგორც ტირანული რეჟიმის, ისე დემოკრატიული სახელმწიფოსათვის.

პოლიტიკური ცხოვრების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება ეროვნული ინტერესების ცნების გართულებით. დღეს მსოფლიოს ქვეყნები ისეა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ ეროვნული ეგოიზმის გამოვლინების არც ერთი ფაქტი არ რჩება რეაქციის გარეშე. გეოპოლიტიკური სივრცის სიმჭიდროვე განაპირობებს ძალთა ბალანსის მტკიცედ დაცვას. ეროვნული ინტერესები, ისე როგორც საერთაშორისო ურთიერთობის თეორიის სხვა საკითხები, ისტორიული კატეგორიაცაა. იგი განვითარების გარკვეულ სტადიებს გადის და ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე „სახელმწიფო ინტერესების" კატეგორიას შეესატყვისება.

კავკასიის რეგიონისათვის, ისე როგორც ყველა ქვეყნისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანია საგარეო და საშინაო პოლიტიკის ურთიერთკავშირი.[3] ანალიზი გვიჩვენებს, რომ მტრები, რომლებიც ქვეყნის დაქუცმაცებასა და დამორჩილებას ისახავენ მიზნად, ყოველთვის ეყრდნობოდნენ ქვეყნის შიგნით არსებულ სეპარატისტულ ძალებს. სეპარატიზმს ჩვენში დროზე არ მიექცა ყურადღება.

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 360.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 22-23, 360.

[3] Дж. Квициани, Грузино-северокавказские отношения сегодня (реальность и перспективы), Caucasica, vol. 3, Тб., 1999, стр. 81-85; Э. Копалиани, Дж. Квициани, Кавказ в XX веке, Тб., 2001.

ვერავინ იფიქრა, რომ შეიძლებოდა ძველი წყობის დამხობა და, რომ ამის შემდეგ სეპარატიზმს ხელ-ფეხი გაეხსნებოდა. იმპერიისაგან თავდასხმის მოშენები ცალკეული რეგიონების მიერ (მაგალითად, საქართველოში) გამოყენებული იქნა გამოყოფისათვის. ცხადია, იქ გარეშე ძალებმა შეასრულეს დიდი როლი. დესტრუქციული ნაციონალიზმი და მისი უკიდურესი გამოვლენა – სეპარატიზმი ძვირი უჯდებათ ხალხებს.

დაძაბული მშვიდობის (არ ვიცით, რამდენად ზუსტია ეს ტერმინი) პირობებში, განსაკუთრებით მსოფლიო სოციალისტური სისტემისა და საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, კავკასიის ქვეყნების, ისე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინაშე, დადგა ძალზე სერიოზული ამოცანა: განსაზღვრონ თავისი ადგილი მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში.

თანამედროვე მსოფლიოში საკუთარი ადგილის პოვნა საკმაოდ რთულია. ამისთვის საჭიროა არა მხოლოდ ეკონომიკური სტრუქტურის, არამედ მენტალიტეტისა და საზოგადოებრივი თვითშეგნების შეცვლა. ეს საკმაოდ მტკივნეული პროცესები ნაკლებადაა საგრძნობი ბუნებრივი რუსურსებით, კერძოდ, წიაღისეულით მდიდარ ქვეყნებში, როგორიცაა: აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი. უფრო რთულადაა საქმე იმ სახელმწიფოებში, სადაც წიაღისეული სიმდიდრე არ არის. ასეთთა შორისაა სომხეთი, საქართველო და შავი ზღვის აუზის უმრავლესი ქვეყანა.

აქ მნიშვნელოვანია ისეთი ბუნებრივი რესურსი, როგორიცაა ეკონომიკურ-გეოგრაფიული (პირველ რიგში, სატრანსპორტო-გეოგრაფიული) მდებარეობა. კავკასია თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ევროპასა და აზიას შორის არსებული ბუნებრივი ხიდია. კავკასიაზე გადის აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის უმოკლესი გზები. ამგვარმა ეკონომიკურ-გეოგრაფიულმა მდებარეობამ კავკასიის წინაშე გადაშალა საუკეთესო პერსპექტივები სატრანზიტო გადაზიდვებისა და საერთაშორისო ვაჭრობისათვის, წარმოშვა სტიმული რეგიონში ინფრასტრუქტურისა და წარმოების განვითარებისათვის.[1]

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ კავკასია თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ძალზე მცირე ხანს სარგებლობდა ხელსაყრელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით. ისიც მაშინ, როცა რეგიონის პოლიტიკური ვითარება იძლეოდა ამის საშუალებას. აქ სწორედ ომების, სხვა გართულებებისა და მშვიდობის შეფარდების საკითხი დგება დღის წესრიგში.[2]

„აბრეშუმის დიდი გზა“ – ეს უმნიშვნელოვანესი საქარავნო გზა, რომელიც ჭეშმარიტად მშვიდობის გზა იყო, კავკასიის გავლით აღმოსავლეთ ჩინეთს

---

[1] B. Amir Ahmadian, Caucasica: Geopolitical Buffer Region (A New Concept for Devolopment), Caucasica, vol. 2, 1998, გვ. 24-35.

[2] Р. Метревели, Кавказ на рубеже тысячелетий, Caucasica, vol. 4, 2001, стр. 81-86.

აერთებდა რომთან, გარკვეულ პერიოდში დასავლეთ ევროპის ქვეყნებთანაც. მას შემდეგ, რაც XV საუკუნეში ოსმალებმა დაიპყრეს კონსტანტინოპოლი, ტა პრაქტიკულად შავი ზღვის აუზს დაეუფლნენ, კავკასიამ (კერძოდ საქართველომ) დაკარგა ის უპირატესობა, რომელიც მას ხელსაყრელი გეოგრაფიულ-ეკონომიკური მდებარეობით გააჩნდა.

ამჟამად ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის ფაქტორს კვლავ მიეცა დიდი მნიშვნელობა კავკასიისათვისა და ცენტრალური აზიისათვის. ამდენად, აქტუალური გახდა „აბრეშუმის დიდი გზის" მარშრუტი.

ახალ ვითარებაში, თანამედროვე გეოპოლიტიკურ პირობებში, შავი ზღვის აუზის 11-მა სახელმწიფომ შექმნა შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (1992 წ.), 1993 წლის მაისში კი, ბრიუსელში სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთისა და ევროკავშირის წარმომადგენლების მონაწილეობით შეიქმნა ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო კორიდორის პროექტი, რომელსაც 1996 წელს უკრაინა და მონღოლეთი შეუერთდნენ.[1]

საბჭოთა კავშირის დანგრევის პროცესმა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, რეგიონში მძიმე ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები წარმოიშვა, რომლებიც ყოფილი ცენტრის მიერ იყო ინსპირირებული. იმისათვის, რომ „ჭირვეული" რესპუბლიკები შეენარჩუნებინა, „ცენტრმა" ზოგიერთ რესპუბლიკაში „ინტერფრონტები" შექმნა, ზოგან კი მოახერხა რესპუბლიკური ხელისუფლებისათვის ავტონომიების დაპირისპირება. ამგვარი ქმედება ბუმერანგივით შემოუბრუნდათ. დაიწყო სუვერენული ავტონომიების „პარადი" ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. იმპერიული ძალები მაინც ცდილობდნენ და დღესაც არ აკლებენ ხელს, რომ როგორმე აღადგინონ საბჭოთა კავშირი და კომუნისტური რეჟიმი. ამის ნიმუშია რუსეთის ცალკეული საპარლამენტო ჯგუფების წარმატებული ანტიქართული (შესაბამისად, ანტირუსული) საქმიანობა აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში. ეს, ფაქტობრივად, იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეთნოკონფლიქტების დაწყებისა, რაც, სამწუხაროდ, ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის შეიარაღებულ ბრძოლაში გადაიზარდა. 1988 წლიდან აქამდე გრძელდება სომეხ-აზერბაიჯანელთა კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის გამო. ყოველივე ამან კავკასიის ქვეყნების ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენა, გამოიწვია პოლიტიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი დესტაბილიზაცია და რეგიონის ასობით ათასი ადამიანი ლტოლვილად იქცა.

ომის შეწყვეტა და რუსეთის მონაწილეობით კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესი ძალზე გაჭიანურდა.[2] სეპარატიზმი და ტერორიზმი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში ვითარების დესტაბილიზაციის ერთ-ერთი

---

[1] V. Papava, Strategic Economic Partnership in Caucasus, Caucasica, vol. 2, 1998, გვ. 189-197.

[2] ა. რონდელი, დსთ: საფრთხე თუ უსაფრთხოება? ქართული დიპლომატია, 4, 1997, გვ. 5-17.

ძირითადი ფაქტორია. საჭიროა რუსეთის „მშვიდობისმყოფელ“ როლს მიეცეს თავისი ლოგიკური დასასრული – დამყარდეს მშვიდობა რეგიონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის ხალხებმა აღარ უნდა გაიმეორონ ახლო წარსულის შეცდომები, როცა 1918-21 წლებში[1] სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკა (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) არსებობდა და როცა ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ და აშშ-მა გამოიჩინეს ინტერესი და რეგიონზე თავისი პროტექტორატის გავრცელება მოინდომეს. ამიერკავკასიაში გამუდმებული შიდაომებისა და ეთნოკონფლიქტების გამო მსოფლიოს ეს უდიდესი სახელმწიფოები იძულებულნი გახდნენ ამ იდეის განხორციელებაზე უარი ეთქვათ. ამით რუსეთმა ისარგებლა და ყველაფერი გააკეთა ამიერკავკასიაში დამკვიდრებისათვის.

ვფიქრობთ, რუსეთის მთავრობის პოზიციის განსაზღვრისა და მათთვის კავკასიის მნიშვნელობის გარკვევისათვის ძალიან საინტერესოა ი. სტალინის ინტერვიუ, რომელიც „პრავდაში“ დაიბეჭდა 1920 წლის 30 ნოემბერს: "Важное значение Кавказа для революции определяется не только тем, что он является источником сырья, топлива и продовольствия, но положением его между Россией и Турцией, и наличием важнейших экономических и стратегических дорог (Батум – Баку, Батум – Тавриз, Батум – Тавриз – Эрзерум)."

კავკასიის მნიშვნელობა განუზომლად დიდია დღეს, როცა ევრაზიის კონტინენტზე მშვიდობაა, დაძაბული მშვიდობა. მაგრამ დღის წესრიგში მნიშვნელოვანი საკითხები დგას. ესაა სახელმწიფოებისათვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, თუ სხვა საკითხების მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით მოგვარება. საქართველოს სახელმწიფოს მიერ წამოყენებული დევიზი „მშვიდობიანი კავკასიის“ შესახებ მიღებულია რეგიონში და გაზიარებულია მთელს მსოფლიოში. საჭიროა, ყოველმხრივ შეეწყოს ხელი კავკასიაში მშვიდობას, და, როცა ყველა საკითხი მოგვარდება, ყველა პრობლემა გადაიჭრება, მშვიდობას დაძაბულობა მოეხსნება და იგი მასშტაბურად დამკვიდრდება მთელს რეგიონში, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ კავკასიაში ომებისა და მშვიდობის პრობლემა, უფრო სწორად ომებისა და მშვიდობის ბალანსი ამ უკანასკნელის – მშვიდობის სასარგებლოდ გადაწყდება.

* * *

დღესდღეობით მთელი სიგრძე-სიგანით დადგა საკითხი ეროვნებათშორისი კონფლიქტების რეგულირება-მოგვარებაში საერთაშორისო საზოგადოების მონაწილეობისა. საერთაშორისო დონეზე საკმაოდ ნათლადაა ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებათა უნივერსალური კონცეფცია, რომლის აღიარება და პატივისცემა აყვანილია საერთაშორისო სამართლის პრინციპების დონეზე. სა-

[1] Г. Аветисян, Идея конфедеративного объединения Кавказских республик в 1918-1921 годах, Caucasica, vol. 2, Тб., 1998, стр. 43-52.

ხელმწიფოებს გაუჩნდათ საერთო ინტერესები, რომელთა ერთიანობა ზოგადსაკაცობრიო ინტერესების ბაზაზე განაპირობებს ამ სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესების ინტერნაციონალიზებას.[1] ცხადია, ყველა სახელმწიფოა დაინტერესებული მსოფლიო წესრიგში და მხარს უჭერს მის დამყარებას. აქ დღის წესრიგში დგება კოლექტიური უსაფრთხოებისა და ერთობლივი თავდაცვის საკითხები, რადგან დღეს არც ერთ ცალკე აღებულ სახელმწიფოს არ შეუძლია თავის დაცვა.[2]

ერთი რამ ცხადია, რომ მსოფლიო სოციალისტური სისტემის კრახმა ხელი შეუწყო საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას, სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებას, შესაძლებელი გახადა მათ შორის გლობალურ საკითხებზე მოლაპარაკება-შეთანხმება. ეს გლობალური პროცესებისათვის წამახალისებელი მძლავრი მუხტი იყო.

რეალობა ისაა, რომ, მიუხედავად სახელმწიფოთა ურთიერთობის ინტენსიურობისა, რასაც თან სდევს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ფუნქციებისათვის საერთაშორისო ასპექტების შეძენა, ეროვნული პოლიტიკა და ეროვნული ინტერესები შინაგან ფუნქციებში კვლავ დომინირებენ. კვლავ ძალაშია ძირითადი ეროვნული ინტერესები: ქვეყნის შიგნით წესრიგის დაცვა, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა თავისი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის, კანონმდებლობის ეფექტურობა, განვითარების სტაბილურობა, ქვეყნის ძლიერებისათვის ზრუნვა. ეს ინტერესები სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი წარმმართველი ძალაა.

მიზანი – მშვიდობიანი კავკასია

სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი ნაწილის ერთ ეკონომიკურ სისტემად ინტეგრირებას, ყველა სახელმწიფოს ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულების გაფართოებას, ადამიანურ ფასეულობათა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის მთავარ ორიენტირად აღიარებას არ შეუძლია შექმნას საფუძველი მსოფლიო წესრიგის დედამიწაზე დამყარებისა. ნიშანდობლივია, რომ მსოფლიო წესრიგის მოდელი უნიპოლარულობას (ერთპოლარულობას) გულისხმობს.[3] აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ თანამედროვე მსოფლიო ჯერჯერობით შორსაა ეთნოლარულობისაგან. ამისი მიზეზი კი ისაა, რომ სახელმწიფოთა შორის დიდი სხვაობაა ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით. ძნელია თანამშრომლობა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებსა და ე. წ. „მესამე სამყაროს" სახელმწიფოებს (მათ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიც შეუერთდა) შორის. ეს განსაკუთრებით მაშინ, როცა გააფთრებული კონკურენციაა გასაღების

---

1 Э. Исмаилов, В. Папава, Центральный Кавказ: от геополитики к геоэкономике, Стокгольм, 2006; Р. Метревели, Кавказ на рубеже тысячелетий, Caucasica, vol. 4, 2001, стр. 81-86.

2 И. И. Лукашук, Глобализация, государство, право, XXI век., М., 2000, стр. 23.

3 იხ. П. Дж. Бьюкенен, Правые и неправые, М., 2006, стр. 281-285.

ბაზრებისათვის, ბრძოლაა საზღვარგარეთული კაპიტალის შემოჭრის წინააღმდეგ. როცა ეროვნული ეკონომიკა დამოკიდებული ხდება საზღვარგარეთ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, კონკურენტთა შერწყმა ერთ მთლიან ორგანიზმად პრაქტიკულად შეუძლებელია.[1] კავკასიის რეგიონი, აქ არსებული რთული პროცესების გამო, რიგი მოუგვარებელი პრობლემების მიზეზით ძნელად შედის ინტეგრაციულ-გლობალიზაციურ პროცესებში. პირველი რიგის კავკასიური პრობლემაა ეთნოკონფლიქტების მოგვარება, ცალკეული სახელმწიფოების (აზერბაიჯანი, საქართველო) ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და საერთო მშვიდობის დამყარება. რომელიც აღნიშნულ სიტუაციაში იმ გამოწვევას, რომელიც კავკასიაში შექმნილმა ვითარებამ განაპირობა, გარკვეული პასუხი სჭირდება. გამოწვევა არნ. ტოინბის ისტორიის მამოძრავებელ ძალად მიაჩნია, მასზე პასუხი კი ისტორიის განვითარებას გარკვეულ მიმართულებას მისცემს.[2] კავკასიურ გამოწვევას პასუხად „მშვიდობიანი კავკასიის" კონცეფციის განვითარება უნდა დაედოს საფანლად და იგი უნდა იქცეს ხალხებს შორის კულტურული დიალოგის საფუძვლად. ამ კონცეფციის რეალობამდე მიყვანისათვის აუცილებელია კავკასიის რეგიონში შემავალი ქვეყნების ერთობლივი მუშაობა იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც კავკასიითა არიან დაინტერესებული, რომლებსაც ეს მხარე „სჭირდებათ". ეფექტური ინტელექტუალური და პრაქტიკული საქმიანობის „მშვიდობიანი კავკასიის" კონცეფციის განხორციელებისათვის უპირველესად აუცილებელია რეგიონის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა ყველა პარამეტრით, მისი „შეცნობა".[3] ამისათვის საჭიროა მეცნიერულ-პრაქტიკული და ექსპერტულ-ანალიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლა.

მართებულად მიგვაჩნია ქართველ მეცნიერთა (მ. ქანთარიას, გ. გოცირიძის და სხვ.) მოსაზრებები, რომ მსგავსი გეოგრაფიული გარემო, მეურნეობის სპეციფიკური პირობები, მჭიდრო კულტურულ-ისტორიული კავშირი ქმნიდა საერთო-კავკასიური კულტურული სამყაროს ფორმირების წინაპირობას.[4] ზოგიერთი მეცნიერი (რ. აბდულატიპოვი, ვ. ჩერნოუსი, რ. ხანახუ და სხვ.) მიიჩნევს, რომ საჭიროა ერთიანი კავკასიის კულტურის შექმნა და მისი ადაპტაცია ახალ, თანამედროვე ნიადაგზე. ამასთან, ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ კავკასიის ხალხთა დაახლოების შემდგომი ტენდენცია არ უკავშირდება ეთნიკური სხვაობის ნიველირებას და გაურკვეველ სუპერერთობაში შერწყმის ლტოლვას, რადგან შინაგანად ყოველი ეთნოსი თავის ტრადიციებს ანიჭებს პრიორიტეტს და სამართლიანად მიიჩნევს, რომ მოცემული ეთნოსის ღვაწლი

---

1 А. Л. Страус, Униполярность – концентрическая структура нового мирового порядка и позиция России, Политические исследования, 1997, №2, стр. 27-44.

2 К. Э. Сорокин, Кто про что, а американцы про униполярность, Политические исследования, №2, 1997, стр. 48.

3 А. Дж. Тойнби, Вызов и ответ, в кн. Постижение истории, М., 2004, стр. 113-132.

4 Р. Метревели, Кавказ на рубеже тысячелетий, Caucasica, vol. 4, 2001, стр. 81-86; Э. Копалиани, Дж. Квициани, Кавказ в XX веке, Тб., 2001.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნიკალურია რეგიონალური კულტურის სისტემაში.[1] ამასთან დაკავშირებით დგება რეგიონალური ეთნოლოგიური სამსახურის შექმნის საკითხი.[2] ამასთან, უმეტეს, რომ მსოფლიოს რიგ ქვეყნებში (მაგ., საფრანგეთში, ესპანეთსა და ისრაელში) ფუნქციონირებენ საგანგებო ეთნოლოგიური საკოორდინაციო საბჭოები, რომლებიც შესაბამის პროცესებს იკვლევენ. ამას გარდა, ამავე ქვეყნებში სპეციალურად ამზადებენ კულტუროლოგებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი ადმინისტრაციულ და სამეურნეო სისტემის სხვადასხვა დაწესებულებაში, თანაც ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობის მდგომარეობას სწავლობენ და საჭირო შემთხვევაში სახელმწიფოებრივ დონეზე აყენებენ გადასაჭრელ პრობლემებს.

დადებით როლს კავკასიის „შეცნობასა" და მის მომავალზე ასრულებს კავკასიის ხალხების თანამედროვე პოსტსაბჭოური სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი. ამჟამად ქართულ-ჩრდილოკავკასიურმა ურთიერთობამ, ფედერაციული ურთიერთობების წინსვლით რუსეთში, შეიძლება მიიღოს ახალი შინაარსი. ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს გააჩნიათ რესპუბლიკების სუვერენიტეტისა და კონსტიტუციის დეკლარაცია, ფედერაციული ხელშეკრულება და რუსეთის კონსტიტუცია, რესპუბლიკების ხელშეკრულება ფედერაციულ ცენტრთან და ურთიერთდელეგირება და უფლებამოსილების გამიჯვნა, მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებები, შეთანხმებები რესპუბლიკებსა და ფედერაციის სხვა სუბიექტებს შორის. მაგალითად, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ვკითხულობთ, რომ ის არის სუვერენული, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში და იმავე კანონით ფლობს ფართო უფლებებს, ითანამშრომლოს კულტურისა და ეკონომიკის სფეროებში საერთაშორისო არენაზე.[3]

ეჭვგარეშეა, რომ ამ და სხვა დოკუმენტებით საფუძველი ექმნება სამართლებრივ პრინციპებს, პრობლემების გადაჭრის მექანიზმებსა და პროცედურებს, მათ შორის, სახელმწიფოსათვის მთავარი ფუნქციის შესრულებას – ეთნიკური რეპროდუქციის უზრუნველყოფასა და მის განვითარებას. ცხადია, რომ მეზობელი რეგიონის ასეთი ეთნოპოლიტიკური განვითარება ხელს შეუწყობს საქართველოსთან თანამშრომლობის ფართო სპექტრის დამყარებას, აგრეთვე, კავკასიის სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობას.[4] ამ უკანასკნელებმა კი უნდა შეიმუშაონ შეთანხმებული საკანონმდებლო და სამართლებრივი აქტები,

---

[1] М. В. Кантариа, Г. Ш. Гоциридзе, О создании региональной этнологической службы Грузии, Научная мысль Кавказа, Ростов, 1997, №3, стр. 74.

[2] Р. А. Ханаху, Традиционная культура Северного Кавказа: вызовы времени (социально-философский анализ), Маикоп, 1997, стр. 31.

[3] М. В. Кантариа, Г. Ш. Гоциридзе, იქვე. ამ სამსახურმა პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს ყოფასა და ხალხურ გამოცდილებას და მათ საფუძველზე – ინოვაციის დანერგვას.

[4] Р. Акофф, Планирование будущего кооперации, М., 1985, стр. 100.

რომლებიც ხელს შეუწყობს კავკასიის ქვეყნების ინტეგრაციას და შექმნის საერთო-კავკასიურ ეკონომიკურ და კულტურულ სივრცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონების თვითმმართველობის განვითარების დაწყებული პროცესის ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანდათან იქმნება ინტელექტუალური, ეკონომიკური, პოლიტიკური პირობები ელიტის თავისუფლებისა და თვითგამოხატვის ფორმირებისთვის. უფრო მეტიც, რეგიონში ამ ტენდენციის შემდგომი განვითარება უეჭველად მიგვიყვანს (ცალკეულ შემთხვევებში მიგვიყვანა კიდეც) მოთხოვნილებასთან „ქვემოდან" როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ისე სახელმწიფოთაშორის რეგიონალურ ინტეგრაციამდე.

ახალი, ინტეგრირებული კავკასია, თავისი კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემებით, მოითხოვს ცვლილებას ყველა პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის აზროვნებაში. დღის წესრიგში დგას ისეთი კარდინალური პრობლემა, როგორიცაა აზროვნების პარადიგმების ცვლა. მომავლისადმი ბუნებრივ-მეცნიერულმა მიდგომამ უნდა მიგვიყვანოს მიდგომის იმ ცვლამდე, რომელიც დაკავშირებულია ახალი სისტემის კონსტრუირებასთან და პროექტირებასთან, სოციალურ კავშირებთან და ურთიერთობებთან. ეს პროცესი უნდა განხორციელდეს არა ინდივიდუალურად, „ეგოცენტრიზმზე" დაყრდნობით, არამედ კოლექტიური აზრთშემოქმედებით იმ სუბიექტებისა, რომლებიც გვაძლევენ რეალური პერსპექტივის გარანტიას. არსებითად, საქმე ეხება კავკასიის რეგიონის მომავალი მოდელის „ინტერაქტიულ" დაგეგმვას.[1] იგი ემყარება სამ საბაზო პრინციპს. ესენია: მონაწილეობის პრინციპი (კრიტიკული და კონფლიქტური სიტუაციების „განბლოკების" პროცესში რაც შეიძლება მეტი დაინტერესებული მხარისა და პირის ჩაბმა), „უწყვეტობის" პრინციპი (სიტუაციის მუდმივი და სისტემატური კონტროლი და რეალიზებულ სტრატეგიაში კორექტივების შეტანა), „ხოლიზმის" პრინციპი (დაგეგმვა „ყველასგან უცებ", რაც ითვალისწინებს კოორდინაციას, „ერთი და იმავე დონის" მხარეების ურთიერთმოქმედებას, ინტეგრაციას, „სხვადასხვა დონის" მხარეების ურთიერთმოქმედებას). ამასთან, სასურველია, პარალელურად აყალიბებდნენ კოალიციას და ურთიერთობის ინფრასტრუქტურას მეცნიერები, პედაგოგები, კულტურის მოღვაწენი, სხვადასხვა კონცეფციის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, ყოფილი სამხედროები, შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილენი, არასამთავრო სტრუქტურების აქტივისტები და ა. შ.

მაშინ ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელა, მაგრამ მაინც შეიცვლება სასიკეთოდ სიტუაცია კავკასიაში და შეწყდება საუბარი ამ რეგიონზე, როგორც პლანეტის ცხელ წერტილზე. მხოლოდ ასე მოხერხდება მხარეთა თანასწორუფლებიანი არსებობა,

---

[1] დღესდღეობით, როგორც არასდროს, საჭიროა ძალების მჭიდრო და მტკიცე კოოპერირება ცივილიზაციის პრინციპულად ახალი ღირებულებით – ნორმატიული ბაზისის შემუშავებისათვის, რომელშიც მოცული იქნება ხალხებისა და სახელმწიფოების ურთიერთობის პრობლემები (იხ. Э. С. Маркарян, Планетарный кризис сквозь призму научно-образовательной культуры, Научная мысль Кавказа, Ростов, 2000, №3, стр. 106).

„მტრის“ ხატის წარმოდგენის დაძლევა, სრულყოფილ შიდაკავკასიურ დიალოგზე გადასვლა, მშვიდობიანი და უსაფრთხო კავკასიის მომავლის ერთობლივი დაგეგმვის დაწყება, ესე იგი, გადასვლა განვითარების ახალ სტრატეგიაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბოლოს, საჭიროა კავკასიის „შეკრება“, თანაც ისე, რომ არც ერთი მხარის მიერ შემოთავაზებული არც ერთი დასმული საკითხი არ დარჩეს ყურადღების მიღმა. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ერთი პირობით: ეს პირობაა რეგიონის ცალკეულ სახელმწიფოთა მიდგომების შეთანხმების აუცილებლობა, რეგიონალური განვითარების უმთავრესი საკითხების დადგენა და შეფასება, საერთორეგიონალური ფასეულობების სისტემის შემუშავება. უნდა შემუშავდეს პოლიტიკა, რომლის მთავარი ამოცანა იქნება კონფლიქტების შემსუბუქება და ადაპტაციურ მექანიზმებში დარღვევების გამოსწორება, შეთანხმების მიღწევა ძირითადი საკითხების შეფასებაში. უთუოდ გასათვალისწინებელია გერმანელი ფილოსოფოსის, კ. მანჰეიმის აზრი, რომ „ ... საზოგადოების მომავალი დამოკიდებულია იმაზე, შევძლებთ თუ არა ძირითად ღირებულებებსა და სოციალური რეფორმების მეთოდებში შეთანხმების მიღწევას.“ თანამედროვე კავკასიაში ხალხთა კონსოლიდაციის როლი უნდა შეასრულოს რეგიონალიზმის იდეამ, რომელიც არ მისცემს საშუალებას კავკასიის თანასაზოგადოებებს, ერთი მხრივ, ჩაიძირონ კოსმოპოლიტურ უნივერსალიზმში, როგორც ამას წარმოაჩენენ მონდიალისტურად განწყობილი მეცნიერები (მაგ., ფ. ფუკუიამა და სხვ.), მეორე მხრივ, გაექცნენ „ეთნოცენტრიზმის“, ნაციონალიზმის, ეკონომიკური იზოლაციონალიზმისა და ჭარბი სუვერინიზაციის უკიდურესობებს. ყოველივე კი უკავშირდება „კავკაზოცენტრიზმის“ კონცეფციის შემუშავებას, რაც, თავის მხრივ, მიჩნეულია რეგიონალური დემოკრატიის მოდელად და განიხილება როგორც „გლობალურ-ლოკალური“ ანტინომიის მოხსნის ოპტიმალური ვარიანტი. თუ მოხერხდება აღნიშნული კონცეფციის ცხოვრებაში გატარება, იგი შექმნის წინაპირობებს – აღარ იქნება არასტაბილური რეგიონი, მტრობასა და კონფლიქტს შეცვლის მშვიდობა. ყველა სახის პოლიტიკური კრიზისი, მით უფრო გარედან პროვოცირებული, აგრეთვე შიდა კონფლიქტები და ჰუმანიტარული კატასტროფები, რაც, წესისამებრ, უმალ რეაგირდება საერთაშორისო ჩარევით, აღარ უნდა დაატყდეს თავს კავკასიას. ძალზე მტკივნეულია კავკასიის ისტორიის გაკვეთილები (ტრაგედია ჩეჩნეთში ამის კიდევ ერთი დადასტურებაა!).

კავკასიის მომავლის (ძირითადი მიმართულებების) განვითარებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მნიშვნელოვანი საკითხები: სამეცნიერო-კვლევით და საუნივერსიტეტო ცენტრებში მოდერნიზებული საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაცია; სასწავლო კურსებისა და სპეცკურსების დამუშავება; მიზანდასახული გამოყენება კოლოსალური შესაძლებლობებისა, რომლებიც ჩართავს მას გლობალური ინფორმატიკის ქსელში, უპირველესად, ინტერნეტში; რეგიონის ინტელექტუალური ძალების ინტეგრაცია. ყოველივე აღნიშნულის განსახორციელებლად მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ის მძლავრი პოტენციალი, რომელიც კავკასიაში შემავალ ქვეყნებს გააჩნია. ამას გარდა,

ფართოდ უნდა გატარდეს კავკასიაში ჰუმანიტარული ღირებულებების განმტკიცებასთან დაკავშირებული ღონისძიებები ეროვნული უმცირესობების და ადამიანის უფლებათა დაცვის კანონმდებლობის შექმნის თვალსაზრისით; საჭიროა ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო ნორმების პროპაგანდა; რეგიონში სახელმწიფოთაშორისო სამრეწველო-ფინანსური ჯგუფების შექმნა-საქმიანობა ხელს შეუწყობს ხალხთა შორის ნდობისა და ურთიერთშეთანხმების ჩამოყალიბებას, მრეწველობის იმ დარგების ფორმირებასა და განვითარებას, რომლებიც მუშაობენ ადგილობრივ ნედლეულზე. სხვადასხვა ინვესტორის დახმარებით ხელი უნდა შეეწყოს კერძო და სახელმწიფო სექტორებს, მედიცინაში, ეკოლოგიაში, ტრანსპორტსა და ენერგეტიკაში საერთო-კავკასიური პროგრამების დაფინანსებას. საჭიროა ყველა დაინტერესებული პირის ძალისხმევის გაერთიანება და სამშვიდობო ჰუმანიტარული ცენტრების სამოქალაქო გაერთიანებების საფუძველზე აღნიშნულ ძალთა ალიანსის ჩამოყალიბება. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს სამოქალაქო ინიციატივები ახალგაზრდული ორგანიზაციების მხრიდან და მათი ჩაბმა მიმდინარე პროცესში. დღეს იმის გაგებაა მთავარი, რომ მხოლოდ მიზანმიმართული, ხანგრძლივი და რუდუნებითი სამუშაო შეიძლება გახდეს კავკასიის განვითარების ერთადერთი მყარი საფუძველი.

გზა პოლიეთნიკური ერთობისა და მულტიკულტურული სივრცისაკენ

მსოფლიოს მოსახლეობა (კაცობრიობა) დღესდღეობით იყოფა ეთნიკურ ერთეულებად. ესენია: ეთნოსი, ეროვნება და ერი. ერები დასახლებულნი არიან გარკვეულ კონკრეტულ ტერიტორიაზე და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან: ენით, ისტორიული ბედ-იღბლით, ეროვნული ერთობით (იდენტურობით), რომელშიც შეიცნობა ესა თუ ის ერი. ცალკეულ ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი სახელმწიფო პოლიტიკურ სტრუქტურაში მოაქცევს საზოგადოებას. ეს საზოგადოება, ქმნის რა სახელმწიფოს, აყალიბებს ე. წ. „პოლიტიკურ ერს". პოლიტიკური ერი, თავის მხრივ, სამოქალაქო ერთობაა, რომელიც ერთიანი სახელმწიფოს ჩარჩოებში ცხოვრობს. ერი გულისხმობს წარსულის ერთობას, საერთო აწმყოსა და საერთო მომავალს. პოლიტიკური ერი, რომელიც წარმოშობს ეროვნულ სახელმწიფოს, გულისხმობს არსებობას მყარი ისტორიული საფუძვლისა: ხალხს თავისი ენით, რწმენით, კულტურითა და ამ სახელმწიფოსთან დაკავშირებული ისტორიული ბედ-იღბლით.

კავკასიის ქვეყნები და საზოგადოებები, XX საუკუნის მიწურულიდან მოკიდებული, ახალ ეპოქაში, პოსტიმპერიულ ანუ პოსტსაბჭოთა ეპოქაში იმყოფებიან. ესაა ეპოქა, რომელსაც თავისი სოციოკულტურული და ფსიქოლოგიური სპეციფიკა აქვს. საბჭოთა კავშირი უნიკალურ იმპერიას წარმოადგენდა. ამ იმპერიამ ამოწურა თავისი თავი და დაინგრა. ხალხები (მათ შორის კავკასიის ხალხები) სრულიად ახალ ისტორიულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. ახალმა ვითარებამ

ახალი პრობლემები დააყენა: საზოგადოებაში ყალიბდება ახალი ვითარების შესაბამისი სრულიად ახალი მენტალური სტრუქტურები, გამომუშავდება კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორები ახალ, შეცვლილ სამყაროში ცხოვრებისათვის.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის ხალხების ასიმილაცია ნაკლებად ხდება. საქმე ისაა, რომ ტრადიციულ ისტორიულ ხალხს შეუძლია შეიერთოს ახალი ეთნიკური და კულტურული ნაკადები და პოლიტიკურ ერად გადაიქცეს. მაგრამ იმისთვის, რომ ასიმილაციის სფეროში მოაქციო რაიმე და შექმნა პოლიეთნიკური ერთობა ან მულტიკულტურული ორგანიზმი, აუცილებელია თავად გქონდეს მყარი მთლიანობა. აი, ამ მდგრად ეთნოკულტურულ ფუძეზე შეიძლება შემოკედლებული იქნენ სხვა ერები და ეროვნებები, რომლებიც სახელმწიფოში შემოვიდნენ ისტორიული განვითარების მსვლელობაში. ასიმილაციის პროცესი არის მრავალი ფაქტორის (დემოგრაფიული, სოციალური, პოლიტიკური და ზოგადკულტურული) ჯამი. ისტორიამ ბევრი მაგალითი იცის ასიმილაციური პროცესებისა.[1] საერთოდ ძალიან ძნელია დაასახელო ქვეყანა, ხალხი, რომელსაც გარკვეული დემოგრაფიული სახეცვლილება არ განეცადოს. ეროვნულად „სუფთა" ქვეყანა პრაქტიკულად ძნელად მოსაძებნია. როცა ვლაპარაკობთ კავკასიის ქვეყნებში ნაკლები ასიმილაციის თაობაზე, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ აქ მოსახლე ხალხები, განსაკუთრებით ქართველები და სომხები, რომლებსაც რუსეთის იმპერიაში შესვლამდე სახელმწიფოებრიობის და ცივილიზაციის ხანგრძლივი ისტორია აქვთ, მნიშვნელოვნად მცირე ასიმილაციურ ინტენციას აჩვენებდნენ, ვიდრე ის ეთნოსები, რომლებიც პირველად მოხვდნენ რუსეთის სახელმწიფოს მდგრადი, რეგულარული ხელისუფლების პირობებში.

ფაქტი ისაა, რომ ახალი დროის ისტორიამ შექმნა იმპერიის ხალხების პოლიტიკურ ერებად გარდაქმნის მექანიზმები. იმპერიულიდან პოლიტიკურ ერად გარდაქმნის პროცესს კრიზისული ხასიათი აქვს. იმპერიული კულტურული და პოლიტიკური ტრადიციის გარდაქმნა ეროვნულად მოითხოვს ახალი, ეროვნული იდენტურობის სტრატეგიის შემუშავებას.[2]

კავკასიის რეგიონში ინტეგრაციული პროცესების პარალელურად აშკარად შეიმჩნევა ეთნოსეპარატისტული ტენდენციები. მეცნიერები ადასტურებენ ჩრდილოეთ კავკასიაში დერუსიფიკაციისა და რუსების ეთნიკური გამოდევნის ტენდენციებს. ადრე რუსული ეროვნების ხალხის დასახლება ჩრდილო კავკასიაში ინტენსიური იყო, თანაც ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიცირება და ასიმილირება ხდებოდა. ამასთან, მკვიდრი რუსული ოლქები კავკასიიდან მოსახლეობის მიგრაციისათვის დაკეტილი იყო.[3] ტრადიციული კულტურები, როგორც წესი, თვითჩაკეტილები არიან, ამ კულტურის მატარებლები კი არ

---

[1] А. В. Кухианидзе, Кавказоцентристская концепция демократии, Научная мысль Кавказа, Ростов, 1995, №4, стр. 66-74.

[2] И. Г. Яковенко, Постсоветская Россия: логика разворачивания этнокультурных процессов в свете конца империи и глобализации, Цивилизации, вып. 6, М., 2004,стр. 78.

[3] И. Г. Яковенко, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

ისწრაფვიან ურბანიზებული იმპერიული ცენტრებისაკენ. უკანასკნელ ხანს ეს ვითარება შეიცვალა: კავკასიელები ზეწოლის გზით რუსულ ეროვნებას თავიანთი ოლქებიდან „გამოდევნიან", თვითონ კი რუსეთში მიდიან და სახლდებიან უპირატესად დედაქალაქში და სხვა მსხვილ ქალაქებში. ბოლო პერიოდში კავკასიიდან დიდი რაოდენობის (განსაკუთრებით აზერბაიჯანელების, ჩეჩნების, ქართველების) მიგრაციაზეა ლაპარაკი. ეს რუსეთის ხელისუფლებისათვის სერიოზული პრობლემაა, რადგან რუსი ეროვნების ბიოლოგიური აღწარმოება საგრძნობლად შემცირებულია. რუსეთი, ცხადია, ცდილობს მართოს ქვეყნის დემოგრაფიული პერსპექტივა. სოციალისტური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ განაპირობა საუკუნოვანი იზოლაციიდან გლობალური განვითარების კონტექსტში ჩართვა. სპეციალისტთა შეფასებით, თანამედროვე რუსეთში 10,8 მილიონი ადამიანი უმძიმეს სოციალურ მდგომარეობაშია. აქედან, 3,4 მილიონი ღატაკია, 3,3 მილიონი ე. წ. ბომჟია, 2,8 მილიონი უზედამხედველო ბავშვია, 1,3 მილიონი ქუჩის მეძავია.[1] რუსეთის სახელმწიფოში გენეტიკური ანომალიებიც უხვადაა. უკანასკნელ წლებში საშუალო სკოლაში ჩარიცხულთა 10%-ს არ შესწევს პროგრამის ათვისების უნარი.[2] წვევამდელთა ნახევარს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გარკვეული შეზღუდვები აქვს.[3] სამხედრო სამსახურში გაწვეულთა 25% ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თავისუფლდება.[4] მაღალია თვითმკვლელობის რიცხვი. ამ მხრივ რუსეთი შრილანკისა და ყაზახეთის შემდეგ მესამე ადგილზეა. სოციალური უსაფრთხოების სააგენტოს მონაცემებით, რუსეთში ახალგაზრდობაში ყოველ ასი ათას კაცზე დაფიქსირებულია თვითმკვლელობის 53 შემთხვევა; საერთოდ ქვეყანაში ყოველწლიურად 50 000 თვითმკვლელობა ხდება, მკვლელობა – 40 000.[5] ორ მილიონამდე ბავშვი ქურდობას ეწევა.[6] ყოველ 100 ათას კაცში 605 პატიმარია და ციხეებში იხდის სასჯელს. რუსეთი ამ მონაცემებით მეორე ადგილზეა. პირველი ადგილი აშშ-ს უკავია (700 პატიმარი 100 ათას კაცზე). რუსეთის ყოველი მეოთხე მამაკაცი ყოფილი პატიმარია.[7] მილიონ რუს პატიმართაგან 100 ათასი ტუბერკულიოზითაა (აქტიური ფორმით) დაავადებული. ალკოჰოლიზმის ტრადიციას ემატება ნარკომანიაც (2,5 რუსეთის მოქალაქე რეგულარულად

---

1 Человек и реформы. Под. ред. И. М. Римашевской, М., 2003, стр. 134.

2 იქვე, გვ. 64.

3 Медицинский вестник, М., 2001, 27 сентября.

4 Собеседник, М., 2000, №140.

5 Самоубийства: мифы, реальность, статистика, интернет-издание "Криминальные новости", 11 июня, 2002.

6 Т. И. Заславская, О смысле и предварительных итогах российской трансформации, Куда пришла Россия? Итоги социетальной трансформации, М., 2003, стр. 396.

7 Данные об относительном количестве заключенных по некоторым странам, интернет-издания "Тюрьма и воля". www. prison.org.

მოიხმარს ნარკოტიკებს).[1] ეს სტატისტიკა მიანიშნებს იმ სერიოზულ კრიზისზე, რომელიც თანამედროვე რუსეთშია და რომლიდან გამოსვლაც მნიშვნელოვან რისკებთანაა დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი – ის მკვეთრი (ზოგჯერ უხეშიც) ნაბიჯები, რომლებსაც რუსეთის ხელისუფლება მიმართავს (სამაგალითოდ დავასახელებთ აზერბაიჯანელების, ჩეჩნებისა და ქართველების დეპორტაციას), ზოგჯერ ფართოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმების დარღვევითაც. შეიძლება კონსტატირება იმ ფაქტებისა, რომ "в российском обществе произошел разрыв континуитета и слом культурных механизмов, задающих картину мира, систему ценностей и ориентиров, механизмов, формирующих сферу смысловожизненных позиций".[2] საქმე ისაა, რომ სოციალურ-კულტურული ფაქტორების ახალ ვითარებაში გადასვლის იდეური კრიზისი თავის მხრივ იწვევს რუსული საზოგადოების ბიოლოგიური აღწარმოების შეფერხებას. ამიტომ გასაგებია, რომ სახელმწიფო (მაგ., რუსეთი) დაინტერესებულია მთელი საზოგადოების ინტეგრირებით, რათა შექმნას და დახვეწოს (სრულყოს) პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამართლებრივი კვანძი, რომელიც მოსახლეობას ერთ მთლიან ძალად გააერთიანებს.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მიგრაციული პროცესები მხოლოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) მოსახლეობით არ მიმდინარეობს. კავკასიაში ბოლო პერიოდში შეიმჩნევა ჩინელების, ნაწილობრივ, თურქების ჩამოსახლება. ნიშანდობლივია, რომ ჩინელები რუსეთის იმპერიაში XX საუკუნის დასაწყისშიც სახლობდნენ. დღესდღეობით რუსეთში (უპირატესად ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში) 1,5 მილიონზე მეტი ჩინელი ცხოვრობს (საექსპერტო მონაცემებით, 2010 წელს რუსეთში 8-10 მილიონი ჩინელი იცხოვრებს). ყოველივე ეს მკვეთრად ცვლის რუსეთის დემოგრაფიულ მონაცემებს.[3]

საქართველოში და ზოგადად კავკასიაში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სახლობენ რუსები, აზერბაიჯანელები, სომხები, ჩრდილოკავკასიელი ხალხები. ასევე ითქმის სომხეთსა (აქ შედარებით დიდი რაოდენობითაა ადგილობრივი მოსახლეობა) და აზერბაიჯანზეც. აქ ასიმილაციურ პროცესებზე არ არის ლაპარაკი, რადგან თითოეული ეროვნების წარმომადგენელი ნებისმიერ რესპუბლიკაში ავითარებს თავის კულტურას (სწავლა-განათლება შესაბამისად იმ ენებზეა, რომელი ეროვნების მოსახლეობაც კონკრეტულ ტერიტორიაზე სახლობს). მთავარი ერთია, ახლად ჩამოსახლებული მოსახლეობა რამდენად მზადაა, ეზიაროს შესაბამისი რეგიონის (ამ შემთხვევაში კავკასიაში შემავალი ცალკეული სახელმწიფოების) კულტურასა და იქონიოს მოქალაქეობრივი

---

[1] Н. Герасимов, Выступление на парламентских слушаниях "О демографической ситуации в России и мерах правительства РФ по ее оптимизации", ноябрь 2002 г., Интернет-саит "РФ сегодня", Сообщение 15. XI. 2000. www.rusia-today.ru (archive)

[2] И. Г. Яковенко, Постсоветская Россия: логика разворачивания этнокультурных процессов в свете конца империи и глобализации, Цивилизации, вып. 6, М., 2004, стр. 81.

[3] В. Малахов, Осуществим ли в России русский проект? Отечественные записки, М., 2003, №3.

პასუხისმგებლობა სახელმწიფოს მიმართ. მეორე მხარე საკითხისა ისაა, რამდენად შეძლებს კავკასიური სახელმწიფოების საზოგადოება შეეგუოს მიგრაციულ პროცესებს, რაც ეგრერიგად დამახასიათებელია გლობალიზაციისათვის; რამდენად შესაძლებელი იქნება საკუთარი სახის, საკუთარი კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება. ეს პრობლემა ბევრ ქვეყანას აწუხებს და ამიტომაცაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (მათ შორის აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში) ანტიგლობალისტური გამოსვლები.[1]

საქმე ისაა, რომ „გლობალიზაცია" (მიუხედავად გლობალიზაციური პროცესების მიმდინარეობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა) თანამედროვე ისტორიაში განსაკუთრებული მოვლენაა და მაჩვენებელია იმისა, რომ დგება ეპოქალური გარდატეხის ხანა, იბადება (ჩნდება) კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების ახალი საფეხური (ხარისხი). აქედან ადამიანთა მოდგმის წინსვლა, ე. წ. კაცობრიობის პროგრესი მიმდინარეობდა თანამიმდევრული ნაბიჯებით თუ ნახტომებით და ხელს უწყობდა ადამიანთა ცხოვრების სოციოგენეზს და გლობალიზაციას. ესაა გზა იქით, რომ დედამიწაზე ჩამოყალიბდეს (იდეაში ეს ამგვარადაა) ერთიანი სამყარო (თუმცა ჯერჯერობით ამგვარი იდეალური სამყაროს შექმნა ვერ ხერხდება).[2] ცხოვრებაში არსებობს სხვადასხვა მამოძრავებელი ძალა და ფაქტორი, რომლებიც მოიცავენ ადამიანთა ცხოვრება-მოღვაწეობის სფეროებსა და მიმართულებებს, მათ, შესაძლოა ხელი შეუწყონ გლობალიზაციურ პროცესებს. ესენია მაგალითად: ადამიანის მსოფლშემეცნების განვითარება (ცოდნის გაღრმავება გარემო სამყაროზე); მოთხოვნილებათა გაფართოება და უნიფიცირება; შრომითი ჩვევების უნიფიცირება (პროფესიული მიმართულებების ერთგვაროვნების უზრუნველყოფა და პერმანენტული გავრცელება); კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის სრულყოფა; სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება; ეკონომიკური ურთიერთობების (ვაჭრობა, ფულის მიმოქცევა, სავალუტო, ფინანსური და საკრედიტო სისტემების ფუნქციონირება) განვითარება; მსოფლიო რელიგიების, განათლების სისტემის (ერთიანი), კულტურის ელემენტების გავრცელება; მეცნიერების პროგრესი; სპორტის ინტერნაციონალიზაცია და სხვ. ყველა ეს მიმართულება არ არის ერთმანეთისაგან იზოლირებული. ისინი ორგანულად არიან შეკავშირებული ადამიანთა ცხოვრების ურთიერთმოქმედი ფაქტორებით.

---

[1] Л. А. Морозова, Влияние глобализации на функции государства, Вестник Международной академии наук высшей школы, 2005, №3(33), стр. 88-89.

[2] Х. А. Барлыбаев, Общая теория глобализации и устойчивого развития, М., 2003, стр. 43.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლობალიზაციურ პროცესებში, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია განათლების ერთიანი სისტემის შექმნა-გავრცელებასა და მეცნიერების პროგრესს; ამჯერად ჩვენ ამ პრობლემას ზოგადად შევეხებით. მაშ ასე:

გლობალიზაცია და განათლება და მეცნიერება...

ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნა-კონსტრუირება XXI საუკუნის დასაწყისის ევროპის განვითარების წამყვანი ტენდენციაა. მისწრაფება, რომ შეიქმნას არა მხოლოდ საერთო- სავალუტო, საბანკო და ეკონომიკური სისტემები, არამედ საფუძვლიან ინტელექტუალურ, კულტურულ, სოციალურ და ტექნიკურ საფუძველზე დამყარებული ცოდნის ერთიანი მასივი – ესაა ადეკვატური პასუხი დროის გამოწვევაზე. თანამედროვე საზოგადოება სწორედ ცოდნაზეა დაფუძნებული. სწორედ განათლებაა ადამიანის უფლებების, დემოკრატიის, განვითარების მნიშვნელოვანი საყრდენი. გამომდინარე აქედან, ამოცანა ისაა, რომ განათლება მიღწევადი იყოს ყველასათვის, თანაც მთელი სიცოცხლის მანძილზე, რათა ხელი შეუწყოს ადამიანთა ცოდნისმიერ ინტეგრაციას.

საუკუნეთა მანძილზე მეცნიერება და განათლება საზოგადოების გარდაქმნისა და პროგრესის სამსახურში იყო. დღესდღეობით კი გარდაქმნებისა და პროგრესის ტემპი მეტად მასშტაბურია და განათლება (კერძოდ, უმაღლესი განათლება) და სამეცნიერო კვლევები ადამიანის, საზოგადოებათა და ერების კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური და ეკონომიკურად მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობაა.[1] ამდენად, განათლება, საერთაშორისო მასშტაბით, სახელმწიფო პრობლემად იქცა. სწორედ ცოდნა-განათლებამ გახადა ჩვენი საზოგადოება ე. წ. პოსტკაპიტალისტურად.[2] მართლაც, მეცნიერება ყველაზე თანამედროვე ინსტრუმენტია მატერიალური და სულიერი განვითარებისა, საზოგადოების ინტელექტუალური და მორალური დონის ინდიკატორია. ცხადია, ნებისმიერი სახელმწიფოს ბედი მთლიანადაა დამოკიდებული ინტელექტუალური რესურსების მდგომარეობასა და პერსპექტივებზე.[3]

სამეცნიერო ცოდნის შეძენაში გადამწყვეტი როლი სამეცნიერო კადრებს ეკუთვნის. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ამ კადრების მომზადება პრიორიტეტულ ადგილს იკავებს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სამეცნიერო-ტექნიკურ პოლიტიკაში. ამ ქვეყნების გამოცდილება სამეცნიერო პოტენციალის შექმნაში საინტერესოა, მეცნიერებისა და განათლების სფეროში

---

[1] Заключительный доклад Всемирной конференции по высшему образованию, Париж, 5-9 октября, 1998, стр. 20.

[2] П. Друкер, Посткапиталистическое общество: Новая постиндустриальная волна на Западе: Антология, М., 1999, стр. 98.

[3] იხ. Россия: национальная стратегия и социальные приоритеты, М., 1997, стр. 113.

საკადრო პოლიტიკის შემუშავებისას დაწვრილებითაა შესასწავლი და გასათვალისწინებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვიხილოთ საუნივერსიტეტო განათლების წანამძღვრები. თანამედროვე საუნივერსიტეტო განათლების ფესვები ადრეულ და განვითარებულ შუა საუკუნეებშია გადგმული. თუმცა უფრო ადრეც არსებობდა უნივერსიტეტების პროტოტიპები: პლატონის აკადემია (ძვ. წ. IV ს., ათენში), ალექსანდრიის მუსეიონი (ძვ. წ. III ს., პტოლემაიოსების დედაქალაქში); ადრეულ შუა საუკუნეებში უმაღლესი სკოლები იყო ბიზანტიის იმპერიაში (კონსტანტინოპოლში), საქართველოში (ფაზისის რიტორიკული სკოლა), ხალიფატის სამფლობელოში და ჩინეთში. კავკასიური სამყაროსათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო 1045 წელს მანგანის აკადემიის ბაზაზე კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტის დაარსება. ეს იყო საგანმანთლებლო ცენტრი, რომელიც მოწოდებული იყო ანტიკური აზროვნების განახლებისათვის.[1] ასევე მნიშვნელოვანი იყო ბაღდადის აკადემია, რომლის შექმნასაც ხელი შეუწყო ნიზიბინის აკადემიამ.[2]

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში უმაღლესი განათლების ცენტრები (უნივერსიტეტები) XI საუკუნიდან წარმოჩნდნენ. მათი აღმოცენება უშუალოდ იყო დაკავშირებული შუა საუკუნეების ქალაქების ზრდასა და საქალაქო ცხოვრების დაწინაურებასთან, ეკონომიკის და კულტურის ამაღლებასთან. ახალი ტიპის საერო სკოლები იტალიაში გამოჩნდა. მათ შორის უძველესია ქ. სალერნოს საექიმო აკადემია, სადაც IX საუკუნიდან არსებობდა ექიმთა კორპორაცია. აქ საექიმო ხელოვნებას ასწავლიდნენ და ავადმყოფებსაც მკურნალობდნენ.[3] მნიშვნელოვანი იყო ბოლონიის სკოლა, სადაც რომის სამართალი შეისწავლებოდა. მოგვიანებით (XII ს.) ამ სკოლამ უნივერსიტეტის სტატუსი მიიღო (პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ამ უნივერსიტეტს ეხებოდა, იყო ფრიდრიხ I ბარბაროსას მიერ 1158 წელს გამოცემული ქარტია). 1200 წელს ანალოგიური სიგელი პარიზის მაგისტრებსა და სტუდენტებზე გასცა მეფე ფილიპე II ავგუსტემ.[4] 1215 წელს დაფუძნდა სორბონის უნივერსიტეტი. უმაღლესი სკოლის (Studium generale) სტატუსი სხვადასხვა დროს მიიღეს: ოქსფორდის (1200 წ.), სალამანკის (1218 წ.), პადუის (1222 წ.), ნეაპოლის (1224 წ.), კემბრიჯის (1225 წ.), სალერნოს (1280 წ.), მონპელიეს (1289 წ.), ლისაბონის (1308 წ.), პრაღის (1348 წ.), კრაკოვის (1364 წ.), ვენის (1365 წ.), ჰაიდელბერგის (1385 წ.), კიოლნის (1388 წ.), ლაიფციგის (1409 წ.), ბარსელონის (1450 წ.), კოპენჰაგენის (1479 წ.) უნივერსიტეტებმა (საუნივერსიტეტო გაერთიანებებმა).

ნიშანდობლივია, რომ შუა საუკუნეების უნივერსიტეტები იურიდიულად, ადმინისტრაციულად და ფინანსურად ავტონომიურები იყვნენ; ჰქონდათ მმართველობის ორგანოები, თავისი სასამართლო და რიგი პრივილეგიები, რომელთაც

---

[1] შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, თბ., 1956, გვ. 438.

[2] იქვე.

[3] В. Н. Терновский, Ю. Ф. Шульц, Салернский кодекс здоровья, М., 2002.

[4] История средних веков, т. I, М., 2003, стр. 555.

მათ უბოძებდნენ პაპები, იმპერატორები და მეფეები. ხარისხები, რომლებსაც თავის კურსდამთავრებულს ანიჭებდა უნივერსიტეტი, აღიარებული იყო მთელს ქრისტიანულ სამყაროში. მხოლოდ უნივერსიტეტები გასცემდნენ სამასწავლებლო ლიცენზიებს. შუა საუკუნეების უნივერსიტეტებში სწავლება ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა. უნივერსიტეტებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების რიცხვის ზრდამ დღის წესრიგში წიგნებზე მოთხოვნილება დააყენა. წიგნი ძველად, განსაკუთრებით კი იოჰან გუტენბერგის მიერ წიგნის ბეჭდვის გამოგონებამდე, ფუფუნების საგანი იყო. წიგნის ფურცლები საქონლის ტყავის დამუშავებით მიიღებოდა. ეს იყო პერგამენტი (მზადდებოდა მცირე აზიის ქ. პერგამოში ჩვენს ერამდე 180 წლიდან). შუა საუკუნეების უნივერსიტეტებში, როგორც წესი, სამი ძირითადი ფაკულტეტი იყო: საღვთისმეტყველო, სამართლის (იურიდიული) და სამედიცინო. „ფაკულტეტის" (ლათ. facultas – უნარი, ცოდნა, ტალანტი) ცნება 1232 წელს პაპმა გრიგოლ IX-მ შემოიღო იმ მასწავლებელთა კოლექტივების აღსანიშნავად, რომელთაც შესწევდათ უნარი ესწავლებინათ პარიზის უნივერსიტეტში ესა თუ ის სპეციალობა. უნივერსიტეტში არსებობდა თავისუფალ ხელოვნებათა მოსამზადებელი ფაკულტეტი, სადაც შეისწავლებოდა საბაზო სასწავლო დისციპლინები. ეს იყო სწავლა „ტრივიუმისა" (Trivium) და „კვადრიუმის" (Quadrivium) პრინციპით. ტრივიუმის ციკლით შეისწავლებოდა გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა, კვადრიუმის ციკლით კი – მათემატიკა, გეომეტრია, ასტორონომია და მუსიკა.[1]

უნივერსიტეტის მასწავლებლებს სხვადასხვა ხარისხი ჰქონდათ: ბაკალავრის (ლათ. bacalaureus – პირველი აკადემიური ხარისხი შუა საუკუნეებში), მაგისტრის (ლათ. magister – აღმზრდელი, დამრიგებელი, „შვიდი თავისუფალი ხელოვნების" მასწავლებელი – მეორე აკადემიური ხარისხი), დოქტორის (ლათ. doctor – მასწავლებელი, დამრიგებელი). XV-XVI საუკუნეების ევროპის უნივერსიტეტებში შემოღებულ იქნა „პროფესორის" წოდება (ლათ. professor – რიტორი; მასწავლებელი, რომელიც ასწავლის საჯაროდ).[2] სიტყვა „სტუდენტიც" ლათინურიდან მომდინარეობს ("studere" – „სწავლა"). XV საუკუნემდე სტუდენტებად უპირატესად სასულიერო პირები იყვნენ. სტუდენტების ხელმძღვანელად ფაკულტეტის თანამშრომლები ირჩევდნენ ათისთავს – დეკანს (ლათ. decanus; decem – ათი), რომელიც ფაკულტეტს თავკაცობდა. უნივერსიტეტის სათავეში რექტორი იდგა – Rector magnificissmus (უმთავრესი ხელმძღვანელი). ეს ტერმინიც ლათინურია (rector – მმართველი; regere – მართვა, ხელმძღვანელობა).

---

[1] ამ პროგრამით მიმდინარეობდა სწავლა დავით აღმაშენებლის მიერ XII ს-ის პირველ ათწლეულში დაარსებულ გელათის უნივერსიტეტში (აკადემია). იხ. რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002, გვ. 343; მისივე, გელათი – მეორე იერუსალიმი და ახალი ათინა, თბ., 2006, გვ. 31-32.

[2] ტერმინი „პროფესორი" ძველი რომიდან მოდის. პირველი პროფესორი იყო რიტორიკის მასწავლებელი მარკუს ფაბიუს კვინტილიანე (35-10 წწ., ჩვ. წელთაღრიცხვამდე).

XII-XIII საუკუნეებში სწავლების ძირითადი მეთოდი დაფუძნებული იყო ფორმალურ ლოგიკაზე. ეს იყო სქოლასტიკა (ლათ. scholasticium). ტერმინი ბერძნული "schole"-დან წარმოსდგა, რაც ნიშნავს ადგილს, სადაც მასწავლებელი და მოსწავლე ხვდებიან ერთმანეთს (სკოლა). "Scholasticus" – ნიშნავს რიტორს, "scholion" – განმარტებას. სქოლასტიკის შემადგენელი არის ჭეშმარიტების ფილოსოფიური და თეოლოგიური კვლევის მეთოდი ფორმალური ლოგიკისა და მსჯელობის გზით. მისი მთავარი დებულებები არისტოტელეს სწავლებას (არისტოტელიზმს) ეყრდნობა.[1] პირველ ხანებში სქოლასტიკა თავისუფალი იყო ეკლესიის დოგმატების გავლენისაგან, მაგრამ XIII საუკუნიდან მეცნიერება რელიგიური იდეოლოგიის ხისტ ჩარჩოებში აღმოჩნდა. კლასიკური შუასაუკუნეობრივი სქოლასტიკის ძირითადი მიმართულებები თომა აქვინელმა (1225-1274) ჩამოაყალიბა.[2] მას მიაჩნდა, რომ რწმენა არ ეწინააღმდეგება გონებას და ავითარებდა რწმენისა და გონების ჰარმონიულობის იდეას. თომა აქვინელს სწამდა, რომ ღმერთის რაციონალური შეცნობა მეცნიერების ყველა დარგის მიზანია („ყველა ცოდნა – ცოდვაა, თუ მას მიზნად არა აქვს ღვთის შეცნობა"). XIII საუკუნის დასასრულიდან თომა აქვინელის სწავლება კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური დოქტრინა გახდა.[3] განვითარებული შუა საუკუნეების დროს დაგროვილმა ცოდნამ ჩამოაყალიბა ობიექტური წანამძღვრები აღორძინების ეპოქაში მეცნიერების განვითარებისათვის.

აქ შევწყვეტთ ისტორიულ ექსკურსს, რომელმაც ცხადად გვაჩვენა, რომ მეცნიერება და განათლება უშუალო კავშირშია საუნივერსიტეტო მოძრაობასთან. სწორედ ამიტომ შემდგომ ეპოქებში უნივერსიტეტები მთელ მსოფლიოში გამრავლდნენ, გაიზარდნენ და გაფართოვდნენ. როგორც აღვნიშნეთ, საუკუნეების მანძილზე მეცნიერება და განათლება საზოგადოების პროგრესს ემსახურებოდა. ასეა დღესაც – უნივერსიტეტების როლი ზედმიწევნით გაზრდილია, რადგან დღეს, როგორც არასდროს, მსოფლიოს განვითარებას, კაცობრიობის წინსვლას ინტელექტუალური პოტენციალის განსაკუთრებული გამოვლენა სჭირდება. ამას ემსახურება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტები. დღეს, გლობალიზაციის პროცესის მიმდინარეობისას, უმაღლესი სკოლის ინტერნაციონალიზაციისა და ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნის საკითხი დგას. განვიხილოთ ამ ფონზე, თუ რა ვითარებაა თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში, სწავლების რა ფორმები და მეთოდებია გავრცელებული, რა მსგავსება და სხვაობაა სასწავლო პროგრამებში. ყოველივე ეს კი საშუალებას მოგვცემს ამოცანის განსაზღვრაში – რა ღონისძიებების, რა გარდაქმნების გატარებაა საჭირო, რომ არ დაიკარგოს არსებული, ათეულ

---

[1] Всемирная история с древнейших времен и до 1800 г., М., 1999, стр. 319.

[2] თომა აქვინელი დომინიკანელი ბერი იყო. მან, ფილოსოფოსმა და თეოლოგმა, განათლება კიოლნის უნივერსიტეტში მიიღო. ლექციებს კითხულობდა პარიზში. 1323 წელს წმინდანად შერაცხეს.

[3] История средних веков, т. I, М., 2003, стр. 553.

წლებში დაგროვილი დადებითი ტრადიციები და რა უნდა გაკეთდეს უმაღლესი განათლების პერმანენტული მოდერნიზაციის (ეს ყველაფერი მიმდინარეობდა კავკასიის უმაღლეს სასწავლებლებში, უნივერსიტეტებში) პროცესში, ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვისათვის.

მეცნიერული კვლევების მასშტაბითა და სამეცნიერო კადრების მომზადების მიხედვით მსოფლიოში გამორჩეულია ამერიკის შეერთებული შტატები. აქ კადრების მომზადების ორგანიზაცია და შინაარსი განსაკუთრებულია, სპეციფიკურია. აშშ-ში ჩამოყალიბდა ტრადიციული მიდგომა მეცნიერებისადმი: წინა პლანზე წამოწეული საბუნებისმეტყველო დარგები და ჰუმანიტარული მეცნიერება რამდენადმე იგნორირებულია. ძირითად სამეცნიერო მიმართულებებად აღიარებულია მათემატიკური (მათემატიკა, სტატისტიკა, კიბერნეტიკა), მეცნიერებები სიცოცხლის შესახებ (ბიოლოგიური, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო), ფიზიკური (ფიზიკა, ქიმია, ასტრონომია, სხვ. ფიზიკური მეცნიერებები), მეცნიერებები გარემო სამყაროს შესახებ (დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, ოკეანოგრაფია, გეოფიზიკა, გეოლოგია, გეოგრაფია, სეისმოლოგია, მეტეოროლოგია), საინჟინრო მეცნიერებები, ფსიქოლოგია, საზოგადოებრივი მეცნიერებები (ეკონომიკა, სოციოლოგია, ანთროპოლოგია და სხვ.).[1] ეს დარგები მიჩნეულია სამეცნიეროდ და ტექნიკურად (Science and engineers), სპეციალისტებს კი მეცნიერ-მუშაკებსა და ინჟინრებს (scientists and engineers) უწოდებენ. სამეცნიერო კვლევებსა და კადრების მომზადებაზე გაწეული ხარჯები აშშ-ში ყოველწიურად იზრდება. თუ ამ მიმართულებით 1960 წელს გამოიყო 13 მილიარდ 711 მილიონი დოლარი, 2000 წელს დაფინანსებამ შეადგინა 264 მილიარდ 622 მილიონი დოლარი. მეცნიერებასა და განათლებაზე გაწეული დანახარჯების შესაბამისად გაიზარდა მაგისტრებისა[2] ფილოსოფიის დოქტორების (PH.D)[3] მომზადების მასშტაბი. დოქტორის ხარისხს აშშ-ში ანიჭებენ სადოქტორო კვლევითი უნივერსიტეტები. ასეთი სულ 261 უნივერსიტეტია. ეს უნივერსიტეტთა საერთო რაოდენობის (3941) 6,6%-ია.[4] სამეცნიერო კადრების მომზადება აშშ-ში ორგანიზაციული თვალსაზრისით განსხვავდება ევროპული მოდელისა და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების პრაქტიკისაგან. ასპირანტურისა და დოქტორანტურის ნაცვლად აქ ფუნქციონირებს დიპლომის შემდგომი სწავლების სკოლები (Graduate Schools), რომლებიც წარმართავენ სასწავლო პროცესს. მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამე-

---

[1] В. Е. Шукшупов, А. И. Галаган, Опыт работы ведущих мировых образовательных учреждениий по подготовке научных кадров, Известия Международной Академии наук высшей школы, М., 2004, №3(29), стр. 10.

[2] მაგისტრის ხარისხი აშშ-ში დიპლომის შემდგომი განათლებისა და საერთაშორისო სასტანდარტო კლასიფიკაციის მე-7 დონეს შეესაბამება.

[3] ფილოსოფიის დოქტორი (Ph.D) – ესაა აშშ-სა და ინგლისურენოვან ქვეყნებში (იაპონიასა და კორეაში) უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი. იგი დსთ-ის ქვეყნების მეცნიერების კანდიდატის ხარისხს უტოლდება.

[4] სტატისტიკური მასალა (მონაცემები) მოგვყავს 2000 წელს კარნეგის ფონდის მიერ ჩატარებული კლასიფიკაციის მიხედვით.

ბით მიმართულებას აძლევენ მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო მუშაობას, რომლებიც ემზადებიან დისერტაციის დასაცავად. წამყვან პროფესორთა ჯგუფი (დისერტაციის პროფილის შესაბამისად) ანიჭებს მაგისტრისა და ფილოსოფიის დოქტორის (PH.D) ხარისხს, რომელიც საბოლოოა და აღარ საჭიროებს რომელიმე სახელმწიფო ორგანოს დამტკიცებას (დასტურს).

ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტების მოღვაწეობა-საქმიანობაში განსაკუთრებულადაა ყურადსაღები: კვლევითი უნივერსიტეტების პოლიფუნქციონალურობა, ე. ი. უნარი, როგორც თანამედროვე ცოდნის გენერირებისა, ისე მისი სტუდენტამდე მიტანისა (გადაცემისა); ძირითადი ორიენტაცია ფუნდამენტურ კვლევებზე (2000 წელს უნივერსიტეტებმა 30 მილიარდ 154 მილიონი დოლარის კვლევები შეასრულეს. აქედან, ფუნდამენტურ კვლევებზე დაიხარჯა 20 მილიარდ 656 მილიონი დოლარი); ორიენტაცია მეცნიერების თანამედროვე მიმართულებებზე, ტექნოლოგიებსა და ეკონომიკის ინოვაციურ სექტორებზე; ინფორმაციული გახსნილობის უმაღლესი ხარისხი და მეცნიერებისა და განათლების მსოფლიო სისტემასთან ინტეგრაცია; სწრაფვა რეგიონში ლიდერობისათვის, მზადყოფნა მის საჭიროებებზე რეაგირებისა, ასევე ქვეყნის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შესაძლებლობის ფარგლებში; მაღალი კონკურენტუნარიანობა საგანმანათლებლო მომსახურების საერთაშორისო ბაზარზე და სხვ.

ამერიკელ საგანმანათლებლო სისტემასთან ახლო დგას იაპონური. რეფორმები განათლების სისტემაში იაპონიამ ამერიკელების კონტროლის ქვეშ გაატარა. სამეცნიერო კადრების მომზადება იაპონიის წამყვან უნივერსიტეტებში ხორციელდება. ესაა ძველი საიმპერატორო უნივერსიტეტები (მაგ., ტოკიოს, კიოტოს და სხვ.). აქ სწავლების მაღალი დონეა. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს და არსებობს დიპლომის შემდგომი სწავლების (მაგისტრატურა, დოქტორანტურა) ფართო ქსელი. ყოველ 8 სტუდენტზე 1 პედაგოგი მოდის. პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში წლიურად ერთ სტუდენტზე 10 ათასი დოლარი იხარჯება. 2000 წელს იაპონიაში 649 უნივერსიტეტი იყო. აქედან, სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო 99, ადგილობრივი (პრეფექტურის) – 72, კერძო – 478. 133 უნივერსიტეტში სწავლება მხოლოდ სამაგისტრო პროგრამებითაა. 346 უნივერსიტეტი მსურველებს სთავაზობს სადოქტორო პროგრამებს. ნიშანდობლივია, რომ ბევრი სტუდენტი არაიაპონელი, სხვა ეროვნებისაა.

იაპონურ განათლებას ერთი დამახასიათებელი თავისებურება გააჩნია (განსხვავებით სხვა ქვეყნებისაგან). ესაა უნივერსიტეტებს მიღმა მაგისტრისა და დოქტორის დიპლომის დაბალი პრესტიჟი. სამრეწველო კომპანიები არჩევენ დაიქირავონ ბაკალავრები თავისივე ცენტრებში, ასწავლონ საგნები სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მიხედვით. ამასთან, სადისერტაციო ნაშრომები კომპანიის ინტერესებს ითვალისწინებენ. ამის გამოა, რომ იაპონიაში დიპლომის შემდგომ სწავლებას უნივერსიტეტებში გაცილებით მცირე რაოდენობის ბაკალავრები აგრძელებენ, ვიდრე აშშ-ში. იაპონიის უნივერსიტეტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ: საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოებასა და გამ-

დიდრებას; აკადემიური ხარისხების საუნივერსიტეტო პროგრამების სრულყოფას; დიპლომის შემდგომი სწავლების სკოლების სისტემის მოქნილობის ამაღლებას; უმაღლესი განათლების ხარისხობრივ და რაოდენობრივ განვითარებას; უნივერსიტეტის მართვის რაციონალიზაციას; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის აქტივირებას და სხვ.

ევროპული განათლების სისტემის ნათლად წარმოდგენისათვის სანიმუშოდ შევეხებით გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის უნივერსიტეტების საქმიანობას. **გერმანიაში** 2001/02 სასწავლო წელს 355 უმაღლესი სკოლა იყო. აქედან, 91 უნივერსიტეტი, საერთო უნივერსიტეტი (Comprehensive) – 7, პედაგოგიური კოლეჯი – 50, უმაღლესი პროფესიული სკოლა (Fachhochsulen) – 156, საზოგადოებრივი მართვის კოლეჯი – 29. 2000 წელს გერმანიის სახელმწიფოში უმაღლეს განათლებაზე დაიხარჯა 27,5 მილიარდი ევრო. 1980 წლამდე გერმანიის უნივერსიტეტებში არ იყო არც ასპირანტურა და არც დოქტორანტურა. გერმანიაში მხოლოდ ერთი სამეცნიერო ხარისხია – მეცნიერების დოქტორი. დისერტაცია, როგორც წესი, პროფესორის ხელმძღვანელობით მზადდება. დისერტანტს უნდა გააჩნდეს დამოუკიდებლად სამეცნიერო კვლევის უნარი, სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეიცავდეს ახალ სამეცნიერო შედეგებს (დასკვნებს). გარდა სადისერტაციო ნაშრომისა, დისერტანტმა უნდა ჩააბაროს ზეპირი გამოცდები. დაცვა მიმდინარეობს ღიად, ფართო აუდიტორიის წინაშე დისპუტის სახით. ახალგაზრდა დოქტორებმა, რომლებიც უმაღლეს სკოლაში აგრძელებენ საქმიანობას, უნდა დაიცვან მეორე დისერტაცია, რომელიც მათ უნივერსიტეტებში ლექციის წაკითხვის უფლებას (habilitation) მისცემს. დაცვა ხდება უნივერსიტეტში შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. სადისერტაციო შრომა (Habilitations – schriβt) შეიძლება რამდენიმე შრომისაგან შედგებოდეს. ამ შრომის განხილვის შემდეგ დისერტანტმა საცდელი ლექცია უნდა წაიკითხოს. გერმანიის უნივერსიტეტებში სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების შეერთება ალექსანდრე ჰუმბოლდტის (1769-1859) სახელთანაა დაკავშირებული. 1998 წლის 20 აგვისტოს, გერმანიის განათლების კანონის შესაბამისად, უმაღლესმა სასწავლებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, გამოეყენებინათ კარგად ცნობილი და მსოფლიო მასშტაბით აღიარებული სასწავლო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბაკალავრისა და საქმიანი ადმინისტრაციის მაგისტრის ხარისხების მიღებას. ამასთან ერთად უმჯობესდება გერმანული სამეცნიერო ხარისხების საერთაშორისო მასშტაბით აღიარება, მაღლდება უნივერსიტეტების შემოქმედებითი პოტენციალი, სტუდენტთა მობილურობა და იზრდება ადგილების რაოდენობა გერმანიის უნივერსიტეტებში სწავლის მსურველი უცხოელი სტუდენტებისათვის.

დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლების სისტემა, რომლის ფარგლებშიაც მიმდინარეობს სამეცნიერო კადრების მომზადება, მოიცავს 90 უნივერსიტეტს, 60 სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებასა და 105 შემდგომი სწავლების კოლეჯს. დიდ ბრიტანეთში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, XII საუკუნიდან ფუნქციონირებენ კემბრიჯისა და ოქსფორდის, ლონდონის უნივერსიტეტები. აქ მზადდება ელი-

ტარული კადრები და სრულდება დიდი მოცულობის ფუნდამენტური კვლევები. დიდ ბრიტანეთს მეორე ადგილი უკავია ნობელის პრემიის ლაურეატების რაოდენობით.[1] მხოლოდ 1961-1999 წლებში 71 მეცნიერს მიენიჭა ეს მაღალი ჯილდო.

დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციებისადმი მოთხოვნილებები, მათი დაცვის წესი დაახლოებით ისეთივეა, როგორც მსოფლიო პრაქტიკაშია მიღებული, რომლის საფუძველში ჩადებულია აშშ-ის გამოცდილება. სახელმწიფო ხარჯები განათლებაზე 1999 წელს გაღებული იყო 40 მილიარდ 888,7 მილიონი ფუნტი სტერლინგი.

ინგლისურენოვანი ქვეყნებისაგან (აშშ, დიდი ბრიტანეთი და სხვ.) მკვეთრად განსხვავდება **საფრანგეთის** უმაღლესი განათლების სისტემა. აქ ძირითადად უნივერსიტეტები და დიდი სკოლებია (Grand ecole). საფრანგეთში არ არის უმაღლესი სასწავლებლების განსაზღვრული კლასიფიკაცია, გარდა მათი დაყოფისა დედაქალაქისა (პარიზში 13 უნივერსიტეტია) და პროვინციულ უნივერსიტეტებად. საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესის ორგანიზაცია სამ ციკლზეა აგებული. პირველი ციკლი, რომლის ხანგრძლივობა 2 წელია, სრულდება ზოგადსაუნივერსიტეტო მომზადების დიპლომის მიღებით. მეორე ციკლი 2-3 წელი გრძელდება და მთავრდება მაგისტრის დიპლომის მიღებით, რაც, თავის მხრივ, ადასტურებს მაღალი დონის პროფესიული მომზადების მიღებას. მესამე ციკლი შეესაბამება ასპირანტურას (დოქტორანტურას) და სწავლების ვადა 5 წელს მოიცავს. სადოქტორო დისერტაციის დასაცავად აუცილებელია სპეციალური გამოცდის (დისერტაციის თემატიკიდან გამომდინარე) ჩაბარება და არანაკლებ სამეცნიერო კვლევების ხელმძღვანელობის უფლების მქონე ორი რეცენზენტის ნებართვა (მოწონება). დისერტაციის მინიჭება ხდება სპეციალიზებულ საბჭოზე. საბჭოს უფლება აქვს ხარისხის გარდა დისერტანტს მიანიჭოს სამეცნიერო კვლევების ხელმძღვანელობის უფლება.

ამგვარად, როგორც დავინახეთ, ზემოდასახელებულ ქვეყნებში მაღალგანვითარებული საკადრო კორპუსი და კადრები, რომლებიც განსაზღვრავენ სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს, იქმნება ეროვნული განათლების სისტემის მეშვეობით. საუნივერსიტეტო განათლების პრესტიჟი განისაზღვრება განათლების პროცესში სამეცნიერო-კვლევითი მიღწევების შეტანით, უმაღლესი დონის პროფესიონალების მომზადებით, რომლებიც მზად იქნებიან პრაქტიკულ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის. ნიშანდობლივია, რომ სამეცნიერო კვლევები და ახალგაზრდობის სწავლება მჭიდროდაა გადაჯაჭვული და ხორციელდება უმაღლეს სასწავლებლებში – უნივერსიტეტებში.

ახლა ვნახოთ, თუ რა ამოცანებს აყენებს ევროპის კავშირი განათლების სისტემის წინაშე, რა არის საჭირო განათლების, კერძოდ, კავკასიაში არსებული განათლების სისტემის ევროპულ სივრცეში მოხვედრისათვის. გავიხსენოთ, რომ

---

[1] ნობელიანტების რაოდენობით პირველ ადგილზე აშშ-ია. მხოლოდ სტენფორდის უნივერსიტეტს 12 ნობელის პრემიის ლაურეატი ჰყავს.

ევროპის საბჭომ 2001 წელს წარმოადგინა პროგრამა, სადაც განსაზღვრული იყო 2010 წლისათვის სამი ძირითადი ამოცანა: განათლებისა და სწავლების ხარისხის ამაღლება ევროპაში; განათლების მისაწვდომობის გაუმჯობესება ყველა ეტაპზე, გადამზადებისა და დამატებითი განათლების ჩათვლით; განათლების მიახლოება რეალურ ეკონომიკურ პირობებთან. ეს სამი მთავარი ამოცანა რამდენიმე ქვეამოცანას შეიცავდა – დაწყებული პედაგოგთა განათლების გაუმჯობესებიდან და დასრულებული კადრების გადამზადების მოქნილი სისტემის შექმნით, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და აკადემიური მობილურობის გამოყენებით. ევროპის კომისიამ განსაზღვრა ევროპის საგანმანათლებლო სივრცის განვითარებისათვის საჭირო ინდიკატორების სისტემა. განათლების დარგში და კადრების გადამზადების საქმეში 2010 წლამდე ევროპის ქვეყნების წინსვლისათვის დაისახა ხუთი მიმართულება: **ლისაბონის პროცესი**; სწავლება მთელი ცხოვრების მანძილზე (ახალი შეხედულება კადრების გადამზადების პრობლემაზე); **ბოლონიის პროცესი**; **კოპენჰაგენის პროცესი**; შეცვლილი ევროპის კავშირი ახალი საზღვრებით და ახალი მიდგომებით განათლების დარგში თანამშრომლობისათვის.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნისათვის ზრუნვა ადრევე დაიწყო. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ბოლონიის უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ „უნივერსიტეტების დიდ ქარტიას", სადაც ლაპარაკი იყო ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნაზე, უნივერსიტეტების ავტონომიაზე, პროფესორთა აკადემიურ თავისუფლებასა და სტუდენტთა უფლებებზე, ე. წ. „მაგნა კარტას" ბევრმა უმაღლესმა სასწავლებელმა დაუჭირა მხარი. 1994 წლის სექტემბერში მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტისა და კაიროს უნივერსიტეტების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც შეუერთდა „მაგნა კარტას". საგანგებო ცერემონიალზე, რომელშიც საქართველოს დელეგაციამაც (პროფ. ნ. ლომოური, მწერალი ლ. თაბუკაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი) მიიღო მონაწილეობა, ხელი მოვაწერეთ ამ ქარტიას.

ევროპაში კონკურენტუნარიანი და მიმზიდველი საგანმანათლებლო სისტემის შექმნის მიზნით 1999 წელს ევროპის უმეტესი სახელმწიფოების მიერ მიღებულ იქნა **ბოლონიის დეკლარაცია** უმაღლესი განათლების განვითარების შესახებ. დაიწყო ბოლონიის პროცესი, რომლის უმთავრეს ამოცანად განისაზღვრა 2010 წლისთვის უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის შექმნა. ამ ამოცანის რეალიზაციისათვის შემოთავაზებული იყო, ევროპული კომისიის პროგრამების ჩარჩოებში ხელი შეწყობოდა კრედიტების ევროპული სისტემის შემოღებას, უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე შექმნილიყო ხარისხის კონტროლის სისტემა, ფართო გზა მისცემოდა აკადემიურ მობილურობას. ამ დეკლარაციას კავკასიის ქვეყნებიც შეუერთდნენ (მათ შორის რუსეთის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკებიც).

2000 წლიდან ევროპის კავშირმა მიიღო ევროპული თანამეგობრობის გამოწვევა განათლების თაობაზე – მაღალხარისხოვანი განათლება წარმოადგენს ცოდ-

ნაზე დაფუძნებული, კონკურენტუნარიანი საზოგადოების შექმნის საფუძველს. გლობალიზაციის პროცესები, ტექნოლოგიური და დემოგრაფიული ცვლილებები მოითხოვს ცოდნის მუდმივ განახლებას, რაც აუცილებელია კომპეტენტურობის ამაღლებისათვის. **ლისაბონში** ჩატარებულმა ევროპის საბჭოს სხდომამ (2000 წლის მარტი) დასაბამი მისცა განათლებისა და კადრების გადამზადების სფეროს დინამიკურ განვითარებას. ლისაბონის პროცესის მთავარი მიზანია ცოდნაზე დაფუძნებული კონკურენტუნარიანი ეკონომიკის შექმნა დიდი რაოდენობის სამუშაო ადგილებით.

ევროპის საბჭოს ლისაბონისა და ფეერის სხდომებზე დაისვა საკითხი – განათლება მთელი ცხოვრების მანძილზე. ეს კონცეფცია გულისხმობს სწავლების ახალი სქემის შემოტანას, რომელიც მოსწავლეს სწავლების პროცესის ცენტრში აყენებს და ხაზს უსვამს განათლების ყველასათვის მისაწვდომობას და დასაქმების თანაბარ პირობებს. ეს განათლების ყველა დონეს შეეხება სკოლამდელიდან უნივერსიტეტის შემდგომ განათლებამდე. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოწიფული (ზრდასრული) ადამიანების სწავლებას, რაც მიჩნეულია საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად. ადამიანის აღზრდისა და სწავლების პრობლემებს ძირითადად პედაგოგიკა შეისწავლის. მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში იყო ცდა, პედაგოგიკიდან გამოეყოთ ზრდასრულთა განათლების პრობლემები.[1] ზრდასრულთა განათლების პრობლემების შემსწავლელ მეცნიერებას **ანდრაგოგიკა** ეწოდება.[2] ამ იდეის განხორციელება (ანდრაგოგიკის დანერგვა) მხოლოდ XX საუკუნის შუახანებში დაიწყო. კვლევებმა აჩვენა, რომ ასაკოვანთა განათლება როგორც მიზნითა და შინაარსით, ისე სწავლების ფორმითა და მეთოდებით განსხვავდება სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლებისაგან. წამოიჭრა რიგი სპეციფიკური საკითხები, რომლებზეც სასკოლო პედაგოგიკას არ ძალუძს პასუხის გაცემა. საჭირო იყო სპეციალური მეცნიერება, რომელიც ობიექტური სინამდვილის გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე პასუხს გასცემდა ყველა კითხვას, რომელიც ამ პროცესებს ეხებოდა. დევიზი ასეთი იყო: განათლება არა მთელი ცხოვრებისათვის, არამედ განათლება მთელი ცხოვრების მანძილზე.

ნიშანდობლივია, რომ ზრდასრულთა და ხანდაზმულთა განათლებას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იუნესკომ. ჩატარდა რამდენიმე საერთაშორისო კონფერენცია (1985 წელს – პარიზში, 1997 წელს – ჰამბურგში). 2004 წელს, 21-22 მაისს მოსკოვში ჩატარდა კონფერენცია „ზრდასრულთა განათლება ახალი რუსეთისათვის". პედაგოგიკურ და ანდრაგოგიკურ მოდელებს შორის განსხვავება შეიმჩნევა უპირატესად სწავლების ტექნოლოგიაში. განსხვავებით პედაგოგიკისაგან ანდრაგოგიკური მოდელი განსაზღვრავს, რომ ხანდაზმული (ზრდასრული)

---

[1] გერმანელმა ისტორიკოსმა ალექსანდრ კაპმა 1833 წელს მოზარდი თაობისა და მოწიფულთა და ხანდაზმულთა სწავლება ერთმანეთისაგან გამიჯნა და ამ უკანასკნელს ანდრაგოგიკა უწოდა (ბერძნ. ანდრაგოგიკა – ზრდასრული ადამიანის გაძღოლა).

[2] Андрагогика – наука об образовании взрослых, Известия Международной Академии Наук высшей школы, М., 2005, №3(33), стр. 54-61.

მოსწავლე, რომელსაც მოთხოვნილება აქვს დამოუკიდებლობისა, წამყვან როლს ასრულებსს თავისი სწავლების პროცესში. შესაბამისად, სწავლების ტექნოლოგიაში ძირითადად გამოიყენება საქმიანი თამაშები, დისკუსიები, ლაბორატორიული ექსპერიმენტები, კონკრეტული ამოცანების ამოხსნა-გადაწყვეტა, კონკრეტული სიტუაციების განხილვა და სხვ. ხანდაზმულთა განათლების ინსტიტუტი სპეციფიკური ინსტიტუტია. შეფარდებითი განყმევებულობა (თავისუფლება) ამ სფეროში ხელს უწყობს არა მხოლოდ ანდრაგოგიკის შემდგომ განვითარებას, არამედ ახალი პედაგოგიური ცოდნის დაგროვებას, რომელსაც შეუძლია დადებითი გავლენა მოახდინოს სასკოლო-საუნივერსიტეტო სწავლების ორგანიზაციაზეც. ამას ადასტურებს ახალი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებების გაჩენა, მრავალპროფილურობა, სასწავლო პროგრამების ვარიანტულობა და სხვ.

ევროპის საბჭომ 2004 წლის გაზაფხულზე მიმართა სახელმწიფოებს (ევროპის საბჭოს წევრებს), 2006 წლისათვის გამოიმუშაონ მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების თანმიმდევრული და ყოველმხრივი ეროვნული სტრატეგია.

2002 წლის ნოემბერში ევროპის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება პროფესიული სწავლების სფეროში თანამშრომლობის გაფართოების თაობაზე, კადრების გადამზადებისა და დამატებითი განათლების შესახებ. ყოველივე ამან შექმნა საფუძველი „კოპენჰაგენის დეკლარაციისა", რომელიც გულისხმობს შეთანხმებას ევროპული ქვეყნების პროფესიულ-ტექნიკური განათლებისა და კადრების გადამზადების საქმეში თანამშრომლობაზე. მიღებული დეკლარაციის ჩარჩოებში განიხილება საკითხები: კვალიფიკაციის გამჭვირვალობა, ხარისხის კონტროლი, კრედიტების სისტემის შემოღება, არაფორმალური და არაოფიციალური განათლებისა და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების რატიფიკაციის ზოგადი პრინციპები.

ევროპის კავშირის დღემდე არსებული ყველა პროექტი, რომელიც განათლების პრობლემებს ეხება, დამთავრდა 2006 წელს. ევროპის კომისია ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პირობების შესაბამისად ამზადებს ახალ პროგრამებსა და საკანონმდებლო წინადადებებს.

* * *

იმ მიზნით, რომ გარანტირებული იყოს ეკონომიკური განვითარების სოციალური ერთიანობა და დინამიზმი, ევროპის საბჭო ითვალისწინებს არა მარტო წევრი ქვეყნების მოქალაქეთა ინტერესებს, არამედ მეზობელი ქვეყნებისასაც. ევროპის საბჭომ განაცხადა, რომ თანამშრომლობა ყველა ქვეყანასთანაა საჭირო. ევროპის კომისია განსაზღვრული ძირითადი პრიორიტეტების შესაბამისად აქტიურად მუშაობს ახალი ევროპის პროგრამების კონცეფციაზე. საკითხი ეხება განათლებისა და კადრების გადამზადების პრობლემებს 2007 წლიდან 2013 წლამდე. 2004 წლის 9 მარტს ევროპული თანასაზოგადოებების კომისიამ (ეთკ) მიიღო კომუნიკე: „ევროპის თანასაზოგადოებათა ახალი თაობის საგანმანათლებლო პროგრამები 2006 წლიდან". აქ მოცემულია ძირითადი პრიორიტეტები ახალი თაობის პროგრამები-

სა, ხაზგასმულია საგანმანათლებლო დარგში თანამშრომლობა და მობილურობა. ახალმა პროგრამებმა უნდა შეცვალოს არსებული პროგრამები: „სოკრატესი", „ლეონარდო და ვინჩი" და „ტემპუს-3" (სამივე პროგრამა 2006 წელს დასრულდა).

შემოთავაზებულია წინადადება, ახალი თაობის პროგრამები, რომელთა ბაზა იქნება ერთიანი პროგრამა მობილურობისა და სწავლების (მთელი ცხოვრების მანძილზე) დარგში თანამშრომლობისა ევროპის კავშირის, ევროპის ეკონომიკური ასოციაციის და კანდიდატი ქვეყნებისათვის. შემოვა ახალი პროგრამა „ტემპუს-პლიუსი", რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას განათლების ყველა საკითხთან დაკავშირებით ევროპის საბჭოში შემავალ და მათ მეზობელ ქვეყნებთან და ქვეყნებთან, სადაც უკვე მიმდინარეობს „ტემპუს" პროგრამის რეალიზაცია. ფაქტობრივად, ევროპის კომისიის მიერ მიღებული საგანმანათლებლო პროგრამები მიმართული იქნება ბოლონიისა და კოპენჰაგენის დეკლარაციებში დასახული პროცესების მხარდასაჭერად.

ახალი თაობის პროგრამები განათლებასა და სწავლებაში თანამშრომლობის მზარდი მნიშვნელობის შესაბამისად, ეკონომიკის მოთხოვნების გათვალისწინებით განსაზღვრულია პრაქტიკული მიზნების მისაღწევად. ეს მიზნები კი ასეთია: მოსწავლეთა და მასწავლებელთა, სულ ცოტა, 10% უნდა იყოს ჩართული პროგრამა „კომენიუსში", 2007-2013 წწ.; 2010 წლისთვის 3-მა მილიონმა სტუდენტმა მაინც უნდა მიიღოს მონაწილეობა პროგრამა „ერაზმუსში"; 2013 წლამდე „ლეონარდო და ვინჩის" პროგრამით სულ ცოტა 150 000 სტაჟიორმა უნდა გაიაროს ყოველწლიური სწავლება. 2013 წლისათვის 50 000-მა დიპლომირებულმა სპეციალისტმა ყოველწლიურად უნდა გაიაროს სასწავლო კურსი საზღვარგარეთ; ერთიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მომენტისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ევროპულ თანამშრომლობაში სულ ცოტა, ხუთიდან ერთი ინსტიტუციონალური ხანდაზმულთა განათლების პროვაიდერის (გადამზადებისა და დამატებითი განათლების პროგრამა) მონაწილეობა. განათლებასა და სწავლებას შორის ურთიერთკავშირის განმტკიცებისა და ევროპის კომისიის პრიორიტეტებთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის ერთიან პროგრამაში შევა ტრანსვერსალური პროგრამა, რომელიც აქცენტირებული იქნება პოლიტიკის განვითარებაზე (მონაცემების შეკრებისა და ანალიზის ჩათვლით), ყურადღება მიექცევა ენების შესწავლას, ახალ საინფორმაციო-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებს და სექტორალური პროგრამების რეალიზაციის დადებითი შედეგების გავრცელებას. ერთიან პროგრამაში შედის ახალი პროგრამა „ჯინა მონეტი", რომელიც მიმართულია სწავლებისა და გადამზადების ევროპული ინტეგრაციის უზრუნველყოფისაკენ.

არსებითი განსხვავება მიმდინარე და ერთიან პროგრამებს შორის მათი გავრცელების მასშტაბია. ევროპის საბჭოს კომისია ვარაუდობს, რომ არსებითად უნდა გაიზარდოს დეცენტრალიზებული ქმედებები, განსაკუთრებით – მობილურობის უზრუნველყოფისათვის. ეს, თავის მხრივ, მოითხოვს განათლების, სწავლებისა და კადრების გადამზადების სფეროში ეროვნული სააგენტოების ქსელის გაძლიერებას.

კადრების გადამზადების პროგრამაში („გრუნდტვიგი") იგულისხმება სპეციალისტთა მობილურობის მხარდაჭერის ახალი პრინციპების დამუშავება. გათვალისწინებულია რა მომავალ ათწლეულში დემოგრაფიული ცვლილებების პროგნოზი, შემოთავაზებულია პროგრამის მონაწილეთა ასაკობრივი ჩარჩოების გაზრდა. ეს კი აუცილებელია მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების უზრუნველყოფისათვის. ერთიანი პროგრამის მნიშვნელოვანი სიახლეა ტრანსვერსალური პროგრამის შემოტანა, რომელიც მუშავდება იმ პრობლემებზე მხარდაჭერის უზრუნველყოფისათვის, რომლებიც არ შეესაბამებიან არც ერთ სექტორულ პროგრამას ან კიდევ, გააჩნიათ პოტენციალური ინტერესი და ზემოქმედება მთელ პროგრამაზე. მთავარი საქმიანობა იქითაა მიმართული, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მდგრადი და ყოველმხრივი მხარდაჭერა ევროპის დონეზე განათლებისა და კადრების გადამზადების ძირითადი პრიორიტეტებისა. ამგვარმა მოღვაწეობამ საშუალება უნდა მისცეს ევროპის საბჭოს, აქტიურად გაატაროს თავისი საგანმანათლებლო სტრატეგია, ჩადოს სახსრები იმ პროექტებში (სტატისტიკური მასალისა და ინდიკატორების შეკრება-ანალიზი, ანალიტიკური სტრუქტურების შემოწმება და სხვ.), რომლებიც ამაგრებენ პროგრამის მოქმედებას ევროპის დონეზე.

ნიშანდობლივია, რომ ევროპის საბჭოს მიერ დეკლარირებული პროგრამების („ტემპუს პლიუსი" და სხვ.) ფართო სპექტრი ითვალისწინებს მასში დსთ-ის ქვეყნების მონაწილეობასაც. ამიტომ კავკასიის ქვეყნებმა, კერძოდ საქართველომ, მკვეთრად უნდა განსაზღვრონ ევროპის კავშირთან განათლების სფეროში თანამშრომლობის პრიორიტეტები, რაც პრაქტიკულად განსაზღვრავს პროგრამაში მონაწილეობის ეფექტურობას.

ჩვენ, სრულიად შეგნებულად, ვრცლად მიმოვიხილეთ განათლების სისტემის მდგომარეობა, სახელმწიფოთა და მსოფლიო ორგანიზაციათა მცდელობა ამ სისტემის მოდერნიზებისა და რეფორმირებისათვის, რადგან სწორი საგანმანათლებლო პოლიტიკა უზრუნველყოფს გლობალიზაციის პროცესის ჰარმონიულობას. სწორედ გლობალიზაციის ფონზე იძენს განათლება და კულტურა ინტეგრაციულ ხასიათს, ხდება ერთიანი, მოიცავს სახელმწიფოებსა და კონტინენტებს. გადალახავს რა დროსა და სივრცეს, ეს ფენომენი (განათლება, კულტურა) ხდება საფუძველი და ძლიერი საშუალება დემოკრატიზაციისა, სტანდარტიზაციისა და უნიფიცირებისა.

გასათვალისწინებელია, რომ საბჭოთა კავშირში (შესაბამისად, კავკასიის ქვეყნებში) ჩამოყალიბებული იყო განსაკუთრებული, თვითმყოფადი საგანმანათლებლო სივრცე, რომლის დანგრევაც საფუძველს აცლის იმდროინდელ ადამიანთა მენტალობას. ეს თავისთავად კანონზომიერი მოვლენაა, მაგრამ საჭიროა გარდაქმნის საფუძველი იყოს შინაარსობრივი მხარე და არა ფორმა. თანაც ევრო-

პულ სტრუქტურებთან მისადაგება უნდა მოხდეს არსებული სისტემის დადებითი და უარყოფითი მოვლენების გათვალისწინებით.[1]

ჩვენში (ზოგადად პოსტსაბჭოთა სივრცეში და კერძოდ, კავკასიაში) განათლება ეროვნულ კულტურულ და პედაგოგიკურ ტრადიციებსა და პრიორიტეტებზეა დაფუძნებული. მას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს და კავკასიური მენტალიტეტის გათვალისწინებით უნდა იქნეს რეფორმირებული. ყოველი ინოვაცია განათლებაში უნდა გატარდეს გამოწვლილვითი მეთოდური, ტექნოლოგიური, მარკეტინგული გააზრებით და თუ საზოგადოება მზადაა ამ სიახლეების მისაღებად, მას უნდა ჰქონდეს ნორმატიული სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა. განათლების სფეროს მაღალი სოციალური დანიშნულება არ იძლევა საშუალებას, გადაიქცეს იგი გაუაზრებელი ექსპერიმენტების საცდელ მოედნად. გამომდინარე აქედან, პედაგოგიკური გამოკვლევები იქით უნდა იყოს მიმართული, რომ დაეხმარონ ხელისუფლებასა და განათლების ორგანოებს ღრმად გააზრებული საგანმანათლებლო სისტემის პროგრესული განვითარების უზრუნველმყოფი გადაწყვეტილებების მიღებაში, გადაწყვეტილებებისა, რომლებიც არ დაანგრევენ განათლების ისტორიულ, სოციალურ-კულტურულ და სამეცნიერო ტრადიციებს.

ჩვენ განსაკუთრებულად იმიტომ შევჩერდით განათლებისა და კულტურის პრობლემებზე, რომ რეალურად გვეჩვენება ამ ფენომენის პრიმატი საზოგადოების განვითარებაში. ამერიკელი პოლიტილოგის, სამუელ ჰანთინგთონის, მიერ წამოყენებული დებულება ცივილიზაციათა შეჯახებისა და ძირითადი კონფლიქტების კულტურის ხაზით წარმართვის შესახებ რეალურად ხორციელდება ბუნებაში.

ფიქრი კავკასიური ცივილიზაციის მომავალზე

დღეს უკვე მიღებულად ითვლება და ფართოდაა აღიარებული, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები სტადიალურად იქცნენ „ინფორმაციულ საზოგადოებად". ეს ე. წ. „პოსტინდუსტრიალური ერაა". ამ გადასვლას და მის შედეგს მეცნიერები „მესამე ტალღას" უწოდებენ.[2] ამასთან მიჩნეულია, რომ ეს პროცესი არის კანონზომიერი და თანმიმდევრული (როგორც, მაგალითად, მონადირეობიდან მიწათმოქმედებაზე და მიწათმოქმედებიდან სამრეწველო წარმოებაზე გადასვლა). კავკასიური სამყარო შესაძლოა მხარს ვერ უბამდა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების წინსვლა-გარდაქმნებს, თუმცა იქ მიმდინარე პროცესების შედეგები აქამდეც აღწევდა და იგივე მოვლენები post factum კავკასიის

---

[1] В. И. Вернадский, Научная мысль как планетное явление, М., 1991, стр. 107; Э. Боно, Латеральное мышление, СПб., 1997, стр. 15; Л. А. Араева, Научная и образовательная парадигма XXI века, Известия Международной Академии наук высшей школы, М., 2005, №3(33), стр. 109-118.

[2] Э. Тоффлер, Третья волна, М., 1999.

ქვეყნებშიც განვითარდა. დასავლეთმა გზა გაუკვალა ცივილიზაციის მოდერნიზაციას და თანამედროვე კულტურის ფორმირებას, კულტურისა, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, მსოფლიოს უნივერსალური კულტურა გახდება. არ უნდა ვიფიქროთ, რომ მოდერნიზაციას მსოფლიო ცივილიზაციის განმასახიერებელ ისტორიულ კულტურათა სიმრავლის გაქრობისაკენ მივყავართ. პირიქით, მოდერნიზაცია აძლიერებს ლოკალურ კულტურებს და ამცირებს დასავლეთის გავლენას. სამყარო თანადროულდება და ნაკლებად დასავლური ხდება.[1]

გლობალიზაციის პროცესების დაჩქარებისა და ზრდის პერიოდში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა კულტურებისა და ცივილიზაციების დიალოგის პრობლემამ. თვით ტერმინმა „დიალოგი" უკანასკნელ ხანს გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. თუ კი ადრე „დიალოგი" განიხილებოდა როგორც ინფორმაციის გაცვლა, დღესდღეობით იგი მიჩნეულია როგორც რთული შემოქმედებითი პროცესი ორი სხვადასხვა შეგნების, ღირებულებათა სხვადასხვა სისტემის, სხვადასხვა იდეური პოზიციების მქონე ურთიერთობისა, რომლის შედეგადაც, შესაძლოა, პრინციპულად ახალი კულტურული ფენომენის აღმოცენება. დიალოგის სუბიექტებად გამოდიან არა მხოლოდ ინდივიდები, არამედ თაობები, ეთნოსები, კონფესიები, სახელმწიფოები, კულტურები და ცივილიზაციები. დიალოგი განიხილება როგორც კულტურული მრავალფეროვნების დაცვის საშუალება.[2]

XX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან ტერმინი „დიალოგი" მოდური სიტყვაა, რომლითაც გამოიხატება სხვადასხვა ერთმანეთისაგან განსხვავებული მოვლენა, სიტუაცია თუ „განზოგადება".[3] დიალოგი ინარჩუნებს თავის სპეციფიკას, რომელიც განაპირობებს მის განსაკუთრებულ როლს ადამიანთა სიცოცხლისუნარიანობის ორგანიზაციასა და მათ ურთიერთობებს ფართო სივრცეში. " ... Диалогические отношения – явление гораздо более широкое, чем отношения между репликами композиционно выраженного диалога, это почти универсальное явление, пронизывающее всю человеческую речь и все отношения и проявления человеческой жизни, вообще все, что имеет смысл и значение... Чужие сознания нельзя созерцать, анализировать, определять как объекты, вещи – с ними можно только диалогизировать, общаться..."[4]

დღესდღეობით აქტუალურია კულტურათშორისი და ცივილიზაციათშორისი დიალოგის პრობლემა. ამასთან, წინა პლანზეა წამოწეული დიალოგი, რომელიც არსებითად განსხვავდება სუბიექტების დონითა (კულტურათა დონეა მხედველობაში) და განვითარების მიმართულებით. ეს სუბიექტები (კულტურები თუ ცივილიზაციები) ერთ დროით განზომილებაში იმყოფებიან. თავის დროზე არნ. ტოინბიმ

---

[1] Н. В. Голик, Проблемы модернизации России в мире "разных цивилизации", сб. Человек, государство, глобализация, СПб.-Тб., 2005, стр. 75.

[2] იხ. აგრეთვე Э. В. Сайко, Проблемное поле диалога, как феномена социального мира, Цивилизации, вып. 7, М., 2006, стр. 9-38.

[3] В. С. Библер, От наукоучения к логике культур. Два философских введения в двадцать первый век, М., 1991, стр. 55.

[4] М. М. Бахтин, Проблема поэтики Достоевского, М., 1972, стр. 71.

ყურადღება მიაქცია წარსულის კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის თეორიულ გააზრებას და მასთან დაილოგის შესწავლის აუცილებლობას.[1] თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ინგლისელი მეცნიერი კრიტიკულად უყურებდა არქაიზმს, უნაყოფოდ ეჩვენებოდა და ცხოვრების მდინარების წინააღმდეგ ცურვად მიაჩნდა; თვლიდა, რომ შეუძლებელია შეარიგო წარსული და აწმყო მომავალთან.[2]

თანამედროვე ცივილიზაციური და კულტუროლოგიური მიდგომები ფართო შესაძლებლობებს იძლევიან „არქაიზმის" ფენომენის შესწავლისათვის. ამჯერად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცივილიზაციის ინტეგრაციულ ფუნქციებს, რომლებიც წარმოადგენს რა ურთულეს სუპერსისტემას, აერთიანებს არა მარტო კულტურის სხვადასხვა ქვესისტემას, არამედ წარსულისა და აწმყოს კულტურულ შტრიხებსაც. იდენტურობის შენარჩუნების მიზნით მხარს უჭერს რა ისტორიულ მემკვიდრეობითობას, ცივილიზაცია ქმნის ხანგრძლივი მეხსიერების ფარულ, მაგრამ ქმედით მექანიზმს. ეს, ფაქტობრივად, არის ფიქსაცია და მოწესრიგება საზოგადოების მთელი ცხოვრების გზის შესახებ არსებული ინფორმაციისა.[3]

გლობალიზაციის პროცესის თანდათან ზრდა ნოყიერ ნიადაგს უქმნის არქაული შტრიხების აქტივიზაციას, რის წყალობითაც სხვადასხვა დონის ტრადიციული არქაული კულტურები ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტში შედიან. შედეგი ისაა, რომ კულტურული იდენტურობის მკვეთრი საზღვრები ქრება. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მეცნიერი უშვებს ახალი, მრავალგანზომილებიანი, მოქნილი კულტურული იდენტურობის შესაძლებლობას, რომელიც თითქოსდა საშუალებას მისცემს ადამიანს, სხვადასხვა კულტურული სამყარო „საკუთრად" აღიქვას.[4]

ერთი რამ უდავოდ გვეჩვენება, რომ ამ შეუჩერებელი გლობალიზაციური პროცესების მიმდინარეობისას აუცილებელია თითეული ერის საუკუნეებგამოვლილი ტრადიციების შენარჩუნება; შენარჩუნება იმ ყოველივე ფასეულისა, რაც ადამიანებს სხვადასხვა ფენომენის (ენა, სარწმუნოება, ფოლკლორი, კულტურის სხვადასხვა ორიგინალური კომპონენტი) სახით შეუქმნიათ. დღეს საქვეყნოდ აცხადებენ იუნესკოს ექსპერტების დასკვნას, რომ XXI საუკუნის ბოლოს ამჟამად არსებული 2000 ენიდან მხოლოდ 10% დარჩება. ეს მეტად მძიმე დასკვნაა, რაზეც სერიოზული ფიქრია საჭირო. ყოველი გადაწყვეტილება ღრმად უნდა იქნეს გააზრებული, გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ასპექტი და ისე უნდა იყოს მიღებული. დიდი სახელმწიფოების ყოველი გაუაზრებელი გადაწყვეტილება დაპირისპირების საფუძველს იძლევა. დღევანდელ მსოფლიოში ისედაც ბევრია

---

1 იხ. Арн. Тойнби, Постижение истории, М., 2004, стр. 428-439.

2 იქვე.

3 Б. С. Ерасов, Цивилизации, универсалии и самобытность, М., 2002, стр. 106-107.

4 M. Featherstone, Undoing Culture. Clobalisation, Postmodernism and Identity. L., New Delhi, 1995, p. 3-9.

კონფლიქტები, რომელთა გადაჭრაა საჭირო.[1] ეს კავკასიის რეგიონზეც ითქმის. კავკასიურ ცივილიზაციას გლობალიზაციის პირობებში გადარჩენა-შენარჩუნება და შემდგომი განვითარება სჭირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე კავკასიაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები[2] აშკარად გვიჩვენებს, რომ რეგიონი არც გეოპოლიტიკურად და არც სოციალურ-ეკონომიკურად ერთგვაროვანი არ არის. მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა, სომხეთმა და საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვეს, საშუალება მიეცათ ჩაბმულიყვნენ საერთოკავკასიურ ინტეგრაციულ პროცესებში. ამასთან, მოპოვებულმა სუვერენიტეტმა უზრუნველყო მათი უფლებები, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ გეოსტრატეგიული პრობლემები. საქართველომ და აზერბაიჯანმა პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად დასავლეთის ქვეყნებთან დაახლოება და თურქეთთან მჭიდრო ურთიერთობა გახადეს. არ შეიძლება მხედველობაში არ იქნეს მიღებული, რომ კავკასიისადმი, როგორც ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური ერთეულისადმი, ყოველთვის იჩენდნენ ინტერესს რუსეთი, ირანი და თურქეთი. თითოეულ ამ სახელმწიფოს ისტორიულადაც და დღესდღეობითაც თავისი დამოკიდებულება ჰქონდა და აქვს კავკასიის რეგიონისადმი და თავისებურად ესმის კავკასიაში შემავალ სახელმწიფოთა მთლიანობა. ნიშანდობლივია, რომ თვით კავკასიის სახელმწიფოთა შორის შეინიშნება გეოსტრატეგიული პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულება (საქართველო და აზერბაიჯანის პრიორიტეტია დაახლოება დასავლეთთან და თურქეთთან, სომხეთისა კი ირანთან და რუსეთთან), რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეთნოკონფლიქტების სიმრავლესა და სიმწვავეს ცენტრალურ კავკასიაში.[3] ის ფაქტი, რომ სომხეთი და აზერბაიჯანი, ფაქტობრივად, საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან, საქართველოში კი სეპარატისტული მოძრაობა მწვერვალს აღწევს (აფხაზეთი, სამაჩაბლო), თავისთავად მეტყველებს იმ დაბრკოლებებზე, რომლებიც კავკასიაში ინტეგრაციულ პროცესებს ხვდება.

ცენტრალური კავკასიისაგან სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაშია ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასია. იქ არსებული სოციალურ-პოლიტიკური პირობების გამო მათი მონაწილეობა საერთო-რეგიონალურ ინტეგრაციულ პროცესებში გართულებულია. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასია რუსეთის, თურქეთისა და ირანის შემადგენლობაში შედიან, მათ დამოუკიდებლად არ შეუძლიათ კავკასიურ პროცესებში მონაწილეობა. ცხადია, ისინი მოქმედებენ თავიანთი სახელმწიფოების მიერ განსაზღვრული

---

[1] იხ. რ. მეტრეველი, გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები, თბ., 2006.

[2] Э. Копалиани, Дж. Квициани, Кавказ в XX веке, Тб., 2001; З. Папаскири, О национально-государственном облике Абхазии/Грузия, Тб., 2003; А. Тотадзе, Осетины в Грузии: Миф и реальность, Тб., 2006; Г. Жоржолиани, Исторические и политические корни конфликта в Абхазии/Грузия, Тб., 2002.

[3] Э. Исмаилов, В. Папава, Центральный Кавказ: от геополитики к геоэкономике, Стокгольм, 2006, стр. 23.

კანონმდებლობისა და პოლიტიკის ჩარჩოებში.[1] აქვე აღსანიშნავია, რომ ჩრდილო კავკასიის სახელმწიფოები რუსეთის ფედერაციაში ავტონომიების სახით არიან წარმოდგენილი, მაშინ როცა სამხრეთ კავკასიის მხარეები ირანისა და თურქეთის უნიტარული სახელმწიფოების შემადგენლობაში არიან. ამდენად, ჩრდილო და ცენტრალური კავკასიის ქვეყნებს ინტეგრირების მიმართულებით უფრო მეტი შესაძლებლობები გააჩნიათ (არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ეს ქვეყნები საბჭოთა კავშირის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში შედიოდნენ). უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ სამხრეთი კავკასია ერთმანეთის მოწინააღმდეგე ქვეყნების (თურქეთი, ირანი) სახელმწიფო საზღვრებში არის მოქცეული და ამ მხარის აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილის ინტეგრირება გართულებულია.

ამგვარად, კავკასიის სივრცეში შექმნილი ვითარება ართულებს რეგიონის ინტეგრაციის პროცესს. აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ კავკასია ისტორიულად ერთიანი რეგიონი იყო. კავკასიის ხალხების სოციალურ-ეკონომიკური კავშირები ქმნიდნენ ურთიერთდაკავშირებულ ერთიან რეგიონალურ ეკონომიკას და საერთო ღირებულებებს. ამ უკანასკნელში ჩვენ უპირატესად კავკასიის ხალხების კულტურას ვგულისხმობთ, უაღრესად ფასეულს, მნიშვნელოვანს. პოლიტიკური ვითარება, შესაძლოა, ძველადაც რთული იყო, მაგრამ კულტურული სივრცე ურთიერთმისაწვდომი და ერთმანეთთან დაახლოებული იყო. შესაბამისად, მენტალობაშიც გარკვეული სიახლოვე იყო.

ერთი სიტყვით, ამ საკმაოდ რთულსა და უაღრესად საინტერესო რეგიონს ევრაზიულ სივრცეში თავისი განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამოცანა ერთია – საერთო გლობალიზაციურ პროცესებში არ უნდა დაიკარგოს კავკასიური ცივილიზაცია. გლობალიზაცია არ არის საფრთხე კულტურისათვის – იუნესკოში გაცხადებული ეს დებულება უნდა გავამართლოთ ჩვენ (საზოგადოებამ, ხელისუფლებამ) და ინტეგრაცია-გლობალიზაციის პროცესი კულტურული საუნჯეების გადარჩენისა და მათი მსოფლიო საგანძურში შეტანის ნიშნით წარიმართოს.

2007 წ.

---

[1] Э. Исмаилов, В. Папава, Центральный Кавказ: от геополитики к геоэкономике, Стокгольм, 2006, стр. 24.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები

„რაღა უდროო დროს ამბის მოყოლა
და რაღა მხიარული ჰანგი ტირილის ჟამს...“

სიბრძნე ზირაქისა, 22-6.

XXI საუკუნემ, დადგომის პირველი დღეებიდანვე, ახალი ძალით, ფართო მასშტაბით წარმოაჩინა გლობალიზაციის პროცესის არა უბრალო მიმდინარეობა, არამედ „ძლიერთა“ არნახული ძალისხმევა მისი საყოველთაოდ გატარებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატები, თუ ევროპის წამყვანი ქვეყნები გლობალიზაციის პროცესის დაჩქარების ავანგარდში დგანან. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს პროცესი გარკვეული პროტესტის ფონზე მიმდინარეობს. თუ, ერთი მხრივ, საზოგადოებისათვის გასაგებია მიზანი ეკონომიკისა და ინფორმაციის გლობალიზებისა, გარკვეულ კითხვებს ბადებს კულტურის გლობალიზაცია; კიდევ უფრო დამაფიქრებელია ადამიანთა ცნობიერების გლობალიზების პრობლემა.

გლობალიზაციის პირობებში რა ელის ეროვნულ სახელმწიფოს? ხომ არ დაირღვევა ეროვნული საზოგადოების ერთიანობა? რა დამოკიდებულება ექნება ეროვნულ ეკონომიკას (მისი განვითარების თვალსაზრისით) გლობალურთან? რა ბედი ეწევა ტრადიციულ, საუკუნეებში ჩამოყალიბებულ კულტურას გლობალურთან ურთიერთობაში? – ეს კითხვები ხშირად ისმის. პასუხი? საზოგადოება დასაბუთებულ, გონივრულ პასუხს ელოდება. ეს პასუხი დრომ უნდა მოიტანოს. ადამიანებმა რეალურად უნდა დაინახონ შედეგი და მხოლოდ შემდეგ შეიძლება შეაფასონ – დადებითია იგი, თუ უარყოფითი.

გლობალიზაციის მესვეურები დასავლეთის სახელმწიფოები არიან. ეს მოვლენა არ არის ახალი. თავის დროზე ინგლისელი მეცნიერი არნოლდ ტოინბი მიანიშნებდა, რომ კაცობრიობის განვითარებისას ადგილი ექნება ცივილიზაციათა შეჯახებებს. გავლენა დასავლეთისა დანარჩენ მსოფლიოზე, და ამასთან კონტრგავლენა სხვა ცივილიზაციებისა, ისტორიული მომავლის პერსპექტივის განმსაზღვრელი გახდა. არნ. ტოინბის მოჰყავს ცივილიზაციათა შეჯახების არაერთი მაგალითი.[1] პარადიგმული მნიშვნელობა აქვს ბერძნულ-რომაულ ცივილიზაციას, რომელიც

[1] А. Дж. Тойнби, „Столкновения цивилизаций“, в кн.: Цивилизация перед судом истории, М., 2003, стр. 400-407.

ძველი მსოფლიოს დიდ ნაწილში, ინდოეთამდე, ბრიტანეთამდე და ჩინეთსა და სკანდინავიამდეც კი ვრცელდებოდა. ამ ცივილიზაციის გავრცელების მასშტაბი თანამედროვე გაგებითაც შთამბეჭდავია.

ბერძნულ-რომაულმა ცივილიზაციამ (რომის იმპერია კაცობრიობის წინსვლის წარმატებული ნიმუში იყო) არაერთი ძალისმიერი კონტრდარტყმის აცილება შეძლო, მაგრამ ვერ გაუძლო იდეოლოგიურ შეტევას ქრისტიანობის მხრიდან. ქრისტიანობამ ადამიანთა გული და გონება დაიპყრო. ამის შემდეგ იმპერიის დაცემა გარდაუვალი იყო. იმპერიასთან ერთად კი ცივილიზაციაც დაინგრა. „ცივილიზაცია", თანამედროვე მეცნიერთა განმარტებით, უმაღლესი რანგის კულტურული ერთობაა, ადამიანთა კულტურული იდენტურობის ყველაზე მაღალი დონეა... ცივილიზაცია განისაზღვრება ზოგადი ობიექტური მონაცემებით, როგორიცაა ენა, ისტორია, რელიგია, ტრადიციები, ასევე ადამიანთა სუბიექტური თვითიდენტიფიკაცია (ს. ჰანთინგთონი).[1]

ცივილიზაციური წინააღმდეგობები ძველთაგანვე ძირითადად გამოიხატა იმ კონფლიქტში, რომელიც დასავლურ, ანუ ევროპულ ცივილიზაციასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის არსებობდა. დასავლური ცივილიზაცია, რომელიც თავისი განვითარებით, მაღალი კლასის ტექნოლოგიებითა და სამეცნიერო დონით გამოირჩეოდა, რომელმაც წარმოშვა ლიბერალური დემოკრატია, ექსპანსიურ ხასიათს ატარებდა. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა მას შემდეგ, რაც დასავლურ ცივილიზაციაში წამყვანი ადგილი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიმკვიდრა. ამის შემდეგ დასავლეთის ცივილიზაცია ევრო-ამერიკული გახდა. აშშ XX საუკუნეში და, განსაკუთრებით, XXI საუკუნის დასაწყისში რეალურად აცხადებს პრეტენზიას მსოფლიოში პოლიტიკურ და ცივილიზაციურ ჰეგემონობაზე. ნიშანდობლივია, რომ, მიუხედავად ევროპული ქვეყნების მცდელობისა, შეინარჩუნონ თავისი ქვეყნის ტრადიციები და ცხოვრების წესი, ამერიკანიზაცია მაინც შეუფერხებლად მიმდინარეობს.

გარკვეული დროიდან დასავლეთის წინააღმდეგ ისლამური სამყარო გამოდის. ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში ადგილი ჰქონდა ევროპელებისა და არაბების შეჯახებას პუატიესთან (ქალაქი დასავლეთ საფრანგეთში), რომელიც ევროპელთა გამარჯვებით დამთავრდა (732 წ.). ეს დაპირისპირება შემდგომაც გრძელდებოდა. XX საუკუნეში ისლამური სამყარო თავად დაადგა ვესტერნიზაციის გზას. ნიშანდობლივია, რომ ისლამურმა ქვეყნებმა, აითვისეს რა დასავლური ცივილიზაციის გარეგნული ატრიბუტები, უფრო განამტკიცეს თავიანთი რელიგიური და კულტურული თვითმყოფადობა. არაბულ სამყაროს, როგორც ისტორიიდან და, განსაკუთრებით, დღევანდელობიდან ჩანს, შეუძლია აითვისოს მოწინავე დასავლური ტექნოლოგიები, დაუშვას საზოგადოებრივი ფორმები, რომელიც დასავლური ნიმუშის ბადალი იქნება, მაგრამ ამ ცივილიზაციის არსი

---

[1] С. Хантигтон, Столкновение цивилизации, Полис, 1994, №1, стр. 34. შდრ. А. Дж. Тойнби, დასახ. ნაშრომი.

მაინც ისლამური დარჩება თავისი რელიგიური ეგოცენტრიზმით და არჩეული გზის სისწორის ურყევი რწმენით. არაბული სამყარო მზადაა იმისათვის, რომ ისლამის ყოველგვარი ხელყოფა მტკიცედ უკუაგდოს (გამორიცხული არ არის სამხედრო წინააღმდეგობაც) და დაიცვას ისლამური ცივილიზაციის თვითიდენტიფიკაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესდღეობით მეტად სახიფათო გახდა არაბული და ებრაული მოსახლეობის დაპირისპირება. საერთოდ, დასავლეთის პერმანენტული სწრაფვა მსოფლიო მასშტაბით დომინირებისათვის გამაღიზიანებელი ფაქტორია ისლამური ცივილიზაციისათვის. ეს, ერთი მხრივ, პროვოცირებას უწევს არაბული სამყაროს მზადყოფნას წინააღმდეგობისათვის, მეორე მხრივ კი, აპირობებს მათ სულიერ და ცივილიზაციურ კონსოლიდაციას.

როცა ცივილიზაციათა დაპირისპირებაზეა ლაპარაკი, ალბათ, ყველაზე უფრო გასათვალისწინებელია ისეთი გიგანტი სახელმწიფო, როგორიცაა ჩინეთი. ესაა უძველესი წარსულისა და ცივილიზაციის ქვეყანა, მოსახლეობის მზარდი ტემპით. ჩვენ არ ვიქნებით ორიგინალური, თუ არ გამოვრიცხავთ, რომ XXI საუკუნეში, შესაძლოა, ჩინეთი, ჩინური ცივილიზაცია მთელ მსოფლიოში წამყვანი გახდეს, დომინირებდეს. სავსებით მართებულად მიგვაჩნია მეცნიერთა მოსაზრება, რომ დასავლეთს მოუწევს სხვადასხვა ცივილიზაციის არაერთი კონტრდარტყმის გადატანა. ამასთან, დასავლეთი უნდა შეებრძოლოს, ერთი მხრივ, ცივილიზაციურ ექსპანსიას, მეორე მხრივ, „ჩასახლებულთა" ექსპანსიასაც. დღეს ევროპის ქვეყნებისა, თუ ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქები სავსეა აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოსახლებულებით. ერთ დროს თითქოსდა უწყინარი იმიგრანტები ევროპელებისათვის მიუღებელი გახდნენ, რადგან რეალური საფრთხე შეუქმნეს როგორც სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობას, ასევე პოლიტიკურ-კულტურულ ვითარებას.[1]

ს. ჰანთინგთონი ცალკე მიანიშნებს დასავლეთის დაპირისპირებაზე ლათინურ ამერიკულ და აფრიკულ ცივილიზაციასთან. იგი ხაზს უსვამს, რომ დასავლური ცივილიზაცია არის ერთდროულად დასავლური და თანამედროვეც. არადასავლური ცივილიზაციები ცდილობენ გათანადროულდნენ დასავლურობის გარეშე. ამ თვალთახედვით სრული წარმატება მხოლოდ იაპონიამ მოიპოვა. არადასავლური ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილი ცდას არ აკლებს, რომ შეიძინოს ახალი ტექნოლოგიები, შეიარაღება, მიიღოს მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია, რათა თვალი გაუსწოროს თანამედროვეობას. ამასთან, ისინი ცდილობენ მოდერნიზაცია შეახამონ საკუთარ ტრადიციულ ღირებულებებსა და კულტურასთან. ამოცანა ისაა, რომ ეს ქვეყნები ეკონომიკური და სამხედრო ძლიერებით დაუახლოვდნენ დასავლეთს. ასეთ შემთხვევაში დასავლეთი იძულებული გახდება ანგარიში გაუწიოს სხვა ცივილიზაციებს, ჩასწვდეს მათ რელიგიურ და ფილოსოფიურ საფუძვლებს.

---

[1] ეს პრობლემა მიმოხილული აქვს გ. ანთელავას წიგნში „თანამედროვე ევროპა და თურქული მიგრაცია", თბ., 2004.

ცივილიზაციათა წინააღმდეგობების ისტორიული საფუძველი მხოლოდ ეკონომიკური ან სოციალურ-პოლიტიკური მიზეზები კი არ არის, არამედ ადამიანთა ფსიქოლოგიაა. ნიშანდობლივია, რომ გასულ ათასწლეულებში ომები, რაც ასეთად უხვად იყო, წარმოიშობოდა, უპირატესად, ეთნიკური ეგოცენტრიზმის გამო, როცა ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფს (ერს) თავი გამორჩეულად, სხვაზე მაღლა მდგომად („ჩვენ ყველაზე მაღლა ვართ") მიაჩნდა. ამის აღსანიშნავად არნ. ტოინბიმ შემოიღო საგანგებო ტერმინი „nosism"-ი (ლათ. nos – ჩვენ). მეცნიერთა მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ომების გამორიცხვა შეიძლება, თუ ეროვნული უპირატესობის გრძნობა გადაილახება და კაცობრიობის თვითიდენტიფიკაცია ეთნიკურ, ეროვნულსა და პოლიტიკურზე მაღლა დადგება. სამწუხაროდ, გვიხდება კონსტატირება იმ ფაქტისა, რომ წარმოდგენილი მოსაზრება, დღესდღეობით, თანამედროვე რეალურ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, უტოპიაა.

XX საუკუნის მთავარი წინააღმდეგობა დასავლურ სამყაროსა და კომუნიზმის დაპირისპირება იყო. არნ. ტოინბი კატეგორიულად განასხვავებს დასავლეთის დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირის, ნაცისტური გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიისაგან. ამ უკანასკნელთაგან სამხედრო აგრესია მოდიოდა, აშშ კი უფრო, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნები, უფრთხოდა პროპაგანდისტული მანქანის იდეოლოგიურ (სულიერ) დაპირისპირებას.[1] ფაქტობრივად, ეს იყო ბრძოლა კაცობრიობის უმრავლესობაზე გავლენის მოპოვებისათვის. კომუნიზმი საშიში იყო იმით, რომ იგი აშიშვლებდა „ვესტერნიზებული" სამყაროს ნაკლოვანებებს. დასავლეთის ისტორიული განვითარება ტექნოლოგიებისა და სხვა სიახლეთა წარმატებული აღმავლობით აღინიშნა. სწორედ ტექნოლოგიურმა პროგრესმა და მისმა თანმდევმა საზოგადოების დემოკრატიულმა ლიბერალიზაციამ დასავლეთს აფიქრებინა, რომ მათ „ისტორია დაამთავრეს". ამგვარი მოსაზრება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თითქოს ნონსენსად გამოჩნდა და კარგა ხნის მანძილზე ამას არავინ ახმიანებდა. ალბათ, დასავლური მენტალიტეტის თავისებურებით უნდა ავხსნათ, რომ 1989 წ. კვლავ გაისმა მტკიცება „ისტორიის დასრულების" თაობაზე. ავტორი მტკიცებისა გახლდათ იაპონური წარმოშობის ამერიკელი ისტორიკოსი ფრენსის ფუკუიამა. იგი მიიჩნევს, რომ მსოფლიოში იზეიმა ლიბერალური დემოკრატიისა და სამომხმარებლო კულტურის იდეის გამარჯვებამ, რომ ეს ტრიუმფია დასავლეთისა და დასავლური იდეებისა, ისტორია კი, როგორც მოძრაობა, დამთავრდა. მეტად თავისებურია ფ. ფუკუიამას განცხადება, რომ მსხვილმასშტაბიანმა კონფლიქტებმა უნდა ჩაითრიონ დიდი სახელმწიფოები, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობენ, თუმცა ისინი თანდათან ქრებიან სცენიდან.[2] ალბათ, არ არის სადავო, რომ ფ. ფუკუიამას გაზვიადებულად აქვს წარმოდგენილი დასავლური (განსაკუთრებით ამერიკული) ლიბერალური

---

[1] А. Дж. Тойнби, Цивилизация перед судом истории, гл. Современный момент истории, М., 2003, стр. 275-284.

[2] Ф. Фукуяма, Полемика о статье „Конец истории", Диалог – США, 45, 1990, стр. 12.

დემოკრატიის შეფასება, ხოლო მისი დებულება „ისტორიის დასასრულის“ შესახებ გულუბრყვილოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისებური დამოკიდებულება გამოხატა დასავლეთისა და დანარჩენი მსოფლიოს (კერძოდ, აზიის) ურთიერთობის შესახებ მწერალმა ოლჟას სულეიმენოვმა. მას მიაჩნია, რომ გარკვეულ პერიოდში ისტორიული პროცესის შეფასება ხდებოდა ევროპოცენტრისტული პოზიციიდან (ეს ასეც იყო), რომ კაცობრიობის წარსული ევროპელი პოლიტიკოსებისა და მეცნიერების მხრიდან განიხილებოდა XXI საუკუნის პოლიტიკური და კულტურული რუკის პრიზმიდან. ო. სულეიმენოვი მხატვრულად გადმოგვცემს: „Молодая цветущая Европа, морща носик, рассматривала из окна вагона хромую, согбенную старуху Азию. И мгновенное это соотношение казалось обоим – вечным. Трудно было юной эгоистической особе поверить, что морщинистая баба-яга некогда была энергичной, дерзкой красавицей. И тяжелые драгоценности, которые она вынесла к поезду на продажу, украшали когда-то ее гибкую шею и бились, сверкали в скаку на высокой груди. И звонкую речь ее слушали древняя Греция и старцы Египта“.[1]

XX საუკუნის ბოლო ათწლეულის სპეციფიკა განსაზღვრა კომუნიზმის კრახმა, საბჭოთა კავშირის დაშლამ და გლობალიზაციური პროცესების დაჩქარებულმა ზრდამ. ამის შემდეგ, ერთი შეხედვით, ცივილიზაციათა დაპირისპირება-შეჯახების იდეა უკუგდებული უნდა ყოფილიყო. რეალურად ეს ასე არ მოხდა. ამ იდეებს თეორიული თვალთახედვით დამცველი გამოუჩნდა ს. ჰანთინგთონის სახით, შემდგომში კი პრაქტიკულად ცხოვრებაში მოხდა მათი განხორციელება. თანაც ს. ჰანთინგთონმა მტკიცედ განაცხადა, რომ მომავალში მსოფლიოში კონფლიქტების ძირითადი წყარო არ იქნება იდეოლოგია და ეკონომიკა. არსებითი მიჯნა, რომელიც კაცობრიობას გაჰყოფს და კონფლიქტების წყარო წარმოჩნდება, განსაზღვრული იქნება კულტურით. ეროვნება – სახელმწიფო საერთაშორისო საკითხებში ძირითად მოქმედ პირად დარჩება, მაგრამ კონფლიქტები გლობალურ პოლიტიკაში გაიშლება სხვადასხვა ცივილიზაციების მქონე ეროვნებებსა და ჯგუფებს შორის. ცივილიზაციათა შეჯახება მსოფლიო პოლიტიკის დომინირებული ფაქტორი იქნება.[2]

ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს პეტრე I-ის დროინდელი რუსეთი. პეტრე I მიჩნეულია დასავლეთის ტიპის ავტოკრატიულ რეფორმატორად, რომელმაც თავის ქვეყანას ზემოდან მოახვია ტექნიკური რევოლუცია და გრანდიოზული სოციალური გარდაქმნები. სწორედ პეტრე I-მა ჩააბა რუსეთი დასავლეთთან ტექნოლოგიურ შეჯიბრში. ნიშანდობლივია, რომ პეტრე I-მა დასავლეთის გამოწვევას დასავლური მეთოდებით უპასუხა, თუმცა ამით რუსეთი სრულიადაც არ შერწყმულა დასავლეთევროპულ ცივილიზაციასთან. პირი-

---

[1] О. Сулейменов, Аз и Я, Алма-ата, 1975, стр. 200. ამ წიგნის შესახებ იხ. რ. მეტრეველი, ერთი წიგნის გამო. კრებ.: მცირე გულანი, ქუთაისი, 1979, გვ. 76-91.

[2] С. Хантигтон, Столкновение цивилизаций, Полис, 1994, №1, стр. 33.

ქით, რუსეთმა ახალი საშუალებები შეიძინა დასავლეთზე წინააღმდეგობისა/და კონტრშეტევისათვის.[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსი ისტორიკოსები თავისებურად განიხილავენ რუსული ცივილიზაციის პრობლემებს. ისინი თავად აცნობიერებენ, რომ „რუსული ცივილიზაციის" განხილვისას, უპირატესად, აქცენტი კეთდება კულტურაზე და არა სოციალურ სისტემაზე (ნ. ი. დანილევსკი, გ. ვ. ვერნადსკი). ცალკეული ავტორები შეეცადნენ ეს პრობლემა წარმოეჩინათ, როგორც სოციალური სისტემა და რუსული ისტორიის საწყისებისათვის შეეხედათ, როგორც ცივილიზაციური პროცესისათვის.[2] გამოჩენილი რუსი ისტორიკოსების ბ. დ. გრეკოვის,[3] მ. ნ. ტიხომიროვის,[4] ბ. ა. რიბაკოვის,[5] ი. ნ. დანილევსკის,[6] ლ. ვ. ჩერეპნინის,[7] ა. პ. ნოვოსელცევისა[8] და სხვ. ნაშრომებში გადმოცემულია რუსეთის ცივილიზაციის ცალკეული მხარეები.

„ანალების" სკოლის მეთოდოლოგიურმა მონაპოვარმა ფართოდ გაზარდა სოციალურ-ეკონომიკური მიმართულების, უფრო კონკრეტულად, „გლობალური", „ცივილიზაციური", „სტრუქტურული", „ადამიანური" ისტორიების სამეცნიერო მნიშვნელობა. აი, სწორედ ამ ფენომენმა მისცა ბიძგი და გასული საუკუნის 60-70-იან წლებში რუსული ისტორიული მეცნიერების განახლების ძირითად ფაქტორად იქცა. ეს პროცესი ახლაც გრძელდება.[9]

დღესდღეობით რუსულ ისტორიოგრაფიაში მენტალობასთან დაკავშირებული საინტერესო პრობლემატიკითა და კვლევის მეთოდიკით გამორჩეულია რამდენიმე სამეცნიერო ცენტრი. ესენია: „მენტალობის ისტორიის შემსწავლელი ცენტრი" (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტში), რომელსაც ხელმძღვანელობს ა. ი. გურევიჩი. ცენტრი აღნიშნული პრობლემების კვლევასთან ერთად ორგანიზებას უკეთებს და ამუშავებს ამ თემატიკას მუდმივმოქმედი სემინარისა და პერიოდული გამოცემების (პუბლიკაციების) საშუალებით [იხ. ალმანახი: Одиссей. Человек в истории (отв. редактор А. Я. Гуревич). გამოიცემა 1989 წლიდან].

სამეცნიერო ჯგუფი (სრულიად რუსეთის მედიევისტთა ასოციაციასთან არსებული მსოფლიო კულტურის ისტორიის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში) ლ. მ. ბრაგინას ხელმძღვანელობით იკვლევს აღორძინების ეპოქის კულტურას.

---

[1] А. Дж. Тойнби, Мир и запад, гл. „Россия и Запад", М., 2003, стр. 436-443.

[2] А. Н. Поляков, Образование древнерусской цивилизации//Вопросы истории, 2005, №3, стр. 72-87; Л. В. Черепнин, Новгородские берестяные грамоты из новгородских раскопок, М., 1969; А. П. Новосельцев, В. Г. Пашуто, Л. В. Черепнин, Пути развития феодализма, М., 1972.

[3] Б. Д. Греков, Киевская Русь, М., 1953.

[4] М. Н. Тихомиров, Древнерусские города, М., 1956.

[5] Б. А. Рыбаков, Город Кия//Воросы истории, 1980, №5.

[6] И. Н. Данилевский, Древняя Русь глазами современников и потомков (IX-XII вв.), М., 2001.

[7] Л. В. Черепнин, Новгородские берестяные грамоты из новгородских раскопок, М., 1969.

[8] А. П. Новосельцев, Образование древнерусского государства и первый его правитель//Воросы истории, 1991, №2/$_3$.

[9] იხ. Н. А. Хачатурян, Современная медиевистика России в контексте мировой исторической науки//Средние века, 62, М., 2001, стр. 195-212.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპლექსური კვლევის შედეგები ქვეყნდება თემატურ კრებულებში (კრებ. „Человек в культуре возраждения“, გამოიცემა 1977 წლიდან).

„ცივილიზაციის შედარებითი ისტორიისა და თეორიის ცენტრი“ მ. ა. ბარგის ხელმძღვანელობით. შეისწავლება კულტურის როლი და ადგილი ადამიანების ცხოვრებაში, რელიგია და მენტალობა ისტორიულ პროცესში და სხვ. ცენტრი პერიოდულად აქვეყნებს კრებულებს (იხ. Цивилизации, сб., М., გამოიცემა 1991 წლიდან).

„ყოველდღიურობისა და პირადი ცხოვრების ისტორიის შემსწავლელი ცენტრი“ (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტში) ი. ლ. ბესმერტნის ხელმძღვანელობით. ცენტრს აქვს რეგულარული სემინარი და გამოსცემს კრებულს „Казус“-ს (გამოიცემა 1996 წლიდან).

ცხადია, რუსულ ისტორიოგრაფიაში სხვა მიმართულებებითაც მიმდინარეობს ინტენსიური საქმიანობა, რაზეც ჩვენ არ შევჩერდებით.

რუსეთის ვესტერნიზაციისათვის მნიშვნელოვანი იყო (რომ არაფერი ვთქვათ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციაზე) ის ნახტომი, რომელიც საბჭოთა კავშირმა გააკეთა დასავლურ ტექნოლოგიებზე დაწევის მიზნით და რომელსაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განსაკუთრებულად გამოიკვეთა ტექნოლოგიების მოდერნიზების პრობლემა. საბჭოთა კავშირი ამ ტექნოლოგიურ და იდეოლოგიურ რბოლაში გამოიფიტა. საბჭოთა კავშირის დანგრევას დასავლეთი აღფრთოვანებული ზეიმით შეხვდა. ჩაითვალა, რომ ეს მოვლენა დასავლეთის მიერ შემოთავაზებული მსოფლიოს მოწყობისა და ლიბერალური მოდელის გამარჯვების ბადალი იყო. იყო კი მართლაც ასე? არ არის გამორიცხული, რომ რთულ მდგომარეობაში მყოფი დასუსტებული რუსეთის კონტრდარტყმამ მძლავრად შეარყიოს დასავლური ცივილიზაციის საფუძველი. იქნებ დასავლეთისათვის ომისშემდგომი ორპოლარული მსოფლიოს მუდმივი ბალანსირება უფრო მოსახერხებელი ყოფილიყო.

დღესდღეობით, როგორც აღინიშნა, ფართო კამათია გლობალიზაციის თაობაზე. რა არის გლობალიზაცია? – პროგრესი, თუ მრავალსახოვანი სამყაროს გაქრობა? ალბათ, არ სჭირდება განსაკუთრებული მტკიცება იმ ფაქტს, რომ უკვე არსებობს და მიმდინარეობს კიდეც „ბუნებრივი გლობალიზაცია“. იგი განპირობებულია კულტურული ნაკადების, ადამიანების თუ ეკონომიკური რესურსების თავისუფალი მოძრაობით. ეს ყოველივე ბუნებრივად ხდება და არ შეიძლება გავუტოლოთ თავსმოხვეულ გლობალიზმის იდეოლოგიას.[1]

გლობალიზაციის საკითხებში წამყვანი სახელმწიფო – ამერიკის შეერთებული შტატები – პრაქტიკულად პრეტენზიას აცხადებს მსოფლიო გლობალიზაციის მიმდინარეობის კონტროლზე. აშშ-მა შექმნა მთლიანად მსოფლიოზე და მსოფლიო გაერთიანების ცალკეულ წევრებზე ფინანსური, პოლიტიკური და სამხედრო

---

[1] მეცნიერებასა და განათლებასთან გლობალიზაციის პროცესის მიმართების შესახებ იხ. ა. არაბული, ჟამი მეცნიერების გამოსარჩლებისა, თბ., 2005.

ზემოქმედების მექანიზმი, რომელმაც გლობალიზაციის დოქტრინის სახე მიიღო. ამით ამერიკელები ირგებენ „მხსნელი ერის" („Redeemer Nation") შარავანდედს და საკუთარი ინტერვენციული სტრატეგიის მოტივაციას უმაღლესი ცივილიზაციური მიზნებით ასაბუთებენ. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტი ტომას ვუდრო უილსონი დაუფარავად ცდილობდა აშშ-ის ჰეგემონობის დამყარებას მსოფლიოზე, გარკვეული პროგრამაც წარმოადგინა (ე. წ. „14 პუნქტი") და ხმამაღლა განაცხადა: „ამერიკას განუწესდა არნახული პატივი, განახორციელოს თავისი დანიშნულება და გადაარჩინოს მსოფლიო". უილსონის ეს პათოსი დღემდე მომხიბვლელია ამერიკელებისათვის და ისინიც ყოველმხრივ ცდილობენ მის განხორციელებას. აშშ გლობალიზაციის პროგრამას და, შესაბამისად, თავის ინტერესებს აიგივებს უნივერსუმის მორალურ-ეთიკურ ნორმებთან. ამგვარი მიდგომით ამ პროგრამის მოწინააღმდეგე სამყაროს მტრად და ბოროტების ნაშიერად ინათლება.

გლობალიზაციის მესვეურთათვის მნიშვნელოვანია „ახალი" ევროპა (თავად ევროპას არავინ არაფერს ეკითხება) მისი მერიდიანული მდებარეობით – ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე. ესაა სტრატეგიული მისადგომი ევრაზიის გეოპოლიტიკურ ზონასთან (ხმელთაშუა ზღვა – სრუტეები – შავი ზღვა – სამხრეთი კავკასია – შუა აზია -- ავღანეთი). ინტერესები დიდია სამხრეთითაც (ისრაელი – თურქეთი – ერაყი – ირანი – პაკისტანი). ნიშანდობლივია აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მიერ 2002 წლის 23 ნოემბერს ვილნიუსში წარმოთქმული ფრაზა: „ჩვენ ვიცოდით, რომ დიქტატორების მიერ შემოფარგლული თვითნებური საზღვრები წაიშლებოდა, და ეს საზღვრები გაქრა. აწ აღარ იქნება არც მიუნჰენი და არც იალტა". ვფიქრობ, ეს ერთობ გულახდილი განცხადებაა, თანაც ღრმად დამაფიქრებელი.

გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე ცივილიზაციამ, თავისი მასობრივი ინფორმაციის მძლავრი საშუალებებით, პიროვნებასა და მასებზე პოლიტიკური, იდეოლოგიური და ფსიქიკური ზემოქმედებით, კომპიუტერული „დაპროგრამებით" ადამიანთა ცივილიზაციისათვის სახიფათო მასშტაბი შეიძინა. გასაფრთხილებელია, რომ ადამიანმა არ დაკარგოს თავისუფალი აზროვნებისა და მოქმედების უნარი; არ დაკარგოს ძალა იმისა, რომ შეიმეცნოს საკუთარი თავი, იყოს შემოქმედი საკუთარი ცხოვრებისა და ისტორიისა. ისტორიისათვის კი მთავარია ადამიანი თავისი მენტალიტეტით.

დღესდღეობით „ისტორიის" დეფინიცია გამოისახება, როგორც მეცნიერება ადამიანისა და საზოგადოების წარსულის შესახებ, ან როგორც მეცნიერება სოციალური რეალობის წარსულის შესახებ. ეს ერთი მნიშვნელობათაგანია ამ ტერმინისა, რომელიც დროდადრო იცვლებოდა და სხვადასხვა აზრს იძენდა. ნიშანდობლივია, რომ ლოგიკურ-სემანტიკური ტერმინოლოგიის შესაბამისად, ყოველგვარი ცნება სამი ერთეულით განისაზღვრება. ესენია: ნიშანი (სიტყვა ან სიტყვათშეთანხმება), საგნობრივი მნიშვნელობა (მსაზღვრელი) და აზრი

(საზღვრული).[1] „ისტორიასთან“ დაკავშირებით მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ როგორც მნიშვნელობა, ისე აზრი ამ „ნიშნისა“ (სიტყვისა) არსებითად იცვლებოდა ათასწლეულების მანძილზე. ამიტომ სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ ძველ ავტორთა გამონათქვამები ისტორიის თაობაზე, რადგან ამ სიტყვას ძველად სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე დღეს. აგამემნონისა და პერიკლეს სახებანი დღევანდელობას შემორჩა ჰომეროსისა (ძვ. წ. დაახლ. VIII ს.) და თუკიდიდეს (ძვ. წ. V ს.) სასწაულებრივი ნაწარმოებების („ილიადა“, „ისტორია“) წყალობით. ჰეროდოტე ჰალიკარნასელი თავის ისტორიებს („მუზები“) იმისთვის წერდა, რომ შთამომავლობის მეხსიერებიდან არ აღგვილიყო ბერძენ-სპარსელთა ომები და მათი შედეგები. ამგვარად, ძველ მწერალთა თუ ისტორიკოსთა წინაშე გარკვეული ამოცანა იყო და ისინიც პასუხობდნენ მას.

ისტორია განსაკუთრებული მეცნიერებაა. მას არ აქვს ცალკეული გამოყენებითი შედეგები. იგი თავისი არსით მთლიანად გამოყენებადია. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ყოველ ეპოქასა თუ ყოველ საზოგადოებაში ისტორიის შესწავლა თუ შემეცნება, ისე როგორც ყოველგვარი სოციალური საქმიანობა, ექვემდებარება მოცემული დროისა და ადგილის გაბატონებულ ტენდენციებს.[2] ისტორია ადამიანთა საზოგადოებას განიხილავს როგორც ერთიან კანონზომიერ პროცესს მთელი თავისი მრავალმხრივობითა და წინააღმდეგობრიობით. ილია ჭავჭავაძე ხმამაღლა აცხადებდა: „რა არის ისტორია? იგი მთხრობელია მისი თუ – რანი ვიყავით, რანი ვართ და რათ შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც“. ალექსანდრ პუშკინი გვაფრთხილებდა, პატივი გვეცა წარსულისათვის: „Уважение к минувшему – вот черта, отличающая образованность от дикости“. ვლადიმერ მაიკოვსკის ლექსის „ვლადიკავკაზი – თბილისი“ რამდენიმე სტრიქონი პოეტური იუმორი (იქნებ კლასობრივი მიდგომა?) უფროა, ვიდრე რეალობა:

„ ... ძველი ისტორია დიდი ცრუ რამ არი,
ბრახუნებს, რომ იყვნენ ოდესღაც მეფენი
ირაკლი,
დავითი,
თამარი“.

ისტორიული აზროვნება თანდათან ვითარდებოდა. ამ განვითარებისათვის კი აუცილებელი იყო ემპირიული მონაცემების საკმაო რაოდენობით დაგროვება. მხოლოდ ამის შემდეგ იყო შესაძლებელი ჭეშმარიტი ისტორიის შექმნა. ვახუშტი ბაგრატიონი ფლობდა კოლოსალურ წყაროთმცოდნეობით ბაზას: წინამორბედი ისტორიკოსების ნაშრომებს, უზარმაზარ მასალას კავკასიის (ძირითადად ქართველთა) მოსახლეობის ზნე-ჩვეულებების შესახებ, გეოგრაფიულ,

---

[1] И. М. Савельева, А. В. Полетаев, Знание о прошлом: теория и история, в двух томах, т. 1, конструирование прошлого, Санкт-Петербург, 2003, стр. 11.

[2] А. Дж. Тойнби, Постижение истории, т. I, М., 2004, стр. 18.

ეთნოგრაფიულ მონაცემებს. სწორედ ამის წყალობით შექმნა მან უნიკალური ფუნდამენტური ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა". სანიმუშოა თეოდორ მომზენის (1817-1903 წწ.) მოღვაწეობა, რომელმაც შექმნა ისტორიული აზროვნების შედეგი „რომის რესპუბლიკის ისტორია" (გამოქვეყნდა 1854-1856 წწ.), შემდეგ კი შეადგინა ლათინურ წარწერათა სრული კორპუსი და გამოსცა ენციკლოპედიური კრებული რომის კონსტიტუციური სამართლისა. უნიკალური მოვლენაა ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც არაადამიანური, თავაუღებელი შრომის შედეგად შექმნა და მტკიცე მეცნიერულ ჩარჩოში მოაქცია საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა დარგი (ქართველი ერის ისტორია, ეკონომიკის ისტორია, სამართლის ისტორია, საისტორიო მწერლობა, მუსიკის ისტორია, ნუმიზმატიკა, პალეოგრაფია და სხვ.). არნ. ტოინბი მიიჩნევს, რომ სამყაროს შეცნობის მრავალ ხერხთა შორის გამორჩეულია ისტორია, რომელიც ხსნის მნიშვნელოვან ასპექტს – კაცობრიობის არსებობას მის მიერვე სამყაროს თვითგანხორციელებაში ხედავს. ისტორიის არსი ცხოვრებაა, მოძრაობაა, თანაც მოძრაობა, რომელიც ხშირად არაპროგნოზირებადია. ისტორია იქმნება შემოქმედისგან. შექმნის პროცესი განპირობებულია ადამიანისა და კაცობრიობის არსებობით. ისტორიკოსი კი, რომელიც სწვდება ისტორიის სიღრმეებს, თვითონაც ამ შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილე ხდება.

ამჟამად, ისტორიული მეცნიერება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გარკვეულ კრიზისშია, რასაც თავისი მიზეზები აქვს. ათეული წლების მანძილზე საბჭოთა ისტორიკოსები საკმაოდ „ფხიზელი" კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. გამოკვლევები განსაზღვრული იდეოლოგიური ჩარჩოების ფარგლებში სრულდებოდა, ძნელად მისაწვდომი იყო, თუ მიუწვდომელი არა, უახლესი უცხოური ლიტერატურა. სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა მხოლოდ რუსულად გამოცემის შემდეგ ითარგმნებოდა ეროვნულ ენაზე. ქართველი ისტორიკოსები (ისე, როგორც რუსი, უკრაინელი, ბელარუსი და სხვ. საბჭოთა მეცნიერები) მოწყვეტილი იყვნენ მსოფლიო ისტორიულ მეცნიერებას. ვიწროდოგმატურად ინტერპრეტირებულმა მარქსიზმის მონოპოლიამ უმძიმესი კვალი დაამჩნია ისტორიულ (ისე, როგორც სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა) აზროვნებას. შედეგად მივიღეთ საზოგადოების დამახინჯებული ისტორიული შეგნება. ისტორიის უცოდინარობა განაპირობებდა თანამედროვეობის არასწორ ორინტირებას და შეუძლებელს ხდიდა მომავლის დაგეგმვას.[1] სოციალურ ურთიერთობათა მბრძანებლურ-ბიუროკრატიული სისტემის შექმნამ საზოგადოებრივ მეცნიერებაში შექმნა ნაკლოვანებათა წარმოქმნის ობიექტური საფუძვლები. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფერომ დაკარგა თავისი ავტონომია, დაკარგა ავტონომიური ხასიათი, ისეთი ტრადიციული არსებითი თვისებები, როგორიცაა ჭეშმარიტების ობიექტურობა, კვლევის თავისუფლება. სამეცნიერო შემოქმედების დამოუკიდებლობა მსხვერპლად ეწირებოდა საკმაოდ

[1] იხ. კრებ. Репрессированная наука, под общей редакцией профессора М. Г. Ярошевского, Л., 1991.

ვულგარულად გაგებულ სოციალურ დაკვეთებს. არსებითად ეს იყო დირექტიული შეკვეთა. დაიკარგა ოპტიმალური შეფარდება, უფრო მეტიც, წაიშალა საზღვრები იდეოლოგიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებას (მათ შორის ისტორიას) შორის. მეცნიერებისა და ხელოვნებისადმი ასეთი დამოკიდებულების რეციდივები (ისინი, ძირითადად, XX საუკუნის 30-50-იან წლებში მიმდინარეობდა) გასული საუკუნის 70-იან წლებშიც მძლავრად იგრძნობოდა. 1972 წლის ნოემბერში „ლიტერატურნაია გაზეტამ" დაბეჭდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილის ალექსანდრ იაკოვლევის (ეს ის იაკოვლევია, გასული საუკუნის 80-იან წლებში „დემოკრატად" რომ მოევლინა ქვეყანას) ვრცელი სტატია: „Против антиисторизма", რომელშიც დაგმობილი იყო თავისუფალი აზროვნების ყოველგვარი გამოვლინება ისტორიულ მეცნიერებაში. განქიქებული იყო სხვადასხვა ცნობილი ისტორიკოსის შრომები. ა. იაკოვლევის რისხვის არეალში მყოფ ავტორთა შორის ჩვენც მოვხვდით. კრიტიკა ეხებოდა ჩვენს ერთ ნაშრომს თამარ მეფის შესახებ. „კრიტიკოსი" სწორედ მეფის პერსონამ გააღიზიანა და „მაღალი" პარტიული პოზიციებიდან გვისაყვედურა, რომ ჩვენ დავთმეთ კლასობრივი პოზიციები. სხვათა შორის, ა. იაკოვლევი ბრძანებდა: „Когда нарочито идеализируется прошлое, да еще при нечетких социальных позициях, возникает нелепый спор, чей царь лучше, а заслуги, тех или иных деятелей, доводятся до превосходных степеней..." ამ „დებულების" გასამართლებლად მოტანილია ჟურნალი „ლიტერატურნაია გრუზიას" 1970 წლის მე-8 ნომერში დაბეჭდილი ჩვენი სტატია „თამარ მეფის სახე ხალხურ შემოქმედებაში" (ეს სტატია 1966 წელს დაიბეჭდა „ცისკარში", 1970 წელს კი შემოკლებული თარგმანი დაბეჭდა „ლიტერატურნაია გრუზიამ").

საქმე ისაა, რომ ხალხური შემოქმედება ის ფენომენია, რომლის „нечетких социальных позициях"-ზე ლაპარაკი (ჩვენ თამარის შეფასებისას სწორედ ხალხის აზრი მოგვაქვს) ცოტა უხერხულია. ეს არ შეიძლება არ სცოდნოდა ა. იაკოვლევს. რაც შეეხება მის მტკიცებას – возникает нелепый спор, чей царь лучше – ამგვარი რამ არა თუ ისტორიკოსს, ჭკუათმყოფელ საშუალო განათლების ქართველსაც კი არ მოსვლია აზრად და არც არასდროს ყოფილა. ა. იაკოვლევმა არ იცოდა, რომ დიდ ქართველ ისტორიულ მოღვაწეებზე, მათ შორის მეფე თამარზეც, სწორედ კონიუქტურის გამო, გასული საუკუნის 70-იან წლებში (მისი სტატიის გამოქვეყნების პერიოდში), სრულყოფილი მონოგრაფიაც კი არ გაგვაჩნდა, თორემ ვერ იტყოდა ასე ხმამაღლა: „заслуги, тех или иных деятелей, доводятся до превосходных степеней..."

ამ კრიტიკის შედეგი გლობალური იყო. თითქმის მთელმა საბჭოთა კავშირმა გაიგო ამ ფაქტის შესახებ. საქართველოში კი, ჩემი მკაცრად გაკრიტიკების შემდეგ, მე იძულებული გავხდი, ახსნა-განმარტება და ლამის ბოდიშის წერილი დამებეჭდა. იმხანად გამოსაცემად მომზადებულ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მესამე ტომიდან, ყოველგვარი „გაუგებრობის" თავიდან აცილების

მიზნით, თავი „თამარის სახე ხალხურ შემოქმედებაში“, რომელიც ჩემს მიერ იყო დაწერილი, საერთოდ იქნა ამოღებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილი რუსი მეცნიერი დიმიტრი ლიხაჩოვი გულისტკივილით ხერდა: „Движение науки вперед мыслилось как расправа с теми, кто был не согласен с единственным, изначально правильным направлением. Вместо научной полемики – обличения, разоблачения, запрещение заниматься наукой, а во множестве случаев – аресты, ссылки, тюремные сроки, уничтожение... Все это разрослось до масштабов тотальной политики“. კიდევ უფრო წუხილით აღნიშნავს მეცნიერი: „ ... Сколько в зародыше погибло плодотворных идей, сколько талантливых людей не смогли пробиться в научной работе, получить образование по причине „неудовлетворительности“ своих анкетных данных, сколько талантливых людей отказались заниматься наукой“.[1]

გამოჩენილმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ რასულ გამზათოვმა გააფრთხილა საზოგადოება, ადამიანები: „შენ თუ წარსულს პისტოლეტიდან ესვრი, მომავალი ქვემეხიდან დაგიბრუნებს ტყვიას“. დამაფიქრებელი შეგონებაა! უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე დადგა ამოცანა – გათავისუფლდეს მეცნიერება მოძველებული სტერეოტიპებისაგან; საჭირო გახდა ისტორიის გნოსეოლოგიური პრობლემების ხელახალი გააზრება, ისტორიული მეცნიერების მეთოდების შეუზღუდავი, თავისუფალი განსჯა-გაანალიზება. აუცილებელია ავითვისოთ თანამედროვე მსოფლიო ისტორიოგრაფიის მიღწევები, გავეცნოთ ისტორიის შესწავლის სფეროში მიღწეულ ფასეულ შედეგებს.

XX საუკუნის ისტორიოგრაფიაზე უდიდესი გავლენა იქონიეს წინა საუკუნის ისტორიკოსებმა თეოდორ მომზენმა და ლეოპოლდ რანკემ (1795-1886 წწ.). არნ. ტოინბი მიიჩნევს, რომ ამ ისტორიკოსებმა უდიდესი სამსახური გაუწიეს ისტორიულ მეცნიერებას. მონოგრაფიების გვერდით პირველადი მასალა შეკრიბეს და გამოსცეს, რომელთა საფუძველზე შეიქმნა ფართო მასშტაბის გამოკვლევები. გარკვეული კვალი დაამჩნიეს ისტორიკოსთა აზროვნებაზე ზიგმუნდ ფროიდმა (1856-1939 წწ.), კარლ იუნგმა (1875-1961 წწ.) და სხვ. განსაკუთრებულია გერმანელი ფილოსოფოსის ოსვალდ შპენგლერის (1880-1936 წწ.) გავლენა XX საუკუნის საზოგადოებრივ აზროვნებაზე (ცხადია, ისტორიულზეც). ოსვალდ შპენგლერი თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „დასავლეთი სამყაროს მზის ჩასვლა“ (რუსულ ისტორიოგრაფიაში რატომღაც უწოდებენ „ევროპის მზის ჩასვლას“) წარმოადგენს მსოფლიო ისტორიას, როგორც კულტურათა ცვლის (ჩასახვა, გაფურჩქვნა, გაქვავება, დაღუპვა) ამსახველს. ო. შპენგლერმა გამოყო კულტურები, რომლებმაც გაიარეს განვითარების სრული ციკლი: ბაბილონური, ეგვიპტური, ინდური, ჩინური, ბერძნულ-რომაული, ბიზანტიურ-არაბული და დასავლეთევროპული. იგი მიიჩნევდა, რომ მაიას კულტურა ისე დაიღუპა, დასრულება ვერ მოასწრო. ასეთივე ბედი ეწია ხეთურ და სპარსულ კულტურებს

[1] Д. С. Лихачев, Предисловие к книге Репрессированная наука, Л., 1991, стр. 5-6.

– ისინი ვერ განვითარდნენ. ო. შპენგლერმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არნ. ტოინბიზე, რომელმაც საგანგებოდ დაიწყო ცივილიზაციების კვლევა.

XX საუკუნეში მთელ მსოფლიოში ცხოველდება ისტორიული კვლევა. იქმნება სხვადასხვა მიმდინარეობები, სკოლები, რომლებმაც ახალი როლი მიანიჭეს ცალკეულ პრობლემებს, ახლებურად გაიაზრეს საკითხები და სრულიად ახალ ლიანდაგზე შეაყენეს ისტორიული მეცნიერების განვითარება. მსოფლიო მეცნიერთა განსაკუთრებული აღიარება მოიპოვა „ახალმა ისტორიულმა სკოლამ" (La Nouvelle Histoire), რომელიც საფრანგეთში შეიქმნა ორი გამოჩენილი ისტორიკოსის მარკ ბლოკისა (1886-1944 წწ.) და ლუსიენ ფევრის (1878-1956 წწ.) მოთავეობით. ჩვენ ამ სკოლის შესახებ სხვა სტატიებში[1] გვქონდა საუბარი და ამჯერად მასზე აღარ შევჩერდებით. მ. ბლოკმა და ლ. ფევრმა 1929 წელს დააარსეს ჟურნალი „Annalles. Economies. Sosietés. Civilisations" (ანალები, ეკონომიკა, საზოგადოება, ცივილიზაცია), რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია არა მარტო საფრანგეთის, არამედ მთელი მსოფლიოს ისტორიული მეცნიერების განვითარებაზე. ახალმა ისტორიულმა მიმდინარეობამ წამოაყენა პრინციპი „ისტორია – პრობლემა", რომლის შესაბამისად მკვლევარი აყალიბებს შესასწავლ პრობლემას და შემდეგ არჩევს სათანადო წყაროებს, რომელთა ანალიზი გარკვეულ ფარგლებში ნათელს ჰფენს აღებულ საკითხებს. საკვლევ პრობლემებს მეცნიერს თანამედროვეობა კარნახობს, თანაც ეს კარნახი არ გამომდინარეობს კონიუნქტურიდან. ისტორიკოსი წარსულში ეძებს პასუხს იმ საკითხებზე, რომლებიც არსებითია თანამედროვეობისათვის, რომელთა დასმა დიალოგის გამართვის საშუალებას იძლევა სხვა ეპოქის ადამიანებთან. ამ შემთხვევაში წინა ხაზზე გამოდის ისტორიკოსის შემოქმედებითი აქტივობა, რომელმაც კვლევა უნდა აწარმოოს არა წარსულიდან თანამედროვეობისაკენ, არამედ, პირიქით, თანამედროვეობიდან წარსულისაკენ. ისტორიის შესწავლა ესაა თანამედროვეობის დიალოგი წარსულთან, დიალოგი, რომლის დროსაც ისტორიკოსი განიხილავს შესასწავლ ძეგლს (ქრონიკა, მხატვრული ნაწარმოები, სამართლებრივი დოკუმენტი, ნარატიული მასალა, ეთნოგრაფიული თუ ეპიგრაფიკული მონაცემები და სხვ.). ამასთან, უნდა იქნას გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ადამიანები ისტორიის მთელ სიგრძეზე, სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად აზროვნებდნენ, რომ ამა თუ იმ წყაროში მოცემული ადამიანების მენტალიტეტი განსხვავდება თანამედროვესაგან. პრობლემა ასე დგას: როგორი იყო ადამიანი შორეულ წარსულში, რაშია მისი თავისებურებების საიდუმლოება, რატომ განსხვავდება კარდინალურად თანამედროვე ადამიანი წინაპრებისაგან. ამ პრობლემებს ეხება ჟაკ ლე გოფი თავის წიგნში: „La civilisation de l'Occident medieval" („შუა საუკუნეების დასავლეთის ცივილიზაცია"). ჟ. ლე გოფმა დიდი ადგილი დაუთმო შუა საუკუნეების ინტელექტუალების შეს-

[1] იხ. რ. მეტრეველი, კლიოს მფარველობის ქვეშ, მაცნე, 1990, 4, გვ. 7-16; მისივე, მცირე განსჯა ჟაკ ლე გოფის წიგნის „წარმოსახვითის შუასაუკუნეობრივი სამყარო" წაკითხვის შემდეგ, თბ., 2005.

წავლას.[1] ესენი არიან მეცნიერები, მონაზვნები, ღვთისმეტყველები და ფილოსოფოსები – ყველა ის პირი, რომლებიც გონებრივი შრომით არიან დაკავებული. სწორედ მათი საშუალებით ხერხდება საზოგადოების ფართო ფენების, „უბრალო ადამიანების" (l'homme quotidien), ელიტარული სტანდარტებისათვის უცხო მათი ზნე-ჩვეულებების, რწმენის, ქცევისა და გარეგნული სახის შესწავლა.[2] ისტორიკოსი მაქსიმალურად უნდა შეეცადოს, რომ ჩაწვდეს და წარმოაჩინოს, რა საერთო იყო გამოჩენილ პიროვნებებსა და „რიგით" ადამიანებს შორის, როგორი იყო მათი შეგნება და კოლექტიური წარმოდგენები. წინა პლანზე დგას ადამიანთა ფართო მასების მენტალობის შესწავლის პრობლემა. უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიკოსები ბოლო დრომდე ნაკლებ (ან შეიძლება სრულიადაც არა) ყურადღებას აქცევდნენ მენტალობის შესწავლას, კმაყოფილდებოდნენ ფილოსოფიური, რელიგიური, პოლიტიკური, ესთეტიკური საკითხების კვლევით და მიაჩნდათ, რომ ეს სრულად წარმოადგენდა ძველი დროის საზოგადოების ცხოვრებას. გასათვალისწინებელია, რომ იდეები და სწავლებანი მასებამდე მიდის გარკვეულად ტრანსფორმირებული, შეცვლილი. ისინი ხვდებიან გარკვეულ მენტალურ ნიადაგზე და შეიმეცნებიან საზოგადოების ამა თუ იმ ფენის მენტალობის შესაბამისად. ამ შემეცნებაში კი აქტიურად მონაწილეობს შესაბამისი სოციალური ფენის მენტალური განწყობა.

ცალკე უნდა შევჩერდეთ ბრიტანულ ისტორიოგრაფიაზე. XX საუკუნის ძვრები ფილოსოფიურ აზროვნებაში რამდენადმე შეეხო ბრიტანეთის ისტორიულ-აზროვნებასაც. მეცნიერები მიიჩნევდნენ, რომ ბრიტანელი ისტორიკოსები გულგრილები იყვნენ ახალი მეთოდოლოგიის მიმართ. ისინი ჩაკეტილები იყვნენ და ინდივიდუალისტურად, ემპირიულად უდგებოდნენ პრობლემებს (გამონაკლისს წარმოადგენდნენ ა. რ. კოლინგვუდი და არნ. ჯ. ტოინბი). ეს მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება იყოს მართალი (პ. ბერკი). რაც შეეხება ახალ იდეებს, კერძოდ, წარსულისადმი „კონსტრუქციონისტულ" მიდგომას, ამან გაათავისუფლა ბრიტანული ისტორიოგრაფია მოძველებული კონცეფციებისაგან.

რ. გ. თოუნის, რ. საუტერნის, ჯ. ნ. კლარკის, ე. ტომსონისა და სხვ. შრომები კლასიკურად ითვლება, თუმცა ისინი გამოქვეყნდა XX საუკუნის 60-იან წლებამდე, ე. ი. იმ დრომდე, როცა „ახალი მიმართულება" დაიწყო ბრიტანულ ისტორიოგრაფიაში. საგულისხმოა, რომ რიგი ავტორებისა (ჯ. ელტონი, ჯ. დიკენსი) ჯერ კიდევ 1950-იან წლებში აქვეყნებდნენ შრომებს, რომლებშიაც ფართოდ იყო წარმოდგენილი შემდგომში ე. წ. მიკროისტორიის ელემენტები (მაგალითად, ა. კლარკის წიგნი XVII საუკუნის ქალთა შრომის შესახებ 1919 წელს გამოქვეყნდა, ე. პაუერის შრომა შუა საუკუნეების ინგლისის მონაზვნების შესახებ გამოიცა 1922 წელს). ხაზგასასმელია, რომ შუა საუკუნეების ისტორიის ბაზაზე კვლევის ახალი მეთოდოლოგიური ხერხები ფართოდ შევიდა XX საუკუნის ისტორიული

---

[1] J. Le Goff, Les intellectuels de Moyen Age, Paris, 1957.

[2] J. Le Goff, "L'historien et l'homme quotidien" – Melanges en l'honneur de Fernand Braudel, II. Metodologie de l'Histoire et des Sciences Humaines, Tulouse, 1972 (J. Le Goff, Pour un autre Moyén Age, Temps, Travail et culture en Occident: 18 essais, Paris, 1977).

მეცნიერების არსენალში. ესაა, უპირველეს ყოვლისა, სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურების კვლევა, რაც „ანალების“ სკოლასთანაა დაკავშირებული. კვანტიტატიური (რაოდენობრივი) მეთოდები შუა საუკუნეების ისტორიის კვლევისათვის, ქალაქების ისტორია, გენდერი – ყოველივე ეს წარმოადგენს მოძრაობას „სტრუქტურებსა და სისტემებიდან ადამიანებისკენ და ადგილმდებარეობებთან“, ამასთან, კულტურის საფუძვლიანი კვლევაცაა.

1960-იანი წლებიდან ინგლისურ ისტორიოგრაფიაში დიდი ყურადღება დაეთმო სოციალური (მათ შორის ნეგატიური) ხასიათის პრობლემების კვლევას. ისტორიკოსები ფართოდ შეისწავლიან ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სიღატაკე, ჯურღმულები, მოსახლეობის მიგრაცია, პროსტიტუცია, ზოგადად ქალების ისტორია, დემოგრაფია. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ბოლო წლებში ისტორიოგრაფია ზოგადად და, კერძოდ, ბრიტანული ისტორიოგრაფია აღარ არის ისეთი „კონსენსუსური“, როგორიც ადრე იყო. ისტორიის შესწავლა „ქვემოდან“ (ე. ი. დაბალი ფენების კვლევა), ქალთა ისტორია და სხვა თემები ახალ პრობლემებს აყენებს და ისტორიკოსებს ახლებურად კვლევისკენ უბიძგებს.[2]

ადამიანისადმი ზოგადად და, კერძოდ, შუა საუკუნეების ადამიანისადმი ინტერესი აშკარად ჩანს თანამედროვე მედიევისტიკაში, რაზეც მეტყველებს ის პუბლიკაციები[3], ბოლო წლებში რომ ხორციელდება; სამეცნიერო კონფერენციები თუ დისკუსიები,[4] რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში იმართება. ამ პრობლემას დიდი ადგილი დაეთმო ისტორიკოსთა მსოფლიო კონგრესებზე.[5] გაზრდილია ინტერესი ისტორიულ-ანთროპოლოგიური კვლევისადმი, სადაც წინა პლანზეა ადამიანი, მისი პიროვნება, ოჯახი და მასთან დაკავშირებული საკითხები. პიროვნების სახელი – ესაა ფორმა ადამიანის იდენტიფიკაციისა სოციუმში; ესაა აზრობრივი და სოციალური ნიშანი, რომელიც საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, ინდივიდი შეუერთდეს გარკვეულ სოციალურ ჯგუფს, მეორე მხრივ კი, გამოიყოს სხვა ნევრებისაგან და ზუსტად განსაზღვროს თავისი ადგილი ამა თუ იმ სოციალურ

---

[1] XX საუკუნის დასაწყისიდან ბრიტანელმა ისტორიკოსებმა აშკარად განიცადეს გერმანული ისტორიოგრაფიის გავლენა. პოპულარული გახდა მაქს ვებერის სოციოლოგიური გამოკვლევები. ბრიტანეთის ურბანისტული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის ჯ. თეიტის შრომებში ინგლისური ქალაქების ისტორიის შესახებ აშკარად გამოჩნდა მნიშვნელოვანი ინტერესი ქალაქების განვითარების ეკონომიკური და კომერციული კუთხით განხილვისა. ბრიტანული ისტორიოგრაფიის შემდგომ განვითარებაზე გარკვეული გავლენა იქონია „ახალმა ისტორიულმა სკოლამ“.

[2] იხ. History and Historians in the Twentieth Centery, Oxford, 2002; А. Б. Соколов, Британская историография в XX веке//Вопросы истории, 2003, №12, стр. 149-154.

[3] იხ. Человек в кругу семьи: Очерки по истории частной жизни в Европе до начала нового времени (Под редакцией Ю. Л. Бесмертного), М., 1996; Н. Л. Пушкарева, Частная жизнь русской женщины: невеста, жена, любовница (X – начало XIX в.), М., 1997.

[4] Общности и человек в средневековом мире: Материалы межреспубликанской конференции, М., 30 сентября – 2 октября 1991, Саратов, 1992.

[5] განსაკუთრებით 1990 წელს მსოფლიო ისტორიკოსთა XVII კონგრესზე, მადრიდში, 2000 წელს – ოსლოში, XIX კონგრესზე.

ჯგუფში.[1] საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი კულტურა აიგება ბაზისურ ელემენტებზე, რომელთა შორისაა საკუთრივ ადამიანის კონცეფცია, მისი დამოკიდებულება სოციალურ გარემოსთან და ბუნებასთან, მისი წარმოდგენები დროზე, ხელისუფლებაზე, შრომაზე, სამეურნეო საქმიანობაზე. კულტურათა განსხვავება გამომდინარეობს შესაბამისი ბაზური ელემენტების განსხვავებულობიდან. სწორედ ეს ელემენტები განსაზღვრავენ, რამდენადმე მაინც, ადამიანის ცხოვრების წესის სპეციფიკას, მის დამოკიდებულებას სამყაროსთან, საზოგადოებასა და საკუთარ თავთან. „ინდივიდუალისტურ" კულტურებში წამყვანი „ავტონომიის" ეთიკაა, რომლის შესაბამისადაც ინდივიდები მხოლოდ საკუთარ თავზე არიან დამოკიდებული. აქ ინდივიდუალური ღირებულებები (მაგ. თავისუფლება) უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სოციალური; ადამიანის უფლებები უფრო მაღლა დგას, ვიდრე სოციალური ვალდებულებები; საზოგადოება ინდივიდის უფლებების დამცველია; მორალი და სამართალი იქმნება ინდივიდებისათვის, ხოლო სოციალურ და ინდივიდუალურ ღირებულებებს შორის კონფლიქტის დროს პრიორიტეტი ინდივიდუალურ ღირებულებებს ეძლევა.

„კოლექტივისტურ" კულტურებში ვითარება სხვაგვარია. აქ დომინირებს „კოლექტივიზმის" ეთიკური ნორმები; საზოგადოების თითოეული წევრი სხვაზეა დამოკიდებული; წამყვანია სოციალური ღირებულებები. ინდივიდების სოციალური ვალდებულებები პრიორიტეტულია პიროვნების უფლებებთან; მორალი და სამართალი საზოგადოების სტაბილურობას ემსახურება. ინდივიდუალურსა და საზოგადოებრივ ღირებულებათა შორის კონფლიქტის დროს უპირატესობა ეძლევა სოციუმის ღირებულებებს.

შუა საუკუნეების ადამიანი უპირატესად ჯგუფის (კოლექტივის) წევრი იყო, იგი გარკვეულ კორპორაციას განეკუთვნებოდა.[2] ამ ეპოქის ადამიანი სამყაროში ორიენტირებული იყო საკუთარი ცოდნისა და უნარის წყალობით, ჯგუფის (კოლექტივის) წევრთა განწყობილებით, გონებრივი განწყობით (ამ ჯგუფის ტრადიციებშია ჩაფუძნებული მისი შეგნებაც).[3] ასეთია სპეციფიკა შუა საუკუნეების ადამიანისა, რომელსაც გამოკვეთილად აქვს გამოსახული კონფორმულობა, კორპორატიულობა, „კომუნალურობა" (ცალკეულ შემთხვევებში არ გამოირიცხებოდა, პიროვნებას მიეღო საკუთარი გადაწყვეტილება. მას დაკარგული არ ჰქონია თავისუფალი არჩევანის უფლება).[4] ყოველივე ეს რამდენადმე წარმართავდა შუა საუკუნეების ადამიანის პირად (კერძო) ცხოვრებას. ადამიანის პირადი ცხოვრება

---

[1] იხ. П. Ш. Габдрахманов, Имя, семья и Familia во Фландрии XII-XIII веков: к вопросу о социальных рамках частной жизни средневекового простолюдина. Средние века, 62, М., 2001, стр. 120-131.

[2] А. Я. Гуревич, Категории средневековой культуры, М., 1984, стр. 200.

[3] А. Я. Гуревич, Проблемы средневековой народной культуры, М., 1981, стр. 98.

[4] იხ. А. А. Сванидзе, Живые общности, общество и человек в средневековом мире Европы. Общности и человек в средневековом мире: Материалы межреспубликанской конференции, Москва, 30 сентября – 2 октября 1991 г., Саратов, 1992, стр. 11, 16; См. Диалектика общности и личности в средние века, там же, стр. 30.

სავსე იყო ყოველწუთიერი პრობლემებით, რომელსაც დროული რეაგირება და გადაწყვეტა სჭირდებოდა. აი, აქ გამოკვეთილი იყო შუასაუკუნეობრივი ჯგუფების (ოჯახი, გვარი, თემი, მრევლი და ა. შ.) როლი და გავლენა ცალკეულ ინდივიდზე. პრობლემის შესწავლას ართულებს მწირი წყაროთმცოდნეობითი ბაზა. ეს განსაკუთრებით ითქმის ქართულ წყაროებზე, სადაც პრაქტიკულად ძალიან მცირეა მასალა შუა საუკუნეების ყველაზე მასობრივ ფენაზე – გლეხობაზე. შემთხვევით არ იყო, რომ 1872 წელს, ივლისში ილია ჭავჭავაძე დავით ერისთავისადმი („სამშობლოს" ავტორი) გაგზავნილ წერილში წერდა: „ ... ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს. მე კი ... მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს... საქმე ხალხია და ხალხი ჩვენს ისტორიაში არ ჩანს".[1]

ადამიანებს თავისი წარმოდგენა ჰქონდათ სამყაროზე. მათი აზრი შეიძლება მთლად განჭვრეტილი და ნაფიქრალი არ იყო, მაგრამ იგი განსაზღვრავდა ამ ადამიანთა ქცევასა და ქმედებას. მენტალობის შესწავლამ, რაც „ახალი ისტორიული მეცნიერების" დამსახურებაა, წარმოაჩინა ისტორიის ახალი განზომილება, დასახა საზოგადოების ყველაზე ფართო ფენისა და ამ საზოგადოების საფუძვლის შემქმნელი მასის ცნობიერებაში ჩაწვდომის გზები. დღესდღეობით ეს პრობლემა ევროპულ სახელმწიფოებში მეტნაკლებად შესწავლილია. ბოლო პერიოდში მენტალობის პრობლემას ყურადღება მიაქციეს რუსმა (ეს ზემოთაც ვაჩვენეთ) და ქართველმა[2] ისტორიკოსებმა; შესაბამისად, რუსეთსა და საქართველოში გადაიდგა ნაბიჯები მენტალიტეტის კვლევის სერიოზულ საფუძველზე დაყენებისათვის. გასაკეთებელი ბევრია. თავის მხრივ, მენტალობის ისტორიის შესწავლამ, რომელსაც XX საუკუნის 30-40-იან წლებში საფუძველი დაუდეს მარკ ბლოკმა და ლუსიენ ფევრმა, 60-იანი წლებიდან კი გააგრძელეს ჟორჟ დიუბიმ, ემანუელ ლერუა ლადიურიმ, ჟაკ ლე გოფმა და სხვა მედიევისტებმა; ფართოდ გაუხსნა გზა ისტორიის უფრო ღრმად შესწავლას, რაც ისტორიზმის პრინციპების გამარჯვებაზე მეტყველებდა.

შუა საუკუნეების ადამიანებს (მოსახლეობის უმრავლესობას) რთულ ეკონომიკურ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. ამიტომაც მათი ცხოვრების თანამდევი იყო დაურწმუნებლობა და უიმედობა. სწორედ დაურწმუნებლობის გრძნობა ახდენდა გავლენას იმ დროის ადამიანთა გონებასა და სულიერებაზე და განსაზღვრავდა მათ ქცევას. დაურწმუნებლობა მატერიალურ უზრუნველყოფაში და სულიერი მერყეობა, მომავალი ცხოვრებისადმი უნდობლობა დომინირებდა ადამიანთა მენტალობაში. ეკლესია, ხედავდა რა ადამიანთა ამგვარ მდგომარეობას, დაურწმუნებლობა-უიმედობიდან გამოყვანის მიზნით, მოუწოდებდა მათ სოლიდარობისაკენ თითოეულ საზოგადოებრივ ჯგუფში, მოუწოდებდა, გადაელახათ ჯგუფებს შორის განხეთქილებები. ადამიანთა ფსიქიკაში მრავლად იყო ეშმაკეუ-

---

[1] უფრო ვრცლად იხ. რ. მეტრეველი, ისტორიზმი ქართველი მწერლების შემოქმედებაში, თბ., 1999, გვ. 3-21.

[2] კვლევა ძირითადად მიმდინარეობს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (საქართველოს ისტორიის კათედრა).

ლი ქმედების საფრთხე, გადარჩენის შანსი კი – მცირე. ამიტომ, ბუნებრივია, შიშს უპირატესობა ჰქონდა იმედზე. ჟ. ლე გოფს[1] მოაქვს ფრანცისკანელი მქადაგებლის, ბერტოლდ რეგენსბურგელის მტკიცება, რომ შანსი მუდმივ სატანჯველს გადარჩენისა 100 ათასიდან მხოლოდ ერთსა აქვს. ეს შეფარდება გადარჩენილებსა და სამუდამო სატანჯველისთვის განწირულებს შორის გამოისახებოდა, ერთი მხრივ, ნოეს კიდობნითა და მისი თანამგზავრებით, მეორე მხრივ კი, წარღვნისაგან განადგურებული მთელი კაცობრიობით. სწორედ სტიქიურ უბედურებებში პოულობდა შუა საუკუნეების ადამიანი საფუძველს სულიერი რეალობის გამოხატვისა და შეფასებისათვის. ასე რომ, მენტალობა, ემოცია, ქცევა ყალიბდებოდა უპირატესად თვითდამშვიდების მოთხოვნილების გამო.

ნიშანდობლივია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის დამოკიდებულება სტიქიური უბედურებებისა და ამ ფაქტის კავშირზე იმ ცოდვებთან, რომელიც იმ დროის საქართველოში ტრიალებდა. 1088 წელს ძლიერი მიწისძვრა იყო, რომელიც თითქმის მთელი წელი გრძელდებოდა. მიწისძვრამ დაანგრია თმოგვის ციხე-ქალაქი, დაიღუპა კახაბერ ნიანიას ძე ოჯახით. სტიქიამ მრავალი ადამიანი იმსხვერპლა, მიწასთან გაასწორა ქალაქები და სოფლები. ყოველივე ამან მოსახლეობაში შექმნა აზრი, რომ საქართველოს სამეფო კარი და მეფე გიორგი II ცოდვილნი იყვნენ და ღმერთმაც ეს უბედურებები მოუვლინა საქართველოს.

ისტორიკოსი დრამატული სიმძაფრით აღწერს: „ამათ ესევითართა ჟამთა არავე დამშვიდნა ქვეყანა, არცა,რა იქმნა ლხინება კაცთა უკეთურებისათვის მკვიდრთა მისთასა, რამეთუ ყოველმან ასაკმან და ყოველმან პატივმან ყოვლითურთ შესცოდეს ღმერთსა და მიიქციეს გზათაგან წრფელთა ყოვლისა მიმართ უკეთურებისა, და ბუნებით მოწყალე და სახიერი ღმერთი ესეოდენ განარისხეს, ვიდრემდის თვით მოიხადეს განჩინება რისხვისა, ქადებული უსჯულოთათვის ესაიას მიერ“.[2] აქ დავითის ისტორიკოსი ესაია წინასწარმეტყველის ციტირებას ახდენს: „ვაჲ ნათესავსა ცოდვილსა, ერი რომელი სავსე არს უსჯულოებითა, კუალითგან ფერხთათ ვიდრე თავადმდე, არა არს მას შინა სიცოცხლე... ამისათვის ქუეყანა თქუენი ოხერი, ქალაქნი ცეცხლითა მომწუარ, სოფელთა თქუენთა უცხოთესლნი მოსჭამდენ, და მოოხრებულ და დაქცეულ არს ერისაგან უცხოტომთასა“. როგორც ჩანს, „ძველი აღთქმის“ დოგმატებს კარგად იცნობდნენ შუა საუკუნეების საქართველოში. იმდროინდელი ადამიანების მენტალიტეტი და ქცევის ნორმები სწორედ აქედან განისაზღვრებოდა. იმთავითვე განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ცოდვა-მადლის პრობლემას. ადამიანებს სწამდათ, რომ ცოდვისათვის დაისჯებოდნენ. იმ დროის საზოგადოებისათვის უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა „წმიდა წერილებს“, ეკლესიას. ხშირად ხდებოდა ციტირება „ძველი აღთქმის“ ტექსტებისა. ამ ტექსტებს მოსახლეობის ფართო მასებს ეკლესიის მამები

---

[1] Ж. Ле Гофф, Ментальность, мир эмоций, формы поведения (X-XIII вв.), в книге: „Цивилизация средневекового Запада“, Екатеринбург, 2005, стр. 393-438.

[2] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 322.

განუმარტავდნენ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან ციტირების მთელი მოზაიკაა წარმოდგენილი. ამას ზემომოტანილი მასალაც ადასტურებს. მემატიანე ფართოდ, ვრცლად აღწერს ცოდვის მიზეზით გამოწვეულ უბედურებას: „ამას ყოველსა ზედა არავე დასცხრა გულის-წყრომა უფლისა ჩუენ ზედა, რამეთუ არა შევინანეთ, არცა გულისხმა ვყავით, არცა ჯეროვნად მოვიქეცით გზათა მიმართ უფლისათა".[1] როგორც ვხედავთ, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი უბედურების მიზეზად თვლის ცოდვათა მოუნანიებლობას, უფლის შეგონებათა გაუთვალისწინებლობას, არასწორ ქცევას, თან დასძენს: „ამისთვისცა ქუეყანით მავალთა ბოროტთა ზედა სხუანიცა საშინელებანი ზეგარდამონი, ღმრთისა მიერ მოვლინებულნი გუემანი მოიწივნეს ქუეყანასა ჩუენს ზედა, რათა არა თქვან მცოდველთა, ვითარმედ: „ესე აღძვრანი წარმართთანი არა ცოდვათა ჩვენთათვის იქმნეს, არცა ღმრთისა მიერ მოიწივნეს, არამედ შეცვალებითა რათამე უამთათა და დამთხუევითა აღძრვისა საქმეთათა".[2] შემდეგ მემატიანე აღწერს, თუ როგორ „მოხედა უფალმან რისხვითა და შეძრა ქვეყანა საფუძვლითურთ". ანალოგიური მასალის მოტანა სხვა წყაროებიდანაც შეიძლება.

მიწისძვრა, მზის დაბნელება – ის მოვლენები იყო, რომლებიც აკვირვებდა შუა საუკუნეების ადამიანსა და სასწაულად მიაჩნდა ისინი. ეს, თავის მხრივ, იზიდავდა მათ გონებას, რადგან ის, რაც უჩვეულო, ზებუნებრივი ან არანორმალური იყო, საინტერესო ჩანდა იმ დროის საზოგადოებისათვის. ისტორიამ იცის ბევრი ფაქტი, როცა წმინდანობის დამამტკიცებლად გამოიყენებოდა სასწაული. აქ ერთმანეთს ეჯაჭვებოდა ხალხური რწმენა და ეკლესიის დოქტრინა.[3] ამის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ ის ფაქტი, რომ XII საუკუნის მიწურულიდან მოკიდებული პაპები პრეტენზიას აცხადებდნენ წმინდანთა კანონიზაციის უფლებაზე (ადრე ეს „ხალხის ნებით" (ვოხ პოპული) ხდებოდა), თანაც წმინდანად ცნობის ერთ აუცილებელ პირობად გამოცხადდა სასწაულის ჩადენა. ადამიანთა რწმენით, სასწაული მხოლოდ წმინდანების მეშვეობით არ ხდებოდა. სასწაული თითოეული მათგანის ცხოვრებაშიც შეიძლება მომხდარიყო. სასწაულის საშუალებით ჭეშმარიტების მტკიცებას ემსახურებოდა ე. წ. ღვთის სამსჯავრო. აქ მნიშვნელოვანია მეცნიერებისა და რელიგიის პოზიციების განსაზღვრა. მოხდება კი მათი თანაარსებობა ურთიერთტოლერანტობის რეჟიმში? გაიყოფა მათ შორის ცოდნის სფეროები? მეცნიერებამ უნდა გამოიკვლიოს და განავითაროს მატერიალური სამყაროს ცოდნა. რელიგიამ წმინდა წიგნებში (წერილებში) გადმოცემული ადამიანის სულიერი და ზნეობრივი საფუძვლების ცოდნა უნდა გაავრცელოს. აქტუალური ხდება შუა საუკუნეებში წამოყენებული კონცეფცია დუალიზმისა (სამყაროს ორი, სულიერი და მატერიალური საწყისის აღიარება). ისტორიულად რელიგიისა და მეცნიერების მსოფლმხედველობრივი ურთიერთობა სხვადასხვა-

---

[1] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 322.

[2] იქვე, გვ. 323.

[3] Ж. Ле Гофф, Ментальность, мир эмоций, формы поведения (X-XIII вв.), стр. 398.

გვარი იყო – კონფრონტაციიდან ურთიერთგაგებამდე. დღესდღეობით რელიგია სულიერი და ზნეობრივი აღზრდის საკითხებში ლიდერის ფუნქციას ასრულებს (მხედველობაში გვაქვს პოსტსაბჭოთა გეოგრაფიული სივრცე). ეს, თავის მხრივ, განაპირობა მეცნიერების დეიდეოლოგიზაციისკენ სწრაფვამ. ამოცანაა მეცნიერება (მათ შორის, ცხადია, ისტორია) ბოლომდე გათავისუფლდეს ყოველგვარი პოლიტიკური, ვიწროსოციალური გავლენებისაგან. მეცნიერული ცოდნის ობიექტურობა უნდა გახდეს მისი ძირითადი მახასიათებელი.[1]

XXI საუკუნის ისტორიოგრაფიაში (ისევე, როგორც სოციოლოგიასა და ფილოსოფიაში) დგას ამოცანა (გადმოცემული წინა საუკუნიდან) მთელი სიგრძესიგანით წარმოჩნდეს ადამიანი, როგორც ერთი მთლიანობა. უკვე კარგა ხანია, ფროიდიზმის გავლენით, დაინგრა შეხედულებები სულიერის სხეულებრივზე უპირატესობის შესახებ; ფილოსოფიის ისტორიის ეპიზოდად გადაიქცა ერთ დროს შეურყევად მიჩნეული ფორმულა: „ვაზროვნებ, ე. ი. ვარსებობ". სხეულებრივი ფაქტორის წინ წამოწევა ფ. ნიცშეს სახელთანაა დაკავშირებული, რომელმაც შექმნა სხეულებრივ-დიონისური პათოსით გაჟღენთილი ფილოსოფია და მიიჩნევდა, რომ თავის წიგნებს იგი „სხეულით და სიცოცხლით" წერდა;[2] მიიჩნევდა, რომ ფილოსოფოსებს არა აქვთ საფუძველი, ზღვარი გაავლონ სულსა და სხეულს შორის. ფ. ნიცშეს მოძღვრებამ შემდგომი განვითარება ჰპოვა ზ. ფროიდის თეორიაში არაცნობიერის შესახებ. შემდგომში ბევრმა მეცნიერმა დაუჭირა მხარი „სულისა და სხეულის შეჯვარების" აუცილებლობას, ადამიანში გონებრივისა და გრძნობადის განუყოფლობის მტკიცებას.

შუა საუკუნეების ისტორიის მკვლევარებმა გარკვეული ხარკი გადაუხადეს „სხეულებრივ გამოწვევას". ამის ნიმუშად შეიძლება დასახელდეს მ. მ. ბახტინის შრომა ფრანსუა რაბლეს შესახებ[3] და ე. კანტოროვიჩის ორტომეული მეფის ორი სხეულის შესახებ.[4] ეს თემა განსაკუთრებულად მიმზიდველი გახდა დასავლეთის მედიევისტებისათვის. შედეგი ის იყო, რომ შუა საუკუნეების კულტურაში ზღვარი სულიერსა და ფიზიკურ სამყაროს შორის წაშლილი წარმოჩნდა. სულიერი და სხეულებრივი ცნებები და სახეები განუყოფელი აღმოჩნდა (ასე იყო ადამიანების ყოველდღიურ პრაქტიკაში, სახვით ხელოვნებაში). ამ დებულების დასამ-

---

[1] მიჩნეულია, რომ მეცნიერება ცოდნის დამოუკიდებელი დარგი გახდა ნიკოლოზ კოპერნიკის ნაშრომის „ციური სფეროების გარემოქცევის შესახებ" გამოქვეყნებიდან (1543 წ.) ისაკ ნიუტონის „ნატურალური ფილოსოფიიის მათემატიკური საწყისების" (1687 წ.) შექმნამდე პერიოდში. ამ დროს მეცნიერებამ დაიწყო განთავისუფლება მაშინდელი იდეებისა და თეორიებისაგან, მისტიციზმის თეორიის, ასტროლოგიისა და მაგიისაგან. არისტოტელური კოსმოლოგია აღარ წარმოადგენდა მეცნიერების ჭეშმარიტებას; რელიგია დაუბრუნდა თავის დანიშნულებას – მიეცა ადამიანისათვის ღვთიური სამყაროს სულიერი სიმდიდრე, რომელიც ახსნიდა ცხოვრების არსს.

[2] Ф. Ницше, Сочинения в 2-х томах, т. I, М., 1990, стр. 23.

[3] М. М. Бахтин, Творчество Франсуа Рабле и народная культура средневековья и ренессанса, М., 1965.

[4] E. H. Kantorowicz, The King's Two Bodies: A Study in Mediaeval Political Theology, Princeton, 1957.

ტკიცებლად მოაქვთ თომა აქვინელის მტკიცება სხეულებრივისა და სულიერის ერთიანობის ქრისტეს მაგალითით დასაბუთების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, როცა ისტორიის როლის შესახებაა მსჯელობა, დანამდვილებით უნდა ითქვას, რომ იგი ასრულებს თავის ფუნქციას – საზოგადოებას აჩვენებს მის სახესა და სხეულს, ამასთან, გარდა ზოგადი ჩვენებისა, იგი იძლევა ზნეობრივ, ემოციურ, შეფასებით მუხტს და საზრდოს განსჯისათვის ადამიანებზე, „ადამიანზე", რომელიც საზოგადოებისა და ისტორიის ძირითადი ელემენტია. XX საუკუნის ისტორიოგრაფიამ აღიარა, რომ ისტორიის მთავარი პოსტულატი ადამიანია.[1] წარსულის ადამიანური არსი ზნეობრივ სფეროში განისაზღვრება შუალედით, რომელიც არსებობს გარდაუვალ მოცემულობებსა და ბედის შემთხვევითობებს შორის, ე. ი. იმ სივრცით, სადაც მოქმედებს ადამიანის თავისუფალი ნება და არის არჩევანის საშუალება.[2]

უკანასკნელ ხანს ისტორიოგრაფიაში ფართოდ დაიწყო მსჯელობა წარსულის შესწავლის მიკრო- და მაკრო მიდგომის შესახებ. „მიკროისტორია" მოდურ ტერმინად იქცა. რასაკვირველია, სახელწოდება პირობითია. იგი სწორედ ადამიანსა და საზოგადოებას სწავლობს თავისი წვრილმანებით. „მაკროისტორია" უფრო მასშტაბურია. ნიშანდობლივია, რომ ამ ე. წ. მიკრო და მაკრომიდგომებზე საკმაოდ დიდი კამათია. ამ ორიოდე წლის წინ მოსკოვში, ისტორიკოსთა თავყრილობაზე საგანგებოდ იქნა განხილული ეს საკითხი.[3] საქმე ისაა, რომ ისტორიის კვლევისადმი მიკრო მიდგომა (შესაბამისად, „მიკროისტორია") რუსეთსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში შედარებით გვიან შემოვიდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ტერმინი შემოვიდა გვიან, თორემ მიკროისტორიული ხასიათის კვლევები ადრეც მიმდინარეობდა რუსეთსა და საქართველოშიც. ისტორია, მიუხედავად მეთოდოლოგიური სიახლეების მიღება-ათვისებისა (ეს ასეც უნდა იყოს), კონსერვატული დარგია მეცნიერებისა, რომლის ლოგიკაც განსაკუთრებულია, იგი უშვებს ურთიერთგამომრიცხავ, წინააღმდეგობრივ დებულებებს თავის კონკრეტულ კონტექსტში. საერთო ანგარიშით მიკრო- და მაკროისტორიები განუყოფლად არიან ურთიერთდაკავშირებულნი.[4]

ისტორიათმწერლობა მეტად საპასუხისმგებლო საქმეა. საზოგადოებას ესაჭიროება ჭეშმარიტი ისტორია. ივანე ჯავახიშვილი გასული საუკუნის გარიჟრაჟზე, 1904 წელს წერდა: „ ... ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც

---

[1] ნიშანდობლივია, რომ 2004 წელს შეიქმნა სანკტ-პეტერბურგისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანის პრობლემების კვლევის ერთობლივი ცენტრი, რომელმაც რამდენიმე კრებული უკვე გამოსცა. იხ. კრებ. Человек, государство, глобализация, Санкт-Петербург-Тбилиси, 2005.

[2] М. А. Юсим, Несколько штрихов к портрету истории//Средние века, 64, М., 2003, стр. 347.

[3] იხ. კრებ.: Историк в поиске. Микро- и макроподходы к изучению прошлого. Доклады и выступления на конференции 5-6 октября 1998, М., ИВИ РАН, 1999.

[4] М. В. Бибиков, Микроподход в историческом исследовании как вызов банальности в истории, იხ. კრებ.: Историк в поиске... стр. 247; А. Я. Гуревич, Не „Вперед к Геродоту", а назад к анекдотам, იქვე, стр. 234.

თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი".[1] დიახ, ... საზოგადოებამ უნდა იცოდეს თავისი ისტორია. ამას სჭირდება მასწავლებლები და სახელმძღვანელოები, საცნობარო ლიტერატურა. ისტორიის გარეშე წარმოუდგენელია განათლება. „განათლება", ყველა თავისი სემანტიკური თუ სტილისტური მნიშვნელობითა და ელფერით არასაკმარისად გამოხატავს მისივე ნამდვილ უნივერსალობას; განათლება შეიძლება გავიგოთ, როგორც თანდაყოლილი შემოქმედებითი შესაძლებლობების გახსნა, პიროვნების ჩამოყალიბება კულტურული მემკვიდრეობისა და წარსულის მოვლენების შესწავლის საფუძველზე. სწორედ წარსულის შესწავლაა აუცილებელი პირობა პიროვნებისა და საზოგადოების სრულყოფილი ფორმირებისათვის (გავიხსენოთ ა. პუშკინი: "Уважение к минувшему – вот черта, отличающая образованность от дикости"). ისტორია აჯამებს დროის (ეპოქის) შედეგებს და წამოსწევს არსებითს. ის ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, სცნობს ან უარყოფს, შეაფასებს და განსჯის. რაც შეეხება ისტორიის კვლევის მეთოდოლოგიას, აქ ყოველი სიახლე მისასალმებელია. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ ის, რაც ასეული წლების მანძილზე შემუშავებულა. სანიმუშოდ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს მივმართავ. მან კარგად იცის, რომ მემატიანეს უნდა ჰქონდეს „ნივთნი საქმეთანი", ანუ მასალა (წყარო) აღსაწერი ობიექტის შესახებ და აუცილებელია, კარგად ფლობდეს „რიტორობის ხელოვნებას". „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი"-ს ავტორი აღიარებს: „ხოლო ამად რა თხრობად მოვიწიე, ვაებისა ღირსად შევრაცხენ დიდნი იგი და სახელოვანნი გამომეტყუელნი, ვიტყჳ უკუე უმიროსსა და არისტოვლის ელინთა, ხოლო იოსიპოს ებრაელსა, რომელთაგანმან ერთმან ტროადელთა და აქეველთანი შეამკვნა თხრობანი, მერმეცა ოდისეოს და ორესტი ეკუეთნეს, და ვინ ვის მძლე ექმნა; და მეორემან ალექსანდრესნი წარმოთქუნა მძლეობანი, სიმჴნენი და ძლევაშემოსილობანი; ხოლო მესამემან ვესპასიანე ტიტოჲს-მიერნი მეტომეთა თჳსთა-ზედანი ჭირნი მისცნა აღწერასა".[2] დავითის ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ ზემოხსენებულ მემატიანეებს არ გააჩნდათ სათანადო მასალა („ნივთნი საქმეთანი არა აქუნდეს კმად მისათხრობლად") და ისტორია თავისი მაღალი „ჴელოვნებითა რიტორობისა განავრცელნეს". ქართველ მემატიანეს მაღალი დონის ისტორიული ნაწარმოების შესაქმნელად ღრმა პროფესიონალიზმი და ამბის საინტერესოდ გადმოცემის უნარი მიაჩნია. ასეთ შემთხვევაში მცირეც კი შეიძლება აღმატებულად წარმოსდგეს, ე. ი. იგი ავტორის როლს ნაწარმოების შექმნაში წამყვან მნიშვნელობას ანიჭებს („არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთჴე მაქებელსა უმიროსს"); თვლის,

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, ტფ., 1904, გვ. 5. იხ. აგრეთვე, რ. მეტრეველი, მამულიშვილობა და მეცნიერება, ივ. ჯავახიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 22-28.

[2] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 322.

რომ ტროას ბრძოლა გაჭიანურდა, ოცდარვა წელი გაგრძელდა და გამომდინარე აქედან აქილევსი „ვერა-რა ღირსი ქებისა იქნა". „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი"-ს ავტორი აქილევსს ადარებს დავით აღმაშენებელს და მიიჩნევს, რომ დავითი უფრო წარმატებული იყო. მაგალითად დიდგორის ბრძოლა მოაქვს, როცა ქართულმა ლაშქარმა ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი მტერი პრაქტიკულად „სამი ჟამის" განმავლობაში დაამარცხა. იგი დანანებით დასძენს: „ჰქონებოდესმცა ამათ ბერძენთა თხრობათა ნივთად საქმენი დავითისნი, და მათმცა აღწერეს ჯეროვნად მათისაებრ რიტორობისა, და მაშინღამცა ღირს ქმნილ იყვნეს ჯეროვანსა ქებასა".[1]

ჩვენ შეგნებულად მოგვაქვს რვა საუკუნის წინანდელი მემატიანის მეთოდოლოგიური დაკვირვებები. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მეთოდოლოგიური პრინციპები დღესაც მნიშვნელოვანია. ანალოგიური მასალის მოტანა სხვა ქვეყნების ისტორიკოსთა თხზულებებიდანაც შეიძლება. „ისტორია" საზოგადოებასთან ერთად ვითარდებოდა და, ცხადია, მრავალ სიახლეს ითვისებდა კვლევის თვალთახედვით. ახალმა საუკუნემ სიახლის ჩარჩოები კიდევ უფრო გააფართოვა. უნდა გვახსოვდეს, რომ წარსულის (მეთოდოლოგია გვაქვს მხედველობაში) დავიწყება არ შეიძლება, მას თვით ისტორია გვასწავლის. ყოველივე სიახლემდე სწორედ წარსულმა მიგვიყვანა. ისტორიული მეხსიერება აუცილებელია კულტურის მემკვიდრეობითობისათვის, საზოგადოების არსებობისა და ევოლუციისათვის, პიროვნული და ეროვნული იდენტიფიკაციისათვის. ისტორია, ისე როგორც სიცოცხლე, უნდა განვიხილოთ, როგორც მუდმივად განვითარებადი უწყვეტი ჯაჭვი. უწყვეტობა არის ერთი და იგივე საზოგადოების ისტორიის თანმიმდევრულ პერიოდებსა და ფაზებს შორის და ამასთან უწყვეტობა საზოგადოებების ურთიერთკავშირია დროში.[2]

---

[1] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 322.

[2] გასულ საუკუნეში კიდევ ერთი საინტერესო (ამასთან, სადავო) მიმართულება გაჩნდა ისტორიოგრაფიაში (უფრო ზუსტად, ისტორიის ფილოსოფიაში). ესაა კავშირებითი მიმართულების (კილოს) პრობლემა ისტორიაში, რაც, ძირითადად, პროგნოზირებაზეა დაფუძნებული. რა იქნებოდა, რომ გარკვეული მოვლენა ისე კი არა, როგორც წარიმართა, არამედ სხვაგვარად ყოფილიყო? – ესაა ამ მიმართულების მიმდევართა მიერ დასმული ძირითადი კითხვა. რუსი მეცნიერი ნ. კარეევი ისტორიკოსებს მოუწოდებდა, შეესწავლათ " ... как бы мысленные опыты, представляя изучаемое явление в измененных условиях: если бы не было того-то, но было-бы то-то, что из этого получилось бы?" (Н. И. Кареев, Теория исторического знания, С.-Петербург, 1913, стр. 82). ისტორიული მეცნიერების განვითარებამ XX საუკუნეში კავშირებითი მიმართულების გაფართოება განაპირობა. ისტორიკოსები დაინტერესდნენ ამ საკითხით და გარკვეული ლიტერატურაც შექმნეს (И. В. Бестужев-Лада, Ретроальтернативистика в философии истории//Вопросы философии, 1997, №8; Г. С. Померанц, История в сослагательном наклонении//Вопросы философии, 1990, №11; В. К. Егоров, История в нашей жизни, М., 1990 და სხვ.). ჩვენ ამჯერად ამ პრობლემაზე არ შევჩერდებით, დავძენთ კი, რომ „კავშირებითი მიმართულების" მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ ეს მეთოდი საშუალებას იძლევა უკეთ ვიცოდეთ წარსული, სწორად შევაფასოთ მიმდინარე მოვლენები და განვჭვრიტოთ მომავალი.

დღესდღეობით განსაკუთრებულად ვითარდება მედიევისტიკა, მრავლად გამოდის მონოგრაფიები, ყოველწლიურად ამ დარგში, როგორც სტატისტიკური მონაცემები გვაუწყებს, 10.000-მდე სტატია იბეჭდება. ეს გარკვეული სირთულეც არის, რადგან ესოდენ მძლავრი ინფორმაციული ნაკადის აღქმა-დამუშავება ძნელდება. ამოცანა ისაა, რომ ქართველმა მედიევისტებმა, რომლებიც თავის მხრივ ინტენსიურ ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ეწევიან, თავისი ადგილი დაიკავონ მსოფლიო ისტორიული მეცნიერების კონტექსტში. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან შექმნილი საზოგადოებრივი მდგომარეობა ისტორიკოსებს აძლევს განახლებული მეთოდოლოგიით კვლევის საშუალებას. ეს კი არის საერთოდ მეცნიერებისა და, კერძოდ, ისტორიოგრაფიის XX საუკუნის სამოცდაათწლოვანი საბჭოთა იდეოლოგიით განპირობებული კრიზისიდან გამოსვლის რეალური გზა.

2006 წ.

„რანი ვიყავით, რანი ვართ...“
ილია ჭავჭავაძე და ისტორია

> „რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, – რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის ფიცარზე იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის“.
>
> **ილია ჭავჭავაძე**

ისტორია თავისი არსით არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანთა საზოგადოების წარსულს მთელი მისი კონკრეტულობითა და მრავალსახეობით, რისი შემეცნებაც საჭიროა კაცობრიობის აწმყოს გაგებისა და მომავლის პერსპექტივის განსაზღვრისათვის. ისტორია ადამიანთა საზოგადოების განვითარებას განიხილავს როგორც ერთიან კანონზომიერ პროცესს მთელი მისი მრავალმხრივობითა და წინააღმდეგობრივობით. თავის მხრივ წარსული ადამიანთა გვერდითაა, ადამიანებშია. მატერიალური კულტურის ძეგლები, ხელოვნების ნიმუშები, ლეგენდა-თქმულებები, ხალხური ჩვევები, ტრადიციები, ენა წარსულის ღრმა ანაბეჭდს ატარებს. ადამიანი დაბადებიდანვე უკავშირდება სამშობლო-ქვეყნის ისტორიულ ბედს, ურთიერთობა უხდება საზოგადოებასთან, რომელიც თავის მხრივ ისტორიის გავლენას განიცდის. ადამიანი ნებსით თუ უნებლიეთ თვითონ ხდება ისტორიის შემოქმედი. მის თვალსაწიერში ექცევა ქვეყნის ისტორიული განვითარების საკითხი, ჩნდება საკუთარი დამოკიდებულება წარსულის მემკვიდრეობასთან, პროგრესული ტრადიციები ირჩევა რეაქციულისაგან. თავისთავად ისტორიას აქვს წარსული, აწმყო და მომავალი. იგი, როგორც საზოგადოებრივი განვითარების პროცესი, ყველა ადამიანის ბედს ეხება მეტ-ნაკლებად და ამდენად სწრაფვა მისი შემეცნებისადმი განუსაზღვრელია.

ისტორიული პრობლემები ყოველთვის იპყრობდნენ ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგების, განსაკუთრებით პუბლიცისტიკის და მხატვრული ლიტერატურის ყურადღებას. მსოფლიოს სხვადასხვა დროის ლიტერატურა იცნობს არაერთ ქმნილებას, რომელიც ერთდროულად ისტორიულიც არის და ლიტერატურულიც. ყველა ეპოქის ჭეშმარიტ მწერალს ნათლად ესმოდა ისტო-

რიის დიდი მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ალექსანდრე პუშკინმა ხმამაღლა განაცხადა, რომ „Уважение к минувшему — вот черта, отличающая образованность от дикости...“ პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, დოსტოევსკი, ტიუტჩევი, ლესკოვი, ნეკრასოვი, ტოლსტოი, ბლოკი... წარმოუდგენელია ამ დიდ მწერალთა შემოქმედება ისტორიის გარეშე. ისტორია, ერთის მხრივ იყო ის ცხოველი სული, რომელიც კეთილად ანაყოფიერებდა მათ შემოქმედებას და აყალიბებდა მსოფლმხედველობას; მეორე მხრივ, თვით დიდი მწერლები გვევლინებიან ჭეშმარიტ ისტორიკოსებად, რომლებმაც ხელოვნების ენაზე აამეტყველეს ადამიანთა ისტორიის ცალკეული ფურცლები. ბუნებრივია, ისტორიის პრობლემებისადმი გულგრილნი არც ქართული ლიტერატურის კლასიკოსები დარჩენილან. სწრაფვა საქართველოს წარსულის შესწავლისადმი, ამასთან ისტორიული სინამდვილის მხატვრულ ფერებში გადმოცემა, ყოველთვის იყო ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემა.

გვინდა განვიხილოთ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ორი ასპექტი: ა) ისტორიული შეხედულებები და ბ) ისტორიული შემოქმედება. დაყოფა სრულიად პირობითია, რადგან დიდი მწერლის შემოქმედებაში ეს ორი მხარე ერთმანეთს ავსებს, მაგრამ თუკი ჩვენ ამ საკითხს მაინც ვაცალკევებთ მხოლოდ იმიტომ, რომ გვინდა ერთგვარი მიჯნა დავდოთ ილიას პუბლიცისტიკასა და მხატვრულ შემოქმედებას, საზოგადოებრივსა და სამწერლო მოღვაწეობას შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ჩვენთვის საინტერესო სფეროს თავის დროზე შეეხო ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც 1937 წელს მწერლის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ ენიმკი-ს საჯარო სხდომაზე წაიკითხა მოხსენება „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“ (შემდგომში ცალკე წიგნად გამოიცა). ცალკე უნდა დავასახელოთ პავლე ინგოროყვას, გიორგი ჯიბლაძისა და პროკოფი რატიანის მონოგრაფიები, რომლებშიც ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა გლობალურადაა შესწავლილი და, ბუნებრივია, ისტორიის საკითხებიცაა გამოკვლეული. აღნიშნული საკითხი სხვადასხვა პრობლემებთან დაკავშირებით მიმოხილულია რიგი ავტორების წიგნებსა და სტატიებში, მაგრამ მათი დასახელებისაგან ამჯერად შეგნებულად ვიკავებთ თავს.

ეპოქა, რომელშიც მოუხდა მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძეს, მეტად მნიშვნელოვანი იყო ისტორიული მოვლენებით. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში გარკვეულად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. ყველაზე არსებითი ხასიათისა იყო 60-70-იანი წლები – ფეოდალიზმის მსხვრევისა და მის წიაღში ახალი სოციალურ-ეკონომიური – კაპიტალისტური ურთიერთობების დამკვიდრების პროცესი, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბებას.

ახალმა საზოგადოებრივ-ეკონომიურმა ერთიერთობებმა, ახალი, თავისი ბაზისისათვის შესაფერი იდეები მოიტანა; იდეები, რომლებშიც წითელ ზოლად წარმოჩნდა ხალხთა თავისუფლებისა და თანასწორობის მოტივები.

ილია ჭავჭავაძე კარგად იცნობდა რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოთავეთა – ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დო-

ბროლიუბოვის იდეებს. სწორედ ამ იდეებმა, დიდმა განათლებამ და ნიჭიერებამ, ამასთან ქვეყანაში შექმნილმა ისტორიულმა პირობებმა ხელი შეუწყო ილიას მოღვაწეობის ფართოდ გაშლას. იგი არ ყოფილა მარტო ბრწყინვალე პოეტი და მწერალი, განმანათლებლური ლიტერატურის ტრადიციებზე აღზრდილი, იმდროინდელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზროვნების პროგრესულ მიმართულებათა კარგი მცოდნე; ილია ჭავჭავაძე იყო ფართო ფილოსოფიური განათლების მქონე ღრმად მოაზროვნე პიროვნება. ამასთან იგი იყო პროფესიული ცოდნითა და ჩვევებით აღჭურვილი ისტორიკოსიც, რომლის რიგი შრომები ქართული ისტორიოგრაფიის საგანძურში შევიდა.

ილია ჭავჭავაძე პროგრესულად უდგებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა ახსნას. სწორედ ამიტომ მის მიერ გამოთქმულ ღრმა მეცნიერულ აზრებს ისტორიის განვითარების პროცესზე უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მთავარი ის არის, რომ ილიას შეხედულებას ისტორიის შესახებ, მის ისტორიულ კონცეფციას საფუძვლად უდევს ხალხთა მასების გადამწყვეტი როლის აღიარება ზოგადისტორიული განვითარების პროცესში.

ილია ჭავჭავაძე ერთ წერილში ხმამაღლა ქადაგებდა ისტორიის დიდი მნიშვნელობის შესახებ: „ყოველი ერი თავის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავის სულის ღონეს, თვისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას". მეორე წერილში „დავით აღმაშენებელი" ილია ამბობს: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავის ისტორია არ ახსოვს". საოცარი მსგავსებაა დიდი რუსი მწერლის ალექსანდრე პუშკინისა („Уважение к минувшему, вот черта отличающихся образованность от дикости...") და ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს შორის ისტორიის შესახებ! როგორც ერთს, ისე მეორეს, კარგად ესმით წარსულის შესწავლის აუცილებლობა. თვითონ იძლეოდნენ ამის მაგალითს, თუ პუშკინი გატაცებული იყო ანტიკურობით, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეებით, აღორძინების ეპოქითა და საფრანგეთის დიდი რევოლუციით, ილია ჭავაჭავაძეც საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებთან ერთად, ევროპის ისტორიასაც გარკვეულ ყურადღებას უთმობდა და მეტად საგულისხმო მოსაზრებებს გამოთქვამდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემების (საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა და სხვ.) შესახებ.

ჭეშმარიტად რაციონალური დაყენება იყო საკითხისა, როცა ილია ჭავჭავაძემ ისტორიის შემოქმედად მშრომელი მასები, ხალხი გამოაცხადა. იგი კრიტიკულად მიუდგა თვით „ქართლის ცხოვრებას" და ხმამაღლა განაცხადა, რომ „ჩვენი „ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული". 1872 წლის ივლისში ილია ჭავჭავაძე დავით ერისთავისადმი („სამშობლოს" ავტორი) გაგზავნილ წერილ-

ში წერდა: „მე არაფერსა ვწერ, ამ „აჩრდილმა“ ტყავი გამაძრო. ისტორიულ ნაწილზედ... შევდექ და ბიჯი წინ ველარ წავდგი. არ ვიცი რა ვქნა? ვამბობ ამ „აჩრდილს“ თავს დავანებებ-მეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს. მე კი... მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს... საქმე ხალხია და ხალხი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს“. ილია ჭავჭავაძეს არსებითად სწორად ესმოდა ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი საკითხები და პრაქტიკულადაც – საზოგადოებრივ და სამწერლო მოღვაწეობაშიც ამ მრწამსის ერთგული რჩებოდა. მთელ მის შემოქმედებას მშრომელი გლეხობისადმი დიდი პატივისცემის დაღი აზის, ხალხის შემოქმედებითი ძალების რწმენითაა გაჟღენთილი.

აი ერთი ადგილი ი. მანსვეტაშვილის მოგონებიდან:

„ილია იტყოდა ხოლმე:

ჩვენი დიდკაცობა, ჩვენი წარჩინებული მოხელენი გადაგვარების გზაზე არიან დამდგარნი, იმათ ქართულიც და ქართველობაც – ორივე ფეხებზე ჰკიდიათ! ამათთვის წერა ტყუილი შრომა, წყლის ნაყვა იქნებოდა...

მაშ ვინღა დაგვრჩა? ის ვინც საქართველოს პირველი ქვაკუთხედი იყო, ვინც ისტორიულ ქარტეხილს, წვა-დაგვას გაუძლო და ქვეყანა გააშენა. ეს ის მაგარი მკვიდრი მუხაა, რომელიც ქარცეცხლს უძლებს და არ ეცემა. ეს არის ჩვენი გლეხობა, ეს არის ჩვენი მუშა ხალხი... ესენი არიან ჩვენი მუხის – საქართველოს ფესვები, ესენი ამზადებენ იმ საკვებავ წვენს, რომლითაც საზრდო და ღონე ეძლევა მუხის მთელ ტანს“[1].

სამართლიანად მიუთითებდა ივანე ჯავახიშვილი, რომ ილია ჭავჭავაძეს საქართველოს ისტორია ეროვნული თავმომწონეობის თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასანერგავად კი არ უნდოდა და სჭირდებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთვნელი შეფასება აინტერესებდა[2]. მეტად საგულისხმოა ილია ჭავჭავაძის პასუხი ივანე ჯაბადარის 1889 წელს ჟურნალ „Северный вестник“-ში გამოქვეყნებული წერილების („Письма о Грузии“) გამო. ამ წერილში ავტორი (როგორც თვით აცხადებს) საქართველოს ისტორიას განიხილავდა ისტორიული კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის გამოყენებით. ივ. ჯაბადარს პრეტენზია ჰქონდა, რომ ამ მეთოდებით შეიარაღებულმა სწორი შეფასება მისცა საქართველოს წარსულს. ილია ჭავჭავაძემ სააშკარაოზე გამოიტანა ივ. ჯაბადარის პრეტენზიის უსაფუძვლობა, რადგან მის „Письма о Грузии“-ში საფუძვლიანი მეცნიერული კვლევის ნაცვლად, ავტორის მოუმზადებლობა და ზერელობა უფრო ჩანდა. ილიამ მკითხველს გააცნო ივ. ჯაბადარის ძირითადი დასკვნა, სადაც ეს უკანასკნელი წერს:

„Без ясного знакомства с этими доисторичекими условиями, читатель не мог бы верно судить ни о его (грузинского народа) литературе, ни о бытовых явлениях его современной жизни и для него (для читателя) не был бы решен самый главный во-

---

[1] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936, გვ. 76-78.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, თბ., 1938, გვ. 4.

прос, действительно-ли грузинский народ стар(!) и износил свои силы(!), или же он до сих пор не начинал еще жить полною интенсивною(?) жизнью и сберег свои силы для будущего(!). Если письма наши дали достаточно ясный ответ на этот основной(!) вопрос, мы считаем цель нашу достигнутою"[1].

ილია ჭავჭავაძე სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ჩვეულებრივ მკითხველზე, რომელმაც საისტორიო წყაროები და ლიტერატურა არ იცის, ივ. ჯაბადარის კატეგორიულ დაკვნებს შეიძლებოდა დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა. ამასთან მის ნიჰილისტურ მსოფლმხედველობას ვნების მოტანაც შეეძლო. ივ. ჯაბადარის წერილების უყურადღებოდ დატოვება კიდევ უფრო დააზარალებდა მკითხველს და სწორედ ამიტომ ილია ჭავჭავაძემ ვრცლად განიხილა „Письма о Грузии" თავის წერილებში, რომელთაც საერთო სათაურად „აი ისტორია" უწოდა. აქ გამოჩნდა ილია ჭავჭავაძის მწყობრი ისტორიული კონცეფცია, მისი დიდი ცოდნა, როგორც ისტორიის ზოგადი, ისე კონკრეტული საკითხებისა.

შემდგომში ივ. ჯავახიშვილიც შენიშნავდა, რომ „ივ. ჯაბადარის... ძირითადი რწმენა სქემატიზმისა და მონური მიმბაძველობის გამამჟღავნებელი იყო. იგი დრეპერის ოდესღაც გავრცელებულ აზრს ემყარებოდა, ვითომც ყოველ ერს, თავისი ბავშვობისა, ყრმობისა და ჭაბუკობის შემდგომ, აუცილებლად სიბერე ეწეოდეს ხოლმე"[2]. ილია ჭავჭავაძე მტკიცედ შეებრძოლა ივ. ჯაბადარის მცდარ და უცნაურ დებულებებს. თანაც მიუთითა, რომ დრეპერის აზრი დიდი ხნის წინ იყო უარყოფილი მოწინავე მეცნიერების მიერ („ჩვენ არ გვახსოვს, რომ რომელსამე დაწინაურებულს მეცნიერს რუსეთისას არ გაეკილვოს, ასე თუ ისე დრეპერის აზრი"[3]. მას განსაკუთრებით აშფოთებდა ივ. ჯაბადარის შემდეგი ფრაზები: „Износил свои силы" (ქართველ ერზეა ლაპარაკი – რ. მ.), или же он до сих пор не начинал еще жить полною интенсивною жизнью и сберег свои силы для будущего"). აბა, ერთი გვითხარით, ეს („Сберег свои силы для будущего") რა ჭკუაში მოსასვლელი საკითხიაო – კითხულობს ილია და ააშკარავებს სრულ ულოგიკობას ზემომოტანილ ჯაბადარისეულ დებულებებში. ამ დებულებებით კი გამოდის, რომ ბედნიერი ერი ის ყოფილა, ვინც არ აჰყვა „ინტენსიური ცხოვრების" მაცდურობას და ღონე შეუნახავს მერმისისათვის. ილია ირონიულად შენიშნავდა: „... ბედნიერი უფრო დათვები და მგლები უნდა იყვნენ, რადგანაც მათ გუშინდელი დღეც არ ახსოვთ, და, მაშასადამე, ადამიანზე მეტი ღონე შეუნახავთ მერმისისათვისო". ილია ჭავჭავაძის დასკვნა ასეთი იყო: „ინტენსიური ცხოვრება" ერთსა და იმავე დროს სათავეც არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლობით შენებულა, აგებულა, მართლია კაცობრიობის დაუღალავ და დაუძინებელ ჯაფით, გარჯითა და მხნეობით, მაგრამ იმისათვის კი არა, რომ ღონისაგან დაიცალოს, არამედ იმისათვის, რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფოლადდეს,

---

[1] ი. ჭავჭავაძე, აი ისტორია, თხზ. ტ. IV, თბ., 1955, გვ. 18.
[2] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 6.
[3] ი. ჭავჭავაძე, აი ისტორია, გვ. 20.

გამოჯიქდეს არსებობისათვის საჭიდაოდ". პოეტი დაცინვით ამბობდა – კაი ნუ-გეშია, კაცმა პური აღარა ჭამოს, რომ კბილები არ გაუცვდეს და მერმისათვის შეინახოსო. ილია ჭავჭავაძის გამოსვლა ჯაბადარისეული ცრუმეცნიერული და ზერელე დებულებათა წინააღმდეგ სრულიად მართებული იყო. ილია ქართული საზოგადოებრივი აზრის წარმმართველი იყო და ამ კონკრეტულ ვითარებაში ის-ტორიკოსის მოვალეობის შესრულებაც მოუხდა. ილიასთვის ისტორია მხოლოდ ფაქტებისაგან შეკონწიწებული ამბავი არ იყო. იგი ეძებდა ისტორიული პროცესის მამოძრავებელ ბერკეტსა და საფუძველს, თანაც თითოეული მოვლენის სწორად შეფასებას მოითხოვდა. სრულიადაც არ იყო შემთხვევითი, რომ ილია მთავარ ყურადღებას საზოგადოების განვითარების სოციალ-ეკონომიურ და კულტურულ-პოლიტიკურ პრობლემებს უთმობდა.

ილია ჭავჭავაძემ პირველმა საქართველოს ისტორიის განხილვა მოითხოვა ეკონომიური თვალსაზრისით. „ჩვენი ხალხი, – აღნიშნავდა ილია, – თითქმის ორი ათასი წელიწადი იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა... ვსთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის – რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა?"[1] როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძემ ქართველი ხალხის წარსულის ეკონომიური საფუძვლის გამოკვლევა საერთოდ ისტორიის შესწავლის აუცილებელ პირობად აღიარა. ილიასდროინდელი (ისე როგორც ადრინდელი) ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცხო იყო საკითხის ამგვარი დაყენება.

საერთოდ ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ-ეკონომიურ შეხედულებებზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ისეთი მნიშვნელოვანი გამოკვლევები, როგორიცაა: „ცხოვრება და კანონი", „ხიზნების საქმე", „ირლანდია და ინგლისი" (საისტორიო-საეკონომიო ნარკვევი), „კერძო და სათემო მინათმფლობელობა", „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები" და სხვ.

ივ. ჯავახიშვილმა, მიმოიხილა რა ილია ჭავჭავაძის ეკონომიური შეხედულებები, აღნიშნა, რომ ყველაზე საყურადღებო იყო ჯერ კიდევ 1880 წელს ილია ჭავჭავაძისაგან ისტორიული პროცესის გასაგებად ეკონომიური საფუძვლის ცოდნის აღიარება.

1877-78 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომმა დღის წესრიგში დააყენა ოსმალეთის მიერ მიტაცებული საქართველოს ძველი მიწების საკითხი. ამ პრობლემას ილია ჭავჭავაძემ 1877 წელს უძღვნა წერილი „ოსმალოს საქართველო", სადაც წინა პლანზე დააყენა ისტორიის ერთობის ფატორი ერის ცხოვრებაში და წარმოაჩინა ის განუყრელი კავშირი, რომელიც არსებობდა საქართველოსა და მტრისგან მიტაცებულ ოსმალოს საქართველოს შორის. ილია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ისტორიული მხარეების – მესხეთისა და ლაზეთის საქართველოსთან გაერთიანებას და საერთოდ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ, თხზ. ტ. IV, გვ. 176.

მეტად საგულისხმოა ცალკეულ ისტორიულ მოღვაწეთა ილიასეული შეფასება, როცა იგი ამა თუ იმ პიროვნებას განიხილავდა არა ცალმხრივად, არამედ მის პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობას კომპლექსურად აფასებდა. განსაკუთრებულად გამოჰყოფდა ილია ისტორიული მოღვაწისაგან სხვა ერთა უფლებებისა და ღირსებათა პატივისცემის საკითხს. ამ მხრივ საინტერესოა ილია ჭავჭავაძის წერილი „დავით აღმაშენებელი", სადაც იგი მიიჩნევს, რომ „უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან-რა, თუ არა ერის გულისნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი"[1], როცა თავის პოზიციას ნათლად აყალიბებს, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის მთლიანობაში შეფასების მიზნით იგი მეტად საგულისხმო მხარეს წარმოაჩენს: „... დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცს შესაჭმელადაც არაჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!"

როცა ილია ჭავჭავაძე ასე განსაკუთრებულად აღნიშნავდა დავით აღმაშენებლის სხვა ერისა და რჯულის ხალხთა შემწყნარებლობას (ტოლერანტობას), ბუნებრივია, იგი კარგად იცნობდა ისტორიას და იცოდა კიდეც, რომ არსად, არც დასავლეთის (ქრისტიანულ) და არც აღმოსავლეთის (მუსლიმანურ) ქვეყნებში ამგვარი რამ არ არსებობდა. მართლაც XII საუკუნის დასავლეთ ევროპაში უცხოელის ბედს ის მეფე ან ფეოდალი წყვეტდა, რომლის სამფლობელოშიც სავაჭროდ, ან სხვა საქმიანობისათვის უცხო პირი აღმოჩნდებოდა. ევროპის ქვეყნებში, როგორც ჩანს, საკმაოდ მძიმე ადათ-წესები იყო გაბატონებული უცხოელთა მიმართ; ამ უკანასკნელთა პიროვნებისა და საკუთრების ხელშეუხებლობას ხშირად დაცვის სიგელიც კი ვერ უზრუნველყოფდა. განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაში იყვნენ დასავლეთ ევროპაში მცხოვრები, როგორც ადგილობრივი, ისე სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სხვა სარწმუნოების მიმდევარნი, თავის რჯულთშეუწყნარებლობით გამოირჩეოდა კათოლიკური ეკლესია, რომელიც სიმკაცრეს იჩენდა არა მხოლოდ ებრაელებისა და მაჰმადიანების, არამედ მართლმადიდებლების მიმართაც, დაახლოებით იგივე მდგომარეობაა მუსლიმანური აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. უფრო მეტიც, ისლამმა იმთავითვე მკვეთრად გაავლო ზღვარი მუსლიმანებსა და არამუსლიმანებს შორის. იგი უარჰყოფდა ეროვნებას და ერთადერთ კრიტერიუმად მუსლიმანობის აღიარებას თვლიდა. ამდენად მუსლიმანურ აღმოსავლეთში ტერმინ „უცხოელში" ძირითა-

[1] ილ. ჭავჭავაძე, დავით აღმაშენებელი, თხზ. ტ. IV, გვ. 171.

დად სარწმუნოებრივი შინაარსი იდო. ყურანი ხმამაღლა აცხადებდა: „ებრძოლეთ მათ, რომელთაც არა სწამთ ჭეშმარიტი სარწმუნოება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღინიშნოს, რომ XI-XII საუკუნეებში უცხოელებს რუსეთშიც პოტენციურ მტრად სახავდნენ და ამიტომ მათ მხოლოდ მატერიალურ ურთიერთობაში ანიჭებდნენ გარკვეულ უფლებებს. XIX საუკუნის რუსი ისტორიკოსი ი. ანდრეევსკი მიმოიხილავს რა რჯულთშემწყნარებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს რუსეთში, დაასკვნის, რომ „Иноверье, как общественное явление... не дозволялось в России до Петра“[1]. ამგვარად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, მაჰმადიანურ აღმოსავლეთსა და რუსეთში უცხოელთა და უცხო სარწმუნოების მიმდევართ მდგომარეობა რთული იყო, რადგან უფლებრივად ისინი ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით დაბლა იდგნენ.

სწორედ ამიტომ აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე საქართველოს განსხვავებულ მდგომარეობას სხვადასხვა ერისა და რჯულის აღმსარებელთა მიმართ. მართლაც, საქართველოში დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული ქართველ მეფეთა საეკლესიო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკა იმდაგვარად წარიმართა, რომ რამდენადმე დაშვებული იქნა გამონაკლისი საქართველოს იმ მოსახლეობის მიმართ, რომელთაც ძველთაგან საკუთარი რელიგია და ეკლესია ჰქონდათ. XII საუკუნის საქართველოში, რომელიც წინა აზიის განვითარებულ საერთაშორისო ეკონომიური და კულტურული კავშირების ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა, იმატა უცხოელთა რიცხვმა. უცხოელთა და სხვა სარწმუნოების მქონეთა უმეტესობა სომხები (გრიგორიანები), არაბები, სპარსელები და თურქები (მუსლიმანები) იყვნენ. სახელმწიფო ხელისუფლება თავის რელიგიურ პოლიტიკაში ატარებდა სარწმუნოებათა შედარებით თავისუფლების – რჯულთშემწყნარებლობის პრინციპებს, რაც იმ პერიოდისათვის, როგორც ილია ჭავჭავაძე მიუთითებს და ზემოთაც დავინახეთ, უჩვეულო იყო. თითქმის ყველა უცხოელი ისტორიკოსი, რომელიც კი დავით აღმაშენებლის პერიოდის საქართველოს შეეხო, არ დარჩენილა გულგრილი ქართველ მეფეთა ტოლერანტობისადმი და საგანგებო მინიშნებებით მოგვცეს იგი. როგორც არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი გვამცნობს, მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა თბილისი საქართველოს შემოუერთა (1122), მაშინვე გასცა ბრძანება მუსლიმანთა ხელშეუხებლობის შესახებ, თანაც „... ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მუსლიმანები ცხოვრობდნენ, არავის ჰყოლოდა ღორი და არავის დაეკლა იგი მათ შორის, მან (დავით აღმაშენებელმა – რ. მ.) მოჭრა მათთვის მონეტა (ფული) ხალიფასა და სულტნის სახელით. და მისცა მათ უფლება აზანისა (ლოცვაზე მოწოდებისა) და თავისუფლად ლოცვისა. დაუდო მათ პირობა აგრეთვე, რომ არც ქართველი, არც ებრაელი და არც სომეხი არ შევიდოდა ისმაილის (მუსლიმანების) აბანოში, და რომ პარასკევ დღეს მინბარიდან ილოცავდნენ ხალიფასა და სულტნისათვის და არა მათთვის (დავით აღმაშენებლისათვის – რ. მ.). იგი კეთილად ეპყრობოდა მუსლიმანებს, მათ

[1] И. Андреевский, О правах иностранцев в России до вступления Иоанна III Васильевича на престол великого княжества Московского, СПБ., 1854 г., стр. 34.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარწმუნოებას, მეცნიერებას, ხალხსა და სუფიებს"[1]. მუსლიმანი მოსახლეობისადმი ამგვარი დამოკიდებულების შესახებ ცნობები სხვა ისტორიკოსებთანაც დასტურ-დება (იბნ ალ-ჯაუზი, მუჰამედ ალ-ჰამავი, დეფრემერი).

დავით აღმაშენებელი ყოველ მხრივ უწყობდა ხელს საქართველოში მცხოვრებ სომხებს, რათა ამ უკანასკნელთ ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ. აი რას წერს სომეხი ისტორიკოსი – მათე ურჰაელი დავით აღმაშენებლის სომხებთან დამოკიდებულების შესახებ: „ის (დავით აღმაშენებელი – რ. მ.) აღმოჩნდა მიმღები და მოყვარული სომეხთა ტომისა... მან ააშენა სომეხთა ქალაქი ქართველთა ქვეყანაში, განამტკიცა ეკლესიები და მონასტრები მრავლად, ხოლო ქალაქს სახელად უწოდა გორა. დიდის სიხარულით და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი"[2].

დავით აღმაშენებელმა ყოველმხრივ შეუწყო ხელი მუსლიმანებისაგან შევიწროებული სომხური ეკლესიის აღორძინების საქმეს. უფლებრივად ქრისტიან მოსახლეობასთან იყვნენ გათანაბრებული ებრაელებიც[3].

ამგვარი რჯულთშემწყნარებლობითი პრინციპები, რომელიც დავით აღმაშენებლის დროიდან დაინერგა. დამახასიათებელი იყო მთელი XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკისათვის. სწორედ ამიტომ აცხადებდა ხმამაღლა საქართველოს ისტორიის შესანიშნავი მცოდნე ილია ჭავჭავაძე: „ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან".

იმისათვის, რომ ნათლად წარმოგიდგინოთ ილია ჭავჭავაძის ღრმა ცოდნა XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხებისა, კვლავ დავუბრუნდეთ პოეტის კამათს „Письма о Грузии"-ს ავტორთან. ივ. ჯაბადარმა არასწორად გააშუქა ისტორიული პროცესი, თამარის ეპოქა მოიხსენია, როგორც საუკუნე „нравственного разложения" და საბუთად მოიტანა ის მოსაზრება, რომ თითქოს თამარმა ყარსზე ილაშქრა „მარტო იმისთვისა, რომ თავის ახლად დაბადებულის შვილის გიორგის ბედი გამოსცადოსო და ამისთვის აუარებელი სისხლი დაიღვარა ტყუილ-უბრალოდაო". ილია ჭავჭავაძე ამ საკითხს ზოგადისტორიული პროცესის მიმდინარეობის შექზე იხილავს, თანაც კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ზემომოტანილი მოსაზრების ავტორს. „გაგონილა, – ამბობს ილია, – ასეთი მალე დაჯერება დაუჯერებელისა იმ კაცისაგან, რომელიც მართალსაც არ იჯერებს ვითომ-და უკრიტიკოდ!". ილია ჭავაჭავაძე ასაბუთებს, რომ ყარსზე გალაშქრება იყო თამარის დროის საქართველოს პოლიტიკური საჭიროება, რომელიც ეთავდებებოდა ქვეყნის მშვიდობით ყოფნასა და საერთოდ არსებობას.

---

[1] Ибн-Ал-Азрак Ал-Фарик, История Майяфарикина, Труды Института истории АН Аз. СРР, XII, 1957, стр. 223.

[2] იხ. ლ. დავლიანიძე, მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, კრებ., საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 147-248.

[3] შ. კრიხელი, ქართველი ებრაელები ფეოდალიზმის ხანაში, საქართველოს ებრაელთა სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, თბ., 1945, გვ. 268-280.

ივ. ჯავახიშვილმა იმთავითვე შენიშნა, რომ ილია ჭავჭავაძემ პირველმა დააყენა და განიხილა თამარის დროინდელი საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკის საკითხი (ამ პრობლემების მკვლევარ იოს. გედევანიშვილზე 26-ლით ადრე), ილია მიუთითებდა იმ ანბანური ცოდნის აუცილებლობაზე, რომ „მას შემდეგ რაკი სომხეთი შეიმუსრა, სამხრეთი ჩვენი ღია დარჩა მტერთათვის შემოსასევად, ამ მიზეზით, სომხეთის შემუსვრის შემდეგ არც ერთი მეფე არ ყოფილა ღირსეული ამ სახელისა, რომ თვალი სამხრეთისაკენ არა სჭეროდეს და აქეთ საბრძოლველად არ გასულიყოს, რომ ან ჩვენი მიჯნა სამხრეთისა და საქართველოზედ შორს გაედგა მოსვენებისა და უშიშროებისათვის, ან მტრისთვის ისეთი ზარი დაეცა, რომ დიდხანს აღარ შემოებედნა-რა საქართველოსათვის“.

ილია ჭავჭავაძე სამართლიანად თვლიდა, რომ შედარებითი მეთოდის სახელი, რომლის გამოყენებაზეც პრეტენზიას აცხადებდა „Письма о Грузии“-ს ავტორი, სრულიდაც არ შეეფერებოდა საკითხის ჯაბადარისეულ კვლევას. პოეტი მიუთითებდა, რომ „შედარება იმ მოქმედებას გონებისას ჰქვიან, როცა ორს ანუ რამდენსამე საგანს ერთმანეთს წაუყენებს, დაუპირისპირებს, რომ აღმოჩნდეს, რაში აქვთ მსგავსება, ერთნაირობა, და რაში სხვაობა და სხვანაირობა“. ამგვარი ღრმა მეცნიერული თვალსაზრისით მიუდგა ილია ჭავჭავაძე როგორც საერთოდ ისტორიის საკითხების გაგებას, ისე კონკრეტულად ისტორიის შესწავლის მეთოდოლოგიის საკითხებსაც. მისი მოსაზრებები გარკვეულ ეტაპს ჰქმნიან ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ილია ჭავჭავაძის ღრმა ცოდნა ზოგადისტორიული საკითხებისა და მისი დიდი ალღო ჩანს ევროპის სახელმწიფოების ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე მსჯელობისას. ილიამ ფრიად საგულისხმო მოსაზრებები გამოთქვა ფეოდალიზმის წიაღში კაპიტალიზმის ჩასახვის პროცესსა და ბურჟუაზიასა და მუშებს შორის არსებულ კლასობრივ ბრძოლაზე[1]. ილია ჭავჭავაძე ღრმად იცნობდა ევროპის სახელმწიფოთა სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას. მისი შემოქმედება მიგვანიშნებს, რომ პოეტი აშკარად გამოდიოდა მშრომელი ხალხის მხარეზე. მან დიდი წუხილით აღნიშნა „კომუნის დაცემის დღე“ და ხმამაღლა განაცხადა:

ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი
დიდი დროშა დაიშალა...

პოეტმა პარიზის კომუნის დამარცხება ისტორიის შეფერხებად მიიჩნია:

კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგნენ ძალნი...

ამ ლექსით დიდი პოეტი ჭეშმარიტად ნამდვილ რევოლუციურ დემოკრატად გვევლინება.

ცალკე უნდა აღინიშნოს ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ისტორიული მხატვრული ლიტერატურისადმი. პოეტი მოითხოვს ისტორიზმის პრინციპების მტკიცედ დაცვას ლიტერატურის ყველა ჟანრში. 1890 წელს გამოქვეყნდა მისი წერილი „ახალი

---

[1] დაწვრილებით ეს საკითხი განიხილა პ. რატიანმა, იხ. მისი, ილია ჭავჭავაძე, თბ., 1965, გვ. 281-286.

დრამების გამო“, სადაც მწვავედაა გაკრიტიკებული ორი ახალი დადგმა („მტარვალი“ და „ქართვლის დედა“), რომელთაც ისტორიულობის პრეტენზია ჰქონდათ. ილიას მიაჩნდა, რომ თუ დრამის ავტორს სურს „ისტორიული ღირსება მიანიჭოს თავის დრამას, უსათუოდ მოვალეა სული და გული ეპოქისა იმ ამბავში ჩანასკვოს, ჩაჰსახოს და დრამის სვლაში გადაგვიხსნას, გადაგვიშალოს საგრძნობლად და დასანახავად“[1]. (ხაზგასმა ჩვენია – რ. მ.). პოეტი მოითხოვს, რომ ისტორიული დრამის დაწერას წინ უნდა უძღოდეს დიდი ცოდნა ისტორიისა, დიდი გონება-გახსნილობა, განათლება და ნიჭიერება. საკუთარი თავისადამი ბევრის მომთხოვნი ილია დიდი შრომის გარეშე შეუძლებლად მიიჩნევდა რაიმე ღირებულების შექმნას. „ჩვენის ფიქრით, – ამბობდა პოეტი, – ამაოდ ირჯებიან ისინი, ვინც ამისთანა დრამის დაწერას მოუმზადებლად და, მაშასადამე, კადნიერად ეტანებიან“[2].

მეტად დიდი ნათესაობაა ილია ჭავჭავაძესა და რუს კლასიკოსებს შორის მათ მიერ ისტორიული ნაწარმოების შექმნის სირთულის შეფასებაში. ა. ს. პუშკინი ვიდრე ისტორიული ნაწარმოების წერას შეუდგებოდა, ჯერ საგანგებოდ იკვლევდა მას, ყოველთვის სათუთად ეპყრობოდა ისტორიულ ფაქტებს. ჩაიფიქრა რა პეტრე I-ის ეპოქაზე ნაწარმოების შექმნა, აი რას სწერდა იგი გამოჩენილ რუს ისტორიკოსსა და მწერალს მ. პოგოდინს „К Петру приступаю со страхом и трепетом, как вы к исторической кафедре“[3]. პუშკინი არაერთგზის იმეორებდა, რომ ისტორიული ჭეშმარიტება შეიძლება მოპოვებული იქნეს მხოლოდ დიდი შრომით. „В наше время, – წერდა პოეტი – главный недостаток, отзывающийся во всех почти ученых произведениях, есть отсутствие труда. Редко случается в критике указывать на плоды долгих изучений и терпеливых разысканий“[4].

ილია ჭავჭავაძე, ისე როგორც ა. პუშკინი, უკიჟინებდა გარეგნულად ეფექტური, მაგრამ არსებითად ფუყე, ყალბ ისტორიულ საბურველში გახვეული ნაწარმოებების შემქმნელებს. თვით ილია ისტორიული ნაწარმოებების შექმნისას ჭეშმარიტად მეცნიერული მიდგომის ნათელ მაგალითებს იძლეოდა.

ილია ჭავჭავაძე მწვავედ აყენებდა ძველი ქართული ხელნაწერებისა და სიგელ-გუჯრების აღწერის აუცილებლობის საკითხს. იგი მიანიშნებდა, რომ მონასტრებსა და ძველს ეკლესიებში ბევრი საისტორიო განძის მოპოვება შეიძლებოდა, თუკი, რასაკვირველია, სათანადო დაინტერესება იქნებოდა. „ჩვენი ისტორია, – წერდა ილია, – ჯერ კრიტიკის ცეცხლში არგატარებული და არგადახალისებული, ბევრს საბუთს და მოწმობას მოიპოვებდა, მრავლის ბნელის ადგილის შუქმოსაფენად, რომ ცნობილი და გამოქვეყნებული იყოს ყოველი იგი ნაშთი ჩვენის განვლილის ცხოვრებისა, რომელიც დღეს კიდევ ზედ აჩნევია ჩვენთა მამაპაპათა ხელთნაქმართა და ჭკუით ნამოქმედართა“[5]. პოეტი მოუწოდებდა ბერ-მონაზვნებს

---

[1] ილ. ჭავჭავაძე, ახალი დრამების გამო, თხზ., ტ. 3, თბ., 1953, გვ. 186.
[2] ილ. ჭავჭავაძე, ახალი დრამების გამო, თხზ., ტ. 3, თბ., 1953, გვ. 186.
[3] А. С. Пушкин, Полн. собр. соч., т. XV, стр. 124.
[4] А. С. Пушкин, Полн. собр. соч., т. V, стр. 341.
[5] ილ. ჭავჭავაძე, საქართველოს ძველი ისტორიისა და მწერლობის განძი, თხზ., ტ. IV, გვ. 189.

და სამღვდელო პირთ, „რომელთაც აბარიათ სალარონი მონასტრებისა და ეკლესიებისა“, რომ შეედგინათ სათანადო კატალოგები მათდამი რწმუნებულ მონასტრებში არსებული სხვადასხვა სახის ნივთებისა თუ წიგნებისა. ილია თვლიდა, რომ ამგვარი ნამოღვაწარის გამოქვეყნება გაზეთებში მეტად სასურველი იქნებოდა. იგი არანაკლებ საქებ და სადიდებლად მიიჩნევდა იმ ერისკაცებს, რომელნიც არ დაიზარებდნენ და გამოაქვეყნებდნენ, სად და ვისთან ეგულებათ ქართული ხელნაწერი წიგნები, გუჯრები, სიგელები. პოეტი მოითხოვდა, რომ ვინც კი ამგვარი საქმის გასაკეთებლად თავს გადასდებდა, უნდა გამოეკვლია თუ რა წიგნია, რა გუჯარი, სიგელები, ვისგან არის დაწერილი, შედგენილი, თუ მიცემული; რა დროს ეკუთვნის, რა მინაწერები აქვს და გამოირჩევა თუ არა რაიმეთი გარეგნულად. „ჩვენი გაზეთი, – აღნიშნავდა ილია, – ყოველთვის მზად იქნება დაბეჭდოს ყოველივე, რასაც ამ საგანზედ ვინმე მოაწვდის რასმე“.

ილია ჭავჭავაძე სიხარულით აღნიშნავდა, რომ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ჟურნალ-გაზეთებში ფართოდ დაიწყო ახლადშეკრებილი ხალხური ლექსების ბეჭდვა. იგი აქვე შენიშნავდა, რომ ეს არ იყო საკმარისი. მხოლოდ ხალხურ პოეზიაში არ იყო ჩამარხული ხალხის ესთეტიკური გემოვნება და აზროვნება. საჭირო იყო ხალხის ზნე-ჩვეულებების შესწავლა. ილია აღნიშნავდა, რომ „ხალხს თავისი საკუთარი ეკონომიური წესწყობილება და იურიდიული ჩვეულებანი აქვს... მამულის გაყიდვა და დაგირავება, საქონლის გაბარება მოსაშენებლად, ერთურთ შორის აღებ-მიცემობა, სხვადასხვა მცირე დანაშაულობის გასამართლება, და ათასი ამგვარი მოვლენა, – სულ ხალხის ჩვეულების ძალით სწარმოებს, ხალხის ადათზეა დაფუძნებული და ამ ადათს ემორჩილება“[1].

ილია ხალხის ჩვეულებებში ჩაკირული საუნჯის ღრმა შესწავლას მოითხოვს, რადგან სწორედ ამგვარი შესწავლით შეიძლება ხალხის წარსულისა და აწმყოს, ავისა და კარგის ყოველმხრივ შეგნება. პოეტი წარსულში ხალხის ცხოვრების კომპლექსურად, ჰარმონიულად შესწავლას მოითხოვს. ილია თვლის, რომ ხალხის ცხოვრების ეკონომიური და იურიდიული სფეროების შესწავლა შედარებით ადვილია, რადგან უფრო მეტად ბეჯითობასა და დაკვირვებას მოითხოვს, ვიდრე სპეციალურ ცოდნა-მომზადებას (როცა ილია ჭავჭავაძე ამგვარად აყენებდა საკითხს – მხედველობაში, რასაკვირველია, თავისი დროის მეცნიერების მდგომარეობა ჰქონდა).

ილიას არ მოსწონდა, როცა გამორჩევით („ამოჩემებით“, როგორც თვით ამბობდა) ქართველი ინტელიგენცია სახალხო პოეზიას სწავლობდა და ხალხის ზნე-ჩვეულებების სხვა მხარეები მივიწყებული იყო. პოეტი ფართო მასშტაბის ამოცანას აყენებს: „საჭიროა, რომ ჩვენმა ნასწავლმა საზოგადოებამ ერთად თავი მოიყაროს, მოილაპარაკოს, ასწონ-დასწონოს ყოველიფერი ამ საგნის შესახებ და პროგრამა შეადგინოს ხალხის ზნე-ჩვეულებათა შეკრებისა და შესწავლისათვის“. ეს მართლაც საკითხის დროული და საპროგრამო დაყენება იყო.

---

[1] ილ. ჭავჭავაძე, ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ, თხზ., ტ. IV, გვ. 191-192.

როცა საკითხი ჭეშმარიტების დადგენას ეხებოდა, ილია ჭავჭავაძე დაუნდობელი იყო ყველასა და ყოველგვარი ავტორიტეტების მიმართ. იგი მიიჩნევდა, რომ „კრიტიკას თავისუფალი გზა და მსვლელობა აქვს". ილია სიხარულით შეეგება 1887 წელს აკაკი წერეთლის მიერ „ვეფხისტყაოსნის" შესახებ საჯაროდ ლექციების რუსულად კითხვას[1]. ამასთან მისი წარმოდგენით „მთელი სამი ლექცია ბ-ნის აკაკისა წარმოადგენს ერთს იმ დედააზრის აკიდოს, რომ რუსთაველმა გამოსახა თავის პოემაში სამი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილის, ქართველი. მისი სიტყვით, ტარიელი, რადგანაც ზარმაცია – ქართლელია, ავთანდილი წინდახედულია და ცბიერი – იმერელია, და ფრიდონი კი – არ გვახსოვს რა მიზეზით და რის გამო – ზღვისპირის ქართველია"[2]. ილიამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ეს მოსაზრებები. მართალია მას ტაქტი და თავაზიანობა არც კრიტიკულ წერილებში დაუკარგავს, მაგრამ იგი ბოლომდე პირუთვნელი და პირდაპირი დარჩა თავისი ძვირფასი მეგობრის მიმართ. ღრმა ისტორიზმი ყოველთვის იყო ილიას შემოქმედების მუდმივი თანამგზავრი.

ჩვენ საგანგებოდ არ შევჩერდებით ილია ჭავჭავაძის მიერ 1899 წელს გამოქვეყნებულ პოლემიკური ხასიათის მეტად დიდმნიშვნელოვან წერილზე „ქვათა ღაღადი"[3]. რომელშიც დიდმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ღრმა მეცნიერული და სწორი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან მედგრად გაილაშქრა საქართველოს ისტორიის გამყალბებლების წინააღმდეგ. აღნიშნულ ნაშრომში ნათლად გამოჩნდა ისტორიის დიდი ცოდნით განმსჭვალული ღრმა ფილოსოფიური აზროვნება მოღვაწისა, რომელსაც თავის დროშაზე ჭეშმარიტებისათვის ბრძოლა და სამსახური ეწერა.

ღრმა ისტორიზმი ილია ჭავჭავაძის ყველა ნაწარმოების განუყოფელი საფენელია. პოეტი ხშირად მოიხმობს ხოლმე ისტორიულ პირებს. საგულისხმოა მისი ისტორიული პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული" (1878 წ.). საქართველოს მეფის თავდადებულად წოდებული დემეტრე II-ის (1270-1289 წწ.) სახე და XIII საუკუნის ბოლო მეოთხედის საქართველოს კონკრეტული ისტორიული ვითარება ღრმად შეიჭრა ილია ჭავჭავაძის ინტერესთა თვალსაწიერში. დემეტრე თავდადებული პოემა „აჩრდილშიაც" არის მოხსენიებული, სადაც პოეტი ამბობს:

... თვით მეფენიც კი თვის ცხებულ თავსა
მსხვერპლად აძლევდნენ მშობლიურ ხალხსა.
განა დიმიტრი თავდადებული
იქნება როსმე დავიწყებული?!

ილია ჭავჭავაძემ თავის პოემაში აღწერა არღუნ ყაენის მიერ საქართველოს მეფის დემეტრე II-ის დასჯა. როცა არღუნ ყაენის წინააღმდეგ შეთქმულება გამჟღავნდა, ყაენმა თავისი მთავარი მრჩეველი ბუღა დასაჯა. ბუღას ცოლად ჰყავდა

---

[1] ილ. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი", თხზ., ტ. 3, გვ. 166-178.
[2] ილ. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი", თხზ., ტ. 3, გვ. 167.
[3] იხ. ილ. ჭავჭავაძე, ქვათა ღაღადი, თხზ. ტ. 8, გვ. 95-194.

დემეტრეს ასული რუსუდანი და ამიტომ ეჭვი დემეტრე მეორეზეც მიიტანეს. იგი ყაენთან გაიწვიეს და ამ უკანასკნელმა საქართველოს მეფეზე განაწყენებული ხუტლუბუღას ჩაგონებით 1289 წლის 12 მარტს დემეტრეს თავი მოჰკვეთა.

ჟამთააღმწერელი გვაუწყებს, რომ ურდოში წასვლის წინ დემეტრე მეორემ დარბაზს მიმართა „თანადგომითა თქუენითა წარვმართე მეფობა, და აქამომდე მშჯიდობით ჰგიეს სამეფო ჩემი. აწ განრისხებულ არს ყაენი, და ყოველი მთავარი მისი მოუწყუედიან, და აწ მე მიწოდს წინაშე მისსა. ვგონებ ბოროტის ყოფასა ჩემთვის, თუ არა წარვიდე ურდოსა“[1]. მეფეს ჰქონდა სხვა გამოსავალიც – შეეძლო მთიულეთისთვის შეეფარებინა თავი „სიმაგრეთა შინა“, მაგრამ მან განჭვრიტა, რომ „რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთჳს მრავალი სული მოკუდეს და მე ტჳრთ-მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან. აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენს წინაშე, და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მე მომკლან, ვგონებ რომე ქვეყანა უვნებლად დარჩეს“. როგორც ცნობილია, დემეტრე II შთამომავლობამ თავდადებულის ეპითეტით შეამკო და ასეა იგი ცნობილი საქართველოს ისტორიაში. ილია ჭავჭავაძემაც დემეტრე თავის პოემაში გამოიყვანა, როგორც ხალხისათვის თავდადებული გმირი. მისთვის ძირითადი წყარო ჟამთააღმწერლის თხზულება იყო.

ილიას მიხედვითაც, როცა მეფეს მიმართეს:

... რად მიდიხარ
ნუთუ მეფევ ხსნა არ არის!..
ქუდზედ კაცი დაუძახე,
მოაგროვე სპა და ჯარი-ო.

საქართველოს მეფემ კატეგორიული უარი განაცხადა ამ წინადადებაზე. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი დიდებულის მეფისადმი მიმართულ სიტყვებში ნათლად ჩანს თვით პოეტის პოზიციაც, მისი მებრძოლი სული:

სირცხვილია ერისათვის,
თავის მეფე მისცეს მტერსა...
მეფევ სირცხვილს ნუ შეაჭმევ
ერსა შენსა შემნატვრელსა.

მეფე კი დარწმუნებულია, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში ყაენი ააოხრებს ქართლის მიწა-წყალს და ქართველთა თავდადებაც ამაო იქნება, ამასთან დემეტრესაც თავისი მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს:

თუ სიკვდილი სახელად გაქვთ
მაგდენს ჩემთვის – ერთისათვის,
მაშ რად მიშლით თავდადებას
მე ერთს – მთელის ერისათვის!

---

[1] ჟამთააღმწერელი, მესამოცდასამე მეფე ქართლისა დიმიტრი, ძე დავით მეფისა, ბაგრატოანი, ქართლის ცხოვრება, თბ., 1959, გვ. 287.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დემეტრეს ფიქრით:

არ არის მკვდარი ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.

თავისთავად დამპყრობლისადმი ქედის მოხრა და უბრძოლველად დანებება არ ყოფილა ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი. ჟამთააღმწერელმა ხმამაღლა განაცხადა: „არა არს წესი ჩუენ ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩუენ კერძო მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, დაღათუ იყოს სიკვდილი“[1]. მაგრამ დემეტრე, რომელმაც აქტიური ბრძოლის ნაცვლად თავის განწირვა არჩია, ისტორიამ არა თუ გაკიცხა, თავდადებულად გამოაცხადა. ეს იმიტომ, რომ იმ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში მტრის ჭარბ ძალებთან შებმას აზრი არ ჰქონდა, მხოლოდ უნაყოფო მსხვერპლი მოჰყვებოდა და ამდენად მეფის თავდადება გმირობას უდრიდა. ილია ჭავჭავაძესაც ამგვარად ესმოდა დემეტრეს თავდადების მნიშვნელობა და სწორ შეფასებას აძლევდა მას.

ჭეშმარიტი ისტორიზმი უდევს საფუძვლად ილია ჭავჭავაძის პოემებს: „აჩრდილი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, მის მთელ რიგ ლექსებს. ასევე საქართველოს ისტორიის ღრმა ცოდნითაა დაწერილი „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?!“, „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“, „სარჩობელაზედ“, „ოთარაანთ ქვრივი“. ისტორიულ თემაზეა შექმნილი მინიატიურა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“.

ილია ჭავჭავაძე ფართო მასშტაბის დიდი მოღვაწე იყო. მისი სიდიდე დღითი დღე ნათელი ხდება. პოეტის შემოქმედებამ თავისი საპატიო ადგილი დაიკავა მსოფლიოს მხატვრულ ლიტერატურაში. ცალკე უნდა აღინიშნოს ილიას ღვაწლი ისტორიული მეცნიერების განვითარებაში. ისტორიზმი პოეტის ფილოსოფიური აზროვნებისა, მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და მხატვრული შემოქმედების ორგანული ნაწილი იყო. იგი ყოველთვის ცდილობდა წარსულის შესწავლისას გამოეძებნა პოლიტიკური ბრძოლის, მოქალაქეობრივი ვაჟკაცობისა და ეროვნული თვითშეგნებისათვის ბრძოლის მაგალითები და გაკვეთილად მიეწოდებინა ხალხისათვის. როგორც ისტორიკოსი-მკვლევარი, ილია ჭავჭავაძე თავისი ეპოქის ისტორიოგრაფიის წარმომადგენელია. მისი კონცეფცია ისტორიული პროცესის, ხალხთა მასების როლის შეფასებასა და რიგ სხვა არსებით საკითხებში თავისი დროისათვის პროგრესული იყო.

ისტორია სისხლხორცეული იყო ილია ჭავჭავაძისათვის, რადგან იგი აძლევდა საფუძველს პოეტს გაერკვია, თუ „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც“.

1977 წ.

---

[1] ჟამთააღმწერელი, მესამოცდაორე მეფენი დავით, ძე მეფის ლაშა გიორგისა, და დავით, ძე მეფის რუსუდანისა, ბაგრატოანნი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 262.

წმიდა და პატიოსანი წიგნი

„ქართლის ცხოვრების“ (2008 წ.) წინათქმა

„ღმერთო და ყოველნო წმიდანო მისნო და წმიდაო გიორგი ალავერდისაო, მთავარმოწამეო, მცველ და მფარველ, მხარსა მდგომელ და განმმარჯუებელ ექმნენით ორთა ცხოვრებათა შინა პატრონთა: დედოფალთა დედოფალსა ნესტან-დარეჯანს, და ძესა მათსა, ღმრთივ-გჳრგჳნოსანსა მეფესა ალექსანდრეს, და დედოფალსა ანას, რომლისა მიერ გუებრძანა პატიოსანთა ამათ წიგნთა აღწერა“.

„ქართლის ცხოვრება“,
ანა დედოფლისეული ნუსხა

„დაიცევ ... დედოფალთა დედოფალი მარიამ და ძე მისი პირმშო ოტია, რომლისა ბრძანებითა იწერება წმიდა ესე წიგნი“.

„ქართლის ცხოვრება“,
მარიამ დედოფლისეული ნუსხა

საქართველოს, ქართველების ისტორიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. საქართველოს მიწა-წყალზე უძველესი დროიდან არსებობს ადამიანთა საზოგადოება, რომელმაც კულტურული ცხოვრების გრძელი გზა განვლო და მდიდარი ისტორია შექმნა. ისტორიული კვლევის შედეგები (არქეოლოგიური აღმოჩენები, ეთნოგრაფიული მასალა) აშკარად ასაბუთებს, რომ საქართველო მსოფლიოში უძველესი მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ქვეყანაა. აქ ძველთაგან განვითარდა სახვნელი იარაღი, ეზიარნენ ბორბლის პრინციპსა და ადრიდანვე შეითვისეს ვაზის (შესაბამისად ღვინის) კულტურა. საქართველოს ტერიტორიაზე პირველი სახელმწიფოები ორი-სამი ათასეული წლის წინ წარმოიქმნა. ქართველმა ხალხმა თავისი ცხოვრების გრძელ გზაზე შექმნა მაღალი თვითმყოფადი კულტურა და ადრიდანვე დაიმკვიდრა თავისი ადგილი მსოფლიო ცივილიზაციაში.

ცივილიზაცია უმაღლესი რანგის კულტურული ერთობაა, ადამიანთა კულტურული იდენტურობის ყველაზე მაღალი დონეა. იგი განისაზღვრება ზოგადი

ობიექტური მონაცემებით, როგორიცაა ენა, ისტორია, რელიგია, ტრადიციები, ასევე ადამიანთა თვითიდენტიფიკაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესდღეობით „ისტორიის“ დეფინიცია გამოისახება როგორც მეცნიერება ადამიანისა და საზოგადოების წარსულის შესახებ ან როგორც მეცნიერება სოციალური რეალობის წარსულის შესახებ. ეს ერთ-ერთი მნიშვნელობაა ამ ტერმინისა, რომლის შინაარსი დროდადრო იცვლებოდა და სხვადასხვა აზრს იძენდა. ამიტომ სიფრთხილით უნდა გამოვიყენოთ ძველ ავტორთა გამონათქვამები ისტორიის შესახებ, რადგან ამ სიტყვას ძველად განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე დღეს. აგამემნონისა და პერიკლეს სახებანი დღევანდელობას შემორჩა ჰომეროსისა (ძვ. წ. დაახლ. VIII ს.) და თუკიდიდეს (ძვ. წ. V ს.) ნაწარმოებების („ილიადა“, „ისტორია“) წყალობით. ჰეროდოტე ჰალიკარნასელი (ძვ. წ. V ს.) თავის ისტორიებს („მუზები“) იმისთვის წერდა, რომ შთამომავლობის მეხსიერებიდან არ აღგვილიყო ბერძენ-სპარსელთა ომები და მათი შედეგები. ამგვარად, ძველ მწერალთა თუ ისტორიკოსთა წინაშე გარკვეული ამოცანა იყო და ისინიც პასუხობდნენ მას. გასათვალისწინებელია, რომ ყოველ ეპოქასა თუ ყოველ საზოგადოებაში ისტორიის შესწავლა თუ შემეცნება, ისე როგორც ყოველგვარი სოციალური საქმიანობა, ექვემდებარება მოცემული დროისა და ადგილის გაბატონებულ ტენდენციებს. ისტორია ადამიანთა საზოგადოების განვითარებას განიხილავს როგორც ერთიან კანონზომიერ პროცესს მთელი თავისი მრავალმხრივობითა და წინააღმდეგობრიობით. ილია ჭავჭავაძე ხმამაღლა აცხადებდა: „რა არის ისტორია? იგი მთხრობელია მისი, თუ – რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიყოთ კვლავადაც“. თავის მხრივ, წარსული ადამიანთა გვერდითაა. მატერიალური კულტურის ძეგლები, ხელოვნების ნიმუშები, ლეგენდა-თქმულებები, ხალხური ჩვეულებები, ტრადიციები, ენა წარსულის ღრმა ანაბეჭდს ატარებს. ადამიანი დაბადებიდანვე უკავშირდება სამშობლო-ქვეყნის ისტორიულ ბედს, ურთიერთობა უხდება საზოგადოებასთან, რომელიც, თავის მხრივ, ისტორიის გავლენას განიცდის. მის თვალსაწიერში ექცევა ქვეყნის ისტორიული განვითარების საკითხი. ჩნდება საკუთარი დამოკიდებულება წარსულის მემკვიდრეობასთან. თავისთავად ისტორიას აქვს წარსული, აწმყო და მომავალი. იგი, როგორც საზოგადოებრივი განვითარების პროცესი, ყველა ადამიანის ბედს ეხება მეტ-ნაკლებად და, ამდენად, სწრაფვა მისი შემეცნებისადმი განუსაზღვრელია. ისტორიული აზროვნების განვითარებისათვის აუცილებელი იყო ემპირიული მონაცემების საკმაო რაოდენობით დაგროვება. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შესაძლებელი ჭეშმარიტი ისტორიის შექმნა. ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1757 წწ.) ფლობდა კოლოსალურ წყაროთმცოდნეობით ბაზას: წინამორბედი ისტორიკოსების ნაშრომებს, უზარმაზარ მასალას კავკასიის (ძირითადად ქართველთა) მოსახლეობის ზნე-ჩვეულებების შესახებ, გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ მონაცემებს. სწორედ ამის წყალობით შექმნა მან უნიკალური ფუნდამენტური ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. სანიმუშოა თეოდორ მომზენის (1817-1903 წწ.) მოღვაწეობა, რომელმაც შექმნა ისტორიული აზროვნების შედევრი „რომის ისტორია“ (გამოქვეყნდა 1854-1856 წწ.), შემდეგ კი შეადგინა ლათინურ წარწერათა

სრული კორპუსი და გამოსცა ენციკლოპედიური კრებული რომის კონსტიტუციური სამართლისა. უნიკალური მოვლენაა ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც არადამიანური, თავაუღებელი შრომის შედეგად შექმნა და მტკიცე მეცნიერულ ჩარჩოში მოაქცია საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა დარგი (ქართველი ერის ისტორია, ეკონომიკის ისტორია, სამართლის ისტორია, საისტორიო მწერლობა, მუსიკის ისტორია, ნუმიზმატიკა, პალეოგრაფია და სხვ.). ინგლისელი ისტორიკოსი არნოლდ ტოინბი (1889-1975 წწ.) მიიჩნევს, რომ სამყაროს შეცნობის მრავალ ხერხთა შორის გამორჩეულია ისტორია, რომელიც ხსნის მნიშვნელოვან ასპექტს – კაცობრიობის არსებობას მის მიერვე სამყაროს თვითგანხორციელებაში ხედავს. ისტორიის არსი ცხოვრებაა, მოძრაობაა, თანაც მოძრაობა, რომელიც ხშირად არაპროგნოზირებადია. ისტორიის შექმნის პროცესი განპირობებულია ადამიანისა და კაცობრიობის არსებობით. ისტორიკოსი კი, რომელიც სწვდება ისტორიის სიღრმეებს, თვითონაც ამ შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილე ხდება.

ზემომოყვანილ საკითხებზე შეგნებულად გავამახვილეთ ყურადღება, რადგან ჩვენს ამოცანას შეადგენს, მკითხველს წარვუდგინოთ საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნარატიული ძეგლის – „ქართლის ცხოვრების" ახალი გამოცემა და ქვეყნის ისტორიაცა და ეს წყაროც საერთო-ისტორიულ და წყაროთმცოდნეობის კონტექსტში წარმოვადგინოთ. ჭეშმარიტად, ქართულ ცივილიზაციას თავისი ადგილი აქვს საერთო-ცივილიზაციურ პროცესებში და „ქართლის ცხოვრებაც" თავისი მაღალი დონით პირველხარისხოვან ისტორიულ წყაროებს მიეკუთვნება.

საქართველოს ისტორია გამორჩეულია, ერთი მხრივ, სხვადასხვა სახის მძიმე ბრძოლებით, ზნეობრივი და ფიზიკური ძალების მძაფრი დაძაბულობით, ღრმა დრამატიზმით; მეორე მხრივ – მნიშვნელოვანი წარმატებებით, გარკვეულ პერიოდში ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებითა და ტერიტორიული მთლიანობით, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების დაწინაურებით, მეცნიერებისა და განათლების, ზოგადად კულტურის მაღალი განვითარებით. ქართველთა წინაპრების ბრძოლა, შრომა და შემოქმედება გადმოცემულია ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში – პოეზიასა და თქმულება-ლეგენდებში. თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ვრცელდებოდა თქმულება ამირანზე, მითი არგონავტების შესახებ, თბილისის დაარსების ლეგენდა და სხვ. საქართველოს წარსულზე მოგვითხრობენ მატერიალური კულტურის ძეგლები (ეკლესია-მონასტრები, ციხე-ქალაქები, სასახლეთა ნანგრევები, ნასოფლარები, ნაქალაქარები და სხვ.), მაგრამ ქვეყნის თავგადასავლის, მისი ისტორიის სრულყოფილი წარმოჩენა ძირითადად წერილობითი წყაროებითაა შესაძლებელი. ქართული ისტორიული ხასიათის თხზულებები ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნიდან მოგვეპოვება. ქართული საისტორიო მწერლობის ბრწყინვალე ძეგლია საისტორიო თხზულებათა კრებული „ქართლის ცხოვრება", რომელიც საქართველოს ისტორიის ერთადერთი გაბმული წერილობითი წყარო, და ამასთან, ქვეყნის ოფიციალური ისტორიაა. „სახარება", „ვეფხისტყაოსანი" და „ქართლის ცხოვრება" შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოს იდეურ-პოლიტიკურ საყრდენს წარმოადგენდა. „ქართლის ცხოვრება" ძველთაგან „პატიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სან“ და „წმიდა წიგნად“ იყო მიჩნეული და „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად პატარძლებს მზითევში ატანდნენ.

„ქართლის ცხოვრებაში“ სხვადასხვა ავტორის ისტორიული თხზულებანი ქრონოლოგიური თანამიმდევრობითაა შეტანილი, რაც ერთიანი ისტორიის სურათის წარმოჩენის საშუალებას იძლევა. „ქართლის ცხოვრების“ მნიშვნელობა იზრდება იმით, რომ მასში უშუალოდ საქართველოსა და ქართველების ისტორიის გარდა გადმოცემულია ცნობები სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის (სომხების, აზერბაიჯანელების, ოსების, ყაბარდოელების, ლეკებისა და დაღესტნის სხვა ხალხების, ბერძნების, რომაელების, სპარსელების, არაბების, ბიზანტიელების, ოსმალების, მონღოლებისა და სხვ.) წარსულის შესახებ.

„ქართლის ცხოვრების“ შესწავლას დიდი ამაგი დასდო ვახტანგ VI-მ (1675-1737 წწ.), რომლის მიერ შექმნილმა „სწავლულ კაცთა“ ჯგუფმა (კომისიამ) მნიშვნელოვანი შრომა გასწია. მათ შეძლებისდაგვარად დაადგინეს ტექსტი, მოახდინეს მისი რედაქტირება და შევსება-გაგრძელება. „ქართლის ცხოვრების“ ნუსხები XVIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში არაერთგზის იქნა გადაწერილი (უპირატესად, ვახტანგისეული რედაქციისა), რის შედეგადაც ჩვენამდე მოღწეულია ოცამდე ხელნაწერი. 1849 წელს აკადემიკოს მარი ბროსეს მიერ მომზადებული „ქართლის ცხოვრება“ გამოსცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ. მეცნიერმა ეს წიგნი ფრანგულად თარგმნა, დაბეჭდა და პრაქტიკულად მსოფლიო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადა. მ. ბროსეს ხელთ ჰქონდა XVIII საუკუნის სამი ხელნაწერი, რომლებიც ვახტანგისეულ რედაქტორთა მიერ იყო გადამუშავებული და შევსებული.

„ქართლის ცხოვრების“ შემდგომი კვლევა კი კვლავ გრძელდებოდა. XIX-XX საუკუნეებში აღმოჩნდა ვახტანგისეული რედაქციის ახალი ნუსხები და, რაც მთავარია, XV-XVII საუკუნეების, ე. ი. ვახტანგამდელი ხუთი ხელნაწერი.

ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ 1884 წელს აღმოაჩინა XVII საუკუნის „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეული (ქართლის მეფის, როსტომის მეუღლის) ნუსხის პირი (ხელნაწერის დედანი 1633-1646 წლებში უნდა ყოფილიყო გადაწერილი, ხოლო პირი XVIII ს-ის 30-იანი წლებისაა), რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა 1906 წელს გამოაქვეყნა. ხელნაწერი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (S-30).

მარიამ დედოფლისეულ ნუსხაში შეტანილია: „განძთა ქვაბი“ („დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა...“), რომელიც, როგორც მეცნიერები (ჟ-პ. მაე, ც. ქურციკიძე) მიიჩნევენ, არაბულიდან უნდა იყოს თარგმნილი; ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“; ჯუანშერის „ვახტანგის ცხოვრება“; „მატიანე ქართლისაჲ“; „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“; სუმბატ დავითის ძის „ქრონიკა“ (ბაგრატიონთა მოკლე ისტორია V-XI სს.); თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, უამთააღმწერლის თხზულება (მისი პირობითი სათაური „ასწლოვანი მატიანე“).

1913 წელს ივანე ჯავახიშვილმა სოფელ ლამისყანაში, ა. ჯამბაკურ-ორბელიანის სახლში აღმოაჩინა ხელნაწერი, რომელიც ცნობილია „ანასეულის" სახელით, რადგან მის ანდერძში ნათქვამია, რომ იგი გადაიწერა კახთა მეფის ალექსანდრეს (1476-1511 წწ.) მეუღლის, დედოფალ ანას ბრძანებით. ხელნაწერი, რომელიც 1942 წელს გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა, ანა დედოფლისეული ნუსხის გვიანდელ პირს წარმოადგენს (XVII ს.), დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (Q-795).

ანა დედოფლისეული ნუსხა შეიცავს: ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებებს, „მატიანე ქართლისას", დავით აღმაშენებლის ისტორიას, ლაშა გიორგის დროინდელ მატიანეს.

1923 წელს ივანე ჯავახიშვილმა აღმოაჩინა და შეისწავლა „ქართლის ცხოვრების" ის ხელნაწერი, რომელიც დღეს „ჭალაშვილისეულის" სახელით არის ცნობილი (Q-207). ხელნაწერი ორი ნაწილისაგან შედგება. ძველი ტექსტი XVII საუკუნის დასაწყისისაა. ხელნაწერის დაკლებული და დაკარგული ნაწილები (დასაწყისი და ბოლო) ერაჯ ჭალაშვილს გადაუწერია ვახტანგისეული რედაქციის ნუსხიდან (1731 წ.).

ერაჯ ჭალაშვილისეულ ნუსხაში შეტანილია: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება" და „არჩილის წამება", ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება", „მატიანე ქართლისაჲ", დავით აღმაშენებლის ისტორია, თამარის მეორე ისტორია (განსხვავებული „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანისაგან"). ივ. ჯავახიშვილმა მის ავტორად ბასილი ეზოსმოძღვარი მიიჩნია, თხზულებას კი „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი" ეწოდა. ხელნაწერის ბოლოს (ახალი ნაწილი) შემონახულია ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ შედგენილი „ქართლის ცხოვრების" გაგრძელება (XIV-XVIII სს.).

„მაჩაბლისეული" ნუსხა ს. ყაუხჩიშვილმა შეისწავლა (1942 წ). იგი გიორგი მაჩაბელს გადაუწერია 1736 წელს. მას ხელში ჩავარდნია მეფე არჩილის ნაქონი „ქართლის ცხოვრება" („მე ფრიად ცოდვილმა გიორგი მაჩაბელმან დავწერე წმიდა ესე ქართლის ცხოვრება, დიაღ ძველი იყო, მეფე არჩილის ნაქონი"). ხელნაწერის ნაკლული ადგილები გადამწერს თავსა და ბოლოში შეუვსია „ქართლის ცხოვრების" სხვა ხელნაწერის მიხედვით (როგორც დადგინდა, ეს ყოფილა ჭალაშვილისეული ნუსხა). ხელნაწერი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (H-2135).

მაჩაბლისეულ ნუსხაში შესულია: ვახტანგ VI-ის ბრძანებით შექმნილი „სწავლულ კაცთა" კომისიის მიერ შედგენილი „ქართლის ცხოვრების" შესავალი; ნუსხას უძღვის ფსევდოდოროთეს ქრონოგრაფის (XVI-XVII სს.) დასაწყისი ნაწილი, თავიდან ვიდრე ნოეს ამბამდე; „მეფეთა ცხოვრება"; „წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევა"; „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება"; „არჩილის წამება"; „მატიანე ქართლისაჲ"; „დავით აღმაშენებლის ისტორია"; „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"; ჟამთააღმწერლის თხზულება. ნუსხის ბოლოში მოთავსებულია „ქართლის ცხოვრების" გაგრძელება (XIV-XVIII სს.).

1959 წელს აკაკი კლიმიაშვილმა ზემო იმერეთში, ოლღა მაჭავარიანის ოჯახში აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების" ნუსხა, გადაწერილი 1697 წელს. ანდერძის

მიხედვით, მისი დედანი ყოფილა მცხეთაში, სვეტიცხოველში დაცული ხელნაწერი („არა იპოებოდა სანახებსა ქართლისასა, არამედ მცხეთას ოდენ ისხნეს ეკლესიასა შინა... სუეტსა ღმრთივ აღმართებულსა“). სავარაუდოდ, სწორედ ეს ხელნაწერია ნახსენები 1546 წლის მცხეთურ გუჯარში. ნუსხის ანდერძი გვაუწყებს, რომ ხელნაწერის შემკვეთი ნიკოლოზ სამებელი სამების ეპისკოპოსი იყო (სამების ტაძარი გარე კახეთშია, სოფელ უჯარმის მახლობლად). იგი ერთადერთია „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგამდელი რედაქციის ხელნაწერებს შორის, რომელიც ნუსხურითაა გადაწერილი. დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (Q-1219).

კლიმიაშვილისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილია: „მეფეთა ცხოვრება“; „წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“; „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“; „არჩილის წამება“; „მატიანე ქართლისა“; „დავით აღმაშენებლის ისტორია“; „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“; „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“; ჟამთააღმწერლის თხზულება.

„ქართლის ცხოვრების“ ზემომოყვანილი ხუთივე ნუსხა „ძველი ციკლის“ თხზულებებს შეიცავს. XVIII საუკუნეში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ვახტანგ VI-ის თაოსნობით, სხვადასხვა ნუსხაზე დაყრდნობით შესწორდა და შეივსო „ქართლის ცხოვრება“ და დაიწერა მისი გაგრძელება – „ახალი ქართლის ცხოვრება“. გარდა ამ ნაშრომისა, „ქართლის ცხოვრების“ „ახალი ციკლის“ პირობითად მიჩნეული თხზულებები ვახუშტი ბაგრატიონისა (ს. ყაუხჩიშვილმა მისი შრომა „ქართლის ცხოვრების“ IV ტომში მოაქცია), სეხნია ჩხეიძისა, პაპუნა ორბელიანისა, ომან ხერხეულიძისა (ვახუშტის შრომასთან ერთად) 1854 წ. „ქართლის ცხოვრების“ II წიგნის სახით პეტერბურგში გამოსცა დავით ჩუბინაშვილმა.

„ქართლის ცხოვრება“ თავისი პირვანდელი სახით XI-XII საუკუნეებშია შედგენილი. როგორც ჩანს, ფეოდალური ქვეყნის პოლიტიკურმა გაერთიანებამ, ეკონომიკურმა და კულტურულმა აღმავლობამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოს წარსულის ერთიანი და სრული აღნუსხვა. აქ იგულისხმებოდა არა მარტო უბრალო აღწერა ისტორიისა, არამედ საქართველოს პოლიტიკური ერთიანობისა და ბაგრატიონთა მეფობის იდეოლოგიური დასაბუთებაც. „ქართლის ცხოვრება“ თანდათან იქმნებოდა, დროდადრო მას ემატებოდა ახალი ნაწილები: „ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად. ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდის არჩილისმან, ნათესავმან რევისმან, მირიანის ძისამან.

მიერითგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერონ ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღმრთივ განბრძნობილსა“. ეს განმარტება თან ერთვის ლეონტი მროველის თხზულებას: „წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი“.

ივანე ჯავახიშვილმა დაასაბუთა, რომ პირველად „ქართლის ცხოვრებაში“ შეიტანეს ის მასალა, რომელშიც საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან VIII საუკუნემდე იყო მოცემული. შემდეგ საუკუნეებში „ჟამითი-ჟამად“ დაემატა ჯერ VIII-XII საუკუნეების, შემდეგ კი XIII-XIV საუკუნეთა ისტორია. სწორედ

ესენია ე. წ. „ძველი ციკლის“ თხზულებები: ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“; ჯუანშერის „ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა“; ლეონტი მროველის „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი“; „მატიანე ქართლისა“; „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“; სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“; „ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე“ (ცხოვრება დემეტრე მეფისა, ცხოვრება გიორგი მეფისა, ცხოვრება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისი, ცხოვრება გიორგი მეფისა, თამარის ძისა); თამარის პირველი ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“; ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“; ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი ისტორია“ (სათაური პირობითია). ეს უკანასკნელი თხზულება XIV საუკუნის დასაწყისით, გიორგი ბრწყინვალის გამეფებით, მთავრდება („აქა იწყო აღმოცისკრებად ძემან მეფისამან გიორგი, რომელ აღეზარდა პაპასა მისსა დიდსა ბექასა“). ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს გიორგი მეფის პირველ ნაბიჯებს და ამბობს: „ ... იწყო მთიებმა აღმოცისკრებად, ხოლო მე ენა ვერ მიძრავს საკვირველისა და საშინელისა თქმად“. აქ წყდება თხრობა და გამოცანად რჩება ის „საკვირველი“ და „საშინელი“ ამბავი, რომლის შესახებაც მემატიანე ენას ვერ სძრავდა. ამით მთავრდება „ქართლის ცხოვრების“ „ძველი ციკლი“. როგორც ჩანს, ჟამთა სიავის, თუ სხვა გარემოებათა, გამო „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება ვერ მოხერხდა, თუმცა ამ ეპოქის ზოგიერთი მოვლენის შესახებ იწერებოდა. ზოგი ხელნაწერი ალბათ დაიკარგა, ამის გამოა, რომ XIV-XVII სს-ის გაბმული ისტორია არ მოგვეპოვება.

ვახტანგ VI-ის ბრძანებით შექმნილ კომისიას შეუკრებია სხვადასხვა ისტორიული მასალა, დაუწერია XIV-XVII საუკუნეების ისტორია და „ქართლის ცხოვრებაში“ შეუტანია. ასე შეიქმნა „ქართლის ცხოვრების“ ახალი ციკლი.

ახალი „ქართლის ცხოვრების“ შექმნას ოც წელზე მეტი დრო მონდომებია. ვახტანგ VI-ის დროინდელი ნუსხები (რუმიანცევისეული, თეიმურაზისეული, ჯანაშვილისეული, სხვიტორული) აშკარად მიუთითებენ იმ დიდ შრომაზე, რომელიც „მეცნიერ კაცებს“ განუხორციელებიათ. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ „ქართლის ცხოვრება“ იმდროინდელი ქართველი საზოგადოების ყურადღების არეალში მოექცა. გაჩნდნენ ამ ძეგლის გადაწერის დამკვეთები და შემსრულებლები. ვახუშტი ბაგრატიონი საგანგებოდ აღნიშნავდა „ქართლის ცხოვრების“ ნუსხების სიმრავლეს: „დედანი იგი მატიანისა შეურყევლად ჰგიეს, არა ერთი, არამედ მრავალი“.

ნიშანდობლივია, რომ „მეცნიერ კაცებს“ ახალი „ქართლის ცხოვრების“ შესაქმნელად სხვადასხვა წყარო გამოუყენებიათ. ისინი წუხან, რომ გარკვეულ პერიოდში საქართველოს ისტორია „არღარა წერებულ იყო“. მასალა მოუპოვებიათ „ძველთა წიგნთა შინა“, ზოგიერთი ამბავი „გუჯართა და სპარსთა და სომეხთა ცხოვრებისაგან“ გადმოუღიათ, ზოგიერთი „ქორონიკონთა და გუჯართაგან“ აღუწერიათ, ზოგიც „თჳთ თუალითა მნახველთა და მისთა ომებთა შინა მყოფთა კაცთაგან“ შეუგროვებიათ. „მეცნიერ კაცთა“ მიერ გაწეული საქმიანობის შეფასება

თვით ძეგლის შესავალშია მოცემული: „პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო! ჟამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება განრყუნილ იყო, რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო. ხოლო მეხუთემან ვახტანგ, ძემან ლეონისამან და ძმისწულმან სახელოვნის გიორგისამან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხუნა, საცა რამ ქართლის ცხოვრებაები პოვნა და კუალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი შეამოწმეს და რომელიმე განრყუნილ იყო, განმართეს და სხუანიცა წერილნი მოიხუნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოიხუნეს და ესრეთ აღწერნეს“.

ამგვარად, ვახტანგ VI-მ და მის მიერ შექმნილმა „მეცნიერ კაცთა“ კომისიამ მნიშვნელოვანი ამაგი დასდეს „ქართლის ცხოვრებას“ – მათ შეისწავლეს, შეავსეს და ახლად რედაქტირებული ფართოდ გააცნეს საზოგადოებას და ჩვენც შემოგვინახეს.

1955-59 წლებში აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა გამოსცა იმ დროს ცნობილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით კრიტიკულად დადგენილი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი. ამ პუბლიკაციამ დიდი როლი შეასრულა როგორც საერთოდ საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში, ასევე საკუთრივ ძეგლის ტექსტოლოგიურ-წყაროთმცოდნეობით შესწავლაში. ამით დასრულდა იმ დროისათვის ცნობილი ნუსხების შესწავლისა და ტექსტის დადგენის ხანგრძლივი ეტაპი, შეჯამდა ივანე ჯავახიშვილისა და სხვა ქართველ მეცნიერთა მიერ გაწეული დიდი შრომის შედეგები. უკანასკნელი ორმოცდაათწლეულის მანძილზე „ქართლის ცხოვრება“, როგორც საქართველოს ისტორიის უპირველესი წყარო, კვლავ მეცნიერთა ყურადღების ცენტრშია. დაიწერა არაერთი სპეციალური გამოკვლევა საქართველოში და საზღვარგარეთაც. ი. ანთელავამ და ნ. შოშიაშვილმა გამოსცეს ძველი „ქართლის ცხოვრება“, რომელიც, გამომცემელთა თქმით, განკუთვნილია მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის საკითხავ წიგნად. უცხოურ ენებზე ითარგმნა „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ცალკეული თხზულებანი (რუსულ (ვლ. ახვლედიანი, გ. წულაია, მზ. შანიძე, მ. ლორთქიფანიძე, კ. კეკელიძე, ვ. დონდუა და სხვ.), ფრანგულ (მ. ბროსე), გერმანულ (გ. პეჩი) და ინგლისურ (კ. ვივიენი) ენებზე). „ქართლის ცხოვრების“ XII საუკუნის სომხური თარგმანი გამოსცა ილ. აბულაძემ 1953 წ. ამასთან, როგორც აღინიშნა, აღმოჩნდა ვახტანგ VI-ის წინადროინდელი, ე. წ. „ძველი ციკლის“ დათარიღებული (1697 წ.) ნუსხურად შესრულებული ხელნაწერი. ყოველივე ამან, განსაკუთრებით „ქართლის ცხოვრებისადმი“ მეცნიერული ინტერესის ზრდამ, ამ უნიკალური ძეგლის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის ახალი გამოცემის აუცილებლობა შექმნა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიამ ამ მიმართულებით მუშაობა გასული საუკუნის მიწურულს დაიწყო. „ქართლის ცხოვრების“ ტექსტოლოგიურ კვლევასა და ტექსტის კრიტიკულ დადგენაში მონაწილეობდნენ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერები ისტორიკოსები და ფილოლოგები. რეალურად ძეგლის გამოსაცემად მომზადებისა და გამოქვეყნების საქმე ფართოდ გაიშალა 2004 წლიდან.

„ქართლის ცხოვრების" და მასში შემავალ ცალკეულ თხზულებათა გამოცემებისათვის გამოყენებული ხელნაწერები სხვადასხვაგვარად არის შერჩეული. მ. ბროსეს გამოცემა ეყრდნობა ვახტანგისეული რედაქციის სამ ხელნაწერს, რადგან ფრანგ მეცნიერს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ დროს მხოლოდ მათზე მიუწვდებოდა ხელი; ე. თაყაიშვილის პუბლიკაცია „მარიამისეული" ხელნაწერისა (1906 წ.) და ს. ყაუხჩიშვილის პუბლიკაცია „ანასეულისა" (1942 წ.) მიზნად ისახავდა ამ ორი მნიშვნელოვანი, „ძველი ციკლის" ხელნაწერების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოყვანას; ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა (I ტ., 1955 წ., II ტ., 1959 წ.), როგორც ზემოთ აღინიშნა, ეფუძნება იმ დროისათვის ცნობილ ყველა ძირითად ხელნაწერს. ცალკეულ თხზულებათა გამოცემებშიც შერჩევა განსხვავებულია (ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, მ. ლორთქიფანიძე, მზ. შანიძე, ც. ქურციკიძე, რ. კიკნაძე, გ. არახამია და სხვ.).

წინამდებარე გამოცემის საფუძვლად აღებულია „ქართლის ცხოვრების"„ძველი ციკლის" თხზულებათა შემცველი ნუსხები (მარიამ დედოფლისეული, ანა დედოფლისეული, ჭალაშვილისეული, მაჩაბლისეული, კლიმიაშვილის აღმოჩენილი – პირობითად „მცხეთური"). განსაკუთრებულ შემთხვევებში კი გათვალისწინებულია ვახტანგ VI-ისა და მისი მომდევნო ხანის მოღვაწეთა შრომაც. ტექსტის დადგენისას მხედველობაშია მიღებული ყველა ტექსტუალური ვარიანტი, რომელსაც შინაარსეული მნიშვნელობა აქვს, ასევე – კონიექტურები, რომლებიც ამა თუ იმ ადგილის შესახებ იყო გამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაში. ასეთი მუშაობის შედეგად, წინამდებარე გამოცემის ტექსტი ხშირ შემთხვევაში საგრძნობლად განსხვავდება წინა გამოცემებისაგან.

„ქართლის ცხოვრების" ცალკეული საკითხების შესწავლას არაერთმა ქართველმა და უცხოელმა ისტორიკოსმა (დ. ბაქრაძე, მ. ბროსე, თ. ჟორდანია, ე. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ს. კაკაბაძე, გ. მელიქიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, კ. გრიგოლია, ილ. აბულაძე, მ. ლორთქიფანიძე, შ. მესხია, მზ. შანიძე, ა. ნოვოსელცევი, ზ. სარჯველაძე, პ. ინგოროყვა, ნ. შოშიაშვილი, ც. ქურციკიძე, რ. კიკნაძე, გ. წულაია და სხვ.) დასდო ამაგი. წინამდებარე გამოცემას ერთვის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ვ. სილოგავას მიერ შედგენილი „ქართლის ცხოვრების" ბიბლიოგრაფია. ცხადია, ავტორებს შორის სხვადასხვა საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაც არსებობს. თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ ძირითადად (გარკვეული დაზუსტებით) „ქართლის ცხოვრებისადმი" ტრადიციული (ივანე ჯავახიშვილისეული) მიდგომა გაიზიარა (კ. გრიგოლია, გ. მელიქიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, რ. კიკნაძე, ნ. შოშიაშვილი და სხვანი). ამასთან, არსებობს განსხვავებული პოზიციებიც: ლეონტი მროველისა და ჯუანშერის გაიგივება (კ. კეკელიძე, ა. ბოგვერაძე), „ქართლის ცხოვრების" მემორიალური ჩანაწერებისადმი გარკვეული უნდობლობა (გ. არახამია), ჯუანშერის, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსის, ცხოვრების დროისა თუ არჩილ II-ის პიროვნების გაგების ეჭვქვეშ დაყენება (ვ. გოილაძე) და სხვ.

„ქართლის ცხოვრების" ცალკეული შემადგენელი ნაწილების მოცულობის, დასათაურებისა და ავტორების საკითხში ძირითადად გაზიარებულია ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისი.

„ქართლის ცხოვრების" წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია ძეგლის შედგენილობა (სტრუქტურა) ტრადიციული (ივ. ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული და ს. ყაუხჩიშვილის მიერ განხორციელებული) სახით, ზოგიერთი აუცილებელი დაზუსტებით, რაც ბოლო დროის გამოკვლევათა საფუძველზეა დამყარებული; კერძოდ, ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება" მიჩნეულია წარმართ მეფეთა ისტორიად მირიანის მეფობის ჩათვლით (მასში ჩართული ნინო კაპადოკიელის მიერ ქართლის მოქცევის შესახებ თხრობით); ჯუანშერის თხზულებად განხილულია საკუთრივ ვახტანგ გორგასლის ცხოვრება და მოღვაწეობა; ვახტანგის მომდევნო ხანის ისტორია ჩათვლილია ფსევდოჯუანშერისეულად არჩილის ცხოვრების დასაწყისამდე (არაბთა შემოსევების შესახებ თხრობამდე); არჩილის ცხოვრება და წამება გამოყოფილია ცალკე ნაკვეთად (ავტორი – ლეონტი მროველი); დატოვებულია პირობითი სათაურები: „მატიანე ქართლისაჲ"; „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი"; სუმბატ დავითის ძე – „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა"; „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"; ჟამთააღმწერლის თხზულება დასათაურებულია როგორც „ასწლოვანი მატიანე".

ლეონტი მროველის თხზულების ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ზურაბ სარჯველაძემ, ფოლოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა – მიხეილ ქავთარიამ და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა – ელენე ცაგარეიშვილმა. ტექსტის დადგენისას ძირითადად გამოყენებულია „ქართლის ცხოვრების" ვახტანგამდელი რედაქციის ნუსხები. როგორც ზემოთაც აღინიშნა, „ქართლის ცხოვრების" ვახტანგამდელ ხუთივე ხელნაწერში თვალში საცემია არაერთგვაროვნება, გადამწერთა და მკითხველთა ჩარევის ფაქტები, შეცდომები. გამომცემელთა მიერ გაზიარებულია მოსაზრება, რომ ეს თხზულებები VII-IX საუკუნეებში არსებობდა და საფუძვლიანადაა გადამუშავებული XI საუკუნეში, ლეონტი მროველის მიერ. ამ გადამუშავების კვალი ამჩნევია რიგ ენობრივ ფორმებს, რომლებიც მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება. გვხვდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ძველი ქართული კლასიკური ხანისათვის უცნობია (სუე, ბუმბერაზი, გორა, დასადგურება და ა. შ.). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ქართველ მეფეთა ცხოვრებიდან" ამოღებულია ორი მცირე მონაკვეთი, რომელიც გვიანდელად იქნა მიჩნეული.

„ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" და „წამება არჩილ მეფისა" გამოსაცემად მოამზადეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ზურაბ სარჯველაძემ და მისმა შვილმა ფილოლოგმა სოფიო სარჯველაძემ (მან განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩაატარა მამის გარდაცვალების შემდეგ). ეს ტექსტები დადგენილია ვახტანგამდელი ხუთივე ნუსხის მიხედვით.

წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილი ეს თხზულებები („ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, „წამება წმიდისა არჩილისა“) რამდენადმე განსხვავდება ნინა (მათ შორის ს. ყაუხჩიშვილის) გამოცემებისაგან. მაგალითად, განსხვავებულადაა წარმოდგენილი პირველი ტექსტის სათაური. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში იგი ასე იკითხება: „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, მშობელთა და შემდგომად თჳთ მის დიდისა და ღმრთის-მოყუარისა მეფისა, რომელი უმეტეს სახელგანთქმული გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა“. წინამდებარე გამოცემაში სათაური ასეა მოცემული: „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, მშობელთა და თჳთ მის დიდისა და ღმრთისმსახურისა მეფისა, რომელი უმეტესად სხუათა განთქმულად გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა“.

„მატიანე ქართლისაჲ“ და სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“ გამოსაცემად მოამზადა აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ. ახალ გამოცემაში გათვალისწინებულია ის მოსაზრებები, რომლებიც აღნიშნულ თხზულებათა მიმართ წინა გამოცემის (1955 წ.) შემდეგ გამოითქვა. წინა გამოცემებთან შედარებით, დადგენილ ტექსტებში შეტანილია გარკვეული ცვლილებები, დაზუსტებულია ზოგიერთი წაკითხვა, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიული რეგიონების, მათ შორის აფხაზეთის ისტორიის ცალკეული საკითხების ობიექტური გაშუქებისათვის.

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ გამოსაცემად მოამზადა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მზექალა შანიძემ. ეს თხზულება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია „ქართლის ცხოვრებაში“. იგი ცალკე სახით მზ. შანიძემ ჯერ კიდევ 1992 წელს გამოაქვეყნა. წინამდებარე გამოცემაში გამოყენებულია ვახტანგამდელი ნუსხები (ა. კლიმიაშვილის მიერ აღმოჩენილი (Q) უკვე მზ. შანიძის 1992 წ. გამოცემაში იყო გათვალისწინებული), ზოგ შემთხვევაში, საჭიროებისამებრ, წარმოდგენილია ვახტანგისეულ ნუსხათა იკითხვისები. „ქართლის ცხოვრების“ წინა გამოცემასთან შედარებით ამ თხზულების ტექსტში ბევრი სხვაობაა. შესწორებულია მცდარი ან თხზულების დაწერის დროისათვის არარსებული (შეუძლებელი) ენობრივი ფორმები, რომლებიც ხშირად გაუგებარს ხდის აზრს ან ცვლის თხრობის შინაარსს. მრავალრიცხოვან ვარიანტულ წაკითხვათაგან შერჩეულია წინა გამოცემისაგან განსხვავებული, ენობრივად და შინაარსობრივად უფრო მისაღები; დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სტილისათვის დამახასიათებელი ენობრივი ფორმებისა და ლექსიკის შესაბამისად, ისტორიული ფაქტებისა თუ რეალიების გათვალისწინებით ტექსტში შეტანილია (ძველ გამოცემებთან შედარებით) მრავალი შესწორება და კონიექტურა. მაგ., სასოვანქმნილი – სახოვანქმნილი; განწირულითა – განწილულითა; მასლათა – მისეულითა; თავადგა – თავსმდები; დასრულებად და უდებებად მზიდველთა – დასულებად და უდებებად დამზიდველთა. დიდგორის ბრძოლის ეპიზოდისათვის ტექსტის თანამიმდევრობა მისდევს არა A (ანასეული) ნუსხას, როგორც ეს ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაშია, არამედ MQm (მარიამისეული, მცხეთურ-კლიმიაშვილისეული, მაჩაბლისეული) ჯგუფისას, რითაც თავიდან არის აცილებული წყვეტილი თხრობა

და ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთის აღრევა. წინამდებარე გამოცემაში (როგორც მზ. შანიძის 1992 წ. გამოცემაში) ეს ეპიზოდი იღებს ერთი მთლიანი ვრცელი ნაწ-ნადადების სახეს, რომელიც სინონიმური პარალელიზმის პრინციპს ეყრდნობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ლიტერატურულ პარალელებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ტექსტის სტრუქტურის თვალსაზრისით და გასაღებს იძლევა ადრე გაუგებარი ადგილების გასარკვევად. ასეთი ადგილები კი უხვადაა თხზულებაში (ყველა მათგანი მითითებულია შენიშვნებში).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა გურამ კარტოზიამ (ხელმძღვანელი) და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ცოტნე კიკვიძემ) წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია ყველა იმ ცვლილებით, რომლებიც ხელნაწერთა დამახინჯებულ წაკითხვათა, გვიან გამოვლენილი კლიმიაშვილისეული (Q) ნუსხის მონაცემთა თუ თანადროული ენობრივი ნორმების გათვალისწინების შედეგად იქნა შეტანილი. ამ ცვლილებების შეტანის აუცილებლობა გ. კარტოზიას, ც. კიკვიძის თუ სხვათა პუბლიკაციებშია დასაბუთებული. ასე მაგალითად, ხელნაწერთა მართებული წაკითხვისა და ენობრივი თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე ახალ გამოცემაში, ს. ყაუხჩიშვილისეულისაგან განსხვავებით, მივიღეთ: ზაჰმი-ს ნაცვლად ზმა, მკილენი-ს ნაცვლად მკლენი, წამართებული-ს ნაცვლად წაღმართებული, განდიდებათა-ს ნაცვლად – გადიდებათა და ა. შ. Q ნუსხის მონაცემთა გათვალისწინებით: მაშუქებელი სხუათა-ს ნაცვლად – მაშუქებელი სხივთა, ისრის მსროლელნი და ქვის მსროლელნი-ს ნაცვლად – ისრისმსროლელნი და ქვისმტყორცნელნი, ანგელოზებისა-ს ნაცვლად – ანაგებობისათა, ვერ იყევდე-ს ნაცვლად – ვერ ივლტოდეს, შეკრიბნიან შორის მისა ძღუენნი-ს ნაცვლად – შეუკრებიან შორის მისსა ძალნი და ა. შ. ზოგ შემთხვევაში აღდგენილია ნუსხებში დადასტურებული სიტყვის მნიშვნელობის ან ფორმის არაადეკვატური გაგების გამო დაწუნებული წაკითხვა; შეტანილია სხვა ცვლილებებიც.

თხზულება, რომლის პირობითი სახელწოდებაა „ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა თამარისი" (გამოსაცემად მოამზადა მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მზექალა შანიძემ), დამოუკიდებელი, ცალკე სახით შემონახულია ერთადერთ ხელნაწერში. ეს არის ე. წ. ჭალაშვილისეული ნუსხა (ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში – Q-207), რომელიც ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა 1923 წელს. ხელნაწერის ძველ ნაწილში, რომელიც XVII ს-ის დასაწყისშია გადაწერილი, დაცულია თამარის ცხოვრების მხოლოდ პირველი ნაწილი. დანარჩენი შემორჩენილია მხოლოდ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში (მათ შორის თვითონ ჭალაშვილისეულშიც), მაგრამ არა ცალკე, არამედ ვახტანგის კომისიის მიერ გადამუშავებული სახით – თამარის ე. წ. პირველ ისტორიასთან („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი") შერწყმული. წინამდებარე გამოცემაში თხზულების მეორე ნაწილში ორი თხზულების ტექსტი შეძლებისამებრ გამოცალკევებულია ერთმანეთისაგან და განსხვავებული შრიფტებითაა დაბეჭდილი. წინამდებარე გამოცემაში ჩანართებიანი ტექსტი თხზულების მეორე ნაწილში დაბეჭდილია

მთლიანად, ჭალაშვილისეული ხელნაწერის მიხედვით, შენიშვნებში მითითებულია ბროსეს გამოცემის შესაბამისი მონაკვეთები, აგრეთვე, საჭირო შემთხვევებში, ივ. ჯავახიშვილის („ცხორება თამარისი“), კ. კეკელიძის („ისტორიანი და აზმანი“) და ს. ყაუხჩიშვილის (ქცბა, II, „ისტორიანი და აზმანი“) გამოცემათა სათანადო ადგილები. შესაბამისი ტექსტუალური მონაკვეთები მითითებულია აგრეთვე წინამდებარე გამოცემის მიხედვითაც. ეს საშუალებას იძლევა გავითვალისწინოთ ტექსტის შესწავლის რეალური მდგომარეობა, ერთი მხრივ; მეორე მხრივ, ამგვარი კრიტიკული აპარატი ხელს შეუწყობს ტექსტის მომავალი კვლევის საქმეს. ზოგიერთი შერყვნილი და გაუგებარი ადგილის შესასწორებლად მოცემულია კონიექტურები: მიაყვნა მყვანებელსა – მიაპყრა არაარსისაგან არსად მომყვანებელსა; მევირეთა – მჴედართა; სპილენძებითა ტჯრთულად – საპალნებითა ტჯრთულად.

ლაშა გიორგის დროინდელი ისტორიკოსის თხზულება (ტექსტი მოამზადა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ციალა ქურციკიძემ) „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგამდელი ნუსხებიდან დაცულია ანასეულ და ჭალაშვილისეულ (ამ უკანასკნელში ნაკლული სახით) ხელნაწერებში. წინამდებარე გამოცემაში, ს. ყაუხჩიშვილის პუბლიკაციასთან შედარებით, შეტანილია ზოგიერთი ცვლილება. ზემოხსენებულ ორივე ხელნაწერში გვხვდება სიტყვა „სუქმეთნი“ („...დიდმან დავით შირვანს გაგზავნა შვილი დემეტრე და ქმნნა ომნი და ბრძოლანი ... აიღო ციხე ქუელაძორი და აღივსო ალაფითა და ტყჳთა ურიცხჳთა. გააქცივნა სუქმეთნი. ოდეს სუქმეთნი გააქცივნა დემეტრე, ქრონიკონი იყო სამასორმეოცდაათი...“). წინა გამოცემაში (ს. ყაუხჩიშვილი) „სუქმეთნი“ შეცვლილია „სუქმანეთნი“-თ და გაგებულია როგორც ეთნიკური სახელი. „სუქმეთნი“ (შესაბამისად, „სუქმანეთნი“) „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში სხვაგან არსად გვხვდება. როგორც ჩანს, იგი ეთნოსის აღმნიშვნელი სიტყვა არ უნდა იყოს. სპეციალისტთა ვარაუდით, აქ შეიძლება გვქონდეს სპარსული „სუქათ“ ძირის შემცველი სიტყვა, რომელიც ქვეშევრდომს, უბრალო ხალხს ნიშნავს. კონტექსტი მხარს უჭერს ამგვარ ვარაუდს: დემეტრემ რიგითი მეომრები გააქცია, სპარსთა მეთაურები კი დახოცა. ამიტომ წინამდებარე გამოცემაში ხელნაწერისეული „სუქმეთნი“ დარჩა. გაიმართა ასეთი ფრაზა: „...და ასული მამის მისისა გიორგისი, რუსუდან დედოფალი, იყო ტკბილი და მოწყალე, ნუგეშინისმცემელი და შემხუეწელი დაჭირვებულთა...“ (ს. ყაუხჩიშვილი). წინამდებარე გამოცემაში ეს წინადადება ასეა დაზუსტებული: „... დაჲ თამარ მეფისა და ასული მამისა მისისა გიორგისი, რუსუდან დედოფალი, იყო ტკბილი და მოწყალე, ნუგეშინისმცემელი და შემხუეწელი დაჭირვებულთა...“

აღნიშნული კონტექსტის ამგვარად გამართვის საფუძველს იძლევა ის, რომ „თამარ მეფისა“-ს წინ ხელნაწერში კავშირი „და“ კი არაა, არამედ „დაა“, რაც აქაც და „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებში ყველგან ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვაა (შდრ. „და დაა დემეტრესი თამარ, თიღუსა ამაშენებელი ... და დაა მისი, კატა დედოფალი, საბერძნეთს გათხოვილ იყო“; აგრეთვე: „ ... დაა მათი რუსუდან ითხოვეს ხლათს დასასმელად დიდმან სულტანმან მელიქმან“). „დაა“ იგივეა, რაც „დაჲ“.

გასწორდა ხელნაწერისეული (და ყაუხჩიშვილის გამოცემის) შემდეგი ადგილი: „... სიბრძნე სიმდიდრისა და სიბრძნისა ღმრთისა"; იბეჭდება: „ ... სიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა ღმრთისა" (გასწორება მოხდა ბიბლიური წყაროს საფუძველზე). ახალ გამოცემაში შეტანილია სხვა შესწორებებიც.

ახალ გამოცემაში დანართის სახით ქვეყნდება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ციალა ქურციკიძის მიერ მომზადებული აპოკრიფული თხზულება, ე. წ. „განძთა ქვაბი" („დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა...") – სამყაროს შექმნის შესახებ ბიბლიურ თხრობაზე დამყარებული თხზულება (იგი პირველად 1906 წელს გამოსცა ექვთიმე თაყაიშვილმა როგორც დამატება-შესავალი „მარიამისეული" ნუსხისა. ცალკე ეს ტექსტი რამდენიმე ხელნაწერის მიხედვით გამოაქვეყნა ციალა ქურციკიძემ). წინამდებარე გამოცემა ემყარება ხელნაწერთა ინსტიტუტის S-30 (ლიტერით M) და პეტერბურგის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდის იოანე ბატონიშვილის კოლექციის 10 (m[1]) ხელნაწერს.

რადგან „განძთა ქვაბი" ძველი თარგმანია (XI საუკუნეს არ გადმოსცილდება), გამოცემაში შეძლებისდაგვარად აღდგენილია მართლწერის ძველი ნორმები, ხოლო ტექსტობრივად დამახინჯებული ადგილები გასწორებულია.

ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანის" (გამოსაცემად მოამზადა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გიული ალასანიამ) ტექსტს საფუძვლად დაედო რევაზ კიკნაძის გამოცემა (1987 წ.) ზოგიერთი სხვაობით. წინამდებარე გამოცემა ძირითადად ემყარება „ქართლის ცხოვრების" მარიამისეულ S-30 (–), მცხეთურ Q-1219 (Q), მაჩაბლისეულ H-2135 (m) და აგრეთვე ე. წ. თეიმურაზისეულ (T) ნუსხებს. არც ერთ ამ ხელნაწერში ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთს არ გაუვლია ვახტანგის კომისიის რედაქცია. გამოყენებულია აგრეთვე ვახტანგისეული რედაქციის ყველაზე ადრინდელი, რუმიანცევისეული (R) ნუსხა.

ძველი რედაქციის ზოგიერთი ნაწილის ნაკლული ტექსტი აღდგენილია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ნუსხების საფუძველზე.

წინამდებარე გამოცემისათვის „ქართლის ცხოვრების" ხელნაწერების კიდევ ერთხელ შესწავლის დროს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ვალერი სილოგავამ ყურადღება მიაქცია „ქართლის ცხოვრების" ორფურცლიან ფრაგმენტს, რომელიც ხელნაწერთა ცენტრის ფონდებში მიქელ თამარაშვილის ბიბლიოთეკიდან მოხვდა (H-1067). ფრაგმენტის პირველი ფურცლის მარჯვენა კიდეზე ე. თაყაიშვილის ხელით, განივად, მიწერილია: „ნაწყვეტი ქართლის ცხოვრებისა. შეადარე ბროსეს გამოცემა, იხ. I, გვ. 409-419, ტორე დელ გრეკოს წიგნთსაცავიდან. ე. თ." 1953 წ. მიქელ თარხნიშვილმა გამოაქვეყნა ცნობა, რომლის მიხედვით კაპუჩინელ მისიონერს – ბერნარდო მარია ჩოფის 1680 წელს ნეაპოლში ჩაუტანია „ქართლის ცხოვრების" ხელნაწერის 40-გვერდიანი ნაწყვეტი „1250 წლის ამბების ისტორია". სავარაუდოა, რომ ეს ორფურცლიანი ფრაგმენტი, რომელიც დღეს ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება, ჩოფის მიერ ნეაპოლში ჩატანილი „ქართლის ცხოვრების" ხელნაწერის ნაწილია, რომელსაც მოგვიანებით მიქელ თამარაშვილის ხელში გაუვლია.

1948 წ. კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობის მორიგ ტომში (ტ. III) ქრ. შარაშიძემ გამოაქვეყნა ამ ფრაგმენტის პირველი მეცნიერული აღწერილობა, რომელშიც გამოთქვა ვარაუდი, რომ „ნაწყვეტი შეიძლება XVII ს-ის, ვახტანგამდელი რედაქციის ტექსტს წარმოადგენდეს“.

ხელნაწერის პალეოგრაფიული ანალიზით ირკვევა, რომ იგი XVII ს-ის II ნახევრით შეიძლება დათარიღდეს.

ფრაგმენტის ტექსტი ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანის“ ნაწყვეტია, მასში გადმოცემულია მეფე დემეტრე II-ის (1271-1289) ისტორია გამეფებიდან ურდოში გამოძახებამდე. ამ ნაწყვეტში მოცემულია ისეთი ცნობებიც, რომლებიც „ასწლოვანი მატიანის“ სხვა ხელნაწერებში არ გვხვდება. ასე მაგალითად:

როდესაც დემეტრე მეფედ დასამტკიცებლად ურდოში წაიყვანეს ქართველმა დიდებულებმა, ამის შესახებ აქამდე ცნობილ ტექსტში ნათქვამია: „მაშინ შეკრბეს თავადნი ქართველნი და დიდებულნი და წარიყვანეს მეფისა ძე, დიმიტრი, ურდოსა“, ხოლო ახალი ტექსტის მიხედვით: „მაშინ შეკრბეს თავადნი ქართლისანი – ბეგა ქართლის ერისთავი და მსახურთუხუცესი, ორბელნი და სხუანი დიდებულნი და წარიყუანეს მეფისა დავითის ძე დიმიტრი... ურდოს“.

ახალ ტექსტში ვხვდებით ცნობას იმის შესახებ, თუ სად წავიდა საქართველოს საპატრიარქოს ტახტიდან გადადგომის შემდეგ კათალიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ III (1250-1282). აქ ნათქვამია – „წარვიდა მამულად თუისად მოხილეთად მოხუცებული, და სავსე დღითა მუნ იყოფებოდა... სავსე ღმრთისა <მიმართ> მიიცვალა“. სოფელი მუხილეთი (რაც, ცხადია, ძველი მოხილეთია – ტექსტში ო-ს და უ-ს მონაცვლეობა სხვაგანაც გვხვდება) დღესაც არსებობს ქართლში.

ნაწყვეტის ტექსტი სხვა სიახლეებსაც შეიცავს. ამიტომაც, გადაწყდა წინამდებარე გამოცემაში მისი ცალკე გამოქვეყნება ერთ-ერთი დანართის სახით.

* * *

„ისტორიის“ („ცხოვრების“) წარმატება დამოკიდებულია მემატიანის მიერ ამბის მწყობრად გადმოცემისა და განმარტების ეფექტზე. ამ ეფექტის მისაღწევად მემატიანე სხვადასხვა ხერხს მიმართავს: ცდილობს რეალურად გადმოგვცეს მოვლენა, მიმზიდველად აგებს სიუჟეტს, წარმოადგენს ფორმალურ მტკიცებულებებს და მოხერხებულად იყენებს იდეოლოგიურ ქვეტექსტებს.

ივანე ჯავახიშვილი კრიტიკულად განიხილავდა „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებს და მაღალ შეფასებას აძლევდა მათ. მას სანდო პირველწყაროებად მიაჩნდა „მატიანე ქართლისა“, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანისა და სუმბატ დავითის ძის თხზულებები, ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანე“. მეცნიერი კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამდა ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებების მიმართ და მიიჩნევდა, რომ მათი ამგვარი სახით გამოცემა საჭირო იყო.

„ქართლის ცხოვრების“ ავტორთა შორის სანიმუშოდაა მიჩნეული დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ფრიად განსწავლული პიროვნება, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურების კარგი მცოდნე. მას მემატიანის მოვალეობა ფრიად საპასუხისმგებლო საქმედ მიაჩნია, თვლის, რომ ამა თუ იმ მოვლენის ან პიროვნების მოღვაწეობის სრულყოფილად ასახვისათვის აუცილებელია „რიტორობის“ მაღალი ხელოვნება, ე. ი. უნარი მასალის მწყობრი, მართებული გადმოცემისა. ამასთან, იგი მემატიანეთაგან მოითხოვს, არ გააზვიადონ („განავრცელონ“) რაიმე ამბავი და „ნივთნი საქმეთანი“ (არსებული მასალა) არ დაამახინჯონ. დავითის მემატიანეს „ვაების ღირსად“ მიაჩნია ჰომეროსი და არისტობულე, რომელთაგან ერთმა შეაქო ტროას ომის გმირები, ხოლო მეორემ – ალექსანდრე მაკედონელი. იგი მიანიშნებს, რომ მათ (ჰომეროსსა და არისტობულეს) არ ჰქონდათ საკმარისად „ნივთნი საქმეთანი“ და ამის გამო იძულებულნი იყვნენ გადმოსაცემი ამბები განევრცოთ „ხელოვნებითა რიტორობისათა“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს მიაჩნია, რომ აქილევსი „დიდსა მემთხვია მაქებელსა უმიროსს“. იგი დანანებით ამბობს, კარგი იქნებოდა, რომ ბერძენ ავტორებს „ჰქონებოდესმცა... თხრობათა ნივთად საქმენი დავითისნი, და მათმცა აღწერნეს ჯეროვნად მათისაებრ რიტორობისა, მაშინაღმცა ღირს ქმნილ იყვნეს ჯეროვანსა ქებასა“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ დაწერილია კარგი ქართულით, მხატვრულად, დიდი გულწრფელობით. იგი მრავალ მნიშვნელოვან ქრონოლოგიურ ცნობას შეიცავს, რომელთა სანდოობა სხვა წყაროებთან შეჯერებით მტკიცდება. ყოველივე ეს ამ მატიანეს საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს. იგივე შეიძლება ითქვას ამ კრებულში შეტანილ სხვა თხზულებებზეც.

„ქართლის ცხოვრება“ საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. როგორც ზემოთაც ვთქვით, „ქართლის ცხოვრების“ მნიშვნელობა ძველადაც კარგად ესმოდათ და სწორედ ამან განაპირობა, რომ მისმა რამდენიმე ათეულმა ნუსხამ ჩვენამდე მოაღწია. სარედაქციო კოლეგია ითვალისწინებს მოთხოვნილებას „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკული ტექსტის ახალ გამოცემაზე და განახლებული სახით წარუდგენს მას მკითხველ საზოგადოებას.

P. S. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია მადლიერებით მოვიხსენიოთ აწ განსვენებული აკადემიკოსი ედიშერ ხოშტარია-ბროსე, რომელმაც დიდი ამაგი დასდო წინამდებარე გამოცემას.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ციალა ქურციკიძის როლი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის გამოსაცემად მომზადებაში. მან მთელი ტექსტი გულდასმით წაიკითხა და საგულისხმო შენიშვნები მოგვაწოდა.

2008 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში (V-XII სს.)

გლახაკები

I

ხალხთა ფართო მასების ისტორიის სრულყოფილი შესწავლისათვის აუცილებელია სოციალიზმამდელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების პირობებში კლასობრივ საზოგადოებაში არსებული უდაბლესი სოციალური ფენის – გლახაკების – ყოველმხრივი შესწავლა. აღებული პრობლემის შესწავლის ყოველმხრივობა გულისხმობს ყურადღების გამახვილებას გლახაკთა წარმომავლობაზე (კერძოდ, იმ გზებზე, რომელსაც გლახაკობამდე მიჰყავს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი), კატეგორიებზე (უნდა განსხვავდეს გლახაკობა რეალური და გლახაკობა კონცეფტუალური), მათ მდგომარეობაზე და სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებზე (საწინააღმდეგო ხასიათის, თუ საქველმოქმედო), გამოიკვეთოს გლახაკობის, როგორც შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი სოციალური მოვლენის, კლასობრივი ხასიათი.

გლახაკობა დამახასიათებელი მოვლენაა საერთოდ მთელი შუასაუკუნეობრივი მსოფლიოსათვის. ნიშანდობლივია, რომ უკანასკნელ წლებში ამ პრობლემის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ისტორიულმა მეცნიერებამ. ბოლო დროს დიდი ინტენსიურობით გლახაკთა პრობლემას იკვლევენ ფრანგი ისტორიკოსები. 1962 წლიდან სორბონის უნივერსიტეტში არსებობს საგანგებო სემინარი, რომელიც იკვლევს გლახაკობა-სიღატაკის პრობლემებს შუა საუკუნეების მსოფლიოში[1]. იმავე საკითხებზე მუშაობს ლილისა და ლიონის ჰუმანიტარული ფაკულტეტები. ამ მეცნიერთა თანამშრომლობის შედეგები გლახაკთა პრობლემის კვლევაში ცნობილი გახდა ისტორიულ მეცნიერებათა XIII საერთაშორისო კონგრესზე, ფრანგი ისტორიკოსის მიშელ მოლას მოხსენების საშუალე-

[1] სემინარის შრომები გამოქვეყნებულია სპეციალურ რვეულებში (წელიწდეულებში), რომელთა სათაურია: „Recherches sur les Pauvres et la pauvrété au Moyen Age".

ბით[1]. თავისთავად ამ დიდ ფორუმზე[2] მოცემული პრობლემის გამოტანა ხაზს უსვამს გლახაკთა ისტორიის მსოფლიო მასშტაბით შესწავლის აქტუალობას. გლახაკობა-სიღატაკე, როგორც შევნიშნეთ, შუა საუკუნეების მსოფლიოსათვის მეტად დამახასიათებელი მოვლენა იყო. თვით გლახაკების სოციალური ფენა რაოდენობრივად მრავალრიცხოვანი ყოფილა და, როგორც სხვადასხვა ქვეყნების მაგალითებიდან ჩანს, ანგარიშგასაწევიც სახელმწიფო ხელისუფლების მხრივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლახაკებს საქართველოშიც მეტად თავისებური და საინტერესო ისტორია აქვს. შუა საუკუნეების საქართველოს „გლახაკები", ისე როგორც რუსეთის „бедные", „бедняки" ან „нищие" (ან კიდევ „ბობილ"-თა ერთი ნაწილი XV საუკუნის შემდეგდროინდელ რუსეთში), საფრანგეთის „pauvres", ბიზანტიის „πενητες" (ჩვენ ქვემოთ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით შევეცდებით ვაჩვენოთ ქართულ გლახაკებსა და სხვა ქვეყნის ანალოგიურ ფენებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებანი) და სხვ., დიდი ხვედრითი წონის მქონე ფენას შეადგენდნენ და მათ შესწავლას (მით უმეტეს, რომ ამ საკითხს ქართულ ისტორიოგრაფიაში საგანგებოდ არავინ შეხებია) არსებითი მნიშვნელობა აქვს.

ფეოდალურ საქართველოში გლახაკთა პრობლემას ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა[3]. მან ხაზი გაუსვა საზოგადოების ამ ფენის სიმრავლეს განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველოში, გააშუქა გლახაკობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები, მიუთითა IX საუკუნეში ბაგრატ კურაპალატის მიერ გლახაკთა ნაწილის დაწესებაზე[4].

ნ. ბერძენიშვილი თავის ნაშრომში „საქართველოს ისტორია XIII-XIV სს." გაკვრით ეხება გლახაკობის საკითხს და აღნიშნავს: „კლასობრივ ბრძოლაში დამარცხებულნი, მეურნეობას მოწყვეტილნი („ნებით" თუ უნებლიედ), უსაქმონი, სხვისი ხელის შემაცქირალ-მათხოვარნი ისინი მოიპოვებიან სოფლად თუ ქალაქად. XIII საუკუნის დასაწყისისათვის მათი რიცხვი საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო. ნიშანდობლივია, რომ გლახაკები ამ დროს სახელმწიფოს ზრუნვის საგანია"[5].

---

[1] იხ. М. Молла, Бедные и средневековое общество, доклад на XIII международном конгрессе исторических наук, Москва, 16-28 августа, 1970, издательство „Наука". ფრანგი მეცნიერების ღატაკობა-სიგლახაკის პრობლემას რამდენადმე ცალმხრივად აშუქებენ. ამის შესახებ საერთოდ და კერძოდ „Revue Historique"-ში (Paris, 1969, № 1-111) გამოქვეყნებული ნაშრომების შესახებ იხ. В. Л. Керов, Сущность призывов к бедности в эпоху средневековья, Вопросы истории, 1971, № 2, стр. 193-194.

[2] იხ. Губер А. А., Московский конгресс историков (Москва, 16-23 августа 1970), Вопросы истории, 1970, № 3, стр. 3-11; მისივე, Международный форум историков, Вопросы истории КПСС, 1970, № 10, 150-153.

[3] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, თბ., 1929, გვ. 105-107. მისივე, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 115, 189. ზოგადად სიღატაკის საკითხს მიეძღვნა ზ. ჭიჭინაძის პატარა წიგნაკი „მათხოვრები ძველადგან ანუ პაუპერიზმი და პროლეტარიატი" (თბ., 1905), რომელშიც, მართალია, რამდენადმე პრიმიტიულად, მაგრამ საინტერესო საკითხებია აღძრული პრობლემის შესახებ.

[4] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, თბ., 1929, გვ. 105.

[5] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 53.

ნ. ბერძენიშვილს ეკუთვნის „საქართველოს ისტორიის“ დამხმარე სახელმძღვანელოს ის მონაკვეთი, რომელშიაც მეკობრეების წინააღმდეგ ბრძოლა გადმოცემული XII საუკუნის საქართველოში; მეცნიერი აქვე ეხება გლახაკებსაც. იგი XII საუკუნის საქართველოში გავრცელებულ მეკობრეობა-გლახაკობას მდაბიორმოლაშქრეთა ფენის მასობრივ გაღატაკება-დამცრობასთან აკავშირებს[1].

მიმოიხილა რა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი აკად. გ. მელიქიშვილი შეჩერდა დეკლასირებული ელემენტების არსებობაზე ფეოდალურ საქართველოში. იგი ასკვნის: „ესოდენ მასობრივი „გლახაკობა“ და „მეკობრეობა“ არ შეიძლება წამოზრდილიყო მიწაზე მიმაგრებული, იურიდიულად არათავისუფალი, პირად თავისუფლებას მოკლებული გლეხობის ბაზაზე და თავისთავად არის მოწმობა იმისა, რომ ჯერ კიდევ სულაც არ იყო დამთავრებული მწარმოებელი საზოგადოების გაგლეხების, მიწაზე მიმაგრების, ბატონყმურ ურთიერთობაში ჩაბმის პროცესი, რომ იურიდიულად მწარმოებელთა ძირითად მასას ჯერ კიდევ თავისუფალი ადამიანის სტატუსი ჰქონდა შენარჩუნებული“[2]. გ. მელიქიშვილს გლახაკებისა და მეკობრეების წყაროდ ეკონომიურად შეჭირვებული და პირადად თავისუფალი მასის აუცილებელი არსებობა მიაჩნია[3]. გლახაკების შესახებ გარკვეული მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. გ. ნათაძეს თავის ნაშრომი „შავშეთ-კლარჯეთის ეკონომიური მდგომარეობა და კლასობრივი ურთიერთობა მე-9-10 საუკ.“[4], სადაც მეცნიერი საკითხს იხილავს გიორგი მერჩულესა და სუმბათის ქრონიკის მიხედვით. აღნიშნულ პრობლემას შეეხო და საგულისხმო მოსაზრებები გამოთქვა ა. კიკვიძემ. მისი ნაშრომი „საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან“ არის გამოხმაურება გ. ნათაძის ზემოდასახელებულ შრომაზე. მეცნიერი საგანგებოდ ჩერდება გლახაკთა საკითხზეც“[5].

გლახაკობის პრობლემასთან უშუალო კავშირშია საქართველოში ბატონყმობის გამარჯვების თუ ფეოდალიზმის სხვა საკითხებისადმი მიძღვნილი ს. ჯანაშიას[6],

---

[1] იხ. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე და სხვ., საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 179.

[2] გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 75.

[3] იხ. გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

[4] იხ. ჟურნ. მნათობი, 1929, 4, გვ. 141-158.

[5] იხ.: თსუ შრომები, VI, თბ., 1938, გვ. 103-118.

[6] იხ.: ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 430; მისივე, ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ, იქვე, გვ. 455.

მ. ლორთქიფანიძის[1], ა. ნოვოსელცევის[2], ა. ბოგვერაძის[3], მ. ბერძნიშვილის[4], დ. მეგრელაძის[5], ზ. რატიანის[6] გამოკვლევები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის სოციალურად დაბალი ფენების შესწავლის გარკვეული ტრადიცია აქვს რუსულ ისტორიოგრაფიას. განსაკუთრებული ყურადღება აქვს „Бобыль"-თა ინსტიტუტის შესწავლას. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში რუსი ისტორიკოსები ი. ბელიაევი, ს. სოლოვიოვი და ნ. კოსტომაროვი იკვლევენ ამ პრობლემას. შემდგომში მათი დებულებები გაიზიარეს და განავითარეს გამოჩენილმა რუსმა ისტორიკოსებმა ვ. კლიუჩევსკიმ, მ. გორჩაკოვმა, პ. სოკოლოვსკიმ და სხვ[7]. მე-19 საუკუნის 90-იან წლებში რუსმა ისტორიკოსმა მ. დიაკონოვმა რუსეთის დაბეგრილი მოსახლეობის (тяглое население) ისტორიის საერთო შესწავლასთან ერთად ყურადღება გაამახვილა ბობილებზე[8]. მან გამოიყენა დოკუმენტური მასალა და სათანადო დასკვნებიც გააკეთა. შემდგომში ეს საკითხები განიხილეს მ. ოსტროვსკაიამ[9] და ს. ვესელოვსკიმ[10]. ბობილთა პრობლემა, ისე როგორც სოციალური ურთიერთობის სხვა საკითხები, რუსი საბჭოთა ისტორიკოსების (ბ. გრეკოვი[11], ა. პანკრატოვა[12] და სხვ.[13]) ყურადღების საგანიცაა.

ზემომოყვანილი ისტორიული ლიტერატურის არსებობის მიუხედავად, ქართული ისტორიოგრაფიისათვის ფეოდალურ საქართველოში დეკლასირებული ელემენტების (გლახაკები, მეკობრეები, მპარავნი) პრობლემა შეუსწავლელია. თა-

---

[1] იხ.: მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963; მისივე, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XII ს. საქართველოში, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში", თბ., 1966, გვ. 32-51; მისივე, История Грузии XI – начала XIII века, Тб., 1974.

[2] იხ.: А. П. Новосельцев, В. Т. Пашуто, Л. В. Черепнин, Пути развития феодализма, М., 1972.

[3] იხ.: ა. ბოგვერაძე, ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 119-124.

[4] იხ.: მ. ბერძნიშვილი, საქართველო XI-XII საუკუნეებში, თბ., 1970; მისივე, გლეხთა კატეგორიები XI-XII ს-ში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, ნაკ. I, თბ., 1960.

[5] იხ.: დ. მეგრელაძე, გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა XIII საუკუნის II ნახევრიდან XV საუკუნემდე, ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 70-80.

[6] იხ.: ზ. რატიანი, საქართველოს სოციალური წყობა XIII-XIV საუკუნეებში, თბ., 1970.

[7] „ბობილთა" შესახებ რევოლუციამდელი ლიტერატურის მიმოხილვა იხ. მ. დიაკონოვის წიგნში „Бобыльство в России в XVI-XVIII вв.", История СССР, 1960, № 3, стр. 49-66.

[8] იხ.: М. Дьяконов, Акты, относящиеся к истории тяглого населения в Московском государстве, Юрьев, 1897; Его же, Очерки из истории сельского населения в Московском государстве (XVI-XVII вв.), С.-Петербург, 1898.

[9] იხ.: М. Островская, Земельный быт сельского населения русского севера в XVI-XVII вв., С.-Петербург, 1913, стр. 78-80.

[10] იხ.: С. Веселовский, Сошное письмо, т. II, М., 1916, стр. 516, 663.

[11] იხ.: Б. Д. Греков, Крестьяне на Руси с древнейших времен до XVII века, М.-Л., 1946, стр. 734-759.

[12] იხ.: А. М. Панкратова, Наймиты на Руси в XVII в. сб. статей „Академику Борису Дмитриевичу Грекову ко дню семидесятилетия", М., 1952, стр. 207-209.

[13] იხ.: К. Н. Сербина, К вопросу о бобылях, сб. статей „Академику Борису Дмитривевичу Грекову ко дню семидесятилетия", М., 1952, стр. 176-177; А. Л. Шапиро, Эволюция бобыльства в России в XVIII веке, „Ежегодник по аграрной истории Восточной Европы 1958 г.", Таллин, 1959, стр. 91-104. ამ სტატიაში მოცემულია რუსული „ბობილების" ლატვიურ და ესტონურ „ბობილებთან" შედარების ცდა; მისივე, Бобыльство в России в XVI-XVII вв., История СССР, 1960, № 3, стр. 49-66.

ვისთავად ამ კატეგორიის ხალხი რაოდენობრივად მეტად ბევრნი იყვნენ. რამდენადაც დღესდღეობით სოციალურად დაბალ საფეხურზე მდგომი მოსახლეობის ფართო მასების ისტორიის კვლევას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, დასმული საკითხი ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის მეტად აქტუალურია.

წინამდებარე ნაშრომი არის ფეოდალურ საქართველოში გლახაკობის პრობლემის შესწავლის ცდა.

II

„გლახაკი" ქართულ ენათმეცნიერებაში სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. როგორც ქართული „გლახაკი", ასევე მსოფლიოს ხალხთა სხვადასხვა ენებზე იდენტური შინაარსის (ცნების) გამომხატველი ტერმინები (ზოგიერთ ენას თავის ლექსიკურ ფონდში უხვად მოეპოვება სიგლახაკის მრავალმხრივი სოციალური ასპექტების გამომსახველი სიტყვა-ტერმინები) დროთა განმავლობაში გარკვეულ სახეცვლილებას განიცდიდნენ. ტერმინი „გლახაკი" ქართულ წერილობით წყაროებში თვით „შუშანიკის მარტვილობიდან" გვხვდება. ისტორიკოსებმა თუ ენათმეცნიერებმა ამ ტერმინს ყურადღება მიაქციეს გლეხთან დაკავშირებით. „გლეხის", როგორც სოციალური ყოფის ამსახველი ტერმინის, წარმომავლობას ზოგიერთი მეცნიერი სატომო სახელიდან მომდინარედ მიიჩნევს (ნ. ადონცი[1], ნ. მარი[2]) და ხაზს უსვამენ მის სომხურთან მიმართებას[3].

ქართული „გლეხის" სომხურიდან წარმომავლობაზე მიუთითებს არ. აჭარიანი თავის „სომხური ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში" (შესაბამისად სომხურიდან მომდინარედ მიაჩნია: „გლახა" და „გლახაკი"). „გლეხს" შეეხო ივ. ჯავახიშვილი და მიიჩნია, რომ ეს ტერმინი მნიშვნელობით „სოფლელი მიწის მუშა", ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებთა შორის XI ს-იდან დასტურდება მხოლოდ[4]. აღნიშნული ტერმინის შესახებ არსებული წყაროები და ლიტერატურა ვრცლად მიმოიხილა ილ. აბულაძემ თავის გამოკვლევაში „ძველი ქართულის ლექსიკიდან"[5]. მეცნიერი დაასკვნის, რომ ძველად ჩვენში („გლეხი" – რ. მ.) ხმარებულა ფართო შინაარსით, მოსახლეობის სოციალურად დაბალი ფენის აღმნიშვნელად, და ვიწროდ – ამ და-

---

[1] იხ.: Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана... Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. XI, СПб., 1908, გვ. 436. აქ პროფ. ადონცის დასკვნა ასეთია: „... Слово գրկՀ-ik соответствует грузинскому გლეხი и одного с ним происхождения".

[2] იხ.: Н. Марр, Батуми, Ардаган, Карс... Петроград, 1922, გვ. 31. ნ. მარის დებულება ასეთია: „... Грузинский социальный термин „глех", двойник армянского grêh-ik; мужицкое сословное звание, возникшее из названия народа „колхов", дал корень для образования в грузинском слова древнего „глахак", нового „глаха" со значением „плохой, негодный" (გვ. 34).

[3] გ. მელიქიშვილი გამორიცხავს „გლეხის" „გლახიდან" წარმომავლობას და ავითარებს იმ აზრს, რომ გლეხი სატომო სახელიდან – კოლხი (კილხი, გელხი, გალხი?) წარმოდგება. იხ. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 420-421.

[4] იხ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. I, თბ., 1928, გვ. 37-38.

[5] იხ.: ილ. აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959, გვ. 167-175.

ბალ ფენაში შემავალი ქალაქელი („რიფსიმიანთა წამების“ მიხედვით) თუ სოფლელი უბრალო ხალხის ანუ „გლეხის“ ამსახველად (გრიგოლ ოშკელის თარგმანის მიხედვით)“[1]. ტერმინის ასეთი მნიშვნელობისა და ფორმის დადგენისათვის ილ. აბულაძემ მოიშველია ბიბლია, კერძოდ, მასში შემავალი „სიბრძნე ისუ ზირაქისი“, რომელიც ერთ-ერთ უადრინდელეს თარგმანს უნდა წარმოადგენდეს. აქ „გლეხი“ ოთხჯერ იხსენიება. მეცნიერმა ოთხივე ადგილი შეაჯერა რუსულ და სომხურ ტექსტთან და დაადგინა, რომ „გლეხი“ აქ შეესაბამება სომხურ („ალქატ“-ს) და რუსულ „Нищий“-სა და „Бедняк“-ს, ორივე შემთხვევაში ღარიბს, რომელთაც ძველი ქართულით „გლახაკი“ შეესატყვისება[2]. ამასთან ქართულ კონტექსტებში „გლეხი“ ყველგან უპირისპირდება „მდიდარს“, რაც ხაზს უსვამს „გლეხის“ გლახაკობას (სიღატაკეს). ილ. აბულაძე სახელწოდების მიღების ამგვარ გზას სახავდა: გლახაკ – გლახა – გლახ||გლეხ-ი.

ამგვარად, „გლახაკი“ არის ამოსავალი ფორმა „გლეხისა“. მაგრამ საიდან მომდინარეობს თვით ტერმინი „გლახაკი“? ვფიქრობთ, ილ. აბულაძემ მთელი სიცხადით დაასაბუთა ამ ტერმინის სომხურიდან წარმომავლობის შეუძლებლობა[3].

ისტორიული წყაროებიდან და სათანადო სამეცნიერო ლიტერატურიდან დასტურდება, რომ „გლახაკი“ არის უძველესი ტერმინი, რომელსაც თავისი განსაზღვრული შინაარსი ჰქონდა[4]. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „გლახა-გლახაკი, გინა დაშავებული“; „გლახაკი ესე არს მამა-დედით უქონელნი, ხოლო დავრდომილი, რომელიც სიმდიდრისაგან დაცემულ იყოს“[5]. ამ ტერმინის განმარტებაზე ჩვენ ქვემოთ შევჩერდებით. ამჯერად კი ტერმინ „გლახაკის“ ეტიმოლოგიას გვინდა დავუთმოთ ყურადღება. ჩვენ ფრიად საგულისხმოდ გვეჩვენება პროფ. მ. ანდრონიკაშვილის მტკიცება „გლახაკის“ სპარსულიდან წარმომავლობის შესახებ. მეცნიერი თვლის, რომ „ქართულ სიტყვებს გლახაკი, გლახა, გლახ-(ვაგლახ)-ს საფუძვლად უდევს საშუალო სპარსული ფორმა გილაკ||გილაჰ – ტირილი, ჩივილი, ვაება“[6]. ამდენად გლახაკი ნიშნავს მოჩივარს, მტირალს, საბრალოს, საცოდავს, ღარიბს, მათხოვარს, ე. ი. ტერმინის განვითარების გზა ასეთია: საშუალო

---

[1] ილ. აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959, გვ. 174.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 175.

[4] აკად. ნ. მარი, ვფიქრობთ, უმართებულოდ მიიჩნევდა, რომ „გლეხი“ იქცა ძირად, საიდანაც წარმოიქმნა ძველ ქართულში „გლახაკი“, ახალში კი – „გლახა“ (ე. ი. გლეხიდან მომდინარეობსო „გლახა“) ცუდისა და უვარგისის მნიშვნელობით (Н. Марр, Батуми, Ардаган, Карс... Петроград, 1922, გვ. 31). საგულისხმოა, რომ ნ. მარს „გლახა“ „კოლხ“-თან დაკავშირებულად მიაჩნდა (Н. Марр, Об яфетической теории, Избр. работы, т. III, 13-14).

[5] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1966, გვ. 160.

[6] მ. ანდრონიკავშილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 301.

სპარსული ენის გილაჰ>გლახ>ქართული გლახ. სუფიქსი – აკ შესაძლებელია ქართულში დაერთო (შდრ. სახლ-აკი, წიგნ-აკი)[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ანდრონიკაშვილის ზემომოყვანილი დებულება, ჩვენი აზრით, ამაგრებს იმ მეცნიერთა მოსაზრებებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სოციალური ტერმინი „გლეხი" წარმოდგება „გლახისგან"[2]. შესაძლოა თავდაპირველად „გლეხი" „გლახის" ფონეტიკური ვარიანტი იყო[3], შემდგომში კი დამოუკიდებელი მნიშვნელობა მიიღო[4].

ამგვარად, ტერმინ „გლახაკის" მომდინარეობა-ევოლუცია საბოლოოდ ასე გვესახება:

საშ. სპარს. გილაჰ>გლახ>ქართ. გლახ>გლახაკი>გლეხი.

„გლახაკი" მოხსენიებულია ბევრ ქართულ წყაროში – ლიტერატურულ ძეგლებში, თუ დოკუმენტურ მასალებში. იაკობ ცურტაველის „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ", „მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ", იოვანე საბანისძის „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბოჲსი", ბასილი ზარზმელის „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი", გიორგი მერჩულეს „შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად-ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი" იხსენიებენ „გლახაკს" (არც იშვიათად). ეს ტერმინი დამოწმებულია ქართულ ოთხთავში, გიორგი მთაწმინდელის „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებაში", ისეთი ისტორიული ხასიათის შრომებში, როგორიცაა „მატიანე ქართლისა", „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი", ჟამთააღმწერლისა და ბერი ეგნატაშვილის თხზულებები. „გლახაკების" შესახებ ცნობებს გვაწვდიან სამართლებრივი ხასიათის ძეგლები: „შეწირულების სიგელი ბაგრატ IV-ისა შიომღვიმისადმი" (1057 წ.), „საქართველოს ეკლესიის შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა" (1178 წ.), შეწირულების სიგელი თამარ მეფისა გელათისადმი" (1188), „შეწირულების დაწერილი მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი" (1259 წ.), „პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი" (1084 წ.) და სხვ.

ნიშნავს თუ არა ასეთი რაოდენობის წყაროებში „გლახაკის" მოხსენიება იმას, რომ ჩვენი წყაროთმცოდნეობითი ბაზა მასალის სრულყოფილად შესწავლის საშუალებას გვაძლევდეს? სამწუხაროდ, არა. ყველა ზემოდასახელებულ თუ სხვა

---

[1] „გლეხი" და „გლახა" დიალექტურ ვარიანტებად მიაჩნია პროფ. ს. კაკაბაძეს. იხ. ვახტანგ გორგასალი, გვ. 6; მოსაზრება „გლეხის" „გლახასგან" წარმომავლობის შესახებ ამ ტერმინთა ფორმალური და სემანტიკური სიახლოვის გამო სარწმუნოდ მიაჩნია ა. ბოგვერაძეს (იხ. მისი, ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 123).

[2] იხ. ილ. აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1956, გვ. 167-175.

[3] მ. ანდრონიკაშვილი, დასახ. ნაშრ., იქვე.

[4] იხ. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა: „მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი, და ტყება ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულითგან ვიდრე გლახადმდე" (ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955 გვ. 53). „გლახა" მხოლოდ მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაშია", სხვა ვარიანტებში „გლახაკია". შემთხვევითი არ არის, რომ „გლახა" („გლახაკი") მოტანილ კონტექსტში წარჩინებულის საპირისპიროა და ნახმარია სოციალურად დაბალი ფენის „გლეხის" მნიშვნელობით.

წყაროებში „გლახაკის“ ან „გლახაკების“ შესახებ მოცემულია ერთფეროვანი და ერთმხრივი ცნობები. რაც შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა გლახაკთა ნასიმმავლობა, გაგლახაკების გზები, გლახაკთა კატეგორიები, მათთან სახელმწიფოს დამოკიდულებება, გლახაკთა ადგილი საზოგადოებაში, ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში ძალზე მკრთალად, ან სრულიად არ არის მოცემული. ეს, ბუნებრივია, ართულებს პრობლემის სრულყოფილ შესწავლას და საკითხით დაინტერესებულ მკვლევარს აიძულებს უყურადღებოდ არ დასტოვოს გლახაკობის შესახებ არსებული არც ერთი არაპირდაპირი ცნობაც კი, შეადაროს იგი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების იმდროინდელ ვითარებას, ანალოგიური სოციალური ფენის ცხოვრებას და მხოლოდ შემდეგ გააკეთოს გარკვეული დასკვნები.

ვინ იწოდებიან გლახაკებად? ვინ არიან ამ სახელწოდების მატარებლები?

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, როგორც ზემოთაც აღინიშნა, გლახაკები არიან შთამომავლობით ღარიბები („ესე არს მამადედით უქონელნი“), დავრდომილები და ღატაკები („რომელი სიმდიდრისაგან დაცემულ იყოს“)[1].

ა. შანიძე, იხილავს რა გიორგი მთაწმინდელის ენის საკითხებს „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით“, ჩერდება ტერმინზე „გლახაკი“ და თანდართულ ლექსიკონში ასე განმარტავს: „გლახაკ – 1. მათხოვარი..., 2. ღარიბი, უქონელი, 3. თავმდაბლობის აღმნიშვნელი სიტყვაა თავის თავზე ლაპარაკის დროს“[2].

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში – „გლახაკის“ შესახებ ნათქვამია – „იგივეა, რაც გლახა“, „გლახა“ კი განმარტებულია ასე: „ძალიან ღარიბი, ღატაკი, არაფრის მქონე (ადამიანი); მოწყალების მთხოვნელი, მათხოვარი“[3].

ილ. აბულაძე „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ „გლახაკს“ ასე ახასიათებს: „დავრდომილი, „გლეხი“; ღატაკი; მათხოვარი“[4].

ზემომოტანილი ყველა განმარტება სათანადო ისტორიულ მასალას ემყარება და გადმოგვცემს ჩვენთვის საინტერესო პერიოდში „გლახაკის“ მნიშვნელობას. ამასთან, არსებითად ეს განმარტებები (მიუხედავად იმისა, რომ ავტორები სხვადასხვა მასალის საფუძველზე განმარტავდნენ ტერმინს) ერთმანეთის მსგავსია (ძალზე მცირე სხვაობის გარდა) – გლახაკი მათხოვრის, ღატაკის, ქვრივ-ობლის ზოგადი სახელია. დასახელებული ლექსიკონები გვაძლევენ მხოლოდ ზოგად განმარტებას შესაფერი ტექსტოლოგიური ილუსტრაციითურთ, უფრო ღრმად კი არ მიდიან, რადგან ეს უკვე ლექსიკოლოგიური გამოკვლევის ფარგლებს სცილდება[5].

---

[1] ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1966, გვ. 160.

[2] ა. შანიძე, გიორგი მთაწმინდელის ენა იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით, წიგნი: გიორგი მთაწმინდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი (ივ. ჯავახიშვილის რედაქციით), თბ., 1946, გვ. 94.

[3] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), ტ. II (ტომის რედაქტორი გიორგი წერეთელი), თბ., 1951, სვეტი 1457.

[4] ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 94.

[5] „გლახაკის“ სინონიმად ძველ ქართულში ჩანს ტერმინი „მკოდოვანი“ ს.-ს. ორბელიანს „მკოდოვანი“ განმარტებული აქვს როგორც „ფრიად გლახაკი“ (იხ. მისი ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1966, გვ. 488). ასევეა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში (ტ. V, თბ., 1958, სვეტი

III

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიტანთ ქართულ წყაროებში „გლახაკის“ დამოწმების მაგალითებს ჯერ ტერმინოლოგიური თვალსაზრისით:

წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ:

„... და ვინ სთესა-მოიმკო, და ვინ განაბნია გლახაკთათჳს – შეიკრიბა“[1].

„... შემვედრა მე, კაცი ცოდვილი და გლახაკი ესე“[2].

მარტჳლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ?

„... ხოლო უბადრუკი პანგუშნასპ გლახაკობითა აგნა დღენი, რომელთა პური საჭმლად არა აქუნდა და ჴორცთა საფარველი სამოსლად არა ჰქონდა“[3].

წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲსი“:

„... ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქუეშე დამონებულ[ნ]ი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი“[4].

ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი:

„... რამეთუ თავადი მეუფე და ღმერთი ჩუენი ჰნატრის მათ ბრძანებათა შინა სახარებისათა, იტყოდის რა: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა“[5].

„... იგი ჰკითხვიდა ვინაობასა, ანუ რაჲმე არიან საქმენი მათნი, რომელნი ესევითარითა სიგლახაკითა იხილვებიან“[6].

შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად-ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი:

„... და ესრეთი მიიღის საზრდელი საგლახაკოჲ ჴორცთა თჳსთა განსამტკიცებლად ნეტარმან გრიგოლ, მდაბალმან გულითა და გლახაკმან სულითა...“[7].

---

538). ი. აბულაძეს „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ მოტანილი აქვს ტერმინი „მკოდოვი“ და განმარტებული აქვს, როგორც „ღარიბი, ღატაკი“ (გვ. 254).

1 იაკობ ცურტაველი, წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (ილია აბულაძის რედაქციით), I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1964, გვ. 27.

2 იქვე, გვ. 28.

3 მარტჳლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (ილია აბულაძის რედაქციით), I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1964, გვ. 34.

4 იოვანე საბანისძე, წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲსი..., ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (ილია აბულაძის რედაქციით), I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1964, გვ. 50.

5 ბასილ ზარზმელი, ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (ილია აბულაძის რედაქთიი), I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1964, გვ. 319.

6 იქვე, გვ. 325.

7 გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად-ცხორებისა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (ილია აბულაძის რედაქციით), I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1964, გვ. 250.

„... და ნუგეშინის-ცემაჲ გლახაკთაჲ და ყოვლისა ერისა სიმართლით განკითხვაჲ სიტყვისაებრ უფლისა“[1].

„... ეგრეთცა გლახაკთა ნაწილი თქუენ მიერ განწესებულ არს რაჲთა ნაცვლად უფალი თქუენ მიერ განწესებულ არს რაჲთა ნაცვლად უფალი მოიგოთ სასოდ ორისავე ცხორებისა, რამეთუ გლახაკთა არაჲ აქუთ თჳნიერ ღმრთისა სახიერისა მოწყალებისაჲ“[2].

„... განგებასა ღმრთისასა ესე ჩვეულებაჲ აქუს, რაჲთა წმიდათა მათ უდაბნოთა მონასტერნი ჴელითა გლახაკთაჲთა აღაშენნეს“[3].

ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი:

„... მსგავსად აბრაჰამისა, უცხოება აღირჩია და მწირობით და სიგლახაკით ცხორება“[4].

„... ყოველსა ქუეყანასა სწყალობენ და ყოველთა გლახაკთა ეურვიან“[5].

... პოვა ვინმე გლახაკი, რომელი ითხოვდა ქველის – საქმარსა“[6].

„... გლახაკი ესე ერისკაცი ვიყავ“[7].

ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი:

„... ხოლო გლახაკთათჳს განეჩინნეს სარწმუნონი ზედამდგომელნი, და ყოვლისა სამეფოსა მისისა შემოსავალნი, რაცა იყო შინათ და გარეთ, ყოვლისა ნაათალი გლახაკთა მიეცემოდა...“[8].

ჟამთააღმწერლის თხზულება:

„... იხილეს გლახაკი, და მისცეს ქველის საქმე ოვსთა“[9].

„... გლახაკო, ევედრე ღმერთსა, რათა დღეს ჩუენი და სურამელის ბეგას შვილის ჴრმალი ერთგან შეიყარნენ“[10].

ახალი ქართლის ცხოვრება:

„... და ამას ჟამსა შინა იყო ქართლი ფრიად გლახაკი და საჴმართაგან ულონო“[11].

---

[1] გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად-ცხორებისა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (ილია აბულაძის რედაქციით), I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1964, გვ. 276.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 269.

[4] გიორგი მთაწმინდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი (ივ. ჯავახიშვილის რედაქციით), თბ., 1946, გვ. 24.

[5] იქვე, გვ. 26.

[6] იქვე, გვ. 48.

[7] იქვე, გვ. 24.

[8] ბასილი ეზოსმოძღუარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 147.

[9] ჟამთააღმწერელი, „მესამეოცდახუთე მეფე ქართლისა დავით, ძე დიმიტრი მეფისა, ბაგრატოანი“, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 297

[10] იქვე, გვ. 298.

[11] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება (მეფე ლუარსაბ), ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 384.

ჩვენ სრულიად შეგნებულად მოგვაქვს უხვი საილუსტრაციო მასალა „გლახაკის“ მოხსენიებისა ქართულ წყაროებში. სამართლებრივი ხასიათის ძეგლებიდან ამგვარსავე ციტირებაზე ამჯერად თავს ვიკავებთ, აღვნიშნავთ კი, რომ „გლახაკის“ დამოწმება იქაც გვაქვს (შესაბამის პერიოდში).

პირველი დასკვნა ასეთია: ტერმინები „გლახაკი“, „გლახაკნი“, „საგლახაკო“ გვხვდება ქართულ ლიტერატურულ, ისტორიულ თუ სამართლებრივ წყაროებში V საუკუნიდან XVIII საუკუნემდე („გლახა“ და „გლახაკი“ შემდგომი პერიოდის ლიტერატურულ ძეგლებშიც გვხვდება, მაგრამ ამჯერად ეს არ შედის ჩვენი ინტერესის სფეროში).

ამასთან ტერმინი „გლახაკი“ გვხვდება ორი ძირითადი შინაარსით; 1. გლახაკი – ღარიბ-ღატაკი. ამ შემთხვევაში გლახაკობა განპირობებულია ეკონომიური ფაქტორით – სიდუხჭირით. ამ ტიპის გლახაკები კი შეადგენენ გარკვეულ სოციალურ ფენას (კატეგორიას); 2. გლახაკი – ღვთისმსახური. ამ კატეგორიის გლახაკებმა სიღატაკე თვითვე აირჩიეს ცხოვრების იდეალად (ორივე ამ კატეგორიაზე ქვემოთ შევჩერდებით საგანგებოდ). აქვე აღვნიშნავთ, რომ ამავე ქრონოლოგიურ პერიოდში „გლახაკი“ გვხვდება თავის დამდაბლების აღმნიშვნელ სიტყვადაც (ეს ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებულ მასალაშიც ჩანს). ასე მაგალითად: „შემვედრა მე, კაცი ცოდვილი და გლახაკი ესე“ (იაკობ ცურტაველი), „გლახაკი ესე ერისკაცი ვიყავ“, „ჩუენ გლახაკთა გკბოძა“. „აღწერილი გლახაკისა გიორგის მიერ“ (გიორგი მთაწმინდელი) და სხვ. ყველა აქ მოტანილ შემთხვევაში „გლახაკი“ არ შეესაბამება თავის პირდაპირ მნიშვნელობას, არ გულიხმობს ღარიბს, ღატაკს და მისთ. გიორგი მთაწმინდელი, როცა ამბობს „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“ აღწერილია „გლახაკისა გიორგის მიერ“-ო, იგი თავმდაბლურად გვთავაზობს მის მიერ შესრულებულ შრომას და ერთგვარად იმცირებს (რასაკვირველია, შენგებულად) თავს მისი აღწერის ობიექტის (იოვანეს და ეფთვიმეს) მიმართ. ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე ზემომოტანილ სხვა შემთხვევებშიც. მსგავსი მაგალითების მოტანა ბევრის შეიძლება. დასკვნა კი ასეთია: ქართულ წყაროებში გლახაკებად მოხსენებული პირების ერთი ნაწილი (განსაკუთრებით ხშირად ამგვარი ხსენება პირველ პირში გვაქვს) თავისი მდგომარეობით არ შეესაბამება ამ ტერმინში ჩადებულ რეალურ შინაარსს. უმეტესწილად ამგვარი პირები თავისი არსებით საზოგადოების მაღალ ფენებს ეკუთვნოდნენ და დეკლასირებული ელემენტებიდან (რეალური გლახაკებიდან) შორს იდგნენ.

„გლახაკი“ ისტორიულ წყაროებში მდიდრის საწინააღმდეგო ცნებადაა მოხსენებული. „მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი, და ტყება ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულითგან ვიდრე გლახადმდე“[1] – ლეონტი მროველს აქ „გლახანი“ წარჩინებულთა საპირისპიროდ საზოგადოების უკიდურესად დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხად ჰყავს წარმოდგენილი ტერმინ „გლახაკნის“ ქვეშ ბეჩავი, ომებისაგან დაჭირვებული მოსახლეობა აქვს ნაგულისხმევი სუმბატ დავითის ძეს:

---

[1] ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 53.

„წარვიდა (მარიამ დედოფალი – რ. მ.) კონსტანტინეპოლედ წინაშე რომანოზ მეფისა, ვედრებად მისა, რათა მშჳდობა ყოს აღმოსავლეთისათჳს და რათა არ არარა იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა, და გლახაკნი დაწყნარებულ და მყუდრო იყვნენ"[1]. წარმოების საშუალებებს მოკლებული პირის მნიშვნელობითაა მოხსენიებული „გლახაკი" იოანე მოსხის „ლიმონარში": „და ოდეს იხილეს ვინმე კაცი გლახაკი, რომელსა ფარნი არა უდგანედ და თესლი არა უქუნ, და ვერ შემძლებელ არნ საქმედ აგარაკისა თჳსისა, წარვიდის იგი თჳნიერ ცნობისა მისისა და კეთილად მოქმნის აგარაკი იგი მისი და დასთესის თესლი და დაუტევის"[2].

საგულისხმოა, რომ გიორგი მერჩულეს თხზულებაში „გლახაკად" მოიხსენება ის პირი („ლირბი"), რომელსაც სამი გრივი ფეტვით და ხუთი თხით მოისყიდიან და გრიგოლ ხანძთელის მოსაკლავად უბიძგებენ. აქ ჩვენ საქმე გვაქვს მეკობრეობის ზღურბლზე მყოფ, ან უკვე ჩამოყალიბებულ (დეკლასირებულ) მეკობრესთან (განსხვავებით კონცეფტუალური, ან კიდევ ჩვეულებრივი რეალური გლახაკისაგან)[3].

ამდენად, ბუნებრივია, ტერმინ „გლახაკში" ჩადებული გადატანითი მნიშვნელობები და თვით ის პირებიც, რომლებიც „გლახაკად" მხოლოდ გარკვეული მოსაზრებით იწოდებიან, ამჯერად არ არიან ჩვენთვის საინტერესონი და მათზე არ შევჩერდებით.

IV

განვიხილოთ გლახაკთა ორი ძირითადი კატეგორია.

I – ნებით გლახაკები ანუ ის პირები, რომლებმაც გლახაკობა ცხოვრების იდეალად გაიხადეს. ამგვარი გლახაკობა კონცეფტუალურ საფუძველზეა აღმოცენებული. ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნებით გლახაკების წარმოშობა დაკავშირებული უნდა იყოს მძლავრ რელიგიურ პროპაგანდასთან, რომელიც „სახარებიდან" ხმამაღლა აცხადებდა, რომ „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა", რომელიც ადამიანებისგან მოითხოვდა ყოველგვარი ამქვეყნიური სიამოვნებისათვის ზურგის შექცევას, განმარტოებასა და ლოცვა-კურთხევით სულიერი სიმშვიდის მოპოვებას.

რელიგიური პროპაგანდის სოციალურ-ანგარებითი ხასიათი აშკარა გახდა ფეოდალიზმის დროს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ეკლესიის მსახურნი თვითვე გახდნენ ექსპლუატატორული კლასის მნიშვნელოვანი ფენა. თავის მხრივ რელიგიური პროპაგანდა ავსებდა საერო ფეოდალთა – ამ მმართველი კლასის

---

[1] სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 386.

[2] იოანე მოსხი, ლიმონარი, ი. აბულაძის რედაქციით, თბ. 1960, გვ. 8.

[3] უნდა შევნიშნოთ, რომ „გლახის" მნიშვნელობით თავდაპირველად გამოყენებული ყოფილა „გლეხიც". ამაზე ვრცლად იხ. ილ. აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან; ელ. დოჩანაშვილი, მასალები ადიშის ოთხთავის წარმომავლობისათვის, კრებ., მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 32, თბ., 1955, გვ. 202; ა. ბოგვერაძე, ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 121-124.

მცდელობას, მისთვის სასარგებლო გავლენა მოეხდინა საზოგადოების მსოფლმხედველობაზე[1]. სწორედ ამგვარი ზრუნვით აღწევს მმართველი ორგანოები სახელმწიფო ხელისუფლების „ღვთიურად" წარმოდგენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან არ გამოვრიცხავთ იმ გარემოებასაც, რომ ამა თუ იმ პირს გლახაკობისკენ გარკვეულ ბიძგს მძიმე ეკონომიური მდგომარეობა აძლევდა. ასე რომ, ამ „ნებით გლახაკებში"[2] უნდა განვასხვაოთ ორი ქვეჯგუფი: ა) გლახაკები, რომლებმაც თვითონ აირჩიეს (ისურვეს) გლახაკობა (სიღარიბე), რათა ამ გზით მიეღწიათ „სულის ნეტარებისათვის", ზნეობრივად სრულნი და უმანკო გამხდარიყვნენ და ბ) გლახაკები, რომლებიც გარეგნულად თითქოს ნებით მოექცნენ ასეთ მდგომარეობაში, მაგრამ არსებითად მათი გლახაკობა განპირობებული იყო მწვავე ეკონომიური უსახსრობით (სიღატაკით), ან მძიმე ფიზიკური ნაკლით (ეკონომიურ გაჭირვებასთან ერთად). მოყვანილ კონკრეტულ შემთხვევაში სიგლახაკე შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ინტელექტუალურ, მორალურ, ეკონომიურ და რელიგიურ ცნებათა კომპლექსი.

მიმოიხილა რა ქრისტიანობისა და სამონასტრო მოძრაობის თავდაპირველი იდეალები ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა, რომ ქართველი ხალხის ძირითადი ზნეობრივი შეხედულება „სახარების" მოძღვრებაზე იყო დამყარებული[3]. რაც შეეხება „სახარების" ზნეობრივ იდეალს, იგი ასე შეიძლება გამოვხატოთ: ადამიანი ისეთივე სპეტაკი და უნაკლო უნდა იყოს, როგორც მამაზეციერი, სიყვარულით უნდა მოეპყრას თავის მოყვასს, განსაკუთრებით უძლურსა და გლახაკს (მშიერს, მწყურვალს, შიშველს, სნეულს, შეპყრობილს)[4]. „სახარების" მიხედვით, ქრისტეს უმთავრესი ზნეობრივი ცნება ქველმოქმედება იყო. მაგრამ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო კონკრეტულად ამ ქველმოქმედების ობიექტი. ვინ ითვლებოდა გლახაკად იმდროინდელი ქრისტიანული დოგმატებით? საგულისხმოა თესალონიკელთა მიმართ პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლეში ერთი ადგილი: „და არცაღა ცუდად პური ვისგანმე ვჭამეთ, არამედ შრომითა და რუდუნებითა ღამე და დღე ვიქმოდეთ, რაჲთა არავის თქუენგანსა დაუმძიმოთ"[5]. შემდეგ კი ასეთ გამოკვეთილ დებულებას იძლევა ეპისტოლე: „უკუეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჭამნ"[6]. პავლე მოციქული ამგვარ კატეგორიულ თეზისს თესალონიკელებს სთავაზობს

---

[1] იხ. С. Д. Сказкин, В. В. Самаркин, Дольчино и библия (к вопросу о толковании „Священного писания" как способа революционной пропаганды в средневековье), сб. „Средние века", 38, М. 1975, стр. 84-99; Э. Ф. Иванян, Социальная роль средневековой религиозной пропаганды, „Вопросы истории", 1973, № 2, стр. 125.

[2] გრ. ხანძთელს ასე მიმართავენ: „ნებსით გლახაკო...", გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუანებაჲ ღირსად-ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, იგივე გამოცემა, გვ. 314.

[3] იხ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, თბ., 1929, გვ. 43.

[4] იხ.: წმიდაჲ ოთხთავი, სახარებაჲ მათესი, თბ., 1963, გვ. 63 (თავი XXV, 35-40).

[5] ახალი აღთქუმაჲ... თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პავლესი, თბ., 1963, გვ. 495 (თავი III, 8).

[6] იქვე, თავი III, 10; ამ წინადადებას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა. იხ. მისი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, თბ., 1929, გვ. 23-24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარკვეული მიზეზით: „რამეთუ მესმის ვიეთთჳსმე, რომელნი იქცევიან თქუენ შორის უწესოდ, არარას იქმან, არამედ მიმოიწულილვენ“[1]. პავლე მოციქულის მოთხოვნა ისეთია, რომ ადამიანები „თჳსსა პურსა ჭამდენ“[2].

საქართველოს სინამდვილეში დასტურდება პავლე მოციქულის ამ მოძღვრების გავრცელება და მისი იდეალად, სამოქმედო პროგრამად გახდა. როცა გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელს გვიხასიათებს, აღნიშნავს: „ხოლო შრომაჲ დიდად უყუარდა არა ხოლო ლოცვისა და მარხჳსაჲ ოდენ, არამედ დღე და ღამე ჴელითა თჳსითა იქმოდა, ვითარცა იტყჳს პავლე: „რომელი არა შურებოდის, ნუღაცა ჭამნ“-ო. და იყო იგი მხიარულად მესტუმრე და გლახაკთ-მოლუაწე“[3]. აქედან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში პავლე მოციქულის მოძღვრება (კერძოდ, მისი არსებითი მხარეები), არათუ უბრალოდ ყოფილა გავრცელებული, არამედ იდეალადაც ისახავდნენ მას ქრისტიანობისა და სამონასტრო ცხოვრების განმტკიცების გზაზე.

თუ ჩვენ მოცემული მოძღვრების შუქზე განვიხილავთ საკითხს, გამოდის, რომ ყველა შრომისუნარიანს უნდა ემუშავა და თავისი თავი გამოეკვება. ამგვარად, „სახარების“ მიერ შემოთავაზებული დებულებები არ ამართლებენ იმ პირებს, რომელთაც მათხოვრობა-გლახაკობა ხელობად გაუხდიათ და ამ გზით ცხოვრობენ. ამისთანებს უკიჟინებს პავლე მოციქული „უწესობას“. ეს უწესობა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ „არარას იქმან, არამედ მიმოიწულილვენ“, ე. ი. გლახაკობდნენ და ქველმოქმედების შემყურენი იყვნენ, თუმცა ამგვარ პირებს არავითარი ზნეობრივი უფლება არ ჰქონიათ ქველმოქმედების მიღებისა. ასე რომ, დახმარების მიღება შეეძლო, ან უფრო სწორად დახმარების ღირსი შეიძლება ყოფილიყო უძლური, სნეული, ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანი. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს[4], რომ ამ ჯგუფს გარდა, ქველმოქმედების მიღების ზნეობრივი უფლება ჰქონდათ იმ პირებსაც, რომელნიც სინდისიერად შრომობდნენ, მაგრამ მაინც ხელმოკლედ, გაჭირვებით ცხოვრობდნენ, თავიანთი წვრილშვილობის გამო (ზოგიერთს ქრისტიანთა კრებულში საქმიანობა იმდენ დროს ართმევდა, რომ ლუკმაპურის საშოვნელად დრო აღარ რჩებოდათ)[5].

ქრისტიანულ საზოგადოებაზე დიდი გავლენა იქონია ისეთმა მიმდინარეობამ, რომელიც მორწმუნეთა უდაბნოში გახიზვნას გულისხმობდა. ამგვარი მოქმედების

---

[1] ახალი აღთქუმაჲ... თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პავლესი, თბ., 1963, თავი III, 11.

[2] იქვე, თავი III, 12.

[3] გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად-ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, იგივე გამოცემა, გვ. 308.

[4] იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

[5] ასეთ კონკრეტულ შემთხვევაში ქრისტიანობა არ კრძალავდა ქველმოქმედების მიღებას. მაგალითად: მათეს სახარება გვამცნობს: „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა“ (წმიდაჲ ოთხთავი, სახარებაჲ მათესი, თავი X, 10, თბ., 1963, გვ. 23). ლუკას სახარება უფრო მკვეთრად გადმოგვცემს იგივეს: „მასვე სახლსა შინა იყვენით, ჭამდით და სუემდით მათ თანა, რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა“ (იქვე, სახარებაჲ ლუკაჲსი, თავი X, 7, გვ. 150).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზანი ის იყო, რომ ამ ე. წ. მეუდაბნოებს ზურგი შეექციათ წუთისოფლისათვის და „მაცდური ქვეყანა“ თვალიდან მოეშორებინათ.

მეუდაბნოენი სტოვებდნენ თავიანთ მიწა-წყალს, უარს ამბობდნენ კერძო საკუთრებაზე და გლახაკობას იწყებდნენ. ისინი მოსახლეობის მიერ მიწოდებული სურსათ-სანოვაგით იკვებებოდნენ. ამგვარად, „მეუდაბნოენი და მონაზვნებიც მიემატნენ იმ ჯგუფს, რომელიც საზოგადოების ქველმოქმედებით სარგებლობდა“[1]. გლახაკები და მონაზვნები მხოლოდ იმ ნიშნით შეადგენდნენ საქველმოქმედო კონტიგენტს, რომ ერთნიც და მეორენიც უსახსრონი იყვნენ. თავის მხრივ, მათთვის საკვების მიწოდება მოსახლეობაში მიღებული ყოფილა. შევნიშნავთ, რომ ზოგჯერ მონაზვნებიც გლახაკებად იწოდებოდნენ[2]. სრული სიღარიბე და უპოვარება მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სამონასტრო ცხოვრებაში. აი, გრიგოლ ხანძთელის დებულება ჭეშმარიტ მონაზონთა მოქმედების შესახებ: „ჭეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არა ვისსა ჴელმწიფებას ქუეშე არიან, ვინაჲთგან მოჰრიდეს საშუებელთა საწუთროჲსათა ნებსით და აღირჩიეს ღმრთისათჳს მწუხარებაჲ ადგილთა გლოვისათა, მსგავსად პირველთა მათ მამათა წმიდათა, რომელთა სიგლახაკესა შინა... აღაშჱნნეს წმიდანი უდაბნონი...“[3] საგულისხმოა, რომ, იმდროინდელი ქრისტიანული დოგმატების მიხედვით, მონასტრები უნდა ეშენებინათ სწორედ გლახაკებს, „რომელნიცა სრულიად თავისუფალ იქმნნეს სოფლისა საცთურთაგან“[4], ცალკეულ პირებს, თვით მეფეებსაც კი მონასტრების აგების უფლება არა ჰქონდათ. გრიგოლ ხანძთელს მიაჩნია, რომ მეფეებს ღვთისგან მინიჭებული აქვთ მხოლოდ საეპისკოპოსო ეკლესიების აშენების უფლება. ამგვარად, ნებით გლახაკობა (სიღატაკე) არის „ხარისხი“, რომელიც (ისე, როგორც კეთილშობილება, თავისუფლება) გამოჰყოფს ამ სახელის მატარებლის ინდივიდუალურ მდგომარეობას.

ჭეშმარიტი კონცეფტუალური გლახაკობისათვის საჭიროა პიროვნება შეემზადოს, მიიღოს ე. წ. „საზრდელი საგლახაკოჲ“. რა არის საზრდელი საგლახაკოჲ? ამგვარი გამოთქმა-ტერმინი გიორგი მერჩულესთან გვაქვს დამოწმებული. კერძოდ, როცა გრიგოლ ხანძთელზეა ლაპარაკი, გადმოცემულია: „და ესრჱთ მიიღის საზრდელი საგლახაკოჲ ჴორცთა თჳსთა განსამტკიცებელად ნეტარმან გრიგოლ“[5]. „საზრდელი“ ძველ ქართულში ნიშნავს სარჩოს, საზრდოს, საკვებს[6], ე. ი. გრიგოლ ხანძთელს „ჴორცთა თჳსთა განსამტკიცებელად“ საგლახაკო საზრდო მიუღია. როგორ გავიგოთ ეს საგლახაკო საზრდოს მიღება? ბუნებრივია, ზემომოცემულ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

[2] იქვე, გვ. 31.

[3] გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად-ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, იგივე გამოცემა, გვ. 269-270.

[4] იქვე, გვ. 269.

[5] იქვე, გვ. 133.

[6] იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით). ტ. VI, სვეტი 594; ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 357; ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი (ა. შანიძის რედაქციით), თბ., 1948-1949, გვ. 505.

სინამდვილეში საქმე გვაქვს ქრისტიანული რელიგიის სამსახურში შემსვლელის გარკვეულ მომზადებასთან. მოვიტანოთ სწორედ ქრისტიანულ ძეგლებში ტერმინ „საზრდელის“ მოხსენების ფაქტები. მივმართოთ „ოთხთავის“ ქართულ თარგმანს: „... რომელი დაადგინოს უფალმან თჳსმან მონათა თჳსთა ზედა მიცემად საზრდელი მათი ჟამსა თჳსსა“[1], „საზრდელი“ იოანეს სახარებაშიცაა დამოწმებული „იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, რომელიც ჰგიეს ცხოვრებად საუკუნოდ“[2]. მათეს სახარებაში უფრო მკვეთრადაა ამ ცნების არსი მოცემული: „ნუ ჰზრუნავთ სულისა თქუენისათჳს, რაჲ სჭამოთ და რაჲ ჰსუათ, ნუცა ჴორცთა თქუენთათჳს, რა შეიმოსოვ. ანუ არა სული უფროჲს არს საზრდელისა და გუამი სამოსლისა?“[3]. ჩვენს მიერ მოტანილ შემთხვევაში გრიგოლ ხანძთელს „ჴორცთა თჳსთა განსამტკიცებელად“ სჭირდება თავის მომზადება. გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელს გვიხასიათებს როგორც სათნო და კეთილ პიროვნებას. იგი არ ყოფილა „მზუაობარ და ჭამადთა გულისსათქუმელთა მოყუარე, არამედ თავით თჳსით დანიელ წინაჲსწარმეტყუელისსა სიტყუასა იტყჳენ, ვითარმედ „პური გულის-სათქუმელი არა ვჭამო“[4]. ასეთი პიროვნებისათვის სულიერად ამაღლების აუცილებელი პირობაა „საზრდელი საგლახაკო“, რომლის მიღების შემდეგ „ნერგი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისაჲ აღორძინდა სულსა მისსა“[5]. საფიქრებელია, რომ გრიგოლ ხანძთელის მიერ „საზრდელი საგლახაკოჲს“ მიღება ამქვეყნიურ მიწიერ სიამოვნებაზე ხელის აღებას [იგი ხომ წარჩინებულთა (დიდებულთა) ოჯახის შვილი – ნერსე ერისთავის კარზე აღზრდილი იყო და, ბუნებრივია, მატერიალურად მისი მდგომარეობა სახარბიელო იქნებოდა] და კონცეფტუალური გლახაკობისაკენ სწრაფვას ნიშნავს. ასე რომ გრიგოლ ხანძთელისთვის „საზრდელი საგლახაკოჲ“ ის აუცილებელი კომპონენტი იყო, რომელიც გზას უხსნიდა მაღალი საეკლესიო მოღვაწეობისაკენ.

ამგვარად, „საზრდელი საგლახაკოჲს“ მიღება, როგორც ზოგადად (იხ. „წმიდა ოთხთავი“), ისე კონკრეტულად ქართულ სინამდვილეში (იხ. გ. მერჩულეს თხზულება), რელიგიური სამსახურისათვის (ღვთისმსახურებისათვის) სულიერ მომზადებას გულისხმობდა. ამ უკანასკნელის (სულიერი მომზადების) არსი უშუალოდ გამომდინარეობდა ორთოდოქსალური ქრისტიანული მოძღვრებიდან, რომელიც ადამიანებს განმარტოების, სიღატაკისა („ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა“) და ღვთისათვის ლოცვა-კურთხევისკენ მოუწოდებდა.

წყაროებში აქა-იქ გაბნეული მასალის შემწეობით, შესაძლებელი ხდება გლახაკთა მდგომარეობის ცალკეული ნიუანსების გარკვევა (საერთოდ მათი

---

[1] სახარებაჲ მათესი, წმიდაჲ ოთხთავი, თბ., 1963, გვ. 61 (თავი 24, 45).

[2] სახარებაჲ იოანესი, წმიდაჲ ოთხთავი, თბ., 1963, გვ. 209 (თავი VI, 27).

[3] სახარებაჲ მათესი, იქვე (თავი VII, 25) შდრ. სახარებაჲ ლუკაჲსი, თავი 12, 23 („სული უფროჲს არს საზრდელისა და ხორცნი სამოსლისა“).

[4] გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად-ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, იგივე გამოცემა, გვ. 250.

[5] იქვე.

მძიმე ეკონომიური მდგომარეობა თვალნათელია). გიორგი III-ის მიერ გაცემულ საქართველოს ეკლესიის შეუვალობის განახლების სიგელში ნათქვამია: „ამისათვის განვაჩინეთ კაცნი ყოველგან და განვაგეთ გულსმოდგინედ შეკაზმვაჲ და განთავისუფლებაჲ წმიდათა ღმრთისა ეკლესიათაჲ და გლახაკთაჲ...“[1]. ორბელთა ამბოხების (1177-1178 წწ.) ჩახშობის შემდეგ დედაქალაქში მობრუნებულ გიორგი III-ს საეკლესიო კრება დახვდა, რომელმაც მეფეს საგადასახადო შეუვალობა მოსთხოვა. როგორც ჩანს, ეკლესიები მძიმედ იყვნენ დაბეგრილნი. შესაბამისად გლახაკების მდგომარეობაც გაუარესდა. საფიქრებელია, რომ სამღვდელობამ მეფის წინაშე წაყენებულ მოთხოვნებში გლახაკების მდგომარეობაზეც გააკეთა აქცენტი (XII საუკუნეში სხვადასხვა კატეგორიის გლახაკები მრავალრიცხოვანნი იყვნენ!) და გიორგი III-მაც ამიტომ ხაზგამით აღნიშნა სიგელში „განთავისუფლებაჲ წმიდათა ღმრთისა ეკლესიათაჲ და გლახაკთაჲ“.

საინტერესოა ერთი ადგილი „განგებაჲ ვაჰანის ქუაბთაჲ“-ში: „არვის ძმათაგანსა ჴელეწიფების მონასტერსა ამას შინა ვაჭრობად და თავნობად ანუ მოფარდულობად ღჳნისა... არცა ვახშად და აღნადგინებად გაცემაჲ საჴმარითაჲ მსოფლიოთა, გინა დაჭირებულთა ზედა და სისხლითა გლახაკთაჲთა განმდიდრებაჲ რომელი ესე დიდისა უწესოებისა არს საზღვარ და დასასრულ ანგაჰარებითისა სიბოროტისა და ვაჭრობისა უძჳრეს არს“[2]. ამ დოკუმენტში ხაზგასმა, რომ იკრძალებოდა „სისხლითა გლახაკთაჲთა განმდიდრება „თავისთავად მიგვანიშნებს ამგვარი მოვლენის არსებობაზე, ე. ი. გლახაკთა გარკვეულ ექსპლოატაციასა და მეტად დაჭირვებულ მდგომარეობაზე.

ამგვარად, ნებით გლახაკები, გარდა თავისი ეკონომიური სიღატაკისა, ზოგჯერ ექცეოდნენ კლასობრივი თუ შინაკლასობრივი ბრძოლების არეში, რაც მათ მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა.

გლახაკთა მდგომარეობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მათ სასარგებლოდ დაწესებული საქველმოქმედო ღონისძიებები, რომელთა შესახებ ქვემოთ საგანგებოდ შევრჩერდებით.

გლახაკობის სოციალური და მორალური პრობლემა არსებითად უნივერსალური ხასიათისაა, ამასთან ზოგადი (მსოფლიო მასშტაბით) და საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მდგრადიც. ამდენად, ყოველ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში სასურველია პარალელის გავლება შესაბამისი ეპოქის ანალოგიურ მოვლენებთან სხვა ქვეყნებში. თვით სიღატაკე-გლახაკობის ქრისტიანული (მონაზვნური) კონცეფცია მომდინარეობს, ერთი მხრივ, ბიზანტიიდან, ხოლო, მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან.

ჩვენს მიერ გლახაკთა საერთო ფენიდან გამოყოფილი ე. წ. ნებით გლახაკები (კონცეფტუალური გლახაკები) შუა საუკუნეების მთელს მანძილზე ჩანან. ამას-

---

[1] საქართველოს ეკლესიის შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა, ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, II, თბ., 1965, გვ. 24.

[2] განგებაჲ ვაჰანის ქუაბთაჲ, ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, III, თბ., 1970, გვ. 141.

თან ამგვარ გლახაკთა ერთი ნაწილის მსოფლმხედველობაზე (მათი გლახაკობისაკენ მისწრაფებაზე) გავლენა იქონია ეკონომიურმა მდგომარეობამ. კლასობრივი (ფეოდალური) საზოგადოება, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოში მთელი სიმძაფრით ვითარდებოდა და მოსახლეობის ფართო ფენებს მძიმე ეკონომიურ მარწუხებში აქცევდა; ეს კი თავის მხრივ (მკვეთრად ჩამოყალიბებულ რელიგიურ მოძღვრებასთან ერთად) გლახაკობისკენ უბიძგებდა მათ. ასე რომ, ამ კატეგორიის გლახაკობის გამომწვევი მიზეზი რელიგიურ რწმენასა და არსებული ეკონომიური მდგომარეობის კომპლექსში უნდა ვეძებოთ.

II – იძულებით გლახაკები, ანუ ის პირები, რომლებიც გლახაკობამდე მიიყვანა (რასაკვირველია, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ), ეკონომიურმა მდგომარეობამ, ან რაიმე მნიშვნელოვანმა ფიზიკურმა ნაკლმა.

ამგვარი გლახაკები საერთოდაა დამახასიათებელი სოციალიზმამდელი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციებისათვის. აქ საჭიროდ ვთვლით მოვიტანოთ ფრანგი მეცნიერების მოსაზრებები გლახაკობის წარმოშობის გზების შესახებ. შუა საუკუნეების ევროპაში ინარჩუნებდა რა თავის მნიშვნელობას სიტყვა pauper (გლახაკი), ამასთან იგი იღებდა იურიდიულ მნიშვნელობასაც (ისე როგორც ეკონომიურს, მორალურს ან ფიზიკურს). ეს იმით აიხსნება, რომ სოციალური სიღატაკე ხასიათდება უიმედობით, პირობების არამდგრადობით. პირობების ცვალებადობას შეეძლო დაერღვია თანაფარდობა მოთხოვნილებებსა და რესურსებს შორის. მ. მოლა ამ თანაფარდობის დამრღვევ შესაძლებელ მიზეზს ასახელებს: 1. არსებობის საშუალებათა განადგურება ბუნებრივი უბედურების, ხანძრის, ომებისა და ძარცვის შედეგად; 2. გაზრდილი შობადობა, მემკვიდრეობის გაყოფის პრობლემა [უმცროსი ვაჟებისა („qualite") და უკანონო შვილების]. ხომ არ იყო შობადობა უფრო დიდი გლახაკებში, ვიდრე მოსახლეობის სხვა ფენებში? 3. თავისუფლების დაკარგვა; 4. ფიზიკური შრომისუუნარობა (უბედური შემთხვევები, სიბერე, ავადმყოფობა); 5. მშობლებისა და ნათესავების მხრიდან მხარდაჭერის არარსებობა („amis charnels"); 6. სოციალური დანაკარგების ხარისხი (არქონება შრომის საშუალებებისა და სხვ.)[1]. ზემოჩამოთვლილი მიზეზების გამო, მ. მოლას ვარაუდით, ადამიანი დეკლასირდება, გამოირიცხება თავისი წრიდან (ფენიდან) და განწირულია მაწანწალობისა და ემიგრაციისათვის. Pauper-ი (გლახაკი) კავშირებს მოწყვეტილია, ეულია. ფრანგი მეცნიერის მიერ მოტანილი მიზეზები გაგლახაკებისა მართებულია. მაგრამ აუცილებელია შევნიშნოთ არსებითზე – ამ მიზეზების მიზეზზე: სოციალურ ურთიერთობებზე, კლასობრივი ბრძოლის როლზე, ერთი სიტყვით გლახაკობის კლასობრივ ხასიათზე, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გლახაკობის – როგორც მოვლენის ზოგადი ახსნის საქმეში. არც ფეოდალურ საქართველო წარმოადგენდა ამ მხრივ გამონაკლისს. წარმოე-

---

[1] იხ.: М. Молла, Бедные и средневековое общество, доклад на XIII международном конгрессе исторических наук, Москва, 16-18 августа, 1970, Изд. „Наука", стр. 8-9. საინტერესოა, რომ მეცნიერმა საგანგებოდ მიმოიხილა გაგლახაკების პროცესში ძირითადი გარდატეხის მომენტის – „გლახაკობის ზღურბლის" („le seuil de pauvreté") პრობლემა.

ბის საზოგადოებრივი პროცესის ანტაგონისტურ ფორმაზე დამყარებული ფეოდალური ურთიერთობა საქართველოს სინამდვილეში ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა გლახაკთა ფენების წარმოქმნისათვის[1]. ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესი თავის მხრივ ართულებდა კლასობრივ ურთიერთობებს, ამწვავებდა კლასობრივ ბრძოლას, ფართოდ უღებდა კარს საზოგადოების ერთ ნაწილს გაგლახაკებისაკენ.

„გლახაკნი უღონონი" („გლახაკთა უფონოთა განეყო დრაჰკანი ათი"[2]) და „გლახაკნი და ნაკლულევანნი" („გლახაკთაჲ და ნაკლულევანთაჲ და მსახურთა მისთაჲ მშჯდობით და მორჩილებით მწყესაჲ"[3]) მეურნეობას მოწყვეტილი დეკლასირებული ელემენტების გვერდით იხსენიებიან.

იძულებით გლახაკთა მასამ გარკვეული ევოლუცია განიცადა. საგულისხმოა, რომ ეს ევოლუცია გლახაკების რაოდენობრივ ზრდაში გამოიხატა და მანვე განაპირობა. უკვე VIII-XI საუკუნეებში გლახაკთა მასა გაიზარდა. IX საუკუნეში ბაგრატ კურაპალატი გლახაკებისათვის გარკვეულ სახსრებს აწესებს, რომელსაც „გლახაკთა ნაწილი" ეწოდებოდა[4]. ამგვარი სახელმწიფო გამოსაღების დაწესება, ბუნებრივია, გარკვეული აუცილებლობით იყო განპირობებული. იგი, როგორც ჩანს, ყოველგვარი გლახაკების სასარგებლოდ გაიცემოდა. გლახაკთა სიმრავლემ და მათმა უკიდურესმა სიდუხჭირემ („რამეთუ გლახაკთა არაჲ აქუს თჳნიერ ღმრთისა სახიერისა მოწყალებისაჲ"[5]), ყოველივე აქედან გამომდინარე გლახაკთა მხრიდან სახელმწიფო ხელისუფლების საწინააღმდეგო აქციების გატარების შესაძლებლობამ[6], ბაგრატ კურაპალატი „გლახაკთა ნაწილის" დაწესებამდე მიიყვანა. განსხვავებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან, სადაც ამგვარი გამოსაღები ასევე გაიცემოდა გლახაკთა სასარგებლოდ, მაგრამ იგი ქრისტიან მოსახლეობაზე შეწერილი საგანგებო გადასახადის სახით იკრიბებოდა (თითოეული გადამხდელის შემოსავლის 10%), საქართველოში სახელმწიფოს მთელი შემოსავლის „ნაწილი" გაიცემოდა. რაც შეეხება გლახაკთათვის გასაცემი „ნაწილის" რაოდენობას, IX საუკუნისათვის მისი კონკრეტული განსაზღვრა ძნელია, რადგან უშუალო მითითება ამ რაოდენობაზე ჩვენ არა გვაქვს არც ერთ წყაროში. ვფიქრობთ, ძნელია ივ. ჯავახიშვილის მოსაზრების გაზიარება „გლახაკთა ნაწილის" სახელმწიფოს შემოსავლის 10%-ით განსაზღვრისა (დასავლეთ ევროპის ქვეყნების ანალოგიით)[7]. ამგვარი გამოსაღები (სახელმწიფოს შემოსავლის 10%) „ნაათალის" სახით უფრო გვიან გაიცემოდა.

---

[1] იხ.: ს. ჯანაშია, ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში, შრომები, III, თბ., 1952, გვ. 131-160.

[2] იხ.: პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი (1084), ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 103.

[3] იხ.: ლოცვაჲ დადგინებასა მთავართასა, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 54.

[4] იხ.: გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად-ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამია ჩუენისა გრიგოლისი, იგივე გამოცემა, გვ. 276.

[5] იქვე.

[6] გლახაკთა მხრიდან სახელმწიფო ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლის არსებობა არ არის გამორიცხული, მაგრამ ჩვენ წყაროებში ამაზე კონკრეტული მითითება არა გვაქვს.

[7] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, თბ., 1929, გვ. 105-106.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლახაკთა ევოლუცია ორგანულადაა დაკავშირებული ფეოდალური საქართველოს განვითარებასთან. გლახაკთა გამრავლება განსაკუთრებულად შეიმჩნევა IX-XII საუკუნეების ფეოდალურ საქართველოში. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ერთგვარ ეჭვს იწვევს ქართულ ისტორიოგრაფიაში მეტნაკლებად გაზიარებული დებულება გლახაკთა და სხვა დეკლასირებული ელემენტების წარმოშობისა და ზრდის ბაზის შესახებ XII ს. საქართველოში[1]. კერძოდ, ამ მოვლენის დაკავშირება ე. წ. მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენის გაღატაკება-დამცრობასთან ვერ ჩანს მთლად დასაბუთებული. ჯერ ერთი, სხვადასხვა დეკლასირებული ელემენტების (გლახაკები, მეკობრეები, მპარავნი და სხვ.) ერთ სიბრტყეზე განხილვა და მათი წარმომავლობის კონკრეტული მიზეზების გაიგივება არ გვეჩვენება მთლად სწორად[2].

ფეოდალურ საქართველოში მოსახლეობის ერთი ნაწილი დადის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში[3] „მოსარეწელად რაჲსამე ღონედ სიგლახაკისა თჳსისა". ამ პერიოდში გვხვდება შემთხვევები, როცა ვალი მეტად მძიმე ტვირთად აწევს მოსახლეობას. მევალე სრულუფლებიანი პირი ჩანს მათ მიმართ, ვინც მისგან სესხი აიღო. საგულისხმოა, რომ ვალში ჩავარდნილის ქვრივს უფლება არ ჰქონდა თავისი ობლის დაქორწინებისა, ასეთი ობოლი მევალის საკუთრება ხდება[4]. მევალეობაც ერთ-ერთი გზა იყო გლახაკობისაკენ. მეკობრე-ყაჩაღები, განსხვავებით გლახაკებისაგან, თავიანთი მოქმედებით აშკარა სოციალურ ბრძოლაში არიან ჩაბმულნი და დიდ საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოსა და მის მოსახლეობას. მეორეც, XI-XII საუკუნეების საქართველოში მთელი სიგრძე-სიგანით მიმდინარეობს ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესი, რაც, პირველ რიგში, მოსახლეობის მიწაზე მიმაგრებას გულისხმობს. ამ დროს, ბუნებრივია, ხდება ჯერ კიდევ თავისუფალი მოსახლეობის მასობრივი დაყმევება. აღნიშნული პროცესის დროს ფეოდალური წარმოებიდან იდევნებიან (დეკლასირდებიან) ძირითადად ფიზიკური შრომის ვერშემძლენი (ხეიბრები) და მიწის დამუშავების საწარმოო საშუალებებს მოკლებ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე და სხვ., საქართველოს ისტორია, I, გვ. 177-179. ამ საკითხზე საშულისხმო მსჯელობა აქვს აკად. გ. მელიქიშვილს (იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 74-76).

[2] პროფ. გ. ნათაძემ 1929 წლის აპრილში ჟურნალ „მნათობში" გამოაქვეყნა სტატია „შავშეთ-კლარჯეთის ეკონომიური მდგომარეობა და კლასობრივი ურთიერთობა მე-9-10 საუკ.", რომელშიაც, გიორგი მერჩულეს თხზულებისა და სუმბათ დავითის ძის ქრონიკის მიხედვით, სხვადასხვა საკითხებს შორის მიმოიხილა გლახაკთა პრობლემაც. გლახაკთა რიცხვს ავტორი მიაკუთვნებს ქურდებს, ყაჩაღებს, მონადირეებს (იხ. ჟურნ. მნათობი, 1929 წ. 4, გვ. 145). ეს მოსაზრება, სრულიად მართებულად, არ გაიზიარა პროფ. ა. კიკვიძემ. მისი აზრით „... შეუწყნარებელია ავაზაკების და ქურდების გლახაკებად გამოყვანა". მეცნიერი სხვა საგულისხმო შენიშვნებსაც აკეთებს პროფ. გ. ნათაძის სტატიის მიმართ (იხ. აბ. კიკვიძე, საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, თბ., 1938, გვ. 105-118).

[3] იხ.: რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973, გვ. 297-298.

[4] იხ.: ნ. ბერძენიშვილი, მოსახლეობის ეკონომიური კატეგორიები, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974, გვ. 115.

ული პირები, რომელთა დაყმევებას ფეოდალი არ თვლის თავისი მეურნეობისათვის სასარგებლოდ, რადგან ამ უკანასკნელთ არ შეუძლიათ ზედმეტი-პროდუქტის შექმნა მემამულისათვის[1]. მოსახლეობის სწორედ ეს ნაწილი ჰქმნის გლახაკების ბაზას. რაც შეეხება მეკობრეებს, ისინი, როგორც ჩანს, თვითონ გამოდიან ფეოდალურ წარმოებაში ჩაბმის წინააღმდეგნი, გაურბიან მიწაზე მიმაგრება-დაყმევებას და აშკარა პროტესტს, სოციალურ ბრძოლას უცხადებენ გაბატონებულ კლასს. ეს ბრძოლა თავის გამოხატულებას პოულობს სწორედ მეკობრეობა-ყაჩაღობაში.

ამგვარად, სოციალურმა ძვრებმა, რაც XI-XII სს. საქართველომ განიცადა (პატრონყმურმა სოციალურმა ურთიერთობამ ადგილი დაუთმო ბატონყმობას) ქვეყნის შემდგომი განვითარების გზაზე, მოსახლეობის ერთი ნაწილის გაგლახაკება განაპირობა. როგორც ჩანს, XII საუკუნის საქართველოში გლახაკების რიცხვი დიდი იყო. ისინი ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ და ამიტომაც სრულებით არ არის შემთხვევითი, რომ, როგორც კონცეფტალურ, ისე რეალურ გლახაკებზე ზრუნვა იმთავითვე სახელმწიფოს ღონისძიებათა საგანი იყო.

V

საქველმოქმედო საქმიანობა. გლახაკთა სიმრავლემ და მათმა ეკონომიურმა პირობებმა, გლახაკთა მხრიდან სახელმწიფო ხელისუფლების საწინააღმდეგო აქციების გატარების გარკვეულმა საშიშროებამ საქართველოს სახელმწიფოს საქველმოქმედო საქმიანობის ფართოდ გაშლა განაპირობა.

ქველმოქმედება ქრისტიანულ სახელმწიფოში მოწონებასა და წახალისებას იმსახურებდა, „რამეთუ გლახაკთა არაჲ აქუს თჳნიერ ღმრთისა სახიერისა მოწყალებისაჲ[2]. „ნუგეშინისცემაჲ გლახაკთაჲ“ ქრისტიანული დოგმატების მიხედვით, მაღალ მორალურ თვისებად ითვლებოდა. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ეს საქმე „სიმართლის განკითხვის“ მოვალეობის რანგშია აყვანილი[3]. თვით გრიგოლ ხანძთელის მაღალ თვისებათა ჩამოთვლისას გიორგი მერჩულე უმნიშვნელოვანესად ასახელებს: „და იყო იგი მხიარულად მესტუმრე და გლახაკთ-მოღუაწე“[4]. საინტერესოა ტერმინი „გლახაკთ-მოღუაწე“. მისი მნიშვნელობა არც ძველ (ს.-ს. ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“), არც თანამედროვე (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით; ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი) ლექსიკონებში განმარტებული არ არის. ზემომოყვანილ კონტექსტში „გლახაკთმოღუაწე“ „მესტუმრეს“ გვერდით იხსენიება. მესტუმრე ძველ საქართველოში თანამდებობა იყო. ს.-ს. ორბელიანი მესტუმრეს განმარტავს რო-

---

[1] მემამულეები გლეხებს მიწას აძლევდნენ ექსპლუატაციისათვის. ასე, რომ მიწა თითქოს ნატურალური ხელფასი იყო: იგი გლეხს აძლევდა აუცილებელ პროდუქტებს, რათა მას შესძლებოდა ზედმეტი პროდუქტის შექმნა.

[2] გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად-ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, იგივე გამოცემა, გვ. 276.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 308.

გორც „სტუმართ მოურავს“[1]. განვითარებული და გვიანდელი ფეოდალიზმის დროს საქართველოში მესტუმრე მანდატურთუხუცესისა და ამირეჯიბის ერთ-ერთი ხელქვეითი მოხელე იყო – მოციქულების, სტუმრებისა და მეძღვნეთა დახვედრა-მიღების თადარიგის დამჭერი[2]. ზოგადად მესტუმრე მასპინძელს ნიშნავს[3]. ჩვენს მიერ მოტანილ შემთხვევაშიც მესტუმრე სწორედ მასპინძლის მნიშვნელობით ჩანს ნახმარი (და არა თანამდებობის აღმნიშვნელად), ე. ი. გრიგოლ ხანძთელი მხიარული მასპინძელი და გლახაკთმოღუაწე ყოფილა. კონტექსტიდან ისე გამოდის, რომ „გლახაკთმოღუაწე“ გლახაკებისათვის მოღვაწე (მშრომელი) უნდა იყოს. ასე, რომ გრიგოლ ხანძთელი მხიარული მასპინძელი (ღარიბ-ღატაკთა, გლახაკთა) და გლახაკებისათვის თავდადებული მუშაკი ყოფილა.

ამგვარად, გლახაკთმოღვაწეობა პირადი ქველმოქმედების გარკვეული სახეა (ფორმაა).

ღარიბ-ღატაკთა სასარგებლოდ მეფეებისაგან ქველმოქმედების სახით გაიცემოდა „სახმარი გლახაკთათვის“. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ გვაუწყებს, რომ თამარ მეფეს ანტონ ჭყონდიდელისათვის უბრძანებია: „წარგზავნეთ ფრიადი საფასე და საჴმარი გლახაკთათჳს“-ო[4]. საჴმარი გლახაკთათჳს თამარის მიერ გაცემული ერთდროული (!) ქველმოქმედება იყო (საჴმარი ნიშნავს სახსარს, სახარჯოს)[5]. სახმარს გასცემდა გლახაკთათვის დავით აღმაშენებელიც.

ქველმოქმედების გაცემა საქართველოში საზრდოობდა „სახარების“ იდეებით. „ესე ყოველი ცხორებაჲ ვითარცა ყუავილი ველთაჲ წარმავალ არს და დაუდგრომელ, და ვინ სთესა-მოიმკო, და ვინ განაბნია გლახაკთათჳს – შეიკრიბა“[6] – ეს იაკობ ცურტაველის შუშანიკის სიტყვებია, ე. ი. ქრისტიანობის გარიჟრაჟიდან ქართველ მორწმუნეებს გლახაკებისათვის მოწყალების გაცემა საპატიო საქმედ მიაჩნდათ. ამ დებულებამ კულმინაციას მიაღწია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“; „მიეც გლახაკთა საჭურჭლე“ – აი, დევიზი XII საუკუნის საქართველოს ცხოვრებაში გატარებული ეკონომიური აქციების („ნაათალის“ დაწესება და სხვ.) იდეური გამართლება-დასაბუთებისა.

ფართოდ ჩანს გავრცელებული „გლახაკთა მიმართ ქველის საქმისა მიცემაჲ“[7], რაც გლახაკების მიმართ კეთილმოქმედებას ნიშნავდა[8]. საგულისხმოა, რომ ერი-

---

[1] იხ.: ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1966, გვ. 565.

[2] იხ.: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, თბ., 1958, სვეტი 198.

[3] იხ.: ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 233.

[4] ბასილი ეზოსმოძღუარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 125.

[5] იხ.: ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 385.

[6] იაკობ ცურტაველი, წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ, იგივე გამოცემა, გვ. 27.

[7] პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი, ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1970, გვ. 64, 103. ვფიქრობთ, საჩოთირო არ უნდა იყოს ამ ტიპიკონის მოტანა, რადგან პეტრიწონის მონასტერი მხოლოდ ქართველთათვის იყო განკუთვნილი (ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971, გვ. 14).

[8] ქველის საქმე ნიშნავს კეთილმოქმედებას (ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 453).

სთავად კურთხევისას საგანგებოდ კეთდებოდა აქცენტი ერისთავის იმ ვალზე, რომელიც „გლახაკთა და ნაკლულევანთა ყოველსა საქმესა მოწყალებისასა“ ითვალისწინებდა[1]. ზოგჯერ გლახაკთათვის ქველმოქმედება ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ჩვენს ხელთაა „შეწირულების დაწერილი მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი (1259 წ.)“. აი, ერთი ადგილი ამ დაწერილიდან: „და მოსავალი ხოვლესაი – პური და ღუინო კიდეგნად ერთსა სახლსა შიგა დაიგულებოდეს. მერმე, ოდესცა ზუარნი და ხოდაბუნნი კეთდენ და კარგა მოვიდეს, რაიც მას წელიწადსა მოჰრჩეს, მეორის წელიწადისათუის წააგებდენ: ნიადაგ არ სწორ გამოვა – ოდესცა დასეტყოს და არაი მოვიდეს, მისთჳს დაიგულებდენ. და ესე ნუ ოდეს იმიზეზების თუ: წელს არაი მოსრულაო, და ნუ მოაკლდების ესე ჩემი გაჩენილი. და რაიცა ამასცა მორჩებოდეს გლახაკთათვის წაიგებოდეს“[2]. მოუსავლიან წელს, ადვილი შესაძლებელია, გლახაკებს არაფერი რგებოდათ, რადგან არ არის გამორიცხული მათთვის აღარაფერი გადარჩენილიყო მოსავლის დანაწილების შემდგომ.

პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი გვაძლევს მეტად საინტერესო ცნობებს გლახაკთა სასარგებლოდ გაცემული ქველმოქმედების შესახებ (მხედველობაშია მონასტერთან შეკედლებული გლახაკები). დოკუმენტზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ქველმოქმედების გაცემაში გარკვეული კანონზომიერება არსებობს. ცალკეულ საეკლესიო დღესასწაულებზე გლახაკებისათვის დადგენილია მტკიცედ განსაზღვრული რაოდენობა ქველმოქმედებისა. ასე მაგალითად, აბაზ და გრიგოლ ბაკურიანის ძეთა მოსახსენებლად საგანგებო დღეებია დაწესებული. როგორც ერთ, ისე მეორე დღეს გაიცემა „გასაყოფელად გლახაკთა დრაჰკანი სამეოცდათორმეტი“[3]. ბაკურიანის მოსახსენებელ დღეს (დიდი ხუთშაბათი) გლახაკებს უნაწილდებათ 22 დრაჰკანი[4]. სხვა საეკლესიო დღესასწაულების (ხარება, ქრისტეს შობა, ფერისცვალება, ბზობა, აღვსება, ამაღლება, დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, სულიწმინდის მოსვლა და სხვ.). დროს გლახაკთათვის თანაბარი რაოდენობის დახმარება გაიცემა -- ათ-ათი დრაჰკანი[5]. ყველა შემთხვევაში გლახაკებთან ერთად მოხსენებულნი არიან ჟამის მწირველნი (ექვსნი), რომლებიც შესაბამისად ორ-ორ დრაჰკანს იღებენ[6]. საგულისხმოა, რომ განსხვავებით ამ უკანასკნელთაგან, გლახაკების რიცხვი დასახელებული არ არის, უნდა ვივარაუდოთ, რომ გლახაკები ბევრად უფრო მეტი იყვნენ. ამას გვაფიქრებინებს მათთვის

---

[1] კურთხევაჲ ერისთავისაჲ, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 55; კურთხევა ცოტაჲს ერისთავის დადგინებისასაჲ, იქვე, გვ. 57.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 61-62. ყურადსაღებია, რომ იგივე დაწერილით კახა თორელი ამკვიდრებს საგანგებო აღაპს საკუთარი სახელის მოსახსენებლად აღდგომა დღეს: „... კარგი აღაპი გარდახდებოდეს... და რაც კარზედა გლახა იყოს ყუელა დაძღებოდეს. მწირნი და უძლურნი ვინცა ვერ მოვიდოდიან, ყუელასა შინად გაეგზავნებოდეს“ იქვე, გვ. 60).

[3] პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი, ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 81, 82.

[4] იქვე, გვ. 84.

[5] იქვე, გვ. 103, 104.

[6] იქვე.

გაცემული ქველმოქმედების (10 დრაჰკანი) შეფარდება ექვსი ჟამის მწირველისადმი გაწესებულ ქველმოქმედების რაოდენობასთან (2 დრაჰკანი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირადი ქველმოქმედების პრინციპად ქართველმა საზოგადოებამ საკუთარი შრომით მოპოვებული ქონების გასხვისება დასახა. ამ მხრივ აღსანიშნავია დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის მაგალითები. პირველი მათგანი გასცემდა „დღითი-დღე წარსაგებელთა, რომელთა თჳსითა ჴელითა მისცემდა ფარულად, ვინ აღრაცხოს თჳნიერ მამისა ზეცათასა, რომელი მიაგებს ცხადად. რამეთუ იყო მისა კისაკი მცირე: აღავსის დრაკნითა რა დღე სარწმუნოთა თჳსთა ჴელითა, და სამწუხაროდ ცალიერი მოაქუნდის იგი მხიარულსა სულითა და პირითა“[1]. ისტორიკოსი ხაზს უსვამს, რომ დავით აღმაშენებელი „არა თუ ჴელოსანთაგან მორთმეულისა იქმოდის, ანუ თუ საჭურჭლით, არამედ ჴელთა თჳსთა ნადირებულისა. რომელთაგანი თჳსსა მოძღუარსა იოვანეს მისცა ოდესმე დრაჰკანი, ვითარ ოცდაოთხი ათასი, რათა განუყოს გლახაკთა“[2]. თამარის მეორე ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ თამარი სახელმწიფო გამოსაღებს გლახაკთათვის „არა გონებდა ქველის საქმედ“ (!), რადგან ეს მისი პირადი ღვაწლი არ იყო და „რაჟამს მოიცალის მარტოებით ყოფად, მყის აღიღის სასთუელი, გინა საკერავი, და ნაშრომსა მას თჳსთა ჴელთასა ხუცესთა და გლახაკთა განუყოფნ თჳსითა ჴელითა“[3]. მემატიანეთა მიერ დავით აღმაშენებლისა და თამარის ქველმქმედებათა აღწერა გამოძახილია იმ საერთო იდეოლოგიური ატმოსფეროსი, რომელიც XI-XII სს. საქართველოში მეფობდა. ისტორიკოსებს სურთ, ისე წარმოადგინონ მათი აღწერის ობიექტები, თითქოს ისინი გლახაკთა სიკეთისათვის ბრძოლაში დამაშვრალნი იყვნენ. ეს მაშინ, როცა დავითის დროს მძიმე სოციალურ უღელში იყო შებმული მოსახლეობა და დაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როცა თამარის დროს „ძელსა ზედა ჩამორჩობა“ და დასჯის სხვა სახეები ჯერ კიდევ იყო მოქმედებაში.

ქველმოქმედება (განსაკუთრებით მეფეთა მხრიდან), როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ გაკვრით, განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ გლახაკთა ფენა ქვეყანაში ანგარიშგასაწევი ძალა გახდა (ამას ემატებოდა საზოგადოებრივი აზრი). ეს ძალა იმდენად გაიზარდა და მნიშვნელოვანი გახდა, რომ ცალკეულ პირთა (თუნდაც მეფეების) ქველმოქმედება საკმარისი აღარ იყო. სწორედ ამიტომ საქმეში ერევა სახელმწიფო და თავის ღონისძიებებს ატარებს. ასე იყო IX საუკუნეში, როცა „ნაწილი გლახაკთათვის“ იქნა დაწესებული. ეს დაწესებულება შემდგომში განვითარდა და „ყოვლისა ნაათალის“ სახე მიიღო. თამარის მეორე ისტორიკოსს შემონახული აქვს ცნობა, რომელიც გვაუწყებს: „ყოვლისა სამეფოსა მისისა (თამარის – რ. მ.) შემოსავალში, რაცა იყო შინათ და გარეთ, ყოვლისა ნაათალი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებელად ერთისა ქრთილისა მარცულამდეცა“[4]. აქ ჩვენ გვინდა

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 353.

[2] იქვე.

[3] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 147.

[4] იქვე, გვ. 147. ზოგიერთი მეცნიერის დასკვნით, დასაქმებული გლახაკები დახმარებას ღებულობდნენ არა სამეფო შემოსავლიდან, ე. ი. არა ბიუჯეტური წყაროებიდან, არამედ ამ წარ-

გარკვეული კორექტივი შევიტანოთ ჩვენს ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში (თვით სახელმძღვანელოებშიაც კი) ფართოდ გავრცელებული ტერმინის „გლახაკთა ნაათალის“ ხმარებაში. თავისთავად თვით გლახკთა ნაათალი არ გამოხატავს ტერმინის რეალურ შინაარსს, რადგან იგი ნიშნავს „გლახაკთა მეათედს“, მაშინ როცა რეალურად ლაპარაკი უნდა იყოს გლახაკებისათვის განკუთვნილ მეათედზე, ასეთ შემთხვევაში ალბათ სწორი იქნებოდა გვეხმარა ტერმინი „ნაათალი გლახაკებისათვის“, მაგრამ, ვფიქრობთ, არც ამგვარი ხელოვნური ტერმინის შექმნა არის საჭირო. ამოსავალს თვით ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულების ის ადგილი იძლევა, სადაც გლახაკებისათვის ამ დაწესებულების შესახებაა ლაპარაკი და იგი მოხსენიებულია, როგორც „ყოვლისა ნაათალი“. ყოვლისა ნაათალი უფრო ზუსტი ტერმინია იმ შინაარსის გადმოსაცემად, რაც თვით ამ ცნებაშია ჩადებული. „ყოვლისა“ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ლაპარაკია სახელმწიფოს მთელი შემოსავლის („ყოვლისა სამეფოსა მისისა შემოსავალნი, რაც იყო შინათ და გარეთ, ყოვლისა ნაათალი“) მეათედზე. ასე რომ, „ყოვლისა ნაათალი“, რომელიც მოხსენიებულია „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“-ში ზუსტად გამოხატავს სახელმწიფოს მიერ დაწესებული საქველმოქმედო ინსტიტუტის რეალურ არსს და ვფიქრობთ, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრების სრული უფლება აქვს. საგულისხმოა, რომ გლახაკთათვის გაიცემოდა სახელმწიფოს მთელი შემოსავლის (საშინაო და საგარეო!) მეათედი – 10%.

გლახაკებისათვის ქველმოქმედების გაცემის საქმე საგანგებოდაა ორგანიზებული. „ხოლო გლახაკთათვის (თამარს – რ. მ.) განეჩინნეს სარწმუნონი ზედამდგომელნი“[1]. ზედამდგომელნი განაგებენ ქველმოქმედების გაცემას. როგორც ჩანს, არ არის გამორიცხული რაიმე უპატიოსნობა ამ საქმეში ორგანიზატორთა მხრიდან. შემთხვევითი არ უნდა იყოს თამარის მეორე ისტორიკოსის აქცენტი ზედამდგომელთა სანდოობაზე („სარწმუნონი ზედამდგომელნი“). ზედამდგომელნი მეფისთვის, სამეფო ხელისუფლებისთვის სანდონი უნდა ყოფილიყვნენ, რომ რაიმე დარღვევას (მითვისებას, გლახაკისთვის განკუთვნილი სარგოს დაკლებას) არ ჰქონოდა ადგილი. სახელმწიფო შემოსავლის 10%-ის განანილებას, ბუნებრივია, სათანადო უწყებათა მთელი სისტემა ესაჭიროებოდა. ალბათ სახელმწიფოში ეს საქმე გარკვეული თანამდებობის პირს ეკავა (არ გამოვრიცხავთ, რომ ეს პირი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი იყო, რომელიც „ობოლთა და ქვრივთა და მიმძლავრებულთა მოჩივართა“[2] განკითხვასთან ერთად, შესაძლო

მოებაში მათ მიერვე შექმნილი ღირებულებიდან (ვ. ჩანტლაძე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ერთი ადგილის გაგებისათვის, ცისკარი, 1969, 5, გვ. 126).

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 147.

[2] გარიგება ჴელმწიფის კარისა, ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის გამოცემა, თბ., 1970, გვ. 34.

იყო გლახაკთათვის ქველმოქმედების საქმესაც ხელმძღვანელობდა) და ზედამდგომელთა[1] საშუალებით აგვარებდა მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებელს გლახაკთათვის საგანგებოდ აუშენებია ქსენონი (საავადმყოფო), სადაც სნეულებს მკურნალობდნენ და კვებავდნენ. აქაც ზედამდგომლები განაგებდნენ ყოველ საქმეს[2]. დავით აღმაშენებლის მიერ გელათის მონასტრისათვის ბაღვაშთა მამულის შეწირვის გზით „უზრუნველი ტრაპეზის" გაჩენა ეკლესიის სხვა მსახურებთან ერთად გლახაკთა გამოკვებასაც გულისხმობდა[3].

ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ ქალაქებში არსებობდა გლახაკთა თავშესაფრები. იგი იმოწმებს პეტრე ქართველის ცხოვრების ასურულ ტექსტს, სადაც მოცემულია ცნობა იმის შესახებ, რომ დიდ ბაკურს გლახაკთა თავშესაფარი აუგია. პეტრე ქართველის დედას, ბაკურდუხტს მოგზაურთათვის სასტუმროები და საავადმყოფოები აუშენებია[4]. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, გლახაკთათვის განკუთვნილ თავშესაფარს საგლახაკოჲ ქალაქისაჲ ერქვა[5]. ჩვენს ხელთ არსებული წყაროების გათვალისწინებით, მეცნიერის ეს დასკვნა სრულიად მართებული ჩანს. უფრო მეტიც, შესაძლოა ამგვარ „საგლახაკოჲ ქალაქისაჲ"-ში ხდებოდა პრაქტიკულად გლახაკთადმი სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ქველმოქმედების გაცემა.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში აქა-იქ გვხვდება ტერმინის სახლი „საგლახაკოჲს", გაიგივება გლახაკთა თავშესაფართან („საგლახაკოჲ ქალაქისაჲ"), რაც არ უნდა იყოს სწორი. „სახლი საგლახაკო", ჯერ ერთი, ძალზე იშვიათად გვხვდება წყაროებში, მეორე, იქაც კი, სადაც ეს ტერმინი მოგვეპოვება, მას აქვს თავისი კონკრეტული მნიშვნელობა, რაც ჩვენი აზრით, შემდეგია: წყაროებში დამოწმებული „სახლი საგლახაკო" უნდა ნიშნავდეს ეკლესია-მონასტრებთან მყოფი გლახაკების (ნებით ანუ კონცეფტუალური გლახაკების) სამყოფს. ამის საილუსტრაციოდ, ვფიქრობთ, გამოდგება აღნიშნული ტერმინის შემცველი ქართული ტექსტები. ეფრემ ასურის „სწავლა მონაზონთა მიმართ და მარტოდ-მყოფთა" გადმოგვცემს: „საფლავნი მეფეთანი სავსენი ძუალებითა არა

---

[1] იმდროინდელმა ბიზანტიამ იცის მსგავსი გლახაკთა საზედამხედველო ინსტიტუტი, კერძოდ, „მამასახლისი საგლახაკოსა ზედა". „სიმეონ მესუეტის ცხოვრებაში" ნათქვამია: „იყო კაცი ვინმე... რომელსა ერქუა დომნინოს და იყო იგი მამასახლისი საგლახაკოსა ზედა ქალაქსა, რომელსა რქჳან ლოსნიდო. და აღსრულ იყო კონსტანტინეპოლისს შეკრებად საჴმრისა გლახაკთა მათთათჳს" (ციტირებული გვაქვს ივ. ჯავახიშვილის წიგნიდან „მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში", თბ., 194, გვ. 63).

[2] იხ.: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება I, გვ. 331.

[3] იქვე, გვ. 330. საფიქრებელია, რომ საქართველოში რამდენიმე ადგილას (მონასტრების მახლობლად!) დამოწმებული სახელწოდება „სამადლო" (სამადლო – მადლისათვის განკუთვნილი, ქართული ენის განმარტ. ლექსიკ., VI, სვეტი 683), მეფეთა მიერ დაწესებულ ღატაკთა შესანახ სახლს უნდა გულისხმობდეს. ასეთი სამადლო სახლები საქართველოში ბევრია სავარაუდებელი. მსგავსი სახლები თბილისში XIX საუკუნის შუაწლებამდე არსებობდა. ზოგი ცნობით ერთი სახლი 1830 წელს, ხოლო მეორე 1882 წელს მოუშლიათ (ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 33). ამ სახლებში გლახაკებისათვის გაიცემოდა: პური, ხორცი, ზოგჯერ ლობიო, მახოხი და სხვ.

[4] იხ.: ივ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 63.

[5] იქვე.

სწორ არიან სახლსა საგლახაკოსა, რომელსა შინა მკჳდრთა ცხორებაჲ არს"[1]. აქ სახლი საგლახაკოჲ არ ჩანს საგლახაკო ქალაქისაჲს (გლახაკთა თავშესაფრის) იდენტური. მოცემულ წყაროს საერთო შინაარსზე რომ არაფერი ვთქვათ, ქალაქებში არსებულ გლახაკთა თავშესაფარზე ალბათ ძნელი სათქმელი იქნებოდა „რომელსა შინა მკჳდრთა ცხორებაჲ არს".

კ. კეკელიძის სახ. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ „ფოკას წამებაში" გვხვდება: „... საგანძურთა მ˜თთა გ˜ნ გ˜ნაშუენეს და შეამკეს სახლი იგი საგლახაკოჲ"[2]. აქაც, ბუნებრივია, ლაპარაკია ე. წ. წმიდა გლახაკების სახლის შემკობაზე. როგორც ჩანს, თვით ეს შემკობა და დამშვენება სახლი საგლახაკოჲსის გარკვეულ ღირსებად ითვლებოდა შემამკობელთათვის. შევნიშნავთ, რომ ზემომოყვანილი ეფრემ ასურის „სწავლა მონაზონთა მიმართ და მარტოდმყოფთა"-ში მოცემულია ტერმინი „საყოფელი საგლახაკოჲ", რაც სახლი საგლახაკოჲს იდენტურია. „განშორებულო, კეთილ არს შენდა საყოფელი საგლახაკოჲ, უღონოჲ და უპოარი. ეს უმჯობეს არს სამკვიდრებელსა სოფლისასა შუენიერებითა სავსესა"[3]... აქაც საყოფელი საგლახაკოჲ ნებით გლახაკების სამყოფია, რადგან ეს „საყოფელი" „კეთილ არს" და ქრისტიანული იდეოლოგიის მატარებელი და პროპაგანდისტი ავტორი მას „სამკვიდრებელსა სოფლისასა"-ზე უმჯობესად მიიჩნევს. ამგვარად, ჩვენს მიერ მოტანილი მასალა ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ სახლი საგლახაკოჲ, ან საყოფელი საგლახაკოჲ ნებით (იდეურ) გლახაკთა სამყოფს გულისხმობს.

შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში" დამოწმებულია ტერმინი „ხანაგა". ივ. ჯავახიშვილის აზრით „ხანაგა სასტუმროსგან იმ მხრივ განსხვავდება, რომ იგი ურესტორანოა[4], ე. ი. მხოლოდ ღამის სათევია. ეს ტერმინი სპარსულიდან მომდინარეობს. სპარსულში ის ნიშნავს დერვიშების (მოხეტიალე, მათხოვარი ბერების) თავშესაფარს. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ „ვეფხისტყაოსნის" ხანაგა არავითარ კავშირში არ არის დერვიშების თავშსაფართან, ის მგზავრების ჩამოსახტომი სასტუმროა[5]. საილუსტრაციოდ მეცნიერს მოაქვს ერთი ადგილი „ვეფხისტყაოსნიდან":

„წავდეგ წინა დარაჯაგთა, კარი მიჩნდა ხანაგისა...
მოვიდა სითმე ღარიბი, მონა მოყვსითა სამითა,
მონა მონურად მოსილი, სხვანი მგზავრულად ხამითა.
სასმელ-საჭმელი მოიღეს, ქალაქს ნასყიდი დრამითა,
სმიდეს, სჭამდეს და უბნობდეს, სხდეს მხიარული ამითა".

---

[1] იხ მამათა სწავლანი X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, ილ. აბულაძის გამოცემა, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 197.

[2] საქ. მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი შ-384, 198˜, 10.

[3] მამათა სწავლანი, გვ. 198.

[4] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 63.

[5] იქვე, გვ. 62.

„არავითარი ეჭვი არ შეიძლება იყოს, – შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი, – რომ დერვიშების თავშესაფართან ამ ხანაგას კავშირი არა აქვს. ოთხი მგზავრი „მონა" აქ რომ გვხვდება სხვა მნიშვნელობით არის ნათქვამი. „მონა" ნიშნავს ქვეშევრდომს, მგზავრს..."[1].

ვფიქრობთ, მოტანილ ციტატში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ მონა არის მოსული „სითმე", ამასთან იგი, როგორც შ. რუსთაველი გვამცნობს, „ღარიბია". მისი თანამგზავრების ჩაცმულობაზეც ჩანს, რომ ღარიბები არიან. ასე რომ ხანაგა ამ შემთხვევაში ღარიბთა ღამის სათევია. მოვიტანთ კიდევ ადგილს ვეფხისტყაოსნიდან:

„რაცა თქვენთვის არ ვარგიყოს საჭურჭლესა დასადებლად
მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა ასაგებლად" –

აქ, ბუნებრივია, ხანაგისადმი წყალობის გაცემაზეა ლაპარაკი. თანაც გაიცემა ისეთი წყალობა, რომელიც „საჭურჭლესა დასადებად" უვარგისია. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ხანაგა შესაძლოა ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში მართლაც სასტუმროს ნიშნავდა, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, მაგრამ საერთოდ სხვადასხვა შემთხვევით გაანალიზება, სადაც ეს ტერმინია მოხსენებული, გვაძლევს საფუძველს ქართული ხანაგები სპარსული ანალოგიური დაწესებელუბებების მონათესავედ მივიჩნიოთ[2]. ასე რომ, ხანაგა მოხეტიალე ღარიბ-ღატაკებისა და გლახაკების თავშესაფარი უნდა იყოს.

საერთოდ, გლახაკობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის[3] სიუხვე ამ სოციალური ფენის განვითარებულობასა და მნიშვნელოვან საზოგადოებრივ წონაზე მიუთითებს.

რა რაოდენობის გლახაკები იყვნენ საქართველოში?

სამწუხაროდ, მათ შესახებ მწირი მონაცემები გვაქვს. ერთი რამ კი ცხადია, რომ გლახაკთა რიცხვი დიდი იყო. XII საუკუნის საქართველოში სამეფო კარი სახელმწიფო შემოსავლის 10%-ს (ამ დროს სახელმწიფოს შემოსავალი მეტად დიდი იყო) რომ გლახაკთათვის გასცემდა, ამ უკანასკნელთა სიმრავლეზე მიუთითებს.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 62.

[2] დერვიში მ. ა. გაფაროვის სპრსულ-რუსულ ლექსიკონში ასეა განმარტებული „Нищий, бедняк; монах (мусульманский), отрекшийся от мира и проводящий жизнь в служении богу и самоусовершенствовании" (Персидско-русский словарь, М., 1974, т. I, стр. 331). ი. ა. რუბინჩიკის ხელმძღვანელობით ავტორთა კოლექტივის შედგენილ ლექსიკონშიც დერვიში განმარტებულია, როგორც „Нищий, бедняк; нищий; попрошайка; странник, бродяга, беззаботный, беспечный человек; скромный, простой человек..." (Персидско-русский словарь, т. I, М., 1970, стр. 626.

[3] შემთხვევითი არ არის, რომ ფოლკლორმა შემოინახა ისეთი ტერმინები, როგორიცაა: „ატოცის გლახაკები", „ხონის გლახაკები", „გელათის გლახაკები", „სიონის გლახაკები", „შაფათის გლახები" და სხვ. ეს, ერთის მხრივ, გლახაკთა სიმრავლეზე მიუთითებს, ხოლო, მეორე მხრივ, მათი გლახაკობის ხასიათზე (მაგ., მონასტრებთან არიან გლახაკები, თუ სხვაგვარ გლახაკობას ეწევიან). საერთოდ სიღატაკე-გლახაკობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის მიმოხილვა იხ. მ. მოლა, დასახ. ნაშრ., მისივე. La notion de pauvreté au moyen age, Revue d'histoire l'église de France, t. LII, Paris, 1966.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლახაკობა საზოგადო დამახასიათებელი მოვლენა იყო შუა საუკუნეების მსოფ-
ლიოსათვის და თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობდა გარკვეული სახესხვაობით.

რუსულ წყაროებში გლახაკი „Нищий"-ს („... Не отказывай в пропитании нищему" „... Надменного нищего"), „Бедный"-ს („Лучше жизнь бедного под досчатым кровом"), Бедняк-ის ("Лучше бедняк здоровый и крепкий силами") სახით[1]. ცალკე უნდა შევჩერდეთ ე. წ. „Бобыль"-თა ინსტიტუტზე, რომელიც დამახასიათებელი მოვლენაა XVI-XVII სს. რუსეთისათვის. „ბობილი" XVI-XVII საუკუნეების რუსეთში ესაა „Феодально-зависимый человек, не включенный в крестьянское вытное тягло и обложенный особыми, как правило, более низкими, по сравнению с крестьянами, владельческими, а до 1679 г. и государственными повинностями. Особенности обложения бобылей вытекали из особенностей их экономического положения: бобыли обычно выступают как люди, неполностью обеспеченные или вовсе не обеспеченные средствами крестьянского производства[2]. რუსეთის ისტორიაში ასხვავებენ „ბობილთა" სხვადასხვა კატეგორიებს, აქედან „ბობილთა ერთი ნაწილი (და არა საერთოდ „ბობილები") ე. წ., „Нетяглые" (დაუბეგრავნი) უთანაბრდება ქართულ „გლახაკებს"[3] (შემთხვევითი არ არის, რომ „ბობილთა" მიმართ იხმარება ტერმინი „Невзгодники"). ეს სწორედ ის ნაწილია, რომლებიც ფეოდალური წარმოებიდან მთლიანად გამოდევნილნი არიან (დავრდომილები, მარტოხელა მოხუცები, ქვრივ-ობლები). სხვა კატეგორიის „ბობილები" (Бобыли-приходцы, беспашенный бобыль და სხვ.) ფეოდალურად დამოკიდებულ მდგომარეობაში არიან, გარკვეულ გადასახადსაც იხდიან მებატონის სასარგებლოდ და ამდენად გლახაკებისაგან განსხვავებულნი არიან თავიანთი სოციალური სტატუსით. გლახაკებთან ახლოს დგას XI-XII სს. რუსეთში გავრცელებული „изгои"-ს კატეგორიაც[4].

გლახაკობა ფართოდაა გავრცელებული შუა საუკუნეების ბიზანტიაშიც. საკმაოდ ფართო მასას შეადგენენ ე. წ. πενητες-ები – ღარიბ-ღატაკები[5].

გლახაკთა განსაკუთრებული სიუხვე ჩანს ევროპის სახელმწიფოებში. საგულისხმოა, რომ (მეცნიერთა დაანგარიშებით) შუა საუკუნეების ევროპაში სრული უსახსრობის გამო გადასახადებისაგან განთავისუფლებული იყო მთელი მო-

---

[1] ყველა ციტატა მოტანილია „ბიბლიიდან" (კერძოდ, მასში შემავალი თხზულებიდან „სიბრძნე ისე ზირაქისი").

[2] Шапиро А. Л., Бобыльство в России в XVI-XVII вв., История СССР, 1960, № 3, стр. 60; შდრ. "Бобыли"-ს განმარტება СИЭ-ში (Обедневшие феод.-зависимые люди...", т. II, стр. 495).

[3] სხვა კატეგორიის „ბობილები", მართალია, სახელმწიფო გადასახადს არა, მაგრამ უფრო მცირე, თავისი მფლობელის სასარგებლო გადასახადს – ბობილშჩინას კი იხდიდნენ. იხ. Дьяконов М., Очерки из истории сельского населения в Московском государстве (XVI-XVII вв.), С.-Петербург, 1898; Греков Б. Д., Крестьяне на Руси, Москва-Ленинград, 1949; Шапиро А. Л. დასახ. ნაშრ. და სხვ.

[4] "Изгои"-ს შესახებ იხ. Смирнов И. И., К вопросу об изгоях, в сб. акад. Б. Д. Грекову ко дню 70-летия, М., 1952, стр. 105-111.

[5] Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, С.-Петербург, 1884, стр. 243.

სახლეობის ზოგჯერ – 20%, უფრო ხშირად კი 50%[1]. ბუნებრივია, ამ რაოდენობის დიდ ნაწილს გლახაკები შეადგენენ. შემთხვევითი კი არ არის, რომ ევროპულ ეკონომიკურ ნოგრაფიასა და ლიტერატურაში ჩნდება გლახაკის სახე; სახე შეურაცხყოფილი, დამცირებული ღატაკისა, რომელსაც ძაღლებიც კი უყეფენ[2]. გლახაკებს ერეტიკოსებადაც მიიჩნევდნენ, როგორც უსაქმურებს და თავიანთი სიღატაკის გამო სოციალური წესრიგის დამრღვევებს.

ფეოდალური ევროპისათვის მეტად თავისებური და ამასთან მნიშვნელოვანი იყო ე. წ. ვალდენსების (გვიანლათინური Valdenses) ანუ „ლიონელი ღარიბების" (ლათინურად Pauperes de lugduno) მოძრაობა, რომელიც XII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დაიწყო ლიონში (ატარებს ლიონელი ვაჭრის პიერ ვალდოს სახელს) და გავრცელდა სამხრეთ საფრანგეთში, ჩრდილოეთ იტალიაში, გერმანიაში, ჩეხეთში, ესპანეთსა და შვეიცარიაში. ეს ფაქტობრივად ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა იყო და კათოლიკური ეკლესიის რისხვას წააწყდა. ფ. ენგელსი მიიჩნევდა, რომ ეს მოძრაობა იყო „... реакцией патриархальных альпийских пастухов на проникновение к ним феодализма, ... попыткой отгородиться от исторического развития"[3]. ვალდენსების მოძრაობა ერეტიკულად[4] ჩაითვალა და მკაცრად იდევნებოდა სახელმწიფოსა და ეკლესიის მიერ. ჩვენ თავს ვიკავებთ სხვა სახის ერეტიკული მოძრაობების მიმოხილვიდან, რადგან ისინი (ბეგინებისა და ბეკჰარდების (beguini, beghardi) – პროვანსსა და ნიდერლანდებში, რეინის ველსა და შვეიცარიაში[5], ლოლარდების (lollard) ინგლისში[6] და სხვ.) მიუხედავად მათი არსებითად მსგავსი სოციალური არსისა, რამდენადმე განსხვავდებიან „ლიონელი ღარიბების" მოძრაობისაგან.

ღატაკობისკენ მოწოდება გაბატონებული კლასის გარკვეული ფენების ნებასურვილის გამოხატულება იყო. ფეოდალური წყობილების დამქაშები ამ გზით ცდილობენ მოადუნონ მოსახლეობის დაბალი ფენების სოციალური სიფხიზლე.

შუა საუკუნეების ევროპაში სერიოზულად განიხილებოდა „სიღატაკეში ცხოვრების წესი" (usus pauper). ბურჟუაზიული ისტორიკოები დღესდღეობითაც უარყოფენ ერესების წარმოშობის სოციალურ საფუძველს.

---

[1] М. Молла, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

[2] გლახაკებმა ასახვა ქართულ მონუმენტურ ფერწერაშიც ჰპოვეს, ბუნებრივია, ზოგადი ქრისტიანული სიუჟეტების გადმოცემისას.

[3] Ф. Энгельс, Крестьянская война в Германии; К. Маркс, Ф. Энгельс, соч. 2-е изд., т. 7, стр. 361.

[4] საერთოდ შუა საუკუნეების ერესების შესახებ იხ. Е. В. Гутнова, Средневековое крестьянство и ереси, сб. „Средние века", 38, М. 1975, стр. 24-38. В. Л. Керов, Социальный состав вальденских общин Южной Франции в XIII – начале XIV в., сб., „Страны Средиземноморья в эпоху феодализма", Горький, 1973.

[5] СИЭ, т. 2, стр. 199-200; В. Л. Керов, Восстание „пастушков" в Южных Нидерландах и во Франции в 1251 г., Вопросы истории, № 6, 1956.

[6] Гутнова Е. В., Средневековое крестьянство и ереси, 28-38; Е. В. Кузнецов, Движение лоллардов в Англии (конец XIV-XV в.), ст. „Ученые записки Горьковского университета", Горький, 1969 г., стр. 102-112.

მხოლოდ სასულიერო ცხოვრებაში ითვლებოდა გლახაკობა ღირსებად. ქრისტიანული მსოფლმხედველობით ევროპაში გლახაკი ღვთის მეგობრად და ქრისტეს სახებად იყო მიჩნეული. გაიცემოდა ქველმოქმედება, თუმცა მისი რაოდენობა ზოგჯერ მცირე იყო. XIV-XV საუკუნეებიდან მცირდება ინდივიდუალური შეწირვა-ქველმოქმედებანი. სამონასტრო ქველმოქმედებაც დაიმცრო, რაც გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, ეკონომიური სიძნელეებით, ხოლო მეორე მხრივ, ღატაკების სოფლიდან ქალაქად გადანაცვლებით.

ევროპის ქალაქებში არსებული საქველმოქმედო ორგანიზაციები კანონიკურ მმართველობას ექვემდებარებოდა. მათ სათავეში სასულიერო და საერო პირების ერთობლივი ხელმძღვანელობა იყო. საქველმოქმედო საქმიანობის მოწესრიგება თანდათან ხდებოდა საქალაქო მმართველობის და საეკლესიო ძმობათა მცდელობის წყალობით. შედეგი ის იყო, რომ შეიქმნა ე. წ. „მაგიდები გლახაკთათვის", სადაც ხდებოდა ქველმოქმედების გაცემა.

აღსანიშნავია, რომ XIII საუკუნის პირველ ნახევარში დაარსდა კათოლიკურ-მონაზვნური ე. წ. გლახაკთა ორდენები. ამ ორდენთა დაარსებას ხელი შეუწყო პაპობამ, მიაჩნდათ რა ეს გზა ხალხში ავტორიტეტის მოპოვება-გაძლიერების საშუალებად[1].

ერთი სიტყვით, გლახაკობა, მისთვის დამახასიათებელი ყველა კომპონენტით, მთელი სიგრძე-სიგანით ჩანს შუა საუკუნეების ევროპის ქვეყნებში.

ჩვენს მიზანს ამჯერად არ შეადგენდა სხვადასხვა ქვეყნებში გლახაკობის, როგორც სოციალური მოვლენის, დეტალური მიმოხილვა. ვფიქრობთ, ზემომოტანილი მასალიდანაც ცხადია, რომ იგი დამახასიათებელია მთელი მსოფლიოსათვის. ამასთან, სხვადასხვა ქვეყნის გლახაკებს შორის ბევრი რამ საერთოა. უპირველესად, – გაგლახაკების მიზეზები, გარკვეულ პერიოდში გლახაკთა სიმრავლე, გლახაკთა სოციალურად საშიშობა, საქველმოქმედო დაწესებულების არსებობა და სხვ.

გლახაკთა პრობლემა მძიმე ტვირთად აწვა შუა საუკუნეებში ფეოდალურ სახელმწიფოს. ეს პრობლემა გადაუჭრელი დარჩა – მოსახლეობის მნიშვნელოვანი მასა ღარიბ-ღატაკი, არაფრისმქონებელი იყო და სახელმწიფოს ზრუნვის საგნად ქცეულიყო. ღატაკობა-გლახაკობის პრობლემა არც შეიძლებოდა გადაჭრილიყო სოციალიზმამდელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების დროს. ამდენად იგი შუა საუკუნეებისათვის გადაულახავი პრობლემა იყო.

---

[1] იხ.: СИЭ, т. 10, სვეტი 241-242. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი ორდენები დღესდღეობითაც არსებობენ ევროპის ქვეყნებში (ფრანცისკანელების, დომინიკანელების, ავგუსტინელების, „ძმათა-ქველმოქმედთა" და სხვ.) თუმცა ისინი მხოლოდ სახელწოდებითღა არიან „გლახაკთა" – ფაქტობრივად მათი საქმიანობა სახელწოდებას აღარ შეესაბამება.

დასკვნები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლახაკთა არსებობა დამახასიათებელი მოვლენაა ფეოდალური საქართველოსთვის, ისე როგორც საერთოდ შუა საუკუნეების მსოფლიოსათვის.

დეკლასირებულ ელემენტებთან (კერძოდ, გლახაკებთან) დაკავშირებული საკითხები ფართოდ შეისწავლება როგორც საზღვარგარეთ, ასევე ჩვენში – საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. გარკვეული ისტორიული ლიტერატურის არსებობის მიუხედავად, ფეოდალურ საქართველოში დეკლასირებული ელემენტების (გლახაკები, მეკობრეები, მპარავნი) პრობლემა ჯერ კიდევ სათანადო გაშუქებას მოითხოვს.

„გლახაკი", ისე როგორც მსოფლიოს ხალხთა სხვადასხვა ენებზე იდენტური შინაარსის გამომხატველი ტერმინები, დროთა განმავლობაში გარკვეულ სახეცვლილებებს განიცდიდნენ. ეს ტერმინი ქართულ წერილობით წყაროებში V საუკუნიდან XVIII საუკუნემდე გვხვდება. ისტორიკოსებმა თუ ენათმეცნიერებმა მას ყურადღება მიაქციეს გლეხთან დაკავშირებით. სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებების გათვალისწინებით ტერმინ „გლახაკის" მომდინარეობა-ევოლუცია ასე გვესახება: საშ. სპარს. გილაჰ>გლახ> ქართული გლახ>გლახაკი>გლეხი.

ტერმინი „გლახაკი" გვხვდება ორი ძირითადი შინაარსით:

1. გლახაკი – ღარიბ-ღატაკი. ამ შემთხვევაში გლახაკობა განპირობებულია ეკონომიური ფაქტორით. 2. გლახაკი – ღვისმსახური. ამ კატეგორიის გლახაკებმა სიგლახაკე თვითვე აირჩიეს ცხოვრების იდეალად.

იმავე ქრონოლოგიურ პერიოდში „გლახაკი" გვხვდება თავის დამდაბლების აღმნიშვნელ სიტყვადაც.

ისტორიულ წყაროებში „გლახაკი" მდიდრის საწინააღმდეგო ცნებადაა მოხსენებული (ლეონტი მროველი). ამ ტერმინის ქვეშ ბეჩავი, ომისაგან დაჭირვებული მოსახლეობა აქვს ნაგულისხმევი სუმბატ დავითისძეს. წარმოების საშუალებებს მოკლებული პირის მნიშვნელობითაა მოხსენებული „გლახაკი" იოანე მოსხის „ლიმონარში". გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" გლახაკად მოიხსენიება ის პირი, რომელსაც მოისყიდიან და გრიგოლ ხანძთელის მოსაკლავად უბიძგებენ.

„სიგლახაკე" ზოგადად შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ინტელექტუალურ, მორალურ, ეკონომიურ და რელიგიურ ცნებათა კომპლექსი.

ფეოდალურ საქართველოში ფართოდ ჩანან კონცეფტუალურ საფუძველზე აღმოცენებული გლახაკები. ნებით გლახაკობა დაკავშირებულია, ერთი მხრივ, მძლავრ რელიგიურ პროპაგანდასთან, რომელიც ადამიანებისაგან მოითხოვდა ყოველივე ამქვეყნიურისათვის ზურგის შექცევას, განმარტოებას და ლოცვა-კურთხევით სულიერი სიმშვიდის მოპოვებას, მეორე მხრივ, არ უნდა გამოირიცხოს ის გარემოებაც, რომ ამა თუ იმ პირს ამგვარი გლახაკობისკენ გარკვეულ ბიძგს (გარდა მრწამსისა) მისივე ეკონომიური მდგომარეობაც აძლევდა.

საზრდელი საგლახაკოდს მიღება, გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა, რელიგიური სამსახურისათვის (ღვთისმსახურებისათვის) სულიერ მომზადებას გულისხ-

მობდა, რომელიც გამომდინარეობდა ორთოდოქსალური ქრისტიანული მოძღვრებიდან („ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა“).

ფეოდალურ საქართველოში ფართოდ გვხვდება იძულებითი გლახაკები. ამ კატეგორიას განეკუთვნებიან ის პირები, რომლებიც გლახაკობამდე მიიყვანა მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ, ან რაიმე მნიშვნელოვანმა ფიზიკურმა ნაკლმა. იძულებითი გლახაკობა გაბატონებული კლასისადმი სოციალური პროტესტის გარკვეული ფორმა იყო.

VIII-IX საუკუნეებში გლახაკთა მასა გაიზარდა. IX საუკუნეში ბაგრატ კურაპალატი გლახაკებისათვის გარკვეულ სახსრებს აწესებს, რომელსაც „გლახაკთა ნაწილი“ ეწოდება. ამგვარი სახელმწიფო გამოსაღების დაწესება, ბუნებრივია, გარკვეული აუცილებლობით იყო განპირობებული. იგი ყოველგვარი გლახაკების სასარგებლოდ გაიცემოდა.

განსხვავებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან, სადაც ამგვარი გამოსაღების თანხა ქრისტიან მოსახლეობაზე შეწერილი საგანგებო გადასახადის სახით იკრიბებოდა (თითოეული გადამხდელის შემოსავლის 10%), საქართველოში სახელმწიფოს შემოსავლის „ნაწილი“ გაიცემოდა.

გლახაკთათვის გასაცემი ნაწილის ოდენობის განსაზღვრა არ ხერხდება წყაროებში ამ საკითხზე ცნობის უქონლობის გამო. ძნელია იმ მოსაზრების გაზიარება, რომელიც „გლახაკთა ნაწილს“ სახელმწიფო შემოსავლის 10%-ით განსაზღვრავს. ამგვარი გამოსაღები „ნაათალის“ სახით უფრო გვიან (XII-XIII სს.) გაიცემოდა.

XI-XII სს. საქართველოში მთელი სიგრძე-სიგანით მიმდინარეობს ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესი, რაც, პირველ რიგში, მოსახლეობის მიწაზე მიმაგრებას გულისხმობს; ხდება ჯერ კიდევ თავისუფალი მოსახლეობის მასობრივი დაყმევება. ამ პროცესის დროს ფეოდალური წარმოებიდან იდევნებიან (დეკლასირდებიან) ძირითადად შრომისუუნარონი, მიწის დამუშავების საწარმოო საშუალებებს მოკლებული პირები, რომელთა დაყმევებას ფეოდალი არ თვლის თავისი მეურნეობისათვის სასარგებლოდ, რადგან ამ უკანასკნელთ არ შეუძლიათ ზედმეტი პროდუქტის შექმნა მემამულისათვის. მოსახლეობის სწორედ ამ ნაწილმა შექმნა გლახაკების ბაზა.

მეკობრეები თვითონ გამოდიან ფეოდალურ წარმოებაში ჩაბმის წინააღმდეგი, გაურბიან მიწაზე მიმაგრება-დაყმევებას და აშკარა პროტესტს უცხადებენ გაბატონებულ კლასს. მეკობრე-ყაჩაღები, განსხვავებით გლახაკებისაგან, აშკარა სოციალურ ბრძოლაში არიან ჩაბმული და საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოს და მის მოსახლეობას.

გლახაკთა სიმრავლემ, მათმა მძიმე ეკონომიურმა პირობებმა, ერთი მხრივ, გლახაკთა მხრიდან სახელმწიფო ხელისუფლების საწინააღმდეგო აქციების გატარების გარკვეულმა საშიშროებამ, მეორე მხრივ, ფეოდალურ ქვეყანაში გაბატონებულმა ქრისტიანულ დოგმატებზე დაფუძნებულმა იდეოლოგიამ, საქართველოს სახელმწიფოში საქველმოქმედო საქმიანობის ფართოდ გაშლა განაპირო-

ბა. განვითარდა პირადი ქველმოქმედების გარკვეული სახე – გლახაკთმოღვაწეობა. პირადი ქველმოქმედების პრინციპად ქართველმა საზოგადოებამ საკუთარი შრომით მოპოვებული ქონების გასხვისება დასახა.

IX საუკუნეში დაწესებული „ნაწილი გლახაკთათვის“ XII საუკუნეში „ყოვლისა ნაათალის“ სახეს იღებს. „ყოვლისა ნაათალი“ ზუსტი ტერმინია (ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში რატომღაც იხმარება „გლახაკთა ნაათალი“) იმ შინაარსის გადმოსაცემად, რაც თვით ამ ცნებაშია ჩადებული. „ყოვლისა“ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ლაპარაკია სახელმწიფოს მთელი შემოსავლის მეათედზე. ასე რომ, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“-ში მოხსენიებული „ყოვლისა ნაათალი“ რეალურად გამოხატავს სახელმწიფოს მიერ დაწესებული საქველმოქმედო ინსტიტუტის არსს და ამ ტერმინს სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრების სრული უფლება აქვს.

გლახაკებისათვის ქველმოქმედების გაცემის საქმე საგანგებოდაა ორგანიზებული. სახელმწიფო შემოსავლის 10%-ის განაწილებას სათანადო უწყებათა მთელი სისტემა ესაჭიროებოდა. გლახაკთა სასარგებლოდ ტარდება სახელმწიფოს სხვა ღონისძიებები: ქსენონების აშენება, გლახაკთა თავშესაფრების დაარსება და სხვ.

სამეფო ხელმსუფლების მიერ ფართოდ გაღებული ქველმოქმედება გლახაკებში კლასობრივი სიფხიზლის ერთგვარ მოდუნებას განაპირობებდა, რაც გაბატონებული ფეოდალური კლასის ინტერესებს შეესაბამებოდა.

გლახაკთა პრობლემა მძიმე ტვირთად აწვა შუა საუკუნეებში ფეოდალურ საქართველოს. ისე როგორც სხვა ფეოდალურ ქვეყნებში, ეს პრობლემა გადაუჭრელი იყო საქართველოშიც – მოსახლეობის მნიშვნელოვანი მასა ღარიბ-ღატაკი, არაფრისმქონებელი იყო და სახელმწიფოს ზრუნვის საგნად ქცეულიყო.

შუა საუკუნეების საქართველოში გლახაკობა ადამიანთა გარკვეული მასის წინაშე მდგარ სოციალურ, ეკონომიკურ და რელიგიურ პრობლემათა რეალური გამოხატულება იყო და ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ მიმართული პროტესტის გარკვეულ (პასიურ) ფორმას წარმოადგენდა.

1976 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიის ერთი ფურცელი (ბიზანტია-ბულგარეთის 1014-18 წწ. ომი და საქართველო)[1]

საკითხი, რომელსაც ჩვენ ვეხებით XI საუკუნის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ერთი მნიშვნელოვანი მომენტია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ორი ქვეყნის შემდგომი ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრაში. ამასთან ამ კონკრეტულ ვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ბულგარეთის სახელმწიფომ შეასრულა. უფრო ზუსტად, საკითხი ეხება ბიზანტია-ბულგარეთის 1014-1018 წწ. ომსა და მის მნიშვნელობას საქართველოსთვის.

X საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალური საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა და ერთიანი მონარქია შეიქმნა ცენტრალური სამმართველო აპარატით. ამას თან დაემთხვა სოციალური გარდაქმნაც – ქვეყანა განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების სტადიაში შევიდა. მეფის ხელისუფლებამ საშუალო და წვრილ აზნაურობაზე დაყრდნობით და მსხვილ ფეოდალთა სხვადასხვა დაჯგუფების ინტერესთა ერთმანეთისადმი დაპირისპირებით (ზოგიერთი საგვარეულოს წინააღმდეგ აშკარა ბრძოლით) შესძლო ფართო გზა მიეცა ქვეყნის გამაერთიანებული ძალებისა და ტენდენციებისათვის. ფეოდალურ საქართველოს შეექმნა მტკიცე ბაზისი ეკონომიკური და კულტურული აღმავლობისათვის. ამასთან ქვეყანა პოლიტიკურადაც მძლავრ და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა[2].

XI საუკუნის ფეოდალური საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის კარდინალური საკითხები ერთმანეთთან უშუალოდ იყო დაკავშირებული. კერძოდ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და შინაპოლიტიკური ბრძოლები თავის გამოხატულებას პოულობდნენ საგარეო პოლიტიკაში. მნიშვნელოვანი პრობლემა XI საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტიასთან ურთიერთობა იყო. ამიერკავკასიის საკითხი ბიზანტიის საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის წინა რიგში იდგა. იყო დრო, როცა საქართველოსა და სომხეთს ბიზანტია მხარს უჭერდა და მათ გაძლიერებაზე ფიქრობდა, რადგან ეს უკანასკნელნი არაბთა სახალიფოსთან დასაპირისპირებლად ესაჭიროებოდა მას. XI საუკუნისათვის, როცა ბიზანტიის

---

[1] სტატია დაწერილია იენის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების პერიოდული კრებულისათვის „გეორგიკა".

[2] იხ. მელიქიშვილი გ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და ფეოდალური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973; ლორთქიფანიძე მ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1964.

იმპერიისთვის არაბთა სახალიფოს საკითხი პრაქტიკულად არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგან მის ნანგრევებზე აღმოცენებული მაჰმადიანური ტაოელი მიროები სერიოზულ მეტოქეობას ვეღარ გაუწევდნენ, უკვე საქართველოსა და სომხეთის გაერთიანებაში დაინახა საფრთხე. აქედან გამომდინარე ბიზანტიის დამოკიდებულება ამიერკავკასიის ქვეყნებისადმი რამდენადმე შეიცვალა. ბუნებრივია, ბიზანტიის იმპერია ცდილობდა ამიერკავკასიაში თავისი გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებას. მით უმეტეს, რომ უკვე იგრძნობოდა ბიზანტიის იმპერიის დასუსტების დასაწყისი. საიმპერიო კარი დიდი დაძაბულობის შედეგად ახერხებს თავისი სამფლობელოების დაცვას და ქვეყნის შიგნით ცენტრალური ხელისუფლების სიმტკიცის შენარჩუნებას[1].

ბიზანტიის იმპერიას არ აკმაყოფილებდა საქართველოსგან მხოლოდ ფორმალური აღიარება ბიზანტიის სუვერენობისა და იგი რეალურად ცდილობდა თავისი მდგომარეობის განმტკიცებას. ამ მისწრაფების აშკარა განხორციელების მაგალითი იყო XI ს. დასაწყისში სამხრეთი ტაოს ტერიტორიაზე (დავით კურაპალატის[2] ყოფილი სამფლობელოებიდან) იბერიის თემის შექმნა[3]. ბიზანტია ყველა საშუალებით ცდილობდა საქართველოს გაერთიანებისა და ზრდა-გაძლიერების პროცესის შეჩერებას, მის დასუსტებასა და მოსაზღვრე სამფლობელოების ხელში ჩაგდებას[4] ბიზანტიის საიმპერიო კარი დიდი სურვილით უჭერდა მხარს სეპარატიზმის მოსურვე და ცენტრალური სამეფო ხელისუფლების გაძლიერების მოწინააღმდეგე დიდგვაროვან ფეოდალებს.

დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ იმპერატორმა ბასილი II-ემ დაიპყრო სამხრეთი ტაო. მასთან იხმო საქართველოს მეფე ბაგრატ III, უბოძა მას კუროპალატობა, ხოლო მამამისს გურგენს უფრო დაბალი, მაგისტროსის თანამდებობა. ამით, იმპერატორს, როგორც ქართველი მემატიანე შენიშნავს[5], მამაშვილს შორის შუღლის ჩამოგდება უნდოდა, მაგრამ ვერ მიუღწევია. ბიზანტიის იმპერატორისგან სამხრეთი ტაოს დაკავება დავით კურაპალატის სამემკვიდრეოს ჩამორთმევას ნიშნავდა. ამ სამფლობელოზე საქართველოს მეფეს ბაგრატ III-ს იურიდიული უფლება აღარ ჰქონდა, რადგან დავით კუროპალატს ბასილისათვის პირობა ჰქონდა მიცემული, რომ სიკვდილის შემდეგ თავის სამფლობელოს მას დაუტოვებდა. ამასთან ტაოელმა აზნაურებმაც ფიცით მისცეს პირობა, რომ დავითის გარდაცვალების შემდეგ თავის ციხეებს ბასილს გადასცემდნენ[6]. მართლაც

---

[1] Левченко М. В., История Византии, М., 1949, стр. 137-154.

[2] მთელი XI საუკუნის განმავლობაში იღებდნენ ქართველი მეფეები ბიზანტიის იმპერიის საკარისკაცო ტიტულებს (მაგისტროსი, სევასტოსი, კესაროსი, კუროპალატი და სხვ.).

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979, გვ. 171.

[4] Очерки истории, III, стр. 559.

[5] სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 382.

[6] Розен В. Р., Император Василий Болгаробойца. Петр., 1883 стр. 27. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე Лордкипанидзе М. Д., Из Истории грузино-византийских взаимоотношений на грани X-XI вв., Сб., Вопросы истории Грузии феодальной эпохи, Тб., 1972, стр. 31-42.

ბასილმა სამხრეთ ტაოსაგან შექმნა იბერიის თემი – საკატაბანო და იქ მმართველად ბიზანტიელი მოხელე დანიშნა.

ამრიგად, X-XI საუკუნეების მიჯნაზე, როცა ქართული მიწების გაერთიანება და ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნა ხდებოდა, ბიზანტიის იმპერიამ პრეტენზია განაცხადა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ პროვინციებზე და შექმნა ადმინისტრაციული ერთეული – იბერიის საკატაბანო, რომელიც ფაქტობრივად მომავალი საყრდენი იყო საქართველოს საქმეებში ჩასარევად. ბიზანტია ყოველგვარად უშლიდა ხელს საქართველოში ხელისუფლების ცენტრალიზაციას. დავით კურაპალატის მემკვიდრეობისათვის ბრძოლამ ერთგვარად შეაფერხა ქართული მიწების საბოლოო გაერთიანება.

სამხრეთ ტაოს სომხეთისთვისაც ჰქონდა მნიშვნელობა და შემთხვევითი არ იყო, რომ როდესაც საქართველო ცდილობდა თავისი ტერიტორიის დაბრუნებას, მას მხარში სომხური სამეფო-სამთავროები ედგნენ.

სამხრეთი ტაოს დაბრუნებისათვის ბრძოლის გზაზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო ბულგარეთის ომი (1014-1018 წწ.) ბიზანტიელთა აგრესიის წინააღმდეგ.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ბულგარეთის ურთიერთობა ბიზანტიასთან საქართველოს მსგავსად დაძაბული იყო. ბიზანტიას თავისი გარკვეული ინტერესები ჰქონდა ბულგარეთთან. აღსანიშნავია, რომ სწორედ 1001 წელს დაიწყეს ბიზანტიელებმა ბულგარეთის გეგმაზომიერი დაპყრობა. ბასილ II წამოვიდა პლოვდივი-სრედეცის მიმართულებით, რათა სამუილის სამფლობელო ორად გაეყო. სრედეციდან ჩრდილოეთისაკენ გაემართა და ხელთ იგდო მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები. ნიკიფორე ქსიფე აღმოსავლეთ ბულგარეთში შეიჭრა და დაიკავა პრერდავი და დუნაის სამხრეთი ქალაქები. ბიზანტიელებმა სათანადო მომზადების შემდეგ თესალიასაც შეუტიეს[1].

მიუხედავად იმისა, რომ ბულგარეთი ხანგრძლივი ომებით დასუსტებული იყო, იგი მაინც ადვილად არ დანებდა ბიზანტიას[2]. ბულგარელი ხალხი თავგანწირვით იბრძოდა დამპყრობლის წინააღმდეგ. ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო 1014 წლიდან.

საერთოდ ბულგარელი ხალხის ხანგრძლივმა და ძლიერმა წინააღმდეგობამ წაახალისა აღმოსავლეთი ქვეყნები. საქართველოს სამეფო კარმა ისარგებლა იმით, რომ ბიზანტია ბულგარეთის პრობლემით იყო დაკავებული (განსაკუთრებით 1014 წლიდან) და ბრძოლა დაიწყო სამხრეთ ტაოს მიწა-წყლის გასათავისუფლებლად და შემოსაერთებლად. ქართველებს მხარში ამოუდგნენ სომხებიც, რადგან, როგორც ზემოთაც აღინიშნა სომეხთა სამეფო-სამთავროების ინტერესებშიც შედიოდა ტაოს მიწა-წყლიდან ბიზანტიელთა განდევნა. არაბი ისტორიკოსი იაჰია ანტიოქელი გვაუწყებს, რომ როცა ბასილი ბულგარელებს ეომებოდა გიორგი I-მა ენერგიულად შეუტია და დაიკავა ყველა ის ციხე, რომელიც დავით კურაპალატმა

---

[1] История Болгарии, М., 1954, т. I, стр. 96.

[2] Всемирная история, М., 1957, т. II, стр. 227.

კეისარს გადასცა[1]. ასე, რომ ბულგარელების ბრძოლამ ბიზანტიასთან საქართველოს პოლიტიკაში არსებითი როლი ითამაშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, ბიზანტიელებისა და ბულგარელების გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1014 წ. ბელასეცის მახლობლად. აქ სამუილის ჯარი დამარცხდა. მიუხედავად დამპყრობელთა მხრიდან მკაცრი დამოკიდებულებისა ბულგარელი ხალხი განაგრძობდა ბრძოლას მტრის წინააღმდეგ. ბასილ II-ს კიდევ 4 წელი დასჭირდა იმისათვის, რომ ქვეყანა დაეპყრო. 1018 წელს ბულგარეთი საბოლოოდ დაიმორჩილეს და ბიზანტიის პროვინციად აქციეს[2].

ბულგარეთის მარცხმა შეცვალა საქართველოს მდგომარეობაც. ბასილმა ტაოს მიწა-წყალი მოიკითხა და სასწრაფოდ მოსთხოვა გიორგი I-ს დაკავებული ციხე-სიმაგრეების დაცლა.

სომეხი ისტორიკოსი არისტაკეს ლასტივერტეცი გადმოგვცემს, რომ გიორგი I-ს არ შეუსრულებია იმპერატორის მოთხოვნა, რასაც ეს უკანასკნელი გაურისხებია და ლაშქარი გაუგზავნია ქართველთა წინააღმდეგ, თანაც დაუვალებია, რომ ძალით დაეპყროთ სადავო ქვეყანა, ბიზანტიელებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და უნტიგის (ოლთისის) ახლოს მათი ლაშქარი გააქციეს[3].

არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობით, ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლება უფრო მეტს ითხოვდა გიორგი I-სგან, ვიდრე ბიზანტიამ 1001 წელს მიიტაცა, კონკრეტულად კი არაფერს გვეუბნება, რომელი მიწების მიტაცების სურვილი ჰქონდა ბიზანტიას. ფაქტია, ის, რომ ბიზანტიას საქართველოს სამეფოს სიღრმეში შეჭრა განუზრახავს.

რა ძალებს ეყრდნობოდა გიორგი I, როცა მრისხანე მბრძანებელს ქედი არ მოუხარა და მტკიცედ შეებრძოლა. ქართველი მემატიანეების ცნობით კახეთ-ჰერეთი აღარ ემორჩილება საქართველოს მეფეს. „მატიანე ქართლისა" კახეთ-ჰერეთის გამარეთიანებელ მეფეს კვირიკეს უწოდებს რანთა და კახთა მეფეს. ამის გამო ზოგი ისტორიკოსი გამორიცხავს ჰერ-კახთა მონაწილეობას გიორგი I-ის მხარეზე. ეს კი არასწორია. ქართული წყაროები თვალნათლივ მიუთითებენ, რომ ჰერეთი და კახეთი ბიზანტიის წინააღმდეგ საქართველოს სამეფოს გვერდითაა გიორგი I-ს უდგას მხარში ანისის სამეფო, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც ჩანს, საქართველოს სამეფო კარს წინასწარ ჰქონდა განსაზღვრული, თუ როგორ უნდა გამოეყენებინა ბიზანტიის საგარეო პოლიტიკური ვითარება, კერძოდ, თვლიდა, რომ ბიზანტიისადმი მტრულად განწყობილი აღმოსავლეთის მაჰმადიანური პოლიტიკური ერთეულები მხარს საქართველოს დაუჭერდნენ. იაჰია ანტიოქელის ცნობით, გიორგი I-მა საიდუმლო მოლაპარაკება დაიწყო ეგვიპტის ხალიფასთან

---

[1] Розен В. Р., Император Василий Болгаробойца, стр. 51. იხ. აგრეთვე, ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, გვ. 89-99.

[2] История Болгарии, I, М., 1954, стр. 96.

[3] არისტაკეს ლასტივერცი, ისტორია, თბ., 1977, ე. ცაგარეიშვილის რედაქციით, გვ. 40-50. სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 383.

ალ-ჰაქიმთან. საქართველოს სამეფო კარის წინადადება ითვალისწინებდა ბიზანტიისათვის თავდასხმას ერთდროულად ეგვიპტისა და საქართველოს მხრიდან, ე. ი. სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან[1] ამ ტაქტიკური გეგმის განხორციელებას შეეძლო ბიზანტიის იმპერია დიდ საფრთხეში ჩაეგდო. თავი მხრივ ალ-ჰაქიმი ბიზანტიასთან მტრულ დამოკიდებულებაში იყო[2]. ბიზანტიის იმპერიის მესვეურებს, როგორც ჩანს, სიფრთხილე არ მოუდუნებიათ და საქართველოს სამეფოს ურთიერთობა სომხეთთან და საიდუმლო მოლაპარაკება ეგვიპტესთან ცნობილი გახდა მათთვის. ბიზანტიის იმპერია დაუყოვნებლივ შეუდგა გადამწყვეტი ომისათვის სამზადისს. თანაც ეს მზადება დიდი კონსპირაციის დაცვით მიმდინარეობდა. ბასილ II-მ თვალის ასახვევად სირიაში ომი გამოაცხადა, ანტიოქიაში სურსათისა და იარაღის გაგზავნა დაიწყო. უკანასკნელ დროს კი პირი საქართველოსკენ იბრუნა და გიორგი I-ის წინააღმდეგ გაილაშქრა[3].

ბიზანტიის დიპლომატიურ მოქმედებას საქართველოზე თავისი გავლენა ჰქონდა – სამეფო კარის ყურადღება შეუნელებია და კარზე მომდგარ მტერს ქართველები სათანადოდ მომზადებული ვერ დახვდნენ. საქართველოსა და ეგვიპტის მოლაპარაკებასაც პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია (იქნებ იმიტომაც, რომ სწორედ 1021 წელს ალ-ჰაქიმი გარდაიცვალა)[4].

ქართველი მემატიანე მოგვითხრობს, რომ „გამოვიდა ბასილი, მეფე ბერძენთა... ყოვლითა სპითა საბერძნეთისათა და უცხოეთესლითა ურიცხვითა“[5]. გიორგი I-მა როგორც კი შეიტყო ბასილის საქართველოსკენ გამოლაშქრება, სასწრაფოდ შეკრიბა ლაშქარი და მოიშველია ვისი მხარდაჭერაც კი შესაძლებელი იყო და ასე შეეგება მტერს[6].

საქართველოს ლაშქრის სარდლობას ბიზანტიის ჯარის რაოდენობის შემოწმების შემდეგ, შებმა მიზანშეუწონლად ჩაუთვლია და უკან დახევა გადაუწყვეტია. მოწინააღმდეგის ბანაკში პირიქით გააქტივება სუფევდა და ისე მოხდა, რომ უკან მიმავალ ქართულ ლაშქარს ბიზანტიელები დაედევნენ. გიორგი პირველმა მტრის მოძრაობის ხელის შეშლის მიზნით გადასწვა ქ. ოლთისი. ლაშქრის სარდლობა არ ჩქარობდა ბრძოლის დაწყებას, მაგრამ ბიზანტიელებმა იაქტიურეს, თვითონ შეებნენ საქართველოს ლაშქრის არიერგარდს შირიმნთან 1021 წელს. არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობით ეს ბრძოლა პალაკაციოს (ჩილდირის) ტბის მახლობლად მომხდარა[7]. მისივე ცნობით, ქართველებმა მედგარი ბრძოლით უკუაქციეს ბიზანტიელთა ჯარები[8]. მაგრამ ბრძოლაში მოპოვებული უპირატესობა ქართველებმა

---

[1] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 296.

[2] მატიანე ქართლისა, გვ. 285.

[3] История Византии, II, 1967, стр. 225. Розен В. Р., დასახ. ნაშრ., გვ. 61.

[4] იქვე, გვ. 62. საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა აღნიშნულ პერიოდში დაწვრილებით აქვს განხილული ივ. ჯავახიშვილს; იხ. მისი, ქართველი ერის ისტორია, თბ., II, 1965.

[5] მატიანე ქართლისა, გვ. 284.

[6] Розен В. Р., დასახ. ნაშრ., გვ. 62; მატიანე ქართლისა, გვ. 284.

[7] არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, გვ. 46.

[8] იქვე.

ვერ შეინარჩუნეს და უკან დაიხიეს[1]. ამან კიდევ უფრო გააქტიურა მტერი, ქართველებს უკან დაედევნენ და შეებრძოლნენ. ბიზანტიის ლაშქარმა შეტევა ერ-ლა-არტაან-ჯავახეთზე გამოვლით განავითარა და გაანადგურა ეს მხარე. შემდეგ თრიალეთში შემოიჭრა. გიორგი I-მა მოიშველია კახეთისა და ჰერეთის ძალები და ბრძოლის განახლება გადაწყვიტა. ზამთრის მოახლოებისა და, როგორც ჩანს, ქართველების მომაგრების ანგარიშის გაწევით, ბიზანტიის მბრძანებლებმა ბრძოლის გაგრძელება მიზანშეუწონლად ჩათვალა და უკან დაბრუნდა. თანაც, როგორც ქართველი მემატიანე გადმოგვცემს, უკან დაბრუნებისას კეისარმა „კუალად უბოროტესადრე შურის-გებით მოაოხრნა ქვეყანანი იგი![2], ტრაპიზონში მივიდა და იქ დაიზამთრა.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ ბიზანტიასთან ბრძოლისას საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები ერთმანეთთან მჭიდროდ შეკავშირებული გამოვიდნენ, ამასთან ქართველმა ფეოდალებმა დაივიწყეს შუღლი, თავიანთი სეპარატისტული განწყობილებები და მტრობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან და გიორგი I-ს ამოუდგნენ მხარში. ამ ბრძოლაში დაიღუპნენ მსხვილი ფეოდალები კლდეკარის ერისთავი რატი ლიპარიტის ძე და ხურსი[3].

ბასილ I-ის ტრაპიზონში მოსვლის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკება მოწინააღმდეგეთა შორის ზავის დადების თაობაზე. ორივე მხარეს თავისი ინტერესები ჰქონდა. მთელი მე-XI საუკუნის მანძილზე საქართველო ბიზანტიის ურთიერთობა გარკვეული სიმწვავით ხასიათდებოდა, მათი დამოკიდებულებაც მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი იყო. მე-XI საუკუნის მიწურულს საქართველო მძლავრი ფეოდალური მონარქიაა და ბიზანტიის გავლენაც ნულამდეა დაყვანილი.

დასასრულ, ერთხელ კიდევ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ბიზანტია-საქართველოს დაძაბული ურთიერთობის ერთ ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი შეარსულა ბულგარეთმა, კერძოდ იმ ბრძოლამ რომელსაც საერთოდ და კერძოდ, 1014-18 წწ. აწარმოებდა ბულგარელი ხალხი ბიზანტიელთა წინააღმდეგ. სწორედ ამ დროს მოხდა საქართველოს წინააღმდეგობის გამძაფრება და ბიზანტიისგან მიტაცებული მიწების დაბრუნება. ბიზანტია-ბულგარეთის 1014-18 წწ. ბრძოლის შედეგებმა თავისი გავლენა იქონია საქართველოზეც. ბულგარეთის დამარცხების შემდეგ ბიზანტიამ საქართველოსთვის მოიცალა და შეებრძოლა მას. აქაც, ისე როგორც წინა შემთხვევაში, გამარჯვებული ბიზანტია გამოვიდა. მაგრამ ისე როგორც ბულგარელების, ქართველი ხალხის ბრძოლა არ ცხრებოდა და სხვადასხვა გზით იმავე XI ს. ბოლოს საქართველომ სრულ დამოუკიდებლობას მიაღწია.

1990 წ.

---

[1] მატიანე ქართლისა, გვ. 285.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 284.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ВИЗАНТИЙСКО-ГРУЗИНСКИЕ ОТНОШЕНИЯ (XI В.) В СВЕТЕ НУМИЗМАТИЧЕСКИХ МАТЕРИАЛОВ И ТИТУЛЯРНИКОВ ГРУЗИНСКИХ ЦАРЕЙ

В данной статье мы рассматриваем взаимоотношения Грузинского государства с Византией на протяжении XI века, в частности, прослеживается процесс усиления или ослабления влияния Византии на основе имеющихся в нашем распоряжении нумизматических материалов (монет XI в.) и сохранившихся в грузинских нарративных источниках титулярников грузинских царей.

На протяжении почти всего XI века Грузия имела тесные отношения с Византией. Определенное влияние Византийской империи явно видно в содержании чеканенных в ту эпоху монет. Это особенно чувствуется в монетах, отчеканенных до 90-ых годов XI в., т. е. до Давида Агмашенебели (Строителя). В Грузии сами византийские монеты имели определенное хождение. Так, например, Давид Агмашенебели (Строитель) в своем завещании 1125 года отмечал: „А драхмы, дарю Цвате и мои рубины и жемчуга жертвую Хахульской Богоматери, а дукаты и потинаты Атенскому казнохранилищу, это также добыто моею кровью. Если поступится царь Димитрий, пусть отдаст все моему наставнику".

Обращение византийских денег в Грузии этого периода подтверждается и образцами, найденными в Грузии.

С конца X в. (после окончательного ослабления арабского господства) грузинско-византийские отношения нашли отражение и во внешнем виде грузинских монет. С них исчезли мусульманские знаки и их место заняли христианский крест или изображение Божьей Матери. Основные надписи на монетах – грузинские и содержат не только имена царей, но и их византийские титулы (монеты того времени чеканились из серебра). Таковы, например, монеты, с именами грузинских царей XI века: Давида Курапалата (с титулом „царя грузин"), Баграта IV, Георгия II, Давида Агмашенебели[1]. На отчеканенной Давидом Курапалатом монете изображен крест и помещена титульная надпись, которая читается так: „Христос, помилуй Давида Курапалата"[2], а

[1] Д. Капанадзе, Грузинская нумизматика, Тб., 1950, стр. 42-43 (на груз. яз.).

[2] Эта монета найдена в Западной Европе в городе Шаване (Маклебурге) в 1853 году вместе с кладом европейских монет.

на монете, отчеканенной Багратом IV, изображена Влахернская Божья Матерь и размещена надпись: „Христос, восславь Баграта, царя Абхазского и Новеллисимоса". От этой надписи отличается надпись второй монеты Баграта IV, где Баграт имеет титул „Севастоса"[1]. На отчеканенных в XI веке грузинскими царями монетах последовательно появляются титулы: курапалат, новеллисимос, севастос, кесариос.

На большинстве монет этого периода изображена Влахернская Божья Матерь, которая имеет греческую надпись. Примечательно, что с изменением царских титулов менялись и надписи под Божьей Матерью. Так, например, на монете Баграта IV вокруг изображения Богородицы со вздетыми руками надпись: „Святая Богородица", на отчеканенной Георгием II монете написано „М", т. е. „Матерь Божья Влахернская"[2].

Последним по времени образцом чеканки монет с изображением Божьей Матери является монета, отчеканенная Давидом Агмашенебели (1089-1125 гг.)[3].

Давид отказался как от чеканки монет с греческой надписью, так и от всякого рода византийской титулятуры (об этом ниже). Дело в том, что в первой четверти XII века Грузия окрепла и политически, и экономически и на всем Ближнем Востоке стала сильным государством. Надписи монет Давида Агмашенебели выглядят так: „Царь царей Давид, сын Георгиев, меч мессии"[4], или, „Давид царь абхазов, грузин, ранов, кахов и армян"[5].

Необходимо отметить, что Давид Агмашенебели, учитывая усиление восточного рынка, приблизил грузинскую монету именно к восточной – параллельно с монетой с грузинской надписью он чеканил и монету мусульманского типа, в частности, с арабской надписью. Арабский историк Аль-Фарик подтверждает, что Давид чеканил деньги, на одной стороне которых были написаны имена халифа и султана, на второй – Аллаха и апостола, а по краям имя самого Давида Агмашенебели[6].

---

[1] Оба варианта этих монет известны в 7-ми экземплярах (образцах); в Московском историческом музее – 4, в Эрмитаже – 2 и в Государственнгом музее Грузии – I.

[2] Монеты Георгия II хранятся в Московском историческом музее – 77 единиц, в Эрмитаже и Британском музее по 5, в Берлинском музее – 3, в Сухуми – 2, в Государственном музее Грузии – 1.

[3] Определенный вклад и изучение грузинской нумизматики интересующего нас периода внесли Баратев М. П., Нумизматичекие факты грузинского царства, СПБ., 1844; Пахомов Э. А., Монеты Грузии, Тб., 1970; его же, Монетные клады Азербайджана и Закавказья, Баку, 1928; Ломоури Т., Деньги в эпоху Шота Руставели, сб. „Материальная культура Шота Руставели", Тб., 1938 (на груз. яз.); Капанадзе Д. (см. его „Грузинская нумизматика, Тб., 1950, (на груз. яз.); его же, Вестники прошлого, Тб., 1965 (на груз. яз.); его же, Новый тип монеты Давида Строителя, Византийский Временник, т. XIII, 1957; его же, Медная монета грузинского царя Давида, сына Георгия, Эпиграфика Востока, XII, 1958 и др.

[4] Эту монету впервые описал французский ученый В. Ланглуа и отнес ее к Давиду Агмашенебели. Некоторые ученые (Э. Пахомов) сочли это спорным. Э. Пахомов считал эту монету, отчеканенной Давидом Улу. Впоследствии утверждение В. Ланглуа подтвердилось (Д. Капанадзе).

[5] Это медная монета, которая с 1857 г. хранится в Британском музее. Ее описал в 1957 г. Д. Ланг.

[6] В. Путуридзе, Арабский историк о Тбилиси XII века, Вестник, XIII, 1943, с. 141 (на груз. яз.).

Известно, что деньги являются реальным отображением общественной жизни эпохи. Это выражается в размере, весе и форме денег, в денежном курсе, в его содержании. Государство само устанавливает масштаб цен и чеканит деньги. Отсюда следует то, что те или иные деньги носят национальный „наряд" своих стран, „Снятие" которого происходит на мировом рынке. Именно эта особенность, конкретный наряд придает деньгам значение исторического источника. В надписях и форме денег отражается (не говоря об экономике) реальность политической жизни страны.

В нашем конкретном случае ясно, что политическое и экономическое усиление Грузии в первой четверти XII века вызвало изменение монетного типа XI века. Не вызывает сомнения и тот факт, что Грузия с XII века полностью вышла из ареала византийского влияния.

Интересное представление о развитии политического процесса страны дают наблюдения над титулами грузиснких царей. В переменчивости царских титулов (это особенно видно в интересующем нас периоде) наглядно отразился процесс политической стабилизации Грузии – от страны со сравнительно слабым политичеким положением до одной из сильнейших стран Передней Азии того периода.

В данном случае нас интересуют лишь византийские титулы[1].

Отметим, что первый византийский титул курапалата получил картлийский эристави (удельный князь) Гуарам (IV-VII вв.). Этот факт подтверждается дошедшими до нас несколькими источниками (Джуаншер, „Жизнеописание Вахтанга Горгасала", „Летопись Картли", хроника Сумбата, сына Давидова, „Жизнь и исходя Багратионов"). Вместе с тем подчеркивается, что это была честь, оказываемая византийским цезарем (императором): „И дал ему (Гургену – Р. М.) царь греческий в знак уважения курапалатство и отослал во Мцхету"[2].

Как было указано выше, в XI веке и грузинские цари носили византийские титулы (кесарос, севастос, новеллисимос и т. д.). Наблюдение показывет, что тот или иной царь получал сначала титул низшего ранга. Затем, в зависимости от того, в каких отношениях находилось это лицо с византийским императором, к титулу добавлялся и ранг. „Летопись Картли" описывает весьма интересный факт: византийский кесарь Василий II в 1001 году пожаловал царю Грузии Баграту III титул Курапалата, а его отцу Гургену магистросовство. Курапалатство было честью четвертого ранга (после кесаря, севастоса и новеллисимоса), а магистросовство – седьмого.

---

[1] Об этом см. Ив. Джавахишвили, История грузинкого народа, II, Тб., 1965 (на груз. яз.); его же, Царь Грузии и история его прав, Тб., 1905 (на груз. яз.); С. Джанашиа, Грузинская феодальная монархия в XII веке, в кн. „История Грузии", Тб., 1948 (на груз. яз.); Дж. Степнадзе, К понятию титулов грузинских царей XI-XII вв., сб. „Разыскания из истории Грузии и Кавказа", Тб., 1976, с. 156-165 (на груз. яз.).

[2] Сумбат Давидисдзе, „Жизнь и сведения Багратионов", „Картлис Цховреба", I, Тб., 1955, с. 374 (на груз. яз.).

„И дал им царь Василий как честь Гургену магистерство, а Баграту курапалатство, дабы посеять вражду между отцом и сыном“[1]. Кесарю не удалось посеять вражду между отцом и сыном. Гурген не попался на удочку: „Гурген был правдив и искренен, и поэтому хитростью не удалось ему (кесарю) изменить его сердца“.

Кроме Курапалата, у Баграта III (975-1014 гг.) не должно было быть другого титула. Во всяком случае, в имеющихся у нас источниках не упоминаются другие титулы. Следующий царь Георгий I (1014-1027 гг.) из всех византийских придворных титулов носил только титул курапалата[2].

Множеством византийских титулов был пожалован Баграт IV (1027-1072 гг.), который в разные времена носил титулы магистроса, курапалата, новеллисимоса и севастоса.

Магистросовство он получил, будучи заложником в Византии (1022-1025 гг.)[3], курапалатство – в 1031-1032 гг. при венчании на дочери кесаря[4]. „Летопись Картли“ повествует о том, что кесарь, наряду с честью курапалата, „отдал в жены“ Баграту царевну Елену[5]. В середине XI века (приблиз. 1052-1054 гг.) в приписке к Евангелию он упоминается как новеллисимос „всего Востока“[6]. Под этим же титулом упоминается Баграт IV в 1058 году в выданной Шиомгвимской обители грамоте. Примерно с 1060 года Баграт является обладателем титула севастоса[7]. „Летопись Картли“ прямо указывает: „Так Баграт сначала был курапалатом, а затем новеллисимосом, а впоследствии стал севастосом“[8]. Тому же летописцу известен и титул магистроса. В бараташвилевском списке „Картлис Цховреба“, где говорится об отправлении Баграта из Византии в Грузию, на полях приписано – магистор (манистрос)[9].

В политике кесарей раздача византийских титулов была значительным дипломатическим шагом. Как видно, византийский императорский двор придавал существенное значение взаимоотношениям с грузинскими царями. Это явление стало особенно заметным в условиях активизации турок-сельджуков в Малой Азии и на Кавказе. Царь Грузии Георгий II (1072-1089 гг.) в 1060 году получил титул курапалата[10], а затем

---

[1] Летопись Картли, Картлис Цховреба, I, Тб., 1955, с. 278 (на груз. яз.)

[2] Н. Бердзенишвили, Вопросы истории Грузии, I, Тб., 1964, с. 28; В. Копалиани, К вопросу Курапалата „Всего Востока“, „Мацне“, №3, 1972, с. 171-176 (на груз. яз.).

[3] Е. А. Пахомов, Монеты Грузии, Тб., 1970, с. 58.

[4] „Картлис Цховреба“, I, стр. 294.

[5] Там же.

[6] Ф. Жордания, Описание рукописей тифлисск. церковн. музея, к. и. 2, 1902, с. 50.

[7] Дж. Степнадзе, Указ. соч., с. 159; Е. А. Пахомов, Указ. соч., с. 60 (на груз. яз.).

[8] „Картлис Цховреба“, I, с. 315 (на груз. яз.).

[9] Там же, с. 304 (на груз. яз.).

[10] Бакрадзе Д., Статьи по истории и древности Грузии, 1887, с. 20.

новеллисимоса[1], севастоса[2] и кесаря[3]. Знаменательно, что высшего титула кесаря из грузинксих царей был удостоен лишь Георгий Второй.

Активная внешняя политика Давида IV Агмашенебели (1089-1125 гг.) включала и проблему отношений с Византией. Необходимо отметить, что после тяжелого поражения в битве при Манаскерте в августе 1071 года роль и влияние Византийской империи постепенно ослабевают. Остался неосуществленным и план покорения Кавказа и установления своего верховенства (главенства) над Грузией. Давид Агмашенебели был первым царем единой Грузии, который отверг византийские придворные титулы. Примечателен и тот фатк, что Давид Агмашенебели, как свидетельствует одна из рукописей, еще до воцарения носил титул „севастоса". В одном документе он упоминается как „паниперсевастос".

Давид Агмашенебели после определенных политических и экономических успехов отказался от византийских титулов. Именно по этой причине с 90-ых годов XI века он не упоминается ни в одном источнике с византийским придворным титулом. Это со своей стороны указывало на тот факт, что отныне Грузинкое государство считало себя равноправным Византийской империи[4].

Давид Агмашенебели боролся за изгнание турок-сельджуков из Закавказья и хорошо понимал, что отношения с Византийской империей на равных условиях были необходимы. Именно интерес к укреплению паритетных отношений с Византией заставил грузинского царя сделать шаг к династическому браку, когда он свою дочь Кату в 1116 году выдал замуж за старшего сына Анны Комнинос и Никифора Вриениоса Алексия. После такого породнения историк Давида Агмашенебели имел право заявить, что для грузинского царя „царь греческий" был „как домочадец его". Добрососедская политика отношений с Византией не менялась до последних лет царствования Давида Агмашенебели.

Таким образом, как показывают отчеканенные грузинскими царями монеты и их титулярники, на протяжении всего XI века явно прослеживается определенное влияние Византийской империи на Грузию. Лишь с конца XI и в особенности в первой четверти XII века изменилась эта обстановка, когда отношения между Грузией и Византией начали строиться на реальных паритетных началах.

1990 г.

---

[1] Е. А. Пахомов, Указ. соч., с. 62.

[2] Там же, с. 64-69.

[3] Ф. Жордания, Хроника I, с. 236.

[4] Р. Метревели, Давид IV Агмашенебели, Тб., 1986, с. 290 (на груз. яз.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი მეორის მოღვაწეობის შეფასების საკითხი

თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ თავისი განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. ჩვენმა ისტორიკოსებმა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი შეისწავლეს და საზოგადოების ცოდნის ჩარჩოებში მოაქციეს. საქართველოს ისტორიის მრავალი კარდინალური, თუ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ არსებობს გარკვეული აზრი, მიღებული ამ საკითხების შესწავლის შემდგომ. ქართველი ისტორიკოსების დაუღალავი და ნაყოფიერი შრომის შედეგია ავტორთა კოლექტივის მიერ შექმნილი „საქართველოს ისტორია" (დამხმარე სახელმძღვანელო), რომელიც უკანასკნელ წლებში წარმოებული კვლევის შედეგებზეა დამყარებული. ყოველივე ეს, რასაკვირველია, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ისტორიის ყველა საკითხის კვლევაში სასურველ შედეგს მივაღწიეთ და გასაკეთებელი აღარაფერი იყოს. ვფიქრობთ, რომ ჩვენი ისტორიის ზოგიერთი საკითხი საჭიროებს შემდგომ შესწავლას.

ამჯერად გვინდა შევჩერდეთ საქართველოს მეფის გიორგი მეორის (1072-1089) მოღვაწეობის შეფასების პრობლემაზე. თავისთავად ეპოქა, რომელშიაც გიორგი მეორეს მოუხდა მოღვაწეობა, უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო არა მარტო საქართველოსა და კავკასიის სხვა ქვეყნებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს ისტორიის მასშტაბითაც. ამიტომ შემთხვევითი არ ყოფილა ის გარემოება, რომ მოცემული პერიოდის კვლევაზე არაერთი ისტორიკოსი შეჩერდა. ისტორიკოსთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით გიორგი მეორის ღონისძიებანი ხელს ვერ უწყობდა საქართველოში მეთერთმეტე საუკუნის სამოცდაათოთხმოციან წლებში შექმნილ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლას, პირიქით, ზოგ შემთხვევაში კიდევ უფრო ამწვავებდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარებას. ყველაფერი ეს ისტორიკოსების მიერ ახსნილია გიორგი მეორის სისუსტით, მისი უნიათობით.

აკად. ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამს, რომ გიორგი II „მეტად რბილი და სუსტი ხასიათის კაცადა ჩანს. ამასთანავე მას ჰკლებია ის სიდინჯე და საქმიანობა, რომელიც ქვეყნის ბატონისათვის აუცილებლად არის საჭირო... ვერც თავგასულს დიდგვარიან აზნაურებს უწევდა ღირსეულს წინააღმდეგობას, ვერც გათამამებულ გარეშე მტრებს იგერიებდა"[1]. ან კიდევ, „გიორგი II ამ უგუნურმა საქციელმა

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 159.

ისედაც მოქანცული საქართველო დიდის განსაცდელში ჩააგდო"[1]. განსვენებული მეცნიერი საქართველოს მეფის მოქმედებაში დაუდევრობასა და ქარაფშუტობას ხედავდა[2]. ნ. ბერძენიშვილის, ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას ავტორობით 1946 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიაში" საგანგებოდაა აღნიშნული გიორგი მეორის სუსტი ნებისყოფისა და სახელმწიფოს მმართველად უვარგისობის შესახებ[3]. თან დამატებულია: „მას უფრო გართობა და ნადირობა იტაცებდა, ვიდრე სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვა"[4].

გიორგი მეორის ამგვარი შეფასება ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონდა და არ ყოფილა ისტორიკოსი, რომელიც მეტ-ნაკლებად შეხებოდეს აღნიშნულ პრობლემას, რომ არსებითად განსხვავებული შეფასება მიეცეს საქართველოს მეფის მოღვაწეობისათვის[5].

არსებობს თუ არა რაიმე ხელშესახები მასალა, რომელიც აძლევს საშუალებას ჩვენს ისტორიკოსებს ზემომოყვანილი შეფასება მისცენ გიორგი მეორეს?

ამ საკითხზე, ალბათ, შეიძლებოდა პირდაპირ უარყოფითი პასუხი გაგვეცა, მაგრამ ამჯერად თავს ვიკავებთ ასეთი ნაბიჯისაგან, რადგან მიგვაჩნია, რომ გიორგი მეორის მოღვაწეობაში ნეგატიური მხარეების დანახვის წინაპირობა რამდენადმე არსებობდა. ჯერ ერთი, XI საუკუნის 70-80-ანი წლები საქართველოს ისტორიაში უაღრესად მძიმე პერიოდია. ძლიერდება მეფის მოწინააღმდეგე, ე. წ. ცენტრიდანული ძალები (ადგილი აქვს საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ დიდგვარიან ფეოდალთა გამოსვლებს) და ქვეყანა შიგნიდან არის აშლილი. მეორე, XI საუკუნის 80-ანი წლები საერთოდ ამიერკავკასიასა და კერძოდ, საქართველოში, აღინიშნა თურქ-სელჩუკების ახალი დიდი შემოსევებით, რასაც ქვეყნისათვის ფაქტიურად დამანგრეველი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ პერიოდში საქართველო გარემოცულია მაჰმადიანი მეზობლებით, რომლებთანაც შეტაკებები უხდება. ბიზანტიისა და სომხეთის ტერიტორიებზე, ასევე საქართველოს საზღვრებზე, ქრისტიანი მეზობლების ნაცვლად უცხო პოლიტიკური და ეთნიკური ელემენტები გაჩნდნენ, რომელთაგანაც საქართველოს მხოლოდ ზიანი და განადგურება ელოდა[6]. საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიურად დაქვეითების გზას ადგა. ამდენად, საქართველოში იმ დროს შექმნილი მდგომარეობა იძლეოდა იმის სა-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 162.

[2] იქვე.

[3] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1946, გვ. 170.

[4] იქვე.

[5] იხ. დ. კარიჭაშვილი, საქართველო მეთორმეტე საუკუნეში, თბ., 1902, გვ. 27-30; ს. მაკალათია, დავით აღმაშენებელი, თბ., 1945, გვ. 6-10; რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 27-31.

თვით „საქართველოს ისტორიის" 1969 წლის ბოლო გამოცემაშიც იგივე აზრია გატარებული (იხ. გვ. 149-150), შდრ. შ. მესხია, ვ. გუჩუა, საქართველოს ისტორია, თბ., 1969, გვ. 62; ნ. ასათიანი, საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში, კრებული, XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 22.

[6] ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968, გვ. 302-305.

შუალებას, რომ საქართველოს მეფეს ბევრი უკმაყოფილო ჰყოლოდა და მასზედ ეფიქრათ, როგორც სუსტსა და უძლურზე. ამას ისიც უნდა მივუმატოთ, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, როდესაც ვეჯინისთავის ბრძოლას აღწერს, ერთგვარად უდიერად იხსენიებს გიორგი მეორეს: „და ჟამსა სთულისასა მოვიდეს კახეთად და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა და, ვიდრე ბრძოდესღა, მოვიდა თოვლი“[1]. ამ დროს თურმე „... მეფესა გიორგის მოეხსენა ნადირობა აჯამეთისა, არღარას ზრუნავდეს სხუასა, არცა ელოდა აღებასა ვეჟინისასა და კახეთისა, არამედ ლაშქართა თურქთასა, რომელიც ჰყვა, მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქუეყანა იორის პირი კუხეთი, რომელი მოოხრდა მუნ დღეინდელად დღემდე. ხოლო თვით გარდავლო მთა ლიხთა და შთავიდა აფხაზეთად“[2]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ მოტანილი ეს ცნობა (და საერთოდ მის მიერ გიორგი მეორის და საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობის შეფასება) იყო საფუძველი, რის გამოც ისტორიკოსები გიორგი მეორეს გართობისა და ნადირობის ტრფიალად უფრო სახავდნენ, ვიდრე სახელმწიფო საქმეებით დაინტერესებულ მოღვაწედ.

XI საუკუნის მეორე ნახევრის (კერძოდ, 70-80-ანი წლები) საქართველოს ისტორია საგანგებო კვლევის საგანი უნდა გახდეს (ვფიქრობთ, რომ მთელი სიღრმით ეს ჯერჯერობით არ გაკეთებულა), ყურადღება მიექცეს იმდროინდელ საშინაო თუ საერთაშორისო მდგომარეობას (კერძოდ, წინა აზიასა და კავკასიაში შექმნილ ვითარებას) და ამ ფონზე იქნეს განხილული საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური თუ კულტურული მდგომარეობა. ამავე დროს არსებული ქართული და უცხოური სხვადასხვა სახის ისტორიული წყაროების შესწავლის, გაანალიზებისა და შეჯერების საფუძველზე გაკეთდეს გარკვეული დასკვნები და გამომდინარე აქედან, ობიექტური შეფასება მიეცეს თვით გიორგი მეორის მოღვაწეობასაც.

განვიხილოთ თანმიმდევრულად საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა XI საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში. ამ პერიოდის საქართველოს შესახებ გარკვეულ ცნობებს გვაწვდიან ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიკოსები: „მატიანე ქართლისას“ ავტორი და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი („ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისის“ ავტორი)[3].

გიორგი მეორის მამა ბაგრატ მეოთხე გარდაიცვალა 1072 წლის 24 ნოემბერს[4]. ამის შემდეგ სამეფო ტახტი დაიკავა გიორგიმ[5]. აღსანიშნავია, რომ გამეფები-

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 321.

[2] იქვე, გვ. 322.
აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბაგრატიონი ფაქტიურად იმეორებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ამ ცნობას, თუმცა აქედან გამომდინარე რაიმე საგანგებო დასკვნას გიორგი მეორის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ არ აკეთებს (იხ. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1885, გვ. 172).

[3] როგორც ერთ, ისე მეორე თხზულებას (წყაროს) ჩვენ შემდგომში მივუთითებთ პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით (1965 წ.).

[4] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 314.

[5] იქვე.

სას გიორგი I უკვე ატარებდა კურაპალატის ტიტულს[1] (ბაგრატ მეოთხე ჯერ კურაპალატის, შემდეგ ნოველისიმოსის, ხოლო ბოლოს სევასტოსის ტიტულს ატარებდა)[2]. „მატიანე ქართლისაში" საგანგებოდაა ხაზგასმული ის მძიმე და რთული მდგომარეობა, რომელშიაც ერთიანი საქართველო ბაგრატ მეოთხის მეფობის დროს (1028-1072 წწ.) იმყოფებოდა: „ხოლო ჟამთა მისთა (ბაგრატ მეოთხის მეფობის ხანაში, – რ. მ.) ქვეყანასა დაწყნარება არა ჰქონდა: ეკლესიანი და გლეხნი, აზნაურნი და გლახაკნი ვერ იკითხებოდეს"[3].

ქვეყნის ასეთი მძიმე და დაძაბული მდგომარეობა გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, მწვავე პოლიტიკური და შინაპოლიტიკური ბრძოლით, რომელიც მთელი სიმძაფრით მიმდინარეობდა, ხოლო მეორე მხრივ, გართულებული საგარეო მდგომარეობით (განსაკუთრებით მძიმე იყო ბიზანტიასთან და თურქ-სელჩუკებთან ერთიერთობის საკითხი)[4]. ასე რომ, გიორგი მეორემ მოღვაწეობა მეტარდ რთულ პირობებში დაიწყო. იმ მძიმე მემკვიდრეობას, რომელიც მან მიიღო, ძალზე სერიოზული და ქმედითი ზომების გატარებით თუ გამოასწორებდა.

არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ გიორგი მეორის დახასიათებაში, ან მისი ამა თუ იმ საქმის შეფასებაში, სხვადასხვა მიდგომასთან გვაქვს საქმე: თუ „მატიანე ქართლისა" გიორგი მეორეს აფასებს გარკვეული კუთხით, რამდენადმე ობიექტურად[5], ერთგვარად აქებს კიდეც მას, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ვერ მალავს თავის არცთუ ისე კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხომ საყოველთაოდაა აღიარებული, როგორც ობიექტური და თანმიმდევრული სხვადასხვა საკითხების გადმოცემისას!)[6] და ზოგჯერ საქართველოს მეფის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ საკითხებს გარკვეული დამცრობით მოიხსენიებს[7]. ეს ალბათ ჩვენთვის არც უნდა იყოს გასაკვირი. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისის" ავტორი მისი ობიექტის – დავით აღმაშენებლის აპოლოგეტია. და რამდენადაც სიყვარულითა და სასოებით გადმოგვცემს დავით აღმაშენებლის ისტორიას (ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენაა ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიკოსისათვის, ასევე თვით დავით აღმაშენებლის პიროვნება და მოღვაწეობა იმსახურებდა ამგვარ მიდგომას), იმდენად ამცრობს მისი მამის გიორგი მეორის პიროვნებას. ეს შეიძლებ გარკვეული ხერხიც იყოს ერთი პიროვნების განდიდებისა და მისი ზებუნებრივად წარმოდგენისათვის.

ამდენად, ისტორიულ წყაროებში ყველა ფაქტი, ისევე როგორც საერთოდ, ამ შემთხვევაშიც მოითხოვს სერიოზულ ჩაკვირვებას და შემოწმებას.

---

1 ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 314.

2 იქვე, გვ. 315. ამის შესახებ ცნობები ბაგრატ მეოთხის მიერ მოჭრილ მონეტებზეც მოიპოვება. იხ. დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 42-43. შდრ. რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 88.

3 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 315.

4 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 136-158.

5 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 315.

6 იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1920, გვ. 208-219.

7 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 322.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ მსჯელობა გავმართოთ ისტორიულ მეცნიერებაში ამა თუ იმ ფაქტის (ან ზოგადად „ფაქტის“) გაგების შესახებ. ამაზე ბევრს ბობს საკმარდ ვრცელი ლიტერატურა, შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ისტორიულ გამოკვლევაში აუცილებელია მკვეთრად განვასხვავოთ განსაზღვრული ისტორიული მოვლენების შექმნის ხელისშემწყობი რეალური ფსიქიური მოტივები და ადამიანთა ნებით განპირობებული აქტები იმ რეალური საზოგადოებრივი მოქმედებებიდან, რომლებიც ობიექტურ სოციალ-ისტორიული ფაქტების ხარისხში გამოდიან.

ამასთანავე, ბუნებრივია, ისტორიულ წყაროებში ყველა ფაქტი არ უნდა იქნეს აღიარებული აბსოლუტურ სინამდვილედ. ე. ი. „ფაქტი-ინფორმაცია“ ყოველთვის არ უდრის „ფაქტი-მოვლენას“.

ჩვენ ეს მცირე გადახვევა კვლევის უშუალო ღერძიდან შემთხვევით არ გაგვიკეთებია. ერთი შეხედვით ზემოთ მოტანილი მასალა ისტორიკოსებისათვის ანბანურ ჭეშმარიტებას უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეგნებულად ვამახვილებთ ყურადღებას, რადგან ჩვენ მიერ აღებული პრობლემის გარკვევისათვის (ალბათ, ისე როგორც მრავალი სხვა საკითხის კვლევისას) იგი არსებითად მიგვაჩნია. გამომდინარე აქედან, უპირველესად გასარკვევია, თუ ზემოთ დასახელებული ქართული ისტორიული თხზულებების ავტორები („მატიანე ქართლისას“ ავტორი და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი) რისთვის და ვისთვის წერდნენ თავიანთ შრომებს. მართალია, როგორც ერთი, ისე მეორე ისტორიული ნაწარმოები შექმნილია თითქმის(!) ერთდროულად, ერთ ეპოქაში, მაგრამ თითოეულ მათგანში მაინც მკვეთრად იგრძნობა ის ნორმები, რომელთაც ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში არსებული სამეფისკარო იდეოლოგია განსაზღვრავდა. სწორედ ამითაა გამოწვეული ის ზოგიერთი განსხვავება, რომელიც ამ ნაწარმოებებში ერთი და იგივე მოვლენის ან პიროვნების შეფასების საკითხში გვხვდება.

მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას.

გიორგი მეორეს გამეფების (1072 წ.) შემდგომ ძალზე ცოტა ხნით მოუხდა მშვიდობიანად ყოფნა: „დაყო მშვიდობით ზამთარი ერთი და ზაფხულისა ნახევარი“[1]. საქართველოს სამეფოში შინაპოლიტიკური ბრძოლის მეტად მწვავე გამოვლინებას ჰქონდა ადგილი, რაც მოცემულ შემთხვევაში გამოიხატა დიდგვარიანი ფეოდალების ნიანია ქვაბულის ძის, ივანე ლიპარიტის ძისა და ვარდან სვანთა ერისათვის განდგომაში. „მატიანე ქართლისა“ გარკვევით აღნიშნავს, რომ ამ თავადებმა ისარგებლეს გიორგი მეორის სიახალგაზრდავით („სიყრმით“) და აუშალეს ქვეყანა“[2]. დიდგვარიან ფეოდალთა ეს გამოსვლა 1073 წლის ზაფხულში უნდა მომხდარიყო (გიორგი 1072 წლის ნოემბერ-დეკემბერში უნდა გამეფებულიყო. ამ დროიდან დიდგვარიანთა გამოსვლამდე კი ერთი ზამთარი და ზაფხულის ნახევარი იყო გასული).

დიდგვარიან ფეოდალთა ეს შეკავშირებული გამოსვლა უაღრესად ფართო მასშტაბისა ჩანს. იგი წინასწარვე ღრმად მოფიქრებული და მომზადებული უნდა

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 315.

[2] იქვე, გვ. 315-316.

ყოფილიყო. გამოსვლა განდგომილთა წარმატებით წარიმართა. ნიანია ქვაბულის ძემ ქუთაისი დაიკავა და „წარუღო ქუთათისისა საჭურჭლე". ივნე ლიპარიტის ძემ კახელები მოიშველია („მოირთნა კახნი") და ქსნის პირი დაიპყრო, ხოლო ვარდან-მა სვანები ააჯანყა და საეგრო დაარბია („გაადგინნა საუანნი ავისა მოხარკულნი, დაარბიეს და ამოსწყჳდეს საეგრო"[1]). 1073 წლის ფეოდალთა განდგომის სირთულე საქართველოს სამეფოსათვის მისი გეოგრაფიული მასშტაბების სიფართოვეშიც იყო. ბუნებრივია, კახელების მოშველიება და მეფის საწინააღმდეგო ბრძოლაში ჩაბმა, სვანთა აჯანყება და სხვა (ქუთაისის საჭურჭლის მოტაცება, ქსნისპირის დაპყრობა) გამდგარ ფეოდალთა მიერ საკმაოდ დიდი ხნის ჩატარებული მუშაობის შედეგი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ასე სწრაფად ეს გამოსვლა დიდი მასშტაბისა ვერ გახდებოდა. არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ დიდგვარიან ფეოდალთა 1073 წლის ზაფხულის გამოსვლა წლების მანძილზე მზადდებოდა, ჯერ კიდევ ბაგრატ მეოთხის დროს და როგორც კი ხელსაყრელი მომენტი გამოჩნდა (ახალი მეფის ტახტზე ასვლა), მაშინვე იფეთქა[2]. ამ გამოსვლის შედეგი ის იყო, რომ ქუთაისი („ნიანია წარუღო ქუთათისისა საჭურჭლე და შედგა ქუთათისს"), ქსნისპირი და საეგრო აოხრდა. ამასთანავე გამოჩნდა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი (კახელები, სვანები) სამეფო ხელისუფლების პოლიტიკის უკმაყოფილონი არიან და როგორც ვნახეთ, მის წინააღმდეგაც გამოდიან. აქ მარტო ვარდან სვანთა ერისთავის ან ივანე ლიპარიტის ძის ავტორიტეტი ვერ ითამაშებდა გადამწყვეტ როლს მათი მეფის წინააღმდეგ გამოსვლისათვის. როგორც ჩანს, უკვე იყო გარკვეული წინაპირობები იმისა, რომ მოსახლეობის ერთი დიდი ნაწილი დაპირისპირებოდა სამეფო ხელისუფლებას (მაგალითად, სვანები ეგრისისაგან შევიწროებულნი ჩანან).

ერთი სიტყვით, 1073 წლის გამოსვლა არსებითად მსხვილი ფეოდალების გამოსვლაა საკუთარი უფლებების გაფართოებისათვის და გამაგრებულია მოსახლეობის ფართო მასების მხარდაჭერით, რომელთაც ამგვარი განდგომა ალბათ საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხსნის საშუალებად მიაჩნდათ. ეს უკანასკნელნი, რასაკვირველია, მწარედ ცდებოდნენ.

საქართველოს სამეფო კარმა, გიორგი მეორემ, როგორც ირკვევა, კარგად აწონ-დაწონეს შექმნილი ვითარება და იწყეს ღონისძიების გატარება განდგომილთა დასამორჩილებლად. გიორგი მეორემ გამდგარი დიდგვარიანები დაიმორჩილა. „მატიანე ქართლისა" ხმამაღლა აცხადებს: „... გიორგი მეფემან სძლო სიკეთითა, სიბრძნითა და ძჳრუხსნებელ იქმნა"[3].

აი, ამ მოქმედებას უწუნებენ გიორგი მეორეს ისტორიკოსები (აკად. ივ. ჯავახიშვილი და სხვ.). რა თქმა უნდა, ურჩი ყმების „წყალობით დაფარვა" გარკვეული

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 316.

[2] უნდა ვიფიქროთ, რომ დიდგვარიანმა ფეოდალებმა ახალგაზრდა მეფეს არ აცალეს გონზე მოსვლა, ისე შეუტიეს მას. ალბათ, სხვა შემთხვევაში, მათი აზრით, შეიძლებოდა გიორგი მეორე მომძლავრებულიყო და, ბუნებრივია, მასთან შებრძოლება (გადადგომა) უფრო რთული იქნებოდა.

[3] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 516.

უკანდახევა იყო სამეფო კარისა, მაგრამ მძიმე მდგომარეობაში (როგორც საშინაო, ასევე საგარეო თვალსაზრისით) ჩავარდნილი ქვეყნისათვის იქნებ საჭიროც იყო.

გიორგი მეორეს, როგორც ჩანს, გარდა ძალისა, დიპლომატიაც ფართოდ გამოუყენებია. ალბათ, საქართველოს მეფემ მიზანშეწონილად არ ჩათვალა დიდ ფეოდალებთან მტრულ ურთიერთობაში ყოფნა[1] და მიუხედავად იმისა, რომ ისინი უკვე დამორჩილებული ჰყავდა, გადაწყვიტა გარკვეულ დათმობებზე წასვლა. ეს დათმობა კი იმაში გამოიხატა, რომ ივანე ლიპარიტის ძეს სამშვილდე უბოძა, ხოლო მის ვაჟს ლიპარიტს მისცა ლოწობანი რუსთავის ნაცვლად (ეს უკანასკნელი კახელებს გადაეცა). ნიანია ქვაბულის ძემ საჩუქრად მიიღო თმოგვი „და სხუანი საქონელნი რჩეულნი". ვარდან სვანთა ერისთავმა „ასკალანა და უთაღებო ჯაყელთა" მიიღო.

ამგვარად, გიორგი მეორემ „ყოველივე ერთგული და ორგული დაფარა წყალობითა, და დაიწყნარა მეფობა თჳსი"[2].

საქართველოს მეფის გიორგი მეორის მიერ გადადგმული ნაბიჯი სრულიადაც არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ მისი მოქმედება არასწორად მივიჩნიოთ. ჩვენ ვიმეორებთ: სამეფო კარმა აწონ-დაწონა ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა (XI საუკუნის 80-იან წლებში საქართველო გარშემორტყმულია მაჰმადიანებით და მათთან შეტაკებას აქვს ადგილი) და ამის შემდეგ მიიღო ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილება, რის შედეგადაც, როგორც „მატიანე ქართლისას" ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, „დაიწყნარა მეფობა თჳსი"[3].

ამგვარად, საქართველოს მეფის მიერ გაცემული წყალობის საფასურად ქვეყნის შიგნით გარკვეული დროის მანძილზე მშვიდობიანობა იქნა მოპოვებული.

ეს მშვიდობიანობა არ აღმოჩნდა ხანგრძლივი. ივანე ლიპარიტის ძე კვლავ გაუბედა მეფეს. გიორგი II ქუთაისიდან სასწრაფოდ გადავიდა სამცხეში, საიდანაც მესხთა ლაშქრით სამშვილდეს მიადგა. აქ მას მეშველად კახთა მეფე აღსართანი მიუვიდა. ბუნებრივია, ასეთ ძალებს გამდგარი ფეოდალი წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა: „ვერ დადგა ივანე ციხეშიგან, მირიდა მთათა სამხრისათა"[4]. ამის შემდეგ აღსართანის შემწეობით ლიპარიტს ლოწობანი წაართევს და სამეფოს შემოუერთეს. გიორგი II აქედან ჯავახეთში გადავიდა, სადაც მეფესა და ივანე ლიპარიტის ძეს შორის გარკვეული შეთანხმება მოხდა. ფეოდალმა ერთგულება შეჰფიცა მეფეს, თვითონ კი კლდეკარისა და სამშვილდეს ერისთავად იქნა დამტკიცებული („და დაიმტკიცა ივანე კლდეკართა და სამშჳლდესა ზედა"[5]).

როგორც აღვნიშნეთ, ეს გამოსვლა 1073 წლის ზაფხულის დიდგვარიან ფეოდალთა გამოსვლის ჩაქრობიდან არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ უნდა მომხდარიყო – 1073 წლის მიწურულსა და 1074 წლის დასაწყისისათვის. ყოველ შემთხვევაში

---

[1] აქ იგი, ალბათ, საგარეო მდგომარეობასაც გარკვეულ ანგარიშს უწევდა.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 316.

[3] იქვე, გვ. 316.

[4] იქვე.

[5] იქვე.

მეფესა და ივანე ლიპარიტის ძეს შორის შერიგება 1074 წლის დასაწყისისათვის არის სავარაუდებელი[1].

ერთხელ გაორგულებული ივანე, როგორც ჩანს, საქართველოს მეფეს მხოლოდ სიტყვით უცხადებდა თავის მორჩილებას. სინამდვილეში კი არც ერთ ხელსაყრელ მომენტს არ უშვებდა ხელიდან, რომ ერთიანი საქართველოს მეფისათვის ემტრო. თანაც ივანე ლიპარიტის ძის მოქმედება ცილდებოდა მხოლოდ საკუთარი თავისა და საგვარეულოს განდიდებისათვის ლტოლვას. აქ მოღალატური ელემენტიც საკმაოდ ფართო მასშტაბით ჩანს. ეს დიდგვარიანი ფეოდალი ყოველგვარ ხერხს ხმარობს იმისათვის, რომ მეფესთან ბრძოლაში გამოიყენოს უცხო ძალებიც. აქ აშკარაა შინაპოლიტიკური ბრძოლის მწვავე საკითხების საგარეო ურთიერთობის პრობლემებში გადახლართვა. საქართველოს მეფესა და დიდგვარიან ფეოდალებს შორის არსებულმა შინაპოლიტიკურმა ბრძოლამ თავისი გამოვლინება საგარეო პოლიტიკაშიც პოვა.

ივანე ლიპარიტის ძის შემდგომი განდგომაც 1074 წელსვე უნდა მომხდარიყო („კუალადცა გადგა ივანე")[2]. ამჯერად მან გიორგი მეორის მეციხოვნეებს გამოსტყუა ქალაქი გაგი და განძის პატრონს ფადლონს გადასცა გარკვეულ საფასურად. ივანე ლიპარიტის ძე ცდილობს გარეშე მტერთან კავშირ-ურთიერთობის დამყარებით გაიმაგროს თავისი პოზიციები ქვეყანაში. თუ არა ამას, სხვა რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ „დიდ სელჩუკთა" სახელმწიფოს სულთანი მალიქ-შაჰი (1072-1092 წწ.), მთელი საქრისტიანოს მტრად მონათლული, გამოემართა თუ არა საქართველოსაკენ დიდძალი ლაშქრით, ივანემ თავისი შვილი ლიპარიტი მიაგება წინ და „შეაწყნარა სულტანსა"[3], ამით ივანე გარკვეული ნდობის მოპოვებას ცდილობს სულთნის წინაშე. ამავე მიზნით იგი მცირე ხანს სულთანთან დარჩენილა კიდეც. საფიქრებელია, რომ სულთანმა მალიქ-შაჰმა ივანე ლიპარიტის ძეს რაღაც დიდი სამსახური მოსთხოვა, რომლის შესრულება ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო და იძულებულიც გახდა სულთნის კარიდან გამოპარულიყო[4]. ამ გარემოებას ძალზე განურისხებია მალიქ-შაჰი და ივანეს მკაცრად დასჯა განუზრახავს. ეს რომ სწორედ ასეა, ისიც მიგვანიშნებს, რომ მალიქ-შაჰმა თავისი დაპყრობითი

---

[1] 1073 წლის ზაფხულის დიდგვარიან ფეოდალთა გამოსვლის მასშტაბები გვაფიქრებინებს, რომ იგი სულ ცოტა ერთ თვეს მაინც გასტანდა (თუ მეტს არა). ე. ი. 1073 წლის შემოდგომის დასაწყისამდე (აჯანყება შუა ზაფხულში დაიწყო) მაინც გაგრძელდებოდა. ხოლო იმ ღონისძიებებს, რომელიც გიორგი მეორემ გაატარა, ასევე გარკვეული დრო სჭირდებოდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აჯანყების შემდგომ ერთგვარი სიწყნარე და მშვიდობიანობა ჩამოვარდნილა, რომელიც რამდენიმე თვეს მაინც უნდა გაგრძელებულიყო (წინააღმდეგ შემთხვევაში „მატიანე ქართლისას" ავტორი ასე ხმამაღლა არ განაცხადებდა: „დაიწყნარა მეფობა თჳსი გიორგი მეფემან"), მაშინ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ლიპარიტის მეორე გამოსვლა 1073 მიწურულსა და 1074 წლის დასაწყისში უნდა მომხდარიყო.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 316.

[3] იქვე, უნდა შევნიშნოთ, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს მალიქ შაჰის შემოსევის შესახებ ნათქვამი აქვს, მაგრამ მოცემული ფაქტის (ლიპარიტის შეწყნარება) შესახებ არაფერს გვეუბნება. (იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318).

[4] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 316.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმიანობა საქართველოში სწორედ ივანეს მამულით დაიწყო. „მატიანე ქართლისა“ და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ამ ფაქტს ადასტურებენ.

„მატიანე ქართლისა“:

„და მოვიდა სულტან, და მოადგა სამშვილდესა, და წარუღო სამშვილდე, და ტყუე იქნა ივანე თავითა, ცოლითა და შვილისშვილითა, და ყოველთა აზნაურთა დედაწულითა, და დაიჭირა სამშვილდე სულტანმან“[1].

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“:

„... მოვიდა სულტანი მალიქ-შა, მოადგა სამშვილდეს და წარიღო და ივანე ძე ლიპარიტისი ტყუე ჰყო“...[2].

ამგვარად, ივანე ლიპარიტის ძის თითქოს და შორს გამიზნული მოქმედება მისივე მარცხით დამთავრდა.

მალიქ-შაჰი რისხვად მოევლინა საქართველოს. სამშვილდის აღების შემდეგ მოარბია ქართლი, დიდი ნადავლი შეკრიბა და „შეიქცა გარე“[3]. შემდგომ განძას მიმართა მალიქ-შაჰმა. ფადლონი ციხეში გამაგრდა, მაგრამ ვერ გაუძლო მტრის ესოდენ ძლიერ დაწოლას და იგი შეპყრობილ იქნა, განძის თავადად მალიქ-შაჰმა სარანგი დასვა, თან ორმოცდარვაათასიანი ლაშქარი დაუტოვა. ამ უკანასკნელს ბევრი არ დაუყოვნებია და „ყოვლითა ლაშქრითა მისითა“, აგრეთვე განძის, დვინისა და დმანისის ამირების თანადგომით წელგამართული მოადგა საქართველოს.

საქართველოს მეფე გიორგი II სარანგის მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს არ დაუბნევია (შეიძლება იგი ელოდა კიდეც ამას). მან შეკრიბა მთელი თავისი ლაშქარი, მოიშველია აღსართან კახთა მეფე და ამგვარად მომძლავრებულ მტერს ფარცხისთან დახვდა. დიდი ბრძოლა საქართველოს ლაშქრის გამარჯვებით დამთავრდა „... იოტა ბანაკი სარანგისი: გააქცია და ასწყვდა. იყო ჟამი მწუხრისა, და სიღამემან დაარჩინა ნეშტი სარანგის ლაშქრისა“[4]. გიორგი მეორე „უკლებლად და მშვიდობით“ გამარჯვებული დაბრუნდა თავის სამეფოში.

გიორგი მეორის ამ ძლევამოსილი გამარჯვების შესახებ საგანგებოდ მიუთითებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც („რამეთუ დიდი ძლევა მოსცა ღმერთმან გიორგის“)[5].

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 316-317.

[2] იქვე, გვ. 318.

[3] იქვე, გვ. 317. აღსანიშნავია, რომ მალიქ-შაჰმა თავისი დაპყრობებით მნიშვნელოვნად გააფართოვა „დიდ სელჩუკთა“ სახელმწიფოს ტერიტორია. სწორედ ტერიტორიის გაფართოებითა და ნადავლის მოპოვებით შეძლო მალიქ-შაჰმა გარკვეულ პერიოდში იმ შინაგანი წინააღმდეგობების შესუსტება, რომელთაც თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში ჰქონდა ადგილი (იხ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 124).

[4] იქვე, გვ. 317.

[5] იქვე.

მეტად რთული საშინაო და საგარეო მდგომარეობის დროს გიორგი მეორის მიერ ფარცხისთან ძლევამოსილი გამარჯვება მნიშვნელოვანი მოვლენა[1] იყო. ამ გამარჯვებამ საშუალება მისცა საქართველოს მეფეს, სხვა ღონისძიებებიც განეხორციელებინა. „შემდგომად ამისა (ფარცხისთან გამარჯვების შემდგომ, – რ. მ.) მომადლა ღმერთმან მძლავრებისაგან ბერძენთასა წახმულნი ციხენი"[2]. გიორგი მეორემ აიღო ანაკოფია და „მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და არტანისა"[3]. „მატიანე ქართლისას" მიხედვით გიორგი მეორეს აუღია კარის ციხე-ქალაქი („ციხე-ქუეყანა") და „სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისანი", ხოლო თურქები გაუქცევია.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი კარის საქართველოს სამეფოსთან შემოერთებას გრიგოლ ბაკურიანის ძის სახელთან აკავშირებს. „ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა (გიორგი მეფის წინაშე, – რ. მ.) ზორვარი აღმოსავლისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და კარნუ-ქალაქი და კარი... და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქის და მისი მიმდგომი ქვეყანა"...[4].

საერთაშორისო მდგომარეობის კიდევ უფრო გართულებამ (ბერძნებმა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პროვინციებზე თავიანთი გავლენა თურქების სასარგებლოდ დათმეს) ახალი საფრთხე შეუქმნა საქართველოს: ახლა მტერი ორი მხრიდან (დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან) ერტყა მას. „და ვინათგან მეზობლობით მოეახლნეს საზღვართა ჩუენთა (თურქები, – რ. მ.), განმრავლდა შიში და ჭირი მათგან ჩუენ ზედა"[5]. თურქები აღვირახსნილ მოქმედებას ეწეოდნენ საქართველოს მოსახლეობის მიმართ: არბევდნენ, წვავდნენ, აოხრებდნენ, აჩანაგებდნენ მეურნეობას, ხოლო ქრისტიანი მოსახლეობა ტყვედ მიჰყავდათ.

საქართველოს მოსახლეობას არანაკლებ ზიანს აყენებდა მოღალატური გამოსვლები – „შინათგამცემლობა". სწორედ „შინაგანცემითა ქრისტიანეთათა" ყველის ციხის გარემდგომს გიორგი მეორეს თავს დაესხნენ დიდძალი თურქები ამირა აჰმადის მეთაურობით (ეს ის აჰმადია, რომელმაც გიორგი მეორის კუთვნილი კარი აიღო. ალბათ, ამის შემდეგ გამოემართა იგი საქართველოს მეფეზე თავდასხმის განსახორციელებლად)[6]. საქართველოს მეფე გიორგი II იძულებული გახდა თავის ლაშქართან ერთად გაქცევით არიდებოდა დიდძალ მტერს. თურქებმა იავარჰყვეს საქართველოს დიდი ნაწილი, აურაცხელი ალაფი აიღეს და წავიდნენ.

საქართველოს მეურნეობას, სამიწათმოქმედო ფეოდალურ კულტურას, ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრებას მომთაბარე თურქ-სელჩუკების პრიმიტიული

---

1 ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით ეს ბრძოლა 1073-1074 წწ. უნდა მომხდარიყო (იხ. მისი ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 160). ჩვენი აზრით, ბრძოლა მოხდა 1074 წელს. ამას გვაფიქრებინებს ყველა იმ მოვლენათა თანმიმდევრობა, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში და რაზეც „მატიანე ქართლისა" მიუთითებს.

2 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 317.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 318.

5 იქვე.

6 იქვე, გვ. 319.

მეურნეობა (მეჯოგეობა) გადაშენებას, ძირფესვიანად ამოგდებას უქადდა. აქ არ შეიძლება არ ითქვას თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ერთ-ერთ უპირველესი მოხელის (ვეზირის) ნიზამ ულ-მულქის როლის შესახებ, რომელიც ირანელი იყო და ყოველნაირად ცდილობდა მომთაბარეთა მასების ირანიდან მოშორებას და მათ გადაყვანას ბიზანტიისა და საქართველოს საზღვრებზე[1].

მეთერთმეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისი თურქ-სელჩუკთა ურიცხვი ბრბოების ახალი შემოსევებით აღინიშნა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი „დიდი თურქობის" სახელით მოიხსენიებს ამ შემოსევებს და თარიღად 1080 წელსა სდებს („რამეთუ ქრონიკონი იყო სამასი")[2]. კალიასავით შეესიენ თურქები საქართველოს: „და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა"[3]. ერთ დღეს დაუწვიათ თურქებს ქუთაისი, არტანუჯის და კლარჯეთის უდაბნონი. თოვლის მოსვლამდე დარჩნენ თურქები, მოჭამეს მთელი ქვეყანა და წავიდნენ. ასე გრძელდებოდა: გაზაფხულობით მოდიოდნენ თურქნი, აოხრებდნენ ქვეყანას, ზამთრის მოსახლოებისას კი უკან ბრუნდებოდნენ.

ქართველი ხალხი ძალზე მძიმე საფრთხის წინაშე დადგა – თურქების შემოსევა არსებითად განსხვავდებოდა ბიზანტიელთა და არაბთა ბატონობისაგან. თურქული მომთაბარული მეურნეობა საფუძველს აცლიდა ქართულ ფეოდალურ მეურნეობას, რაც ქვეყანას ერთიანად გადაშენებას უქადდა[4]. „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოხრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკჳდრნეს მას შინა... მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკუეთუბულ, ხოლო ჩჩვილნი მიმოდატაცებულ... მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლისა ნაკადულთა, მრწყველნი ქვეყნისანი"[5].

გიორგი II ხედავდა რა ამ მძიმე მდგომარეობას (როგორც საქართველოში, ასევე მეზობელ ქვეყნებშიაც), ცდილობდა გამოსავალი მოენახა, რათა ქვეყანა საბოლოო განადგურება-გაჩანაგებას გადაერჩინა. მეფემ მოიწვია დიდებულები და მათთან მოთათბირების შემდეგ გადაწყვიტა ხლებოდა სულთან მალიქ-შაჰს. ეს გაბედული გადაწყვეტილება იყო და, ალბათ, ერთადერთი სწორი გზაც შექმნილ ვითარებაში. ერისა და ქვეყნის გადარჩენის მიზნით საქართველოს სულთნის ყველა მოთხოვნა უნდა შეესრულებინა. თუკი გიორგი მეორეს ამ გადადგმულ ნაბიჯს დავუწუნებთ, რომელსაც მძიმე ხარკი მოჰყვა შედეგად (ეს ერის გადარჩენის სანაცვლოდ გაკეთ-

---

[1] А. Ю. Якубовский, Сельджукское движение и туркмены в XI веке, Известия АН СССР, отд. общ. наук, 1937, № 4, 945.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 320.

[3] იქვე, გვ. 319.

[4] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, მნათობი, 1954, №6, გვ. 123. უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი მეცნიერი თურქ-სელჩუკების შემოსევებში დადებით მოვლენას ხედავდა (იხ. В. А. Гордлевский, Государство Сельджукидов Малой Азий, М.-Л., 1941, стр. 21).

[5] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 320.

და!), მაშინ საერთოდ ვნახოთ იმდროინდელი ამიერკავკასიის მდგომარეობა. იყო თუ არა საქართველო და მისი მეფე გიორგი II გამონაკლისი სულთანთან ხლებისა და თურქ-სელჩუკების სასარგებლოდ ხარკის მიცემის საქმეში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქ-სელჩუკების შემოსევებმა უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა სომეხი ხალხი. სომეხი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე ფილარეტ ვარაჟნუნი, რომელიც მანაზკერტის ბრძოლის (1071 წ.) შემდეგ კილიკიის მმართველი გახდა[1], ქვეყნის გადარჩენის მიზნით 1086 წელს დიდი ძღვენით ეახლა სულთან მალიქ-შაჰს და მორჩილება გამოუცხადა. ფილარეტ ვარაჟნუნის ასეთმა ცდამ ვერ გაჭრა – მის მიერ შექმნილი სომეხთა სამთავრო თურქ-სელჩუკების ხელთ გადავიდა[2]. ამდენად, ფილარეტ ვარაჟნუნის მისია მარცხით დამთავრდა.

რაც შეეხება მეზობელ აზერბაიჯანს, ჩვენ უკვე ვიცით, რომ მალიქ-შაჰმა განძა აიღო და მისი მმართველი ფადლონი (ფაზლუნი) ტყვედ ჩაიგდო[3]. ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ, რომ ფარიბურზ შირვან-შაჰი ეახლა მალიქ-შაჰს (მაშინ როცა ამ უკანასკნელმა არანზე გაიარა) და ერთდროულად სამოცდაათი ათასი დინარი ხარკის სახით გადაიხადა, ყოველწლიურად კი ორმოცი ათასი დინარის გადახდა იკისრა[4]. მოღწეულია ფარიბურზ შირვან-შაჰის რამდენიმე მონეტა, რომლებზედაც აღნიშნულია სულთან მალიქ-შაჰისა და ხალიფა ელ-მუსთაზჰირ-ბილლაჰას სახელები[5], რაც ხაზს უსვამს შირვანის დაქვემდებარებულ მდგომარეობას თურქ-სელჩუკებისადმი.

არსებობს ცნობა, რომლის შემწეობითაც მტკიცდება, რომ ფარიბურზ შირვან-შაჰი ისპაანში ჩასულა მალიქ-შაჰთან[6] თავისი მორჩილების დასადასტურებლად.

---

[1] История Армянского народа, часть первая, под редакцией Б. Н. Аракеляна и А. Р. Иоаннисяна, Ер., 1951, стр. 156.
სელჩუკებისაგან დევნილი სომხები გარბოდნენ კილიკიის ველებისაკენ და იქ სახლდებოდნენ. XI საუკუნის 70-80-ან წლებში კილიკიის მოსახლეობა ძირითადად გადმოსახლებული სომხებისაგან შედგებოდა (იხ. ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968, გვ. 280). სწორედ ამ (კილიკიის) სამთავროში იგდო ძალაუფლება ფილარეტ ვარაჟნუნმა.

[2] იქვე, გვ. 157.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 317. აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში მალიქ-შაჰის მიერ განძის აღების თარიღად 1086 წელია დასახელებული. რაც შეეხება სხვა ცნობებს (ფადლონის ტყვედ ჩავარდნა, განძის აღება, ორმოცდარვაათასიანი ლაშქრის დატოვება), ისნი ქართველი ისტორიკოსის მონაცემებს ემთხვევა (იხ. История Азербайджана, I, Б., 1958, стр. 138-139). „მატიანე ქართლისა“ დაბეჯითებით მიგვანიშნებს იმის შესახებ, მალიქ-შაჰის მიერ განძის აღება „დიდი თურქობის“ დაწყებამდე, ე. ი. 1080 წლამდე მოხდა, ამას გვაფიქრებინებს მოვლენათა ჩამოთვლის ის თანმიმდევრობა, რომელიც მოცემულია ისტორიულ წყაროებში „მატიანე ქართლისა“, და „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ჯერ განძის აღებაა დასახელებული, ხოლო შემდგომ ფარცხისთან ბრძოლა, კარის დაკავება, ყველის ციხის აღება და ბოლოს „დიდი თურქობა“. – იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 317-319). ამდენად ვფიქრობთ, რომ მოცემული საკითხის დათარიღებისას ქართული ისტორიული წყაროების ცნობები უთუოდ გასათვალისწინებელია.

[4] История Азербаийджана, I, Б., 1958, стр. 139.

[5] Е. Пахомов, Очерк истории ширваншахов – кесранидов. Краткий курс истории Ахзербайджана, Б., 1923, стр. 29.

[6] В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, М., 1963, стр. 96. აღნიშნული პერიოდის საქართველო – შირვანის პოლიტიკური ურთიერთობის საკითხებზე საინტერესო გამოკვლევა აქვს

ამდენად, როგორც ვნახეთ, XI საუკუნის 70-80-ან წლებში შირვანი, სომხეთი და საქართველო ერთნაირად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან თურქ-სელჩუკებისაგან. ამიტომ იძულებული ხდებიან დათანხმდნენ ხარკის გადახდასა და სულთნის მორჩილებაზე, რასაც საბოლოო მიზნად ერის არსებობის გადარჩენა ჰქონდა დასახული.

სწორედ ამიტომ გიორგი II დიდებულთა თანხმობის შემდეგ ეახლა ისპაჰანში სულთან მალიქ-შაჰს. გიორგი მეორის მისიის თარიღის შესახებ ცნობა ჩვენს ისტორიულ წყაროებში არ მოგვეპოვება. სავარაუდებელია, რომ საქართველოს მეფე „დიდი თურქობის" შემდეგ დიდხანს აღარ დააყოვნებდა და მისი ისპაჰანში ჩასვლა, ალბათ, 1081-1082 წწ. მოხდებოდა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ გიორგი II „შეწყნარებულ იქმნა მისგან (სულთნისაგან, – რ. მ.), ვითარცა შვილი საყუარელი"[1]. ბუნებრივია, თვით მალიქ-შაჰისათვის საქართველოს მეფის ასეთი მორჩილებით ხლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გიორგი მეორის მისიით კმაყოფილმა მალიქ-შაჰმა „ყოველი სათხოველი აღუსრულა მეფესა"[2]. საქართველოს სამეფო გაათავისუფლა „ზედამარბეველთაგან" და კახეთი და ჰერეთი მისცა. გიორგი მეორემ დიდი ხარკი იკისრა სულთნის სასარგებლოდ, რომელსაც გარკვეული დროის მანძილზე კრებდნენ და უგზავნიდნენ დამპყრობლებს („რომელსა აიღებდეს ჟამთა მრავალთა")[3]. რადგან ჰერეთ-კახეთზე სულთნისა და საქართველოს მეფის უფლებები არ ვრცელდებოდა, მალიქ-შაჰმა გიორგი მეორეს ჰერეთ-კახეთის შემოსაერთებლად ლაშქარი გამოაყოლა. აღნიშნულ ფაქტს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია იმდროინდელი ქართული მოსახლეობის ერთ ნაწილზე. თუ არა ამას, სხვას რას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ საქართველოს დამპყრობელი და გამჩანაგებელი თურქ-სელჩუკების ბელადი მალიქ-შაჰი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ძალზედ შექებული ჰყავს: „რამეთუ იყო კაცი იგი მალიქ-შა ვითარცა სიდიდითა კიდეთა მპყრობელობისათა შეუსწორებელ, ეგრეთვე სახითა სიტკბოებისათა და სახიერებითა აღმატებულ ყოველთა კაცთასა, რომლისანი მრავალ არიან და სხუანიცა ურიცხუნი საცნაურებანი, მართლმსაჯულობანი, მოწყალებანი ქრისტიანეთა სიყუარულნი, და, რათა არა განვაგრძოთ სიტყუა, ყოვლად უბოროტო რამე გონება ყოველით-კერძო აქუნდა"[4].

დოც. ნ. ასათიანს, იხ. მისი „საქართველო-შირვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში, კრებულში „XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები", 1968, გვ. 6-54.

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 321.

[2] იქვე.

[3] იქვე.
აკად. ს. ჯანაშია შენიშნავდა, რომ „თურქების განუწყვეტელმა შემოსევებმა აიძულა გიორგი II წასულიყო სულთანთან (1080-1081 წწ.) და ეყიდა ზავი და მშვიდობა ყოველწლიური ხარკით". იხ. მისი „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XV ს-მდე. შრომები, II, თბ., 1952, გვ. 425.

[4] იქვე.

მალიქ-შაჰის ამ ქებაში სხვა რამეც უნდა დავინახოთ. ჩვენი აზრით, დავითის ისტორიკოსს სურს, რომ დაამციროს გიორგი მეორის ისპაჰანში ჩასვლის მნიშვნელობა და მისი შედეგი (შედარებით უმნიშვნელო, მაგრამ იმ მომენტისათვის ერთადერთი გამოსავალი) საქართველოს მეფის დამსახურებად კი არ ჩათვალოს, არამედ „ქრისტიანთა მოყუარული"(!) „უბოროტო" სულთნის წყალობად.

ამას თან მოჰყვება ბრძოლა ვეჯინის ციხის აღებისათვის. ჩვენი აზრით, აქაც ძალზე ტენდენციურია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ვეჯინის ალყა შემოდგომიდან დაზამთრებამდე გაგრძელდა. თოვლმა, ბუნებრივია, მძიმე პირობები შეუქმნა ციხეში მყოფთ. მაგრამ, ალბათ, გარკვეული მოსაზრებით გიორგი მეორემ ალყა მოხსნა, ხოლო ლაშქარს სუჯეთში იორის პირსა და კახეთში მისცა გამოზამთრების საშუალება. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თქმით, „მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქვეყანა იორის პირი კუხეთი, რომელი მოოჴრდა მუნ დღეინდელად დღემდე"[1]. თვით მეფე დასავლეთ საქართველოში გადავიდა. დაუჯერებელია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის კონცეპცია ალყის მოხსნისა და „აფხაზეთად გადასვლის" შესახებ. იგი წერს: „ხოლო მეფესა გიორგის მოეჴსნა ნადირობა აჯამეთისა, არღარას ზრუნვიდეს სხუასა, არცა ელოდა აღებასა ვეჯინისასა და კახეთისა"...[2]. რაოდენ დიდია სურვილი ისტორიკოსის მიერ გიორგი მეორის პიროვნების დამცრობისა, რომ სახელმწიფო ცხოვრების ისეთი რთული და სერიოზული საკითხის გადაჭრის გადადება, როგორიც ვეჯინის აღება და კახეთის შემოერთება იყო, ნადირობის მიზეზით აქვს ახსნილი. აქ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი შეგნებულად იყენებს ერთი პიროვნების (ამ შემთხვევაში საქართველოს მეფის გიორგი მეორის) დამცირების ხერხს იმ მიზნით, რომ ამ ფონზე უფრო დიდად წარმოაჩინოს მისი ხოტბის ობიექტი – დავით აღმაშენებლი.

რაც შეეხება ვეჯინის ალყის ასე სწრაფად მოხსნას, იგი გამოწვეული უნდა იყოს დასავლეთ საქართველოში მდგომარეობის გამწვავებით. გიორგი მეორემ შესაძლებლად ჩათვალა კახეთის საკითხის მოგვარების გადადება, რადგან ეს პრობლემა პრინციპულად უკვე გადაჭრილი იყო (სულთნის თანხმობა და მეშველი ლაშქარი ამის თქმის უფლებას იძლევა). რაც შეეხება „აფხაზეთის საკითხს", ალბათ, იგი მოითხოვდა საქართველოს მეფის სწრაფ ჩარევას, ენერგიულ მოქმედებას და უნდა ვიგულისხმოთ, რომ გიორგი მეორემაც სწორედ ამის გამო მიიღო გადაწყვეტილება ვეჯინის ალყის შეწყვეტისა, თავად კი მაშინვე „გარდავლო მთა ლიხთა და შთავიდა აფხაზეთად"[3]. „აფხაზეთის კრიზისი" შეიძლებოდა სხვადასხვაგვარი ყოფილიყო. საფიქრებელია, ეს გართულება შიდაკლასობრივი ბრძოლითაც იყოს გამოწვეული. არ არის გამორიცხული, რომ მაშინ როდესაც საქართველოს სამეფო კარის ყურადღება კახეთის საკითხის მოგვარებისაკენ იყო მიმართული, დასავლეთ საქართველოში დიდგვარიანმა ფეოდალებმა დრო იხელთეს

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 322.

[2] იქვე.

[3] იქვე.

და მეფის საწინააღმდეგო გამოსვლა მოაწყვეს. ამ მიზეზით შეიძლებოდა გიორგი მეორეს გადაედო კახეთის საკითხის მოგვარება და სხვა საშინაო საქმეების (ვთქვათ, დიდგვარიან ფეოდალთა გამოსვლის ჩახშობისათვის) გადაჭრისათვის მიეხედა (სამწუხაროდ, ამ მოსაზრების მტკიცებისათვის ჩვენ ხელთ არავითარი საბუთი არ გაგვაჩნია და იგი ვარაუდად რჩება).

ერთი სიტყვით, გიორგი მეორის სასწრაფო გადასვლა დასავლეთ საქართველოში გამოწვეული იყო მწვავე აუცილებლობით, რომელიც იქ შეიქმნა და არა აჯამეთში ნადირობის დაწყების ცნობით (ამ უკანასკნელ საქმეს არამცთუ მეფე, არამედ ვერც ერთი ჭკუათმყოფელი პიროვნება ვერ ჩაიდენდა, ისიც ისეთი რთული და დაძაბული ვითარების პირობებში, რაც იმდროინდელ საქართველოში სუფევდა).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კახეთის საკითხის მიმართ საქართველოს სამეფო კარის ყურადღების ერთგვარად შენელებამ კახთა მეფეს აღსართანს აქტიური მოქმედების საშუალება მისცა. ეს უკანასკნელი თვითონ ეახლა მალიქ-შაჰს, უარყო ქრისტიანობა, „შეეძინა სარკინოზთა სჯულსა, და ამით ღონითა აიღო სულტნისაგან კახეთი". სულთან მალიქ-შაჰს, ბუნებრივია, არც გიორგი II ეხატა გულზე და არც აღსართანი. ამიტომ იყო, რომ ერთხელ უკვე მიცემული კახეთი (გიორგი მეორისათვის), მან ხელახლა „გაასაჩუქრა". ასე რომ, კახეთი კვლავ საქართველოს სამეფოს გარეთ დარჩა მალიქ-შაჰის შემწეობით. არ შეიძლებოდა ამ გარემოებას (კიდევ მრავალ სხვა მიზეზებთან ერთად) მოსახლეობის გულისწყრომა არ გამოეწვია. „ამათ ესევითართა ჟამთა არავე დამშჯდნა ქუეყანა, არც-რა იქმნა ლხინება კაცთა... დღეთა ჩუენთა მოიწია ჭირი"[1].

ქვეყნის ისედაც გართულებულ მდგომარეობას თან დაერთო სტიქიური უბედურებანი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მინიშნებით ამ დროს ისეთი დიდი მიწისძვრა ყოფილა, რომ „შეძრა ქვეყანა საფუძვლითურთ, ესოდენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტუერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს"[2]. მიწისძვრები საქართველოში ერთი წლის მანძილზე გაგრძელებულა და მრავალი ადამიანი უმსხვერპლია[3]. ყოველივე ამან შექმნა ისეთი შთაბეჭდილება საქართველოს მოსახლეობაში, რომ სამეფო კარი და თვით საქართველოს მეფე გიორგი მეორე ცოდვილნი იყვნენ და ღმერთმაც ეს უბედურებანი ამისათვის მოუვლინა საქართველოს („ბუნებით მოწყალე და სახიერი ღმერთი ესეოდენ განარისხეს, ვიდრემდის თჳთ მოიხადეს განჩინება რისხვისა")[4].

ასეთი მძიმე საშინაო თუ საგარეო მდგომარეობისა და მწვავე სახელმწიფოებრივი კრიზისის პირობებში საქართველოს სამეფო კარზე მოხდა გადატრიალება,

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 322.

[2] იქვე, გვ. 323.

[3] იქვე.
აღნიშნული მიწისძვრის დროს დაიქცა თმოგვის ციხე და ქვეშ მოიყოლა კახაბერი, ძე ნიანიასი ცოლითურთ.

[4] იქვე, გვ. 322.

რომლის შედეგადაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა გიორგი II გადაყენებულ იქნა სამეფო ტახტიდან და მისი ადგილი დავით გიორგის ძემ, ისტორიაში აღმაშენებლად წოდებულმა, დაიკავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მეორის მოღვაწეობის ზოგადი მიმოხილვის შედეგად შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

XI საუკუნის 70-80-ანი წლები უაღრესად მძიმე პერიოდია ამიერკავკასიის ხალხების ცხოვრებაში. თურქ-სელჩუკების შემოსევებმა მძიმე განსაცდელში ჩააგდო სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მოსახლეობა; ეს უკანასკნელნი იძულებუნი გახდნენ დიდი ხარკის გადახდის საფასურად თავიანთი ეროვნულობა შეენარჩუნებინათ. ასე რომ, საქართველო და მისი მეფე გამონაკლისი არ ყოფილან. ასევე ართულებდა საქმეს ის გარემოება, რომ სამეფო ხელისუფლებას ბრძოლა უხდებოდა თავგასული ფეოდალების, ე. წ. ცენტრიდანული, ქვეყნისა და მეფის საწინააღმდეგო მოქმედების ასალაგმავად (ასეთი ბრძოლა დამახასიათებელია ფეოდალური წყობილებისათვის).

ამგვარად, XI საუკუნის 70-80-ან წლებში საქართველოში შეიქმნა აბსოლუტურად ობიექტური პირობები ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და აქედან გამომდინარე, კულტურული დაქვეითებისა, რაც განპირობებული იყო, ერთი მხრივ, მძიმე და დამანგრეველი შემოსევებით, ხოლო მეორე მხრივ, გამწვავებული შინაპოლიტიკური ბრძოლით. რაც შეეხება გიორგი მეორეს როგორც მეფეს, ამ შემთხვევაში არ შეეძლო ერთი ხელის დაკვრით გადალახვა იმ ობიექტური სიძნელეებისა, რომლის წინაშეც ქვეყანა იდგა. ამიტომ ჩვენ არა გვაქვს საფუძველი იმისა, რომ საქართველოს მეფე ქარაფშუტად, სუსტი ნებისყოფის პიროვნებად ჩავთვალოთ (ჩვენამდე მოღწეულ არსებულ ისტორიულ წყაროებსაც გაანალიზება და გარკვეული შეჯამება სჭირდება).

იმდროინდელი საქართველო, ისევე როგორც კავკასიის სხვა ქვეყნები, განიცდიდნენ მწვავე კრიზისს, რომლიდან გამოსვლასაც გარკვეული პირობები და დრო სჭირდებოდა და რაგინდ დიდი მოღვაწეც არ უნდა ყოფილიყო საქართველოს მეფე (ამ შემთხვევაში გიორგი II), იგი ამას ვერ შეძლებდა.

ამდენად, საქართველოს მეფის გიორგი მეორის აუგად მოხსენიება თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში უმართებულოა. მისი, როგორც პიროვნებისა და მეფის მოღვაწეობა განხილული უნდა იქნეს ეპოქის იმ პირობების გათვალისწინებით, რომელშიც მას მოუხდა საქართველოს მეფის მძიმე უღლის ტარება.

გამომდინარე ზემოთქმულიდან მიგვაჩნია, რომ ფეოდალური საქართველოს ისტორიაში (წინააღმდეგ დღემდე გავრცელებული აზრისა) გიორგი მეორემ უნდა დაიკავოს თავისი საპატიო ადგილი ქვეყნისა და ერის გადარჩენისათვის მებრძოლ მოღვაწეთა შორის.

1972 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქრონოლოგიის საკითხები

როდის მოხდა XI საუკუნის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა?

თურქ-სელჩუკების მძიმე შემოსევების შედეგად საქართველო მათზე დამოკიდებული გახდა. იმდენად მძიმე იყო დამპყრობთა უღელი, რომ საქართველოს გადაშენებას უქადდა. „ზამთრის მოწევნასა თანა ფალანგებითა მათითა ჩამოდგიან (თურქ-სელჩუკები – რ. მ.) ჰავჭალას და დიღომს, ჩაღმართ მტკურისა და იორის პირთა, რამეთუ მათი (!) იყო სადგური“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 326).

იმ ქმედითმა ღონისძიებებმა, რომლებიც დავით აღმაშენებელმა გაატარა XI საუკუნის მიწურულს, ქვეყანა აღმავლობის გზით წაიყვანა. „მოეშენა ქვეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი“. საქართველოს მეფე უკვე აღარ ეპუებოდა თურქ-სელჩუკებს. ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა სწორედ მაშინ აღდგა, როცა ხარკის მიცემა შეუწყვიტეს მათ. როდის მოხდა ეს აქტი?

ჩვენს სამეცნიერო ისტორიულ ლიტერატურაში უკანასკნელ დრომდე გაბატონებული აზრის მიხედვით [ივ. ჯავახიშვილი (ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 195), შ. მესხია (შ. მესხია, ვ. გუჩუა, საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელო VIII-X კლასებისათვის, თბ., 1969, გვ. 65) და სხვ. (ვ. კოპალიანი, საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან (X-XII ს.), თსუ შრომები, ტ. 125, თბ., 1968, გვ. 92, აგრეთვე რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 35. ამ უკანასკნელმა შემდგომ ეს თარიღი შეცვალა, იხ. მისი ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1972, გვ. 14-1-17 და სხვ.)], ხარკის შეწყვეტა 1097 წელს მოხდა. ყველა ისტორიკოსი საქართველოს გაძლიერებას სავსებით მართებულად განიხილავს იმ ეპოქისათვის გარკვეულ ობიექტურ კანონზომიერებად, რაც გამოიხატებოდა საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესებითა (დაიწყო ჯვაროსანთა ლაშქრობები და თურქ-სელჩუკები იძულებულნი გახდნენ, ჩარეულიყვნენ მასში) და თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს შინაური აშლილობით (ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, ვ. გაბაშვილის რედაქციით, თბ., 1975, გვ. 134).

მოხდა კი თურქ-სელჩუკებისათვის ხარკის შეწყვეტა 1097 წელს?

აკად. ივ. ჯავახიშვილი XII საუკუნის მიწურულის მსოფლიოს (კეძოდ, ევროპისა და ამიერკავკასიის) პოლიტიკური მდგომარეობის მიმოხილვისას იმოწმებს დავით

აღმაშენებლის ისტორიკოსს (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 195): „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალემი და ანტიოქია", შემდეგ: „მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განაშრავლნა სანი. არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა" (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 325-26) და აკეთებს დასკვნას – „მაშასადამე, საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენა 1097 წელს მომხდარა; რაკი ამ დროითგან მოყოლებული საქართველომ სულტანს ყოველწლიური ხარაჯის ძლევა მოუსპო" (ხაზგასმა ჩემია, – რ. მ.).

ნ. ბერძენიშვილის, ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას ავტორობით გამოსულ „საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელოში მოცემული საკითხის ირგვლივ არაფერია ნათქვამი (პარაგრაფი, რომელშიც დავით აღმაშენებლის შესახებაა მოთხრობილი, ივ. ჯავახიშვილს (!) ეკუთვნის). „საქართველოს ისტორიის" დამხმარე სახელმძღვანელოში ხარკის შეწყვეტის თარიღად და ამავე დროს დავითის მეფობის პირველი ხანის დასასრულად 1097 წელია მიჩნეული (გვ. 154).

პროფ. აბ. კიკვიძე პირდაპირ ამბობს: „1097 წელს ჯვაროსნებმა აიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, თურქ-სელჩუკების პოლიტიკური ბრწყინვალების ლამპარიც ჩაქრა... 1097 წელსვე დავით აღმაშენებელმა თურქებს ხარკი შეუწყვიტა და საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობაც აღადგინა" (აბ. კიკვიძე, დავით აღმაშენებელი, თბ., 1942, გვ. 5-6).

აღნიშნული თარიღი ყოველგვარი კომენტარების გარეშე მოყვანილია ჩემს წიგნში – „დავით აღმაშენებელი" – და იგი მიჩნეულია თურქ-სელჩუკებისადმი ხარკის შეწყვეტის წლად (რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 35). განსხვავებული თარიღი გვაქვს მოცემული შემდგომ პერიოდში გამოცემულ ჩვენს სხვა წიგნებში (ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1972, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973, დიდნი საქმენი, თბ., 1978 და სხვ.).

ასევე, ჩვენი რედაქციით გამოსულ შ. მესხიასა და ვ. გუჩუას „საქართველოს ისტორიის" საშუალო სკოლის სახელმძღვანელოში დაბეჯითებითაა ნათქვამი: „შექმნილი ვითარებით (ჯვაროსნული ომებია მხედველობაში – რ. მ.) ისარგებლა დავითმა (აღმაშენებელმა – რ. მ.) და 1097 წელს თურქებს ხარკის მიცემა შეუწყვიტა" (შ. მესხია, ვ. გუჩუა, საქართველოს ისტორია, VIII-IX კლასებისათვის, თბ., 1969, გვ. 65). იგივეა ნათქვამი ვ. კოპალიანის გამოკვლევაში „საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან" (XI-XII სს.) (თსუ შრომები, ტ. 125, თბ., 1968, გვ. 92).

ჩვენი აზრით, აღნიშნული თარიღის ასეთი გაბატონებული მდგომარეობა აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრების უშუალო გავლენით უნდა აიხსნას, თუმცა ზოგიერთი ისტორიკოსი გარკვეულად მსჯელობს კიდეც და დამოუკიდებლად მიდის აღნიშნულ დასკვნამდე.

საქმე ისაა, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხაზგასმით, ყოველგვარი ორჭოფობისა და ყოყმანის გარეშე ამბობს: „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალემი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქარ-

თლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 1958, გვ. 325-26). აქედან ჩანს, რომ დავით აღმაშენებელმა ხარკის მიცემა თურქებს შეუწყვიტა ჯვაროსნების („ფრანგნი“) მიერ იერუსალიმის აღების შემდგომ. ეს რომ ასეა, ამაზე თვით აკად. ივ. ჯავახიშვილის მიუთითებს, მიიჩნევს რა თურქებისადმი ხარკის შეწყვეტის წლად ანტიოქიისა და იერუსალიმის აღების თარიღს. იგი აღნიშნავდა: „და მართლაც, ანტიოქია და იერუსალემი ფრანგებმა 1097 წელს აიღეს“.

ამრიგად, ის ფაქტი, რომ ქართველთა მიერ თურქებისადმი ხარკის შეწყვეტა ანტიოქიისა და იერუსალიმის აღების შემდეგ მოხდა, სადავო არ ყოფილა აკად. ივ. ჯავახიშვილისათვის და, ალბათ, საერთოდ ძნელი იქნება, ვინმე შეეცადოს საწინააღმდეგოს დამტკიცებას, რადგან „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ ამაზე სრულიად გარკვეულ პასუხს იძლევა.

რაც შეეხება თარიღს (1097 წ.), იგი არასწორია, რადგან არც ანტიოქია და არც იერუსალიმი ამ წელს არ ყოფილა აღებული.

ჯვარონების პირველი ტალღა კონსტანტინოპოლმა 1096 წლის 1 აგვისტოს ნახა. ეს იყო მეტად არაორგანიზებული ნაწილი ევროპელი რაინდებისა და აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, ისინი თურქ-სელჩუკებმა გაანადგურეს 1096 წლის ოქტომბერში. ჯვაროსანთა ამ აბნეული ბრბოს მწარე მარცხმა გონზე მოიყვანა ევროპელი რაინდები და ნორმანთა, ფრანგთა, ფლანდრთა და ლოტარინგთა მთავრების მეთაურობით, დიდძალი ლაშქარი დაიძრა კონსტანტინოპოლისაკენ. ეს უკვე ის პერიოდია, როცა თურქ-სელჩუკთა დიდი სახელმწიფო დასუსტებული იყო და იშლებოდა.

1097 წელს ჯვაროსნებმა მწვავე ბრძოლით აიღეს რუმის სასულთნოს დედაქალაქი ნიკეა. ამის შემდეგ თავს დაესხნენ სირიას, პალესტინას და 1097 წლის 21 ოქტომბერს ანტიოქიაზე მიიტანეს იერიში, რომელიც დიდი და ხანგრძლივი, მძიმე ბრძოლების შედეგად მხოლოდ 1098 წლის ივნისის თვეში დაიპყრეს. მის შენარჩუნებაზე არანაკლები ძალა დაიხარჯა. 1099 წელს ივლისში იერუსალიმიც აიღეს ჯვაროსნებმა.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დავით აღმაშენებელმა ხარკის გადახდა შეუწყვიტა თურქ-სელჩუკებს არა 1097 წელს, არამედ 1099 წელს. უნდა ვიფიქროთ, რომ 1097-98 წწ. საქართველოს მოშენება-მომძლავრების პროცესი ძირითადად დასრულდა („მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი“) და უკვე მომძლავრებულ ქვეყანას შეეძლო უარი ეთქვა მტრისათვის ხარკის გადახდაზე, რადგან მას უკვე ძალაც გააჩნდა და შესაძლებლობაც იმისა, რომ თვითონ გადასულიყო შეტევაზე. ზოგიერთი ისტორიკოსის ვარაუდი იმის შესახებ, რომ სრულებითაც არ იყო სავალდებულო საქართველოს ევროპელთა ომების შედეგებისათვის, კერძოდ, იერუსალიმის აღებისათვის, დაეცადა (ვ. კოპალიანი, საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიათან (XI-XII), თსუ შრომები, ტ. 25, თბ., 1958, გვ. 92) და მერე შეეწყვიტა ხარკი, მთლად მართებულად არ უნდა მივიჩნიოთ. საქმე ანტიოქიისა და იერუსალიმის აღების დაცდა კი არ იყო,

არამედ ის ობიექტური სინამდვილე, რაც იმდროინდელ წინააზიასა და ევროპაში იქმნებოდა, კერძოდ, ჯვაროსანთა ტალღა ძლიერდებოდა, თურქ-სელჩუკთა სახელმწიფო კი დაშლა-დამცირების გზაზე იდგა. 1097 წლისათვის, მართალია, თურქ-სელუკების სახელმწიფო დაშლილი და წინანდებურ ძლიერებას მოკლებული იყო, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ დასუსტებული (მოვიგონოთ 1096 წლის დამლევისათვის ჯვაროსნების დამარცხება, თუნდაც ის, რომ ანტიოქიის აღებას თითქმის მთელი წელი მოუნდნენ ჯვაროსნები და მის შესანარჩუნებლად დიდი ბრძოლები გადაიტანეს[1]). ალბათ ამ პერიოდისათვის მთლიანად არც საქართველო იქნებოდა მზად საერთაშორისო პოლიტიკურ სარბიელზე ესოდენ მკვეთრი ნაბიჯის გადასადგმელად. საქართველოს სამეფო კარმა ანტიოქიისა და იერუსალიმის დაპყრობას კი არ დაუცადა, არამედ მათი აღებით ლახვარჩაცემული თურქ-სელჩუკების მდგომარეობის აწონ-დაწონისა და პოლიტიკური შეფასების შემდეგ (ბუნებრივია, შესაბამისად საკუთარი ძლიერების გათვალისწინებითაც) შესაძლებლად ჩათვალა ხარკის გადახდის შეწყვეტა[2].

ამგვარად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ დაკარგული დამოუკიდებლობა აღიდგინა 1099 წელს, როდესაც თურქ-სელჩუკებისადმი ხარკის მიცემა შეწყვიტა.

როდის აიღო დავით აღმაშენებელმა ზედაზენი?

პირველი დიდი პოლიტიკური წარმატების შემდეგ საქართველოს სამეფო კარს მთელი სიგრძე-სიგანით უნდა გაეშალა მუშაობა ქვეყანაში ძალთა უკიდურესი მობილიზაციისათვის. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ჰერეთ-კახეთის საქართველოს

---

[1] უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც ისტორიული წყაროები ადასტურებენ და თანამედროვე ისტორიოგრაფია მიიჩნევს, ანტიოქია გამცემლობით იქნა აღებული. რაულ კაენელის ცნობით, ანტიოქიის ემირის მიერ ერთ-ერთი ციხე-კოშკის დაცვა დავალებული ჰქონდა სომეხ ფირუზს, რომელმაც მტერთან (ჯვაროსნებთან) მოლაპარაკების შემდეგ დათმო პოზიცია და ჯვაროსნები ქალაქში შეუშვა. ამის შემდეგ დაეცა ანტიოქია (H. Glasner, I'Escalade de tour d'Antioches, "Revwe du Moyen Age Lation", II, 1946, გვ. 139-138; М. Ф. Заборов, Введение в историографию крестовых походов, М., 1966, с. 51; მისივე, Крестовые походы, 1956, с. 88). ამგვარად, ანტიოქიის დაცემა არ ყოფილა გამოწვეული დაცვის სისუსტით. აქ თავი იჩინა ღალატმა და გადამწყვეტი როლიც შეასრულა.

[2] რაც შეეხება ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას ხარკის შეწყვეტის შესახებ, იგი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიდან უნდა მომდინარეობდეს, თუმცა ვახუშტი ჯერ ხარკის შეწყვეტის ფაქტს ასახელებს, ხოლო შემდეგ იერუსალიმის აღებას. თარიღები კი, როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევისა, საერთოდ უკან აქვს გადაწეული (მაგალითად, იერუსალიმის აღებას 1101 წელს ასახელებს). ვიმეორებთ, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მისი ცნობა დავითის ისტორიკოსიდან გამომდინარეა, ამის მტკიცების საშუალებას თვით მისი ტექსტი იძლევა, რომელიც სიტყვასიტყვით არის გადმოღებული „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისიდან" (მხოლოდ გადაადგილებულია წინადადებები), შეიძლება, დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაში თარიღის დადგენა არ არის გასაზიარებელი (იხ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, II, გვ. 195).

ერთიან სახელმწიფო ორგანიზაციაში შემოყვანის საკითხი უაღრესად აქტუალური იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებელი აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. რა გასაკვირია, რომ უკვე ძლიერ ქვეყანას დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია კახეთის მეფე კვირიკემ („კაცი მეფობისთანავე თანა მეფე-ქმნილი ვნებათა ზედა და ჭეშმარიტი ქრისტიანე"). დავით აღმაშენებელმა საქმე ზედაზნის აღებით დაიწყო, რადგან იმდროინდელი კახეთისათვის ამ ციხეს მეტად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა: „მოსცა ჟამი ღმერთმან მეფესა დავითის და წარუღო კვირიკეს ციხე ზედაზენი" (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 326).

ზედაზნის ციხის აღების თარიღად აკად. ივ. ჯავახიშვილი 1101 წელს ასახელებს (ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 195). ეს თარიღი უყოყმანოდ გაიმეორეს: ს. მაკალათიამ (დავით აღმაშენებელი, თბ., 1945, გვ. 18), აბ. კიკვიძემ (დავით აღმაშენებელი, თბ., 1942), რ. მეტრეველმა (დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 36) და სხვ.) იმავეს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ამბობს დ. კარიჭაშვილი, იხ. მისი, საქართველოს XII საუკუნეში, თბ., 1902, გვ. 35. აღნიშნული თარიღი შეტანილია ნ. ბერძენიშვილის, ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას „საქართველოს ისტორიაში", იხ. გვ. 182).

საქმე ისაა, რომ ზედაზნის ციხის აღების თარიღი, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა დაამტკიცა (წინააღმდეგ თ. ჟორდანიასა და ე. თაყაიშვილის მოსაზრებებისა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ თითქოს ეს ქრონიკონი პირველად ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრების" ხელნაწერში იყო შეტანილი), მოიპოვება ანა დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში" და იგი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ეკუთვნის. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს კი გარკვევით აქვს ნათქვამი, რომ ზედაზნის აღებისას „ქრონიკონი იყო სამას ოცდასამი" (ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1958, გვ. 326)[1], ე. ი. 1103 წელი (780+323). რაც შეეხება ზედაზნის აღების თარიღად 1101 წლის მიჩნევას, იგი არ არის სწორი[2]. სამწუხაროდ, შემდგომში არც ერთი ისტორიკოსი არ დაინტერესებულა, გაერკვია აღნიშნული საკითხი და თარიღი შეემოწმებინა.

ამრიგად, დავით აღმაშენებლის მიერ კახეთის შემოერთებისათვის ბრძოლისას სამხედრო თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობის მქონე პუნქტის – ზედაზნის ციხის აღება მოხდა არა 1101 წელს, არამედ 1103 წელს (როგორც ისტორიული მასალა მიგვანიშნებს).

---

[1] აკად. ივ. ჯავახიშვილი ალბათ მექანიკურ შეცდომას უშვებდა, რადგან ქორონიკონს იგი ისევე ასახელებდა, როგორც „ქართლის ცხოვრებაშია" (323), ხოლო წელს კი რატომღაც 1101-ს სვამდა.

[2] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაში" ზედაზნის აღების თარიღად 1101 წელია დასახელებული: „წარუღო მეფემა დავით კკრიკეს ციხე ზედა-ზენი „და იყო ქ"კნი: ტკა" (იხ. თ. ჟორდანია. ქრონიკები, I, 1892, თბ., გვ. 238), მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილმა დაამტკიცა, თუ ჩვენ ვახტანგისეულ ხელნაწერამდე ანა დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში" მოგვეპოვება უფრო ზუსტი თარიღი (რადგან იგი დავითის ისტორიკოსს ეკუთვნის), ბუნებრივია, მას უნდა ვენდოთ.

როდის გაუქმდა კლდეკარის საერისთავო?

კლდეკარის საერისთავოს გაუქმების საკითხი ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, ემთხვევა ზედაზნის ციხის აღებას. ვნახოთ მოცემული საქმის ვითარება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან: „მოსცა ჟამნი ღმერთმან მეფესა დავითს და წარულო კჳრიკეს ციხე ზედაზადენი. ქრონიკონი იყო სამას ოცდასამი. და წარემატებოდა დიდებითა და განმარჯუებულობითა. რომელთა თანა ესეცა იქმნა: მოკუდა რატი, ძე ლიპარიტისი, კაცი ორგული და ნანდჳლვე ნაშობი იქედნესი. ესრეთ დასრულდა სახლი ბაღვივაშთა, სახლი განმამწარებელთა... და არღარავინ დაშთა საყოფელთა მათთა მკჳდრი(!)... და მამული მათი აღიღო მეფემან" (ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1958, გვ. 326). მაშასადამე, ზედაზნის ციხის აღებისთანავე („რომელთა თანა ესეცა იქმნა") გარდაცვლილ რატი ლიპარიტის ძე. დავით აღმაშენებელს კლდეკარის საერისთავო თავის მფლობელობაში მოუქცევია.

ბუნებრივია, თუკი ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ ზედაზნის ციხის აღების წელს მართებულად ჩავთვლით, რატი ლიპარიტის ძის სიკვდილი და კლდეკარის საერისთავოს სამეფო ქონება – სამფლობელოდ გამოცხადებაც ასევე უნდა დავათარიღოთ.

ამრიგად, XII საუკუნის დასაწყისის საქართველოს შინაკლასობრივი ბრძოლის ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი აქტი – კლდეკარის საერისთავოს გაუქმება და საქართველოს სამეფოსათვის მიერთება – 1103 წელს მოხდა. შემდგომში, როგორც ირკვევა, საქართველოს მეფე ბაღვაშთა მამულობითი სამფლობელო („მამული ლიპარიტეთი") – არგვეთი გელათისათვის შეუწირავს. დავით აღმაშენებლი იმთავითვე ზრუნავდა გელათის მეტარიალურ კეთილდღეობაზე და სწორედ ამიტომ „მისცნა დედასა ღმრთისასა სამსახურებლად მისა წინაშე მდგომელთა მისთათჳს" მრავალი სოფელი.

ამ შეწირულებით ეკლესიის მსახურთ საქართველოს სამეფო კარმა „უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა". ამგვარად, კლდეკარის ერისთავების სამფლობელო მამულის საეკლესიო (გელათის) საკუთრება გახდა[1]. დავით აღმაშენებელმა, განსხვავებით ყველა თავისი წინამორბედისაგან, უკიდურესად გადამჭრელი ზომები მიიღო – დაამარცხა ბაღვაშები და გააუქმა კლდეკარის საერისთავო.

---

[1] არ არის სწორი თ. ჟორდანიას ცნობა, თითქოსდა ლიპარიტის მამული 1101 წელს (ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო რატი ლიპარიტის ძე და მამულიც მის საკუთრებას შეადგენდა) შეეწიროს გელათისათვის. უფრო საფიქრებელია, რომ ეს ფაქტი გელათის კომპლექსის მშენებლობის დაწყებისას უნდა მომხდარიყო (1106 წ.).

როდის გარდაიცვალა გიორგი II?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს სამეცნიერო ისტორიულ ლიტერატურაში დღემდე სადავოა თარიღი საქართველოს მეფის გიორგი მეორის გარდაცვალებისა. ის ფაქტი, რომ მატიანე გადმოგვცემს გიორგი მეორის მიერ დავით აღმაშენებლის სამეფო ტახტზე აყვანის თარიღად 1089 წ., ხოლო შემდგომ საერთოდ აღარ მოიხსენიებს მას (გიორგი მეორეს), ისტორიკოსებს აძლევდა საშუალებას, სხვადასხვაგვარად ეფიქრათ გიორგი მეორის შემდგომ ბედზე. ასე მაგალითად, ვახუშტი ბაგრატიონი პირდაპირ გადაჭრით აღნიშნავს: „... მიიცვალა მეფე გიორგი წელსა 1089, ქართულსა 309“ (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 165). იმავეს ამბობს მარი ბროსეც (მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1895, გვ., 149). მ. ბროსე გადაჭრით დარწმუნებული არ ყოფილა თავის დათარიღებაში: ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი არ გამორიცხავდა გიორგის სიცოცხლეს 1089-92 წწ.). ნ. ურბნელი (ნ. ურბნელი, დავით აღმაშენებელი და მისი დრო, „დროება“, 1894) და დ. კარიჭაშვილი (დ. კარიჭაშვილი, საქართველოს მეთერთმეტე საუკუნეში, თბ., 1902, გვ. 44) გიორგი მეორის გარდაცვალების თარიღად 1112 წელს ასახელებენ. ივანე ჯავახიშვილმა ერთგვარად აარიდა თავი ამ თარიღის მოცემას, ალბათ ისტორიული მასალის უკმარისობის გამო. თ. ჟორდანია დაბეჯითებით მიუთითებს გიორგი მეორის 1112 წელს გარდაცვალების შესახებ. უფრო მეტიც, იგი აღნიშნავს, რომ ამ დრომდე გიორგი მეორე არამცთუ ცოცხლობდა მხოლოდ, არამედ ქვეყნის მართვასა და პოლიტიკაშიც ერეოდა (იხ. მისი Завещание... გვ. 7-8).

მართლაც, რაკი ჩვენ არავითარი საბუთი არ გაგვაჩნია, რომელიც გიორგი მეორის გარდაცვალებას მიგვანიშნებდეს, შეიძლება რამდენადმე გავიზიაროთ მოსაზრება საქართველოს მეფის 1112 წელს გარდაცვალების შესახებ, მით უმეტეს, რომ თ. ჟორდანიას მოაქვს მასალა თავისი ვარაუდის დასასაბუთებლად, კერძოდ, „აფხაზ მეფეთა ქრონიკიდან“: „ქ˜კსა“ ტლბ – დასაბამითგან: ხლივ: აქა მოტყუენვა – იყო ყ˜ა ქ˜ყ – - – თამარ შირვნით გამოვიდა და გ˜მ – ი მ˜კდ – -“ ეს დაზიანებული ადგილი თ. ჟორდანიამ ასე წაიკითხა: „ქრონიკონსა“ ტლბ: დასაბამითგან ხლივ: აქა მოტყუენვა იყო ყოველსა ქვეყანასა; თამარ შირვანით გამოვიდა და გიორგი მეფე მოკუდა“ (თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, თბ., 1892, გვ. 239). ამგვარად, გიორგი მეორე, თუ ამ წყაროს სისწორეში ეჭვს არ შევიტანთ, 1112 წელს გარდაიცვალა.

ჩვენ განსაკუთრებით ვჩერდებით გიორგი მეორის გარდაცვალებაზე იმიტომ, რომ თ. ჟორდანია, აქედან გამომდინარე, ძაგანის გამოსვლასთან (ღალატთან) დაკავშირებით საგანგებო დასკვნებს აკეთებს. ასე მაგალითად, – „ანდერძში“ მოყვანილი ფრაზა: „ოდეს ზეზადნისა (ზედაზნისა – რ. მ.) ციხე და მუხრანი ძუელითგან ვეცადე მათგან ძებნითა, მაშინცა არა იყო ნებაჲ ჩემი, მამან ჩემმან უბოძაჲ...“ თ. ჟორდანიას გიორგი მეორის დიდი როლის (უფრო მეტის, ვიდრე დავით აღმაშენებლის) დამადასტურებლად მიაჩნია სხვადასხვა საქმის გადაჭრისას (Завещание, გვ. 13).

ამრიგად, აფხაზთა ზემომოყვანილი ქრონიკის წყალობით, თ. ჟორდანია ამტკიცებს, რომ გიორგი მეორე 1112 წლამდე ცხოვრობდა, ამავე დროს იგი იყო დავით აღმაშენებელთან ერთად სახელმწიფოს მართვის სათავეებში და ნაკლებ როლს ასრულებდა. (ეს უკანასკნელი დასკვნა დავით აღმაშენებლის „ანდერძიდან" გამოჰყავს). „.... Царь Георгий не только является живым и после 1089 года, но и царем, играющим первенствующую роль при совместном царствовании с сыном..." (გვ. 7).

ვიმეორებთ, ჩვენ სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ გიორგი მეორემ იცოცხლა 1112 წლამდე (და არა 1089 წლამდე), მაგრამ რაც შეეხება მის ესოდეს უზარმაზარ ავტორიტეტსა და როლს („Первенствующую роль") დავით აღმაშენებლი მოღვაწეობის დროს, გაზვიადებული და, უფრო მეტიც, არასწორია. გამომდინარე აქედან, დაშვებული ჩანს ზოგიერთი შეცდომა ძაგანის ღალატის დროის განსაზღვრასა და ამ მოვლენასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებშიც.

როდიდან იწოდება დავითი მეფედ? როდის აჯანყდა ძაგანი?

ვფიქრობთ, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ისეთი ძლიერი მეფის მოღვაწეობის პერიოდში, როგორიც დავით აღმაშენებელი იყო (რომლის დროსაც ქვეყანამ ცენტრალიზაციის, ხოლო სამეფო ხელისუფლებამ სიძლიერის მწვერვალს მიაღწია), არავის შეეძლო წინ აღსდგომოდა მის ნება-სურვილს (თუნდაც ეს მამა ყოფილიყო), მით უმეტეს, როდესაც საქმე მოღალატესა და მეფის მოწინააღმდეგეს ეხებოდა.

სრულიად გამორიცხული უნდა იყოს გიორგი მეორის ჩარევა სახელმწიფო საქმეებში 1089 წლის შემდგომ. საქმე ისაა, რომ დავით აღმაშენებლის გამეფება, რომელიც განპირობებულია, ერთი მხრივ, ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობით, ხოლო მეორე მხრივ, სამეფო ხელისუფლების მწვავე კრიზისით, არ შეიძლება ისე მშვიდად მომხდარიყო, როგორც ამას ისტორიკოსი გადმოგვცემს: „ამას მარტოდ შობილსა გიორგისაგან თჳთ მამამან დაადგა გჳრგჳნი მეფობისა..." (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 324). უფრო მეტად საფიქრებელია, რომ ეს იყო გადატრიალება, რომელიც დიდგვარიან ფეოდალთა ერთი გარკვეული ჯგუფის მონდომებითა და აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა. და თუ გიორგი მეორემ თავისივე ხელით დაადგა შვილს სამეფო გვირგვინი, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მისი მოქმედება საკუთარი სურვილის ეკვივალენტური გამოხატულება ყოფილიყოს. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ აქ გარკვეულ იძულებას ჰქონოდა ადგილი. სხვა შემთხვევაში საქართველოს მეფის ძალაუფლების მთლიანად მემკვიდრეზე გადაცემა ალბათ არ მოხდებოდა. უფრო მეტიც, ვფიქრობთ, დავით აღმაშენებელი თვითონ იყო აქტიური მებრძოლი სამეფო ხელისუფლების სადავეების მთლიანად (ნაწილობრივ იგი 1085 წლიდან მართავდა ქვეყანას მამასთან ერთად. ამაზე დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდებით) ხელში აღებისა და გამორ-

იცხული არ არის, რომ ამ სურვილის აღსრულება, სხვა ღონისძიებების გატარებასთან ერთად, საკუთარი მამის მეტად მძიმე შეურაცხყოფის საფასურად მოხდა. მიგვაჩნია, რომ ეს კონფლიქტი მამასა და შვილს შორის იმდენად მწვავე იყო, რომ დავით აღმაშენებელს თავისი მოქმედება საკუთარი მამის წინაშე უდიდეს ცოდვად მიაჩნდა და იგი არაერთგზის იგონებდა ამას. მოვიგონოთ მისი „გალობანი სინანულისანი", ან კიდევ შიომღვიმის მონასტრისადმი მიცემულ ანდერძში მისი თხოვნა, რომ ასე ელოცათ: „უფალო ღმერთო, დავითს მიუტევენ ბრალნი მისნი სიყრმისა და ცთომილებისანი" (ანდერძი, გვ. 15)[1].

არ გამოვრიცხავთ, რომ სწორედ ეს „გალობანი სინანულისანი" და „ბრალნი მისნი სიყრმისა და ცთომილებისანი" გიორგი მეორის წინაშე ჩადენილი მძიმე მოქმედების (ალბათ მისი ტახტიდან გადაყენების) გამო მიუძღოდა დავით აღმაშენებელს და ამიტომ მოითხოვდა ამ „ცოდვათა" მიტევებას ღმერთისაგან. თ. ჟორდანია დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმის მონასტრისადმი გაცემული ანდერძის რუსულ თარგმანში, იქ, სადაც „ბრალსა" და „ცდომილებაზეა" ლაპარაკი, შენიშნავს: „Вероятно, тут разумеется слишком строгое обращение царя с изменниками или, может быть, какие-либо крупные недоразумения с отцом его, Георгием..., вовлекшие юного царя в тяжкие грехи" (Ф. Жордания, Завещание... გვ. 25). განა შეიძლებოდა, მოღალატეებთან მკაცრი მოქცევა („Строгое обращение царя с изменниками") ცოდვად ჩათვლილიყო და მოსანანიებელი გახდომოდა საქართველოს მეფეს? რა თქმა უნდა, არა. ასეთ შემთხვევაში მისატევებელი არაფერი ექნებოდა მოღალატეთა დამთრგუნველ დავით აღმაშენებელს. ბუნებრივია, საქმე გვაქვს მამა-შვილს შორის მწვავე კონფლიქტთან, რომელიც სამეფო ძალაუფლებისათვის ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა (Крупные недоразумения с отцом его...).

თ. ჟორდანია გაკვირვებული სვამდა კითხვას: „Ужели предполагать, что воцарение Давида сопровождалось какими-либо насилиями, и первенство в управлении царством исторгнуто им из рук отца вопреки воли последнего" (Ф. Жордания, Завещание, გვ. 25).

გამომდინარე აქედან, ჩანს, რომ განსვენებული მეცნიერის ხელთ არსებული მასალა იძლეოდა საშუალებას, ვარაუდის სახით დაესვა კითხვა დავით აღმაშენებლის მიერ ხელისუფლების ძალით („какими-либо насилиями") აღების შესახებ.

ვფიქრობთ, ამ კითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს. დავით აღმაშენებლის მიერ ძალაუფლების ხელში აღება (გარკვეული ძალის გამოყენებით!) ნაკარნახევი იყო, უპირველესად ყოვლისა, სახელმწიფოს ინტერესებით (იმდროინდელი საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა მოითხოვდა ახალ, ძლიერ მეთაურს), ამავე დროს, ეს იყო დიდგვარიან ფეოდალთა დიდი ჯგუფების (მათ შორის, ბუნებრივია, თვით დავით აღმაშენებლის) ნება-სურვილის გამოხატულება.

---

[1] დავით აღმაშენებელი თავის 1125 წლის ანდერძშიც საგანგებოდ აღნიშნავს: „... არა დამიტევა მე სანუთრომან და დამძიმებული ცოდვათა სიმრავლითა მწუხარედ განმიყვანა წინაშე მსაჯულისა". შდრ. ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის" კონცეფციისათვის. კრ., „ქართული ლიტერატურის საკითხები", ტ. 2, 1981.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლების სადავეების ასეთი ძალით აღების შემდეგ ყოფილი მეფე გიორგი მეორე სახელმწიფო მმართველობისათვის უნდა მოეშორებინათ და გარკვეულ იზოლაციაში მოექციათ; ამას მრითნრვდა სახელმწიფოს ერთმმართველი მეფის (დავით აღმაშენებლის) ინტერესები. ასე რომ, სამეფო კარზე ასეთი გადატრიალების შემდეგ რამდენ ხანსაც არ უნდა ეცოცხლა გიორგი მეორეს, ძნელად დასაშვებია, რომ მისთვის სახელმწიფო ცხოვრების თუნდაც უმნიშვნელო საკითხი მიენდოთ გადასაჭრელად.

მაშ, რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ თვით დავით აღმაშენებელი წერს შიომღვიმისადმი მიცემულ ანდერძში: „არა იყო ნებაჲ ჩემი, მამამან უბოძაჲ" (ანდერძი, გვ. 16), რომლის გამოც თ. ჟორდანია ფიქრობდა, რომ გიორგი მეორე მთელი სიცოცხლის მანძილზე (1089 წლიდანაც კი, ვიდრე 1112 წლამდე) წამყვან როლს („первенствующую роль") ასრულებდა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის საქმეში.

ვფიქრობთ, აქ ბევრი საკითხი მოითხოვს დაკვირვებასა და გარკვევას. საქმე ისაა, რომ დავით აღმაშენებლის ანდერძში ხაზგასმითაა აღნიშნული: „ოდეს ზეზადნისა ციხე და მუხრანი ძუელითგან ვეცადე მათგან (ძაგანი და მისი წინაპრებია მხედველობაში – რ. მ.) ძებნითა მაშინაცა არა იყო ნებაჲ ჩემი"... და სხვ. ე. ი. ზედაზნისა და მუხრანის დაბრუნება „ძუელთაგან" უცდია და „მაშინცა" არ მოუნდომებია საქმის მოგვარება (იქნება ვერც შეძლო). როდის იყო ეს ძუელითგან" და „მაშინცა"?

თ. ჟორდანიას არ მიუქცევია ამ სიტყვებისათვის ყურადღება და „ანდერძის" საერთო ანალიზის საფუძველზე მსჯელობდა, საიდანაც გამომდინარეობს, რომ ძაგანის შეპყრობა 1101-სა და 1103 წლებს შუა უნდა მომხდარიყო.

ვფიქრობთ, საქმე გვაქვს ძაგანისა და მისი საგვარეულოს წარმომადგენლების სხვადასხვა სახის (ღალატი, განდგომა) არაერთგზის გამოსვლასთან საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ. სწორედ ამას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ დავით აღმაშენებელი ხაზგასმით ამბობს: „... მით რომელ სხუათაცა ჰქონებოდა მათთა გუართა და არავის ოდეს ექნა ჩვენი ერთგულება" (ანდერძი, გვ. 16). ასეთ დასკვნას საქართველოს მეფე შემთხვევით არ გააკეთებდა. საფიქრებელია, რომ ძაგანი და მისი გვარის წარმომადგენლები, ისევე როგორც ბაღვაშთა საგვარეულო, არაერთხელ გამოსულან სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ საკუთარი ინტერესების დაცვა-გაფართოებისათვის.

ეს გამოსვლა 1089 წლის შემდეგ არ შეიძლებოდა მომხდარიყო (თუ რატომ, ამაზე ზემოთაც გვქონდა ლაპარაკი და ახლა საგანგებოდ ამ საკითხზე შეჩერება არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად), რადგან ამ დროიდან ქვეყანას სათავეში ჩაუდგა უაღრესად ძლიერი პიროვნება, რომელმაც თავისი გამჭრიახობით და შორსმჭვრეტელური დიპლომატიით, გაბედული მოქმედებით შინ თუ გარეთ ქვეყანა აღმავლობის გზით წაიყვანა. აქ უკვე მეორე საკითხი ისმება: განა 1089 წლამდე დავით აღმაშენებელს ჰქონდა რაიმე გავლენა სამეფო კარზე? თუნდაც იმდენი, რომ მას რაიმე გარკვეული საკითხი გადაეჭრა? (ზოგჯერ, როგორც ვნახეთ, ვერც

ჭრიდა საკითხს გარკვეულწილად უუფლებობის გამო, რადგან, ბუნებრივია, მეფეთამის ავტორიტეტი დიდი იყო და მისი ნება-სურვილიც კანონად ითვლებოდა. ვფიქრობთ, ამ კითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს. 1089 წლამდე გიორგი მეორის პირმშოს დავითს არათუ რაიმე უბრალო გავლენა ჰქონდა საქართველოს სამეფოში, არამედ იგი მეფის თანამმართველადაც კი ითვლებოდა. აღსანიშნავია, რომ უკვე 1085 წელს დავითი იწოდებოდა მეფედ და სევასტოსად. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ დავით გარეჯის წიგნსაცავში აღმოჩენილი ხელნაწერის 1085 წლის მინაწერს: „დაესრულა საწელიწადო საწინასწარმეტყველო წესსა ზედა ბერძულსა, ახალთარგმნილი წ"ა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა, სრული ყოვლითურთ და უნაკლო. მე სულითა საწყალობელმან ეგნატი დავწერე წ"ა ესე წიგნი საწინასწარმეტყველო დიდებულისა ლავრისა შატბერდისათჳს სალოცველად ღვთივ-გჳრგჳნოსანთა ჩუენთა გიორგი მეფეთა მეფისა და კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა სევასტოსისი" (თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 232).

ამგვარად, უკვე 1085 წელს, გიორგი მეორის მეფობის დროს, დავითი იწოდება მეფედ და სევასტოსად. ბუნებრივია, რომ ქვეყანას განაგებს მეფეთმეფე გიორგი, მაგრამ მასთან ერთად გარკვეული უფლებები სამეფოს მართვის საქმეში მის მცირეწლოვან (1085 წელს დავითი 12 წლის იქნებოდა) შვილსაც ჰქონდა. ყურადსაღებია ისიც, რომ მამა-შვილს შორის იერარქია მკვეთრად არის დაცული – გიორგი კესაროსია, დავითი კი სევასტოსი – შედარებით დაბალი რანგის ტიტულის მატარებელი[1]. როგორც ცნობილია, ამ ბერძნულ ტიტულებს ბიზანტიის იმპერია აძლევდა სხვადასხვა ქვეყნის მეფეებს თავისი გავლენის დასამტკიცებლად. ქართველი მეფეებიც ასე იყვნენ, მაგალითად, ბაგრატ მეოთხე ჯერ ნოველისიმოსის ტიტულს ატარებდა, ხოლო შემდეგ სევასტოსისას. მის მიერ მოჭრილი მონეტების ზედწერილები აშკარად ადასტურებდნენ ამას: („ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და ნოველისიმოსი", სხვა მონეტაზე ბაგრატი უკვე „სევასტოსად" იხსენიება (დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 42-43; რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 88).

არ არის გამორიცხული, რომ ზემოთ მოყვანილ წარწერაში დავითის სევასტოსად მოხსენიება შემთხვევით, წამწერლის ნება-სურვილით კი არ იყოს განპირობებული, არამედ სავსებით შეესატყვისებოდეს მის პირდაპირ მნიშვნელობას. შესაძლებელია, მას შემდეგ, რაც გიორგი მეორემ შვილი თანამმართველად გაიხადა, ამ უკანასკნელმა (დავითმა) ბიზანტიის საიმპერატორო კარისაგან სევასტოსის (!) მაღალი პატივი მიიღო.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დავით აღმაშენებელს 1985 წლიდან (შეიძლება ცოტა ადრეც), თუმც ნომინალურად, მაგრამ მაინც ჰქონდა ქვეყნის მმართველის გარკვეული უფლებები. ვფიქრობთ, მის მიერ ძაგანისათვის (ან მისი გვარის რომელიმე წარმომადგენლისათვის) სამფლო-

---

[1] უნდა აღვნიშნოთ, რომ სევასტოსი ყველაზე დაბალი ტიტული არ არის, ქვემოთ არის ნოველისიმოსი (გარკვეულ დროს ბაგრატ მეოთხე ატარებდა ამ ტიტულს).

ბელოს ჩამორთმევის ცდა სწორედ 1085-1089 წლებს შუა უნდა ყოფილიყო. ამ დროს ისიც კანონზომიერია, რომ იგი ვერ წავიდოდა მისი მამის, გიორგი მეორის ნება-სურვილის წინააღმდეგ. სხვა შემთხვევაში (ეს ფაქტი რომ დავით აღმაშენებლის უშუალო მეფობის პერიოდში მომხდარიყო) თითქმის მთელი ამიერკავკასიის გამაერთიანებელი და თავმოყვარე „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“ 1124 წელს ასე ხმამაღლა არ განაცხადებდა: „არა იყო ნება ჩემი“-ო.

ამგვარად, აბულეთისძეთა საგვარეულოს წარმომადგენელთა ერთ-ერთი გამოსვლა – ღალატი საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ – უნდა მომხდარიყო 1085-1089 წლებს შორის. როგორც ჩანს, ეს გამოსვლა მარცხით დამთავრებულა, რის შემდეგაც საქართველოს მეფეებს ალბათ გარკვეულად დაუსჯიათ მოღალატენი, მაგრამ უკიდურესი ზომები არ მიუღიათ მათ მიმართ.

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით მოცემული საკითხი, რა პირობებში, რა მიზნით უნდა მომხდარიყო ძაგანის (ან მისი გვარის წარმომადგენლების) გამოსვლა (ღალატი).

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ასეთი გამოსვლები არაერთი უნდა ყოფილიყო. ამჯერად ერთ-ერთ მათგანზე გვინდა შევჩერდეთ (1085-1089 წლებს შორის რომ მოხდა).

გიორგი მეორეს მეტად მძიმე პირობებში მოუხდა მეფობა. ფეოდალთა აღვირახსნილი ცენტრიდანული მოქმედების გარდა საქართველოს ეკონომიკისათვის დამანგრეველი ე. წ. „დიდი თურქობა“ დაიწყო (XI საუკუნის 80-იანი წლები).

საქართველოს დამოუკიდებლობა სულთნის სასარგებლოდ ყოველწლიური მძიმე ხარკის საფასურად შენარჩუნდა. ამ დროს დღის წესრიგში დადგა კახეთის საკითხი, რომლის განხილვასაც საკვლევი პრობლემის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქმე ის არის, რომ გიორგი მეორე დიდებულთა რჩევით[1] თვითონ ეახლა სულთან მალიქ-შაჰს „ქრისტიანელთა ჴსნისათჳს“. საქართველოს მეფის ასეთი მისიით კმაყოფილ სულთანს გაუთავისუფლებია „სამეფო მისი (გიორგისი – რ. მ.)... ზედამარბველთაგან“. ამავე დროს მიუცია კახეთი და ჰერეთი[2] და თან ლაშქარი გამოუყოლებია, „რათა აართვას კახეთი“. როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი (მათ შორის ზედაზნის ციხე და მუხრანი) აუღიათ კიდეც სულთნის ლაშქრის მეშვეობით საქართველოს სამეფოს მესვეურებს, ეს 1083-84 წწ. უნდა

---

[1] ხედავდა რა ქვეყნის მძიმე მდგომარეობას, ამავე დროს თურქეთის სიძლიერეს, ხოლო „ძალი ბერძენთაცა შემცირებული იყო“, გიორგი მეორემ შეკრიბა დიდებულები და ითათბირა მათთან, რის შემდაგაც „ჰყო განზრახვა დიდებულთა თჳსთა თანა, და დაამტკიცეს, წარსვლა მაღალსა სულტანსა მალიქ-შაჰს წინაშე“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 321).

[2] კახეთი და ჰერეთი მალიქ-შაჰს არ ეკუთვნოდა და ამდენად მას არც მისი ბოძების იურიდიული უფლება ჰქონდა. კახეთს თავისი მეფე ჰყავდა – აღსართანი. აქ ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ტრადიციული ქართული პროვინციები არც საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. საქართველოს სამეფო იმდენად შემცირებული იყო, რომ „საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა და სადგომი სამეფო წაღულის-თავი“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 324), ე. ი. სამეფოს საზღვარი ლიხის მთის იქით იყო.

ყოფილიყო. აქ აღსართანმა ხერხი იხმარა – თვითონ ეახლა სულთანს, „დაუტევა ქრისტიანობა და შეეძინა სარკინოზთა სჯულსა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 322). ამით „აიღო სულტნისაგან კახეთი“. აღსართანი აქტიურად მოქმედებს თავისი სამფლობელოს დასაბრუნებლად და აღწევს კიდეც ამას (1086-1087 წწ.). თ. ჟორდანია ვარაუდობს, რომ სწორედ ამ დროს ზედაზნისა და მუხრანის მფლობელი ძაგანი ღალატობს საქართველოს მეფეს და თავის სამფლობელოს კახეთის მეფე აღსართანს გადასცემს. ეს მოსაზრება სინამდვილისაგან შორს არ უნდა იყოს. ისმება კითხვა – რატომ უნდა ეღალატა ძაგანს გიორგი მეორისათვის?

საფიქრებელია, რომ ძაგანისა და მისი საგვარეულოს უმართებულო მოქმედების გამო, ამ დიდ ფეოდალსა და საქართველოს მეფეს შორის დიდი უთანხმოება უნდა წარმოშობილიყო, რის გამოც მეფემ ურჩ ფეოდალს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარკვეული სახელი მიუზღო. შეიძლება იმ დროს (ალბათ, ეს 1085-87 წწ. შორის იქნებოდა) დასვა დავითმა საკითხი ძაგანისათვის მიწების ჩამორთმევის შესახებ, მაგრამ მამამ არ გაუგონა. დროებით დაშოშმინებული ძაგანი კი გრძნობდა რა მამა-შვილის (გიორგი მეორისა და დავითის) დაძაბულ დამოკიდებულებას, ახალ მომენტს უცდიდა, რათა სამაგიერო გადაეხადა საქართველოს მეფისათვის.

ასეთი მომენტი ძაგანს მაშინ დაუდგა, როდესაც მალიქ-შაჰმა კახეთი აღსართანს დაუბრუნა. იგი, ბუნებრივია, ითვალისწინებდა საქართველოს საშინაო და საგარეო რთულ მდგომარეობას და ამიტომაც არ დააყოვნა – ზედაზენი და მუხრანი კახეთის მეფეს გადასცა. ალბათ ძაგანსა და აღსართანს შორის არსებობდა მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ ამ მიწების მიღების შემდგომ ძაგანი კვლავ იტოვებდა მათი მართვის უფლებებს. რა გასაკვირია, რომ კახეთის მეფეც ასეთ შემოთავაზებას დათანხმდებოდა და ძაგანი „თავის კაცად“ ეცნო. ჩვენი აზრით, თ. ჟორდანია მართებულად მიიჩნევს, რომ ძაგანი თავის სამფლობელოს დავით აღმაშენებლის მიერ ზედაზნის აღებამდე მართავდა (1103 წ.).

როდის გაიმართა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება?

დიდი საეკლესიო (რუის-ურბნისის) კრების მოწვევის თარიღად ჩვენს ისტორიოგრაფიაში 1103 წელია მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ კრების თარიღი არც ერთ ჩვენამდე მოღწეულ საისტორიო წყაროში არ არის დასახელებული, ვახუშტი ბაგრატიონმა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების ანალიზის (ფაქტების ქრონოლოგიური დალაგების) შედეგად 1103 წელი მიიჩნია და ეს მოსაზრება გაბატონდა კიდეც. ყველა სახელმძღვანელოსა თუ ნარკვევებში ეს თარიღი უყოყმანოდ გაიზიარეს. ამ ბოლო დროს რუის-ურბნისის კრების მოწვევის თარიღი გადაისინჯა და გამოითქვა მოსაზრება, რომ იგი 1105 წელს მოიწვიეს (ი. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბ., 1978, გვ. 14-18). ვფიქრობთ, მართებულია მოსაზრება, რომ საეკლესიო კრება 1103 წელს არ ჩატარებულა, თუმცა არც 1105 წელს უნდა მომხდარიყო ეს ფაქტი. თავისთავად

ვახუშტის მიერ მოცემული დათარიღება სრულიად ლოგიკურია – სწავლული ეყრდნობა „ქართლის ცხოვრების“ იმ ნუსხებს, სადაც ზედაზნის აღება დავითის მიერ 321 ქორონიკონითაა განსაზღვრული, ეს (780+321)=1101 წელია. აქედან გამომდინარე, განისაზღვრა კვირიკე კახთა მეფის გარდაცვალება (1102 წლით) და შესაბამისად საეკლესიო კრების თარიღიც (1103 წ.). აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ზედაზნის აღების თარიღად 321 ქორონიკონი „ქართლის ცხოვრების“ ყველა ნუსხაში არ არის დამოწმებული (ზოგიერთ ნუსხაში ქორონიკონი საერთოდ არ არის მითითებული). უძველეს – ანა დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრების“ – ნუსხაში ზედაზნის აღება 323 ქორონიკონითაა დათარიღებული. ამ ცნობას ეყრდნობოდა ივ. ჯავახიშვილი, ცხადია, არც ისაა შემთხვევითი, რომ ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში ს. ყაუხჩიშვილმა სწორედ „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეული ნუსხის მონაცემებს მისცა უპირატესობა. ახლა გავეცნოთ დიდი საეკლესიო კრების მოწვევის თარიღის დასადგენად ჩვენთვის საინტერესო „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს:

„კახეთს მეფობდა კჳრიკე, კაცი მეფობისავე თანა მეფე-ქმნილი ვნებათა ზედა და ჭეშმარიტი ქრისტიანე. მოსცა ჟამი ღმერთმან მეფესა დავითს და წარუღო კჳრიკეს ციხე ზედაზენი. ქორონიკონი იყო სამას ოცდასამი... და შემდგომად წელიწადისა ერთისა მიიცვალა მეფე კჳრიკე, და დასვეს კახთა მეფედ ძმისწული კჳრიკესი აღსართან...

მას ჟამს განიცადა მეფემან გონებისა და თუალითა და კეთილად გულისხმა ყო საქმე, რომელითა მოიმადლებდა ღმერთსა და სარგებელი დიდი იქმნებოდა...

... ამით უკუე ესევითართა და დიდთა წყლულებათა კურნაბად შემოკრბა ერი მრავალი: რამეთუ სამეფოსა თჳსისა კათალიკოსი, მღვდელთ-მთავარნი, მეუდაბნოენი, მოძღუარნი და მეცნიერნი შემოკრიბნა წინაშე მისსა ჟამსა და ადგილსა ჯეროვანსა, დღეთა მრავალთა ფრიადითა გამოწულილვითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომა განმართეს, კეთილი და სათნო ღმერთისა წესი ყოველი დაამტკიცეს...“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 326-327) და სხვ. შემდეგ დავითის ისტორიკოსი უბრუნდება კახეთის საკითხს და გადმოგვცემს აღსართანის შეპყრობის ამბავს.

მოცემულ ტექსტზე დაკვირვება გვაძლევს საფუძველს, განვსაზღვროთ დიდი (რუის-ურბნისის) საეკლესიო კრების მოწვევის თარიღი. სრულიად ნათელია, რომ ზედაზნის აღება მოხდა 1103 წელს. ერთი წლის შემდეგ (ე. ი. 1104 წელს) გარდაიცვალა კვირიკე კახთა მეფე და მისი ადგილი დაიკავა აღსართანმა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი სრულიად გარკვევით მიუთითებს, რომ „მას ჟამსა“, ე. ი. კვირიკე კახთა მეფის გარდაცვალებისა და აღსართანის გამეფებისთანავე, ანუ იმავე 1104 წელს მოიწვიეს კრება. ამგვარად, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, დავით აღმაშენებლის თაოსნობით სრულიად საქართველოს დიდი (რუის-ურბნისის) საეკლესიო კრება გაიმართა 1104 წელს.

კრების მოწვევის თარიღად 1105 წლის მიჩნევა იმ მტკიცებით, რომ ჯერ კახეთის შემოერთება მოხდებოდა და ერწუხის ომი, შემდეგ კი რუის-ურბნისის

კრების მოწვევა, არ უნდა იყოს სწორი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, რომელიც სრულიად სანდოდაა მიჩნეული, ამასთან, დიდად განათლებული და თანმიმდევრულია, საოცარი სიზუსტით გადმოსცემს მოვლენათა თანამიმდევრობას. სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ აღსართანის გამეფების შემდეგ იგი საეკლესიო კრების მოწვევასა და მის მიმდინარეობას გადმოგვცემს, შემდეგ კი აღსართანის შეპყრობას და ერწუხის ბრძოლას. ყოველივე ეს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ზედმიწევნით ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაზე მეტყველებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ „ძეგლისწერაში" დავით აღმაშენებელი თავის ტიტულატურაში „რანთა და კახთა მეფედაა" მოხსენიებული, ეს შეიძლება ორი გარემოებით იყოს გამოწვეული: ჯერ ერთი, ზედაზნის ციხესიმაგრის აღების შემდეგ, როცა კახეთ-ჰერეთის საკითხი პრაქტიკულად გადაჭრილი იყო, შეიძლებოდა „აფხაზთა და ქართველთა მეფე" „რანთა და კახთა მეფედაც" მოეხსენიებინათ; მეორეც, არ არის გამორიცხული, რომ „ძეგლისწერის", როგორც დოკუმენტის, საბოლოო სახით გაფორმება-მოწესრიგება, კრების სხვადასხვა სხდომის ოქმებიდან გამომდინარე, კრების შემდეგ მომხდარიყო, კახეთ-ჰერეთის შემოერთება (შესაბამისად „რანთა და კახთა მეფის ტიტული") კი უშუალოდ მოჰყვება კრების შემდგომ პერიოდს და მასში შემდგომი ახლო ხანის ვითარებაც იყოს ასახული.

რაც შეეხება დავით აღმაშენებლის „შესხმაში" საქართველოს მეფის ეპითეტებით უხვად შემკობას, მის შედარებას ბრძოლაში განთქმულ გმირებთან, აქ არაფერია გასაკვირი. მცდარია აზრი, რომ 1103 წლამდე დავითს ფაქტობრივად რაიმე მნიშვნელოვანი ოპერაცია არც კი უწარმოებია, გარდა ზედაზნის აღებისა. დავით აღმაშენებელმა გამეფების უმალ თავი მოუყარა ერთგულთა რაზმებს, კარგად გაწვრთნა ისინი და არაერთი ბრძოლა გაუმართა თურქ-სელჩუკებს. ყველა ეს ბრძოლა დიდი წარმატებით დამთავრდა. თურქ-სელჩუკები დავით აღმაშენებელმა განდევნა საქართველოდან („თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს") და ხარკის მიცემა შეუწყვიტა სულთანს („არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა"). ის, რომ კონკრეტულად ბრძოლის ადგილი და მიმდინარეობა ჩვენს წყაროებში არ არის მითითებული, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მეფეს ძლევამოსილი ბრძოლები არ გადაუხდია. ის, რას ჩვენ არ ვიცით, კარგად იცოდა „შესხმის" ავტორმა. დავით აღმაშენებლის მეფობის პირველი თხუთმეტი წელი – ეს ერთიანი საქართველოს ზეაღმავლობის, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამარჯვების წლებია, რაშიც უშუალო ღვაწლი მიუძღოდა პირადად საქართველოს მეფეს და არ უნდა იყოს მისთვის შეუფერებელი ის ეპითეტები, რომლითაც „შესხმაში" მოიხსენიება იგი.

ამგვარად, კვლავ გვინდა გავიმეოროთ, რომ დიდი საეკლესიო კრება გაიმართა შიდა ქართლში, რუისისა და ურბნისის მიდამოებში 1104 წელს (იმავე წელს მოხდა ერწუხის ბრძოლა და კახეთ-ჰერეთის შემოერთებაც).

როდის დაარსდა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელო?

საქართველოს მეფე საეკლესიო საქმეებში, როგორც საერო პირი, უშუალო მონაწილეობას ოფიციალურად ვერ იღებდა. საგულისხმოა ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა, რომ დავით აღმაშენებელი დიდ (რუის-ურბნისის) საეკლესიო კრებას ესწრებოდა როგორც რიგითი წევრი, ე. ი. მისი, როგორც მეფის, უფლებები (ფორმალურად მაინც!) შეზღუდული იყო ამ კრებაზე. მეფის უფლებები შეზღუდული მხოლოდ ამ საეკლესიო კრებაზე არ ყოფილა – იმდროინდელი საეკლესიო დოგმატების მიხედვით, სასულიერო სფეროს მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში მეფე ვერ მონაწილეობდა. დღის წესრიგში დადგა გადამჭრელი ზომების მიღების საკითხი, რათა ეკლესია მეფის ხელისუფლებას დაქვემდებარებოდა. ამ მეტად სერიოზული მიზნის მისაღწევად უნდა გამონახულიყო ისეთი გზა, რომელიც უმტკივნეულოდ დააახლოებდა ეკლესიას სამეფო ხელისუფლებასთან, საჭირო იყო, ყველაზე უფრო გავლენიანი საეკლესიო პირი სახელმწიფო მმართველობაში მოეყვანათ, ან კიდევ რომელიმე მაღალი „სახელოს" მფლობელისათვის დიდი საეკლესიო თანამდებობა მიენდოთ, სამეფო კარისათვის დაემორჩილებინათ. სწორედ ამ მიზნით დავით აღმაშენებელმა ორი თანამდებობა – ჭყონდიდლისა და მწიგნობართუხუცესისა შეაერთა. აქედან მოყოლებული, მწიგნობართუხუცესად მაღალი საეკლესიო თანამდებობის პირი, ჭყონდიდელი ინიშნებოდა. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ საეკლესიო პირთაგან დავით აღმაშენებელმა ჭყონდიდელი შეარჩია. X საუკუნეში დაარსებული ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრა თანდათან აღზევდა და XI საუკუნის შუა წლებში, ბაგრატ მეოთხის დროს, უწარჩინებულეს კათედრად იქცა მთელ დასავლეთ საქართველოში [იხ. ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი), საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 10]. ასე იყო დავით აღმაშენებლის დროსაც და სრულიად გასაგებია, თუ რატომ შეჩერდა არჩევანი ჭყონდიდელზე. ზედმეტია მტკიცება იმისა, რომ საქართველოს მეფის მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოსათვის. მეფის უერთგულესი მოხელე მწიგნობართუხუცესი, ამავე დროს, საეკლესიო სფეროში გავლენიანი თანამდებობის – ჭყონდიდლობის მატარებელიც გახდა. ამიერიდან მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსად უნდა ყოფილიყო. ასე შეიქმნა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა, რომელიც ერთსა და იმავე დროს მეფის მოხელეც იყო და დიდი საეკლესიო თანამდებობის პირიც. ამ ახალი „ხელის" მეოხებით საქართველოს მეფეს საეკლესიო საქმეებში ფართოდ და აქტიურად ჩარევის ასპარეზი მიეცა, ეს, თავის მხრივ, მეფის ცენტრალური ხელისუფლების ეკლესიაზე უშუალო გავლენას ნიშნავდა.

აკად. ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მწიგნობართუხუცესი პირველად X-XI საუკუნის ძეგლში – ღრტილას მომხდარ სამღვდელო კრებისა და პაექრობის აღწერილობაში („სიტყვით-გება ბერისა ეფთვიმე გრძელისა სოსთენის მიმართ სომეხთა მოძღვრისა") იხსენიება. უფრო ადრე (ეს ძეგლი X-XI სს. თარიღდება) ქართულ წყაროებში მწიგნობართუხუცესი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვხვდება. მიუხედავად ამისა, უნდა ვიფიქროთ, რომ მწიგნობართუხუცესობას საქართველოში ძველი და ხანგრძლივი ტრადიცია უნდა ჰქონდეს (ი. ანჯაფარიძე, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს., თბ., 1983, გვ. 101). რაც შეეხება ჭყონდიდელს, იგი პირველად მოხსენიებულია X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. ეს არის სტეფანე სანანოის ძე, ჰიმნოგრაფი და მთარგმნელი (მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 433), რომელიც ეპისკოპოსად იწოდება (თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 83).

ამდენად, შუა საუკუნეების საქართველოში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობდა როგორც მწიგნობართუხუცესის, ასევე ჭყონდიდლის ინსტიტუტები.

დღესდღეობით ჩვენთვის ცნობილია შემდეგი ჭყონდიდლებისა და მწიგნობართუხუცესთა ვინაობა და მოღვაწეობისის დრო (ამ თანამდებობათა შეერთებამდე):

მწიგნობართუხუცესნი:

ეფვთიმე – XI საუკუნე

პეტრე – XI საუკუნის მესამე მეოთხედი

გიორგი – XII საუკუნის დამდეგი

ჭყონდიდელნი:

სტეფანე სანანოის ძე – X საუკუნე („ეპისკოპოსი“)

უცნობი – გიორგის მოწაფე 1054 წლიდან მთავარეპისკოპოსი

იოანე – მთავარეპისკოპოსი – 1060-იანი წლებიდან

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს ორი აზრი იმის შესახებ, რომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის ინსტიტუტი დავით აღმაშენებლის დროს შეიქმნა. უფრო მეტიც, აკად. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ ეს თანამდებობა საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფოში დაწესდა არა უადრეს 1103 და არა უგვიანეს 1110 წლებისა. მართლაც, დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეული დიდი (რუის-ურბნისი) საეკლესიო კრების „ძეგლისწერაში“ (ივ. ჯავახიშვილი კრების თარიღად 1103 წელს დებდა) გიორგი მხოლოდ მწიგნობართუხუცესადაა მოხსენიებული („ღირსისა მეუფისა ჩუენისა და თუალად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა გიორგი მონაზონისა და მწიგნობართუხუცესისა“), ხოლო სამშვილდისა და ძერნას აღება-შემოერთებისას, ე. ი. 1110 წელს, იგი ჭყონდიდლად და მწიგნობართუხუცესადაა წარმოდგენილი („შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელსა და მწიგნობართუხუცესსა წინაშე...“). ამდენად, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობის დაწესება 1103 და 1110 წლებს შორის მომხდარა. ჩვენ გამოვდიოდით რუის-ურბნისის კრების მიღებული თარიღიდან – 1103 წლიდან და ვცდილობდით დაგვესაბუთებინა, რომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცეობა 1103-1104 წწ. დაწესდა (რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 50; მისივე, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973, გვ. 245, მისივე, დიდნი საქმენი, თბ., 1978, გვ. 119). ახლა კი ვფიქრობთ, არ უნდა ვცდებოდეთ, თუ ვიტყვით, რომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა 1104-05 წლებში დაწესდა, რადგან საქართველოს სამეფო ხელისუფლების ეს ნაბიჯი დიდი (რუის-ურბნისის) საეკლესიო კრების (კრება, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, 1104 წელს იქნა

მოწვეული) გადაწყვეტილებათა ლოგიკური გაგრძელებაა და, ბუნებრივია, მისი სისრულეში მოყვანა ამ კრების შემდეგ აღარ დაყოვნდებოდა, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელი რეფორმის გასატარებლად ნიადაგი უკვე შემზადებული იყო. თუ არა ამ რეფორმისათვის მზადებას, სხვას რას უნდა მიეწეროს ის ამბავი, რომ მწიგნობართუხუცესის თანამდებობაზე ჩვენ ვხედავთ განათლებულ ბერს, გიორგის – სასულიერო საქმეებში სათანადოდ გაწაფულ პიროვნებას, რომელიც აქტიურად მონაწილეობს საეკლესიო ცხოვრებაში. ცხადია, დავით აღმაშენებელს აღნიშნული რეფორმის გატარება წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული და განსაზღვრული.

ამდენად, 1104-05 წლებში უნდა მომხდარიყო საქართველოს სახელმწიფოსათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი – ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტების გაერთიანება. ამ თანამდებობის პირველი მფლობელი გახდა გიორგი ბერი, დიდი საეკლესიო კრების ყველაზე უფრო აქტიური მონაწილე და ამ კრების „თვალი“.

შირვანისა და ანისის შემოერთება

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, თბილისის აღების (1122 წ.) მეორე წელს, ე. ი. 1123 წელს თურქთა სულთანი მაჰმუდი მოვიდა შირვანს, რომელიც საქართველოს მეფის ყმადნაფიცი ქვეყანა იყო. სულთანმა აიღო ქალაქი შამახია, შირვან-შაჰი კი შეიპყრო, თანაც საგანგებო ელჩის ხელით დავით აღმაშენებელს წერილი გაუგზავნა: „შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა; ხოლო მე ესე-რა შარვანშა შევიპყარ ჴელთა და ხარაჯასა ვითხოვ; შენ თუ გენებოს, ძღუენი ჯეროვანი გამოგზავნე, და თუ გინდა სამალავთათ გამოვედ და მნახე“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 343). კადნიერ სულთანს სათანადო პასუხი უნდა მიეღო. დავით აღმაშენებელმა სასწრაფოდ შეკრიბა ორმოცდაათი ათასი კაცი და საბრძოლველად მოემზადა. როგორც კი ეს ამბავი შეიტყო სულთანმა, შეშინებული აიყარა და ნაცვლად ძღვენისა „ფრიად რაიმე სიმდაბლით და არა სულტნურად“, ითხოვა „გზა სამლტოლვარო“. სულთანის დასახსნელად რანის ათაბაგი აღსუნღული მოადგა შამახიას და ბრძოლა გაუმართა ქართველებს, მაგრამ სასტიკად დამარცხდა. ამის შემდეგ სულთანი ღამით გაიპარა „სოფლად თჳსად“. შირვანიდან თურქ-სელჩუკთა განსადევნად ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. ერთი თვის შემდეგ, 1123 წლის ივნისში, დავით აღმაშენებელი ისევ ლაშქრობს შირვანზე. მან „აღიღო გულისტანი, სახლი თავადი შირვანისა, სიცხეთა მათ საშინელთა, მოირთო შარვანი და აღავსნა კეთილითა ყოველნი მორჩილნი ბრძანებათა მისთანი“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 343). დავით აღმაშენებლის ბრძოლებს მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც საქართველოს, ასევე განსაკუთრებით შირვანისათვის – ქართველებისა და შირვანელების ერთობლივმა ბრძოლამ უზრუნველეყო შირვანის დამოუკიდებლობა სელჩუკიან დამპყრობელთაგან (История Азербайджана, под редакцией И. А. Гучейнова, А. С. Сумбатадзе

и др., Баку, 1958, გვ. 142; ვ. კოპალიანი, ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან, თბ., 1965). ამიერიდან საქართველო და შირვანი უფრო მჭიდროდ დაკავშირდნენ ერთმანეთს (А. Е. Крымский, Низами и его современники, გვ. 157-161).

1124 წლის მარტში დავით აღმაშენებელმა დმანისი აიღო. როგორც ჩანს, ამ ქალაქის შემოერთება დავითს არ გასჭირვებია. დიდგორის ბრძოლისა და თბილისის შემოერთების შემდეგ, ბუნებრივია, დმანისი წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდა საქართველოს მეფეს. დმანისის შემოერთების თარიღად ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში შეცდომით 1123 წელია მიჩნეული. წყარო დათარიღებისათვის ერთადერთია – დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, რომლის თხზულებაშიც სრულიად გარკვევითაა ნათქვამი, რომ გულისტანის აღების (1123 წლის ივნისი) შემდეგ წამოვიდა ქართლში, „ხოლო სთუელთა გადავიდა გეგუთს". აქ მეფემ კარგა ხანს დაჰყო, „ინადირა, განისუენა, განაგო მანდაური ყოველი". გეგუთში რთვლობა ალბათ ოქტომბერში უნდა ვივარაუდოთ. ამის შემდეგ ნადირობისათვის მიუყვია ხელი მეფეს, შემდეგ დაუსვენია და იქაური საქმეები მოუწესრიგებია. ყოველივე ამას, ბუნებრივია, გარკვეული დრო, ალბათ რამდენიმე თვე მაინც დასჭირდებოდა. ასე ჩანს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთანაც: „და მარტად გადმოვიდა ქართლად, და აღიღო ქალაქი დმანისი". დავითის ისტორიკოსის მიერ დასახელებული მარტი, როგორც ტექსტიდან აშკარად ჩანს, 1124 წლის მარტია. სწორედ 1124 წლის მარტში აიღეს ქ. დმანისი.

1124 წლი აპრილში დავით აღმაშენებელმა დაიკავა „შირვანისა და ციხენი ღასანნი და ხოზაონდი და მიმდგომი მათი ქუეყანა", მაისში „აღიხუნა ციხენი სომხითისანი: გაგნი, ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინჯაქარი" (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 344).

1124 წელი, როგორც ვხედავთ, საქართველოს დიდ გამარჯვებათა წელი იყო. დავით აღმაშენებელი ამ წლის ივნისში, როგორც მისი მემატიანე გადმოგვცემს: „წარემართა ლაშქრითა, განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფორმა, ბასიანნი სპერამდის, და რაც პოვა თურქმანი, მოსრა და ტყუე ყო".

ძლიერი საქართველოს სამეფო დიდგორის ბრძოლასა და შემდგომ მოპოვებული წარმატებების წყალობით იწყებს აქტიურ მოქმედებას მეზობელი სომხეთის ყოფილ სამეფოთა ტერიტორიების თურქ-სელჩუკი დამპყრობლებისაგან გათავისუფლებისათვის. ზემოთ უკვე მივანიშნეთ დავით აღმაშენებლის მიერ სომხეთის ზოგიერთი ციხის აღების შესახებ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საოცარი სიზუსტით გადმოგვცემს ანისის თავკაცების მისიის შესახებ: „და აგვისტოსა ოცსა მივიდეს მწიგნობარნი ანელთა თავადთანი და მოახსენეს მოცემა ქალაქისა". მემატიანის თანამიმდევრულობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. როგორც „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი"-დან ჩანს, ანელი თავადები დავით აღმაშენებელს ეახლნენ დმანისის აღების (1124 წ. მარტი), სომხეთის ციხეთა დაკავების (1124 წ. აპრილი), ჯავახეთიდან ბასიანამდე დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებული ექსპედიციის (1124 წ. ივნისი) შემდეგ, აგვისტოს თვეში. სრულიად უეჭველია, და-

ვით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, ანელი თავადები საქართველოს მეფეს ეახლნენ 1124 წლის აგვისტოში. ამ თარიღის მართებულობას ამაგრებს სომეხი ისტორიკოსი მატთეოს ურჰაეცი, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს: „კვლავ სომეხთა წელთაღრიცხვის 573 (1124) წელს, ქართველთა მეფე დავითმა მოახდინა სპარსთა ჯარების სასტიკი ულეტა, თითქმის 20000 კაცი მოსპო და აიღო სომეხთა სატახტო ქალაქი ანი, რომელიც 60 წელს იმყოფებოდა ტყვეობაში". ამრიგად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისა და მატთეოს ურჰაეცის ცნობებით, სრულიად ნათელია, რომ ანისი დავით აღმაშენებელმა 1124 წელს აიღო.

როგორც ჩანს, სომეხმა თავკაცებმა დავით აღმაშენებელი მიიწვიეს ანისიდან მუსლიმანთა განსადევნად და ქალაქის გასათავისუფლებლად.

ქ. ანისი მახლობელი აღმოსავლეთის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრი იყო. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ქალაქს ფლობდა აბულ-ასვარი, რომელმაც 1118 წელს მამამისი მანუჩარი შეცვალა (ისინი ქურთული წარმომავლობის შედადიანთა გვარს ეკუთვნოდნენ). აბულ-ასვარი ძალზე ავიწროებდა ქალაქის მოსახლეობას, უდიერად ეპყრობოდა მათ რელიგიურ რწმენას. ვარდან ბარძბერდეცი გადმოგვცემს, რომ მან ქ. ხლათიდან ჩამოიტანა ვერცხლისაგან გამოჭედილი უზარმაზარი ნალი (ნახევარმთვარე) და სომხური ეკლესიის გუმბათზე დაადგმევინა. ამასთან, აგრესიულმა მფლობელმა გადაწყვიტა, ანისი 60000 დინარად ქ. კარის ამირასათვის (იგი სულჩუკი იყო) მიეყიდა. ბუნებრივია, აბულ-ასვარის ამგვარმა მოქმედებამ ანისის მოსახლეობის (უპირატესად ქრისტიანული) დიდი გულისწყრომა გამოიწვია. ანელებმა გადაწყვიტეს, დახმარებისათვის მიემართათ საქართველოს მეფისათვის.

სომეხი ისტორიკოსის სამუელ ანელის ცნობით, „ანისისა და შირაკის ოლქის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს, გამოსავალი ეპოვათ იმით, რომ თხოვნის ხელი გაეწოდათ ქართლის მეფე დავითისათვის. მათ უღალატეს აბულ-ასვარ მანუჩეს ძეს, რომელიც ფლობდა ქალაქს მამის სიკვდილის შემდეგ და გაუღეს რა ქალაქის კარი, შემოუშვეს შიგნით ის მეფე (დავითი)".

დავით აღმაშენებელი თანაგრძნობით შეხვდა ანელ თავადთა თხოვნას, სასწრაფოდ დააგზავნა „წიგნები წუევისა", სამ დღეში სამოცი ათასი მხედარი შეკრიბა და ანისისკენ გაემართა. დავით აღმაშენებელმა „მესამესა დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად, და სოფლნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი" (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 345). ისტორიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ „უჭირველად" მოხდა ანისის აღება. სამუელ ანელი აღნიშნავს, რომ „ერთ სულსაც არ მოსვლია სისხლის ზიანი". დავითს მანუჩეს შვილები ანისიდან გაუძევებია, თბილისს გაუგზავნია.

საქართველოს მეფემ ანისის მიზგითადქცეული ტაძარი გაათავისუფლა. ტაძრის ამშენებელი ბერძენთა დედოფალი კატრონიკე იქვე იყო დაკრძალული. დავით აღმაშენებელმა კათალიკოსთან და ეპისკოპოსებთან ერთად მიცვალებულს წესი აუგო და საფლავს სამგზის ჩასძახა: „გიხაროდეს შენ, წმიდაო დედოფალო, რამე-

თუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ხელითგან“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 345).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მან გაათავისუფლა სატახტო ქალაქი ანი, რომელიც 60 წელს ტყვეობაში იმყოფებოდა, აგრეთვე საკვირველი და დიდებული ეკლესია ანისა – წმინდა კათოლიკე, რომელიც მიზგითად ექციათ. შეკრიბა სომეხთა ქვეყნის ეპისკოპოსნი, მღვდელნი და მოწესენი და აკურთხა წმინდა კათოლიკე დიდის ზეიმით.

იყო სიხარული ყოველი სომხის სახლში, რადგანაც იხილეს განთავისუფლებული წმინდა კათოლიკე მონობისაგან“ (ლ. დავლიანიძე, მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, გვ. 248).

დავით აღმაშენებელმა ანისი და მისი „მიმდგომი ქვეყანა“ საქართველოს სამეფოს შემოუერთა (ისე, როგორც ადრე ლორე-ტაშირის ყოფილი სამეფო) და მცველად „დაუტევნა აზნაურნი მესხნი“. ვარდან ბარძბერდეცის მიხედვით, მეფემ ანისის გამგებლად ქართველი დიდებულები – აბულეთი და მისი შვილი ივანე დატოვა. შემდეგ დავით აღმაშენებელმა დაიპყრო ვანანდისა და არარატის პროვინციაში მდებარე ოლქები, რომლებიც ერთ დროს სომეხ მეფეებს – კვირიკესა და აბასს ეკუთვნოდათ, აგრეთვე ქვეყნები კასპიის ზღვამდე, ხაბანდა დიდი სომხეთის არცახის პროვინციაში და სხვ. (ვარდან ბარძბერდეცი).

როგორც ვხედავთ, დავით აღმაშენებელმა სელჩუკთაგან გაათავისუფლა და საქართველოს სამეფოს შემოუერთა თურქ-სელჩუკთა მიერ დაპყრობილი სომხური პროვინციების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ პერიოდში ხდება ჯერ კიდევ თურქ-სელჩუკთა ბატონობის ქვეშ მყოფი სომეხთა გადასახლება და დამკვიდრება საკუთრივ საქართველოსა და მის მიერ შემომტკიცებულ პროვინციებში; დადგა ახალი ხანა ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობაში – მათი კავშირის შემდგომი განმტკიცებისა და ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის გაფართოების ხანა. ეს ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მნიშვნელობის შედეგი იყო დიდგორის ველზე მოპოვებული გადამწყვეტი გამარჯვებისა (შ. მესხია, ძლევაჲ საკვირველი, გვ. 145).

სომხეთის საკითხის მოწესრიგების შემდეგ დავით აღმაშენებელი კვლავ შირვანს დაუბრუნდა, 1124 წლის შემოდგომაზე ილაშქრა შირვანზე. „აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი, სრულად ყოველი შარვანი“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 345). ე. ი. შირვანი მთლიანად გაუთავისუფლებია დავით აღმაშენებელს თურქ-სელჩუკებისაგან. თანაც ციხეებსა და ქალაქებში თავისი მოლაშქრეები („ლაშქარნი დიდნი“) ჩაუყენებია. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ვინაობასაც მიუთითებს, რომ ეს მოლაშქრეები იყვნენ ჰერნი და კახნი. შირვანის ზედამხედველობა და გამგებლობა დაევალა სვიმონ ჭყონდიდელ-მწიგობართუხუცესსა და ბედიელ-ალავერდელს, რომელიც გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის დისწული იყო, მისივე მსგავსი, „კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი“. მემატიანე კმაყოფილებით წერს, რომ „განაგო მეფემან ყოველი საქმე შარვანისა, აღავსნა კეთილითა და საბოძვარითა ქურდნი, ლეკნი და თარასნი“ (ქართლის ცხოვრება, I,

გვ. 345). აქედან მოკიდებული, დავით აღმაშენებელი (როგორც ეს მართებულადაა აღნიშნული ჩვენს ისტორიოგრაფიაში) ატარებდა „შირვანშაჰის“ ტიტულსაც.

როგორც ვხედავთ, ანისის სამეფოს მსგავსად შირვანის თურქ-სელჩუკებისაგან გათავისუფლება დიდგორის ბრძოლის ერთ-ერთი შედეგი იყო. დავით აღმაშენებლის მიერ მოპოვებულმა დიდმა წარმატებებმა, ამიერკავკასიიდან თურქსელჩუკების განდევნამ, გააფართოვა საქართველოს სამეფოს პოლიტიკური საზღვრები ნიკოფსიიდან (ადგილი თანამედროვე სოჭსა და ტუაფსეს შორის) დარუბანდამდე (დერბენტამდე) და ოსეთიდან (ჩრდ.) არეგაწამდე (სომხეთში). განუზომლად გაიზარდა საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა. საქართველო უძლეველ ქვეყნად მიიჩნიეს იმდროინდელმა მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმანურმა სახელმწიფოებმა, „რამეთუ თჳთ სულტანი, მუნ, სადა იყო, ძრწოდა შიშისაგან მისისა, და არცაღა თჳთ ძუელად ქონებულთა ქალაქთა და ქუეყანათა ჰგონებდა თჳსად ქონებად, არამედ რაოდენცა შორს იყო, ეგრეცა ეოცებოდა მძინარესა შიში და მღჳძარესა სიკუდილი“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 346). საქართველოს მეფე უხვ ძღვენს იღებდა სულტნისაგან, რომელიც ეძიებდა „მშვიდობასა და სიყუარულსა და ყივჩაყთაგან არა რბევასა“.

როდის მოხდა დემნა უფლისწულ-ივანე ორბელის აჯანყება?

აჯანყების თარიღად 1177 წელს ასახელებენ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე („ცხოვრება გიორგი მეფისა“) და სტეფანოზ ორბელიანი („ორბელთა ისტორია“), ხოლო 1178 წელს – დავით ქობაირელი („მოსახსენებელი“) და „აფხაზთა ქრონიკა“. იმის განხილვა, თუ რომელი წყარო მიანიშნებს თარიღზე მართებულად, სწორად, ერთგვარად რთულია, ამიტომ საკითხის დაზუსტებისათვის საჭიროა კიდევ დამატებითი ცნობის მოძებნა. ასეთ ცნობას წარმოადგენს სწორედ გიორგი მესამის სიგელი, რომელიც დაწერილია 1178 წელს. აღნიშნული საბუთი ყველაზე მეტად სანდოა იმიტომ, რომ თვით გიორგი მესამის მიერ არის შექმნილი და თანაც აჯანყების დამთავრებისთანავე. მივმართოთ სიგელს:

„წელსა მეფობისა ჩუენისა კა-სა, ოდეს ბირებითა და განზრახვითა ეშმაკისათა შეითქუნეს ვიეთნიმე მეფობისა ჩუენისა დიდებულნი და აზნაურნი ორგულობისა ჩუენისათვის და ძმისწული ჩუენი გაგუიყენეს“, ე. ი., სიგელის მიხედვით, აჯანყება მომხდარა გიორგის მეფობისა „კა“ წელს (21-ე წელს), ანუ 1156+21=1177 წელს; ეს თარიღი აჯანყების დაწყების დროა. აჯანყება რამდენიმე თვეს გრძელდებოდა (8-9 თვე) და 1178 წლის დასაწყისში, „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსიის მიხედვით, მარტში დამთავრებულა.

ამგვარად, დემნა უფლისწული – ივანე ორბელის გამოსვლა 1177-78 წწ-ში მოხდა.

როდის გახდა თამარი გიორგი III-ის თანამოსაყდრე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

1177-78 წლების აჯანყება უდიდესი მნიშვნელობისაა იმით, რომ არსებითად ამ გამოსვლით დაიწყო ქვეყანაში პოლიტიკური მღელვარება; ბრძოლა დიდგვარიანებსა და „უგვაროებს" შორის, საერო და საეკლესიო ფეოდალებს შორის, მეფის ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის, ამდენად, აღნიშნულ აჯანყებას, როგორც პოლიტიკური და შინაპოლიტიკური ბრძოლის აშკარა გამოხატულების მქონე აქტს, საქართველოს სოციალური ბრძოლის ისტორიაში მეტად თვალსაჩინო ადგილი უკავია.

სწორედ ორბელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ შეასრულა გიორგი მესამემ ფეოდალური საქართველოსათვის რამდენადმე უჩვეულო (იმდენად, რამდენადაც საქართველოს ისტორიამ აქამდე არ იცოდა ქალის მეფობა) აქტი – საქართველოს სამეფო ტახტზე აიყვანა თავისი ასული – თამარი. „გარნჩევითა და გამორჩევითა, განგებითა და გაგონებითა ზენისა მის ხეუდრისა შარავანდედთა მნებელისათა მეფე ყო თამარ, თანადგომითა ყოველთა პატრიაქთა და ებისკოპოზთა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა" (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 21). აქამდე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: როცა გიორგი III ამბოხებულ დიდგვაროვან ფეოდალებს ებრძოდა, საეკლესიო მოღვაწეებმა კრება მოიწვიეს და ამბოხების ჩახშობის შემდეგ უკან მობრუნებულ გიორგის ეკლესიის შეუვალობის აღდგენა მოსთხოვეს. ეს კრება 1178 წელს შემდგარა. გიორგი III-ის მიერ გაცემული „საქართველოს ეკლესიის შეუვალობის განახლების სიგელი" (ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 24) გვამცნობს, რომ შეკრებილან „ყოველნი სამეფოისა ჩუენისა მონაზონნი და ეპისკოპოსნი იმერნი და ამრენი, კათალიკოზი, მოძღუარნი და ყოველნი მეუდაბნოენი". კრება მონაწილეთა შემადგენლობის მიხედვით ფართო მასშტაბისა ყოფილა. მას სამეფოს ყველა მნიშვნელოვანი საეკლესიო პირი დასწრებია, „იმერნი და ამერნი". ეს ფაქტობრივად სასულიერო პირთა სერიოზული გამოსვლა იყო სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. მიზეზი გამოსვლისა ეკლესიების მძიმე მდგომარეობა იყო. „დაჭირვებულობაჲ ეკლესიათაჲ და განრყუნაჲ სასჯულოთა საქმეთა". ფაქტობრივად სამღვდელოება თავისი ძალაუფლების გაზრდას მოითხოვდა. საქართველოს მეფეს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, იძულებული გახდა, დაეთმო და კრების მოთხოვნა შეუვალობის (ძირითადად უნდა ვიგულისხმოთ საგადასახადო იმუნიტეტი) აღდგენის თაობაზე დაეკმაყოფილებინა. საინტერესოა თვით „შეუვალობის განახლების სიგელი", სადაც ჯერ ლაპარაკია ორბელთა ამბოხების დათრგუნვაზე და ეს მომენტი ღმერთისადმია მიწერილი, რომელმაც ცუდქნა ამათა განზრახვაჲ და შეთქმულებაჲ მათი და დაჰხსნა ყოველნი ღონენი მათნი... და.... ფერხთა ქუეშე ჩუენთა დასცნა". ამის სამადლობლად გიორგი III საჭიროდ თვლის „ეკლესიათა სამეფოჲსა ჩუენისათა ყოვლისა ბეგრისა უსამართლოჲსათა და დაჭირებულისაგან" ხსნასა და განთავისუფლებას. ასე რომ, დოკუმენტის მიხედვით, გიორგი III-ის სურვილი და საეკლესიო კრების მოთხოვნა ერთმანეთს შეესაბამებოდა. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ იყო. „სიგელი" გამოხატავს მეფისა და სამეფო ხელისუფლების

სურვილს – საზოგადოების თვალში დაიცვას სამეფო კარი და იძულებით გაკეთებული საკუთარი ნების აღსრულებად ჩაეთვალათ. სიგელზე ასეთი მენაწერია: „(ქ) ჩუენისა სულისაგან ღ – ჲ საქმე ესრე გაგუიწესებია, ვითა აქა სწერია, და ვინცა მონასტრისა წესსა ჰმართებს, ეგრე დაგვიჭირავს და ყოველი უსამართლო ბეგარა აგვიხ(სნია)“.

ფაქტობრივად, XII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს სახელმწიფომ აღიარა ეკლესიისა და სასულიერო წოდების საგადასახადო შეუვალობა.

სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებმა თვით მეფეზეც დიდი გავლენა მოახდინა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ორბელთა ამბოხების დათრგუნვის (1178 წ.) მეორე წელს (!) „შემდგომად ამისა (ორბელთა ამბოხების ჩახშობის (1178 წ.) შემდგომ – რ. მ.) მეორესა წელიწადსა“ (ე. ი. 1179 წ.) ღანუყიდან ნაჭარმაგევს მოსულმა გიორგი III-მ „შემყრელმან შვიდთავე სამეფოთა მისთამან აწჯა დედოფალთა დედოფალი ბედნიერი და სჯანი ცოლი მისი ბურდუხან და შვილი მათი თამარ, ნათელი და ბრწყინვალება თუალთა მათთა, და მანიაკი ყოველთა მეფეთა და გჯრგჯნი ყოველთა ხელმწიფეთა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 20). ამგვარად, თამარის თანამოსაყდრედ („მეფე ყო“) დასმა 1179 წელს განხორციელდა.

2002 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორბელთა ამბოხება

შესავალი

XII საუკუნის საქართველოს შინაპოლიტიკური ბრძოლის, კერძოდ, მეფესა და დიდგვარიანებს შორის არსებული ბრძოლის ისტორიაში მეტად საინტერესო ფურცელია დემეტრე უფლისწულ-ივანე ორბელის სახელწოდებით ცნობილი აჯანყება.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ისტორია აღსავსეა მეფესა და დიდგვარიანებს შორის არსებული მწვავე ბრძოლის ფაქტებით, რასაც თვით ფეოდალური წყობილება წარმოშობს. არც საქართველო წარმოადგენდა ამ მხრივ გამონაკლისს.

ფეოდალურ მონარქიებს, იცავდნენ რა მიწათმფლობელთა ინტერესებს, ხშირად ბრძოლა უხდებოდათ გაბატონებული კლასის წარმომადგენლებთან. ეს იყო სამეფო ხელისუფლების ბრძოლა ფეოდალური საკუთრების დაცვისათვის, ფეოდალური რენტის გადანაწილებისათვის; მოქმედებდა სახელმწიფო აპარატი.

სამეფო ხელისუფლებას უხდებოდა მოქნილი პოლიტიკის გატარება, გაბატონებული კლასის სფეროში მყარი საყრდენის შექმნა, ფეოდალური წრეების გავლენიანი წარმომადგენლების მოსყიდვა – ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რასაც შუა საუკუნეებში მმართველი წრეები საერთოდ აკეთებენ. ასე რომ, განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ჩვენ ერთის მხრივ საქმე გვაქვს ფეოდალური საზოგადოების ძირითადი ჯგუფების მიწათმფლობელთა და გლეხთა კლასების დაპირისპირებასთან, ხოლო მეორე მხრივ, სამეფო ხელისუფლებასა და ფეოდალებს შორის ბრძოლასთან.

დემეტრე უფლისწულ-ივანე ორბელის სახელით ცნობილი აჯანყება სათანადო სიღრმით ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია არსებული ქართული, სომხური და სხვა წყაროების შესწავლისა და მათზე დაყრდნობის საფუძველზე, ჩვენს ისტორიოგრაფიაში აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის გათვალისწინებით, გააშუქოს დემეტრე უფლისწულ-ივანე ორბელის სახელწოდებით ცნობილი აჯანყების ობიექტური მიზეზები, მისი მსვლელობა და შედეგები, მეფის წინააღმდეგ დიდგვარიანთა ამ გამოსვლის ადგილი განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიაში.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის ირგვლივ ცნობები დაცულია ძირითადად ქართულ და სომხურ საისტორიო წყაროებში. თითოეული ისტორიკოსი საკითხს

სუბიექტურად უდგება. ეს სხვაგვარად არც შეიძლება ფეოდალური წყობილების დროს, როცა თითოეული ისტორიკოსი გამოხატავს გაბატონებული, ამ შემთხვევაში ფეოდალური კლასის (საერთოდ ან ამა თუ იმ ცალკეული ჯგუფის) ინტერესებს. მოცემულ შემთხვევაში ქართული წყაროები საქართველოს მეფის მხარეზე ჩანან, ხოლო სომეხი ისტორიკოსები (განსაკუთრებით სტეფანოზ ორბელიანი) მოწინააღმდეგე მხარის პოზიციას ამართლებენ, ასეა თუ ისე, ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული წყაროები გვაძლევენ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის საშუალებას.

ქართულ საისტორიო წყაროთა შორის დემეტრე უფლისწულ-ივანე ორბელის აჯანყების შესახებ საინტერესო ცნობებია მოცემული თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“.

თამარის ისტორიკოსი დაწვრილებით აგვიწერს აჯანყების დაწყებას, არ ივიწყებს მოწინააღმდეგე მხარეებს, დაწვრილებით ჩამოთვლის მათ, გადმოგვცემს აჯანყების მსვლელობას. საქართველოს მეფის გიორგი მესამის აპოლოგეტი ისტორიკოსი სამართლიანად მიიჩნევს რა თავისი პატრონის მოქმედებას, აღნიშნავს: „... და არა მიმშუებელმან ღმერთმან, მოქმედმან სამართალთამან, რომელმან დავითის ძე აბესალომს არა მისცა უფლება – რომლისათჳს ითქმის წმიდასა შინა სახარებასა: „უკუეთუ ჰქუას მშობელსა შვილმან „კორბან“ – ნიჭი, ჩემგან სარგებელ ყოფად სიკუდილითა მოაკუდინა. ამისთჳსცა მისცა გიორგისვე ძლევა მძლეთა მძლესა“[1].

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე აჯანყების თარიღს გვაძლევს:

„ოდეს ორბელნი გადგეს, ქრონიკონი იყო სამას ოთხმოცდაჩჳდმეტი“[2].

ქართული წერილობითი დოკუმენტური წყაროებიდან აღსანიშნავია გიორგი მესამის სიგელი – ერთადერთი საბუთი, რომელიც ამბოხების დროს ეკუთვნის, ეხება ამბოხებულებზე გამარჯვებას და მის შემდგომ ვითარებას[3].

სომეხ ისტორიკოსებს მეტად საინტერესოდ გაუშუქებიათ აღნიშნული აჯანყება. მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს სტეფანე სივნიელის „ორბელთა ისტორია“ (XIII საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსია). სტეფანე სივნიელი წარმოშობით ორბელთა (ორბელიანთა) გასომხებული შტოს წარმომადგენელი იყო, რის გამოც იწოდება სტეფანოზ ორბელიანად. იგი სივნიელი იყო იმდენად, რამდენადაც სივნიეთის მღვდელმთავარ-ეპისკოპოსის (მიტროპოლიტის) თანამდებობა ეჭირა[4].

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 18, ქართლის ცხოვრება, II, 1959.

[2] ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ცხოვრება გიორგი მეფისა, გვ. 367, ქართლის ცხოვრება, I, 1955.

[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები, წ. I, თბ., 1893, გვ. 264-266; აღნიშნული სიგელი სრულად წაიკითხა და გამოაქვეყნა თ. ბარნაველმა; იხ. მისი უფლისწულ დემნას ამბოხების თარიღისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბ., 1957, გვ. 113.

[4] ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია, საისტორიო მოამბე, თბ., 1952, გვ. 33.

სტეფანოზ ორბელიანის „ისტორია“ მდიდარ ცნობებს შეიცავს ორბელიანთა შესახებ, მასში ძალზე საინტერესო მასალაა მოცემული ჩვენთვის საინტერესო საკითხის ირგვლივ. სტეფანოზ ორბელიანი გვაძლევს აჯანყების თარიღს, თავისი თვალთახედვით აშუქებს მოვლენის მიზეზებსა და შედეგს. სტეფანოზ ორბელიანის მიერ ნაშრომში მოტანილი მდიდარი ცნობები რამდენადმე ავსებენ ქართულ წყაროებს. „ორბელთა ისტორია“ სტეფანოზ ორბელიანის ვრცელი ნაშრომის „სისაკანის ისტორიის“ ერთი (66-ე) თავია. მას, როგორც ჩანს, იმთავითვე მიუქცევია ქართველთა ყურადღება და, ალბათ, ამის შედეგია, რომ „ორბელთა ისტორიამ“ ქართულ თარგმანშიც მოაღწია ჩვენამდე[1].

დემეტრე-ივანე ორბელის აჯანყებას გარკვეულ ადგილს უთმობს ვარდან დიდი (აღმოსავლელი). აღსანიშნავია, რომ სტეფანოზ ორბელიანი და ვარდანი დემეტრე უფლისწულს დემნას უწოდებენ. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, ეს მისი საალერსო სახელი იქნებოდა[2].

ცალკე გვინდა შევჩერდეთ XII საუკუნის სომეხი მოღვაწის დავით ქობაირელის ნაშრომზე „მოსახსენებელი“, რომელშიაც გადმოცემულია ორბელთა აჯანყების ისტორია. დავით ქობაირელის სამეცნიერო-სალიტერატურო მოღვაწეობამ იმთავითვე მიიქცია ისტორიკოსთა ყურადღება (ნ. აკინიანი, კ. ტერ-მკრტიჩიანი, გ. ზარბანალიანი და სხვ.)[3]. 1951 წელს მატენდარიანის სომხურ ხელნაწერთა მუზეუმის ფონდებში მიაკვლიეს დავით ქობაირელის „მოსახსენებელს“ („ჰიშატაკარანი“)[4].

აღსანიშნავია, რომ ქობაირელი განსხვავებით ყველა ზემოთ დასახელებულ ისტორიკოსთაგან („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი, სტეფანოზ ორბელიანი, ვარდანი) ცდილობს ობიექტური შეფასება მისცეს მოვლენებს. იგი აჯანყების გამოწვევის ფაქტს ერთი რომელიმე პიროვნების (მაგალითად, გიორგი მესამის, ან დემეტრე უფლისწულის, ან ივანე ორბელის) სურვილის (ან კაპრიზის) შედეგად კი არ მიიჩნევს, არამედ იმ დროისათვის დამახასიათებელ საერთო მოვლენად. დავით ქობაირელის თხზულება ინტერესს მოკლებული არ არის XII საუკუნის საქართველოს სოციალური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხის გარკვევისა და შეფასების თვალსაზრისითაც. აღებული საკითხის კვლევისას ჩვენ შევეცადეთ გაგვეთვალისწინებინა ამა თუ იმ ისტორიკოსის შეხედულებები ამ წყაროებზე, სათანადო დაკვირვებები გვეწარმოებინა მათზე და შესაბამისი დასკვნებიც გაგვეკეთებინა.

---

[1] ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია, საისტორიო მოამბე, თბ., 1952, გვ. 53-84.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 240.

[3] ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილმხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა, სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით, თბ., 1928, გვ. 189-196.

[4] დავით ქობაირელის „მოსახსენებელის“ ის ნაწილი, სადაც აჯანყების შესახებაა მოთხრობილი, ქართულად თარგმნა და გამოსცა ისტორიკოსმა გ. მაისურაძემ, იხ. მისი „ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ“. კრებული „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 262-2667 შემდგომში ჩვენ ამ ტექსტით ვისარგებლებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემეტრე უფლისწულ-ივანე ორბელის აჯანყება, როგორც შინაპოლიტიკური ბრძოლის გამოვლინების სერიოზული ფაქტი, იმთავითვე იქცევდა ისტორიკოსთა ყურადღებას. აღნიშნული მოვლენა მხედველობის არედან არ გამოჰპარვია ვახუშტი ბაგრატიონს. იგი ძირითადად ამბის გადმოცემით კმაყოფილდება და სოციალური ურთიერთობის არსის ახსნას ვერ იძლევა (ეს ბუნებრივია, რადგან ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცხოა სოციალური საკითხებით დაინტერესება)[1].

პროფ. ალ. ხახანაშვილმა 1900 წელს ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა „საქართველოს ისტორია", სადაც ზოგადად მიმოიხილა საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნის ჩათვლით. აღნიშნული ნაშრომის გიორგი მესამისა და თამარის მეფობისადმი მიძღვნილ ცალკე თავში ავტორი ჩერდება ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, თუმცა ფაქტის დასახელების გარდა არსებით არაფერს გვეუბნება[2].

აკადემიკოსი მარი ბროსე თავის „საქართველოს ისტორიაში"[3] საკმაოდ დაწვრილებით მიმოიხილავს დემეტრე-ივანე ორბელის აჯანყებას და ქართულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობის შედეგად (ეს მთელი რიგი მომენტებიდან ჩანს), აჯანყების თარიღსაც გვაძლევს. არც მარი ბროსე აძლევს სათანადო შეფასებას აღნიშნულ საკითხს.

ისე როგორც საქართველოს ისტორიის ბევრ სხვა საკითხს, ამ მოვლენასაც არ ტოვებს უყურადღებოდ პროფესორი თ. ჟორდანია. მოჰყავს რა აჯანყებასთან დაკავშირებული ქრონიკები, იგი თავის დაკვირვებით სათანადო კომენტარს უკეთებს მათ[4].

დემეტრე უფლისწულ-ივანე ორბელის აჯანყების შესახებ ფართო ხასიათის კვლევა აქვს ჩატარებული აკად. ივ. ჯავახიშვილს. იგი ფაქტიურად პირველია, რომელმაც მეცნიერულად დასაბუთებული, ქართული და სომხური ისტორიული წყაროებით გამაგრებული დებულებები მოგვცა აღნიშნული საკითხის ირგვლივ. აკად. ივ. ჯავახიშვილი დაწვრილებით ჩერდება მოწინააღმდეგე მხარეთა შემადგენლობაზე, აჯანყების შედეგებზე[5].

აკად. ნ. ბერძენიშვილი მიმოიხილავს რა კლასობრივი და შიდაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინებას საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობაში, საგანგებოდ ჩერდება მოცემულ საკითხზე და ასკვნის: „... აჯანყება (დემეტრე უფლისწულ-ივანე ორბელის აჯანყება, – რ. მ.) განსაკუთრებით დიდი

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული დ. ბაქრაძის მიერ, ტფ., 1885.

[2] A. Khakhanoff, Histoîre de la Georgie, Paris, 1900.

[3] მარი ბროსე, საქართველოს ისტორია, I, გამოცემული ნიკ. ღოღობერიძის მიერ, თბ., 1895, გვ. 160-161.

[4] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, თბ., 1892, გვ. 260.

[5] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 239-243.

მნიშვნელობისაა... ეს მოძრაობა ფეოდალური ურთიერთობის ახალი ეტაპის, ბატონყმობის გამარჯვების მაუწყებელი იყო, რომლის შემდგომი განვითარება, ახალ დროში კლასობრივი ბრძოლის ახალ ფორმებს წარმოშობდა შესაფერისი სამეფისკარო პოლიტიკით...“[1].

აკად. ნ. ბერძენიშვილი აჯანყების მიმდინარეობას იკვლევს თავის მეორე ნაშრომში „ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XII საუკუნის საქართველოში“[2].

დემეტრე უფლისწულ-ივანე ორბელის აჯანყებასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს სხვადასხვა დროს შეეხნენ სხვადასხვა ისტორიკოსები (ს. კაკაბაძე, ლ. მელიქსეთ-ბეგი, თ. ბარნაველი და სხვ.). ჩვენ ქვემოთ შეძლებისდაგვარად ვითვალისწინებთ მათ მოსაზრებებს.

საქართველო XII საუკუნის მეორე ნახევარში

ფეოდალურმა საქართველომ XII საუკუნის პირველ მეოთხედში მოიგერია თურქი მომთაბარეები. აქედან მოყოლებული ვიდრე XIII საუკუნის 20-იან წლებამდე საქართველო დროდადრო ებრძოდა მეზობელ თურქულ სახელმწიფოებს, საამირო-სასულტნოებს. ეს ომები ძირითადად სომხეთისა და რან-შარვანის საკითხების მოსაგვარებლად წარმოებდა. თურქობის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მხარდამხარ სომხეთისა და რან-შარვანის მოძმე ხალხებიც გამოდიოდნენ.

დავით აღმაშენებლის ძის დემეტრეს მეფობის დროს (1125-1156) თურქები ცდილობენ ხელთ იგდონ ამიერკავკასიის მიწები. ქართველები იძულებული ხდებიან ზოგი ადგილი დაუთმონ მტერს (მაგ. ანისი კვლავ მაჰმადიანი მფლობელის ხელთ გადავიდა ყმადნაფიცობის პირობით). 1138 წელს ქართველებმა განძა აიღეს, მაგრამ ვერ შეინარჩუნეს და ეს ქალაქი დიდხანს დარჩა მაჰმადიანთა საყრდენ პუნქტად საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

დავით აღმაშენებელმა თავისი რეფორმებით ლახვარი ჩასცა დიდგვარიან ფეოდალთა აღვირახსნილობას, მაგრამ დიდაზნაურობის სოციალ-ეკონომიური საფუძვლები ხელუხლებელი დატოვა. ამიტომ იყო, რომ შემდგომში კვლავ ცდილობდნენ დიდაზნაურები თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაფერისი პოლიტიკური უფლებების მოპოვებას. ისინი ყველა ხერხს მიმართავდნენ მეფის ძალაუფლების დასამცრობად და დასასუსტებლად. სწორედ დიდ ფეოდალთა ჯგუფის მხარდაჭერის შედეგი იყო ის, რომ დემეტრე მეფეს ტახტს ეცილებოდნენ ჯერ მისი ძმა ვახტანგი, ხოლო შემდეგ უფროსი შვილი დავითი. ამ უკანასკნელმა მამას მეფობაზე ხელი ააღებინა და თვითონ მიიტაცა სამეფო გვირგვინი. დავითს ერთი წელიც არ უმეფია, იგი გარდაიცვალა. ტახტი კვლავ

---

[1] ვ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 36-37.

[2] იხ. მისი საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 74-112.

დემეტრემ დაიკავა და 1156 წელს ტახტზე თავისი შვილი გიორგი (მეფობაში გიორგი მესამედ წოდებული) აიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მესამის საგარეო პოლიტიკის ძირითად ხაზს კვლავ თურქებთან ბრძოლა შეადგენდა. ეს ბრძოლა გარკვეული წარმატებებით აღინიშნა. 1161 წელს გიორგი მეფემ ანისზე გაილაშქრა, ქალაქი აიღო და ამირსპასალარს ივანე ორბელს მიანდო მისი მართვა-გამგებლობა. თანაშემწედ დიდებული სარგის მხარგრძელი დაუნიშნა. გამარჯვებულმა მეფემ ანისის მცხოვრებთ განურჩევლად ეროვნებისა, დიდი წყალობა უყო (მათე ურჰაელის ცნობით, 40000 დრაჰკანი მისცა და ტყვედ წაყვანილი ქრისტიანები და მაჰმადიანები გამოისყიდა ტყვეობიდან).

1162 წელს ქართველები უფრო სამხრეთისაკენ მიიწევენ. გიორგი მეფემ „მიმართა დიდად ქალაქად და სახელგანთქმულად დვინად, აწ რომელ არს არარატისა ძირსა ზღვარი სომხეთისა და ადარბადაჯანისა“. დვინიც საქართველოს მეფის ძალაუფლებას დამორჩილდა.

ანისისა და დვინის დაკარგვამ მაჰმადიანთა ამირები სასტიკად განარისხა. საქართველოს ასეთმა აქტიურობამ ისინი აიძულა უფრო მეტის ერთსულოვნებით შეკავშირებულიყვნენ და ქართველებისათვის წინააღმდეგობა შეერთებული ძალით გაეწიათ. ხლათის მფლობელი, დიარბექირის მმართველი, შაჰი არმენად წოდებული და არზრუმის ამირა დაიძრნენ საქართველოს წინააღმდეგ. „და მომართეს ქუემო კერძოსა ქუეყანასა სომხითისასა, და მოადგეს ციხესა გაგისასა, აიღეს იგი და მოაოჴრნეს ყოველნი საზღვარნი“[1].

გაუგია თუ არა ამის შესახებ გიორგი მეფეს, სასწრაფოდ „გამოასხნა ოვსნი და ქუეყანანი დიდძალნი და მომართა სულტანსა... ვითარცა ცნა ესე სულტანმან, ათაბაგმან და ყოველთა ფალავანთა და დიდებულთა მათთა, თქუეს ვითარმედ: „არა არს კაცი დღეს პირისპირ შემბმელი გიორგისი და მისთა ლაშქართა ქუეყანასა ზედა; მივრიდოთ თავი და ვეფაროთ!“[2]. მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქარი უკუიქცა დამარცხებული (ისტორიკოსთა ცნობით ლაშქარს ელდიგუზ ათაბაგი სარდლობდა).

რაკი მაჰმადიანებმა უკან დაიხიეს, საქართველოს ლაშქრის თავკაცობას და თვით გიორგი მეფეს საქმე დამთავრებულად მოსჩვენებიათ. განცხრომისა და დროსტარებისათვის მოუცლიათ[3]. მოწინააღმდეგეებს კი ლაშქრობის დამთავრება არც უფიქრიათ. პირიქით, მათ საქართველოს ლაშქრის მდგომარეობის დაზვერვა მოახერხეს სხვადასხვა გზით და ანისს შეუტიეს. ეს ქართველთათვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და „სივლტოლვა“ არჩიეს[4].

სომეხი ისტორიკოსი ვარდანი თავის „ისტორიაში“ გადმოგვცემს, რომ ოთხი წლის განმავლობაში ანისს მტრისგან მოსვენება არ ჰქონია. საქართველოსაც თანდათან უჭირდა ბრძოლა ანისისათვის. ამიტომ როდესაც ელდიგუზ ათაბაგი

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 11.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 13.

[4] იქვე, გვ. 137.

თვით შემოეხვეწა გიორგი მეფეს. ზავს, საქართველოს მეფე კმაყოფილი დათანხმებულა. თანაც „უბოძა ანისი თჳსსავე მემამულესა და ითაყუანა თჳჳისა თჳსისა ყმად“[1]. ამრიგად, ანისის ახალი მაჰმადიანი მმართველი საქართველოს მეფის ხელქვეითი და მორჩილი გამხდარა.

ვარდანი კონკრეტულად მიუთითებს, რომ გიორგი მესამემ მოიწვია მაჰმუდის შვილი არსლანი და ანისი მას უწყალობაო. ეს აქტი (წყალობა) აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, 1165 წელს უნდა მომხდარიყო. თავისთავად ანისის ამგვარი წყალობა (თუნდაც ყმადნაფიცისათვის) საქართველოს მარცხს უდრიდა. მაგრამ ის მშვიდობა და ზავი, რომელიც „ჟამ რაოდენიმე“ გაგრძელდა – სწორედ აღნიშნული ნაბიჯის შედეგი იყო.

საქართველოს მეფე მშვიდობიანობის ჩამოგდებით კმაყოფილი „დაჯდა სიხარულად და განსუენებად და ნადირობად“[2]. ომსა და ბრძოლას შეჩვეული ქართველი მეომრები ახალი ლაშქრობისაკენ იწევდნენ. მათ კიდეც მიუმართავთ მეფისათვის: „არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თჳნიერ ლაშქრობისა და რბევისა“. გიორგი მესამეს გარკვეული შიში ჰქონია შინაური მტრებისა და თავისი ლაშქრის დაპირისპირებას სწორედ მათზე ფიქრობდა საჭიროების შემთხვევაში. მას შემდეგ რაც „წარსცნა ზავნი და ფიცნი შინა“ (როცა განამტკიცა მშვიდობიანობა და უშიშროება სახელმწიფოს შიგნით), გიორგი მეფემ ლაშქარს უფლება მისცა დაერბიათ მეზობელი ქვეყნები. „უბრძანა ტაოელთა, კლარჯთა და შავშთა მორბევა ოლთისისა და ბანისა, მესხთა და თორელთა – კარისა და აშორნისა, და ამირ-სპასალარსა და სომხითართა – მტკუარს აქეთ ვიდრე განძამდის; თჳთ ხასაგანიანთა, ლიხთ-იმერთა და ქართველთა განძას დამართებით მტკურის პირი იმიერ და ამიერ ხოლთამდის, ჰერთა და კახთა – ალაზნის შესართავით ვიდრე შარვანამდის“[3].

საქართველოს ლაშქრის ამ ბრძოლების შესახებ ძალზე მცირე ცნობები მოგვეპოვება, მაგრამ უცხოელი ისტორიკოსები ადასტურებენ ქართველთა ლაშქრობის ძლევამოსილად ჩატარებას.

ამავე პერიოდში გიორგი მესამემ ილაშქრა შირვანში, სადაც მისი დისწული აღსართანი მეფობდა. შირვან-შა საქართველოს მეფის ყმადნაფიცად ითვლებოდა. ამიტომ როდესაც იგი „დაჭირებული დარუბანდელთა ხაზართაგან“ შველას შეეხვეწა საქართველოს მეფეს, გიორგი მესამე ჯარით მიეშველა 1167 წელს. ქართველთა მხედრობა მივიდა დარუბანდის კარამდე, მოაოხრა მუსკურისა და შარაბამის ქვეყანა და აიღო ქალაქი შაბურანი. როგორც „ისტორიანი და აზმანი“ გადმოგვცემს, შაბურანი საქართველოს მეფეს აღსართანისათვის უწყალობებია.

შირვანის შემომტკიცება საქართველოს პირდაპირ ინტერესებს ემსახურებოდა. აბრეშუმით მდიდარი შირვანი შემოსავლის წყარო იყო საქართველოსთვის.

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 15.

[2] იქვე.

[3] იქვე, 16.

შირვანის დაკავებით ქართველები საფრთხეს უქმნიდნენ განძას, რომელიც თურქების მთავარი საყრდენი იყო ამიერკავკასიაში. დაბოლოს, საქართველო თანმიმდევრულად ატარებდა ქრისტიანული ქვეყნების შემოკრებისა და მათი ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების პოლიტიკას.

1173 წელს, სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, გიორგი მესამეს ანისი აუღია, ქალაქის ამირა კი თან წაუყვანია. განაწყენებული და გაბრაზებული თურქები ქალაქს მოდგომიან. ანისის მცხოვრებთა დაჟინებული თხოვნით ანისის თურქებისათვის დათმობაზე უარი თქვა ივანე ამირსპასალარმა. ასე რომ, 1173 წლიდან ანისი და მისი მიმდგომი მხარეები მტკიცედ შემოვიდა საქართველოს შემადგენლობაში.

შირვანისა და სომხეთის დიდი ნაწილის შემომტკიცება საქართველოს სამეფო კარის შორსგახედული პოლიტიკის და აგრეთვე მისი მეფის – გიორგი მესამის, როგორც ძლიერი და ნიჭიერი მხედართუფროსის, დამსახურებას უნდა მიეწეროს. საერთოდ, ბევრი მოვლენა მაშინდელ ამიერკავკასიაში გიორგი მესამის სახელთან იყო დაკავშირებული.

„... Сын и преемник Менучехра II, Ахситан, пожалуй, должен был быть обязан своей победой... под Баку, а также отвоеванием Ширвана и Дербенда своему могущественному родственнику, союзнику и верховному повелителю – царю Георгию III“[1]. ბუნებრივია „ისლამის ენციკლოპედიის“ მიერ გიორგი მესამის ისეთი ეპითეტებითა და ტიტულით შემკობა, როგორიცაა „могущественный“ და „верховный повелитель“, რაც სავსებით შეესაბამება საქართველოსა და მისი მეფის ავტორიტეტს XII საუკუნის წინა აზიასა და კავკასიაში.

ამგვარად, XII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველო პოლიტიკურად ძლიერი ქვეყანაა. მას საკმაოდ დიდი გავლენა და ავტორიტეტი აქვს მოპოვებული საერთაშორისო მასშტაბით, საქართველოს მეფე ძლიერია და პატივდებული. რაც შეეხება ქვეყნის საშინაო მდგომარეობას, აქ უფრო რთულადაა საქმე. XII საუკუნის მეორე ნახევარში აშკარად გამოჩნდა, რომ ფეოდალური საქართველო განვითარების ისეთ სტადიაში იმყოფება, როცა სახელმწიფო წესწყობილების ფორმა აღარ შეესაბამება საზოგადოების განვითარებას.

ამიტომ არ ყოფილა შემთხვევითი, რომ, როცა საქართველომ თავისი ძლევამოსილებით შორს გაითქვა სახელი მეზობელ სახელმწიფოებში, ქვეყნის შიგნით დიდი და ძლიერი აჯანყება მზადდებოდა თვითმპყრობელი მეფისა და სამეფო კარის წინააღმდეგ.

---

[1] В. В. Бартольд, Ширваншах (статья в „Энциклопедии ислама“), соч., т. II, ч. I, стр. 877.

აჯანყების გამომწვევი მიზეზები

XII საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფეოდალური საქართველო კრიტიკულ პერიოდში იმყოფებოდა თავისი განვითარების თვალსაზრისით. ეს იყო საკმაოდ მწვავე კრიზისი საზოგადოების განვითარებაში, რომლის ერთ-ერთი ნიშანი იყო ფეოდალური წარმოებიდან გამოძევებულთა ე. წ. „გლახაკთა" სიმრავლე, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა მატერიალური დოვლათის მწარმოებელ მოსახლეობას. საზოგადოების განვითარებაში კრიზისის მომასწავებელი იყო „მეკობართა" სიმრავლე („მიეკობარნიც" ფეოდალური წარმოებიდან გამოძევებულნი იყვნენ). ამ კატეგორიის წარმომადგენელთა ლიკვიდაცია სამეფო კარისათვის მეტად მტკივნეულ საკითხად იყო გადაქცეული. თავისთავად კრიზისის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს სამეფო ლაშქარში შექმნილია მიდრეკილება ქონების შეძენის მიხნით უცხო ქვეყნების ბოლომოულებელი რბევისადმი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საქმეს წინ ვერ უდგება თვით მეფე და, შესაძლოა, საკუთარი სურვილის წინააღმდეგაც კი იძულებით მიდის იგი! (მოვიგონოთ, როცა ლაშქარმა მეფეს ბრძოლის და ქვეყნების დარბევის უფლება მოსთხოვა და მეფისგან მათ მიიღეს ნებართვა).

საზოგადოების განვითარებაში შეპარულ ბზარზე მოწმობდა ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში ფართოდ იყო გავრცელებული მოღალატური განწყობილება, გახშირდა გარეშე დამპყრობელთა მხარეზე გადასვლა.

გაძლიერებული დიდებული აზნაურები ვეღარ ეგუებოდნენ მეფის თვითმპყრობელობას და შეუვალობაზე ფიქრობდნენ. უკმაყოფილონი იყვნენ დიდაზნაურთა ხელქვეით მყოფი აზნაურები, რადგან მათ (იმის გამო, რომ დიდაზნაურებს მორჩილებდნენ) აღზევების იმედი გადაწურული ჰქონდათ.

არსებული ფეოდალური ურთიერთობის მძლავრ პროტესტს წარმოადგენდა მდაბიორ-მოლაშქრეთა ფართო ფენა, გლეხად გადაქცევის წინააღმდეგ რომ იბრძოდა და იძულებული იყო გლახაკობა-მეკობრეობისათვის მიემართა[1]. აღმავლობის გზაზე მდგარი ვაჭარ-ხელოსანთა წრეები თუმცა ერთგვარად კმაყოფილი იყვნენ არსებული ვითარებით (გიორგი III საშინაო პოლიტიკაში, ისევე როგორც საგარეო საქმეებში, იმეორებდა დავით აღმაშენებელს. თუ დემეტრე პირველი უმეტესწილად დავით აღმაშენებლის მემკვიდრეობის დამცველად გვევლინება, გიორგი III ახალ ქმედით ზომებს იღებს საქართველოს საზღვრების გაფართოებისათვის და, ისევე როგორც მის პაპას, დიდაზნაურები შევიწროებულ მდგომარეობაში ჰყავს. ეს ხელს უხსნიდა ვაჭარ-ხელოსნებს თავიანთი საქმიანობის ფართოდ წარმოებისათვის), მაგრამ ისინი მეტს მოითხოვდნენ, რადგან მათ ევიწროებოდათ ფეოდალური სოციალ-პოლიტიკური გარემო და წინააღმდეგ დიდაზნაურებისა მეფის თვითმპყრობელობის შემდგომი გაძლიერება უნდოდათ (ძლიერი თვითმპყრობელი მეფე თავისი ინტერესების დამცველად სჭირდებოდათ

[1] ნ. ბერძენიშვილი, და სხვ. საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 191.

ვაჭრებს). უკმაყოფილებას აშკარად გამოხატავენ მთიელები, რადგან ფეოდალური ურთიერთობა მიიკვლევდა გზას მთაში და მანამდე თავისუფალ მოსახლეობას სოციალური დამორჩილებით ემუქრებოდა.

ბიბლიოთეკა

მეფის თვითმპყრობელობის, საერთოდ, ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ დაუსრულებლად იბრძოდა ფეოდალურ ურთიერთობაში სოციალური კიბის დაბალ საფეხურზე მდგომი გლეხობა, რომელიც ვერ ეგუებოდა თავის მდგომარეობას და მუდამ უკმაყოფილო იყო.

ასეთ მეტად რთულ და სერიოზულ საფრთხის წინაშე იდგა შინაგანად მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლება.

დამოკიდებულება მეფესა და დიდგვარიან ფეოდალებს შორის

ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორია აღსავსეა მეფესა და დიდგვარიანებს შორის დამოკიდებულების სიმწვავით, რასაც თვით ფეოდალური წყობილების ბუნება განაპირობებდა. დიდგვარიანი ფეოდალები ყოველთვის ცდილობდნენ, როგორც კი საშუალება მიეცემოდათ, განდგომოდნენ და დაპირისპირებოდნენ მეფეს. მეფეებიც თავის მხრივ მეტნაკლებად წარმატებით ებრძოდნენ ამ ცენტრიდანულ ძალებს და ცდილობდნენ განემტკიცებინათ ცენტრალური სახელმწიფოებრივი აპარატი.

ყველაზე დიდი წარმატება დიდგვარიან ფეოდალებთან ბრძოლაში დავით აღმაშენებელმა მოიპოვა. მის მიერ გატარებული სახელმწიფოებრივი რეფორმები, ეკონომიური ხასიათისა იყო ის, თუ სამხედრო პოლიტიკას ეხებოდა, მიმართული იყო ქვეყნის ცენტრალიზაციის, სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისაკენ. ეს თავისთავად დიდმნიშვნელოვანი ფეოდალიზმის ხანაში პროგრესულ ელემენტს წარმოადგენდა.

დავით აღმაშენებელმა დიდაზნაურთა პოლიტიკური უფლებები მკვეთრად შეკვეცა, მაგრამ როგორც ზემოთაც მივუთითეთ, დიდაზნაურთა სოციალ-ეკონომიური საფუძვლები იგივე დატოვა. მეთორმეტე საუკუნის სინამდვილემ საქმე ისე წაიყვანა, რომ დიდ ფეოდალთა სოციალ-ეკონომიური გაძლიერება გარდუვალი გახადა, მათ გლეხებად იქცნენ გაჩანაგებული მდაბიორ-მოლაშქრეები (მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენის გაქრობა და მისი გლეხობაში გადასვლა იყო XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს კლასთა ბრძოლის გაღრმავება-განვითარების პროდუქტი[1]).

კლასობრივი ბრძოლების გამწვავების პირობებში წვრილი ფეოდალები ხელისუფლების გაძლიერების მომხრეებად გამოდიან, რადგან ეს უკანასკნელი მათთვის გლეხების დამორჩილების იარაღი იყო, მეორე მხრივ, იცავდა მათ

[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა და სხვ., საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 180.

დიდი ფეოდალების კლანჭებში ჩავარდნისაგან (ამ უკანასკნელს ვერ ასცდნენ XII საუკუნის საქართველოს წვრილ აზნაურთა წრეები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომძლავრებული ფეოდალები ყოველგვარ ხერხს მიმართავენ იმისათვის, რომ მეფისაგან ხელთ იგდონ გაძლიერება-განდიდების ისეთი საშუალება, როგორიცაა დიდება (გავიხსენოთ ამავე პერიოდის გერმანია, სადაც ფეოდალი მეფეები საზოგადოების განვითარებისა და ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო იძულებული არიან გასცენ ასეთივე დიდება[1]. თავისთავად ასეთი უფლებების მიღება ნიშნავდა პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილებას მოსახლეობაზე. გარკვეულ გავლენას ჰკარგავდა მეფე, დიდი ფეოდალების სასარგებლოდ). მეფისაგან დიდებამოპოვებული (დიდებული) აზნაურები კი იწყებენ ბრძოლას თავიანთი სოციალ-ეკონომიური უფლებების შესაფერისი პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის[2].

რა მდგომარეობაა XII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში? რა დამოკიდებულებაა მეფესა (გიორგი მესამესა) და დიდგვარიან ფეოდალებს შორის? საკმაოდ დაწინაურებული ჩანს ეკონომიურად და სოციალურად ფეოდალთა ერთი ჯგუფი. ესენი არიან: ამირსპასალარი ივანე ორბელი, ივანე ვარდანის ძე, შოთა ძე ართავაჩოს ძისა, ქართლის ერისთავი სუმბატის ძე, ლიპარტი, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე და სხვ. მათ დაწინაურებას რამდენადმე ხელი შეუწყო თვით მეფის წყალობებმა. გიორგი მესამე, „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსიის მიხედვით, „თვალღებით უდიდესისა დიდებითა და პატივით აღამაღლებდა მას (ივანე ორბელს, – რ. მ.)“[3]. იგივე წყაროს მიხედვით „გიორგიმან აიღო ანის ქალაქი... და ყოველი ქუეყანა შირაქისა, და უბოძა ამირსპარსალარსა ივანეს, ძესა დიდისა

---

[1] Н. Ф. Колесницкий, Исследование по истории феодального государства в Германии, М., 1959, стр. 90.

[2] აღნიშნული მოვლენებით აღსავსეთ შესაბამისი პერიოდის მსოფლიო ისტორია. ფეოდალური ინგლისის სამეფო ხელისუფლების გაძლიერება მკვეთრად იწყება XII საუკუნის პირველი ნახევრიდან, როცა ტახტზე ადის ჰენრიხ პირველი (1100-1135). მან მთელი რიგი რეფორმების გატარების შედეგად მოახერხა სახელმწიფო აპარატის ერთგვარი ცენტრალიზაცია. მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ განვითარება-გაძლიერების წინსვლა შეწყვეტილ იქნა, რადგან ჰენრიხს ვაჟიშვილი არ ჰყავდა, მან სამეფო ტახტი თავის ქალიშვილს მატილდას უანდერძა. შექმნილი ვითარება გამოიყენა ჰენრიხის ნათესავმა სტეფანე ბლუასელმა, რომელმაც თავის ირგვლივ მყოფი მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო დიდებულები შემოიკრიბა და ლონდონში თავი მეფედ გამოაცხადა. ინგლისის ფეოდალებმა მერყეობა იწყეს. ბარონების ერთი ნაწილი მხარს უჭერდა სტეფანე ბლუასელს, ხოლო მეორე მატილდას ემხრობოდა. აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ფეოდალების ორად დაჯგუფება არ იყო გამოწვეული რომელიმე სამეფო კანდიდატისადმი მეტი პატივისცემით ან პირიქით, ბარონები უპირველეს ყოვლისა თავიანთი უფლებების გაძლიერებითა და სამეფო ხელისუფლების დასუსტებით იყვნენ დაინტერესებული (ეს იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ თითოეული მეფის მომხრე ბარონები სიამოვნებით იცვლიდნენ პატრონებს იმის მიხედვით, თუ ვინ უფრო მეტი მიწით დააჯილდოვებდა მათ). ჩვენ მხოლოდ ამ ერთი ფაქტის მოყვანით ვკმაყოფილდებით, რადგან იგი დამახასიათებელია, ტიპიურია განვითარებული ფეოდალური ქვეყნებისათვის.

[3] „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია, საისტორიო მოამბე, 6, თბ., 1952, გვ. 60.

სუმბატ ორბელიანისასა"[1]. ასეთი წყალობების გაღებაში გიორი მესამე პირველი არ ყოფილა და არც უკანასკნელი. ერთი რამ ცხადია, რომ როდესაც მეფეები წყალობას გასცემდნენ, ეს გარკვეული იძულებით ხდებოდა, რადგან ბრძება ხდებოდა ამა თუ იმ დიდ ფეოდალზე მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი გარკვეულ ავტორიტეტს მოიპოვებდა მოსახლეობაში. მეფე კი ცდილობდა ასეთი პიროვნება თავის ერთგულებაში ჰყოლოდა, ამიტომ იკლებდა უფლებასა და სიმდიდრესაც და ამა თუ იმ ფეოდალს გადაულოცავდა. ასე რომ, გულუბრყვილობა იქნება იმისი მტკიცება, რომ ესა თუ ის მეფე მხოლოდ პირადი სიმპათიით (მის წინაშე რაღაც დამსახურებისათვის (მხოლოდ თავისი ნებით) და არა შექმნილი ვითარებით, ე. ი. რამდენადმე იძულებით გასცემდა წყალობას და დიდებას.

ჩვენთვის საინტერესო ვითარებაში ივანე ორბელი და მასთან ერთად ფეოდალთა გარკვეული ჯგუფი საკუთარი მცდელობითა და მეფის შემწეობით ეკონომიურად და სოციალურად დაწინაურებელნი არიან და იწყებენ ბრძოლას მათი მდგომარეობის შესაბამისი პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის. ამ უკანასკნელს წინ ეღობება ქვეყნის ერთმმართველი – ფეოდალი მეფე, რომელიც თავის მხრივ დაინტერესებულია საკუთარი უფლებების ამაღლებით და შესაბამისად ქვეშევრდომთა (ეს უკანასკნელნი უკვე საკმაოდ ძლიერნი არიან) შესაძლებლობების დამცრობით.

ასე რომ, მდგომარეობა მეფესა და ფეოდალებს შორის უკიდურესად გამწვავებულია. ასეთ დაძაბულ ვითარებაში დიდი ფეოდალები ეძებენ საბაბს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ასამხედრებლად. საბაბი მართლაც გამოინახა, დიდებულებმა მეფის წინააღმდეგ ბრძოლის დროშად დემეტრე (დემნა) დავითის ძე აქციეს და მასზე ამოფარებული იწყებენ ბრძოლას.

რატომ გაკეთდა არჩევანი დემნა უფლისწულზე? ქართული სამართლის მიხედვით, სამეფო ტახტის მემკვიდრეობით გადაცემა პირმშოობაზე იყო დამყარებული, ე. ი. როგორც წესი, მეფის გარდაცვალების შემთხვევაში ტახტზე ადის მისი უფროსი შვილი და მისი შთამომავლობა აგრძელებს სამეფო დინასტიას[2]. XII საუკუნის სინამდვილეში ორთოდოქსალური ქართული სამართლის მიხედვით, სამეფო ტახტის მფლობელები ამგვარად უნდა გამოიყურებოდნენ:

დემეტრე I	1125-1156
↓	
დავით V	1155
↓	
დემეტრე	(უნდა ყოფილიყო),

---

[1] „ორბელთა ისტორიის" ქართული ვერსია, საისტორიო მოამბე, 6, თბ., 1952, გვ. 59.

[2] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 239; ი. სურგულაძე, ტახტის მემკვიდრეობის საკითხი ვეფხისტყაოსნის მიხედვით, იხ. კრებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველი, თბ., 1966, გვ. 94.

რადგან დავითი დემეტრე პირველის უფროსი შვილი იყო. დემეტრე პირველს მეორე შვილიც ჰყავს – გიორგი, წესისამებრ, დემეტრე პირველის ტახტიდან გადაყენების შემდეგ, 1155 წელს ტახტზე ავიდა დავით მეხუთე, რომელიც ექვსი თვის შემდეგ გარდაიცვალა. ტახტს კვლავ უბრუნდება დემეტრე პირველი და მისივე შემწეობით 1156 წელს მეფე ხდება არა დავით მეხუთის შვილი დემეტრე, არამედ გიორგი III.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყაროებში სხვადასხვაგვარად აშუქებენ ამ საკითხს. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" გიორგი მესამის დამსახურებას მიაწერს იმ გარემოებას, რომ იგი განსხვავებით უფროსი შვილისაგან გამორჩეული ჰყავდა მეფეს, „დიმიტრისა... ორ ძე ებადესა, რომელთა დავით და გიორგი (ეწოდებოდა სახელად). მარჩეველი ძისა უმცროსისა მლარწველი მკიცხველი იქმნა, ვითარ ისაკი იაკობისდამი. და ვედრებისა შემასმენელმან ღმერთმან დავითის დღეთა შემცირებითა სრულ ყო პირველ მამისა. და მამამან ძითურთ ძე ტკბილი, შემგუარი მამისა, აღამაღლა თავისი თანა ძისა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა"...[1].

სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ორბელიანი სხვაგვარად გადმოგვცემს ამ ამბავს. მისი თქმით, დავით მეხუთემ სიკვდილის წინ მცირეწლოვანი შვილის დემეტრეს პატრონად დანიშნა გიორგი III და მის სრულასაკოვნებამდე სამეფოს მართვის საქმეც მას მიანდო. შემდეგ კი გიორგის დემეტრესათვის უნდა დაეთმო ტახტი (იხ. სტ. ორბელიანის „ისტორია"). „ორბელთა ისტორიის" ქართული ვერსიაც იგივეს გვაუწყებს: გიორგი მესამეს თავისი გამეფების სურვილი გვიან გაუმხელია და თითქოს დაურწმუნებია დიდებულები მის მიერ სამეფო ტახტის დაკავების დროებითობაზე[2].

ყველა დასახელებული განხილული წყარო თვალნათლივ გამოხატავს იმ სუბიექტურ დამოკიდებულებას საკითხისადმი, რომლითაც თითოეული მათგანი გიორგი მესამის მიმართ იყო გამსჭვალული. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი საქართველოს მეფის აპოლოგეტია. იგი ყოველგვარად ცდილობს გაამართლოს გიორგი მესამის მეფედ კურთხევის აქტი (თუმცა ეს ფეოდალური ქვეყნისათვის დაუშვებელი იყო.) ეს ბუნებრივიცაა. სხვაგვარი დამოკიდებულება საკითხისადმი ფეოდალური ისტორიოგრაფიისათვის უცხოა. თვით ისტორიები, ალბათ, შესაბამის მეფეთა მითითებით და ზედამხვედველობით იქმნებოდა და რა გასაკვირია, რომ ბევრი ფაქტი შელამაზებულად იყოს წარმოდგენილი, ან კიდევ ფაქტებს თავისებური შეფასება ჰქონდეს მიცემული. ამ გარემოებას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ, ჩვენი აზრით, დემეტრე პირველისა და დავით მეხუთის დამოკიდებულების სახით საქმე გვაქვს არა მამაშვილს შორის არსებულ შემთხვევით უთანხმოებასთან და შვილის არასწორი (ან უგვანო) მოქმედების გამო განაწყენების შედეგად მამის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან (რომ მისი შთამომავალი – ტახტის კანონიერი მემკვიდრე არ გაემეფებინა), არამედ რთულ

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 3.

[2] „ორბელთა ისტორიის" ქართული ვერსია, საისტორიო მოამბე, 6, 1952, გვ. 59.

ვითარებასთან, რომელიც შეიძლება პირადულიდან იღებდეს სათავეს (ეს საერთო დამახასიათებელი მოვლენაა ფეოდალიზმის დროს), მაგრამ მას შორის ცვლილება და მწვავე სოციალურ შინაარსს იღებს.

ისტორიული საბუთებიდან ირკვევა, რომ დემეტრე პირველს მისმა შვილმა დავითმა არაერთი უსიამოვნება მიაყენა. როგორც ჩანს, იგი გრძნობდა მამის სიმპათიას უმცროსი შვილისადმი და ყველა ღონეს ხმარობდა, რათა დემეტრესთვის ხელი შეეშალა მისი მიზანდასახულების შესრულებაში. დავითი აქტიურად იბრძვის ტახტის ხელში ჩაგდებისათვის, რისთვისაც შეთქმულებებიც კი მოაწყო საქართველოს მეფის წინააღმდეგ.

სომეხ ისტორიკოსს ვარდანს მოთხრობილი აქვს, რომ 1130 წელს „უფლისწულს და ივანე აბულეთის ძეს უნდოდათ დემეტრე (მეფისა) და თავის ძმის მოკვლა“[1]. მაგრამ ივანეს მამას – აბულეთს დაუშლია. ეს ამბავი მეფის მომხრეებს შეუტყვიათ და ორივენი დმანისის ციხეში დაუმწყვდევიათ. ვარდანის შემდეგი თხრობის მიხედვით ეს უფლისწული დემეტრეს ძმაა[2], რაც მთლად სწორი არ უნდა იყოს. აკად. ივ. ჯავახიშვილმა იმთავითვე შეიტანა ეჭვი ამ ცნობის სისწორეში და წამოაყენა მოსაზრება იმის შესახებ, რომ უფლისწული დემეტრე პირველის ძე დავითი უნდა იყოს, რომელმაც ივანე აბულეთის ძესთან ერთად გადაწყვიტა მოკვლა „მეფისა (დემეტრესი) და ძმის (გიორგისი)“[3], მაგრამ ივ. ჯავახიშვილი თვითონვე არ ემხრობოდა ბოლომდე ამ მოსაზრებას იმის გამო, რომ ვარდანის მიხედვით დამნაშავე უფლისწულს თვალები დასთხარეს. დავით დემეტრეს ძეს კი უსინათლოდ არც ერთი მემატიანე არ იხსენიებს[4].

მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, იმის ვარაუდი, რომ ვარდანის მიერ მოხსენიებული უფლისწული – დავითია, სწორია, რადგან დავითის შეთქმულების ფაქტი დემეტრე მეფის წინააღმდეგ თამარის ისტორიკოსსაც აქვს მოხსენებული თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“[5], ამის გარდა ყურადსაღებია ერთი გარემოებაც. სომეხი მემატიანის ვარდანის სიტყვით, 1132 წელს დემეტრე მეფემ ივანე აბულეთის ძე ვერაგულად მოაკვლევინა[6]. ხოლო მისი შვილი თირქაში ამირთ-ამირა შაჰი – არმენთან წავიდა, მისგან საგამგეოდ არშარუნის ქვეყანა მიუღია და იქიდან „დიდის თავგამოდებით აოხრებდა საქართველოს“[7].

---

[1] ვარდანი, ისტორია, გვ. 160-161.

[2] იქვე.

[3] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 224.

[4] იქვე.

[5] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 18.

[6] დემეტრე მეფის მიერ ივანე აბულეთის ძის სიკვდილით დასჯას ადასტურებს ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანეც: „დემეტრე აბულეთის ძესა ივანეს თავი მოჰკუეთა ჩხერეს მერეს მეოცესა წელიწადსა მეფობისა მისისასა, და მეტეხთა დადვა ფიცის არ გატეხისათჳს (ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 367). აქ, როგორც ვხედავთ, ხვაობაა თარიღებში. ვარდანი მიიჩნევს ივანე აბულეთის ძის დასჯის თარიღად 1132 წელს, ხოლო ქართველი მემატიანე 1125+20 („მეოცესა წელიწადსა მეფობისა მისისასა“) 1145 წ. (1125 წ. დემეტრე გამეფდა).

[7] ვარდანი, ისტორია, გვ. 161-162.

დემეტრე მეფეს მაინც მოუხერხებია თირქაშის ხელში ჩაგდება და საპყრობილეში ჩაუმწყვდევია. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ როგორც კი მიტაცებ (ამის შესახებ ქვემოთაც გვექნება ლაპარაკი) სამეფო ტახტი დავით დემეტრეს ძემ, სწრაფად გაათავისუფლა მამის მერ საპყრობილეში ჩამწყვდეული თირქაში და ამირსპასალარად დანიშნა. დავითის ასეთი მოქმედება გვაფიქრებინებს, რომ ივანე აბულეთის ძე (თირქაშის მამა) თავის შვილთან ერთად სწორედ მის მოკავშირედ გამოდიოდა ტახტის მიტაცებისათვის საქართველოს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში. სამაგიერო მადლიერმა დავითმა ივანეს შვილს ერთგულ თირქაშს მიუზღო (ივანე ცოცხალი აღარ იყო)[1].

ამგვარად, ეს ფაქტიც გვაფიქრებინებს, რომ სომეხ მემატიანეს ვარდანს საუბარი აქვს სწორედ დავითის (უფლისწულის) გამოსვლაზე დემეტრე პირველის წინააღმდეგ.

თ. ჟორდანიას მიერ ქრონიკებში მოტანილი ერთი კინკლოსი გვაუწყებს, რომ „ქ˜კსა: ტო: დასაბამისთგან: ხღნდ: აქა დ˜თ დ-ს გაადგა“[2]. ე. ი. „ქორონიკონსა ტო (370) დასაბამითგან ხღნდ (5754) აქა დავით დემეტრეს გაადგა“-ო. უფლისწულის განდგომა დემეტრე მეფის წინააღმდეგ უტყუარი ფაქტი ჩანს, რადგან ამაზედ საგანგებოდ მიუთითებს თამარ მეფის ისტორიკოსიც – დავითმა („ღალატსა და განდგომილებსა შინა“) ამოსწყვიტაო დიდებულები, „რომელნიმე ექსორია-ქმნითა, რომელნიმე სიკუდილითა და რომელნიმე განპატიჟებითა“[3].

როგორც ჩანს, არავითარი ხერხი და მცდელობა არ დაუკლია დავითს, რომ სამეფო ტახტს დაპატრონებოდა. თ. ჟორდანიას დავითის ყველა სხვა ხრიკებთან ერთად ისიც აქვს მითითებული, რომ იგი მეფის ერთგულების სხვადასხვა გზით მოწამლისგანაც კი არ იხევდა უკან[4].

დავით დემეტრეს ძის გამოსვლა თარიღდება 1154-1155 წლებით. შეთქმულ უფლისწულს თავისი ერთგული და მეფის მოწინააღმდეგე დიდებულების შემწეობით დემეტრე იძულებით ბერად შეუყენებია – „შეიმოსა ჩოჯა და იკურთხა სქემითა“[5] (დემეტრე, – რ. მ.). სამეფო ტახტს იკავებს დავით დემეტრეს ძე, რომელიც იწყებს საკუთარი პოლიტიკის გატარებას, რაც პირველ ყოფლისა დემეტრეს მომხრეების დასჯასა და თავისი ერთგულების დაწინაურებაში გამოიხატა (თირქაშის შესახებ ჩვენ ვთქვით ზემოთ).

ბერად აღკვეთილი დემეტრე სავარაუდებელია, რომ ყოველგვარად იბრძოდა შვილის წინააღმდეგ. ამას ნათლად ადასტურებს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ – „მარჩეველი ძისა უმცროსისა მლარწველი მკიცხველი იქმნა, ვითარ ისაკი იაკობისადმი. და ვედრებისა შემასმენელმან ღმერთმან დავითის დღეთა

---

[1] ვარდანი, ისტორია, გვ. 165.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, 1892, გვ. 250-251.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 18.

[4] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 252.

[5] ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ცხოვრება დემეტრე მეფისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 366.

შემცირებითა სრულ ყო პირველ მამისა"[1]. დემეტრე თურმე ღმერთს ევედრებოდა ურჩი შვილისგან ხსნას და, როგორც მემატიანე ამბობს, ღმერთსაც შეუსმენია დემეტრეს ვედრება და დავითისთვის დღენი შეუმცრებია – „იმეფა ექუს თუე და მოკუდა"[2].

ტახტი რომ მიტაცებით ჰქონდა დავითს ხელში ჩაგდებული, იქიდანაც ჩანს, რომ მისი გარდაცვალებისთანავე დემეტრემ ბერის ჩოხა გაიხადა და სამეფო საჭეს დაეუფლა. ამასთანავე „ძე ტკბილი, შემგუარი მამისა, აღამაღლა, თავისა თანა და ძისა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა"...[3].

ახლა ვნახოთ, თუ რამდენად იყო იმდროინდელ საქართველოში შესაძლებელი გიორგი მესამის გამეფება. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქართული ფეოდალური სამართლის მიხედვით, სამეფო უფლების დამკვიდრება საქართველოში XI საუკუნიდან მოყოლებული პირდაპირ მემკვიდრეობასა და პირმშოობაზე იყო დამოკიდებული. სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ეს წესი ქვეყანაში მტკიცე ნორმად იყო დადგენილი. აი მაგალითად, სრულად საქართველოს მეფეთა სია:

ბაგრატ III გურგენის ძე	975-1014
↓	
გიორგი I	1014-1027
↓	
ბაგრატ IV	1027-1072
↓	
გიორგი II	1072-1089
↓	
დავით IV, აღმაშენებელი	1089-1125
↓	
დემეტრე I	1125-1156

ამგვარად, გურგენიდან მოყოლებული დემეტრე პირველის ჩათვლით მემკვიდრეობის მიღება სამეფო ტახტზე ტრადიციული ფეოდალური წესით ხდება.

ჩვენ საგანგებოდ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძზე. ეს დოკუმენტი მეტად მნიშვნელოვანია ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარკვევით თვალსაზრისით. დავით აღმაშენებელი თავისი მოღვაწეობით სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ძველთაგანვე არსებული წესის მიმდევრად გვევლინება (მან სამეფო ტახტზე აიყვანა თავისი უფროსი ვაჟი დემეტრე), თუმცა 1125 წლის ანდერძში რამდენადმე განსხვავებული მოსაზრება აქვს წამოყენებული.

დავით აღმაშენებლის ანდერძის ის ნაწილი, რომელიც ტახტის მემკვიდრის – დემეტრესადმია მიმართული, მიგვანიშნებს, რომ საქართველოს მეფემ ტახტის

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 3.
[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 366.
[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 3.

მემკვიდრეობის არსებული წესის შეცვლა გადაწყვიტა. მივმართოთ ანდერძის ტექსტს: „... მივანდუენ შჳლნი და დედოფალნიცა, შუამდგომლობითა ღუთისათა, რათა ძმა მისი გაზარდოს და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგიყოსცუატა, შემდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა“[1].

როგორც ვხედავთ, დავით აღმაშენებელი უშვებს უმცროსი შვილის (ამ შემთხვევაში ცუატას, იგივე ვახტანგის) გამეფების შესაძლებლობას. დავით აღმაშენებელის აღნიშნულმა ანდერძმა (საანდერძო განკარგულებამ) არსებითი (რევოლუციური) ცვლილება შეიტანა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის მანამდე არსებულ ტრადიციულ წესში.

განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში სამეფო ტახტის მაძიებელს პირადი ღირსებების წინაპლანზე წამოწევა და ამ თვისებებისათვის გადამწყვეტი მნიშვენელობის მინიჭება (ტახტის პრეტენდენტებს შორის) უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო, რადგან ამ აქტმა ფაქტიურად განსაზღვრა XII საუკუნის საქართველოს სამეფო ტახტისათვის მებრძოლი სოციალური ფენების იდეოლოგია და ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძვლად იქცა.

დავით აღმაშენებლის ანდერძიდან ჩანს, რომ დემეტრე პირველმა ტახტი მიიღო არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უფროსი შვილი იყო საქართველოს მეფისა, არამედ იმიტომაც რომ იგი იყო „სიბრძნითა სიწმინდითა, ახოვნებითა და სიმხნეთა უმჯობესი ჩემსა“ (დავით აღმაშენებელზე უმჯობდესი, – რ. მ.)[2].

დავით აღმაშენებელი თავის უმცროსი შვილის გამეფებასაც მას შემდეგ მოითხოვს, თუ მას სრულასაკოვნებასთან ერთად სამეფო ტახტის მფლობელისათვის საჭირო ღირსებები აღმოაჩნდება – „... თუ ინებოს ღმერთმა და ვარგ იყოს ცუატა, შემდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა“[3].

ამგვარად, დავით აღმაშენებელმა, მეფეთა შორის პირველმა შეცვალა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესი. ცვლილება, მართალია, ნაწილობრივი ხასიათისა იყო, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი, რადგან იგი პირველი შემთხვევა იყო, როგორც აღვნიშნეთ, IX საუკუნიდან მოყოლებული დავით აღმაშენებლის ჩათვლით.

იბადება კითხვა, დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძში დადგენილ ახალ სამემკვიდრეო წესს ჰქონდა ზოგადი ხასიათი თუ კერძო მნიშვნელობის ნორმას წარმოადგენდა? თვით ანდერძის ანალიზს თუ შევაჯერებთ იმ ისტორიულ მოვლენებთან, რაც დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის შემდგომ პერიოდში მოხდა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ახლად დადგენილი სამემკვიდრეო წესი არის კერძო

---

[1] ანდერძი წმინდისა მეფისა დავით აღმაშენებლისა, თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, თბ., 1897, გვ. 51.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, იქვე.

[3] ბუნებრივია, სამეფო ტახტის სამემკვიდრეო წესის შეცვლა მხოლოდ დავით აღმაშენებლის, როგორც პიროვნების სურვილი არ იქნებოდა. იგი XII საუკუნის საქართველოში არსებული გამძაფრებული შინაპოლიტიკური ბრძოლის პროდუქტია და გამოხატავს მაშინ არსებული კლასობრივი ძალების შესაბამის თანაფარდობას.

ხასიათისა (იგი კონკრეტულ პიროვნებას ცუატას შეეხება), და იგი არ წარმოადგენს შემდგომში სამეფო ტახტის მემკვიდრეთა განსაზღვრის ნორმას. ამას ისიც ადასტურებს, რომ დემეტრე პირველს, დავით აღმაშენებლის მემკვიდრეს გაუჭირდა ამ ნორმის ცხოვრებაში გატარება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დავით აღმაშენებლის ანდერძით დადგენილი წესი დემეტრე პირველის დროს ძალაში აღარ არის. და მას შემდეგაც კი, როცა დემეტრე ამარცხებს დავითს[1] და ხელმეორედ იღებს სამეფო ძალაუფლებას ხელში, იგი იძულებულია თავის უმცროსი ვაჟი გიორგი („ძე ტკბილი") აღამაღლოს „თავისა თანა და ძისა სწორად მოსაყდრედ" გამოაჩინოს[2]. ე. ი. გიორგი (რაკი იგი უმცროსი შვილია) საჭიროებს გარკვეულ ამაღლებას მეფის დონემდე, რათა იგი მეფის „ძისა სწორი" გახდეს. არც ისაა შემთხვევითი, რომ დემეტრე „მოსაყდრედ" (ე. ი. თანამმართველად) ისვამს გიორგის. ყოველივე ამ მოქმედებით დემეტრე პირველმა გარანტირებული გახადა მისი უმცროსი შვილის გიორგის სრული უფლება ფეოდალური საქართველოს სამეფო ტახტზე. დემეტრეს მოკავშირედ, მხარისდამჭერად ამ რთულ ვითარებაში ალბათ მისი უმცროსი შვილი გიორგი გამოდიოდა – „ძე ტკბილი შემგუარი მამისა". თავისთავად დემეტრე-გიორგის მიერ შესრულებელი აქტი გიორგის გამეფებისა არსებულ სინამდვილეში პროტესტის ნიშნით გატარდა. ეს მოამწავებდა დემეტრე-გიორგის ბანაკის გამარჯვებას.

ასე რომ, ერთი მხრივ, დავით მეხუთესა, ხოლო მეორე მხრივ, დემეტრე პირველ-გიორგის შორის ურთიერთობა სამეფო ტახტისათვის ბრძოლის ნიშნით წარიმართა და მწვავე შინაკლასობრივი ბრძოლის ელფერს ატარებდა.

რაც შეეხება სომხურ წყაროებს, ესენიც ფართო მასშტაბით ატარებენ სუბიექტურ ხასიათს იმ განსხვავებით, რომ მხარში უდგანან და ამართლებენ ამბოხებულთა მოქმედებას.

დაუჯერებელია იმის მოხსენიება, რომ დემნა უფლისწული არ გამეფდა მცირეწლოვანების გამო. როგორც ზემოთ ვნახეთ, გიორგი მესამე დემეტრე პირველის მეფობაშივე გამეფდა (ეს თავისთავად აბათილებს იმ სომხური წყაროების ვერსიას, თითქოს იგი დემეტრეს გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ გამეფდა). დაუჯერებელია ისიც, რომ თითქოს დიდებულებმა დაუჯერეს გიორგის, რომ იგი ცოტა ხნით იმეფებდა – დემნას სრულწლოვანებამდე. წყაროების მიერ დემნას ტახტის მაძიებლობის დასახელება ამბოხების მიზეზად, უსუსურია, რადგან აჯანყება 1177 წელს მოხდა, როცა დემნა სულ ცოტა ოცდაორი წლის მაინც უნდა ყოფილიყო (დავით V 1155 წელს გარდაიცვალა), ხოლო თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ მისი შვილი დემეტრე (დემნა) მის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე ან უკიდურეს შემთხვევაში, გარდაცვალების წელს მაინც უნდა დაბადებულიყო (უფრო გვიან, ბუნებრივია, გამორიცხულია), ამ შემთხვევაშიც კი იგი ორბელიანთა გა-

---

[1] სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, დავითი მოკლულ იქნა დემეტრესთან შეთანხმებით სუმბატ და იოანე ორბელიანთა ხელით, თითქოს იმიტომ, რომ ორბელიანთა ხელისუფლება – ამირსპასალარობა დავითმა თირქაშს – ივანე აბულეთის ძის შვილს გადასცა.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 3.

მოსვლის დროს იქნებოდა (1177-1155=22 წლისა). ხომ არ არის ძალზე დიდი წელი სრულასაკოვნებისათვის, ნუთუ მანამდე არ შეიძლებოდა სრულწლოვნად ჩათვლილიყო საქართველოს ტახტის მემკვიდრე? ხომ არის ცნობილი საქართველოს ისტორიაში, რომ გაცილებით უფრო ახალგაზრდა ასაკში იკავებდნენ სამეფო ტახტს? (გავიხსენოთ ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელი). მაშ რაღა დასაჯერებელია „ორბელთა ისტორიის" ქართული ვერსიის ის ნაწილი, სადაც ხაზგასმულია „... რამეთუ იმეფა გიორგი წელსა ოცდაერთსა და ოდეს მოიწია ჰასაკად დემნა"[1]. რას უნდა მიეწეროს დემნას ასეთი ნაგვიანევი „ჰასაკად მოწევნა?" ხომ არ იყო იგი რაიმე მძიმე სენით შეპყრობილი (თუ ასეა, მაშინ ბევრი საკითხი უნდა მოიხსნას). მართებულად შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი იმის შესახებ, რომ დემნას ივანე ორბელის, ქვეშევრდომის ქალი ჰყავდა ცოლად[2] და არა სამეფო გვარის ასული (შეიძლება ამგვარ ქორწინებაში შორსგახედული გიორგი მესამის ხელიც ერია), რაც მეფობის მოსურვე (თუკი ეს ასე იყო) უფლისწულისთვის შეუწყნარებელ აქტს წარმოადგენდა.

ამგვარად, დემნა-ივანე ორბელის აჯანყების მიზეზების ამსახველი სომხური წყაროები მეამბოხეებისადმი თავიანთი მიკერძოების გამო რამდენადმე სცოდავენ ფაქტების შეფასებაში.

ქართული და სომხური ისტორიული წყაროების შეჯერებისა და გაანალიზების შედეგად, შეიძლება მტკიცედ დავასკვნათ, რომ დემნა უფლისწულის გამეფების საკითხი სრულიადაც არ ყოფილა აჯანყების მიზეზი. ეს მომენტი ფაქტიურად იყო საბაბი, რომელსაც ეფარებოდა მსხვილ ფეოდალთა სურვილ-ზრახვები და მოქმედება. თვით დემნა აჯანყების ძალზე პასიური მონაწილე ჩანს. აი, რას აცხადებს ლაშა-გიორგი მეფესა, იგი (დემეტრე, – რ. მ.) თანაუკუიტანეს და ლორეს შედგეს"[3]. მივმართოთ სომეხ ისტორიკოსს დავით ქობაირელს: „ორბელებმა – ივანე სპასალარმა, მისმა ვაჟმა ლიპარიტმა, მათმა შვილებმა და ნათესავებმა გადაიბირეს იმავე მეფის (გიორგი III, – რ. მ.) ძმისწული, მოიყვანეს აგარაკის სიმაგრეში და გაამეფეს"[4].

თვით გიორგი მესამეც ასეთ შეფასებას აძლევს დემნას განდგომას ერთ თავის სიგელში – „ოდეს ბირებითა და განზრახვითა ეშმაკისათთა შეითქუეს ვიეთნიმე მეფობსა ჩუენისა დიდებულნი და აზნაურნი ორგულობისა ჩუენისათვის და ძმისწული ჩუენი გაგუიყენეს"...[5].

---

[1] „ორბელთა ისტორიის" ქართული ვერსია, გვ. 60.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 243.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 367.

[4] დავით ქობაირელი, მოსახსენებელი, კრებული – საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966, გვ. 262.

[5] აღნიშნული სიგელი გამოქვეყნებული აქვს თ. ჟორდანიას. იხ. ქრონიკები, წ. I, თბ., 1893, გვ. 264-266. ჩვენ ვსარგებლობთ თ. ბარნაველის მიერ ახლებურად წაკითხული ტექსტით. იხ. თ. ბარნაველი, უფლისწულ დემნას ამბოხების თარიღისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX და XX, გვ. 113.

ამასთანავე თუ გავიხსენებთ იმას, რომ დემნა ერთ-ერთი პირველი მიუვიდა საქართველოს მეფეს და პატიება სთხოვა, ნათელი ხდება, რომ დემნა უფლისწულს აჯანყების გამოწვევაში მნიშვნელოვანი როლი არ შეუსრულებია.

აჯანყების ძირითადი მიზეზი იყო ეკონომიურად დაწინაურებული და გაძლიერებული ფეოდალების ბრძოლა პოლიტიკური უფლებების გაზრდა-გაფართოებისათვის. ამ საკითხის მოგვარება კი პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა სამეფო ხელისუფლების ინტერესებს, რადგან მიმართული იყო ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოს მმართველი ორგანოების უფლებათა დამცრობისაკენ (და, რა თქმა უნდა, საკუთარი უფლებების გაზრდის ხარჯზე).

ამაზე დავით ქობაირელიც სწორად მიუთითებს: „ქართველთა ქვეყნის დიდებულებს დიდი ხანია განზრახული ჰქონდათ მეფისაგან განდგომა და გამოძებნეს კიდეც შესაფერისი დრო თავიანთ ძველ ბოროტზრახვათა განსახორციელებლად"[1].

მოკლედ შევჩერდეთ აჯანყების თარიღზე. თითქმის ყველა მემატიანე ჩერდება ამ საკითხზე.

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე:

„ოდეს ორბელნი გადგეს, ქრონიკონი იყო სამაკს ოთხმოცდაჩჯდმეტი" (1177 წელი)[2].

აფხაზთა ქრონიკა:

ქ˜კს (ქორნიკონსა, – რ. მ.). ტჟც (398, ე. ი. 1178 წელს): დასაბამითგან ხლპგ (ე. ი. 6781-5604=1178 წ.) აქა დ˜ტე (დემეტრე, – რ. მ.) გადგა და ორბელნი დახოცნეს[3].

დავით ბობაირელი:

„აქამდე ერთი წლით ადრე (1178 წელს, – რ. მ.) აპრილის ახალი კვირის პირველ საათზე დაბნელდა მზე და შფოთის ნიშნებიც გამოჩნდა: მეფის კარავი გაიპო"[4].

სტეფანოზ ორბელიანი:

„1177 წელს საქართველოში ატყდა ამბოხება და ორბელიანთ გვარეულობა ამოსწყვიტეს"[5].

ორბელთა ისტორიის ქართულ ვერსიაში ასევეა შეტანილი: „ხოლო რიცხუსა სომხურსა ქკვ (1177 წ.) აღსდგა შფოთი სამეფოსა შინა საქართველოისასა და სრულიად აღიფხურა სახლი ორბელიანთა"[6].

ივ. ჯავახიშვილი, დაეყრდნო რა ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანისა და სტეფანოზ ორბელიანის ცნობებს, აჯანყების თარიღად 1177 წელს მიიჩნევს[7]. ქართულ ისტორიოგრაფიაშიც სწორედ ეს თარიღია მიჩნეული აჯანყების დაწყების

---

[1] დავით ქობაირელი, მოსახსენებელი, გვ. 262.
[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 367.
[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, თბ., 1892, გვ. 260.
[4] დავით ქობაირელი, მოსახსენებელი, გვ. 262.
[5] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 260.
[6] „ორბელთა ისტორიის" ქართული ვერსია, საისტორიო მოამბე, 6, გვ. 60.
[7] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 242.

დროდ[1] და იქნება არც იყოს საჭირო ამ საკითხზე დამატებით შეჩერება, მაგრამ აქა-იქ ჯერ კიდევ გვხვდება სხვა მოსაზრებებიც (ზოგი ისტორიკოსი თვლის, რომ აჯანყება 1178 წელს დაიწყო) და ამიტომ ვფიქრობთ, რომ ზედმეტი არ არის აღნიშნულ პრობლემაზე ყურადღების გამახვილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე ისაა, რომ აჯანყების თარიღად 1177 წელს ასახელებენ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე („ცხოვრება გიორგი მეფისა") და სტეფანოზ ორბელიანი („ორბელთა ისტორია"), ხოლო 1178 წელს – დავით ქობაირელი („მოსახსენებელი") და აფხაზთა ქრონიკა. იმის განხილვა თუ რომელი წყარო მართებულად, სწორად მიანიშნებს თარიღზე, ერთგვარად რთულია, რადგან ერთი შეხედვით ყველა წყარო დამაჯერებული ჩანს. ამიტომ საჭიროა კიდევ დამატებითი ცნობის მოძებნა საკითხის დაზუსტებისათვის. ასეთ ცნობას წარმოადგენს სწორედ გიორგი მესამის სიგელი, რომელიც დაწერილია 1178 წელს[2]. აღნიშნული საბუთი ყველაზე მეტად სანდოა იმიტომ, რომ თვით გიორგი მესამის მიერ არის შექმნილი და თანაც აჯანყების დამთავრებისთანავე. მივმართოთ სიგელს:

„წელსა მეფობისა ჩუენისა კა-სა, ოდეს ბირებითა და განძრახვითა ეშმაკისათა შეითქუნეს ვიეთნიმე მეფობისა ჩუენისა დიდებულნი და აზნაურნი ორგულობისა ჩუენისათუის და ძმისწული ჩუენი გაგუიყენეს", ე. ი. სიგელის მიხედვით აჯანყება მომხდარა გიორგის მეფობისა „კა" წელს (21-ე წელს), ანუ 1156+21=1177 წელს. ეს თარიღი აჯანყების დაწყების დროა. აჯანყება რამდენიმე თვეს გრძელდებოდა (8-9) თვე და იგი 1178 წლის დასაწყისში „ორბელთა ისტორიის" ქართული ვერსიის მიხედვით, მარტში[3] დამთავრებულა.

საინტერესოდ წარიმართა აჯანყების მსვლელობა. როგორც მოვიყვანეთ ცნობა დავით ქობაირელის „მოსახსენებლიდან", ქართველთა ქვეყნის დიდებულებს დიდი ხანია განზრახვა ჰქონიათ – მეფისაგან განდგომა და გამოძებნეს კიდეც შესაფერისი დრო თავიანთ „ძველ ბოროტ ზრახვათა" განსახორციელებლად.

აჯანყების მონაწილეთა შემადგენლობა საკმაოდ ფართოა. მასში მონაწილეობას იღებს ფეოდალთა დიდი ჯგუფი, რომელსაც სათავეში უდგანან ორბელები (საერთო ხელმძღვანელობას ივანე ორბელი ახორციელებს): „შერისხდა ღმერთი ორბელთა და ყოველთა ტომთა და მიმდგომთა მათთა: სამცხეთართა, ჰერეთთა, კახეთთა და სადაც ნათესავი და ნატამალი მსმენარი მათდა იყო"[4]. ივანე ორბელის გვერდით აჯანყების აჯანყების მესვეურებად ვხედავთ ივანე ვარდანის ძესა და შოთას ძეს ართავაჩოს ძისას. ართავაჩოს ძისას, რომლებიც „ისტორიანი და აზმანის" ავტორს ღალატის „განზრახ-გამგებლებად" და „შინათგამცემლებად" ჰყავს მოხსენიებული; მეამბოხეთა ბანაკშია ქართლის ერისთავი ლიპარიტ სუმ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა და სხვ., საქართველოს ისტორია, გვ. 192.

[2] აღნიშნულ სიგელს საგანგებო ყურადღება მიაქცია აჯანყების დათარიღებისათვის თ. ბარგაველმა, იხ. მისი უფლისწულ დემნას ამბოხების თარიღისათვის, მუზეუმის მოამბე, XIX და XXI, გვ. 107-111.

[3] „ორბელთა ისტორიის ქართული ვერსია", საისტორიო მოამბე, 6, გვ. 61.

[4] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 18.

ბატის ძე, მეჯინიბეთ-უხუცესი ქავთარ ივანეს ძე და ანანია დვინელი... აჯანყებას ფეოდალურ საქართველოში ფართო რეზონანსი ჰქონდა. მას მიემხრნენ სარგის მხარგრძელი შვილითა და ძმისწულით, ჯავახნი კახაჲ შვილებითურთ, დიდი გამრეკელი, მემნა ჯაყელი, ჰასან კაიანის პატრონი და გრიგოლ ანელი აპირატის ძე. დიდ ფეოდალთა ამ ჯგუფმა აჯანყების გეგმა შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც მათ უნდა აეღოთ ძლიერი ციხე-ქალაქები, გამაგრებულიყვნენ და ერთიანი ძალით დაემხოთ გიორგი III. მის ნაცვლად კი დემეტრე გაემეფებინათ. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში დემეტრე ფიქტიური მეფე იქნებოდა და მისი სახელმწიფოც დიდ ფეოდალთა ხელში აღმოჩნდებოდა.

აჯანყებულ ფეოდალთა ლაშქარი, სტეფანოზ ორბელიანის ცნობით, 30 000 კაცს აღემატებოდა. აჯანყების დაწყებისას საქართველოს მეფე დედაქალაქში არ ყოფილა. ვარდანისა და სტეფანოზ ორბელიანის მიხედვით, გიორგი III სახატეს იდგა. როგორც კი შეატყობინეს მას ამბოხების შესახებ, სასწრაფოდ თბილისში წავიდა და იწყო ერთგული ლაშქრის შეგროვება. მეფემ მოკლე დროში შემოიკრიბა ირგვლივ თავისი ერთგულები და საკმაო ლაშქარიც შეაგროვა.

აჯანყების მსვლელობა ასე წარიმართა: თავდაპირველად მეამბოხეებმა კაიანისა და კაიწონის მეციხოვნეები და მხარეთმმართველები დაითანხმეს მეფის წინააღმდეგ გამოსვლაზე. საჭირო იყო მოსახლეობასაც შეეწყო ხელი აჯანყებულებისათვის[1]. აჯანყებულთა შეთანხმების მიხედვით პირველნი შაქის, ჰერეთისა და კახეთის მხარეების მთავრები აჯანყდნენ, ხოლო კაიანისა და კაეწონის მმართველები თავიანთ ციხეებში გამაგრდნენ და მათი მოსაზღვრე მეფის მხარეები აიკლეს[2]. ამის შემდეგ დემნა უფლისწულის, ამ „ახალი მეფის" მეთაურობით (რომელნიც ორბელიანებმა გადაბირებით აგარაკის სიმაგრეში მიიყვანეს და გაამეფეს), იერიში მიიტანეს გიორგი მესამის „საჯდომ სოფელზე" („პარაპოვი" დავით ქობაირელის მიხედვით)[3] და აიღეს კიდეც.

აჯანყებულებმა ყველა თავის თანამზრახველის შეკრება მოინდომეს, რადგან პირდაპირ მეფეზე მისვლა, როგორც ჩანს, ვერ გაბედეს. განზრახვა ერთი იყო – მეფის შეპყრობა. ამ დროს გიორგი III თანდათან იკრებდა ძალას. თავის ლაშქარს დიდ წყალობას შეპირდა (ლაშქრის შემადგენლობაში დვალეთისა და ქართლის მხარის საზღვრებში მყოფი მეომართა ბრბოებიც იყო)[4] და ივანე ორბელის მამულს მიაშურა. იავარჰქმნა და სასახლეები გადაწვა, შემდეგ კი ამბოხებულთა წინააღმდეგ გაემართა.

აჯანყებულები, ბუნებრივია, თვალყურს ადევნებდნენ გიორგი მესამის ამგვარ გაძლიერებასა და მოქმედებას, რასაც ძალზე შეუშინებია ისინი და მერყეობის საფუძველიც კი გამხდარა. ივანეს მომხრე ბევრ დიდებულს სანანებლადაც კი გაუხდა, რომ მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდნენ. მერყეობამ მეამბო-

---

[1] დავით ქობაირელი, მოსახსენებელი, გვ. 263.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.

ხეთა შორის გარკვეული განხეთქილება გამოიწვია. დიდებულებმა იწყეს დემეტრე – ივანესგან ჩამოშორება და გიორგი მესამესთან მისვლა. პირველი – დიდი გამ-
ეროვნული ბიბლიოთეკა
რეკელი ჩამოშორდა მეამბოხეთა ბანაკს და მეფეს მიუვიდა. მის მაგალითს მიბაძა გრიგოლ ანელმაც. ამის შემდეგ ბევრი დიდებული ჩამოსცილდა განდგომილებს და მეფის მომხრეთა დასს შეუერთდა. გიორგი მესამემ დიდებულები მაღალი პატივით მიიღო, „უზომოსა ნიჭითა განამდიდრებდა და ყოველსავე მამულსა აღუთქვამდა მიცემად მათდა“.

გაძლიერებულმა საქართველოს მეფემ „შემყრელმან ლაშქართა თბილისის ქალაქით მიმართა სომხითის მთასა“ თავზარი დასგცა მეამბოხეებს („აოტნა, გააქცივნა“).

ივანე ორბელმა შეიტყო თუ არა, რომ მეფე ლაშქრით მის წინააღმდეგ მიემართებოდა, მთელი თავისი ქონება სამშვილდის ციხეს შეაფარა („სადაც იყო საუნჯე წინაპართა მისთა“), რამდენიმე მეციხოვნე დატოვა, თვითონ კი თავისი ჯარით დემნასთან ერთად ლორეს ციხეში გამაგრდა.

დავით ქობაირელის ცნობით, დემეტრე ივანე ორბელის ძმას ლიპარიტს წაუყვანია კაიანის ციხის მიმართულებით. საქართველოს მეფის ბრძანებით მათ დაედევნა „კეთილმსახური თბილისის ამირთმთავარი ქურდი“, მაჰკაბერდთან დაეწია, ბრძოლა გაუმართა, დიდძალი ალაფი წაართვა და უკან გამოაქცია. ცოცხლად მხოლოდ ცხენოსნებს დაუღწევიათ თავი და ლორეს სიმაგრეში მისულან. მეფის ასეთი წარმატება რომ დაინახეს, კაიანის ციხეში გამაგრებულები მას დამორჩილდნენ. ასევე მოიქცნენ ყველა თანამოაზრეებიც[1].

გაჭირვების ჟამს ივანე ორბელს ლიპარიტი „ძითა ორითა“ ელტიკოზ ათაბაგთან გაუგზავნია, რათა ამ უკანასკნელს ორბელთა შემწედ ჯარი მოეყვანა. „ისტორიანი და აზმანის“ მიხედვით ივანე ამირსპასალარის ბრძანებით „წარსულ იყვნეს სპარსეთს ქართლის ერისთავი სუმბატის ძე ლიპარიტ, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე, რომელნი-ესე გიორგისაგანვე იყვნეს ჴელისუფალნი, და ანანია დვინელი: ზოგნი შაჰარმენისა, ზოგნი ელდაგუზის ძეთასა“[2].

თავის დროზე აკად. ნ. ბერძენიშვილმა უარჰყო ცნობა სტეფანოზ ორბელიანისა დიდებულთა ელტიკოზ (ელდიგუზ) ათაბაგთა გაგზავნის შესახებ და მართებულად მიიჩნია თამარის პირველი ისტორიკოსის მინიშნება იმის შესახებ, რომ დიდებულნი წავიდნენ „ელდაგუზის ძეთასა“. კერძოდ, იგი თვლიდა, რომ აჯანყებულებმა მიმართეს მის უფროს ძეს მუჰამედს[3]. საინტერესოა დავით ქობაირელის მონათხრობი, რომლის მიხედვითაც ივანემ გაგზავნა თავისი ძმა, ლიპარიტი, სამი შვილით (სტ. ორბელიანი ორს იხსენიებს, – რ. მ.) და თავისი უმცროსი შვილიც

---

[1] დავით ქობაირელი, მოსახსენებელი, გვ. 264.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 19.

[3] ნ. ბერძენიშვილი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XII საუკუნის საქართველოში, თსუ შრომები, ტ. VII, 1938, გვ. 189-200.

გააყოლა სპარსთა მხედართმთავარ ხზილთან" (იგი ელდიგუზის უმცროსი შვილი იყო)[1].

ასეა თუ ისე, ივანე ორბელის ბანაკი იმცრობოდა და სუსტდებოდა, ხოლო გიორგი III ძლიერდებოდა და თანდათან უფრო და უფრო აქტიურად მოქმედებდა აჯხანყებულთა წინააღმდეგ. მან აჯანყებულებს „მოუხუნა ყოველნი სიმაგრენი და ციხენი". მეამბოხეებს ჩამოშორდა და მეფეს მიუვიდა სარგის მხარგრძელი „შვილითა და ძმისწულითა მისითა". საქართველოს მეფემ „შეიყვარა და შეიტკბო იგი". გიორგი III ენერგიულ სამხედრო მოქმედებაზე გადადის, თან დიპლომატიურ მოლაპარაკებასაც ეწეოდა ივანე ორბელთან. მოციქულების პირით იგი შერიგებას სთხოვდა ამბოხებულ ამირსპასალარს, მაგრამ ეს უკანასკნელი არ თანხმებოდა გარკვეული დათმობების გარეშე. დათმობა კი იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ საქართველოს მეფეს მისთვის უნდა მიეცა ნახევარი სამეფო[2].

გიორგი მესამის მოლაპარაკება შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. იგი მთლიანად არ იყო დარწმუნებული ჯარის ერთგულებაში და ამ მოლაპარაკებით ყოველგვარის მოულოდნელობის თავიდან აცილებას ცდილობდა. თანაც, ალბათ, ზედმეტ სისხლის ღვრასაც ერიდებოდა. ხოლო თუ სიტყვით ივანე მასთან მივიდოდა, შემდეგ ყოველგვარად შეიძლებოდა აჯანყების თავკაცთან გასწორება.

ასე რომ, მეფისა და ივანეს მოლაპარაკების პირველი ეტაპი უშედეგოდ დამთავრდა. როგორც სტეფანოზ ორბელიანის თხზულებიდან ირკვევა, თვით ივანეს მომხრე დიდებულებიც მოითხოვდნენ მეფისა და გაგულისებული ამირსპასალარის შერიგებას. მათ წერილიც კი დაუწერიათ ივანესათვის, ისრისთვის მიუბამთ და ისე შეუტყორცნიათ ციხეში. საინტერესოა ამ წერილის შინაარსი:

„დიდო ივანევ ორბელიანო, მჰხნეო ძლიერო და უძლეველო, რომელი ხარ ქუეყანისა მის ჭინეთისაგან მოსრულ და ტომი თვითმპყრობელისა მეფისა. ოდეს მოხვედ ქუეყანასა ამას ქართლისასა, აქა ჰპოვე პატივი უზომო, იყავ მთავარი და თავი სახლისა სამეფოისა და სპასალარი გიორგისა ან უკეთუ გნებავს განსუენება და სიცოცხლე, პატივი სასურველი და განუზომელი მამული შენი, რომელი სჯობს ნახევარსა ქართლისასა, მოვედ და მოართვი ყრმა ეგე, ძე დავითისა დემნა, რომელი იქმნა მიზეზი ბოროტისა შენისა და სხვათა მრავალთა"[3].

აღნიშნული წერილი ლექსად იყო დაწერილი. ივნე ორბელს ლექსადვე უპასუხია:

„ჰოი დიდებულნო, საყუარელნო ჩემნო დიდნო და ძლიერნო, მთავარნო კეთილნო. მე, ივანე ორბელიანმა, აღმოვიკითხე წერილი სწავებისა თქვენისა, გარნა მე არ მომწონს განზრახვა ესე თქუენი, რომელიც მოგეწერათ ჩემდა. კაცი, რომელიცა იშვებს სოფელთა ამათ და დაუტევებს ბრძანებასა უფლისასა, გარდავალს აღთქმასა, იგი მიიღებს ნაწილი უარისმყოფელისა და უშრეტსა ცეცხლსა შინა

---

[1] დავით ქობაირელი, მოსახსენებელი, გვ. 265.

[2] იქვე, გვ. 264-265.

[3] „ორბელთა ისტორიის" ქართული ვერსია, გვ. 61.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწვება და ეშმაკთა თანა დაედასების. მე კაცი ვარ წარმავალი. ორის დღის პატივისათვის მე ვერა გარდავალ მას, რომელიც აღმითქუამს, და ვერცა უარვყოფ ფიცსა მას საშინელსა...“[1].

რაკი მშვიდობიანი მოლაპარაკებით ვერ მიაღწია სასურველ შედეგს, გიორგი მესამემ ძალას მიმართა შეკრიბა ჯარი, აჯანყებულებს ლორეს ციხეში მიადგა და ალყა შემოარტყა. დავით ქობაირელის ცნობით, ამ დროს ივანე ორბელს დამხმარე ძალა მოუდიოდა, მაგრამ როცა ამ უკანასკნელთ თვალით უხილავთ გიორგი მესამის ძლევამოსილი ლაშქარი, თავგზა აბნევიათ და ჩუმად უბრძოლველად უკან გაბრუნებულან[2]. მეფის ლაშქარი ციხის ალყის პარალელურად სხვა ციხეებში გამაგრებულებსაც გაუსწორდა და ერთიანად ყველა მორჩილების ხასიათზე დააყენა.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ლორეს ალყა დიდხანს გაგრძელდა (შვიდ თვეზე მეტხანს) მუჰამედ ფეჰლევინ-ჯეჰანის დახმარებამ აჯანყებულთ მაინც ვერ მოუსწროთ. ეს საკითხი დ. ქობაირელის მიერ ერთგვარად პრიმიტიულად მოწოდებული, უფრო ღრმა და რთულ ვითარებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ, როგორც ჩანს, ადერბაიჯანის ათაბაგი, ფრთხილად იქცეოდა. ეს, ბუნებრივია, შორსგახედული დიპლომატიური მოქმედება იყო. მუჰამედი ამბების განვითარებას უდარაჯებდა, რათა იმის მიხედვით წარემართა თავისი საქმიანობა, როგორც ვითარება მოითხოვდა. იგი ცდილობდა უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავისთვის არ მიეყენებინა ზიანი. დაინახა თუ არა მუჰამედმა, რომ ბრძოლა საქართველოს მეფის სასიკეთოდ წარიმართა, ხოლო აჯანყებულები კი მარცხებოდნენ, თავისი საომარი მოქმედება სამშვიდობო ურთიერთობით შეცვალა[3].

ლორის ციხის ალყა თანდათან მძიმე ხდებოდა მეამბოხეთათვის. მეფის ერთგული ლაშქარი „მესხნი, თორელნი, ქართლელნი, სომხითარნი და თჳთ გაზრდილი მისი მეჯინიბეთუხუცესი ჭიაბერი“[4] მძიმე მარწუხებში აქცევენ მეციხოვნეებს. გიორგი მესამეს მხარს უჭერენ „ყოველნი ჰერნი სრულთა ლეკითა და კავკასითა“[5].

მეფის მოლაშქრეებმა გამჭრიახი მოქმედების შედეგად შეიპყრეს ივანე ვარდანის ძე და შოთა ძე ართავაჩოს ძისა. ლორეს ციხეში მყოფთა საქმე სულ უკან და უკან მიდიოდა. („დაულონოვდეს ლორეს შინა მდგომნი“). ასეთი მდგომარეობის გამო, ბუნებრივია, დიდი არევ-დარევა დაიწყო აჯანყებულთა შორის. თვით

---

[1] „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია, გვ. 62.

[2] დ. ქობაირელი, მოსახსენებელი, გვ. 266.

[3] ათაბაგთან მყოფი ლიპარიტი შვილებით მუჰამედთან დარჩა, რადგან საქართველოში მისასვლელი პირი აღარ ჰქონდა. იგი უცხოობაში გარდაიცვალა. ლიპარიტის შვილებიდან ელდიგუზი ერანში დარჩა, ივანე კი განძის ამირასთან გადასულა. ეს უკანასკნელი, სტეფანოზ ორბელიანის ცნობით, თამარის დროს მოუყვანიათ საქართველოში და მათი ყოფილი მამულისაგან ორბეთი მიუციათ. მიიჩნევენ, რომ სწორედ ამ ივანესაგან ჩამომავლობენ აწინდელი ორბელნი (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XII საუკუნის საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 77).

[4] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 109.

[5] იქვე.

დემეტრეს საბელი გადმოუშვია ციხიდან, მისი საშუალებით გამოპარულა და ბიძასთან მისულა[1]. დავით ქორბუირელის სიტყვით, დემეტრე „ფარულად ჩამოვიდა ზღუდეზე გოდრით და მივიდა მეფესთან“[2]. სტეფანოზ ორბელიანი, როგორც ყველა სხვა საკითხს, ამ მოვლენასაც თავისებური ტენდენციურობით გადმოსცემს. მის მიხედვით, დემეტრე (იგი დემნას უწოდებს მას) „უგუნურებითა თვისითა“ შეშინდა, ზღუდიდან გადმოვიდა, მიუვიდა ბიძას, „ფერხქვეშ მოექნა და ეევედრებოდა მხოლოდ სიცოცხლისათვის“[3], მის მხილველ გიორგი მესამეს დიდად გაუხარია და მოციქული გაუგზავნია ივანე ორბელისათვის, თანაც შეუთვალა: ვისთვისაც მებრძოდი, ჩემთან არის და აწი ვისთვისღა ურჩობო. ივანე ორბელი იძულებული გახდა, დათანხმებულიყო მეფის მორჩილებაზე („იკადნიერა ივანემან და მივიდა მეფესთან“)[4].

აქ საინტერესოა ის დეტალი, რომ სტეფანოზ ორბელიანი ხაზგასმით ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს აჯანყების თითქოსდა ძირითად მიზეზზე – დემეტრე უფლისწულს: „რომლისთვისაცა შენ მებრძოდი (ე. ი. დემეტრესთვის, – რ. მ.), აჰა მოვიდა ჩემდა“ და ამით უნდა ერთგვარად მიჩქმალოს ის ზრახვები, რომლებიც დიდ ფეოდალებს ამოძრავებდათ და რის გამოც ფაქტიურად ამბოხება მოეწყო[5].

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მიხედვით ივანე ორბელი თვითონ არ მისვლია მეფეს, არამედ გამოუსხამთ ციხიდან – „ამირსპასალარი და სხუანი, რომელნი დარჩეს ციხესა შინა, გამოასხეს“[6]. დავით ქობაირელის მიხედვით „... შევიწროებულნი და ილაჯგაწყვეტილნი პატიების ფიცით დაიმედებულნი, გარეთ გამოვიდნენ და თალხად შემოსილნი გართხმულნი წარუდგნენ მეფეს“[7].

ამგვარად, ორბელთა ამბოხებამ, რომელიც საქართველოს სამეფო ხელისუფლების, მისი მეფის გიორგი მესამის წინააღმდეგ იყო მიმართული, მარცხი განიცადა. მარცხის მიზეზი ბევრია. ჯერ ერთი, მეამბოხეებს არ ჰქონდათ მკვეთრად ჩამოყალიბებული გეგმა აჯანყებისა.

მეორე, აჯანყების მონაწილეები, მიუხედავად მათ მიერ სტრატეგიული პუნქტების დაკავებისა, ციხეებში გამაგრებისა, იმ ძალასთან შედარებით, რომელიც მეფეს გააჩნდა, სუსტნი იყვნენ.

მესამე, აჯანყების მონაწილეთა შორის არ იყო ერთიანობა, სიმტკიცე, რაც აჯანყების დასაწყისშივე გამოჩნდა.

გარდა ამისა, ორბელებმა ვერც მაშველი ძალა მიიღეს და მომხრეც ბევრი ჩამოშორდათ. ასე რომ, აჯანყება იმთავითვე განწირულად გამოიყურებოდა.

---

1 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 20.
2 დ. ქობაირელი, მოსახსენებელი, გვ. 266.
3 „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია, საისტორიო მოამბე, 6, გვ. 62.
4 იქვე.
5 იქვე.
6 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 20.
7 დ. ქობაირელი, იქვე.

საქართველოს მეფემ „აიღო ლორე და დაიჭირა თავისა თჳსათჳს". ისტორიკოსის ცნობით, მტრის შემრისხველი, ზეამაღლებული და მორჭმული გიორგი მესამე წამოვიდა ნაჭარმაგევს. „ურჩთა და მტერთა მისთა ზედა და შემსგავსებული საქმეთა მათთა მიაგო მისაგებელი"[1]. ე. ი. საქართველოს მეფემ დანაშაულის შესაფერი სასჯელი მიუზღო ყველას. ივანე ორბელს თვალები დასთხარეს. აჯანყების ბევრი მოთავე სიკვდილით დასაჯეს („ორბელნი მეფემან იპყრნა და დახოცნა")[2]. დემეტრე უფლისწულს თვალები დასთხარეს და ამასთანავე დაასაჭურისეს. ამ უკანასკნელი აქტით გიორგი მესამემ ძირიანად მოსპო მომავალშიც რაიმე გაუგებრობა ტახტის მემკვიდრეობის თაობაზე, რადგან დემეტრე ამიერიდან შთამომავლის გარეშე უნდა გადაშენებულიყო. მისანიშნებელია ის ფაქტიც, რომ დემეტრე უფლისწული მეფეთა საგვარეულო საძვალეში გელათში კი არ დამარხეს, არამედ მცხეთაში.

გიორგი მესემემ ორბელთა მამულები თავის ერთგულებს (მათ, ვინც შეთქმულთა წინააღმდეგ მეფის მხარეზე იყო) უწყალობა, მათ შორის დიდი ნაწილი – ყივჩაყ ყუბასარს, რომელიც, როგორც ჩანს, ერთგულებასთან ერთად თავისი ღირსებებითაც გამოირჩეოდა. მეფემ იგი ორბელთა სამთავრო პატივში აიყვანა და საქართველოს სპასალარად დანიშნა. გიორგი მესამემ ასევე „უგვარო", ადრე „აზნაურის ყმობაში ყოფილი" აფრიდონი დააწინაურა მსახურთუხუცესის თანამდებობაზე.

სწორედ ორბელთა აჯანყების ჩახშობის უმალვე შეასრულა გიორგი მესამემ ფეოდალური საქართველოსათვის რამდენადმე უჩვეულო (იმდენად, რამდენადაც საქართველოს ისტორიამ აქამდე არ იცოდა ქალის მეფობა) აქტი – საქართველოს სამეფო ტახტზე აიყვანა თავისი ქალი თამარი. „განრჩევითა და გამორჩევითა, განგებითა და გაგონებითა ზენისა მის ხუედრისა შარავანდედთა მნებებელისათა მეფე იყო თამარ, თანადგომითა ყოველთა პატრიარქთა და ებისკოპოზთა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა"[3].

ამრიგად, საქართველოს სამეფო კარმა, მისმა მეფემ გიორგი მესამემ შესძლო ორბელების თავკაცობით მოწყობილი დიდ ფეოდალთა ამბოხების ცეცხლითა და მახვილით შემუსრვა, გამოიყენა უკიდურესი დესპოტური ზომები აჯანყების მოთავეთა (პირველ რიგში ორბელთა) და ყველა მონაწილეთა დასჯის მიზნით, რითაც ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი მეფის ხელისუფლების სიძლიერეს და სხვა დიდ ფეოდალებსაც მეფის წინააღმდეგ გამოსვლის ყოველგვარი ხალისი დაუკარგა, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ბრძოლა მეფესა და დიდგვაროვან ფეოდალებს

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 20.

[2] ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 367, სტ. ორბელიანის ცნობით გიორგი მესამემ ამოსწყვიტა ორბელთა „ყოველი თესლი" და „... საეკლესიო შეჩვენებით დაამტკიცა, რათა მათს (ორბელთა) სახელს არავინ ახსენებდეს და საქართველოში მათგან არავის აბოგინებდნენ"...

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 21.

შორის ამით არ დამთავრებულა. ეს ბრძოლა წითელ ზოლად გასდევს მთელს სიგრძეზე ფეოდალური საქართველოს ისტორიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

1177-1178 წლებში დიდგვაროვან ფეოდალთა აჯანყება საქართველოს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მწვავე შინაპოლიტიკური ბრძოლის აშკარა გამოვლინებაა და თვალნათლივ მიუთითებს იმ კლასობრივ ანტაგონიზმსა და სოციალურ წინააღმდეგობებზე, რომლებიც ფეოდალური წყობილებისათვის ჩანასახიდანვე იყო დამახასიათებელი. გარკვეული ოპოზიციაა შექმნილი ფეოდალიზმის წინააღმდეგ ერთის მხრივ, იმ გლეხთა მასების მიერ, რომლებიც მძიმე ექსპლოატაციას განიცდიან, ხოლო, მეორე მხრივ, თვით გაბატონებული კლასის (ფეოდალების) შიგნით არსებული წინააღმდეგობების გამო.

სწორედ ფეოდალური წეს-წყობილების წიაღში წარმოიშვა ორბელიანთა თაოსნობით აჯანყება, რომლის გამომწვევი მიზეზიც თვით წყობილების არსში მდგომარეობდა. ქართულმა ისტორიოგრაფიამ ეს აჯანყება დემნა უფლისწულის სახელით მონათლა, რაც მართებული არ არის, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ეს იყო დიდგვაროვან ფეოდალთა ორგანიზებული გამოსვლა საქართველოს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ თავისი უფლებების გაზრდა-გაფართოებისათვის. დემნა უფლისწულის გამეფების საკითხი კი მხოლოდ საბაბი იყო ფეოდალთა ზრახვების დასაფარავად და ხალხის ფართო მასების თვალში აჯანყებულთა მოქმედების იდეოლოგიურად გასამართლებლად. ეს იმიტომ, რომ თუ კი მოსახლეობის ფართო ფენები ირწმუნებდნენ აჯანყების მართებულობას, მაშინ მათი მხარდაჭერაც იქნებოდა.

1177-1178 წლებში დიდგვაროვან ფეოდალთა აჯანყება პოლიტიკური ბრძოლის გარკვეულ ფორმას წარმოადგენს. დიდაზნაურთა მახვილი მიმართულია გაერთიანებული ქვეყნის მეფის კარის დაუფლებისათვის, რაც აუცილებელი იყო საკუთარი კლასობრივ-წოდებრივი უფლებების (ინტერესების) უზრუნველსაყოფად. ორბელიანთა ხელმძღვანელობით მეფის წინააღმდეგ გამოსვლა გარკვეული გაგრძელებაა იმ ბრძოლებისა, რომლებიც ერთიანი საქართველოს მეფეებსა (ბაგრატ მესამიდან მოყოლებული დავით აღმაშენებლის ჩათვლით) და კლდეკარის ერისთავებს შორის მიმდინარეობდა XI საუკუნის მთელ სიგრძესა და XII საუკუნის პირველ მეოთხედში.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამეფო კარზე გავლენის მოპოვებისათვის ბრძოლაში მსხვილი ფეოდალების გვერდით წვრილ აზნაურთა ფენებსაც ვხედავთ. ესენი არიან ეკლესიის მსახურნი, რომლებმაც თავად ასწავლეს დიდ აზნაურებს (მაგალითი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უჩვენეს), თუ როგორ უნდა ძალაუფლების ხელში აღება (სწორედ საზოგადოების ამ ფენამ გადააყენა გიორგი მეორე)[1].

დიდგვაროვან ფეოდალთა გამოსვლა გიორგი მესამის წინააღმდეგ თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით მოხდა. მასში მონაწილეობას იღებენ საზოგადოების ფართო ფენები (აჯანყების მომხრედ თუ მოწინაღმდეგედ). აჯანყების ბედზე ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. მიუხედავად ამ უმკაცრესი ზომებისა, რომლებიც საქართველოს სამეფო კარის მიერ იქნა გატარებული აჯანყებულთა წინააღმდეგ (დახოცვა, ექსორია, განპატიჟება, დიდგვარიანთა ნაცვლად ერთგული უგვარო პირების დაწინაურება), ქვეყანაში არსებითად ვითარება არ შეცვლილა და გატარებული ღონისძიებებიც დროებითი აღმოჩნდა (თამარის დროს უგვაროები გადააყენეს და ექსორიაქმნილთა ამინისტიაც გატარდა). საქმე ისაა, რომ ამ დროს საქართველო თავისი ფეოდალური განვითარების სიმწიფეში შედიოდა, როცა ქალაქებს, ხელოსნებს, „მესამე წოდებას" უკვე მოუდგამს ფეხი, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლა ფეოდალიზმისათვის მაინც არ გამოუცხადებია. ერთი სიტყვით, ახალი კლასი, რომელსაც შესაძლო იყო მეფე დაყრდნობოდა, ჯერ კიდევ არ იყო მობილიზებული. ეს უკანასკნელი კი იმას განაპირობებდა, რომ ქვეყანაში არსებითად რაიმე სიახლის მოლოდინი არ გამართლდებოდა.

1177-1178 წლების აჯანყება უდიდესი მნიშვნელობისაა იმით, რომ არსებითად ამ გამოსვლით დაიწყო ქვეყანაში პოლიტიკური მღელვარება; ბრძოლა დიდგვარიანებსა და „უგვაროებს" შორის, საერო და საეკლესიო ფეოდალებს შორის, მეფის ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის. ამდენად, აღნიშნულ აჯანყებას, როგორც კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის აშკარა გამოხატულების მქონე აქტს, საქართველოს სოციალური ბრძოლის ისტორიაში მეტად თვალსაჩინო ადგილი უკავია.

1972 წ.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობაში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 34-35.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის ეტიმოლოგიის საკითხები

რეპლიკა

საქართველოს დედაქალაქის სახელწოდების წარმოშობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ერთ დროს ფიქრობდნენ, რომ ტოპონიმი თბილისი წარმოდგა ადამიანის საკუთარი სახელისაგან თობელ (თუბალ, თობალ – ასე ერქვა „ბიბლიის" გენეალოგიის თანახმად ნოეს უმცროსი ვაჟის იაფეტის შვილს). ეს აზრი გატარებულია ქართველი კათოლიკების მიერ შედგენილ „საყოველთაო ისტორიაში", რომლის მიხედვით „ქართველები იაფეთის მეხუთე შვილის თობალისაგან მომდინარეობენ. სადაც თობალი დადგა, ეწოდა თობალისი, აწ თბილისი". ამგვარ ახსნას მხარს უჭერდა პროფესორი ლ. მელიქსეთბეგი. პროფესორებმა დ. გვრიტიშვილმა და შ. მესხიამ ეს მოსაზრება საეჭვოდ მიიჩნიეს. ეს ეჭვი საფუძვლიანი იყო. ტოპონიმი თბილისი ტფილისის სახით დამოწმებულია ევსტათი მცხეთელისა (VI ს. ძეგლი) და აბო ტფილელის (VIII ს.) წამების წიგნებში. „ქართლის მოქცევის" წიგნში, რომლის უძველესი ტექსტი ცნობილ შატბერდის კრებულშია დაცული (გადაწერილია X ს-ში), ტფილისი დაპირისპირებულია ძველ დედაქალაქ მცხეთასთან.

მკვლევართა უმრავლესობის აზრით, სახელწოდება ტფილისი იმ თბილი წყაროებიდან მომდინარეობს, რომლებიც უხვადაა ქალაქში და რომლებზედაც აბანოები იყო გამართული. ასე მიაჩნდა ჯერ კიდევ ამ საუკუნენახევრის წინათ უ. კლაპროთს. ამავე აზრს ეთანხმებოდნენ პ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, ნ. ბერძენიშვილი, ნ. გორიაევი, ი. ჯავახიშვილი, კ. ჰანი, ს. კაკაბაძე და სხვ.

აი რას წერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. შანიძე სტატიაში „საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებისათვის": „ცოტაა საქართველოში გეოგრაფიული სახელები, რომელთაც ისეთივე ცხადი ეტიმოლოგია ჰქონდეთ, როგორიცაა თბილისი, რომელსაც ძველად... ტფილისი ერქვა" (კრებული, „თბილისი 1500", თბ., 1958 წ.). ეს სიტყვა შემადგენელ ნაწილებად ასე იშლება: ტფ-ილ-ის-ი. ბოლო ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია, ის სუფიქსია, გვხვდება სხვა გეოგრაფიული პუნქტების სახელებშიც (მანგლ-ის-ი, ბოლნ-ის-ი, რუ-ის-ი, წავკ-ის-ი და სხვ.), ილ ძველი სუფიქსია, რომელიც ნაწარმოებ სიტყვებში არ ჩანს (მაგალითად, სიტფ-ო, გან-ტფ-ა და სხვ.).

ა. შანიძე მტკიცედ ასაბუთებს, რომ სიტყვა ტფილ-ი, რომელიც საფუძვლად უდევს საქართველოს დედაქალაქის სახელს, ძირეული სიტყვაა, რომელსაც შესა-

ტყვისი მოეპოვება ჭანურ-მეგრულსა და სვანურში. აქედან გავრცელდა თბილისის სახელწოდება მთელს დედამიწაზე (მაგალითად, სომხურში ძველი გამოთქმით თფლის, XII ს-დან ტფფხისს იძლევა; ბერძნული ტიფილის, რუსული Тифлис და ევროპულ ენებში – Tiflis).

ჯერჯერობით არ არსებობს საფუძველი თბილისის სახელწოდების სხვაგვარი ეტიმოლოგიისათვის. ამიტომ ამ საკითხში სარწმუნო არგუმენტაციის გარეშე კვლევის ცდები უსარგებლო ეტიმოლოგიური ვარჯიშის ფარგლებს ვერ გასცდება.

ტოპონიმი თბილისის ეტიმოლოგიის ასეთი ცდა მოცემულია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ივანოვის სტატიაში „След светоносных“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში „Техника – молодёжи“ (№8, 1977 წ.). სტატია წარმოადგენს ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ი. სარატოვის ჟურნალის იმავე ნომერში გამოქვეყნებული ეტიმოლოგიური ხასიათის წერილის „О поле, поле...“-ს კომენტარს.

ჩვენ მიზნად არ ვისახავთ დასახელებულ სტატიათა განხილვას, რადგან მათში ძირითადად გადმოცემულია სლავურ ტოპონიმთა ეტიმოლოგიის ცდები. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ასეთი მსხვილი პლანის ისტორიული პრობლემების კვლევისას სასურველია მეტი სიფრთხილე და სიღრმე. ჩვენ შევეხებით მხოლოდ ვ. ივანოვის მოსაზრებას ზოგიერთი ქართული ტოპონიმის წარმოშობის შესახებ.

აი რას წერს ვ. ივანოვი ზემოხსენებულ სტატიაში:

„Историки допускают, что в конце II – начале I тыс. до н. э. киммерийско-славянские (? რ. მ.) отряды через Фракию и Боспор вторгались в Малую Азию, а из Русского Поля просачивались через Дарьяльское ущелье в Закавказье. Вскоре во главе Урарту, унаследовавшего славу индоевропейского хуррито-митаннийского государства II тыс. до н. э., становится царь Руса I (конец VIII века до н. э.). Вблизи теплых источников к югу от Главного Кавказского хребта основывается опорный пункт Теплице, впоследствии Тифлис (ныне Тбилиси). Затем славяне воздвигают в Мингрелии цитадель, получившую название Горди (от „город“, „град“)...“.

ციტატის ავტორი თავს იზღვევს, როცა წერს თითქოს „историки допускают...“ მაგრამ არ ასახელებს რომელიმე მათგანს, არ მიუთითებს სად, რომელ ნაშრომში ან რომელ წყაროშია ასეთი ეტიმოლოგიური დასკვნების საფუძველი; ან საიდან მოიტანა ცნობა, რომ „основывается опорный пункт теплице, впоследствии Тифлис“? დღემდე ცნობილი ისტორიული წყაროები ამის შესახებ არაფერს ამბობს. თუმცა სტატიაში არა მარტო წყაროებია უგულებელყოფილი, არამედ ამ საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურაც.

ასევე დაუსაბუთებელია ვ. ივანოვის მოსაზრება ქართული ტოპონიმის გორდის წარმომავლობის შესახებ.

ტოპონიმი გორდი დამოწმებულია იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის მიერ შედგენილ რუკაზე (1654 წ.). გორდი იხსენიება ვახუშტი ბატონიშვილთანაც.

საგულისხმოა, რომ ისტორიულად (ვახუშტის მიხედვით) გორდი ლეჩხუმს ეკუთვნოდა: „გორდა არს სოფელი ლეჩხუმისა, ლეჩხუმის ბოლოს. ესენ, რომელნი არიან ოდიშს დადიანად, ამას გორდასა შინა იყვნენ მსახლობელნი, ჩიქოვანნი, და იქიდან გადადიანდნენ“.

გაკვირვებას იწვევს ვ. ივანოვის მიერ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გორდის ეტიმოლოგიის განსაზღვრა „город“-იდან, „град“-იდან და ამ დებულების ჭეშმარიტებად გამოცხადება.

ავტორს, როგორც ჩანს, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაზეც. სოფელი გორდი ამჟამად ხონის რაიონშია, ცხენისწყლის ხეობაში, ხონიდან 20 კმ დაშორებით. საინტერესოა, თუკი ვინმე სხვა ტომისა და გვარის წარმომადგენელმა აღმართა გორდში ციტადელი, რატომ მოხდა ეს, რამ განაპირობა გორდის არჩევა ამგვარ პლაცდარმად? ამას დასაბუთება სჭირდება. ჩვენს ავტორს კი ამგვარი საკითხები არ აინტერესებს.

დაბოლოს, თვით გორდის ეტიმოლოგიაც ადგილობრივი მასალის სრული უგულებელყოფითა და უცოდინარობითაა წარმოდგენილი. ვ. ივანოვმა, ალბათ (ალბათ კი არა ნამდვილად), არ იცის, რომ ქართულ ენაში არსებობს: კორდი, გვერდი, გორდა, ჭანურ-მეგრულში – გორდი, რომლებსაც უფრო უახლოვება „გორდი“, ვიდრე მის მიერ შემოთავაზებულ სიტყვებს. ზემოთ ისიც ვნახეთ, რომ გორდი ზოგჯერ სულაც გორდას ფორმითაა დამოწმებული (ვახუშტი).

ერთი სიტყვით, ჩვენი ავტორი წყაროებისა და ლიტერატურის შეუსწავლელად და გაუთვალისწინებლად გვთავაზობს თავის მოსაზრებებს საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ, მაგრამ ამ მოსაზრებათა მიღება ზემომოყვანილ მიზეზთა გამო შეუძლებელია.

ეტიმოლოგიაში გაუმართლებელია მოსაზრებები და უსაფუძვლო ჰიპოთეზები, რომლებსაც საღ მეცნიერულ აზრთან არაფერი აქვს საერთო, არც საკვლევ ობიექტს მატებს რამეს და, მით უმეტეს, არც ფართო მკითხველთა წრეს.

1978 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვეყნის თვალი, მზისა დარი...
თამარ მეფის სახე ხალხურ შემოქმედებაში

> რაჭაში კარგ ქალს ასე დაიტირებდნენ:
> „კაი ქალოო, თამარ დედოფლის მგვანეო,
> ხმა დაბალო და საქმე მაღალოო“.

ქართველი ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე შექმნილ სულიერი და ნივთიერი კულტურის მრავალფეროვან და მდიდარ საგანძურში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხალხურ შემოქმედებას, კერძოდ, ზეპირსიტყვიერებას.

უშუალობა, ასაწერ საგანთან განსაკუთრებული სიახლოვე, უბრალოება, პოეტური ოსტატობა – აი რა ხდის ხალხურ შემოქმედებას ძალზე მიმზიდველს და საინტერესოს.

სიტყვიერი ხელოვნება ხალხურ შემოქმედებაში მაღალესთეტური მოვლენაა. მასში მკაფიოდაა გამოხატული ხალხის სულისკვეთება და ნება-სურვილი. ყოველ საუკუნესა და ეპოქას თავისი სათაყვანებელი გმირები ჰყავს. ერის ფიქრიც ამ გმირებთანაა. ხალხს – შემოქმედს – უყვარს თავისი გმირი, თუკი იგი ხალხის ნება-სურვილის, მისი სულისკვეთების გამომხატველია, მზრუნველია მისთვის და თავდადებულია ერისა და სამშობლოსათვის.

ქართველმა ხალხმა დიდებული საგალობლები უძღვნა ჩვენი ქვეყნის მდიდარ წარსულს, თავისუფლებისა და მშვიდობისათვის მებრძოლ გმირებს.

ქართველი ხალხის ხოტბა-შესხმის სფეროში მეფეებიც მოხვდნენ, მაგრამ ქართველ მეფეთა ძალზე დიდი და მრავალგვაროვანი გალერეიდან მხოლოდ ორს – თამარ მეფესა და ერეკლე მეორეს ხვდა წილად ხალხის განუზომელი სიყვარული, პატივისცემა, გულისხმიერი შეფასება და აღტაცებული ქებათა-ქება.

თამარ მეფე განსაკუთრებული ელვარებით ჩანს საქართველოს ისტორიაში. პროგრესულად მოაზროვნე ქართველმა საზოგადოებამ გადაჭრა შუა საუკუნეებისათვის მეტად რთული და მნიშვნელოვანი საკითხი – ქალის ხელისუფლების პრობლემა. სამეფო ტახტზე აიყვანეს ქალი, როგორც ქვეყნისა და სახელმწიფოს სრულუფლებიანი საჭეთმპყრობელი და მეფეთა-მეფე. ამიერიდან ძალუმად გაისმა შუა საუკუნეებისათვის არცთუ ისე მისაღები სიტყვები: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

თამარ მეფის ნათელმა პიროვნებამ, მისმა ძლევამოსილმა მეფობამ, წინდახედულმა პოლიტიკამ და გამჭრიახობამ, თანამედროვეთა აზრით, დიდად შეუწყო ხელი საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ აყვავებას. ყოველივე ამის გამო ხალხმა ხოტბა შეასხა თავის სათაყვანებელ დედოფალს.

თვით მემატიანეებმაც კი გულუხვი ეპითეტებით შეამკეს თამარ მეფე: „სამგზის სანატრელი და სამებისაგან ოთხად თანააღზევებული", „გვირგვინი ყოველთა ხელმწიფეთა", „მზეთა-მზე და დედოფალთა დედოფალი, შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინვებული" და სხვ.

ბუნებრივია, თამარის ქველმა საქმიანობამ და ბრძნულმა მოღვაწეობამ ხალხიც აღაფრთოვანა და ამ უკანასკნელმაც არა ერთი და ორი სიმღერა-ხოტბა უძღვნა საყვარელ მეფე-ქალს:

უფლისა იყო ბრძანება,
შაირტყა მამის ხმალიო
მამის სამეფო აიღო,
თვითონ ბრძანდება ქალიო;
ხმელეთ თავისად მაიგდო,
იმდენიცა აქვს ძალიო;
შუა ზღვას ჩადგა სამანი,
სამანი – რკინის სარიო.

„ბრძანებდა დამბადებელი".

სხვათა შორის, თამარის მიერ სამნის (მიჯნის) დადება მოსაზღვრე ქვეყნებთან სხვა ხალხურ ლექსებშიცაა ხაზგასმული. ასე მაგალითად:

თამარ დედოფალი ვიყავ, დიდი სახელი გავიგდე,
შემოვუარე ხმელეთსა, წილი არავის დავუდე,
ჩავჰყარე ზვაში სამნები, ხმელეთი ჩემკენ გავიგდე.

„თამარ მეფეზე".

ან

ქალმა თქვა თამარ ნეფემა: ხალხისა ვერა გავიგი,
შუა ზღვას ჩავდგი სამანი, ქართვლობა ჩემკენ მოვიგდი,
ხახმატს ავაგე საყდარი, ვერცხლის თასები შავიღი...

„ქალმა თქვა თამარ ნეფემა".

ან კიდევ

თამარ დედოფალი ვიყავ,
თავი ძირს აღარ დავიღე,
ზღვაში ჩავყარე სამნები,
ხმელეთი ჩემკენ დავიგდე;
ქაჯებსა დავდე იჯარა...

„თამარ დედოფალი ვიყავ".

ბუნებრივია, ეს სტრიქონები თამარ მეფის ძლევამოსილი ბრძოლებისა და გამარჯვებების შემდეგ იქმნებოდა. როგორც ცნობილია, 1195 წელს შამქორის მიდამოებში მოხდა ბრძოლა თურქთა შეერთებულ ლაშქართან, რომელსაც აბუბექრი სარდლობდა. თამარის ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა თურქთა კოალიცია და შამქორიცა და განძაც ხელთ იგდო. შამქორის ომმა ნათელჰყო საქართველოს ლაშქრის სიძლიერე და მისი უპირატესობა მთელ აღმოსავლეთში. თანდათან საქართველოს მეფეს დამორჩილდნენ გელაქუნის (სევანის ტბის) გარშემო ქვეყნები, არარატის დაბლობის სომხური თემები, ჭოროხის ხეობის ზემო ნაწილი.

XIII საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს სამეფო კარზე მომწიფებულმა აზრმა – შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ისეთი ქრისტიანული სამეფოს შექმნისა, რომელიც საქართველოს აქტიურად დაუჭერდა მხარს თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში – თავისი განხორციელება ჰპოვა. 1204 წელს თამარის ბრძანებით, ქართველთა ჯარმა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე გაილაშქრა და ადვილად დაიპყრო ქართველი ტომებით დასახლებული ჭანეთი (ლაზისტანი). ქართველებმა დაიმორჩილეს ტრაპიზონი, სამსონი, სინოპი, კერასუნტი, კოტიორა და ჰერაკლეა. ამ ქვეყნებიდან თამარმა შექმნა ცალკე სახელმწიფო.

სწორედ ამიტოს ათქმევინა ხალხმა თამარს:

„ჩავჰყარე ზღვაში სამნები,
ხმელეთი ჩემკენ დავიგდე“.

კარის (ყარსის) აღებისა და ბასიანის ძლევამოსილი გამარჯვების (1203 წ.) შემდეგ თამარს უფლება ჰქონდა ხმამაღლა ეთქვა:

ქაჯებსა დავდე იჯარა,
ისპაანს ხარჯი ავიღე,
სტამბოლს ხმალი ვკარ, დარუბანდს,
შამს საბალახე ავიღე,
უსიერი მთა გავკაფე,
დიდი შარა-გზა გავიღე,
ღადა-ღუდა ტყე ვიარე,
ქვაზე საყდარი ავიგე.

„თამარ დედოფალი ვიყავ“.

ხალხური ზეპირსიტყვაობის მიხედვით თამარს დედამ უწინასწარმეტყველა დიდი მომავალი:

თამარს უამბო დედამა,
შენზედ სიზმარი ვნახეო.
ერთსა სარკეში ჩავხედე,
ხმელეთ სულ დავინახეო,
შენ იყო, შვილო, ქვეყანა,
შაგნებით შაინახეო.

„სიზმარი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანა ფშავში თამარისა და ლაშარის სალოცავები ერთმანეთის პირდაპირ დგას, არაგვის გაღმა-გამოღმა გორებზე და ხალხმაც თავის წარმოდგენაში თამარ დედოფალი ლაშარის ჯვარს დაუკავშირა:

შვიდი წლის ქალი მობრძანდა
თამარი დედუფალია,
ჩიქილა გადაიქნია,
გადააქანნა ზღვანია...
ლურჯცხენა ყმაწვილ მობრძანდა
ლაღი ლაშარის ჯვარია.
– ერთურთის პირდაპირ დავდგეთ,
ვიმსახურნოდეთ ყმანია...

„თამარ დედოფალი და ლაშარის ჯვარი".

თამარ მეფე დიდ აღმშენებლობით მოღვაწეობას ეწეოდა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. თამარის სახელთან არის დაკავშირებული ბევრი საერო თუ სასულიერო (საკულტო) ნაგებობა.

სივანს ციხე ამიგია, ახალციხეს ყველაწმინდა,
ას-ორასი მარილის ქვა პურ-უხვდურზე გადმიგია...

„სივანს ციხე ამიგია".

როცა თამარი „მაღალმა ღმერთმა" ხონთქარს წაჰკიდა, ქართველმა მეფემ სასწრაფოდ ჩაუშვა ზღვაში ხომალდები, შიგ ქართველთა ლაშქარი მოათავსა და გამარჯვების შემთხვევაში „მრავალს წყალობას დაჰპირდა":

თამარ მეფე და ხონთქარი
მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა,
ზღვაში ჩაუშვა ხომალდი,
ზედ ალმასები დაჰკიდა,
შიგ ჩასვა ქართველთ ლაშქარი,
მრავალს წყალობას დაჰპირდა.

„თამარ მეფე და ხონთქარი".

ეს ლექსი თამარ მეფის ძალასა და ძლიერებაში დარწმუნებულ ხალხს შეუქმნია. მასში თუმცა გამარჯვებაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ გვჯერა, რომ ქართველი მეფე ლაშქარს გამარჯვებულს გამოიყვანს ბრძოლიდან. ასე სჯეროდა ეს შემოქმედ ქართველ ხალხსაც. ეს ნაწარმოები უნებლიეთ მოგაგონებთ ხალხურ ლექსს „ერეკლე და კოხტა ბელადი", თუმცა ამ უკანასკნელში თვით შებრძოლების ფაქტია აღწერილი:

ორნივ ხმალდახმალ შეიბნენ,
გათამამდა მწვედ მურტალი,
ზედ შევარდა მოურიდლად,
ვაი მისი დედის ბრალი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისე გადასჭრა ცხენზედა,
წყალივით გაავლო ხმალი.

„ერეკლე და კოხტა ბელადი“.

აქ ერეკლეს ვაუკაცობაა აღწერილი, რასაც ნაზი და სათნო „ეთეროვანი“ თამარი, ბუნებრივია, ვერ მოიმოიქმედებდა, მაგრამ კიდევ ვიმეორებთ, ზემოთ დასახელებულ ორ ლექსს შორის („თამარ-მეფე და ხონთქარი“ და „ერეკლე და კოხტა ბელადი“) გარკვეული სიახლოვე მაინც იგრძნობა.

თამარი ისეთი კეთილი ადამიანი იყო, რომ მისი ყმობა სასურველად ითვლებოდა:

ათასი კაბა ყმა მყავდა,
ყველანი ოქროს ღილითა,
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა,
ვასმევდი ბროლის ჭიქითა...

„თამარის ყმობა“.

თამარის სახე ქართველი ხალხის მეხსიერებაში დარჩა როგორც ეტალონი სილამაზისა და მშვენიერებისა, როგორც სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავდაუზოგავად მებრძოლი გმირი ქალის სახე:

ო, სიხარულო თამარ დედოფალო,
ყველაზე უკეთესო, თამარ დედოფალო!
თმები გედგა ხუჭუჭი,
თვალები გესხა გიშრისა,
კბილები გქონდა მარგალიტისა...

„თამარ დედოფალო“.

საჭიროების შემთხვევაში თამარის სილამაზე და სიმშვენიერე მტრის რისხვად იქცეოდა. იგი ყოველთვის მზად იყო მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად:

... შიგნით გეცვა ატლასი,
გარეთ გეცვა აბჯარი,
ფეხზე გეცვა ქოშები,
თავზე გედგა ზუჩი,
ცხენი გყავდა ქვიშისფერი,
უნაგირი ედგა მოვერცხლილი,
მათრახი გქონდა ოქროსი...

„თამარ დედოფალი“.

თამარის სახემ, მისმა პიროვნებამ ქართულ ეპოსშიაც ჰპოვა თავისი ასახვა. ქართველი ხალხის ეპოსი გამოირჩევა თავისი სიმდიდრით, როგორც ფორმის მრავალფეროვნებითა და მხატვრული დახვეწილობით, ისე თავისი ამაღლებული იდეებით. სწორედ მდიდარმა ქართულმა ეპოსმა „ამირანიანისა“ და „ეთერიანის“ გვერდით შემოგვინახა გადმოცემები თამარ მეფეზე.

ქართულ ეპოსში თამარი ასახულია როგორც ბრძენი მეფე და ამავე დროს მშვენიერი ქალი; ქალი, რომელსაც შეუძლია სიყვარული კარგი ... , რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობებიც აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ თამარ მეფე სანადიროდ წასულა გორის მახლობლად, მონადირეები დიდძალი ნანადირევით დაბრუნებულან. არ ჩანდა დედოფლის საყვარელი მიმინო. იგი თურმე გორის ბორცვის კლდის გამოშვერილ ქიმზე ჩამომჯდარიყო. გორის ბორცვი კუნძულივით იყო მტკვრის, ლიახვისა და მეჯუდის წყლებს შორის. აქ საშინელი მორევი ტრიალებდა. თამარმა ბრძანა: ვინც მიმინოს მომიყვანს, ყოველვგარ საწადელს ავუსრულებო.

„ტბა-მორევი კი ღელავდა, ქშინავდა. დედოფლის დავალების ამსრულებელი არ ჩანდა, მაგრამ უცებ გუნდიდან გამოვიდა ვიღაც მშვენიერი ჭაბუკი. ფიცხლავ თავი დაუკრა თამარ მეფეს, დაეშვა გორიდან და გადახტა მორევში... მიმინო ხელთ იგდო და მღელვარე ტალღებში გადაეშვა ისევ“. თამარი ფიქრობს:

„პირობა დავუდე, რასაც მთხოვ, აგისრულებო: ხელი რომ მთხოვოს? – გაიფიქრა უცებ თამარმა. გულში შეევედრა ღმერთს: თუ ასეთი განზრახვით მოჰყავს მიმინო, ღმერთო, დაღუპე და მორევს მიეცი“.

და აქ თავს იჩენს ამ თქმულების შემქმნელი ხალხის სურვილი. სურვილი ხალხისა, რომლის წარმოდგენაში ქართველი მეფის შესაფერისი საქართველოს მიწა-წყალზე არ მოიპოვებოდა და ბუნებრივია, თუ ეს ყმაწვილი გაკადნიერდებოდა და ოდნავადაც კი გაივლებდა გულში „უკადრის ზრახვას“, მაშინ ღმერთი სამაგიეროს მიუზღავდა. და მართლაც:

„წყალმა ჩასძირა გმირი ჭაბუკი. ინანა თამარმა და ცოდვის მოსახდელად ეს კეთილი საქმე ჰქმნა: ტბა-მორევი, რომელიც ყოველწლივ რამდენიმე კაცს ახრჩობდა, ჩაუშვა მტკვრის კალაპოტში და დაწრიტა, ბორცვზე კი ააგო მაგარი გორიც ციხე“ („დაიღუპოს, თუ ცუდი განზრახვით მოდის“).

ქართველმა ხალხმა თამარის პიროვნება იმთავითვე შოთა რუსთველის სახელს დაუკავშირა. რაჭაში სოფელ შქმერის მახლობლად მაღალ მიუვალ კლდეში გამოქვაბულია ჩაშენებული. გადმოცემით, ამ გამოქვაბულში თამარ მეფის აკვანი დგას და კლდეზე მისი გამოსახულებაა დაცული. ამ გამოქვაბულთან ასეთი თქმულებაა დაკავშირებული:

„თამარ მეფესა და რუსთველს ერთმანეთი ბავშვობიდანვე უყვარდათ. შოთა რუსთაველი დიდებულის შვილი იყო, მაგრამ მეფის ასულს მაინც ვერავინ მიათხოვებდა. ამიტომ შოთა საქართველოდან გადაიკარგა. თამარმა ეს გამოქვაბული გააკეთებინა თავისთვის. როდესაც სიყვარულის დარდი განსაკუთრებით შემოაწვებოდა, თამარი შქმერის კლდეს მიაშურებდა, თავის გამოქვაბულში ჩაიკეტებოდა და იქიდან გაჰყურებდა შოდას მთას, რომელიც შოთას სახელს აგონებდა და დარდს ამით იქარვებდა“ („თამარის კლდე და შოდას მთა“).

თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის უიმედო სიყვარულის შესახებ გადმოცემათა მრავალგვარი ვარიაცია არსებობს. ერთ-ერთი თქმულების მიხედვით შოთა რუსთაველს „ვეფხისტყაოსანი“ მიურთმევია თამარისათვის. თამარ მეფეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნი ძალიან მოსწონებია და შოთა დაუსაჩუქრებია, რის შემდეგაც შოთა თამარის კარის ხშირი სტუმარი გამხდარა, თამართან დადიოდა შოთას ძმაც.

„შოთას ძმას თურმე თამარ დედოფალი ჰყვარებია და შოთასაც უყვარდაო თამარი... ძმებმა კი ერთმანეთისა არა იცოდნენო, ბოლოს შოთას გაუგია, რომ მის ძმას უყვარს თამარი და დადარდიანებულა.

შოთამ ვერც სიყვარულს უღალატა და ვერც ძმას. შეჯდა თურმე თავის ცხენზე, სამჯერ აიღო მიწა, აკოცა და თქვა ლექსი:

თამარ, ლამაზო ყვავილო,
სურნელოვანო იაო,
სილამაზე და სიტურფე
მზისგან გადაგილიაო.
– ნეტავი შენსა მჭვრეტელსა, –
მე ბევრჯერ მინატრიაო,
ცხრა გზით ვიწამე, მე შენთვის
ღირსება დამითმიაო“.

„შოთა რუსთველის ვინაობა“.

თამარი გამკითხავი და გამგონი ქალი იყო. იგი ბევრ საშინაო საქმეში ჩარეულა და წარმატებით გადაუჭრია. თამარ მეფე წმინდანად მიიღო ქართველმა ხალხმა და პირიმზე შეარქვა. თამარ მეფის ყველა სიტყვა წმინდა და შეუცვლელი იყო ქართველი კაცისათვის.

ერთხელ თამარ მეფე რაჭის ერისთავს სწვევია. თამარს გაუგია, რომ რაჭის ერისთავის ქალი ჰყვარებია მის მეცხოვნეს, დავით გოცირიძეს. ყველაფრით ნაქები ვაჟკაცი ყოფილა, მაგრამ გვარი არ აძლევდა ერისთავის ქალიშვილის შერთვის ნებას.

„თამარმა რომ ეს გაიგო, შეხედა იქ შეყრილ ფილოსოფოსთ და ჰკითხა: თქვენ რას გვირჩევთო?

შოთა რუსთაველს უთქვამს: ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა, თუ კაცი არა ვარგოდეს, ცუდია გვარიშვილობაო.

გადაწყვიტა იმ ერისთავმა და მისცა ქალი გოცირიძეს, რაკი თამარი ჩაერია საქმეში“ („შოთას ნათქვამი“).

თამარ მეფის სილამაზე ბევრ დიდებულს უძგერებდა გულს, ბევრსა სურდა მისი ცოლად შერთვა, მათ შორის არაქართველებსაც. ქართულმა ეპოსმა შემოგვინახა გადმოცემა იმის შესახებ, თუ როგორ სცა თაყვანი ოსმალოს დიდმა ფაშამ (იგი თამარის სიცოცხლეში მისი ცოლად შერთვის მოსურნე იყო) თამარის საფლავს ვარძიაში:

„– ცოცხალიც დიდებული და ძლიერი იყავ და მიცვალებულიც არ ჰკარგავ შენს დიდებასა და ძლიერებას“ („თამარ მეფის საფლავი ვარძიაში“).

ჩვენ ცალკე გვინდა გამოვყოთ XVI-XVIII საუკუნეებში რუსეთში ფართოდ გავრცელებული თქმულება „ივერიის დედოფალ დინარას შესახებ“. ამ ძეგლმა მკვლევართა დიდი ყურადღება მიიქცია და მას არაერთი საგანგებო წერილი მიეძ-

ღვნა (მ. ბროსე, ა. ნ. პიპინი, ი. პ. სახაროვი, ა. ი. სობოლევსკი, მ. ნ. სპერანსკი, კ. ვ. ბაზილევიჩი, ა. ა. ზიმინი და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული თქმულება საფუძვლიანად შეისწავლა და საგანგებოდ გამოიკვლია პროფესორმა იასე ცინცაძემ, რომელიც შემდეგ დასკვნამდე მივიდა:

რუსული თქმულება დინარ ივერთა დედოფალზე XVI საუკუნის მეორე ნახევარში დაწერილი ძეგლია.

დინარ ივერთა დედოფლის თქმულების წყაროდ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის („ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი" – ავტორის) თხზულებაა გამოყენებული.

ეს თქმულება ორიგინალური რუსული ნაწარმოებია, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნის – ივანე მეოთხის ხანის, პოლიტიკურ მიზანდასახულებას ასახავს.

თამარ მეფის ხანის საქართველოს პოლიტიკური ვითარება – მეფის უფლების „ღვთისნებაობა", დიდებულთა სახელმწიფოებრივი ინტერესებით მოქმედება, მათი მეფესთან „ერთნებაობა და თანადგომა" მეთექვსმეტე საუკუნის რუსეთის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტისას მიმზიდველი აღმოჩნდა და ივანე მეოთხის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მომხრეებმა თქმულებად გადაამუშავეს მაშინდელ რუსეთში მიღებული ფორმის მიხედვით[1].

საინტერესო და მნიშვნელოვანია ის ამბავი, რომ სწორედ თამარის მოღვაწეობა, მისი საქმეები იქცა წყაროდ რუსული თქმულებისათვის. თქმულებაში არის ერთი ძალიან საინტერესო დეტალი: „... და უბრძანა ქალწულმა, დინარ დედოფალმა, მთელ თავის ლაშქარს მზადება. ხოლო თვით, თვითმპყრობელი დედოფალი, შაბრენის მონასტერში გაემართა ღვთისმშობლის სალოცავად, მტრებზე შემწეობის მისანიჭებლად.

ხოლო თვით იგი ფეხით წავიდა, ფეხშიშველი, ეკლით და წვეტიანი ქვებით მოფენილი საშინელი გზით და, როცა მოვიდა მონასტერში და ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ტაძარში შევიდა, დაეცა მუხლებზე (ღვთისმშობლის) ხატის წინაშე და წარმოთქვა ლოცვა..."[2].

პირდაპირი ნათესაობა იგრძნობა მოტანილ ამბავსა და თამარის მეორე ისტორიკოსის მონათხრობს შორის:

„ულოცა მათ და შეავედრნა იგინი ღმერთსა, წარუძღვნა ძელი ცხოვრებისა და თანა წარატანა ანტონი ჭყონდიდელი.

ხოლო თვით წარიხადნა და სამოსელნი ფერხთანი და შიშველ ფერხითა მიიწია ტაძრისა ღვთის მშობლისას მეტეხთა და წინაშე ხატსა მას წმინდასა მდებარე არა დასცხრებოდა ცრემლითა ვედრებად..."[3].

---

[1] ი. ცინცაძე, ძველი რუსული მასალები (XI-XVI სს.) საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 90.

[2] ვსარგებლობთ პროფესორ იასე ცინცაძის მიერ გამოცემული ტექსტით.

[3] ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 126.

ამდენად, როგორც ვხედავთ, თამარის საქმენი საქართველოს ფარგლებს გასცილდა. რუსმა ხალხმა თამარში გმირი, სამშობლოსათვის თავდადებული ქალი დაინახა:

– „მეგობრებო და ძმებო! მე თქვენზე უწინარეს მსურს თავი დავდო ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის წილადხვდომილ ქვეყნისათვის, ჩემი ღვთისმოსავობისათვის, და მთელი ჩვენი სახელმწიფოს მართლმადიდებლებისათვის“ – აი სიტყვები, რუსი ხალხის წარმოდგენაში არსებული, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ქართველი მეფე-ქალისა.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს თამარ მეფის შესახებ მეზობელ მუსლიმური ქვეყნებში არსებული თქმულებები. ამ უკანასკნელ ხანს თურქულ ყოველკვირეულ ჟურნალში „სენ ბენ“ დაიბეჭდა შეჰბალ აიგენის „თამარ დედოფალი“. შევნიშნავთ, რომ სტატია დაბეჭდილია რუბრიკით „დაუვიწყარი ქალები“. იგი ეყრდნობა აღმოსავლეთში გავრცელებულ თქმულებას თამარისა და რუქნადინის შესახებ. აქ მუსულმან ავტორებს საქმე იმდაგვარად აქვთ წარმოდგენილი, რომ თითქოს თამარი დიდი მოსურვე იყო რუქნადინის ცოლობისა და ეს უკანასკნელი კი თურმე თავს იკავებდა. საინტერესოა, რომ თამარის სილამაზის წინაშე მუსლიმებიც ქედმოხრილნი არიან. „ლამაზთა შორის ულამაზესი“[1], „ლეგენდარული დედოფალი“ – ამდაგვარადაა წარმოდგენილი თამარი მათ აღქმაში. თამარის „თავბრუდამხვევმა სილამაზემ, სამართლიანობამ, მაღალმა ზნეობამ, არა მარტო ისტორიას, ლიტერატურასაც ბევრი შესძინა“, – ხაზგასმით აღნიშნავს ავტორი.

თურქულ ჟურნალში დაბეჭდილი გადმოცემის მიხედვით, თამარის შესახებ ლეგენდები დადიოდა არა მარტო აზიაში, არამედ ევროპის ყველა კუთხეშიც. მის ხელს ესპანეთიდანაც კი თხოულობდნენ, მაგრამ თამარს მხოლოდ ერთი პიროვნება მოსწონდა. ეს იყო სელჩუკთა მბრძანებლის – კილიჩ არსლანის ძე რუქნადინი.

თავმოყვარე რუქნადინს (როგორც ლეგენდა გადმოგვცემს), განუცხადებია მამისთვის:

„გიაურის კეკლუცობას, თუნდაც დედოფლისას, არ ავყვები და ისლამის მხარეს არ მივატოვებ, მას ქედს არ მოვუხრი, ნება მომეცით წავიდე და დედოფალი თავის ქვეყნიანად აქ მოგგვაროო“.

კილიჩ არსლანს ნება მიუცია და რუქნადინიც სალაშქროდ წასულა, მაგრამ მის ცხენს ფეხი მოუტეხია და მხედრიანად კლდიდან გადავარდნილა. ახალგაზრდა რუქნადინი მძიმედ დაშავებულა და იძულებული გამხდარა უკან დაბრუნებულიყო. ლაშქრობაც აღარ შემდგარა.

სინამდვილისგან შორს მყოფი ეს ლეგენდა საინტერესოა, რადგან მასში მუსლიმის პოზიციიდან არის დანახული თამარ მეფე.

---

[1] „სენ ბენ“, 1968, 61, გვ. 20-21. ეს მასალა მოგვაწოდა ისტ. მეცნ. კანდიდატმა ნ. კომახიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

თამარი ხალხის წარმოდგენაში არაჩვეულებრივი სილამაზით არის წარმოსახული:

„ბრმა ვშობილმან ბრმადვე წარვლო“ უმხედველომან თამარისმან. – ტანსა ზომიერსა გრემანობა თუალთა და ღაწუთა სპეტაკთა ზედა ვარდებრივ ფეროვნობა, მორცხვ ხედვა, ლაღი მიმოხედვა, ტკბილი პირი, მხიარული და ულიზღო სიტყვკს სინარნარე და ზრახვისა უჩუკნობა. არა ცუდად დასდვა ღმერთმან მადლად თამარს ესრეთ შემკულობა“[1] – ბასილი ეზოსმოძღვრის ეს სიტყვები ნათლად წარმოგვიდგენენ საქართველოს დედოფლის სიდიადეს და ნათელს ხდიან იმას, თუ რატომ იქცა თამარი სილამაზის სიმბოლოდ, თუ რატომ შექმნეს ქართველმა მონუმენტურმა ფერმწერებმა ასეთი სიყვარულით თამარის პორტრეტები, რომელთაგან ოთხმა (ვარძიაში, ბეთანიაში, ყინწვისსა და ბერთუბანში) ჩვენამდე მოაღწია.

ქართველ ხალხს ზეადამიანურ პიროვნებად ჰყავდა წარმოდგენილი თამარი.

შთამომავლობა სიყვარულით ინახავს ხალხური შემოქმედების ძვირფას მარგალიტებს საქართველოს ძლიერებისათვის თავდადებულ გმირ მეფე-ქალზე, რომელსაც თანამედროვეებმა გულმხურვალედ უმღერეს:

თამარ ქალი
ქვეყნის თვალი,
მზისა დარი.

1966 წ.

---

[1] ქართლის ცხოვრება, II თბ., 1959, გვ. 116.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ებრაელები საქართველოში

წინამდებარე წიგნი მოკლედ და პოპულარულად მოუთხრობს დაინტერესებულ მკითხველს ქართველი ებრაელების, მათი ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ. ამ საკითხით არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა და გარკვეული მოვლენები საინტერესოდ გაუშუქებია. 1904 წელს თბილისში გამოვიდა ცნობილი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის – ზაქარია ჭიჭინაძის წიგნი „ქართველი ებრაელნი საქართველოში"; 1940-45 წწ. გამოიცა „საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების" რამდენიმე ტომი, სადაც აღნიშნული პრობლემის სხვადასხვა საკითხი იყო მიმოხილული. 1940 წელს აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა „ენიმკის მოამბეში" გამოაქვეყნა სტატია „მცხეთის ახლად აღმოჩენილი ებრაული წარწერა". ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების, მათი ისტორიის შესწავლას ამაგი დასდეს ნისან ბაბალიკაშვილმა, კონსტანტინე ლერნერმა, ელდარ მამისთვალიშვილმა, ჯემალ აჯიაშვილმა, გურამ ბათიაშვილმა, ნათან ბააზოვმა და სხვ. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ამ ბოლო დროს გამოცემული იცხაკ დავიდის ფუნდამენტური გამოკვლევა „История евреев на Кавказе" (ორტომეული). მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 2600 წლოვანი იუბილეს დღეებში სხვადასხვა ავტორის არაერთი სტატია და ნარკვევი დაიბეჭდა.

ებრაელებისადმი დიდი ინტერესი გამოწვეულია იმ რთული და საინტერესო ისტორიული ბედით, რაც ამ ერს ხვდა წილად.

„ებრაელი" ისტორიულად ძველი ებრაელებიდან მომდინარე ხალხის საერთო ეთნიკური სახელია. ისინი სახლობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და პრაქტიკულად არიან ჩაბმულნი ამ ქვეყნების მოსახლეობის საერთო ეკონომიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ებრაელთა რელიგიური რწმენა იუდაიზმია.

ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში ებრაელთა საცხოვრისს წარმოადგენდა ისრაელისა და იუდეველთა სამეფოები. ორივე ეს სამეფო იმ დროის მნიშვნელოვანი სახელმწიფოები იყო.

ისრაელის სამეფო ძველი წელთაღრიცხვის 722 წელს ასურეთმა დაიპყრო, იუდეველთა სახელმწიფო კი ძველი წელთაღრიცხვით 586 წელს ბაბილონმა გაანადგურა. ამ პერიოდებთან და მოვლენებთან არის დაკავშირებული ებრაელების განსახლება (გაფანტვა) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ანუ ებრაელთა მასობრივი გადასახლება და დამკვიდრება სხვადასხვა ქვეყანაში.

განსაკუთრებით გაძლიერდა ებრაელთა მიგრაცია (გადასახლება) რომის მიერ იუდეის დაპყრობის შემდგომ (ძვ. წ. 63 წ.). ებრაელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გადასახლდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, აფრიკასა და სამხრეთ ევროპაში. ებრაელთა გადასახლების პროცესი შუა საუკუნეებშიც გრძელდებოდა. იმჟამად ეს მოვლენა, სხვა გარემოებებთან ერთად, განპირობებული იყო ევროპის ქვეყნების ვაჭრობის განვითარებით. ნიშანდობლივია, რომ ებრაელობამ აითვისა ადგილობრივი ქვეყნების ენა და კულტურა, თუმცა საკუთარი ჩვეულები და რწმენა არ დაუკარგავს. ევროპის ქალაქებში ჩასახლებული ებრაელები კარჩაკეტილ თემებად ცხოვრობდნენ. მათი საქმიანობა ძირითადად ვაჭრობა და ხელოსნობა იყო. შეძლებული ებრაელები მევახშეობდნენ. ებრაელები მოხერხებულნი იყვნენ თავიანთ საქმიანობაში და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ, რაც ადგილობრივი ვაჭრებისა და ხელოსნების კონკურენციას იწვევდა და თავისთავად აღვივებდა წინააღმდეგობას დამხვდურთა და ჩამოსახლებულთა შორის, იზრდებოდა ანტისემიტური მიდრეკილებები. სხვადასხვა დროს ადგილი ჰქონდა ებრაელ და ადგილობრივ მოსახლეობას შორი ურთიერთობის უკიდურესად გამწვავებას. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში ებრაელთა მასობრივი დარბევა მოეწყო. შედეგი ის იყო, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან ებრაელთა დიდი რაოდენობა აიყარა და აშშ-სა და სხვა ქვეყნებში გადასახლდა. ანტისემიტურმა მოძრაობამ მძაფრად რეაქციული ხასიათი მიიღო ფაშისტურ გერმანიაში. მეორე მსოფლიო ომის (1939-1945 წწ.) დროს ნაცისტებმა ჩაიდინეს მსოფლიო მასშტაბის უდიდესი, არნახული დანაშაული – 6 მილიონი ებრაელი გაანადგურეს.

1948 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება – შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო.

რამდენიმე ფრაზით ზემოგადმოცემული ებრაელთა ტრაგიკული ისტორიის ფონზე უაღრესად საინტერესო ჩანს ებრაელთა და ქართველთა ურთიერთობა, ებრაელთა ჩამოსახლება საქართველოში და მათ საქმიანობასთან, ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები.

როდის გამოჩნდნენ პირველად ებრაელები საქართველოში?

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა ებრაელთა პირველი ტალღის გამოჩენასა და დამკვიდრებას საქართველოში ბაბილონის მეფის – ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებასა და განადგურებას უკავშირებს. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „... ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალემი და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს“. იერუსალიმის დაცემა, როგორც ზემოთაც ითქვა, ჩვენს ერამდე 586 წელს მოხდა და სწორედ ამ დროს „მუნით ოტებულნი ურიანი“ მოდიან ქართლში. ნიშანდობლივია, ის რომ ემიგრანტებმა მცხეთის მამასახლისს მიმართეს თხოვნით, რათა ნება მიეცა აქ დასახლებისა. თანაც ებრაელებმა სათანადო ხარკის გადახდის პირობა დადეს. მცხეთის მამასახლისმა მეგობრობის ხელი გაუწოდა გაჭირვებაში ჩავარდნილ ლტოლვილებს და „მისცა და დასხნა არაგუსა ზედა წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი და რომელი

ქვეყანა აქუნდათ მათ ხარკითა...". აქედან ებრაელები სხვა დაბებსა და ქალაქებში – ხელოსნობისა და სააღებმიცემო ცენტრებში გადადიან. ქართლის მოქცევის ქრონიკა ებრაელთა ჩამოსახლებას მცხეთაში ძველი წელთაღრიცხვის 169 წლით ათარიღებს.

უეჭველია, რომ ელინისტურ პერიოდში ქართლის ქალაქებში – მცხეთასა და ურბნისში უკვე არსებობდა ე. წ. „უბანი ჰურიათა", სადაც ცხოვრობდნენ ებრაელები; აქ იყო მათი ეთნიკურ-რელიგიური თემები. აქ ებრაელებს ძველთაგანვე ჰქონდათ თავიანთი საკულტო ცენტრები, ე. წ. „ბაგინი ჰურიათა". ეს სინაგოგები იყო. როგორც ჩანს, სწორედ „ბაგინი ჰურიათას" მსახური (ე. ი. იუდაიზმის მიმდევარი) იყო ქრისტეს სარწმუნობის მიღებამდე წმინდა ნინოს ცხოვრებაში მოხსენიებული მღვდელი აბიათარი. ძველი ებრაული თემების ცხოვრების კვალი შემორჩა ქართლში აღმოჩენილ ძველ ებრაულ ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც.

როგორც ჩანს, ებრაელობამ საქართველოში ადრევე შეითვისა ქართული ენა და იმთავითვე ეზიარა ქართულ ადათ-წესებსა და ზნე-ჩვეულებებს. ამასთან, ისინი ბოლომდე დარჩნენ იუდაიზმის ერთგულნი. ებრაელი შრომობდა და იბრძოდა ქართველის გვერდით. ებრაელთათვის საქართველო მეორე სამშობლოდ იქცა და ამიტომ ისინი ისევე ზრუნავდნენ ქვეყნის წინსვლა-განვითარებისათვის, როგორც ქართველები. ქართველ ებრაელთა უფლებრივი მდგომარეობა ქართველი მოსახლეობის ანალოგიური იყო, მისგან არაფრით განსხვავდებოდა.

ისტორიულად ცნობილია, და ეს არაერთგზის აღუნიშნავს ბევრ გამოჩენილ ებრაელ მოღვაწეს, რომ საქართველოში ებრაელებს არასოდეს განუცდიათ ეროვნული და სარწმუნოებრივი შევიწროება და დევნა. საქართველოსთვის, ქართველი ხალხისათვის, უცხო იყო ანტისემიტიზმის რაიმე გამოვლინება.

ისტორიული საბუთებიდან ჩანს, რომ ებრაელი შუა საუკუნეებში ისეთივე ყმა იყო, როგორც ქართველი. ნიშანდობლივია, რომ, დაბალი ფენების (ყმა და სხვა კატეგორიები) გარდა, ებრაელები ხელოსნობასა და მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ. და მაინც, ქართველ ებრაელთა ძირითადი საქმიანობა აღებ-მიცემობა იყო. ებრაელები მეფეს, ეკლესიასა თუ ფეოდალს (ბატონს) „თეთრით" უსწორდებოდნენ (ემსახურებოდნენ).

IX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში ქართველ ებრაელობაში ნათლად ჩანს ყარაიმული მოძრაობის კვალი, რომელსაც „აცხაბ ალ-თიფლისი" ეწოდებოდა. ეს სექტა, როგორც გადმოგცვემენ, ბაღდადიდან გადმოსახლებულ აბუ იმრანს, შემდეგში ალ-თიფლისად წოდებულს, შეუქმნია. სექტამ XII საუკუნემდე იარსება და თავისი მკაცრი მოთხოვნების (თალმუდის კანონებზე უფრო მკაცრი კანონების შემოღების მცდელობა) გამო გამქრალა.

როგორც ცნობილია, ებრაელები იყოფოდნენ აშკენაზებად და სეფარადებად. აშკენაზების ჯგუფს განეკუთვნებიან გერმანელი, პოლონელი და აღმოსავლეთ ევროპაში მოსახლე ებრაელები. ქართველი ებრაელები თავიანთ თავს სეფარადებად თვლიან და ამ მიმდინარეობის რელიგიური წესებისა და ადათ-ჩვევების მიმდევრები არიან.

ქართველი ებრაელობა საუკუნეთა განმავლობაში ქართველებთან და საქართველოს სხვა მოსახლეობასთან ერთად ქმნიდა ქართულ კულტურას. ქართველმა ებრაელებმა ბევრი უნიკალური ძეგლი შემოინახეს. უპირველესად უნდა დავასახელოთ ლაილაშური ბიბლია. პერგამენტზე დაწერილი ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლი გამოირჩევა ლამაზი ორნამენტით, მაღალმხატვრულად შესრულებული თავასოებით. ლაილაშის ბიბლია საუკუნეთა მანძილზე ინახებოდა ებრაელთა შორის, შემდეგ – ლაილაშის სინაგოგაში. მას სვანურ ბიბლიასაც უწოდებენ და არაერთი ლეგენდით ამკობენ ქრისტიანები თუ იუდაისტები. ლაილაშის ბიბლია რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეთათვის, განურჩევლად იმისა, ქართველები იყვნენ თუ ებრაელები, თაყვანისცემის საგანი იყო: ხანგრძლივი გვალვების დროს წვიმას შესთხოვდნენ, ავადმყოფობისას – განკურნებას, ომის დროს – მტერზე გამარჯვებას და სხვ.

ჩვენამდე შემორჩენილი ე. წ. ბრეთის ანუ ავალიანთ (ავალიშვილების) ბიბლიის (დაწერილია ქ. სალონიკში, 1513 წ. სულთან სელიმ I-ის მეფობის დროს, იეჰუდა გედალიას ოჯახში, ვინმე ყაზრიელის მიერ) რამდენიმე რვეული წარმოადგენს ებრაულ პალიმფსესტს. ეს ძეგლი საუკუნეთა მანძილზე ავალიშვილების საკუთრება იყო, გამოიყენებოდა ებრაელთა დასაფიცებლად, ე. ი. როცა ჭეშმარიტი იუდაისტი ებრაელი ბიბლიაზე (ამ შემთხვევაში ბრეთის ბიბლიაზე) დაიფიცებდა, იგი სრულ სიმართლეს ამბობდა, ან დადებულ პირობას უეჭველად შეასრულებდა.

საინტერესო ძეგლი გახლდათ ე. წ. ჭიანურაშვილების ფსალმუნი. ეს იყო ძველ ებრაულ ენაზე დაწერილი კომენტარები (კომენტარების ავტორები დავით იოსების ძე კიმხი ანუ რედაკი (1160-1235 წწ.) და იოსებ ბენ-დავით ჰაიევანისი (XI-XIII სს.) იყვნენ). ფსალმუნი ქ. ახალციხიდან ბაქოში გადასახლებული ჭიანურაშვილების საგვარეულო საკუთრება იყო. იგი ახალციხეში თუ ბაქოში კომპაქტურად მოსახლე ქართველ ებრაელებს სასწაულმოქმედ წიგნად მიაჩნდათ.

ებრაელები ძველთაგანვე საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში სახლობდნენ: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ახალციხეში, გორში, ცხინვალში, თელავში, სიღნაღში, ბორჯომში, ქარელში, სურამში, ბრეთში, თამარაშენში, ონში, ჩხარში, ზუგდიდში, სენაკში, საჩხერეში, კულაშში, ლაილაშში... და ბევრ სხვა ქალაქსა თუ დაბა-სოფელში ძველთაგანვე ნახავდით ებრაელთა უბნებს.

ებრაელთა არსებობა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში არ გამორჩენიათ უცხოელ მოგზაურებს. განსაკუთრებით საინტერესო ცნობები აქვს დაცული დიუბუა დე მონპერეს. იგი საქართველოს ზოგიერთი ქალაქის სოციალური და ეროვნული შემადგენლობის შესახებ ცნობებს იძლევა და ყველგან ხაზგასმული აქვს ებრაელი მოსახლეობის რიცხვი. ამასთან, მინიშნებულია, რომ ებრაელები ეწეოდნენ წვრილმან ვაჭრობას, ყიდდნენ ძველმანებს, თავს არ იწუხებდნენ ფიზიკური შრომით – განსაკუთრებით მიწათმოქმედებით. დიუბუას ცნობით, ებრაელებს ხშირად ნახავდით, როცა ისინი ბიბლიას კითხულობდნენ, ან როცა თავიანთ შვილებს ებრაულ ცოდნას აძლევდნენ, თავად კი ქართულად ლაპარაკობდნენ.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, შუა საუკუნეების მთელ მანძილზე ყმა ებრაელი, ყმა ქართველთან ერთად, ერთ სოციალურ კატეგორიას ქმნიდა. ფეოდალის (მეტატონის) უღელი ერთნაირად მძიმე იყო ებრაელისთვისაც და ქართველისთვისაც. პრაქტიკულად ბატონი წყვეტდა მათ ბედს – შეეძლო გაეყიდა, გაეჩუქებინა, მზითევში გაეტანებინა, დაეწინდა ან გაესხვისებინა. ქართველი ყმა ებრაელები კუთვნილების თვალსაზრისით დაყოფილი იყვნენ სამეფო, საეკლესიო, სათავადაზნაურო კატეგორიებად. ქართველი ყმების მსგავსად, იყვნენ ებრაელი მკვიდრი ყმები, ხიზნები, ბოგანოები, აყრილები, რომლებიც ბატონისათვის მრავალგვარ სამსახურს ეწეოდნენ. გვიანფეოდალურ ხანაში ყმა ებრაელებს იტაცებდნენ საქართველოზე თავდამსხმელი მოთარეშე ტომები.

სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შეცვლამ, კერძოდ, კაპიტალიზმის ელემენტების შემოჭრამ საქართველოში, ერთგვარი კორექტივი შეიტანა ქართველ ებრაელთა განსახლებაში. დაიწყო პროცესი დაბა-სოფლებიდან ქალაქებში გადასახლებისა.

XIX საუკუნემდე თბილისში ებრაელთა რიცხვი ძალზე უმნიშვნელოა. ვაჭრობას ძირითადად სომხები ეწევიან. ეს უცხოელი მოგზაურების მონაცემებითაც დასტურდება. ებრაული მოსახლეობა თბილისში მნიშვნელოვანწილად გაიზარდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. თბილისი პრაქტიკულად უკვე დიდი სავაჭრო ცენტრია. აქ მრეწველობაც მნიშვნელოვნადაა განვითარებული. XIX საუკუნის პირველ მესამედში თბილისში 30000-მდე მცხოვრებს ითვლიან. აქ იყო 1150-მდე დუქანი, 60 სავაჭრო საწყობი, 5 ტრაქტირი, 6 სამღებრო საწარმო, რამდენიმე კერამიკული და ტყავის საამქრო (დაბახანა). რამდენიმე წელიწადში კიდევ უფრო გამრავლდა ეს საწარმოები, განსაკუთრებით გაიზარდა სასურსათო და საკონდიტრო დაწესებულებებისა და სასტუმროების რიცხვი. 1835 წელს, რუსი ჩინოვნიკების ცნობით, თბილისში 60-მდე ებრაელი ცხოვრობს (აქედან 50 მამაკაცი). შემდგომში ეს რიცხვი საგრძნობლად იზრდება. ებრაული მოსახლეობა საქართველოს დედაქალაქში თავის უბანს აფუძნებს, აარსებს სინაგოგას და ებმება ქალაქური ცხოვრების ჩვეულ რიტმში.

ებრაელთა მნიშვნელოვანი რაოდენობაა დამოწმებული ქ. ქუთაისში. ისინი ეწევიან ხელოსნობასა და ვაჭრობას. ეს დარგები საკმაოდ იყო განვითარებული XIX საუკუნის 30-იანი წლების ქუთაისში. ქუთაისში ამ დროს არსებობდა ბაზარი (სავაჭრო რიგი), სადაც გარკვეულ დღეებში არამარტო იმერეთის, არამედ სამეგრელოსა და გურიის მოსახლეობას შემოჰქონდა გასაყიდად მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტი. ვაჭრობაში წამყვანი როლი ქართველ ებრაელებს ეკუთვნოდათ. ბევრი მათგანი საეკლესიო ყმა იყო. ზოგიერთ საბუთში შემონახულია საეკლესიო ებრაელთა სახელები. ასე, მაგალითად: დანიელა და გლახუნა ციციაშვილები, იცხაკ და შალომ კატაპარიაშვილები, არონ და იოსებ იაკობიშვილები, მამუჩელა და შაბათა ფიჩხაძეები, იცხაკ დათიაშვილი, დავით მოშიაშვილი, იოსებ ბაჩილაშვილი და სხვ. ისინი ჩვეუ-

ლებრივ, ებრაელთათვის დამახასიათებელ საქმიანობას ეწევიან და გამოსაღებს ფულით უხდიან ეკლესიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კარგად ჰქონდა განვითარებული საგარეო ვაჭრობა. გაჰქონდათ ყოველგვარი საქონელი, განსაკუთრებით საღდებოდა ბეწვი და ბეწვის ნაწარმი. შემოჰქონდათ ამბეშუმი, ბამბა, შალეული, ფაიფური, ჩაი, ყავა, ზეითუნის ზეთი, ჭურჭლეული, ხალიჩები, მარილი და სხვა. ქ. ახალციხეს რამდენიმე სავაჭრო გზა აკავშირებდა თურქეთთან. აქაური ებრაელები მოხერხებულად იყენებდნენ ამ საშუალებას. ისტორიულმა საბუთებმა შემოგვინახა მასალა, სადაც ჩანს, რომ ზოგჯერ ქართველი ებრაელები კონტრაბანდასაც მიმართავდნენ, კონტრაბანდის საგანი რუსული ვერცხლის ფული იყო. ერთი ახალციხელი ებრაელი გაუსამართლებიათ კიდეც კონტრაბანდის გატანისათვის, გასატანი ვერცხლის კონფისკაცია არ უკმარებიათ და მნიშვნელოვანი ჯარიმა დაუკისრებიათ.

საგულისხმოა, რომ რუსეთის მეფის მთავრობა (საქართველოს ანექსია რუსეთმა 1801 წელს მოახდინა) ახალისებდა საშინაო და საგარეო ვაჭრობას. XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან თავისუფალი იყო სატრანზიტო ვაჭრობა. გადასახადების ტარიფები შეღავათიანი იყო. ამ დროს საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან, ევროპის ზოგიერთ ქვეყანასთან, თურქეთთან. განსაკუთრებით ინტენსიური სავაჭრო კავშირი იყო ამ უკანასკნელთან. შეიკრიბებოდნენ ე. წ. „მესტამბოლე“ ებრაელები, ვაჭრები და გადიოდნენ თურქეთში, საიდანაც უხვად შემოჰქონდათ სხვადასხვა საქონელი. საქონელი ევროპიდანაც შემოდიოდა, მაგრამ აზიური საქონლის წილი ბევრად მეტი იყო ევროპულზე.

ქართველ ებრაელთა მნიშვნელოვანი მასა სახლობდა და მოსაქმეობდა ქ. გორში. ესენი იყვნენ ბატონყმობის უღელში შებმული გლეხები, სახელმწიფო და საეკლესიო ყმა გლეხები. გორში ვაჭრობა-ხელოსნობას სომხებიც ეწეოდნენ და გარკვეულ კონკურენციას უწევდნენ ქართველ ებრაელობას.

ებრაელთა ტრადიციული დასახლება გამოირჩეოდა ონში – რაჭაში. რაჭის ებრაელები ძირითადად წერეთლის ყმები იყვნენ. როგორც ჩანს, ზოგჯერ ბატონზე უკმაყოფილო ებრაელებს მისგან გაქცევა უცდიათ. ერთი საბუთი აგვიწერს შემთხვევას, როცა ბერი და მორდეხა შალელაშვილების ოჯახს – გაქცევის მცდელობის გამო – განურისხებია თავადი წერეთელი. შალელაშვილების ოჯახს გამოესარჩლნენ ონელი ებრაელები: ოსია, იაკობ და ბექი არონაშვილები. მათ „თავდებობის წერილი“ აახლეს ქაიხოსრო და ქველი წერეთლებს და ივალდებულეს, რომ შალელაშვილების ოჯახის ხელახალი გაქცევის შემთხვევაში გადაუხდიდნენ თავადებს 5 ქისა თეთრს, ან შეიპყრობდნენ გაქცეულებს და ბორკილდადებულს მიჰგვრიდნენ თავადებს.

თავისი ტრადიციებითა და ადათ-ჩვევებით ცხოვრობდნენ საჩხერელი, კულაშელი, სურამელი თუ სხვა კუთხის ებრაელები. აქ უკვე გამოირჩეოდნენ: მცირე ჯგუფი მდიდარი ვაჭრებისა, საშუალო შეძლების ვაჭრები და ძირითადად მეწვრილმანე ვაჭრები. მდიდარი (დიდი) ვაჭრები ებრაელთა მნიშვნელოვან ნაწილს თავის სამსახურში იყენებდნენ. მათი დავალებით სოფელ-სოფელ სავაჭროდ და-

დიოდნენ ე. წ. „მესოფლე“ ებრაელები. ცხადია, მათ აქედან გარკვეული სარგებელი ჰქონდათ. ე. წ. „მესოფლე“, ანუ სოფელ-სოფელ მოვაჭრე ებრაელებიდან ზოგი „დღიური“ იყო, ე. ი. მათ საქონელი მდიდარი ვაჭრისაგან ერთი ან ორი დღით მიჰქონდათ ნისიად, გაყიდვის მერე კი ანგარიშს ასწორებდნენ. იყვნენ ე. წ. „კვირეულნი“, რომლებსაც საქონელი ერთი კვირით მიჰქონდათ ნისიად. ერთი კვირიდან ერთ წლამდე მიჰქონდათ საქონელი „ვადიანებს“.

ებრაელთა მოჯამაგირეობის გარკვეული სახე იყო ე. წ. „ყურბათობა“, რომელსაც ახასიათებდა შორეული, ხანგრძლივი და მძიმე მოგზაურობა. იგი ძირითადად ახალციხეში მცხოვრებ ებრაელთა შორის იყო გავრცელებული. ზოგჯერ შეძლებული ებრაელი ვაჭარი იქირავებდა მეორე ებრაელს, რომელიც ზურგით ატარებდა საქონლით სავსე ბოხჩას (ტომარას, კალათას), ეხმარებოდა დამქირავებელს ვაჭრობაში, იცავდა საქონელს დაკარგვისაგან. ხშირად ასეთი დაქირავებული პირი იძულებული იყო 2-3 წლით დაეტოვებინა ოჯახი და თავის „პატრონს“ გაჰყოლოდა შორეულ ქვეყნებში (ხშირად სტამბულში) სავაჭროდ.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ქართველი ებრაელები ვაჭრობასთან ერთად ხელოსნობასაც მისდევდნენ, განსაკუთრებით შინამრეწველობა ჰქონდათ განვითარებული. ისინი ქმნიდნენ ამხანაგობებს, სადაც 2-3 ხელოსანი ერთიანდებოდა. ხელოსნებს შეთანხმება ჰქონდათ ვაჭრებთან საქონლის გაყიდვის თაობაზე. ვაჭარს შემოჰქონდა ნედლეული, რომელიც საქონლის სახეს იღებდა ხელოსნის ხელში. შემდეგ უკვე იგივე ვაჭარი მზა პროდუქციას ჰყიდდა და, ცხადია, გარკვეულ მოგებას ნახულობდა. ხელოსნობა განსაკუთრებით დაწინაურდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

ნიშანდობლივია, რომ XIX საუკუნეში საქართველოში სახლდებიან მეფის რუსეთიდან გადმოსახლებული ევროპელ ებრაელთა ჯგუფები.

რუსეთის მთავრობა მთელ იმპერიაში აღვივებდა ანტისემიტიზმს. იგი საქართველოშიც ახერხებდა სხვადასხვაგვარი პროვოკაციის მოწყობას. ცნობილი ფაქტია, რომ 1853 წელს ამიერკავკასიის მაშინდელი უმაღლესი ადმინისტრაციის ხელმძღვანელობამ და პირადად მიხეილ ვორონცოვმა სურამელი ებრაელების მიმართ შეთხზეს ბრალდება და პასუხისგებაში მისცეს სურამელი ებრაელები. მათ ბრალი დასდეს ქრისტიანი ბავშვის მკვლელობაში, რაც, თითქოსდა, რიტუალური მიზნით შეასრულეს. სრულიად უდანაშაულო ღარიბი ებრაელები რუსეთის შორეულ ადგილებში გადაასახლეს, საიდანაც ისინი ველარ დაბრუნდნენ.

1879 წელს მთავრობამ პასუხისგებაში მისცა საჩხერელი ებრაელები. მათაც რიტუალური მიზნით ქრისტიანი ბავშვის მოკვლა ბრალდებოდათ. გასამართლების პროცესი ქუთაისში გაიმართა. მას დიდი გამოხმაურება ჰქონდა საზღვარგარეთაც. სასამართლო იძულებული გახდა ბრალდებულები გაემართლებინა.

ყოველივე ეს პროვოცირებული იყო და იმისთვის კეთდებოდა, რომ ქართველები და ებრაელები დაეპირისპირებინათ, ქართველებში შუღლი გაეღვივებინათ ებრაელების მიმართ და მათ გასწორებოდნენ, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა.

საღად მოაზროვნე ქართველები ქართველ ებრაელებში თანამოძმეს, ჭირისა და ლხინის გამზიარებელს ხედავდნენ და მათთან ძმურად ცხოვრებას აგრძელებდნენ.

თვით ებრაული მოსახლეობა, ქართველ ებრაელთა გამოჩენილი მოღვაწეები (ასეთები, საბედნიეროდ, საქართველოში ყოველთვის მრავლად იყვნენ) ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მთელ მსოფლიოში საქართველო არის ის გამორჩეული ქვეყანა, ქართველები არიან ის ხალხი, რომელთაც ებრაელების მიმართ ოცდაექვსსაუკუნოვანი ისტორიის მთელ მანძილზე ღრმა პატივისცემა და სიყვარული გამოამჟღავნეს. მხოლოდ აქ, ამ ერთადერთ ქვეყანაში არ ჰქონია ადგილი ანტისემიტიზმს.

ქართველ ებრაელთა ყოფისათვის დამახასიათებელ თვისებებზე სრული წარმოდგენისათვის გვინდა მკითხველს ზოგიერთი ეთნოგრაფიული მონაცემიც მივაწოდოთ.

ქართველ ებრაელთა საცხოვრებელი ბინები არქიტექტურული თვალსაზრისით იმ ტიპისა იყო, როგორიც ამ ქალაქის ან დაბა-სოფლის ძირითადი მოსახლეობისა.

სხვადასხვა მატერიალური შესაძლებლობის ქართველ ებრაელებს ბინებიც სხვადასხვაგვარი ჰქონდათ. მეწვრილმანე ღარიბ ებრაელებს – ერთსართულიანი ნახევრად მიწური, საშუალო შეძლებისას – ერთსართულიანი სარდაფიანი სახლი, შეძლებულებს – ორსართულიანი სარდაფიანი სახლი.

აგებულების მიხედვით ებრაელთა სახლები ქვეყნის ცალკეულ კუთხეებში სხვადასხვაგვარი იყო. ასე მაგალითად, ცხინვალში, გორში, სურამსა და ქარელში (ქართლის რეგიონი) – დარბაზული, მიწური, ფიცრული, ქვიტკირის. დასავლეთ საქართველოში – აფრიანი, კუნჭულიანი, გოგებიანი, ორსართულიანი – ყავრით გადახურული, ქვედა სართულში სავაჭრო დარაბებით. მესხეთ-ჯავახეთში უმთავრესად მიწური სახლები იყო გავრცელებული. ერთი სიტყვით, პრაქტიკულად ებრაელთა და ქართველთა სახლები, მცირე გამონაკლისისა და ნიუანსების გარდა, ერთმანეთის იდენტური იყო.

ქართველ ებრაელებს ბევრი ცხოვრებისეული, ყოფითი თავისებურებები ახასიათებდათ. საინტერესო ჩვეულება ჰქონდათ ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით. ბებიაქალი (ცხადია, ებრაელი) პირში ვერცხლის ფულს დაიჭერდა. თუ ბავშვი შაბათს დაიბადებოდა, მაშინ ფულის ნაცვლად სხვა ვერცხლის ნივთს იღებდა. ამ ვერცხლით გადაჭრიდა ჭიპლარს. შემდეგ, წესისამებრ, ახლადშობილს დაბანდნენ, საგანგებო ხილაბანდში („ბარული“) გაახვევდნენ, ხოჭიჭში ჩააწვენდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ აკვანში გადააწვენდნენ (ამ დღეს შეძლებისდაგვარად წვეულებაც იმართებოდა) და ფეხის ადგმამდე (ზოგჯერ ფეხის ადგმის შემდეგაც) მასში ზრდიდნენ.

ახლადშობილ ვაჟს დაბადების მერვე დღეს წინადაცვეთდნენ. ეს რიტუალი უპირატესად სინაგოგაში (ზოგჯერ სახლშიც) ტარდებოდა. წინადაცვეთის შემდეგ ვაჟი ნამდვილ ებრაელად ითვლებოდა. ქართველი ებრაელები, როგორც წესი, 5-6 წლის ვაჟს ებრაულ რელიგიურ სასწავლებელში, ე. წ. ხედერში აბარებდნენ. 8-9

ნლის ებრაელი ბიჭუნები უკვე საქმიანობას იწყებდნენ – მამებს ეხმარებოდნენ სავაჭრო საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ებრაელი გოგონები მთელ ბავშვობას საოჯახო საქმიანობაში (ხყლის ზიდვა, ჭურჭლის რეცხვა, ბინის მოვლა-დასუფთავება და სხვ.) ატარებდნენ. 13-14 წლის ქალიშვილი უკვე მომწიფებულად ითვლებოდა და ხშირად ამ ასაკში ათხოვებდნენ კიდეც.

ვაჟი უფროს ასაკში – 16-18 წლისა ითვლებოდა საცოლედ. მშობლები თავს ვალდებულად თვლიდნენ, ამ ასაკის ვაჟებისათვის ცოლი შეერთოთ. იყო შემთხვევები, როცა ქალი აკვანშივე ინიშნებოდა. ვაჟის მშობელი მომავალი სარძლოს მშობელს დასაბევებლად ფულს ან რაიმე ძვირფას ნივთს აძლევდა. სრულდებოდა ფიცის მიცემის ცერემონიალი ანუ „კინიანი". ქალის მშობელი ვაჟის მშობელს გაკვანძულ ცხვირსახოცს აძლევდა და შეჰფიცავდა, რომ თავის ქალს დაწინდული ვაჟის გარდა, სხვას არავის მიათხოვებდა. აღმოსავლეთ საქართველოს ებრაელებს ჩვეულებად ჰქონდათ – სასიმამროსათვის სასიძოს თავისი საცოლის „გამოსასყიდი" ანუ „ქეხუმი" (ფულადი თანხა) უნდა გადაეხადა.

ქალ-ვაჟის ნიშნობამდე ზოგჯერ ოჯახებს შორი ადგილი ჰქონდა სიტყვის მიცემისა ან შაქარ-პურის მირთმევის ფაქტს. ქალის მშობლები ვაჟის მშობლებს ნაზუქსა და შაქარყინულს მიართმევდნენ და პირობას აძლევდნენ, რომ მათი ქალიშვილი სხვას არავის მისთხოვდებოდა. აქვე შეთანხმედბოდნენ ოფიციალური ნიშნობის დღის თაობაზე.

ოფიციალური ქორწინების აუცილებელ ელემენტებს შეადგენდა: „ქეთუბა" – წერილობითი საქორწინო ხელშეკრულება, საჯარო იყო მისი წაკითხვა და საცოლისადმი გადაცემა; „ხუფა" – ნეფე-დედოფლის გვირგვინის კურთხევა ციციტის ქვეშ (ეს ბიბლიური სანეფო-სადედოფლო ქოხში დაგვირგვინების სიმბოლური გამოვლინება იყო); საქორწინო შვიდი საკითხავის წაკითხვა.

ქართველ ებრაელებში გავრცელებული იყო ქორწინების ერთი საინტერესო ადათი – „ენის მოჭრა". ქორწინების მეშვიდე დღეს, როცა საქორწინო ლხინი პრაქტიკულად დამთავრებული იყო, მამამთილი (შეიძლებოდა ოჯახის სხვა მამაკაცი წევრიც) ხმლით და დანით შეიარაღებული, თუნგით ხელში რძალს მიმართავდა: „ხმა მოვიდა, შენ გრძელი ენა გქონია და უნდა მოგაჭრათო". რძალს პასუხის უფლება არ ჰქონდა. იგი დაჩოქილი იყო და უახლოესი მეგობარი ქალის პირით პასუხობდა: „ოღონდ ენას ნუ მომჭრით და მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე თქვენთან მუნჯი და თქვენი მონა-მორჩილი ვიქნებიო". ამ პასუხის შემდეგ მამამთილი რძალს ენაზე ნაზუქს დაადებდა, ნაზუქს ყუას მოაჭრიდა (ენის ნაცვლად) და მიმართავდა: „ნიშნად შენი ფიცისა, ეს უნდა ატარო შენს წელსაკრავში". „ენამოჭრილი" პატარძალი ხანგრძლივი დროის მანძილზე დედამთილ-მამამთილთან და ზოგჯერ უფროს მძახლებთანაც არ ლაპარაკობდა.

ნიშანდობლივია, რომ ებრაული ადათ-წესების მიხედვით, ქალს არ ჰქონდა უფლება, ქმარს გაჰყროდა. ამგვარი ინიციატივა მხოლოდ კაცის პრეროგატივა იყო.

ქართველი ებრაელობა გამოირჩეოდა თავისი ჩაცმულობითაც.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ქართველმა ებრაელობამ შეინარჩუნა იუდაისტური რელიგია. ებრაელებით დასახლებულ თითქმის ყველა ქალაქსა თუ დაბაში სინაგოგებია აგებული, სადაც მათ სათანადო რელიგიური რიტუალების შესრულების ყოველგვარი საშუალება ჰქონდათ.

XX საუკუნე ახალი ძვრებით შემოვიდა და მრავალი სიახლე შემოიტანა საქართველოში. ქართველი ებრაელობა საქართველოს ცხოვრებით ცხოვრობდა, მონაწილეობდა ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებში.

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი უდიდესი თანაგრძნობით ეკიდებოდნენ ქართველ ებრაელობას. 1912 წელს აკაკი წერეთელმა იმოგზავრა რაჭა-ლეჩხუმში. მან მგზნებარედ მიმართა ონელ ებრაელებს: „დადგება დრო, ერთა ჩაგვრა მოისპობა და თქვენც თავისუფლად ამოისუნთქავთო". ქართველი ებრაელები უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ დიდ პოეტს. ეს ნათლად გამოსჭვივის ონელი ებრაელობის მიმართვიდან აკაკი წერეთლისადმი (დაიბეჭდა „სახალხო გაზეთში", 1912 წ. 8 სექტემბერს):

„დიდებულო მგოსანო, მე ვარ ქართველი ებრაელი, თქვენის ნაწარმოებით აღზრდილი და თქვენი ჩანგის ჟღერით დამტკბარი; ამასთანავე უნდა გაუწყოთ, რომ დღეს ჩვენ ქართველი ებრაელები დიდის აღტაცებით და გამოუთქმელი სიხარულით მივეგებებით ერთად ჩვენ ქართველ ძმებთან და მეზობლებთან თქვენს ჩვენში მობრძანებას და ბედნიერ დღეობას. დიდებულო მგოსანო, ჩვენ ებრაელების და ქართველების ცხოვრებაში ისეთი შეთვისება გვაქვს ერთმანეთს შორის, რომ არ განვიყოფებით ერთმანეთისაგან, როგორც ერთი სისხლი და ხორცი, ამიტომ ვალდებულად ვთვლით ჩვენს თავს, რომ ერთად ქართველ ძმებთან, ჩვენ მეზობლებთან, მონაწილეობა მიგველო ამ თქვენს ბედნიერ დღეობაში და ზეიმში ... მუდამ სახეში იქონიეთ, რომ ჩვენ, ებრაელებსა და ქართველებს შორის არ ყოფილა განსხვავება, არ არის და არც იქნება გარდა სარწმუნოებისა".

შემთხვევით არ წერდა ილია ჭავჭავაძე: „ძვირად სადმე შეეთვისებიან ურიები სხვა ხალხს ისე, როგორც ქართველებს შეეთვისნენ... უკანასკნელს დროს და ახლაც არც ერთ უფლებას არ იყვნენ მოკლებული, რომელიც ქრისტიანებს ჰქონდათ მინიჭებული" (ჟურნალი „ივერია", 1881 წ.).

XX საუკუნის დასაწყისშივე დაიწყო დაბალი ფენების მოძრაობა. 1905 წლის რევოლუცია საქართველოსაც მისწვდა. საქართველოს ებრაელთა მდიდარი ნაწილი ქართველ ბურჟუაზიულ ელემენტებთან ერთად წინ აღუდგა რევოლუციას და ფარულად თუ აშკარად ებრძოდა. ღარიბი ებრაელობა რევოლუციაში ხსნას ხედავდა და მხარს უჭერდა მას. ამ მხრივ გამორჩეული იყო აბრამ (იცკა) რიჟინაშვილი, რომელიც რევოლუციურ საქმიანობას ჯერ კიდევ ქუთაისის რეალურ სასწავლებელში სწავლის წლებში ეწეოდა. აყალიბებდა სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებს, გამოსცემდა არალეგალურ ლიტერატურას. 1904 წელს იცკა რიჟინაშვილის მეთაურობით მოეწყო რეალური სასწავლებლის მოსწავლეთა გამოსვლა, რის გამოც მას დევნა დაუწყეს. იცკა იძულებული გახდა ლაიფციგში გამგზა-

ვრებულიყო, საიდანაც საქართველოში აგზავნიდა არალეგალურ რევოლუციურ ლიტერატურას. 1905 წელს იგი ქუთაისში დაბრუნდა და უფრო აქტიურად ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში, უშუალო მონაწილეობა მიიღო შეიარაღებულ გამოსვლებში, მეფის ხელისუფლებამ შეძლო იცკა რიჟინაშვილის მკვლელობის მოწყობა. 1906 წლის 17 ივლისს 20 წლის ჭაბუკი სიცოცხლეს გამოასალმეს.

ქართველი ებრაელები მონაწილეობას იღებდნენ 1917 წლის რევოლუციურ დემონსტრაციებშიც.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ერთგვარი ყურადღება მიექცა ებრაელებს. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ 1929 წლის 25 მარტს მიიღო დადგენილება „ებრაელთა უღარიბესი ნაწილის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ", რომლის ძალითაც ებრაელებს საშუალება მიეცათ მოეწყოთ სახარაზო, სამკერვალო, საფეიქრო, სადურგლო, საწარმოო-სამშენებლო და სხვა ტიპის არტელები; მრეწველობის სახალხო კომისარიატს დაევალა ახლად ამუშავებულ საწარმოებში (მაუდის ქარხანა, ძაფსაწნევი ფაბრიკა და სხვ.) ებრაელი მოსახლეობის ჩაბმა. ებრაელ ახალგაზრდებზე დაწესდა ჯავშანი და დაიგეგმა ყოველწლიურად პროფსკოლებში არანაკლებ 300 ახალგაზრდის მომზადება.

XX საუკუნის 30-იან წლებში ყურადღება მიექცა ღარიბ ებრაელთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას: მაქსიმალურად ჩააბეს სკოლაში ბავშვები, კომპაქტურად დასახლებულ ებრაელთა საცხოვრებელ ადგილებზე მოეწყო ქოხსამკითხველოები. გადიდდა სტიპენდიები ებრაელი მოსწავლეებისათვის საშუალო და უმაღლეს სკოლებში.

ქართველი ებრაელებისათვის, როგორც საერთოდ ყველა ხალხისათვის, უმძიმესი იყო დიდი სამამულო ომის პერიოდი.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველ ებრაელთა ცხოვრება საერთო საქვეყნო რიტმსა და ვითარებაში მიმდინარეობდა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ებრაელობას მიეცა საშუალება, მრავალმხრივ გამოეჩინა თავი. დიდი ებრაელი განმანათლებლებისა და მოღვაწეების – გერცელ და დავით ბააზოვების მემკვიდრეები გამოირჩევიან მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებში: მათემატიკასა თუ ფიზიკაში ფილოლოგიასა თუ ზოგადად ორიენტალისტიკაში, არქიტექტურასა თუ ლიტერატურაში, თეატრსა თუ კინოში.

60-70-იანი წლებიდან დაწყებული ბევრი ქართველი ებრაელი ემიგრირებული იქნა როგორც ისრაელში, ისე ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში, მაგრამ მათ საქართველო არ დავიწყებიათ და დღესაც მეორე სამშობლოდ თვლიან.

ქართველ-ებრაელთა მეგობრული ურთიერთობის ჭეშმარიტი ზეიმი იყო ებრაელთა საქართველოში დამკვიდრების 2600-წლოვანი იუბილე, რომლის დროსაც ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ ქართველი და ებრაელი (ქართველი ებრაელი) ხალხის მეგობრობა მარადიულია და მას ვერაფერი დაარღვევს. წინ ახალი პერსპექტივებია – ახალი ცხოვრებისა, ახალი ურთიერთობებისა.

2002 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალტრუიზმი საქართველოში

ზედმიწევნით ვცდილობ ავერიდო უცხოურ ტერმინებს. ქართული ენის უმდიდრესი ლექსიკური ფონდი იძლევა ნებისმიერი აზრისა და მოვლენის გამოხატვის საშუალებას. მით უმეტეს, რომ საკითხი, რომელზედაც უნდა შევჩერდე, ქველმოქმედებაა. ძველი ქართული ენის ლექსიკონი – „ქველის–მოქმედებას" განმარტავს, როგორც „კეთილმოქმედება, მოწყალება, წყალობა".[1] ასევე: „ქველის–მოქმედი – კეთილმოქმედი, მოწყალე"; „ქველის–საქმე – „კეთილისა საქმე, კეთილმოქმედება, მოწყალება"; „ქველობა – სიკეთე (სხვა განმარტებით, ქველი–მამაცი, გულადი, მხნე)".[2] „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი"-ს (მთავარი რედაქტორი არნოლდ ჩიქობავა) მიხედვით, ქველი არის 1. „მოწყალე, კეთილი; 2. გულადი, მხნე"; „ქველმოქმედი – ვინც ქველმოქმედებას სჩადის", „ქველმოქმედება" კი „თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში – კერძო პირების მიერ მატერიალური დახმარების გაწევა უქონელთათვის, ღარიბებისათვის, – მოწყალება".[3]

ალტრუიზმი [ფრანგ. altruisme] – ესაა „უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის, მზადყოფნა სხვას შესწიროს თავისი პირადი ინტერესები".[4] ამ დეფინიციამ უფრო მომხიბლა. მეჩვენება, რომ „ალტრუიზმმა" გადაფარა „ქველმოქმედება" და ერთგვარად გადააჭარბა მას (მზადყოფნა სხვას შესწიროს პირადი ინტერესები). ქვემოთ ჩვენ ყველგან მაინც ქველმოქმედებაზე გვექნება მსჯელობა და მას „ალტრუიზმის" დატვირთვით წარმოვადგენთ.

* * *

„კაცი პურადი გულადზე
სამი გაფრენით დიდია"...

ამ მოხევური ლექსის მიხედვით, ქართველი კაცი განსაკუთრებულად ფასდება პურადობით, სხვისი პატივისცემით, ქველმოქმედებით.

ქველმოქმედება (ალტრუიზმი) ქრისტიანულ სახელმწიფოში მოწონებასა და წახალისებას იმსახურებდა, „რამეთუ გლახაკთა არაჲ აქუს თჳნიერ ღმრთისა

---

[1] ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 453.
[2] იქვე.
[3] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, აკად. არნ. ჩიქობავას რედაქციით, თბ., 1986, გვ. 455.
[4] უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 19.

სახიერისა მოწყალებისაჲ“ (გიორგი მერჩულე)[1]. „ნუგეშინისცემაჲ გლახაკთაჲ“ ქრისტიანული დოგმატების მიხედვით, მაღალ მორალურ თვისებად ითვლებოდა. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ეს საქმე „სიმართლის განკითხვის“ მოვალეობის რანგშია აყვანილი[2]. თვით გრიგოლ ხანძთელის მაღალ თვისებათა ჩამოთვლისას გიორგი მერჩულე უმნიშვნელოვანესად ასახელებს: „და იყო იგი მხიარულად მესტუმრე და გლახაკთ-მოღუაწე“[3]. საინტერესოა ტერმინი „გლახაკთ მოღუაწე“, მისი მნიშვნელობა არც ძველ (ს.-ს. ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“), არც თანამედროვე (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით; ილ აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი) ლექსიკონებში განმარტებული არ არის. ზემოთ მოყვანილ კონტექსტში „გლახაკთ მოღუაწე“ „მესტუმრეს“ გვერდით იხსენიება. ს.-ს. ორბელიანი მესტუმრეს განმარტავს, როგორც „სტუმართ მოურავს“.[4] ე. ი. გრიგოლ ხანძთელი მხიარული მასპინძელი და გლახაკთ მოღუაწე ყოფილა. კონტექსტიდან ისე გამოდის, რომ „გლახაკთ მოღუაწე“ გლახაკებისათვის მოღვაწე (მშრომელი) უნდა იყოს. ასე რომ, გრიგოლ ხანძთელი მხიარული მასპინძელი (ღარიბ-ღატაკთა, გლახაკთა) და გლახაკებისათვის თავდადებული მუშაკი ყოფილა.

ამგვარად, გ ლ ა ხ ა კ თ მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ა პირადი ქველმოქმედების გარკვეული სახეა (ფორმაა).

ღარიბ-ღატაკთა სასარგებლოდ მეფეებისაგან ქველმოქმედების სახით გაიცემოდა „სახმარი გლახაკთათვის“. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ გვაუწყებს, რომ თამარ მეფეს ანტონ ჭყონდიდელისათვის უბრძანებია: „წარგზავნეთ ფრიადი საფასე და საჴმარი გლახაკთათჳს“[5]-ო. ს ა ჴ მ ა რ ი გ ლ ა ხ ა კ თ ა თ ჳ ს თამარის მიერ გაცემული ერთდროული (!) ქველმოქმედება იყო (საჴმარი ნიშნავს სახსარს, სახარჯოს). სახმარს გასცემდა გლახაკთათვის დავით აღმაშენებელიც.

ქველმოქმედების გაცემა საქართველოში საზრდოობდა „სახარების“ იდეებით. „ესე ყოველი ცხოვრებაჲ ვითარცა ყუავილი ველთაჲ წარმავალ არს და დაუდგრომელ, და ვინ სთესა-მოიმკო, და ვინ გ ა ნ ა ბ ნ ი ა გ ლ ა ხ ა კ თ ა თ ჳ ს – შეიკრიბა“[6] – ეს იაკობ ცურტაველის შუშანიკის სიტყვებია, ე. ი. ქრისტიანობის გარიჟრაჟიდან ქართველ მორწმუნეებს გლახაკებისათვის მოწყალების გაცემა საპატიო საქმედ მიაჩნდათ. ამ დებულებამ კულმინაციას მიაღწია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, „მიეც გლახაკთა საჭურჭლე“ – აი, დევიზი XII საუკუნის

---

[1] გიორგი მერჩულე, შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხოვრებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გრიგოლისი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (ილია აბულაძის რედაქციით), თბ., 1964, გვ. 276.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 108.

[4] ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1966, გვ. 464.

[5] ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 125.

[6] იაკობ ცურტაველი, წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა, თბ., 1964, გვ. 27.

საქართველოს ცხოვრებაში გატარებული ეკონომიკური აქციების („ნაათალის“ დაწესება და სხვ.) იდეური გამართლება-დასაბუთებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირადი ქველმოქმედების პრინციპად ქართველმა საზოგადოებამ საკუთარი შრომით მოპოვებული ქონების გასხვისება დასახა. ამ მხრივ აღსანიშნავია დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის მაგალითები. პირველი მათგანი გასცემდა „დღითი-დღე წარსაგებელთა, რომელთა თჳსითა ჴელითა მისცემდა ფარულად, ვინ აღრაცხოს თჳნიერ მამისა ზეცათასა, რომელი მიაგებს ცხადად. რამეთუ იყო მისა კისაკი მცირე: აღავსის დრაჰკნითა რა დღე სარწმუნოთა თჳსთა ჴელითა, და სამწუხაროდ ცალიერი მოაქუნდის იგი მხიარულსა სულითა და პირითა“[1]. ისტორიკოსი ხაზს უსვამს, რომ დავით აღმაშენებელი „არა თუ ჴელოსანთაგან მორთმეულისა იქმოდის, ანუ თუ საჭურჭლით, არამედ ჴელითა თჳსითა ნადირებულისა. რომელთაგანი თჳსსა მოძღუარსა იოვანეს მისცა ოდესმე დრაჰკანი, ვითარ ოცდაოთხი ათასი, რათა განუყოს გლახაკთა“[2]. თამარის მეორე ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ თამარი სახელმწიფო გამოსაღებს გლახაკთათვის „არა გონებდა ქველის საქმედ“ (!), რადგან ეს მისი პირადი ღვაწლი არ იყო და „რაჟამს მოიცალის მარტოებით ყოფად, მყის აღიღის სასთუელი, გინა საკერავი, და ნაშრომსა მას თჳსთა ჴელთასა ხუცესთა და გლახაკთა განუყოფნ თჳსითა ჴელითა.“[3]

ფართოდ ჩანს გავრცელებული „გლახაკთა მიმართ ქველის საქმისა მიცემაჲ“[4], რაც გლახაკების მიმართ კეთილმოქმედებას ნიშნავდა[5]. საგულისხმოა, რომ ერისთავად კურთხევისას საგანგებოდ კეთდებოდა აქცენტი ერისთავის იმ ვალზე, რომელიც „გლახაკთა და ნაკლულევანთა ყოველსა საქმესა მოწყალებისასა“ ითვალისწინებდა[6]. ზოგჯერ გლახაკთათვის ქველმოქმედება ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ჩვენს ხელთაა „შეწირულების დაწერილი მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი (1259 წ.)“. აი, ერთი ადგილი ამ დაწერილიდან: „და მოსავალი ხოვლესაი – პური და ღუინო კიდეგნად ერთსა სახლსა შიგა დაიგულებოდეს. მერმე, ოდესცა ზუარნი და ხოდაბუნნი კეთდენ და კარგა მოვიდეს, რაიც მას წელიწადსა მოჰრჩეს, მეორის წელიწადისათუის წააგებდენ: ნიადაგ არ სწორ გამოვა – ოდესცა დასეტყოს და არაი მოვიდეს, მისთჳს დაიგულებდნენ. და ესე ნუ ოდეს იმიზეზების თუ: წელს არაი მოსრულაო, და ნუ მოაკლდების

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 353.

[2] იქვე.

[3] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 147.

[4] პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი, ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1970, გვ. 64, 103. ვფიქრობთ, საჩოთირო არ უნდა იყოს ამ ტიპიკონის მოტანა, რადგან პეტრიწონის მონასტერი მხოლოდ ქართველთათვის იყო განკუთვნილი (ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971, გვ. 14).

[5] ქველის საქმე ნიშნავს კეთილმოქმედებას (ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 453).

[6] კურთხევაჲ ერისთავისაჲ, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 55; კურთხევა ცოტაჲს ერისთავის დადგინებისასაჲ, იქვე, გვ. 57.

ესე ჩემი გაჩენილი. და რაიცა ამასცა მორჩებოდეს გლახაკთათვის წაიგებოდეს"[1] მოუსავლიან წელს, ადვილი შესაძლებელია, გლახაკებს არაფერი რგებოდათ, რადგან არ არის გამორიცხული მათთვის აღარაფერი გადარჩენილიყო მოსავლის დანაწილების შემდგომ.

პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი გვაძლევს მეტად საინტერესო ცნობებს გლახაკთა სასარგებლოდ გაცემული ქველმოქმედების შესახებ (მხედველობაშია მონასტერთან შეკედლებული გლახაკები). დოკუმენტზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ქველმოქმედების გაცემაში გარკვეული კანონზომიერება არსებობს. ცალკეულ საეკლესიო დღესასწაულებზე გლახაკებისათვის დადგენილია მტკიცედ განსაზღვრული რაოდენობა ქველმოქმედებისა. ასე მაგალითად, აბაზ და გრიგოლ ბაკურიანის ძეთა მოსახსენებლად საგანგებო დღეებია დაწესებული. როგორც ერთ, ისე მეორე დღეს გაიცემა „გასაყოფელად გლახაკთა დრაჰკანი სამეოცდაათორმეტი"[2]. ბაკურიანის მოსახსენებელ დღეს (დიდი ხუთშაბათი) გლახაკებს უნაწილდებათ 22 დრაჰკანი[3]. სხვა საეკლესიო დღესასწაულების (ხარება, ქრისტეს შობა, ფერისცვალება, ბზობა, აღვსება, ამაღლება, დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, სულიწმინდის მოფენა და სხვ.) დროს გლახაკთათვის თანაბარი რაოდენობის დახმარება გაიცემა – ათ-ათი დრაჰკანი[4]. ყველა შემთხვევაში გლახაკებთან ერთად მოხსენებულნი არიან ჟამის მწირველნი (ექვსნი), რომლებიც შესაბამისად ორ-ორ დრაჰკანს იღებენ[5]. საგულისხმოა, რომ, განსხვავებით ამ უკანასკნელთაგან, გლახაკების რიცხვი დასახელებული არ არის. უნდა ვივარაუდოთ, რომ გლახაკები ბევრად უფრო მეტი იყვნენ. ამას გვაფიქრებინებს მათთვის გაცემული ქველმოქმედების (10 დრაჰკანი) შეფარდება ექვსი ჟამის მწირველისადმი დაწესებულ ქველმოქმედების რაოდენობასთან (2 დრაჰკანი).

მემატიანეთა მიერ დავით აღმაშენებლისა და თამარის ქველმოქმედებათა აღწერა გამოძახლია იმ საერთო იდეოლოგიური ატმოსფეროსი, რომელიც XI-XII სს. საქართველოში მეფობდა.

ქველმოქმედება (განსაკუთრებით მეფეთა მხრიდან), როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ გაკვრით, განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ გლახაკთა ფენა ქვეყანაში ანგარიშგასაწევი ძალა გახდა (ამას ემატებოდა საზოგადოებრივი აზრი). ეს ძალა იმდენად გაიზარდა და მნიშვნელოვანი გახდა, რომ ცალკეულ პირთა (თუნდაც მეფეების) ქველმოქმედება საკმარისი აღარ იყო. სწორედ ამიტომ საქმეში ერევა სახელმწიფო და თავის ღონისძიებებს ატარებს. ასე იყო IX საუკუნეში,

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 61-62. ყურადსაღებია, რომ იგივე დაწერილით კახა თორელი ამკვიდრებს საგანგებო აღაპს საკუთარი სახელის მოსახსენებლად აღდგომა დღეს: „...კარგი აღაპი გარდახდებოდეს... და რაც კარზედა გლახა იყოს ყუელა დაძღებოდეს; მწირნი და უძლურნი ვინცა ვერ მოვიდოდიან, ყუელასა შინად გაეგზავნებოდეს", იქვე, გვ. 60.

[2] პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი, ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 81, 82.

[3] იქვე, გვ. 84.

[4] იქვე, გვ. 103, 104.

[5] იქვე.

როცა „ნაწილი გლახაკთათვის“ იქნა დაწესებული. ეს დაწესებულება შემდგომში განვითარდა და „ყოვლისა ნაათალის“ სახე მიიღო. თამარის მეორე ისტორიკოსს შემონახული აქვს ცნობა, რომელიც გვაუწყებს: „ყოვლისა სამეფოსა მისისა (თამარის – რ. მ.) შემოსავალში, რაცა იყო შინათ და გარეთ, ყ ო ვ ლ ი ს ა ნ ა ა თ ა ლ ი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებლად ერთისა ქრთილისა მარცულამდეცა“[1]. „ყოვლისა“ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ლაპარაკია სახელმწიფოს მთელი შემოსავლის („ყოვლისა სამეფოსა მისისა შემოსავალნი, რაც იყო შინა და გარეთ, ყოვლისა ნაათალი“) მეათედზე. ასე რომ, „ყოვლისა ნაათალი“, რომელიც მოხსენიებულია „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“-ში, ზუსტად გამოხატავს სახელმწიფოს მიერ დაწესებული საქველმოქმედო ინსტიტუტის რეალურ არსს. საგულისხმოა, რომ გლახაკთათვის გაიცემოდა სახელმწიფოს მთელი შემოსავლის (საშინაო და საგარეო!) მეათედი – 10%.

გლახაკებისათვის ქველმოქმედების გაცემის საქმე საგანგებოდაა ორგანიზებული, „ხოლო გლახაკთათვის (თამარს – რ. მ.) განეჩინნეს სარწმუნონი ზედამდგომელნი“[2]. ზ ე დ ა მ დ გ ო მ ე ლ ნ ი განაგებენ ქველმოქმედების გაცემას. როგორც ჩანს, არ არის გამორიცხული რაიმე უპატიოსნობა ამ საქმეში ორგანიზატორთა მხრიდან. შემთხვევითი არ უნდა იყოს თამარის მეორე ისტორიკოსის აქცენტი ზედამდგომელთა სანდოობაზე („სარწმუნონი ზედამდგომელნი“). ზედამდგომელნი მეფისთვის, სამეფო ხელისუფლებისთვის სანდონი უნდა ყოფილიყვნენ, რომ რაიმე დარღვევას (მითვისებას, გლახაკისთვის განკუთვნილი სარგოს დაკლებას) არ ჰქონოდა ადგილი. სახელმწიფო შემოსავლის 10%-ის განაწილებას, ბუნებრივია, სათანადო უწყებათა მთელი სისტემა ესაჭიროებოდა. ალბათ სახელმწიფოში ეს საქმე გარკვეული თანამდებობის პირს ეკავა (არ გამოვრიცხავთ, რომ ეს პირი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი იყო, რომელიც „ობოლთა და ქვრივთა და მიმძლავრებულთა მოჩივართა“[3] განკითხვასთან ერთად, შესაძლო იყო გლახაკთათვის ქველმოქმედების საქმესაც ხელმძღვანელობდა) და ზედამდგომელთა[43] საშუალებით აგვარებდა მას.

დავით აღმაშენებელს გლახაკთათვის საგანგებოდ აუშენებია ქსენონი (საავადმყოფო), სადაც სნეულებს მკურნალობდნენ და კვებავდნენ. აქაც ზედამდ-

---

[1] იქვე, გვ. 147, ზოგიერთი მეცნიერის დასკვნით, დასაქმებული გლახაკები დახმარებას ღებულობდნენ არა სამეფო შემოსავლიდან, ე. ი. არა ბიუჯეტური წყაროებიდან, არამედ ამ წარმოებაში მათ მიერვე შექმნილი ღირებულებიდან (ვ. ჩანტლაძე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ერთი ადგილის გაგებისათვის, ცისკარი, 1968, 5, გვ. 126).

[2] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 147.

[3] გარიგება ჴელმწიფის კარისა, ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის გამოცემა, თბ., 1970, გვ. 34.

[4] იმდროინდელმა ბიზანტიამ იცის მსგავსი გლახაკთა საზედამხედველო ინსტიტუტი, კერძოდ, „მამასახლისი საგლახაკოსა ზედა“ „სიმეონ მესუეტის ცხოვრებაში“ ნათქვამია: „იყო კაცი ვინმე... რომელსა ერქუა დომნინოს და იყო იგი მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი ს ა გ ლ ა ხ ა კ ო ს ა ზ ე-და ქალაქსა, რომელსა რქჳან ლოსნიდო და აღსრულ იყო კონსტანტინეპოლისს შეკრემად საჴმრისა გლახაკთა მათთათჳს“ (ციტირებული გვაქვს ივ. ჯავახიშვილის წიგნიდან „მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში“, თბ., 1946, გვ. 63).

გომლები განაგებდნენ ყოველ საქმეს[1]. დავით აღმაშენებლის მიერ გელათის მონასტრისათვის ბაღვაშთა მამულის შეწირვის გზით „უზრუნველი ტრაპეზის" გაჩენა ეკლესიის სხვა მსახურებთან ერთად გლახაკთა გამოკვებასაც გულისხმობდა[2].

ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ ქალაქებში არსებობდა გლახაკთა თავშესაფრები. იგი იმოწმებს პეტრე ქართველის ცხოვრების ასურულ ტექსტს, სადაც მოცემულია ცნობა იმის შესახებ, რომ დიდ ბაკურს გლახაკთა თავშესაფარი აუგია. პეტრე ქართველის დედას, ბაკურდუხტს მოგზაურთათვის სასტუმროები და საავადმყოფოები აუშენებია[3]. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, გლახაკთათვის განკუთვნილ თავშესაფარს საგლახაკოჲ ქალაქისაჲ ერქვა[4]. ჩვენს ხელთ არსებული წყაროების გათვალისწინებით, მეცნიერის ეს დასკვნა სრულიად მართებული ჩანს. უფრო მეტიც, შესაძლოა ამგვარ „საგლახაკოჲ ქალაქისაჲ"-ში ხდებოდა პრაქტიკულად გლახაკთადმი სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ქველმოქმედების გაცემა.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში აქა-იქ გვხვდება ტერმინის „სახლი საგლახაკოჲს" გაიგივება გლახაკთა თავშესაფართან („საგლახაკოჲ ქალაქისაჲ"), რაც არ უნდა იყოს სწორი. „სახლი საგლახაკო", ჯერ ერთი, ძალზე იშვიათად გვხვდება წყაროებში, მეორე, იქაც კი, სადაც ეს ტერმინი მოგვეპოვება, მას აქვს თავისი კონკრეტული მნიშვნელობა, რაც, ჩვენი აზრით, შემდეგია: წყაროებში დამოწმებული „სახლი საგლახაკო" უნდა ნიშნავდეს ეკლესია-მონასტრებთან მყოფი გლახაკების (ნებით ანუ კონცეპტუალური გლახაკების) სამყოფს. ამის საილუსტრაციოდ, ვფიქრობთ, გამოდგება აღნიშნული ტერმინის შემცველი ქართული ტექსტები. ეფრემ ასურის „სწავლა მონაზონთა მიმართ და მარტოდ-მყოფთა" გადმოგვცემს: „საფლავნი მეფეთანი სავსენი ძუალებითა არა სწორ არიან სახლსა საგლახაკოსა, რომელსა შინა მკვდრთა ცხოვრებაჲ არს[5]. აქ სახლი საგლახაკოჲ არ ჩანს საგლახაკო ქალაქისაჲს (გლახაკთა თავშესაფრის) იდენტური. მოცემულ წყაროს საერთო შინაარსზე რომ არაფერი ვთქვათ, ქალაქებში არსებულ გლახაკთა თავშესაფარზე ალბათ ძნელი სათქმელი იქნებოდა „რომელსა შინა მკვდრთა ცხოვრებაჲ არს".

---

[1] იხ. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება I, გვ. 331.

[2] იქვე, გვ. 330. საფიქრებელია, რომ საქართველოში რამდენიმე ადგილას (მონასტრების მახლობლად!) დამოწმებული სახელწოდება „სამადლო" (სამადლო – მადლისათვის განკუთვნილი, ქართული ენის განმარტ. ლექსიკ., VI, სვეტი 683), მეფეთა მიერ დაწესებულ ღატაკთა შესანახ სახლს უნდა გულისხმობდეს. ასეთი სამადლო სახლები საქართველოში ბევრია სავარაუდებელი. მსგავსი სახლები თბილისში XIX საუკუნის შუაწლებამდე არსებობდა. ზოგი ცნობით, ერთი სახლი 1830 წელს, ხოლო მეორე 1882 წელს მოუშლიათ (რ. მეტრეველი, დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში V-VII სს-ში, თბ., 1976). ამ სახლებში გლახაკებისათვის გაიცემოდა: პური, ხორცი, ზოგჯერ ლობიო, მახოხი და სხვ.

[3] იხ.: ივ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 63.

[4] იქვე.

[5] იხ. მამათა სწავლანი X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, ილ. აბულაძის გამოცემა, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 197.

კ. კეკელიძის სახ. ქართულ ხელნაწერთა ცენტრში დაცულ „ფოკას ნამებაში“ გვხვდება: „... საგანძურთა მათთაგან განაშუენეს და შეამკეს სახლი ესი საგლახაკოჲ“[1]. აქაც, ბუნებრივია, ლაპარაკია ე. წ. წმიდა გლახაკების სახლის შემკობაზე. როგორც ჩანს, თვით ეს შემკობა და დამშვენება სახლი საგლახაკოისის გარკვეულ ღირსებად ითვლებოდა შემამკობელთათვის. შევნიშნავთ, რომ ზემომოყვანილი ეფრემ ასურის „სწავლა მონაზონთა მიმართ და მარტოდმყოფთა“-ში მოცემულია ტერმინი „საყოფელი საგლახაკოჲ“, რაც სახლი საგლახაკოჲს იდენტურია. „განშორებულო, კეთილ არს შენდა საყოფელი საგლახაკოჲ, უღონოჲ და უპოარი. ეს უმჯობეს არს სამკვიდრებელსა სოფლისასა შუენიერებითა სავსესა“[2]. .. აქაც საყოფელი საგლახაკოჲ ნებით გლახაკების სამყოფია, რადგან ეს „საყოფელი“ „კეთილ არს“ და ქრისტიანული იდეოლოგიის მატარებელი და პროპაგანდისტი ავტორი მას „სამკვიდრებელსა სოფლისასა“-ზე უმჯობესად მიიჩნევს. ამგვარად, ჩვენს მიერ მოტანილი მასალა ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ სახლი საგლახაკოჲ, ან საყოფელი საგლახაკოჲ ნებით (იდეურ) გლახაკთა სამყოფს გულისხმობს.

* * *

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ისტორიის მთელს სიგრძეზე გავადევნოთ თვალი ქველმოქმედებას. მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებით ვიფარგლებით.

ქველმოქმედება ახალი ძალით ჩანს XIX ს-ის მიწურულსა და XX საუკუნეში. ეს ნათლად ჩანს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისა და წიგნთსაცავის, და, რაც მთავარია, უნივერსიტეტის დაარსებისას სხვადასხვა პირთა მიერ გაწეულ დახმარებაში, რასაც მნიშვნელოვანი ქველმოქმედების სახე ჰქონდა.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წესდების მესამე მუხლის პირველ პარაგრაფში საგანგებოდაა მინიშნებული, რომ საზოგადოება „აარსებს და ხსნის ქ. ტფილისში, როცა დაინახავს შესაძლებლად, ქართულს მუზეუმს და ბიბლიოთეკას“, რომლებშიაც თავს მოუყრის და დაიცავს ნივთიერს და ნაწერს ნაშთებს, რომელნიც ეხებიან როგორც უმთავრესად უწინდელის საქართველოს და ახლანდელი ქართველი ტომების, ისე მთელის კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ისტორიას, არქეოლოგიას, ლიტერატურას, ანთროპოლოგიას, ეთნოგრაფიას და კულტურას, და აგრეთვე დაბეჭდილს წიგნებს უმთავრესად კავკასიის ცოდნის შესახებ“.

საქართველოში ეროვნული მუზეუმის დაარსება მართლაც საშური საქმე იყო. მეოცე საუკუნის დასაწყისში სამუზეუმო საქმე აღმავლობას განიცდიდა მსოფლიო მასშტაბით, ძალზე გაიზარდა ეთნოგრაფიით დაინტერესება. კავკასიის მუზეუმი (თბილისში) მხოლოდ ეგზოტიკურ კოლექციებს აგროვებდა საქართ-

---

[1] იხ. ფონდი S-384, 198v, 10.

[2] მამათა სწავლანი, გვ. 198.

ველოს მთაში (სვანეთი, ხევსურეთი). ნიშანდობლივია, რომ მუზეუმს არსებობის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში ადგილობრივი წარმოშობის არც ერთი თანამშ. რომელი არ ჰყოლია. ამან კავკასიის მუზეუმის საქმიანობას თავისებური დაღი დააჩნია. ეროვნული მუზეუმის შექმნით რუსეთის ადმინისტრაცია, ბუნებრივია, არ ყოფილა დაინტერესებული. უფრო მეტიც, ეროვნული კულტურის გამოვლინების ყოველგვარ ცდას უარყოფითად უყურებდა. ასეთ უაღრესად არახელსაყრელ პირობებში ადგილობრივი ძალების შემწეობით მუზეუმის შექმნა[1] დიდ ორგანიზატორულ მუშაობას მოითხოვდა.

პირველ ხანებში მუზეუმისა და ბიბლიოთეკისათვის საზოგადოებას არ გააჩნდა ბინა, სადაც შეიძლებოდა ნივთებისა და წიგნების შეკრება-შენახვა. სადეპუტატო საკრებულოსთან დაარსებული საადგილმამულო კომისიის ოთახში იდგა ერთი პატარა კარადა. კარადაში მოთავსდა ნიკოლოზ ხიზანაშვილის (ურბნელის) ქვრივის ელისაბედ ხიზანაშვილის მიერ შემოწირული წიგნები: 52 სახელწოდების რუსული და ფრანგული და 23 სხვადასხვა სახელწოდების ქართული წიგნი, რომელმაც საფუძველი დაუდო შემდგომში მუზეუმ-ბიბლიოთეკას. 1907 წელსვე (საზოგადოების დაარსებიდან ორიოდე თვის შემდეგ) შეიქმნა სამუზეუმო კომისია (ე. თაყაიშვილი, ა. სარაჯიშვილი, გ. ცეცხლაძე), რომელსაც უნდა შეემუშავებინა მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მოწყობის გეგმა. მთავარი პრობლემა ბინის გამონახვა იყო. ჯერ მიიღეს ერთი ოთახი სათავადაზნაურო გიმნაზიის მეორე სართულზე, უფრო გვიან ამ შენობის მესამე სართულის მთელი მარჯვენა მხარე დაიკავეს. საზოგადოებამ დიდი მუშაობა გაშალა სამუზეუმო ექსპონატებისა და სხვადასხვა (ხელნაწერი, ნაბეჭდი) წიგნის მოსაპოვებლად. მთელი 1908 წლის განმავლობაში მუზეუმ-ბიბლიოთეკის სახელზე არაერთი მნიშვნელოვანი შემოწირულება მოვიდა. არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს, რომ აქაც ქართველ საზოგადოებას მისაბაძი მაგალითი მისცა ექვთიმე თაყაიშვილმა[2]. მან მუზეუმ-ბიბლიოთეკას გადასცა ორი ხელნაწერი: ვახტანგის კანონები და ვახტანგის სამართალი. მას სხვებმაც მიბაძეს. მოსე ჯანაშვილმა მუზეუმ-ბიბლიოთეკას მეტად საინტერესო არქეოლოგიური ნივთი შესწირა, თავადმა გიორგი დავითის ძე ერისთავმა – ექვსი ბეჭედი, არაბული ფული, საკალატოზო შვეული (მინანქრიანი), დასაკეცი ხატის პატარა ძვლის კარი და სხვ. გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ათანასეს ძე მაყაშვილმა – ხელნაწერი „დავითნი“ (1691 წლისა) და ხელნაწერი „უამლოცვანი“ (1738 წლის), მარიამ ვახტანგის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანისამ – ვერცხლით მოჭედილი კეხი, ოქროთი დაფერილი ხატი, ვერცხლის რახტი, ოქრომკედით ნაკერი ქალის პირსაბური, სამღვდელო ფილონი, სტიქარი, ქამარი, ოლარი და მარგალიტით შემკული საბუხრეები.

---

[1] რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982, გვ. 66-89.

[2] რ. მეტრეველი, შ. ბადრიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1962, გვ. 26-34.

მუზეუმ-ბიბლიოთეკას 1908 წელსვე სხვადასხვა წიგნი და ნივთი შესწირეს: მარიამ დავითის ასულმა შარვაშიძისამ, ალექსანდრა გიორგის ასულმა ბერეზამ-ვილისამ, დამიანე დავრიშაშვილმა, ვლადიმერ ლორთქიფანიძემ, ბიბეილ ლობ-ჟანიძემ, აქვსენტი აბესაძემ, ივანე აფხაზმა, კალისტრატე ცინცაძემ და ნიკოლოზ ღოლობერიძემ.

ამასთან, საზოგადოებამ რამდენიმე ხელნაწერი და საარქეოლოგიო ნივთი ფულითაც შეიძინა (საერთოდ მუზეუმ-წიგნთსაცავისათვის გარკვეული რაოდენობის თანხა ყოველთვის იყო განსაზღვრული საზოგადოების წლიურ ხარჯთაღ-რიცხვებში), 1909 წლის 1 იანვრისათვის საზოგადოების წიგნთსაცავი 44 ხელ-ნაწერ და 95 ნაბეჭდ წიგნს ითვლიდა (ამას გარდა, საზოგადოებას ჰქონდა 56 ეგზემპლარი ნ. ხიზანაშვილის „ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი“ და 450 ცალი „თიმსარიანი“).

მუზეუმ-წიგნთსაცავს დიდი პერსპექტივა ჰქონდა. საჭირო ოყო სათანადო შენობის აგება, რომელიც საგანგებოდ მუზეუმისათვის გაიმართებოდა. ამ საქმეს დიდი თანხები სჭირდებოდა. საზოგადოებამ თხოვნით მიმართა შეძლებულ ქა-რთველებს, რომ ფინანსური დახმარება აღმოეჩინათ მუზეუმისათვის. ყოველი თხოვნის ბარათი დიდი ტაქტით იყო დაწერილი, დასაბუთებული იყო ამ საქველ-მოქმედო საქმის დიდმნიშვნელოვნება. სანიმუშოდ მოვიტანთ საქართველოს საის-ტორიო არქივში დაცულ ელისაბედ მოზდოკელისადმი კავკავში გაგზავნილ ერთ წერილს:

„მოწყალეო ქალბატონო, ელისაბედ დავითის ასულო!

მთელმა საქართველომ დიდის სიამოვნებით და სიხარულით მოისმინა ის ამ-ბავი, რომ გარდაცვალებულს თქვენს მეუღლეს იოსებ ვასილის ძეს ჰქონდა სურ-ვილი ნაწილი თვისის ქონებისა შეეწირა რომელიმე ქართულ საზოგადო საქმის-ათვის. მოულოდნელმა გარდაცვალებამ ხელი შეუშალა განსვენებულ იოსებს სის-რულეში მოეყვანა თავისი კეთილშობილური განზრახვა და უხვის შეწირულებით უკვდავექმნა როგორც თვისი სახელი, აგრეთვე თვისი გვარისაც.

მართალია, განსვენებულმა იოსებმა ვერ აასრულა თვისი სურვილი სიცოცხ-ლეში და ვერც მოასწრო დაეტოვებინა ანდერძი, მაგრამ სანუგეშოდ ისა გვაქვს, რომ განსვენებულს დარჩა მემკვიდრედ ძმა ბ-ნი გრიგოლი და თქვენ, ქალბატონი ელისაბედი. „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“ ღრ-მად დარწმუნებულია, რომ როგორც თქვენი მაზლი, აგრეთვე თქვენ, ქალბატონო ელისაბედ, არ ინებებთ, რომ პატივი არა სცეთ განსვენებულის იოსების კეთილ-შობილურს განზრახვას და სურვილს და არ აასრულოთ მისი სიტყვიერი ანდერძი საკეთილოდ და საბედნიეროდ ჩვენის სამშობლოსი და სადიდებლად თქვენის გვა-რისა და სახელისა შთამომავლობის ხსოვნაში.

დღეს უპირველესი საჭიროება ქართველი საზოგადოებისა ისაა, რომ რო-გორმე ავაგოთ შენობა (მუზეუმი), სადაც უნდა მოთავსდეს საქართველოს საერო განძი: ეს განძია ძველი ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები, საეკლესიო შესამოსელი, ძველის დროის სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს ფული, ძველებური ტანისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსი, სამკაული, ძველებური ჭურჭელი, ხელსაწყო, სამუშაო და საომარი იარაღი და სხვა. ამგვარი ნივთები უკვე ბლომადა გვაქვს მოგროვილი და სულ იმის შიში ვართ, ვაი თუ შესაფერი ბინის უქონლობის გამო ეს ნივთები ცეცხლმა იმსხვერპლოს და გადაგვეწვას. ეს უბედურება რომ დაგვემართოს, სწორედ ჩასაქოლავი გახდება დღევანდელი ქართველი საზოგადოება, რომ ვერ მოუარა, ვერ უპატრონა მამა-პაპათაგან დატოვებულ ეროვნულ განძს, რომლის შემწეობით საქართველოს განათლებულ ქვეყნების თვალში შარავანდედით მორთული სახელი აქვს მოპოვებული.

მუზეუმის აშენებას დასჭირდება არანაკლებ 60000 მანეთისა, მცირედი ფული უკვე გვაქვს შეგროვილი მუზეუმისათვის და თუ თქვენ, ქალბატონო ელისაბედ, და თქვენი მაზლი, ბ-ნი გრიგოლ, ინებებთ შემოსწიროთ ნაწილი თქვენის ქონებისა, თანახმად განსვენებულ იოსებ ვასილის ძის სურვილისა, მაშინ მუზეუმის აშენების საქმე გაიჩარხება და სულ ცოტა დროში ტფილისში ავაგებთ მშვენიერ შენობა-მუზეუმს, რომელსაც ზედ ექმნება წარწერილი თითბრის ან მარმარილოს ფიცარზე, რომ აგებულია ძმათა გრიგოლ და იოსებ ვასილის ძეთა და ელისაბედ მოზდოკელთა ღვაწლითა და საფასითა.

ეს წარწერა უკვდავსა ჰყოფს შთამომავლობის თვალში იოსების, გრიგოლისა და თქვენს სახელს. ამაზე უკეთეს ძეგლს მემკვიდრენი იოსებისა სხვას ვერას მოიგონებენ. გარდა ამისა თქვენ არჩეული იქნებით საპატიო წევრად ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებისა.

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ საბჭო ამასთანავე გაუწყებთ, რომ ცალკე წერილი მივწერეთ ამავე საგანზე ბ-ნს გრიგოლ მოზდოკელს და იმასაც ვსთხოვეთ შემოსწირონ ესე 40000 მანეთი, სასახელოდ თავისა და განსვენებულის იოსებისა. თუ საჭირო იქმნება ამ საქმეზე მოლაპარაკება, დიდის სიამოვნებით გაახლებთ მანდ, კავკავში, საბჭოს წევრს ალექსანდრე ყიფშიძეს, რომელსაც დაევალება მოაწყოს თქვენთან ერთად ეს საქმე.

ამასთანავე გაუწყებთ, რომ ამთავითვე „საზოგადოებამ“ თქვენ აგირჩიათ თავის ნამდვილ წევრად და გაახლებთ საზოგადოების წესდებას.

საზოგადოების თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი

მდივანი ს. გორგაძე“

წერილი დათარიღებულია 1908 წლის 20 ივნისით. იმავე თარიღით საზოგადოებამ წერილი გაუგზავნა გრიგოლ ვასილის ძე მოზდოკელსაც. ანალოგიური თხოვნით წერილები, როგორც ჩანს, სხვა ადრესატებსაც დაეგზავნა.

1909 წლის 20 დეკემბერს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საზოგადო კრებამ განიხილა გამგეობის მოხსენება მუზეუმის მდგომარეობისა და სამუზეუმო შენობის აგების შესახებ და დაადგინა: „კრება საჭიროდ სცნობს, რომ ახლავე აშენდეს სამუზეუმო შენობა. ამ მიზნის მისაღწევად შეუერთდეს დროებით მუზეუმის თანხას თანხები ილია ჭავჭავაძისა, რაფიელ ერისთავისა, სასტამბო და ძველი წიგნების ბეჭდვისა. მივმართოთ საზოგადოებას მოწოდებით და თხოვნით,

შემოგვწიროს ფული მუზეუმის ასაგებად. მივმართოთ აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებას – ამ აზრის განსახორციელებლად ავირჩიოთ ცალკე კომისია (თანასამად წესდების მე-15 პარაგრაფისა). კომისიაში საზოგადო კრება აირჩევს ხუთს წევრს. ხოლო მათ გარდა ამ კომისიაში მონაწილეობას იღებენ წევრის უფლებით სამი წარმომადგენელი წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობისა და სამი წევრი საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს წარმომადგენელი, რომელნიც ამასთანავე უნდა იყვნენ წ.-კ. გ. საზოგადოების წევრნი.

როცა ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ, სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენლებმა დიდი მწერლის სახელის უკვდავსაყოფად დასახეს რიგი ღონისძიებები, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ილიას თანხის დაარსება იყო. რისთვის უნდა გამოყენებულიყო ეს თანხა? ამასთან დაკავშირებით უპრიანია ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრება, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ისრის" ფურცლებზე: „... ახლავე უნდა გვქონდეს გარკვეული რა უფრო გვესაჭიროება ამჟამად, რას უნდა მოხმარდეს ყველაზე ადრე, ყველაზე უპირატესად ეს ფონდი, რის დაარსება უფრო შესაფერია ილია ჭავჭავაძის სახსოვრად? ჩვენის აზრით, ამჟამად ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ქართული მუზეუმის აშენება"[1].

ექვთიმე თაყაიშვილს მიაჩნდა, რომ აქ უნდა შეკრებილიყო მთელი ის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ლიტერატურული და სხვა მასალები, რომლებიც მანამდე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ინახებოდა. მუზეუმში უნდა შექმნილიყო ილიას დარბაზი, სადაც გამოფენილი იქნებოდა მისი ბიუსტი, სურათები, ხელნაწერი და ნაბეჭდი მასალა. ექვთიმე თაყაიშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ჯერჯერობით არც ერთმა ქველმოქმედმა (რისი იმედიც ჰქონდათ) არ გაუმართლათ იმედი და მუზეუმის აშენების საქმე ვერ მოგვარდაო. მეცნიერს მიაჩნდა, რომ საჭირო იყო თვითონვე შედგომოდნენ მუზეუმის აშენების საქმეს, რასაც უნდა მოხმარებოდა დიმიტრი ბაქრაძისა და რაფიელ ერისთავის ფონდებში არსებული თანხები (ილია ჭაჭავაძის თანხასთან ერთად).

მუზეუმისა და ბიბლიოთეკის დაარსებას, გარდა მატერიალური სახსრებისა, მთავრობის ნებართვაც სჭირდებოდა. ეს უკანასკნელიც არ იყო ადვილი. საზოგადოებამ ბიბლიოთეკის დაარსების ოფიციალური ნებართვა 1911 წლის 5 დეკემბერს მიიღო, მუზეუმისა კი – 1912 წლის 24 იანვარს. შეძლებულმა ქართველმა მამულიშვილებმა დახმარების ხელი გაუწოდეს ამ დიდსა და საშვილიშვილო საქმეს. პავლე თუმანიშვილმა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შესწირა ერთი დესიატინა მიწა, ვაკეში სათავადაზნაურო გიმნაზიის მახლობლად, მამული იმთავითვე დაუმტკიცა საზოგადოებას და თანაც აღუთქვა, რომ გადასცემდა დიდი რაოდენობით საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო წიგნებს (ეს წიგნები უნდა მოთავსებულიყო ერთ დარბაზში, რომელსაც პავ-

---

[1] გაზ. „ისარი", 1907 წ., 10. IX. 201.

ლე იოსების ძე თუმანიშვილის სახელი დაერქმეოდა); მრავალი ეროვნული საქმის დიდმა მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა იკისრა თავისი ხარჯით მუზეუმის აშენება. რადგან იგი ავად იყო და საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა სამკურნალოდ, შეადგინა ანდერძი და საზოგადოებას აცნობა, რომ მუზეუმის ასაშენებელი თანხა გადადებულია. თუკი მას დასცალდებოდა საზღვარგარეთიდან დაბრუნება, მაშინვე თავად შეუდგებოდა შენობის აგებას. დ. სარაჯიშვილმა საქართველოში დაბრუნების უმალ მოინდომა მისი განხორციელება. უპირველესად მოითხოვა მიწის გამოყოფა. პ. თუმანიშვილის შემოწირული მიწა მან (და სხვებმაც) არ მოიწონეს მუზეუმისათვის, ჯერ სიშორისა და შემდეგ ფასადის გასამართავი ფართობის (სულ 9 საჟენი იყო) სიმცირის გამო. დ. სარაჯიშვილმა საზოგადოებას ურჩია შეეძინათ წყნეთისა და ოლღას ქუჩების შუა მდებარე წილოსანისეული მიწა (ამ ნაკვეთის მიხედვით დ. სარაჯიშვილმა გერმანელ ხუროთმოძღვარს შეადგენინა მუზეუმის გეგმა-პროექტი). ეს მიწა სულ 250 კვადრატული საჟენი იყო, მაგრამ წილოსანს მთლიანად არ ეკუთვნოდა – 1/14 ცისკარიშვილისა იყო, 1/14 მალინოვსკისა. იმხანად წილოსანი საზღვარგარეთ იყო და, როგორც მისმა ვექილმა ნ. ქართველიშვილმა განაცხადა, ერთ თვეში უნდა დაბრუნებულიყო. მისივე ცნობით, მიწას გაჰყიდიდა წილოსანი 1 საჟენს არანაკლებ ათი თუმნისა. საზღვარგარეთიდან ჩამოსვლა დააგვიანდა წილოსანს, საქმე კი არ ითმენდა, ამიტომ გიორგი ყაზბეგისა და ექვთიმე თაყაიშვილის ხელმოწერით ბარათი გაუგზავნიათ მისთვის, მაგრამ პასუხი არ მიუღიათ.

ამასობაში სხვა მიწაც ნახეს წყნეთის ქუჩის ბოლოს. ფართობი 1000 კვადრატული საჟენი იყო, მაგრამ უხერხული მდებარეობა ჰქონდა (ადგილი წაგრძელებული იყო და ჩავარდნილი). არც ეს მიწა მოიწონეს და სარაჯიშვილის რჩევით, მოცდა და ისევ წილოსანის მიწის ყიდვა გადაწყვიტეს. ამ დროს ერთმა სომეხმა ვაჭარმა მუზეუმის მშენებლობის ხელის შეშლის მიზნით გადაწყვიტა ცისკარიშვილისადმი კუთვნილი ნაკვეთის (ფართობის 1/14 ნაწილის) შეძენა, ბეც მისცა და სათანადო ხელწერილიც მიიღო (ხელწერილით მიწას ცისკარიშვილი 1500 მანეთად ყიდდა, თუ პირობას დაარღვევდა 500 მანეთი უნდა გადაეხადა). როცა სამუზეუმო კომისიამ ეს ამბავი შეიტყო, მოელაპარაკნენ ცისკარიშვილს და ამ უკანასკნელმაც სომეხ ვაჭარს უარი უთხრა და დათანხმდა, რომ ექვსი თვის განმავლობაში მიწას საზოგადოებას დაუმტკიცებდა. მოლაპარაკება მალინოვსკისთანაც გაიმართა: ამ დროს საზღვარგარეთიდან წილოსანი დაბრუნდა. როცა საზოგადოების განზრახვა შეიტყო, მიწის გაყიდვის საქმე შორს დაიჭირა და ამდენად ეს ცდაც ჩაიშალა. 1911 წ. დ. სარაჯიშვილი გარდაიცვალა. მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მან დატოვა საგანგებო ანდერძი, რომლითაც მის ნების აღმასრულებლებს ევალებოდათ ზოგიერთი მამული გაეყიდათ, იქიდან აღებული ფულის ნახევარი (ამ თანხამ ასი ათას მანეთზე მეტი შეადგინა) მუზეუმის ასაგებად გამოეყოთ, დარჩენილი ნახევარი სტიპენდიებისათვის უნდა გადადებულიყო.

ნიშანდობლივია, რომ ვიდრე მუზეუმ-წიგნსაცავისათვის შენობის აგების საკითხი წყდებოდა, სამუზეუმო ექსპონატები თანდათან მატულობდა. ქართველი საზოგადოების ერთი (მოწინავე) ნაწილი დიდი ყურადღებით მოეკიდა მუზეუმის შექმნის საკითხს და შემოწირული ნივთების რიცხვმა ძალზე იმატა. 1917 წლისათვის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ჰქონდა 9875 წიგნი (აქედან 1495 – ქართული, 8380 – რუსულსა და სხვა ენებზე), 160 ალბომი, 1427 ხელნაწერი და 8000-ზე მეტი სიგელ-გუჯარი. ბევრი ხელნაწერი ეტრატზე იყო შესრულებული (აქედან ნაწილი სურათებით იყო შემკული). არაერთი ხელნაწერი ახალაღმოჩენილი და ჩვენი მწერლობისთვის სრულიად უცნობი იყო. უძველესი ხელნაწერები მეათე საუკუნეს განეკუთვნებოდა, უახლესი – მეოცეს. სიგელ-გუჯართა შორის უძველესი მეთორმეტე საუკუნისა იყო, უახლესი – მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისა. ბევრი ნაბეჭდი წიგნი და ალბომი ძვირადღირებული ახალაღმოჩენილი იშვიათი გამოცემა იყო. საგულისხმოა, რომ გამოცემათა უდიდესი ნაწილი ჰუმანიტარული ხასიათის ლიტერატურა იყო კავკასიისა (ძირითადად საქართველოს) და მისი მოსაზღვრე მხარეების შესახებ (საზოგადოებამ უარი თქვა ქიმიის შესახებ დიდი ბიბლიოთეკის მიღებაზე და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე მიუთითა).

საგრძნობლად გაიზარდა სამუზეუმო ნივთების რაოდენობაც. იმავე, 1917 წლისათვის საზოგადოებას ჰქონდა 2432 სხვადასხვა საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ნივთი, 550 ნაქსოვ-ნაკერი ექსპონატი, 62 ქანდაკება, 585 მხატვრული ნაწარმოები (ისტორიულ პირთა პორტრეტები და სხვ.).

1912 წლიდან საზოგადოების საბჭო შეუდგა ეკლესია-მონასტრების კედლებიდან ფრესკების გადმოღების ორგანიზებას. 1917 წლისათვის 73 ძველი ფრესკის პირი (ფაქსიმილე) მოეპოვეოდა საზოგადოებას და მუზეუმის ცალკე განყოფილებას შეადგენდა. აქ იყო: ბეთანიის, საფარის, მცხეთის, ყინწვისის, ტიმოთესუბნის, ნაბახტევის, ჭულევის, ნაყურალეშის, ვანის, გარეჯის, ბერთუბნის, ხახულის, ოშკის, იშხანის, ტაბაკინის, ნეკრესისა და საბუის ტაძართა ფრესკები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექცია, რომელიც თავისი სიმდიდრით გამოირჩეოდა. ქართული მონეტების კოლექცია სამი მნიშვნელოვანი წყაროს მეშვეობით დაკომპლექტდა. ესაა: იაკობ სერგის ძე მედვედიევისაგან ნაყიდი მონეტები (ეს შენაძენი საფუძვლად დაედო კოლექციას), ექვთიმე თაყაიშვილის კოლექცია, რომელიც მან გადასცა საზოგადოებას, და კირიონ II-ის კოლექცია (განსაკუთრებით მდიდარი იყო უცხო სახელმწიფოთა ფულებით). ამგვარად, შეგროვდა მეტად მნიშვნელოვანი კოლექცია, რომელიც დამუშავდა და სათანადოდ განლაგდა. მის მოწესრიგებაში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ ნუმიზმატს ევგენი ალექსანდრეს ძე პახომოვს. კოლექციაში იყო 38893 ნუმიზმატიკური ერთეული (1081 – ვერცხლის, 2794 – სპილენძის, 4 – ბრინჯაოსი). უძველესი იყო „კოლხური თეთრი“ და უახლესი რუსულ-ქართული ფული (ამ უკანასკნელის მოჭრა შეწყდა 1833 წ.). კოლექციაში მოიპოვებოდა ისეთი მონეტებიც, რომლებიც მანამდე ნუმიზმატიკური ლიტერატურისათვის უცნობი იყო.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმ-წიგნსაცავისათვის მდიდარი (როგორც რაოდენობით, ისე ღირებულებით) მასალა იქნა მოპოვებული და სათანადო მუშაობაც მიმდინარეობდა ამ მასალის დამუშავება-გამოფენისათვის. სამუზეუმო საქმემ ფართო საზოგადოების ყურადღება იმითაც მიიქცია, რომ იგი პოპულარული იყო ხალხში თავისი მნიშვნელობით. არა ერთმა მოღვაწემ გამოთქვა სურვილი უშუალოდ ეთანამშრომლა მუზეუმში და თავისი წინადადებები შეჰქონდა საქმის სწორად ორგანიზების მიზნით. მოვიტანთ (სტილის დაცვით) ნაფიცი ვექილის თანაშემწის გიორგი ჟორდანიას (იგი შემდგომში ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარე იყო) განცხადებას (დათარიღებულია 1911 წლის 11 ივნისით):

„ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების საბჭოს
ნაფიც ვექილის თანაშემწის
გიორგი თედორეს ძის ჟორდანიას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაგებული მაქვს, რომ ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას განუსაზღვრავს ქართული მუზეუმის დაარსება ეთნოგრაფიულ განყოფილებით. მე ეს სამი წელიწადია ვაგროვებ ჩვენში ეთნოგრაფიულ მასალას, ვირიცხები მოსკოვის ეთნოგრაფიულ საზოგადოების წევრად და წამიკითხავს იქ რამდენიმე მოხსენება ქართული ეთნოგრაფიის შესახებ. ამჟამად, უნივერსიტეტში კურსის დამთავრების შემდეგ, სამუდამოდ თბილისში მაქვს განზრახული დარჩენა და ქართული ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსება და შემდეგში მისი გამგეობა ისეთ საქმედ მიმაჩნია, რომლისთვისაც, ვგრძნობ, საჭირო და გამოსადეგი ვიქნებოდი.

ამისათვის ვთხოვ ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოების საბჭოს, თუ შესაძლოდ დაინახავს ამ ჩემს წინადადებას, მომანდოს მე ჯერ-ჯერობით მოწყობა, შემდეგ კი (მოწყობის შემდეგ) გამგეობა ქართულ მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილებისა.

ამ თავითვე ვთხოვ საბჭოს მომცეს სადმე ერთი ოთახი, საცა შემეძლოს ვაგროვო მასალა და მივიღო-ხოლმე მუდმივი კორესპონდენცია. სასურველი იქნებოდა აგრეთვე, მცირეოდენი „ავანსი“ ეთნოგრაფიული მხრივ საინტერესო ნივთების შესაძენად და 1000-2000 ცალი მოწოდების (არა უმეტეს 3-4 გვერდისა) დაბეჭდვა ქართულ საზოგადოებაში გასავრცელებლად.

თუ წერილობითი წესები მუზეუმის გამგეობისა შემდეგში შემუშავებულ იქნება საბჭოს მიერ, სასურველი იქნება, რომ შემუშავებულიყო ჩემის თანდასწრებით.

გ. ჟორდანია
1911 წ. 11 ივნისი
ადრესი: ტურგენევის ქ. 2“.

* * *

ცალკე შევჩერდებით უნივერსიტეტის დაარსებისას გაწეული ქველმოქმედების შესახებ. საყოველთაოდ აღიარებულია ის დიდი ამაგი, რომელიც დიდ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ივანე ჯავახიშვილს მიუძღვის უნივერსიტეტის დაარსებაში.

1917 წლის 3 ოქტომბერს გაიმართა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების კრება, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა გახსნა. მისივე წინადადებით თავმჯდომარედ აირჩიეს ექვთიმე თაყაიშვილი, საპატიო თავმჯდომარედ დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი. დამსწრე საზოგადოებამ დიდი აღფრთოვანებით მოისმინა ივ. ჯავახიშვილის მოხსენება უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობასა და იმ მუშაობის შესახებ, რაც გაწეული იყო მისი გახსნისათვის. 1917 წლის 8 ოქტომბერს გაიმართა საერთო კრება, რომელსაც 200-ზე მეტი წევრი და გარეშე პირი დაესწრო. ივ. ჯავახიშვილმა წარმოსთქვა სიტყვა სამოქმედო გეგმის შესახებ. უწინარეს ყოვლისა ივ. ჯავახიშვილი შეეხო უნივერსიტეტის ნივთიერ მხარეს. ხალხი დიდი კმაყოფილებით გამოეხმაურა ამ მოვლენას. ქველმოქმედების სახით დიდი რაოდენობით შემოდიოდა თანხა, თანაც მორალურ მხარდაჭერას უცხადებდნენ ივ. ჯავახიშვილს. მეცნიერის არქივში დაცულია რამდენიმე წერილი. აი ზოგი მათგანი:

„მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს

ღრმად პატივცემულო ბატონო ივანე! ქართული უნივერსიტეტის დაარსების აზრმა უზომოდ გამახარა, ვინაიდან ვგრძნობ, რომ ამ აზრის განხორციელებით ჩვენს ქვეყანას აღორძინების ახალი ხანა უდგება.

ნება მიბოძეთ, მე, როგორც ჩვენი ერის წინ მსვლელობის მონატრე ერთმა ქართველთაგანმა, ერთდროულ დახმარებად ჯერ-ჯერობით მოგართვათ ასი თუმანი (ათასი მანეთი) ქართული უნივერსიტეტის დასაარსებელ თანხის გასაძლიერებლად.

იმედია, თქვენი ჩვეულებრივი მუყაითობით ჩვენს სამშობლოს მალე ეღირსება საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი, ჩვენ დედაქალაქ თბილისში.

დავშთები მარადის თქვენი ღრმად პატივისმცემელი ყარამან სიმონის ზე კიკნაველიძე“.

ამ ბარათში გარდა უნივერსიტეტის დაარსების მოლოდინით გამოწვეული სიხარულისა, აშკარად ჩანს ის დიდი სიყვარული და ავტორიტეტი, რომლითაც ივ. ჯავახიშვილი უკვე სარგებლობდა. ამგვარი ბარათები ბევრი მოვიდა ქვეყნის ყველა კუთხიდან. უნივერსიტეტის დაარსებისთვის საქმიანობას საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებიც გამოეხმაურნენ. ისინი თავიანთ მორალურ მხარდაჭერასთან ერთად მატერიალურადაც ეხმარებოდნენ ამ იდეის განხორციელებას. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ გამოჩენილმა სომეხმა მწერალმა ოვანეს თუმანიანმა უნივერსიტეტს შესწირა 100 მანეთი ოქროთი, თანაც სწერდა: „მხოლოდ მეცნიერებას, ლიტერატურასა და ხელოვნებას შეუძლია ამოავსოს ის

უფსკრული, რომელიც აცალკევებს ხალხებს და მხოლოდ მათ შეუძლიათ შექმნან მომავალი უკეთესი ცხოვრება და ნამდვილი ადამიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე აღტაცებით წარმოვიდგენ ხალისიან და კეთილშობილ ქართველს, რომელიც მშობლიურ ენაზე იღებს უმაღლეს განათლებას (1917 წ. 25 ოქტომბერი)".

როგორც ჩანს, სომეხი ხალხის ჭეშმარიტი შვილის ამ მისალმებას დიდი გამამხნევებელი გავლენა მოუხდენია ქართველებზე. ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ სამადლობელო წერილით უპასუხა ოვანეს თუმანიანს:

„თქვენს ღრმად მგრძნობიარე სიტყვებში, როგორც თავისი სამშობლოს საუკეთესო შვილისა და მისი ფიქრების ნიჭიერად გამომხატველისა, ჩვენ ვხედავთ ალერსსა და მისალმებას მთელი სომეხი ხალხისა". მადლობის წერილს ხელს აწერს კ. აბხაზი.

საუნივერსიტეტო ფონდის შექმნაში ცალკეულ პიროვნებათა გარდა მონაწილეობდნენ სხვადასხვა საზოგადოებები. ამგვარად თანდათან იზრდებოდა თანხა და მიზანიც რეალური ხდებოდა.

... 1918 წლის 26 იანვარს (ახ. სტილით 8 თებერვალს) დავით აღმაშენებლის მოსახსენებელ დღეს გაიხსნა უნივერსიტეტი.

* * *

დღეს, როცა დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დადგა სოციალური პრობლემები, ახალმა წყობამ, ახალმა ურთიერთობებმა მრავალი საკითხი წამოსწია და მათი გადაჭრა მოითხოვა. ეს კი რთული საქმეა – დროა საჭირო. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ შეცდომებიც ბევრი დავუშვით, რეალური ხდება დღევანდელი სირთულეების გამომწვევი მიზეზები.

საქართველოში პრაქტიკულად ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობები ყალიბდება. და აი, აქ წინ წამოიწია ქართველ მეწარმეთა ფენამ. მათი როლი მნიშვნელოვანია ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. შეიძლება ჯერჯერობით ქართულმა ბიზნესმა ვერ მიაღწია სასურველ დონეს, მაგრამ მისი არსებობა და წინსვლა თვალსაჩინოა.

ნიშანდობლივია, რომ ბიზნესის განვითარების პარალელურად ჩვენ ვხედავთ ქველმოქმედების მეტად შთამბეჭდავ მაგალითებს.

ქველმოქმედების საწყისი სიკეთეა. ამიტომაა მისი განვითარება საჭირო. საქართველოში ქველმოქმედებას დიდი წარსული აქვს და იგი მომავალშიც, ერთის მხრივ ცალკეულ მოღვაწეთა შემწეობით, მეორე მხრივ კი სახელმწიფოს დახმარებით (საკანონმდებლო ბაზის შექმნა, ქველმოქმედთა წახალისება), ვფიქრობთ, კვლავ ფართოდ განვითარდება.

2001 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიტყვის კონა ანუ ცოდნის სალარო
საენციკლოპედიო მუშაობის წარსული, აწმყო და მომავალი

„ამა წიგნთა შინა არიან სახელნი კეთილნი და ბოროტნი, საქებელნი და საძაგებელნი, უბადონი და ცუდნი. არა თუ კიცხევისათვის აღმიწერია, რათა საქირდლად იპყრათ, არამედ ენისა სისრულისათვის აღვსწერე“.

სულხან-საბა ორბელიანი

XX საუკუნის 60-იან წლებში მეცნიერებისა და ტექნიკის არნახულმა განვითარებამ ეროვნული უნივერსალური ენციკლოპედიის არსებობის წანამძღვრები შექმნა. და აი, ჩვენში გაიშალა მუშაობა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოსაცემად. ენციკლოპედია, ყველა სხვა კულტურულ მიღწევებთან ერთად, ჩვენი ერის მაღალგანვითარებულობის ახალი მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო. ის ერები, რომელთაც ტრადიციულად ენციკლოპედიის გამოცემის დიდი წარსული აქვთ, ეროვნული უნივერსიტეტების გვერდით განიხილავენ მის მნიშვნელობას და ამაყობენ თავიანთი ენციკლოპედიური საქმიანობის ტრადიციებით. მსოფლიოში არსებულ ენციკლოპედიურ ლიტერატურათა შორის უდიდესი ადგილი უჭირავს „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიას“.

საქართველოს სინამდვილეში ეროვნული ენციკლოპედიის გამოცემა მეტად დიდი მნიშვნელობის მოვლენაა.

ორიოდე სიტყვა ქართული ენციკლოპედიურ-ლექსიკოლოგიური ცოდნის ისტორიიდან

„მე სულხან-საბა ორბელიანსა, ჭაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა. რამეთუ ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებათა უჩინო ქმნილი იყო, რომელსა მეხუთე ვახტანგ მეფემან ქართულად „სიტყვის კონა“ უწოდა“. – ავტორი ამ სიტყვებისა, გამოჩენილი ქართველი ლექსიკოგრაფი და საზოგადო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი, ამ ორი საუკუნის წინ ჩიოდა, რომ „ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარა იპოებოდა“. ამ შემთხვევაში ჩვენ ეს მომენტი გვაინტერესებს (საერთოდ, ს. ორბელია-

ნის მოღვაწეობაზე საგანგებოდ შევჩერდებით ქვემოთ). რაკი საბას დროს ასეთი ლექსიკონი აღარ არსებობდა, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ძნელბედობის ჟამს დაიკარგა და ველარ მოაღწია. მართლაც, თუ გავადევნებთ თვალს ქართული ლიტერატურის განვითარებას, ყურადღებას იქცევს ძველი ქართული ლიტერატურის სიმდიდრე ნაირფეროვანი ჟანრებითა და მეცნიერული დარგებით. ჩვენში დამწერლობის ჩასახვის უმალ შეიქმნა ქრისტიანული მწერლობის დარგები – ბიბლიოლოგია, ჰიმნოგრაფია და აგიოგრაფია. შემდგომში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ისტორიოგრაფიას, პოლემიკას, კანონიკასა და ფილოსოფიას. ეს თავისთავად მოასწავებდა ქართველ მწიგნობართა ზოგადი თუ სპეციალური აზრის სიფართოვეს. ლიტერატურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგების სიმრავლემ თავის მხრივ განაპირობა აუცილებელი არსებობა ისეთი დამხმარე მეცნიერული დარგებისა, რომლებიც მოწოდებულნი იქნებოდნენ მიეცათ მკითხველისათვის ნათელი წარმოდგენა მათთვის უცნობ სხვადასხვა სამეცნიერო ცნებებზე.

საისტორიო, ფილოსოფიურ-თეოლოგიური და საერო-მხატვრული მწერლობის განსაკუთრებული აყვავება ხდება XI-XIII საუკუნეებში. ეს არის პერიოდი, როცა სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ გამოჩენილი მწერლები და მეცნიერები: გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, ლეონტი მროველი, იოანე შავთელი, შოთა რუსთაველი, ჩახრუხაძე და სხვ. კულტურულ ასპარეზზე ასეთი დიდი მოღვაწეების გამოსვლამ ახალი ძვრები მოიტანა, ხელი შეუწყო ქვეყნის კულტურულ პროგრესს. შეიქმნა ლიტერატურული სკოლები, დაიწერა სასწავლო სახელმძღვანელოები, შემუშავებულ იქნა თარგმანისა და კომენტარების შედგენის მეთოდები, ფილოსოფიური სტილი და ტერმინები, დაწესებული იქნა სახოტბო და ეპიკური პოეზიის ნორმები. ხსენებულმა მოღვაწეებმა ახალი ჰუმანური იდეები დაუდვეს საფუძვლად თავიანთ საქმიანობას და მათმა შემოქმედებამ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია.

ქართული მწერლობისა და მეცნიერების ამ აყვავების პერიოდში ახალი შთაგონებით, ცხოველი ძალით დაიწყო ფილოლოგიურ-ენათმეცნიერული კვლევა. უდიდეს როლს ამ მხრივ ასრულებენ ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის სალიტერატურო სკოლები, რომლებიც სხვა მნიშვნელოვან საქმიანობასთან ერთად ლექსიკოლოგიურ მუშაობასაც ეწევიან. ამ პერიოდის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ თუ საისტორიო აგიოგრაფიულ თხზულებებს თან ერთოდა ენციკლოპედიური ხასიათის განმარტებები, სადაც მკითხველი იგებდა, როგორც უცხოური ცნებების, ტერმინების, ასევე საკუთარ გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა მნიშვნელობებს. ამგვარი განმარტება-კომენტარები საკმაოდ უხვად გვხვდება ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის შრომებში. ამ მხრივ საინტერესოა კონსტანტინე (ეგნატე) დიაკონის (IX ს.) მიერ ბერძნულიდან თარგმნილი თხზულება: „სიტყვა ექსორიობით აღმოყვანებისათვის სხეულისა წმინდისა ნიკიფორესსა“ (გელათური მეტაფრასი, № 2, გვ. 172-205), რომელსაც ერთვის ისტორიული და

მითოლოგიური სახელების კომენტარები[1]. აღსანიშნავია ასევე ეფრემ მცირის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი „ზღაპრობანი ელენთანი“, რომელშიც შეკრებილია ძველი ბერძნული მითოლოგიური სახელები და ბერძენ ფილოსოფოსთა ნააზრევი და განმარტებანი, რომელიც ნათელ წარმოდგენას აძლევს მკითხველს მითოლოგიურ მოვლენებსა და ფილოსოფიურ ცნებებზე.

ქართული ენციკლოპედიური ცოდნის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი არსენ იყალთოელის ფილოსოფიურ-თეოლოგიური შრომების კრებულმა „დოღმატიკონმა“, იოანე პეტრიწის „პროკლე დიადოხოსის კავშირთა კომენტარებმა“, ნემესიო ემესელისა და ამონიოს ერმისის ფილოსოფიურ-ლოგიკურ თხზულებათა ქართულმა თარგმანებმა. შემორჩენილია თარგმნილ ლექსიკონთა ფრაგმენტები. მაგალითად, „წმიდათა და ღმრთივ სულიერთა წიგნთაგან ღმერთ-შემოსილთა მამათა მიერ გამოკრებული ებრაელთა ენისა სახელები რაოდენიმე თარგმანებაი ლექსიკონისაი“[2]. აქ 121 უცხო სიტყვაა განმარტებული. ჩვენი აზრით, სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად მართებული ვარაუდია გამოთქმული, რომ ამგვარი ლექსიკონები სხვაც იქნებოდა ქართულ ენაზე[3]. ზოგი ცნობით, სამეფო ბიბლიოთეკაში ყოფილა სხვადასხვა ლექსიკონები, რომლებშიც შეიძლებოდა ამა თუ იმ სადავო სიტყვის მნიშვნელობის გაგება[4].

ქართული საენათმეცნიერო-ლექსიკოლოგიური საქმიანობა ახალ აღმავლობას განიცდის სულხან-საბა ორბელიანის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლით. ეს ფაქტობრივად ახალი ეტაპის დასაწყისი იყო. სულხან-საბა ორბელიანმა გიგანტური შრომა გასწია თავისი „ქართული ლექსიკონის“ შესაქმნელად. „რომელნიცა ძნელნი სიტყვანი არა ვიცოდით, ღრმათა წიგნებთა შინა ვპოე. და რომელნიმე სხვათა ენათა შევამოწმე და გამოწვლილვით რომელნიცა ვპოე, ადვილად თან მოვაწერე, რომელნიცა ვერა ვპოე, საცილობელი არ დავწერე“. ს. ს. ორბელიანს გამოუყენებია ბერძნული, ლათინური, არაბული, სომხური და რუსული ლიტერატურა („გარნა რაოდენ ძალ-მედვა, ვეცადე ელენთა, ლათინთა, სომხურთა, რუსთა და არაბთა წიგნებისაგან და მით გამოვიღე“). მეცნიერს დიდი ამოცანა დაუსახავს თავისი შრომისათვის – იგი უნდა ყოფილიყო იმ ლექსიკონის შემცვლელი, რომელიც ადრე ჰქონიათ ქართველებს და ჟამთა ძნელბედობის გამო დაკარგულიყო; ამ ნაშრომით უნდა შეესწავლათ ენა ქართული, შესრულებული და გავრცელებული ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ“.

სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ ენციკლოპედიური ხასიათის განმარტებითი ლექსიკონია. მასში, გარდა წმინდა ენობრივი საკითხებისა, განმარტებულია მნიშვნელოვანი საენციკლოპედიო მასალაც – მეცნიერული ცნე-

---

[1] ი. ლოლაშვილი, ქართული ენციკლოპედიურ-ლექსიკოლოგიური ცოდნის ისტორიიდან, ხელნაწერი (დაცულია ქართული ენციკლოპედიის არქივში).

[2] ი. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, III, 1936, გვ. 267.

[3] ა. ღლონტი, ნარკვევები, 1955, გვ. 111-112.

[4] სულხან-საბა ორბელიანი, III, ი. ლოლაშვილის რედაქციით, 1963, გვ. 305-306.

ბები, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და საკუთარი სახელები, უცხო სიტყვები და გამოთქმები და სხვ. სულხან-საბას კარგად ესმოდა, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომის შექმნა და სამზეოზე გამოტანა ბევრ დაბრკოლებასთან იქნებოდა დაკავშირებული. გამოჩნდებოდნენ ალბათ ისეთნიც, რომლებიც გაჰკილავდნენ მეცნიერების ნაღვაწს. შემთხვევითი არ არის, რომ თვით საბაც ვარაუდობდა ამგვარ შეხვედრას მისი ლექსიკონისადმი: „ვიცი, მრავალნი საბასრობელად დასდებენ ნაშრომთა ამათ ჩემთა. მათ თუცა წერილნი უყვარან. მრავალნი ხვანი წერილნი არიან საღვთონი და საერონი, და რომელიც ენებოსთ იგი იკითხნენ“[1].

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონმა უდიდესი როლი ითამაშა ქართული ენციკლოპედიური ცოდნის განვითარებაში. საკითხების სიმრავლემ და სიფართოვემ, ჭეშმარიტმა ენციკლოპედიურობამ ეს ბრწყინვალე ნაშრომი დღემდე მნიშვნელოვან სამაგიდო წიგნად აქცია, წიგნად, რომელსაც ფართოდ იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

XVIII-XIX საუკუნეებში ლექსიკოლოგიური მუშაობა კვლავ გრძელდება. გამოჩნდნენ მწიგნობარნი, რომლებიც ავრცობენ და აზუსტებენ „ქართულ ლექსიკონს“. ამ მხრივ აღსანიშნავია ცნობილი პოეტისა და მწიგნობრის დავით რექტორის საქმიანობა, რომელმაც XVIII საუკუნის მიწურულს გადაწერა „ქართული ლექსიკონი“ და შეავსო ახალი, ენციკლოპედიური მნიშვნელობის მასალით[2]. მეტად მნიშვნელოვანია იოანე ბატონიშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი“, რომლის შემდგენელი, როგორც გამოკვლეულია, საბა ორბელიანის ნაშრომს ემყარება; თან ავსებს მას ახალი ლექსიკური მასალით, იძლევა ცალკეული სიტყობრივი ერთეულების მკაფიო გრამატიკულ დახასიათებასა და მეცნიერულად დასაბუთებულ განმარტებას[3]. ყოველივე ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში ძველთაგანვე ყოფილა ენციკლოპედიური ნაშრომების შედგენის სერიოზული ცდები.

XIX საუკუნის დასაწყისში იქმნება ფრიად მნიშვნელოვანი ენციკლოპედიური ნაშრომი – იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“. უპირველესად ყოვლისა, ეს ძეგლი ბრწყინვალე ლიტერატურული ნაწარმოებია. ამასთან, ეს არის დიალოგის ფორმით დაწერილი ენციკლოპედიური სიტყვარი. „კალმასობის“ მთავარი გმირი იონა ხელაშვილი მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. გზად მას ხვდებიან სხვადასხვა ადამიანები, რომელთაც მჭევრმეტყველურად აცნობს მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებს, ისტორიულ ამბებს, ქართველ მოღვაწეებს და სხვ. ამგვარად, „კალმასობაში“ წარმოდგენილია მაშინდელი ცოდნის თითქმის ყველა დარგი – ისტორია, ფილოსოფია, საღმრთო რჯული, ლიტერატურათმცოდ-

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, 1966, გვ. 28.

[2] ვ. ბერიძე, დავით რექტორი – ლექსიკოგრაფის საბა ორბელიანის გამგრძელებელი, თსუ შრომები, I, 1936, გვ. 310-332.

[3] ა. ღლონტი, ფილოლოგიური ნარკვევები, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, 1955, გვ. 286.

ნეობა, ბუნებისმეტყველება, მედიცინა და სხვ. ავტორი სარგებლობს როგორც ქართული, ასევე რუსული და უცხოური წყაროებით. იოანე ბატონიშვილმა თავის ენციკლოპედიურ ნამოღვაწარს საფუძვლად დაუდო ეპოქის მოწინავე სოციალურ-პოლიტიკური იდეები და ამ დროის შესაფერისი ღრმა მეცნიერული ცოდნა.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ 1823 წელს პეტერბურგში ქართულად გამოქვეყნდა „ენციკლოპედია ანუ შეკრებილება ზნეობითთა სწავლათა ჰაზრთანი, და განსჯანი სხვათა და სხვათა ნივთთათვის. დათხზული და აღსხმული ანბანთა ზედა და ფრანციცულისა წერილთაგან რუსულსა ზედა გარდმოღებული კოლლეჟსკის ასსესორის იოანე პრიკლონსკის მიერ. ხოლო რუსულისა ენისაგან ქართულსა ზედა ითარგმნა ტიტულარნი სოვეტნიკის გიორგი ჩუგუნოვის მიერ". ეს წიგნი სულ 159 გვერდს შეიცავს (თანაც მცირე ფორმატისაა)[1].

XIX საუკუნის მიწურულს რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონის მომზადების და გამოცემის თაოსნად გამოდის ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივანე როსტომაშვილი, რომლის რედაქციითაც 1898-1899 წლებში გამოქვეყნდა ოთხი წიგნი: „სალარო ცოდნისა. რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი". აღნიშნულ ოთხ წიგნში მოცემულია მასალები მხოლოდ А-დან Г-მდე. ეს დიდი საქმე ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი.

ცხოვრების წინსვლა, მეცნიერების დონის ამაღლება და კულტურის განვითარება ჩვენი საუკუნის დასაწყისში ახალი ძალით აყენებს ენციკლოპედიის გამოცემის საკითხს. სწორედ ამ სამოცდაათიოდე წლის წინ ქართველმა პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეებმა მოიწადინეს ენციკლოპედიის გამოცემა. ამ საქმეს სათავეში ედგნენ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწე სწავლულები: პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი და მოსკოვის ლაზარევის სახელობის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი[2].

„საქართველოს ენციკლოპედიის" გამოსაცემად შეიქმნა ამხანაგობა „ცისკარი", რომლის გამგეობაში შევიდნენ: ი. გოგებაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, პ. გოთუა, პ. თუმანიშვილი, კ. თუმანიშვილი და ი. მაჭავარიანი. მოწვეულ თანამშრომელთა შორის იყვნენ ცნობილი მოღვაწეები: ზ. ავალიშვილი, ე. თაყაიშვილი, მ. თამარაშვილი, ეპისკოპოსი კირიონი, ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, მ. ჯანაშვილი, პ. მელიქიშვილი და სხვ.

შედგენილი იქნა დაახლოებითი პროგრამაც. ენციკლოპედიის გამოცემა გათვალისწინებული იყო ათ განყოფილებად. პირველ განყოფილებაში, რომელიც საქართველოს ისტორიას ეთმობოდა, უნდა განხილულიყო საქართველოს ისტორიისა და ქართველი ისტორიოგრაფიის წყაროები, საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური ისტორია. მეორე განყოფილება მთლიანად საქართ-

---

[1] ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრ.

[2] ამ საკითხის შესახებ ურო ვრცლად იხ. კ. კინწურაშვილი, ისტორიის საყურადღებო ფურცელი, ლიტერატურული საქართველო, 1974, № 13.

ველოს ფიზიკური გეოგრაფიის საკითხებს ეძღვნებოდა; შემდეგ უნდა განხილულიყო საქართველოს მოსახლეობა, მისი ეკონომიური მდგომარეობა, სხვა ენებთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობათა ისტორია, ისტორიული და გეოგრაფიული თვალსაზრისით აღწერილიყო საქართველოს ქალაქები და დასახლებული პუნქტები, ცენტრალური დაწესებულებების, საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო მმართველობის ორგანოები.

ცალკე განყოფილებაში განიხილებოდა სხვა ენათა ოჯახში ქართული ენის ადგილის განსაზღვრის საკითხი, ქართული ენის განვითარების ისტორია, ქართული ენის გრამატიკა, ენციკლოპედიაში ასევე სათანადო ყურადღება ეთმობოდა ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურულ ურთიერთობათა, ბეჭდვისა და თანამედროვე ლიტერატურული პროცესის პრობლემებს. შემდეგ აისახებოდა განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების საკითხები.

საქართველოს ენციკლოპედიის მეათე, უკანასკნელ მონაკვეთში განიხილებოდა ქართველთა სამართლებრივი მდგომარეობა, ყოფა, ზნე-ჩვეულებები, ქართველთა ურთიერთობანი მეზობელ ხალხებთან, ქართველი ქალი, ქართველი საზოგადო მოღვაწეები და სხვა აქტუალური და თავისი მნიშვნელობით ყურადსაღები მოვლენა თუ საკითხი საქართველოს სოციალური და კულტურული ცხოვრებიდან.

საქართველოს ენციკლოპედიის ზემოთ მოცემულ პროგრამაში ბევრი ისეთი საკითხია გათვალისწინებული, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს იმდროინდელი ქართული მეცნიერების განვითარების დონეზე.

მაშინდელმა პირობებმა საშუალება არ მისცეს ჩვენს სახელოვან სწავლულებს და მათ თანამოაზრეებს ენციკლოპედიის გამოცემის პატრიოტული საქმე განეხორციელებინათ.

ენციკლოპედიური საქმიანობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში

ლექსიკოლოგიური მუშაობის გარკვეული აღორძინება იწყება XX ს-ის 20-30-იანი წლებიდან, როცა იქმნება ჭეშმარიტად ხელსაყრელი პირობები მოსახლეობის ფართო მასების სწავლა-განათლებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, გაიზარდა მოთხოვნილება ენციკლოპედიურ-ლექსიკოლოგიურ ლიტერატურაზე. 1927 წელს გამოდის იუსტინე აბულაძის „რუსულ-ქართული ლექსიკონი" სალიტერატურო, საპოლიტიკო, სატექნიკო, და უცხო სიტყვათა და ტერმინთა ჩართვით (ნაწ. I.).

უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მთავრობის მიერ სათანადო გადაწყვეტილებათა მიღება ამიერკავკასიის ენციკლოპედიის გამოცემის შესახებ. ამას მოჰყვა საკავშირო კპ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წლის 25 სექტემბრის დადგენილება, რომლის მიხედვითაც გადაწყდა ცალ-ცალკე ყოფილიყო გამოცემული ენციკლოპედიები ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ამ

დადგენილების საფუძველზე საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოჰყო „ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის“ სარედაქციო კოლეგია. მთავარ რედაქტორად დამტკიცებული იქნა მალაქია ტოროშელიძე, მოადგილედ – კარლო ორაგველიძე, სწავლულ მდივნად – სიმონ ყაუხჩიშვილი. კოლეგიის შემადგენლობაში შევიდნენ: ნიკო მარი, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, გიორგი ხაჭაპურიძე, სანდრო ეული, ერმილე ბედია, სილიბისტრო თოდრია და სხვ.

სარედაქციო კოლეგიამ ფართო საორგანიზაციო მუშაობა გაშალა. დღემდე შემორჩენილი საარქივო მასალა გვიჩვენებს ენციკლოპედიის სწავლული მდივნის პროფ. ს. ყაუხჩიშვილის დიდ შემოქმედებით საქმიანობას. იგი საგანგებოდ იქნა მივლინებული ხარკოვში, მოსკოვსა და ლენინგრადში ენციკლოპედიის გამოცემის საკითხების გასაცნობად. მასვე დაევალა სალექსიკონო და საენციკლოპედიო ლიტერატურის შეძენა. სწორედ ს. ყაუხჩიშვილის მიერ მოპოვებული გამოცდილება დაედო საფუძვლად ენციკლოპედიური საქმიანობის დაწყებას[1].

სარედაქციო მუშაობის დაწყებისას პირველ რიგში ჩამოყალიბდა სიტყვანის განყოფილება, რომელსაც უნდა შეედგინა სრული სია იმ სიტყვა-ტერმინებისა (ანიდან ჰაემდე), რომლებზედაც უნდა დაწერილიყო წერილები. საფუძვლად აღებულ იქნა „მალაია სოვეტსკაია ენციკლოპედია“, რომლის სიტყვანი მთლიანად იქნა გაქართულებული სარედაქციო აპარატის საშუალებით. და უკვე 1933 წლისათვის მზად იყო 32.000 სიტყვისაგან შემდგარი სიტყვანი. ამის გარდა, ცალკე დარგების მიხედვით სპეციალურად შეიქმნა ამიერკავკასიისა და საქართველოს სინამდვილის შესახებ არსებული ტერმინების სიტყვანი (ეკონომიკა, გეოგრაფია, ისტორია, ლიტერატურა და სხვ.). ამ სპეციალური სიტყვანის შესადგენად რედაქციამ მოიწვია სათანადო სპეციალისტები – მეცნიერები (ასამდე კაცი). მეტად რთული და შრომატევადი სამუშაოს ჩატარების შემდეგ მომზადდა გამოცემის მთლიანი სიტყვანი, რომელიც 50.000 სიტყვა-ტერმინს შეიცავდა.

1933 წელს, სიტყვანის შედგენის შემდეგ, რედაქციას დაუწყია სტატიების მომზადება პირველ სამ ასოზე (ა, ბ, გ), რომელმაც შეადგინა რიცხვით – 6044, ნიშანთა რაოდენობით კი – 6 648 850[2]. 1933 წლის ბოლოს, რედაქციას შეუწყვეტია სამ ასოზე სტატიების მომზადება და დაუწყია ა-ზე დაწერილი სტატიების დამუშავება-მონტაჟი. ეს სამუშაო, როგორც ჩანს, საკმაოდ ინტენსიურად ჩატარდა და 1934 წლის პირველ თვეებში ანის ტომი გაუმზადებიათ დასაბეჭდად.

სტატიების დამუშავება-მომზადების პარალელურად ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგია მუშაობდა გეოგრაფიული რუკების შედგენის მეტად შრომატევად საქმეზე. სულ პირველ ასოზე 60 რუკა იყო მოსამზადებელი (აზიის, ჩრდილოეთ ამერიკის, სამხრეთ ამერიკის, ავსტრალიის, ამიერკავკასიის, აზერბაიჯანის,

---

[1] ამ საკითხის შესწავლისათვის ჩვენ ვისარგებლეთ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში დაცული საარქივო მასალებით.

[2] იხ. ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის ანგარიში 1933-36 წწ., (ქართული ენციკლოპედიის არქივი).

აფხაზეთის, აჭარის, ადიგენის, ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის და სხვ.). 1933-34 წწ. რუკების უმრავლესობა მომზადებული ყოფილა, ამასთან ბევრი რუკა ფერადი იყო (5-6 ფერში), ნაწილი კი ტექსტშივე მიდიოდა შავ-თეთრი ფერით. აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ იმ დროის ენციკლოპედისტების დამსახურება რუკების მომზადების საქმეში. მანამდე გამოცემული რუკები ზოგადი იყო, გადმოქართულებული ძველი რუსული რუკების მიხედვით. ამჯერად კი ამიერკავკასიისა და საქართველოს რუკები მომზადდა ადგილობრივი (ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური სამმართველოსა და საქართველოს ცაკის) მასალების მიხედვით. საერთაშორისო რუკები „დიდ საბჭოთა" და „მცირე საბჭოთა" ენციკლოპედიებში დაბეჭდილი მასალის მიხედვით დამზადდა. მნიშვნელოვანი საქმე იყო ქართულად გეოგრაფიული ნომენკლატურის დადგენა. ეს პირველი შემთხვევა იყო ქართულად მსოფლიო რუკების დამზადებისა (ერთადერთი იყო 1927 წელს გამოცემული „ნახევარსფეროები") და ნომენკლატურაც (50.000 სახელწოდებისგან შემდგარი) ენციკლოპედიის წყალობით იქნა დამუშავებული, რაც განათლების სახალხო კომისარიატსაც გამოუყენებია სასკოლო რუკების დამზადებისას.

ამგვარად, 1934 წელს უკვე მზად იყო დასაბეჭდად პირველი ტომის სტატიები (გარდა რამდენიმე სტატიისა, რომელთათვისაც უკანასკნელი მასალები მოსკოვიდან უნდა ჩამოსულიყო). იმის გამო, რომ ბეჭდვისათვის საჭირო ქაღალდით უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა, შეუძლებელი გახდა მასალის გადაცემა სტამბაში. ქაღალდი მიუღიათ მხოლოდ 1934 წლის აპრილში, ისიც 3 ტონა, ნაცვლად პირველი ტომისათვის საჭირო 18 ტონისა. ბეჭდვის შეფერხებამ რედაქცია იძულებული გახადა შეენელებინა მუშაობა, შემცირებული იქნა შტატები. მუშაობა მხოლოდ ანის დანაკლის სტატიებზე მიმდინარეობდა. სხვა ასოებზე მუშაობას, როგორც ჩანს, აზრი არ ჰქონდა, რადგან ბეჭდვის საკითხი გადაუწყვეტელი იყო და არ იყო გამორიცხული, რომ სტატიები დაძველებულიყო და ხელახლა გასაკეთებელი გამხდარიყო. გარკვეული შეფერხება იყო რუკების ბეჭდვის საქმეშიც.

საბეჭდი ქაღალდი რედაქციას მხოლოდ 1935 წლის გაზაფხულზე მიუღია. ამის შემდეგ დაუწყიათ მასალის აწყობა (1935 წლის ზაფხული). აქ, როგორც ირკვევა, თავი იჩინა იმ სირთულემ, რომ ენციკლოპედიის წყობა ხდებოდა პეტიტით. მანამდე საქართველოში არ ყოფილა შემთხვევა, რომ მთელი წიგნი პეტიტით დაბეჭდილიყო და ბუნებრივია, სტამბას არ ექნებოდა შრიფტის სრული კომპლექტი. ამიტომ რამდენიმე თვე ახალი შრიფტის ჩამოსხმას დასჭირდა. ჩამოისხა 5 სახის შრიფტი: ქართული პეტიტი, მისივე შავი და აკადემიური, რუსული პეტიტი და ევროპული პეტიტი.

1936 წლის სექტემბერისათვის უკვე აწყობილი იყო 17 თაბახის ოდენობის მასალა, აქედან 11 თაბახი უკვე დაბეჭდილი იყო მთელი ტირაჟის ოდენობით. მუშაობის შემდგომი გაგრძელება შეუძლებელი გახდა სხვადასხვა მიზეზის გამო. საჭირო გახდა მთელი მასალის ხელახალი საფუძვლიანი გადამუშავება და გასინჯვა. ენციკლოპედიაზე მუშაობას გარკვეულად შეუშალა ხელი მეორე მსოფლიო ომმაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღემდე შემორჩა მთელი რიგი მასალებისა, რომლებიც განკუთვნილი იყო ენციკლოპედიაში შესატანად. აგრეთვე მაკეტის სახით დაბეჭდილი რამდენიმე თაბახი.

სამამულო ომის დამთავრების შემდგომ ჩატარებულმა აღდგენითმა საქმიანობამ, საბჭოთა ქვეყნის წინაშე დასმულმა ინტელექტუალური ფრონტის გაზრდა-გაფართოების აუცილებლობამ კვლავ დააყენა დღის წესრიგში ეროვნული ენციკლოპედიების გამოცემის საკითხი. 1965 წელს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება მოკავშირე რესპუბლიკებში ენციკლოპედიების გამოცემის შესახებ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამის დადგენილებაში ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემის შესახებ ხაზგასმულია, რომ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია უნდა იყოს სისტემატიზებული კრებული, სოციალურ-ეკონომიური, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური ცოდნისა, იგი უნდა იყოს უნივერსალური ცნობარი, რომელიც გააშუქებს ადამიანის ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის ყველა სფეროს; ყოველივე ამასთან ერთად, მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის დარგში, ქართველი ხალხის ისტორიული წარსული და მისი აწმყო.

ენციკლოპედია თავის დანიშნულებით შორს სცილდება საცნობარო ლიტერატურის ჩარჩოებს. იგი უფრო მასშტაბური და მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის გამოცემაა. პოლიტიკური იმიტომ, რომ მან უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მეცნიერების ყველა დარგის შესახებ და ამასთან ერთად მკვეთრად უნდა იყოს გამოკვეთილი ჩვენი მსოფლმხედველობა. ერთი სიტყვით, უპირველესი ამოცანა ის იყო, რომ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია იყოს ეპოქის მოთხოვნათა სიმაღლეზე. ყოველივე ამაზე ვამახვილებთ ყურადღებას იმიტომ, რომ მასზე მოთხოვნილება, ბუნებრივია, საზღვარგარეთაც დიდია. ჩვენმა ენციკლოპედიამ კი სწორედ უცხოელ მკითხველსაც უნდა გასცეს პასუხი მთელ რიგ საკითხებზე. სამწუხაროდ ისეთი სოლიდური და ტრადიციული გამოცემები, როგორიცაა ინგლისური „ბრიტანიკა“, ამერიკული „ამერიკანა“, ფრანგული „ლა რუსი“, გერმანული „ბროკჰაუზი“, იტალიური „იტალიანა“, „ისლამის“ ენციკლოპედიები, რომელთაც მოცემული ინფორმაციის ობიექტურობის დიდი პრეტენზიები აქვთ. არასწორადაა შეფასებული ზოგიერთი მოვლენა. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს, რომ „ისლამის ენციკლოპედიაში“ დაბეჭდილ საქართველოსადმი მიძღვნილ სტატიაში (იხ. „ისლამის ენციკლოპედია“, 38, 1964, გვ. 837-845) აშკარად იგრძნობა ავტორის პროთურქული განწყობილება და დიდი სურვილი მთელი რიგი მოვლენებისა დააკავშიროს საქართველოზე თურქეთის გავლენასთან. სტატიის მიხედვით, თურქები უძველესი დროიდან არსებობენ საქართველოში. მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში სამხრეთიდან მოსული თურქები სელჩუკებზე უფრო ადრე, აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში შესულან და იქ ადრე მოსულ თურქებთან ერთად დასახლებულან. სტატიის ავტორის რეიდი საქართველოს ისტორიაში კულმინაციურ წერტილს აღწევს მაშინ, როცა სელჩუკებს დამპყრობლებად კი არა, ჯვაროსანთა შემოტევისაგან კავკასიის მხსნელებად მიიჩნევს. სტატიაში

უცერემონიოდაა ორბელები (ორბელიანები) თურქებად მონათლული. მათ თურმე ქართველები ირანის ბატონობისგან იხსნეს და ჯილდოდ მუდმივი მთავარსარდლის წოდება მიიღეს. ეს მდგომარეობა მათ 1177 წლამდე შეინარჩუნეს, ვიდრე აღნიშნული თანამდებობა ყივჩაყებმა არ დაიკავეს. თამარის კარზეც თურქებს დიდი გავლენა ჰქონიათ. სერიოზული ტონით კამათი „ისლამის ენციკლოპედია"-ში მოთავსებული ამ სტატიის ავტორთან შეუძლებულია. საქმეში ღრმად ჩაუხედავი მკითხველიც კი კარგად მიხვდება, რომ ადგილი აქვს ფაქტების აშკარა თვითნებურ გაყალბებას; რაც შეეხება მსჯელობას, იგი მეტად გულუბრყვილოა. ამდენად, სტატიის ავტორის წინაშე დასახული საქართველოს ისტორიის გაყალბების ამოცანის გადაჭრა ძალზე პრიმიტიულია. საერთოდ, თუკი ზემოდასახელებულ ენციკლოპედიებში ჩვენს მიერ საილუსტრაციოდ მოტანილ მასალას გავაანალიზებთ, აშკარად დავინახავთ მკვეთრ ტენდენციურობას ჩვენი ქვეყნის წარსულისა და დღევანდელობის ასახვაში. ამასთან აშკარაა თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევათა გაუთვალისწინებლობა. ისტორიული ნაწილი შესრულებულია 20-30-იანი წლების დონეზე. ეს აშკარად ჩანს მითითებული ლიტერატურის სიიდანაც (ბიბლიოგრაფიას აძლევს ყველა ენციკლოპედია, გარდა „ლა რუსისა").

ამგვარად, უცხოურ ენციკლოპედიებში ქართული მასალის გაშუქება, როგორც ფაქტობრივი, ასევე კონცეფტუალური თვალსაზრისით არ შეესაბამება რეალურ სინამდვილეს და მიზანდასახული ტენდენციურობა ჩანს.

* * *

აღსანიშნავია, რომ 1976 წელს ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველ ტომს „წიგნის ხელოვნების" სრულიად საკავშირო გამოფენაზე პირველი ხარისხის დიპლომი მიენიჭა. ვიტყვით მხოლოდ, რომ მოკავშირე რესპუბლიკათა ეროვნული ენციკლოპედიებიდან არც ერთს ამ დონის ჯილდო არ მიუღია.

რით დაიმსახურა ქართული ენციკლოპედიის პირველმა ტომმა მეტად მომთხოვნი ჟიურის (მის შემადგენლობაში სხვადასხვა ქვეყნების გამოჩენილი გამომცემლები და პოლიგრაფისტები შედიოდნენ) ესოდენ მაღალი შეფასება. აი ზოგიერთი თვისება, რაც ჩვენი ენციკლოპედიის ღირსებას შეადგენს: ინფორმაციის სიფართოვე, პრობლემის გაშუქების მისაწვდომობა ფართო მკითხველისათვის, მასალის მოცულობის სისრულე, სიზუსტე, სტილის სინატიფე.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის II ტომი 1977 წლის საუკეთესო წიგნად იქნა აღიარებული.

გამოცემის ღირსებაა და ამასთან მკითხველისათვის სასიამოვნო იქნება ის გარემოება, რომ სხვა მრავალ ავტორთან ერთად ენციკლოპედიაში იხილავენ ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, კორნელი კეკელიძის და სხვ. აწ განსვენებულ მოღვაწეთა სტატიებს (ეს სტატიები თავის დროზე იყო შექმნილი ენციკლოპედიისათვის და ამჯერად ქართული ენციკლოპედიის არქივშია). დადგება დრო, როცა

ჩვენში დაიწყება უნივერსალური ენციკლოპედიის გვერდით დარგობრივი (ისტორიული, ფილოსოფიური, სამედიცინო და სხვ.) ენციკლოპედიების გამოცემაც.

გაივლის კიდევ რამდენიმე ხანი და ჩვენი რესპუბლიკის მიღწევათა ბატიანში ჩაიწერება ახალი დიდმნიშვნელოვანი ფურცელი – დასრულდება ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემა, რომელიც ახალ „სიტყვის კონად" ანუ ცოდნის სალაროდ მოევლინება ჩვენს ხალხს.

1974 წ.

ГРУЗИНО-АБХАЗСКИЙ КОНФЛИКТ И ВОЗМОЖНЫЕ ПУТИ ЕГО РАЗРЕШЕНИЯ

Региональные конфликты одна из наиболее злободневных проблем мирового сообщества в конце XX столетия. Особую остроту и трагизм приобрели они на территории бывшего СССР, где вот уже который год пылает огонь ненависти и непримиримости между отдельными, порой веками живущими бок о бок, народами. Гибнут люди, рушатся созданные человеческим разумом и руками культурные и материальные ценности. Теперь уже стала совершенно очевидной вся утопичность устремлений тоталитарного режима под эгидой „бессмертных" идей марксизма-ленинизма и пролетарского интернационализма собрать в единую „братскую" семью народы и племена разных стран и континентов и создать мифическое „общество равных", где не было бы ни социальной, ни национальной несправедливости. На самом же деле, в результате более чем 70-летнего эксперимента мы получили тяжелейшее наследие: целый букет национальных противоречий и антагонизма почти в каждом регионе советской империи, которые на протяжении многих десятилетий искусственно загонялись вглубь.

Безусловно, каждый из разыгравшихся на территории бывшего Союза этноконфликтов имеет свои причины и особенности и было бы методологически неправильным ставить их в один ряд и давать им одинаковую оценку: будь это Нагорный Карабах в Азербайджане, Приднестровье в Молдове, Крым на Украине, Чечня в России, этноконфликты (грузино-абхазский и грузино-осетинский) в Грузии и т. д. Все они имеют свою предысторию и специфику. Однако, вместе с тем есть и одно объединяющее их начало: буквально все этноконфликты, возникшие в постсоветском пространстве в том числе, как это ни парадоксально, даже война в Чечне, были спровоцированы Москвой: в начале Кремлевским коммунистическим руководством, а затем и имперско-шовинистическими силами, имеющими и по сей день рычаги реального давления на верхние эшелоны власти в России.

Теперь конкретно о том, что произошло в Абхазии и каковы могут быть пути разрешения грузино-абхазского конфликта. Конечно, еще не настало время для полноценного и всеобъемлющего анализа всех причин, вызвавших кровопролитие в Абхазии, но уже сейчас очевидно одно: не было ни исторических, ни политико-правовых,

ни каких-либо других причин для всплеска националистической истерии и, тем более, развязывания вооруженного конфликта.

Историческое прошлое грузинского и абхазского народов однозначно свидетельствует о вековой близости и единстве их исторических судеб. Фактически на всех этапах истории, во всяком случае, на протяжении последних 2-х тысячилетий уж точно, территория современной Абхазии была органической частью общегрузинского культурно-политического и государственного организма.

Попытка вырвать Абхазию и абхазов из этого организма имели место и раньше. Почти все империи, которые устанавливали свое влияние на Закавказье, стремились разыграть так называемую „абхазскую карту" и тем самым подорвать мощь общегрузинского политического мира. Наиболее успешно это получилось у Оттоманской империи, для которой Абхазия в течение трех столетий (начиная с XVI – вплоть до конца XIX в.) оставалась одним из значительных стратегических плацдармов для дальнейшего наступления на северо-восток. Именно территория нынешней Абхазии оказалась единственным регионом в Грузии (за исключением, конечно, некоторых южногрузинских провинций, административно непосредственно вошедших в состав Турецкого государства), в котором достаточно прочно пустил свои корни ислам. Вот тогда и появилась первая серьезная брешь в грузино-абхазском историко-культурном и политическом единстве. Несмотря на это, даже в пору наибольшего влияния ислама (XVIII – первая половина XIX в.) передовые круги абхазской феодальной аристократии всемерно старались не разорвать нити, связывающие их с грузинским христианским миром. Абхазское княжество, возглавляемое княжеским домом Шарвашидзе, юридически все еще оставалось в системе грузинских феодальных образований, а имеретинский царь, хотя и номинально, считался сюзереном владетельных князей Абхазии. Грузинский язык по-прежнему сохранял функцию основного языка письменности и государственного делопроизводства а Абхазии. Не случайно, правители Абхазии в XIX в. официальную переписку с представителями российских властей вели на грузинском языке.

Однако, то, что не удалось туркам, сумела осуществить Российская империя, которая с самого начала, особенно после подавления почти 70-летнего „абхазского сопротивления", результатом которого стало насильственное выселение – „махаджирство" – почти половины абхазов в Турцию, энергично приступила к колонизации края. Прикрываясь фарисейскими заявлениями о „заботе" над „малыми" народами, русские высокопоставленные чиновники не жалели сил, чтобы разорвать многовековое грузино-абхазское культурно-историческое единство и поставить доселе „виновное" абхазское население на службу российской имперской политики. Особенно наглядно это было продемонстрировано созданием абхазской письменности на основе славяно-русской графики, которая, по словам одного из видных деятелей царской администрации на Кавказе Е. Вейденбаума, должна была стать всего лишь „средством к ослаблению... потребности в грузинком языке". Вырвать Абхазию из общегрузинского

культурно-исторического организма ставила целью и церковная политика имперских властей".

В советское время, при попустительстве коммунистического руководства Грузии, российские большевики „достойно" продолжили политику своих предшественников и сумели еще больше углубить раскол между двумя народами. Именно при самой активной и всесторонней поддержке кремлевского коммунистического руководства лидерам абхазского национал-сепаратизма удалось создать благоприятную идеологическую базу для осуществления своих далекоидущих планов. Особенно следует отметить, что в идеологической подготовке братоубийственной войны в Абхазии, которая исподволь велась на протяжении не одного десятилетия, к сожалению немаловажную роль сыграли некоторые представители научной и творческой интеллигенции: историки, археологи, писатели и т. д., которые своими явно необоснованными и порой даже мифическими измышлениями всемерно стремились ввести в заблуждение своих соотечественников и тем самым сеяли семена вражды и ненависти между двумя народами. В этом плане наиболее отличались наши коллеги-историки, которые самым невероятным образом искажали историческую правду о прошлом грузинского и абхазского народов, везде и всюду выискивали факты „давления" грузин на абхазов. Абхазию совершенно бесцеремонно объявили первоначальной родиной лишь апсуа-абхазов которые, дескать, будучи единственными и полноправными хозяевами этой земли, должны были заботиться о ее будущем. Вместе с тем, грузины рассматривались как пришлое, некоренное население Абхазии, а любая попытка считать их (грузин) такими же аборигенами, как и абхазы, объявлялась антинаучной и вредной. Заболев антигрузинским психозом некоторые горе-историки и политики дошли до такого кощунства, что готовы были даже геноцид абхазского народа, учиненный царским самодержавием в XIX в. (махаджирство), поставить в вину грузинкому народу.

В результате всей этой оголтелой антигрузинской кампании, нынешние лидеры сепаратистов и слепо поверившие их шовинистической пропаганде простые абхазы возомнили, что они могут все: могут навязать христианскому населению, составляющему, как минимум, 90% всех жителей автономной республики (в том числе и собственно абхазов), ярко выраженную мусульманскую государственную символику, могут объявить „суверенную Советскую Социалистическую Республику" ортодоксально большевистской конструкцией и тем самым за один миг большую часть населения, без его на это согласия, сделать гражданами другого государства.

Вот каким образом идеологам абхазского национал-сепаратизма удалось вбить клин (не дай Бог, окончательно) между грузинами и абхазами и достичь той степени отчужденности, за которой становится возможным поднять оружие на вчерашнего кровного родственника, соседа, друга. В итоге, одна из самых ужасающих трагедий в истории Грузии-Абхазии: около 30 тысяч погибших, среди которых абсолютное большинство – безвинное мирное население; до трехсот тысяч изгнанных из родовых мест коренных жителей Абхазии – грузин. Налицо геноцид и этническая чистка гру-

зиснкого населения, получившие, кстати, соответствующую оценку в заключительном документе Будапештской встречи на высшем уровне глав государств и правительств стран-членов ОБСЕ (декабрь 1994 г.); в последних резолюциях Совета Безопасности ООН, а также на состоявшемся в феврале 1995 г. в Алма-Ате заседании глав государств СНГ.

Сегодня уже всему миру известно, что у абхазских лидеров не было никаких причин идти на такое чудовищное преступление. На конкретных фактах давно доказано, что абхазы имели наибольшие привилегии среди всех малочисленных народов на территории бывшего СССР. Абхазская АССР была единственной автономией, в конституции которой государственным языком официально значился абхазский, на котором говорило может быть чуть больше 50% самих абхазов. Вместе с тем, абхазы, составляющие всего лишь одну шестую часть (17,8%) всего населения Абхазии, занимали ключевые позиции в государственных и партийных структурах. На протяжении последних 4-х десятилетий во главе автономной республики бессменно находились только абхазы. В составе Верховного Совета численность абхазской депутации, как правило, превышала численность грузинской, представляющих почти половину (45,7%) всего населения, а по-воистину апартеидному избирательному закону 1991 г., кстати, принятому при активной поддержке не коммунистического, а т. н. „национального" руководства Грузии, абхазы даже конституционно закрепили свой приоритет в верховном органе, получив 28 депутатских мест, тогда как грузины получили всего лишь 26 депутатских мандатов. Подобную дискриминацию вряд ли знает мировая практика. Вот как утверждались этноцентризм и этнократия, этнодиктатура абхазов в автономной республике. Так что абхазы не только не были ущемлены в своих правах, а, наоборот, им были созданы все возможные условия для национально-культурного, социально-политического и экономического развития. Более того, в Абхазии сложилась парадоксальная ситуация – остро встал вопрос о необходимости защиты прав и свобод грузин. Дошло дело до того, что грузинам фактически было отказано в праве получить высшее образование на родном языке, наглядным свидетельством чего могут служить история открытия Сухумского филиала ТГУ в 1989 г. и связанные с ним трагические события.

Таким образом, Абхазская трагедия целиком и полностью на совести сепаратистов и их подстрекателей, прежде всего, как совершенно справедливо отмечает русский ученый Д. А. Трофимов, „последнего союзного руководства", всемерно пытавшегося сохранить СССР. Именно „оно использовало регионально-этнический сепаратизм в Грузии в качестве рычага политического давления на нее. В постсоветский период эта позиция была в немалой степени унаследована и российским руководством, стремившимся к воссозданию некоей прежней зоны влияния" (Межнациональные конфликты на Кавказе: методика их преодоления. Тезисы докладов международной конференции, г. Москва, 19-20 января 1995 г., М., 1995, с. 38). Вместе с тем, самую активную поддержку (в первую очередь военную) сепаратистам оказали национально-

шовинистические круги России как в центре, так и на Северном Кавказе. В результате, всё это и породило такое явление, как агрессивный сепаратизм. Опасность этой новой эпидемии экстремистского сепаратизма, своего рода неофашизма, несмотря на неоднократные предупреждения главы Грузинского государства господина Эдуарда Шеварднадзе, не поняли в России. Наоборот, кое-кто продолжал и по сей день продолжает поощрять (преступный) существующий режим, оказывая ему моральную, финансовую и материальную поддержку. События в Чечне еще раз четко показали всю губительность такой недальновидной политики. Теперь же стало совершенно очевидным, что корни Чеченской трагедии действительно надо искать в Абхазии. Но, вместе с тем, мы, конечно, далеки от мысли войну в Чечне (да и конфликты в других регионах также) полностью отождествлять с событиями в Абхазии и ещё раз подчеркиваем: каждый этноконфликт имеет свою специфику и, главное, свою предысторию.

И все же, существуют ли реальные пути мирного урегулирования грузино-абхазского конфликта? Прежде чем ответить на этот сложнейший вопрос, считаем нужным особо отметить, что центральная власть Грузии, однозначно отдавая предпочтение именно мирному решению проблемы, постоянно выступала инициатором переговорного процесса. Однако, к сожалению, со стороны сепаратистов не было адекватного подхода. Наоборот, абхазские лидеры вероломно нарушили все достигнутые ранее договоренности (Московская – от 3 сентября 1992 г., Сочинская – 15 мая и 27 июля 1993 г.) и в конце концов привели автономную республику к катастрофе. Несмотря на военное поражение и последующие за ним геноцид и этночистку грузинского населения, что продолжается и по сей день, в Грузии по-прежнему отдают предпочтение мирному диалогу и постоянно призывают сепаратистских лидеров сесть за стол переговоров. Однако, все попытки грузинского руководства, выработать обоюдоприемлемый механизм мирного урегулирования конфликта, пока что не достигают цели. Гудаутские власти упрямо стоят на фактическом признании со стороны Тбилиси независимости Абхазии, которая затем якобы вступает на конфедеративных началах в некий межгосударственный союз с Грузией. Но подобная постановка вопроса, как показал опыт, сразу же заводит переговорный процесс в тупик. Да и не может быть иначе, так как это уже означает нарушение территориальной и государственной целостности Грузии, признанной мировым сообществом. Поэтому грузинская сторона, неслучайно, основой политического решения проблемы считает 5-ю статью Женевского Коммюнике (от 13 января 1994 г.), в которой „Организация Объединенных Наций, Совещание по Безопасности и Сотрудничеству в Европе и Российская федерация призывают исходить из необходимости соблюдения территориальной целостности и Грузии и полного обеспечения интересов всего многонационального населения (а не только одних абхазов – Р. М.) Абхазии“ (Исторические и политико-правовые аспекты конфликта а Абхазии, Тб., 1995, с. 70).

Так что абхазская сторона просто обязана более трезво оценить создавщуюся ситуацию, учесть мировую конъюнктуру и общепризнанные нормы международного

права и отбросить всякие иллюзии на счет независимости Абхазии. Ведь совершенно очевидно, и об этом в своё время говорил с трибуны 47-ой сессии Генеральной Ассамблеи ООН (25 сентября 1992 г.) Э. А. Шеварднадзе, что „сегодня все международные акты отвергают любую деятельность, направленную против территориальной целостности и незыблемости границ суверенного государства“ (Газета „Свободная Грузия“, № 124, 1992; Исторические и политико-правовые аспекты... с. 64-65). Как совершенно правильно указывает Генеральный секретарь ООН доктор Бутрос Бутрос Гали, происходящие в мире события последних лет со всей очевидностью показали, что „если каждая этническая, религиозная или языковая группа будет притязать на государственность, то не будет предела дроблению, а всеобщий мир, безопасность, экономическое благополучие станут еще более труднодостижимой целью“ (Бутрос Гали, Повестка дня для мира, Нью-Йорк, 1992, с. 10; Исторические и политико-правовые аспекты..., с. 65). Вот почему мировое сообщество так однозначно выступает против разгула сепаратизма и экстремизма.

Вместе с тем, несмотря на такие категорические заявления, шаги, предпринятые ООН, ОБСЕ и другими международными организациями в этом направлении пока что не приводят к желаемому результату. Теперь уже всем ясно, что одними голословными заявлениями и призывами сепаратизм невозможно угомонить и, что бесконечные разговоры о мире действительно „теряют всякий смысл, если они не подкреплены конкретными действиями в нужном направлении“ (вступительное слово Эдуарда Шеварднадзе на Совете Безопасности ООН: Этническая чистка, геноцид в Абхазии – главное орудие сил агрессивного сепаратизма. Текст распространен в качестве документа Совета Безопасности ООН, – единовременная газета „Конфликт в Абхазии“, Тбилиси, апрель, 1995; Исторические ... с. 92). В этой связи не могут не обнадежить решения недавнего Московского саммита лидеров стран СНГ (19 января 1996 г.) о политических и экономических санкциях по отношению сепаратистского режима в Абхазии. Документы, принятые во время Московской встречи, без всякого преувеличения, можно рассматривать как настоящий прорыв в урегулировании конфликта в Абхазии. Теперь, главное, чтобы все это не осталось на бумаге и было задействовано на деле.

Таким образом, единственным и решающим условием достижения мира в Абхазии, безусловного и достойного возвращения в родные места всех беженцев, может быть только восстановление юрисдикции грузинского государства и признание территориальной целостности Грузии в границах Грузинской ССР 1991 г. (Чем раньше поймут это в Сухуми и Гудаутах, тем раньше наступит мир и покой на многострадальной земле Абхазии). Надо всем понять, что, несмотря на существующее сегодня озлобление и вражду, примирению между двумя связанными самыми тесными родственными узами народами нет альтернативы. Грузинское руководство, Президент, Парламент, широкая общественность, ради мира и взаимопонимания в регионе, готовы пойти на любые компромиссы. Сделаны первые шаги на пути преобразования

Грузии из унитарного в федеративное государство, в рамках которого Абхазия, как субъект федерации, получит самые максимальные права, включая всю государственную атрибутику (конституцию, государственный флаг, герб, гимн). Теперь очередь за абхазской стороной (и мы верим, что наконец разум возьмет верх над эмоциями и большинство абхазов поймут всю бесперспективность дальнейшей конфронтации). Надо понять, что у нас – грузин и абхазов нет иного выбора, чем жить вместе на одной земле. Надо как можно быстрее залечить раны, нанесенные спровоцированной извне трагической братоубийственной войной и совместно приступить к восстановлению былого единства. История еще дает нам такой шанс и мы не вправе упустить его.

2002 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღვაწლისა და წამების გვირგვინით შემკული

ივანე ჯავახიშვილი – 130

„ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტების მეტყველება არს, და არა თვალ-ახმა ვისთვისმე“ – ძველი ქართველი ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის ეს მაქსიმა გახდა კრედო ივანე ჯავახიშვილისათვის. პირველი მნიშვნელოვანი განაცხადი დიდი მეცნიერისა სწორედ მამულიშვილობისა და მეცნიერების ურთიერთდამოკიდებულებას შეეხებოდა. „ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა, იცოდეს თავის წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია; უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“ – ეს სიტყვები 28 წლის ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის და დაბეჭდილია ასზე მეტი წლის წინ, 1904 წელს, ჯერ გაზეთ „ცნობის ფურცელში“, შემდეგ კი ცალკე წიგნში, რომელსაც „მამულიშვილობა და მეცნიერება“ ჰქვია. აქ ნათლად არის ჩამოყალიბებული დიდი მეცნიერის მრწამსი, შეხედულება ჭეშმარიტი მეცნიერის, კერძოდ, ისტორიკოსის მაღალი მოვალეობის შესახებ, მოცემულია ის პროგრამა, რომელიც ივანე ჯავახიშვილს საიმედო საგზლად გაჰყვა მთელი თავისი ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის გზაზე.

130 წელი შესრულდა ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან. ამ მანძილიდან ნათლად ჩანს ის მძიმე და რთული გზა, თავაუღებელი შრომისა და წარმატების გზა, მრავალ სიმწარესთან ერთად რომ გაიარა მეცნიერმა. სრულიად უნიკალური მოვლენაა ივანე ჯავახიშვილი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ცხოვრებაში გამოჩნდა პიროვნება, რომელმაც თავისი დიდი დაღი დაასვა ჟამთასვლას; ადამიანი, რომელმაც ჭეშმარიტი მამულიშვილობის მისაბაძი მაგალითი უჩვენა თანამედროვეებს, მაგალითი ღრმა მეცნიერული კვლევისა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა, მოძმეთა პატივისცემისა; მოქალაქე და მეცნიერი, რომლის დიდი მცდელობის შედეგია საქართველოში უპირველესი განათლების კერის – უნივერსიტეტის დაარსება და საქართველოს ისტორიის კვლევის, ქართული ისტორიოგრაფიის სრულიად ახალი ეტაპის დაწყება. ეს იყო ივანე ჯავახიშვილი, პიროვნება, რომელიც XX საუკუნის დასაწყისიდანვე თავდაუზოგავი მეცნიერული შრომითა და საზოგადოებრივი საქმიანობით მტკიცე ბურჯად შეეგება ილია

ჭავჭავაძის მიერ დაწყებულ საქმეს ერის კულტურული ცხოვრების წინსვლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1876 წლის 11(23) აპრილს ალექსანდრე ჯავახიშვილის ოჯახმა ვაჟიანობა იზეიმა... დაიბადა ივანე ჯავახიშვილი. ჯავახიშვილთა გვარს კიდევ ერთი ვაჟკაცი შეემატა. ვინ არიან ჯავახიშვილები? ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ხოლო გუარნი მთავართა მათ ძუელთაგან ესენი არიან: ქობულისძე, დონაური, ბაღუში ... ჯავახიშვილი, ბურსელი და სხვანი მრავალნი, რომელნი ერისთაობით იწერებიან და გუარნი არა წარიწერებიან ცხადად საცნობელად". ისტორიული საბუთების მიხედვით, ჯავახიშვილთა გვარი თორელებისაგან მომდინარეობს. საგვარეულოს საფუძველი დაუდო ჯავახ თორელმა (XIV ს.), რომლის შთამომავლები იწოდებიან თორელ ჯავახიშვილებად, ან ჩვეულებრივ, ჯავახიშვილებად (იხ. 1338 წლის წყალობის სიგელი გიორგი ბრწყინვალისა ივანე თორელ-ჯავახიშვილსადმი; 1345 წლის წყალობის სიგელი გიორგი ბრწყინვალისა გამრეკელ-ჯავახიშვილისადმი). ამ პერიოდიდან მოყოლებული ჯავახიშვილები საქართველოს ისტორიაში ჩანან როგორც მნიშვნელოვანი ფეოდალური საგვარეულო. ჯავახიშვილთა ერთი შტოს (კერძოდ იმისი, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის მამა ალექსანდრე ეკუთვნოდა) სამფლობელო იყო ხოვლე (სოფელი ქართლში, თანამედროვე კასპის რაიონში).

ალექსანდრე ჯავახიშვილი თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული იყო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა; მასწავლებლობდა თელავში, გორში, სიღნაღსა და სხვა ქალაქებში. ერთხანს თბილისში ავლაბრის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის მოვალეობას ასრულებდა. გადმოცემით, მეტად მშვიდობიანი, ამასთან, მტკიცე ნებისყოფისა და გამტანი კაცი იყო. შემორჩენილია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ბრძანება თელავის სამაზრო სასწავლებლის მასწავლებლის ალექსანდრე ჯავახიშვილისათვის ერთგული მუშაობის გამო მადლობის გამოცხადების შესახებ: "Объявляется благодарность учителю приготовительного класса Телавского уездного училища, губернскому секретарю князю Джавахову за отлично-усердную и ревностную службу его учебному ведомству. Попечитель Неверов".

ივანე ჯავახიშვილის დედა სოფიო ათანასეს ასული ვახვახიშვილი, ლამაზ გარეგნობასა და სიდარბაისლესთან ერთად, სათნო და ჭკვიანი ადამიანი ყოფილა. ჯავახიშვილებს ტრადიციული ქართული ოჯახი ჰქონდათ და შვილებსაც სამშობლოსა და დედაენისადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით ზრდიდნენ.

1888 წელს ივანე ჯავახიშვილი გიმნაზიის მეორე კლასში ჩაირიცხა (მას პროგიმნაზია უკვე დამთავრებული ჰქონდა). გიმნაზიაში სწავლის პერიოდმა თავისი დაღი დაასვა მომავალ მეცნიერს. აქ რაიმე ეროვნულზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. ყოველგვარი პროგრესული იდეენებოდა. ივანე ჯავახიშვილი ვერ ეგუებოდა ამგვარ ატმოსფეროს, სწავლით კი კარგად სწავლობდა. მისი მეგობარი ივანე ნიჟარაძე იგონებდა: „გიმნაზია ვანოს არ მოსწონდა, სწავლობდა კი კარგად, გარუსების ტენდენცია და ქართული კულტურის დევნა სულს უხუთავდა ქართველ შეგნებულ

მონაფეობას". ივანე ჯავახიშვილმა ადრევე გამოიჩინა მიდრეკილება ისტორიის შესწავლისადმი. იგი ამ პერიოდშივე იწყებს პატარ-პატარა, ამასთან, მეტად საინტერესო რეფერატების წერას. მის ნაშრომებს ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოგზაურობის და ინგლისელი ისტორიკოსის ბოკლის შესახებ ადრევე მიუქცევია ყურადღება. ივანე ჯავახიშვილს იმთავითვე გადაუწყვეტია ისტორიკოსი გამოსულიყო.

1895 წელს ივანე ჯავახიშვილმა გიმნაზია დაამთავრა. ნიშანდობლივია, რომ გიმნაზიის დირექტორმა პეტერბურგის უნივერსიტეტს ივანეს შესანიშნავი დახასიათება გაუგზავნა: «Ученик Иван Джавахов сын небогатого грузинского князя (смотрителя училища). Добрая патриархальная семья имела прекрасное влияние на юношу, сделав его религиозным, вежливым и приветливым. Характера он ровного, обходительного, отчего всеми любим. Джавахов имеет хорошие природные дарования, к тому же очень усерден и трудолюбив. Здоровье у него от природы хорошее, несколько потрясенное усердными занятиями последних лет. Он много читает и обладает хорошей начитанностью. Он хорошо играет на скрипке и отдается этому занятию. Он прекрасный сын и безукоризненно обходительный юноша не только со старшими, но и с товарищами, даже младшими. Политически он благонадежен».

ამავე 1895 წელს ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე შევიდა, სადაც სპეციალდებოდა საქართველოსა და სომხეთის ისტორიაში. მან თავისი სიბეჯითითა და ნიჭიერებით სწრაფად მიიქცია პროფესორთა ყურადღება. ივანე ჯავახიშვილს დიდი გავლენა ჰქონდა პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებზე. ივანეს სიყრმის მეგობარი პოეტი და საზოგადო მოღვაწე კოტე მაყაშვილი იგონებდა, რომ მისი გავლენით „ენერგიულად ვკიდებ ხელს ქართული ენის შეთვისებას, ვუზივარ „ვისრამიანს", „ქილილა და დამანას", „დაბადებას", ვიზეპირებ „ვეფხისტყაოსანს" და თანდათან ისევ ვქართველდებიო".

ივანე ჯავახიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა პეტერბურგის ქართული სათვისტომოს მუშაობაში. ხელმძღვანელობდა საქართველოს ისტორიის, მისი სულიერი და მატერიალური კულტურის შემსწავლელ წრეს. მისი თაოსნობით დამყარდა ურთიერთობა სომხეთისა და აზერბაიჯანის სათვისტომოებთან და დაარსდა ამიერკავკასიის სათვისტომო.

1899 წელს ივანე ჯავახიშვილმა დაამთავრა უნივერსიტეტი და აღმოსავლური ფაკულტეტის დადგენილებით დატოვებული იქნა საპროფესოროდ მოსამზადებლად. მისი მოღვაწეობა ფართოდ შლის ფრთებს და დიდ მასშტაბებს იძენს.

ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არაერთგზის დაწერილა. ჩვენს ხელთ არის აკაკი შანიძის, გიორგი ჩუბინაშვილის, სიმონ ყაუხჩიშვილის, გიორგი ჩიტაიას, ნიკოლოზ ბერძენიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და სხვათა – ივანე ჯავახიშვილის თანამედროვეთა და თანამოსაგრეთა მოგონებები და წერილები; სხვადასხვა სახის დოკუმენტური მასალა (მაგ. ივანე ჯავახიშვილი

ტირანიის სამსჯავროს წინაშე. დოკუმენტები და მასალები. გამოსცეს მ. ვაჩნაძემ და ვ. გურულმა), ის ლიტერატურა, რომელიც ქართველმა ისტორიკოსებმა (დ. გვრიტიშვილი, გ. ლომთათიძე, მ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე, გ. ყორანაშვილი, ო. ჯანელიძე, დ. ცინცაძე, გ. ციციშვილი) შექმნეს. ვფიქრობთ, ივანე ჯავახიშვილის ნაღვაწ-ნაშრომის ღრმა მეცნიერული შეფასება, აგრეთვე მისი წვლილის სრულად გამომზეურება ისტორიული თუ ფილოლოგიური მეცნიერების ამა თუ იმ დარგში, მისი მოღვაწეობის ცალკეული მხარეების სრულყოფილი შესწავლა მომავლის საქმედ რჩება.

ჯერ კიდევ ასი წლის წინ, XX საუკუნის დასაწყისში, უდიდესი პოლიტიკური და სოციალური ძვრების ეპოქაში, ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერ-ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, ზედმიწევნით იცნობდა რა დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ისტორიოგრაფიის განვითარების მაშინდელ დონეს, მართებულად განჭვრიტა, რომ ისტორიის, როგორც მეცნიერების დარგის წინაშე ახალი, მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები იდგა. ბევრი რამ გადასინჯვას, ახლებურად შესწავლასა და შეფასებას საჭიროებდა. ჭეშმარიტი, ნამდვილი მეცნიერული ისტორიის შექმნა უწინარესად მყარ ნიადაგს მოითხოვდა, რისი მიღწევაც შესაძლებელი იყო მაშინდელი თავადაზნაურული ინტელიგენციის იდეოლოგიური არსენალის, ე. წ. „მამულიშვილური ზნეობისაგან“ განწმენდით. ივანე ჯავახიშვილმა, როგორც ჭეშმარიტმა მამულიშვილმა აირჩია ერთადერთი სწორი გზა, გზა სიმართლის თქმისა და ანტიმეცნიერულ, ყალბ შეხედულებებს საქართველოს ისტორიაზე კრიტიკის ქარცეცხლი მიაგება. ივანე ჯავახიშვილმა ხმამაღლა განაცხადა: „ქართველმა ისტორიკოსმა პირუთვნელად უნდა შეისწავლოს თავისი ერის წარსული, პირუთვნელად უნდა წარმოუდგინოს თავის სამშობლოს წარსული თანამემამულეებსაც და უცხოელებსაც, რადგან მას არ უნდა დაავიწყდეს, რა დიდი ღვაწლიც უნდა მიუძღოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის“. ივანე ჯავახიშვილს თავის მრავალმხრივ და საოცრად მასშტაბურ შემოქმედებაში არასდროს ულალატია მეცნიერული კვლევის ერთხელ შემუშავებული პრინციპებისათვის. ივანე ჯავახიშვილი ხარბად დაეწაფა ილია ჭავჭავაძისა და XIX საუკუნის სხვა საზოგადო მოღვაწეთა მემკვიდრეობას, მათ ეროვნულ-განმათავისუფლებლურ იდეებს. იგი ჭეშმარიტად სულიერი თანამოაზრე იყო ილია ჭავჭავაძის, როგორც მოღვაწისა და მამულიშვილის. ილიას მრავლისმომცველი საქმიანობა, კერძოდ კი, ისტორიული კონცეფცია, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა და დიდ როლს ასრულებდა ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში. „ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა“ – ილია ჭავჭავაძის ეს მოსაზრება, აგრეთვე მისი მოთხოვნა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის ეკონომიკური საფუძვლების გამოკვლევის შესახებ ივ. ჯავახიშვილს იმ დროს მნიშვნელოვან მიღწევად მიაჩნდა.

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას ამშვენებდა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც რეალურად ახალი ერა დაიწყო ისტორიაში; პიროვნება, რომელმაც ხმამაღლა განაცხადა, რომ „... ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს...“ მეოცე საუკუნის დასაწყისში ილიას მძიმე ტვირთმა ივანე ჯავახიშვილის მხრებზე გადაინაცვლა. მოვიგონოთ ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვები: „იშვიათია კაცი, რომელსაც რაიმე ნაკლი არ ჰქონდეს, თუნდაც სულ მცირე. ივანე ჯავახიშვილში, სანთლით რომ გეძებნათ, ვერავითარ ნაკლს ვერ აღმოაჩენდით. ეს სრულიად უნაკლო ადამიანი იყო: ზნეობით სპეტაკი, ზრდილი, ალერსიანი, თავმდაბალი, კაცმოყვარე და გულშემატკივარი, ერთ უკადრის სიტყვას მისგან ვერ გაიგონებთ, ის შვილი იყო ქართველი ინტელიგენტი ოჯახისა, რომელიც გამსჭვალული იყო ქართული პატრიოტიზმით და საქართველოს კეთილდღეობისათვის მუშაობით“. სწორედ ასეთ ადამიანს შეეძლო ქვეყნის ჭეშმარიტ სამსახურში ჩამდგარიყო, ერის წყლული საკუთარ ტკივილად შეეცნო, საკუთარი სიცოცხლე სამშობლოს საკურთხევლისათვის მიეტანა ზვარაკად და მისივე სიყვარულში ჩაფერფლილიყო.

XX საუკუნის დასაწყისში მთელი სიგრძე-სიგანით დადგა უნივერსიტეტის დაარსების საკითხი. ამ საქმის თაოსანი ივანე ჯავახიშვილი იყო. მან პრაქტიკულად შეიმუშავა ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების გეგმა. მეცნიერს კარგად ესმოდა, რომ საქმე სწორედ ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებით უნდა დაწყებულიყო (წინააღმდეგ კავკასიის უნივერსიტეტის, ან სამეცნიერო აკადემიის დაარსების იდეისა), თუმცა საამისოდ პირობები ძალზე მწირი იყო. 1907 წლის ბოლოს ივანე ჯავახიშვილის თაოსნობითა და უშუალო ხელმძღვანელობით პეტერბურგის უნივერსიტეტში დაარსდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელმაც გააერთიანა უნივერსიტეტის გარდა სხვა ინსტიტუტების ქართველი სტუდენტები და ბესტუჟევის ქალთა უმაღლესი კურსების მსმენელი ქართველი ქალები. ამ სამეცნიერო წრემ 1911-1912 წლებში მოაწყო რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უმაღლესი სასწავლებლების ქართველი სტუდენტების ანკეტური გამოკითხვა. დასავლეთ ევროპის უმაღლესი სასწავლებლებიდან მიღებული პასუხებით აღმოჩნდა, რომ ქართველ ახალგაზრდობაში ცოდნის წყურვილი დიდი იყო. ამას ისიც მოჰყვა, რომ 1914 წელს მეფის მთავრობამ გამოსცა კანონი რუსეთის იმპერიაში არარუსულ ენაზე კერძო ხასიათის უმაღლესი სასწავლებლების დაარსების შესახებ. ამან ხელ-ფეხი გაუხსნა ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების საქმიანობას უნივერსიტეტის დაარსებისათვის. დაბრკოლებები მაინც დიდი იყო. ჟამთასვლა თავისას აკეთებდა. ახალი ძვრებით აღინიშნა 1917 წლის თებერვალი... საზოგადოებას განვითარების ახალი გზები, ახალი მიმართულებები გაუჩნდა. ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის დაარსებისათვის მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. თანამოაზრეებთან (აკაკი შანიძე, იოსებ ყიფშიძე, შალვა ნუცუბიძე, ზურაბ ავალიშვილი და სხვ.) ერთად იწყებენ ბრძოლას უნივერსიტეტის სასარგებლოდ საზოგადოებრივი აზრის შექმნისათვის.

1917 წლის გაზაფხულზე ივანე თბილისში ჩამოდის და პირველ ორგანიზაციულ ღონისძიებებს ატარებს. ამავე წლის 12 მაისს ჩატარდა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელი კრება, სადაც ივანე ჯავახიშვილის გვერდით ვხედავთ ექვთიმე თაყაიშვილს, ფილიპე გოგიჩაიშვილს, აკაკი შანიძეს, კორნელი კეკელიძეს, დიმიტრი უზნაძეს, ლუარსაბ ბოცვაძეს, გრიგოლ ვეშაპელს, ილია ზურაბიშვილსა და სხვ. „ერის ყოველი წარმატება – აცხადებდა ივანე ჯავახიშვილი, ნივთიერი კულტურის სფეროშიაც კი, თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზეა დამოკიდებული... ამიტომ ... თუ ჩვენ გვსურს ჩვენი ერის გონებრივსა და კულტურულს ნორჩს აღორძინებას ფესვები გაუმაგროთ, მთელი ჩვენი ძალღონით ქართული მეცნიერების შექმნასა და აყვავებას უნდა ხელი შევუწყოთ“. დიდ მეცნიერს ნათლად ჰქონდა დასაბუთებული, რომ „ქართული უნივერსიტეტი ერთსა და იმავე დროს სამეცნიერო კვლევა-ძიების და ცდის დაწესებულებაც უნდა იყოს და უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელიც, სადაც მეცნიერების შესწავლა და სამეცნიერო მუშაობის მეთოდებისა და პრაქტიკის შეთვისება შესაძლებელი იქნება“.

ივანე ჯავახიშვილის წინადადებით შეიქმნა კომისია, რომელსაც უნივერსიტეტის გახსნის მომზადება დაევალა.

ფართო მუშაობა გაიშალა ქუთაისშიც. 1917 წლის 17 მაისს ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით ქუთაისში ჩატარდა კულტურულ, საკრედიტო დაწესებულებათა და პერიოდულ გამოცემათა წარმომადგენლების კრება, რომელმაც ერთხმად დაუჭირა მხარი უნივერსიტეტის დაარსებას.

ივანე ჯავახიშვილი მოსამზადებელი მუშაობისას ითვალისწინებდა სხვადასხვა პირთა წინადადებებსა და მოსაზრებებს. 1917 წლის 15 ივნისს განხილული იქნა ივანე ჯავახიშვილის მიერ მომზადებული წესდების პროექტი. გარკვეული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ, 22 ივნისს, იგი მიიღეს.

ქართველი საზოგადოება კმაყოფილებით შეხვდა უნივერსიტეტის დაარსების მცდელობას. გარდა მორალურისა, მატერიალურადაც უჭერდნენ მხარს ამ იდეის განსახორციელებლად. გარდა ქართველებისა, სხვა ერის წარმომადგენლებიც აცხადებდნენ თავის მხარდაჭერას. ნიშანდობლივია, რომ სომეხმა მწერალმა ოვანეს თუმანიანმა უნივერსიტეტს შესწირა 100 მანეთი ოქროთი. ქართული უნივერსიტეტისათვის პროფესორების შერჩევა და მოწვევა მიენდო ივანე ჯავახიშვილს, პეტრე მელიქიშვილსა და ანდრია რაზმაძეს. უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის პირველი სხდომა 1918 წლის 13 იანვარს შედგა, რომელსაც ესწრებოდნენ პეტრე მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა ნუცუბიძე, იოსებ ყიფშიძე. თავმჯდომარეობდა პეტრე მელიქიშვილი; მდივანი აკაკი შანიძე იყო. აირჩიეს უნივერსიტეტის გამგეობა და ივანე ჯავახიშვილს მიმართეს თხოვნით, თავს ედო უნივერსიტეტის რექტორობა. ამ წინადადებაზე ივანე ჯავახიშვილმა კატეგორიული უარი განაცხადა და თავის მხრივ სხდომას მოუწოდა, რექტორად პეტრე მელიქიშვილი აერჩიათ, თანაც ასაბუთებდა, რომ იგი „დიდად ცნობილი მეცნიერია, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ

და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტსო". პროფესორთა კოლეგიამ მიიღო ეს წინადადება. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს.

ქართული უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის მოხსენიების დღეს გაიხსნა. პირველი ლექცია ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა თემაზე: „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფიო მწერლობაში".

1919 წლის 24 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილი არჩეული იქნა უნივერსიტეტის რექტორად. ამ თანამდებობაზე იგი 1926 წლის 24 იანვრამდე მუშაობდა. ეს პერიოდი ივანე ჯავახიშვილმა უნიერსიტეტის შემდგომ კეთილდღეობას მოახმარა. უნივერსიტეტი თანდათან იზრდებოდა, მძლავრდებოდა, იფურჩქნებოდა და საყოველთაო აღიარებას პოულობდა. თვით პეტრე მელიქიშვილი აცხადებდა, რომ „ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერავინ შეეტოქება და შეეზიარება". მაგრამ დრო იცვლებოდა, ახალი „ღირებულებები" შემოდიოდა. ახალი ხელისუფლებისათვის, საბჭოთა წყობისათვის უნივერსიტეტი თავისი ავტონომიით და თვით ივანე ჯავახიშვილი მიუღებელი შეიქნა. 1925 წელს მთავრობამ იერიში მიიტანა უნივერსიტეტის ავტონომიაზე. დიდი მეცნიერი შეებრძოლა ამგვარ ქმედებას და ძვირადაც დაუჯდა. პრაქტიკულად გაუქმდა უნივერსიტეტის ავტონომია. 1926 წლიდან რექტორებს აღარ ირჩევდნენ, არამედ ზემდგომი ორგანოები ნიშნავდნენ. ასე გაგრძელდა 1992 წლამდე, ვიდრე არ აღდგა უნივერსიტეტის ავტონომია. 1926 წლის ივნისიდან ივანე ჯავახიშვილი გადააყენეს რექტორობიდან და პრაქტიკულად ჩამოაცილეს უნივერსიტეტს; თუმცა იგი საოცრად პოპულარული დარჩა სტუდენტობაში. ესეც ძალზე აფიქრებდა ხელისუფლებას. აი, ერთი ამონარიდი მაშინდელი უშიშროების სამსახურის პოლიტიკური სამმართველოს უფროსის ლავრენტი ბერიას მოხსენებითი ბარათიდან: «Профессор Джавахишвили буквально боготворится. Это настоящий кумир студенчества. Характерно, что во время торжественного заседания по случаю десятилетия Госунта, студенчество довольно холодно приняло т. т. Ф. Махардзе, Тедо Глонти и других представителей власти, но стоило кому-то предложить выбрать в президиум проф. Джавахишвили (он сам отсутствовал), как зал буквально стал греметь долго несмолкаемыми рукоплесканиями и приветственными выкриками». ნიშანდობლივია 1928 წლის ივნისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, მიხეილ კახიანის მოწოდება: „კომუნისტებს უნდა მიეცეთ დავალება, არ მოექცნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში, პროფესურის გავლენის ქვეშ და თვითონ მოახდინონ გავლენა პროფესურაზე".

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 7 ივლისის დადგენილებით ჩატარდა თბილისის უნივერსიტეტის „რეორგანიზაცია" – უნივერსიტეტი დაიშალა რამდენიმე უმაღლეს სასწავლებლად. ეს პერიოდი მძიმე იყო ქართული ინტელიგენციისათვის. მთელს საბჭოთა კავშირში დაიწყო ბრძოლა ე. წ.

„კონდრატიევშჩინის“ წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში საქართველოშიც გამოიჩინეს თავი. ეს იყო ბრძოლა ხელისუფლებისათვის არასაიმედო მეცნიერთა წინააღმდეგ. 1930 წლის 13 დეკემბერს პედაგოგიურ ინსტიტუტში (ეს უნივერსიტეტის ერთ-ერთი განაყოფი ერთეული იყო) მისი რექტორი ივანე ვაშაყმაძე ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის განქიქებას შეუდგა საგანგებო სხდომაზე (ასეთი სხდომა კიდევ სამი გაიმართა 14, 15 და 17 დეკემბერს). ი. ვაშაყმაძის დასკვნით, ივანე ჯავახიშვილი „ძველ ფეოდალურ-ნაციონალისტური ქვეყნის წარმომადგენელია. მეთოდოლოგიურად მხოხავი ემპირისტია და ანტიმარქსისტი... ივ. ჯავახიშვილის ისტორია არ არის ისტორია როგორც მეცნიერება... ჯავახიშვილის შემოქმედებაში წინსვლა კი არა, უკანდახევაა“. რექტორის პათოსს, სამწუხაროდ, ბევრმა დამსწრემ აუბა მხარი, მათ შორის ცნობილმა ისტორიკოსებმაც, რომლებიც პრაქტიკულად გაემიჯნენ დიდ მეცნიერს. სხდომაზე ერთ-ერთ ძირითად ბრალმდებლად გამოდის სტუდენტი ცხაკაია. იგი აცხადებს, რომ „საბჭოთა ხელისუფლების მე-15 წლისთავზე ჩვენ ვახდენთ რეაქციონერი პროფესორების ფიზიონომიის გამოაშკარავებას და გამათრახებას“... და შემდეგ: ივანე ჯავახიშვილი „არ წარმოადგენს ისეთ პიროვნებას, როგორც ზოგიერთებს გონიათ და არც ასეთი დიდი მეცნიერია...“ და ა. შ. (აფერუმ, სტუდენტო ცხაკაია!). ანალოგიურია სტუდენტების გაბუნიასა და მელაძის გამოსვლაც. ასპირანტმა სევერიან ყალიჩავამ კი, დაგმო რა ივანე ჯავახიშვილი იმის ხაზგასმისათვის, რომ ქართველი ერის სიმბოლო არის დავით აღმაშენებელი, განაცხადა: „რევოლუციის აღმშენებლობისათვის არ არის დავით აღმაშენებელი საჭირო, არამედ ის წითელი დროშაა, რომელსაც აწერია „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“ (აქ, როგორც სტენოგრამაშია დაფიქსირებული, ტაში დაუკრეს). ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

ყოველივე ამის შედეგი გახლდათ ის, რომ ივანე ჯავახიშვილი 1931 წლის 28 მაისს განათლების სახალხო კომისრის ბრძანებით უნივერსიტეტიდან დაითხოვეს. ერთხანს ივანე ყველა საქმეს ჩამოშორებული და უმუშევარი იყო. სამი თვის შემდეგ იგი სახელმწიფო მუზეუმში იწყებს მუშაობას მეცნიერ-კონსულტანტად. 1933 წელს უნივერსიტეტი აღდგენილ იქნა. ივანე ჯავახიშვილი დააბრუნეს საქართველოს ძველი ისტორიის კათედრის გამგედ (საქართველოს ახალი ისტორიის კათედრას სიმონ ხუნდაძე ხელმძღვანელობდა). ორი წლის შემდეგ ძველი და ახალი ისტორიის კათედრები გაერთიანდა, რომლის გამგედ სიმონ ჯანაშია დაინიშნა. ივანე ჯავახიშვილი კვლავ გვერდზე დარჩა.

ახალი ეტაპი ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ ბრძოლისა განსაკუთრებული სიმძაფრით 1936 წელს დაიწყო. ამჯერად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როცა მისი რექტორის, კარლო ორაგველიძის თაოსნობითა და აქტიურობით გაიმართა „დისკუსია“ საისტორიო მეცნიერების საჭირბოროტო პრობლემებზე. ეს პერიოდი, განსაკუთრებით 1936 წლის მარტი-აპრილი, უმძიმესი იყო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისათვის. ჩვეულებრივი მოვლენა გახდა

ურთიერთდაბეზღება, ერთმანეთის გაწირვა, თანაც ყოველ ასეთ მოქმედებას, შესაძლოა, ადამიანის სიცოცხლეც შეეწირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1936 წლის 23 მარტს გაიმართა უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის საჯარო სხდომა, რომელზეც მოსმენილი იქნა კარლო ორაგველიძის მოხსენება: „საკ. კპ ცკ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილებები ისტორიის საკითხებზე და ჩვენი ამოცანები". მომხსენებელმა თავის სამსაათიან მოხსენებაში „ამხილა" ივ. ჯავახიშვილის „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური სკოლა". ეს იყო დიდი მეცნიერის სრულიად დაუმსახურებელი განქიქება. სულ ხუთი სხდომა ჩატარდა. ივანე ჯავახიშვილი სხდომებს არ დასწრებია. იგი ვარლამ დონდუას პეტერბურგში სწერდა: „ ... განახლდა ჩემ წინააღმდეგ ბრძოლა ტ. ს. უნივერსიტეტში. რექტ. ორაგველიძემ 3-საათიანი მოხსენება წაიკითხა უ-ტში, რომელშიც ყველა ჩემი ნაშრომების უვარგისობის დამტკიცებას ლამობდა იმის გამო, რომ მარქსისტული არ არის, რაც არავისთვის ახალ აღმოჩენას არ წარმოადგენდა. ამას მოჰყვა „კამათი" ოთხი დღის განმავლობაში, რომლის დროსაც... ზოგმა ჩემ ყოფილ მოწაფეთაგანმაც თავი ისახელა. ამბობდნენ, რომ ეს ვითომც ჩვეულებრივი კამპანიის დასაწყისია და ყურადღება არ უნდა მიაქციოთო". უფრო გვიან ივანე ჯავახიშვილი იმავე ადრესატს უზიარებდა თავის აზრს: „ვერ წარმოვიდგენდი, თუ რომ ადამიანის უანგარო მოღვაწეობის ასე ურცხვად წაბილწვა შესაძლებელი იყო". მართლაც, ვინც კი თუნდაც ზერელედ გადაავლებს თვალს „დისკუსიის" სტენოგრამას, თვალნათლივ დაინახავს დიდი მეცნიერის სრულიად უმართებულო განქიქების საზარელ სურათს.

... მაგრამ იმავე 1936 წელს ვითარება კარდინალურად შეიცვალა. არა მარტო შეწყდა ივანე ჯავახიშვილის კრიტიკა-დევნა, არამედ ცხოვრების ჩარხი მეცნიერისათვის სასიკეთოდ შემობრუნდა. დღეს ჩვენს ისტორიოგრაფიაში არის მცდელობა, და არც თუ უსაფუძვლო, იმის მტკიცებისა, რომ დიდი მეცნიერისადმი ყურადღება გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა, საკავშირო ჟურნალის «Вестник древней истории»-ის დამფუძნებელმა და მისმა პირველმა რედაქტორმა ალექსანდრე სვანიძემ გამოიჩინა. სწორედ მისი ინფორმაციით შექმნილი ვითარების შესახებ და სათანადო რეკომენდაციით იოსებ სტალინთან (იგი იოსებ სტალინის ცოლისძმა იყო) ივანე ჯავახიშვილი მთელი სისრულით დაუბრუნდა ჩვეულ სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებას (მოვიგონოთ ივანე ჯავახიშვილის სიტყვები, 1927 წელს პროფესორ სიმონ გოგიტიძის გასვენებიდან დაბრუნებულმა რომ წარმოსთქვა – მე საზოგადოებაში აღარ გამესვლება, რადგან ხალხი უხერხულ მდგომარეობაში ვარდება, ჩემთან მოახლოებისა ეშინიათ და ვგრძნობ, ამავე დროს, ჩემი რცხვენიათ). მალე დაინიშნა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკი-ს) მუდმივ სწავლულ კონსულტანტად, არჩეული იქნა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, განაგებდა საქართველოს მუზეუმის ისტორიის განყოფილებას, უშუალოდ ხელმძღვანელობდა „ვეფხისტყაოსნის" 750

ნლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის მოწყობას, დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება თბილისის უნივერსიტეტის რექტორებს ივანე ჯავახიშვილის შემდგომ, მათი ბედი მძიმე აღმოჩნდა. თედო ღლონტი, მალაქია ტოროშელიძე, ივანე ვაშაყმაძე, ლევან აღნიაშვილი, კარლო ორაგველიძე, ალექსანდრე ერქომაიშვილი არსებულმა პოლიტიკურმა რეჟიმმა, რომელსაც თავად ემსახურებოდნენ ერთგულად, ისინი იმსხვერპლა. 1937-1938 წლებში ისინი დახვრიტეს.

გვინდა მოკლედ, ფრაგმენტულად მიმოვიხილოთ ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის ისეთი მხარეები, როგორიცაა დიდი მეცნიერის დამოკიდებულება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან, აგრეთვე მისი ზრუნვა ქართული ენციკლოპედიის შექმნისა და კონსერვატორიის სწორად ორგანიზებისათვის, მისი სამუზეუმო საქმიანობა.

ივანე ჯავახიშვილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, ფართოდ სარგებლობდა საზოგადოების ფონდებში დაცული მასალით. ივანე სიამოვნებით გამოეხმაურა საზოგადოების საგამომცემლო რედაქციის წინადადებას სახელმძღვანელოების შედგენისა და მათი გამოცემის თაობაზე. იგი ატყობინებდა რედაქციას, რომ სასურველია შეიქმნას ორი სახელმძღვანელო ენათმეცნიერებაში, ერთი – ზოგადი ენათმეცნიერების, მეორე – ქართული ენათმეცნიერებისა. ავტორებად რეკომენდაციას უწევდა იოსებ ყიფშიძესა და აკაკი შანიძეს. ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო ძველი აღმოსავლეთის ზოგადი ისტორიის შექმნა. ამ წიგნის სასურველ ავტორად ივანე ჯავახიშვილი მიხეილ წერეთელს ასახელებდა; ასევე საჭიროდ მიაჩნდა გზამკვლევის ტიპის საცნობარო ლიტერატურის გამოცემა.

მეტად ნიშანდობლივი და დიდი მეცნიერისათვის დამახასიათებელია ერთი ფაქტი. საზოგადოების თავმჯდომარემ გიორგი ყაზბეგმა მიმართა ივანე ჯავახიშვილს და სთხოვა, წარედგინა „ქართველი ერის ისტორიის“ ტომეულები საპრემიოდ. ივანე ჯავახიშვილმა მადლობა გადაუხადა გიორგი ყაზბეგს და ზრდილობიანი უარი უთხრა: „პრემიები ყველგან და ჩვენშიაც, რასაკვირველია, იმიტომ არის დაწესებული, რომ ახალგაზრდა მკვლევარნი ან წაახალისონ ან ქონებრივი დახმარება გაუწიონ... მე, ჩემდა საბედნიეროდ, ისედაც შეძლებისდაგვარად ვმუშაობ და ჩემთვის არც რაიმე წახალისებაა საჭირო და არც ქონებრივი დახმარება: უნივერსიტეტის დოცენტობა, მე, თუმცა დიდს არა, მაგრამ მაინც სახსარს მაძლევს. ამისთანა პირობებში ზნეობრივად შეუძლებლად მიმაჩნია სხვებს, რომელთაც წახალისებაცა და დახმარებაც სჭირიათ, შევეცილო“.

ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომელიც 1907 წელს შეიქმნა ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით. ივანე ჯავახიშვილი აქტიურად ჩაება საზოგადოების მუშაობაში. იგი 1921 წლიდან, ექვთიმე თაყაიშვილის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ, სათავეში ჩაუდგა ამ საზოგადოებას და ათი წლის მან-

ძილზე ხელმძღვანელობდა მას. ჭეშმარიტად არსებითი ხასიათის იყო ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებები კონსერვატორიის მოწყობის შესახებ. მეცნიერმა თავისი დიდი მზრუნველობა ქართული მუსიკალური განათლებისადმი პრაქტიკულ ნაბიჯებში გამოხატა, რომელთაც არსებითი როლი შეასრულეს კონსერვატორიის შემდგომ საქმიანობაში.

ივანე ჯავახიშვილი აქტიურად მონაწილეობდა „ქართული ენციკლოპედიის" შექმნაში გასული საუკუნის 30-იან წლებში. სამწუხაროდ, ენციკლოპედია მაშინ ვერ გამოიცა. შემორჩენილი საარქივო მასალა ნათლად გვიჩვენებს ივანე ჯავახიშვილის როლს ენციკლოპედიის გამოცემის განხორციელების საქმიანობაში. ივანე ჯავახიშვილი სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო; იყო ავტორი სტატიებისა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე. პირველი ტომისათვის მზად იყო სტატიები „ანბანი", „ანდრია მოციქული" და სხვ. აღსანიშნავია ამ სტატიების მაღალი დონე და არ არის შემთხვევითი, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოცემულ ენციკლოპედიაში ივანე ჯავახიშვილის ეს სტატიები კიდეც იხილა მკითხველმა.

ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა სამუზეუმო საქმიანობას. 1931 წელს იგი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, საქართველოს მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტად დაინიშნა. აქედან მოყოლებული დაიწყო ფართო სამუზეუმო საქმიანობა. მეცნიერის დასაბუთებული მოთხოვნით მუზეუმში შეიქმნა ისტორიის განყოფილება, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ივანე ჯავახიშვილი განაგებდა. „ვეფხისტყაოსნის" 750 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა ივანე ჯავახიშვილის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით მოეწყო. მეცნიერმა ყურადღება მიაქცია არა მხოლოდ გამოფენის სტრუქტურას, არამედ ზოგადად მუზეუმის საქმიანობას არქეოლოგიური მასალის გამოყენების თვალსაზრისით. აქ დაცული იყო ძალზედ მნიშვნელოვანი არქეოლოგიური საგანძური, რომელსაც ვერც მეცნიერები იყენებდნენ და საზოგადოებისათვისაც უცნობი რჩებოდა. გამოფენა ისე მოეწყო, რომ მან დიდი აღმზრდელობითი დანიშნულებაც შეიძინა. წარმოჩნდა ძველი საქართველოს ავლადიდება და კულტურის დონე.

ივანე ჯავახიშვილი უდიდეს ყურადღებას აქცევდა ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შესწავლის საკითხს. აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „ქართული ხელოვნების საკითხებიც, ქართული ხელოვნების წარსულის შესწავლაც და მისი მომავალი ბედი ივანე ჯავახიშვილისათვის ისევე ძვირფასნი და ახლონი იყვნენ, როგორც ქართული კულტურის სხვა საკითხებიც". ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ძველი საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვან მხატვრულ შემოქმედებას (პლასტიკური ხელოვნების დარგებს – არქიტექტურას, სკულპტურას, ოქრომჭედლობას და სხვ.) და მას ქართველი ხალხის მაღალი კულტურის, დამოუკიდებლობისა და ძლიერების მაჩვენებლად აღიარებდა. 1914 წლისათვის მეცნიერს მზად ჰქონია „ქართული ხელოვნების ისტორია", რომლის ერთი ნაწილი დაიბეჭდა სათაურით: «Термины искусств и главнейшие сведения о памятниках искусства и

материальной культуры в древнегрузинской литературе». განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი ქართული კულტურის ძეგლების დაცვის საქმეში. მეცნიერმა მოიწონა ქართველ ხელოვანთა საზოგადოებისა და ქართველი მხატვრების საქმიანობა ძველი ქართული მხატვრული ნაშთების გადარჩენისა და გადმოღების მიზნით. იგი აღტაცებული იყო ნაბახტევში მომუშავე მხატვრების (ლ. გუდიაშვილი, გ. ერისთავი, მ. თოიძე და მისი ვაჟი ერეკლე, მ. ჭიაურელი და დ. შევარდნაძე) საქმისადმი უანგარო სიყვარულით, რაც დაწყებული დიდი აღდგენითი სამუშაოს საწინდარი ჩანდა. მონუმენტურ მხატვრობასთან ერთად ივანე ჯავახიშვილი უდიდეს ყურადღებას აქცევდა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს და თავად იღებდა მნიშვნელოვან ზომებს ხუროთმოძღვრების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისათვის. 1946 წელს, მეცნიერის გარდაცვალების შემდგომ, გამოიცა მისი მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევა „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის (მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში)". ესაა ფუნდამენტური გამოკვლევა საცხოვრებელ ნაგებობათა სახეებისა, მათი სახელწოდებების, წარმოშობისა და განვითარებისა. ივანე ჯავახიშვილი მიმოიხილავს ქალაქის განმსაზღვრელ ძირითად ატრიბუტებს (უბნები, ქუჩები, მოედნები, ციხე-გალავნები, შესასვლელ-გამოსასვლელი კარები, ბაზრები, ხიდები, წისქვილები, სახელოსნოები, საპატიმროები და სხვ.), საკულტო-ნაგებობებს. ივანე ჯავახიშვილმა საგანგებოდ გამოიკვლია საფენელ-საგებელის, ავეჯისა და ჭურჭლის სახეები, ტანსაცმელი.

უაღრესად რთულსა და მძიმე პირობებში არგუნა ბედმა ივანე ჯავახიშვილს მოღვაწეობის დაწყება. საქართველოს ისტორიის არც ერთი სამეცნიერო დარგი, ფაქტობრივად, არ არსებობდა. იყო მხოლოდ მარი ფელისიტე ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძის, თედო ჟორდანიას, ექვთიმე თაყაიშვილისა და მოსე ჯანაშვილის ნაშრომები საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებზე. საქართველოს ისტორიის არსებითი, სისტემატიზებული გამოკვლევა მთლიანად ერთ ადამიანს დაანვა მხრებზე; თანაც ეს კვლევა რაც შეიძლება მალე უნდა ჩატარებულიყო – დროულად გატეხილიყო ყამირი. ივანე ჯავახიშვილი გზის გამკაფველი გამოდგა, მან ახალი ქართული ისტორიოგრაფიის გუთნისდედის როლი შეასრულა, ცალ უღელში მყოფი ეწეოდა მეცნიერული კვლევა-ძიების ჭაპანს. „ჩემდა საუბედუროდ – წერდა მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილი – შრომისა და მძიმე ტვირთის გამნაწილებელი არავინ მყოლია და მოუცლელობის გამო ისეთ მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი, რომ ერთხელ დაწერილის შემოწმებისათვისაც კი დრო არ მქონია".

ივანე ჯავახიშვილის გიგანტური შრომის ნაყოფია ... ქართული ერის ისტორია, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ქართული სამართლის ისტორია, ისტორიული გეოგრაფია, მეტროლოგიის, ნუმიზმატიკის, მუსიკის ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, სომხური საისტორიო მწერლობის, სამშენებლო საქმისა და საერთოდ მატერიალური კულტურის ისტორიის საკითხები – აი, არასრული ნუსხა იმ პრობლემებისა, რომლებიც დიდმა მეცნიერმა ცოდნის ჩარჩოებში მოაქცია და

მისცა საზოგადოებას. გვინდა მკითხველს გავაცნოთ მიხეილ წერეთლის შეფასება: „ ... ივანე ჯავახიშვილის ძლიერ მცირე შველით წინამორბედთაგან უნდა გაუბედა საქართველოს ნამდვილი და სრული ისტორიის დაწერა, რაისთვისაც ღრმა და ახალ მასალათა შეკრებით შესწავლა იყო საჭირო ყველა იმ დარგისა, ურომლისოდაც ისტორია ერისა მოდერნულ მოთხოვნილებათა მიხედვით არ დაიწერება. და ივანე ჯავახიშვილმა თავისი გონების გიგანტურ მხრებზედ აიკიდა ეს უზარმაზარი ტვირთი, რომელიც მან მთელი მისი კეთილშობილი ცხოვრების განმავლობაში ღირსეულად, ნაყოფიერად და ბრწყინვალედ ჰზიდა“.

განუყრელადაა ივანე ჯავახიშვილის სახელთან დაკავშირებული ქართული მუსიკის ისტორიის შესწავლა-განვითარება. მშვენიერი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ მეცნიერს (იგი შესანიშნავად უკრავდა ვიოლინოზე) მაღალი კომპეტენცია ჰქონდა და თავისი რჩევა-დარიგებებით ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებას. ყველა ახალ ნაწარმოებს ზაქარია ფალიაშვილი ივანეს ასმენინებდა პირველად. მეცნიერი ეხმარებოდა კომპოზიტორს ხალხური სიმღერების შეკრებაში. ქართლის სოფლებში ივანე ჯავახიშვილთან ერთად მოგზაურობის დროს ზაქარია ფალიაშვილს „აბესალომ და ეთერის“ ლეკური ჩაუწერია და შემდგომში მას შინაურობაში „ივანეს ლეკურს“ უწოდებდა. გიორგი ჩუბინაშვილი იგონებდა ივანე ჯავახიშვილის ნათქვამს: „ბატონმა ივანემ როგორღაც მითხრა: ჩემს ახალგაზრდობაში ისე ვიყავი გატაცებული მუსიკის მეცნიერული საკითხებით, რომ თავდაპირველად ვფიქრობდი სწორედ ამ საკითხების შესწავლას შევდგომოდიო“. ივანე ჯავახიშვილმა სხვადასხვა, მეტად მრავალგვარი სახის წყაროების შესწავლის საფუძველზე გამოიკვლია ქართული მუსიკის ძირითადი საკითხები: განვითარების მთავარი საფეხურები, ქართული მრავალხმიანობის წარმოშობა, მუსიკალური ტერმინები, მუსიკალური საკრავები და სხვ. ფასეულია ივანე ჯავახიშვილის დასკვნა, რომ მრავალხმიანობა ქართული მუსიკის შინაგანი განვითარების ნაყოფია.

ივანე ჯავახიშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა კულტურის მოღვაწეებთან: ზაქარია ფალიაშვილთან და დავით კაკაბაძესთან. გამორჩეული იყო მისი ურთიერთობა ნიკო მართან. ეს უკანასკნელი ივანე ჯავახიშვილის ძირითადი ხელმძღვანელი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში. სწორედ ნ. მარის ხელმძღვანელობით, 1901 წლის 27 იანვარს ივანე ჯავახიშვილმა მოიპოვა ქართული სიტყვიერების მაგისტრის ხარისხი (დისერტაცია უფრო გვიან, 1907 წლის 13 მაისს დაიცვა თემაზე: «Государственный строй древней Грузии и древней Армении»). მეტად მნიშვნელოვანი იყო ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის ერთობლივი მოგზაურობა სინას მთაზე ქართული ხელნაწერების მოკვლევისა და შესწავლის მიზნით (1902 წლის აპრილი-სექტემბერი). ნიკო მარი გულწრფელი კმაყოფილებით წერდა: „ჯავახიშვილი მუშაობაში ძალიან ბეჯითი და ამტანი აღმოჩნდაო“. ერთ დღეს ივანეს ხელში ჩაუვარდა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ძვირფასი ხელნაწერი. ეს უდიდესი მონაპოვარი იყო. იგი მაშინვე მიხვდა, თუ რა დიდმნიშვნელოვან ძეგლთან ჰქონდა საქმე. მოწაფეს ხელნაწერი მასწავლებლისათვის გადაუცია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაც დაუძენია: პირველ რიგში, ძეგლის გაცნობა-შესწავლა თქვენ გეკუთვნითო. ნიკო მარი თავისი მოწაფის ამგვარ დიდბუნებოვნებას მაღალ შეფასებას აძლევდა. ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობა, მიუხედავად ზოგიერთი გართულებისა, ბოლომდე კეთილი და მეგობრული დარჩა.

ივანე ჯავახიშვილი დიდად აფასებდა და ხელს უწყობდა თავისი მოწაფეების – თამარ ლომოურის, სიმონ ჯანაშიას, სიმონ ყაუხჩიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის და სხვათა საქმიანობას.

ივანე ჯავახიშვილს ფართო მიმოწერა ჰქონდა ცნობილ მოღვაწეებთან: კიტა აბაშიძესთან (იგი ივანეს ახლო ნათესავი იყო), მოსე ჯანაშვილთან, შიო არაგვისპირელთან, ივანე ბერიტაშვილთან, ვუკოლ ბერიძესთან, გიგო გაბაშვილთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, კორნელი კეკელიძესთან, აკაკი შანიძესთან, სიმონ ყაუხჩიშვილთან და მრავალ სხვასთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბატონი ივანეს წერილები ვარლამ დონდუასადმი, რომლებიც მდიდარ მასალას გვაძლევენ დიდი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მრავალი ასპექტის შესახებ. ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობას საზოგადო და კულტურის მოღვაწეებთან საფუძვლად მაღალი მოქალაქეობრივი და მეცნიერული პრინციპები ასაზრდოებდა. დიდი მეცნიერი აღნიშნავდა, რომ „სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა. ეს ისეთი ბედნიერებაა, რომ ყველას ხვედრს არ წარმოადგენს და ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისგან დაჯილდოებულია ნიჭით... აქვს ნებისყოფა... აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ... ვალდებულია გადაუხადოს იმ ერს, რომლისგანაც ის წარმოშობილა“. თვით ივანე ჯავახიშვილი ერისა და მეცნიერების სამსახურის განუმეორებელ მაგალითს იძლეოდა.

დიდი მეცნიერი ცხოვრებაში სრულიად უპრეტენზიო იყო და განსაკუთრებული თავმდაბლობით გამოირჩეოდა. ერთ-ერთ პირად წერილში იგი ვარლამ დონდუას გულწრფელად სწერდა: „არამც თუ აკადემიკოსობა, პროფესორობის მაძიებელიც კი არ ვყოფილვარ არას დროს“. ნიკო მარის წინადადებაზე – გადათარგმნეთ ერთ-ერთი გამოკვლევა და სადოქტოროდ წარმოადგინეთო, ბატონი ივანე უარით პასუხობს: „რაკი ეს ჩემთვის დროის ზედმეტ დაკარგვას უდრიდა, სამაგისტრო დისერტაციის შემდგომ სადოქტორო დისერტაცია არ წარმიდგენია და არასდროს პირადად მე, არამცთუ პროფესორის, არამედ პრივატდოცენტის წოდებულებითაც არ მისარგებლია“.

1940 წლის 18 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის მოხსენების მოსასმენად ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ მოიყარა თავი. პრობლემა მნიშვნელოვანი იყო: „ფილოლოგიური მეცნიერების მიზნები და ქართული ლიტერატურული ძეგლები“. დანიშნულ დროს ივანე ჯავახიშვილმა მოხსენება დაიწყო... რამდენიმე წუთში აქ, კათედრასთან, მოხსენების კითხვისას შეწყდა დიდი მეცნიერის მაჯისცემა. გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილი; გარდაიცვალა თავისი მეცნიერული და მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების დროს. პარიზში მყოფმა მიხეილ წერეთელმა ასეთი სიტყვებით მიმართა დიდ მეცნიერს: „განისვენე, ძვირფასო

და დიდო ივანე, საუკუნოდ იმ ქართველთა შორის, რომლებიც შენსავით არიან შემკულნი ღვაწლისა და წამების გვირგვინით. შენი ადგილი დიდ ილიასთან არის, რომელმაც შენზედ ადრე მიიღო ჯილდოდ დიდი ღვაწლის იგივე გვირგვინი. ძეგლი, რომელიც აღიგე შენ, მხილველმან, განმცდელმან და მგრძნობმან საქართველოისა ოც-და-ათი საუკუნის სიგრძეზედ, ჯალათთა ბატონობისა და ყოველივე სხვა უკეთურებისა ჩვენ ქვეყანაში უფროის ხანგრძლივი იქმნება – იგი მარადისი იქმნება, – და ჩვენც ვნატრიდეთ, რომ შენი დიდი პიროვნებაც, აღსავსე მოქალაქეობრივი სიმამაცითა და კეთილშობილებითა და დიდი მოწამის სულის მატარებელი სიცოცხლეში, – პიროვნება შენი... ქართველ მოქალაქეთა და მოღვაწეთა თვალის წინ მომავალ თაობათა მარადის უკვდავ სახედ ყოფილიყოს აღმართული!" (Bedi kartlisa, Revue de Kartvélologie, vol. XXXV).

დიდ მეცნიერზე, მამულიშვილსა და საზოგადო მოღვაწეზე – ივანე ჯავახიშვილზე შთამომავლობას ხმამაღლა, სიამაყით შეუძლია გაიმეოროს დიდი ილიას სიტყვები: „აღასრულა მან თვისი ვალი".

2006 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მცირე განსჯა ჟაკ ლე გოფის წიგნის „წარმოსახვითის შუასაუკუნეობრივი სამყარო“ წაკითხვის შემდეგ

ფრანგი ისტორიკოსი ჟაკ ლე გოფი თანამედროვეობის ერთ-ერთი უგამოჩენილესი მეცნიერი-მედიევისტია. იგი ფრანგული „ანალების“ სკოლის მნიშვნელოვანი ფიგურაა. ჟაკ ლე გოფმა თავისი გამოკვლევებით დიდი ამაგი დასდო მსოფლიოს შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლას. XX საუკუნის მედიევისტიკა ძნელი წარმოსადგენია ამ ფრანგი მეცნიერის შემოქმედების გარეშე[1].

ჟაკ ლე გოფის „L'imaginaire médiéval“-ის რუსული თარგმანი „Средневековый мир воображаемого“ (თარგმნილია ე. მოროზოვას მიერ, გამოცემულია 2001 წ. მოსკოვში) არის ნარკვევების კრებული, რომელიც გაგრძელებაა მეცნიერის მიერ ადრე გამოქვეყნებული შრომებისა, რომლებიც 1977 წ. გამოიცა სათაურით – „Pour un autre Moyen Age“ („მეორე შუა საუკუნეები“). ამ წიგნში ჟ. ლე გოფმა თანამიმდევრულად გააფართოვა, გააღრმავა და განაახლა მიდგომა შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლისადმი. შემდეგ წიგნში („წარმოსახვითის შუასაუკუნეობრივი სამყარო“) კი სამ ასპექტს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. პირველი, ესაა დრო – ისტორიკოსის კვლევის პრივილეგირებული საგანი; მეორე, მეცნიერის კულტურასა და ხალხურ კულტურას შორის ურთიერთდამოკიდებულებანი; მესამე, ისტორიულ-პოლიტიკური ანთროპოლოგია. ამ უკანასკნელი პრობლემის კვლევისას მეცნიერმა პოლიტიკური ისტორიისადმი გაზრდილი ინტერესის ახალ კალაპოტში ჩაყენება მოიწადინა.

ერთი სიტყვით, ჟ. ლე გოფის წიგნი ისტორიული ფილოსოფიის ჟანრს განეკუთვნება. დღეს დასავლეთის ისტორიოგრაფიაში საერთოდაა გატაცება ადამიანის, ადამიანთან დაკავშირებული ყოფითი პრობლემებით, იმ მოვლენებით, რომელსაც ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში, ურთიერთობაში აქვს ადგილი. შეისწავლება ცალკეული საკითხები ვიწროდ და ღრმად. ყურადღება მახვილდება, ერთი შეხედვით, წვრილმანებზეც კი. შუა საუკუნეების აბანოები, ხანძრები, სალაყბოები, გლახაკები და სხვა ასეთი მრავალი, ის თემაა, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია დასავლეთის მეცნიერთა კვლევაში.

---

[1] ჟაკ ლე გოფის ღვაწლსა და უცხოელ ისტორიკოსთა (მათ შორის „ანალების“ ჯგუფის) საქმიანობის შესახებ იხ. რ. მეტრეველი, კლიოს მფარველობის ქვეშ, მაცნე, 1990 წ., № 4, გვ. 7-16.

ისტორიის ფილოსოფია, როგორც მეცნიერების დარგი, მრავალმნიშვნელოვანია. ონტოლოგიური (ისტორიული პროცესის თეორია), გნოსეოლოგიური (ისტორიული შემეცნების თეორია) და ლოგიკურ-მეთოდოლოგიური (ისტორიული კვლევის მეთოდების ანალიზი) პრობლემატიკის ურთიერთშეფარდება არაერთგვაროვანი იყო საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიის ფილოსოფია უპირატესად ისტორიული განვითარების თეორია იყო. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ფილოსოფიაში ისტორიისადმი დამოკიდებულების ორი მიმართულება გამოიკვეთა: პირველი – პოზიტივიზმი და მეორე – ნეოიდეალისტური ფილოსოფიური მიმდინარეობანი (ნეოკანტიანელობა, ნეოჰეგელიანელობა და სხვ.). XX საუკუნიდან, განსაკუთრებით ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან, ფილოსოფიურ-თეორიული აზროვნების ორიენტაციის გარკვეული ცვლა ხდება. სოციალურ-ისტორიულმა ძვრებმა გაზარდა მოთხოვნილება ისტორიისა და ისტორიული აზროვნების გააქტიურებისათვის. სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, საოცარი სისწრაფით იცვლება. სოციალური და პოლიტიკური პრობლემები, რომლის წინაშეც დგას ადამიანთა საზოგადოება, ურთულესია. ომები, დემოგრაფიული პრობლემები, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, ეკოლოგიური კრიზისები – ყოველივე ეს, არა თუ გადაწყვეტილი, გააზრებულიც კი, ვერ იქნება ფართო ისტორიული მიდგომის გარეშე.

ტრადიციული ისტორიკოსი იკვლევდა და იკვლევს, პირველ რიგში, ქვეყანას და ქრონოლოგიას. ამას ვერავინ აცდება, რადგან ისტორიკოსი ყოველთვისაა დაკავშირებული დროსა და ადგილთან. ინტერესი კვლევის ჩარჩოების გაზრდისა აუცილებელი ხდება. დღის წესრიგშია შესწავლა-ევოლუცია გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური სისტემებისა, ფსიქიკური სტრუქტურებისა, პროცესებისა და ურთიერთობებისა. ყოფა, ეკოლოგიური გარემო, საცხოვრებელი, კვება, ტანსაცმელი, ოჯახი, ბავშვები, ცხოვრებისეული სტილი, ღირებულებები, დაავადებები და სხვ., როგორც ზემოთაც ითქვა, თანამედროვე ისტორიკოსთა კვლევის თვალსაწიერშია მოქცეული.

ისტორიის, როგორც მოვლენათა შესახებ მეცნიერების, სოციალურ-ისტორიული პროცესების, სტრუქტურებისა და ურთიერთობათა მეცნიერებად გადაქცევის ტენდენცია რელიეფურადაა წარმოდგენილი ფრანგული „ანალების“ სკოლის ისტორიკოსთა შემოქმედებაში. ეს სკოლა გასული საუკუნის 20-იან წლებში შეიქმნა. მის სათავეში მარკ ბლოკი და ლუსიან ფევრი იდგნენ[1]. ამ სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ფერნან ბროდელი ქადაგებდა ისტორიისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სინთეზისაკენ სწრაფვის აუცილებლობას. სივრცითი კავშირურთიერთობები, განვითარების გრძელვადიანი ტენდენციები. ფ. ბროდელი მოითხოვს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეთოდოლოგიური ჰორიზონტის გაფართოებას და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამა თუ

---

[1] Жак Ле Гофф, Существовала ли французская историческая школа «Annales"? – "Французский ежегодник", 1968. М., 1970; Марк Блок, Апология истории или ремесло историка, М., 1973.

იმ პრობლემის ისტორიული დროის შესწავლა-გამოკვლევას. ნებისმიერ გამოკვლევაში აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს აღებული კვლევის ობიექტის ქრონოლოგიური მასშტაბი[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადადაა გამოკვეთილი „ანალების“ სოციოლოგიური ორიენტაცია. ეს, თავის მხრივ, გარკვეულ პოლემიკას იწვევს სხვადასხვა ისტორიკოსთა შორის. განსაკუთრებული კრიტიკით გამოირჩეოდა გერმანული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელი ფრიდრიხ მეინეკე. შემდგომში გერმანელი ისტორიკოსები თ. შიდერი, ვ. კონცე, კ.-დ. ერდმანი, ო. ბრუნერი და სხვ. მართალია არ ღალატობდნენ ისტორიზმის იდეალისტურ ტენდენციებს (რაც დამახასიათებელი იყო ფ. მეინეკეს შრომებისათვის), მაგრამ ამავე დროს ცდილობდნენ „გადაეხარშათ“ ახალი იდეები და ცნებები. თეოდორ შიდერი მიუთითებს, რომ რაგინდ „ინდივიდუალიზებული“ არ უნდა იყოს ისტორიკოსი, შეუძლებელია გვერდი აუაროს განზოგადოებებს და შედარებით მეთოდს. თავის ერთ-ერთ ნაშრომში „სტრუქტურები და პიროვნებები ისტორიაში“ მეცნიერი წარმოადგენს შედარებითი მეთოდის საკუთარ ტიპოლოგიას, ხაზს უსვამს ამ მეთოდით ინდივიდუალური ისტორიული რეალობის რეკონსტრუქციის აუცილებლობას. ერნსტ პიტცი მიიჩნევს, რომ ისტორიული მეცნიერების მთავარი საფრთხე მოდის სოციოლოგიიდან, რომელიც „ცოცხალი პიროვნებების“ შესწავლას ცვლის ინდივიდუალობას მოკლებული „სტრუქტურების“ კვლევით.

ისტორიკოსთა თეორიულ-მეთოდური ძიებანი კონკრეტდება მათი დამოკიდებულებით მომიჯნავე საზოგადოებრივ მეცნიერებებთან. ეს დებულება განსაკუთრებითაა გამოკვეთილი ისტორიული დემოგრაფიის კემბრიჯის სკოლის წარმომადგენლის პიტერ ლასლეტის ნაშრომებში (განსაკუთრებით სტატიაში – „ისტორია და საზოგადოებრივი მეცნიერებები“). იგი მიიჩნევს, რომ ისტორიკოსებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ მომიჯნავე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები და კონცეფტუალური აპარატი. იგი თავგამოდებული მომხრეა, რათა ისტორიული მოვლენების კვლევისას გამოყენებული იქნეს სტრუქტურული და რაოდენობრივი მეთოდები, ეკონომეტრიკა, ისტორიული დემოგრაფია და ა. შ.

რიგი ისტორიკოსებისა (ფრანსუა ფიურე, ფილიპ არიესი, ფრენკ მენუელი და სხვ.) ყურადღებას ამახვილებენ ისტორიული დემოგრაფიისა და ისტორიული ფსიქოლოგიის სინთეზის აუცილებლობაზე. ფრენკ მენუელი (აშშ) ფსიქოლოგიას განიხილავს, როგორც მეცნიერების დარგს, რომელმაც შეიძლება ისტორიას სარგებელიც მოუტანოს და ვნებაც. იგი კრიტიკულად განიხილავს ისტორიული კვლევის „ფსიქოლოგიზაციის“ გარკვეულ ცდებს. ფრენკ მენუელი, როგორც პროფესიონალი ისტორიკოსი, სკეპტიკურად უყურებს გადაჭარბებულ ფსიქოლოგიზმს. როცა ისტორიკოსი ცოდნის მომიჯნავე დარგს მიმართავს, დარგს, რომელშიც იგი ვერ არის საკმარისად კომპეტენტური, ბუნებრივია, ცდილობს იქიდან აიღოს სარწმუნო და შემოწმებული მასალა. გასარკვევი ისტორიკოსს თავის დარგშიც

[1] F. Braudel, Histoire et sciences sociales. La longue durée. – "Annales", oct.-dec., 1958.

ბევრი აქვს. ფსიქოანალიზის მდგომარეობა თანამედროვე მეცნიერებაში სწორედ პრობლემურია. ფ. მენუელი აღიარებს ფსიქოანალიზის კლინიკური ეფექტურობის პრობლემურობას, თუმცა მისი ევრისტიკული ღირებულება ისტორიისათვის საეჭვოა. ნიშანდობლივია, რომ თვით ზ. ფროიდის სოციალურ-ისტორიული ექსკურსები სპეციალისტებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს.

ისტორიოგრაფიის განვითარების ზემოთმოტანილ, თუნდაც მიმოხილვითი ხასიათის, ფონზე, ჟაკ ლე გოფის მიერ წარმოსახვითის, როგორც ისტორიის თავისებური პარამეტრის, შემოტანა მეტად საინტერესო მოვლენა გახლავთ.

მოკლედ ისევ ჟაკ ლე გოფის შესახებ[1]. იგი დაიბადა 1924 წლის იანვარში, ტულონში (საფრანგეთის სამხრეთი). მოღვაწეობს სოციალურ მეცნიერებათა უმაღლესი კვლევების სკოლასა და ისტორიული კვლევების ცენტრში. აღიარებულია შუა საუკუნეების ისტორიის კვლევის ერთ-ერთ ყველაზე დიდ სპეციალისტად. ჟ. ლე გოფი მიმდევარია ძველი ფრანგული ტრადიციისა, რომელიც აერთიანებს ისტორიასა და გეოგრაფიას. ფერნან ბროდელისა (1902-1985 წწ.) და მორის ლომბარის (1904-1965 წწ.) „მოდელების" მსგავსად ჟაკ ლე გოფმა შეძლო დროისა და ადამიანური განზომილების შეტანა სივრცის წარმოჩენისას. ამ თვალსაზრისით იგი „ანალების" სკოლის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა.

ჟაკ ლე გოფის ინტერესთა სფეროშია ისტორიული ადგილები, ქალაქები, გზები, ოკეანეები. იგი კვლევასთან ერთად ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. მან ჩამოაყალიბა ისტორიის სემინარი, სადაც ბევრი ახალგაზრდა ისტორიკოსი წარმოჩნდა. იგი ავტორია კლასიკად ქცეული რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომისა. ავტორია შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოსი. 1972-1977 წლებში იგი ხელმძღვანელობდა პარიზის უმაღლესი კვლევების სკოლას სოციალური მეცნიერების დარგში (1977 წ. იგი შეცვალა ფრანსუა ფურემ). ამჟამად ჟაკ ლე გოფი ხელმძღვანელობს სწავლების პროცესს შუა საუკუნეების დასავლეთის ისტორიული ანთროპოლოგიის დარგში.

„ანალების" ერთ-ერთმა ბრწყინვალე წარმომადგენელმა ლუსიენ ფებრიმ ჯერ კიდევ 1941 წელს მიუთითა კვლევა-ძიების ახალი მიმართულების საჭიროებაზე. კვლევის მთელ პროგრამას შეიცავდა მისი სტატიის სათაური: „როგორ აღვადგინოთ უწინდელი გრძნობიერი ცხოვრება. მგრძნობიარობა და ისტორია?" ამ იდეას გვიან გამოეხმაურნენ. განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა ავტორის ფრაზა: „ჩვენ არ გაგვაჩნია სიკვდილის, შებრალების, სისასტიკისა და სიხარულის ისტორია". „ანალებმა" შექმნეს „ახალი ისტორია", რომელმაც შემდგომში წარმოშვა მენტალიტეტების ისტორია. ეს უკანასკნელი მიზნად ისახავდა განვლილი ეპოქების ადამიანთა მენტალური სამყაროს, კულტურული გამოცდილებების, დამოკიდებულებების, ღირებულებების, წარმოსახვისა და გრძნობების შესწავლას, მაშინ, როდესაც ახალი ისტორიის ინტერესის სფეროში შედის მათი არსე-

[1] ზოგიერთი მონაცემი ჟაკ ლე გოფის ბიოგრაფიიდან ფრანგმა ეთნოგრაფმა პასკალ რენიემ მოგვაწოდა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

ბობის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები, მატერიალური პირობები, ჰავა და დემოგრაფია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენტალიტეტების ისტორია ჟაკ ლე გოფს ახალი ისტორიის მხოლოდ ერთ განხრად მიაჩნია. იგი ხაზგასმით განმარტავს, რომ „ეკონომიკური და სოციალური ისტორია იმ სახით, რომელიც მას წარმოაჩენდა პირველი პერიოდის „ანალები", აღარ არის ახალი ისტორიის პიონერული ფრონტი. თუ ანთროპოლოგია წარმოდგენილი იყო ადრეულ „ანალებში" მცირე ხვედრითი წონით, ეკონომიკის, სოციოლოგიისა და გეოგრაფიის საპირისპიროდ იგი გადაიქცა პრივილეგირებულად. მენტალიტეტების ისტორია და წარმოდგენები, რომლებიც „ანალების" არსებობის პირველ ფაზაში უმნიშვნელო სახით იყო წარმოდგენილი, შემდგომში გადაიქცა ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად".

ჟაკ ლე გოფი ცდილობს, განსაზღვროს წარმოსახვითის პარამეტრი. თავის თავად წარმოსახვითს არ გააჩნია მკვეთრი საზღვრები, არადა ეს ცნება საჭიროებს გარკვეულ დეფინიციას. ჟ. ლე გოფი ცდილობს, გაარკვიოს საკითხი იმ რეფერენტული სისტემების შემწეობით, რომლებთანაც წარმოსახვითს საერთო შეხების წერტილები აქვს. ერთ-ერთი რეფერენტული სისტემაა ცნებითი. წარმოსახვითი ხშირად ძნელია გამოყო მნიშვნელობით ახლო მყოფი ტერმინებისაგან, რომლებიც მომიჯნავე ცნებით სფეროში ფუნქციონირებენ. არადა ამის გაკეთება აუცილებელია. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავმიჯნოთ წარმოსახვითი და წარმოდგენა. წარმოდგენა საკმაოდ ზოგადი ტერმინია და აღნიშნავს ინდივიდის მიერ აღქმული გარე რეალობის გარდაქმნას მენტალურ სახედ. წარმოდგენა დაკავშირებულია აბსტრაგირების პროცესთან. წარმოსახვითს წარმოდგენის არეში მხოლოდ ნაწილი უკავია. ამასთან, ეს ნაწილი განეკუთვნება არა რეპროდუქტიულ მხარეს, ანუ არა უბრალო გარდაქმნას აზრობრივ სახედ, არამედ იმთავითვე კრეატიულ, პოეტურ მხარეს. ჟაკ ლე გოფი მიიჩნევს, რომ შექმნა ტაძრის წარმოსახვითი სახე, საჭიროა მიმართო ლიტერატურას ან ხელოვნებას, გაიხსენო ვიქტორ ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი", კლოდ მონეს ტილოები რუანის ტაძრის გამოსახულებით, კლოდ დებიუსის პრელუდია „ჩაძირული ტაძარი". მიუხედავად იმისა, რომ აქ წარმოსახვითს წარმოდგენის მხოლოდ მცირე ფრაგმენტი აქვს დათმობილი, იგი (წარმოსახვითი) გაცილებით მეტია მასზე (წარმოდგენაზე). ფანტაზიას წარმოსახვითი ინტელექტუალური წარმოდგენის საზღვრებს მიღმა იზიდავს.

ჟაკ ლე გოფი ყურადღებას ამახვილებს ცნება „სიმბოლურზე". სიმბოლურ მნიშვნელობაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როცა განსახილველი ობიექტი ჯდება ღირებულებათა გარკვეულ სისტემაში, განურჩევლად იმისა, ეს სისტემა ისტორიულად ჩამოყალიბებულია თუ იდეალური. ასე მაგალითად, ფრანგ მეფეთა სკულპტურული გამოსახულებები, რომლებიც ტაძრების პორტალებზეა განლაგებული, იუდეის ძველი მეფეების მატერიალურ განსახიერებას წარმოადგენენ; თვალებახვეული ქალის ფიგურა გოთურ ტაძარში სინაგოგას განასახიერებს. ეს სტატუები სიმბოლური დანიშნულებისაა. ისინი განასახიერებენ კავშირს ძველსა და ახალ აღთქმას შორის, შუასაუკუნეობრივ და ბიბლიურ სამყაროს შორის, ხე-

ლოვნების სახეებსა და რელიგიურ წარმომადგენლებს შორის. ვიქტორ ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ გმირის, კვაზიმოდოს, თვალით დანახული ქვეყანა ტაძარი იყო. ტაძარი, რომელმაც შეუცვალა მას არა მარტო ადამიანები, არამედ მთელი სამყარო, მთელი ბუნება. მწერალმა შექმნა სიმბოლური ტაძარი, სარკე სამი სამყაროსი, რომელსაც თავისებურად აცნობიერებს კუზიანი მსახური. ამასთან, იგი ქმნის წარმოსახვით ტაძარსაც („და იმ წუთებში ტაძარი იღებდა რაღაც ფანტასტიკურ, ზებუნებრივ, საშინელ სახეს: იქაც და აქაც იღებოდნენ თვალები და სახეები“). აქ სიმბოლური და წარმოსახვითი კვეთს ურთიერთს; სიმბოლური და წარმოსახვითი ერთიანდებიან და ნაწილობრივ გადაფარავენ კიდეც ერთმანეთს. ამიტომ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ამ კატეგორიათა მკვეთრი განსაზღვრა და ერთმანეთისგან გამიჯვნა.

აუცილებელია ზღვარი გაივლოს წარმოსახვითსა და იდეოლოგიურს შორის. იდეოლოგიური წარმოადგენს მსოფლმხედველობის მატარებელს და ისწრაფვის, მოახვიოს წარმოდგენას რეალობის დამახინჯებული აზრი, როგორც ფაქტობრივი, ისე წარმოსახვითი; იდეოლოგიური ძალით მოქმედებს „რეალობაზე“ და აიძულებს მას, ჩაეტიოს წინასწარ განსაზღვრული წარმოდგენების ჩარჩოებში. ისწრაფვიან რა, რომ შექმნან საზოგადოებრივი ხელისუფლების თვალსაჩინო მაგალითი, შუა საუკუნეების იდეოლოგები ორ ხმალს გამოსახავენ, რომელთაგან ერთი მეფის საერო ხელისუფლების სიმბოლოა, ხოლო მეორე – პაპის სასულიერო ძალაუფლებისა. ამასთან, ისინი გამოდიან არა საზოგადოებრივი რეალიებიდან, არამედ თავს ახვევენ საზოგადოებას თავის სახეს, ოღონდაც გამიჯნონ ბერი და ერი და მათ შორის გარკვეული იერარქია დააწესონ, რომელიც სასულიერო ძალაუფლების ხმალს საეროზე მაღლა დააყენებს. გაავლო ზღვარი იდეოლოგიურ და წარმოსახვით სფეროებს შორის, მეტად ძნელია. ისტორიკოსის მოვალეობა სწორედ ისაა, რომ განსაზღვროს ხვედრითი წილი თითოეული სფეროსი და გააანალიზოს მათი ურთიერთშეღწევადობის პრობლემა.

ჟაკ ლე გოფის აზრით, ნებისმიერი დოკუმენტი, რომელზეც მუშაობა უხდება ისტორიკოსს, გარკვეული (თუნდაც მცირე) დოზით შეიცავს წარმოსახვითს. თუნდაც ჩვეულებრივი პროზაული სიგელი, მისი ფორმა და შინაარსი, შეიძლება განხილული იქნას წარმოსახვითის პოზიციიდან. პერგამენტი, მელანი, ხელწერა, ბეჭედი და ა. შ. წარმოადგენს დოკუმენტის არა უბრალო ატრიბუტებს, არამედ მათში ჩადებულია წარმოდგენა კანცელარიაზე, ადმინისტრაციაზე, ხელისუფლებაზე. წერილობითი ტექსტის წარმოსახვითი სამყარო განსხვავებულია წარმოთქმული სიტყვის სამყაროსაგან, არქიტექტურულ ნაგებობასა თუ ვიზუალური სახისაგან. ოქმის საწყისი ფორმულები, საბოლოო დასკვნები, დათარიღება, მოწმეთა სია, რომ არაფერი ვთქვათ თვით ტექსტზე, წარმოაჩენენ დოკუმენტში, წარმოდგენილ კონკრეტულ სიტუაციასთან ერთად, ხელისუფლების, საზოგადოების, დროის, მართლმსაჯულების სახეს.

ცხადია, წარმოსახვითის ისტორიას გააჩნია საკუთარი, განსაკუთრებული ისტორიული წყაროები, რომლებიც ადამიანის წარმოსახვითაა შექმნილი. ჟაკ ლე

გოფი ისტორიკოსისათვის ფართო განათლებას მოითხოვს, ნაცვლად ვიწრო სპეციალიზაციისა, რომელსაც საფრანგეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის უნივერსიტეტები აძლევენ. მეცნიერი თვლის, რომ აუცილებელია ისტორიკოსს ჰქონდეს დისციპლინათშორისი ცოდნა, რათა მედიევისტმა შეისწავლოს შუა საუკუნეების ისტორია ისე, რომ გამოიყენოს ლიტერატურა, ხელოვნება, ფილოსოფია, თეოლოგია. ჟაკ ლე გოფს ისტორიკოსის ნიმუშად მოჰყავს ჟორჟ დიუბი, რომელიც ფართოდ იყენებდა სხვადასხვა ტიპის მასალას და სათანადო განზოგადებულ დასკვნებს აკეთებდა.

„ვიწრო" მედიევისტები, ჟ. ლე გოფის თქმით, კმაყოფილდებიან ადამიანის წარმოსახვით შექმნილი წყაროების ზერელე გამოყენებით. ისინი გამოჰყოფენ იქიდან „ისტორიულ" ინფორმაციას, ე. ი. იმ ცნობებს, რომლებიც განეკუთვნება ტრადიციულ ისტორიას: მოვლენები, ინსტიტუტები, დიდი პიროვნებები; ბოლო დროს მენტალობასაც აქცევენ ყურადღებას, რაც გარკვეული პროგრესის რეალური მაჩვენებელია.

ისტორიკოსი, რომელიც წარმოსახვით სამყაროს სწავლობს, ვალდებულია, მოცემული წყაროები გამოიყენოს მათი სპეციფიკის გათვალისწინებით; ამასთან გაითვალისწინოს, რომ მათგან შეიძლება მხოლოდ იმის გამოწვლილვა, რისთვისაც ისინია შექმნილი. ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები თავად წარმოადგენენ ისტორიულ რეალობას (გასათვალისწინებელია მხატვრული დონე, გავრცელების სფერო, რეპრეზენტიტულობის ხარისხი, შეცნობილი უნდა იქნას თითოეული ნაწარმოების რეალური მნიშვნელობა). ავტორები (გენიოსები იყვნენ ისინი, თუ საშუალონი) თავის ქმნილებებს სხვადასხვა მიზნით ქმნიდნენ, ხელმძღვანელობდნენ სხვადასხვა წესებითა და მეთოდებით; მათ არ ჰქონდათ ერთგვაროვანი შაბლონი იმ საარქივო დოკუმენტებისაგან განსხვავებით, რომელსაც იყენებენ ისტორიკოსები. ესთეტიური ღირებულებები და მშვენიერება-სილამაზე თავისთავად წარმოადგენს საფუძვლიანი შესწავლის საგანს. წარმატებად უნდა ჩაითვალოს წმინდა პოზიტივისტური მიდგომის გადალახვა ჰაგიოგრაფიული ტექსტების შესწავლა-კვლევისას.

ისტორიკოსმა, რომელიც შეისწავლის წარმოსახვითს, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ წარმოსახვითში არსებობს სახე. ეს კიდევ ერთი საფუძველია იმისათვის, რომ წარმოსახვითის სფერო გავმიჯნოთ წარმოდგენისა და იდეოლოგიისაგან. ჭეშმარიტი სახეები კონკრეტულია და მეცნიერების სპეციალური დარგის – იკონოგრაფიის შესწავლის საგანია. ამ დარგის ჩამოყალიბება ემთხვევა ფრანგი მეცნიერის ემილ მალეს (1862-1954 წწ.) შრომების გამოჩენას, სადაც დამუშავებულია სიუჟეტების ტიპოლოგია, სახვითი ხელოვნების ნიმუშები შეჯერებულია ლიტერატურულ ნაწარმოებებთან, შესწავლილია სიუჟეტთა და სტილთა ევოლუცია. ჟაკ ლე გოფი ემილ მალეს შრომებს მაღალ შეფასებას აძლევს და მიიჩნევს, რომ იკონოგრაფიის ფაქტობრივმა შემქმნელმა დიდი ამაგი დასდო ამ

დარგის შემდგომ განვითარებასაც[1]. გარკვეული დროის შემდეგ იკონოგრაფიას გამოეყო ახალი მიმართულება – იკონოლოგია, რომლის ფუძემდებლები ერვინ პანოვსკი[2] და მეიერ შაპირო[3] არიან. სწორედ მათ განსაზღვრეს იკონოლოგიის ადგილი ხელოვნების ისტორიაში, დაამუშავეს სტრუქტურული ანალიზის მეთოდოლოგია და ვიზუალურად სახეთა შესწავლის სემიოტური მეთოდები, დაასაბუთეს სახის კავშირი მის ირგვლივ არსებულ ინტელექტუალურ და კულტურულ გარემოსთან. დღესდღეობით, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა წყალობით, იკონოგრაფია გადაიქცა ისტორიის დამოუკიდებელ დარგად. ინფორმატიკაში მიღებული სტატისტიკური მეთოდების გამოყენების საფუძველზე შეიქმნა იკონოგრაფიულ გამოსახულებათა კორპუსი (იკონოთეკა), რომელიც ისტორიკოსებისათვის კვლევებისას მნიშვნელოვანი ბაზაა. ასეთ ვითარებაში იქმნება შესაძლებლობა, გაკეთდეს გამოსახულების სრული ანალიზი, გამომდინარე არა მხოლოდ სიუჟეტიდან ან სტრუქტურიდან, არამედ პრაქტიკულად ნებისმიერი პარამეტრიდან (მაგალითად, ფერიდან), ასევე გამოკვლეული იქნას გამოსახულების შეფარდება მის გარემომცველ სამყაროსთან (ადგილი ხელნაწერში, განლაგება ფურცელზე, ტექსტთან შეჯერება). მკვლევართა კვლევის ჩარჩოები თანდათან იზრდება. ახლა გამოსახულების შესწავლისას ძირითად საკითხად წარმოსდგება კულტურასა და საზოგადოებაში ვიზუალური სახის ფუნქციონირების პრინციპი.

ჟაკ ლე გოფი მიესალმება იმ ფაქტს, რომ წარმოსახვითი ბევრი ისტორიკოსის კვლევის საგანი გახდა, მაგრამ სწუხს, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი იხრება ირაციონალურისაკენ, ამ დროს კი ფსიქოანალიზის პრინციპს თანდათან ენაცვლება საეჭვო იდეოლოგიური არქეტიპები[4]. წარმოსახვითის მოდელი მეცნიერული მეთოდებით იქმნება, არქეტიპები კი გამონაგონებისა და მისტიფიკაციის პროდუქტს წარმოადგენენ.

მაინც რატომ გვჭირდება ისტორიის ახალი დარგი – წარმოსახვითი სამყაროს ისტორია? – კითხულობს ჟ. ლე გოფი[5]. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ისტორიკოსთა უმრავლესობა მიდის დასკვნამდე – ადამიანთა მთელი ცხოვრება და საზოგადოებრივ ფორმაციათა არსებობა ისტორიას ეკუთვნის. აქედან გამომდინარე, თუ ისტორიულად მივუდგებით, ცხოვრების ნებისმიერი მოვლენის ახსნა შეიძლება. მეცნიერს ამის მაგალითად მოჰყავს ემანუელ ლერუა ლადურის შრომა

---

[1] Emile Male. L'Art religieux de la fin du Moyen Âge en France. Étude sur l'iconographie du Moyen Âge et sur ses sources d'inspiration. Paris, 1908; L'art religieux de XIIe siècle en France. Etude sur les origines le l'iconographie du Moyen Âge. Paris, 1922; L'Art religieux du XIIIe siècle en France. Etude sur l'iconographie du Moyen Âge et sur ses sources d'insporation. Paris, 1925.

[2] Ervin Panoфsky. Pour le Moyen Âge//Architecture gothique et pensée scolastique. Paris, 1967; Pour la Renaissance//Essais d'iconologie. Les thèmes humanistes dans l'art de la Renaissance. Paris, 1967.

[3] Meyer Schapiro. Words and pictures: on the literal and the symbolic in the illustration of a text. Paris – La Haye, 1973.

[4] Gilbert Durand. Lec Structures antropoligiques de l'imaginaire, Paris, 1960.

[5] Eveline Patlagean. L'istoire de l'imaginaire//Le Goff, R. Chartier, J. Revel. La Nouvelle Histoire, Paris. 1978.

„კლიმატის ისტორია"[1] და რობერტ დელორის ნაშრომი „ცხოველებსაც თავისი ისტორია აქვთ"[2]. ამ უკანასკნელს ავტორი ისტორიულ ზოოლოგიად მიიჩნევს. ეს ესაა შეხედულება ისტორიაზე ბუნებისა და ცხოველების საშუალებით ადამიანის მონაწილეობის გარეშე. ისტორიკოსები, რომლებიც წარმოსახვითს იკვლევენ, არ ცდილობენ გასცდნენ ადამიანის უნივერსუმის ფარგლებს. თუმცა ვიყენებთ რა ფსიქოანალიზს, სოციოლოგიასა და ანთროპოლოგიაში გამოყენებულ მეთოდებს, გავიაზრებთ რა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ჩვენ უფრო ნათლად ვიგებთ, რომ ადამიანის ცხოვრება საზოგადოებაში განისაზღვრება არა მხოლოდ ხელშესახები რეალიებით, არამედ აგრეთვე სახეებითა და წარმოდგენებით. სახეები, რომლებიც წარმოიშვნენ წარმოდგენით, არა მხოლოდ განხორციელებულია იკონოგრაფიულ და ლიტერატურულ პროდუქციაში, არამედ ისინი ბინადრობენ მენტალურ სახეთა უნივერსუმში.

ისტორიკოსის ინტერესების სფეროში მოქცეულია კოლექტიური სახეები, რომლებიც ისტორიის მსვლელობისას წარმოიქმნა – ფორმირებული, ტრანსფორმირებული თუ დეფორმირებული სახეები; სახეები, რომლებმაც თავისი გამოხატულება სიტყვებსა თუ სიუჟეტებში მიიღეს. ეს სახეები შეიძლება იყოს მემკვიდრეობით მიღებული ტრადიციის ფორმით, ერთი ცივილიზაციის მიერ მეორისგან ნასესხები. ამასთან, შეუძლიათ ჩაებან კლასთა და საზოგადოებრივ წყობათა დიაქრონულ მოძრაობაში. ისინი ნაწილია სოციალური ისტორიისა, პოლ ალფანდერი და ალფონს დიუპრონი ასაბუთებენ[3], რომ დასავლეთის ქრისტიანები ჯვაროსნულ ლაშქრობაში ძირითადად იმისთვის წავიდნენ, რომ მათ წარმოსახვით შექმნილი იერუსალიმის სახე შთააგონებდა.

ერთი სიტყვით, წარმოსახვითის ისტორია ესაა შემეცნების გაღრმავებული ისტორია[4]. წარმოსახვა სტიმულს აძლევს ადამიანს და მოქმედებისაკენ უბიძგებს. წარმოსახვა კოლექტიური, საზოგადოებრივი და ისტორიული ფენომენია. წარმოსახვითის გარეშე ისტორია უსიცოცხლო, ხეიბარი ისტორიაა[5].

ჟაკ ლე გოფი შუა საუკუნეების კვლევისას დიდ ადგილს უთმობს იმ დროის ადამიანთა მენტალური სტრუქტურების შესწავლას. მენტალური და სულიერი სახეების წარმოშობისა და ზემოქმედების შესახებ წერდნენ ნეტარი ავგუსტინე და ბოეციუსი (VI ს.), შემდეგ გრიგოლ დიდი („Moralia in Job"). ისინი ასკვნიდნენ, რომ ადამიანებს, გარდა გარეგანი ორგანოებისა (მხედველობისა და სმენისა), აქვთ შინაგანი, უხილავი ორგანოები. სწორედ მათი საშუალებით შეიმეცნება ღვთიური ხედვა, ერთადერთი რეალური „მარადიული ჭეშმარიტების სამყაროს" სიტყვა-ბგერები. ეს ავტორები მიუთითებენ, რომ შუა საუკუნეებში ადამიანები თავიანთი მისტიკური ხედვის გამო ხშირად იყვნენ ექსტატიურ მდგომარეობაში.

---

[1] Emmanuel Le Poy Ladurie. Histoir du climat depuis l'an Mil. Paris, 1967.

[2] Robert Delort. Les animaux ont une istoire. Paris, 1984.

[3] P. Alphandéry, A. Dupront. La Chétienté et l'idée de Croisade. 2 vol. Paris, 1954-59.

[4] M. D. Chenu. L'Eveil de la conscience dans la civilisation médiaevale. Montréal-Paris, 1969.

[5] Жак Ле Гофф, Средневековый мир воображаемого, М., 2001, стр. 11.

მათთვის ძნელი იყო რეალური სინამდვილისა და წარმოსახვითი რეალობის გამიჯვნა. შუა საუკუნეებში ადამიანთა უმრავლესობას სწამდა სიზმრებისა, რასაც ზოგჯერ იგი მისტიციზმამდე მიჰყავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეისწავლო სახეები, შექმნილი ადამიანთა საზოგადოების წარმოსახვით, ნიშნავს ამ საზოგადოების შემეცნების სიღრმემდე ჩაწვდომას, ნიშნავს თვალი გაადევნო მის ისტორიულ ევოლუციასა და მიაღწიო ადამიანის არსებობის საწყისებამდე, ადამიანისა, რომელიც შექმნილია „სახითა და მსგავსებით ღვთისა". ადამიანის ბუნების „ღვთისმსგავსობის" გაცნობიერებამ XII საუკუნეში წარმოშვა შუასაუკუნეობრივი ჰუმანიზმი. ეს აქტიური ჰუმანიზმი იყო, რომელმაც საზოგადოების მოღვაწეობის ყველა სფეროში გაამჟღავნა თავი – დაწყებული ეკონომიკის აღმავლობიდან, დამთავრებული კულტურისა და სულიერი ცხოვრების უმაღლესი მიღწევებით. ადამიანი – მიკროკოსმოსი, ეკლესია – მისტიკური სხეული, საზოგადოება – ადამიანური სხეული, სოციალური იერარქიის სიმბოლოები (ჩაცმულობა, ქურქები, გერბები), საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციები (ძალაუფლების სიმბოლოები, დროშები, ცერემონიალი, მეფეთა საზეიმო სვლა და სხვ.) – აი, შუა საუკუნეების მიერ შექმნილი დიდი „სახეები". და ყველა ეს სახე წარმოადგენს გარეგნულ გამოვლინებას შინაგანი, სიღრმითი, მრავალწახნაგოვანი სახეებისა, რომელთა აღქმა დამოკიდებულია შუა საუკუნეების ადამიანების – ქალთა და მამაკაცთა სოციალურ მდგომარეობასა და კულტურის დონეზე, მათ მენტალურ უნივერსუმზე.

ჟაკ ლე გოფი ისტორიის ტრადიციული პერიოდიზაციის მომხრეა. იგი ეყრდნობა მეცნიერ-ჰუმანისტებს (ქრისტოფორ კელერი, გეორგ ხორნი, დიუ კანჟი და სხვ.) და ისტორიას სამ პერიოდად ჰყოფს: ანტიკურობა, შუა საუკუნეები, ახალი პერიოდი. რა ფარგლებშია მოქცეული შუა საუკუნეები? ქ. კელერი მიიჩნევს, რომ შუა საუკუნეები იწყება კონსტანტინოპოლის დაარსებით 330 წელს და სრულდება მისივე დაცემით 1453 წელს. გ. ხორნი ამ პერიოდს 300 წელსა და 1500 წელს შორის მიიჩნევს. შემდგომში ისტორიოგრაფიაში ახალი პერიოდის დაწყების თარიღად 1789 წელი იქნა მიჩნეული, თარიღი საფრანგეთის რევოლუციისა. ამასთან, შუა საუკუნეების დასაწყისად დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის თარიღი, 476 წელი ჩაითვალა. ჟაკ ლე გოფი განიხილავს ისტორიკოსების მიერ შემოთავაზებულ ყველა თარიღს, გარკვეულად უარყოფს მათ და შემოაქვს ხანგრძლივი შუა საუკუნეების ცნება, შუა საუკუნეებისა, რომლის საბაზო სტრუქტურები უკიდურესად მდორედ ვითარდებიან, III საუკუნიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე. ბოლო თარიღი არის პერიოდი, როცა სამრეწველო რევოლუციამ (მასთან ერთად ევროპის დომინირებულმა მდგომარეობამ მსოფლიოში, რეალური დემოკრატიის გავრცელებამ და განვითარებამ) წარმოშვა ჭეშმარიტად ახალი მსოფლიო, რო-

---

[1] Жак Ле Гофф, Сны в культуре и коллективной психологии средневекового Запада.//Другое Средневековье. Время, труд и культура Запада. Екатеринбург, 2002.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც სრულიად თავისუფალი იყო წარსულის მემკვიდრეობისა და ტრადიციებისაგან[1].

შუა საუკუნეების არსებობის (17 საუკუნის) მანძილზე, ბუნებრივია, ცვლილებები მიმდინარეობდა. თუკი ამ პერიოდის ქვეპერიოდებად დაყოფა გახდება საჭირო, ჟ. ლე გოფი გამოჰყოფს III-X საუკუნეებსა და გვიანანტიკურს უწოდებს. თუმცა აქაც VIII-X საუკუნეებს ადრინდელ შუა საუკუნეებს უწოდებს. კლასიკური, ანუ განვითარებული შუა საუკუნეები, მეცნიერის აზრით, 1000 წლის მახლობლად იწყება და გრძელდება XIV საუკუნის შუაწლებამდე და შემდეგ გვიანი შუა საუკუნეები. აქაც გამოიყოფა XIV ს-ის მეორე ნახევარი – XVI საუკუნე. XVI საუკუნიდან (რეფორმაციიდან) სამრეწველო რევოლუციამდე პერიოდი, ჟ. ლე გოფის აზრით, იყო ერთდროულად უძრაობისა (ძველი წესწყობილება თავისი მოუქნელი ეკონომიკითა და კონსერვატიული პოლიტიკით) და ნოვაციების (მეცნიერების განვითარება, განათლების რაციონალიზმი, პროგრესული იდეების დამკვიდრება, საფრანგეთის რევოლუცია, სამრეწველო რევოლუცია) ხანა.

ტერმინი „შუა საუკუნეები" იტალიელმა ჰუმანისტებმა (კერძოდ, პაპის ბიბლიოთეკარმა ჯოვანი ანდრეამ) შემოიღეს XV საუკუნეში. ამით მათ „ჩამოიცილეს" ძველი პერიოდი. ისინი თავს რენესანსის შვილებად და შემოქმედებად თვლიდნენ და ახალი დრო სჭირდებოდათ. მათ არ შეუცვლიათ ქრისტიანული ქრონოლოგია („ექვსი ასაკისა"), თუმცა სცადეს, შეექმნათ საერო ქრონოლოგია. XIII საუკუნიდან ყალიბდება პროგრესის ცნება, რომელიც ნიშნავდა წარსულთან ბრძოლისათვის მზადყოფნას. ახალი ხელოვნების (ars nova) მიმდევრებმა ახალი მუსიკა დაუპირისპირეს „წარსულის" მუსიკას (მუსიკას, რომელიც XIV საუკუნემდე შეიქმნა). იმდროინდელმა ლოგიკოსებმა და თეოლოგებმა უარყვეს არისტოტელიზმი. მარსელიუს პადუელმა პოლიტიკის საფუძვლები გადმოსცა რელიგიისაგან განცალკევებულად, სახელმწიფოს საფუძვლები კი ეკლესიისაგან განყენებულად წარმოადგინა. მისთვის ტერმინი „თანამედროვე" (moderne) ნიშნავს „ნოვატორულს".

შუა საუკუნეების პერიოდის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუ რა წარმოადგენდა დომინირებულ იდეოლოგიას. მიუხედავად იმისა, რომ არ განსაზღვრავს საზოგადოების მატერიალურ ინფრასტრუქტურასა და არც სულიერი მამოძრავებელია ისტორიისა, იგი მაინც წარმოადგენს საზოგადოებრივი მექანიზმის ფუნქციონირების მნიშვნელოვან დეტალს. ხანგრძლივი შუა საუკუნეები – ესაა ეპოქა ქრისტიანობის ბატონობისა, წარმოადგენს რა ერთდროულად რელიგიასა და იდეოლოგიას, იმყოფება განსაკუთრებულად რთულ ურთიერთობაში ფეოდალურ სამყაროსთან. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია შუა საუკუნეების ისტორიის სერიოზული შესწავლა ეკლესიის მოღვაწეობისა და რელიგიის საზოგადოებაზე გავლენის კვლევის გარეშე.

შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელია, უპირველეს ყოვლისა, ორი ძალის ურთიერთბრძოლა, ორი ძლიერი ძალის – ღმერთისა და სატანის ბრძოლა. თუმცა,

---

[1] იხ. ჟაკ ლე გოფის Le Moyen Âge maintenant, Europe, № 654, octobre, 1983.

თეორიულად, სატანა ღმერთის მორჩილებაშია. ეს ბრძოლა მიმდინარეობს ადამიანში და მის ირგვლივ.

ჟ. ლე გოფი მიიჩნევს, რომ შუა საუკუნეების განსაზღვრა შესაძლებელია, როგორც პერიოდისა, რომლის დროსაც დასავლეთში იქმნება ჟორჟ დიუმეზილის მიერ გამოყვანილი სამფუნქციური სქემა. ესაა კლასიკური ფორმულა: „Oratores, bellatores, laboratores" – „მლოცველები, მებრძოლები, მშრომელები". ამ სქემამ, რომელიც საფუძვლად დაედო საზოგადოების დაყოფას, სამრეწველო რევოლუციამდე იარსება.

თუკი გადაადგილების საშუალებებისა და გარემოს კონტროლის მიხედვით ვიმსჯელებთ, შუა საუკუნეები ხანგრძლივი პერიოდია ურმისა და ცხენისა, რომლებმაც თავის დროზე შეცვალეს ძველი გამწევი ძალა – ადამიანები და ხარები; შემდეგ, XIX საუკუნეში კი, ადგილი დაუთმო რკინიგზას.

თუ ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ შუა საუკუნეები წარმოდგება როგორც ხანა, დაწყებული საზოგადოებრივი ჰიგიენის ანტიკური სისტემის დანგრევიდან და დამთავრებული თანამედროვე საავადმყოფოების შექმნით. ესაა პერიოდი ექიმბაში ჯადოქრებისა, რომელთაც სხეული ეზიზღებოდათ, პერიოდი, რომელმაც არ იცოდა არც სტადიონი, არც სპორტი, პერიოდი ქსენონების გამოჩენისა, რომლებიც გამოიყენებოდნენ თავშესაფრებად და არა მკურნალობის ადგილად.

კულტურის თვალსაზრისით შუა საუკუნეები ესაა პერიოდი ანტიკური სკოლების გაქრობიდან საყოველთაო სასკოლო განათლების შემოღებამდე, დრო ცოდნის შენელებული ათვისებისა, პერიოდი სასწაულის რწმენისა, ერთა ხანგრძლივი დიალოგისა განათლებულ კულტურასა და სახალხო კულტურას შორის.

რითაა საინტერესო ხანგრძლივი შუა საუკუნეების კონცეფცია? – სვამს კითხვას ჟ. ლე გოფი.

უპირველეს ყოვლისა, ხანგრძლივი შუა საუკუნეების ცნება აზრს უკარგავს ვიწროდ გაგებული შუა საუკუნეების ორი, ერთგვაროვნად არასწორი, სახის დაპირისპირებას, დაპირისპირება მოღუშულ სახესა, რომელიც განასახიერებს „ბნელ ძალებს" და მოოქროვილ სახეს შორის, რომელიც განასახიერებს რწმენის იდილიურ ეპოქას, საზოგადოებრივი ორგანიზმის ჰარმონიულ განვითარებას და ა. შ. ხანგრძლივი შუა საუკუნეები საშუალებას იძლევა, გავიგოთ მისწრაფებები ამ ეპოქის ადამიანებისა, ეპოქისა, როცა ბობოქრობდა შიმშილი და დიდი ეპიდემიები, გლახაკები და კოცონები, ამავდროულად ეპოქისა, როცა იგებოდა ტაძრები და ციხესიმაგრეები, ეპოქა, როცა შეიქმნა ქალაქები, უნივერსიტეტები, დაწესდა დაქირავებული შრომა, შემოიღეს ჩანგალი და ბეწვის ქურქი, ჩასწვდნენ გზის სისტემას, შეიცნეს სისხლის მიმოქცევა და ა. შ.

წარმოსახვითი სამყაროს კვლევით დაინტერესებული ჟაკ ლე გოფი უყურადღებოდ არ ტოვებს სასწაულებრივს შუა საუკუნეებში. კულტურასა და საზოგადოებაში სასწაულებრივის როლის განსაზღვრას მეცნიერი ლექსიკურ დონეზე იწყებს. სიტყვა mirabilia იწყება ფუძით mir (miror, mirari – გაკვირვება, გაკვირვე-

ბით ცქერა), რომელიც აღნიშნავს ვიზუალურ შემეცნებას. ის, რაც აღინიშნება სიტყვით mirabilia, არ იფარგლება იმ საგანთა წრით, რომელთაც შევიმეცნებთ ვიზუალურად. „სასწაულებრივის" სემანტიკური ველის შესწავლისას არსებობს ენობრივი ბარიერიც – ორენოვნება. განხილულ პერიოდში ევროპაში ბატონობდა ლათინური ენა (საეკლესიო) იმ ენასთან ერთად, რომელზედაც ესა თუ ის ხალხი ლაპარაკობდა (ხალხური ენა). სიტყვა „სასწაული" ყველა რომანულ ენაში არსებობს.

„სასწაულის" ლექსიკონის შესწავლისას ჟ. ლე გოფი მივიდა დასკვნამდე, რომ შუა საუკუნეების დასავლეთ ქვეყნებში ამ ტერმინის გაგნებასთან დაკავშირებით სამი საკითხი დგება. პირველი – ესაა ადამიანთა დამოკიდებულება შუა საუკუნეების სასწაულებრივთან, რომელიც მემკვიდრეობითაა გადმოცემული წარსულისაგან. მემკვიდრეობა, თავის მხრივ, წარმოადგენს მენტალური სახეებისა და წარმოსახვის ჯამს. განსხვავებით კულტურისა და მენტალობის სხვა ელემენტებისაგან, სასწაულებრივი ეკუთვნის უშუალოდ ძველ კულტურულ ფენებს. ნებისმიერი საზოგადოება მეტ-ნაკლებად ქმნის თავის სასწაულებრივს, თუმცა „ძირითად საზრდოდ" მას წინაპრებისაგან შექმნილი სასწაულებრივი, ძველი სასწაული ემსახურება. ქრისტიანული რწმენის განუყოფელ ნაწილს ზებუნებრივისა და სასწაულმოქმედის რწმენა შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ზებუნებრივი და სასწაულმოქმედი განსხვავდება სასწაულებრივისაგან თავისი ბუნებითა და ფუნქციით, მათ მაინც იქონიეს გარკვეული გავლენა ქრისტიანულ სასწაულებრივზე.

სასწაულებრივის შემოსვლა შუა საუკუნეებში (განსაკუთრებით მის განვითარებულ პერიოდში) რამდენადმე ეკლესიამ განაპირობა. სასწაულებრივში საშიში ეკლესიისათვის არაფერი იყო. სასწაულებრივის შემეცნება ძირითადად სოციოლოგიური მიზეზებით ხდება, მაგრამ აქ გარკვეული როლი ეკუთვნის მის ინტელექტუალურ ხასიათსაც. ესაა სასწაულებრივი ესთეტიზაციის ფაზა.

რა როლი აქვს სასწაულებრივს მონოთეისტურ რელიგიაში. XII-XIII სს-ში (კლასიკური შუა საუკუნეების ხანაში, როგორც ჟ. ლე გოფი უწოდებს) ზებუნებრივი სამყარო გახდა მრავალფეროვანი. სასწაულებრივი ყოველთვის გულისხმობს ზებუნებრივის არსებობას. ზებუნებრივის კვლევისას ჟ. ლე გოფი მივიდა დასკვნამდე, რომ XII-XIII საუკუნეში დასავლეთ ევროპის სამყარო დაიყო სამ სფეროდ, რომლებსაც შეესატყვისება სამი განმარტება: mirabilis, magicus, miraculosus.

Mirabilis — ესაა სასწაულებრივი მისი ქრისტიანობამდელი საწყისებით.

Magicus – ესაა ზებუნებრივი, ზებუნებრივად სატანური.

Miraculosus ქრისტიანულ ზებუნებრივს, ქრისტიანულ სასწაულებრივს ნიშნავს, თუმცა ის მხოლოდ ელემენტია, სასწაულებრივის ფართო სფეროს ორგანული ნაწილია.

შუა საუკუნეებში ადამიანები შესანიშნავად ასხვავებდნენ ერთმანეთისაგან ძველსა და ახალ აღთქმას. ახალ აღთქმაში გაცილებით მეტია თხრობა სასწაულებზე, ვიდრე სასწაულებრივზე. ძველ აღთქმაში არის ეპიზოდები, რომლებიც ქრის-

ტიანული დასავლეთისათვის მნიშვნელოვანი წყარო იყო სასწაულებრივთან შეხვედრისათვის. ყველაზე დიდი სასწაულებრივი ახალ აღთქმაში არის აპოკალიფსისი. ამასთან, აპოკალიფსური უნივერსუმი იყო განსაკუთრებულ განცალკევებული სამყარო.

ჟ. ლე გოფი ეხება სასწაულებრივის ფუნქციის საკითხსაც. უპირველესი და ძირითადი ფუნქცია სასწაულებრივისა, ესაა მისი კომპენსატორულობა, უფრო ზუსტად, კომპენსატორული ფუნქცია. სასწაულებრივი საპირწონეა ყოველდღიური უფურულობისა და გამოზომილი ცხოვრებისა. მაგრამ ეს საპირწონე ფუნქციონირებს სხვადასხვაგვარად, საზოგადოებრივი წყობისა და ისტორიული პერიოდის შესაბამისად. შუა საუკუნეების დასავლეთში mirabilia-ს, სასწაულებრივ მოვლენას, ჰქონდა ტენდენცია თავისებური, უკუღმა (პირშებრუნებით) სამყაროს ჩამოყალიბებისა.

უკუღმა სამყარო, ანუ პირუკუ სამყარო, ესაა გამიჯვნა miraculosus-ს, magicus-სა და mirabilis-ს შორის.

სასწაულებრივი, საბოლოო ჯამში, წარმოადგენს წინააღმდეგობის თავისებურ ფორმას ქრისტიანობის ოფიციალურ იდეოლოგიასთან. ჟ. ლე გოფი ადარებს სასწაულებრივის არსს დასავლეთის ქვეყნებსა და აღმოსავლეთში. მუსლიმანური სამყაროს სასწაულებრივი, რომელიც მოდის სასწაულებრივი ცხოველებიდან, მცენარეებიდან თუ სხვა საგნებიდან, ყოველთვის ხიდს სდებს ადამიანთან. შუა საუკუნეების დასავლეთში კი საწინააღმდეგოს ვხედავთ. სასწაულებრივის უნივერსუმი, რომელიც მოიცავს ცხოველთა სამყაროს, ურჩხულებისა თუ მხეცების სამყაროს, მინერალებისა თუ მცენარეულ სამყაროს, მოკლებულია ადამიანურ საწყისებს. სასწაულებრივი გახდა ჰუმანიზმთან კულტურული წინააღმდეგობის თავისებური ფორმა, ჰუმანიზმისა, რომელიც საყრდენს პოულობდა ღვთიურობის ანთნოპომორფული ხედვის სულ უფრო მზარდ ექსპლუატაციაში.

სხვადასხვა ფორმით მითვისების მცდელობამ, სასწაულებრივი გარკვეულ ჩარჩოებში მოაქცია. მასზე პრეტენზიას ძირითადად აცხადებს სამი სფერო: რელიგია, მეცნიერება და, განსაკუთრებით, ისტორია. მიითვისა რა სასწაულებრივი, ქრისტიანობა, ერთი მხრივ, შეეცადა შეეთავსებინა იგი სასწაულთან, მეორე მხრივ, გამოიყენა იგი თავის სიმბოლიკაში. ცალკეული ინტელექტუალები, მეცნიერები, ასევე ითვისებენ სასწაულებრივს, იყენებენ მას სამეცნიერო მიზნებისათვის, გადააქცევენ რა mirabilia-ს, ანუ სასწაულს, რარიტეტად. ჟ. ლე გოფს მოაქვს გერვასი ტილბერიელის მაგალითი, რომელმაც ზედმიწევნით დაასაბუთა სწრაფვა, შეეერთებინა mirabilia ბუნების სამყაროსთვის, ამდენად, განეხილა მეცნიერულ ფაქტებთან ერთ სიბრტყეზე: „Mirabilia vero dicimus quae nostrae cognitioni non subjacent etiam cum sint naturalia" („ჩვენ ვუწოდებთ სასწაულებს (mirabilia) მოვლენებს, რომლებიც ჩვენს გაგებას არ ექვემდებარებიან, თუმცა ეს მოვლენები სრულიად ბუნებრივნი არიან").

სასწაულებრივის მეცნიერების მიერ მითვისების პარალელურად მას ითვისებს ისტორიაც, რომელსაც უნდა ეს ცნება დააკავშიროს მოვლენებსა და თარიღებთან.

ჟ. ლე გოფი სასწაულებრივთან დაკავშირებულ რიგ საკითხებს შეუსწავლელად მიიჩნევს და კვლევის სფეროში გეგმასაც გვთავაზობს. ესაა: 1. სასწაულებრივის დეფინიციის საკითხი; 2. სასწაულებრივი, მაგიური, სასწაულმოქმედი; 3. შუასაუკუნეობრივი სასწაულებრივის ჩამოთვლა; 4. საწყისები და წყაროები სასწაულებრივისა შუა საუკუნეებში; 5. შუა საუკუნეების სასწაულებრივის რეალიზაციის გზები და მეთოდები; 6. სასწაულებრივის განვითარება და საზღვრები; 7. სასწაულებრივის ფუნქციები; 8. დასკვნები[1]. მეცნიერი აგრძელებს სასწაულებრივის შესწავლას და სასწაულ ისტორიებს კრებს.

ჟ. ლე გოფი დიდ ადგილს უთმობს სივრცისა და დროის პრობლემის კვლევას, საგანგებოდ სწავლობს „რაციონალური" და „სიმბოლური" შემეცნებას დროით-სივრცობრივ ვითარებაში, განსაკუთრებულ ადგილს უთმობს იმქვეყნიური ცხოვრების საკითხებს, სიზმრის პრობლემას შუა საუკუნეებში, საგანგებო სტატიას უძღვნის ქრისტიანობასა და სიზმრებს II-VII სს-ში. ზოგადად სიზმრის ფენომენი ადამიანთა სხვადასხვა საზოგადოებებში კარგადაა ცნობილი. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს ბიბლიური მემკვიდრეობა. ბევრი სიზმარია გადმოცემული ძველ აღთქმაში, ახალში – შედარებით ნაკლები. ე. ერლიხმა[2] „ძველ აღთქმაში" ოცდათხუთმეტი სიზმარი დაითვალა, მ. დიულეიმ[3] – ორმოცდახუთი, ჟ. ლე გოფმა[4] – ორმოცდასამი. „ახალ აღთქმაში" ცხრა სიზმარია (გამოცხადება ან ხილვა) გადმოცემული. აქედან ხუთი მათეს „სახარებაშია", რომელთაგან ოთხი ქრისტეს შობასთანაა დაკავშირებული, ერთი – პილატეს ცოლს ეკუთვნის. დანარჩენი ოთხი მოციქულთა მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული და პავლე მოციქულს ეკუთვნის.

ამგვარად, „ბიბლიაში" არის სიზმრები, რომელთაც გარკვეული დატვირთვა აქვს, ე. ი. არის სიზმრები, რომლებიც ცასა და მიწას აკავშირებენ და არა აწმყოსა და მომავალს. სიზმრის საშუალებით ადამიანი აბამს კავშირს ღმერთთან.

ჟაკ ლე გოფი იკვლევს რა მრავალ პრობლემას, სვამს კითხვას: არის თუ არა პოლიტიკიური ისტორია ძველებურად ისტორიის ხერხემალი? მართლაც, XX საუკუნის „ანალების" სკოლის ისტორიკოსები იმ რწმენით იზრდებოდნენ, რომ პოლიტიკურმა ისტორიამ მოჭამა თავისი დრო და მოძველდა. ამას წერდნენ მარკ ბლოკი და ლუსიენ ფევრი, თანაც ისინი ეყრდნობოდნენ წინამორბედებს. ასე მაგალითად, ვოლტერი აღნიშნავდა: „შეიძლება იფიქრო, რომ თოთხმეტი საუკუნის განმავლობაში გალიის სახელმწიფოში იყვნენ მხოლოდ მეფეები, მინისტრები და გენერლები". 1878 წელს ფრანგი ისტორიკოსი ჟიულ მიშლე წერდა: „მე რომ მხოლოდ პოლიტიკური ისტორიის გადმოცემით ვკმაყოფილდებოდე, არ ვითვალისწინებდე ისტორიის სხვა ელემენტებსაც (რელიგიას, სამართალს, გეოგრაფიას, ლიტერატურას, ხელოვნებას და ა. შ.), ჩემი მანერა სულ სხვა იქნებოდა. მაგრამ

---

[1] Жак Ле Гофф, Средневековый мир воображаемого. М., 2001, стр. 52-59.

[2] E. L. Ehrlich. Der Traum im Alteh Testament, 1953.

[3] M. Dulaey. Le Rêve dens la vie et la pensée de saint Augustin. Paris, 1973, გვ. 231-232.

[4] Жак Ле Гофф. Христианство и сновидения (II-VII вв.), в кн. Средневековый мир воображаемого, М., 2001, стр. 371-374.

მე უნდა მომეცვა დიდი ცხოვრებისეული მოძრაობა, რადგან ყველა ეს სხვადასხვა ელემენტები შედიოდნენ თხრობის ერთიანობაში". იგივე ისტორიკოსი ჟ. მიშლე იგონებდა: „იმ დროს ... მე მარტოდმარტო ვიყავი. ყველა სხვა დაწარრენისათვის ისტორია იყო პოლიტიკური, მმართველობისა და, ნაწილობრივ, სახელმწიფო ინსტიტუტების ისტორიის ტოლფასი. ყველა სხვა ასპექტები, როგორიცაა: საზოგადოების სოციალური მდგომარეობა, ეკონომიკისა და მრეწველობის განვითარება, ლიტერატურული და საზოგადოებრივი აზრი ანგარიშში არ ითვლებოდა, თუმცა ისინი თან ახლავან, განმარტავენ და გარკვეული დოზით ქმნიან მას, რასაც პოლიტიკური ისტორია ჰქვია".

პოლიტიკურმა ისტორიამ, რომელიც სოციალურმა მეცნიერებებმა ისტორიული შტუდიების მიღმა დატოვეს, მათთანვე კონტაქტით, მათივე პრობლემატიკისა და მეთოდების გადმოღებით, თანდათან დაიწყო ძალის მოკრება ისტორიის ველზე. ეს ახალი აღმასვლა ფერნაცვალი პოლიტიკური ისტორიისა მეტად საინტერესო ჩანს შუა საუკუნეებში. სოციოლოგიისა და ანთროპოლოგიის მნიშვნელოვანი წვლილი პოლიტიკურ ისტორიაში იყო ის, რომ მათ განსაზღვრეს მისი ცენტრალური ცნებისა და კვლევის ძირითადი მიზნები, როგორიცაა ცნება ხელისუფლება და მისი შემადგენელი რეალიები. პოლიტიკურმა ისტორიამ ხელისუფლების ისტორიის ხარისხში ხელახლა შეიძინა ვერბალური ღირსება, რომელიც მენტალობის შეცვლასთანაა დაკავშირებული. ჟ. ლე გოფი მოიხმობს პ. ე. შრამის[1] კვლევით მასალას, სადაც მეცნიერმა თვალნათლივ აჩვენა, რომ შუა საუკუნეებში არსებული საგნები, რომლებიც მფლობელს ახასიათებდნენ (მაგალითად, გვირგვინი, ტახტი, სახელმწიფო, სკიპტრა და სხვ.), არ შეიძლება შესწავლილი იქნას რიტუალებისა და ცერემონიალების გარეშე, რომლებშიც ისინი გამოიყენებოდნენ. მათი არსი შეიძლება აიხსნას მხოლოდ პოლიტიკური სიმბოლიზმის კონტექსტში, სადაც ისინი იძენენ თავის რეალურ მნიშვნელობას.

სიმბოლიზმი რელიგიური სემიოტიკის სისხლსა და ხორცში შევიდა და პოლიტიკური გადააქცია საკრალურ სფეროდ. სიმბოლიკის განსაკუთრებული საგანია გვირგვინი. სამეფო გვირგვინმა თავის თავში გააერთიანა შუა საუკუნეების მთელი პოლიტიკური პეიზაჟი. ჟ. ლე გოფი მიმოიხილავს ჯეიმს ჯორჯ ფრეზერისა[2] და მარკ ბლოკის[3] ნაშრომებს პოლიტიკური ისტორიის, კერძოდ, სამეფო ხელისუფლების შესახებ. ლეგიტიმურად შეიძლება ჩაითვალოს ის კვლევები, რომლებიც მიმართულია შუა საუკუნეების პოლიტიკურ განზომილებათა ისტორიის შესასწავლად, ანუ იმის გამოსავლენად, თუ როგორია შეფარდება მოვლენათა მონაცემებისა ხელისუფლებასთან.

---

[1] Die Staatssymbolik des Mittelalters//X Congresso Internazionale di Sceince storiche. Roma, 1955, vol. VII, Raisunti delle communicazioni, ვვ. 200-201.

[2] The Colden Bough, Part I. The magic art and the evolution of Kings. London, 1890; Lectures on the early history of Kingship. London, 1905.

[3] М. Блок, Короли-чудотворцы. М., 1998 (ვ. ა. მილჩინას რუსული თარგმანი).

„პოლიტიკური“ პერსპექტივა ჩანს კულტურის ისტორიაში. განათლება ესაა ძალაუფლება და ამასთან ერთდროულად არის ძალაუფლების ინსტრუმენტი. ბუნებრივია, ყველა სარგებლობს ცოდნის პრივილეგიით. საუნივერსიტეტო სამყარო ფორმალურად ცდილობს, ჩამოაყალიბოს თავისი თავი, როგორც მოდგმა უმაღლესი ხელისუფლებისა, საეკლესიო ხელისუფლებისა და სამეფო ხელისუფლების გვერდით: Studium (ცოდნა) – Sacerdotium-ისა (სამღვდელოება) და Regnum (სამეფო)-ს გვერდით. შუა საუკუნეებში (განსაკუთრებით XII ს-დან) აშკარად გამოჩნდა განათლებულთა ჯგუფის გავლენა საზოგადოების მართვაზე.

ჟ. ლე გოფმა თვალი გაადევნა და ყურადღება მიაქცია, რომ გამოიკვეთა სხვადასხვა დონეზე განლაგებული დიფერენცირებული პოლიტიკური ისტორია, რის გამოც ფერნან ბროდელმა[1] შემოიტანა „ისტორიის რიტმების“ ცნება. მოკლე დროში ტრადიციული პოლიტიკური ისტორია, რომელიც ამაღელვებელი მოვლენების აღწერას წარმოადგენდა, გადადის ახალ, უფრო სიღრმისეულ დონეზე, სოციალური ანალიზისა და რაოდენობრივი მეთოდის გამოყენების დონეზე, მენტალობის სამომავლო შესწავლისათვის წყაროების ბაზის შექმნაზე.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ჟ. ლე გოფს მოცემული დრო პოლიტიკური ისტორიის დარგში გარკვეულად კრიზისში მყოფად მიაჩნია, იგი ვერ უარყოფს პოლიტიკური ისტორიის შესწავლის პერსპექტიულობას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეთოდების გამოყენებით. თავისი ცნებები, თავისი ლექსიკა, თავისი მეთოდები შემოაქვს პოლიტოლოგიას. მასთან ერთად პოლიტიკურ სოციოლოგიისა და პოლიტიკურ ანთროპოლოგიას ეს დარგები ახალ ძალას აძლევს პოლიტიკურ ისტორიას. განახლების მიუხედავად, პოლიტიკური ისტორია, გამდიდრებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მონაცემებით, არ შეიძლება ჩაითვალოს ავტონომიურად. დღეს მეცნიერების დარგებისადმი მიდგომა დისციპლინათშორისია და რომელიმე დარგის განცალკევებული წარმოდგენა შეუძლებელია.

მიმოიხილავს რა ჟ. ლე გოფი პოლიტიკურ ისტორიასთან დაკავშირებულ მრავალ პრობლემას, დაასკვნის: მეტაფორულად რომ ვთქვათ, ჩვენი დრო აღარ არის ანატომიის ეპოქა, იგი ატომის ეპოქაა და პოლიტიკური ისტორია „ხერხემალი“ კი არა, ისტორიის „გულია“.

ჟ. ლე გოფის წიგნი, დასავლეთის ისტორიკოსთა შრომები, საზღვარგარეთ ისტორიული მეცნიერების მიმდინარეობები სერიოზულ დაკვირვებას, ანალიზსა და გათვალისწინებას საჭიროებს. ჩვენ საშუალება გვაქვს მეტნაკლებად თვალყური ვადევნოთ ისტორიული მეცნიერების განვითარებას მსოფლიოში (ისტორიკოსთა მსოფლიო კონგრესები, ჩვენამდე მწირად მოღწეული სხვადასხვა გამოცემები). ფაქტი ერთია, მსოფლიოს ისტორიული მეცნიერება საინტერესოდ ვითარდება, ვითარდება ისტორიის ყველა დარგი. უამრავი სიახლეა კვლევის მეთოდიკაში (ისტორიის მათემატიზაცია, რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, სოციოლოგიური, დემოგრაფიული თუ ეკონომიკური კვლევის შედეგების გამოყენება და სხვ.).

---

[1] F. Braudel, Ecrits sur l'histoire, Paris, 1969.

ჟ. ლე გოფის მაგალითზე ჩვენ ვნახეთ, რომ უდიდესი ადგილი ეთმობა ადამიანთა მენტალობის კვლევის პრობლემას, საერთოდ ადამიანთან, მის ყოფასთან, ცხოვრებასთან, აზროვნებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ჩვენ ფრანგი მეცნიერის მიერ წამოყენებულ ზოგიერთ დებულებას არ ვეთანხმებით, მაგრამ მისი გათვალისწინება აუცილებლად მიგვაჩნია. ჩვენთვის განსაკუთრებით მიმზიდველია ის გარემოება, რომ ჟ. ლე გოფი მედიევისტია – შუა საუკუნეების ისტორიის მკვლევარი და იგი ყველა ზემოდასახელებულ პრობლემას შუა საუკუნეების მასშტაბში იკვლევს. ერთი რამ დასანანია. შუა საუკუნეების მკვლევარი ისტორიკოსები ძირითადად ცალკეული ქვეყნების ან, უკეთეს შემთხვევაში, კონტინენტის ისტორიას იკვლევენ. ვფიქრობთ, აუცილებელია შუა საუკუნეების ისტორიის ცალკეული პრობლემების კვლევისას ყველა იმ თავისებურების გათვალისწინება, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანას გააჩნია. საკითხი, რომელსაც ჩვენ ვაყენებთ, რთულია, სხვადასხვა მიზეზთა გამო ძნელად მისაღწევი, მაგრამ საჭირო კია. ვფიქრობთ, ფეოდალური ურთიერთობის შესწავლა იმ მონაცემების გარეშე, რაც კავკასიურ, კერძოდ, ქართულ ფეოდალიზმს გააჩნია, ნაკლულოვანია. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია ჩვენი კონტაქტების გაუმჯობესება საზღვარგარეთელ ისტორიკოსებთან. ეს შეიძლება მოხდეს მსოფლიო კონგრესებზე, ცალკეულ სამეცნიერო სიმპოზიუმებზე, პირადი ურთიერთობის საშუალებით.

ისტორია მეცნიერების ისეთი დარგია, რომელიც მუდმივ განვითარებაშია, იქმნება მიმართულებები, კვლევის ახალი მეთოდები. თანამედროვე საზოგადოების განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ისტორიამ უსათუოდ უნდა აუბას მას მხარი.

ისტორიის მეცნიერების განვითარების, ისტორიკოსთა შორის გარკვეული ურთიერთობის დამყარების, ისტორიულ დაწესებულებათა ურთიერთკავშირის განმტკიცებისათვის საქართველოს საისტორიო საზოგადოებაა მოწოდებული. საერთაშორისო ურთიერთობების დამყარება კი საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნულ კომიტეტზეა დამოკიდებული. ორივე ამ დაწესებულებას რეალური დახმარება ესაჭიროება შემოქმედებითი ფუნქციონირებისათვის.

ისტორიული მეცნიერება წარმატებულად, ძალზე საინტერესოდ ვითარდება. მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ ქართველ ისტორიკოსებსაც. გამოდის მონოგრაფიები, სხვადასხვა სახის ნაშრომები, რომელსაც არსებითი წვლილი შეაქვთ დარგის განვითარებაში. ამოცანა ერთია – ფართოდ გავიტანოთ და გავაცნოთ ქართველ ისტორიკოსთა კვლევების შედეგები ქვეყნის გარეთ. ეს მნიშვნელოვანია ქართველთათვის და ასევე არსებითია უცხოელთათვის; ქართველთათვის ეს სტიმულია, უცხოეთში კი ქართველთა გამოკვლევებს შეუძლიათ თავისი წვლილი შეიტანონ, გაამდიდრონ ზოგადად ისტორიული მეცნიერება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლის ნუსხის ექვთიმე თაყაიშვილისეული მარგინალიები

ექვთიმე თაყაიშვილის მრავალმხრივი მამულიშვილური ღვაწლი დღესდღეობით საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია. ამ დიდი მამულიშვილის მეცნიერულ მოღვაწეობაში გარკვეული ადგილი უჭირავს წყაროთმცოდნეობის პრობლემებს. ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდაა შესწავლილი და მასზე არ შევჩერდებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ ექვთიმე თაყაიშვილის წყაროთმცოდნეობითი მოღვაწეობის მეცნიერულ თვალსაწიერში მოექცა მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“. თავის მხრივ „ქართლის ცხოვრებას“ მეტად საინტერესო თავგადასავალი აქვს. იგი საუკუნეთა განმავლობაში სწორდებოდა, ახლდებოდა, ივსებოდა, ერთი სიტყვით, მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა. „ქართლის ცხოვრება“ სრული სახით 1849 წელს გამოსცა აკადემიკოსმა მარი ბროსემ (რუსეთის სამეცნიერო აკადემიის გამოცემა). ამასთან პირველი წიგნი (პირველი ტომი ორ წიგნად იქნა გამოცემული) ქართული ტექსტი იყო, მეორე კი ფრანგული თარგმანი. ამ უკანასკნელის დიდ მნიშვნელობაზე ლაპარაკი (შემდგომში ბროსემ კიდევ ორი ტომი გამოსცა ფრანგულად) ჩვენი ისტორიის შესწავლა-პოპულარიზაციის საქმეში, ალბათ ზედმეტია. „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომში მ. ბროსემ და დ. ჩუბინაშვილმა შეიტანეს XVIII საუკუნის ისტორიკოსთა თხზულებები (ისინი მართალია „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში არ შესულა, მაგრამ XIX საუკუნის ქართულმა ისტორიოგრაფიამ მაინც მის შემადგენელ ნაწილად მიიჩნია). ამ გამოცემათა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად გადაქცევის გამო ზაქარია ჭიჭინაძემ ხელახლა დაბეჭდა პირველი ტომი 1897 წელს, მეორე 1913 წელს.

მ. ბროსესეული გამოცემიდან 100 წელზე მეტი ხნის შემდეგ აკადემიურად გამოიცა „ქართლის ცხოვრება“ (ტ. I – 1955 წ., ტ. II – 1959 წ., ტ. IV – 1973 წ.), რომლის ტექსტი დაადგინა აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. მ. ბროსეს განკარგულებაში რედაქტორთა მიერ გადამუშავებული და შევსებული მეთვრამეტე საუკუნის სამი ხელნაწერი იყო. შემდგომ პერიოდში მეთვრამეტე საუკუნის ათიოდე ნუსხა გახდა ცნობილი და, რაც მთავარია, აღმოჩნდა მეთხუთმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეთა ტექსტის შემცველი ოთხი ხელნაწერი.

„ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთა შორის ერთ-ერთი უძვირფასესია მარიამ დედოფლისეული ნუსხა (მეჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერი), რომელიც 1884 წელს

აღმოაჩინა დიმიტრი ბაქრაძემ, ხოლო 1906 წელს გამოიცა ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით. მარიამისეული ნუსხა არსებითად განსხვავდება მ. ბროსესეული „ქართლის ცხოვრებისაგან". მეთვრამეტე საუკუნის ნუსხებისაგან (თეიმურაზისეული, რუმიანცევისეული და ე. წ. ბროსესული ეს ფაქტობრივად ფალავანდიშვილისეული ნუსხის პირია) განსხვავებით „ქართლის ცხოვრების" მარიამ დედოფლისეული ნუსხა შეიცავს:

სუმბატ დავითის ძის თხზულებას („ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა"). იგი არც ერთ მანამდე ცნობილ ხელნაწერში არ მოიპოვება.

თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებას „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი". მ. ბროსესეულ გამოცემაში თამარ მეფის ისტორია განსხვავებულადაა წარმოდგენილი, რაც მკვლევართა აზრით, ვახტანგის სწავლულ კაცთა ნახელავი უნდა იყოს.

ნიშანდობლივია, რომ მარიამ დედოფლისეული ნუსხა შეიცავდა ისტორიას მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნემდე, რაც მიანიშნებს, რომ, 1633-1646 წლებში, როდესაც ეს ნუსხაა გადაწერილი „ქართლის ცხოვრებაში" მეთოთხმეტე საუკუნის შემდეგდროინდელი ისტორია არ მოიპოვებოდა (ს. ყაუხჩიშვილი).

ერთი სიტყვით, 1906 წელს ექვთიმე თაყაიშვილის წყალობით „ქართლის ცხოვრების" მარიამ დედოფლისეული ნუსხა ფართო საზოგადოებისათვის გახდა ხელმისაწვდომი. წიგნი მეცნიერის მიერ სათანადოდაა კომენტირებული და ძვირფასი მასალაა როგორც ისტორიკოსების, ისე საკითხით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

ამ წიგნის გამოცემიდან თითქმის ოთხმოცი წლის შემდეგ ჩვენს ხელთ აღმოჩნდა ეგზემპლარი, რომელშიც, როგორც ჩანს, წლების მანძილზე გარკვეული კომენტარი (ჩასწორება, დამატება, ზოგიერთ საკითხზე საგანგებოდ ყურადღების გამახვილება და სხვ.) თვით დიდ მეცნიერს ექვთიმე თაყაიშვილს უკეთებია. ეს მეტად საინტერესო და განსაკუთრებულად ფასეული წიგნი ჩვენ გადმოგვცა გამოჩენილმა ქართველმა ენათმეცნიერმა პროფესორმა ალექსანდრე ღლონტმა. თან სათანადო ბარათით გვაცნობა: „ეს უნიკალური წიგნი („ქართლის ცხოვრების" მარიამ დედოფლის ვარიანტის ე. თაყაიშვილისეული გამოცემა) ნახევარი საუკუნის წინათ მაქვს შეძენილი (მართლაც წიგნის სუბკონტრტიტულზე ძველი წარწერაა „ალ. ღლონტი, 16 XI. 36 წ. ტფილისი, შევიძინე სალდათის ბაზარზე – რ. მ.) საჭიროების შემთხვევაში ვიყენებდი (ახლაც ვიყენებ!). გვიან მივაქციე ყურადღება, რომ წიგნის გვერდებზე ფანქრით გაკეთებული იყო მარგინალიები. თავდაპირველად არ დავინტერესებულვარ მარგინალიების ავტორის ვინაობის გაგებით. მე მხოლოდ ტექსტის ენობრივი მხარე მაინტერესებდა, როცა რამდენიმე მინაწერი ახლოს გავიცანი. თვალში მომხვდა ექვთიმე თაყაიშვილის ხელი. გადავწყვიტე ტექსტი ვარლამ დონდუასათვის მეჩვენებინა... გაიხარა, დიდხანს ფურცლა. დავუტოვე. ერთი კვირის შემდეგ მითხრა ძვირფასი მინაწერია, ამაზე სტატიას მოვამზადებ, ექვთიმეს რუდუნება არ დავუკარგოთო..." ვარლამი მაშინ სხვა უფრო სასწრაფო საქმეებით ყოფილა დაკავებული და ჩაჯდომა ვერ მოუხ-

ერხებია. შემდეგ ავად გახდა და გარდაიცვალა კიდეც. წიგნი კი მის ბიბლიოთეკაში დარჩენილა. როცა ბიბლიოთეკა ისტორიის ინსტიტუტს გადაეცა, აღნერისას ეს წიგნი უნახავთ და პატრონისათვის დაუბრუნებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფ. ალ. ღლონტი გულწრფელად წერს: „მჯერა, ამ მასალას რაღაც მნიშვნელობა ექნება. მერე-და ის ექვთიმეს ხელიდანაა გამოსული, ექვთიმე ხომ ექვთიმე იყო. არც ერთი მისი სტრიქონი არ უნდა დაიკარგოს, საყოველთაოდ უნდა გამოჩნდეს". რასაკვირველია, სწორი შენიშვნაა, ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველა დეტალი, თუკი ეს შესაძლებელია სათანადო შესწავლის შემდეგ, უნდა გამომზეურდეს.

წინამდებარე წიგნის მრავალი გვერდი (იგი საერთოდ 994 გვერდს შეიცავს) ექვთიმე თაყაიშვილის კომენტარებითაა დაფარული. მხედველობაში გვაქვს არა თავდაპირველი წიგნისმიერი ბეჭდური კომენტარები, არამედ შემდეგ დროთა განმავლობაში ძირითადად ფანქრით გაკეთებული მინაწერები. ეს მინაწერები სხვადასხვა ხასიათისაა. მათი დიდი ნაწილი კორექტურულ შეცდომებს აფიქსირებს და ასწორებს, ზოგი კი ტექსტს, ზოგიც მარიამისეული „ქართლის ცხოვრების" სხვადასხვა ვარიანტებთან შეჯერების შედეგად მიღებულ დასკვნებს გვაცნობს. არის მინაწერები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს ტექსტში მოცემულ ცალკეული ტერმინებისა თუ მოთხრობილი მოვლენების მნიშვნელობაზე. ყველა მათგანის მოტანა ან განხილვა, ვფიქრობ, არ არის აუცილებელი. მით უმეტეს, რომ ბევრი მინიშნება, რასაკვირველია სრულიად დამოუკიდებლად, უკვე გათვალისწინებულია ს. ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაში.

ამ წერილის მიზანია მხოლოდ ზოგიერთ შენიშვნაზე გაამახვილოს ყურადღება. ფრიად ყურადსაღები დაკვირვებაა წიგნის მე-6 გვერდზე; აქ ფანქრითაა გახაზული ტექსტში „ტფილისითგან" და არეზე არის წარწერა „მოხსენიება თბილისა ასე ადრე". ესაა ლეონტი მროველის თხზულების („ცხოვრება ქართველთა მეფეთა") ის ნაწილი სადაც ქართლის ამბებია მოთხრობილი... „ამბავი ქართლისა და ნათესავის მათისა ვიდრე დღეთა ჩუენთამდე... „ამ თავში ტფილისი ნახსენებია შემდეგ კონტექსტში: „ხოლო მცხეთოს, რომელი: უგმირე: იყო: ძმათა: ესე: დარჩა: საყოფელთა: მამისა მათისათა: ქართლისისათა: რომელსა: აქ ჰქვიან: არმაზი: და: მანვე: აღაშენა: ქალაქი: შესაკრებელსა: შორის: მტკურისა: და: არაგვისათა: და: უწოდა: სახელი: თვისი: მცხეთა: და: დაიპყრა: ქუეყანა: ტფილისითგან: და: არაგვითგან: და: სავლით: ვიდრე: ზღუამდე: სპერისა"[1].

ტფილისი სხვა კონტექსტშიაც მოიხსენიება: „...და: ეპყრა: ქუეყანა: არაგვითგან: და: ტფილისითგან: ვიდრე: ტასის: კარამდე:"[2] ან „... განვიდა: (ფარნავაზ – რ. მ. და:

---

[1] შდრ. ქართლის ცხოვრება, I თბ., 1955, გვ. 9: „ხოლო მცხეთოს, რომელიც უგმირე იყო ძმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქარლოსისათა, რომელსა აწ ჰქვიან არმაზი. და მანვე აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკურისა და არაგვსასა, და უწოდა სახელი თვსი მცხეთა და დაიპყრა ქუეყანა ტფილისთაგან და არაგვთაგან დასავლით, ვიდრე ზღუადამდე სპერისა".

[2] შდრ. ქართლის ცხოვრება, I გვ. 10.

ნადირობდა: მარტო და: დევნა: უყო: ირემთა: ველსა: დიღომისასა: და ივლტოდეს: ირემნი, ღრღალთა: შინა: ტფილისისათა"[1]. ან „ერთი. გაგზავნა: ხუანანსა: ერიდ: და მისცა: ბურდუჯის: მდინარითგან: ვიდრე ტფილისამდე"[2]... და ა. შ.

როგორც ვხედავთ, „თბილისი" მოხსენიებულია ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ტრადიცია და შესაბამისად ჩვენი ისტორიოგრაფიაც თბილისის გადედაქალაქებასა და თვით სახელწოდებასაც ვახტანგ გორგასალს უკავშირებს. ამას მიუთითებს თბილისის დაარსების შესახებ ცნობილი ლეგენდაც (აქ არსებული თბილი წყლების გამო), სადაც სახელის დარქმევის ამბავიცაა მოთხრობილი, საქართველოს დედაქალაქის სახელწოდების წარმოშობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ერთ დროს ფიქრობდნენ, რომ ტოპონიმი თბილისი წარმოდგა ადამიანის საკუთარი სახელისაგან „თობელ" (თუბალ, თობალ – ასე ერქვა „ბიბლიის" გენეალოგიის თანახმად ნოეს უმცროსი ვაჟის იაფეტის შვილს). ეს აზრი გატარებულია ქართველი კათოლიკების მიერ შედგენილ „საყოველთაო ისტორიაში", რომლის მიხედვით „ქართველები იაფეტის მეხუთე შვილის თობალისაგან მომდინარეობდნენ. სადაც თობალი დადგა ეწოდა თობალისი, ან თბილისი". ამგვარ ახსნას მხარს უჭერდა პროფ. ლ. მელიქსეთბეგი. პროფესორებმა შ. მესხიამ და დ. გვრიტიშვილმა ეს მოსაზრება საეჭვოდ მიიჩნიეს. ეს ეჭვი საფუძვლიანი იყო. ტოპონიმი თბილისი ტფილისის სახით დამოწმებულია ევსტათი მცხეთელისა (VI ს.) და აბო თბილელის (VII ს.) წამების წიგნებში. „ქართლის მოქცევის" წიგნში, რომლის უძველესი ტექსტი ცნობილ შატბერდის კრებულშია დაცული (გადაწერილია X ს-ში), სადაც ტფილისი დაპირისპირებულია ძველ დედაქალაქ მცხეთასთან.

მკვლევართა უმრავლესობის აზრით, სახელწოდება თბილისი იმ თბილი წყაროებიდან მომდინარეობს, რომლებიც უხვადაა ქალაქში და რომელზედაც აბანოები იყო გამართული. ასე მიაჩნდა ჯერ კიდევ ამ საუკუნენახევრის წინათ უ. კლაპროთს. ამავე აზრს ეთანხმებოდნენ პ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, ნ. ბერძენიშვილი, ნ. გორიაევი, ი. ჯავახიშვილი, კ. ჰანი, ს. კაკაბაძე, და სხვ. ა. შანიძე მტკიცედ ასაბუთებს, რომ სიტყვა ტფილ-ი, რომელიც საფუძვლად უდევს საქართველოს დედაქალაქის სახელს, ძირეული სიტყვაა, რომელსაც შესატყვისი მოეპოვება ჭანურ-მეგრულსა და სვანურში, აქედან გავრცელდა თბილისის სახელწოდება მთელ დედამიწაზე (მაგ. ბერძნული ტიფილის, რუსული Тифлис, ევროპულ ენებში Tiflis)[3].

---

[1] შდრ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 21: „განვიდა ფარნავაზ და ნადირობდა მარტო, და დევნა უყო ირემთა დიღომისასა, და ივლტოდეს ირემნი ღირღალთა (ნაპრალი – 6. მ.) შინა ტფილისისათა".

[2] შდრ. „ქართლის ცხოვრება" 1, გვ. 24; „მესამე გაგზავნა ხუანანისა ერისთავი, და მისცა ბურდუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე..."

[3] შდრ. ვ. ივანოვის სტატია („След светоносных" жур. „Техника молодежи") №8, 1977. იხ. აგრეთვე, რ. მეტრეველი, თბილისის ეტიმოლოგიის საკითხები; მეცნიერება და ტექნიკა, თბ., 1987, №7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესდღეობით სადავო არ არის, რომ თბილისის ტერიტორია გადედაქალაქებამდე საკმაოდ დიდი ხნით ადრე იყო დასახლებული. ამის ნათელი დადასტურებაა არქეოლოგიური მასალა, რომელიც თვალნათლივ უჩვენებს, რომ აქ ჩვენს წელთაღრიცხვამდეც იყო მოსახლეობა, საკმაოდ განვითარებული ხელოსნური წარმოებითა და ვაჭრობით. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ თვით სახელიც გადედაქალაქებამდე იყო დარქმეული. ე. თაყაიშვილის მითითებაც თვით წყაროზე ხაზგასმით („მოხსენიება თბილისისა ასე ადრე") არ არის შემთხვევითი და საკითხის შესახებ არსებული მოსაზრების განხილვა-გადახედვას მოითხოვს. ფაქტია, რომ სახელწოდება „თბილისი" ბევრად უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე აქ დედაქალაქი დაარსდებოდა.

ჩვენთვის საინტერესო გამოცემის 50-ე გვერდზე მოთხრობილია: „.. მირიან: მეფემან: უფროსადღა: ჰმატა: კეთილის ყოფა: საქართუელოსა: და: მოიყვანა: ცოლი: საბერძნეთითა: პონტოთ: ასული: ოლიღოტოსისი: სახელით: ნანა". აქ, როგორც ვხედავთ, საუბარია ქართლის მეფის მირიანის (IV ს.) მიერ ცოლად ნანას შერთვის შესახებ. ამ სტრიქონების გასწვრივ ე. თაყაიშვილს არეზე წაუწერია – „საქართველო". მართლაც ამ ტერმინის ხმარება IV საუკუნეში რამდენადმე უჩვეულოა და მეცნიერის მიერ მასზე ყურადღების გამახვილება სრულიად კანონზომიერია. სხვა ნუსხებში იგი არ გვხვდება. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით გამოსულ „ქართლის ცხოვრებაში" ვკითხულობთ: „ხოლო მარიან მეფემან ჰმატა კეთილსა ქართველთასა, და მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, პონტოით, ასული ოლიღოტოსისა სახელით ნანა"[1]. ე. ი. აქ ჩვენ „საქართველოს" ხსენებას ვერ ვხვდებით. ბროსესეულ ნუსხას (ეს ნუსხა გადაწერილია ფალავანდიშვილისეულიდან 1839 წელს და წარმოადგენს მ. ბროსეს სამუშაო ეგზემპლარს)"[2], თეიმურაზისეულსა და ბარათაშვილისეულ ნუსხებში არის მოცემული ქრისტეს კვართის მცხეთაში მოტანის ვრცელი ისტორია. ეს ნაკვეთი „სწავლულ კაცებს" მთლიანად ჩაურთავთ „ქართლის ცხოვრებაში". სწორედ ამ ჩანართში ვკითხულობთ: „და შემდგომად ამაღლებისა უფლისა, რაჟამს წილ-იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელსა წილად ხუდა მოქცევად ქუეყანა **საქართველოსა** (ხაზგასმა ჩემია – რ. მ)"[3]. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ტერმინი „საქართველო" არ გამოხატავს მის სრულ შინაარსს. „საქართველო ფეოდალური ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ წარმოიქმნა (X ს. II ნახევარი – XI ს. დასაწყისი) და მისი სრულყოფილი მნიშვნელობაც აქედან მოდის. ესაა პერიოდი, როცა ქვეყნის ყველა პოლიტიკური ერთეული (ქართლი, კახეთი, ჰერეთი, ტაოკლარჯეთი, დასავლეთ საქართველო) ერთ მთლიან ორგანიზმად გაერთიანდა, ერთი სამეფო ხელისუფლებისა და მეფის (ბაგრატ III) მეთაურობით თვით სრულად საქართველოს მეფე გახდა „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა".

---

[1] ქართლის ცხოვრება, I. გვ. 66.

[2] იხ. იქვე, გვ, 051-052 (ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა).

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 38.

რაც შეეხება ტერმინ საქართველოს ადრე მოხსენიებას, მის ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული მნიშვნელობა აქვს, მარიანი ქართლის მეფეა, ქართლი ქართების ქვეყანაა და გასაკვირი არაფერია, რომ მას საქართველო უწოდონ, ისტორიულ საქართველოში გარკვეულ პერიოდში, ქართები დომინირებენ და ამ სახელის გავრცელებაც არ არის შემთხვევითი (გავიხსენოთ, რომ IX ს. დასაწყისში აშოტ I-ის მიერ საფუძველჩაყრილი ქართული ფეოდალური სახელმწიფო, რომელიც აერთიანებდა შავშეთ-კლარჯეთს, აჭარას, ნიგალს, სამცხეს, ჯავახეთსა და არტაანს **ქართველთა სამეფოს** სახელწოდებას ატარებდა).

ამგვარად, აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ არეზე წაწერილი „საქართველო" მიგვანიშნებს, რომ „ქართლის ცხოვრების" ტექსტში მოცემული ეს ტერმინი თავისი კონკრეტული შინაარისაა და განსხვავდება შემდგომდროინდელი **საქართველოს** მნიშვნელობისაგან.

30-ე გვერდი: „... მოვიდეს: მოციქულნი: ურიათა, იერუსალემს: ურიათა: თანა: მცხეთელთა: ვითარმედ: იგი: რომლისათჳს: მოვიდეს მოგუნი: და შეწირეს: ძღვენი: აღზრდილარს: და: იტყვს: იგი თავსა: თჳსაა: ძედ: ღვთისა: აწ: წარგვივლენია: ჩუენ: ყოველთა: ურიათა: თანა: რათა: მოვიდენ: მეცნიერნი: სჯულისანი: და: განვიკითხოთ: და განვპრჭოთ: მის: ზედა: და: აწ: თქუენისა: სჯულისა: მეცნიერნი: წარმოვიდენ: და: წარვიდეს: მანდით: ელიომ: მცხეთელი: და: ლონგიოზ: კარსნელი": ქვემოთ სქოლიოში ე. თაყაიშვილი მიანიშნებს, რომ ელიომ-ის ნაცვლად ტექსტში უნდა იყოს ელიოზი, ლონგიოზის ნაცვლად – ლონგინოზი; რომ „ქართლის ცხოვრების" რუმიანცევისეულ ნუსხაში წერია „ქალაქსა ნიკოფსისასა") ეს შენიშვნა იმის გამოა, რომ მის მიერ გამოცემული მარიამისეული ნუსხაში წერია „ქართლისა ნიკოფისსა". ამის შემდეგ კი ფანქრითა მინაწერი" 1. აქ ნახე დამატება ვახტანგისი – ქ. ც. გვ. 39 „რათა სჯული მამათა ჩვენთა... 41 გვერდამდის". მართლაც ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაში" ვრცლადაა მოთხრობილი ელიოზ მცხეთელისა და ლონგიოზ კარსელის მიერ მცხეთაში ქრისტეს კვართის მოტანის ამბავი. აქ დამატებითი შენიშვნის არსი ისაა, რომ სამომავლოდ გამოცემის დონე უფრო მაღალი ყოფილიყო. მასში ყველა საჭირო დეტალის გათვალისწინების გზით. საერთოდ, ფანქრით დამატებით მიწერილი შენიშვნები რომ დროულად გაკეთებულიყო და ასე გამოქვეყნებულიყო წიგნი, იგი უფრო სრული იქნებოდა და ბევრად მოიგებდა.

ე. თაყაიშვილი მეტად საგულისხმო შენიშვნას აკეთებს 190-ე გვერდზე, სადაც ლაპარაკია, რომ „კეისარმან: აღასრულა: თხოვა: მათი: და: მოსცა: მეფედ: დისწული: მარდატისი. ვახტანგის-ძისა: ბერძნისა: ცოლისა: რომელსა: ერქუა გუარამ: რომელი: მთავრობდა: კლარჯეთს: ამას: გუარამს: მისცა: კეისარმან: კურატ: პალატობა: და: წარგზავნა: მცხეთას"... აქ არეზე ფანქრითაა ე. თაყაიშვილის მინაწერი: „არ არის ბაგრატიონად ნახსენები". ეს არსებითი ხასიათის შენიშვნაა, რადგან გურამი მართლაც ბაგრატიონია და მისი მოუხსენებლობა „ქართლის ცხოვრების" მარიამისეულ ნუსხაში აღნიშვნას იმსახურებს. ვნახოთ იგივე მონაკვეთი ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში": „მაშინ კეისარმა აღასრულა

თხოვა მათი და მოსცა მეფედ დისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძნის ცოლისაგან, რომელსა ერქუა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს ანუ ვახეთს. ხოლო ესე გუარამ იყო დედით ხოსროიანი და მამით ბაგრატიონი. და ესე ბაგრატოანნი შვილისშვილნი და ნათესავნი არიან ამა გუარამისნი. ამას გუარამს მოსცა კეისარმან კურაპალატობა და წარმოგზავნა მცხეთას"[1]. გუარამის ბაგრატიონობის შესახებ ცნობა ჩანართია და ყველა ნუსხაში მოიპოვება, გარდა ანასეული, ჭალაშვილისეული და მაჩაბლისეული (მარიამისეულზე ზემოთ უკვე ვთქვით) ნუსხებისა: ბუნებრივია, ეს ფაქტი საჭირო იყო აღნუსხულიყო და ე. თაყაიშვილის ფანქრით მინაწერიც ამას ემსახურება.

197-ე გვერდის არეზე მეცნიერს ფანქრით გამოუტანია თეიმურაზისეულ ნუსხასთან შედარებული ვარიანტები: „არა[1]: ისმინა: კეისარმან: ვედრება[2]: მისი და: წარიხუნა[3] ხოლო: ამის: ადარნასეს: ზე: გარდაიცუალნეს: სამნი: ქათალიკოზ-ნი[4]: იოვანე[5]: ბაბილა: და: თაბორნ[6]: მოკუდა: ადარნასე: და: დადგა: ძე: მისი: სტეფანოზ: ინდექსები ე. თაყაიშვილის ხელით ფანქრითაა დასმული და თითოეულ ამ სიტყვაზე აკეთებს განმარტებებს: 1. თეიმურაზისეული „ქართლის ცხოვრებაშია", „არათ", 2. „ვედრება „(ესეც თეიმურაზისეულ ნუსხიდან); 3. „თეიმურაზისეული უმატებს თანა(თა") ე. ი. წარიხუნა თანა" და ა. შ.); 4. თეიმურაზისეული უმატებს მეთოთხმეტე კათალიკოზი, 5. თეიმურაზისეულში-იე, 6. თეიმურაზისეულში ამ ორი სიტყვის მაგიერ არის „დაბორი".

ე. თაყაიშვილი გარკვეულ კომენტარს აკეთებს გიორგი 1-ის შვილის მცირეწ-ლოვანი ბაგრატის ბიზანტიიდან დაბრუნებასთან დაკავშირებით („ვითრ: უკუე: მოინია: წინაშე: მამისა: თუსისა: გ ი მეფისა: სახლად: მათდა? იხილეს მშობელთა: მისთა: შვილთა: მსგავსი: განუცდელისა: და: მიუთხრობელისა: სიკეთისა: მის-სათჳს: შეუძლებელ: არს: კაცთაგან: მითხრობა: იხილეს: რა განიხარეს: სიხარულ-ითა: მიუთხრობელითა: შეწირეს მადლობა: ღთისა: მიმართ: იყო: ქორანიკონი: მას: ჟამსა ს-მ-ე"), აღნიშნავს, რომ ამ ადგილას ბროსესეულ „ქართლის ცხოვრებაში" შემოტანილია თეიმურაზისეული ნუხსხიდან ცნობები მელქისედეკ კათალიკოზის საბერძნეთში, კონსტანტინე მეფესთან გამგზავრების შესახებ, სადაც, მელქი-სედეკი უხვად დაუსაჩუქრებიათ. მელქისედეკს შეუძენია სვეტიცხოვლისათვის სოფლები. ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ ეს ცნობები ამოღებულია მცხეთის სიგელიდან. მეცნიერი არ დაუკმაყოფილებია ამ მცირე განმარტებას და შემ-დეგ ფანქრით აგრძელებს: „ტექსტის ხელი ამ შემატებისა სრულიად იგივეა, რაც მთელი წიგნისა და მერმე არ არის მიმატებული. და არც დატოვებულ ადგილზეა მერმე დაწერილი". ეს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო მინაწერი, ნათელს ჰფენს ბროსესეულ ნუსხაში (ეს ნუსხა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ 1839 წელსაა გადაწერილი. „ცხოვრება საქართველოჲსა ვახტანგის მიერ, სვიმონ ტაბიძისაგან გადაწერილი კნიაზ ფალავანდოვისა დედაენით გამო 1839") ზოგიერთი ფაქტის მოტანის გზებსა და ასაბუთებს მათი ამ ნუსხისათვის ორგანულობას.

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 218.

257-ე გვერდზე №9 შენიშვნაში (სქოლიო) ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ „აქ დაბეჭდილს „ქართლის ცხოვრებაში“ შემოტანილია ვრცელი ტექსტი მიქაელ-დეკ კათალიკოზის მიერ მოპოვებული სიფლების შესახებ სვეტიცხოვლისათვის, რომელნიც ბაგრატ მეფეს დაუმტკიცებია. ცნობები ეკუთვნის მცხეთის გუჯარს, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ. შემდეგ მეცნიერი ფანქრის მინაწერით აზუსტებს: „ეს ნაწილი გუჯარისა დაწერილია ტექსტისავე ხელით და ახალი სტრიქონითაც არ იწყება თ-ში“ (ე. ი. თეიმურაზისეულ ნუსხაში – რ. მ.)“. როგორც ვხედავთ, ეს ზემო შენიშვნის ანალოგიურია და განმარტებაც შესაბამისია.

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ხელით მიწერილი, შენიშვნებიდან მოვიტანთ კიდევ რამდენიმეს. მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ იქ, სადაც ლაპარაკია დავით IV აღმაშენებლის გარდაცვალებაზე (გვ. 334): „... მადლითა: ღ˜ თივ: ქმ-ნულთა: ზედა: მუნღა: ყუნა: მისთანა: მეუფებდა: უხრწნელითა: და ბრწყინვალ-ითა: გვირგვინითა: და: პორფირითა: შემკული: სადა: იგი: აწ: მკუიდრ: არს: და: იქცევის: ნათელსა: შინა: ღ˜ თისასა: რამეთუ: იყო: მაშინ: თუე: იანვარი – კ˜ დ: – და: დღე: შაბათი: ოდეს: ქორანიკონი: იყო: ტ˜ მ ე˜, ხოლო: წელიწადნი: მისნი: შობითგანნი მ˜: ხოლო მეფობდა: ოცდა თოთხმეტ: წელ:“ ე. თაყაიშვილი სქოლიო-ში განმარტავს, რომ ქორანიკონი ტ˜ მ ე˜ მარიამისეულის გარდა დამოწმებულია ჯანაშვილისეულ ნუსხაში, თუ ძირითად ნუსხაში დავითის ასაკი ორმოცდა ცამეტი წლით განისაზღვრება („ხოლო წელიწადნი მისნი შობითგანი ორმოცდაცამეტნი“)[1]. ჯანაშვილისეულ ვარიანტში მითითებული „სამეოც და ერთი (ესეც ხელით აქვს მიწერილი ე. თაყაიშვილს). უფრო არსებითია მეცნიერის მიერ სქოლიოში ხელით მიწერილი განმარტება დავით IV აღმაშენებლის მეფობის წლების რაოდენობას-თან დაკავშირებით. ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემულ მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“. როგორც ზემოთაც მოვიტანეთ სწერია: „ხოლო მეფობდა ოცდა თოთხმეტ წელ“, მეცნიერს აქ ინდექსი გაუკეთებია და სქოლიოშიც დაუმატებია: „ჯან, ვარ: ოცდა ათექვსმეტ წელ“. მართლაც, დავით IV აღმაშენებელი გამეფდა 1089 წელს, გარდაიცვალა 1125 წელს. ე. ი. იმეფა 1089-1125 – 36 წელი. ს. ყაუხ-ჩიშვილისეული ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი სწორედ ამას ადასტურებს: „რამეთუ იყო მაშინ თუე იანვარი ოცდაოთხი და დღე შაბათი, ოდეს ქრონიკონი იყო სამას ორმოცდახუთი, ხოლო წელიწადნი მისნი შობითგანი ორმოცდაცამეტნი, ხოლო მეფობდა ოცდათექუსმეტ წელ“[2].

განსაკუთრებულად უხვადაა შენიშვნები წიგნის იმ ნაწილის მიმართ, სადაც დაბეჭდილია სუმბატ დავითის ძის თხზულება: „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონ-თა“. სათაურის გასწვრივ არეზე ე. თაყაიშვილს მიუწერია „იხ. დ. კარიჭაშვილი,

---

[1] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 362.

[2] იქვე, გვ. 362-363.

ვინ უნდა იყოს „სუმბატის ქრონიკის“ ავტორი? „ძვ. საქ.“ ტ. 1. გვ. 36-41. ამ ნაშრომის პირველივე გვერდიდანვე მეცნიერი არსებითი ხასიათის შენიშვნებსა და განმარტებებს აკეთებს, ამასთან ასწორებს დაშვებულ შეცდომებსაც, საქმე ისაა, რომ თხზულების სათაური მოცემულია მთლიანად, სრულად: „ცხოვრება: და უწყება: ბაგრატონიანთა: ჩუენ: ქართველთა: მეფეთასა: თუ: სადათ: მოიწივნეს: ამას ქუეყანასა: იგინი: ანუ: რომლით: ჟამითგან: უპყრიეს: მათ: მეფობა: ქართლისა: რომელი: აღწერა: სუმბატ: ძემან: დავითისამან:? ექვთიმე თაყაიშვილი მიმოიხილავს რა ამ სათაურს მის ცალკეულ ნაწილებზე აკეთებს შესაბამის ინდექსებს და განმარტავს. ასე მაგალითად: „ცხოვრება და უწყება“ – პირველი ინდექსით სქოლიოში მითითებულია, რომ თეიმურაზის ვარიანტში არის „ცხოვრება და უწყებაᲐ „ბაგრატიონიანთა“-ს შესახებ გამომცემელი გვამცნობს, რომ „თეიმურაზის ვარიანტში“: „ბაგრატიონთა“ წერია. საქმე ისაა, რომ შემდეგი დაკვირვების შედეგად არ აღმოჩნდა განმარტება სწორი და ე. თაყაიშვილის „სიტყვა“ „თეიმურაზის“ ფანქრით გადაუშლია და დაუტოვებია: „ვარიანტში“ – ბაგრატიონთა როგორც ჩანს, მეცნიერს აშკარა უზუსტობა შეუმჩნევია თავის გამოცემულ წიგნის ამ გვერდზე №3 ინდექსის ქვეშ განმარტებაში. აქ განმარტებულია სათაურში მოცემულნი „თუ სადათ მოიწივნეს“ – „თეიმურაზის ვარიანტში: თუ სადით მიეწივნეს“. ე. თაყაიშვილს ეს სტრიქონი მთლიანად გადაუშლია ფანქრით და ფანქრითვე გვერდით მიუწერია: „ესეა, როგორც მარიამისაში“.

როგორც ვხედავთ, დიდი მეცნიერის შემოქმედებითი პროცესი არ სრულდება წიგნის გამოცემაზე. იგი გამოცემულზეც თავაუღებლად, ძალზედ, სკურპულოზურად მუშაობს, გამოწვლილვით კითხულობს. ადარებს და ასწორებს, ტექსტებს. ე. თაყაიშვილის მინაწერები მეცნიერის სამუშაო პროცესის ნათელი მაჩვენებელია და მიუთითებს მის მაძიებელ ბუნებაზე, მეცნიერულ კეთილსინდისიერებასა და მის მიღწეულით დაუკმაყოფილებელ ხასიათზე.

ნიშანდობლივია, რომ წიგნის 338-ე გვერდზე სქოლიოში წაშლილია ფანქრით ოთხი განმარტება და იქვე აქვს მიწერილი სწორი შეფასებები. კერძოდ ორგან შეცდომით, უზუსტოდაა მოტანილი განმარტება და მეცნიერი ასწორებს მას. აქვე მიუთითებს, რომ თეიმურაზის ვარიანტში ორი სიტყვის მაგიერ: სივნიეთს, ასპურაგანს, მერმე მიმატებულია: მოკუდა კათალიკოზი სვიმონ და დაჯდა კათალიკოზად სამოელ. შემდეგ მეცნიერს ფანქრით მიუწერია: ეს სიტყვები სტრიქონ ზევიდამ არის ჩამატებული. არშიაზე ამ სტრიქონს უწერია ხუცურად: კზ̅ი მეცხრე (კათალიკოსი მეცხე – რ. მ.).

339-ე გვერდზე, სადაც გადმოცემულია გუარამის ქართლის ერისთავად დანიშვნა, საგანგებო ნიშანი აქვს გაკეთებული და მეცნიერი განმარტავს (ზედა არშიაზე არის მინაწერი ფანქრით): „თავიდან დაწყებული აქამდის ტექსტი თეიმურაზის ვარიანტში შეწყვეტილია. თეიმურაზი აქ უმატებს სათაურს: მეოცდაათცხრამეტე გურამ კურატპალატი ქართლისა ბაგრატიონი: ეს გუარამ იყო დედით ხოსროიანი

და მამით ბაგრატოანი და ესე ბაგრატონიანი შვილისშვილნი და ნათესავნი არიან ამა გურამ კურაპალატისანი"[1].

ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ ე. თაყაიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მარიამისეული „ქართლის ცხოვრებაში" ჯუანშერის თხზულების ტექსტში გუარამი ბაგრატიონის გვარის მოუხსენიებლად იყო დასახელებული და ამის თაობაზე არეზე გააკეთა მინაწერი. ამჯერად ასევე საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება მეცნიერმა ამ პიროვნებისა და მისის მეფობის გადმოცემასთან. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ე. თაყაიშვილი უპირატესად თეიმურაზისეული „ქართლის ცხოვრების" ტექსტთან შედარების შედეგებს მიაწერს ფანქრით სხვა მხრივ, შედარება-ანალიზისა და სხვადასხვა ვარიანტებთან საფუძვლიანი შეჯერების დიდი კვალი აშკარად აჩნია გამოცემას და სწორედ ამითაა ღირებული იგი.

ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურებაა ისიც, რომ მან ვრცლად მიმოიხილა „ქართლის ცხოვრების" ის ნუსხები, რომლებიც „მეცნიერ კაცთა" კომისიის მუშაობის შედეგად იქნა მიღებული, ე. წ. ვახტანგისეული ნუსხები და დაადგინა:

მოცემულ ნუსხებს ახასიათებთ: ტექსტის დაყოფა თავებად: ძველი ტექსტის დამახინჯებული ადგილების შესწორება-შევსება; დემეტრე I-ისა და დავით V დემეტრეს ძის ისტორიის ჩართვა, ვახტანგის სახელით გადმოცემული წინასიტყვაობა; „ქართლის ცხოვრების" შევსება XIV-XVII საუკუნეთა ისტორიით.

გამოკვლევა, რომელშიც ზემოხსნებული საკითხებია მოცემული ე. თაყაიშვილმა 1906 წ. დაწერა (описание II, გვ. 34-114). იმ დროს ვახტანგ VI-ის წინადროინდელი რედაქციის მხოლოდ ერთი ნუსხა მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება" იყო ცნობილი და ამდენად „მეცნიერ კაცთა" მუშაობის შედეგების შეფასება ამ ნუსხასთან შედარებით ხდებოდა. ამასთან, რაც „ქართლის ცხოვრების" ვახტანგის შემდეგდროინდელი ნუსხებში მოიპოვებოდა და მარიამისეულ ნუსხაში არ იყო, ის მიჩნეული იყო „მეცნიერ კაცთა" მიერ შეტანილ დამატებად და შესწორებად[2]. როგორც ცნობილია, შემდეგ კიდევ სამი ნუსხა აღმოჩნდა, რომლებშიაც „ქართლის ცხოვრების" ტექსტი ვახტანგ VI-ის წინადროინდელი რედაქციითა წარმოდგენილი. ესენი ანასეული (1913 წ.) ჭალაშვილისეული (1923 წ.) და მაჩაბლისეული (1942 წ.) ნუსხები, რომელთა გამომზეურებამ ნათელი გახადა, რომ შესწორებათა და დამატებათა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე „ძველი ქართლის ცხოვრების" ნუსხებში მოიპოვებოდა და „მეცნიერი კაცების" ხელი მათ არ შეხებიათ.

დავუბრუნდეთ ექვთიმე თაყაიშვილის მარგინალიებს. 339-340-ე გვერდებზე არსებული ტექსტის („და: იყო: მას: ჟამსა: მცხეთის: კ"ზი: სამოელ: და: ამის ზე: ტფილისისა: მკჯდრთა: ეკლესიისა: გებად: იწყეს: რომლისა: ნახევარსა: ყოველი

---

[1] შდრ., სუმბატ დავითის ძე, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 374.

[2] ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 025.

ერი: აშენებდა: და: ნახევარსა: ერთი: ვინმე: დედაკაცი:“ (გასწვრივ ფანქრითაა მინაწერი: თ. (თეიმურაზი – რ. მ.) უმატებს: და ამანვე კურატპალატმანცა გაავლა ლა საფუძველი ˜ ტფილისის სიონისა: რ.˜˜ ნთესვნი მირიან მეფისა მორწმუნისაი. ყ˜ნივე ეკლესიათა მაშენებელნი იყნეს“. რა თქმა უნდა, ამ დამატებით „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის მოცემული მონაკვეთი უფრო სრულყოფილად წარმოდგება. 340-ე გვერდზე სადაც სწერია „და: ჰქუა: ჰერეკლე: მეფესა“: ე. თაყაიშვილს საჭიროდ მიაჩნია თეიმურაზის ტექსტის მოტანაც: და იქვე ფანქრით სქოლიოს ქვემოთ მიაწერს: „თ-ში (თეიმურაზისეულში – რ. მ.) ამ ოთხი სიტყვის მაგიერ: „აგინა ერეკლე მეფესა და ჰრქვა“. იქვე, სადაც ვარაზ გაგელზეა ლაპარაკი, ე. თაყაიშვილი, ფანქრით სვამს ინდექსს და სქოლიოში მოაქვს ადგილი თეიმურაზისეული ნუსხის ტექსტიდან: „წნელ სცა ჰერაკლემ ერისთავსა ვარაზს გაგელს“. ეს ამბავი მარიამისეულ ნუსხაში არაა შეტანილი. მეტად საგულისხმო მინაწერია 342 გვერდის არეზე: „სიტყვებიდან: და კათალიკოზი იყო მცხეთის ბართლომე (გ. 340) აქამდე ცალკე ტექსტი არ არის თეიმურაზისეულში მსგავსი სუმბატისა, არამედ შესულია სუმბატის და ქარ. ცხ-ბის ტექსტი ერთმანეთში, როგორც სხვა ვარიანტებში“. აქ კომენტარი ზედმეტია. იმავე გვერდზე არეზე ვკითხულობთ: „სიტყვებიდან: და დაჯდა ტფილის ცხოვრებად, აქამდე არის ჩაკერებული თეიმურაზისეულში“. ამავე არეზე კიდევაა კონკრეტული მითითებები სხვადასხვა ნუსხათა ტექსტებში არსებული სხვაობის შესახებ.

344-ე გვერდზე იქ, სადაც არაბთა შემოსევაზეა ლაპარაკი. ე. თაყაიშვილი საჭიროდ თვლის დაამატოს ტექსტი თეიმურაზისეული ვარიანტიდან „თ. (თეიმურაზი – რ. მ.) უმატებს: და მისსა შ˜ დ მოვიდა და ხალილ იზიდის ძე არაბით და დაიპყრა სომხეთი, ქართლი და ჰერეთი“). 346-ე გვერდის არეზე ე. თაყაიშვილი სხვადასხვა ტექსტების შეჯერების შედეგად მიღებულ დასკვნას გვაცნობს: „სიტყვებიდან: და იწყებს ძიებად (გვ. 242) აქამდე (ე. ი. 346-ე გვერდამდე არსებული ტექსტი – რ. მ.) შეტანილია ყველა ქარ. ც-ბის ვარიანტებში და თ-ში (თეიმურაზისეულში – რ. მ.)“. მეცნიერი იქვე მიუთითებს, რომ მოყოლებული ტექსტიდან: „და: იყუნეს: ძენი: უხუცესისა: მის: ძმისა: მათისა: აშოტის: ძისა: ადარნასესნი“: არსებული ცნობები მარტო თეიმურაზის ვარიანტშია. ამას თეიმურაზისეულ ნუსხაში წინ მიუძღვის ადარნასეს ისტორია, თუმცა სათაური ადარნასეს მეფობისა არ არის თეიმურაზისეულში. აქ, როგორც ე. თაყაიშვილი წერს, ტექსტი იწყება ფრაზის შემდეგ: „და მოკლა ადარნასე ძე იოანესი და დაიპყრა აფხაზეთი. ხოლო ჩვენ პირველსავე სიტყვასა ზედა მოვედით ღმერთმა ოდეს წარუმართა ბაგრატს აშოტ კურაპალატის ძესა ხელმწიფება მათი“ (ბრჭყალები ჩვენ შემოგვაქვს, იგი ე. თაყაიშვილს არ უწერია – რ. მ.) იქვე (346-ე გვერდის სქოლიოს ქვემოთ) ე. თაყაიშვილი აღნიშნავს: სიტყვებიდან „ხოლო რაჟამს სრულ ასაკ“ აქამდე არის თ-ს (თეიმურაზის – რ. მ.) ვარიანტში, მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ჩამატებითა და ადგილების შეცვლით (გ. 125 recto). ვფიქრობთ ამ მინაწერის მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტია. მეცნიერი თავისი დაკვირვება – შემეცნების შემდეგ გვერდებზედაც უხვად გვაწვდის თავისუფალ არეებზე მინაწერების სახით.

352-ე გვერდზე, სადაც მოცემული ფრაზა, „ესე: ბაგრატ: მეფე: იქმნა: აფხაზეთს: და: მისთჳს: გურგენს მეფეთ მეფობა“. აქ ინდექსია გაკეთებული და ეს თაყაიშვილის სქოლიოში განმარტავს: „თეიმურაზისეულ ვარიანტში უმატებს: „ეწოდა.“ მართლაც ამ სიტყვის გარეშე დაუმთავრებელია აზრი. ამ სიტყვით კი გურგენს მეფედ-მეფობა ეწოდა“ იგი ნათელია. უკვე მოგვიანებით ე. თაყაიშვილს „ეწოდოს“ წინ სქოლიოში ფანქრით ჩაუმატებია „მეფობაᲲ“, ხოლო „ეწოდოს“ შემდეგ „(137 verso).“ ამასთან „მეფედ-მეფობა“-სთვის ინდექსი (ჯვარი) დაუსვამს ფანქრით და სქოლიოშიც მიუწერია „აქ თ-ს ვარ. (თეიმურაზის ვარიანტი – რ. მ.) მიმატებულ ფურცელზე სწერს: ს ჩნ პლსვე სიტყსა ზა მოვიდეთ. ხ ბაგრტ ძე დემეტრესი და სხვა“.

ე. თაყაიშვილი 353-ე გვერდზე ფრაზასთან: „მოისრნეს: ყოველნი: სიკუდილითა: პატიმრობასა: შინა“: ფანქრით ჯვარსა სვამსა და სქოლიოს ქვემოთ ფანქრითვე აკეთებს წარწერას „თ. (თეიმურაზისეული) აქ უმატებს: ხ ჩნ პლსავე სიტყვასა ზა მოვიდეთ რ. ჟს კდ მოვიდა ყითა სპითა და თსითა“. „მეცნიერის ყველა შენიშვნა არსებითი ხასიათისაა და მათი გათვალისწინების საჭიროება უდავოა. ჩვენ უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ბევრი რამ ე. თაყაიშვილისაგან დამოუკიდებლად შესწავლილ-შეჯერებული აქვს ს. ყაუხჩიშვილს და „ქართლის ცხოვრების“ აკადემიურ გამოცემაში გათვალისწინებულია. ამასთან მიგვაჩნია, რომ ე. თაყაიშვილის მარგინალები დეტალურადაა შესწავლილი. ეს კიდევ ბევრს სიახლეს შეიტანს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის ცოდნაში. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მეცნიერის მინაწერები მნიშვნელოვანწილად ამდიდრებენ მისსავე გამოცემულ მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებას“.

მოვიტანთ კიდევ ე. თაყაიშვილისეულ ორიოდე მარგინალიას. 356-ე გვერდზე, ფრაზის, „ხოლო: ღმერთმან: ბასილის: დიდად: შეშინებულსავე: პატივ სცა:“ შემდეგ მეცნიერი სათანადო ნიშანს სვამს და არეზე ფანქრით მინაწერში გვაუწყებს, რომ აქ თეიმურაზისეულ ნუსხაში ჩამატებულია: „და მოკლა წარვიზი ქსიფე და გადგეს რნი მირთულ იყნეს. ხ. ქსიფეს მიეგო ცრუობა წარვაზისა რ. შეიტყუეს ციხესა ყნივე ერთნი მისად მომდგომელნი შეიცვეს ციხესა შა და ილასანოსთა სისლისთს ფოკას ძისა“. ამავე გვერდზე გიორგი I-ისა და ბასილი კეისრის კონფლიქტის ამბავია მოთხრობილი და კერძოდ აღნიშნულია „... ხოლო: თვით: გიორგი: მეფე: უკანა: ისრე: განვიდა: ზავად: წადური: ლაშქრითა: დიდითა: და ძლიერითა: გარნა: ორკერძოვე: მზაკუარნი: იგი: აზნაურნი: არა: მიეშურნეს: გიორგის: ყოვად: ზვისა:“ სიტყვა „ძლიერითა“-სთან ე. თაყაიშვილს ფანქრით ინდექსი აქვს დანიშნული, არეზე კი წერს: „უმ. (თეიმურაზისეული უმატებს – რ. მ.): და განიზრახვიდა ესრეთ უკეთუ ინებოს ზავი ბასილი მეფემან იქმნას ასრეთ. და უკეთ ინებოს ომი განვემზადნეთ მისთს. ხ რ მელთა არაᲲ უნდა ყოფად მშვიდობისა იწყეს განმზადებად ბრძოლად“.

ე. თაყაიშვილს მეტად საინტერესო დაკვირვებები აქვს მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთა-

ნის“ ტექსტზეც. იგი აჯერებს მას ვახტანგისეულ ნუსხასთან, წარმოაჩენს დამთხვევებს თუ განსხვავებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

469-ე გვერდზე შამქორის ბრძოლის შეფასებაა მოთხრობილი. ფრაზასთან „მოვიდეს: შანქურელნი: და: მოართვეს: კლიტენი“: ე. თაყაიშვილი შენიშნავს, რომ აქ თეიმურაზის ვარიანტი უმატებს: „აღება შანქურისა და წინა მოგებებს ვედრებით განსჯილთა“. მეცნიერს მიაჩნია (ეს მსჯელობა ფანქრითაა დაწერილი), რომ ეს ან სათაურად ყოფილა, ან არშიაზე წერებულა შენიშვნად და გადამწერს ტექსტში შეუტანია, ანალოგიური შენიშვნაა გაკეთებული 481-ე გვერდზე. აქ ზაქარია და ივანე მხარგრძელთა შესახებაა მოთხრობილი. ე. თაყაიშვილი შენიშნავს, რომ აქ თეიმურაზის ვარიანტში მიმატებულია: ამირ სპასალარისა და იე მსახურთუხუცესი და იე კახის შესარჩლება (ფ. 232) და ფიქრობს, რომ ეს ან სათაური ყოფილა, ან არშიაზე იქნებოდა შენიშვნა და გადამწერს ტექსტში შემოუტანია. იოანე კახელი ყოფილა.

ექვთიმე თაყაიშვილის ხელი ნაკლებად ატყვია ჟამთააღმწერელის თხზულებას. მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილია დამატებები დამატება I – აპოკრითიული მოთხრობანი, რომელნიც წინ მიუძღვიან მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრების ხელნაწერს; დამატება II – გაგრძელებანი ქართლის ცხოვრებისა; დამატება III – ვარიანტები თეიმურაზის ქართლის ცხოვრების ტექსტისა მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრების ტექსტიდან. აქედან მარგინალიების თვალსაზრისით გამორჩეულია მეორე დამატება: ქართლის ცხოვრების გაგრძელებანი. ეს გაგრძელებები, როგორც ე. თაყაიშვილი გვაუწყებს: „იბეჭდება მეგრელიის ვარიანტის მიხედვით. უმეტეს შემთხვევაში თავისივე ნიშნებით. რაც მეგრელიის ვარიანტს აკლია ბოლოში, ვავსებთ ბარათაშვილის ვარიანტიდან“. (გვ. 850). ამასთან სქოლიოებში ნაჩვენებია ის სხვაობანი, რაც ბარათაშვილისეულ ხელნაწერსა და ბროსეს გამოცემაშია. წარწერები ე. თაყაიშვილის ხელით მელნითაა შესრულებული. 855-ე გვერდზე იქ, სადაც ნათქვამია: „აღესრულა დავით და დაჯდა მის წილ ძე მისი გიორგი“ მეცნიერს ნიშანი დაუსვამს ქვემოთ და მიუწერია „თავიდან აქამდე სრულებით არ არის ჯანაშვილის ხელნაწერში“. იმავე გვერდზე, სადაც წერია „დღესა ერთსა შეკრბეს ვანად მისსა, მიუვლინდეს და ეტყოდეს“, ე. თაყაიშვილი აკეთებს შენიშვნას, რომ აქედან აკლია ჯანაშვილის ხელნაწერს. აქ შემდგომაცაა მითითებული ტექსტები, რომლებიც აკლია ჯანაშვილისეულ ნუსხას (გვ. 857). 887-ე გვერდზე აღნიშნულია: „ოდეს ლანგთემური მოვიდა, და მაშინ შეინახეს დიდოეთს ძე ბაგრატისა ძმა და გიორგისა დავით, (ლაპარაკია XIV საუკუნის მიწურულში თემურ-ლენგის შემოსევების დროს ბაგრატ მეფის ძის დავითის შესახებ. – რ. მ.). ე. თაყაიშვილს მელნით გაუკეთებია ჩამატების ნიშანი და სქოლიოს ქვემოთ მიუწერია: „ჯან ვარ-ში (ჯანაშვილისეულ ვარიანტში – რ. მ): და ხანსა რაოდენსამე მოკუდა მეფე გიორგი და დაჯდა მის წილ ძე მისი დავით ქრისტეს აქეთ: ჩტნე:“

ე. თაყაიშვილს არც „ქართლის ცხოვრების“ მეორე გაგრძელება („სახელითა ღ ისათა: აწ ვიწყოთ ცხოვრება ბაგრატიონთა მეფობისა“) დაუტოვებია უყურ-

ადღებოდ. ეს ტექსტიც შეუდარებია მეცნიერს ჯანაშვილისეული ნუსხისთვის ძირითადად და შემჩნეული სხვაობანი, რაც მიზანშეწონილად მიუჩნევია, მელნით მიუწერია. ის ჩამატებები, რასაც ე. თაყაიშვილი აკეთებს არსებითია და ავსებს „ქართლის ცხოვრების" ტექსტს. 895-ე გვერდზე მოთხრობილია: „და მოვიდა კონსტანტინე თათართათ ყაენისაგან შეწყალებული: მას უკანის მძლეექმნა სულთანსა იაღუბს, დაიპყრა პატრონობა". ე. თაყაიშვილი მიაწერს რომ ეს ამბავი არ არის ჯანაშვილისეულ ნუსხაში. ამ უკანასკნელში ასეა: „ხოლო შემდგომად გარდაცვალებისა ბაგრატისა: დაჯდა მის წილ ძე მისი კონსტანტინე ქრისტეს აქეთ ჩყთა: ამას ჟამში იყო კათალიკოზი დავით". 903-ე გვერდზე ისევ ჯანაშვილისეული ნუსხიდან მოაქვს მეცნიერს ტექსტი: „ეს მეფე კონსტანტინე იყო ძე ბაგრატისი; და იმეფა ამანცა კეთილად, ვა ცხოვრება მისი მოგვითხრობს და მოკუდა კონსტანტინე მეფე ქრისტეს აქეთ: ჩყდ: და დაჯდა ძმა მისი ალექსანდრე: ქრისტეს აქეთ ჩყ: და მას ჟამსა იყო კ ზი დავით და მოკუდა: და დაჯდა ნიკოლოზ".

ერთი ფრიად საგულისხმო მარგინალია გაუკეთებია მეცნიერს 962-ე გვერდზე. იქ სადაც მოთხრობილია მანუჩარ დადიანისა და მისი ძმის ლეონის შესახებ, ფრაზის „ამას ჟამსა შინა მოკუდა ცოლი დადიანისა ნესტან დარეჯან. და შეირთო ასული ათაბაგისა თამარ". შემდეგ, როგორც ე. თაყაიშვილი სქოლიოში მიუთითებს, ბარათაშვილის ვარიანტში ცარიელი ადგილია დატოვებული, არეზე კი მეცნიერი მიაწერს: აქ უნდა თავდებოდეს დედანი მესხური დავითნისა".

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაკვირვება-შენიშვნების მეტ მაგალითს აღარ მოვიტანთ. ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული საკმარისია იმისათვის, რომ სრულად წარმოვიდგინოთ დიდი მეცნიერის მუშაობის ფართო მასშტაბები წყაროთმცოდნეობაში, მისი ფართო ერუდიცია, სიღრმე, სიფრთხილე აზრის გამოთქმისას. მის მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრების" მარიამ დედოფლის ვარიანტის ჩვენს ხელთ არსებული ეგზემპლარი გამომცემლის მიერ წაკითხულია უდიდესი გულისყურით, კრიტიკულად, ჩანს, რომ მეცნიერი მასზე მუშაობას კვლავ აგრძელებდა. ე. თაყაიშვილის მარგინალიები მრავალმხრივია: ეხებიან წიგნის შინაარსობრივ მხარეს, ამდიდრებენ მასალებით სხვადასხვა ნუსხებიდან, ზოგ შენიშვნას უარყოფენ (უზუსტობა გამოვლენილია შემდგომი შესწავლა-დაკვირვებისა და სხვა ტექსტებთან შეჯერების შედეგად). ზოგს აზუსტებენ, აქცენტს აკეთებენ სხვადასხვა მოვლენებზე. ერთი სიტყვით ე. თაყაიშვილის ამ მინაწერებს არსებითი მნიშვნელობა აქვს და დიდი მეცნიერის შემოქმედებით ცხოვრებაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ, წარმოაჩენენ მას, როგორც დიდ პიროვნებას, საკუთარი თავისადმი კრიტიკულსა და მეტის მომთხოვნს.

ექვთიმე თაყაიშვილის მოწამეობრივი ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი მოქალაქეობრივი გმირობა, საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია, დღესდღეობით სათანადოდაა დაფასებული დიდი მეცნიერის ღვაწლი, მის მეცნიერულ ნაშრომებს თუ საზოგადოებრივ საქმიანობას ფართოდ ეცნობა ჩვენი ხალხი. წინამდებარე ნარკვევში მოტანილი მასალა ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს ექვთიმე თაყაიშვილის დიდ მეცნიერულ ღირსება-თვისებებს და მიგვაჩნია, რომ მის შეს-

ახებ არც ერთი უმნიშვნელო ფაქტი თუ მოვლენა შეუსწავლელ-გამოუმზეურებელი არ უნდა დარჩეს. მარგინალიები, შეიძლება ითქვას, წიგნის არეებზე გაკეთებული უბრალო წარწერებია, მაგრამ როცა დიდი მეცნიერისა და მოღვაწის ხელიდანაა გამოსული მას განუზომელი მნიშვნელობა აქვს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზოგიერთი ქართული დიპლომატიური ტერმინის შესახებ (მოციქული, დესპანი, ელჩი)

ქართული დიპლომატია მრავალ საუკუნეს მოითვლის. დიპლომატიური ურთიერთობები ბუნებრივია, ჩვენს წინაპრებს უხსოვარი დროიდან ჰქონდათ. განსაკუთრებით განვითარდა ეს ურთიერთობები, დაწყებული ამ ორიათას ექვსასი – ორიათას ოთხასი წლის წინ, როცა საფუძველი ჩაეყარა ქართულ სახელმწიფოებს.

ჩვენი მიზანია წარმოვადგინოთ ქართულ წყაროებში დაცული ზოგიერთი დიპლომატიური ტერმინი, რომელიც დიპლომატიური შუამავლის შინაარსს შეიცავს. ესენია: **მოციქული, დესპანი, ელჩი.** ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოციქული ასეა განმარტებული: 1. ვინმესთან რაიმე დავალებით გაგზავნილი (მიგზავნილი) პირი, – შუამავალი. 2. ისტ. ელჩი, დესპანი. 3. სახარების მიხედვით – იესო ქრისტეს თითოეული თორმეტ მოწაფეთაგანი, რომლებიც მის მოძღვრებას ავრცელებდნენ.[1] სულხან-საბა ორბელიანი ტერმინ მოციქულის ასეთ განმარტებას გვთავაზობს: „ესე არს ღთისა მიერ მოვლინებული შჯულის მასწავლებლად; **დესპანი** არის მეფისაგან მეფესთან მიგზავნილი მოციქულად საქმესა რასამე ზედა; **ომირა** არის დესპანი ხანგრძლივად მყოფი. მომთხრობელი და მოვლინებული არს კაცმან ვინმე ამხანაგსა ანუ უაღრესსა მიუგზავნოს საქმესა რასამე ზედა".[2] იქვე საბა მეორე განმარტებასაც იძლევა: „მოციქული არს, რომელმან მიავლინოს კაცი ვისთანმე დასაზავებლად, ხოლო დესპანი მსგავსი მოციქულისა".

სიტყვა „დესპანი" – (դեսպան < dēspan) ქართულსა და სომხურში იდენტური ფორმითაა წარმოდგენილი. იმის გამო, რომ ქართულსა და სომხურს ერთგვაროვანი ფონეტიკური სისტემა აქვს, დაბეჯითებით თქმა იმისა, თუ რა გზით მემოვიდა ეს ტერმინი (მაგალითად: უშუალოდ თუ სომხურის მეშვეობით), ძნელია.[3] ქართულ წყაროებში ტერმინი ზოგჯერ „დიასპანის" სახით გვხვდება. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი" განმარტავს:

---

[1] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, V, თბ., 1958, სვ. 1049.

[2] ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1966, გვ. 510.

[3] მზ. ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966, გვ. 168.

„დესპანი“:

1. ერთი სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენელი მეორეში, ელჩზე მცირე რანგისა. 2. ისტ. ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეში წარგზავნილი საგანგებო პირი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალებით – ელჩი“.[1]

იგივე ლექსიკონი ასე გაგვიმარტავს ტერმინ ელჩს: „1. ერთი სახელმწიფოს უმაღლესი რანგის მუდმივი წარმომადგენელი მეორეში. 2. ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეში წარგზავნილი პირი დიპლომატიური დავალებით, – “დესპანი“.[2]

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ეყრდნობა როგორც თანამედროვე, ისე ფართო ისტორიულ მასალას და ამიტომაც მასში ელჩისა და დესპანის თითქმის იდენტური შინაარსის ცნებებად წარმოდგენა სრულიად მართებულია. ამას ადასტურებს ის უხვი მასალა, რომელიც ქართულ წყაროებში მოიპოვება. საბას მიხედვით „ელჩი თურქთა ენაა, ქართულად დესპანს ომირა „ჰქვიან“.[3]

დღესდღეობით ელჩი (თურქული elçi) უმაღლესი კლასის დიპლომატიურ წარმომადგენელს აღნიშნავს. ამასთან, ესაა უმაღლესი დიპლომატიური რანგი, რომელიც ენიჭება საგარეო ურთიერთობის უწყების მაღალი თანამდებობის პირს. ფაქტობრივად დესპანიც ერთი სახელმწიფოს წარმომადგენელია მეორეში, ამასთან, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ელჩზე მცირე რანგისა.

ისტორიულად, როგორც ჩანს, ეს ტერმინები ერთმანეთის ბადალი იყო. წყაროებში ერთდროულად, თითქმის ერთი და იმავე მნიშვნელობით გვხვდება მოციქული, დესპანი და ელჩი. აი ზოგიერთი მაგალითი ჯუანშერის თხზულებიდან:

„... და წარვიდა პეტრე კეისრისა, ხოლო სამოელ დადგა წინაშე მეფისა. ხოლო ხვალისა დღე მოვიდა რეცა **დიასპანი** და უქადაგა მეფესა. ვითარმედ სპანი ბერძენთანი შემოვიდეს კონსტანტინეპოლედ“.[4]

ან

„და წარსცა იგი **დიასპანთა,** და მის თანა კბილი მისი, და შეუთვალა, რათა კათალიკოსი და თორმეტნი ეპისკოპოსნი სწრაფით წარმოავლინენ“.[5]

აქვე დესპანები მოციქულებად არიან მოხსენიებულნი:

„... და რაჟამს მოვიდეს **მოციქულნი** ვახტანგისნი წინაშე კეისრისა და უთხრეს...“[6]

ან

„... ვიდრე პეტრე და **მოციქულნი** მოვიდოდეს ვახტანგისსა, კეისარი შემოვიდა...“[7]

---

[1] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, თბ., 1953, სვ. 1151.
[2] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, III, თბ., 1953, სვ. 1339.
[3] ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1966, გვ. 234.
[4] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება. I, თბ., 1955, გვ. 197.
[5] იქვე.
[6] იქვე.
[7] იქვე, გვ. 171.

ან

„... ვითარცა მიიწივნეს მოციქულნი ვახტანგ მეფისანი ქალაქად, მოართუეს ძღუენი“...[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშანდობლივია, რომ ეს ტერმინები საქართველოს ისტორიის მთელ სიგრძეზე ჩანს. ამასთან საგულისხმოა, რომ თამარის პირველი ისტორიკოსის „მოციქული“[2] ვახუშტი ბაგრატიონისათვის „დესპანია“. ე. ი. ამ ტერმინთა იდენტურობა საკმაოდ დიდხანს, საუკუნეების მანძილზე ჩანს. ასე მაგალითად: „და ვითარ მოვიდა **მოციქული** და შეიყვანეს მეფეს თანა თამარისა წინაშე, წიგნი მისცა და წარდგა...“[3]

იგივე ეპიზოდი ვახუშტისთან ასეა:

„ხოლო მოიწია დესპანი იგი და წარმოდგა წინაშე თამარისა მკადრე...“[4]

ასევე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მიხედვით, ზაქარია მხარგრძელმა მიმართა რუკნადინის წარმოგზავნილს:

„თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა აღმოკვეთა იყო შენი სამართალი და მერმედა თავისა კადნიერად კადრებისათვის“.[5]

ვახუშტი ბაგრატიონი იგივე ამბავს ასე გადმოგვცემს:

„...რქუა: „ჯერ იყო სიკვდილი შენი, არამედ – **დესპანთა** არა ჴამს...“[6]

ტერმინი „ელჩი“ დესპანსა და მოციქულზე გვიან შემოდის ფართო ხმარებაში. XIII საუკუნიდან ელჩი დესპანისა და მოციქულის პარალელურად, იგივე შინაარსის აღმნიშვნელად იხმარება.

ხოლო მეფე დავით მთიულეთს დგა, და წარავლინა ძმა თჳსი ურწამესი ვახტანგ **ელჩად** წინაშე დიდისა ბათოს შვილის შვილისა ყაენისა...“[7]

ერთი მაგალითიც:

„და ამას შინა მოვიდა ლანგ-თემურისა თანა **ელჩი** ფრანგისა, და მოართვეს ძღვენი სახელმწიფო“.

ან

„... წარმოავლინა ელჩი დიდმან ყაენმან“...[8]

„ელჩი“ და მასთან ერთად „მოციქული“ და „დესპანი“ ფართოდ გვხვდება გვიან შუასაუკუნეებში. წყაროებმა შემოგვინახეს თვით დიპლომატიური მისიის აღსრულების პროცესის ამსახველი ტერმინებიც: **„დესპანობა“, „მოციქულობა“, „ელჩობა“.**

აი, მაგალითები:

---

[1] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება. I, თბ., 1955, გვ. 172.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 94.

[3] ...ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 186.

[4] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 94.

[5] იხ. ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 186.

[6] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 302.

[7] იქვე, გვ. 465.

[8] იქვე, გვ. 229.

„მაშინ მოვიდნენ ორნი ძენი სომეხთა მეფისანი და სუმბატიცა თრიალეთს და ჰყვეს **მოციქულობა,** შემდგომად ზავჰყვეს“.[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ელჩობა, მოციქულობა, სიტყვისა სწორად დასწავლა,
სხვადასხვა არის ესენი, მე ასე ვინმემ მასწავლა“.

(არჩილი)

იოანე ბაგრატიონის „კალმასობაში“ ასეთი ადგილია: „გარსევანმა უთხრა დიაკვანს – შენ რომ **ელჩობას** მიწუნებ, ვის გაგზავნიდნენ ჩემზედ უკეთეს ელჩს მეფენი?“

როგორც ჩანს, ფართოდ იხმარებოდა ტერმინი **ელჩობა-დესპანობა** და **ელჩი-დესპანი.**

დიპლომატიურ პირთა მისია ძირითადად სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის მოწესრიგებას ან ცალკე კონკრეტული საკითხის გადაწყვეტას ისახავდა მიზნად. დიპლომატიის წარმატება მშვიდობის დამყარება იყო. „და ვიდოდა კეისარსა და გიორგის შორის დესპანი მშვიდობისათვის“,[2] ან „ხოლო მეფე იდგა ტაშირს და დესპანი სულტნისა მშვიდობისათვის წინაშე იყო მეფისა თანა“.[3] ამგვარად, დიპლომატისათვის (მოციქული, დესპანი, ელჩი) ძირითადი იყო ზრუნვა **მშვიდობისათვის.** მათი მეოხებით ხდება ზავის დადება. „და აღდგეს მათ შორის მოციქულნი და დაიზავნეს...“[4] ან „მეფენი ოვსთანი შევლტოლვილ იყვნეს სიმაგრეთა კავკასისათა. აღდგეს მათ შორის მოციქულნი და დაიზავნეს“.[5]

ხშირად მოციქული დინასტიურ ქორწინებებში შუამავლის როლს თამაშობს: „ამათ მოგზავნეს დესპანი და მოითხოვეს ასული თამარისა“.[6] ანალოგიურ ფაქტთან გვაქვს საქმე „კალმასობაში“: „და მაშინ წარმოუვლინა დესპანი ლუარსაბ მეფესა და სთხოვა ცოლად დაი თჳსი (კალმასობა, II, გვ. 92).

დიპლომატიურ მისიას ძირითადად საგანგებოდ განსწავლული და ხელისუფლების უმაღლესი ნდობით აღჭურვილი პირები მეთავეობდნენ. ისინი გვარიშვილობითა და წარმომავლობითაც საზოგადოების მაღალ წრეს ეკუთვნოდნენ. გამონაკლის შემთხვევაში დიპლომატიურ მისიას თვით მეფეებიც უდგებოდნენ სათავეში. ასე მაგალითად:

„... მოიპოვა ღონე რამე მეფემან სჳმონ, და მოირთო ელჩად თჳთ“. [ახალი ქართლის ცხოვრება (III ტექსტი), გვ. 530]. გარკვეულ შემთხვევაში, როცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მისია იყო შესასრულებელი, მეფეები უახლოეს ნათესავებს (ძმა, შვილი) გზავნიდნენ. „ხოლო მეფე დავით მთიულეთს დგა, და წარა-

---

[1] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოისა, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 65.
[2] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 143.
[3] იქვე, გვ. 168.
[4] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 49.
[5] იქვე, გვ. 157.
[6] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 181.

ვლინა ძმა თჳსი ურწამესი ვახტანგ ელჩად...“[1] აქ ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს დავით ულუს მიერ ვახტანგის (უმცროსი ძმის) ელჩად გაგზავნას ყაენის კარზე.

ბასილი ეზოსმოძღვარი გადმოგვცემს რა თამარის სახლობის საკითხთან დაკავშირებულ ამბებს, ხაზს უსვამს, რომ ეს საქმე „ვერა კეთილად განაგეს“.[2] იგი არ მალავს უკმაყოფილებას სასიძოს ჩამოსაყვანად გაგზავნილი მოციქულის უღირსობის გამო (მხედველობაშია თბილისელი დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი): „რამეთუ არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს“, ამასთან „არცა მისსა მეცნიერ იყვნეს, რომელსა იგი მოიყვანებდეს“.[3]

ზანქან ზორაბაბელის იური უფლისწულთან გაგზავნის მეტად საინტერესო ინტერპრეტაცია აქვს მოცემული გერმანელ მეცნიერს ფ. ჰოლდაკს. მან იცის ქართველი მემატიანის მოსაზრება გაგზავნილი მოციქულის „უღირს პირად“ მიჩნევის შესახებ. გერმანელი მეცნიერი რამდენადმე ეთანხმება თამარის მეორე ისტორიკოსს, რომელიც მეტად საპატიო მისიის აღმასრულებელს ამ საქმისათვის შეუფერებლად მიიჩნევს. თუმცა თვლის, რომ საქართველოს სახელმწიფო დარბაზის, დიდებულების მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი წინასწარგანზრახული და საგანგებოდ მოფიქრებული იყო.[4] ფ. ჰოლდაკი ფიქრობს, რომ თუკი ზანქან ზორაბაბელი შერჩეული იყო როგორც გზისა და საქმროს ადგილსამყოფელის მცოდნე, ეს ვერაფერი ბედენაა, რადგან ამ შემთხვევაში მასზე მეგზურის მოვალეობის დაკისრება უფრო მართებული იქნებოდა, ვიდრე მისიის მეთაურისა. გერმანელ მეცნიერს საქმის ვითარება ისე აქვს წარმოდგენილი, რომ დიდებულების მიერ მიღებული გადაწყვეტილება (თამარ მეფისათვის იური ანდრიას ძის შერთვის შესახებ) უცნობი იყო როგორც საქართველოს მეფის, ისე იური უფლისწულისთვისაც. ამიტომ მოსალოდნელი მარცხის შემთხვევაში (ეს ჰოლდაკის მიხედვით, გამორიცხულად არ მიაჩნდათ დიდებულებს), სახელმწიფო დარბაზის წევრები, როგორც იტყვიან, ხელს დაიბანდნენ. რაკი ფ. ჰოლდაკი ასეთ შეფასებას აძლევდა თამარის სახლობასთან დაკავშირებულ საქმის ვითარებას, ის რთული სიტუაცია, რომელიც ამ პერიოდში სახელმწიფოს სამეფო კარზე შეიქმნა, მეცნიერს მისი აზრით, აძლევდა უფლებას განეცხადებინა, რომ „საქართველოს სამეფო კარზე დიპლომატიური ცბიერება მაღალ საფეხურზე იდგა“.[5] ვფიქრობთ, გერმანელ მეცნიერს საგულისხმო მოსაზრება აქვს გამოთქმული.

ჩვენი წყაროები საგანგებოდ მიუთითებენ, რომ დიპლომატიური პირი თავისი მაღალი თვისებებით, წარმომავლობით, ქვეყნის ერთგულებით, მაღალი ღირსებით უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს. დიპლომატიურ მისიას მხოლოდ საიმედო, სანდო პირი (persona grata) ასრულებს.

აი რას გვაუწყებს ერთი დოკუმენტი:

---

[1] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 302.

[2] ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 119.

[3] იქვე.

[4] Felix Holldack, Von der Sage und dem Reich der grusinischen Königin Tamara, Leipzig, 1906. გვ. 60.

[5] Die diplomatische Rankenkunst am georgischen Hofe sich jedenfalls auf einer sehr hohen Stufe befand.

„ქ. რომლის საქმიდამ და პატივიდამ ჩამოაგდონ სჯულიერი რიგიდამ გასული კაცი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგება სიტყუისა: იმისთანა კაცი არ გაიგზავნოს მოციქულად, არც მიიღონ მასზე კურთხევა მღდლობისა, არც ყონ სამსახურად ხელმწიფისა, არც აქნევინონ სამართალი“.[1]

როგორც ვხედავთ, ძველმა ქართულმა სახელმწიფო სამართალმა იცის დიპლომატიურად არასაიმედო პირი, რომელსაც ეკრძალება სამოციქულო (დიპლომატიური) საქმიანობა, ამასთან, სხვა სახელმწიფოებრივ საქმეებზეც აღარ მიუწვდება ხელი. ე. ი. „საქმიდამ და პატივიდამ“ გასული კაცი სახელმწიფოსათვის არასაიმედო (persona non grata) პირია. მას ხელმწიფის სამსახური იურისდიქციით ეკრძალება.

ქართულმა წყაროებმა შემოგვინახა ცნობები, რომლებიც აშკარად მიანიშნებენ მაღალი რანგის დიპლომატიური პირის (მოციქული, დესპანი, ელჩი) ხელშეუხებლობაზე, მის იმუნიტეტზე.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ გადმოგვცემს, რომ როცა სულთან რუკნადინის მოციქულმა კადნიერი წერილი გადასცა საქართველოს მეფეს – თამარს და არასაკადრებელი სიტყვებით მიმართა მას, ამირსპასალარმა ზაქარია მხარგრძელმა გაარტყა და გონდაკარგული ელჩი ძირს დავარდა. ამით მხარგრძელმა ელჩის იმუნიტეტი დაარღვია. ეს თვითონაც კარგად ესმოდა მას, როცა მოსულიერებულ და ფეხზე წამომდგარ იმავე პირს მიმართა: „თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა აღმოკვეთა იყო შენი სამართალი და მერმედა თავისა, კადნიერად კადრებისათვის“. აქ ნათლად ჩანს, რომ საქართველში ელჩის სტატუსი კარგად იციან. მეფის მიმართ „კადნიერად კადრებისათვის“ განსაზღვრული სასჯელის ნაცვლად, სამეფო კარი „მსუბუქი“ ფიზიკური შეურაცხყოფით შემოიფარგლა.

„... დაცულ ჰყოფს საქმეთა შინა მყოფთა და სხვათაც, რათა არა ერთის ხელმწიფის ანუ მეფის, გინა სხვისა საზოგადოებისა წარმოვლენისა დესპანისა ანუ ელჩისა არავინ ექმნეს განმარისხებელი“ – იოანე ბატონიშვილის ეს სიტყვებიც დიპლომატიური პირის ხელშეუხებლობის პრეზუმფციაზე მეტყველებს.

ამგვარად, ნათლად ჩანს, რომ საუკუნეების მთელს სიგრძეზე ქართული საზოგადოებრივი მენტალიტეტი მოწინავე ქვეყნების მენტალობის დონეზე იდგა.

ხელშეუხებლობასთან ერთად ელჩს გარკვეული უფლებები ჰქონდა მინიჭებული. ქართული სახელმწიფოებრივი სამართალი განსაზღვრავდა ელჩის ზოგიერთ უფლებრივ მხარეს:

„ქ. უკეთუ ელჩი ვინმე მოვიდეს, უცხო ნათესავი, და იმათ თავის ქუეყნიდამ საქონელი მოყუესთ, იმათ ბაჟი უნდა გამოართვან. და იმ ალაგს თუ რამ იყიდონ და წაიღონ, იმაზე ბაჟი არ აიღება“.[2]

---

[1] სამართალი სომხური, თავი 69, ქართული სამართლის ძეგლები. I, თბ., 1963, გვ. 246.

[2] სამართალი ბერძნული, მუხლი 275, ქართული სამართლის ძეგლები. I, თბ., 1965, გვ. 191.

ეს სამართლებრივი ნორმაც ქვეყნის ცივილიზებულობის მაჩვენებელია და უცხოელებთან ურთიერთობის მოგვარების მნიშვნელოვან მომენტზე მიუთითებს.

დიპლომატიური პირები ფლობდნენ სხვადასხვა ენებს, კონკრეტულად იმ ქვეყნისას, რომელთანაც ურთიერთობა უხდებოდათ. „ფრანციცული და თათრული ენაი ფრიად საჭირო არს მოგზაურთა კაცებთა, ელჩებთა და ვაჭართათვის"... (ი. ბაგრატიონი, კალმასობა, გვ. 233).

როგორც ჩანს, დიპლომატებს გარკვეული ინსტრუქტაჟი უტარდებოდათ, პარტნიორთან წარსადგენად ეძლეოდათ „აზრი-მოხსენებანი", რომლებიც თანამედროვე ნოტის ფუნქციას ასრულებდა. ასეთია, მაგალითად, „წელსა ჩღჟთ, სეკდემბრის ზ. ჩვენ მიერ (გიორგი XII – რ. მ.) მოცემულნი წინაშე მათის იმპერატორის დიდებულების წასაყენებელნი აზრი-**მოხსენებანი,** რომელნიცა ჩვენგან წარვლინებულთა, ჩვენს ერთგულ ყმათ, უფალთ დესპანთ მოგეცით".

საქართველოში იციან, რომ ევროპაში „ჩვეულება არს დესპანთაგან თვისთა მეუღლეთა თანა წარყვანა" (კალმასობა, I, გვ. 29). ე. ი. ამა თუ იმ მისიის შესრულებისას ევროპელ ელჩებს მეუღლეებიც ახლდათ. სავარაუდოა, რომ XVIII საუკუნეში ცალკეულ შემთხვევაში ქართველი ელჩებიც იგივეს აკეთებენ.

როგორც ვხედავთ, ტერმინები მოციქული||დესპანი||ელჩი საქართველოში ფართოდ იხმარებოდა დიპლომატიური პირის აღმნიშვნელად, მოციქული ზოგადი ტერმინიც იყო და საერთოდ შუამავალს აღნიშნავდა. ამ ტერმინმა საბოლოოდ სწორედ ეს მნიშვნელობა (ასევე დარჩა ქრისტეს მოძღვრების გამავრცელებელი თითოეული თორმეტი მოწაფეთაგანის აღმნიშვნელადაც) დაიმკვიდრა, დიპლომატიურ ტერმინებად კი „ელჩი" და „დესპანი" შემოგვრჩა. ეს ორი ისტორიული ტერმინი დღეს თავისი კონკრეტული, განსაზღვრული ფუნქციური შინაარსით ფართოდაა შესული ქართულ დიპლომატიურ ტერმინოლოგიაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის I მეოთხედში

დავით აღმაშენებლის დიპლომატია

დავით აღმაშენებლის პოლიტიკაში უდიდესი ადგილი ეკავა დიპლომატიას. იგი თავად უშუალოდ ახორციელებდა დიპლომატიურ მისიებს სხვადასხვა სახელმწიფოს მეთაურებთან. ატარებდა აქტიურ დიპლომატიურ პოლიტიკას. დავით აღმაშენებლის მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკური ღონისძიებები ფაქტობრივად ახალი დიპლომატიის დამკვიდრებას მოასწავებდა.

დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა სამხედრო საქმიანობით, ომებითაა აღსავსე. ის დიდი გამარჯვებები, რომელსაც ქართული ლაშქარი აღწევდა დავით აღმაშენებლის მეთაურობით, რამდენადმე აფერმკრთალებდა დიპლომატიის როლს. ომში ხმალი წყვეტდა საქმეს, დიპლომატიის მიღწევები კი მორალურ, ფსიქოლოგიურ და პოლიტიკურ ზემოქმედებას ახდენდა პარტნიორებსა და მოწინააღმდეგეებზე.

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობები XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის პირველ მეოთხედში მეტად ფართო იყო. იგი ეფუძნებოდა სხვა ქვეყნებთან პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური დაახლოებისკენ სწრაფვას.

ა) საქართველო და ჩრდილოეთის მეზობლები

დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკურ თვალსაწიერში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჩრდილოეთის ქვეყნებსა და ხალხებს, ამიტომ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მათთან ურთიერთობა ინტენსიურად წარიმართა. ჩრდილო კავკასიის ხალხებში დავით აღმაშენებელი ხედავდა მნიშვნელოვან ძალას, რომელსაც თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლასა და ამიერკავკასიის ხალხთა კონსოლიდაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლო.

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის სათავე უხსოვარ დროშია ჩაკარგული. ამ ორი ძველი ხალხის ნაცნობობა სულ ცოტა ათ საუკუნეს მაინც მოითვლის, X-XI სს-ში რუსეთი აღმოსავლეთი ევროპის მსხვილ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ IX საუკუნის შუა ხანებიდან კიევის რუსეთი აღმოსავლეთი ევროპისა და მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ მოვლენათა ორბიტაში მოექცა. ბიზანტიის იმპერია ყოველმხრივ ცდილობდა, წინააღმდეგობა

გაეწია ახალი, წინმიმავალი სახელმწიფოს გაძლიერებისათვის, თანაც მის თვალსაწიერში (განსაკუთრებით არაბებისაგან შევიწროების შემდეგ) განსაკუთრებული ფასი დაედო შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე მიწებს.

ბიბლიოთეკა

აღმოსავლური წყაროები (ალ-ფაკიხი, ალ-ისთახრი, იბნ ჰაუკალი და სხვ.) თვალსაჩინოდ მიუთითებენ, რომ რუსეთის სახელმწიფო თავის მხრივ ისწრაფვოდა დიდი სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობის სამდინარო თუ საზღვაო გზების ხელში ჩასაგდებად.

რაც შეეხება საქართველოს ფეოდალურ მონარქიას, როგორც ცნობილია, XI საუკუნიდან აღმავლობის გზაზე იყო და საჭირო შემთხვევაში გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ ქვეყნებთან. ამ ურთიერთობას უმეტესწილად დიპლომატიური ინტერესები განსაზღვრავდა და კიევის რუსეთთან ურთიერთობასაც ამგვარი მიზანი უნდა ჰქონოდა.

ქართული ნარატიული წყაროების უძველესი ცნობები რუს-ვარანგებისა და ქართველების კონტაქტის შესახებ XI საუკუნეს განეკუთვნება (სუმბატ დავითის ძის თხზულება „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“ და უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისაჲ“). საგულისხმოა, რომ რუს-ქართველთა შეხვედრის ერთ ფაქტს აღწერს სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ტარონაცი (ასოლიკი). ზემოხსენებული ცნობები IX საუკუნისაა, მაგრამ, სავარაუდოა, ქართველთათვის ცნება „რუსი“, ისე როგორც რუსი ხალხი, ადრეც არ ყოფილა უცნობი; სუმბატ დავითის ძე „რუსს“ ყოველგვარი კომენტარის გარეშე იხსენიებს, რაც ადასტურებს, რომ ეს ცნება XI საუკუნემდეც არ იყო უცხო ქართველთათვის (რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხები უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ გამოჩენილ მეცნიერებს: ვ. ტატიშჩევს, პ. ბუტკოვს, მ. ბროსეს, ვ. ვასილევსკის, ნ. ბერძენიშვილს, შ. მესხიას, ი. ცინცაძეს და სხვ.). „რუსის“ ბადალი ტერმინებია ქართულ მატიანეებსა და საბუთებში მოხსენიებული „ვარანგი“ (ვარიაგი) და „სკვითი“. ქართული წყაროები იცნობენ ტერმინ „სკლავსაც“ (სლავი). ეს ტერმინი ზოგ შემთხვევაში „ბორღალთან“ (ბულგარელი) არის გაიგივებული.

ქართველთა და ვარანგთა ურთიერთობის შესახებ მეტად საინტერესო ცნობაა დაცული „მატიანე ქართლისაში“. თხზულებაში, იქ, სადაც ლაპარაკია საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხესა და კლდეკარის ერისთავ ლიპარიტ ბაღვაშს შორის ურთიერთობის გამწვავებაზე, აღნიშნულია, რომ მათ ბრძოლაში მონაწილეობდნენ სამი ათასი „ვარანგნი“ (ვარიაგები). ისტორიკოსებში არ არის აზრთა ერთიანობა იმის შესახებ, თუ ვის მხარეს იბრძოდნენ ვარანგნი. ერთნი (ნ. მარი, ნ. ბერძენიშვილი და სხვ.) მიიჩნევენ, რომ ისინი იყვნენ ლიპარიტის მხარეს, მეორენი (მ. ჯანაშვილი, დ. ბაქრაძე, ვ. ვასილევსკი, ი. ცინცაძე და სხვ.) თვლიან, რომ ვარანგნი ბაგრატ მეოთხესთან იყვნენ[1].

---

[1] ამ უკანასენელი მოსაზრების საინტერესო დასაბუთება აქვს ზ. პაპასქირს წერილში, რომელიც „ისტორია სსრ-ის“ 1981 წ. №3-ში გამოაქვეყნა, იხ. აგრეთვე მისი „У истоков грузино-русских политических взаимоотношений“, Тб., 1982, გვ. 44-46.

ჩვენთვის ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, თუ ვის მხარეზე იბრძოდნენ ვარანგნი. ჩვენი დაკვირვებით, ვარანგნი სწორედ საქართველოს მეფეს უმაგრებდნენ მხარს[1]. ასე ესმოდა ეს ფაქტი ვახუშტი ბაგრატიონსაც, რომელიც აღნიშნავდა: „ხოლო ბაგრატს მოერთნენ სამი ათასი ვარანგნი; მოიყვანა მეფემან შვიდასი მათგანი და შიდა ქართველნი..." და ა. შ. ნიშანდობლივია, რომ ვარანგები შავი ზღვითა და მდინარე რიონით მოვიდნენ ბაშამდე (როგორც ჩანს, ბაში მნიშვნელოვანი პუნქტი იყო რიონის სანაოსნო მაგისტრალზე), რომელიც მეფესა და მის ადმინისტრაციას ემორჩილებოდა (ბაგრატ მეოთხის სატახტო რეზიდენციაც დასავლეთ საქართველოში – ქუთაისში იყო).

ამგვარად, „მატიანე ქართლისა" ნათელს ყოფს, რომ უკვე XI საუკუნის შუა წლებში ქართველებსა და ვარანგებს არა მხოლოდ შორეული ნაცნობობა, არამედ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ.

„რუსი" ბერძნულიდან ქართულ ენაზე გადმოღებულ არაერთ ნაწარმოებში გვხვდება: „ცხოვრება ანდრია სალოსისა" (თარგმნილია 1040 წლამდე) გვამცნობს: „მე ვიტყოდი, რომ ნათესავნი მწითურთა მოვალს, რომელსა ჰქვიან რუსნი"; გიორგი მთაწმინდელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილ თხზულებაში „ღვთისმშობლის მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინეპოლისა, სპარსნთა და სკვითთა ზედამოსვლისაგან" (მოთხრობილია 62 წელს სკვითებისა და ავარების მიერ კონსტანტინეპოლის გარემოცვის ამბავი), აღნიშნულია, რომ ჰერაკლე კეისარი იყო შემუსვრილი „მრავალგზის სპარსთა მიერ და სკვითთა, ესე იგი არს რუსთა". აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „სკვითის" განმარტებას („ესე იგი არს რუსთა").

XII საუკუნის დასაწყისიდან, დავით აღმაშენებლის მეფობის დროს, რუსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაიზარდა. გვინდა ყურადღება მივაქციოთ XVII საუკუნის ერთ ცნობას, რომელიც დაცულია ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოსის შვილის პავლე ალეპოელის (მას ეკუთვნის „საქართველოს აღწერილობა", რომელიც სათანადო კომენტარებითა და გამოკვლევებით გამოსცა ნ. ასათიანმა) თხზულებაში. რუსეთის (სადაც ხანგრძლივი დროის მანძილზე იმყოფებოდნენ მაკარიოსი და პავლე) სამეფო ადმინისტრაციის დავალებით პავლე ალეპოელს შეუსრულებია „საქართველოს აღწერილობა" და საიდუმლო საგანგიოსათვის მიუწოდებია. „აღწერილობაში" არა მხოლოდ XVII საუკუნის საქართველოზეა ლაპარაკი, არამედ მისი წარსულიცაა მოცემული: კერძოდ, როცა გელათის საეპისკოპოსოზეა საუბარი:

„... Монастырь чудный и красный... Такого монастыря и такой церкви не есть ни одно подобно им... Создал Давид царь грузинский, яко же пишут ветхие книги, ею обитель. Егда нечестивый хотеша пленити Грузию и тогда царь Давид приде в

---

[1] იხ. რ. მეტრეველი, და მოვიდეს ვარანგნი, „ლიტერატურული საქართველო", 1981 წლის 9 ოქტომბერი.

Русию и поклонился и вопросы помощи и давали ему великую силу и пошел изгна нечестивых от места своего и освободи от них".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვფიქრობ, მართებულია მოსაზრება, რომ ამ ცნობაში შეიძლება იგულისხმებოდეს დავით აღმაშენებელსა და ვლადიმერ მონომახს (1113-1125 წწ.) შორის პოლიტიკური ურთიერთობის გარკვეული აღნუსხვა და დაკავშირებული იყოს საქართველოში ყივჩაყთა გადმოსახლებასთან. წყაროს მიხედვით, დავით აღმაშენებელი რუსეთში ჩასულა დახმარების სათხოვნელად. პავლე ალეპოელის ეს ცნობა სხვა წყაროებით არ დასტურდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ემყარებოდა რაიმე გადმოცემას ან ჩვენამდე მოუღწეველ რომელიმე წერილობით წყაროს. არ არის გამორიცხული, რომ ყივჩაყეთიდან დავით მეფის „სარწმუნო კაცებს" მეფის დავალებთი გზა რუსული სამთავროსაკენ გაეგრძელებინათ. „ყივჩაყთა მინა" ხომ უშუალოდ ემიჯნებოდა რუსულ სამთავროთა საზღვრებს. დავითის „სარწმუნო კაცთა" მისვლა კიევის მთავართან, ყივჩაყთა საქართველოში გადმოსახლების შესახებ ცნობის მიწოდების მიზნით, ალბათ აუცილებელიც იყო.

პავლე ალეპოელის ცნობა ავტორის დროის გარსშია გახვეული. კერძოდ, ისეა დახატული ვითარება, როგორც XVII საუკუნის საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი, როცა საქართველოს მეფეები რუსეთის სამეფო კარისაგან მართლაც ითხოვდნენ დახმარებას. პავლე ალეპოელის ცნობით, დავით აღმაშენებლისათვის დიდი დახმარება აღმოუჩენიათ რუსეთში, დამხმარე ძალა მიუციათ, რომელთა საშუალებიცა მტერი უნდა გაედევნათ. ამ ძალაში ყივჩაყები უნდა იგულისხმებოდეს. შ. მესხიამ იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ რუსი მემატიანეები ვლადიმერ მონომახს მიაწერენ ყივჩაყების განდევნას „რკინის კარებს" იქით, საქართველოში, და არა საქართველოს მეფეს, რომელმაც ეს ღონისძიება უშუალოდ გაატარა. რუსი მემატიანის კატეგორიულ ცნობაში ჩვენ უნდა დავინახოთ ის ფაქტი, რომ კიევის დიდმა მთავარმა მართლაც მიიღო მონაწილეობა ყივჩაყთა გადმოსახლებაში. ეს მონაწილეობა" თავის მხრივ დავით აღმაშენებელსა და ვლადიმერ მონომახს შორის მოლაპარაკებას უნდა გულისხმობდეს[1]. ნიშანდობლივია, რომ რუსეთში სცოდნიათ დავით აღმაშენებლის მიერ „უწმინდურთა განდევნის შესახებ" („изгна нечистивых от места своего и освободи от них"). დავით აღმაშენებლის გამარჯვებებმა და წინსვლამ, ბუნებრივია, კიდევ უფრო განამტკიცა კავშირი რუსეთთან (გაძლიერებულ საქართველოსთან კავშირი, რა თქმა უნდა, ძველი რუსეთის ინტერესებშიც იყო).

ამ რამდენიმე წლის წინ ირანის ხელნაწერთა ფონდებში პროფ. მ. თოდუამ მიაკვლია და შემდეგ (1979 წ.) კიდეც გამოაქვეყნა (თარგმანითურთ და სათანადო მეცნიერული კომენტარით) XII-XIII საუკუნეების ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა მიმოწერა მახლობელი აღმოსავლეთის სულთნებთან[2]. ამ მიმოწერაში, სხვათა შორის საყურადღებოა ქართველ მეფეთა ტიტულატურები,

---

[1] შ. მესხია, ძლევაჲ საკვირველი, თბ., 1972, გვ. 64.

[2] მ. თოდუა, ქართულ-სპარსული ეტიუდები, III, თბ., 1979.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლითაც მათ მუსლიმანი მფლობელები მოიხსენიებენ. აი ზოგიერთი მათგანი: „აბხაზის პატრონად“ სახელდებულ მეფე დავითისადმი გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „... ქრისტეს მოწაფეთა გვირგვინისა; ტახტთა და გვირგვინთა მემკვიდრეობით მპყრობელისა; აღმოსავლეთისა და დასავლეთის სტეფანოსისა, ქრისტეს სარწმუნოების მცველისა; აბხაზის, შაქის, ალანისა და რუსის მეფეთა-მეფისა“[1] და ა. შ.; იმავე ადრესატისადმი სხვა წერილში ვკითხულობთ: „... აბხაზთა მეფეთა-მეფის, რუმისა და რუსის მარზბანის; ქრისტეს სარწმუნოების შემწის (დღეგრძელიმც ჰყოს ალლაჰმა მეუფება მისი და მარადი ჰყოს სამეფო მისი)...“[2] ან კიდევ „... ქვეყანათა მფარველი, გურჯის, აბხაზის, ალანის, შაქისა და ხაზარის მეფეთა მეფე...“[3] ამთავითვე შევნიშნავთ, რომ პირველ ორ შემთხვევაში „აბხაზი“ ნიშნავს სრულიად (აღმოსავლეთ და დასავლეთ) საქართველოს. ეს „აღმოსავლეთის“ სხვა ავტორებთანაც კარგად ჩანს. მაგალითად, ხაყანი შირვანი (XII ს.) გვამცნობს, რომ „აბხაზს მოსახლე გავხდი და ქართულად მოლაპარაკეო“[4]. მესამე წერილში აბხაზი და გურჯი ერთადაა ნახსენები. ე. ი. აბხაზი არ არის ნახმარი სრულიად საქართველოს მნიშვნელობით (სავარაუდებელია, იგი დასავლეთ საქართველოს გულისხმობდეს). არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ წერილების ადრესატი დავით აღმაშენებელია (მ. თოდუა მიიჩნევს, რომ წერილები მიმართულია ლაშა-გიორგისადმი. თუ მ. თოდუას მიერ ირანიდან დაბრუნების შემდეგ წაკითხულ ლექციას გავიხსენებთ, შევნიშნავთ, რომ თავდაპირველად მეცნიერი ქართველ მეფეში დავით აღმაშენებელს გულისხმობდა). ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს წერილების ადრესატის „რუსის მეფეთ-მეფედ“, ან „რუსის მარზბანად“, ან კიდევ „ხაზარის მეფეთა-მეფედ“ მოხსენიება. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, აქ „ხაზარი“ ჩანს „რუსის“ ბადალი. ამის დადგენა ქართული წყაროებითაც შეიძლება, ხაზარეთის ყოფილი ტერიტორია თამარის პირველი ისტორიკოსის („ისტორიანი და აზმანი შარავნდედთანი“) მიერ რუსეთად არის მიჩნეული. „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ნუსხაში (დადიანისეული, მაჩაბლისეული, ფალავანდიშვილისეული და სხვ.) იქ, სადაც ხაზარეთზეა ლაპარაკი, არშიაზე წერია: „ხაზარეთი რუსეთიაო“[5]. ისიც ნიშანდობლივია, რომ მ. თოდუას მიერ გამოქვეყნებულ წერილებში თუ ხაზარი და ყივჩაყია დასახელებული, რუსი ნახსენები აღარ არის, ან პირიქით.

სხვადასხვა ისტორიკოსთა (ბ. ზახოდერი, ა. კოვალევსკი, ვ. ბარტოლდი, ა. შახმატოვი, ვ. მინორსკი, ნ. ხანიკოვი, ა. ნოვოსელცევი და სხვ.) მოსაზრებების გათვალისწინებით, მუსლიმანურ წყაროებზე (ხაყანი, ნიზამი და სხვ.) დაყრდნობით, მართებული ჩანს მ. თოდუას დასკვნები, რომ რუსი არა მარტო თანამედროვე რუსეთის ჩრდილო ნაწილს ეწოდებოდა, არამედ ამიერკავკასიაში დაფუძნებულ გარკვეულ ერთეულსაც (რუსთა ერთ გარკვეულ შტოს) აღნიშნავდა

---

[1] მ. თოდუა, ქართულ-სპარსული ეტიუდები, III, თბ., 1979, გვ. 33.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 11.

და ამავე მნიშვნელობით იყო ნახმარი ეს ტერმინი ქართველი ადრესატებისადმი გამოგზავნილ წერილებში. ეს რუსი მოწყვეტილი იყო პირვანდელ საცხოვრებს და ჩრდილოეთიდან ემეზობლებოდა საქართველოს. როგორც ჩანს, ეს ერთეული ბაგრატიონთა სამეფო სახლის გავლენის ქვეშ მოქცეულა XII საუკუნეში, რაც თავის მხრივ ქართველ მეფეთა ტიტულატურაშიც ასახულა. დავით აღმაშენებელს („მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა") ემორჩილებოდა „ერნი ტომნი და ენანი, მეფენი და ხელმწიფენი ოვსეთისა და ყივჩაყეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი"[1]. აქ მოხსენიებული „ფრანგეთის" რაობა არ არის საბოლოოდ გარკვეული. იქნებ სწორი იყო ლ. მელიქსთბეგი, რომელიც „ფრანგეთის" ნაცვლად „ვრანგეთს" (ვარანგეთს) კითხულობდა: მისი სამეფო, როგორც ზემოთ აღინიშნა, გადაჭიმული იყო „ნიკოფსიიდგან დარუბანდისა ზღუადმდე და ოსეთიდგან სოერად და არეგაწადმდე". გიორგი მესამესაც „ოვსთა და ყივჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანის, მოვიდიან. ეგრევე შარვანის სახლი", თამარსაც მორჩილებენ „ოვსნი და ყივჩაყნი"[2].

მართებულადაა მინიშნებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (შ. მესხია), რომ გაძლიერებულ საქართველოს სამეფოსთან კავშირს რუსეთი თვითონ ესწრაფოდა, მით უფრო, რომ დავით აღმაშენებლის დროს ყივჩაყები და ოსები უკვე საქართველოს ყმადნაფიცები იყვნენ და ყივჩაყთა თავდასხმების თავიდან აცილება და სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზე მშვიდობიანობის უზრუნველყოფა საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებით იყო შესაძლებელი.

დავით აღმაშენებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან, განსაკუთრებით ოსებთან და ყივჩაყებთან ურთიერთობას. ოსები (ალანები) გამოირჩეოდნენ სხვა ჩრდილოკავკასიელი ეთნიკური ელემენტებისაგან თავისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონით. ალანთა სამეფოს („მულქ ალ-ალანი") მნიშვნელოვანი ტერიტორია ეკავა კავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში[3].

ოსეთთან საქართველოს ურთიერთობა ინტენსიური ხდება XI საუკუნიდან, როცა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეში ამ პოლიტიკურმა ერთეულმა გარკვეული მნიშვნელობა შეიძინა. ამით არსებითად განისაზღვრა ფეოდალური საქართველოსა და ოსეთის ურთიერთობის კეთილმეზობლური ხასიათი. გიორგი პირველმა და ბაგრატ მეოთხემ ოსებთან დამოყვრებით კიდევ უფრო განამტკიცეს მათთან ურთიერთობა.

დავით აღმაშენებლის დროს, როცა ყივჩაყთა ჩამოსახლების საკითხი დაისვა, ოსებთან ურთიერთობაც ახლებურ მიდგომას მოითხოვდა. საქმე ისაა, რომ ყივჩაყებს მტრული დამოკიდებულება ჰქონდათ ოსებთან და საქართველოს მეფეს ქმედითი ღონისძიებების გატარება დასჭირდებოდა ყივჩაყთა საქართველოში

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 360.

[2] იქვე, გვ. 23.

[3] А. П. Новосельцев, К истории аланских городов. "Материалы по археологии и древней истории Северной Осетии", т. II, Орджоникидзе, 1969, გვ. 132.

ჩამოსაყვანად, რადგან ყივჩაყეთიდან საქართველომდე ოსეთი იყო გასავლელი. საქართველოს მეფემ დროულად იზრუნა ამ საკითხზე. საგულისხმოა, რომ თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით (ეს ცნობა სხვა წყაროებით არ დასტურდება), დავით აღმაშენებლის ერთ-ერთი ქალიშვილი ოსეთში ყოფილა გათხოვილი[1]. ისტორიკოსთა ერთი ნაწილი (მათ შორის მ. ბროსე) ამ ცნობას სარწმუნოდ მიიჩნევს[2]. ზოგიერთი ფიქრობს, რომ თუ საკუთრივ დავით აღმაშენებლის ასული არა, სამეფო სახლის რომელიღაც წევრი მაინც უნდა ყოფილიყო ოსეთის სამეფო კარზე გათხოვილი (შ. მესხია).

ოსეთთან ურთიერთობის განმტკიცების მნიშვნელობის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ თვით დავით აღმაშენებელი და მისი ვაზირი გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი „წარემართა ოვსეთს". მართებულადაა შენიშნული ჩვენს ისტორიოგრაფიაში, რომ დავით აღმაშენებლის ოსეთში გადასვლა მხოლოდ ყივჩაყეთათვის გზის უზრუნველყოფა არ ყოფილა. არსებითი იყო ჩრდილო კავკასიისა და საქართველოს დამაკავშირებელი საუღელტეხილო გზების დაკავება. იმხანად დარიალსა და სხვა უღელტეხილებზე კონტროლს ოსები ახორციელებდნენ. ძლიერი ფეოდალური საქართველოსათვის აუცილებელი შეიქნა აღნიშნული გადასასვლელების დაუფლება და დავით აღმაშენებლის მისიაც ამას ისახავდა მიზნად[3]. ნიშანდობლივია, რომ ოსეთში შესულ დავით აღმაშენებელს „მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა"[4]. აქ საგულისხმო მომენტია, რომ დავით აღმაშენებელმა მძევლები ჩამოართვა როგორც ოსებს, ისე ყივჩაყებს და „ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი". რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ დავით აღმაშენებელს თან ახლდა გარკვეული სამხედრო ძალაც. შემდეგი ეტაპი დავით აღმაშენებლის მოქმედებისა ის არის, რომ მან აიღო და დაიკავა „ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი"[5]. უდავოა, რომ კავკასიის უღელტეხილების დაკავება საქართველოს მიერ უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი იყო. ამასთან, ამ პერიოდიდან, თუ უფრო ადრე არა[6], ოსეთი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა გახდა[7].

---

[1] გ. კოკიევი მართებულად შენიშნავს, რომ დინასტიური ქორწინებები და ნათესაური კავშირის დამყარება საქართველოს სამეფო კარისათვის ოსეთის დამორჩილების ერთ-ერთი ხერხი იყო. იხ. Г. А. Кокиев, Очерки по истории Осетии, ч. I, Владикавказ, 1926, გვ. 36.

[2] იხ. ჯ. სტეფნაძე, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან, თბ., 1974, გვ. 117.

[3] გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, სტალინირი, 1958, გვ. 140.

[4] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 336.

[5] იქვე.

[6] იხ. ჯ. სტეფნაძე, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში, თბ., 1974, გვ. 114-117.

[7] იხ. გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 141; ზ. ანჩაბაძე, მ. ცინცაძე, საქართველო და ჩრდილო კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში, კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 14; З. В. Папаскири, У истоков грузино-русских политических взаимоотношениий, გვ. 57.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილო კავკასიის ხალხებიდან ოსები გამოირჩეოდნენ საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობით. ისინი კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც სხვებზე მაღლა იდგნენ, რაშიც გარკვეული როლი შეასრულა ქრისტიანული რელიგიის გავრცელებამ (X ს.).

საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის ურთიერთობაში ერთობ მნიშვნელოვანი მომენტია მცდელობა ამ უკანასკნელთა გაქრისტიანებისათვის. ოსთა გაქრისტიანებაც უკავშირდება კონსტანტინოპოლის პატრიარქს ნიკოლოზ მისტიკოსს და „აფხაზთა მეფე" გიორგის (922-957). ოსთა გაქრისტიანების აქტიდან აშკარად ჩანს ოსეთის და მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა მისწრაფება საქართველოსაკენ[1], რომელიც კავკასიასა და წინა აზიაში წამყვანი ქვეყანა იყო. ქრისტიანობის საშუალებით საქართველო მთის მოსახლეობას თავის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ გავლენას უმორჩილებდა. ზოგჯერ ამგვარ მცდელობას ჩრდილო კავკასიელი ხალხებიდან გარკვეული რეაქციაც მოჰყვებოდა, მაგალითად, თამარის დროს დიდოელებისა და ფხოველების გამოსვლა თავისი არსით ფეოდალიზმისათვის რევოლუციური ოპოზიციის ერთგვარი გამოვლინება, – უშუალო მწარმოებელი მასის მძლავრი რეაქცია იყო გაბატონებული კლასის ცდაზე – გაეძლიერებინათ ექსპლუატაცია (ფეოდალურ ურთიერთობებში მთის მოსახლეობის ჩაბმით) და გაევრცელებინათ ქრისტიანობა[2].

ნიშანდობლივია, რომ ოსეთში გადასვლისას დავით აღმაშენებელს თან ახლდა გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. ამ აქტში ქრისტიანული რელიგიის გავრცელება-განმტკიცებისათვის ზრუნვა მოჩანს.

ფაქტია, რომ დავით აღმაშენებელმა თავისი ენერგიული მოქმედებით ხელში ჩაიგდო კავკასიის გადასასვლელები, რომელთაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ და ოსეთი მტკიცედ შემოიყვანა თავისი მორჩილების ქვეშ ყმადნაფიცობის პირობაზე. ამიერიდან სხვა ხალხებთან და ქვეყნებთან ერთად, დავით აღმაშენებლის „აჩრდილსა შეკრებილ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ხელმწიფენი ოვსეთისა..."[3]

დავით აღმაშენებლის დროის საქართველოს ურთიერთობა ჰქონდა ჩაჩნეთ-ინგუშეთთან (ქართული წყაროების ძურძუკები, კავკასიონი), დაღესტნის ხალხებთან, ადიღესთან (ჯიქნი-ქაშაგნი). ამ უკანასკნელთან ურთიერთობაში დამაკავშირებელ რგოლს აფხაზეთი წარმოადგენდა.

საქართნველოსა და ქართული კულტურის გავლენა ჩრდილო კავკასიის ხალხებზე უდავოა. ქართველებისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ურთიერთო-

---

[1] ზ. ანჩაბაძე, მ. ცინცაძე, საქართველო და ჩრდილო კავკასია... XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში. კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, 152.

[2] იხ. რ. მეტრეველი, მთიელთა აჯანყების საკითხისათვის XIII ს. ათიან წლებში. წგნ.: მცირე გულანი. ქუთ., 1979, გვ. 58-75.

[3] История Дагестана, М., 1967, стр. 215; А. Шавхелишвили. Из истории взаимоотношений между грузинскими и чечено-ингушскими народами. Грозный, 1963, стр. 54, 93, 94; Х. Х. Рамазанов, А. Р. Шихсаидов, Очерки истории Южного Дагестана, Махачкала, 1964.

ბამ თავისი კვალი დატოვა. არაერთი ქართული სიტყვა შევიდა ჩრდილოკავკასიელი ხალხების ლექსიკურ ფონდში[1], გავრცელდა ქართული დამწერლობა, ცხინოვალი ქართული წარწერები (დაღესტანში ოცამდე ქართული წერწერაა დამოწმებული)[2], შეიმჩნევა ქართული სტილის გავლენა არქიტექტურაში[3].

დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი იყო დარუბანდის საკითხი (მისი სამფლობელო ხომ ნიკოფსიიდან დარუბანდამდე იყო გადაჭიმული).

გეოგრაფიულმა გარემომ, ეთნიკურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ შექმნა ის ბაზა, რომელზეც ჩამოყალიბდა დარუბანდის ქალაქი-სახელმწიფო. დარუბანდზე გამავალი საქარავნო გზის მიმართ არ იყვნენ ქართველები გულგრილნი. დავით აღმაშენებელი დიდად აფასებდა კასპიის კარის სტრატეგიულ მნიშვნელობას და ყოველგვარად ცდილობდა თავისი გავლენის გავრცელებას. 1124 წლის აპრილში დავითის მოლაშქრეები „დაესხნეს შაბურანს, დარუბანდელსა, და მოსწყჳდნეს ქურდნი, ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი და აღიხუნეს შარვანისა ციხენი ლასანნი და ხოზონდი და მიმდგომი მათი ქვეყანა“[4]. შემდგომში, როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელს დარუბანდიც ხელთ უგდია.

ერთი სიტყვით, ჩრდილო კავკასიის ქვეყნები და ხალხები ფეოდალური საქართველოს სამეფო კარის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერდნენ, დავით აღმაშენებლის ანდერძი ხომ ხმამაღლა აცხადებს, რომ მთელი ჩრდილოეთი კავკასია (ნიკოფსიიდან დარუბანდამდე) მას ემორჩილებოდა. ამასთან, ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომ დავითი ჩრდილოეთის ქვეყნებთან მხოლოდ თავდაცვის უზრუნველყოფაზე ფიქრობდა, არ უნდა იყოს მთლად სწორი. გარკვეულ შემთხვევაში საქართველოს სამეფო კარგი შეტევით ოპერაციებსაც ატარებდა და ამ გზითაც (მშვიდობიან მოლაპარაკება-დიპლომატიასთან ერთად) ეუფლებოდა ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებს. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ქრისტიანიზაცია-ფეოდალიზაციაც მთლად მშვიდობიანი გზით არ ხდებოდა და აქაც ძალა გამოიყენებოდა (ეს შემდგომ საუკუნეებშიც გრძელდებოდა).

* * *

ცალკე შევჩერდებით საქართველოსა და ყივჩაყების ურთიერთობაზე, დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაყთა ჩამოსახლებაზე.

პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად ზეაღმავალი საქართველოსთვის, რომლის საშინაო და საგარეო გეგმები სულ უფრო მზარდი და მრავ-

---

[1] М. Чантиева, История чечено-ингушской письменности, Грозный, 1958, გვ. 18.

[2] История Дагестана, М., 1967, გვ. 215.

[3] Е. И. Крупнов, Грузинский храм Тхоба-Ерды на севернов Кавказе, Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях института истории материальной культуры, т. XV, 1974, გვ. 116; იხ. აგრეთვე პ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში, თბ., 1975, გვ. 107-141.

[4] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 344.

ლისმომცველი იყო, აუცილებელს ხდიდა ლაშქრის გამრავლებისათვის ქმედით, გონივრულ ზრუნვას. სახელმწიფოსა და მისი მეფის მიერ დასახული დიდი ამოცანების გადასაწყვეტად საკმარისი არ იყო ის ღონისძიებები, რაც დავით აღმაშენებელმა თავისი მეფობის პირველ ეტაპზე სამხედრო საქმის ორგანიზაციის მიზნით გაატარა. ლაშქრის სიმრავლე განსაკუთრებით საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა ზედიზედ აიღო მრავალი ციხე-ქალაქი. რა თქმა უნდა, გამუდმებულმა ბრძოლებმა ქართული ლაშქარი დაღალა და რიცხობრივად შეამცირა. ამასთან, მოპოვებული გამარჯვებების განმტკიცების მიზნით, ლაშქრის ერთი ნაწილი „ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად" იქნა განწესებული. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ საქართველოს სამეფოს გაზრდილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად არ იყო საკმარისი ქართული ლაშქარი („არა იყო ესეოდენი სიმრავლე ლაშქართა"). რა მოთხოვნებია დასმული ლაშქრის წინაშე? დავით აღმაშენებელს ლაშქრის ერთი ნაწილი „მის თანა მყოფად" ესაჭიროებოდა, მეორე, დიდი ნაწილი – „დაუცხრომელად მიმოსვლასა ლაშქრობასა მისსა ზამთარ და ზაფხულ", ე. ი. ეს ლაშქარი ფაქტობრივად მუდმივი იყო, რადგან წლის ყოველ დროს დაუცხრომელ ლაშქრობას ისახავდა მიზნად; მესამე ნაწილი ლაშქრისა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, აღებული ციხე-ქალაქების დასაკავებლად და შემდგომ „შინა მდგომად" იყო საჭირო.

ამოცანა დიდი და მნიშვნელოვანი იყო – ლაშქარი რიცხობრივად ისე უნდა გამრავლებულიყო, რომ ქვეყნის ზეაღმავალი ეკონომიკის განვითარება არ შეწყვეტილიყო, ე. ი. მატერიალური დოვლათის მწარმოებელი მასა არ უნდა მოწყვეტილიყო თავის ძირითად სამუშაოს.

დავით აღმაშენებელმა და საქართველოს სამეფო კარმა ქვეყნის ფეოდალური ლაშქრის გამრავლება არაქართული წარმოშობის მოლაშქრეთა გადმოსახლების გზით გადაწყვიტა.

საქართველოში უცხოელთა ჯარის მოწვევა არ ყოფილა უჩვეულო მოვლენა. კავკასიის მთიანეთში ან იმიერკავკასიაში ხდებოდა ასეთი ლაშქრის დაქირავება, თანაც გარკვეული პირობით: დათქმულ დროს მტრის წინააღმდეგ ალაშქრებდნენ ხოლმე და ისევ შინ გაისტუმრებდნენ.

XII საუკუნის პირველ მეოთხედში, როცა საქართველო ესოდენ გაძლიერების გზას ადგა, ბუნებრივია, დროებითი დაქირავება ჯარისა ვერ დააკმაყოფილებდა ქვეყნის მოთხოვნებს. დღის წესრიგში დგებოდა საჭირო რესურსების გამონახვისა და მუდმივი ჯარის შექმნის საკითხი. საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებმა ყივჩაყთა გადმოსახლებისაკენ აიღო გეზი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი მოსაზრება არის გამოთქმული საქართველოს სამეფო კარის მიერ გადადგმული ამ ნაბიჯის მიზეზების შესახებ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დავით აღმაშენებელმა „ძლევათა და გამარჯვებათა თჳსთა" შედეგად თავის მფლობელობაში მოაქცია ბევრი ქალაქი და ციხე, აღნიშნავს საქართველოს ლაშქრის სიმცირეს იმ დიდი ამოცანების განსახორციელებლად, რომელიც სამეფო კარგის

წინაშე იდგა. ამიტომ, – განაგრძობს მემატიანე, – „შემოიკრიბა გონება (დავით აღმაშენებელმა, რ. მ.) კეთილად და გონიერად გამგონე, ვითარცა დავით, სულისა მიერ წმიდისა, აღიღო მთლად თავი თჳსი და მიმოავლო თუალი გონებისა თჳსისა და განიცადა კეთილად, განიზრახა სამეფოთა ცნობათა, რომელ არა კმა იყვნეს სამეფოსა მისისანი თანამიყოლად კრთობათა"[1]... და ა. შ. ერთი სიტყვით, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ყივჩაყთა მოყვანის მიზეზად თვლის იმას, რომ „არა იყო ესოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა". თითქმის იმავეს იმეორებს ვახუშტი ბაგრატიონი: „რამეთუ არა კმა-ეყოფის სპანი მისნი ესეოდენთა ციხეთა და ქვეყანათა დაპყრობად, განიზრახა გონიერებითა და წარვიდა ოვსეთად, რათა გადმოიყვანის სიმრავლე მათი (ყივჩაყების, რ. მ.), ვინაიდან მოეყვანა (დავით აღმაშენებელს, რ. მ.) ასული ყივჩაყთა მეფისა ცოლად თჳსად გურანდუხტ, დედოფლად გიორგიისა"[2], ე. ი. ვახუშტი ბაგრატიონი ლაშქრის (სპის) უკმარისობასთან ერთად ყივჩაყთა მეფის ასულ გურანდუხტის დავით აღმაშენებლისადმი ცოლობასაც ასახელებს ყივჩაყთა გადმოყვანის მიზეზად.

შემდგომი დროის ისტორიკოსებიც ყივჩაყთა გადმოყვანას დავით აღმაშენებლის მიერ გურანდუხტის შერთვას უკავშირებენ. მარი ბროსე თავის „საქართველოს ისტორიაში" წერს: „დავითმა გარდაწყვიტა დიდძალი რიცხვი ყივჩაყთა ჯარებისა დაექირავნა. მან წინეთ ამისა შეირთო გურანდუხტი, ასული ათრაკისა, შარაღანის შვილისა..."[3] იმავეს აღნიშნავს ნ. ურბნელი თავის ნაშრომში „დავით აღმაშენებელი და მისი დრო"[4].

ყივჩაყთა გადმოყვანის საკითხზე თავისი აზრი აქვს გამოთქმული დავით კარიჭაშვილს: „... როგორ შეიძლებოდა – ამბობს იგი, – რამოდენადმე დიდის სამუდამო ჯარის დაწესება ქართველთაგან, რომელნიც ხანგრძლივი ომების გამო ისე შემცირებულიყვნენ საომრად გამოსადეგის ვაჟკაცების რიცხვით. ამიტომ მას (დავით აღმაშენებელს, რ. მ.) მოუვიდა აზრად მოეწვია უცხო ხალხი"[5].

ივანე ჯავახიშვილმა მუდმივი ლაშქრის შექმნისა და ყივჩაყთა გადმოყვანის მიზეზად ძირითადად გაიმეორა ვერსია ყივჩაყთა მთავრის ასულის დავით აღმაშენებლის ცოლობისა და ბრძოლის დროს ყივჩაყთა კარგი თვისებების შესახებ. ანალოგიური აზრი გამოთქვეს პროფესორებმა: აბელ კიკვიძემ (იმ განსახვავებით, რომ პროფ. აბელ კიკვიძე ჯერ მიზეზთაგან ყივჩაყთა კარგ მეომრობას ასახელებს, და შემდეგ დავით აღმაშენებლის მოყვრობას ყივჩაყებთან)[6] და სერგი მაკალათიამ.[7] ყივჩაყთა გადმოყვანის საკითხი განიხილა ქ. ჩხატარაიშვილმა სტატიაში

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 335.

[2] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 159.

[3] მარი ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწილი პირველი, ტფ., 1895, გვ. 152.

[4] მოამბე, II, 1894, გვ. 15.

[5] დ. კარიჭაშვილი, საქართველო XII საუკუნეში, თბ., 1948, გვ. 199.

[6] ა. კიკვიძე, დავით აღმაშენებელი, თბ., 1942, გვ. 9.

[7] ს. მაკალათია, დავით აღმაშენებელი, თბ., 1944, გვ. 25.

– „უცხოელები XII ს. საქართველოს ლაშქარში“[1] და წიგნში – „ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში“. საქართველოს სამეფო კარი აშკარად ხედავდა, რომ ის ბრძოლები, რომლებიც ასე ინტენსიურად მიმდინარეობდა ქვეყნის თურქ-სელჩუკთა ბატონობისაგან განსათავისუფლებლად, უდიდეს მატერიალურ ზარალს აყენებდა საქართველოს ეკონომიკას, აჩანაგებდა მის მეურნეობას. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართულ ლაშქარში ფართოდ მონაწილეობდნენ მოსახლეობის დაბალი ფენების წარმომადგენლები, იმ ფენებისა, რომლებიც მიწათმოქმედებით იყვნენ დაკავებული. ზოგიერთი მეცნიერი კატეგორიულად გამორიცხავს ჩვენთვის საინტერესო პერიოდის საქართველოში მოსახლეობის მწარმოებელი ნაწილის მონაწილეობას ლაშქრობაში[2]. ეს პრობლემა საგანგებოდაა განხილული ე. ხოშტარიას (ბროსეს) სტატიაში – „ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის შესწავლისათვის“ (ფეოდალური ლაშქრის სოციალური შედგენილობის შესახებ)[3]. აქ ნაჩვენებია, რომ არადამაჯერებელია მსახურთა მიჩნევა ქართული ფეოდალური ლაშქრის „ყველაზე მრავალრიცხოვან ნაწილად“ ან „ძირითად მასად“, როდესაც წყაროების მიხედვით ეს ლაშქარი ათეულობით ათას მეომარს ითვლიდა[4]. ე. ხოშტარია (ბროსე) სავსებით მართებულად მიუთითებს, როცა თამარის ისტორიკოსის ერთი ცნობა მოაქვს, რომ „ქვეყნისმოქმედთა“ „გააზნაურება“ ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეს ეხებოდა ცალკეულ პირებს, არამედ ეს ნათქვამია ზოგადი მნიშვნელობით, სწორედ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ მოლაშქრეთა მხრივ მასობრივად მეურნეობასთან კავშირის გაწყვეტისა და პროფესიონალ მოლაშქრედ გადაქცევის პროცესის გამოსახატავად[5].

XI-XII საუკუნეებში, ზემოხსენებული გაცხოველებული ომების პირობებში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს „ერი“ (ეს ტერმინი ზოგადად „ხალხის“ გარდა „ლაშქრის“ მნიშვნელობითაც იხმარება). იგი ქართული ლაშქრის ძირითადი კონტინგენტია, რომელიც თანდათან კარგავს კავშირს მეურნეობასთან. სრულიად მართებულად მიუთითებს შ. მესხიაც, რომ სამეფო ხელისუფლებას უნდა ეზრუნა, რათა ერთი მხრივ ლაშქრის რაოდენობა გაეზარდა და მეორე მხრივ ქვეყნის მატერიალური დოვლათის მწარმოებელი თავისი ძირითადი საქმიანობისათვის არ მოეწყვიტა. ამიტომ სამეფო ლაშქრის გამრავლებისათვის ზრუნვა თავისთავად იწვევდა, პირველ რიგში, ქვეყნის შიგნით სამხედრო სამსახურის საფუძველს – ფეოდალური მიწათმფლობელობის ფორმების განვითარებას ისეთ დასრულებულ სისტემამდე, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მეფეს, წლის ყოველ დროში დაუცხრომელ მოლაშქრე-

---

[1] კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 161-186.

[2] ქ. ჩხატარაიშვილი, ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, გვ. 12.

[3] მაცნე, 1981, 4.

[4] ე. ხოშტარია, ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის შესწავლისათვის.., გვ. 114.

[5] იქვე, გვ. 117.

თა ფართო ფენა ჰყოლოდა ისე, რომ მიწისმოქმედთა მასა არ მოეწყვიტა თავისი ძირითადი საქმიანობისათვის[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებელი ყივჩაყთა გადმოყვანით შორს უმიზნებდა, ამ საქმეს საქართველოს ეკონომიკის დაწინაურება უნდა მოჰყოლოდა, ან, უარეს შემთხვევაში, საქართველოს მეურნეობა ზარალს არ ნახავდა ომების წარმოების დროს.

დავით აღმაშენებელი, როცა რეფორმებს ატარებდა (კერძოდ, როცა მუდმივი ლაშქრის შექმნაზე ზრუნავდა), დაინტერესებული იყო იმითაც, რომ რაც შეიძლება მეტად შეეზღუდა დიდგვაროვან ფეოდალთა პოლიტიკური უფლებები და გაეძლიერებინა მეფის ხელისუფლება. უცხოელთა გადმოყვანისა და მუდმივი ჯარის შექმნით მეფე ფეოდალებისაგან სრულიად დამოუკიდებელი ხდებოდა.

ამდენად, უცხოელთა (ამ შემთხვევაში ყივჩაყთა) გადმოსახლების ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს ორი ფაქტორი. ფეოდალური საქართველოს მთავრობის ზრუნვა ეკონომიკური ძლიერების შენარჩუნებისა და შემდგომი აღმავლობისათვის და სამეფო კარის ბრძოლა ძლიერი ფეოდალური მონარქიის შექმნისათვის.

რაც შეეხება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის იმ თქმას, რომ „არა იყო ესოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა“, ეს მხოლოდ რეალური სურათის წარმოდგენისათვის არ არის განცხადებული, არ არის გამორიცხული, რომ ვინმე წინ აღუდგა იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავდნენ უცხო ეროვნების ხალხის სამუდამო ჩამოსახლებას საქართველოში და სამეფო კარმაც თავისი მოქმედების დასასაბუთებლად მკვეთრად წარმოაჩინა ეს მხარე, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმაც, რა თქმა უნდა, შეიტანა იგი თავის თხზულებაში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან ჩანს, რომ „მაბრალობელნი“ ყივჩაყთა გადმოყვანაში სამეფო კარის ხარვეზს ხედავდნენ, არასწორად მიაჩნდათ ეს ნაბიჯი.

ყივჩაყთა გადმოყვანის მიზეზთა შორის, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული აზრის მიხედვით, ერთ-ერთი პირველთაგანია დავით აღმაშენებლის მოყვრობა ყივჩაყებთან. ჩვენი აზრით, არც ეს ფაქტორი უნდა იყოს მთავარი მიზეზი. შევეცდებით დავასაბუთოთ ეს მოსაზრება.

საკითხი ისმება ასე: რატომ მაინცდამაინც ყივჩაყების გადმოყვანა და მათგან მუდმივი ლაშქრის შექმნა გადაწყდა?

ჩვენი აზრით, ყივჩაყების ყოფა-ცხოვრებაში საქართველოს მეფემ და სამეფო კარმა შენიშნა ის ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს სწორედ ყივჩაყებისაკენ (და არა სხვა ხალხისაკენ) გეზის აღება. ყივჩაყები კავკასიონის ჩრდილოეთით, მდ. დონიდან მოკიდებული კასპიის ზღვის ნაპირებამდე ცხოვრობდნენ. ისინი განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ. მათში XII საუკუნეში ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილება იყო და ტომებად ცხოვრობდნენ. ყივჩაყები ცნობილი იყვნენ კარგი საბრძოლო თვისებებით, ამასთან ნების დამყოლნი და უპრეტენზიონი იყვნენ. დავით აღმაშენებელებმაც კარგად „უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნა-

[1] შ. მესხია, ძლევაჲ საკირველი, გვ. 38.

თესავისა სიმრავლე, და წყობათა წინა სიმხნე, სისუბუქე და მიმოსლვა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამჭირველობა და ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თვისისა"[1].

ყივჩაყებთან მსოფლიოს არაერთი ხალხისა და სახელმწიფოს (ბიზანტია, ძველი რუსეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, პოლონეთი და სხვ.) წარსულია დაკავშირებული. ცენტრალური და შუა აზიის ველებიდან მოსულ ამ მომთაბარე ტომებს წილად ხვდათ ტერიტორიულად მოცილებულ სხვადასხვა ხალხთან ურთიერთობა, ზოგთან – მტრული, ზოგთანაც – კეთილმეზობლური.

ყივჩაყები თურქული მოდგმისანი იყვნენ[2]. XI საუკუნეში მათ ეკავათ დიდი ტერიტორია – დნეპრიდან თურანის მთიანეთამდე. ისინი ჩრდილოეთ კავკასიაშიც მრავლად იყვნენ. მომთაბარე ყივჩაყებს ორგანიზაციაც შესაბამისი ჰქონდათ. ისინი ურდოებად ცხოვრობდნენ, ზამთრობით სადგომებში მდინარეთა პირას. XI საუკუნეში ყივჩაყები პირველყოფილი-თემური წყობილების რღვევისა და კლასობრივი საზოგადოების შექმნის სტადიაზე იყვნენ[3]. მათ, სწრაფმა და მარჯვე მეომრებმა, არაერთხელ დასცეს შიშის ზარი აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებს. ყივჩაყთა ერთი ნაწილი, რომელსაც სირჩანი მეთაურობდა, დონს გაღმა გადავიდა, მეორე ნაწილი კი, რომელსაც სირჩანის ძმა ოტროკი (ქართული წყაროებით ათრაქა) ედგა სათავეში, ჩრდილო კავკასიაში მოვიდა, ოსების მეზობლად ყივჩაყებსა და ოსებს შორის იმთავითვე იჩინა თავი უთანხმოებამ. ყივჩაყების მეჯოგური მეურნეობა შეუთავსებელი იყო ოსთა დაწინაურებულ მიწათმოქმედებასთან. ყივჩაყებისა და ოსების ურთიერთქიშპს თავიდან, ალბათ, საქართველოს სამეფო კარიც შეუწყობდა ხელს, რადგან ჩრდილო კავკასიაში ახალი მეომარი ტომის გამოჩენა მთელს ამიერკავკასიას შეუქმნიდა საფრთხეს, ოსებს კი მათი შეჩერება, კავკასიის ცენტრალური გადასასვლელებისაკენ, უფრო ადვილად შეეძლოთ[4].

სამხრეთ რუსეთის სტეპებში ყივჩაყები პირველად XI საუკუნის შუა ხანებში გამოჩნდნენ. მათი თავდასხმები რუსებზე ამ საუკუნის 50-80-იან წლებში არც ისე ხშირი იყო და დიდი ზარალიც არ მოჰქონდა. 1091 წელს და ყივჩაყებმა, ბიზანტიის იმპერატორ ალექსი კომნენთან ერთად შეკავშირებულებმა, გაანადგურეს პაჭანიგები და აქედან მოკიდებული მოსვენებას არ აძლევდნენ კიევის რუსეთს. იპატის მატიანის ავტორი წუხილით აღნიშნავდა: „Створи бо ся плачь велик у зем-

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 336.

[2] ნ. მურღულია, ყივჩაყთა ეთნოგენეზისის საკითხისათვის, თსუ შრომები, 113, თბ., 1965, გვ. 145-173.

[3] ყივჩაყთა ცხოვრებისა და მათი ურთიერთობის შესახებ რუსეთისა და კავკასიის ხალხებთან იხ. С. А. Плетнева, Печенеги, тюрки, половцы в южнорусских степях. Материалы и исследования по археологии СССР, № 62, М., 1958; В. Г. Пашуто, Внешняя политика Древней Руси, М., 1968.

[4] იხ. ზ. ანჩაბაძე, მ. ცინცაძე, საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში, კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 152.

ле нашей, и опустеша села наша да городе наши, и быхом бегающе и пред враги нашими"[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყივჩაყთა წინააღმდეგ ძალზე ქმედითი ბრძოლები ჩაატარა პერეიასლავის, შემდეგში კიევის მთავარმა ვლადიმერ ვსევოლოდის ძე მონომახმა. მან შეძლო მომთაბარეთა ფაქტობრივი განადგურება და რუსეთის საზღვრების გარეთ განდევნა. ვლადიმერ მონომახმა ყივჩაყთა წინააღმდეგ რამდენიმე დიდი ლაშქრობა მოაწყო (1103 წ., 1107 წ., 1109 წ., 1111 წ. და 1116 წ.), რომელთა შემდეგ ოტროკი (ათრაქა) და მასთან ერთად ყივჩაყთა ორმოცი ათასი ოჯახი გადასახლებულან საქართველოში[2].

როგორც ვხედავთ, ყივჩაყთა გადმოსახლებას საქართველოში ხელი შეუწყო იმ გარემოებებმაც, რომ ისინი ძალზედ შევიწროვებული იყვნენ კიევის მთავრის ვლადიმერ ვსევოლოდის ძე მონომახისაგან და, მას ქმედით წინააღმდეგობას ვეღარ უწევდნენ.

ყივჩაყთა დაბალი განვითარების საფეხურზე ყოფნა სასარგებლო იყო საქართველოს სახელმწიფოსათვის. აი რატომ: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს სამეფო კარს გადაწყვეტილი ჰქონდა არა დროებითი დაქირავება ჯარისა (ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს დასაქირავებელი ხალხის განვითარების დონეს), არამედ მუდმივი ჯარის შექმნა, რაც გადმოსახლებული ხალხის ბაზაზე უნდა მომხდარიყო. ასეთ შემთხვევაში დაბალი განვითარების ხალხის (მით უმეტეს ისეთის, რომელიც თითქმის მომთაბარულ ცხოვრებას ეწეოდა) გადმოყვანა იმიტომ იყო ხელსაყრელი, რომ ეს უკანასკნელი ადვილად შეეგუებოდა ახალ გარემოს, გარდა ამისა, როგორც წესი, მოექცეოდნენ მათზე გაცილებით უფრო მაღალი კულტურის მქონე ხალხის (ქართველების) გავლენის ქვეშ და თვითონაც გაქართველდებოდნენ, ე. ი. საქართველო მათთვის სამშობლო გახდებოდა და მათი ერთგულებაც ამ ქვეყნისათვის ბრძოლის დროს დიდი იქნებოდა. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, ყივჩაყები ერთგულად იბრძოდნენ იმიტომ, რომ მათი მთავარი დავით აღმაშენებლის სიმამრი იყო. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი აქტი (მოყვრობა) მათი საქართველოსადმი ერთგულების საწინდრად ვერ გამოდგება. საქართველოს სამეფოს კარს კარგად უნდა ჰქონოდა გათვალისწინებული ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დეტალი, როცა გეზს ყივჩაყთა გადმოსახლებისაკენ იღებდა. გათვალისწინებული უნდა ჰქონოდათ ისიც, რომ, ყივჩაყების ერთგულება მხოლოდ ერთი მეფისადმი – დავით აღმაშენებლისადმი, საკმარისი არ იყო და ამიტომ თავიდანვე იფიქრებდნენ მათ გაქართველებაზე, რათა ეს უკანასკნელი საერთოდ ქვეყნის ერთგულნი ყოფილიყვნენ და არა მხოლოდ მეფისა.

ამდენად, საქართველოს სამეფო კარის მიერ სწორედ ყივჩაყების გადმოსახლებაზე გეზის აღების მიზეზი მათ კარგ საბრძოლო თვისებებთან, „ადვილად

---

[1] იხ. Ипатьевская летопись, 2-е издание, СПб, 1908, გვ. 151-152; 156, 164.

[2] Н. Ф. Котляр, Половцы в Грузии и Владимир Мономах, Сб. Из истории украино-грузинских связей. Тб., 1968, გვ. 16-24.

დასამჭირვლობასა“ და „ყოვლითურთ მომზავებლობასთან“ ერთად განვითარების დაბალი დონე იყო, რაც ყივჩაყების უმტკივნეულოდ ჩამოსახლებისა (ამასთან „უადვილეს იყვნენ მოსლვად მახლობელობითაცა და უპოვარებითა“) და მათზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებას იძლეოდა. რაც შეეხება დავით აღმაშენებელისა და ყივჩაყთა მთავრის მოყვრობის საკითხს, უკეთეს შემთხვევაში ამ ფაქტორს კატალიზატორის როლის შესრულება შეეძლო. ეს კარგად უნდა ჰქონდეს შემჩნეული თვით დავით აღმაშენებლის ისტორიკოსსაც. იგი, როცა ჩამოთვლის იმ მიზეზებს, რისთვისაც საქართველომ არჩევანი ყივჩაყებზე შეაჩერა, ყველაზე ბოლოს იხსენიებს ყივჩაყთა მთავრისადმი საქართველოს მეფის ნათესაურ კავშირს (ჯერ მათ საბრძოლო თვისებებს ასახელებს). „.... და ამათ თანა უადვილეს იყვნეს მოსლვად მახლობელობითაცა და უპოვარებითა და რამეთუ პირველ მრავალთა წელთასა მიერ მოეყვანა სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გურანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაყთა უმთავრესისა ათრაქა შარაღანის ძისა, სჯულიერად მეუღლედ თჳსად და დედოფლად ყოვლისა საქართველოსა“[1].

ამდენად, საქართველოს მეფის ნათესაური კავშირი ყივჩაყთა მთავართან პირველხარისხოვანი კი არა, არამედ ერთ-ერთი ხელისშემწყობი მიზეზთაგანი უნდა ყოფილიყო ყივჩაყების საქართველოში გადმოსახლებისათვის. საქართველოს სამეფო კარს ყივჩაყთა თანხმობა გარანტირებული ჰქონდა იმითაც, რომ რუსეთის მთავრებისგან შევიწროებული და დარბეული, თავიანთი საცხოვრებლიდან გამოდევნილი ყივჩაყებისათვის საქართველოში გადმოსახლება შველას უდრიდა.

როგორც დავინახეთ, ყივჩაყთა ჩამოსახლება, მათგან მუდმივი ლაშქრის შექმნის მიზნით, საქართველოს სამეფო კარს ღრმად ჰქონდა აწონ-დაწონილი, რადგან, მის გატარება-შესრულებას დიდი წინდახედულება და დაკვირვება სჭირდებოდა.

დავით აღმაშენებელმა საქართველოს სამეფო ლაშქარში ყივჩაყთა მოსაწვევად გაგზავნა „კაცნი სარწმუნონი“. ყივჩაყები სიხარულით შეხვდნენ ამ მოწოდებას, საქართველოს მეფეს გადმოსახლებაზე თანხმობა შემოუთვალეს და მოითხოვეს ოსეთზე უსაფრთხოდ გამოვლის უზრუნველყოფა („გზა მშვიდობისა ყივჩაყთათვის“)[2].

დავით აღმაშენებელი თვითონ გაემგზავრა ოსეთს. როგორც ჩანს, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ყივჩაყთა ჩამოსახლებასთან ერთად ოსეთთან ურთიერთობას და არ არის შემთხვევითი, რომ მან თან გაიყოლა გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, „კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ჴორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა...“ საქართველოს ძლიერი მეფის სტუმრობა ოსთათვის დიდი მოვლენა იყო. შევიდა თუ არა დავით აღმაშენებელი ოსეთში, „მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა“. დავით აღმაშენებელმა ოსები და ყივჩაყები შეათანხმა და „ყო შორის მათსა სიყუარული და მშჳდობა ვითარცა ძმათა“. ამ შეთანხმების

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 336.

[2] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმტკიცის საწინდრად დავით აღმაშენებელმა მძევლები ჩამოართვა ორივე მხარეს, თვითონ კი „აღიხუნა ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისანთა და კავკასიისა მთისანი. და შექმნა გზა მშჳდობისა ყივჩაყთათჳს“[1].

აღნიშნულ ფაქტს, რომელიც ასეთი დეტალური თანმიმდევრობით აქვს მოცემული დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, ამიერიდან ჩრდილოეთის ყველა გადასასვლელის ციხეები საქართველოს სამეფოს ხელში იყო. მეორე, ოსებისა და ყივჩაყების შერიგება და პირველთა საქართველოს ყმადნაფიცობა (ოსების მთავრები დავითის წინაშე „ვითარცა მონანი დადგეს“) ქვეყანას ზურგს უმაგრებდა, ჩრდილოეთიდან მშვიდობას უზრუნველყოფდა. დავით აღმაშენებელს საშუალება ეძლეოდა, საქართველოს შეერთებული მხედრობა სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიემართა.

ნ. ბერძენიშვილი მიმოიხილავდა ამ ფაქტს და აღნიშნავდა: „გზა მშვიდობისა“, რა თქმა უნდა, მხოლოდ ყივჩაყთა ლაშქრის გადმოსაყვანად არ სჭირდებოდა დავითს. ასეთი პირობა საჭირო და აუცილებელი იყო იმ მნიშვნელოვანი კულტურული ურთიერთობისათვის, როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიისა თუ „ჩრდილოის“ ქვეყნებს შორის არსებობდა ამ დროს. დავითის ეს საქმიანობა – დარიალის კარების ხელში აღება – იყო არა თავდაცვის აქტი ჩრდილოეთიდან მოწოლილ მომთაბარეთა შემოსევის წინააღმდეგ, არამედ ღონისძიება შეტევისა და გავლენის მიზნით კავკასიის მთიანეთსა და ამიერკავკასიის ხალხებზე. ეს ერთი ეპოქალური ტეხილი იყო დარიალის გზის ისტორიაში... გზის ეს მშენებლობა იმ დროის საქმეა, როცა საქართველოში (ეს ადგილი სულ ისტორიული საქართველოსი იყო) „კლდე-კარებსა“ და „გზაჭრილებს“ აკეთებდნენ, როცა დარიალით კარებს კი არ კეტავდნენ, არამედ ფართოდ აღებდნენ[2].

ამრიგად, ყივჩაყები გადმოყვანილ იქნენ საქართველოში. დავით აღმაშენებელმა, მისივე ისტორიკოსის ცნობით, „ყივჩაყნი დააყენნა ადგილთა მათ მარჯუეთა დედა-წულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი“[3], ე. ი. დავით აღმაშენებელმა საქართველოში გადმოიყვანა ყივჩაყთა ორმოცი ათასი ოჯახი („დედაწულითა მათითა“). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი არ ასახელებს ადგილს, რომელზეც ყივჩაყები დასახლდნენ, ისე კი ამბობს, „ადგილთა მათ მარჯუეთა“ დააყენაო დავით აღმაშენებელმა. ჩვენი აზრით, საფუძვლიანი უნდა იყოს ვარაუდი (ივ. ჯავახიშვილი, შ. მესხია, ა. კიკვიძე და სხვ.), რომ ყივჩაყების დასასახლებლად გამოყენებული იყო უმთავრესად ის ადგილები, რომლებიც ჯერ არაბთა, ხოლო შემდეგ თურქ-სელჩუკთა მძლავრობის დროს დაცარიელდა. ყივჩაყთა სწრაფი გაქრისტიანება და მათი შერწყმა ადგილობრივ (ქართულ) მოსახლეობასთან საქართველოს სამეფო კარის ინტერესებში

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 336.

[2] ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 55.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 337.

იყო. ზოგიერთი მეცნიერის მიერ გამოთქმული მცდარი მოსაზრება დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაყების სომხურ ტერიტორიაზე დასახლებისა (და სომხური ქრისტიანობის მიღების) სრულიად მართებულად გააკრიტიკა შ. მესხიამ[1].

საქართველომ გადმოყვანილი ყივჩაყებიდან მიიღო „წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი“ მოლაშქრე. დავით აღმაშენებელმა ყივჩაყები რაზმებად („გუარად-გუარად“) დაჰყო და დაუნიშნა სპასალარნი და მმართებელნი, ამასთან უზრუნველყო ისინი საჭურვლითა და ცხენებით. ყივჩაყები სწრაფად ასიმილირდნენ ქართველებში. უპირველესად ისინი ქრისტიანდებოდნენ: „უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითიდღე, და სიმრავლე ურიცხჳ შეეძინებოდა ქრისტესა“. ამათ გარდა დავით აღმაშენებელს ხუთი ათასი კაცი მონასპაში ჰყავდა „ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი; მისანდონი და გამოცდილნი სიმხნითა“[2].

ამგვარად, დავით აღმაშენებელს ყოველი შემთხვევისათვის მზად ჰყავდა 45 ათასი გაწვრთნილი ცხენოსანი მოლაშქრე, ხოლო საჭირო შემთხვევაში მეფეს შეეძლო შეეყარა „თჳსისა სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენკეთილნი და პირშეუქცეველნი“. ამდენად, საქართველოს სამეფო XII საუკუნის ოციანი წლებისათვის სამხედრო თვალსაზრისით საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო იყო.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ყივჩაყები თავიანთი ოჯახებითურთ იქნენ გადმოსახლებული. ამასთან თითოეული ოჯახის ფეოდალური ვალდებულება იყო თითო მოლაშქრე მუდმივად მიეცა ქვეყნისათვის. ყივჩაყებს მეომრისათვის ყველა საჭირო ატრიბუტთან ერთად მიეცათ მიწა. ბუნებრივია, რომ ამ გზით შექმნილი ჯარი ჩვეულებრივი დაქირავებული გვარდია არ იყო. იგი არსებითად განსხვავდებოდა ისეთი დაქირავებული ჯარისაგან, როგორიც „როქის სპა“ იყო. ყივჩაყები უშუალოდ ჩაებნენ ფეოდალური საქართველოს ცხოვრებაში. მათი განსხვავება ქართველი გლეხისაგან სახელმწიფოსადმი ვალდებულება-დამოკიდებულებაში უნდა გამოხატულიყო. კერძოდ, ყივჩაყთა ვალდებულება მხოლოდ სამხედრო სამსახური უნდა ყოფილიყო, სხვა მხრივ კი ყივჩაყი მოსახლეობა, ალბათ თავისუფალი იყო. არ არის გამორიცხული ისიც, რომ სამხედრო სამსახური ბეგარის სახით დაწესებულიყო[3].

ყივჩაყთა გადმოყვანისათვის ქმედითი ღონისძიების გატარება დავით აღმაშენებელმა 1118 წლის მეორე ნახევარში დაიწყო (ლორისა და აგარანის აღების შემდეგ) და უნდა ვიფიქროთ, რომ 1119 წელს მთლიანად მოაგვარა ეს საქმე (დაასრულა ყივჩაყთა ჩამოსახლება). იმავე 1119 წელს ჩაატარა ძირითადი საწვრთნელი სამუშაო.

ამგვარად, 1118-1119 წლებში ძირითადად გადაწყდა მუდმივი ლაშქრის შექმნის პრობლემა. ამ ლაშქრის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ ყივჩაყები. და-

---

[1] შ. მესხია, ძლევაჲ საკვირველი, გვ. 40-43.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 337.

[3] ა. კიკვაძე, დავით აღმაშენებელი, გვ. 38.

ვით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით ისინი ორმოცი ათასი იყვნენ. მათ გარდა მუდმივ ლაშქარში, როგორც დასტურდება, ქართველებიც იყვნენ. ვახუშტი – ბაგრატიონისა და იოანე ბატონიშვილის მტკიცებით, დავით აღმაშენებელს ჰყავდა სამოცათასიანი მუდმივი ლაშქარი. აქედან თუკი ორმოცი ათასი ყივჩაყი იყო, ბუნებრივია, დანარჩენი ოცი ათასი ქართველი იქნებოდა. ვახუშტი ამ ლაშქარს „მარადის მცველს" უწოდებს, იოანე ბატონიშვილი კი აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელს „ყოველთვის მზად ჰყავდა როჭიკით სამოცი ათასი მხედარი კაცი".

ნიშანდობლივია, რომ დავით აღმაშენებელმა მუდმივი ლაშქრის წევრებს წინანდელთან შედარებით განსხვავებული „პატივი" მიაგო (ვახუშტი ბატონიშვილი) როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელი ლაშქარს „როჭიკით" (კვება, ჯამაგირი) ინახავდა. მან აკრძალა ომების დროს წამოღებული ნადავლის მოლაშქრეთა შორის განაწილება („არღარა გაიყოფოდა საჭურჭლე სპათა ზედა").

1120 წლისათვის საქართველოს ძლიერი ლაშქარი სრულ საომარ მზადყოფნაში იყო. მუდმივი ლაშქრის შექმნამ, საგანგებო გაწვრთნამ და მკაცრი დისციპლინის შემოღებამ დიდი სარგებლობა მოუტანა საქართველოს: ქვეყანა გაამაგრა, გააძლიერა, გარეშე მტრებს კი თავზარი დასცა. მუდმივი ჯარის შემოღებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს დავით აღმაშენებელს ბევრი დიდგვაროვანი ფეოდალი უწუნებდა, მაგრამ დიდმნიშვნელოვანმა ნაბიჯმა თავისი ნაყოფი გამოიღო. მუდმივი ლაშქრის შექმნის მეტად დიდ მნიშვნელობას ხაზს უსვამს საქართველოს სახელმწიფოს წარმატებები: „განიცადეთღა ოთხთა წელთა ქმნილნი მისნი, რომელთა მრავალგზის ქმნულთა მცირედი მეგულების თქუმად"[1]. დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის ეს სიტყვები ეხება იმ ოთხი წლის ღვაწლსა და ძლევამოსილებას, რომელიც მუდმივი ლაშქრის შექმნიდან (საერთოდ დავით აღმაშენებლის მიერ სამხედრო რეფორმის წარმატებით გატარების შემდეგ), 1120 წლიდან 1125 წლამდე მოიხვეჭა საქართველოს სახელმწიფომ.

ბ) სამხრეთ-აღმოსავლეთის მეზობლები

საქართველოს მსგავსად, მისი სამხრეთ-აღმოსავლეთის მეზობლები – სომხეთი და შირვანი (მასთან ერთად არანიც) დიდად დააზიანა თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა XI საუკუნის მეორე ნახევარში"[2].

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 338.

[2] ნ. შენგელია, თურქ-სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968. საერთოდ მახლობელსა და შუა აღმოსავლეთში თურქ-სელჩუკთა შემოსევებისა და მათი სახელმწიფოს შესახებ იხ.: К. Э. Босворт, Нашествия варваров: появление тюрок в мусульманском мире. Сб. «Мусульманский мир, 950-1150», М., 1981, стр. 20-35; C. E. Bosworth, The Political and Dynasnastic History of the Iranian World (A. D. 1000-1217). – «The Cambridge History of Iran, 5, The Saljuq and Mongol Periods», Ed. by J. A. Boyle, Cambridge, 1968, p. 1-202; C. Cahen, A Turkish Invasion: The Selchukids. – A History of Crusades. K. V. Setton General Editor. vol. 1. The First Hundred Years. Ed. by M. W. Baldwin. The University of Wisconsin Press, Madison, Milwaukee and London, 1969, p. 135-176: misive, The Turks in Iran and Anatolia before the Mongol Invasions. – A History of

ბიზანტიის იმპერიის უხეშმა ჩარევამ სომხეთის საშინაო საქმეებში დამანგრეველი გავლენა იქონია. სომხეთმა დაკარგა სახელმწიფოებრიობა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ის ნაწილი, რომელიც ბიზანტიელებმა მშობლიური მიწიდან აჰყარეს და იმპერიის სხვადასხვა მხარეში ჩაასახლეს. ასეთი, ფაქტობრივად დამცრობილ-დაჩაჩანაკებული, საკუთარ ხელისუფლებას მოკლებული სომხეთის დაპყრობა სელჩუკებს არ გასჭირვებიათ. თურქ-სელჩუკთა ოთხგზის დამანგრეველი დალაშქვრის შემდეგ, სომხეთი ეკონომიკურ-კულტურული დაცემისა და ეთნიკური გადაშენება-გაქრობის საფრთხის წინაშე დადგა. ცალკეული სომხური სამეფოები (ლორე, სივნიეთი) უბრძოლველად ჩაბარდნენ თურქ-სელჩუკებს და მათი მორჩილების ქვეშ იყვნენ. წარმოიქმნა დვინის, ანისისა და შაჰარმენების მუსლიმური საამიროები. თურქ-სელჩუკთა აგრესიისათვის ამიერკავკასიაში მნიშვნელოვან პლაცდარმად იქცა ქ. განძა, რომელიც 1068 წლიდან მათი გავლენის ქვეშ იყო. სწორედ აქედან დაიწყო ლაშქრობები სომხეთისა და საქართველოს წინააღმდეგ. განძის დაპყრობამ ფაქტობრივად განაპირობა თურქ-სელჩუკთა გაბატონება მთელს ირანში. შირვანშაჰმა ფარაბურზ პირველმაც იძულებით სელჩუკთა სასარგებლოდ ხარკი იკისრა და რეალურად გადამთიელი მტრის უღელქვეშ აღმოჩნდა.

სომხეთისა და შირვან-არანის დაპყრობა დიდი დანაკლისი იყო საქართველოსათვის. ამიერიდან სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით მოძმე ხალხების ნაცვლად მას დამპყრობელი გაუმეზობლდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ სამხრეთი საზღვარი ფაქტობრივად მორღვეული იყო.

* * *

დავით აღმაშენებლის ძლევამოსილი ბრძოლებისა და თურქ-სელჩუკების საქართველოდან გარეკვის შესახებ ზემოთ უკვე იყო აღნიშნული. პირველი დიდი ღონისძიება, რაც სომხეთის მიმართ იყო გატარებული, დავით აღმაშენებლის მიერ ლორეს აღება, ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს გაუქმება და საქართველოსთვის შემოერთება იყო. ვარდან ბარძბერდეცი გადმოგვცემს, რომ დავით აღმაშენებელმა საქართველოს შემოუერთა გაგი, ტერუნაკანი, კაინი, კაიწონი, ტავუში, მაჰკანაბერდი და სხვ.[1]

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დავით აღმაშენებლის მიერ შირაქის სამეფოს დედაქალაქის ანისის გათავისუფლებას და საქართველოსათვის შემოერთებას. დავით აღმაშენებელზე სომეხი ხალხის კურსის აღება არ იყო შემთხვევითი.

Crusades. vol. II. The Later Crusades, 1189-1311. Ed. by R. L. Wolf, H. W. Hazard. The University of Wisconsin Press, Madison, Milwaukee and London, 1969, p. 661-692; A. K. Lambton, The Internal Structure of the Saljuq Empire. – The Cambridge History of Iran... გვ. 203-283; მისივე, Continuity and Change in Medieval Persia. Aspects of Admidictrative, Economic and Social History, 11th-14th Century. Mew-York, 1987; F. Sanaullah, The Decline if the Saljhuqid Empire, Calcutta, 1938.

[1] Вардан Великий. Веобщая история, пер. Н. Эмина, М., 1861, გვ. 146-147.

საქართველოს მეფე XII საუკუნის ოციან წლებში ძლევამოსილი იყო და განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობდა. დავითის წინამძღოლობით ქართველი ხალხის წარმატებები აღაფრთოვანებდა სომხებს და იმედს უჩენდა, რომ საქართველოს დახმარებით თვითონაც შეძლებდნენ მომხდური მტრის ბატონობისაგან თავის დახსნას[1]. არ არის გამორიცხული, რომ ანელ თავადთა ორიენტაცია საქართველოს მეფეზე წინასწარი შეთანხმების შედეგი იყოს. მართებული გვეჩვენება ვარაუდი, რომ სამხრეთით დაინტერესებული დავით აღმაშენებელი გაითვალისწინებდა ანელი ქრისტიანების განწყობილებას, მათ სიძულვილს შედადიანებისადმი და გარკვეულ ღონისძიებასაც გაატარებდა მათი საქართველოს სამეფოსადმი კეთილად განსაწყობად. დავით აღმაშენებლის მოქმედება თანაგრძნობა და მოწონებას პოულობდა სომეხ ხალხში, იმიტომ, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული სიახლოვე იყო, თანაც საქართველოს მეფე ებრძოდა სომეხი ხალხის დამპყრობლებს[2]. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ სომეხმა ისტორიკოსებმა დიდების შარავანდედით შემოსეს საქართველოს მეფე.

საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში მეტად საინტერესო მოვლენაა საქართველოს მესვეურთა მცდელობა სომხეთის ეკლესიის შემოსაერთებლად. სომხური ეკლესიის ქართულთან გაერთიანების სურვილმა განსაკუთრებულად იჩინა თავი დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პერიოდში. საქართველოს მეფე, რომელიც უდიდეს პატივს სცემდა სომხური სარწმუნოების აღმსარებლებს[3], ცდილობს სომეხთა და ქართველთა სარწმუნოებრივ გაერთიანებას[4]. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად საგანგებო კრება გაიმართა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ „შემოკრბა ოდესმე წინაშე მეფისა ნათესავი გულარძნილი, ყოვლად ბოროტთა სომეხთა ეპისკოპოსები და მონასტერთა მათთა წინამძღურები მრავალი ფრიად, რომელნი აზმნობდეს თავთა თჳსთა მიწევნად თავს ყოვლისა სწავლულებისა და მეცნიერებისასა. და მოაჴსენეს, რათამცა ყო ბრძანებითა მისითა კრება და ყვესმცა სიტყჳს-გება და გამოძიება სჯულისა: უკეთუ იძლევნენ სომეხნი, და იქმნენ თანაერთჴმა სჯულისა და თჳსი სჯული შეაჩუენონ; ხოლო უკეთუ სძლონ სომეხთა, ესეოდენ მიემადლოს, რათა არღარა გჳწოდდეთო მწვალებლად და არცა შეგუაჩუენებდეთ“[5]. აღნიშნულ დისკუსიაში საქართველოს მეფის მოწვევით მონაწილეობდნენ იოანე ქართლის კათალიკოსი, იმ დროის გამოჩენილი მეცნიერი არსენ იყალთოელი (განმანათლებელი ყოველთა ეკლესიათა),

---

[1] ᲐᲐ. მანანდიანი, სომეხი ხალხის ისტორიის კრიტიკული მიმოხილვა, ტ. III, გვ. 93 (სომხურ ენაზე).

[2] С. Т. Еремян, Общность судеб и культурно-политическое содружество народов Закавказья в XI-XIII вв., сб. Кавказ и Византия, I, Ереван, 1979, გვ. 5-9.

[3] ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა, თბ., 1928, გვ. 33-35.

[4] „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1953, გვ. 254.

[5] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 356.

ეპისკოპოსები, მეუდაბნოენი, მეცნიერნი და სხვ. კამათი დილაადრიან დაწყებულა და „ცხრა ჟამამდე“ გაგრძელებულა, მაგრამ საბოლოო დასკვნამდე ვერ მისულან. მაშინ თვით დავით აღმაშენებელი ჩარეულა პაექრობაში. საქართველოს მეფის სიტყვას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია საზოგადოებაზე. სომხებს დამარცხებულად უცვნიათ თავი („აღიარეს ცხადად ძლეულება თჳსი“) და დარცხვენილები წასულან. მეფისთვის მიუმართავთ: „ჩუენ, მეფეო, მოწაფე გუეგონე ამათ მოძღუართა თქუენთა, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ სამე ხარ მოძღუარი მოძღუართა, რომლის ბრჭალსა ვერ მიმწუთარ არიან ეგე მოძღუარ საგონებელნი თქუენნი“[1].

„ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში არ ჩანს, რომ ქართველებმა გაიმარჯვეს პაექრობაში, თარგმანის მიხედვით, დავით აღმაშენებელმა „მარტივი და ცხადი სიტყვით დაიწყნარა ორივე მხარე და გაუშვა კრება“[2].

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებისა და მისი სომხური თარგმანის კრიტიკული განხილვა აშკარას ხდის, რომ საეკლესიო კრების მიზანი ქართული და სომხური ეკლესიების გაერთიანება იყო[3]. ეს აქტი კი ვერ განხორციელდა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, როგორც ჩანს, გადაჭარბებულად აფასებს კრების შედეგს, რადგან იგი ქართველების გამარჯვებად მიაჩნია, სომეხი მთარგმნელი კი თავშეკავებულია აღნიშნული საკითხის გადმოცემისას. იგი ზუსტად კი არ თარგმნის, არამედ კორექტივი შეაქვს ფაქტობრივი მასალის ასახვაში.

ფაქტია, რომ საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ ვერ მოახერხა სომხეთის ეკლესიის შემოერთება. ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სომხეთის ტერიტორიის შემოერთების შემდეგ ქართული ეკლესია იწყებს გრიგორიანი სომხების შევიწროებას მათი მართლმადიდებლობაზე მოქცევის მიზნით. კრების მოწვევის ფაქტში ჩვენ ვერ ვხედავთ დავით აღმაშენებლის მიერ რაიმე ძალადობით აქციის გატარებას. პირიქით, წყაროების მიხედვით, საეკლესიო კრება საკმაოდ დემოკრატიულად მიმდინარეობდა, ეს ფაქტობრივად დისკუსია იყო, რომელსაც უნდა გამოეჩინა ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც თითოეულ მიმდინარეობას (ქართული მართლმადიდებლობა, სომხური გრიგორიანობა) ჰქონდა.

მიუხედავად კრების შედეგისა (საქართველოს სამეფოს სურვილი ვერ განხორციელდა. სომხური ეკლესიის შემოერთების საკითხი კი დავით აღმაშენებლის შემდეგ ხანაშიც იდგა), ქართველ-სომეხთა ურთიერთობა მეგობრული და კეთილი იყო, სომხური ტერიტორიები კი დავით აღმაშენებლის დროიდან მოკიდებული საქართველოს უშუალო შემადგენლობაში იყვნენ (ეს დამოკიდებულება მონღოლების შემოსევამდე გაგრძელდა).

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 357.

[2] ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გვ. 254.

[3] მ. ლორთქიფანიძე, საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის წარსულიდან, კრებ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 132.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებელი დიდ ყურადღებას უთმობდა შირვანთან ურთიერთობის საკითხს მას შემდეგ, რაც კახეთ-ჰერეთი შემოერთებულ იქნა, შირვანი საქართველოს უშუალო მეზობელი გახდა და შირვანშაჰთან ურთიერთდამოკიდებულებას უფრო დიდი მნიშვნელობა მიეცა. გარკვეული პოლიტიკური შინაარსი იყო ჩადებული დავით აღმაშენებლის ასულის თამარისა და შირვაშაჰის მემკვიდრის ქორწინებაში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, როცა 1116 წელს მომხდარ ამბებს გადმოგვცემს, აღნიშნავს, რომ „მასვე წელსა ასული თჳსი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისად. რამეთუ პირველ ამისსა პირმშო ასული თჳსი თამარი გაეგზავნა დედოფლად შარვანისა, რათა ვითარცა ორნი მნათობნი – ერთი აღმოსავლეთს, ხოლო მეორე დასავლეთს – ცისკროვან ჰყოფდენ სფეროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი“[1]. თამარის ქორწინება 1105-06 წლებშია სავარაუდებელი[2]. დავით აღმაშენებლის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი გამიზნული იყო შირვანშაჰთან კეთილი დამოკიდებულების დასამყარებლად და მის ჩასაბარებლად თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში (ნ. ბერძენიშვილი). დავითის ასული თამარი დაქორწინებულია აფრიდუნ შირვანშაჰის ძეზე – მანუჩეჰრ მეორეზე. მ. ბროსე და დ. ბაქრაძე თვლიდნენ, რომ თამარის ქმარი მანუჩეჰრი კი არა აღსითანი იყო, ამ მოსაზრების მცდარობა დაასაბუთა ე. პახომოვმა. მართლაც, აღსითანი (ქართული წყაროების აღსართანი) თამარის ქმარი კი არა, შვილი იყო. თამარის პირველი ისტორიკოსი პირდაპირ მიუთითებს, რომ აღსართანი გიორგი მესამის „მამის დის წული“ იყო[3].

როგორც ჩანს, ქორწინების აქტმა დავით აღმაშენებლის მოლოდინი არ გაამართლა და საქართველოს მეფე აქტიურ პოლიტიკურ მოქმედებაზე გადავიდა შირვანის მიმართ. მან რამდენიმეჯერ დალაშქრა ეს ქვეყანა. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, შირვანის ციხე-ქალაქებში საქართველოს მეფის გარნიზონები ჩადგნენ, საქმეთა გამგებლად კი ვაზირი სვიმეონი – ჭყონდიდელ-მწიგნობარ-თუხუცესი და ბედიელ-ალავერდელი იყო. აქედან მოკიდებული შირვანი ვასალურ დამოკიდებულებაშია ფეოდალური საქართველოს მონარქიასთან. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ დროიდან (XII საუკუნის ოციანი წლები) ატარებდნენ ქართველი მეფეები „შირვანშაჰის“ ტიტულს[4]. ამ ტიტულით XII საუკუნის საქართველოს მეფეთა მოხსენიება წერილობით წყაროებში (სამართლებრივი ძეგლები და სხვ.)

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 334.

[2] ნ. ასათიანი, საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში, კრებ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 26. აკად. ზ. ბუნიატოვი ქორწინებას 1110-1116 წლებს შორის მიიჩნევს შესაძლებლად. იხ. მისი, Государство атабеков Азербайджана, Баку, 1978, გვ. 148.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 17.

[4] ნ. ასათიანი, საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში, გვ. 39; შდრ.: ჯ. სტეფნაძე, XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის, კრებ. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 161.

არის ერთ-ერთი მაჩვენებელი შირვანის ყმადნაფიცობისა საქართველოს მიმართ. იმ ფაქტზე, რომ XII საუკუნის ოციანი წლებიდან, მონღოლთა შემოსვლამდე, შირვანი საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყო, საგანგებოდ მიუთითებენ მკვლევარები. ასე მაგალითად, აკად ვ. ბარტოლდი წერს: Шарваншахи фактически были подчинены им (грузинским царям)... Сами грузинские цари тоже называли себя ширваншахами"[1]. ან კიდევ: „На самом же деле Ширван находился тогда в полной зависимости от грузинских царей, которые сами приняли титул «Ширваншах"[2]. აზერბაიჯანის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ე. პახომოვი წერს: „Еще в начале XII в., при царе Давиде IV Строителе, грузины многократно вторгаются в Ширван и подчиняют его своему влиянию"[3]. აი, ინგლისელი ორიენტალისტის ვ. მინორსკის დასკვნაც: „В начале XII века Ширван привлек к себе внимание западных соседей-грузин, царство которых переживало период подъема и экспансии. Грузины не раз вторгались в Ширван... В течение ста лет (вплоть до 1223 г.) Ширван испытывал грузинское влияние и грузинкие цари прибавили Ширванша к числу своих титулов"[4].

ჩვენ არ შევჩერდებით საგანგებოდ ზემოთ მოტანილ ცნობილ ციტატებზე, რომ ზოგიერთ აზერბაიჯანელ ისტორიკოსს (ა. ალი-ზადე, რ. ჰუსეინოვი) არ შეეტანა ეჭვი საქართველო-შირვანის უკვე დადგენილ ურთიერთობათა ისტორიაში და საწინააღმდეგო მოსაზრებები არ გამოეთქვათ. რ. ჰუსეინოვი კატეგორიულად წერს: „... Что касается характера взаимоотношений Ширванского государства с Грузинским царством в XII в., азербайджанские историки пришли к заключению, что они были паритетными, и это находит свое подтверждение в политической и экономической жизни"[5]. ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მოცემული განცხადების გაკეთება, ვფიქრობთ, არასწორია. სხვა რომ არაფერი ვთქვათ (წყაროები, ისტორიოგრაფია), უგულებელყოფილია თვით თანამედროვე ცნობილ აზერბაიჯანელ ისტორიკოსთა მოსაზრებები აღნიშნულ საკითხზე (საერთოდ, უნდა ითქვას, რომ რ. ჰუსეინოვის ზემოხსენებულ სტატიაში ბევრი სადავო საკითხია). ე. პახომოვი[6] და ბუნიატოვი[7] მიიჩნევენ, რომ შირვანშაჰები მოექცნენ დავით აღმაშენებლისა და სხვა ქართველი მეფეების გავლენის ქვეშ, რომლებმაც თავიანთ სრულ ტიტულატურაში შირვანშაჰის ნოდებაც შეიტანეს. „Ширван в изучаемое время был политически и экономически отделен от Азербайджана и Аррана и более других испытывал на себе влияние усилившейся Грузии, которая, пользуясь междоусобицами в государстве атабеков Азербайджана, стала вмешиваться во внутренние дела соседних

---

[1] В. В. Бартольд, Место прикаспийских областей в истории мусульманского мира, соч., т. II, ч. I, М., 1963, გვ. 692.

[2] В. В. Бартольд, Ширваншах (Статья в "Энциклопедии ислама"), соч., т. II, ч. I, გვ. 877.

[3] Е. А. Пахомов, Краткий курс истории Азербайджана, Баку, 1923, გვ. 15-16.

[4] В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, М., 1963, გვ. 180.

[5] Р. А. Гусейнов, Историография истории Закавказья XI-XII вв., Тюркологический сборник, М., 1976, გვ. 34.

[6] იხ. მისივე, Краткий курс истории Азербайджана, გვ. 33.

[7] იხ. მისივე, Государство атабеков Азербайджана, გვ. 151.

государств. В этом влиянии были заинтересованы и представители ширванской династии, поскольку Грузия могла поддержать владычество Ширвана и в Южном Дагестане. Только путем мира и союза (в котором Ширван играл подчиненную роль) с Грузией можно было обеспечить мир на западной границе владения Ширваншахов"[1].

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ შირვანის გამგებლად დავით აღმაშენებელმა სამეფო კარის პირველი ვაზირი დანიშნა. ეს კი იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკა შირვანში არა მხოლოდ სამხედრო ოკუპაციას, არამედ სამოქალაქო-ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებასაც ისახავდა მიზნად.

დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დროს შირვანის აღმოსავლეთ ნაწილში აღდგენილ იქნა შირვანშაჰის ხელისუფლება ვასალური დამოკიდებულების პირობით, დასავლეთი ნაწილი კი საარიშიანოს შემოუერთდა, ე. ი. საკუთრივ საქართველოს საზღვრებში შემოვიდა[2]. საქართველო-შირვანის ამგვარი დამოკიდებულება მონღოლთა შემოსევებამდე გაგრძელდა. მთელი XII საუკუნის განმავლობაში საქართველო და შირვანი ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ.

გ) ურთიერთობა ბიზანტიასთან და ჯვაროსნებთან

დავით აღმაშენებლის დიპლომატიამ, მისმა აქტიურმა საგარეო პოლიტიკამ ბიზანტიასთან ურთიერთობის პრობლემებიც მოიცვა. XI საუკუნის თითქმის მთელ სიგრძეზე საქართველო ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო. 1071 წლის აგვისტოში მანასკერტის ბრძოლაში მძიმე მარცხის შემდეგ ბიზანტიის იმპერიის როლი და გავლენა თანდათან კლებულობს, განუხორციელებელი დარჩა ამიერკავკასიაში შესვლისა და საქართველოზე თავისი უზენაესობის განმტკიცების გეგმაც. დავით აღმაშენებელი ერთიანი საქართველოს მეფეთაგან პირველი იყო, რომელმაც უარყო ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები. ნიშანდობლივია, რომ XI საუკუნეში საქართველოს ყველა მეფე ატარებდა კურაპალატის, ნოველისიმოსის, სევასტოსის თუ კესაროსის ტიტულებს. თვით დავით აღმაშენებელი, როგორც ერთ-ერთი ხელნაწერიდან ჩანს, ჯერ კიდევ გამეფებამდე ატარებდა „სევასტოსის" ტიტულს. იგი ერთ საბუთში „პანიპერსევასტოსადაც" იწოდება[3]. ფაქტია, რომ დავით აღმაშენებელმა გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური წარმატებების მიღწევის შემდეგ უარყო ბიზანტიური ტიტულები. სწორედ ამიტომ, XI საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოკიდებული, იგი არცერთ წყაროში ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულით აღარ მოიხსენიება. ეს სრულიად გარკვევით მიუთითებდა

---

[1] З. М. Буниатов, Государство атабеков Азербаиджана, გვ. 159.

[2] ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთი კახეთის წარსულიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 257.

[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, ტფ., 1892, გვ. 236.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმ ფაქტზე, რომ საქართველო ამიერიდან თავს ბიზანტიის იმპერიის თანატოლ ქვეყნად თვლიდა.

დავით აღმაშენებელი, რომელიც თურქ-სელჩუკთა ამიერკავკასიიდან განდევნისათვის იბრძოდა, კარგად გრძნობდა, რომ ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობა თანაბარ ვითარებაში აუცილებელი იყო. სწორედ ბიზანტიასთან ურთიერთობის განმტკიცების ინტერესმა გადაადგმევინა საქართველოს მეფეს ნაბიჯი დინასტიური ქორწინებისაკენ, როცა თავისი ქალიშვილი კატა 1116 წელს „გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისად". მიაჩნდათ, რომ დავითის ასული კატა დაქორწინდა ანა კომნენოსისა და ნიკიფორე კრიენიოსი უფროს ვაჟზე – ალექსიზე, მაგრამ, როგორც უკანასკნელ ხანს მეცნიერებმა (ო. ლორთქიფანიძე, ვ. კოპალიანი, შ. მესხია) დააზუსტეს, იგი მისთხოვებია ბიზანტიის იმპერატორის ალექსი კომნენოსის უმცროს ძეს – ისაკს, ასეთი დამოყვრების შემდეგ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ჰქონდა სრული უფლება განეცხადებინა, რომ საქართველოს მეფისათვის „მეფე ბერძენთა" იყოო „ვითარცა სახლეული თვისი". ბიზანტიასთან ურთიერთობის კეთილმეზობლური პოლიტიკა არ შეცვლილა დავით აღმაშენებლის მეფობის ბოლო წლებამდე (დავითი არ ჩარეულა მისი სიძის ისაკისა და ალექსი კომნენოსის უფროსი ვაჟის იოანეს შორის ატეხილ უთანხმოებაში), რითაც საქართველოს სამეფომ უზრუნველყო სამხრეთ-დასავლეთი საზღვრების უსაფრთხოება.

დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოს გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა ჯვაროსნებთან. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენა იყო. ჯვაროსნებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ევროპისა და წინა აზიის ქვეყნებსა და ხალხებზე, საერთოდ მთელს მსოფლიოზე. ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ ვრცელი ლიტერატურაა შექმნილი[1]. ამ ომებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენიათ საქართველოს მოსახლეობაზე.

ნიშანდობლივია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები, „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს"[2]. „ფრანგნით" დავითის ისტორიკოსი ევროპელ ჯვაროსნებს აღნიშნავს. ასე უწოდებდნენ მათ იმ დროს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მახლობელ აღმოსავლეთშიც. ჯვაროსანთა გამოჩენა თავისთავად უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო. მათი ყოველი ნაბიჯი „ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად" მხედველობიდან არ ეპარებოდათ თანამედროვეებს. (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც, იმისთვის, რომ ქრონოლოგიური დამაჯერებლობა შეიტანოს თავის

---

[1] იხ. М. А. Заборов, Введение в историографию крестовых походов. Латинская хронография XI-XIII вв., М., 1966; Историография крестовых походов (литература XV-XIX вв.), М., 1971; A. S. Atiya. The Crusade: Historiography and Bibliography. Bloomington, 1962; H. F. Mayer, Bibliographie zur Geschichte der Kreuzzüge 2-te Aufl. Stuttgart, 1965.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 325-326.

მონათხრობში, ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორიც თურქ-სელჩუკებისათვის ხარკის შეწყვეტა და ქვეყნის მოშენება-გაძლიერება იყო, იერუსალიმისა და ანტიოქიის აღებას უკავშირებს).

ჯვაროსანთა გამოჩენამ, მათმა წარმატებებმა ახლო აღმოსავლეთში, დავით აღმაშენებლის პოლიტიკის გატარებას შეუწყო ხელი. თავის მხრივ საქართველოს მეფის წარმატებული ბრძოლა თურქ-სელჩუკებთან ჯვაროსნების წისქვილზე ასხამდა წყალს. ამიტომ იყო, რომ ჯვაროსნების მიერ ახლად დაარსებული სამთავროები თურქ-სელჩუკთა განდევნისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოს თავიანთ მეგობრად თვლიდნენ. საქართველო იმ აღმოსავლეთის ერთ ნაწილს შეადგენდა, რომლის დაპყრობაც მიზნად ჰქონდათ დასახული ჯვაროსნებს. ამ უკანასკნელთაგან არც ხსნასა და შველას მოელოდა საქართველო; არც საჭიროებდა ამ დროს მათ დახმარებას და არც იფიქრებდა მათთან კავშირზე. მისი პოლიტიკური მიზანი, ფარგალი და საშუალებანი სულ სხვა იყო[1]. რა თქმა უნდა, საქართველო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას თვითონ აწარმოებდა და არავის იმედზე არ ყოფილა, არც სხვათა მიზანს შეადგენდა საქართველოს გათავისუფლება თურქ-სელჩუკთა ძალმომრეობისაგან, მაგრამ ფაქტია, რომ ჯვაროსანთა ბრძოლებმა ობიექტურად დადებითი გავლენა იქონიეს ქართველთა გამათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებაზე. ჯვაროსნებისა და საქართველოს მოქმედება, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად, ურთიერთსასარგებლო იყო. მაგრამ არსებითი განსხვავება იყო მათ მიზნებში. „ქრისტეს საფლავის" „უწმინდურთაგან" განთავისუფლების დროშით მოსილი ჯვაროსნების ნამდვილი, დამპყრობლური ზრახვები მალე გაირკვა, ჯვაროსნები ჟლეტდნენ აღმოსავლეთის მოსახლეობას და დიდძალ ნადავლს მიეზიდებოდნენ, ისინი ქრისტიანთა სისხლის დაღვრასაც არ ერიდებოდნენ, არც ის იყო გამორიცხული, რომ საჭირო და შესაძლებელ შემთხვევაში საქართველოს წინააღმდეგ გამოელაშქრათ (შ. მესხია). ერთი სიტყვით, ჯვაროსნები „წმინდა ადგილთა" დახსნის ლოზუნგის დამპყრობლურ პოლიტიკას ახორციელებდნენ.

ზემოთქმულის გამო არ შეიძლებოდა საქართველოსა და ჯვაროსნებს ერთნაირი მიზნები ჰქონოდათ. ქართველი ხალხი მუსლიმანობის კი არა, არამედ საქართველოს დაპყრობა-ამოგდების მოსურნე თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ თვითმყოფადობის გადარჩენისათვის იბრძოდა. დავით აღმაშენებელს, რომელიც აღმოსავლეთში ქრისტიანობის დამცველად, „მესიის მახვილად" იწოდებოდა, მუსლიმანების მიმართ, შემწყნარებლური პოლიტიკა, ხოლო მუსლიმანურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა, რაც საშინაო და საგარეო ვითარებით იყო განპირობებული. ამდენად, ფეოდალური საქართველოსა და ჯვაროსნების კავ-

[1] ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, პარიზი, 1929; შ. ბადრიძე, საქართველო და ჯვაროსნები, თბ., 1973.

შირი დროებითი, გარკვეული მომენტისათვის შექმნილი პოლიტიკური ვითარებით იყო გამოწვეული[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემორჩენილია ცნობები, რომლებიც პირდაპირ მიგვანიშნებენ, რომ დავით აღმაშენებლის ლაშქარი ჯვაროსნებთან ერთად იბრძოდა იერუსალიმისათვის: „ვითარ ლაშქარნი ახლისა დავითისანი წყობათა დავითისთა იერუსალიმს ერთობდეს“ („იტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“), ე. ი. დავით აღმაშენებლის მოლაშქრეები იერუსალიმში დავით წინასწარმეტყველის რაზმებთან გაერთიანებული იყვნენო. ბუნებრივია, დავით წინასწარმეტყველის რაზმებში იგულისხმებიან ჯვაროსნები, რომელთაც იერუსალიმის (დავით წინასწარმეტყველის სატახტო ქალაქის) განთავისუფლება ეწადათ (კ. კეკელიძე).

დავით აღმაშენებლისა და ჯვაროსნების ურთიერთობაზე, კერძოდ, საქართველოს ლაშქრის მონაწილეობაზე იერუსალიმის (ქრისტეს საფლავის განთავისუფლებისათვის) ბრძოლაში მიუთითებენ პ. იოსელიანი, ვ. პოტტო და ნ. ურბნელი. ზ. ავალიშვილს მოაქვს მეტად საინტერესო ცნობა, რომლის მიხედვითაც „დავით აღმაშენებელი იერუსალიმის მეორე ფრანგ მეფეს ბალდუინს ხშირად საჩუქრებს უგზავნიდა“[2]. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ დაცულია ასეთი ცნობა: „მოვიდა დაფარვით დავრიშის სახით, მელიქშას შვილი ტანღან მელიქ სულთანი, გამსტრობად ივერიისა და ხილვად მეფისა დავითისა, და აგრეთვე ამავე სახედ ბერძენთა მეფე ალექსანდრე... ხოლო ამა რიცხვს შინა იყო ბოლდვოინ იერუსალიმის მეფედ, რომელმანცა მრავალი ძლევა მიიღო სარაცინელთა ანუ არაბთა ზედა და ესე ბალდვოინ მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა მოთხრობისაებრ სხვათა ისტორიებთა... და ვერა რომელთამე ქართველთა სცნეს ამათი იდუმალ მოსლვა, და უკუნიქცნენ მასვე წელსა შინა“. ამ ცნობაში შეიძლება ზოგი რამ საეჭვო იყოს, მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ დავით აღმაშენებელთან „დაფარვით“ მოვიდა სხვადასხვა პოლიტიკური მოღვაწე. სრულიად შესაძლებელი ჩანს იერუსალიმის მეფე ბოლდუინ მეორის (1119-1131) კავშირი დავით აღმაშენებელთან. საგულისხმოა, რომ იოანე ბატონიშვილს ბოლდუინის ქართლში მოსვლის ამბავი შეუტანია „მოთხრობისაებრ სხვათა ისტორიებთა“. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით კონკრეტულად, თუ რომელი „ისტორიებიდან“ ისარგებლა იოანე ბატონიშვილმა. სრულიად მართებულადაა მითითებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში (შ. მესხია, ვ. კოპალიანი, შ. ბადრიძე), რომ XII საუკუნის პირველი ოცეულის დასასრულს, როცა ჯვაროსნები ებრძოდნენ ილ-ღაზის და მის მოკავშირეებს, რომლის დროსაც დაიღუპა ანტიოქიის მთავარი როჟერი და ბევრი ევროპელი რაინდი, როცა იერუსალიმის მეფემ ბოლდუინ მეორემ თავს იდო სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლა და ანტიოქიის მმართველობა, ანტიოქიის შენარჩუნებისათვის კი ჯვაროსნები ძალზედ დაზარალდნენ, ამ უკანასკნელთ გამწვავებული ვითარება აიძულებდათ,

---

[1] იხ. შ. მესხია, ძლევაჲ საკვირველი, გვ. 72-81.

[2] იხ. ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, ნარკვევი: გარშემო ერთი ომისა, გვ. 70 – შენიშვნა.

მოკავშირე ეძებნათ და არ არის გამორიცხული, რომ მათ ამგვარ მოკავშირედ საქართველო ესახებოდათ. ასე რომ, საქართველოსა და ჯვაროსნების ერთმანეთთან კავშირი გარკვეულ ვითარებაში ურთიერთსასარგებლო იყო. ჯვაროსნებს ქრისტიანული საქართველო თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდა, დავით აღმაშენებელს კი ჯვაროსნების ეს ბრძოლა დამპყრობელთა განდევნას და მათზე გამარჯვებას უადვილებდა. შეიძლება გაზვიადებული იყოს, მაგრამ შემთხვევითი კი არა, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი იმ მეფეთა და ხელმწიფეთა შორის, რომელნიც საქართველოს მეფის „აჩრდილსა შეკრებილ იყვნეს" დასახელებული ჰყავს „მეფენი და ხელმწიფენი ფრანგეთისანი". ისტორიკოსი, „ფრანგებში", ჯვაროსნებს გულისხმობს (შ. მესხია).

წყაროებიდან აშკარაა, რომ დავით აღმაშენებელი მეტად პოპულარული იყო ჯვაროსანთა შორის. ზ. ავალიშვილის ჯვაროსნების დროისადმი მიძღვნილი ოთხი ნარკვევიდან ერთი მიძღვნილია იერუსალიმის წმინდა საფლავის მეფსალმუნის ანსელუსის (ანსოს) მიერ ძელი ცხოველის ნაწილებისაგან გაკეთებული ჯვრის შეძენისა და პარიზში გამოგზავნის ამბის გადმოცემისადმი[1]. ეს ამბავი მოცემულია ანსელუსის წერილში, რომელიც ზემოხსენებულ ჯვართან ერთად დაცული ყოფილა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში. ამ წერილმა მკვლევართა ინტერესი გამოიწვია და სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ლათინურ, ფრანგულ და ქართულ ენებზე. ანსელუსის წერილი 1108 წლითაა დათარიღებული. თავის დროზე ს. ჯანაშიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ წერილი დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგაა დაწერილი. მართლაც, ანსელუსის წერილის შინაარსი ამას უჭერს მხარს. წერილი გვაუწყებს: „ამ ჯვარსა დავით, მეფე ქართველთა, სანამ იცოცხლა, უაღრეს თაყვანისცემას და სიყვარულს უძღვნიდა; ის დავით, რომელს მისი წინაპრებივით, კასპიის კარი – გოგსა და მაგოგს რომ ზღუდავს – ეჭირა და ედარაჯნა, რასაც შვილი მისიც აქამომდე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო მედელთ და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი, ასე ვთქვათ, წინა ბურჯია.

შემდგომად დავითის სიკვდილისა და მისი შვილის გამეფებისა, მეუღლემ მისმა, უფრო სიწმიდისა, ვიდრე გვარიშვილობისათვის სათაყვანომ, თავი მოიკრიჭა, სარწმუნოების სამოსელი ინება და მცირეოდენ მხლებლით იერუსალიმს მოვიდა, ამ ჯვარის და ბევრი ოქროს თანწამოღებით, და იყო მისი წადილი არა შინ დაბრუნება, არამედ აქ მშვიდობასა და მყუდროებაში სიცოცხლის დასრულება"[2].

მოტანილი მასალიდან სრულიად აშკარაა, რომ დავით აღმაშენებელი გარდაცვლილია. ჯერ ერთი, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ დავითმა „სანამ იცოცხლა" თაყვანისცემასა და სიყვარულს არ აკლებდა ჯვარს; მეორე, პირდაპირაა მითითებული „დავითის სიკვდილისა და მისი შვილის გამეფების შემდეგ" მისმა მეუღლემ ესა და ეს მოიმოქმედაო; მესამე, დავითის მეუღლე წარმოჩენილია, როგორც „უფრო სიწმინდისა, ვიდრე გვარიშვილობისათვის სათაყვანო". ეს ალ-

---

[1] ზ. ავალიშვილი, „ერთი ჯვრის გარშემო", წიგნიდან „ჯვაროსანთა დროიდან", გვ. 13-40.

[2] ზ. ავალიშვილი, „ერთი ჯვრის გარშემო"..., გვ. 29.

ბათ იმიტომ, რომ ყივჩაყი ათრაქა შარაღანის ძის ასული გურანდუხტი „ქრისტეს სახელოვანი საფლავის კანტორისა და ხუცესისათვის“ – ანსელუსისათვის – არ ყოფილა დიდ გვარიშვილად მიჩნეული, იგი მის სიწმინდეს უფრო მოუხიბლავს. გამომდინარე ყოველივე აქედან, ვფიქრობთ, ანსელუსის წერილში დავით აღმაშენებლის გარდაცვლილად მოხსენიება შეცდომის შედეგი არ უნდა იყოს (ზოგი მოსაზრებით, ეპისტოლეში დავით აღმაშენებელი შეცდომითაა გარდაცვლილად ნახსენები, „დავითის ქვრივიც“ ნამდვილი ქვრივი არ იქნებოდა, შესაძლებელია ეს „ქვრივი“ ის ქალი იყო, რომელიც, დავით აღმაშენებელს ცოლად ჰყავდა, ვიდრე ის გურანდუხტზე დაქორწინდებოდა[1].

ანსელუსის წერილი ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის დავით აღმაშენებლის დროის საქართველოს შესახებ, ხაზგასმულია მისი მნიშვნელობა, როგორც კასპიის კარის დამცველისა და თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჯვაროსანთა „წინა ბურჯისა“. შემთხვევითი არ არის, რომ ანსელუსი საქართველოს უწოდებს „წინა ბურჯს“. ეს ფაქტი აშკარად მიგვანიშნებს, რომ საქართველოსა და ჯვაროსნებს შორის ახლო ურთიერთობა არსებობდა. საქართველო ჯვაროსნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც თურქ-სელჩუკები არსებითად ქვეყნის საზღვრებს გარეთ გარეკა (შ. მესხია).

ანსელუსის წერილში ჩანს უდიდესი პატივი და მოწიწება, რასაც იგი დავითის ჯვრის მიმართ იჩენდა:

„იმ ნიჭთაგან ღმერთმა რომ მომცა, ნიჭი ერთი, ფრიადი და შეუდარებელი, ესე იგი ჯვარი, წმინდა ჯვარის ძელითგან ქმნილი, მე თქვენმა მოყვარემ, თქვენი ეკლესიის, თქვენდა და თქვენის ქალაქი საპატივოდ, სასახელოდ და ასამაღლებლად, ანსელმს ერთგულსა თქვენსა გავატანე...

ხოლო ის ჯვარი თქვენ რომ გამოგიგზავნეთ ორი ძელითგან არის გაკეთებული. იქ რომ ჯვარია ჯვარში ჩადებული, ჩადებული იმ ძელისა არის რომელზედ ეკიდა; სადაც ჩართულია, იმ ძელისაა, ფეხთა ქვეშ რომ იყო და ჯვარს რომ ამაგრებდა; ორივე პატიოსანი, ორივე წმიდა“[2].

ანსელუსი სწირავს ჯვარს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს და ვედრებით ითხოვს, დაიწეროს მისი წვლილის შესახებ ჯვრის გამოგზავნაში. იგი ჩასაწერად მზა ტექსტსაც სთავაზობს: „ანსელუსმა, ხუცესმა ჩვენმა, ჯვარი ესე, წმიდა ჯვარის ძელითგან ქმნილი, ჩვენს ეკლესიას და ჩვენ იერუსალიმით მოგვაწოდა“. ამასთან ითხოვს, რომ გარდაცვალების შემდეგ ლოცვებში მოიხსენიონ[3].

ნიშანდობლივია, რომ იერუსალიმიდან პარიზში ჩამოსულმა ჯვრის მომტანებმა (როგორც ირკვევა, ჯვრის ჩამოტანა დავალებული ჰქონდა ბერს ანსელუს, რომელიც გარდაცვლილია და ეს მისია მის შვილს ფულკს შეუსრულებია) ეპისკოპოს გალონს ფონტენიდან აცნობეს დაბრუნების შესახებ. ეპისკოპოსი მთელი კრებუ-

---

[1] იხ. შ. ბადრიძე, საქართველო და ჯვაროსნები, გვ. 16.

[2] ზ. ავალიშვილი, ერთი ჯვრის გარშემო..., გვ. 29.

[3] იქვე.

ლით წამოსულა ჯვრის შესახვედრად, რომელიც ურიცხვი ხალხის თანდასწრებით, ზეიმით მიიტანეს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში. „საფრანგეთში ეს თითქმის პირველი შემთხვევა იყო, რომ იესო ქრისტეს ჯვრის დიდი ნაკვეთი პირდაპირ იერუსალიმიდან მიეღოთ: და ეს ხის ნატეხი, ზღვის იქითგან მოტანილი ამ ღრმად და ბრმად მორწმუნე ფრანგებს ნამდვილ, ნივთიერ ნიშნად ეჩვენებოდა იმ სიმართლისა, რომლისთვის მათი მოძმე გმირი რაინდები პალესტინაში იბრძოდნენ"[1].

დავით აღმაშენებლის ჯვრის პოპულარობა მეტად დიდი ყოფილა. მისი ნახვის, თაყვანისცემის და მისგან მადლის მიღების მსურველთა რიცხვი დიდი იყო. მათი დაკმაყოფილების მიზნით შერჩეულ იქნა სენ-დენისის სწორი და ფართო ველი და დააწესეს, რომ ყოველი წლის ივნისის მეორე ოთხშაბათ აქ აღიმართებოდა ე. წ. ზღვის იქიდან მოტანილი ჯვარი (croix d'autre-mer). საგანგებო ტრიბუნიდან ეპისკოპოსი იქადაგებდა და შემდეგ ხალხს ამ განთქმული ჯვრით დალოცავდა, ჯერ აღმოსავლეთისკენ მიმართავდა, საიდანაც ეს ჯვარი იყო ჩამოტანილი, მერე სამხრეთისკენ – პარიზისკენ, სადაც ჯვარი ინახებოდა.

ვფიქრობთ, საინტერესოდ სვამს კითხვას ზ. ავალიშვილი: ნუთუ დასაჯერებელია, რომ ქართველთა მეფე (მხედველობაშია დავით აღმაშენებელი) მემკვიდრეობით მიღებულ ყოველი ქრისტიანის თვალში უძვირფასეს საუნჯეს არ შეინახავდა საშვილიშვილოდ თავის ოჯახში და შვილს არ უანდერძებდა? განსაკუთრებით ისეთი მეფე, როგორიც დავით აღმაშენებელი იყო, რომლის ბეჭედზე ზედწერილი იყო: „ჯვარითა მტერთა მძლევალი – მე დავით ვარ უძლეველი"? მერე ბაგრატოვანთა საგვარეულოს რელიკვიად არ ჩაითვლებოდა ეს ჯვარი? მართებული ჩანს მოსაზრება, რომ ანსელუსის მიერ შეძენილი ჯვარი ქართველი მეფისეული ჯვარი (იერუსალიმიდან საქართველოში მოტანილი) კი არ იყო, არამედ მისი ერთი ნაწილი, ცალკე ჯვარად გაკეთებული და მოჭედილი.

საბოლოოდ, გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ანსელუსის წერილებში გადმოცემული ე. წ. დავით აღმაშენებლის ჯვრის მთელი ოდისეა ნათლად გვიჩვენებს XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოსა და მისი მეფის უაღრესად დიდ პოპულარობასა და ავტორიტეტს მთელს ჯვაროსნულ სამყაროში.

საქართველოსა და ჯვაროსნების ურთიერთობას მეტად საინტერესოდ გამოხატავს ამ უკანასკნელთა დამოკიდებულება იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრისადმი. ჯვაროსნების მიერ 1099 წელს იერუსალიმის აღების შემდეგ დაარსდა დასავლეთევროპული ტიპის მსხვილი სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო, რომელსაც იერუსალიმის სამეფო ეწოდებოდა. ამ დროიდან მოკიდებული სამეფოს ტერიტორიაზე მდებარე მართლმადიდებლური ტაძრები ლათინებმა დაისაკუთრეს, მაგრამ ქართველთა ჯვრის მონასტერს ხელი არ ახლეს. ჯვაროსანთა ეს მოქმედება განაპირობა იმ სამხედრო-პოლიტიკურმა ურთიერთობამ, რაც ქართველებსა და ჯვაროსნებს შორის იყო. ჯვაროსნები, თურმე, ბევრ სიმდიდრეს

[1] ზ. ავალიშვილი, ერთი ჯვრის გარშემო..., გვ. 29

სწირავდნენ ქართულ მონასტრებს, რის გამოც ისინი საგანგებოდ მოიხსენიებიან აღაპებში[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დიდგორის ბრძოლის დროს დავით აღმაშენებლის ლაშქარში ჯვაროსნებიც („ფრანგნი") მონაწილეობდნენ, რაც ასევე მიგვანიშნებს საქართველოს კონტაქტებზე ევროპის ქვეყნებთან.

როგორც ვნახეთ, დავით აღმაშენებლის დროის საქართველოს ფართო მასშტაბის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილო კავკასიის (ოსები, ყივჩაყები, დაღესტნის ხალხები და სხვ.) ხალხებთან, ძველ რუსეთთან, სომხეთთან, შირვანთან, ბიზანტიასთან და ჯვაროსნებთან. დავით აღმაშენებლის დიპლომატია, მისი საგარეო პოლიტიკა აქტიური იყო და ფეოდალური საქართველოს პროგრესის – პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული წინსვლის საქმეს ემსახურებოდა.

* * *

XII საუკუნის დამდეგს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქვეყნის საბოლოო შემომტკიცების საკითხმა. დავითმა საქართველოს ერთიან სამეფოს შემოუერთა სამშვილდე (1110 წ.), რუსთავი (1115 წ.), გიში (1117 წ.), ლორე (1118 წ.). მართალია, მტერი თითქმის მთლიანად განდევნილი იყო, მაგრამ ვიდრე ამიერკავკასიის აღმოსავლეთი (შირვანი და რანი)[2] და სამხრეთი (სომხეთი) თურქ-სელჩუკთა ხელში იყო და საქართველოსთან მიმდებარე ყაბალ-განძა-ანისში თურქ-სელჩუკები ბატონობდნენ, საფრთხე მაინც მოსალოდნელი იყო. საქართველოს უშიშროების დაცვის საქმე მოითხოვდა ომის გადატანას ქვეყნის საზღვრებს გარეთ. კავკასიის მოძმე ხალხები თვითონაც ებრძოდენ მომხდურ თურქ-სულჩუკებს და ყოველთვის მზად იყვნენ, მხარში ამოსდგომოდნენ მებრძოლ ქართველებს საერთო მტრის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ამიერკავკასიის ხალხებს ერთი მოსაზრება ამოძრავებდათ – განედევნათ სელჩუკი დამპყრობლები თავიანთი მიწა-წყლიდან, რასაც ამიერკავკასიის პოლიტიკური გაერთიანება მოჰყვებოდა.

საქართველოს სამეფო კარის ღონისძიებებმა ქვეყანა გაამაგრა და გააძლიერა. სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტი განუზომლად გაიზარდა. დავით აღმაშენებელმა ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარე თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა და ხელისუფლების სრული კონცენტრირება მოახდინა: საქართველოს მეფე თვითმპყრობელი გახდა.

---

[1] ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბ., 1962, გვ. 56.

[2] იხ. გ. ჯაფარიძე, დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (განჯაზე ლაშქრობა 1110 წ.), მაცნე, 1992, № 4, გვ. 84-89.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ერის სამართლიანი ბრძოლების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დიდგორის ბრძოლას. ცნობები ამ ბრძოლის შესახებ და აგრეთვე მისი შეფასება გვხვდება როგორც ქართველ, ისე უცხოელ ისტორიკოსთა ნაშრომებში.

ფართო მასშტაბის ენერგიული ღონისძიებების შემდეგ საქართველოს სამეფო კარი აქტიური ბრძოლის ტაქტიკას ირჩევს მომხდური მტრის დასამარცხებლად და საქართველოს საბოლოოდ შემოსამტკიცებლად (საქართველოს დედაქალაქი თბილისი ჯერ კიდევ არ იყო შემოერთებული). ბუნებრივია, საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებითა და გააქტიურებით შეშფოთებული იყვნენ მაჰმადიანური მფლობელებიც, სათანადო მომენტს უცდიდნენ მის წინააღმდეგ გასალაშქრებლად...

მაჰმადიანთა გაერთიანებული ლაშქრის საქართველოზე თავდასხმის ორგანიზატორი და წამომწყები ჩანს ერაყის სელჩუკიანთა გამგებელი, სულთანი მაჰმუდ მუჰამედის ძე (1118-1131). მან მიმართა მაჰმადიანებს – ვინც კი სადმე იყო, დამასკოდან და ალეპოდან მოკიდებული, ყველას, მოლაშქრეობის შემძლებელს, მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს წინააღმდეგ ომში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, „სულთანმა მოუწოდა არაბეთის მეფეს დურბეზს, სადაყას ძესა და მოსცა ძე თჳსი მალიქი და ყოველი ძალი მისი. და აჩინა სპასალარად ელღაზი, ძე არდუხისი... და უბრძანა... ამათ თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა და ყოველთა სომხეთისა ამირათა“[1].

კოალიციური ლაშქრის რაოდენობა სომეხი ისტორიკოსის მათეოს ურჰაეცის მიხედვით, შეადგენდა 560000 კაცს. ანტიოქიის სამთავროს კანცლერის, ფრანგი გოტიეს ცნობით, კოალიციურ მოლაშქრეთა რიცხვი 600000-ს აღწევდა. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ მტრის ლაშქარი დიდგორის ბრძოლისას 300000 მეომრისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი.

რამდენი მოლაშქრე გამოიყვანა დავით აღმაშენებელმა? გოტიეს ცნობით, დავით აღმაშენებელი 80000 მხედრით გავიდა საბრძოლველად, ეს მონაცემიც გაზვიადებული ჩანს. უფრო დასაჯერებელია მათეოს ურჰაეცის საკმაოდ დეტალური ცნობა საქართველოს ლაშქრის რაოდენობის შესახებ. მის მიხედვით, დავით აღმაშენებელმა დიდგორის ბრძოლაში საომრად გაიყვანა 55600 მოლაშქრე, აქედან 40000 ქართველი, 15000 ყივჩაყი, 500 ალანი და 100 ევროპელი მეომარი. დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ველზე გამოყვანილი ლაშქრის უდიდეს უმრავლესობას (ორ მესამედს) ქართველები შეადგენდნენ. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ გადამწყვეტ მომენტში ძირითად ძალას ქართულ ლაშქარში სწორედ სამეფო სპა – ქართველები შეადგენდნენ.

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 340.

თურქ-სელჩუკების კოალიციურ ჯარსა და დავით აღმაშენებლის ლაშქარს შორის გენერალური ბრძოლა დიდგორთან გაიმართა. საქართველოს ჯარი დავით აღმაშენებელმა დიდგორის მიდამოებში განალაგა. გოტიეს გადმოცემით, დავით აღმაშენებელმა ბრძოლის დაწყების წინ მგზნებარე მოწოდებით მიმართა თავის ლაშქარს: „... მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება – ესაა, რომ ჩვენ ყველამ, ხელთა ცისადმი აღპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე უფრო მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევით. და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შევსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკრათ და მტრებს, როცა მოგვიახლოვდებიან ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით სასტიკად შევუტიოთ“.

დავით აღმაშენებლის სიტყვიდან აშკარა ხდება, რომ ქართული ლაშქარი იდგა ხეობაში, რომლის შესასვლელიც საგანგებოდ ჩაუხერგავთ. ეს, რასაკვირველია, საგანგებო ღონისძიება იყო. ქართველ მოლაშქრეთა წინაშე იდგა ერთი ამოცანა – ან გამარჯვება, ან ზურგშეუქცეველი სიკვდილი.

1121 წლის 12 აგვისტო, ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათი...

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, საქართველოს ლაშქრის სარდლობის მიერ გატარებული სტრატეგიული და ტაქტიკური სიახლეებისა და მებრძოლთა თავგანწირული შემართების წყალობით დიდგორის ბრძოლა სამ ჟამს (საათს) გაგრძელებულა... მტერი სასტიკად დამარცხდა. ქართველთა ლაშქრის და მისი სარდლობის დამსახურება ის იყო, რომ გაქცეულ მტერს შეკავშირებისა და გაერთიანების საშუალება არ მისცა, კონტრშეტევის ყოველგვარი საშუალება მოუსპო და მისი სრული მარცხი განაპირობა. ამრიგად, ქართველმა მოლაშქრეებმა 1121 წლის 12 აგვისტოს მაჰმადიანურ კოალიციურ ჯარებთან მეტად რთულ და, ამავე დროს, არსებითად გადამწყვეტ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

დიდგორის ბრძოლის წარმატებით მოგების შემდეგ საქართველოს სამეფოსთვის თბილისის შემოერთებას წინ აღარაფერი ედგა. საქართველოს ძველი დედაქალაქისა და სხვა ქალაქების დამორჩილება ფაქტობრივად დიდგორის ბრძოლის გაგრძელება იყო. „მეორესა წელსა აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებულ სპარსთა, და დაუმკჳდრა შვილთა თჳსთა საჭურჭლედ და სახლად თჳსად საუკუნოდ“[1]. ამგვარად, თბილისი 1122 წელს იქნა შემოერთებული და საქართველოს სატახტო ქალაქი კვლავ აქ გადმოიტანეს.

დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა შირვანი (1123 წ.) და ანისი (1124 წ.). მისმა გეგმაზომიერმა საქმიანობამ „დაამშვიდა ქვეყანა... განავსო და აღაშენა ყოველი ოხერ-ქმნილი“. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ „... სულტანი და-

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 342.

სუა მოხარკედ თჳსა, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა სახლეული თჳსი: დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი, მრწემად მოიყვანნა მეფენი, ხოლო ... ჴელმწიფენი; მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტუერად დასვა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი"[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

დავით აღმაშენებლის დროს ერთიანი და ეკონომიკურად ძლიერი საქართველოს წინსვლა მის განათლება-კულტურაშიც გამოიხატა. აქ მოხდა ქრისტიანული (ბიზანტიური) და მაჰმადიანური კულტურების შეხვედრა-შერწყმა. განვითარდა საერო ლიტერატურა, აშკარად შეიმჩნა მხატვრობის, ოქრომჭედლობისა და ხუროთმოძღვრების აღმავლობა.

დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულმა მრავალმხრივმა ღონისძიებებმა (აქ მნიშვნელოვანი როლი დიპლომატიასაც ეკუთვნის) განაპირობა წარმატებები ქვეყნის პოლიტიკური დაწინაურებისა და ეკონომიკური მომძლავრების საქმეში.

2003 წ.

---

[1] იქვე, გვ. 351.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვისწავლოთ ღრმა აზროვნება

კიდევ ერთი აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი იდღესასწაულა საქრისტიანომ. ღვთისმშობლის წილხვედრილმა სრულიად საქართველომაც დიდი ზეიმით აღნიშნა ეს წმინდა დღე. წინასწარ მიტევებას ვითხოვ, რომ მკრეხელობად არ ჩამეთვალოს, თუ ჩვეულებრივი მოკვდავი ორიოდე მოსაზრებას გამოვთქვამ უწმიდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის „სააღდგომო ეპისტოლეს" შესახებ, რომელიც მიმართულია ყოველთა ქართველთა მკვიდრთა საქართველოისა და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებთა მიმართ.

ეპისტოლეს დევიზია „თვალი გავუსწოროთ რეალობას". უწმინდესი და უნეტარესი შეგვაგონებს: „ნაწილობრივ მაინც რომ ვიგრძნოთ მაცხოვრის მიერ გაღებული მსხვერპლის სიდიადე და ჩვენდამი მისი უსაზღვრო სიყვარული, საკუთარ სულში უნდა ჩავიხედოთ; თითოეულმა ცალ-ცალკე და ყველამ ერთად უნდა განვიცადოთ ჩვენი სისუსტენი, ვამხილოთ ჩვენი ცოდვითი მიდრეკილებანი, რათა მართალი მეზვერესავით გულით შევთხოვოთ შემოქმედს: ღმერთო მილხინე მე ცოდვილს; და იმ მეზვერესავით მივიღოთ შენდობა და მიტევება ცოდვათა ჩვენთა".

„სააღდგომო ეპისტოლე" განსაკუთრებულ ადგილს უთმობს დღევანდელობის ზოგიერთ მტკივნეულ საკითხს. წარსულმა წლებმა მძიმე დაღი დაასვა ადამიანთა აზროვნებას. რწმენისა და ინტელექტის უარყოფამ მსოფლმხედველობისა და ზოგადადამიანური მრწამსის რღვევა განაპირობა, რომლის შედეგებს დღეს ვიმკით. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შეშფოთებით აღნიშნავს: „რით შეიძლება ავხსნათ... ქართველის მიმართ ქართველი ადამიანისვე დაუნდობელი სისატიკე? ჩვენი შვილები ჩვენს თვალწინ ერთმანეთს ხოცავენ ისეთი ღვარძლით, ისეთი გამეტებით ასეთი სასჯელისათვის ქრისტიანი კაცი სამშობლოს მტერსაც არ გასწირავს". ალბათ დადასტურებაც კი უხერხულია ამ ჭეშმარიტი სიტყვებისა. ერთი კია, რომ მათში მთელი ერის გულისტკივილია გადმოცემული და ჩვენს მოძავალზე დიდი ფიქრი ჩანს. მართლაც და თვალსა და ხელს შუა წუთი წუთს ხელიდან გვეცლება ჯიშიანი ქართველი ახალგაზრდები. ხარობს მტერი – ქართველი ქართველითვე ითრგუნება. მერე განა ამის უფლება გვაქვს? როცა ამა თუ იმ ჩადენილი მძიმე დანაშაულის მიზეზს იკითხავ, იგი იმდენად უმნიშვნელოა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გიკვირს – ასე რამ გააბოროტა ახალგაზრდა კაცი, რამ დაუკარგა, მოყვასის სიყვარული, სად გაუქრა მიმტევებლობის უნარი.

„სააღდგომო ეპისტოლეში" წუხილითაა აღნიშნული, რომ თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ფონზე აშკარად გართულდა მდგომარეობა, არ არის თანხმობა ქართველთა შორის, ხშირად კი მტრობაცაა. „გონიერნი მაშინ ვიქნებით, თუ საქმის კეთებას დავიწყებთ არა ლანძღვით, არამედ ერთმანეთის გვერდში ამოდგომით, ერთმანეთის მოსმენით, ურთიერთგაგებით, კარგი იდეების გაზიარებით" – ეპისტოლეს ეს სიტყვები მარადიული კანონის ბადალია და იგი ყველამ უნდა გაითვალისწინოს.

ერთიანობისაკენ მოწოდება ჩანს 19 მარტს ჩატარებული თანადგომისა და ერთიანობის აქციის შეფასებაში, როცა იმძლავრა ქართველებში მიძინებულმა ურთიერთის სიყვარულმა, „შეერთდა დაქსაქსული ქართული სული, სინანულის მადლით განიბანა და თანადგომისა და თანაგრძნობის სურვილით აღვსილი ერთგულების ფიცით წარსდგა სიონის ტაძარში".

განსაკუთრებული ყურადღება მინდა დავუთმო „სააღდგომო ეპრისტოლეს" იმ ნაწილს, რომელიც დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი საკითხებისადმია მიძღვნილი. ესაა ფიქრი ხვალინდელ დღეზე, ჩვენს მომავალზე, მოზარდი თაობის სწორ აღზრდაზე. აქ მკვეთრადაა გამოკვეთილი ქართველი დედების მისია, რომელთაც ვალად უნდა იდონ, რომ შვილებს აკვნიდანვე ჩაუნერგონ ღვთისა და მოყვასის სიყვარული, ერთგულებისა და თანაგრძნობის უნარი. ახალგაზრდობამ ყრმობიდანვე უნდა შეიმეცნოს, რომ ღირსება ღირსეულად დაიცვას და არა ლაჩრული გზით – არა კაცის კვლით, ბოროტებითა და დაუნდობლობით, არამედ სიმართლით და ურთიერთპატივისცემით.

სრულიად მართებულია და ამასთან დიდად ფასეული (კიდევ ბოდიშს ვიხდი შეფასების მცდელობისათვის) უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის შენიშვნები ჩვენი პედაგოგიკისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შესახებ. ვფიქრობთ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სახალხო განათლების სამინისტრომ დაინტერესებულ პირებთან ერთად ყურად უნდა იღოს და განიხილოს ისინი. მე ყოველმხრივ მხარდასაჭერად და განსახორციელებლად მიმაჩნია სასკოლო პროგრამებში „ზნეობრივი კულტურის" აუცილებელი სწავლების შეტანა.

„სააღდგომო ეპისტოლე" მოგვაგონებს, რომ ბოლო წლებში საქართველოში მიმდინარე პროცესებმა ნათლად გვიჩვენა, რომ ქართველთა მოქმედება ძირითადად გრძნობებსა და ემოციებზეა დაყრდნობილი, გონება კი არ აკონტროლებს მას. მართლაც მხოლოდ ემოცია არ შეიძლება საკმარისი იყოს სიკეთის მოტანისათვის. ემოციებმა, ხმა ერისამ მიიყვანა მაცხოვარი ჯვარცმამდე. ამიტომ აუცილებელია ხმა ერისას ხმა ღვთისა ამოუდგეს მხარში. ხმა ღვთისა – ეს განსჯაა, ანალიზია. ყოველივე ისაა, რაც ეგრერიგად გვაკლია ჩვენ.

უწმინდესისა და უნეტარესის წინადადებაა შეიქმნას პირველი კლასიდან დამამთავრებელ კლასამდე, სასკოლო კურსი ღრმა აზროვნების სწავლებისათვის,

სადაც გამოყენებული იქნება ღვთისმეტყველების, ლოგიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ანთროპოლოგიის მონაპოვარი (მასალა კონკრეტული მაგალითებით უნდა იყოს ილუსტრირებული ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით). „ღრმა აზროვნებასთან ზიარება ბავშვს მეტად გაუადვილებს სხვა საგნების ათვისებას. ამასთან ჩვენ აღვზრდით ნამდვილად ჭკვიან ახალგაზრდებს, რომლებიც იცხოვრებენ და იმოქმედებენ არა მხოლოდ ემოციებით; თავისუფალნი იქნებიან მაქსიმალიზმისაგან და ჩვენზე უფრო გონიერად, რწმენით და სიმართლით წარმართავენ ცხოვრებას" („სააღდგომო ეპისტოლე").

ფრიად საინტერესო მოსაზრებებია თვით სწავლების მოწყობასთან დაკავშირებით, რომელთაც დიფერენცირებული სწავლების რაციონალურ ფორმასთან მივყავართ. უსათუოდ გასათვალისწინებელია უწმინდესის კიდევ ერთი შეგონება: „სწავლების პროცესში ჩვენი ის ნაკლიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველებს გვახასიათებს საქმის კარგად დაწყება, მაგრამ დამთავრება კი გვიჭირს, არ გვიყვარს მისი ბოლომდე მიყვანა. ამიტომ ბავშვს რა ხნის განმავლობაშიაც დავსვამთ გაკვეთილზე, ისეთი დავალება უნდა მივცეთ, რომ იმ დროში აუცილებლად ჩაეტიოს, დაასრულოს იგი ან საქმის გარკვეული ნაწილი მაინც, რომ მას გამოუმუშავდეს დაწყებულის აუცილებლად დამთავრების სურვილი და მოთხოვნილება".

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის „სააღდგომო ეპისტოლე" ყოველთა ქართველთა, მკვიდრთა საქართველოჲსა და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებთათვის ქრისტეს აღდგომის მოლოცვასთან ერთად მეტად დიდსა და მნიშვნელოვან პრობლემებზე ამახვილებს სრულიად საქართველოს ყურადღებას. შეგვახსენებს, რომ ჩვენი ეროვნული მეობის სამ ფენომენს – მამულს, ენასა და სარწმუნოებას თვალისჩინივით გაფრთხილება უნდა.

ყველა სიტყვა ეპისტოლესი ძირფასია, რადგან დიდი სიყვარულითაა წარმოთქმული და უჭეშმარიტეს სიბრძნეს შეიცავს.

ჩემი წერილიც ეპისტოლეს სიტყვებით მინდა დავამთავრო:

ჩვენც მოვუხმოთ სიბრძნესა და სიყვარულს, რამეთუ სიბრძნე მარტოოდენ სიყვარულშია.

1988 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთხი ათასწლეულის სამოცი წელიწადი
ისრაელის სახელმწიფო 60 წლისაა

ებრაელი ხალხი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ბინადარია. მათი ისტორია ოთხ ათასწლეულს მოითვლის. ეს ისტორია კი საოცარია. ძნელია მოიძებნოს მსოფლიოში სხვა ხალხი, რომელმაც დაკარგა თავისი სახელმწიფოებრიობა, გაიფანტა მთელს პლანეტაზე, სულ ცოტა ორი ათასი წელი თავისი ისტორიული სამშობლოს გარეშე იარსება და მაინც შესძლო დარჩენილიყო ერთიან ხალხად. და სწორედ ორი ათასი წლის შემდეგ ძველ მიწა-წყალზე შექმნა სახელმწიფო – ისრაელი.

60 წლის წინ, 1948 წლის 14 მაისს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1947 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, დიდი ბრიტანეთის სამანდატო ქვეყნის – პალესტინის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ისრაელის სახელმწიფო. დაფუძნების უმალ ამ ქვეყანას აურაცხელი პრობლემები შეექმნა, ისე როგორც ებრაელობას უძველესი დროიდან; ეს პრობლემები რამდენადმე დღემდეა გადაუჭრელი...

პირველი გამოჩენილი პირი ებრაელთა ისტორიისა აბრაამია, რომელმაც დაახლოებით 1900 წელს ჩვენს ერამდე, თავის ოჯახთან ერთად დატოვა ქალაქი ური (ხალდების ქვეყანა) და გაემართა დასავლეთისკენ ახალი მიწების საძებნელად. „ბიბლიის“ ცნობით იგი ქანაანში დასახლდა. აქ გაიზარდა აბრაამის შვილი და მემკვიდრე ისააკი. აქვე დაიბადა და გაიზარდა ისააკის შვილი იაკობი. ეს სამეული: აბრაამი, ისააკი და იაკობი, „ბიბლიის“ მიხედვით, პირველ პატრიარქებად ითვლებიან, რომელთაც საფუძველი დაუდეს ისრაელის ქვეყანას.

იაკობი და მთელი ებრაელობა ეგვიპტეში გადასახლდნენ, სადაც უმძიმეს პირობებში – მონობაში მოუხდათ ცხოვრება. მოსე წინასწარმეტყველმა შეძლო ებრაელთა გამოყვანა ეგვიპტიდან დაახლოებით 1300 წელს ჩვენს ერამდე და დააბრუნა სამშობლოში. ამ მოვლენის აღსანიშნავად ებრაელობა საყოველთაოდ ყოველწლიურად აღნიშნავს ფასეხის დღესასწაულს.

ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში ებრაელთა საცხოვრისს წარმოადგენდა ისრაელისა და იუდეველთა სამეფოები. ორივე ეს სამეფო იმ დროის მნიშვნელოვანი სახელმწიფოები იყო.

ისრაელის სამეფო ძველი წელთაღრიცხვის 722 წელს ასურეთმა დაიპყრო, იუდეველთა სახელმწიფო კი ძველი წელთაღრიცხით 586 წელს ბაბილონმა გაანად-

გურა. ამ პერიოდებთან და მოვლენებთან არის დაკავშირებული ებრაელების განსახლება (გაფანტვა) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ანუ ებრაელთა მასობრივი გადასახლება და დამკვიდრება სხვადასხვა ქვეყანაში. განსაკუთრებით გაძლიერდა ებრაელთა მიგრაცია (გადასახლება) რომის მიერ იუდეის დაპყრობის შემდგომ (ძვ. წ. 63 წ.). ებრაელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გადასახლდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, აფრიკასა და სამხრეთ ევროპაში. ებრაელთა გადასახლების პროცესი შუა საუკუნეებშიც გრძელდებოდა. იმჟამად ეს მოვლენა, სხვა გარემოებებთან ერთად, განპირობებული იყო ევროპის ქვეყნების ვაჭრობის განვითარებით. ნიშანდობლივია, რომ ებრაელობამ აითვისა ადგილობრივი ქვეყნების ენა და კულტურა, თუმცა საკუთარი ჩვევები და რწმენა არ დაუკარგავს. ევროპის ქალაქებში ჩასახლებული ებრაელები კარჩაკეტილ თემებად ცხოვრობდნენ. მათი საქმიანობა ძირითადად ვაჭრობა და ხელოსნობა იყო. შეძლებული ებრაელები მევახშეობდნენ. ებრაელები მოხერხებულნი იყვნენ თავიანთ საქმიანობაში და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ, რაც ადგილობრივი ვაჭრებისა და ხელოსნების კონკურენციას იწვევდა და თავისთავად აღვივებდა წინააღმდეგობას დამხვდურთა და ჩამოსახლებულთა შორის, იზრდებოდა ანტისემიტური მიდრეკილებები. სხვადასხვა დროს ადგილი ჰქონდა ებრაელ და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ურთიერთობის უკიდურესად გამწვავებას. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში ებრაელთა მასობრივი დარბევა მოეწყო. შედეგი ის იყო, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან ებრაელთა დიდი რაოდენობა აიყარა და აშშ-სა და სხვა ქვეყნებში გადასახლდა. ანტისემიტურმა მოძრაობამ მძაფრად რეაქციული ხასიათი მიიღო ფაშისტურ გერმანიაში. მეორე მსოფლიო ომის (1939-1945 წწ.) დროს ნაცისტებმა ჩაიდინეს მსოფლიო მასშტაბის უდიდესი, არნახული დანაშაული – 6 მილიონი ებრაელი გაანადგურეს.

ნიშანდობლივია, რომ ისრაელის სახელმწიფოს შექმნის (გამოცხადების) მეორე დღესვე, 1948 წლის 15 მაისს, არაბულმა სახელმწიფოებმა ომი გამოუცხადეს და შეიჭრნენ მის ტერიტორიაზე. 19 მაისს ისრაელის დროებითმა საბჭომ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა მთელს ქვეყანაში. ხაზგასასმელია, რომ ოფიციალურად (იურიდიულად) ეს მდგომარეობა დღემდე არ გაუქმებულა. ცხადია, ეს ვითარება (და შემდგომში განვითარებული პრობლემები) ისრაელის სახელმწიფოს რთულ მდგომარეობაში აქცევს.

ისრაელის სახელმწიფოს შექმნამ ვითარება შეცვალა – გადაიჭრა ებრაელთა იდენტიფიკაციის პრობლემა. ე. წ. „ებრაული" საკითხი შევიწროვდა. ებრაელთა არსებობისა და ამა თუ იმ ხალხთან თანაცხოვრების საკითხი დღის წესრიგში აღარ დგას. დღეს არსებითია ებრაული სახელმწიფოს პრობლემა. საერთოდ, წინა საუკუნეებთან შედარებით ებრაული პრობლემატიკა აქტუალური გახდა. ებრაული საკითხი პირდაპირ დამოკიდებულებაშია ახლოაღმოსავლეთის ზოგადი პრობლემების გადაჭრასთან.

თუკი ერთ დროს ეს საკითხები თეორიულ ასპექტში იდგა, ამჟამად დღის წესრიგში მწვავე ცხოვრებისეულ რეალურ პრობლემად იქცა; პრობლემად, რო-

მელიც დროულ გადაწყვეტას ითხოვს. ერთი რამ პირდაპირ უნდა აღინიშნოს, რომ წინა საუკუნეებში არსებული ანტისემიტიზმი ფაქტობრივად აღარ არსებობს. ნიშანდობლივია, რომ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ქვეყნის კანონმდებლობებში მკაცრი სანქციებია ანტისემიტიზმის გამოვლინებისათვის. ერთადერთი და მოკრძალებული არეალი ანტისემიტიზმისათვის არაბული ქვეყნებია. აქაც უპირატესად არა ებრაელობის წინააღმდეგაა მიმართული ეს მიმდინარეობა, არამედ ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ანტისემიტიზმი დღეისათვის პრაქტიკულად გამორიცხულია ებრაელთა ყველაზე ფართო განსახლების ქვეყანაში – ამერიკის შეერთებულ შტატებში. ანტისემიტიზმი თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა ისეთ ადრინდელ, კლასიკური ანტისემიტიზმის ქვეყანაში, როგორიც რუსეთია. ანტისემიტიზმი საერთოდ ამოვარდა გერმანელთა (გერმანიის) ლექსიკური ფონდიდან.

მთელ მსოფლიოში მიმოფანტულ ებრაულ თემებს ყოველთვის აწუხებდათ ეროვნულ-კულტურული იდენტობის პრობლემა, შიში იმისა, რომ არ დაეკარგათ ეროვნება. დღეს სრულიად ნათელია, რომ ებრაული თემების ცხოვრება სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის აშშ-ში, ისე წარიმართა, რომ ებრაელობამ შეძლო შეენარჩუნებინა თავისი ებრაული იდენტურობა. იყო დრო, როცა ცალკეულ, ამა თუ იმ ქვეყანაში ებრაელები ერიდებოდნენ საჯაროდ გამოეცხადებინათ თავისი ეროვნება, დღეს კი ყველგან სიამაყით მოიხსენიებენ თავს ებრაელად. იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პროფესორი ელი ბარნაკი სამართლიანად აცხადებს: „სიონიზმი დღეს? სხვა არაფერია თუ არა იდეოლოგიური ნაგვის გროვა“...

ისრაელის მეცნიერები და პოლიტიკოსები ხშირად მსჯელობენ ებრაელთა იდენტიფიკაციის პრობლემაზე. ჯერ კიდევ ასი წლის წინათ იდეოლოგიურად გამოიკვეთა ებრაელთა ცხოვრების შესაძლო განვითარების პერსპექტივა: ასიმილიაციონიზმი (ცხოვრება განსახლების ადგილებზე, რასაც თან სდევდა ებრაული იდენტურობის დაკარგვა), სიონიზმი და დიასპორაში ეროვნული არსებობა. მეტად მნიშვნელოვანი იყო ისრაელის სახელმწიფოს მიერ კანონის მიღება ებრაელთა სამშობლოში დაბრუნების თაობაზე. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან დაიწყო ებრაული ეროვნების ოჯახების დაბრუნება (აქაც გარკვეული პრობლემები წარმოჩნდა და სახელმწიფოს კანონში ცვლილებების შეტანა მოუხდა). ებრაელთა დიდი ტალღა დაიძრა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, სადაც, თითქმის ყველგან, ებრაული თემი ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყო. თუმცა გარკვეული ნაწილი ებრაელობისა ადგილებზე დარჩა და არსებული თემი არ მოუშლია.

ფრაგმენტულად შევეხოთ ისრაელის მიღმა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული ზოგიერთი ებრაული თემის დღევანდელ მდგომარეობას.

თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სამი ებრაული თემია: მთის ებრაელები, აშკენაზი-ებრაელები და ქართველი ებრაელები. ზოგიერთი ცნობით, მთის ებრაელები თხუთმეტი საუკუნის წინ გამოჩნდნენ ჩრდილო აზერბაიჯანისა და სამხრეთ დაღესტნის ტერიტორიაზე. პირველი აშკენაზები ბაქოში XIX საუ-

კუნეში ჩამოვიდნენ, აზერბაიჯანის რუსეთთან შეერთების (1813 წ. გიულისტანის შეთანხმება) შემდეგ. ამავე პერიოდში ჩნდებიან ქართველი ებრაელები. 1989-2005 წწ. აზერბაიჯანიდან ისრაელში ემიგრირებულ იქნა 60 ათასი კაცი (ვარაუდობენ, რომ ამჟამად ისრაელში აზერბაიჯანიდან ამოსული 100 ათასი კაცი ცხოვრობს). საკუთრივ აზერბაიჯანში დარჩენილია 16 ათასი ებრაელი (მთის ებრაელი – 11 ათასი, აშკენაზი-ებრაელი – 4 ათას სამასი კაცი, ქართველი ებრაელი – დაახლოებით 600 კაცი). აზერბაიჯანში სხვადასხვა ებრაული ორგანიზაცია ფუნქციონირებს, გამოდის ებრაული გაზეთები.

შედარებით მცირე რაოდენობის ებრაელები სახლობენ სომხეთში. ისინი აქ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში გამოჩნდნენ. XIX საუკუნეში სომხეთში სახლდებიან ქართველი, ქურთისტანელი და აშკენაზი ებრაელები. 1970 წელს სომხეთში 1048 ებრაელი ცხოვრობდა. 1980 წელს – 3000 (რუს გლეხებთან, „სუბბოტნიკებთან" ერთად, რომელთაც მიიღეს იუდაისტური სარწმუნოება). გასული საუკუნის 90-იან წლებში 1800-მდე კაცი ემიგრაციაში წავიდა და დღესდღეობით სომხეთში დაახლოებით 900 ებრაელი ცხოვრობს. ეს რიცხვიც მცირდება – ყოველწლიურად 90-100 კაცი ემიგრაციაში მიდის. სომხეთში მთავარი ებრაული ორგანიზაციაა ებრაული თემი.

თანამედროვე ბელორუსიის ტერიტორიაზე პირველი ებრაელები XIV საუკუნეში გამოჩნდნენ, ლიტვის დიდი სამთავროს ეპოქაში. XVII საუკუნეში ბელორუსიელი ებრაელები დიდად დააზარალა ბოგდან ხმელნიცკისა და რუსეთის ჯარის 1655 წლის შემოსევებმა.

1897 წლის აღწერით ბელორუსიაში 900 ათასი ებრაელი ცხოვრობდა. XX საუკუნის 30-იან წლებში ბელორუსიაში 400 ათასი ებრაელი ცხოვრობდა. 1999 წლის აღწერის მონაცემებით რესპუბლიკაში 28 ათასი ებრაელი დარჩა. ბელორუსიაში სხვადასხვა ებრაული ორგანიზაციები ფუნქციონირებენ, გამოდის წიგნები ებრაული პრობლემატიკის შესახებ. აქ არის ნაცისტთა საკონცენტრაციო ბანაკებგამოვლილთა და „გეტოს" ყოფილ ტყვეთა საზოგადოებრივი გაერთიანება. დაარსებულია ბელორუსიის ებრაელთა ისტორიისა და კულტურის მუზეუმი.

მნიშვნელოვანი ებრაული თემია ყაზახეთში. 1939 წელს აქ 19200 ებრაელი ცხოვრობდა, 1959 წელს – 28 ათასი. გასული საუკუნის 80-90-იანი წლებიდან დაიწყო ემიგრირება ისრაელში. დღესდღეობით ყაზახეთში, როგორც ვარაუდობენ, 50000 ებრაელი ცხოვრობს. ყაზახეთში სხვადასხვა ებრაული ორგანიზაციებია. არის ებრაული სკოლები, ტარდება ებრაული ხელოვნების ფესტივალები.

ყირგიზეთში ებრაული თემის ფორმირება XIX საუკუნეში დაიწყო. აქ იყვნენ აშკენაზები და ბუხარელი ებრაელები. XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს აქ 7200 ებრაელი ცხოვრობდა. რესპუბლიკაში ერთადერთი სინაგოგაა, ფუნქციონირებს კერძო ებრაული სკოლა. ბიშკეკში ტარდება ებრაული წიგნის ყოველწლიური ფესტივალები.

თანამედროვე მოლდავეთის ტერიტორიაზე პირველი ებრაული თემი XIV ს-ში გამოჩნდა. XVIII საუკუნის ბოლოს კი ქვეყანაში მრავალი აშკენაზური დასახლება

აღმოცენდა. 1989 წელს მოლდავეთში 65672 ებრაელი ცხოვრობდა. 90-იანი წლების დასაწყისიდან მოკიდებული 50 ათასმა კაცმა დატოვა მოლდავეთი და ისრაელში გადასახლდა. ქვეყანაში სხვადასხვა ებრაული ორგანიზაციები ფუნქციონირებს, რომელთა მიერ მრავალი შემეცნებითი და კულტურული ღონისძიება ტარდება. მიმდინარეობს იუდაიკის პრობლემების კვლევა.

მოკლედ შევეხებით რუსულ ებრაულ თემს. პირველი ცნობები ებრაელთა თანამედროვე რუსეთის ტერიტორიაზე გამოჩენის შესახებ ჩვენი ეპოქის პირველ საუკუნეს განეკუთვნება და უკავშირდება ქერჩის სრუტის სანაპიროებზე არსებულ ბოსფორის სამეფოს. VII-X სს-ში ვოლგისპირეთში, დონის მხარესა და ჩრდილოეთ კავკასიაში არსებობდა ხაზართა კაგანატი, რომლის მაღალმა ფენებმა VIII ს-ში იუდაიზმი მიიღეს. მონღოლთა შემოსევებმა (XIII ს.) ებრაული თემები გაანადგურა და XVIII საუკუნის ბოლომდე ებრაელები რუსეთის ტერიტორიაზე ძალზე იშვიათად გამოჩნდებოდნენ. ვითარება არსებითად შეცვალა პოლონეთის დაყოფამ, როცა 1772-1775 წწ. რუსეთის იმპერიას შემოუერთდა ტერიტორიები, რომლებზეც თითქმის მილიონი ებრაელი სახლობდა. 1939 წლისათვის რუსეთში 956 ათასი ებრაელი ცხოვრობდა. 1934 წელს შეიქმნა ებრაელთა ავტონომიური ოლქი (დედაქალაქი ბირობიჯანი).

აღსანიშნავია, რომ დიდ სამამულო ომში (1941-1945 წწ.) ნახევარ მილიონზე მეტი ებრაელი მონაწილეობდა საბჭოთა კავშირიდან. აქედან ნახევარი ველარ დაბრუნდა. ის ებრაელები, რომლებიც ნაცისტებისგან ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცნენ, განადგურდნენ. რუსეთში შეიქმნა ებრაული ანტიფაშისტური კომიტეტი, გამოდიოდა გაზეთი იდიშზე. ომის შემდეგ ბევრი ებრაული კულტურული დაწესებულება დაიხურა. მათი ხელმძღვანელები რეპრესირებული იქნენ.

60-80-იან წლებში რუსეთის ფედერაციის ფარგლებში დაიწყო ებრაელთა მოძრაობა, ძირითადად მოსკოვსა და ლენინგრადში. ამის საწინააღმდეგოდ 1983 წელს შეიქმნა საბჭოთა საზოგადოების ანტისიონისტური კომიტეტი. პირველი ლეგალური სიონისტური ორგანიზაციები რუსეთის ფედერაციაში გაჩნდნენ 1988 წელს. 1989 წელს მოსკოვში ჩატარდა საბჭოთა კავშირის ებრაელთა პირველი ყრილობა. უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე რუსეთიდან ისრაელში, აშშ-სა და გერმანიაში დაახლოებით ნახევარი მილიონი ებრაელი წავიდა. მოსახლეობის ბოლო აღწერის მიხედვით, 2002 წელს რუსეთში 230 ათასი ებრაელი ცხოვრობდა (70% ცხოვრობს მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში). ბევრ ექსპერტს ეს ციფრი არ მიაჩნია სწორად. საქმე ისაა, რომ ბევრ ებრაელს დღემდე ვერ გადაუწყვეტია თავისი ეროვნების გამჟღავნება; ზოგი თემი საერთოდ გაერიდა აღწერას. ექსპერტები ასახელებენ, რომ რუსეთში ცხოვრობს 500-დან 750 ათასამდე ებრაელი. ესენი არიან აშკენაზი-ებრაელები, აღმოსავლეთის ებრაელები, მთიელი ებრაელები.

რუსეთის ებრაელობას აქვს ეროვნულ-კულტურული ავტონომია, რაც ფედერალური კანონითაა დამოწმებული (1996 წ.). რუსეთის ებრაელობას ფართო კონტაქტები აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ებრაელებთან. შექმნილია რუსულენოვანი ებრაელების მსოფლიო კონგრესი, რომლის ერთ-ერთი ცენტრი

მოსკოვშია. საერთოდ რუსეთში 600-მდე ებრაული ორგანიზაცია ფუნქციონირებს. დიდი ყურადღება ექცევა ებრაულ განათლებას. რუსეთში მოქმედებს 45 საბაზო ებრაული სკოლა. დიდი ყურადღება ექცევა იუდაიკის განვითარებას, შექმნილია სხვადასხვა ტიპის კვლევითი ცენტრები. ებრაული პრესა ასამდე დასახელების ერთეულს მოითვლის. მოსკოვში მუშაობს ებრაული თეატრი („შალომ"), გამომცემლები გამოსცემენ სხვადასხვა სახის ებრაული თემატიკის ლიტერატურას.

რუსეთში არსებობს ისრაელის თემი, რომელშიც გაერთიანებული არიან ისრაელის მოქალაქეები (ოფიციალური მონაცემებით არანაკლებ ათასისა).

ებრაული თემები არსებობენ ტაჯიკეთში (სხვადასხვა შეფასებით აქ ცხოვრობს რამდენიმე ასეულიდან 2 ათას ებრაელამდე), თურქმენეთში (2000-მდე ებრაელი), უზბეკეთში (დღესდღეობით ცხოვრობს 16 ათასი, ზოგიერთი შეფასებით 40 ათასამდე ებრაელი).

მნიშვნელოვანია ებრაული თემები უკრაინაში, სადაც ისინი ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ყირიმისა და შავიზღვისპირეთის ელინისტურ სახელმწიფოებში გაჩნდნენ. უკრაინელ ებრაელთა ისტორიის შემდეგი ეტაპი დაკავშირებულია ხაზართა კაგანატთან (VIII-X სს.), რომლის თავკაცები იუდაიზმის აღმსარებლები იყვნენ. ნიშანდობლივია, რომ პირველი აუთენტური დოკუმენტი, სადაც ქალაქი კიევია მოხსენებული, არის X ს-ით დათარიღებული ივრიტზე შესრულებული წერილი (ესაა ე. წ. „კიევური წერილი", რომელიც ამერიკელმა ებრაისტმა ნორმან გოლბმა და უკრაინელმა აღმოსავლეთმცოდნემ ომელიან პრიცაკმა გამოაქვეყნეს 1982 წელს).

XVII საუკუნეში ბოგდან ხმელნიცკის აჯანყების დროს ებრაელთა მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა (ძირითადად დნეპრის მარცხენა ნაპირზე მცხოვრებნი). XX საუკუნის დასაწყისში უკრაინის ტერიტორიაზე 2 მილიონი ებრაელი ცხოვრობდა. ამავე პერიოდის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო მრავალი ებრაელი ემიგრირებული იქნა ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკაში. სამოქალაქო ომის დროს (1918-1920 წწ.) 500 ათასამდე ებრაელი იქნა განადგურებული. 1920-1930-იან წლებში უკრაინაში მრავალი კულტურული, საგანმანათლებლო, რელიგიური და კოოპერაციული ორგანიზაცია არსებობდა, სასამართლო ფუნქციონირებდა იდიშზე, იყო ებრაული სოფლის საბჭოები.

1941 წლის დასაწყისისათვის უკრაინის ტერიტორიაზე 3 მილიონი ებრაელი ცხოვრობდა. ნაცისტურმა ოკუპაციამ 110 ათასი ებრაელი იმსხვერპლა, მილიონამდე ებრაელმა ევაკუაცია მოახერხა. 1940-იან წლებში დაიხურა ყველა ებრაული კულტურული დაწესებულება. პირველი ლეგალური ებრაული ორგანიზაცია უკრაინაში (ებრაული საზოგადოებრივ-კულტურული ფონდი) 1988 წელს გაჩნდა. 2001 წელს უკრაინის ებრაული მოსახლეობის რაოდენობა 103600 იყო (ზოგი მონაცემით 200 ათასზე მეტია ებრაული მოსახლეობა).

ოფიციალურად უკრაინაში დარეგისტრირებულია 288 ებრაული ორგანიზაცია, 204 იუდაისტური რელიგიური თემი და 100 ებრაული საქველმოქმედო ფონდი. უკრაინაში მუშაობს საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციების: ჯოინთის, სოხ-

ნუთის და კლეიმს კონფერენსის წარმომადგენლობები. 1997 წელს შეიქმნა სრულიად უკრაინის ებრაული კონგრესი. უკრაინაში 37 ებრაული სკოლაა, 60 საკვირაო სკოლა, სადაც ყველა ასაკის ებრაელები სწავლობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ამით შემოვიფარგლებით ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული ებრაული თემების აღწერით და ცოტა უფრო ვრცლად შევჩერდებით ებრაულ თემზე საქართველოში, მის ისტორიასა და დღევანდელ მდგომარეობაზე.

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა ებრაელთა პირველი ტალღის გამოჩენასა და დამკვიდრებას საქართველოში ბაბილონის მეფის – ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებასა და განადგურებას უკავშირებს. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „... ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალემი და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს“. იერუსალიმის დაცემა ჩვენს ერამდე 586 წელს მოხდა და სწორედ ამ დროს „მუნით ოტებულნი ურიანი“ მოდიან ქართლში. ნიშანდობლივია, რომ ემიგრანტებმა მცხეთის მამასახლისს მიმართეს თხოვნით, რათა ნება მიეცა აქ დასახლებისა, თანაც ებრაელებმა სათანადო ხარკის გადახდის პირობა დადეს. მცხეთის მამასახლისმა მეგობრობის ხელი გაუწოდა გაჭირვებაში ჩავარდნილ ლტოლვილებს და „მისცა და დასხნა არაგუსა ზედა წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი და რომელი ქვეყანა აქუნდათ მათ ხარკითა...“. აქედან ებრაელები სხვა დაბებსა და ქალაქებში – ხელოსნობისა და სააღებმიცემო ცენტრებში გადადიან. ქართლის მოქცევის ქრონიკა ებრაელთა ჩამოსახლებას მცხეთაში ძველი წელთაღრიცხვის 169 წლით ათარიღებს.

ელინისტურ პერიოდში ქართლის ქალაქებში – მცხეთასა და ურბნისში უკვე არსებობდა ე. წ. „უბანი ჰურიათა“, სადაც ცხოვრობდნენ ებრაელები; აქ იყო მათი ეთნიკურ-რელიგიური თემები. აქ ებრაელებს ძველთაგანვე ჰქონდათ თავიანთი საკულტო ცენტრები, ე. წ. „ბაგინი ჰურიათა“. ეს სინაგოგები იყო. როგორც ჩანს, სწორედ „ბაგინი ჰურიათას“ მსახური (ე. ი. იუდაიზმის მიმდევარი) იყო ქრისტეს სარწმუნოების მიღებამდე წმინდა ნინოს ცხოვრებაში მოხსენიებული მღვდელი აბიათარი. ძველი ებრაული თემების ცხოვრების კვალი შემორჩა ქართლში აღმოჩენილ ძველ ებრაულ ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც.

როგორც ჩანს, ებრაელობამ საქართველოში ადრევე შეითვისა ქართული ენა და იმთავითვე ეზიარა ქართულ ადათ-წესებსა და ზნე-ჩვეულებებს. ამასთან, ისინი ბოლომდე დარჩნენ იუდაიზმის ერთგულნი. ებრაელი შრომობდა და იბრძოდა ქართველის გვერდით. ებრაელთათვის საქართველო მეორე სამშობლოდ იქცა და ამიტომ ისინი ისევე ზრუნავდნენ ქვეყნის წინსვლა-განვითარებისათვის, როგორც ქართველები. ქართველ ებრაელთა უფლებრივი მდგომარეობა ქართველი მოსახლეობის ანალოგიური იყო, მისგან არაფრით განსხვავდებოდა.

ისტორიულად ცნობილია, და ეს არაერთგზის აღუნიშნავს ბევრ გამოჩენილ ებრაელ მოღვაწეს, რომ საქართველოში ებრაელებს არასოდეს განუცდიათ ეროვნული და სარწმუნოებრივი შევიწროება და დევნა. საქართველოსთვის, ქართველი ხალხისათვის, უცხო იყო ანტისემიტიზმის რაიმე გამოვლინება.

ისტორიული საბუთებიდან ჩანს, რომ ებრაელი შუა საუკუნეებში ისეთივე ყმა იყო, როგორც ქართველი. ნიშანდობლივია, რომ, დაბალი ფენების (ყმა და სხვა კატეგორიები) გარდა, ებრაელები ხელოსნობასა და მიწათმოქმედებასაც მიდევდნენ. და მაინც, ქართველ ებრაელთა ძირითადი საქმიანობა აღებ-მიცემობა იყო. ებრაელები მეფეს, ეკლესიასა თუ ფეოდალს (ბატონს) „თეთრით" უსწორდებოდნენ (ემსახურებოდნენ).

IX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში ქართველ ებრაელობაში ნათლად ჩანს ყარაიმული მოძრაობის კვალი, რომელსაც „აცხაბ ალ-თიფლისი" ეწოდებოდა. ეს სექტა, როგორც გადმოგვცემენ, ბაღდადიდან გადმოსახლებულ აბუ იმრანს, შემდეგში ალ-თიფლისად წოდებულს, შეუქმნია. სექტამ XII საუკუნემდე იარსება და თავისი მკაცრი მოთხოვნების (თალმუდის კანონებზე უფრო მკაცრი კანონების შემოღების მცდელობა) გამო გამქრალა.

როგორც ცნობილია, ებრაელები იყოფოდნენ აშკენაზებად და სეფარადებად. აშკენაზების ჯგუფს განეკუთვნებიან გერმანელი, პოლონელი და აღმოსავლეთ ევროპაში მოსახლე ებრაელები. ქართველი ებრაელები თავიანთ თავს სეფარადებად თვლიან და ამ მიმდინარეობის რელიგიური წესებისა და ადათ-ჩვევების მიმდევრები არიან.

ქართველი ებრაელობა საუკუნეთა განმავლობაში ქართველებთან და საქართველოს სხვა მოსახლეობასთან ერთად ქმნიდა ქართულ კულტურას. ქართველმა ებრაელებმა ბევრი უნიკალური ძეგლი შემოინახეს. უპირველესად უნდა დავასახელოთ ლაილაშური ბიბლია. პერგამენტზე დაწერილი ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლი გამოირჩევა ლამაზი ორნამენტით, მაღალმხატვრულად შესრულებული თავასოებით. ლაილაშის ბიბლია საუკუნეთა მანძილზე ინახებოდა ებრაელთა შორის, შემდეგ – ლაილაშის სინაგოგაში. მას სვანურ ბიბლიასაც უწოდებენ და არაერთი ლეგენდით ამკობენ ქრისტიანები თუ იუდაისტები. ლაილაშის ბიბლია რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეთათვის, განურჩევლად იმისა, ქართველები იყვნენ თუ ებრაელები, თაყვანისცემის საგანი იყო: ხანგრძლივი გვალვების დროს წვიმას შესთხოვდნენ, ავადმყოფობისას – განკურნებას, ომის დროს – მტერზე გამარჯვებას და სხვ.

ჩვენამდე შემორჩენილი ე. წ. ბრეთის ანუ ავალიანთ (ავალიშვილების) ბიბლიის (დაწერილია ქ. სალონიკში, 1513 წ. სულთან სელიმ I-ის მეფობის დროს, იეჰუდა გედალიას ოჯახში, ვინმე ყაზრიელის მიერ) რამდენიმე რვეული წარმოადგენს ებრაულ პალიმფსესტს. ეს ძეგლი საუკუნეთა მანძილზე ავალიშვილების საკუთრება იყო, გამოიყენებოდა ებრაელთა დასაფიცებლად, ე. ი. როცა ჭეშმარიტი იუდაისტი ებრაელი ბიბლიაზე (ამ შემთხვევაში ბრეთის ბიბლიაზე) დაიფიცებდა, იგი სრულ სიმართლეს ამბობდა, ან დადებულ პირობას უეჭველად შეასრულებდა.

საინტერესო ძეგლი გახლდათ ე. წ. ჭიანურაშვილების ფსალმუნი. ეს იყო ძველ ებრაულ ენაზე დაწერილი კომენტარები [კომენტარების ავტორები დავით იოსების ძე კიმხი ანუ რედაკი (1160-1235 წწ.) და იოსებ ბენ-დავით ჰაიევანისი (XI-XII სს.) იყვნენ]. ფსალმუნი ქ. ახალციხიდან ბაქოში გადასახლებული ჭიანურაშ-

ვილების საგვარეულო საკუთრება იყო. იგი ახალციხეში თუ ბაქოში კომპაქტურად მოსახლე ქართველ ებრაელებს სასწაულმოქმედ წიგნად მიაჩნდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებრაელები ძველთაგანვე საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ცხოვლობდნენ: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ახალციხეში, გორში, ცხინვალში, თელავში, სიღნაღში, ბორჯომში, ქარელში, სურამში, ბრეთში, თამარაშენში, ონში, ჩხარში, ზუგდიდში, სენაკში, საჩხერეში, კულაშში, ლაილაშში... და ბევრ სხვა ქალაქსა თუ დაბა-სოფელში ძველთაგანვე ნახავდით ებრაელთა უბნებს.

ებრაელთა არსებობა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში არ გამორჩენიათ უცხოელ მოგზაურებს. განსაკუთრებით საინტერესო ცნობები აქვს დაცული დიუბუა დე მონპერეს. იგი საქართველოს ზოგიერთი ქალაქის სოციალური და ეროვნული შემადგენლობის შესახებ ცნობებს იძლევა და ყველგან ხაზგასმული აქვს ებრაელი მოსახლეობის რიცხვი. ამასთან, მინიშნებულია, რომ ებრაელები ეწეოდნენ წვრილმან ვაჭრობას, ყიდდნენ ძველმანებს, ფიზიკურად ნაკლებად შრომობდნენ, ნაკლებად მისდევდნენ მიწათმოქმედებას. დიუბუას ცნობით, ებრაელებს ხშირად ნახავდით, როცა ისინი ბიბლიას კითხულობდნენ ან როცა თავიანთ შვილებს ებრაულ ცოდნას აძლევდნენ, თავად კი ქართულად ლაპარაკობდნენ.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, შუა საუკუნეების მთელ მანძილზე ყმა ებრაელი, ყმა ქართველთან ერთად, ერთ სოციალურ კატეგორიას ქმნიდა. ფეოდალის (მებატონის) უღელი ერთნაირად მძიმე იყო ებრაელისთვისაც და ქართველისთვისაც. პრაქტიკულად ბატონი წყვეტდა მათ ბედს – შეეძლო გაეყიდა, გაეჩუქებინა, მზითევში გაეტანებინა, დაეწინდა ან გაესხვისებინა. ქართველი ყმა ებრაელები კუთვნილების თვალსაზრისით დაყოფილი იყვნენ სამეფო, საეკლესიო, სათავადაზნაურო კატეგორიებად. ქართველი ყმების მსგავსად, იყვნენ ებრაელი მკვიდრი ყმები, ხიზნები, ბოგანოები, აყრილები, რომლებიც ბატონისათვის მრავალგვარ სამსახურს ეწეოდნენ. გვიანფეოდალურ ხანაში ყმა ებრაელებს იტაცებდნენ საქართველოზე თავდამსხმელი მოთარეშე ტომები.

სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შეცვლამ, კერძოდ, კაპიტალიზმის ელემენტების შემოჭრამ საქართველოში, ერთგვარი კორექტივი შეიტანა ქართველ ებრაელთა განსახლებაში. დაიწყო პროცესი დაბა-სოფლებიდან ქალაქებში გადასახლებისა.

XIX საუკუნემდე თბილისში ებრაელთა რიცხვი ძალზე უმნიშვნელოა. ვაჭრობას ძირითადად სომხები ეწევიან. ეს უცხოელი მოგზაურების მონაცემებითაც დასტურდება. ებრაული მოსახლეობა თბილისში მნიშვნელოვანწილად გაიზარდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. თბილისი პრაქტიკულად უკვე დიდი სავაჭრო ცენტრია. აქ მრეწველობაც მნიშვნელოვნადაა განვითარებული. XIX საუკუნის პირველ მესამედში თბილისში 30000-მდე მცხოვრებს ითვლიან. აქ იყო 1150-მდე დუქანი, 60 სავაჭრო საწყობი, 5 ტრაქტირი, 6 სამღებრო საწარმო, რამდენიმე კერამიკული და ტყავის საამქრო (დაბახანა). რამდენიმე წელიწადში კიდევ

უფრო გამრავლდა ეს საწარმოები, განსაკუთრებით გაიზარდა სასურსათო და საკონდიტრო დაწესებულებებისა და სასტუმროების რიცხვი. 1835 წელს, რუსი ჩინოვნიკების ცნობით, თბილისში 60-მდე ებრაელი ცხოვრობს (აქედან 50 ვაჭარი). შემდგომში ეს რიცხვი საგრძნობლად იზრდება. ებრაული მოსახლეობა საქართველოს დედაქალაქში თავის უბანს აფუძნებს, აარსებს სინაგოგას და ებმება ქალაქური ცხოვრების ჩვეულ რიტმში.

ებრაელთა მნიშვნელოვანი რაოდენობაა დამოწმებული ქ. ქუთაისში. ისინი ეწევიან ხელოსნობასა და ვაჭრობას. ეს დარგები საკმაოდ იყო განვითარებული XIX საუკუნის 30-იანი წლების ქუთაისში. ქუთაისში ამ დროს არსებობდა ბაზარი (სავაჭრო რიგი), სადაც გარკვეულ დღეებში არამარტო იმერეთის, არამედ სამეგრელოსა და გურიის მოსახლეობას შემოჰქონდა გასაყიდად მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტი. ვაჭრობაში წამყვანი როლი ქართველ ებრაელებს ეკუთვნოდათ. ბევრი მათგანი საეკლესიო ყმა იყო. ზოგიერთ საბუთში შემონახულია საეკლესიო ებრაელთა სახელები. ასე, მაგალითად: დანიელა და გლახუნა ციციაშვილები, იცხაკ და შალომ კატაპარიაშვილები, არონ და იოსებ იაკობიშვილები, მამუჩელა და შაბათა ფიჩხაძეები, იცხაკ დათიაშვილი, დავით მოშიაშვილი, იოსებ ბაჩილაშვილი და სხვ. ისინი, ჩვეულებრივ, ებრაელთათვის დამახასიათებელ საქმიანობას ეწევიან და გამოსაღებს ფულით უხდიან ეკლესიას.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს კარგად ჰქონდა განვითარებული საგარეო ვაჭრობა. გაჰქონდათ ყოველგვარი საქონელი, განსაკუთრებით საღდებოდა ბეწვი და ბეწვის ნაწარმი. შემოჰქონდათ აბრეშუმი, ბამბა, შალეული, ფაიფური, ჩაი, ყავა, ზეითუნის ზეთი, ჭურჭლეული, ხალიჩები, მარილი და სხვა. ქ. ახალციხეს რამდენიმე სავაჭრო გზა აკავშირებდა თურქეთთან. აქაური ებრაელები მოხერხებულად იყენებდნენ ამ საშუალებას. ისტორიულმა საბუთებმა შემოგვინახა მასალა, სადაც ჩანს, რომ ზოგჯერ ქართველი ებრაელები კონტრაბანდასაც მიმართავდნენ, კონტრაბანდის საგანი რუსული ვერცხლის ფული იყო. ერთი ახალციხელი ებრაელი გაუსამართლებიათ კიდეც კონტრაბანდის გატანისათვის, გასატანი ვერცხლის კონფისკაცია არ უკმარებიათ და მნიშვნელოვანი ჯარიმა დაუკისრებიათ.

საგულისხმოა, რომ რუსეთის მეფის მთავრობა (საქართველოს ანექსია რუსეთმა 1801 წელს მოახდინა) ახალისებდა საშინაო და საგარეო ვაჭრობას. XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან თავისუფალი იყო სატრანზიტო ვაჭრობა. გადასახადების ტარიფები შეღავათიანი იყო. ამ დროს საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან, ევროპის ზოგიერთ ქვეყანასთან, თურქეთთან. განსაკუთრებით ინტენსიური სავაჭრო კავშირი იყო ამ უკანასკნელთან. შეიკრიბებოდნენ ე. წ. „მესტამბოლე“ ებრაელები, ვაჭრები და გადიოდნენ თურქეთში, საიდანაც უხვად შემოჰქონდათ სხვადასხვა საქონელი. საქონელი ევროპიდანაც შემოდიოდა, მაგრამ აზიური საქონლის წილი ბევრად მეტი იყო ევროპულზე.

ქართველ ებრაელთა მნიშვნელოვანი მასა სახლობდა და მოსაქმეობდა ქ. გორში. ესენი იყვნენ ბატონყმობის უღელში შებმული გლეხები, სახელმწიფო

და საეკლესიო ყმა გლეხები. გორში ვაჭრობა-ხელოსნობას სომხებიც ეწეოდნენ და გარკვეულ კონკურენციას უწევდნენ ქართველ ებრაელობას.

ებრაელთა ტრადიციული დასახლება გამოირჩეოდა ონში – რაჭაში. რაჭის ებრაელები ძირითადად წერეთლის ყმები იყვნენ. როგორც ჩანს, ზოგჯერ ბატონზე უკმაყოფილო ებრაელებს მისგან გაქცევა უცდიათ. ერთი საბუთი აგვიწერს შემთხვევას, როცა ბერი და მორდეხა შალელაშვილების ოჯახს – გაქცევის მცდელობის გამო – განურისხებია თავადი წერეთელი. შალელაშვილების ოჯახს გამოესარჩლნენ ონელი ებრაელები: ოსია, იაკობ და ბექი არონაშვილები. მათ „თავდებობის წერილი" აახლეს ქაიხოსრო და ქველი წერეთლებს და ივალდებულეს, რომ შალელაშვილების ოჯახის ხელახალი გაქცევის შემთხვევაში გადაუხდიდნენ თავადებს 5 ქისა თეთრს, ან შეიპყრობდნენ გაქცეულებს და ბორკილდადებულს მიჰგვრიდნენ თავადებს.

თავისი ტრადიციებითა და ადათ-ჩვევებით ცხოვრობდნენ საჩხერელი, კულაშელი, სურამელი თუ სხვა კუთხის ებრაელები საქართველოში. აქ უკვე გამოირჩეოდნენ: მცირე ჯგუფი მდიდარი ვაჭრებისა, საშუალო შეძლების ვაჭრები და ძირითადად მეწვრილმანე ვაჭრები. მდიდარი (დიდი) ვაჭრები ებრაელთა მნიშვნელოვან ნაწილს თავის სამსახურში იყენებდნენ. მათი დავალებით სოფელ-სოფელ სავაჭროდ დადიოდნენ ე. წ. „მესოფლე" ებრაელები. ცხადია, მათ აქედან გარკვეული სარგებელი ჰქონდათ. ე. წ. „მესოფლე", ანუ სოფელ-სოფელ მოვაჭრე ებრაელებიდან ზოგი „დღიური" იყო, ე. ი. მათ საქონელი მდიდარი ვაჭრისაგან ერთი ან ორი დღით მიჰქონდათ ნისიად, გაყიდვის მერე კი ანგარიშს უსწორებდნენ. იყვნენ ე. წ. „კვირეულნი", რომლებსაც საქონელი ერთი კვირით მიჰქონდათ ნისიად. ერთი კვირიდან ერთ წლამდე მიჰქონდათ საქონელი „ვადიანებს".

ებრაელთა მოჯამაგირეობის გარკვეული სახე იყო ე. წ. „ყურბათობა", რომელსაც ახასიათებდა შორეული, ხანგრძლივი და მძიმე მოგზაურობა. იგი ძირითადად ახალციხეში მცხოვრებ ებრაელთა შორის იყო გავრცელებული. ზოგჯერ შეძლებული ებრაელი ვაჭარი იქირავებდა მეორე ებრაელს, რომელიც ზურგით ატარებდა საქონლით სავსე ბოხჩას (ტომარას, კალათას), ეხმარებოდა დამქირავებელს ვაჭრობაში, იცავდა საქონელს დაკარგვისაგან. ხშირად ასეთი დაქირავებული პირი იძულებული იყო 2-3 წლით დაეტოვებინა ოჯახი და თავის „პატრონს" გაჰყოლოდა შორეულ ქვეყნებში (ხშირად სტამბოლში) სავაჭროდ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართველი ებრაელები ვაჭრობასთან ერთად ხელოსნობასაც მისდევდნენ, განსაკუთრებით შინამრეწველობა ჰქონდათ განვითარებული. ისინი ქმნიდნენ ამხანაგობებს, სადაც 2-3 ხელოსანი ერთიანდებოდა. ხელოსნებს შეთანხმება ჰქონდათ ვაჭრებთან საქონლის გაყიდვის თაობაზე. ვაჭარს შემოჰქონდა ნედლეული, რომელიც საქონლის სახეს იღებდა ხელოსნის ხელში. შემდეგ უკვე იგივე ვაჭარი მზა პროდუქციას ჰყიდდა და, ცხადია, გარკვეულ მოგებას ნახულობდა. ხელოსნობა განსაკუთრებით დაწინაურდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

ნიშანდობლივია, რომ XIX საუკუნეში საქართველოში სახლდებიან მეფის რუსეთიდან გადმოსახლებული ევროპელ ებრაელთა ჯგუფები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის მთავრობა მთელ იმპერიაში აღვივებდა ანტისემიტიზმს. იგი საქართველოშიც ახერხებდა სხვადასხვაგვარი პროვოკაციის მოწყობას. ცნობილი ფაქტია, რომ 1853 წელს ამიერკავკასიის მაშინდელი უმაღლესი ადმინისტრაციის ხელმძღვანელობამ და პირადად მიხეილ ვორონცოვმა სურამელი ებრაელების მიმართ შეთხზეს ბრალდება და პასუხისგებაში მისცეს სურამელი ებრაელები. მათ ბრალი დასდეს ქრისტიანი ბავშვის მკვლელობაში, რაც, თითქოსდა, რიტუალური მიზნით შეასრულეს. სრულიად უდანაშაულო ღარიბი ებრაელები რუსეთის შორეულ ადგილებში გადაასახლეს, საიდანაც ისინი ვეღარ დაბრუნდნენ.

1879 წელს მთავრობამ პასუხისგებაში მისცა საჩხერელი ებრაელები. მათაც რიტუალური მიზნით ქრისტიანი ბავშვის მოკვლა ბრალდებოდათ. გასამართლების პროცესი ქუთაისში გაიმართა. მას დიდი გამოხმაურება ჰქონდა საზღვარგარეთაც. სასამართლო იძულებული გახდა ბრალდებულები გაემართლებინა.

ყოველივე ეს პროვოცირებული იყო და იმისთვის კეთდებოდა, რომ ქართველები და ებრაელები დაეპირისპირებინათ, ქართველებში შუღლი გაეღვივებინათ ებრაელების მიმართ და მათ გასწორებოდნენ, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. საღად მოაზროვნე ქართველები ქართველ ებრაელებში თანამოძმეს, ჭირისა და ლხინის გამზიარებელს ხედავდნენ და მათთან ძმურად ცხოვრებას აგრძელებდნენ.

თვით ებრაული მოსახლეობა, ქართველ ებრაელთა გამოჩენილი მოღვაწეები (ასეთები, საბედნიეროდ, საქართველოში ყოველთვის მრავლად იყვნენ) ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მთელ მსოფლიოში საქართველო არის ის გამორჩეული ქვეყანა, ქართველები არიან ის ხალხი, რომელთაც ებრაელების მიმართ ოცდაექვსსაუკუნოვანი ისტორიის მთელ მანძილზე ღრმა პატივისცემა და სიყვარული გამოამჟღავნეს. მხოლოდ აქ, ამ ერთადერთ ქვეყანაში არ ჰქონია ადგილი ანტისემიტიზმს.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ქართველმა ებრაელობამ შეინარჩუნა იუდაისტური რელიგია. ებრაელებით დასახლებულ თითქმის ყველა ქალაქსა თუ დაბაში სინაგოგებია აგებული, სადაც მათ სათანადო რელიგიური რიტუალების შესრულების ყოველგვარი საშუალება ჰქონდათ.

XX საუკუნე ახალი ძვრებით შემოვიდა და მრავალი სიახლე შემოიტანა საქართველოში. ქართველი ებრაელობა საქართველოს ცხოვრებით ცხოვრობდა, მონაწილეობდა საქართველოში მიმდინარე გარდაქმნებში.

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი უდიდესი თანაგრძნობით ეკიდებოდნენ ქართველ ებრაელობას. 1912 წელს აკაკი წერეთელმა იმოგზაურა რაჭა-ლეჩხუმში. მან მგზნებარედ მიმართა ონელ ებრაელებს: „დადგება დრო, ერთა ჩაგვრა მოისპობა და თქვენც თავისუფლად ამოისუნთქავთო“. ქართველი ებრაელები უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ დიდ პოეტს. ეს ნათლად გამოსჭვივის ონელი ებრაელობის მიმართვიდან აკაკი წერეთლისადმი (დაიბეჭდა „სახალხო გაზეთში“, 1912 წ. 8 სექტემბერს):

„დიდებულო მგოსანო, მე ვარ ქართველი ებრაელი, თქვენის ნაწარმოებით აღზრდილი და თქვენი ჩანგის ჟღერით დამტკბარი; ამასთანავე უნდა გაუწყოთ, რომ დღეს ჩვენი ქართველი ებრაელები დიდის აღტაცებით და გამოუთქმელი სიხარულით მივეგებებით ერთად ჩვენ ქართველ ძმებთან და მეზობლებთან თქვენ ჩვენში მობრძანებას და ბედნიერ დღეობას. დიდებულო მგოსანო, ჩვენ ებრაელები და ქართველების ცხოვრებაში ისეთი შეთვისება გვაქვს ერთმანეთ შორის, რომ არ განვიყოფებით ერთმანეთისაგან, როგორც ერთი სისხლი და ხორცი, ამიტომ ვალდებულად ვთვლით ჩვენ თავს, რომ ერთად ქართველ ძმებთან, ჩვენ მეზობლებთან, მონაწილეობა მიგვეღო ამ თქვენს ბედნიერ დღეობაში და ზეიმში ... მუდამ სახეში იქონიეთ, რომ ჩვენ, ებრაელებსა და ქართველებს შორის არ ყოფილა განსხვავება, არ არის და არც იქნება გარდა სარწმუნოებისა“.

შემთხვევით არ წერდა ილია ჭავჭავაძე: „ძვირად სადმე შეეთვისებიან ურიები სხვა ხალხს ისე, როგორც ქართველებს შეეთვისნენ... უკანასკნელ დროს და ახლაც არც ერთ უფლებას არ იყვნენ მოკლებული, რომელიც ქრისტიანებს ჰქონდათ მინიჭებული“ (ჟურნალი „ივერია“, 1881 წ.).

XX საუკუნის დასაწყისშივე დაიწყო დაბალი ფენების მოძრაობა. 1905 წლის რევოლუცია საქართველოსაც მისწვდა. საქართველოს ებრაელთა მდიდარი ნაწილი ქართველ ბურჟუაზიულ ელემენტებთან ერთად წინ აღუდგა რევოლუციას და ფარულად თუ აშკარად ებრძოდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ერთგვარი ყურადღება მიექცა ებრაელებს. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ 1929 წლის 25 მარტს მიიღო დადგენილება „ებრაელთა უღარიბესი ნაწილის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“, რომლის ძალითაც ებრაელებს საშუალება მიეცათ მოეწყოთ სახარაზო, სამკერვალო, საფეიქრო, სადურგლო, საწარმოო-სამშენებლო და სხვა ტიპის არტელები; მრეწველობის სახალხო კომისარიატს დაევალა ახლად ამუშავებულ საწარმოებში (მაუდის ქარხანა, ძაფსაწნევი ფაბრიკა და სხვ.) ებრაელი მოსახლეობის ჩაბმა. ებრაელ ახალგაზრდებზე დაწესდა ჯავშანი და დაიგეგმა ყოველწლიურად პროფსკოლებში ებრაელი ახალგაზრდების მომზადება.

XX საუკუნის 30-იან წლებში ყურადღება მიექცა ღარიბ ებრაელთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას: მაქსიმალურად ჩააბეს სკოლაში ბავშვები, კომპაქტურად დასახლებულ ებრაელთა საცხოვრებელ ადგილებზე მოეწყო ქოხ-სამკითხველოები. გადიდდა სტიპენდიები ებრაელი მოსწავლეებისათვის საშუალო და უმაღლეს სკოლებში.

ქართველი ებრაელებისათვის, როგორც საერთოდ ყველა ხალხისათვის, უმძიმესი იყო დიდი სამამულო ომის პერიოდი.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველ ებრაელთა ცხოვრება საერთო საქვეყნო რიტმსა და ვითარებაში მიმდინარეობდა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ებრაელობას მიეცა საშუალება, მრავალმხრივ გამოეჩინა თავი. ისინი გამოირჩევიან მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებში: მათემატიკასა თუ ფიზიკაში, ფილოლოგიასა თუ ზოგადად ორიენტალისტიკაში, არქიტექტურასა თუ ლიტერატურაში, თეატრსა თუ კინოში.

1960-70-იანი წლებიდან დაწყებული ბევრი ქართველი ებრაელი ემიგრირებული იქნა როგორც ისრაელში, ისე ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში, მაგრამ მათ საქართველო არ დავიწყებიათ და დღესაც მეორე სამშობლოდ თვლიან.

დღესდღეობით საქართველოში 10 ათასამდე ებრაელი ცხოვრობს. ქართველ ებრაელებთან ერთად აქ არიან აშკენაზები დაახლოებით 2-3 ათასი კაცი. ქართველ ებრაელთა ორი მესამედი ცხოვრობს თბილისში. 2003 წელს შეიქმნა ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესი, რომელიც კოლექტიური წევრია ევრაზიული ებრაული კონგრესისა. არსებობს „მაკაბის" ქართული განყოფილება, კალათბურთელთა კლუბი „მაკაბი". 1998 წელს შეიქმნა სადისკუსიო კლუბი „26 საუკუნე". ჯოინთის პატრონატით მოქმედებს საქველმოქმედო ორგანიზაცია „ხესედ-ელიახუ", რომელსაც თავისი წარმომადგენლობები აქვს თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმში, ონში და გორში. არსებობს ქართველ ებრაელ ქალთა მსოფლიო ასოციაცია, ქართველ ებრაელ ქალთა ასოციაცია „მირიამ"-ი, ქალთა ორგანიზაცია „ლეა". საქართველოში მოქმედებს ებრაული სკოლები და საბავშვო ბაღები.

ჯოინთისა და სოხნუთის მხარდაჭერით გამოდის ებრაული გაზეთები: „მენორა", „შალომ" და „26 საუკუნე". საქართველოში რელიგიური თემები არსებობს: თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, გორში. აღსანიშნავია, რომ 2001 წელს გაფორმდა თანამშრომლობის შეთანხმება ებრაული თემისა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ამ შეთანხმებით იუდაიზმი აღიარებულია საქართველოს ერთ-ერთ ტრადიციულ რელიგიად. ფუნქციონირებს საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოება.

2003 წელს თბილისში გაიხსნა ებრაული სახლი, სადაც რეგულარულად ტარდება სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებები. 1992 წლიდან საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები აქვს ისრაელთან (2005 წლიდან საქართველოში ისრაელის ელჩია შაბთაი ცური). ქვეყანაში მიმდინარეობს იუდაიკის ინტენსიური შესწავლა.

ქართველ-ებრაელთა მეგობრული ურთიერთობის ჭეშმარიტი ზეიმი იყო ებრაელთა საქართველოში დამკვიდრების 2600-წლოვანი იუბილე, რომლის დროსაც ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ ქართველი და ებრაელი (ქართველი ებრაელი) ხალხის მეგობრობა მარადიულია.

ისრაელის სახელმწიფოს 60 წელი ამ უძველესი ხალხის ისტორიაში მნიშვნელოვანი თარიღია. ფაქტია, რომ უკანასკნელი ექვსი ათწლეულის მანძილზე, წინა საუკუნეების რეალიებთან შედარებით, ებრაული პრობლემატიკის ვექტორი 180 გრადუსით შემობრუნდა. ამჟამად აღარ არის მთელს მსოფლიოში ებრაელთა არსებობის პრობლემა. დღესდღეობით განმტკიცება სჭირდება ისრაელის სახელმწიფოს. ებრაული სახელმწიფოს შექმნის მიზანი ებრაელთათვის ცხოვრების ნორმალური პირობების უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად. ისრაელის სახელმწიფომ ურთულეს, ფაქტობრივად მუდმივ საომარ მდგომარეობაში ყოფნის პირობებში, შეძლო ქვეყანაში ალიაქმნილი (შინდაბრუნებული) მოსახლეობისათვის უსაფრთხო თავშესაფრისა და მშვიდობის უზრუნველყოფა.

2008 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«РАЙ ГРУЗИИ»: КАКИМ ЕГО ВИДЕЛ МИХАИЛ САБИНИН

13 мая 1900 года газета «Цнобис пурцели» уделила скромное место объявлению о том, что «после непродолжительной болезни скончался известный издатель «Рая Грузии», «Славы Грузии» и других исторических сочинений о Грузии Михаил (Гоброн) Сабинин».

Горестно встретили эту скорбную весть в Грузии: скончался верный ее сын, который внес неоценимый вклад в изучение духовного наследия грузинского народа.

Михаил Сабинин родился в 1845 году. Его отец Павел Сабинин – некогда священник Тверской епархии, поселившийся в Грузии. Мать Сабинина была грузинка, урожденная Мирзиашвили. Михаил получил в семье грузинское образование. Он успешно окончил Тифлисскую классическую гимназию и уже в годы учебы проявил интерес к духовному наследию грузинского народа. Изучал хранившиеся в церквах и монастырях Грузии грузинские рукописи, интересовался иконами, могилами святых, записывал различные сказания, предания и т.д.

Бежали годы, и вот уже молодой М. Сабинин в Петербурге. Этот город 60-ых годов XIX столетия, полный «дум священных», был подлинным центром русской культуры, и любознательный, стремившийся к знаниям молодой Сабинин мог получить здесь очень многое. Он сразу же сближается с влиятельными и интересными людьми – Митрополитом Петербурга Исидором Никольским (бывшего экзархом Грузии), Иоанном Григорьевичем Грузинским – внуком грузинского государственного деятеля, просветителя-энциклопедиста, писателя и лексикографа Иоанна Батонишвили, выдающимися картвелологами М. Броссе и Д. Чубинашвили.

Последние сыграли заметную роль в его творческом становлении. В 1871-1873 годах М. Сабинин издал «Полное жизнеописание святых грузинской церкви» в трех книгах, посвященное памяти наследника императора России – великого князя Николая Александровича.

Петербургскую духовную Академию Михаил окончил в 1875 году. Он получил степень кандидата богословия за сочинение «История грузинской церкви до конца VI в.». Начиная с этого момента, деятельность Михаила Сабинина и в Грузии, и в России была весьма энергичной и плодотворной, что и получило, кстати, солидную оценку в 1899 году еще при жизни М. Сабинина в одном из томов «Энциклопедического словаря», где было сказано, что он – историк грузинской церкви, грузин по происхождению. Далее

перечисляются его труды – «История грузинской церкви до конца VI в.», «Полное жизнеописание святых грузинской церкви до конца VI в.» и др., отмечается, что «… сочинения написаны по грузинским первоисточникам, почему излагают предмет с гораздо большою потребностью, нежели предшествующие ему издатели».

Не просто складывалась научная судьба М.Сабинина, его талант, смелость исследователя вызывали зависть. Это становится ясным из предисловия к «Раю Грузии», написанного Михаилом Сабининым.

«… Повидал множество честных грузин, учился у них, и они принесли мне пользу, буду поминать их добрым словом», – писал он в предисловии. И тут же сетует на то, что встречались ему негодяи и блудники.

Изданием «Рая Грузии» М. Сабинин внес неоценимый вклад в изучение и исследование древнегрузинской литературы. Это был фактически полноценный сборник грузинской духовной литературы, подобного которому не знала грузинское общество. И сам М. Сабинин хорошо понимал, что «… нигде нет такой полной украшенной художественной книги, как эта».

Буквально по крупицам собирал исследователь ценнейшие материалы в библиотеках России и Франции. Он внес в «Рай Грузии» пятьдесят драгоценнейших памятников грузинской исторической литературы – «Повесть об Успенье пресвятой богородицы», «Проповедь апостола Андрея», «Мученичество святого великомученика Георгия» и т.д. Все разместил по определенному хронологическому принципу. Вместе с тем внесение каждого сочинения, по мнению ученого, было обусловлено целевым назначением.

«Рай Грузии» – это огромная 650-страничная книга с впечатляющим воображение полиграфическим оформлением. «Рисунки, – пишет М. Сабинин, – я срисовал некоторые со стены Светицховели, некоторые со стен разрушенных монастырей, некоторые подарил мне князь Григорий Григорьевич Гагарин, некоторые я брал из рукописей Батонишвили…».

Много трудностей вставало на пути составления и издания книги, однако М. Сабинин, безгранично влюбленный в историческое прошлое Грузии, в ее культуру, успокаивал себя тем, что ценность и значение издания «Рая Грузии» огромны: «… Чтоб не был извращен святой язык наш, облагороженный святыми отцами и одухотворенный их разумом и любовью, чтоб не пропали для нас – жития святых Грузии…», – читаем мы написанные им строки.

Действительно, сегодня уже неоспоримо огромное значение той титанической и поистине благородной работы, которую проделал М. Сабинин, собрав и издав грузинские письменные памятники. Разноречивые оценки вызвала эта работа у современников. Передавая часть интеллигенции восхищалась ею, воздавая должное ученому, – среди неё был и Д. Чубинашвили, предрекший книге бессмертную жизнь. Но были и откровенные хулители, например, духовный цензор М. Хелидзе, не отличавшийся, очевидно, знанием духовной истории Грузии. Примечательно, что вслед за его откровенно злобной рецензией 1 декабря 1882 года последовал фельетон в газете «Шрома», подписанный неким «Пу-

тешественником». Автор расценивал издание книги как факт огромного значения. «Заложен фундамент нашей духовной литературы, – писал он, – у нашего духовенства, для которого после открытия типографии в Грузии не было сделано двух росчерков пера на грузинском языке, сегодня появилась книга для чтения, откуда оно может черпать живые примеры любви к богу и человеколюбия, примеры самоотверженности ради ближнего и тысячи других – примеров благонравия».

Заслуживала внимания и другая опубликованная в газете «Дроеба» рецензия Димитрия Джанашвили на «Рай Грузии» (опубликованная в нескольких ноябрьских номерах 1882 года). Автор с беспокойством отмечает, что грузинские национальные и церковные летописи разбросаны по библиотекам различных монастырей и церквей не только в Грузии, но и за ее пределами – в России, Франции, Риме. Бывают случаи, писал Д. Джанашвили, когда грузинские рукописи продаются на базарах Лондона, Тегерана и Стамбула.

В качестве огромной заслуги автора «Рая Грузии» Димитрий Джанашвили называет то, что он первый разыскал и собрал «разбросанные по стране рукописи». Не случайно «Рай Грузии» приравнивается им по значению к «Картлис Цховреба» («Житию Картли»).

Рецензия Д. Джанашвили заканчивается объявлением: «Цена книги по подписке 17 рублей». Это тоже весьма интересный штрих – для самого М. Сабинина вопрос продажи «Рая Грузии» был очень существенным. Итак, книга поступила в продажу, но враги Сабинина объявили бойкот, и книга не продавалась. В отчаянии М. Сабинин пишет:

«… Совершенно не думал, что столкнусь с таким несчастьем, а то поступил бы на службу и не думал бы ни о ком, кроме как о самом себе… Разве кроме меня нет грузин – почему они не думают о своей родине…». Горестно звучит это откровение, но для нас оно открывает и самого Сабинина – грузина-патриота.

Поставленный в невыносимые моральные условия частью общества, в особенности духовенства, он находил отдушину в сочувствии к нему прогрессивно мыслящих людей, в том числе грузинского историка, писателя, общественного деятеля Захария Чичинадзе. Их переписка сохранилась.

25 июля 1897 года «Цнобис пурцели» сообщило о несчастном случае, происшедшем с Сабининым. Позже было его письмо, где сообщались подробности, называлось имя обидчика – прапорщика Г. Казбеги. «Этот… случай, – писал М. Сабинин, – совершенно попортил мне левый глаз и сделал меня слепым… Поскольку я не знаю господина Казбеги и нигде его не видел, не имел случая разговаривать с ним, он по моему мнению невиновен в моем несчастье. Кто-то другой по-видимому желал оскорбить меня…».

Сомнения М Сабинина вовсе не были лишены оснований. Реальная действительность заставила так думать и всю прогрессивную грузинскую общественность. Эта позиция достаточно ясно определена в стихотворении Акакия Церетели «Лицемер», написанном в 1862 году в Петербурге. Интересно отметить, что в 1886 году поэт переписал это стихотворение с посвящением М. Сабинину.

Поэт клеймил тогдашнее духовенство, которое, громко взывая к господу, одновременно изощренным притворством обманывает всех. Посвящая стихотворение Сабинину,

поэт выражал тем самым ему горячее сочувствие, и этот благородный жест был огромной моральной поддержкой для ученого.

Михаил Сабинин очень ценил деятельность Общества по распространению грамотности среди грузин. В 1893 году он пожертвовал Обществу некоторые подаренные ему Иванэ Батонишвили рукописи. В Центральном государственном историческом архиве Грузии хранится письмо М. Сабинина, в котором он «покорнейше просит» Общество хранить переданные им «письма», одновременно добавляет: «Эти письма были подарены Иванэ Батонишвили и до сих пор я хранил их, поскольку они очень важны для истории, а копии переписал для своей автобиографии».

Общество по распространению грамотности среди грузин решило приобрести у Михаила Сабинина за 600 рублей клише иллюстраций, напечатанных в «Рае Грузии». Ученый отобрал клише 25-ти рисунков.

С именем Михаила Сабинина связано обновление Бодбийского собора и создание при нем женского монастыря для русских и грузинских монахинь. Он собрал денежные средства и попросил экзарха Грузии Палладия и святейший Синод разрешить основать в Бодбе женский монастырь и вместе с ним открыть ремесленную школу. Стараниями Михаила Сабинина были собраны принадлежавшие Бодбийскому собору драгоценные предметы, выставленные перед Сиони. Затем, по существующему обычаю, их благословили и вернули к старому адресату. Была приведена в порядок также могила святой Нины и украшен двор, который до этого был превращен в пастбище для скота. Чтобы отметить эти события, был проведен большой праздник, «на котором было много народу».

Отдельно нужно подчеркнуть усилия М. Сабинина по уходу за Гареджским монастырем. В монастырь внесли драгоценные предметы, приобретенные в Петербурге и Москве на пожертвованные деньги: американский, орехового дерева, позолоченный и покрытый эмалью иконостас, покрытие и украшение могилы Давида Гареджели, кресты, различную церковную утварь, краски и т.д. Сабинин отыскал заброшенную могилу святой Додо, организовал перезахоронение праха в монастыре Давида.

Конечно, такие решительные действия далеко не у всех вызывали одобрение. Новой волной последовали нападки на Сабинина.

Со всей страстью патриота и гражданина М. Сабинин изобличает безразличие части тогдашнего грузинского общества, его пассивность, стремление мешать друг другу. Мир заполонили духаны, цирк, балы, муштаиды и др. Разве не сами предводители пытаются уничтожить монастыри? Кто уничтожил Лавру святого Шио? Кто упразднил монастырь святого Степана Хирсели? Кто уничтожает Кватахевский монастырь? – с таким обвинением обращается ученый к обществу. Нельзя не увидеть в деятельности М. Сабинина его духовную близость с «тергдалеули», в частности с Ильей Чавчавадзе и Акакием Церетели.

Михаил Сабинин скончался от воспаления легких в Москве, и был там же похоронен. Он молил, чтобы его прах покоился в Грузии, в Гареджском монастыре. Но мольба так и осталась невыполненной. 27 октября 1904 года священник-монах Тарасий писал

в «Иверии» по поводу значения Москвы для истории Грузии и с горечью отметил: «Я видел беспризорную сиротливую могилу Сабинина и заплакал… Поистине, этому человеку надлежало по его желанию удостоиться… трех аршин холодной земли в монастыре (имеется в виду Гареджский монастырь – Р.М.). Но кто, где ценит сегодня человека или его дело, или его труд».

Михаил (Гоброн) Павлович Сабинин был творцом больших для Грузии дел. Несмотря на препятствия и множество трудностей, он настойчиво исследовал историю грузинской церкви, собирал и публиковал первоисточники, которые и сегодня имеют бесценное значение для истории грузинского народа. О деятельности М. Сабинина есть отдельные статьи, которых совсем немного. И это, пожалуй, все. А ведь он, верный сын Грузии, сделавший так много для нее и ее народа, несомненно, заслуживает гораздо большего.

1994 г.

ИЗ ПРОШЛОГО ГРУЗИНО-РУССКИХ ОТНОШЕНИЙ

Истоки грузино-русских взаимоотношений теряются в глубине веков. Знакомство этих двух древних народов насчитывает более десяти столетий.

В XI-XII веках Россия представляла собой крупную политическую единицу Восточной Европы. Еще с середины IX века раннефеодальная Киевская Русь оказалась в орбите политических событий Восточной Европы и Ближнего Востока. Византийская империя всегда пыталась оказать сопротивление усилению нового, быстро развивающегося государства, к тому же, после натиска арабов особую ценность для нее приобрели земли, расположенные на северном побережье Черного моря. По свидетельству же восточных источников (Ал-Факих, Ал-Истахри, Ибн-Хаукал и др.), и Русское государство, со своей стороны, стремилось захватить речные и морские пути, имеющие большое торгово-экономическое значение.

Говоря о Грузии этого периода, следует заметить, что в последней четверти X века началось ее политическое объединение и с XI века единая феодальная монархия встала на путь политического, экономического и культурного развития. Уже в XII веке территория Грузии значительно расширилась и ее границы простирались от Никопсии до Дарубанда и от Осетии до Арагаца.

Естественно, что грузинское феодальное государство поддерживало отношения с соседними странами, определявшиеся зачастую политическими интересами. Неудивительно поэтому, что и контакты с Киевской Русью были обусловлены именно политическими и экономическими интересами.

Истории русско-грузинских отношений касались многие ученые, и по данному вопросу существует богатая и обширная литература.

Первые сведения грузинских нарративных источников о контактах русских и грузин относятся к XI веку (сочинение Сумбата Давитис-дзе «Жизнь и история Багратионов» и «Летопись Картли (Грузии)» неизвестного автора). Примечательно, что один из фактов, подтверждающих реальность русско-грузинских контактов в начале XII века, описан армянским историком Стефаносом Таронеци (Асогиком). Правда, вышеуказанные сведения относятся к XII веку, но они со всей ясностью подтверждают, что понятие «русский», так же, как и «русский народ», было знакомо грузинам задолго до этого. Хотя бы тот факт, что Сумбат Давитис-дзе использует слово «русские», не снабжая его комментариями и толкованиями, свидетельствует о том, что это понятие было знакомо грузинам уже с XI века.

Существовало несколько путей, способствующих знакомству грузин с русскими. Один из них лежал через Византийскую империю, с которой грузины издавна поддерживали тесные связи. Русские также были дальними соседями Византии и в IX-X вв. (особенно в период правления Великих князей Олега, Игоря и Святослава) им удалось даже несколько притеснить византийцев (с Олегом и Игорем были заключены торговые договоры). Трудно представить, чтобы грузинским политическим деятелям не были известны отношения между древними русскими правителями и Византией. Знакомству грузин с русскими мог способствовать и другой путь – по Черному морю. С X века русские овладели северным побережьем Черного моря (именно по этому морю осуществлялись торговые сношения с Византией). В нижнем течении реки Кубани было создано Тмутараканское русское княжество, которое поддерживало определенные отношения с восточными причерноморскими землями. Следует также отметить, что Западная Грузия имела торговые контакты с причерноморскими народами. Эгрисцы, например, ввозили соль из Крыма, и, конечно же, они поддерживали деловые отношения с русскими княжествами. Словом, скупые факты, засвидетельствованные в источниках, говорящие о русско-грузинских эпизодических контактах (они были обусловлены политическими и экономическими интересами феодальных государств), свидетельствуют о том, что эти два народа с древнейших времен поддерживали отношения (эти незначительные, на первый взгляд, факты не остались вне поля зрения таких видных исследователей, как В. Татищев, П. Бутков, М. Броссе, В. Василевский, Н. Бердзенишвили, Я. Цинцадзе и др.).

Следует также иметь в виду, что расположенные на севере Грузии кавказские переходы способствовали общению грузин с осетинами, кашагами (касогами) и хазарами. Грузины, конечно, знали о том, как относились к этим народам русские князья (победа над хазарами связана с именами Олега и Святослава). Армянские и арабские историки описывают даже факт пришествия русских на территорию Закавказья в X веке (речь идет о юго-восточной Грузии). В 913-914 гг. русские, которых армянский историк Мовсес Дасхуранеци называет «рузами», как ураган пронеслись по Каспийскому морю и захватили столицу Албании Бардави. Сопротивление местного населения оказалось безрезультатным и ему ничего не оставалось, как прибегать к различным уловкам. Спустя шесть месяцев русские с большой добычей вернулись к себе на родину. В 943-944 гг. они вновь захватили Бардави. Арабский историк Ибн-Мискавейх описывает отдельные эпизоды взаимоотношений русских и мусульман, а также героические битвы русских, неоднократно уходящих с богатой добычей. Их путь лежал через Куру, Каспийское море и Волгу. Ибн-Мискавейх отмечает также, что после ухода русских мусульмане «потревожили оставшиеся там их могилы» и извлекли оттуда понравившиеся им кинжалы. Естественно, что грузины хорошо знали и о победе русских над мусульманами, и об их героических битвах, и их оружии высокого качества.

Интересные сведения о русских и вообще о восточных славянах сохранили арабские источники. Одним словом, в X веке грузинам хорошо было известно понятие «русский», а сами русские были хорошо им знакомы. В грузинских летописях, а также в ряде

других документов в качестве синонимов слова «русский» используются такие термины, как «варанги» (варяги) и «скифы». В грузинских источниках засвидетельствован также термин «склав» (славяне). Этот термин в ряде случаев отождествляется с термином «боргалы» (болгары).

Весьма интересные сведения о взаимоотношениях грузин с «варангами» засвидетельствованы в «Летописи Картли». Говоря о вражде и крайнем обострении отношений между царем Грузии Багратом IV (1027-1072 гг.) и Клдекарским эриставом Липаритом Багваши, которого поддерживала Византийская империя[1], летописец отмечает, что пришли три тысячи варягов и встали лагерем в Баши.

Семьсот варягов и свое внутреннее войско Баграт взял с собой. Варяги не стали ждать месхов и вступили в битву на Сасиретском поле. Внутреннее войско разбежалось. В этом же бою были взяты в плен Абусер и другие князья. Не устояли в бою и варяги («Картлис Цховреба», I, Тб., 1955, с. 301).

Среди источников нет единого мнения о том, на чьей стороне воевали варяги. С точки зрения одних ученых (Н. Марр, Н. Бердзенишвили и др.) варяги воевали на стороне Липарита, по мнению же других (М. Джанашвили, Д. Бакрадзе, В. Василевский, Я. Цинцадзе и др.) варяги были сторонниками Баграта IV. Для нас же не имеет принципиального значения, на чьей стороне воевали варяги: на стороне ли Липарита Багваши, или же Баграта IV. И в том, и в другом случае важно то, что они находились в тесной связи с грузинами. Следует, однако, отметить, что, согласно вышеуказанному отрывку из «Картлис Цховреба», варяги как раз поддерживали грузинского царя Баграта IV. Именно так понимает этот факт и Вахушти Багратиони, который отмечает, что к Баграту IV присоединились три тысячи варягов. Не дождавшись месхов, Баграт взял с собой 700 варягов и шидакартлийское войско. А Липарит пришел вместе с кахами и армянским царем Давидом. Сражение произошло на поле Сасирети. Однако войско Баграта потерпело поражение. Абусер и другие князья попали в плен, не устояли и варяги (Вахушти Батонишвили, Описание Грузинского царства, «Картлис Цховреба», IV, Тб., 1973, с. 147).

---

[1] Сразу же после вступления на престол Баграта IV началась новая волна внутриполитической борьбы. Крупные светские и духовные феодалы, предав грузинского царя, обратились за помощью к византийскому императору. Грузинская «крепость рушилась изнутри». Деньги и обещания кесаря сделали свое дело: подкупленные им знатные феодалы один за другим предавали родину. Частично Византия даже смогла найти оправдание своей хищнической политике перед «мелким людом» (низшими слоями общества). В частности, вместе с войском, посланным для оказания помощи Липариту Багваши, кесарь отправил претендента на престол Багратионов Деметре Кларджи. Это тот самый Деметре, отца которого, Сумбата (И. Джавахишвили считал отцом Деметре брата Сумбата – Гургена), вместе с братом Гургеном, Баграт III заключил в тюрьму, где они и скончались. Сам Деметре бежал в Византию и попросил убежище у кесаря Василия. Эта уловка дала свои результаты, и многие крупные феодалы Южной Грузии примкнули к Деметре. К 1046 году византийцы вновь прибегли к подобной уловке. На этот раз они послали брата царя с тем, чтобы тот взошел на престол и настроил Липарита Багваши против Баграта IV.

Обращает на себя внимание и тот факт, что варяги пришли в Баши, который подчинялся царю и его администрации (ведь престольная резиденция Баграта IV находилась именно в Западной Грузии, в Кутаиси), по Черному морю, а затем по р. Риони. Следует полагать, что Баши был важным пунктом на судоходной магистрали р. Риони.

Таким образом, согласно «Картлис Цховреба», уже с середины XI века между грузинами и варягами существовали гораздо более тесные связи, нежели просто дальнее знакомство.

Заметим, что термин «русский» встречается во многих грузинских переводах с греческого. В «Житии Андрея Салоса», перевод которого выполнен до 1040 года (т.к. католикос Мелхиседек упоминает этот труд в грамоте, изданной в 1040 году, и называет его среди тех книг, которые пожертвовал Мцхета), говорится, что они «происходят из рода рыжих, называемых русами». В сочинении «Чудесное спасение Божьей матерью Константинополя от нашествия персов и скифов», перевод которого был осуществлен с греческого языка Георгием Мтацминдели, повествуется о нападении в 626 году на Константинополь скифов и аваров и отмечается, что кесарь Геракл много раз был побежден персами и скифами, т.е. русскими. Особое внимание обращает здесь толкование слова «скифы» – т. е. «русские».

Определенные отношения между грузинами и русскими существовали и в последующее время и, как видно, особенно оживленными они стали в начале XII века. Нам бы хотелось обратить внимание читателя на одно из сведений XVII века, которое сохранилось в сочинении Павла Алеппского (сына патриарха Антиохии Макария), которому принадлежит «Описание Грузии» (с комментариями издал Н. Асатиани). Согласно этому сведению, по заданию царской администрации России, где в течение длительного времени находились Макарий и Павел, последний завершил «Описание Грузии» и вручил его тайному приказу. В «Описании...» говорится не только о Грузии XVII века, но и о ее далеком прошлом. В частности, когда речь идет о Гелатском епископстве, отмечается: «... Монастырь чудный и красный... Такого монастыря и такой церкви не есть ни одно подобно им... Создал Давид, царь грузинский, яго же пишут ветхие книги, сю обитель. Егда нечестивый хотема пленити Грузию и тогда царь Давид риде в Русию и поклонился и вопросы помощи и давали ему великую силу и пошел изгна нечестивых от мести своего и свободи от них».

В этом сведении, возможно, засвидетельствованы определенные политические отношения между Давидом Строителем (1089-1125 гг.) и Владимиром Мономахом (1113-1125 гг.), связанные с переселением в Грузию кипчаков. Предполагается, что сведения Павла Алеппского опирались на не дошедшие до нас письменные источники. Следует отметить и то, что эти сведения отражают взгляды автора того времени. В частности, обстоятельства изложены так, как это было характерно для Грузии XVII века, когда грузинские цари просили помощи у России. Сведения Павла Алеппского в первую очередь важны потому, что в них засвидетельствованы взаимоотношения между Грузией и Россией во времена царствования Давида Строителя.

Общеизвестен факт переселения Давидом Строителем в Грузию сорока тысяч семей кипчаков-кочевников, которые перешли к оседлому образу жизни. Царь подчинил их феодальным отношениям, обязав каждую семью поставлять по одному воину и создал на этой базе постоянную армию. Заметим, что это то самое племя кипчаков во главе с Атраком Шаранганис-дзе, которое под давлением русского правительства было оттеснено к северным склонам Кавказа. Не удивительно поэтому, что Давид Строитель, стремясь сохранить с русскими добрососедские отношения, поставил в известность Владимира Мономаха. В 1113 году Владимир Мономах смог объединить Киевское княжество, чем еще более усугубил положение кипчаков, с которыми он боролся и ранее. В 1116 году Ярополк ворвался во владения кипчаков, разорил города и вернулся с огромной добычей. О преследуемых им и переселенных в Грузию кипчаках, а также о непосредственных причинах переселения кипчаков в Грузию существует соответствующая литература, и поэтому мы не будем на этом подробно останавливаться.

В 1979 году проф. М. Тодуа опубликовал переписку грузинских царей с султанами Ближнего Востока, снабдив материал переводом и комментариями. Переписка была обнаружена им в иранском фонде рукописей и датирована XII- XIII веками. В этой переписке заслуживают внимания титулы грузинских царей, с которыми к ним обращаются мусульманские владетели. Вот некоторые из них. В письме, адресованном «владетелю Абхазии» царю Давиду, сказано: «Венец учеников Христа; наследному владетелю тронов и корон; Стефаносу Запада и Востока, защитнику Христовой веры, царю царей Абхазии, шаков, аланов, русов» и т.д. В другом письме, адресованном тому же Давиду, находим: «марзбану румов и русов, последователю Христовой веры (да пусть сделает Аллах вечным владычество его и царство его)...», или же еще «... покровитель стран, царь царей гурджев, абхазов, аланов, шаков и хазаров...». Следует отметить, что в первых двух случаях слово «Абхазия» означает «всея Грузию» (Западную и Восточную). Это подтверждено и другими восточными авторами. К примеру, Хакани Шарвани (XII в.) сообщает, что он «стал жителем Абхазии и говорит по-грузински» (цитируем по книге М. Тодуа «Грузинско-персидские этюды», III, 1979, с. 33). В третьем письме абхазы и гурджи упоминаются вместе, т.е. слово «абхазы» не употреблено в значении «гурджи» (можно полагать, что таким образом именовалось население Западной Грузии). Следует принять во внимание, что адресатом этих писем является Давид Строитель (М. Тодуа считает, что письма адресованы Лаша Георгию). В данном случае представляет интерес именование адресата «царем царей» хазаров. Заметим, что слово «хазары» здесь отождествляется со словом «русские». Подтвердить это можно по грузинским источникам. Бывшую территорию проживания хазаров первый историк царицы Тамар считает Русью («История и восхваление венценосцев»). В различных списках «Картлис Цховреба» (дадиановском, мачабелевском, палавандишвилевском и др.), там, где речь идет о Хазарском царстве, на полях читаем приписку «Хазарское царство – Русь» («Картлис Цховреба», I, с. 11). Примечательно и то, что, когда в вышеприведенных письмах упоминаются хазары или кипчаки, то не упоминаются русские, и наоборот.

Учитывая точку зрения ряда историков (Б. Заходер, А. Ковалевский, В. Бартольд, А. Шахматов, В. Минорский, А. Новосельцев и др.), а также имея в виду мусульманские источники (Хакани, Низами и др.), можно считать совершенно обоснованными выводы М. Тодуа о том, что под словом «Русь» подразумевалась не только северная часть современной нам России, но и определенная общность (одна определенная ветвь русских), обосновавшаяся на Кавказе. В этом же значении этот термин употребляется и в письмах, адресованных грузинам. Эта общность русских была оторвана от мест первоначального поселения и являлась непосредственным северным соседом тогдашней Грузии. Как видно, эта общность в XII веке оказалась под влиянием дома Багратионов, что, в свою очередь, отразилось в титуляции грузинских царей. Давиду Строителю («царю царей» абхазов, грузин, ранов, кахов и армян) подчинялись «народы, племена и языки, цари и правители овсов, кипчаков, армян и прангов, шарвана и персов» («Житие царя царей Давида», «Картлис Цховреба», I, с. 360). Однако до сих пор неясно, кого подразумевали под «прангами». Возможно, прав Л. Меликсетбег, который полагал, что вместо «пранги» следует читать «варанги» (варяги). Царство Давида же простиралось от Никопсии до Дарубанда и от Осетии до Арагаца. Георгий III так же повелевал выставлять 1000 человек кипчаков и осетин. Осетины и кипчаки подчинялись и царице Тамар.

Вместе с тем известно, что на протяжении всего XII века между Дарубандским эмиратом и Грузией существовали вассальные отношения. Отношения грузинского царя и дарубандского эмира – это отношение сюзерена и вассала. Царский духовник Василий во всеуслышание заявляет о царице Тамар: «... и свидетельствует об этом каждое соседнее с Грузией государство, что сколько обнищавших царей обогатила она, скольким вернула их прежние владения, скольких гонимых вернула в их царства и скольких приговоренных к смертной казни помиловала. Об этом свидетельствуют царствующие дома Шарван-шахов и дарубандийцев, хундзов, осетин, кашагов, карнукалакийцев и трапезундцев, которые благодаря её жили свободно и баззаботно, не страшась врагов» («Житие царя царей Тамар», «Картлис Цховреба», II, с. 147).

Как бы ни было преувеличено это сообщение, очевидна вассальная зависимость перечисленных «домов» по отношению к Грузии. Вполне закономерно также упоминание закавказских народов в царском титуле Давида Нарина: «во имя Господа, от Давида Багратиони, сына Русудан, милостью Божьею царя абхазов, картвелов, ранов, кахов и армян; шарванша и шаханша и всея Грузии и владыки Севера» (Грамота Давида Нарина о возобновлении иммунитета для хепинисхевельцев и цаквельцев, Памятники грузинского права, II, Тб., 1965, с. 72).

Во взаимоотношениях русских и грузин особенно большое значение играли браки между представителями царских домов России и Грузии. С этой точки зрения интересны взаимоотношения грузинской феодальной монархии и Киевского княжества в середине XII века. Как сообщает Ипатьевская летопись, осенью 1153 года правитель Киева Изяслав Мстиславович послал своего сына Мстислава навстречу будущей мачехе: «Послал бо бяше Изяслав по другую жену себе во Обезы» (Полное собрание русских летописей, т.

VIII, СПб., 1856, с. 60). Как видно, Изяслав Мстиславович ожидал невесту из Грузии (в русских летописях Грузия упоминается под названием «Обезы» или «Аверы» («Иверы»). Что касается событий 1154 года, то здесь ипатьевский летописец уточняет, что Изяслав женился на дочери царя Грузии и отпраздновал свадьбу в Киеве. Этот немаловажный факт не прошел мимо внимания историков. Одни историки (П. Бутков и др.) объясняют этот факт широко известной красотой грузинской царевны, полагая, что она была дочерью Давида Строителя или Димитрия I, другие (Я. Цинцадзе и др.) – политическими мотивами. Правильнее, на наш взгляд, точка зрения вторых. Здесь следует принять во внимание и внутреннее положение Киевской Руси в XII веке. В этот период шла ожесточенная борьба за власть между отдельными княжествами. В жестокой борьбе за объединение страны Киевское княжество постепенно теряет свое политическое значение и терпит экономический упадок. Начиная с XIII века его место постепенно занимает Владимиро-Суздальское княжество. Оказавшемуся в подобной ситуации правителю Киева, естественно, был выгоден союз с сильной грузинской монархией и заключение династического брака. Следует учесть также и то соображение, согласно которому разрешение главного церковного вопроса Киев видел в тесном союзе с единоверной Грузией и ее автокефальной церковью (О. Жужунадзе). Добавим, что на определенном этапе Киевская Русь и Грузия имели общие интересы и на международной арене (например, борьба против притязаний Византийской империи и др.) и их союз был вполне закономерным. В XI-XII вв. царский дом Багратионов также стремился породниться с династиями различных государств. Не отказывалась от заключения браков, продиктованных политическими мотивами, и Киевская Русь. Так, одна из сестер Изяслава была женой короля Венгрии, племянница была замужем в Польше, дочь правителя Чехии была женой его брата Святополка.

Словом, брак между правителем Киева и дочерью грузинского царя был дальновидным дипломатическим шагом, явившимся залогом добрососедских отношений между грузинами и русскими.

Совершенно особое место занимает брак между царицей Тамар и Юрием Андреевичем. Это породнение династий переплелось с жесточайшей политической борьбой между царем и крупными феодалами, сторонниками сепаратизма. Политику Грузинского государства, проводимую по отношению к именитым особам, поддерживала преданная престолу большая часть феодалов, однако были и те, кто стремился расширить сферу своего влияния. Для достижения цели они не пренебрегали никакими средствами. Когда же встал вопрос о бракосочетании царицы Тамар, ожесточенная борьба между различными группировками феодалов получила новый импульс, выразившийся в поиске подходящей кандидатуры, так как это был самый реальный шанс для усиления своего влияния при царском дворе. «Собрались все попечители и стали говорить о будущем муже Тамар». В отличие от сведения «Истории и восхваления венценосцев», автор «Жития царя царей Тамар» сообщает о том, что, когда собрание подходило к концу (речь идет об окончании церковного собора – Р. М.), вошли все спасалары (полководцы) и

эриставы царства и сообщили отцам церкви, что постарались доставить супруга для царицы. Таким образом, вопрос о замужестве Тамар вместе с членами церковного собора рассматривали все спасалары и эриставы царства. Вероятно, в ходе обсуждения этого вопроса было высказано немало предложений, однако особого внимания заслуживает предложение эмира Тбилиси и Картли Абуласана о том, что мужем царицы Тамар мог стать русский царевич, сын Андрея Боголюбского Юрий (Георгий): «Я знаю сына царя Андрея Боголюбского, русского правителя, которому подчиняются триста князей. Он, оставшись без отца малолетним, был вынужден бежать от своего дяди Всеволода и искать прибежища у царя кипчаков».

Выступление Абуласана на заседании «дарбази», посвященном решению столь важного вопроса, не могло быть случайным. К тому времени (приблизительно к концу 1185 г.) Абуласан, по-видимому, имел такое право, т.е. он был полноправным и к тому же влиятельным членом «дарбази».

Возникает вопрос, почему большинство членов «дарбази» приняло предложение Абуласана, было ли оно заранее подготовлено и чем был обусловлен выбор именно русского царевича? Царевич Георгий (Юрий) являлся сыном Великого правителя Ростова-Суздаля Андрея (первый историк царицы Тамар упоминает его как Великого правителя Руси Андрея). Русские летописи содержат о нем весьма скудные сведения. В Новгородской летописи сказано: «В лето 6680 (1172 г. – Р.М.) прииде Новугороду князь Гюрги Андреевиц», то есть в 1172 году Андрей послал своего сына Георгия (Юрия) править Новгородом вместо Рюрика. До прибытия же Юрия, начиная с 1171 года, в Новгороде правил назначенный Андреем посадник. Это подтверждает и рукопись Ипатьевского монастыря: «В ту же зиму выйде Рюрик из Новагорода; потомъ же Новагородцы послашася ко Аньдрею князю в Суждаль, и вда им детя свое Юрья и прияша и с честью».

Несмотря на скудность сведений, можно сделать заключение о том, что Юрий, в силу ряда причин (возможно, здесь не последнюю роль сыграли его юные годы), был весьма ограничен в своих правах. В обязанности правителя Новгорода по тем временам в основном входило руководство походами, другими же делами распоряжались посадник и вече.

Юрий Андреевич, по сведениям летописцев, принимал участие и в походах, но его главенство носило лишь формальный характер, т.к. во главе походов стояли именитые бояре. «И после (Андрей Боголюбский – Р.М.) на нъ сына своего Юрья с Новагородци и с Ростовци и с Суздалци и инех князей 20 с полки своими, воеводство же поручи Борису Жидиславичу...», «И посла с ними сына своего Юрья и Бориса Жидиславича воеводою».

После смерти Андрея Боголюбского положение в Новгородском княжестве существенно изменилось. Внутренние противоречия, возникшие в Ростово-Суздальском княжестве, в свою очередь, обусловили необходимость изгнания Юрия из Новгорода и, действительно, «... в лето 6683. Выведоша из Новагорода князя Гюргия...».

В 1176-1177 гг. брат Андрея Боголюбского Всеволод (по грузинским источникам Салаватий) целиком подчинил себе владения Андрея и изгнал из Суздаля всех своих противников, после чего последовало изгнание и самого царевича Юрия, который вскоре оказался на Северном Кавказе. И в дальнейшем русские историки черпали сведения о нем из грузинских письменных источников.

Обнаруженный среди кипчаков крупными грузинскими торговцами русский царевич должен был быть принят частью грузинских знатных феодалов и представителями высших слоев общества, т.к. положение правителя Новгорода, права которого были ограничены и который подчинялся решениям вече, состоявшего в основном из крупных купцов и феодалов, вполне удовлетворяло интересам борцов против царской власти. Помимо этого, естественно, что для членов «дарбази» большое значение имел тот факт, что Юрий Андреевич был знатным феодалом, «сыном правителя», христианином и, к тому же, православным. Этот факт, следует полагать, сыграл в решении вопроса весьма существенную роль, хотя, высокопоставленные особы, отдавая приоритет кандидатуре Юрия, не должны были руководствоваться лишь этими соображениями. Наиболее выгодным для них явилось то обстоятельство, что Юрий был изгнанником и посему должен был бы искать себе опору именно в высших кругах грузинского общества. А это давало возможность определенной части грузинской знати выдвинуться и в создавшейся обстановке расширить сферу своего влияния.

Юрий Андреевич, который в то время находился среди кипчаков, должен был быть хорошо известен грузинским крупным торговцам. Не исключено, что с ним заранее велись переговоры о его предполагаемой женитьбе на царице Тамар. Об этом заставляет думать хотя бы тот факт, что Абуласан довольно смело и категорично поставил этот вопрос на «дарбази», подчеркнув, что он знаком с сыном правителя («я знаю...»). Возможно, что к тому времени им уже было получено от Юрия согласие, о чем свидетельствует тот факт, что жених был доставлен Занканом Зорабабели в кратчайшие сроки. Это подтверждает, что царевич Юрий заранее был в курсе дела. По словам первого историка царицы Тамар, «патриарх, представители знати, визири и военные верхи сообщили царице Тамар о браке и помимо её согласия сыграли свадьбу». Вполне ясна позиция упомянутых церковных лиц (оба историка царицы Тамар считают патриарха Микаэля сторонником приглашения царевича). Неслучайно также, что для решения данного вопроса «дарбази» собрался после церковного собора, после его пополнения представителями светского общества, также ясна и позиция последних.

Приезд царевича Юрия в Грузию и его бракосочетание с царицей Тамар были осуществлены по плану довольно значительной группы представителей правящих кругов страны и вполне соответствовали их политическим интересам. Естественно, что представители различных социальных слоев стремились в своих интересах использовать это новое «оружие» (Юрия Андреевича). Это стало очевидным после изгнания Юрия Андреевича, а также во время восстания с его участием, организованного частью грузинской знати.

Таким образом, первый этап русско-грузинских взаимоотношений, наряду с прочими факторами, определялся также и политическими интересами. Судьбы русского и грузинского народов впоследствии были очень схожи. Оба народа стойко сражались с завоевателями, защищая свою независимость и национальную самобытность. И хочется верить, что русский и грузинский народы, чьи взаимоотношения насчитывают уже десять столетий, проявив политическую зрелость и человеческую мудрость, на новом этапе своего исторического развития построят цивилизованные, взаимовыгодные и добрососедские отношения.

1999 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სააკადემიო საქმიანობის სათავე

სწავლა-განათლებისა და მეცნიერებისადმი ლტოლვა ქართველ ხალხში უძველესი დროიდან იყო. ამაზე ნათლად მეტყველებს ის სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებები, რომლებიც შუა საუკუნეების საქართველოში არსებობდა (კოლხეთის რიტორიკული სკოლა, გელათის, იყალთოსა და გრემის აკადემიები, მონასტრებთან არსებული სკოლები და სხვ.). ქვეყნისა და საზოგადოების წინსვლასთან ერთად მეცნიერებისაკენ სწრაფვა თანდათან იზრდებოდა. ეს აშკარად გამოჩნდა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში.

ასი წელი შესრულდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებიდან, საზოგადოებისა, რომელმაც XX საუკუნის საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. ეს საზოგადოება მოწოდებული იყო საქართველოს ისტორიის კვლევის, მისი ხალხის ყოფაცხოვრებისა და ტრადიციების შესწავლის, ხელოვნების ძეგლების გამომზეურების, აზომვის, აგეგმვის, ეკლესიათა ფრესკების გადმოღების, ნუმიზმატიკური მასალის შეგროვება-შესწავლის, სამუზეუმო და საგამომცემლო საქმის ფართოდ გაშლისთვის.

თავის დროზე ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რომელიც 1879 წელს შეიქმნა და დიდი სამსახური გაუწია ქართული ენის, ეროვნული კულტურისა და მეცნიერების განვითარებას, ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას.

ისეთი ძველი ისტორიისა და კულტურის ქვეყანას, როგორც საქართველო იყო, ცხადია, სათანადო მეცნიერული შესწავლა სჭირდებოდა. მრავალი ხუროთმოძღვრებისა და სხვა სახის კულტურის ძეგლი გადამრჩენელს, ხოლო ხალხური შემოქმედება შემკრებ-შემსწავლელს ელოდა; სიძველეთა უნიკალურ ნიმუშებს გამომზეურება და მსოფლიო თვალსაწიერზე გატანა სჭირდებოდა. ყველა ამ მიზნის განხორციელებას ისახავდა მიზნად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელიც 1907 წელს გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და ღირსეული მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსდა.

საზოგადოებამ დაარსების უმალ შემოიკრიბა თითქმის მთელი ქართველი ინტელიგენცია და ერის ისტორიის, მისი მატერიალური კულტურის შესწავლისა და დაცვა-შენახვის სამსახურში ჩააყენა. აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშ-

ვილი, იაკობ გოგებაშვილი და კიდევ მრავალი მოღვაწე ამიერიდან საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფრთებქვეშ იწყებს მოღვაწეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოების დამფუძნებელი კრება ასი წლის წინ, 1907 წლის 20-სექტემბერს გაიმართა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს დარბაზში. არჩეული იქნა საზოგადოების საბჭო და სარევიზიო კომისია. საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ექვთიმე თაყაიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგად დავით კარიჭაშვილი, ხაზინადრად ალექსანდრე სარაჯიშვილი, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მცველად ილია ფერაძე, მდივნად – სერგი გორგაძე; წევრები: ალექსანდრე ყიფშიძე, პოლიევექტოს კარბელაშვილი, მოსე ჯანაშვილი, იუსტინე აბულაძე, წევრობის კანდიდატები: კალისტრატე ცინცაძე, ალექსანდრე მდივანი, კორნელი კეკელიძე; სარევიზიო კომისია: ივანე აფხაზი, გრიგოლ ყიფშიძე, კოტე მაყაშვილი.

კრებამ დაამტკიცა საზოგადოების წესდება, რომელშიც მიზნები და ამოცანები იყო დასახული. პირველ პარაგრაფშივე ხაზგასმული იყო, რომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება მიზნად ისახავდა შეესწავლა, შეეგროვებინა და შეენახა ისტორიული, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ლიტერატურული და ეთნოგრაფიული ნაშთები როგორც ძველი საქართველოსი, ასევე მთელი კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნებისა. საზოგადოებას უნდა გაეხსნა მუზეუმი, რომელიც თავს მოუყრიდა და დაიცავდა ნივთიერ მასალასა და ხელნაწერებს, კავკასიათმცოდნეობაში დაბეჭდილ წიგნებს. განზრახული იყო ჟურნალების, კრებულების, წიგნების, ატლასების, ლექსიკონების, რუკების, ნახატების, ნოტების გამოცემა ქართულ და რუსულ ენებზე, სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა და სხვ. საზოგადოებას უნდა ეწარმოებინა არქეოლოგიური გათხრები, დახმარებოდა მეცნიერებსა და სამეცნიერო საზოგადოებებს კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების შესწავლაში. საზოგადოების მიზანი იყო არ გაეშვა თავისი თვალსაწიერიდან წარსულის ნაშთები. საჭირო შემთხვევაში მთელი პრინციპულობით დაესვა საკითხი არქეოლოგიური საზოგადოებებისა და ადგილობრივ ხელისუფალთა წინაშე კავკასიის სიძველეთა დაცვის შესახებ. თვითონ კი მოწოდებული იყო საჭირო შემთხვევაში შეძლებისდაგვარად დაეცვა, განეახლებინა და აღედგინა ძველი ხუროთმოძღვრების ძეგლები. დროდადრო უნდა გამართულიყო ეთნოგრაფიული და სიძველეთა კოლექციების გამოფენები, ჩატარებულიყო საეთნოგრაფიო და სამუსიკო საღამოები.

ექვთიმე თაყაიშვილმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში შემოიკრიბა იმდროინდელი ქართული მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები, რომელთა შორის იყვნენ ისტორიის მკვლევარები და ცალკეული შეძლებული არისტოკრატები, სასულიერო თუ სამხედრო პირები.

საზოგადოების წევრები სხვადასხვა სახისა იყვნენ: ა. მზრუნავნი, ბ. საპატიონი, გ. ნამდვილნი, დ. კორესპონდენტნი, ე. დამხმარენი. მზრუნავნი, წესდების შესაბამისად, ის პირნი იყვნენ, ვინც საზოგადოების სასარგებლოდ ყოველწლიურად გადაიხდიდა არანაკლებ 600 მანეთს, ან ერთდროულად შეიტანდნენ 6000 მანეთს;

საპატიო წევრად იმ პირებს ირჩევდნენ, ვინც თავისი მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევით, ან სხვა განსაკუთრებული სამსახურით გამოიჩენდა თავს (საპატიო წევრის წოდება შეიძლებოდა მზრუნველსაც მიჰკუთვნებოდა). ნამდვილი წევრები კავკასიის ისტორიის კვლევა-ძიებას ეწეოდნენ, ან სხვა სამსახურს უწევდნენ საზოგადოებას. ისინი ყოველწლიურად იხდიდნენ 3-3 მანეთს (ან ერთდროულად 50 მანეთს). კორესპონდენტები უმთავრესად დედაქალაქის გარეთ ცხოვრობდნენ და აწოდებდნენ სხვადასხვა მასალებს. დამხმარე წევრი წელიწადში 1 მანეთს იხდიდა (ან ერთდროულად 30 მანეთს).

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობას განაგებდა საზოგადოების კრება და საბჭო. საზოგადოების კრება იყო ჩვეულებრივი, არაჩვეულებრივი და წლიური. ჩვეულებრივ კრებას იწვევდა თავმჯდომარე საჭიროებისამებრ (არანაკლებ ერთი კრებისა თვეში). კრების მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ საინფორმაციო მასალა იბეჭდებოდა გაზეთებში. ჩვეულებრივ კრებას ყველა მსურველი ესწრებოდა. არაჩვეულებრივი (დახურული) კრების მოწვევის ვადა განსაზღვრული არ ყოფილა. იგი საჭირო შემთხვევაში ინიშნებოდა თავმჯდომარის მიერ, ან საზოგადოების ხუთი წევრის მოთხოვნით. მას ესწრებოდნენ მზრუნავნი, საპატიონი და ნამდვილი წევრები. კრებაზე ხდებოდა საზოგადოების კერძო საქმეების განხილვა და მზრუნავის, საპატიო და ნამდვილი წევრების არჩევა. წლიური კრება წელიწადში ერთხელ იმართებოდა საჯაროდ და ისმენდა საზოგადოების საქმიანობის წლიურ ანგარიშს. საზოგადოების წლიური კრება საბჭოს ირჩევდა 3 წლის ვადით.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ფართო და ნაყოფიერი მუშაობა გაშალა. მის შექმნას დიდი რეზონანსი ჰქონდა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ყველა განათლებული ქართველი თავის მოვალეობად თვლიდა საზოგადოების წევრი გამხდარიყო და რაიმე ამაგი დაედო მისთვის. 1907 წლის 20 სექტემბერს, ე. ი. დაფუძნების პერიოდში, საზოგადოება 38 წევრს ითვლიდა, სულ რაღაც თვენახევრის შემდეგ, 1907 წლის 8 ნოემბერს, მეორე არაჩვეულებრივმა კრებამ ამ რიცხვის მკვეთრად გაზრდა დაადასტურა – საზოგადოება 207 კაცით გაიზარდა. ახალ წევრთა შორის იყვნენ მეცნიერები: ნიკო მარი, ვასილ პეტრიაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ივანე თარხნიშვილი და სხვ. მწერლები: აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ეკატერინე გაბაშვილი, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია; ხელოვნების მუშაკები: დიმიტრი არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი; სასულიერო პირები: ეპისკოპოსები ალექსანდრე, ლეონიდი, კირიონი, გიორგი, პეტრე და დავითი; არქიმანდრიტები: პიროს ოქროპირიძე და დოსითეოზ ბერძენიშვილი.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ორგანიზებულად სწრაფად განმტკიცდა. საზოგადოებაში თავი მოიყარა თითქმის მთელმა ქართულმა მოწინავე ინტელიგენციამ. ფართო ხასიათის მრავალმხრივმა სამეცნიერო საქმიანობამ დიდი ავტორიტეტი შეუქმნა საზოგადოებას. შემთხვევითი არ არის, რომ იგი

ოფიციალურ დოკუმენტებში მოიხსენიება, როგორც „ერთადერთი დაწესებულება, რომელიც სამეცნიერო აკადემიის მიზნებს ახორციელებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა საქმიანობასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების კრებებს, სადაც იმ დროს გამოჩენილი ქართველი მეცნიერები დამსწრე საზოგადოებას აცნობდნენ თავიანთი გამოკვლევების შედეგებს. იმართებოდა ცალკეული პრობლემების შესახებ მოხსენებების განხილვა. ამგვარი განხილვები პრინციპულ ხასიათს ატარებდა, გზას უკაფავდა სწორ მეცნიერულ აზრს.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევდა სხვადასხვა სახის ექსპედიციების (როგორც თვითონ უწოდებდნენ, ექსკურსიების) მოწყობას. მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს მდიდარი წარსულის და მეტად საინტერესო აწმყოს შესწავლა კარგად ორგანიზებული ექსპედიციებით შეიძლებოდა. საზოგადოება თავისი დაარსების უმალ შეუდგა ამ საქმიანობას და მის წევრებს საშუალება მისცა მრავლად მოეწყოთ ექსპედიცია-ექსკურსიები, რომელთა მიზანი იყო არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთების შეგროვება, ისტორიული ძეგლების შესწავლა (გეგმების, სურათების გამოცემა), ხალხური სიტყვიერების მასალის შეკრება. ყველა ამ საქმის თაოსანი და სულისჩამდგმელი ექვთიმე თაყაიშვილი იყო.

საზოგადოებამ იმთავითვე დაისახა მიზნად ქართული მუზეუმისა და ბიბლიოთეკის შექმნა, სადაც თავი მოეყრებოდა „ნივთიერს და ნაწერს ნაშთებს, რომელნიც ეხებიან როგორც უმთავრესად უწინდელის საქართველოს და ახლანდელი ქართველი ტომების, ისე მთელი კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ისტორიას, არქეოლოგიას, ლიტერატურას, ანთროპოლოგიას, ეთნოგრაფიას და კულტურას, და აგრეთვე დაბეჭდილს წიგნებს უმთავრესად კავკასიის ცოდნის შესახებ“.

ე. თაყაიშვილს საშურ საქმედ მიაჩნდა ეროვნული მუზეუმის დაარსება. ნიშანდობლივია, რომ საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ სახელმძღვანელო იერარქიაში იმთავითვე იყო ადგილი მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველისა. სამუზეუმოდ ჯერ ერთი ოთახი მიიღეს სათავადაზნაურო გიმნაზიის მეორე სართულზე, უფრო გვიან ამ შენობის მესამე სართულის მთელი მარჯვენა მხარე დაიკავეს. საზოგადოებამ დიდი მუშაობა გაშალა სამუზეუმო ექსპონატებისა და სხვადასხვა (ხელნაწერი, ნაბეჭდი) წიგნების მოსაპოვებლად. 1909 წლის 1 იანვრისთვის წიგნთსაცავში 44 ხელნაწერი და 95 ნაბეჭდი წიგნი იყო.

ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები კარგად გრძნობდნენ მუზეუმ-წიგნთსაცავის პერსპექტივას ჩვენში და იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ საჭირო იყო საგანგებო შენობის აგება. ამ საქმეს, რასაკვირველია, დიდი ფულადი სახსრები სჭირდებოდა და საჭირო იყო საქმიანობის გაშლა თანხების მოსაზიდად.

ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ, დიდი მწერლის სახელის უკვდავსაყოფად დასახულ ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების ფარგლებში ილიას ფონდის დაარსება. რისთვის უნდა გამოყენებულიყო ეს ფონ-

დი? ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრებით „... ახლავე უნდა გვქონდეს გარკვეული – რა უფრო გვჭირდება ამჟამად, რას უნდა მოხმარდეს ყველაზე ადრე, ყველაზე უპირატესად ეს ფონდი, რის დაარსება უფრო შესაფერია ილიან ჭავჭავაძის სახსოვრად? ჩვენის აზრით, ამჟამად ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ქართული მუზეუმის აშენება“.

ექვთიმე თაყაიშვილს მიაჩნდა, რომ მუზეუმში უნდა შეკრებილიყო მთელი ის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვა მასალები, რომლებიც მანამდე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ინახებოდა. მუზეუმში უნდა შექმნილიყო ილიას დარბაზი, სადაც გამოფენილი იქნებოდა მისი ბიუსტი, სურათები, ხელნაწერი და ნაბეჭდი მასალა. მეცნიერს მიაჩნდა, რომ თვითვე უნდა შესდგომოდნენ მუზეუმის აშენებას, რასაც უნდა მოხმარებოდა დიმიტრი ბაქრაძისა და რაფიელ ერისთავის ფონდებში არსებული თანხები (ილია ჭავჭავაძის ფონდთან ერთად).

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება მთლიანად უჭერდა მხარს თავისი თავმჯდომარის მცდელობას მუზეუმის დაარსებისათვის. ეს საერთო საქმე იყო, ყველა ქართველის, ყველა ეროვნული და კულტურული საზოგადოების დიდი საქმე, და 1909 წლის მიწურულს შეიქმნა სამუზეუმო კომისია, რომლის თავმჯდომარედ ექვთიმე თაყაიშვილი აირჩიეს.

მუზეუმისა და ბიბლიოთეკის დაარსებას, გარდა მატერიალური სახსრებისა, მთავრობის ნებართვაც სჭირდებოდა, რაც არც ისე ადვილი იყო. საზოგადოებამ, დიდი მცდელობის შემდეგ, ბიბლიოთეკის დაარსების ოფიციალური ნებართვა მხოლოდ 1911 წლის 5 დეკემბერს მიიღო, მუზეუმისა კი 1912 წლის 24 იანვარს.

ვიდრე მუზეუმისა და წიგნთსაცავის დაარსების საკითხი წყდებოდა, სამუზეუმო ექსპონატები თანდათან გროვდებოდა. ეს შემოწირულობებით ხდებოდა. 1917 წლისათვის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ჰქონდა 9875 წიგნი, 160 ალბომი, 1427 ხელნაწერი და 8000-ზე მეტი სიგელ-გუჯარი. ბევრი ხელნაწერი ეტრატზე იყო შესრულებული და სურათებით შემკული. უძველესი ხელნაწერები მეათე საუკუნეს განეკუთვნებოდა. სიგელ-გუჯართა შორის უძველესი XII საუკუნისა იყო, უახლესი XIX საუკუნის დასაწყისისა. საგრძნობლად გაიზარდა სამუზეუმო ნივთების რაოდენობაც. 1917 წლისათვის საზოგადოებას ჰქონდა 2432 სხვადასხვა საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ნივთი, 550 ნაქსოვნაკერი ექსპონატი, 62 ქანდაკება, 585 მხატვრული ნაწარმოები (ისტორიულ პირთა პორტრეტები და სხვ.).

1912 წლიდან საზოგადოება შეუდგა ეკლესია-მონასტრების კედლებიდან ფრესკების გადმოღების ორგანიზებას. 1917 წლისათვის 73 ძველი ფრესკის პირი (ფაქსიმილე) მოეპოვებოდა საზოგადოებას და მუზეუმის ცალკე განყოფილებას შეადგენდა. აქ იყო: ბეთანიის, საფარის, მცხეთის, ყინწვისის, ტიმოთესუბნის, ნაბახტევის, ჯელეთის, ნაყურალეშის, ვანის, გარეჯის, ბერთუბნის, ხახულის, ოშკის, იშხანის, ტაბაკინის, ნეკრესისა და საბუის ტაძართა ფრესკები.

შეგროვდა მეტად საინტერესო ნუმიზმატიკური კოლექცია. ქართული მონეტების კოლექცია შედგა: იაკობ სერგის ძე მედვედევისაგან შესყიდული მონეტების, ექვთიმე თაყაიშვილის კოლექციისა და კირიონ II-ის კოლექციისაგან. და ამგვარად შეიქმნა მეტად მნიშვნელოვანი კოლექცია, რომელიც სათანადოდ დამუშავდა და განლაგდა. კოლექციის მოწესრიგებას დიდი ამაგი დასდო ცნობილმა ნუმიზმატმა ევგენი ალექსანდრეს ძე პახომოვმა.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შემადგენლობაში შევიდნენ სხვადასხვა ქალაქების წარმომადგენლები. ქართველმა მოწინავე ინტელიგენციამ ქუთაისში, გურჯაანში, ბათუმში, ახალციხეში თავისი ჯგუფები შექმნა. თავის მხრივ, საზოგადოებამ გამოყო აგენტები, რომლებიც დიდ მუშაობას ეწეოდნენ მოსახლეობაში, იზიდავდნენ და კრებდნენ საწევრო გადასახადს, აგროვებდნენ არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალებს. ასეთი აგენტები საზოგადოებას უკვე 1908 წლიდან ჰყავდა: ქუთაისში – იოსებ ოცხელი, ბათუმში – ილია ფერაძე, ართვინში – ნიკოლოზ ერისთავ-შარვაშიძე (ექიმი), კავკავში – იოსებ ლორთქიფანიძე, 1909 წლიდან მოსკოვში – ალექსანდრე ჯავახიშვილი, ბაქოში – ივანე ელიაშვილი, უფრო გვიან სიღნაღში – ალექსანდრე ჯორჯაძე, ჭიათურაში – გრიგოლ რუხაძე (ექიმი), მცხეთაში – სამსონ ლეჟავა (მღვდელი და ექიმი), წალენჯიხაში – სამსონ თვალთვაძე, საგარეჯოში – ნიკოლოზ ბაზერაშვილი, ბორჯომში – პავლე ნიკიტინ-ვინოგრადოვი და მხატვარი გიორგი ხმალაძე, ერევანში – იაკობ ფხაკაძე და სხვ.

ერთი წელიც არ გასულიყო საზოგადოების შექმნიდან, რომ დავით კარიჭაშვილის წინადადებით დაარსდა ლინგვისტური განყოფილება. დაიწყო ენათმეცნიერების საკითხების ინტენსიური კვლევა. მართალია, ლინგვისტური განყოფილება გარკვეული დროის შემდეგ გაუქმდა, მაგრამ ამ მიმართულებით კვლევა და სამეცნიერო საქმიანობა მომავალშიც წარმატებით გაგრძელდა. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება დიდ ყურადღებას უთმობდა ლექსიკოლოგიის საკითხებსაც.

1917 წლიდან 1921 წლამდე, მიუხედავად მძიმე პირობებისა, საზოგადოების მესვეურები, პირადად ექვთიმე თაყაიშვილი და მისი თანამოაზრეები გულგაუტეხლად აგრძელებდნენ მუშაობას, იკითხებოდა სამეცნიერო მოხსენებები, იმართებოდა ექსკურსიები...

არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საზოგადოებას რეალური მატერიალური დახმარება გაუწიეს დავით სარაჯიშვილმა, ნიკოლოზ ღოღობერიძემ, პავლე თუმანიშვილმა, აკაკი ხოშტარიამ და სხვებმა. ცნობილმა მრეწველმა და ქველმოქმედმა დავით სარაჯიშვილმა, რომლის ღვაწლი კონიაკისა და ლიქიორის წარმოების საქმეში (პირველად რუსეთის იმპერიაში) საყოველთაოდ აღიარებულია, დიდი ამაგი დასდო საზოგადოებას – დატოვა ანდერძი, რომ გაყიდულიყო მისი ექვსი მამული და აქედან შემოსული თანხის ნახევარი სტიპენდიების ფონდად გადადებულიყო, ნახევარი კი მუზეუმის აშენებას მოხმარებოდა. ნიკოლოზ ღოღობერიძემაც თავისი შემოსავალი დამუშავებული და საზღვარგა-

რეთ გატანილი მარგანეციდან წერა-კითხვის გამავრცელებელ და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებებს უანდერძა. პავლე თუმანიშვილმა საზოგადოებას შესწირა ერთი დესეტინა მიწა ვაკეში სათავადაზნაურო გიმნაზიის მახლობლად. აკაკი ხოშტარიამ საზოგადოებას გადასცა საწევრო 6000 მანეთი და 2000 მანეთი შესწირა (იგი მზრუნველ წევრად აირჩიეს). სხვა შეძლებული ქართველებიც არ იშურებდნენ საშუალებებს და საზოგადოების სასარგებლოდ საკმაო თანხა იყრიდა თავს...

1921 წლის 25 თებერვლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება კვლავ წარმატებით აგრძელებდა საქმიანობას.

მენშევიკური მთავრობის განკარგულებით მთელი სამუზეუმო ქონების საფრანგეთში წაღება გადაწყდა. სამუზეუმო ძვირფასეულობის მეთვალყურედ დამფუძნებელი კრების მიერ დაინიშნა ექვთიმე თაყაიშვილი. მძიმე იყო მეცნიერისათვის სამშობლოს დატოვება, მაგრამ საქართველოს ძვირფასეულობას მეთვალყურე სჭირდებოდა. მას კარგად ესმოდა, რომ თუ არა დიდი ყურადღება, შეიძლებოდა ქართველი ერის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები სამუდამოდ დაკარგულიყო საქართველოსთვის. 1921 წლის 11 მარტს ექვთიმე თაყაიშვილმა მეუღლესთან ნინო პალტარაცკაიასთან ერთად დატოვა საქართველო და კარგა ხანს მოუხდა ემიგრაციაში ყოფნა.

1922 წლიდან საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას სათავეში ივანე ჯავახიშვილი ჩაუდგა. ამიერიდან ახალი ძალით დაიწყო საზოგადოების საქმიანობა, გაიზარდა მისი ავტორიტეტი, საზოგადოებას დღითიდღე ახალი, მძლავრი მეცნიერული ძალები ემატებოდა.

განსაკუთრებულად მკვეთრად გამოჩნდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების როლი მაშინ, როცა ანტირელიგიური პროპაგანდის პირობებში საქართველოს ზოგიერთ რაიონში მატერიალური კულტურის ძეგლების განადგურება დაიწყეს. იღუპებოდა ხელოვნების უძველესი ნიმუშები, რომლებიც ეკლესია-მონასტრებში ინახებოდა.

არაერთი შემაშფოთებელი ცნობა მიიღო საქართველოს მთავრობამ, როგორც ცალკეული პირების, ისე ოფიციალური დაწესებულებებისაგან, სხვადასხვა ისტორიულ ძეგლთა იავარყოფის შესახებ. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ საგანგებო დადგენილება მიიღო საეკლესიო განძეულობის გამოყენების წესის შესახებ. ისტორიული ძეგლების გადარჩენის საქმეში ფართოდ ჩაებნენ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრები (აკაკი შანიძე, შალვა ამირანაშვილი, ვუკოლ ბერიძე და სხვ.) და მათ დიდი სასარგებლო მუშაობაც ჩაატარეს.

1924 წლის თებერვალში შეიქმნა საზოგადოების არქეოლოგიური სექცია, რომლის მიზანი იყო ზედამხედველობის გარეშე დატოვებული აღუნუსხავი სიძველენი მოეყვანა წესრიგში. დაისვა საკითხი ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსაგდურისათვის არხის გაყვანისას აღმოჩენილი უძველესი საფლავის შესწავლის

შესახებ. გათხრების საკითხი მიენდო გიორგი ჩუბინაშვილს, გიორგი ბოჭორიძესა და შალვა ამირანაშვილს. საარქეოლოგიო სექციის თვალსაწიერში მოექცა ჩვენში არსებული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაფუძნების უმალ დაარსდა გამოცემათა ორი სერია: „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“. პირველ მათგანში იბეჭდებოდა რეფერატები, გამოკვლევები, სხვადასხვა საისტორიო, სალიტერატურო, საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო მასალები. მეორეში: სიგელ-გუჯრები, ისტორიული წერილები და სხვა ძეგლები. ძირითადი გამოცემების გარდა, საზოგადოებამ ცალკე წიგნებად გამოსცა: 1909 წელს „პალეოგრაფიული ალბომის“ პირველი რვეული (ბაგრატ IV-ის გუჯარი, დავით IV-ის სიგელი), 1920 წელს მეორე რვეული. 1918 წელს „ხალხური სიტყვიერების“ მეორე წიგნი, 1916 წელს „ძველი ქართული მწერლობის“ პირველი ტომი, რომელშიც შევიდა შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. საზოგადოებამ გამოსცა აკაკი წერეთლის ცალკეული თხზულებანი. უსახსრობის გამო „ძველი საქართველოს“ გამოცემა ერთხანს შეჩერდა. მის ნაცვლად 1926 წელს გამოვიდა „მიმომხილველი“.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ავტორიტეტი, მისი საქმიანობის მიზანსწრაფული მიმართულება თუ ღრმა ეროვნული და მეცნიერული შინაარსი დიდად განაპირობეს გამოჩენილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა, რომლებიც საზოგადოების დაარსებიდან მოკიდებული დღენიადაგ მრავალმხრივ მუშაობას ეწეოდნენ. საზოგადოებას ოთხი საპატიო წევრი ჰყავდა: აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ცაგარელი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონი და ნიკო მარი. სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა გვერდით თავდადებით იღვწოდა ვაჟა-ფშაველა. მას განსაკუთრებით ხალხური ადათ-ჩვეულების აღწერა და კვლევა იტაცებდა. იგი კრებდა და სწავლობდა ხალხურ პოეზიას. არ არის შემთხვევითი, რომ ვაჟამ თავისი ნაშრომი „ფშაველი და მისი წუთისოფელი“ (ეთნოგრაფიული მოთხრობა) დაბეჭდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში „ძველი საქართველო“.

ხაზგასმულად უნდა ითქვას, რომ განუზომელია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების როლი თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რაოდენ დიდი, არსებითი ღვაწლი დასდეს პეტერბურგში მყოფმა ქართველმა მეცნიერებმა უნივერსიტეტის დაარსებას. სწორედ ივანე ჯავახიშვილი და მისი თანამოაზრე-თანამდგომნი არიან ამ საქმის პრაქტიკულად დამგვირგვინებლები. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თბილისში მძლავრი საუნივერსიტეტო ბაზა იყო უპირველესად სწორედ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახით, რომელიც თავისი შინაარსითა და ოფიციალური აღიარებით „ერთადერთი აკადემიური დაწესებულება იყო, ეს იყო მაშინ ჩვენში უნივერსიტეტიც, აკადემიაც და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიც“ (კ. კეკელიძე). ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა შორის იყვნენ საზოგადოების წევრები: ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, იუსტინე აბულაძე და სხვები.

... ჩვენში XX საუკუნის ოციანი წლების მეორე ნახევარში ახალი ამოცანები დაისახა მეცნიერების წინაშეც. ის ფუნქციები, რომლებსაც წლების მანძილზე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ასრულებდა, სხვადასხვა დაწესებულებებზე განაწილდა. ეს სრულიად ბუნებრივად მოხდა. თბილისის უნივერსიტეტის კათედრები და სხვადასხვა საზოგადოებები (ენათმეცნიერების, გეოგრაფიული და სხვა) თვითონ აწარმოებდნენ ცალკეული, მათთვის საინტერესო პრობლემების კვლევას. მართალია, კვლავ ტარდებოდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებები, რომლებზეც სხვადასხვა მოხსენებებს ისმენდნენ და სხვა ხასიათის სამუშაოებიც მიმდინარეობდა, მაგრამ არა ძველებური ინტენსივობით, იკლო თვით საზოგადოების წევრთა რიცხვმაც. საზოგადოების საქმიანობის 1932 წლის შემდგომი პერიოდის საბუთები არ არსებობს. როგორც ჩანს, ამ დროიდან (1931-32 წწ.) საზოგადოებამ პრაქტიკულად საქმიანობა შეწყვიტა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ თავისი არსებობის მთელ მანძილზე უდიდესი როლი შეასრულა ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საქმეში, განუზომელია საზოგადოების როლი ისტორიული ძეგლების დაცვაში. სწორედ მისი დიდი დამსახურებაა, რომ სხვადასხვა სახის ისტორიული ნივთი თუ ხუროთმოძღვრების არაერთი ძეგლი გადარჩა განადგურებას: საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ შემოიკრიბა იმდროინდელი მთელი მოწინავე სამეცნიერო და კულტურული ინტელიგენცია, რომლისთვისაც თვითონ მნიშვნელოვან ცენტრად იქცა. თავისი მეცნიერული მოხსენებებით, საექსპედიციო საქმიანობით, მუზეუმისა და წიგნთსაცავის გამართვით, საგამომცემლო მოღვაწეობით საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების 100 წლისთავზე შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებას მემკვიდრეები ჰყავს არაერთი სახელმწიფო დაწესებულებისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახით. არსებობს ე. თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი. ყველა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ერთეულისათვის სანიმუშო მაგალითია მისი წინაპრის, წინამორბედი ორგანიზაციის – საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და მისი წევრების შემართებული საქმიანობა ქვეყნის ისტორიული წარსულის გამოწვლილვით შესწავლისათვის.

2007 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადამიანები, მოვლენები

წმიდა სამების ტაძარი შენდება

საქართველოში წმინდა სამების სახელობის ტაძარი შენდება... ეს დიდი მადლია ღვთისა. დღეს, როცა ქვეყანას ეკონომიკურად უჭირს, როცა ხალხს ბევრი რამ აკლია... საქართველოში ეკლესიები შენდება. ამ ხუთი წლის წინათ გავასრულეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში წმინდა დავით აღმაშენებლის ეკლესია, რომელიც თავისი განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა.

ასე იყო ისტორიულად... საქართველო ხანგრძლივად დალხინებული იშვიათად იყო. ქართველი კაცი იბრძოდა, შრომობდა, არჩენდა ოჯახს, იცავდა ქვეყანას. აშენებით კი აშენებდა. აშენებდა ყოველთვის, ჰქმნიდა ხუროთმოძღვრების შედევრებს. ასე შეიქმნა ბოლნისის სიონი (V ს.) და ჯვარი (VI-VII სს.), ოპიზა (VIII ს.) და ოშკი (X ს.), პარხალი (X ს.) და ტბეთი (X-XI სს.), ბედია (X-XI სს.) და ნიკორწმინდა (XI ს.); აშენდა მრავალი საერო ნაგებობები, ციხე-სიმაგრეები.

ტბელ აბუსერიძეს თავის თხზულებაში აღწერილი აქვს აჭარელი გლეხის კალატოზი ბოლოკ-ბასილის მიერ ტაძრის აგების ისტორია შუარტყალში. თანაც ბოლოკ-ბასილს ღმერთმა შთააგონა, რომ ეს ტაძარი მას მარტოდ უნდა აეშენებინა და მხოლოდ ერთი უღელი ხარ-კამეჩი უნდა გამოეყენებინა. ასეც მოხდა.

ერთი სიტყვით, ქართველი კაცის სულიერი ცხოვრების აუცილებელი კომპონენტი ქრისტიანობა, ეკლესია იყო. საუკუნეთა მანძილზე მომხდური მტერი ებრძოდა ქართველის რწმენას – ქრისტიანობას. ქართველი იცავდა თავის რჯულს და ამით გადაარჩენდა ქართველობას. ქრისტიანობა და ქართველობა მტკიცედ გადაეჯაჭვა ერთმანეთს. იყო პერიოდი როცა „ქრისტიანი" და „ქართველი" ერთმანეთის ბადალი მცნებები იყო. დღეს, როცა ქართველი საზოგადოება ფართოდ შემობრუნდა მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოებისაკენ, როცა ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევასთან ერთად, სულიერება მაღლდება – ყოველი ეკლესია ახლადაშენებული თუ აღდგენილი თანმდევი დასტურია ერის პოტენციური სიძლიერისა.

წმინდა სამების ეკლესიის მშენებლობა ყოველი ქართველის საქმეა, ქრისტიანი ქართველისა. ჩვენი თანადგომით უნდა აშენდეს იგი. იმედი მაქვს, რომ მალე ვიხილავთ ამ დიდი ტაძრის გასრულებას. იგი ქართულ ხუროთმოძღვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს, ქვეყნის სულიერების ახალ ცენტრად მოგვევლინება.

1995 წ.

ცხოვრება და ღვაწლი სახელოვანი მეცნიერისა

ოთხმოცდაათი წელი შესრულდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის შოთა მესხიას დაბადებიდან. იგი ადრე, 56 წლის ასაკში წავიდა ამ ქვეყნიდან. მაგრამ ბევრის გაკეთება შესძლო. მთავარი ისაა, რომ შოთა მესხიამ ღირსეულად გააგრძელა ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის მეცნიერული გზა – თავისი მოკლე, მაგრამ მეტად შინაარსიანი ცხოვრება და შემოქმედება მშობლიური ქვეყნის – საქართველოს ისტორიის კვლევას მიუძღვნა.

შოთა მესხია დაიბადა 1916 წლის 27 აპრილს, ახლანდელი წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში. მისი მამა ამბაკო მესხია გლეხი იყო. დედა – ლიდა შენგელაია გამოჩენილი ქართველი მწერლის ლეო ქიაჩელის ახლო ნათესავი იყო (ამ ნათესაობამ შემდგომში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შოთას აღზრდა-ჩამოყალიბებაში). 1923 წელს შოთა ზუგდიდის არასრულ საშუალო სკოლაში ჩაირიცხა, რომელიც 1930 წელს დაამთავრა. შემდეგ ზუგდიდის სატყეო სასწავლებელში გააგრძელა სწავლა და 1933 წელს დაამთავრა. ამავე წელს იგი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. აქედან მოყოლებული ფრთები შეესხა შოთა მესხიას ოცნებასა და სურვილებს. იგი ისმენს გამოჩენილი ქართველი მეცნიერებისა და მოღვაწეების – ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, შალვა ნუცუბიძის, კორნელი კეკელიძისა და სხვათა ლექციებს, მთელი სიღრმით შეიგრძნობს თავისი ქვეყნის დიდ სიყვარულს, წარსულისადმი პატივისცემის აუცილებლობასა და მომავლის პერსპექტივას. სტუდენტობიდანვე ჩაეყარა საფუძველი შოთა მესხიას, როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარის ფორმირებას.

სტუდენტობის წლებში შოთა მესხია ლეო ქიაჩელის ოჯახში ცხოვრობდა. აქ მას სწავლის კარგი პირობები ჰქონდა. იგი მწერლის შვილებთან – ნათელასა და ოთართან ერთად იზრდებოდა. დიდი მწერლის ოჯახში ცხოვრება მეორე უნივერსიტეტი იყო და პიროვნების ჩამოყალიბებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი. მწერლის გულისხმიერება, კეთილი თვისებები, იშვიათი ტაქტი, დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან თუ მეგობრებთან, მისაბაძი მაგალითი იყო მოზრდილებისათვის.

შოთა მესხიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს სიმონ ჯანაშიას, რომელმაც როგორც სტუდენტობისას, ისე შემდგომ პერიოდში თავისი მადლი დაატყო მომავალი მეცნიერის გზას.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შოთა მესხია ზუგდიდის რაიონის ერთერთი სოფლის სკოლის დირექტორად დანიშნეს. იგი პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად მომავალი სამეცნიერო მოღვაწეობისთვის ემზადებოდა. 1938 წელს იგი შედის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკი) საქართველოს ფილიალის ასპირანტურაში. აქ ახალგაზრდა მეცნიერი წრთობას გადის სიმონ ჯანაშიას ხელმძღვანელობით

და იწყებს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის – ხელოსნური წარმოების ისტორიის შესწავლას. 1939 წლის 13 მარტს ენიმკის ისტორიის განყოფილების საჯარო სხდომაზე შოთა მესხიამ გააკეთა მოხსენება თემაზე: „თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“. შოთა მესხიამ ასპირანტურა 1941 წელს დაასრულა, დისერტაციის დაცვა კი ვერ მოასწრო... იგი სამამულო ომში წავიდა და ჩრდილო კავკასიის ფრონტებზე მოუხდა ბრძოლა. მონაწილეობდა ანაპის ბრძოლებში. 1942 წელს გაზაფხულზე ქერჩის მახლობლად იგი დაიჭრა და ხანგრძლივად მკურნალობდა. შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, კვლავ თავის საქმეს – მეცნიერულ კვლევას შეუდგა. 1942 წლის 15 დეკემბერს შოთა მესხიამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ხელოსნობა ძველ საქართველოში V-XII სს.“ 1943 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშია და თავის ცოდნას გულმოდგინედ გადასცემს ახალგაზრდებს. ამ პერიოდში მეცნიერი ფართო კვლევით მუშაობას ეწევა. დიდ ყურადღებას უთმობს წყაროთმცოდნეობის ცალკეულ პრობლემებს, განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხებზე. შოთა მესხიას მეცნიერული კვლევის სფეროში ექცევა საქართველოს ქალაქები და საქალაქო წყობილება. ეს პრობლემა ფაქტობრივად შეუსწავლელი იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შოთა მესხიას მივლინებას მოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დოქტორანტურაში, სადაც იგი გამოჩენილი რუსი ისტორიკოსის მიხეილ ტიხომიროვის ხელმძღვანელობით აწარმოებდა ინტენსიურ კვლევა-ძიებას. 1955 წელს 24 იანვარს, მოსკოვში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ფეოდალური საქართველოს ქალაქები და საქალაქო წყობილება“.

1956 წლიდან შოთა მესხია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეა. იმ კათედრისა, რომელიც საქართველოს ისტორიის კვლევის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო ქვეყანაში და რომელსაც სხვადასხვა დროს განაგებდნენ ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი. სწორედ ამ კათედრაზე მუშაობისას, შოთა მესხიას თაოსნობით მოეწყო არაერთი სამეცნიერო სესია, მისი რედაქტორობით გამოიცა სამეცნიერო შრომების არაერთი კრებული. იგი დიდ დახმარებას უწევდა კოლეგებს, ასპირანტებს. თვითონ ზედმიწევნით ბეჯითი, შრომისმოყვარე და კეთილსინდისიერი მკვლევარი, სამაგალითო იყო ყველასათვის.

1957 წელს შოთა მესხიას პროფესორის წოდება მიენიჭა, 1961 წელს დაინიშნა თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანად. ამ თანამდებობაზე, ისე როგორც საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ, მეცნიერი გარდაცვალებამდე მუშაობდა. 1966 წელს, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის შოთა მესხია დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. 1967 წელს – მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. ამავე წელს შოთა მესხია საქართველოს მეცნიერებათა აკა-

დემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს. მეცნიერის მუშაობა გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან მეტად ნაყოფიერად და მრავალმხრივად წარიმართა. შოთა მესხიას მუშაობის საინტერესო და ფართო გეგმები ჰქონდა დასახული, მაგრამ მოულოდნელმა, მძიმე, განუკურნებელმა სენმა შეწყვიტა მისი სიცოცხლე. იგი გარდაიცვალა 56 წლის ასაკში 1972 წლის 15 მაისს. დაიკრძალა ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

შოთა მესხიამ მნიშვნელოვანი მეცნიერული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. იგი ავტორია ასამდე გამოქვეყნებული გამოკვლევისა. შესწავლილი აქვს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემები: სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხები, ქალაქების ისტორია და საქალაქო წყობა; მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიის საკითხებს.

შოთა მესხიამ საგანგებოდ შეისწავლა ხელოსნობის ყველა ის დარგი, რომელიც კი ცნობილი იყო V-XII სს-ის საქართველოში, გაარკვია ხელობისა და ხელოსნობის აღმნიშვნელი ტერმინები. ნიშანდობლივია, რომ კავკასიისა და საქართველოს ხელოსნობის მკვლევარები ძირითადად XVIII-XIX საუკუნეებით ინტერესდებოდნენ და ამქრობის ისტორიით იფარგლებოდნენ. V-XII საუკუნეები საინტერესო პერიოდია საქართველოს ისტორიაში და, ცხადია, ამ დროის ხელოსნობის საფუძვლიანმა შესწავლამ წინ წასწია ქართული ისტორიული მეცნიერება.

შოთა მესხიამ სხვადასხვა სახის მასალაზე (წერილობითი წყაროები, მატერიალური კულტურის ძეგლები) დაყრდნობით დაასაბუთა, რომ ძველ საქართველოში ხელოსნური წარმოება საკმაოდ განვითარებული იყო და, რომ აქ გვხვდება შუა საუკუნეების მსოფლიოსათვის ცნობილი თითქმის ყველა ხელობა.

შოთა მესხიამ გამოიკვლია ფეოდალური საქართველოს ქალაქების ისტორია („ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში"), გაარკვია მათი ადგილი და როლი ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. მეცნიერმა შეისწავლა ქალაქების აღმოცენების პროცესი, განსაზღვრა მათი განვითარების ცალკეული ეტაპები, ქალაქების ეკონომიკური მდგომარეობა, საქონლო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარება, სოციალური ურთიერთობანი. ამასთან წარმოაჩინა ქალაქების დამოკიდებულება სამეფო ხელისუფლებასთან, საქალაქო მმართველობის ხასიათი, ფეოდალურ ურთიერთობათა გავლენა საქალაქო წყობილებაზე. მეცნიერმა დეტალურად განიხილა ხელოსნური და სავაჭრო ორგანიზაციების აღმოცენების პირობები, მათი როლი საქალაქო ცხოვრების განვითარების ცალკეულ ეტაპებზე, განსაზღვრა შუა საუკუნეების ქართული ქალაქების ძირითადი ტიპები და გარეგნული სახე.

შოთა მესხიამ ფართოდ წარმოაჩინა XVII-XVIII სს. საქართველოს ქალაქების ვაჭრობა-ხელოსნობის სპეციფიკური მხარეები, შეეცადა განესაზღვრა ქალაქების მოსახლეობის რაოდენობა, სოციალური სტრუქტურა. დაადგინა, რომ „მოქალაქის" წოდება, როგორც მოსახლეობის ერთი ნაწილის პრივილეგია XVI-XVII სს-ის მიჯნაზე წარმოიშვა. შოთა მესხიამ გაარკვია XVII-XVIII სს-ის ფეოდალური

ქალაქების მმართველობა (მოურავი, მამასახლისი, მელიქი, ქალაქის ნაცვალი, მოურავის თანაშემწე და სხვ. თანამდებობები, ქალაქის „ქეთხუდები"). შეეხო რა ხელოსნურ და სავაჭრო ორგანიზაციებს, მეცნიერმა მოგვცა ამქრის შინაგანი სტრუქტურა, წარმოადგინა „შეგირდისა" და „ქარგლის" ინტიტუტები, ამქრის როლი საქალაქო ცხოვრებაში.

შუა საუკუნეების ქალაქების ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხის საქალაქო კომუნის შესწავლას მიუძღვნა შოთა მესხიამ მისი გამოკვლევა „საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში". აქ საკმაოდ თამამი დასკვნებია თბილისის საქალაქო თვითმმართველობის წარმოშობის დროსა და პირობებზე. სათანადო წყაროებზე დაყრდნობით მეცნიერი ასკვნის რომ „X-XI საუკუნეთა თბილისის ამბები, ხალიფას ადრინდელი მოხელეები, იოანე საბანიძის „მსაჯული ამირები" კი არ იყვნენ, არამედ თბილისისა და მისი მიდამოების, ე. წ. „თბილისის საამიროს" ფეოდალი მფლობელები. მართლაც ამირა ამ დროს არაბ მოხუცს კი არ ეწოდებოდა, არამედ თბილისისა და მისი მიდამოების მამულების მფლობელს. შოთა მესხია ასაბუთებს, რომ XI საუკუნის ორმოციანი წლებისათვის საქალაქო თვითმმართველობას თბილისში ჩამოყალიბებული სახე ჰქონდა. ამავე საუკუნის 80-ანი წლებიდან კი ქალაქის თვითმმართველობა დამოუკიდებლობაში გადაიზარდა და თბილისი არსებითად ქალაქ-კომუნად იქცა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქალაქის გამგებლობა ამიერიდან მთლიანად „ქალაქის ბერების", „უხუცესთა საქალაქო კრებულის"... ხელში გადავიდა. ქალაქის „უხუცესთა საბჭოსაგან" გამოყოფილ გამგებლებს შ. მესხიას ვარაუდით, „ქალაქის უხუცესი", ან „ქალაქის თავადი", ან კიდევ „ქალაქის მთავარი" ერქვა.

მეფის ხელისუფლება საქალაქო თვითმმართველობას გარკვეულ შემთხვევაში თავის სასარგებლოდ იყენებდა დაპირისპირებული ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში. ქალაქებიც გარკვეულ პერიოდში მხარს უჭერდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას. შოთა მესხია სრულიად მართებულად მიიჩნევს, რომ დავით IV აღმაშენებელმა ოპოზიციურ ფეოდალურ ძალებზე გამარჯვებისათვის სწორედ ქალაქებთან კავშირი გამოიყენა. ამასთან ხელისუფლების ცენტრალიზაციის პირობებში დავით აღმაშენებლის ძლიერი მონარქია ვერ შეურიგდა თავის მიწაზე დამოუკიდებელი ერთეულების არსებობას და ზედიზედ დაიმორჩილა (შემოიერთა) სამშვილდე (1110 წ.), რუსთავი (1115 წ.), გიში (1117 წ.), ლორე (1118 წ.) და სხვ. მას შემდეგ რაც დავით IV აღმაშენებელმა თბილისი შემოიერთა (1122 წ.) დასრულდა მისი თვითმმართველობის ისტორიაც.

შოთა მესხიამ ყურადღება გაამახვილა XIII ს-ის ქალაქების სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარ გარდატეხაზე, რასაც დასაბამი მისცა მონღოლთა გაბატონებამ. ზოგმა ქალაქმა სავსებით დაკარგა თავისი მნიშვნელობა და დაეცა, ზოგი კი უმნიშვნელო დასახლებულ პუნქტად იქცა.

ცალკე უნდა აღინიშნოს თბილისის ისტორიის კვლევა. ჯერ კიდევ 1952 წელს გამოიცა დავით გვრიტიშვილისა და შოთა მესხიას მონოგრაფიული გამოკვლევა „თბილისის ისტორია". აქ შოთა მესხიას მიერ იყო დაწერილი თავები: „ქალაქ

თბილისის წარმოშობა“, „თბილისის ტერიტორია და გარეგანი სახე“, „თბილისის ეკონომიკური სახე“, „თბილისის მმართველობა და საქალაქო წყობა“ და სხვ. მოგვიანებით „თბილისის ისტორია“ ხელმეორედ გამოიცა გაფართოებული სახით შოთა მესხიას, დავით გვრიტიშვილის, მამია დუმბაძისა და აკაკი სურგულაძის ავტორობით. ამ წიგნის რედაქტორი შოთა მესხია გახლავთ. ამ მონოგრაფიაში განზოგადებულია მეცნიერის მიერ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე წარმოებული კლევა-ძიების შედეგები.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი გმირული ისტორიის ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცელს – დიდგორის ბრძოლას მიუძღვნა შოთა მესხიამ თავისი მონოგრაფია „დიდგორის ბრძოლა“, რომელიც 1965 წელს გამოიცა. ხოლო გადამუშავებული, შევსებული სახით და ახალი სახელწოდებით „ძლევაჲ საკვირველი“ ხელმეორედ დაიბეჭდა 1972 წელს. ამ ნაშრომისათვის 1974 წელს, გარდაცვალების შემდეგ, შოთა მესხიას სიმონ ჯანაშიას პრემია მიენიჭა.

1958 წელს გამოვიდა შოთა მესხიასა და ი. ცინცაძის წიგნი „Из истории русско-грузинских взаимоотношений (X-XVIII вв.)“, რომელშიც რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის საკითხებია გამოკვლეული. მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომი საქართველოს საშინაო პოლიტიკისა და სამოხელეო წყობის შესახებ („საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს-ის საქართველოში“. თბ., 1979 წ.) ნაშრომში განხილულია და ახლებურადაა გადაწყვეტილი ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა საქართველოს ფეოდალური მონარქიის ცენტრალური გამგებლობის სისტემის შექმნა, სავაზიროს წარმოქმნის პრობლემა, მეფის თვითმპყრობელობის საკითხი („ერთიანობისა და თანადგომის“ პრობლემა), „დარბაზის რიგის“ მოხელეთა ვინაობა და ფუნქციები, XII საუკუნის საქართველოს ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორია და სხვ. ფასეულია შოთა მესხიას დასკვნა, რომ თამარის მეფობის უკანასკნელი წლიდან შექმნილმა ვითარებამ საფუძველი დაუდო ცვლილებებს სამოხელეო წყობილებაში საერთოდ და მხარგრძელთა შემდგომ განდიდებას კერძოდ. მეორე მხრივ, სამეფო ხელისუფლების დასუსტებამ თავისთავად განაპირობა ცენტრალური ხელისუფლების აპარატის მოხელეთა მნიშვნელოვანი შემცირება და ზოგი სამოხელეო ინსტიტუტის გადაგვარებაც. ამას თან სდევდა ადგილებზე წარგზავნილ მოხელეთა ზრდა და შესაბამისად დეცენტრალისტური ძალების გაძლიერება. ცენტრალური სამოხელეო აპარატი ამიერიდან ვეღარ ასრულებდა მასზე დაკისრებულ წამყვან როლს; ცენტრალური აპარატის მოხელეთა ინტერესები თანდათან ცალკეულ მთავართა ინტერესებამდე დავიდა. ეს კი პირვანდელ მნიშვნელობას უკარგავდა მხარგრძელთა მოხელეობას სამეფო კარზე, რაც კიდევ უფრო აშკარა გახდა XII ს-ის 80-ანი წლებიდან, როცა მხარგრძელთა მოხელეობა საქართველოს სამეფო კარზე არსებითად ფიქცია გახდა.

შოთა მესხიას სახელთან არის დაკავშირებული ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანის „ძეგლი ერისთავთას“ მეცნიერულად გამოკვეული ტექსტის გამო-

ცემა. მეცნიერმა ლენინგრადში მივლინებით ყოფნისას ყურადღება გაამახვილა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, მ. ბროსეს ყოფილ არქივში, ამ უკანასკნელის მიერ აკინძულ მასალებზე. აქ აღმოჩნდა მარ. თავსებული დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის „გორში მოგზაურობის" გარდა „მოგზაურობა და მიმოხილვა იმერეთისა", „მოგზაურობანი თბილისის ღუბერნიასა შინა", „მეფობა და ცხოვრება ირაკლი მეორისა", „ინდიქტიონი ღირსსახსოვარი შემთხვეულებათა", „მოგონება ანუ ლაშქრობა პირისპირ იმამი შამილისა 1845 წელსა" და სხვ.

მარი ბროსეს „ძეგლი ერისთავთას" დედნის აღმოჩენის საფუძველზე შოთა მესხიამ გაარკვია, რომ მარი ბროსეს ხელთ ჰქონია არა დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის მიერ გადაწერილი პირი, როგორიც თ. ჟორდანია და ი. ჯავახიშვილი ფიქრობდნენ, არამედ თვით XIV საუკუნის ნუსხურით ნაწერი დედანი; დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის მიერ მარი ბროსესათვის გაგზავნილი ძეგლის დედნიდან მომდინარეობს შალვა და მარიამ ერისთავების მიერ გადაწერილი პირი; XIX საუკუნისათვის „ძეგლი ერისთავთას" მხოლოდ ერთი ნუსხა იყო ცნობილი, რომელიც სამართლიანად არის დედნად მიჩნეული.

შოთა მესხიამ გაარკვია, რომ „ძეგლი ერისთავთა" შექმნილია ქსნის ერისთავის ვირშელ III-ის სიცოცხლეში, 1348-1400 წლებს შორის, ამ დროს ცნობილი ლარგველი მოღვაწის, მწიგნობრისა და მხატვრის ავგაროზ ბანდაისძის მიერ. XIV საუკუნე ქსნის საერისთავოს ჩამოყალიბების პერიოდია. ამ დროს უკვე არსებობს ქსნის ერისთავთა რეზიდენცია – „დარბაზოვანი" და „თავადი ციხე" ქვენიფნევს, საგვარეულო მონასტერი კი ლარგვისს. ამდენად „ძეგლი ერისთავთას" შექმნა XIV საუკუნის დასასრულისათვის სავსებით კანონზომიერი იყო და რეალურად შეესაბამებოდა არსებულ პოლიტიკურ ვითარებას. შოთა მესხიამ ტექსტის კრიტიკულ შესწავლასთან ერთად გაასწორა მასში არსებული ხარვეზები, დაურთო ლექსიკონი და საკუთარ სახელთა საძიებლები და ისე გამოსცა. შოთა მესხიას მიერ აღმოჩენილი, გამოკვლეული და გამოცემული „ძეგლი ერისთავთა" არის თანამედროვე წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის მოთხოვნათა დონეზე შესრულებული პუბლიკაცია და თავისი მნიშვნელობით თვალსაჩინო ადგილი უკავია საქართველოს ისტორიის წყაროთა შორის.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის კვლევის თვალსაწიერში მოექცა ისტორიოგრაფიის საკითხებიც. ვახუშტი ბაგრატიონი, თეიმურაზ ბაგრატიონი, ნიკო დადიანი, ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი – აი ის ისტორიკოსები, რომელთა ცხოვრება და შემოქმედება მთლიანობაში თუ ფრაგმენტულად მოექცა შოთა მესხიას კვლევის სფეროში.

თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისას შოთა მესხია ძირითადად დაეყრდნო იმ მონაცემებს, რომელიც კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის „აქტებშია" და თეიმურაზ ბატონიშვილის წერილებს მარი ბროსესადმი. თეიმურაზ ბატონიშვილმა დაგვიტოვა როგორც ისტორიული, ისე არაისტორიული ხასიათის შრომები, თარგმანები. თეიმურაზ ბატონიშვილისთვის მნიშ-

ვნელოვანი იყო პეტერბურგში გამგზავრება, სადაც იწყებს აქტიურ სამეცნიერო მუშაობას. შოთა მესხია თეიმურაზ ბატონიშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ეტაპად მიიჩნევდა 1830 წლის შემდგომ პერიოდს, როცა მარი ბროსესა და თეიმურაზ ბატონიშვილის შეხვედრა და ურთიერთგაცნობა მოხდა. ფრანგი მეცნიერი დიდად ენდობოდა თეიმურაზ ბატონიშვილს, აღიარებდა მის მეცნიერულ დონესა და ალღოს. შოთა მესხია საქართველოს ისტორიის კვლევაში წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევდა თეიმურაზ ბატონიშვილის ნაშრომს „ივერიის ისტორია", რომელიც „ქართლის ცხოვრების" საფუძველზეა შექმნილი. მნიშვნელოვანი იყო თეიმურაზ ბატონიშვილის გავლენა სხვა ისტორიკოსებზე, თვით მარი ბროსესა და სულხან ბარათაშვილზე.

შოთა მესხიას ისტორიოგრაფიული ხასიათის შემოქმედებიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია მის მონოგრაფიას სიმონ ჯანაშიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. აქ ღრმა მეცნიერულ კვლევასთან ერთად ჩანს უდიდესი სითბო და სიყვარული გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწისადმი.

შოთა მესხიას მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა ქვეყნის სამეცნიერო წრეებში. მას კარგად იცნობდნენ საზღვარგარეთაც. მეცნიერის არქივში ინახება არაერთი წერილი სხვადასხვა კურსიდან, რომელშიც მისი მეცნიერული ღვაწლისა და დამსახურების აღიარება გამოსჭვივის.

შოთა მესხიამ მნიშვნელოვანი ამაგი დასდო „საქართველოს ატლასის" შედგენას. მან მამია დუმბაძესა და ალექსანდრე ასლანიკაშვილთან ერთად შეადგინა XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს რუკა. სტუდენტებთან და ასპირანტებთან ინტენსიური მუშაობის პარალელურად, შოთა მესხია დიდ ყურადღებას უთმობს საშუალო სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს. 1959 წელს მისი მონაწილეობით გამოდის „საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისათვის. შემდეგ ისტორიკოს ვიქტორ გუჩუასთან ერთად წერს „საქართველოს ისტორიის" ახალ სახელმძღვანელოს საშუალო სკოლისათვის, რომელიც წლების მანძილზე წარმატებით სარგებლობდა. შოთა მესხია სასარგებლო საქმიანობას ეწეოდა საზოგადოება „ცოდნაში". იგი საქართველოს ისტორიის სექციის თავმჯდომარე იყო და ინტენსიურად მუშაობდა, როგორც ლექტორი. მას ხშირად ნახავდით საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში, სადაც მეცნიერი დარბაისლური ქართულით მოუთხრობდა მსმენელებს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეპიზოდებს.

შოთა მესხია დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოს ისტორიის სწავლებას საშუალო სკოლაში. 1971 წელს „ლიტერატურული საქართველოში" იგი ბეჭდავს ვრცელ პოლემისტურ სტატიას „საცნობლად თავისადაო"? მეცნიერი წუხდა იმის გამო, რომ იმჟამად საქართველოს ისტორიის სწავლებას საშუალო სკოლაში (VII, VII, IX, X კლასები) დათმობილი ჰქონდა საათების მცირე რაოდენობა. არასწორად მიაჩნდა, რომ „საქართველოს ისტორია" არ იყო შეტანილი არც რვაწლიანი სკოლის დამთავრების მოწმობისა და არც საშუალო განათლების ატესტატში. მეცნიერი მიიჩნევდა, რომ საქართველოს ისტორია უნდა იყოს საატესტატო საგანი

ე. ი. ამ საგანში მიღებული ნიშანი შეტანილი უნდა ყოფილიყო საშუალო განათლების ატესტატში. ამ წერილში აღძრულია კიდევ არაერთი საკითხი ისტორიის მასწავლებელთა დახმარების, თუ საერთოდ სწავლების გაუმჯობესების შესახებ.

მეცნიერი თავდაუზოგავად იბრძოდა საქართველოს ჭეშმარიტი ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ. 1969 წლის 12 იანვარს გაზეთ „კომუნისტში" შოთა მესხია (თანაავტორი მარიკა ლორთქიფანიძე) ბეჭდავს წერილს „მრუდე სარკეში", რომელშიც სააშკარაოზე გამოაქვს საქართველოს წარსულის გაყალბების ფაქტები გ. ვერმიშევის რომანში „ამირსპასალარი". საკუთარი თავისადმი მომთხოვნი მეცნიერი პრინციპული იყო სხვებისადმიც. ზედმიწევნით თავაზიანობა და თავმდაბლობა არ უშლიდა მას ხელს მიუკერძოებელი ყოფილიყო ამა თუ იმ საკითხის გარკვევისას. იგი იყო მკაცრი ხელმძღვანელი თავისი ასპირანტებისა და მეტად მომთხოვნი ოპონენტი დისერტანტებისა (მისი ხელდასხმით არაერთი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია იქნა დაცული).

შოთა მესხია (ვალერიან გაბაშვილთან და გიორგი ხაჭაპურიძესთან ერთად) არის ავტორი დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის სტატიისა „აჭარა" (ისტორიული ნარკვევი). მეცნიერის შემოქმედებითი თანამეგობრობის ნაყოფია აგრეთვე გამოჩენილ მეცნიერ-მეტალურგთან აკადემიკოს ფერდინანდ თავაძესა და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორ ვლადიმერ ბარქაიასთან ერთად დაწერილი წიგნი „ლითონების დამუშავება ძველ საქართველოში" (1954 წ.).

შოთა მესხია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე სხვადასხვა მოვლენის ცენტრში იყო. ისტორიული მეცნიერების ფრონტზე არ ყოფილა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საქმე, მონაწილეობა რომ არ მიეღო. იგი აქტიურად საქმიანობდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რვატომეულის მომზადებისას. მისი რედაქტორობით გამოვიდა „ნარკვევების" II ტომი, რომელიც მოიცავს IV-X საუკუნეების საქართველოს ისტორიას (გამოვიდა 1973 წელს). შოთა მესხია იყო დანიშნული III ტომის რედაქტორადაც, მაგრამ უდროო გარდაცვალებამ მას არ დააცალა დაკისრებული საქმის შესრულება.

შოთა მესხია აქტიურად საქმიანობდა ქართული ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაქციაში. იგი სათავეში ედგა საქართველოს ისტორიის საბჭოს, მისი მეთვალყურეობით შეიქმნა საქართველოს ისტორიის სიტყვანი, მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ენციკლოპედიის პირველი ტომის ბევრი სტატია.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ნაყოფიერი იყო მეცნიერის შემოქმედებითი მუშაობა. მან ჩვენი ისტორიის კორიფის ივანე ჯავახიშვილისა და მისი მოწაფეების – სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის შემდეგ თბილისის უნივერსიტეტში იტვირთა საქართველოს ისტორიის კათედრის და საერთოდ ისტორიის ფაკულტეტის ხელმძღვანელობა და ღირსეულად გააგრძელა წინამორბედთა საქმე.

ოთხმოცდაათი წელი შესრულდა შოთა მესხიას დაბადებიდან. ქართველი საზოგადოება, კოლეგები, მეგობრები, მოწაფეები შოთა მესხიას, მისი ამქვეყნიდან ადრე წასვლის გამო გულისტკივილით და ამასთან სიყვარულით მოიგონებენ სახ-

ელოვან მეცნიერს, მის მიერ ღირსებით გავლილ შემოქმედების გზას და პატივს მიაგებენ მის ნათელ ხსოვნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2009 წ.

არნოლდ ჩიქობავას 100 წლისთავზე

არნოლდ ჩიქობავა, რომლის დაბადებიდან 100 წლისთავსაც განსაკუთრებით აღნიშნავს ქართველი საზოგადოება, ქართველი ხალხი, სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული თბილისის უნივერსიტეტთან.

პირველი – ასეთი დეფინიცია შეიძლება მიეცეს არნოლდ ჩიქობავას სახელსა და გვარს.

იგი უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი იყო. ახლადგახსნილ უნივერსიტეტში 1918 წელს შევიდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, ენათმეცნიერების განხრით და წარჩინებით დაამთავრა იგი.

არნოლდ ჩიქობავამ თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან პირველმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და იმდენად მაღალი დონე აჩვენა, რომ აშკარა გახდა – ახალგაზრდა ქართულ უნივერსიტეტს შესწევდა ძალა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისა, სპეციალისტებისა, რომლებიც თავის წვლილს შეიტანდნენ მეცნიერების განვითარებაში. არნოლდ ჩიქობავა უნივერსიტეტში მისივე თაოსნობით დაარსებული კავკასიური ენების კათედრის პირველი გამგე იყო. იგი პირველი გამგე იყო ქუთაისის პედინსტიტუტში დაარსებული ქართული ენის კათედრისა (1933), პირველი გამგე გორის პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრისა.

მეცნიერი იმ პირველ აკადემიკოსთა შორის იყო, რომელთაც 1941 წელს მეცნიერებათა აკადემია დააარსეს.

არნოლდ ჩიქობავას მეცნიერულ ღვაწლში გამორჩეულია მისი დიდი მცდელობა კავკასიის მთელი რეგიონის ენათა მეცნიერული შესწავლისა. შემთხვევითი არ არის, რომ იგი საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის გვერდით ღირსებით ატარებდა დაღესტნისა და ყაბარდო-ბალყარეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებასაც.

1984 წელს არნოლდ ჩიქობავამ ნოტარიული წესით გააფორმა ანდერძი, რომლის ძალითაც მისი ბინა ჭავჭავაძის პროსპექტზე, იბერიულ-კავკასიური ენების კაბინეტის გახსნის მიზნით, უნივერსიტეტს გადაეცა. უნივერსიტეტსვე გადაეცა წიგნადი ფონდი, როგორც კაბინეტის ბიბლიოთეკა. სამომავლოდ გათვალისწინებულია ამ კაბინეტის მნიშვნელოვან საკვლევ და სასწავლო ცენტრად გადაქცევა. უნივერსიტეტში დაწესებულია არნოლდ ჩიქობავას სტიპენდია ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის.

განსაკუთრებულია არნოლდ ჩიქობავას დამსახურება ლექსიკოლოგიის განვითარებაში. მე მქონდა პატივი მონაწილეობა მიმეღო ქართული ენის განმარტე-

ბითი ლექსიკონის ერთტომეულის მომზადებაში. მადლიერებით მინდა ვთქვა, რომ მხცოვანმა მეცნიერმა ჩემი მოკრძალებული შრომა დიდი სითბოთი აღნიშნა ნიგნ ნის შესავალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემთვის დაუვიწყარი იყო, როცა განსვენებულ მიხეილ ჭაბაშვილისაგან შევიტყე, ბატონი არნოლდი თავისთან სასაუბროდ გიწვევსო. ეს გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე იყო. სამი საათის განმავლობაში ბევრი საინტერესო რამ მოვისმინე. ეს მეცნიერის გულისთქმა და გულისტკივილი იყო. უნდოდა სათქმელი მთლიანად ეთქვა, მოესწრო... მისი საუბარი დღესაც ყურში ჩამესმის. მეცნიერების ქურუმი საკუთარ დაკვირვებებს გულღიად მიზიარებდა.

დიდი ამაგი დასდო მეცნიერმა ქართულ ენციკლოპედიას. იგი არ იყო ფორმალური კოლეგიის წევრი და ენათმეცნიერების სექციის ხელმძღვანელი, არამედ საქმეში ღრმად ჩახედული, ძალზედ კრიტიკული ოპონენტი და დამხმარე გახლდათ. ამან თავისი დადებითი გავლენა მოახდინა ენციკლოპედიის დონეზე. მისი ცალკეული საკითხების გაშუქებისადმი ზედმეტად ჩაკირკიტება ჩვენ გვაიძულებდა ყოველთვის ფხიზლად ვყოფილიყავით.

ერთხელ, როცა სტატია „ენათმეცნიერება", უკვე გვერდებში შეკრული, ბატონ არნოლდს გადასახედად გავუგზავნეთ (სვეტებში წაკითხული ჰქონდა), დამირეკა... მორიდებით დაველაპარაკე. იგი განსაკუთრებით მკაცრი იყო, შეიძლება ითქვას მოურიდებელიც, როცა რაიმე არ მოეწონებოდა. შეცდომა გაქვთ დაშვებულიო, შევცბი და ვუსმენ... ჩემი გვარი ბევრჯერაა მოხსენიებული, მაგრამ ეს არა უშავს, სახელშია შეცდომაო. განვცვიფრდი, გულში ვიფიქრე, ეს როგორ შეგვეშალა-თქო. ინიციალში – გააგრძელა ბატონმა არნოლდმა, ყველგან გიწერიათ „ა". ეს სწორი არ არის. მე არნ. ჩიქობავა ვარო. ჩვენ ფორმა დავშალეთ და ეს შენიშვნა გავითვალისწინეთ.

ჩვენ ურთულესი და უმძიმესი, ამასთან ფრიად საინტერესო, XX საუკუნის დასალიერთან ვართ. მომავალი XXI საუკუნისგან ბევრ სიკეთეს ველით. სიკეთეს, რომელსაც საწყისები, ფესვები ჩვენს საუკუნეში აქვს გადგმული. ერთ ასეთ კეთილ საწყისად, მაღალი მეცნიერების, მეგობრობისა და ძმობის, კავკასიელი ხალხების ერთიანობის სიმბოლოდ სწორედ არნოლდ ჩიქობავა გვესახება.

არნოლდ ჩიქობავას სახელი ღირსებით ჩაიწერება XX საუკუნის ქართული მეცნიერების ისტორიაში და ასევე ღირსებით გადაეცემა მომავალ საუკუნეებსა და თაობებს.

1998 წ.

გურამ ფანჯიკიძის ხსოვნას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ ვერავითარი შედარება, ან ემოციის გამოხატვის საშუალება, ვერ შესძლებს გადმოსცეს გურამ ფანჯიკიძის მოულოდნელი გარდაცვალებით გამოწვეული შოკი და სევდა. დიახ, შოკი, რადგან საოცრად დიდი იყო მოულოდნელობა ჯანმაგარი, ძლიერი, ყოველთვის სიცოცხლით სავსე და სიცოცხლისმოყვარული გურამის ამ ქვეყნიდან წასვლისა. ეს ხმაც ელვისებურად გავრცელდა. ვერ დავიჯერე და პირდაპირ შენი სამყოფელისაკენ გამოვეშურე. მხოლოდ მაშინ ვიწამე ეს მძიმე ამბავი, როცა ასევე შოკში მყოფი დაცალებული, ჯერ კიდევ რომ არ სჯეროდა მეუღლის გარდაცვალება, დალი ვნახე.

რაღაც საოცარი და ამაღლებულიცაა ამ სიკვდილში: ნაღდი ბიჭები ზღვას მიჰყავს ჩვენგან. ამ ორმოციოდე წლის წინ, აგვისტოს ასევე მიმწუხრზე გურამ რჩეულიშვილი წაგვართვა... ახლა კი, ახლა გურამ ფანჯიკიძე.

ძალიან ძნელია გურამზე ილაპარაკო წარსულში. ერთი კი მინდა ვთქვა: ქვეყანამ და ხალხმა ჭეშმარიტი ჭირისუფალი დაკარგა, მუდამ ქვეყნისა და ხალხის სამსახურში მყოფი, სამშობლოს ყველა ტკივილი რომ საკუთარ ტკივილად მიაჩნდა და მუდამ ბრძოლაში, დიახ სწორედ ბრძოლაში, იყო. ჭეშმარიტი მწერალი, ქართველი მწერლების თავკაცი, თავის დროზე „ცისკრისა“ და შემდეგ „განთიადის“ რედაქტორი. ეს უკანასკნელი ჟურნალი ხომ თვით გურამმა დააფუძნა ქუთაისში. გურამი იყო ბრწყინვალე, საქმის ღრმად მცოდნე გამომცემელი. ეს კარგად გამოჩნდა მისი გამომცემლობა „საქართველოს“ დირექტორობისას. მისი რომანები გამოსვლის უმალ პოპულარული ხდებოდა. გურამი საოცარი ენთუზიაზმით ჩაუდგა სათავეში დავით აღმაშენებლის საზოგადოებას. ოცნებობდა დავით აღმაშენებელზე მრავალსერიანი ფილმის გადაღებას. გარკვეული ნაბიჯიც გადადგა. თვითონ სწერდა სცენარს. იგი მუდამ მოუსვენარი, ათასგვარი იდეებით იყო სავსე და მუდამ სიკეთეზე, ქვეყნის ხვალინდელ დღეზე ფიქრობდა.

გურამ ფანჯიკიძეს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული და საოცარი, თბილი სიყვარული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა. ხშირად ამბობდა, უნივერსიტეტით დიდადა ვარ დავალებული – ჩემი ოჯახის ყველა წევრი აქ მოღვაწეობსო.

გუშინწინდელ „საქართველოს რესპუბლიკაში“ პრეზიდენტის განკარგულება გამოქვეყნდა უნივერსიტეტის 80 წლის იუბილის აღნიშვნის შესახებ და საიუბილეო კომისიის წევრთა შორის გურამ ფანჯიკიძეცაა. მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე აღარ იყო, ჩვენ მისი სახელი და გვარი მაინც გამოვაქვეყნეთ. ძნელია დაჯერება, რომ გურამ ფანჯიკიძე ჩვენ გვერდით აღარ არის.

გურამი თავისი საქმით, თავისი აზრით, ფიქრებით, შემოქმედებით სამარადისოდ დარჩება ქართველი ხალხის გულში.

1998 წ.

გრიგოლ წერეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1925 წლის 9 თებერვალს დიდმა ქართველმა მეცნიერმა და საზოგადოებრივმოღვაწემ ივანე ჯავახიშვილმა თავისი გამოკვლევის „ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფიის“ წინასიტყვაობა დაწერა. ეს მცირე წინათქმა მეცნიერმა ასე დაასრულა: „ამ ქართული პალეოგრაფიის შესახებ ჩემს შრომას ვუძღვნი ცნობილ ქართველ ელინისტსა და განთქმულ პალეოგრაფს პროფ. გრიგოლ ფილიმონისძეს წერეთელს, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტს აშენებს და ჩვენი მეცნიერების აღორძინების მონაწილეა“.

ამას ბრძანებდა თბილისის უნივერსიტეტის რექტორი... და ეს არა მარტო მიძღვნა იყო, არამედ გრიგოლ წერეთლის ღვაწლის შეფასებაც. გრიგოლ წერეთელი ჭეშმარიტად ამშვენებდა თბილისის უნივერსიტეტს და ქართული მეცნიერების აღორძინების სამსახურში იდგა.

რაოდენ სიმბოლურია, რომ წელს, როცა მთელი საქართველო ივანე ჯავახიშვილის 120 წლის იუბილეს აღნიშნავს, როცა ეს წელი ჯავახიშვილის წლადაა გამოცხადებული და ოქტომბერში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციითა და საიუბილეო სხდომით დაგვირგვინდება, დღეს ჩვენ ვხსნით გრიგოლ წერეთლისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას.

გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი... უთავუამო ცხოვრების გამო ერთხანს მივიწყებული და ფერფლწაყრილი... თუმცა ქართული მეცნიერებისათვის აუცილებელი ბურჯი და უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. იქნებ თავის დროზე ვერც შეფასებული და ვერც სათანადოდ დაფასებული... მაგრამ ისტორიის ბორბალი თავის ადგილს მიუჩენს ყველას... გრიგოლ წერეთლის ადგილი მეცნიერების კორიფეთა შორის მკვეთრად განისაზღვრება... თორემ ისტორიის გამრიგეს მეცნიერისათვის იგი იმთავითვე მიჩენილი ჰქონდა.

გრიგოლ წერეთელი – ბერძნული ლიტერატურის ისტორიის აღიარებული მკვლევარი. დავაზუსტებ, აღიარებული საქვეყნოდ, მსოფლიოს ელინისტების მიერ; პაპიროლოგიის ფუძემდებელი, დიახ ერთ-ერთი ფუძემდებელი ამ ახალი ფილოლოგიური დისციპლინისა. უბადლო პედაგოგი – კლასიკური ფილოლოგიის დარგში რამდენიმე თაობის აღმზრდელი.

გრიგოლ წერეთლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი პეტერბურგთან იყო დაკავშირებული. აქ დაიბადა იგი და გარკვეული დროით განშორების შემდგომ – თბილისსა და ვარშავაში ცხოვრობდა იგი მამის სამსახურის გამო – კვლავ პეტერბურგს დაუბრუნდა, სადაც ჯერ კლასიკური გიმნაზია დაამთავრა, შემდეგ კი პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. მისი სპეციალობა-კლასიკური ფილოლოგია გახლდათ. ამ დარგის სწავლებას მაშინ მეთავეობდნენ კლასიკური ფილოლოგიის კორიფეები: ი. პომიალოვსკი, პ. ნიკიტინი, ვ. ერნშტეტდტი, თ. ზელინსკი და სხვები.

1897 წელს სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების შემდეგ 3 წლით გრიგოლ წერეთელი საზღვარგარეთ მიავლინეს. ბერლინში წარმატებით მუშაობს იგი პროფ. ულრიხ ვილკენთან, ძირითადად პალეოგრაფიასა და პაპიროლოგიაში.

ბერძნულ ხელნაწერებსა და პაპირუსებზე იმუშავა ახალგაზრდა მეცნიერმა ვენის, მიუნხენის, პარიზის, ლონდონის, ოქსფორდის, რომის, ვენეციის, ნეაპოლის, ფლორენციისა და ათენის მუზეუმებში. გრიგოლ წერეთელმა იმდენად მაღალ დახელოვნებას მიაღწია პაპიროლოგიაში, რომ მას ულრიხ ვილკენმა „ბერლინის ბერძნული საბუთების" ("Berliner griechische Urkunden") ცალკე ტომად გამოცემა მიანდო.

გრიგოლ წერეთლის მუშაობით აღფრთოვანებული იყო ცნობილი პაპიროლოგი კრებსი. სხვებიც დიდ ყურადღებას აქცევდნენ ქართველ მეცნიერს და ესენი იყვნენ არა მარტო პაპიროლოგები, არამედ ბერძნული ფილოლოგიის სპეციალისტები – ელინისტები. დიდ შეფასებას აძლევდა ცნობილი ფილოლოგი, ბერძენ ფილოსოფოსთა მკვლევარი და გამომცემელი ჰერმან დელსი.

პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ, 1902 წლიდან გრიგოლ წერეთელი უნივერსიტეტის პრივატდოცენტია. 1905 წლიდან ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორი. 1914 წელს გრიგოლ წერეთელმა გამოაქვეყნა შრომა „მენანდრეს ახალი კომედიები" („Новые комедии Менандра", Юрьев, 1914), მოიპოვა დოქტორის ხარისხი, რის შედეგადაც არჩეული იქნა პეტერბურგის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამდეგ. 1917 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ვ. ლატიშევი და მ. როსტოვცევი განსაკუთრებულად მაღალ შეფასებას აძლევენ გრ. წერეთლის შემოქმედებას: „... Г. Ф. Церетели находится в поре польной зрелости своего недюжинного научного и литературного таланта. При нормальном развитии культурной жизни России он мог бы быть высоко полезен Академии наук своей высокой подготовкой в области чтения и издания греческих рукописей".

გრიგოლ წერეთლის ფასი კარგად იცოდნენ ქართველმა მეცნიერებმა და პირველ რიგში ივანე ჯავახიშვილმა. 1919 წლის 18 ივნისს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გრიგოლ წერეთლის მოწვევის თაობაზე. მიმართვაში ხაზგასმით იყო აღნიშნული: „ახალგაზრდა ქართული უნივერსიტეტის პროფესორები დარწმუნებული არიან, რომ თქვენ იმათ წრეში შემოხვალთ, ხელს შეუწყობთ საქართველოში უმაღლესი საუნივერსიტეტო მეცნიერების დანერგვა-განმტკიცებას და აყვავებას".

გრიგოლ წერეთელი 1920 წლის შემოდგომაზე ჩამოვიდა თბილისში და სათავეში ჩაუდგა კლასიკური ფილოლოგიის კათედრას. საქართველომ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა მეცნიერზე. ახალი ძალა, ენერგია შთაბერა მას. იგი გატაცებით კითხულობდა ლექციებს და იკვლევდა კლასიკური ფილოლოგიის პრობლემებს. ნიშანდობლივია, რომ გრიგოლ წერეთელი 1923-1931 წწ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორად მუშაობდა და თავისი წვლილი შეიტანა საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაში. აქვე, ბიბლიოთეკის მეცნიერ-კონსულტანტად მუშაობდა გრიგოლ წერეთლის მეუღლე სოფიო მაქსიმოვა-წერეთელი, რომელიც შემდგომში პარალელურად შალვა ნუცუბიძემ ფილოსოფიის ისტორიის კათედრაზე მიიწვია ასისტენტად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ წერეთლის ნაშრომები: „შემოკლებათა სისტემა ბერძნულ ხელნაწერებში (უპირატესად პეტერბურგისა და მოსკოვის დათარიღებული ხელნაწერების მიხედვით)“ – 1904 წ., პროფ. ს. სობოლევსკისთან ერთად გამოცემული „ნიშუნები ბერძნული ხელნაწერებისა“, 2 ტომად, კორიდეთის ბერძნული ოთხთავის მინაწერები, 1937 წ., „მცხეთის ბერძნული წარწერები“, იოანე იტალოსის თხზულებების 2 ტომი, 1924 და 1926 წლებში, „მენანდრეს ახალი კომედიები“ და სხვ. საყოველთაოდ იქნა აღიარებული და მეცნიერს დიდი სახელი მოუტანა ელინისტიკაში. გრ. წერეთლის ფუძემდებლური ნაშრომი იყო „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ სამ ტომად (ორი ტომი ქართულად დაიბეჭდა, 1927 და 1935 წლებში), სადაც მრავალი საკითხი ორიგინალურად, სრულიად ახლებურად იქნა გაშუქებული.

რაც შეეხება გრიგოლ წერეთლის მოღვაწეობას პაპიროლოგიაში, ეს ფასდაუდებელი ამაგია ამ დარგის მიმართ. სწორედ პაპირუსებში შეისწავლა მენანდრეს კომედიები. აქვე იყო ჰომეროსის პოემათა ნაწყვეტები, საფოსა და ალკეოსის ლექსები, ასე გასინჯეთ, ჰეროდოტეს „ისტორიის“ პასაჟებიც.

გრიგოლ წერეთელმა არა მარტო გამოიკვლია, არამედ შეიყვარა ანტიკური სამყარო. ამ სიყვარულის გამომჟღავნების საშუალებას მისი ნიჭი იძლეოდა.

მეცნიერის ბრწყინვალე პოეტური ნიჭი მის თარგმანებში გამოჩნდა. გრიგოლ წერეთელმა პირველმა რუსულად თარგმნა: მენანდრეს კომედიები, ჰერონდას „მიმიამბები“, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“. მანვე თარგმნა რომაელი პოეტის ჰორაციუსის 33 ოდა და სხვა მრავალი.

თავისი ცხოვრებისა და სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის ბოლო 18 წელი გრიგოლ წერეთელმა თბილისის უნივერსიტეტს მიუძღვნა მთლიანად. მან დაუდო ფაქტობრივად სათავე საქართველოში კლასიკური ფილოლოგიის კვლევას და მაღალავტორიტეტული სკოლაც შექმნა.

დღეს, როცა თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერულ ღვაწლთა შორის ვასახელებთ მათემატიკის, ფიზიოლოგიის, ფიზიკის, ორიენტალისტიკის, კავკასიათმცოდნეობის, ფსიქოლოგიის თუ სხვა სკოლების ჩამოყალიბება-განვითარებას, გარკვეულ ადგილას მოვიხსენიებთ კლასიკური ფილოლოგიის სკოლასაც, რომელსაც დღესაც მნიშვნელოვანი წარმატებები გააჩნია. აი სწორედ ამ დარგის, კლასიკური ფილოლოგიისა და პაპიროლოგიის, მესაძირკვლე გახლდათ გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი.

სწორედ ამ დიდი მეცნიერის განუზომელ და ფასდაუდებელ ამაგს თბილისის უნივერსიტეტისა და ქართული მეცნიერების წინაშე, ზოგადად მეცნიერების წინაშე, ეძღვნება ჩვენი სამეცნიერო კონფერენცია... გრიგოლ წერეთელს, რომელიც ჭეშმარიტად ამშვენებდა თბილისის უნივერსიტეტს და ეგრერიგად მონაწილეობდა ჩვენში მეცნიერების აღორძინებაში.

1996 წ.

ბრძენ ქართველს უთქვამს: „ვინც წყაროს წყალს სვამს, მან სათავეზეც უნდა იფიქროს“. ეს თქმა სხვა არაფერია, თუ არა მოწოდება წარსულის აუცილებელი პატივისცემისა, წინაპრის ღვაწლის დაფასებისა და კაი ყმის არდავიწყებისა. გვქონდა პერიოდები, როცა წარსულს ზურგი შევაქციეთ... შევაქციეთ და დავისაჯეთ. დაგვსაჯა უფალმა, დაგვსაჯა ცხოვრებამ და ყოფა თავსატეხი გაგვიხადა.

ჩვენ წარსულის გაკვეთილებზე სწავლა გვმართებს. დღეს განსაკუთრებით. დიახ დღეს, როცა ქვეყანა, ჭეშმარიტი საქართველო, თავის მომავალს ქვეყნის გამთლიანება-განმტკიცებაში ხედავს. დღესაა ჩვენთვის ფასეული ათი საუკუნის წინ იოანე მარუშისძისა და დავით დიდი კურაპალატის იდეა საქართველოს ერთიანობისა; საქართველო ესაა ქართველების ქვეყანა; დასახლებული ერთი აზრითა და ფიქრით აღჭურვილი არა მარტო ქართველებით, არამედ სხვადასხვა ერების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა სარწმუნოების აღმსარებლებით. ათი საუკუნის წინ ღირსეულ მამულიშვილთა მიერ წამოყენებული ერის გაერთიანება-გამთლიანების იდეას გადაწყვეტა დაეწესა ბედად. ასეც მოხდა: ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არეგაწამდე გადაიჭიმა საქართველოს სახელმწიფო. მისი მეფეების მესიის მახვილად იყვნენ აღიარებულნი და აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფეებად, შარვანშებად და შაჰანშებად იწოდებოდნენ. საქართველო მთელს აღმოსავლეთში ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ ითვლებოდა.

რა ბედი ეწევა დღევანდელ საქართვლოს?

ეს რა კითხვაა, იქნებ ბედის დაცინვაა. იქნებ მრავალი ცოდვებისთვის დასჯილი საქართველოს თუ ქართველების გამოსაფხიზლებელი შეძახილია.

საქართველო გადარჩება,

საქართველო გამთლიანდება,

საქართველო გაბრწყინდება –

აი პასუხი უგვანო შეკითხვისა საქართველოს გადარჩენის თაობაზე. საფუძველი? სწრაფვა ქართველებისა, მათი თანამოაზრობა და შეკავშირება უნდა იყოს. საფანელი? საფანლად კვლავ წარსულის პატივისცემა. მისი გაკვეთილები უნდა გამოვიყენოთ.

„ჩემს წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ისმებოდა პოლიტიკური, ეროვნული და სოციალური ხასიათის საკითხები, როგორც სამუსლიმანო, ისევე საქრისტიანო საქართველოს შესახებ. ურყევლად ვიდექი საქართველოს მთლიანობის ნიადაგზე“ – ეს ჭეშმარიტი მამულიშვილის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის მწერლისა და პუბლიცისტის მემედ აბაშიძის სიტყვებია. დიახ, ურყევლად ვიდექიო საქართველოს ერთიანობის ნიადაგზე. რატომ დასჭირდა ქართველ მამულიშვილს ამაზე ყურადღების გამახვილება? სამწუხაროდ, ისტორიის მთელს სიგრძეზე არ აკლდა მტრები საქართველოს. გარედან მომხდურს შინაური უმაგრებდა ზურგს, ციხე ხშირად შიგნიდან ტყდებოდა. არ აკლდა ქვეყანას ტბელები და ფხვენილები, ბაღვაშები და აბულეთისძეები, ოსამალები და ყორღანაშვილები. საბედნიეროდ

ქართველების ქვეყანა – საქართველო უმკლავდებოდა ამგვარ მტრებს დიდი დავით აღმაშენებელი და მეფე თამარი, ცოტნე დადიანი და გიორგი ბრწყინვალე, თევდორე კველთელი და მაია წყნეთელი, მრავალი სხვა მამულიშვილი ქვეყნის გადარჩენა-წინსვლის გარანტები იყვნენ. აი ამ ჭეშმარიტ პატრიოტთა გორიდან იყო მემედ აბაშიძე.

აბაშიძეთა გვარის წარმომადგენელი მემედი უშუალო შთამომავალი იყო აჭარის უკანასკნელი სანჯაყ-ბეგისა იუსუფის. თავის მხრივ იუსუფი ღირსეული ქართველი მამულიშვილი იყო. ქვეყნისა და ხალხის დიდი ქომაგი. ეს სანჯაყ-ბეგისთვის სულთნის თვალში მაკომპრომენტირებელი იყო და არ ყოფილა შემთხვევითი, რომ სწორედ ქართული მიწისა და ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულის გამო იგი მწარედ დაისაჯა. სულთანმა 1850 წელს ტრაპიზონში მიიწვია, დიდი ამბით მიიღო, შემდეგ კი, შემდეგ... მოაწამვლინა.

აჭარელ აბაშიძეთა სანჯაყ-ბეგობისა და საერთოდ ამ გვარის ისტორიაზე ლაპარაკი მე აქ ზედმეტად მიმაჩნია. ეს საკმაოდ ცნობილი გახლავთ. მოვიგონებდი კი ერთ ეპიზოდს. ამ ოცდაათი წლის წინათ, როცა გამოვეცით ქართული ენციკლოპედიის I ტომი, სადაც სხვათაშორის აბაშიძეების შესახებაც არის ცნობები; ერთი აბაშიძე მოვიდა ჩემთან, მემედ აბაშიძის შთამომავალი, მადლობა მითხრა და თავისი კმაყოფილება გამოხატა. ბოლოს დაამატა ჩვენ ოჯახში ფირმანი გვაქვს აბაშიძეთა სანჯაყ-ბეგობის შესახებო. მე გულუბრყვილოდ ვუთხარი, მუზეუმში მიიტანეთ და დაგეხმარებით მივაღებინებ მეთქი, გამოფენასაც დავპირდი. სტუმარმა ფირმანის მოტანაზე უარი თქვა, გაიღიმა და მრავალმნიშვნელოვნად მითხრა: რა იცი ქვეყანაზე რა ხდება, ეს ფირმანიც როდის დამჭირდებაო. მაშინ ეს უარი ჩემთვის ძნელი გასაგები იყო, მაგრამ დღეს მჯერა, რომ ეს კაცი ჭკვიანი იყო.

დავუბრუნდეთ ისევ ისტორიას. იუსუფ აბაშიძეს ხუთი შვილი დარჩა: ემინი, სალიხი, ხუსეინი, იბრაჰიმი და აჰმედი. იბრაჰიმის შვილი იყო მემედ აბაშიძე. საერთოდ აბაშიძეები შეძლებულები იყვნენ და განათლებაც იმ დროის კვალობაზე სათანადო ჰქონდათ. იბრაჰიმ აბაშიძეც განათლებული კაცი იყო, შესწავლილი ჰქონდა მათემატიკა, ისტორია, ასტრონომია, არაბული, სპარსული და თურქული ენები. იგი უდიდესი სიხარულით შეხვდა 1878 წლის სან-სტეფანოს ზავის გადაწყვეტილებას, რომლის შედეგადაც აჭარა დედა-საქართველოს შეუერთდა. იბრაჰიმი ყოვლმხრივ იბრძოდა მუსლიმ და ქრისტიან ქართველთა შორის კავშირის განმტკიცებისათვის. პერიოდიც კეთილნაყოფიერი იყო, შემონახულია ცნობა იმის თაობაზე, რომ აჭარის დელეგაცია იმავე 1878 წელს ეწვია საქართველოს. თბილისის საზოგადოება აღფრთოვანებით შეეგება მათ. თავისი მაღალი დამოკიდებულება გამოხატეს აკაკი წერეთელმა და დიმიტრი ყიფიანმა, გიორგი წერეთელმა და სერგეი მესხმა. საგანგებო ბანკეტზე სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს გრიგოლ ორბელიანმა და აჭარის დელეგაციის მეთაურმა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა. სწორედ აქედან ეყრება საფუძველი ახლად შემოერთებულ კუთხეში სამოქმედო გეგმას.

აბრაჰიმ აბაშიძე ყველა კულტურული ღონისძიების აქტიური მონაწილე იყო. განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა აჭარაში სწავლა-განათლებას.

როცა 1881 წელს ბათუმში წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ პირველი ქართული სკოლა გახსნა, იბრაჰიმი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამას და იბრძოდა სკოლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის დროულად გამოყოფისათვის.

ასეთ პატრიოტულ ოჯახსა და გარემოცვაში დაიბადა მემედ აბაშიძე 1873 წელს, ბათუმში.

მემედმა და მისმა ძმებმა კარგად შეისისხლხორცეს, რომ ისინი გურჯები იყვნენ და არა ოსმალები, არ დაგვავიწყდეს, აჭარა ჯერ კიდევ ოსმალთა ხელთაა და მხოლოდ მაშინ, როცა მემედ აბაშიძე შეიქმნებოდა ხუთი წლისა, იგი შეუერთდებოდა სრულიად საქართველოს და მისი განუყოფელი ნაწილი გახდებოდა.

მემედი შეიყვანეს აჭარელთათვის გახსნილ ქართულ სკოლაში. ეს დიდი მაგალითი იყო მუსლიმი ქართველებისათვის. ბათუმის სკოლა ერთკლასიანი იყო ოთხი განყოფილებით. მას შესანიშნავი პატრიოტი მასწავლებლები ჰყავდა, რომლებიც თავდადებით ემსახურებოდნენ საქმეს – ხელს უწყობდნენ აჭარელთა ეროვნულ გათვითცნობერებას.

მემედმა სკოლა დაამთავრა, თუ არა უმალ სწავლის გაგრძელება ისურვა. რატომღაც ეს ვერ მოხერხებულა და ყმაწვილი თავად დასწაფებია წიგნებს. განსაკუთრებით გატაცებით კითხულობდა ილიასა და აკაკის, ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ალექსანდრე ყაზბეგს, რაფიელ ერისთავს... ამ უკანასკნელს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მოზარდზე:

არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა –

ეს სიტყვები მემედ აბაშიძის ცხოვრების კრედო ხდება.

საქართველოს ისტორიასაც ხარბად დაეწაფა იგი და გულმოდგინედ შეისწავლა. ქართული ენის შესანიშნავი მცოდნე იწყებს რუსული ენის დაუფლებას, რუსეთის ისტორიასაც სწავლობს, ყმაწვილზე დიდ გავლენას ახდენს მუსლიმური სამლოცველოები, ყურანი. შემთხვევითი არ იყო ყმაწვილის მოწოდება და მან მამის დამხარებით შეისწავლა არაბული და თურქული ენები. შემდეგ სპარსულსაც დაეუფლა. მემედის ცოდნა უცხოური ენებისა იმდენად მაღალი და პროფესიული იყო, რომ მას თარგმნაც შეეძლო. სიჭაბუკეში მემედ აბაშიძე პოლიტიკურ და მეცნიერულ წიგნებსაც გაეცნო, იგი პოლიტიკაშიც საკმაოდ გაცნობიერდა.

მემედი ამაყობდა იმით, რომ აბაშიძეთა ოჯახი დიდად აფასებდა და მფარველობდა მწერლობას, მეცნიერებს. ოჯახმა და განსაკუთრებით მამა – იბრაჰიმმა დიდი გავლენა მოახდინა მომავალი მოღვაწის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, ეროვნულ ორიენტაციაზე. თანამედროვენი გადმოგვცემენ, რომ მემედს დახვეწილი დარბაისლური ქართული მეტყველება ჰქონდა და ორატორობითაც გამორჩეული იყო.

1897 წელს თედო სახოკიამ აჭარა შემოიარა, მას მემედ აბაშიძე გაუცნია და კმაყოფილებით აღნიშნავს ამის შესახებ:

„... ახალგაზრდა ბეგი აბაშიძე, მეტად კოხტა, აჭარულადვე სირმიანი ტანისამოსით გამოწყობილი, ქართულს წმინდად ლაპარაკობდა, თურქულ სიტყვებს კი ურევდა ლაპარაკში, აღმოჩნდა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი სახზგადოების სკოლაში უსწავლია, ბათუმში, განსვენებული მოსე ნათაძის ხელში. სასოებითაც იხსენებდა თავის დაუვიწყარი მასწავლებლის სახელს, მის გულკეთილობასა და შეგირდების სიყვარულს. რაც ვიცი სულ ჩვენმა მოსემ მასწავლაო“.

თედო სახოკია აღფრთოვანებული ამბობს, რომ როცა საუბარი ეროვნულ თემაზე ჩამოვარდა მემედმა, ამ ჭაბუკმა პატრიოტმა, ქართველის გულს, დაკოდილს უსალბუნაო.

მემედ აბაშიძე დაუახლოვდა იმ დროის ცნობილ მოღვაწეებს: ივანე მესხს, გრიგოლ ვოლსკის (პოეტი უმწიფარიძე), დავით კლდიაშვილს და სხვებს. ამ ურთიერთობებში მემედი იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა.

1899 წელს თბილისში ყოფნისას მემედი გაეცნო ვალერიან გუნიას, რომელიც იმხანად „ცნობის ფურცელს“ რედაქტორობდა. ისინი დამეგობრებულან კიდეც. ვალერიანი პირადად აწვდიდა მემედს წიგნებს, აძლევდა რჩევა-დარიგებებს. სწორედ მან გააცნო აჭარელ ჭაბუკს ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, რაფიელ ერისთავი და სხვები.

შემდეგში მემედ აბაშიძე ყოველთვის დიდი პატივისცემით იგონებდა ვ. გუნაის, რომელიც თავის მეგობრად და მასწავლებლად მიაჩნდა.

ამ პერიოდიდან იწყება მემედ აბაშიძის ფართო სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა. იგი 26 წლისა იყო. მემედი ხალხის გამოსარჩლებაში ხედავდა თავის მოქალაქეობრივ ვალს. იქნებ ცნობილი იყოს, მაგრამ მაინც მინდა ერთი ინციდენტის შესახებ მოგახსნოთ. როცა ბოქაულისგან შეურაცხყოფილ და შევიწროებულ ერთ სოფლელს მემედ აბაშიძე ოლქის უფროსთან მიჰყვა, ამ უკანასკნელმა გვარად სლავოჩინსკიმ, საკმაოდ გაიძვერა და კაცთმოძულე ადამიანმა, აჭარელ ტანსაცმელში იარაღასხმული მემედი, რომ დაინახა, სტრაჟნიკებს უმალ უბრძანა აჰყარეთ იარაღიო. სტრაჟნიკები აჭარელი უბრალო გლეხები იყვნენ, ისინი კარგად ცნობდნენ მემედ აბაშიძეს და უარი თქვეს: ამას ჩვენ ვერ გავაკეთებთო. როცა გაწიწმატებულმა სლოვოჩინსკიმ რუს მოხელეებს უბრძანა იარაღი სასწრაფოდ ჩამოხსენითო, სტრაჟნიკებმა თოფები მოუღერეს და შესძახეს ხელი არ ახლოთ თორემ გესვრითო. სლავოჩინსკის ისღა დარჩენოდა, მწარე ღიმილით გაეცილებინა დინჯად, დარბაისლური ნაბიჯით მომავალი „სტუმარი“.

მემედ აბაშიძის როლი აჭარაში მით უფრო დიდი იყო, რომ იმხანად საქართველოს მთლიანობას ბევრი მტერი ჰყავდა. საკუთარი ინტელიგენციაც მწირად იყო. XX საუკუნის დამდეგისთვის აჭარაში წერა-კითხვა 150-იოდე კაცმა თუ იცოდა. პატრიოტ მოღვაწეს სხვადასხვა ფრონტზე უხდებოდა საქმიანობა, აი რას სწერს თითონ მემედი: „თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ XIX საუკუნის დასასრული და XX საუკუნის დასაწყისი არის ღრმა სოციალური გარდატეხის ხანა, კერძოდ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში აგრეთვე თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენში მოწინავე ინტელიგენციის რიცხობრივ სიმცირეს, საკვირველი არ იქნება

ის ფაქტი, რომ მაშინდელ საზოგადო მოღვაწეს სხვადასხვა დარგით და მიმართულებით უხდებოდა მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დროის საქართველოში მრავალი პრობლემა არსებობდა, პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული. მემედ აბაშიძე თავად დადგა ბურჯად იმ „ჩატეხილი ხიდისა" რომელიც სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოებს შორის არსებობდა; დადგა და ძალა და ღონე არ დაუშურებია ამ ხიდის აღდგენისათვის, გამთელებისათვის. „ურყევად ვიდექი საქართველოს მთლიანობის ნიადაგზე" – მართლაც რომ ჰქონდა ამ სიტყვების ხმამაღლა თქმის უფლება მემედ აბაშიძეს. მემედი ქრისტიან და მუსლიმ ქართველთა შორის ჭერშმარიტი შუამავალი იყო, კეთილგანზრახული და შემრიგებელი.

მემედ აბაშიძე თავისი ეროვნული ორიენტაციითა და პოლიტიკური მრწამსით „ცნობის ფურცლისა" და „მოამბის" თანამშრომელთა ჯგუფის გავლენის ქვეშ იყო. ისინი კი მთავარ ყურადღებას ეროვნული საკითხის მოგვარება-მოწესრიგებას აქცევდნენ, აღიარებდნენ სოციალიზმს, თუმცა მარქსიზმიდან შორს იყვნენ, სწორედ ამ ჯგუფმა არჩილ ჯორჯაძის მეთაურობით სათავე დაუდო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას.

მემედ აბაშიძეს, როგორც თვითონ აღნიშნავდა, იზიდავდა სოციალისტ-ფედერალისტების პარტია ხალხთა ურთიერთთანასწორობის ნიადაგზე ფედერაციის იდეით. 1906 წლამდე მემედი ამ პარტიის აქტიური წევრი იყო. 1907 წლიდან იგი გავიდა ამ პარტიიდან, რის შესახებაც თავისი მოსაზრება ჰქონდა: „ჩემი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო სამუსლიმანო საქართველოში, აღარ მქონდა საშუალება ვიწროდ მოვთავსებულიყავი ერთ რომელიმე პარტიის პოლიტიკურ ჩარჩოებში და დავრჩი ყოველგვარი პარტიის გარეშე". საზოგადოებრივი აქტივობა არ შეუწყვეტია მემედ აბაშიძეს. იგი მშრომელ მოსახლეობასთან იყო. ყოველმხრივ ცდილობდა მათი სწორ ეროვნულ და პოლიტიკურ ორიენტაციაზე მოქცევას. მემედ აბაშიძე ხშირად ესწრებოდა გლეხთა თავყრილობებს; წარმოსთქვამდა მგზნებარე სიტყვებს, ამხელდა ცარიზმის ანტიქართულ პოლიტიკას.

გავა დრო და აღმოჩნდება ამ პერიოდში პოლიციის ჟანდარმის ჩანაწერი: კინტრიშის რაიონსა და ჩაქვში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობაში ბრალი მიუძღვის მემედ აბაშიძეს, რადგან ხალხს ის აღელვებდაო.

მემედ აბაშიძე მუშათა ინტერესების დამცველი იყო. იგი, როგორც ნავსადგურის სახალხო მოსამართლე – ასე მოიხსენიება ცარისტული აგენტურის ერთ-ერთ დოკუმენტში – აგვარებდა მუშათა კონფლიქტებს, ებრძოდა შტრაიკბეხერობას, რასაც იმხანად ფართოდ ჰქონია ფეხი გადგმული ბათუმში. მემედ აბაშიძემ დარაზმა აჭარელი და აფხაზი მოწინავე მუშები და მათთან ერთად დაიწყო სამართალმცოდნეობისათვის, თვალთმაქცობისა და მოტყუების წინააღმდეგ ბრძოლა. მის გვერდით იყვნენ: მემედ გოგიბერიძე, ქემალ ნოღაიდელი, ისკანდერ ბეჟანიძე, სულეიმან მანელოღლი, შაქირ ცეცხლაძე, აზიზ კაიკაციშვილი, სულეიმან მეგრელიძე, სეით ბაკურაძე, იუსუფ გუდაიბა, ხემიდ ცუგბა, მუსტაფა აბიდბა და სხვ.

ნიშანდობლივია, რომ 1905 წელს ბაქოში მომხდარი სომეხ-აზერბაიჯანელთა ხოცვა-ჟლეტის მსგავსი ამბის მოწყობის სურვილი საქართველოში, კერძოდ, ბათუმშიც იყო. პროვოკატორებმა ლამის ჩამოიარეს და სომეხთა სახლები ხითელი საღებავებით დანიშნეს. განზრახული იყო სომეხთა ამოწყვეტაში ქართველ მუსლიმებსაც მიეღოთ მონაწილეობა. ყველაფერი მზად იყო ხოცვა-ჟლეტის დასაწყებად, რომ მემედ აბაშიძის დიდი მცდელობით დაირაზმა მოწინავე ინტელიგენცია და წინ აღუდგა უბოროტეს განზრახვას. აი რა ცნობაა შემონახული. მემედ აბაშიძე იყო ერთადერთი მთავარი ხელმძღვანელი იმ გრანდიოზული მიტინგისა, რომელიც გაიმართა 18 თებერვალს... მიტინგზე სიტყვით გამოვიდა მემედ აბაშიძე. მან ყველა ეროვნების მშრომელებს მოუწოდა ძმობა-ერთობისაკენ.

საქართველოს ერთიანობის მტრებმა მოისყიდეს ვიღაც უბირი და მემედის მოკვლა დაავალეს. მოსყიდული პირი მიეპარა ბულვარში მოსეირნე მემედს და დანა ჩასცა რამდენიმეჯერ. საინტერესოა, რომ არ დაიბნა მემედ აბაშიძე თავად შეიპყრო მომხდური და პოლიციას გადასცა.

პროვოკატორებმა ხმა გაავრცელეს ბოროტმოქმედება სომხებისაგან იყო ინსპირირებულიო, ამით ქართველ-სომეხთა შორის შუღლის ჩამოგდება სურდათ. ანალოგიურ ხრიკებს მიმართავდნენ მუსლიმ და ქრისტიან ქართველთა შორის ღვარძლის დასათესად. მემედ აბაშიძე მაღალი სულის კაცი იყო: ქვეყნის ბედი უწინარესი იყო მისთვის.

რუსეთის მეფის ადმინისტრაციის წარმომადგენლები არაერთგზის შეეცადნენ, რომ გადაებირებინათ მემედ აბაშიძე, რაკი ეს ვერ მოახერხეს, მემედისა და რამდენიმე რჩეული პირის დაპატიმრების ნებართვა ითხოვეს.

მემედმა, ზია, რიზა და ფეიზელ აბაშიძეებმა თავი ოსმალეთს შეაფარეს. აქაც გართულდა საქმე. ისინი ოსმალეთის მთავრობამ დაატუსაღა და ტრაპიზონის ციხეში ამოაყოფინა თავი, ერთი წლის შემდეგ გაათავისუფლეს და ასე, ემიგრაციაში დაჰყო 1913 წლამდე. გაჭირვებაში მყოფმა დაჰკარგა ორი შვილი ჯემალი და ბექირი. იბრაჰიმი მძიმედ ავად იყო. მემედი იძულებული გახდა უვიზოდ დაბრუნებულიყო ბათუმში, ჩამოსვლის უმალ ჟანდარმერიამ დაიბარა და დააპატიმრეს. ჯერ ბათუმის ციხეში იჯდა, შემდეგ ნოვოჩერკასკში გადაასახლეს. მემედმა სხვა გზით მოახერხა ბათუმში ჩასვლის ნებართვის მიღება და შეჭირვებული ოჯახის ნახვა. ამასობაში პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, მემედ აბაშიძე როგორც არასაიმედო, კვლავ დაიჭირეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. შემდეგ ადმინისტრაციული წესით გადასახლება მიუსაჯეს. ამ დროს მემედ აბაშიძეს მხარში ამოუდგნენ მოწინავე ქართველები: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე გ. ყაზბეგი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი კოტე აფხაზი და ქუთაისის თავადაზნაურობის წინამძღოლი დავით ნიჟარაძე და მემედი ოჯახით გადასახლებას გადაარჩინეს. მას ბათუმში ცხოვრება აეკრძალა და 1917 წლამდე თბილისში ცხოვრობდა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ კვლავ ბათუმში დაბრუნდა.

მემედ აბაშიძე ცდილობს მუსლიმანური რელიგია ხალხში ეროვნული შეგნების შეტანის საშუალებად გამოიყენოს. ამ მიზნით იგი აყენებს „ყურანის“ ქართულად თარგმნის საკითხს. ეს იდეა აიტაცა ცნობილმა მკვლევარმა, მხატვარმა პეტრე მირიანაშვილმა. მან თავად თარგმნა „ყურანი“, რედაქცია მემედ აბაშიძემ გაუკეთა და უკვე 1906 წელს წიგნი მკითხველთან მოვიდა. მემედ აბაშიძემ წიგნის ტირაჟის დიდი ნაწილი უფასოდ დაურიგა მოსახლეობას. „ყურანის“ ქართულად გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. აჭარლები მას ქართულად ეცნობოდნენ და ქართული ენა ენაცვლებოდა უცხო ენას.

მემედ აბაშიძე რელიგიის საკითხებს ფაქიზად ეპყრობოდა. იგი ამბობდა: რელიგია სინდისის საქმეა, ერთიანობა შეგნებისა, ეს ორი საგანი ერთმანეთში არ ავრიოთო.

მემედ აბაშიძისა და მის გარშემო თავმოყრილ მოწინავე აჭარელთა საქმიანობამ, თავისი ნაყოფი გამოიღო, პატრიოტ აჭარელთა რიცხვი გამრავლდა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, მათ შორის „ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ“, რომელიც თბილისში დაარსდა 1915 წელს და მიზნად ისახავდა ომისგან დაზარალებული აჭარლებისათვის დახმარების აღმოჩენას. საზოგადოებამ ფართო მუშაობა გაშალა: ბათუმის ოლქში გახსნა ქართული სკოლები, მოაწყო უპატრონოდ დარჩენილ ბავშვთა თავშესაფარი. აჭარის მოსახლეობას უფასოდ აწოდებდა სურსათ-სანოვაგეს, ეხმარებოდა ნივთიერად.

1916 წელს მემედ აბაშიძემ „სახალხო ფურცელში“ გამოაქვეყნა სტატია „მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა სულიერი ერთობა“. აქ გარკვეულად აჯამებს იგი ვითარებას და აცხადებს: „დღეს ის აღარ ვართ, რაც წარსულში ვიყავით. ერთმანეთს ვჭამდით, ვანიოკებდით და ერთი მეორისაგან ძალმომრეობით გამოგლეჯილი ქონება ალალად მიგვაჩნდა. და თუ კიდევ უმიზეზოდ ვინმე თანამემამულეს საიქიოს გავისტუმრებდით, ეს ხომ დიდი ცხონება იყო ჩვენი... დღეს გარემოება შეიცვალა, შეუგნებლობის მძლავრი კედელი, რომელიც ჩვენს შორის იყო აგებული, ეროვნული შემეცნების დიადი ისრით იქნა დაცხრილული. ჩვენც ამ დაცხრილული კედლიდან ერთიმეორის მშობლიური სახის ჭვრეტა დავიწყოთ. ეროვნული შემეცნების ანდამატმა მიგვიზიდა და ერთმანეთს ვიყვარებთ...“ და ა. შ.

მემედ აბაშიძემ 1917 წელს შექმნა პროგრესულად მოაზროვნე აჭარელთა კომიტეტი. ე. წ. ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ: ჰაიდარ აბაშიძე, სულეიმან დიასამიძე, ზექერია შერვაშიძე, ყადირ შერვაშიძე, ხასან ვარშანიძე, ჯემალ ქიქავა და სხვ. კომიტეტმა მოიწვია აჭარის ქართველ მუსლიმანთა წარმომადგენლების ყრილობა. აქ ბევრი სასიკეთო საკითხი გადაწყდა. შეტანილ იქნა წინადადება – აჭარელ ქალებს მოეხსნათ ჩადრები და სხვ.

1918 წელს ერთი საინტერესო ამბავი მოხდა – ოსმალეთის სამხედრო მინისტრი ენვერ-ფაშა ჩამოვიდა. მიუხედავად წინააღმდეგობისა მისასალმებელი სიტყ-

ვის თქმა მაინც მემედ აბაშიძეს მოუწია. მემედმა მოკლედ მოსჭრა: აჭარა საქართველოა, ბათუმი, როგორც აჭარის ნაწილი საქართველოში შედის, თქვენ ამ სტუმარი ხართ, ჩვენ კი მასპინძლები, ამიტომ მოგესალმებით, როგორც სტუმარს და იმედი მაქვს მოკლე დროში ბათუმსა და მის ოლქს დატოვებთ. ამის შემდეგ მემედ აბაშიძე დააპატიმრეს. იგი ტრაპიზონის ციხიდან გაიპარა და თბილისში ჩამოვიდა, აქ უკვე დაარსებული იყო „სამუსლიმანო საქართველოს გამათავისუფლებელი კომიტეტი", რომლის თავმჯდომარე, მემედის ჩამოსვლამდე, ზია აბაშიძე იყო. 1919 წლიდან მთელი კომიტეტი და მისი ხელმძღვანელები ბათუმში გადავიდნენ. აქ უფრო აქტიურად ეხმარებოდნენ თანამოძმეებს. მ. აბაშიძის წინადადებით 1919 წ. გაერთიანდა ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილება და ბათუმის ოლქის ანალოგიური საზოგადოება. მას ეწოდა „ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა საზოგადოება". საზოგადოებამ გამოსცა გაზეთი: „სამუსლიმანო საქართველო". 1919-21 წლებში გაზეთს მ. აბაშიძე რედაქტორობდა. გაზეთი საქართველოს ერთიანობისათვის იბრძოდა.

1920 წლიდან, როცა ბათუმში (იგი პორტო-ფრანკოდ გამოცხადდა) ვითარება გართულდა, მემედ აბაშიძე მტკიცედ იდგა თავის პრინციპებზე. აკრიტიკებდა მთავრობის, შინაგან საქმეთა სამინისტროს „მრუდე პოლიტიკას... იმიტომ რომ იგი ღუპავდა საქვეყნო საქმეს, ხელს უწყობდა შეერთებულ ძმათა გათიშვას და არა მოყვარეობის განმტკიცებას".

ერთი სიტყვით, სამუსლიმო საქართველოს განმანთავისუფლებელმა კომიტეტმა თავისი მისია წარმატებით შეასრულა და დაიშალა. პოლიტიკური ინტერესების დამცველის როლში ჩადგა მეჯლისი, რომლის თავმჯდომარედაც მემედ აბაშიძე იქნა არჩეული. მეჯლისი ურთულეს პირობებში იბრძოდა საქართველოს მთლიანობის დაცვისათვის. მიზანი მიღწეული იქნა, აჭარა გაერთიანდა საქართველოსთან.

მემედ აბაშიძე აქტიურად მუშაობდა საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც, მაგრამ გარკვეულმა სირთულეებმა იგი აიძულა ჯერ კიდევ შუახნის კაცს 57 წლისას პენსიაზე გასვლა მოეთხოვა.

იგი შემდეგაც არ იშურებდა ძალ-ღონეს აქტიურად ემსახურებოდა თავის საყვარელ აჭარას და სრულიად საქართველოს, მემედ აბაშიძე 1941 წლის 6 მარტს გარდაიცვალა.

ღირსებით გასრულდა ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, მწერლისა და პუბლიცისტის, მაღალი რანგის მოქალაქის – მემედ აბაშიძის ცხოვრება.

რაოდენ ეხმიანებოდა მისი ქმედებანი დღევანდელ დღეს.

საპროგრამოა 1916 წლის 4 მარტს თბილისში ნადიმზე წარმოთქმული მისი სიტყვა: „ყვავილი რომ მოსწყდება ღეროს, დასჭკნება, გაყვითლდება... როდესაც ყვავილი მოსწყდება, მიიკარით იგი გულზე, დაიჭირეთ ხელში, ეალერსეთ და იქმნება იგივე ყვავილი... აჭარა ბედმა მოსწყვიტა საუკუნეებით სამშობლოს გულს და ნუ გიკვირთ, თუ ეუცნაურებათ, თუ დღეს საკმაოდ ვერ უცვნიხართ – მოჰკიდეთ ხელი და ისევ თქვენი იქნება". ეს ხომ ჭეშმარიტი მწერლისა და დიდი

საზოგადო მოღვაწის სიტყვებია; ქვეყნის ბედსა და მომავალზე მოფიქრალი მამულიშვილის ღაღადისი.

მემედ აბაშიძემ ჟურნალ „ნიშადურში“ გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებული მეტად ამაღელვებელი სტატია: „ჩვენ სინდისმა გვიღალატა, უგუნურებამ შეგვაცდინა, შურმა დაგვძლია. გთხოვთ მოგვიტევოთ, თქვენ სულგრძელი და მომთმენი ბრძანდებით, მუხლმოდრეკილი თქვენს წინაშე შენდობას ვითხოვთ – გვაპატიეთ, შეგვინდეთ“. კიდევ ერთ პუბლიკაციაზე შევჩერდებით. ესაა მემედ აბაშიძის სტატია: „ქართული ენის გაწმენდისათვის“, რომელიც 1926 წელს გამოქვეყნდა „ქართული მწერლობის“ პირველ ნომერში. მემედ აბაშიძე აფიქსირებს ქართული ენის დანაგვიანების ფაქტს“. „თუ ამის საწინააღმდეგო ზომები არ იქნა მიღებული ჩვენი ენა თანდათანობით გადაიქცევა ალჟირელების ენად, რომელიც შედგება დღეს ლათინურის, იტალიურის, ფრანგულის, ესპანურის და თავიანთი ენის ნარევისაგან... როდესაც ესა თუ ის ერი დაჰკარგავს მშობლიურ ენას, შემდეგ დარჩება განა მას რაიმე ეროვნული სახელმწიფოებრივი სახე“.

კიდევ ერთი.

საქართველოში ძნელად მოიძებნება საზოგადო მოღვაწე უნივერსიტეტთან რომ თავისი დიდი წმიდა დამოკიდებულება არ ჰქონდეთ. იმედი მაქვს განმარტება არ დამჭირდება რომელ უნივერსიტეტზეა ლაპარაკი. მემედ აბაშიძე ბევრ გამოჩენილ ქართველ მოღვაწესა და მეცნიერთან მეგობრობდა. მათ შორის იყო ივანე ჯავახიშვილიც. თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი და როცა უნივერსიტეტი დაფუძნდა 1918 წელს, საჭირო გახდა სხვა სპეციალისტებთან ერთად თურქული ენის მცოდნეც, რომელიც უნივერსიტეტის სტუდენტებს ამ ენას შეასწავლიდა. მემედ აბაშიძე თვითონაც შესანიშნავი მცოდნე იყო თურქულისა და მისი რეკომენდაციით მიღებული იქნა ხიმშიაშვილი, რომელმაც ფაქტობრივად სათავე დაუდო თურქული ენის სწავლას საქართველოში.

ერთი სიტყვით, პრობლემები, რომელსაც მემედ აბაშიძე აყენებდა მარადიული გამოდგა. დღესაც საზრუნავია ის საკითხები, რისთვისაც დიდი მამულიშვილი შვრებოდა.

მემედ აბაშიძე ერთ განცხადებაში იოსებ სტალინს სწერდა: „ჩემი ისტორიული მისია პირნათლად შევასრულე“... ეს მართლაც ასე იყო. ამ ზნეკეთილ კაცს ჰქონდა უფლება ხმამაღლა ეთქვა ქვეყნისადმი მისი სამსახურის ღირსებით აღსრულების შესახებ.

1993 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაი, რომ არ დასცალდა...

ჩვეულებრივი საუბარი ლევან სანიკიძეზე არ შეიძლება.

რატომ?

ლევან სანიკიძე განსაკუთრებული პიროვნება იყო. განსაკუთრებულად აზროვნებდა, განსაკუთრებულად მეტყველებდა და განსაკუთრებულად წერდა.

ისტორიკოსი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე... ბატონი ლევანის თვალსაწიერი ფართო იყო. იგი უსაზღვროდ შეყვარებული იყო თავის ქვეყანასა და ხალხზე. დღენიადაგ ფიქრობდა საქართველოზე. ამიტომ იყო მისი ყოველი ნაშრომი, ყოველი სტატია, ყოველი წიგნი განსაკუთრებული. ეს მარტო კვლევა არ არის. ეს სიყვარულია, ეს მისი გულია ყოველ სტრიქონში ჩადებული. იგი ყოველ ისტორიულ ფაქტს ელოლიავება, ეფერება და ისე წარმოაჩენს.

„უქარქაშო ხმლების" ავტორი გარკვეულ შემთხვევაში ძალზე მკაცრია, დაუნდობელია ზოგიერთი წინაპრისა თუ მოვლენის მიმართ. გაიხსენეთ მისი „309 ქართული სირცხვილი".

ლევან სანიკიძე აკვირდება საქართველოს რუკას და მასში ხედავს ლაღად გაშლილ ძველთაძველ დროშას, მორთულ-მოკაზმულს მრავალთმრავალი ბუნებრივი სამკაულითა და უმდიდრესი კულტურული დაწერილობით. შესტრფის საქართველოს ბუნებას – უმშვენიერესსა და უჯანსაღეს ნაშობს ზეცისა და დედამიწისა. მისთვის ქვეყნის ისტორია ძალუმად სუნთქავს ევროპისა და აზიის განუყრელად შერწყმული სულით. ჩრდილოეთიდან კი ციურ ებგურად დასდომია „მთათა ხელმწიფე კავკასიონი" (ესქილე)...

საქართველოს მთა და ბარი, მისი მაღლობები და დაბლობები, ტყე და მინდორი, ველი და კონცხი, ტბა და მღვიმე, სახნავი და საძოვარი, ყინვა და რილო-ჭრილო, თოვლი და მოლი – ყველაფერი კოსმიური სიმფონიით შერთულად წარმოუდგენია ლევან სანიკიძეს. ეს განსაკუთრებული დამოკიდებულებაა და არა უბრალო სიყვარული ქვეყნისა.

ერთ თავის წიგნში ლევან სანიკიძე იმოწმებს ჰერაკლიტე ეფესელს, რომელიც ბრძანებს: „ღმერთები უკვდავი ადამიანები არიან, ხოლო ადამიანები მოკვდავი ღმერთებიო". ბატონი ლევანი მოკვდავთა შორის გამორჩეული იყო. ფართო იყო მისი შემოქმედებითი დიაპაზონი. მე ყოველთვის მახარებდა მასთან კეთილი ურთიერთობა, რაც ჩვენ გვქონდა. გულწრფელად ვმეგობრობდით. ერთად გვაქვს მოვლილი თითქმის მთელი საქართველო. იგი შესანიშნავი მჭერმეტყველი იყო არა მარტო სუფრასთან (შესანიშნავი თამადა იყო), არამედ ცალკეული საჯარო გამოსვლებისას. მახსოვს, 1980 წლის გაზაფხულზე ცხინვალს ვეწვიეთ. ირაკლი აბაშიძის 80 წლისთავი აღინიშნებოდა. ბატონმა ლევანმა ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა. ოსების წარსულიც მიმოიხილა. აღფრთოვანდნენ დამსწრენი, განსაკუთრებით ოსები. ისინი საგანგებოდ მოდიოდნენ ლევანთან და ხელს ართმევდნენ მადლობის ნიშნად. ასეთი სიტყვა ბევრი წარმოუთქვამს.

ხშირად გვიხდებოდა რაჭაში ერთად ყოფნა. მას გულმხურვალედ უყვარდა ეს კუთხე და საშუალებას არ უშვებდა ხელიდან, რომ რაჭა მოენახულებინა, ხალხს

მოჰფერებოდა, გაემხნევებინა. შემდეგ კი, დედაქალაქში, რაჭისა და რაჭველების მხარდასაჭერი სიტყვა ეთქვა.

ლევან სანიკიძე თავისი შესანიშნავი ნაწარმოებების წყალობით ძალიან პოპულარული იყო. ერთხელ ქუთაისიდან მომავალს გზაზე დახვედრიან, მანქანა გაუჩერდათ და... (ეს 90-იანი წლების არეული პერიოდი იყო) ერთ-ერთს უცვნია ლევან სანიკიძე. ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრებულა. თვით ბატონი ლევანი სიამოვნებით ყვებოდა ამ ამბავს. წიგნიც კი უჩუქებია „დამხვდურისთვის".

შინაურ წრეში, ბატონ ლევანს „ცოცხალ კლასიკოსს" ვეძახდი. არ შემიმჩნევია, რომ სწყენოდა. ეს ხშირად მეორდებოდა. ერთხელაც ბატონ ლევანს ხუმრობით ვუთხარი: ლევან, შენ არ გეწყინოს კლასიკოსს რომ გეძახი, გეხუმრებიმეთქი. მან უმალ მიპასუხა: შენ ხშირად დამიძახე „ცოცხალი კლასიკოსი" და თუ გინდა იხუმრეო.

ბატონი ლევანი შესანიშნავი პედაგოგი იყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი... მისი ლექციები გამორჩეული იყო და ასევე გამორჩეულად უყვარდათ იგი კოლეგებსა და სტუდენტებს.

ლევან სანიკიძეს ტრადიციული ქართული ოჯახი ჰქონდა. მისი დამოკიდებულება მეუღლესთან – ქალბატონ ლილისთან და შვილებთან – ნინოსთან, გუბაზთან და გორდასთან სანიმუშო იყო. დადიოდა მარადიული მოუშუშებელი ტკივილით შვილის – კახას დაკარგვის გამო. საგანგებოდ ჩადიოდა ქუთაისში, ყოველ დღესასწაულზე, კახას საფლავის მოსანახულებლად. ოცნებობდა უკეთეს ხვალინდელ დღეზე, ქვეყნის მომავალზე. სიცოცხლის ბოლო წუთებამდე კალამი არ დაუდია: მაღალნიჭიერებით, სიყვარულით, ერთგულებით ევლებოდა თავის სამშობლოს ისტორიასა და მის შემოქმედ ქართველ ხალხს.

ოთხმოცი წლისა შესრულდა ლევან სანიკიძე. ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო მას. ვაი, რომ არ დასცალდა.

2005 წ.

მეცნიერებათა აკადემიის 55 წელი

თქვენო მაღალღმატებულებავ,
თქვენო უწმიდესობავ,
ქალბატონებო და ბატონებო,
ძვირფასო სტუმრებო,

მაქვს პატივი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით გულითადად მივესალმო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას და მივულოცო 55 წელი მისი დაფუძნებიდან.

ნიშანდობლივია, რომ მეცნიერებათა აკადემიის 16 წევრი – დამფუძნებლიდან, 13 – უნივერსიტეტის პროფესორი იყო: ნიკო მუსხელიშვილი, ივანე ბერიტაშვილი,

კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, დიმიტრი უზნაძე, გიორგი ახვლედიანი, ალექსანდრე ჯანელიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, ალექსანდრე თვალჭრელიძე, გიორგი ხალატარიძე, სიმონ ჯანაშია, ნიკო კეცხოველი, არნოლდ ჩიქობავა. უნივერსიტეტიდან აკადემიამ რამდენიმე ინსტიტუტი და სამეცნიერო დაწესებულება მიიღო.

აკადემიის შექმნა სრულებითაც არ ნიშნავდა საუნივერსიტეტო მეცნიერებისაგან მის დაშორებას. მიზანი აკადემიის შექმნისა მეცნიერულ კვლევა-ძიების შემდგომი განვითარება იყო და შეიძლება ითქვას აკადემიის ფრთებქვეშ ბევრმა ინსტიტუტმა დაიწყო საქმიანობა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, მისმა ინსტიტუტებმა მრავალი ახალი მიმართულება შექმნეს მეცნიერებაში. არის დარგები, რომლებმაც საყოველთაო მსოფლიო აღიარება მოიპოვეს. უნივერსიტეტში ფუძედადებული სკოლები მათემატიკისა, ფიზიკისა, ფიზიოლოგიისა, ორიენტალისტიკისა, კავკასიათმცოდნეობისა თუ სხვა ახალ აღმავლობას განიცდის ერთობლივად აკადემიასთან ერთად საქმიანობაში. დღეს აკადემია, მისი პრეზიდიუმი ყოველგვარად ცდილობს უმაღლეს სკოლასთან ინტეგრირებას. ჩვენ დადებული გვაქვს ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს აკადემიური ინსტიტუტებისა და უმაღლესი სკოლის ურთიერთობებს. მარტო ის ფაქტი, რომ მეცნიერებათა აკადემიის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა თვით პრეზიდენტისა და ვიცეპრეზიდენტის ჩათვლით თბილისის უნივერსიტეტის პროფესორებია, მისი კათედრის გამგეებია, ან ინსტიტუტის ხელმძღვანელებია, რაც ნათლად მეტყველებს რეალურ თანაყოფნაზე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, უკანასკნელი პერიოდის ქვეყნის საერთო კრიზისის დროს მძიმე მდგომარეობაში მოექცა, შეჭირვებულია დღესაც, თუმცა ერთი რამ ცხადია: აკადემია და აკადემიური მეცნიერება, ისე როგორც უმაღლესი სკოლა და საუნივერსიტეტო მეცნიერება გადარჩა. აქ უთუოდ დიდი როლი იმ კონტაქტებმა ითამაშა, რომელიც ჩვენ ბევრ ქვეყანასთან გაგვაჩნია. აქ თავისი სიტყვა თქვა იმ დიდმა პოტენციალმა და საერთაშორისო ავტორიტეტმა, რაც ჩვენს მათემატიკოსებს, თუ ფიზიკოსებს, ფიზიოლოგებს თუ ორიენტალისტებს – საერთოდ საბუნებისმეტყველო თუ ჰუმანიტარულ დარგებს გააჩნდათ; იმ სახელმა, რომელიც აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას თუ თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტს, ფიზიკისა თუ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტებს აქვთ. ხაზგასმით უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს დროში 70-იან-80-იან წლებში გამოიცა პირველი ეროვნული უნივერსალური ენციკლოპედიის 12-ტომეული, რაც არა მხოლოდ ლექსიკოლოგიის, არამედ საერთოდ ქართული ეროვნული მეცნიერების განვითარების ახალი ეტაპია.

დღეს საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოა, თავისი კონსტიტუციით, პრეზიდენტით, სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ყველა სხვა ნიშნით. ამ სახით ხვდება ქვეყანა მეოცე საუკუნის დასასრულსა და ქრისტეს აქეთ ახალი მესამე ათასწლეულის დასაწყისს. უზარმაზარია ჩვენი პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე, პასუხისმგებლობა მეცნიერისა, აღმზრდელისა. მომავალი თვისობრივად ახალ, ეკონომიკურად ძლიერ, ზნეკეთილ საზოგადოებას

საჭიროებს. დღეს დიდი ნაბიჯებია ამ მიმართულებით გადადგმული. ქვეყანაში რეალურად გამოიკვეთა წინსვლის ტენდენცია. აი სწორედ აქაა მეცნიერის, პროფესორის ადგილი, რათა ეს წინსვლა, პროგრესი დაჩქარდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკადემიის წინ დიდი პერსპექტივები აქვს, ახალ ვითარებაში მეცნიერების ახალი სიმაღლეებია ასაღები. მინდა ვუსურვო ყველა კოლეგას გამძლეობა და სიმხნევე, ყველა დაბრკოლების დაძლევა, რაც მომავალი წარმატების საწინდარი იქნება.

1996 წ.

ჭეშმარიტი ინტელიგენტი, მეცნიერი

ალექსანდრე გვახარია ქართული ინტელიგენციის ერთი უგამოჩინებულესი წარმომადგენელი, ჭეშმარიტი მეცნიერი და გულმხურვალე საზოგადო მოღვაწე გახლდათ. მან ღირსებით გააგრძელა ქართული ირანისტიკის სკოლის ტრადიციები და მნიშვნელოვანი ამაგი დასდო ამ დარგის განვითარებას. იგი ღირსეული პროფესორი იყო თბილისის უნივერსიტეტისა, ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგე, შესანიშნავი მთარგმნელი ირანული პოეზიისა. გულწრფელად უყვარდა სტუდენტობა და უკუგებაც ჰქონდა – იგი გამორჩეულად საყვარელი ლექტორი იყო. არ იფარგლებოდა მხოლოდ თავისი სპეციალობით. ფართო ინტერესები ჰქონდა და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ენერგიულად მოღვაწეობდა. დინჯი და აუჩქარებელი ყოველთვის ბრძნულ სიტყვას ამბობდა. ალექსანდრე გვახარიას ყველაზე გამორჩეული თვისება მისი კეთილმოსურნეობა იყო. სიკეთის კეთებისთვის მოწოდებული სითბოსა და სიყვარულს აფრქვევდა. განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ნიკო და იური მარებისადმი. აფასებდა მათ ღვაწლსა და ამაგს. განსაკუთრებული სულიერი სიახლოვე იური მართან ჰქონდა. მახსოვს, ერთხელ მოკრძალებით შემოვიდა ჩემთან და რიდით მითხრა: ნიკო მარის ბიუსტი რომელიღაც საწყობში დევს უპატიოდ და იქნებ თავისი ადგილი მივუჩინოთო. სწორედ ალექსანდრე გვახარიას და თამაზ გამყრელიძის მცდელობის შედეგი გახლდათ, რომ ნიკო მარის ბიუსტმა თავისი ადგილი დაიკავა – უნივერსიტეტის პირველი კორპუსის III სართულზე, ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის წინ.

ალექსანდრე გვახარიას ამ ქვეყნიდან წასვლა დიდი დანაკლისია თბილისის უნივერსიტეტისათვის, პროფესორთა კორპუსისა და სტუდენტობისათვის, მთელი საქართველოსათვის. მისი სახელი მარად დარჩება მეგობრების, კოლეგების, მთელი ქართველი ხალხის გულში.

2004 წ.

გამორჩეული მწერალი და საზოგადო მოღვაწე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ჭილაძე ყოველმხრივ გამორჩეული პიროვნებაა ჩვენს საზოგადოებაში. ეს ყოველმხრივობა გამოხატულია მის დახვეწილ გარეგნობას, მაღალნიჭიერებასა, თუ საოცარ აღზრდილობაში. მე სრულებითაც არ მეჩოთირება, როცა კაცს სამოცდაათი წლის იუბილეს ვულოცავ და მის აღზრდილობაზე ვლაპარაკობ. დიახ, თამაზ ჭილაძე მისი დახვეწილობით, ქცევით, ტაქტით, სიდინჯე-სიდარბაისლით, სამაგალითოა ამ ჩვენს არეულსა და დავიდარაბით სავსე ქვეყანაში.

ბატონ თამაზს გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან ვიცნობ. უნივერსიტეტის (მისი პირველი ლექსები ხომ „პირველ სხივში" გამოქვეყნდა) დამთავრების შემდეგ იგი ჟურნალ „ცისკრის" განყოფილების გამგედ მუშაობდა. მე სტუდენტი ვიყავი, როცა მას მივუტანე სტატია „ივანე ჯავახიშვილი და ქართული მუსიკის ისტორიის პრობლემები". ბატონმა თამაზმა გზა დაულოცა ამ სტატიას და იგი „ცისკარში" დაიბეჭდა. შემდეგ მეც „ცისკრელი" გავხდი (სარედაქციო კოლეგიაში შემიყვანეს) და ჩვენი ურთიერთობა უფრო ინტენსიური, მეგობრული გახდა.

ბატონი თამაზის ყველა გამოსვლა თბილისში იყო ეს, ბაკურიანში (ბაკურიანის სემინარები მაქვს მხედველობაში) თუ სხვაგან, შემართებული იყო – ქვეყნისა და ხალხის ტკივილითა და საჭირბოროტო საკითხებით სავსე. მაღალია მისი პოეტური შემოქმედება. 60-70-იან წლებში დაისტამბა თამაზ ჭილაძის გახმაურებული რომანი „აჰა, მიიწურა ზამთარი", დაისტამბა ბევრი მეტად საინტერესო მოთხრობა, რომელმაც მკითხველის აღიარება მოიპოვა. ამ პერიოდშივე ინტენსიურად წარმატებით იდგმება ქართულ თეატრებში მისი პიესები. განსაკუთრებულია თამაზ ჭილაძის ესეები, სადაც მწერალი საოცარი ოსტატობით ახერხებს თანამედროვე ადამიანის სულიერი სამყაროს შეცნობას, დიდ ადგილს უთმობს მორალურ-ეთიკურ პრობლემატიკას და ღრმა მხატვრულობით გვაწვდის მას. თამაზ ჭილაძის „იაკობ ცურტაველის შუშანიკის წამება" (დაიბეჭდა 1978 წ.) და „ვარდის ფურცლობის ნიშანი" (დაიბეჭდა 1984 წ.). თავისთავად ბრწყინვალე ნარკვევებია, მაგრამ სცილდება ჩვეულებრივი ესეს ჩარჩოებს და მნიშვნელოვან მეცნიერულ გამოკვლევებს წარმოადგენს.

რამდენი უნდა ჩამოვთვალო. თამაზ ჭილაძე თავის სამოცდაათწლოვან იუბილეს ღირსეულად ხვდება. ამის დასტურია მისი ხვავიანი სამწერლო შემოქმედება და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საქმიანობა. მინდა აღვნიშნო, რომ უკანასკნელ ხანს ბატონმა თამაზმა ააღორძინა ჟურნალი „მნათობი" და საინტერესო გახადა იგი.

იუბილეს გილოცავთ ძვირფასო, ბატონო თამაზ, წარმატებები იყოს თქვენი მომავალი ცხოვრების და შემოქმედების მუდმივი თანამგზავრი.

2001 წ.

დავით აღმაშენებლის ძეგლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, 26 მაისს, ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინების, დღეს უმნიშვნელოვანესი მოვლენის მოწმენი გავხდით. ჩვენს დედაქალაქში გაიხსნა მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი დიდი ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის – დავით აღმაშენებლის ძეგლი. ამით თანამედროვეობამ ერთგვარი ხარკი გადაუხადა ღირსეულ წინაპარს; პიროვნებას, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია საქართველოს სრული ერთიანობა, სიმტკიცე, ძლიერება; მეცნიერებისა და კულტურის აყვავება, უნივერსიტეტების დაფუძნება; თბილისის ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში მოქცევა და მისი კვლავ სატახტო ქალაქად გადაქცევა. სიმბოლურია ძეგლის დადგმა პიროვნებისათვის, რომელმაც მთელი კავკასია გააერთიანა და საქართველოს სახელმწიფოს გავლენა მსოფლიო მნიშვნელობის დონეზე აიყვანა. ერწუხისა და დიდგორის ბრძოლების მომგები მეფე აიძულებდა მომავლის მემატიანეებს, რომ ქართველობაზე განზოგადებული დასკვნა გაეკეთებინათ: „არა არს წესი ქართველთა რამეთუ იხილოს მტერი თვისკენ მომავალი შეუბმელად, ზურგი შეაქციოს, დაღათუ იტყვის სიკვდილიო“. უგანათლებულესი და შთამომავლობისგან წმინდანად შერაცხული დავით აღმაშენებლის ეს ძეგლი განსაკუთრებულად გვჭირდება დღეს, სჭირდება დღევანდელ საქართველოს. იგი ხმამაღალი მოწოდებაა ქვეყნის სიძლიერის განმტკიცების, გაერთიანების, შინაგანი და გარეშე მტრების დათრგუნვის, საქართველოს კულტურის, განათლების, ეკონომიკის აღორძინება-აყვავებისაკენ. სწორედ განათლებაზე, ზრუნვამ მისთვის დიდძალი სახსრების განკარგვამ მისცა საშუალება საქართველოს დანგრეული, გაპარტახებული ქვეყნიდან მთელს წინა აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში უძლიერეს სახელმწიფოდ გადაქცეულიყო.

უბადლო „გალობანი სინანულისანის“ ავტორი დავით აღმაშენებელი უპირველესად სწორედ ქვეყნის განათლების სიმბოლოა. მის მიერ დაარსებული გელათის უნივერსიტეტი „ახალ ათინად“ და „მეორე იერუსალიმად“ – სიბრძნისა და რწმენის ცენტრად იწოდებოდა. ამიტომ იყო, რომ პირველი უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში – თბილისის უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით სწორედ დავით აღმაშენებლის მოსახსენებელ დღეს – 26 იანვარს (ახალი სტილის 8 თებერვალს) გაიხსნა. არც ისაა შემთხვევითი, რომ უკანასკნელ ხანს თბილისის უნივერსიტეტის ეზოში აიგო ტაძარი დავით აღმაშენებლის სახელზე.

დღეს, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება გაერთიანება-გამთლიანება; და არა მხოლოდ ტერიტორიული; სულიერი, გონებისმიერი; თანამოაზრეობა გვჭირდება. ქვეყანა უნდა გამოვიდეს უკიდურესი გაჭირვებიდან. ვის შეუძლია ამის გაკეთება. მხოლოდ ჩვენ. ჩვენს გასათხნს და მოსამკელს სხვა არ გათოხნის და მომკის. ჩვენი წასაკითხი წიგნი ჩვენ უნდა წავიკითხოთ, ჩვენი დასაწერიც ჩვენვე უნდა დავწეროთ. გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი – ერი და ბერი. დღეს სულიერება გვასაზრდოებს ჩვენ. ყოველი გამოვლინება ამპარტავნობისა და ქვეყნის, ერისა თუ ბერის ანუ საერთოდ მრევლის გახლეჩისა უნდა ამოიძირკვოს. ამას ქადაგებდა მესიის მახვილად წოდებული დიდი დავითი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს პირობა უნდა დავდოთ სრულიად საქართველომ, საქართველოს მთელმა მოსახლეობამ, ქართველობამ თუ სხვა ერის წარმომადგენლებმა, მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა თუ სხვა სარწმუნოების აღმსარებლებმა, რომ ვილუაწებთ საქართველოსათვის, ვიქნებით თანამოაზრენი ქვეყნის მომავლის თეორიულ განსაზღვრასა თუ რეალურ აღმშენებლობაში.

დიდი დავით აღმაშენებელი გვასწავლიდა ქვეყნისა და მოძმის სიყვარულს; იგი მტრის წინააღმდეგ მამაცური ბრძოლისა და სიმტკიცის ნათელ მაგალითს იძლეოდა. განათლებისადმი, კულტურისადმი დიდ სიყვარულს გვიკიჟინებდა. ყოველივე ეს კი სამშობლოს სიძლიერისა და სიმტკიცის აუცილებელ პირობად მიაჩნდა.

ძვირფასო თანამოქალაქენო,

ვიყოთ მიმდევარნი დიდი დავითის მოძღვრებისა. გაუმარჯოს ცხრა საუკუნის შარავანდედით განათებულ ერთიანი, ძლიერი, მტკიცე, განათლებული, ეკონომიკურად აღორძინებული, კულტურული საქართველოს სიმბოლოს – დავით აღმაშენებელს.

1997 წ.

თანამშრომლობა კავკასიაში მშვიდობისათვის
სიტყვა საერთაშორისო კონფერენციის გახსნაზე

ბატონო პრეზიდენტო,
თქვენო უწმიდესობავ,
უწმიდესო შეიხო,
ქალბატონებო და ბატონებო

დღეს ჩვენ შევიკრიბეთ საერთაშორისო კონფერენციაზე „თანამშრომლობა კავკასიაში მშვიდობისათვის“. ამ მეტად მნიშვნელოვანი თავყრილობის თაოსანი გახლავთ ეთნიკური და კონფესიურ ურთიერთობათა ცენტრი. კონფერენცია მომზადდა საქართველოს მთავრობის, პირადად საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პატრონაჟით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის და კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს ხელმძღვანელის შეიხ ულ ისლამ ალაშუქურ ფაშა ზადეს მხარდაჭერით. საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ:

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია;
სრულიად კავკასიის მუსულმანთა სამმართველო;
სომხეთის სამოციქულო გრიგორიანული ეკლესია;
რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია;
რომის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლობა კავკასიაში;
კავკასიის იუდეური თემი;
საქართველოს სახარებისეულ ქრისტიანულ ბაბტისტური ეკლესია;

ევანგელურ-ლუთერული ეკლესია.

ასევე: საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მეცნიერები და დამოუკიდებელი ექსპერტები საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ირანიდან, თურქეთიდან, ქუვეითიდან, აშშ-დან, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები.

თბილისის კონფერენცია გახლავთ პირველი პრეცედენტი, როდესაც რელიგიური მოღვაწეები, საერთაშორისო ორგანიზაციები, საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები და ექსპერტები ერთობლივ შეფასებას მისცემენ კავკასიაში მიმდინარე პროცესებს.

ფორუმის ძირითადი მიზანია:

მიეცეს კონკრეტული შეფასება რეგიონში შექმნილ ვითარებას;

ხელი შეეწყოს სახელმწიფოთაშორის ორმხრივი ურთიერთობების და რეგიონალური თანამშრომლობის პროცესში რელიგიური ფაქტორის პოზიტიური ნიშნით გამოყენებას;

რელიგიის უდიდესი სამშვიდობო პოტენციალი მიმართული იქნეს კავკასიაში ეთნიკური და პოლიტიკური კონფლიქტების მოწესრიგებისაკენ (აფხაზეთი, სამაჩაბლო, ყარაბაღი, ჩეჩნეთი, პანკისის ხეობა);

სასურველი იქნება შეიქმნას საკოორდინაციო ჯგუფი რელიგიური ლიდერების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტების, მეცნიერების შემადგენლობით, რომელიც, კონფერენციისაგან აღიჭურვება უფლებამოსილებით ერთი წლის განმავლობაში აწარმოოს მონიტორინგი კავკასიაში განვითარებულ მოვლენებზე, რაც პროცესებს უფრო გამჭვირვალეს გახდის, ვითარების შეფასებისას კი გამორიცხავს ცალმხრივობასა და ტენდენციურობას;

უპრიანია მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ცივილიზაციათა ურთიერთობის საერთაშორისო ცენტრის დაფუძნების შესახებ. ცენტრის სტრუქტურას, სამოქმედო მიზნებსა და უფლებამოსილებას განსაზღვრავს საკოორდინაციო ჯგუფი;

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საერთაშორისო კონფერენციამ უნდა მიიღოს კომუნიკე და მიმართვა კავკასიის ქვეყნების ხალხებისა და მთავრობებისადმი.

კავკასია მსოფლიოსათვის ყოველთვის იყო უმნიშვნელოვანესი რეგიონი. ამჟამად ცივილიზებულ მსოფლიოს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრება წარმოუდგენელია, ნაკლული და უსრულია, კავკასიის გარეშე. კავკასია ყოველთვის იყო მსოფლიო ხალხთა თვალსაწიერში, მაგრამ უკანასკნელმა ათწლეულმა ჩვენი რეგიონი მსოფლიოს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოაქცია. ამის მიზეზი ის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მოვლენებია, რაც პოლიტიკური თვალსაზრისით კავკასიის თითქმის ყველა კუთხეში დატრიალდა. ნებით თუ უნებლიედ ამ მოვლენებმა, სხვა ფაქტორებთან ერთად, კავკასია ე. წ. „ცხელ წერტილად“ ან „ცხელ ლაქად“ აქცია და საერთაშორისო საზოგადოების ინტერესთა არეალში მოაქცია.

პირველად „კავკასია“ მოხსენიებულია ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში ბერძენი დრამატურგის ესქილეს ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთე“. იგი კავკასიონის ქედს ეხება. დღეს ტერმინ „კავკასიას“ ქვეშ მოცემული და გააზრებულია ტერიტორია შავი, აზოვისა და კასპიის ზღვებს შორის. მისი ფართობი 440 ათასი კვ. კილომეტრია. კავკასიონის მთავარი ქედი კავკასიას ჰყოფს ჩრდილოეთ კავკასიად ანუ იმიერკავკასიად (250 ათასი კვ. კილომეტრი) და სამხრეთ ანუ ამიერკავკასიად (190 ათასი კვ. კილომეტრი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა შეიძლება ზოგადად ითქვას კავკასიაზე, მასში შემავალ ქვეყნებსა თუ ხალხებზე:

I. კავკასია მსოფლიო ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი ცენტრია, ადამიანთა ერთ-ერთი უძველესი საბინადრო რეგიონია. აქ ჩამოყალიბდა ერთ-ერთი უძველესი მონათმფლობელური სახელმწიფო ურარტუ, შეიქმნა კოლხეთის (ძვ. წ. VIII-VI სს.) აირარატისა (ძვ. წ. IV ს.)და იბერიის (ძვ. წ. IV-III სს.) სამეფოები. ძვ. წ. II საუკუნეში წარმოიშვა დიდი სომხეთისა და კავკასიის ალბანეთის სახელმწიფოები.

II. კავკასია აზიისა და ევროპის გზაჯვარედინზე მდებარეობს; აქ გადაეჯაჭვა ერთმანეთს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციები, რამაც თავისი გავლენა მოახდინა კავკასიაზე, მის კულტურაზე, ყოფასა და ცხოვრებაზე.

III. კავკასია საინტერესოა იმითაც, რომ აქ ერების, ეროვნებათა და ენათა დიდი მრავალფეროვნებაა; თავმოყრილია ენათა რამდენიმე ოჯახი და ძველიდან შექმნილია მაღალი დონის სამწერლობო შედევრები.

კავკასია თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრებით ძველთაგან რთული ორგანიზმი იყო და ეს გარკვეულ გავლენას ახდენს რეგიონის დღევანდელობაზეც.

კავკასიაში ცხოვრობს 50-ზე მეტი ეროვნების ხალხი, რომლებიც ლაპარაკობენ იბერიულ-კავკასიური (ქართველური, აფხაზურ-ადიღეური, ნახური და დაღესტნური ენათა ჯგუფები), ინდოევროპულ (რუსული, უკრაინული, სომხური, ირანული ჯგუფის ენები) და ალთაურ (თურქული ჯგუფის ენები; აზერბაიჯანული და სხვ.) ენობრივ ოჯახთა ენებზე. აქ მცხოვრები ხალხები სხვადასხვა რელიგიის აღმსარებლები არიან. ქრისტიანები: ქართველებისა და აფხაზების უმრავლესობა, რუსები, უკრაინელები, ოსების ძირითადი ნაწილი, მოზდოკის ყაბარდოელები (მართლმადიდებლები), სომხები (მონოფიზიტები). დანარჩენი ხალხების დიდი ნაწილი მუსლიმები არიან. მ. შ. ლეკების მცირე ნაწილი – შიიტები; სხვები და ნაწილობრივ აფხაზები, ოსები და ქართველები (აჭარლები, ინგილოები) – სუნიტები, ქართველი (და მთიელი) ებრაელები იუდაისტები არიან.

პოლიტიკური ცხოვრების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება ეროვნული ინტერესების ცნების გართულებით. დღეს მსოფლიოს ქვეყნები ისეა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ ეროვნული ეგოიზმის გამოვლინების არც ერთი ფაქტი არ რჩება რეაქციის გარეშე. გეოპოლიტიკური სივრცის სიმჭიდროვე განაპირობებს ძალთა ბალანსის მტკიცედ დაცვას. ეროვნული ინტერესები, ისე როგორც საერთაშორისო ურთიერთობის თეორიის სხვა საკითხები, ისტორიული კატეგორიაცაა.

იგი განვითარების გარკვეულ სტადიებს გადის და ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე „სახელმწიფო ინტერესების“ კატეგორიას შეესატყვისება.

კავკასიის რეგიონისათვის, ისე როგორც ყველა ქვეყნისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანია საგარეო და საშინაო პოლიტიკის ურთიერთკავშირი. ანალიზი აჩვენებს, რომ მტრები, რომლებიც ქვეყნის დაქუცმაცებასა და დამორჩილებას ისახავენ მიზნად, ყოველთვის ეყრდნობოდნენ ქვეყნის შიგნით არსებულ სეპარატისტულ ძალებს. სეპარატიზმს ჩვენში დროზე არ მიექცა ყურადღება. ვერავინ იფიქრა, რომ შეიძლებოდა ძველი წყობის დამხობა და, რომ ამის შემდეგ სეპარატიზმს ხელ-ფეხი გაეხსნებოდა და იმპერიისაგან თავდასხმის მომენტი, მაგალითად საქართველოში, ცალკეული რეგიონების მიერ გამოყენებული იქნა, გამოყოფისათვის. ცხადია, აქ გარეშე ძალებმა ითამაშეს დიდი როლი. დესტრუქციული ნაციონალიზმი და მისი უკიდურესი გამოვლენა – სეპარატიზმი ძვირი უჯდებათ ხალხებს.

დაძაბული მშვიდობის (არ ვიცი რამდენად მორგებულია ეს ტერმინი) პირობებში, განსაკუთრებით მსოფლიო სოციალისტური სისტემისა და საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ კავკასიის ქვეყნების, ისე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინაშე დადგა ძალზე სერიოზული ამოცანა: განსაზღვრონ თავისი ადგილი მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში.

თანამედროვე მსოფლიოში საკუთარი ადგილის პოვნა საკმაოდ რთულია. ამისთვის საჭიროა არა მხოლოდ ეკონომიკური სტრუქტურის, არამედ მენტალიტეტისა და საზოგადოებრივი თვითშეგნების შეცვლა. ეს, საკმაოდ მტკივნეული პროცესები ნაკლებადაა საგრძნობი ბუნებრივი რესურსებით, კერძოდ წიაღისეულით მდიდარ ქვეყნებში, როგორიცაა: აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი. უფრო რთულადაა საქმე იმ სახელმწიფოებში, სადაც წიაღისეული სიმდიდრე ნაკლებად არის. ასეთთა შორისაა სომხეთი, საქართველო და შავი ზღვის აუზის უმრავლესი ქვეყნები.

აქ მნიშვნელოვანია ისეთი ბუნებრივი რესურსი, როგორიცაა ეკონომიკურ-გეოგრაფიული (პირველ რიგში სატრანსპორტო-გეოგრაფიული) მდებარეობა. კავკასია თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ევროპასა და აზიას შორის არსებული ბუნებრივი ხიდია. კავკასიაზე გადის აღმოსავლეთსა და დასავლეთს და ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის უმოკლესი გზები. ამგვარი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა კავკასიის წინაშე შლის საუკეთესო პერსპექტივებს სატრანზიტო გადაზიდვებისა და საერთაშორისო ვაჭრობისათვის, იძლევა სტიმულს რეგიონში ინფრასტრუქტურისა და წარმოების განვითარებისათვის.

სრულიად მართებულია, რომ დღეს ჩვენს კონფერენციაზე რელიგიის ურთიერთობის საკითხი წამოიწია. ეს უმნიშვნელოვანესი ბერკეტია ამ რეგიონში რეალური მშვიდობის დამყარებისათვის. სწორედ რელიგიებმა, მათმა მესვეურებმა, შესაბამისად მრევლებმა უნდა ითამაშონ გადამწყვეტი როლი სახალხო მშვიდობიანობის მოპოვებაში. ვფიქრობ დღეს ამისი გზები დაისახება.

საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ წამოყენებული თეზისი ბრძოლა „მშვიდობიანი კავკასიისათვის“ ის ნათელი ნიშანსვეტია, რომლისკენაც უნდა ვის-

წრაფოთ ჩვენ, კავკასიელებმა. არ იყო შემთხვევით, რომ ამ წინადადებას მხარი დაუჭირა მთელმა კავკასიამ, მთავრობებმა და ხალხებმა. თავის მხრივ გზა-ბილ-დობისა და ეკონომიკური წინსვლისათვის მოცემულია „დიდი აბრეშუმის გზის" აღორძინების იდეაში, რაც ასევე იქნა წამოწყებული საქართველოს პრეზიდენტის მიერ. ევრაზიის დერეფნის შექმნა ახალი ეტაპია ერთ დროს ჩაკეტილი კავკასიის აღორძინებისა, მისი ცენტრალური აზიის ქვეყნებთან დაკავშირებისა. დასავლეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო გზები, რომლებიც კავკასიის რეგიონს ჰკვეთენ უთუოდ ინტეგრაციის საფუძვლად იქცევიან და მსოფლიოს სახელმწიფოთა ინტერესებში ჩადგებიან.

კავკასიის მნიშვნელობა განუზომლად დიდია დღეს, როცა რეგიონში მშვიდობაა, დაძაბული მშვიდობა. მაგრამ დღის წესრიგში მნიშვნელოვანი საკითხები დგას. ესაა სახელმწიფოსათვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა თუ ყველა საკითხის მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით მოგვარება. ვფიქრობ მთელმა მსოფლომ უნდა შეუწყოს ხელი კავკასიაში მშვიდობას, და, როცა ყველა საკითხი მოგვარდება, ყველა პრობლემა გადაიჭრება, მშვიდობას დაძაბულობა მოეხსნება და იგი მასშტაბურად დამკვიდრდება მთელს რეგიონში, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ომებისა და მშვიდობის პრობლემა კავკასიაში, უფრო სწორედ ომებისა და მშვიდობის ბალანსი ამ უკანასკნელის – მშვიდობის სასარგებლოდ გადაწყდება.

როგორც ვხედავთ, ჩვენი კონფერენციის სამუშაო თემა: „რელიგიების თანამშრომლების როლი კავკასიაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის" (იქნებ სჯობდა „კავკასიაში საბოლოო მშვიდობის დამყარებისა და განმტკიცებისათვის") მეტად აქტუალურია, არა მარტო კავკასიის რეგიონში მცხოვრები ხალხებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებისათვის.

ამ პასუხისმგებლობით უნდა შეუდგეს ჩვენი კონფერენცია მუშაობას.

მაქვს პატივი მივესალმო ყველა ჩამოსულ სტუმარს და საერთაშორისო კონფერენცია გახსნილად გამოვაცხადო.

1999 წ.

ოთარ ჯაფარიძე 80 წლისაა

ძვირფასო ბატონო ოთარ,

გილოცავთ სახელოვან იუბილეს.

თქვენ დაამტკიცეთ, რომ ოთხმოცი წელი ახალგაზრდული ასაკია. გვეამაყება, რომ თქვენი განვლილი გზა – შემოქმედებითი ძიებისა და წარმატებების გზაა.

თქვენ, მაღალ მეცნიერულ მიღწევებთან ერთად სტუდენტთა საყვარელი, გამორჩეულად საყვარელი ლექტორი ბრძანდებით.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ჩემი ერთ-ერთი შრომა თქვენი ხელმძღვანელობით შეიქმნა და თქვენივე ხელდასხმით იხილა მზის სინათლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ, მართალია მცირე დროით, მაგრამ ურთულეს პერიოდში ედექით უნივერსიტეტს სათავეში. გულწრფელად გაიხარეთ, როცა თქვენსავე ძალებს გადაულოცეთ ეს თანამდებობა.

ბატონო ოთარ,

თქვენ სჭირდებით უნივერსიტეტს, სტუდენტობას; სჭირდებით ქვეყანას.

დიდხანს სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ.

მრავალჟამიერ!

2001 წ.

70 წლის ჯანსუღ ჩარკვიანი

ძვირფასო ჯანსუღ,

რაც ჩემი თავი მახსოვს, შენც მახსოვხარ... მახსოვხარ მუდამ ავაზასავით ცერზე დამდგარი. ქვეყნის სიკეთისათვის მუხლჩაუხრელი მებრძოლი: დიდთან – დიდი და პატარასთან – პატარა: შემართული მტრის წინააღმდეგ და მოყვარული მოყვასისა.

შენი ნაღდი პოეზია საოცრად გგავს შენ: ხან ღრმად ჩაფიქრებულია ქვეყნის ბედზე, ხანაც მხიარული წყაროსავით მორაკრაკებს. არც ისე ბევრია პოეტი, რომლის ლექსებსაც ასე მღეროდეს ყველა – პროფესიონალი და მოყვარული. საერთოდ ხალხი, მთელი საქართველო.

მოყვასისათვის გასახარელი შენი დიდი ღირსება – შენი ოჯახია: მშვენიერი და ნიჭიერი ირმა – ერთგული მეუღლე. მამუკა და თაკო ღირსეული შვილები. შვილიშვილები და უკვე შვილთაშვილები. თითოეული მათგანი დიდი იმპულსია შენი შემოქმედებისათვის. მხოლოდ თაკოსა და ირინოლასადმი მიძღვნილი ლექსების ხსენებაც იკმარებდა ამის დასტურად. შენი და ირმას ლექსებზე (ვიცი არ გეწყინება – ირინოლასადმი მიძღვნილი ირმას ლექსი ტოლს არ უდებს შენსას) შექმნილმა მამუკას სიმღერებმა უდიდესი სიყვარული და პოპულარობა მოიპოვა ჩვენს ხალხში.

მახსოვს რაოდენ სათუთად, სიყვარულით ეპყრობოდი მეგობარ პოეტებს. თარგმნიდი და გამოსცემდი მათ ლექსებს. რაოდენ მგზნებარე და შემართებული, ლიტერატურისა და ხელოვნების მტკივნეული პრობლემებით გაჯერებული იყო შენი გამოსვლები 60-იანი წლების ბაკურიანის სიმპოზიუმებზე. არ დამავიწყდება, რაოდენ გატაცებით თარგმნე ირმა ჩხეიძესთან ერთად ემილ ლოტიანუს ლექსები და ვიტალი კოროტიჩის ლექსების შენეულ თარგმანებთან ერთად გამოეცი. დღესაც თვალწინ მიდგას სვანეთში, უშბის ძირას ემილ ლოტიანუსა და შენი გაჭენებული ბედაურები – ტოლი რომ არ დაუდე ბოშური ცხოვრებით გაზრდილ მოლდაველ მეგობარს ცხენჯომარდობაში.

დაუვიწყარია ჩემთვის ის საღამოები, რომელიც შენთან, ირაკლი აბაშიძესა და ნოდარ დუმბაძესთან ერთად მაქვს გატარებული. როცა ბატონი ირაკლი გან-

საკუთრებულად ენამახვილურ, ამასთანავე „უკულმართ“ რაიმეს იტყოდა, დაა-ყოლებდა: ეს ჩემი არ არის ამას ჯანსული იტყოდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ სხვაც იტყვის, მაგრამ მე მაინც ჩემგან მინდა გითხრა, რომ შენ საქართველოში გამორჩეული თამადა ხარ. თამადა ყველა იმ კეთილი და მაღალ-ღირსეული თვისებებით, რაც ტრადიციულად ახასიათებდათ ქართული სუფრის მაღალი რანგის მესვეურებს. მე და ჩემი ოჯახი პირადად ვართ დავალებული შენი თამადობით.

ძვირფასო ჯანსულ, ტრაფარეტულობაში ნუ ჩამომართმევ, გულწრფელად გეუბნები, რომ არ გეტყობა შვიდი ათეული წელი, ანუ ის ასაკი, რომლის გამოც შენი იუბილე აღინიშნება.

და მაინც.

გაგიმარჯოს შენ, 70 წლის ჯანსულ ჩარკვიანო!

წარმატებები იყოს შენი თანამგზავრი დარჩენილი 70 წლის მანძილზე.

2001 წ.

გამოჩენილი პიროვნება

ოთარ ჟორდანია გამორჩეული პიროვნებაა. გამორჩეულია თავისი მაღალი ზნეობით, წესიერებით, პუნქტუალობით, საქმისადმი ფანტასტიური პასუხისმგებლობით. იგი კეთილი და მნიშვნელოვანი საქმეების საკეთებლად არის ყოველთვის შემართული. ბატონმა ოთარმა მთლიანად გაიზიარა ლტოლვილთა ბედი. იგი მოშორებულია სოხუმს, მის მშობლიურ კერას, უახლოესი ადამიანების საფლავებს. ოთარ ჟორდანია შემართებით ჩაუდგა სათავეში სოხუმის უნივერსიტეტს – მსოფლიოში ერთადერთ ლტოლვილ უმაღლეს სასწავლებელს. ბევრი რამ გაკეთდა აქ. ძნელბედობის გამო ფაქტობრივად დანგრეული უმაღლესი სასწავლებლიდან უმძლავრესი უნივერსიტეტი შეიქმნა, თავისი მაღალი მეცნიერული პოტენციალით, კათედრებით, კაბინეტ-ლაბორატორიებით, შესანიშნავი სტუდენტობით. ოთარ ჟორდანიას წვლილი უდიდესია საზოგადოებრივ საქმიანობაში. მის სახელთანაა დაკავშირებული გიორგი შერვაშიძის საზოგადოების შექმნა, საქმიანობა საქართველოს საისტორიო საზოგადოებასა და ისტორიკოსთა ეროვნულ კომიტეტში. ბატონი ოთარი შესანიშნავი მკვლევარია ახალი და უახლესი ისტორიისა, იგი მეცნიერების კარგი ორგანიზატორია.

გულწრფელად ვულოცავ ოთარ ჟორდანიას 60 წელს და ვუსურვებ წარმატებებს მის დიდ საქმიანობაში. ჩემი მთავარი სურვილია – მალე ვნახო ბატონი ოთარი და მისი უნივერსიტეტი სოხუმში. აქ კი საგანგებოდ აღვნიშნავდი მის იუბილეს.

2001 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევგენი ხარაძე... არ ვიცი რა დეფინიციით შეიძლება იმ ღვაწლის გადმოცემა, რაც ბატონ ევგენის – გამოჩენილ მეცნიერს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, ახალგაზრდობის უბადლო აღმზრდელსა და მეცნიერების ჭეშმარიტ ორგანიზატორს მიუძღვის ქვეყნის წინაშე.

ადამიანი, რომელმაც სრულიად ახალგაზრდა ასაკში დააფუძნა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია და უაღრესად მნიშვნელოვან ცენტრად აქცია, სიცოცხლის ბოლომდე მასვე ელოლიავებოდა. მეტად ნათელი და ახლის შენების ხანა იყო უნივერსიტეტისათვის ევგენი ხარაძის რექტორობის პერიოდი. ბატონი ევგენი ჩემი რექტორი იყო. დახვეწილსა და სათნოებით სავსე ადამიანთან ყოველთვის კრძალვითა და რიდით ვიყავი.

არ დამავიწყდება: როცა ბატონ ევგენის ჩემი, ისტორიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტის, პირადი საქმე შეუტანეს სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის წინადადებით, რექტორმა საგანგებოდ მიმიწვია. ვიფიქრე, ალბათ რამე შენიშვნა ექნება-თქო. ბატონმა ევგენიმ თბილად, თავდაჭერილი ღიმილით მიმიღო. ჩემი ვარაუდი არ გამართლდა. არაფერი უკითხავს ჩემი სწავლისა და საქმიანობის შესახებ. ეს ინფორმაცია მას უკვე მიღებული ჰქონდა. მან რამდენიმე შეკითხვა დამისვა ჩემი ოჯახის შესახებ. როცა დარწმუნდა, რომ მე ის პიროვნება ვიყავი, ვისაც იგი ვარაუდობდა, კეთილად მოიგონა ჩემი მშობლები. საქმე ისაა, რომ მამაჩემი თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, აბასთუმნის ე. წ. მეტეოროლოგიური სადგურის უფროსად დანიშნეს. ეს დაწესებულება აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ზედამხედველობის ქვეშ საქმიანობდა და, ცხადია, ბატონ ევგენისთან მამას გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა. სწორედ ეს გაიხსენა ჩემმა რექტორმა. ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვიყავი. მამა 1945 წელს გარდაიცვალა; მე იგი ბუნდოვნად მახსოვს და მასზე ყოველი ამბის გაგება, ყოველი ამგვარი მოგონება ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო.

ბატონი ევგენი განსაკუთრებულად პრინციპული იყო ეროვნული პრობლემების განხილვისას. მახსოვს, ქართული ენციკლოპედიის სპეციალური ტომის გამოსვლის უმალ გარკვეული შეტევა დაიწყო გამომცემელ კოლექტივზე, აქაოდა, აფხაზეთის ისტორია არასწორად არის გაშუქებულიო. საკითხი მეცნიერებათა აკადემიის სამსჯელო გახდა. ბატონი ევგენის პრინციპულმა და ამასთან სწორმა პოზიციამ, მისმა აქტიურმა ჩარევამ საკითხის განხილვაში, ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა... უფრო მეტიც, როცა ეს საკითხი ზემდგომ ორგანოებში იხილებოდა, ზოგიერთი პირი, ვისაც უშუალოდ ეხებოდა ეს საკითხი, იქ საერთოდ არ გამოცხადდა. მე ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილე გახლდით და გამოძახებული ვიყავი, ალბათ „ყურის ასაწევად". ცხადია, სხდომას ვესწრებოდი. აქ მოულოდნელად მობრძანდა ბატონი ევგენი ხარაძე. იგი შეუძლოდ იყო, სიცხიანი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საჭიროდ ჩათვალა თავისი დამოკიდებულება გამოეხატა როგორც გამოცემის, ისე ენციკლოპედიის კოლექტივის მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისმა გამოჩენამ დიდი გავლენა მოახდინა იქ მყოფ საზოგადოებაზე. საკითხი ნორმალურად განიხილეს. ჩემთვის, ევგენი ხარაძის ეს ნაბიჯი მოქალაქეობრივი ვაუკაცობის ნიმუში იყო.

არ შემიძლია დავივიწყო ევგენი ხარაძის დიდი ყურადღება ჩემი საქმიანობისადმი, ჩემი ცხოვრებისეული ნაბიჯებისადმი. საოცრად კმაყოფილმა მომილოცა ბატონმა ევგენიმ თბილისის უნივერსიტეტის რექტორად დანიშვნა, შემდეგ კი არ-ჩევა. მე მას ყოველთვის „ჩემს რექტორს" ვეძახდი. ეს ცოტა ეჩითირებოდა, მაგრამ არ მეწინააღმდეგებოდა. საოცრად თბილი წერილით მომილოცა დაბადების 60 წელი. ეს მილოცვა ბევრი გასათვალისწინებელი სურვილით იყო სავსე. „მიიღეთ ასსმიტანილი ყოფილი რექტორის გულწრფელი მილოცვაო" – წერდა.

ვერ მოესწრო ამ თარიღს ბატონი ევგენი. იგი ბოლომდე ღირსეული, ენერგიული, გამჭრიახი, საზოგადოებრივი საქმიანობისადმი ინტერესიანი დარჩა. ბოლომდე შრომობდა და ჰქმნიდა; გამოსცემდა მეტად საჭირო წიგნებს. ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო, როცა უნივერსიტეტის დიდი საბჭოს სხდომებზე წინა რიგში მჯდომარეს ვხედავდი მას. იმედიანად ვიყავი, რადგან მისი სახით ყოველთვის მხარდამჭერი მეგულვებოდა. ოთხმოცდათოთხმეტისა გარდაიცვალა ბატონი ევგენი. თითქოს მისი ამქვეყნიდან წასვლით დასრულდა ის დიდი ეპოქა, რომელსაც ზოგადად XX საუკუნეს ვუწოდებთ, კონკრეტულად კი გასრულდა საქართველოსათვის დამაშვრალი, სამშობლოს პატრიოტისა და ქართული ინტელიგენციის უღირსეულესი წარმომადგენლის, დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ევგენი ხარაძის სიცოცხლე.

დღეს ევგენი ხარაძის დაბადებიდან 100 წლისთავს აღვნიშნავთ. თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, ნათლად დავინახოთ შრომითა და ბრძოლით განვლილი დიდი გზა მეცნიერისა, რომელმაც მთელი სიცოცხლე მიუძღვნა სიკეთის კეთებას, ქართული მეცნიერების აღმავლობას, მეცნიერების ორგანიზაციას, ახალგაზრდობის აღზრდასა და ადამიანებში სიყვარულის თესვას.

მეამაყება, რომ ევგენი ხარაძე ჩემი რექტორი იყო.

2007 წ.

ოთარ ლორთქიფანიძე – სამაგალითო ყველასათვის

ძნელია ოთარ ლორთქიფანიძეზე ილაპარაკო წარსულში. ძნელია არა იმიტომ, რომ ჩვენ მარადიულ აუცილებლობას – ამ ქვეყნიდან წასვლას, უარვყოფთ. არა. ძნელია იმიტომ, რომ სულ რაღაც ორიოდე დღის წინ ჩვენ ერთად ვიყავით: ვსაუბრობდით მეცნიერებაზე, კულტურაზე, უნივერსიტეტზე; ვსაუბრობდით მომავალზე. ოთარი ყოველთვის მტკიცე, მიზანმიმართული, საქმიანი პოზიციით იყო. ვერ ვივიწყებ: გასულ პარასკევს უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონის წარდგენის ცერემონიალზე მან ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა. შემდეგ კი სუფრასთან ვისხედით და ყოფით თუ საქვეყნო ამბებზე ვსაუბრობდით. ოთარი ბედნიერი და კმაყოფილი იყო. იგი გულწრფელად გამოხ-

ატავდა ლექსიკონის გამოცემით მიღებულ სიხარულს. უამრავი სამომავლო საქმე ჰქონდა. იგი ხომ საქმეში შეუვალი, პირიანი და ღირსეული იყო.

ოთარ ლორთქიფანიძე მსოფლიოში აღიარებული არქეოლოგი გახლდათ. მის მიერ მიღებული აღმოჩენები თუ ნაკვლევი მასალა არქეოლოგიური საზოგადოებისათვის კარგად იყო ცნობილი. თავად ბრწყინვალე ორგანიზატორი გახლდათ. სწორედ მისი თაოსნობით შეიქმნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, რომლის უცვლელი დირექტორი თავად ოთარი იყო. ოთარ ლორთქიფანიძის თავკაცობით არქეოლოგიური ცენტრის თანამშრომლები საერთო რთული პირობების მიუხედავად, ახერხებდნენ თითქმის მთელ საქართველოში არქეოლოგიური გათხრების წარმოებასა და შესაბამის კვლევებს. ოთარ ლორთქიფანიძე იყო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იშრომო. ვისაც მისი მუხლჩაუხრელი საქმიანობა უნახავს ვანში, ამაზე ადვილად დამეთანხმება. ოთარი ზედმიწევნით მომთხოვნი იყო საკუთარი თავისა და თანამშრომლებისადმი. სწორედ საქმისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ მოუტანა ქართულ არქეოლოგიას მსოფლიო სახელი.

ოთარ ლორთქიფანიძე საოცარი ღირსებით წაროადგენდა ქართულ მეცნიერებას ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ამასთან იგი ყოველთვის პრინციპული იყო სადაო საკითხებზე საქართველოს ისტორიის (განსაკუთრებით ადრეული პერიოდი) კამათისას, მისთვის, როგორც ნამდვილი მეცნიერისათვის მთავარი იყო ჭეშმარიტება.

ოთარ ლორთქიფანიძე თავისი აკადემიური საქმიანობის პარალელურად აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი იყო. საოცარი გატაცებით კითხულობდა ლექციებს და სტუდენტთა გულწრფელი სიყვარულით სარგებლობდა.

მე მქონდა ბედნიერება ოთართან ერთად რამდენიმეჯერ საზღვარგარეთ ყოფნისა. აქ სულ სხვა იყო იგი. ერთი შეხედვით მკაცრი ოთარი უცებ კოლეგების შუაგულში ექცეოდა და მეცნიერულ პრობლემებზე საუბართან ერთად თავისი იუმორითაც ხიბლავდა მათ. ვერ ვივიწყებ: ამ ორი თვის წინ ფრანკფურტში შევხვდით ერთმანეთს – ის მაინცში მიდიოდა, მე კოპენჰაგენში. ერთმანეთს რომ გამოვეთხოვეთ, ოთარი გამართული, ჯანმრთელი, ძლიერი ნაბიჯებით წავიდა. შემართებული იყო იგი – მიდიოდა თავისი ქვეყნის მეცნიერების წარმოსაჩენად – თავისი საყვარელი საქმის კოლეგებისათვის წარსადგენად.

არ შემიძლია საგანგებოდ არ ვთქვა იმ სიყვარულზე, რაც მას ოჯახისადმი ჰქონდა. განსაკუთრებული ნატიფი დამოკიდებულება ჰქონდა მეუღლესთან – რუსუდანთან, ამაყობდა კარგი შვილებით.

ოთარ ლორთქიფანიძეზე, როგორც მეცნიერზე, მოქალაქეზე, მამულიშვილზე ბევრი დაიწერება. მისი ცხოვრება და შემოქმედება საქართველოს ისტორიის, ჭეშმარიტი ქართველის ცხოვრების ღირსეული ფურცელია; სამაგალითო ყველასათვის – ახალგაზრდა თუ ასაკოვანისათვის. იგი გამარჯვებული წავიდა ამ ქვეყნიდან. წავიდა აღიარებული მეცნიერი, ქვეყანაზე გულშემატკივარი საზოგადო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოღვაწე და ახლობლებსა და მეგობრებს დაუტოვა დიდი ტკივილი, არქეოლოგიას კი კარგა ხანს ამოუვსებელი ბზარი და სიცარიელე.

2003 წ.

თამაზ წივწივაძე 60 წლისაა

ბატონო თამაზ,

გულწრფელად გილოცავთ სამოცწლოვან იუბილეს.

ორი წლის წინ მე სამოც წელთან დაკავშირებით თქვენგან მივიღე გულწრფელი მილოცვა. „მარტყოფის ველზე დაგელოდებით" – მომმართავდით. ეს თანადგომასა და ჭირსა და ლხინში გვერდით ყოფნას ნიშნავს. მეც ასევე მინდა გიპასუხოთ. თქვენი გზა ბეჯითი შრომისა და შემართებული ბრძოლის გზაა. თქვენმა კრიტიკულმა სტატიებმა ადრევე მიიპყრო მკითხველის ყურადღება. უმნიშვნელოვანესი იყო თქვენი რეალისტური ხედვა მძიმე დღეში ჩავარდნილი საქართველოს ბედიღბალზე. თქვენ არ შეუშინდით არავითარ ავტორიტეტს და საძრახისი სიტყვა მოყვარეს პირში უთხარით. ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე. ეს მოქალაქეობრივი სიმამაცე იყო.

მახსოვს თქვენი ხშირი სტუმრობა ირაკლი აბაშიძესთან, ენციკლოპედიის რედაქციაში გულწრფელი სიყვარულით გამაცნო თქვენი თავი. თქვენდამი პატივისცემა და სიყვარულის გრძნობა ყოველთვის ჰქონდა მას.

თქვენი გზა – იმერეთის ერთი პატარა სოფლის სკოლის მოწაფეობიდან საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობამდე – ქვეყნისა და ხალხის სამსახურითაა განმსჭვალული. სიკეთისაკენ მოწოდებითა და მისკენ სწრაფვითაა აღსავსე. ჯანმრთელობასა და დღეგრძელობასთან ერთად კვლავაც წარმატებებს გისურვებთ შემოქმედებით საქმიანობაში.

2001 წ.

* * *

დიდი პატივი იყო ჩემთვის ამ ოცი წლის წინ 1977 წლის 25 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პატივში ილია მეორის აღსაყდრების ცერემონიალში მონაწილეობა.

დიახ, 25 დეკემბერს კათოლიკური შობის დღეს, იმ დღეს როცა ასტრონომიულად დღე იმარჯვებს ღამეზე, როცა ნათელი სძლევს ბნელს და ყოველივე ამით ადამიანებს მომავლისადმი რწმენას უნერგავს. ამ დღეს სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს ცხელი გული ესვენა. აქეთ იყო მოპყრობილი სრულიად საქართველოს გულისყური. ხალხი გრძნობდა, რომ რაღაც ახალი უნდა მოეტანა ამ დღეს. ახალი, ამასთან სასიკეთო.

ისტორიულად ორი ათასწლეულის მანძილზე სისხლხორცეული იყო ქართველისათვის ქრისტიანობა. იყო პერიოდი, როცა მომხდური მტერი ქრისტიანობას ებრძოდა და ამით ქართველების ამოგდება სურდა. ქართველი იცავდა ქრისტიანობას და გადაარჩენდა ქართველობას.

მართლმადიდებელი ქართული სამოციქულო ეკლესია, V საუკუნიდან ავტოკეფალური, XI საუკუნიდან საპატრიარქო, უდიდეს როლს თამაშობდა ერის ცხოვრებაში. ეკლესია-მონასტრებში გაჩნდა განათლების პირველი კერები. პირველი უნივერსიტეტიც გელათის მონასტერთან შეიქმნა. გელათი, რომელიც უნდა ყოფილიყო სხვა ათინა და მეორე იერუსალიმი. ათენი – სიბრძნის ცენტრი, იერუსალიმი კი რწმენისა. გელათს უნდა გაეერთიანებინა ორივე ცნება.

დიახ, ქართული სამოციქულო მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქად 20 წლის წინ მობრძანდა მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია მეორე.

კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე ასვლის პატივი საქართველოში XI საუკუნიდან მომდინარეობს; იგი არაერთ ღირსეულ პიროვნებას ხვდა წილად.

იყო პერიოდი 1811 წლიდან, როცა კათოლიკოს-პატრიარქობა გაუქმდა და ეგზარქოსობა დაწესდა. 1917 წელს კვლავ აღდგა ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობა და უკვე XX საუკუნის პატრიარქებმა: კირიონმა, ლეონიდემ, ამბროსიმ, კალისტრატემ, სხვებმა თავისი ბრწყინვალე ადგილები დაიკავეს ქართველ პატრიარქთა გალერეაში.

ჩვენთვის დაუვიწყარია, რომ თბილისის უნივერსიტეტი გახსნისას, 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის მოსახსენებელ დღეს, მისმა უწმიდესობამ კირიონმა აკურთხა.

კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის დიდი მეგობრობა უმაღლეს სკოლებთან, ზრუნვა განათლებაზე, სულიერობაზე. და არ იყო შემთხვევითი, რომ ილია II-ის აღსაყდრების აღნიშვნის დღეები, ამ რამდენიმე დღის წინ თბილისის უნივერსიტეტში დაიწყო. ილია II-მ დალოცა და აკურთხა წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესია უნივერსიტეტში. მაგრამ ეს 20-წლიანი მოღვაწეობის დასასრულისკენ მოხდა. 20 წლის წინ კი ... 1977 წლის მიმწუხრიდან მოკიდებული ბევრი გაკეთდა; ერი, ქვეყანა შემობრუნდა ეკლესიისკენ, ურთულეს იდეოლოგიურ პირობებში დაიწყო ეკლესიების მშენებლობა, ტაძრების რესტავრაცია, დაფუძნდა სასულიერო აკადემიები, სემინარიები; გაიზარდა მრევლი. ეკლესიის ზრუნვა ერსა და ქვეყანაზე თვალნათელი გახდა. გაფართოვდა ქართული ეკლესიის ავტორიტეტი მთელს მსოფლიოში. ამის დასტური გახლდათ მისი უწმიდესობის მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა საბჭოს პრეზიდენტად არჩევა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მღვდელმთავართა ვიზიტები საქართველოში.

მისი უწმიდესობა იმ ჭეშმარიტ მამულიშვილ მღვდელმთავართა ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია, რომლებიც მუდამჟამს ქვეყანაზე, სახელმწიფოს ძლიერებასა და ერის კეთილდღეობაზე ფიქრობდნენ. საჭირო შემთხვევაში კი

მზად იყვნენ სწორი მიმართულება მიეცათ პოლიტიკური პროცესებისათვისაც. ასე იყო ჩვენს შემთხვევაში, როცა ამ ხუთი-ექვსი წლის წინ ქვეყანაში მდგომარეობა უკიდურესად, გართულდა ილია II-მ იდო თავს სხვადასხვა მხარის წარმომადგენელთა გაერთიანება-კოორდინირება და ფაქტობრივად საპატრიარქო სახელმწიფოს ხსნაზე მოფიქრალ მამულიშვილთა თავშეყრის ცენტრი გახდა.

ამას წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ მიიღო მიმართვა ყველა თანამემამულისადმი, სადაც მოწოდებაა გაერთიანება-გამთლიანებისა და თანამოაზრეობისაკენ. ხაზგასმულია, რომ თუ ჩვენ ქვეყნის წინსვლისათვის აუცილებელ კარდინალურ საკითხებში ვიქნებით თანამოაზრეები, წარმატებაც არ დააყოვნებს. ჩვენ ეკლესიის მთლიანობაზეც ვფიქრობთ, არამც და არამც არ უნდა დავუშვათ რაიმე გაუგებრობა ამ საქმეში. ყველა ჭეშმარიტი მორწმუნე მტკიცედ უნდა დადგეს ქართული ეკლესიის გვერდით, ეკლესიისა, რომელსაც გამოცდილი, მაღალი ზნეობის, დიდი განათლებისა და კულტურის მატარებელი საჭეთმპყრობელი ჰყავს.

სრულიად მართებული იყო გადაწყვეტილება – დავით აღმაშენებლის ორდენით ილია II-ის დაჯილდოების თაობაზე. ჭეშმარიტად, ეს დიდი ჯილდო უპირველესად საქართველოს სულიერ მამას ეკუთვნოდა. გულწრფელად ვულოცავ მის უწმიდესობას ამ ჯილდოს; ვულოცავ აღსაყდრების 20 წლისთავს.

დღეგრძელობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უნეტარესსა და უწმიდესს ილია II-ს.

1997 წ.

იგი მსოფლიომ აღიარა

სოფიკო ჭიაურელი... საქართველოს ყველა დროის წარჩინებულ ქალთა კრებულის უგამორჩეულესი წარმომადგენელია; გამორჩეულია მრავალმხრივ – თავისი შემოქმედების ფართო სპექტრით, საზოგადოებრივი საქმიანობით; და უბრალოდ – სოფიკო მშვენიერი ქალბატონია.

მე ვეთანხმები ლადო ასათიანს, რომელმაც მგზნებარედ მიმართა ვერიკო ანჯაფარიძეს – „სხვა რომ არ იყოს ჩვენ მხოლოდ შენი და ნატოს ეშხი დაგვიფარავდაო“. აქვე შევნიშნავ, რომ ამ ლექსის შექმნის დროს სოფიკო სრულიად პატარა, შემოქმედების არტახებსაც კი არ იყო ნაზიარები... დღეს კი ეს სიტყვები მასაც სრულიად მიესადაგებოდა. დღეს ჩვეულებრივ მოკვდავს გაუჭირდება დაასახელოს ნიჭიერებით თუ მოზღვავებული ენერგიით, შემოქმედებითი დიაპაზონით, თუ საქვეყნო საქმეებით გამორჩეული, სამშობლოს ბედზე მოფიქრალი სოფიკოს ბადალი პიროვნება.

ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის ოჯახში გაზრდილი შემოქმედი, ვერ დაჩრდილა დიდი მშობლების მასშტაბურმა ელვარებამ. სოფიკო ჭიაურელმა თავისი, სრულიად განსხვავებული, მხოლოდ მისეული სახეები შექმნა თეატრსა და კინოში. გასული საუკუნის 50-იან წლებში „ჩვენი ეზოთი“ შემოვიდა იგი

ქართულ კინოხელოვნებაში და შემდეგ არაერთი განუმეორებელი როლი შექმნა. როცა, თუნდაც სრულიად ზერელედ გადახედავ სოფიკოს მიერ შესრულებულ სახეებს, განცვიფრებას ვერ დამალავ: ფუფალა და ივდითი, სიდონია და ტასია – განა შეიძლება მოიძებნოს უფრო ფართო დიაპაზონი? თუნდაც თავისებური რეკორდი – ექვსი როლის შესრულება ერთ ფილმში „საიათნოვა". სოფიკოს ფართოდ ეზიდებოდა თავისკენ სხვა ქვეყნების კინემატოგრაფიც. მსახიობმა უცხოეთის არაერთ (რუსულ, სომხურ და სხვ.) ფილმში ითამაშა (არ დაგვავიწყდეს – სოფიკო სომხეთის სახალხო არტისტია).

არ შეიძლება განსაკუთრებულად არ აღვნიშნოთ მის მეუღლესთან კოტე მახარაძესთან ერთად ერთი მსახიობის თეატრის – „ვერიკოს" დაარსება. ხუთ წელზე მეტია (კოტეს გარდაცვალების შემდეგ) სოფიკო უშუალოდ წარმატებით უდგას ამ თეატრს სათავეში.

მაღალმა ნიჭიერებამ, ადამიანურმა მომხიბვლელობამ და ხელოვნების ფართოდ წარმოჩენის უნარმა სოფიკო ჭიაურელი საერთაშორისო არენაზეც წარმატებით გაიყვანა. იგი ყველა ქვეყნისათვის „პერსონა გრატაა". მე მინახავს როგორი აღტაცებით იღებენ მას რუსეთში, უკრაინაში, სომხეთში... ამას წინათ ტელევიზიით ვიხილეთ, რაოდენ ამაღელვებელი შეხვედრა გაუმართეს ქართველ მსახიობს პარიზის ხელოვნების ელიტარულმა წარმომადგენლებმა.

რაკიღა ჩემს წერილს მილოცვის დატვირთვა აქვს (დაბადებიდან მრგვალ თარიღს ვულოცავ ძვირფას სოფიკოს) ერთი დეტალიც მინდა ვახსენო. ამ 8-9 წლის წინ გადავწყვიტეთ და ახლო მეგობრების შვიდმა წყვილმა ერთად დავიწერეთ ჯვარი სვეტიცხოვლის ტაძარში. ეს მეტად ზეიმური, ამაღლებული ცერემონიალი იყო. პატარა ქორწილიც გადავიხადეთ (შვილებისა და შვილიშვილების თანდასწრებით). ცხადია სოფიკო და კოტე აქაც უპირველესი იყვნენ თავიანთი სითბოთი და ხიბლით.

დღეს სოფიკოს დაბადებიდან 70 წლის დადგომას აღვნიშნავთ. გულწრფელად ვიტყვი: სოფიკო ჭიაურელს ეს ასაკი არ ეტყობა. იგი თავგამოდებულ შრომაშია – პატრონობს თეატრს, ზრუნავს მის მომავალზე, ამზადებს ახალ როლებს. გეგმები მრავლად აქვს შემოქმედს. აქვე არ დაგვავიწყდეს რომ იგი სანიმუშო დედაა საკმაოდ დიდი ოჯახისა. ვფიქრობ, სოფიკო ჭიაურელი, გამოცდილი და დაბრძენებული, ხალხისა და ქვეყნის სიყვარულით სავსე, თავის დიდ სათქმელს კიდევ იტყვის. სოფიკო სულიერად და ფიზიკურად ძლიერი პიროვნებაა. ამიტომაც მისგან ბევრ სიახლეს უნდა ველოდეთ.

ძნელია რაიმე განსაკუთრებული უსურვო შემოქმედს, რომელმაც თავის ბრწყინვალე შემოქმედებით ლამაზი და მნიშვნელოვანი ადგილი სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა მსოფლიო ხელოვნებაში. იმედი მაქვს, სოფიკო ჭიაურელის სულიერი სიმხნევე და ფიზიკური სიძლიერე გახდება მისი ახალი წარმატებების ჭეშმარიტი საწინდარი.

2007 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიმართვები

მიმართვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა
თანამემამულეებისადმი

იწურება მეოცე საუკუნე. სამეცნიერო, ტექნიკური და ტექნოლოგიური რევოლუციების, მსოფლიო ომების, სოციალური კატაკლიზმების და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობების საუკუნე. ქართული უნივერსიტეტის დაფუძნებით, ღირსეული სამეცნიერო და კულტურული შემოქმედებითი თუ აღმშენებლობითი შრომის ნიმუშებით, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითებით, საქართველომ ეპოქის შესატყვისი შრომისა და ბრძოლის უნარი გამოამჟღავნა, მაგრამ ილიას მკვლელობით, დამოუკიდებლობის დაკარგვით, უსასტიკესი რეპრესიებით გამოწვეულმა ტრაგიკულმა განცდამ ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა შინაგან გაორებას, ორმაგი სტანდარტით ცხოვრების ჩვევას და, აქედან გამომდინარე, ორპირობასა და ღალატს. და ახლაც საკმაო საფუძველია იმისათვის, რომ საქართველო გაორებული გრძნობით შეჰყურებდეს საუკუნის დასასრულს, რადგან სახეზეა, ერთი მხრივ, სანუკვარი დამოუკიდებლობის დაბრუნება, სახელმწიფოებრიობის აღდგენა, მეორე მხრივ, მოუშუშებელი ჭრილობები აფხაზეთსა და შიდა ქართლში, შეჭირვებული ეკონომიკური მდგომარეობა, ცოტა ხნის წინათ გადატანილი დრამატული მოვლენებით გამოწვეული შინაგანი მღელვარება. ვიდრე ამგვარი გაორება იარსებებს, ძნელი იქნება სულიერი წონასწორობის აღდგენა, რის გარეშეც დამოუკიდებელ ქვეყანას ძალზედ გაუჭირდება განვითარების ნორმალურ გზას სრული სვლით შეუდგეს და ხალხთა მსოფლიო თანამეგობრობაში საკუთარი ადგილის დამკვიდრების პერსპექტივა რეალობად აქციოს.

უკანასკნელი წლების გაკვეთილებმა ქართული საზოგადოება საკმაოდ სწრაფად მოაგო გონს. ხალხმა საქართველოს საოცრად ჭრელსა და ცვალებად ცხოვრებაში თითქმის შეუმცდარად იწყო ფსევდოპოლიტიკოსების ჭეშმარიტი პოლიტიკოსებისაგან, ფუჭი დაპირებების რეალური შესაძლებლობებისაგან, სასურველის დასაშვებისაგან გარჩევა. ყველა კარგად ხედავს, რომ წავიდა ხმამაღალი, მხოლოდ ხალხის ასაფორიაქებელი მოწოდებების დრო და დადგა ჟამი რეალური, პოზიტიური საქმეების კეთებისა.

საქართველოში თანდათანობით იქმნება თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის პირობები, იკვეთება ჩვენი სამშობლოს როლი მშვიდობიანი კავკასიის მშენებლობის პროცესში. ამას კარგად ხედავენ ჩვენი მოყვარეებიც და ისინიც, ვინაც დამოუკიდებელი საქართველოს წინსვლის შეფერხება თავიანთი პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად გაიხადეს. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ისინი მიზნის მისაღწევად ყველა საშუალებას არ მიმართავენ. გარდა სხვადასხვა სახის საკმაოდ ღრმად ფესვგამდგარი სამსახურებისა, მათ დასაყრდენს წარმოადგენენ ამპარტავნებით დამძიმებული პოლიტიკოსები, ქვეყანაში არსებული არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა და ადამიანები, რომელთა განწყობას მეტწილად საქართველოს ხელმძღვანელობის მიმართ პირადი დამოკიდებულება განსაზღვრავს. ამაოა იმის იმედი, რომ როდესმე ქვეყანაში პირადი ინტერესების საზოგადოებრივზე მაღლა დამყენებელნი, მოღალატენი და ჩვენი მტრების სამსახურით ხელის მომთბობნი ერთიანად გაუჩინარდებიან. სამაგიეროდ, ბევრად უფრო რეალურია საზოგადოებაში არსებული იმ გაორების აღმოფხვრა, რომელმაც ქვეყნის დამქცევი ურთიერთდაპირისპირება შეიძლება ასაზრდოოს.

კაცობრიობის, თავად ჩვენი სამშობლოს ხანგრძლივმა ისტორიულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ, ერთი შეხედვით, ყველაზე უფრო დაუძლეველი წინააღმდეგობების გადალახვაც კი შეიძლება ურთიერთდათმობის, ურთიერთშერიგებისაკენ მუდმივი ლტოლვით. ყველა დემოკრატიული ქვეყნისათვის დამახასიათებელი შინაპოლიტიკური ბრძოლები, ამა თუ იმ პარტიის მიმართ საზოგადოების ცალკეული ფენების მხარდაჭერა თუ მისგან განდგომა, ხალხის ნების გამოხატვა არჩევნებისა თუ რეფერენდუმების გზით. ამასთან, აქ ყოველთვის მიმართავენ კომპრომისებს, შერიგებას, როგორც კი პოლიტიკურ დაპირისპირებას სახელმწიფოს ზიანი შეუძლია მიაყენოს. საქართველოს წინაშე მდგარ გადაუდებელ ამოცანათა შორის ამჟამად უმთავრესია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, კულტურული და ეკონომიკური აღმავლობა. ამის მიღწევას შევძლებთ, თუკი თავს დამტყდარი ქარტეხილებისაგან აშლილ ქვეყანაში ერთობ მოკლე დროში მიღწეულ სტაბილურობას განვამტკიცებთ, მოთმინებით და რეალისტურად შევაფასებთ შექმნილ მდგომარეობას და გადავდგამთ ნაბიჯებს, რომელთა სისწორე ჩვენთვისაც და ჩვენი მეგობრებისთვისაც მთელ მსოფლიოში უეჭველი იქნება.

ერთიანი, ძლიერი და მოწესრიგებული ქვეყნის აღმშენებლობა დიდი და წმინდა მიზანია, ამისთვის ყველაფერი უნდა ვიღონოთ, უპირველეს ყოვლისა კი დავძლიოთ ამ გზაზე აღმართული უმთავრესი დაბრკოლებები – გათიშულობა და მოძმესთან შეურიგებლობა. ყველა ჩვენგანს, ვინც ავი ზრახვების ტყვეობაში არ იმყოფება, სამშობლოს ბედნიერება და კეთილდღეობა გვწადია. მაგრამ აქეთკენ ქვეყნის წაყვანა მხოლოდ რჩეულთ ხელეწიფებათ. მათი ხვედრია შესაძლებელი შეცდომებისა და დროებითი წარუმატებლობის, სულსწრაფთა გაუთავებელი კიჟინისა და საყვედურების, არაკეთილისმოსურნეთა მტრული ხრიკებისა და ვერაგობის მიუხედავად, შეუპოვრად იბრძოლონ ხალხის უმაღლესი მიზნების გასახორციელებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს მოვლენათა მსვლელობა გვისახავს იმედს, რომ ამ მიზნებს აღსრულება უწერიათ. დავძლიოთ ამისათვის ჩვენს სულებში დასადგურებული გაჭირვება, ბრძნულად, მოთმინებით მივცეთ ერთმანეთს შესაძლებლობა, შევხვდეთ ახალ საუკუნეს, ვითარცა თანამოაზრეები. მაშინ წარმატება გარდაუვალი იქნება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, რექტორი –

როინ მეტრეველი

2000 წ.

საქართველოს პრეზიდენტის წერილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართვასთან დაკავშირებით

გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართვა თანამემამულეებისადმი. იგი გამოხატავს საქართველოს სახელოვანი უმაღლესი სასწავლებლის იმედს ქვეყნის მომავლისადმი, ზრუნვას მის აწმყოზე. მოგვიწოდებს ერთიანობისა და გონივრული მოქმედებისაკენ, რათა ღირსეულად შევხვდეთ მესამე ათასწლეულს, გავხდეთ თანამოაზრეები სამშობლოსათვის სასიკეთო საქმეებში.

მთლიანად ვუჭერ მხარს უნივერსიტეტის მიმართვის პათოსს. ქვეყნისათვის გადამწყვეტ ჟამს ქართული მეცნიერების, განათლებისა და კულტურის უმთავრესმა კერამ ყველა ჩვენგანს შეახსენა, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა გვეკისრება დამოუკიდებელი საქართველოს გადარჩენისა და აღმშენებლობის პროცესის სწორად წარსამართავად.

დარწმუნებული ვარ, რომ, თუკი მთელ ჩვენს საზოგადოებას მოიცავს ამ მიმართვის სული, თუკი მას მხარს დაუჭერს ჩვენი მოსახლეობა, ქალაქი და სოფელი, ინტელიგენცია, ახალგაზრდობა, საქართველო XXI საუკუნეს მნიშვნელოვანი გამარჯვებებით შეხვდება.

ე. შევარდნაძე

2000 წ.

მიმართვა საქართველოს საზოგადოებრიობას, ქართველ ხალხს

ძვირფასო თანამემამულენო, ძვირფასო მეგობრებო, გთხოვთ წუთით დავფიქრდეთ და წარმოვიდგინოთ ის დრო, როცა ჩვენი რთული და მშფოთვარე ეპოქა ისტორიას ჩაბარდება, როცა საქართველოში აღარ იქნება ეკონომიკური სიღატაკე და სოციალური აპათია, სეპარატიზმი და ტერორიზმი, გამყიდველობა და სინდისის ღალატი, როცა აღარც ჩვენ ვიქნებით. ქაოტური ეპოქის შვილები და აღარც დღევანდელობიდან დარჩება რამე, გარდა მოგონებისა. მაშინ ხომ მაინც ვერ წაუვალთ ჭეშმარიტების სულს, რომელიც ახლაც თავს დაგვტრიალებს, მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამო გვიჭირს ამაზე ლაპარაკი.

მომავალი თაობები სულ სხვა კრიტერიუმებით შეაფასებენ ჩვენი ყოფის ზნეწესს და, ალბათ, ბევრ რამეს, რაც ჩვენ მეტისმეტად პრინციპული და უტყუარი გვგონია, სიბეცისა და წინდაუხედაობის ნიშნად ჩაგვითვლიან.

შთამომავლობა არ გვაპატიებს იმ საბედისწერო შეცდომებს, რაც ჩვენმა გათიშულობამ და შეურიგებლობამ დაგვაშვებინა.

ქარცეცხლიან წლებში გამოვლენილმა წინააღმდეგობებმა, ურთიერთკიცხვამ, პოლიტიკურმა, მორალურმა და ზნეობრივმა კოლიზიებმა დაგვღალა და

გამოგვფიტა, საპირისპირო პოლუსებზე გაგვრიყა საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც შინაგანად მუდამ ერთიანობისა და მთლიანობისკენ ვიყავით მიბრუნებული და, სხვათა შორის, ახლაც, როცა გაორება განათლებული საზოგადოების ფაქტობრივად ყველა ფენაში შეინიშნება, არ გვეგულება ცალკეული პიროვნება, მწერალი იქნება ის, თუ მეცნიერი, ხელოვანი თუ პედაგოგი, რომ გაერთიანების პრობლემაზე არ ფიქრობდეს და არ გრძნობდეს ვალდებულებას ქვეყნის წინაშე.

მერე რა, რომ განსხვავებულად ვაფასებთ მოვლენებს. სადაც არსებობს აზრთა და პოზიციათა ურთიერთგანსხვავება, იქ ურთიერთდათმობაც არსებობს.

მსოფლმხედველობისა და პოზიციის საკითხებში რაც უნდა დიდი განსხვავება და წინააღმდეგობა არსებობდეს მთავრობასა და ოპოზიციას შორის, მორწმუნესა და ურწმუნოს შორის, პარტიულსა და უპარტიოს შორის, უფროს თაობასა და ახალ თაობას შორის, მაინც ბევრი რამ გამოიძებნება მათ შორის ისეთი, რაც კი არ აპირისპირებს მათ, არამედ, პირიქით, აერთიანებს.

არა გვგონია, ჩვენ შორის გამოიძებნოს ქვეყნის ბედზე მოფიქრალი ისეთი მოქალაქე, რომელსაც არ სურს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მშვიდობის დამყარება, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება, ეკონომიკისა და კულტურის აყვავება, ეროვნული პოტენციალის განვითარება.

ყველაფერი ეს ხომ მართლაც ის ფაქტორებია, რომლებიც გვაერთიანებს და გვაახლოვებს!

მომავალში, გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენი თანაცხოვრების წესს სწორედ ამგვარი კონსტრუქციული ფაქტორები წარმართავენ, რადგან ასეთია დაპირისპირების დიალექტიკა, ასეთია ეროვნული გონის განვითარების ისტორიული გეზი, რომელსაც ვერავითარი ძალა ვერ გაამრუდებს.

სახელმწიფოებრივი არსებობის ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე საქართველო გაცილებით უარესი შინაკონფლიქტებისა და ვნებათაღელვის მოწმე ყოფილა, მაგრამ, ღვთის მადლით და კაცის გონიერებით, ყოველთვის გაუმარჯვია ჭეშმარიტებას და ქართული სულის ფენომენში არსებულ თვითგადარჩენის საწყისს.

შერიგება და გაერთიანება არ გულისხმობს პოლიტიკური და იდეოლოგიური თვალსაზრისების სხვადასხვაობათა მოსპობას, უარის თქმას საკუთარი შეხედულებების საჯაროდ გამოთქმაზე, ან განწყობილებისა და სიმპათიების უნიფიცირებას.

ლაპარაკი გვაქვს მხოლოდ შესაძლებელ კომპრომისებზე, აუცილებელ ურთიერთდათმობაზე, დაახლოების პირველ ნაბიჯებსა და იმ სინამდვილის გათვალისწინებაზე, რომ ჩვენთვის მტერი ერთია და მას ჩვენი განწყობილებები და მოსაზრებები იმდენად აინტერესებს, რამდენადაც შეძლებს მათ გამოყენებას საქართველოში შინააშლილობის გასაღვივებლად, ახალ-ახალი პროვოკაციების მოსაწყობად, ქართველობის თვითლიკვიდაციის დასაჩქარებლად.

სახელმწიფო ჩვენ ვართ – თითოეული ადამიანი, თითოეული მოქალაქე, ოღონდ არა ცალ-ცალკე, არამედ ერთად!

ქვეყნის სახელმწიფო ძლიერებას ჩვენ შორის არსებულ ურთიერთობათა ხარისხი განსაზღვრავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გარდამტეხი მოვლენების წინაშე ვდგავართ. ჩვენი ქვეყანა იბრუნებს თავის ისტორიულ მისიას, კვლავ კისრულობს დასავლეთისა და აღმოსავლეთის შემაერთებელი ხიდისა და მშვიდობიანი კავკასიის გარანტის ფუნქციას. უნდა აღდგეს ძველთაძველი „აბრეშუმის გზა", უნდა გავატაროთ მსოფლიო სტრატეგიის განმსაზღვრელი ნავთობსადენი, საქართველო უნდა იქცეს არა მარტო სატრანზიტო-ეკონომიკურ კვანძად, არამედ პოლიტიკისა და კულტურის ცენტრად, რომელიც განაპირობებს კავკასიის რეგიონის სტაბილურობასა და მსოფლიო პრესტიჟს.

მანამდე კი უნდა აღსრულდეს ყველაზე მთავარი – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა!

ყოველივე ეს არ მოხდება, თუ არ აღვადგინეთ საზოგადოების მთლიანობა, თუ არ დავძლიეთ გათიშულობა.

დაე, თუნდაც დარჩეს ჩვენ შორის წინააღმდეგობა, ოღონდ წინააღმდეგობა – როგორც განვითარების იმპულსი, როგორც მამოძრავებელი ძალა. ვეძებოთ ერთმანეთში ეროვნული მოკავშირეები და არა პოლიტიკური ოპონენტები.

წავიდა ზემოდან თავს მოხვეული საყოველთაო პოლიტიზირების დრო, დგება დამოუკიდებელი არსებობის სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ეტაპი – ახალი ცხოვრების საზრისისა და ფასეულობების ძიების ხანა.

ვესაუბროთ ერთმანეთს არა ბრალდებათა ენაზე, არამედ საერთო ენაზე – სიყვარულის ენაზე.

მომავალი სიყვარულს ეკუთვნის!

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით

რექტორი – აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**

1997 წ.

საქართველოს პრეზიდენტს – ბატონ ედუარდ შევარდნაძეს
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს,
უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს

თქვენო აღმატებულებავ,

თქვენო უწმიდესობავ,

იქნებ ჩვენს რთულსა და მძიმე პერიოდში საჩოთირო მოგეჩვენოთ ამ საკითხის ჩემ მიერ დაყენება, მაგრამ გარკვეული გარემოების გამო, საჭიროდ ჩავთვალე შემეწუხებინა თქვენი ყურადღება. მოგეხსენებათ, რომ ჟამთა სიავის გამო საქართველოს ზოგიერთი უდიდესი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე რუსეთს იყო შეფარებული. ამჯერად მხედველობაში მყავს ორი მათგანი: ვახტანგ VI (1675-1737 წწ.) – ქართლის გამგებელი (ჯანიშინი) (1703-1714 წწ.), მეფე (1716-1724 წწ.), და თეიმურაზ II (1700-1762 წწ.) – კახეთის მეფე (1709-1715 წწ.), გამგებელი (1733-1744 წწ.), ქართლის მეფე (1744-1762 წწ.).

ვფიქრობ, ზედმეტია იმ ღვაწლის ჩვენება, რომელიც ამ მოღვაწეებს ქვეყნისა და ხალხის, საერთოდ, ისტორიის წინაშე მიუძღვით. ვახტანგ VI დიდი რეფორმატორი იყო. იბრძოდა ქვეყანაში წესრიგის აღდგენისა და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის. აღადგინა ეროვნული წეს-ჩვეულებები, ფართო მუშაობა გააჩაღა ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობისათვის. ვახტანგ VI-ის თაოსნობით შეიქმნა „სამართლის წიგნთა კრებული". მის სახელთანაა დაკავშირებული სწავლულ კაცთა კომისიის საქმიანობა. ვახტანგ VI-ის სტამბაში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი" (1712 წ.). მან, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ რუსთველოლოგიას. წვლილი მიუძღვის ქართული დიდაქტიკური მწერლობის განვითარებაში. მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლირიკას. თარგმნა „ქილილა და დამანა", „ამირ-ნასარიანი"...

თეიმურაზ II ქართლ-კახეთის გამაერთიანებელია. მიაღწია მნიშვნელოვან სამხედრო წარმატებებსა და ამიერკავკასიაში უპირატესობას. თეიმურაზ II აღორძინების ხანის ქართული მწერლობის წარმომადგენელია. ავტორია ნაწარმოებებისა: „დღისა და ღამის გაბაასება", „სოფლის სამდურავი", „ხილთა ქება" და სხვ. სპარსულიდან თარგმნა იგავ-არაკების კრებული „თიმსარიანი".

ორივე მეფე განისვენებს ასტრახანის მიძინების ტაძარში (ვახტანგ VI-მ სიცოცხლის ბოლო ორი წელი ასტრახანში გაატარა და აქვე გარდაიცვალა). თეიმურაზი პეტერბურგში გარდაიცვალა. მისი გადასვენება იმხანად ასტრახანამდე მოხერხდა და იქვე დაიკრძალა. აღვნიშნავთ, რომ საფლავები დღემდე დაცულია.

და აი, კადნიერებით ვაყენებ საკითხს თქვენი ქვეყნის უზენაესი პირების წინაშე ამ ორი ჭეშმარიტი ქართველის საქართველოში გადმოსვენების თაობაზე. ეს თხოვნა, გარდა იმისა, რომ მათ ანდერძებს შეესაბამება, განპირობებულია იმითაც, რომ არ არის გამორიცხული ამ მიცვალებულთა გადასვენება იქვე, სხვა სასაფლაოზე (ეს ცნობა ასტრახანის მიძინების ტაძრის მოძღვრიდან მოდის).

ამგვარად, სასურველად მიგვაჩნია დიდი ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ II-ის გადმოსვენება ასტრახანის მიძინების ეკლესიიდან თბილისში – წმ. სამების ტაძარში (ამ აქტით წმ. სამების ტაძარიც მნიშვნელოვან დატვირთვას შეიძენს).

ვფიქრობ, დიდ საქმეს გააკეთებთ, თუ გამონახავთ დროსა და საშუალებას რუსეთის პრეზიდენტისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან ამ აქციის ორგანიზაციული მხარის შესათანხმებლად.

დარწმუნებული ვარ, მთელი საქართველო მადლიერი დაგრჩებათ ამ ეროვნული საქმის განხორციელებისათვის.

როინ მეტრეველი
2002 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინტერვიუები

გამარჯობა ბატონო უნივერსიტეტო

ერის ძალა და სინდისი

ბატონ როინ მეტრეველს ესაუბრება ბატონი ნოდარ ტაბიძე

ნოდარ ტაბიძე: ბატონო როინ, ხომ არ აჯობებდა, აქცენტი დღევანდელ უნივერსიტეტზე გადაგვეტანა? ცხადია, ეს არ გამორიცხავს ისტორიულ ექსკურსებსა და ლირიკულ გადახვევებს. მკითხველს მაინც, უწინარესად, ჩვენი დროის შუქჩრდილები აინტერესებს. რას წარმოადგენს ამჟამინდელი უნივერსიტეტი? იგი ამ გაუსაძლის ხანაში მხოლოდ არსებობის შენარჩუნებისათვის იბრძვის, თუ დიდ მწვერვალებსაც იპყრობს? იქნებ მკითხველებისთვის გაგვეცნო ახალი ფაკულტეტები და განყოფილებები, კათედრები და ლაბორატორიები; სწავლების ორიგინალურ ფორმებზეც გვესაუბრა და მეცნიერულ მიღწევებზეც...

როინ მეტრეველი: თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლებს ტრადიციული უმაღლესი განათლების კერის ჩამოყალიბება ჰქონდათ ჩაფიქრებული, მათ განახორციელეს განზრახვა; ეროვნული ნიშნით აღბეჭდილი სასწავლებელი ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, გნებავთ, სულიერი და პოლიტიკური ცხოვრების წარმმართველ დაწესებულებად ყალიბდებოდა. იგი იყო გონიერ და მრავალმხრივ განათლებულ ადამიანთა საკრებულო, რომელსაც პერმანენტულად უნდა აღეზარდა სპეციალისტთა და პატრიოტთა თაობები.

ეს იყო უნივერსიტეტის პირველ წლებში.

ეგრეთ წოდებული კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში უნივერსიტეტმა დაკარგა ფუნქცია, მდგარიყო პოლიტიკური ორიენტაციის მესაჭეთა შორის.

ამავე დროს, მისი დანიშნულება – ქვეყნისათვის საჭირო სპეციალისტთა კადრების გაზრდისა, მართალია, იდეოლოგიზირებულად, მაგრამ, მაინც ხორციელდებოდა, ხორციელდებოდა წარმატებით; ვითარდებოდა მეცნიერება.

ამჟამად კარდინალურად შეიცვალა ვითარება. აუცილებელი გახდა დამოუკიდებელი საქართველოს უმაღლესი განათლება მსოფლიო სტანდარტებს გაუთანაბრდეს. სწორედ ამ მიზნით ვამკვიდრებთ სწავლების ახალ ფორმას, რომელიც ორსაფეხურიანია. ოთხწლიანი სწავლება – ბაკალავრიატი მთავრდება ბაკალავრის დიპლომის მინიჭებით. წარჩინებულნი, სპეციალობის ღრმად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუფლებისათვის, კიდევ ორ წელს ისწავლიან და მაგისტრის დიპლომის მფლობელნი გახდებიან.

შემდეგ არის გზა ასპირანტობისაკენ...

ეს მოდელი, აღიარებული და სხვათაგან გამოცდილი, უნივერსიტეტდამთავრებულის დიპლომის ნოსტრიფიკაციის და საერთაშორისო აღიარების საშუალებას იძლევა.

ორი წლის წინათ რომ გეკითხათ, უნივერსიტეტი ამ გაუსაძლის ხანაში მხოლოდ არსებობის შენარჩუნებისათვის იბრძვის თუ დიდ მწვერვალებსაც იპყრობსო, პასუხი გამიჭირდებოდა. დღეს კი გადაჭრით ვაცხადებ: საქართველოში საუნივერსიტეტო მეცნიერება და, რაღა თქმა უნდა, უნივერსიტეტი გადარჩა. და თუმცა მწვერვალებს ჯერ ვერ ვიპყრობთ, მის კალთებს ბეჯითად მივუყვებით.

ნიშანდობლივია, რომ თბილისის უნივერსიტეტი უკანასკნელ ხანებში საქართველოს რეგიონებში „გავიდა". თუ სოხუმის ლტოლვილი ფილიალი ადრევე შევიფარეთ, ჩვენი მეცადინეობით, უნივერსიტეტის კერები დავაფუძნეთ მესხეთში – ახალციხისა, კახეთში – სიღნაღისა, სამეგრელოში – ზუგდიდისა, გურიაში – ოზურგეთისა.

ახალი ფაკულტეტებია – საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების (სამი წლის წინათ იყო მისი პირველი გამოშვება და თითქმის ყველა კურსდამთავრებული მუშაობს დიპლომატიურ სამსახურებში) და საერთაშორისო ბიზნესისა.

მნიშვნელოვნად გააფართოვა დანიშნულება და შინაარსი ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტმა.

ეკონომიკის ფაკულტეტზე დროული გამოდგა საერთაშორისო ეკონომიკის სპეციალობის გახსნა. ახალი ვითარების შესაბამისად მოხდა რიგი ფაკულტეტების და კათედრების რეორგანიზაცია. მაგალითად, ტრადიციული საინჟინრო ეკონომიკის ფაკულტეტის ნაცვლად, გვაქვს მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის, ხოლო ვაჭრობის ეკონომიკის და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის მაგივრად – კომერციისა. ამ ფაკულტეტებზე, თვისობრივად, ახალი შინაარსის კათედრები ჩამოყალიბდა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ეკონომიკის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის კათედრა.

დიდი წარსულის მქონე მაღალი ენერგიების ფიზიკის და ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტები კვლავაც აგრძელებენ მნიშვნელოვან კვლევა-ძიებებს. რაც შეეხება კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს, იგი ამავე სახელწოდების კათედრის ბაზაზე ექვსი თვის წინათ დაარსდა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებთან, უწინარესად კი საბერძნეთის საგანმანათლებლო და კულტურულ დაწესებულებებთან დამყარებული მნიშვნელოვანი კონტაქტების საფუძველზე, მრავალმხრივი ასპექტებით მუშაობის წარმართვის საუკეთესო პირობები აქვს. ეს ინსტიტუტი იმ სკოლის პირდაპირი და ღირსეუ-

ლი მემკვიდრეა, გრიგოლ წერეთლის და სიმონ ყაუხჩიშვილის სახელები რომ ამშვენებს. თბილისის უნივერსიტეტს ათენშიც აქვს თავისი ქართულ-ბერძნული ინსტიტუტი, რომელსაც დოცენტი ავთანდილ მიქაბერიძე ხელმძღვანელობს. ნაყოფიერად მუშაობს ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც ხუთი წლის წინათ დაარსდა და უკვე წელიწდეულის 4 ტომი გამოსცა. განსაკუთრებით აღსანიშნავია უნივერსიტეტის გამომცემლობის გეგმაზომიერი საქმიანობა, მისი კოლექტივი ისეთივე სიუხვით იღვწის, როგორც ადრე, საუკეთესო შესაძლებლობების პირობებში.

საერთაშორისო ორგანიზაციების, ევროკავშირის სისტემაში შემავალი დაწესებულებების მხარდაჭერით და თანადგომით, მრავალ სასიკეთო საქმეს ჩაეყარა საფუძველი.

იუნესკო ჩვენი ერთგვარი კოორდინატორი გახდა. ბატონი ფედერიკო მაიორის ინიციატივით, ჩვენთან ბევრ კეთილშობილურ წამოწყებას დაედო სათავე. სწორედ იუნესკოსთან ურთიერთთანამშრომლობის პროგრამით, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე გაიხსნა ოკეანოგრაფიის კათედრა.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ „ტემპუს-ტასისი", რომლის პროგრამის ჩვენთან განხორციელება, მისი ეგიდით ბევრ საზღვარგარეთულ სასწავლებლებთან ურთიერთთანამშრომლობით, საერთაშორისო ინტეგრაციაში ქართული უმაღლესი სკოლის შესვლის კარგი საშუალებაა.

რომ აღარაფერი ვთქვათ ჩვენთვის სასიცოცხლო გრანტების შესახებ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ უცხოური სამეცნიერო ცენტრებისათვის სასურველი სტუმრები არიან ჩვენი მათემატიკოსები, ფიზიკოსები, ქიმიკოსები, ბიოლოგები.

უკანასკნელ ხანს უნივერსიტეტში სამედიცინო დარგის სპეციალობებიც დამკვიდრდა.

ასე რომ, მხოლოდ არსებობის შენარჩუნებისათვის არ ვიბრძვით.

ნ. ტ.: სურათი შთამბეჭდავია. მინდა გკითხოთ, რამ განაპირობა ბიოლოგიის ფაკულტეტთან სამედიცინო სექტორის შექმნა? ეს ხომ არ ნიშნავს დუბლირებას, ხომ არ ვიჭრებით სხვათა სფეროში. ამგვარი ვარაუდის გაჩენას ისიც უწყობს ხელს, რომ დღეს წესად იქცა პრესტიჟული სპეციალობების „მითვისება". მაგალითი? – იურისტებსა და ჟურნალისტებს ორმოცზე მეტი სასწავლებელი ამზადებს.

დასაფიქრებელი ისიცაა, თუ როგორი უნდა იყოს ძირითადი მიმართულებები, მაკრო თუ მიკრო, ინტეგრაცია თუ დიფერენციაცია?

საქართველო პატარა ქვეყანაა და ყველაფრის გამოდევნებით წავაგებთ. გასათვალისწინებელია ძალთა შეფარდებითობა, ტრადიცია, კონკურენციის სიმწვავე...

რ. მ.: სამედიცინო ფაკულტეტი უნივერსიტეტში პირველივე წლებში იყო. შემდეგ იგი ცალკე ინსტიტუტად გამოიყო. თანამედროვე უნივერსიტეტებში საუნივერსიტეტო სამედიცინო განათლების ახალი ასპექტით დამკვიდრებას, უწინარესად, აშშ-ში, იქედან კი – ევროპაში დღეს დიდი ყურადღება ეთმობა (მაგალითისათვის დავასახელებ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო

უნივერსიტეტს, რომელშიც უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მძლავრი სამედიცინო ცენტრი შეიქმნა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთანაც გადაიდგა პირველი ნაბიჯები, სამი წლის წინათ ბიოლოგიისა და მედიცინის ფაკულტეტთან ჩამოყალიბდა კლასიკური მედიცინის ცენტრი, რომელშიც უნივერსიტეტთან ერთად გაერთიანდნენ მძლავრი სამეცნიერო დაწესებულებანი ნევროლოგიის, ქირურგიის, უროლოგიის ინსტიტუტები, „დიაგნოსტიკის ცენტრი", ქალაქის მეოთხე საავადმყოფო და სხვა სამედიცინო ცენტრები.

გადმოგვეცა სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი. შეიქმნა საუნივერსიტეტო კლინიკათა ასამბლეა.

ქართველ მედიკოსებთან ერთად, მას კურირებას უწევს ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ხელმძღვანელი, პროფესორი კ. უოლკერი. ახლო მომავალში უნივერსიტეტთან უმაღლესი საექთნო სკოლაც უნდა გაიხსნას. მისი სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს ფართო სამედიცინო განათლებით აღჭურვილი დიდი დიაპაზონის მქონე მედიკოს სპეციალისტთა მომზადებას. ეს სიახლეც საერთაშორისო კონტაქტზეა დაფუძნებული.

პირდაპირ უნდა გითხრათ: თბილისის უნივერსიტეტი სხვათა სფეროში არ შეჭრილა და არავის „პრესტიჟული" სპეციალობა არ მიუთვისებია.

ჩვენ აღვადგინეთ ის, რაც არსებობდა უნივერსიტეტში და აღვადგინეთ თანამედროვე მსოფლიოს საუნივერსიტეტო სტანდარტების მიხედვით.

დიახაც, დასაფიქრებელია, თუ როგორი უნდა იყოს ძირითადი მიმართულებები. თქვენ სვამთ კითხვას – მაკრო თუ მიკრო ინტეგრაცია თუ დიფერენციაცია. თუ ეს შეკითხვა გულისხმობს საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა შორის მეცნიერების დარგების სწავლების დარეგულირების ოქროს კვეთის მოძიებას, გიპასუხებთ, რომ ქვეყანაში უნდა იყოს (დარგობრივი უმაღლესი სასწავლებლები, თუნდაც უნივერსიტეტები დაარქვით, არაა სწორი, მაგრამ მაინც!) სადაც უნდა ისწავლებოდეს ერთი არ რამდენიმე დარგი, მზადდებოდეს ქვეყნის მეურნეობაში დასასაქმებელი შესაბამისი კადრები.

სახელმწფო უნივერსიტეტი კი ერთადერთია, რომელიც საუნივერსიტეტო განათლებას იძლევა და ზრდის მეცნიერებს სხვადასხვა ფუნდამენტურ დისციპლინაში, დარგში. სწორედ ესაა უნივერსიტეტი ტრადიციული და, გნებავთ, ივანე ჯავახიშვილისეული გაგებით. გავიხსენოთ მისი ცნობილი დებულება, რომელიც იწყება ფრაზით: „სულ სხვაა უნივერსიტეტი"...

ერთი რამეც მინდა ვთქვა: ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტთან. ვფიქრობთ, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ქვეყნისათვის სამედიცინო კადრების მომზადებაში.

ნ. ტ.: თქვენ ბრძანეთ, რომ უნივერსიტეტი ორსაფეხურიან სწავლებაზე გადავიდა (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა). ისიც გახაზეთ, რომ განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული ეს ფორმა მრავალმხრივ მისაღებია ჩვენთვის. რამდენად უჭერენ ახალ სისტემას მხარს საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლები და ყველას აქვს თუ არა უფლება-შესაძლებლობა ამ გზით სვლისა.

რ. მ.: ბაკალავრიატის და მაგისტრატურის ინსტიტუტი ცხოვრებამ მოიტანა. დამოუკიდებელი საქართველოს უმაღლესდამთავრებული მოქალაქე ვერ იქნება სრულყოფილად დამოუკიდებელი, თუ მას თავისი დიპლომის მოხმარების საშუალება არ ექნება სხვა ქვეყანაში (უკვე გითხარით, რომ ჩვენ ამას განათლების მოწმობის ნოსტროფიკაციას ვეძახით). ამიტომ უნდა ვიდგეთ განვითარებული ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემის სტანდარტების დონეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი (ვგულისხმობ ნამდვილ უმაღლეს სასწავლებლებს) მხარს უჭერს ამ ახალ სისტემას, რაც შეეხება კითხვას, – აქვს თუ არა ყველას ამ გზით სვლის უფლება და შესაძლებლობა, გიპასუხებთ: ყველას არა აქვს და ასეთი „სასწავლებლები" ხვალ-ზეგ აღარც იარსებებენ.

ნ. ტ.: ბოლშევიკებმა ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე განათლების სისტემაშიც მოახდინეს რევოლუცია.

საზოგადოებრივი ფორმაცია ამჯერადაც შეიცვალა, მაგრამ გარდაქმნის რევოლუციურ გზას ევოლუციურს ამჯობინებენ. ეს გასაგებიცაა.

ალბათ ხვდებით, საითაც მიმყავს საუბარი. უნივერსიტეტში რჩეული ახალგაზრდები მოდიან. ისინი მთელი თავით მაღლა დგანან 70-იანი წლების სტუდენტებზე (მრავალმხრივი ინფორმაციის დაუფლებით, ზოგადი განათლებით). მართებული არ იქნება მათი ძველებურად წრთვნა.

ცვლილებები შესატანია არა მხოლოდ მეთოდიკაში, არამედ მოვლენების გააზრება-კვალიფიკაციაშიც. ჩავხედოთ თუნდაც ლიტერატურათმცოდნეობას. სხვაგვარად წაკითხვას მოითხოვს არა მხოლოდ გალაკტიონი, არამედ ილიაც. ცხადია, ვერც დამოძღვრისა და აუდიტორიასთან ურთიერთობის ფორმებს დავივიწყებთ. გარდაქმნა აუცილებელია და იგი ზემოდან უნდა დაიწყოს. ეს კი ურთულესი და უმწვავესი პროცესია. მოდით, პედანტურად ნუ გავიგებთ მაქსიმას: გამოსახვის ახალი საშუალებები ახალ ადამიანებს მოითხოვენ. შეიძლება პროფესორი 30 წელიწადი კითხულობდა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს ან სკკპ ისტორიას, მაგრამ იგი ნიჭიერი, ერუდირებული კაცია და ძალუძს ახალ რელსებზე გადმოსვლა. არ შეიძლება ყველას ერთი არშინით მივუდგეთ. უნივერსიტეტი ოქროს კვეთს ეძებს და, ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული. მაგრამ არა თუ ყველაფერი, ძირითადიც კი ნაკლებ ცნობილია ფართო საზოგადოებისათვის. იქნებ, გვესაუბროთ ამ თემაზე.

რ. მ.: დიახ, ოქროს კვეთი უკვე ვახსენე და ახლაც ვიმეორებ: ისეთი დრო დგას, ყველაფერში და ყველგან საძებნია იგი.

საქართველოში სოციალიზმმა მხოლოდ 70 წელი იარსება და შეიცვალა ფორმაცია, უფრო სწორი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ დავუბრუნდით ძველს, ან უფრო ზუსტად, იმ ფორმაციას, ჩვენს გვერდით რომ არსებობდა და არსებობს თანამედროვე მსოფლიოში. ეს დაბრუნება ძნელი და მტკივნეულია. ამ შემთხვევაში რევოლუცია წარმოუდგენელია, გეთანხმებით, დღეს მოსული თაობაც ის აღარაა, რაც ამ 20-25 წლის წინათ იყო. მათ ძველი „სტანდარტებით" მოაზროვნე დამ-

რიგებელ-აღმზრდელი ვერ გამოადგებათ. თქვენ წარმოიდგინეთ, არა თუ ჰუმანიტარულ სპეციალობებზე, საბუნებისმეტყველოზეც კი მიმდინარეობს ინფორმაციის ბათა გადაფასება და მას, პირდაპირ გეტყვით, დრო სჭირდება. ძველ, ნიჭიერ და უნარიან მეცნიერებს არავინ ჩაგრავს (ვერავინ დაასახელებს უნივერსიტეტიდან ამ მიზეზით წასულებს), მათ გვერდით, თავიანთი სათქმელით ადგილს იკავებენ ახალგაზრდა მეცნიერები.

საზოგადოებამ იცის, მაგრამ საგანგებოდ შევახსენებ ერთ მომენტს: სამი წლის წინათ უნივერსიტეტის ეზოში პერველად გაისმა ეკლესიის ზარის ხმა – დამკვიდრდა წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარი.

ეს იყო უნივერსიტეტში სულიერების დაბრუნების ერთგვარი სიმბოლო.

დღეს ამ ეკლესიას მხოლოდ უნივერსიტეტელთა მრევლი როდი ჰყავს. თბილისის, განსაკუთრებით კი – ვერის, ვაკის, საბურთალოს, მთაწმინდის რაიონების მცხოვრებნი აქეთ მოეშურებიან არა მხოლოდ ჯვრისწერასა და ნათლობებზე, პარაკლისებზე და საეკლესიო დღესასწაულებზე, ისინი აქ მოდიან – თავიანთი რწმენის ტაძართან.

ყველაფერი ეს უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული და მისი სახელიც ახალ შარავანდედს იძენს.

ფილოლოგიის ფაკულტეტზე გავხსენით ქრისტიანული კულტურის და სიტყვიერების ისტორიის ლაბორატორია, შემდეგ კათედრად რომ გარდაიქმნა. საგულისხმო კვლევა-ძიება მიმდინარეობს ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის ფაკულტეტებზე.

ახლახან უნივერსიტეტის 36 ახალგაზრდა მეცნიერი პრეზიდენტის სტიპენდიატი გახდა. ოცდათექვსმეტივე – პროფესორიც, დოცენტიც, ასპირანტიც, ახლებურად მოაზროვნეა.

ნ. ტ.: საბჭოთა კავშირი, რომელიც მსოფლიო ბატონობას ელტვოდა, ნამდვილად არ ძუნწობდა მეცნიერების იმ დარგთა განვითარებისათვის, რომლებიც სამხედრო სიძლიერეს აპირობებენ. ამანაც განსაზღვრა მათემატიკის, ფიზიკის, კიბერნეტიკის, ქიმიის თუ სხვათა განვითარება, ქართველი სწავლულები პირველ ეშელონში აღმოჩნდნენ. ბევრი სერპუხოვოში, დუბნაში და ა. შ. იმაღლებდა კვალიფიკაციას და ქმნიდა სოლიდურ ნაშრომებს. ახლა ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ჭირს თანამშრომელ-ასპირანტთა დიდ სამეცნიერო ცენტრებში წლობით გაგზავნა. უფრო მეტიც, მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში ჩვეულებრივი ხანმოკლე მივლინებაც კი ოცნებად გვექცა.

სხვა მრივაც გავადევნოთ თვალი პროცესებს. უწინ იოლი იყო უცხოური ლიტერატურის შეძენა და მეცნიერების უახლესი მიღწევების გათავისება. ახლა კი... სხვათა შორის, 1996 წელს უნივერსიტეტის – ბიბლიოთეკამ, იგი კი უმდიდრესია რესპუბლიკაში, მხოლოდ ორიოდე რუსული ჟურნალი მიიღო.

ჩნდება შიში, თუ ასე გაგრძელდა, ქართული მეცნიერების ერთი ნაწილი შეიძლება ჩიხში მოექცეს, პროვინციალიზმის ნაჭუჭში ჩაიკეტოს.

ეს რომ არ მოხდეს, რა უნდა მოვიმოქმედოთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. მ.: პირდაპირ უნდა გითხრათ, ქართული მეცნიერების არც ერთი ნაწილი არ მოექცევა ჩიხში და პროვინციალიზმის ნაჭუჭში.

შეჭირვებული ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ხერხდება სამეცნიერო მივლინებები, სტუდენტთა ურთიერთგაცვლა და რაც მთავარია, კონტაქტების მასშტაბები და გეოგრაფია თანდათან იზრდება.

ჩვენი საბუნებისმეტყველო დარგის წარმომადგენლები ინტენსიურად თანამშრომლობენ საზღვარგარეთის პრესტიჟულ დარგობრივ სამეცნიერო ჟურნალებში, ხელმისაწვდომი გახდა ყველა ახალი ინფორმაცია. მაგალითისათვის გავიხსენებ: ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი თითქმის ყოველგვარ ლიტერატურას იღებს და თავადაც სცემს ჟურნალს „გამოყენებითი მათემატიკა, ინფორმატიკა“, რომლის სარედაქციო კოლეგიაში საზღვარგარეთის აღიარებული მეცნიერები არიან.

განვაახლეთ „გეორგიკაც“, დაიძრა ყინული ჰუმანიტართა ქუჩაზეც.

უნივერსიტეტში აშშ-ისა და ინგლისის საელჩოების დახმარებით შექმნილია საინფორმაციო-სამეცნიერო ცენტრები, სადაც მსურველს ყოველგვარი ინფორმაციის ოპერატიულად მიღება შეუძლია, შეუძლია უახლესი გამოცემის გაცნობა. და ბოლოს ჩავერთეთ ინტერნეტში – ელექტრონული ფოსტა წუთების განმავლობაში მოგაწვდით ყველაზე უახლეს ცნობას.

ნ. ტ.: საქართველო დღესაც აზრთა დაპირისპირების ასპარეზია. რამდენად მჟღავნდება ეს უნივერსიტეტში?

საუბარი რომ სწორი კალაპოტით წარიმართოს, იმასაც მოგახსენებთ, ვიცნობ უნივერსიტეტის წესდებას და, ცხადია, მის მეხუთე პუნქტსაც: „უნივერსიტეტში არ დაიშვება რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკური ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულის არსებობა“. ამ დებულებით სრულიადაც არ იკრძალება განსხვავებული შეხედულების პირთა მოღვაწეობა. ოპოზიცია საჭიროა, მაგრამ იგი არ უნდა იწვევდეს დესტაბილიზაციას. ერთნი ამბობენ, უნივერსიტეტი მთვლემარე ვულკანს მოჰგავსო. მეორეთა აზრით, უნივერსიტეტი სავსეა გადანახული დროშებით... რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?

გაყუჩებას ზოგი სიტუაციის მოუმწიფებლობით ხსნის, ზოგიც შიშის სინდრომით.

იხსენებენ 1924 წლის აჯანყებას, რომელიც ბოლშევიკებმა სისხლში ჩაახშეს. იგი ახლა დიდ ეროვნულ აქტად არის მიჩნეული, მაშინ კი გაზეთ „კომუნისტში“ ასეთი დეკლარაციაც გამოქვეყნდა: „უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო საქვეყნოდ გმობს უპასუხისმგებლო და ავანტიურულ გამოსვლას არსებული ძალაუფლების წინააღმდეგ და მას თვლის ქართველი ერის ინტერესების ღალატად“.

ხელს აწერენ ცნობილი მეცნიერები და მამულიშვილები.

გამოუვალი მდგომარეობა, შიში რომ არა, განა ისინი ასე მოიქცეოდნენო.

ამგვარი პარალელები ზურგის გამაგრებას ნიშნავს.

მთავარი მაინც ისაა, რომ დღეს უნივერსიტეტში სიმშვიდე სუფევს. ლექციები მაღალ დონეზე ტარდება და საფუძვლიანი კვლევა-ძიებაც მიმდინარეობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი კომენტარი.

რ. მ.: სანამ გიპასუხებდეთ, თქვენს კითხვაში მცირე კორექტივს შევიტანდი. ახლა საქართველოში არავის აღარავისი ეშინია.

უნივერსიტეტი უნივერსალურია თუნდაც იმითაც, რომ მასში აზრთა სხვადასხვაობა უნდა იყოს და არის კიდეც, მთვლემარე ვულკანისა რა მოგახსენოთ და საბჭოთა პერიოდში აქ მართლაც იყო გადანახული დროშები (ფიზკულტურის დარბაზის სათავსში), რომელთაც წელიწადში ორჯერ – გაზაფხულსა და შემოდგომაზე დემონსტრაციებზე ვშლიდით ხოლმე.

დღეს უნივერსიტეტში ერთი დროშაა და მის გუმბათზე ფრიალებს.

ჩვენს კოლექტივში არიან სხვადასხვაგვარად მოაზროვნენი, მაგრამ ხმამაღლა უნდა ითქვას. როცა ისინი უნივერსიტეტში მოდიან, ერთი მიზანი ამოძრავებთ – ემსახურონ ახალგაზრდების აღზრდას, ემსახურონ მეცნიერებას. ყველა ჩვენგანი ვეძებთ აუცილებელ გზას ერთმანეთთან საერთო ენის გამოსანახავად, როგორი პოლიტიკური შეხედულებისაც უნდა იყოს ჩვენი პედაგოგი იგი აუდიტორიაში ლექტორია. როგორი პოზიციაც უნდა ეჭიროს ჩვენს მეცნიერს, იგი ლაბორატორიაში მკვლევარია, როგორი სულისკვეთებაც უნდა ჰქონდეს სტუდენტს, იგი უნივერსიტეტში ცოდნის შესაძენად მოდის.

უნივერსიტეტი აღარ უნდა გამოვიყენოთ ვნებათაღელვის ასპარეზად.

ახალი წლის წინ დიდმა სამეცნიერო საბჭომ თანამემამულეებს მიმართა: „თანამოაზრეებად შევხვდეთ მესამე ათასწლეულს“.

„მოვლენათა მსვლელობა გვისახავს იმედს, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, კულტურული და ეკონომიკური აღმავლობა რეალურად მიიღწევა, თუკი თავს დამტყდარი ქარტეხილებისაგან აშლილ ქვეყანაში ერთობ მოკლე დროში მიღწეულ სტაბილურობას განვამტკიცებთ, რეალურად შევაფასებთ შექმნილ მდგომარეობას და გადავდგამთ ნაბიჯებს, რომელთა სისწორე უეჭველი იქნება ჩვენთვისაც და ჩვენი მეგობრებისთვისაც მთელს მსოფლიოში.

რა თქმა უნდა, შინაპოლიტიკური ბრძოლები ყველა ქვეყნისათვის არის დამახასიათებელი. ამასთან, დემოკრატიულ ქვეყნებში ყოველთვის მიმართავან გონივრულ კომპრომისებს, როგორც კი გაცხადდება, რომ პოლიტიკურ დაპირისპირებას შეუძლია ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს.

ბრძნულად, მოთმინებით მივეცეთ შემოქმედებითს, აღმშენებელობითს შრომას და თანამოაზრეებად შევხვდეთ ახალ საუკუნეს. მაშინ წარმატება გარანტირებული იქნება“ – ნათქვამია ამ მიმართვაში.

ნ. ტ.: საქართველო, და არა მხოლოდ საქართველო, მოფენილია უნივერსიტეტელებით. ბევრს დიდი პოსტიც უკავია. როგორია მათი დამოკიდებულება ალმა-მატერისადმი?

რ. მ.: ძირითადად კარგი, ბევრ მათგანს ახლაც აქვს კავშირი უნივერსიტეტთან. გვეხმარებიან, როგორც შეუძლიათ, ჩვენც ვეხმარებით. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა, უნივერსიტეტი ხომ, მართლაც, მათი ალმა-მატერია.

ნ. ტ.: წლევანდელი წელი საეტაპოა უნივერსიტეტის ცხოვრებაში. მთავრობის დადგენილებით, მას განსაკუთრებული სტატუსი მიენიჭა. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მნიშვნელოვანი შეღავათით ისარგებლებენ. მარტო ის რად ღირს, რომ ხელფასი 50 პროცენტით მეტი ექნებათ.

მსგავსი გამოცალკევება სხვა ქვეყნებშიც ხდება. მაგალითად, რუსეთში „ფარზე არის აყვანილი" მოსკოვის უნივერსიტეტი, უკრაინაში კიევის უნივერსიტეტი...

ცხადია, მთავრობის ამგვარი ნაბიჯი უნივერსიტეტის პასუხისმგებლობის გაზრდასაც გულისხმობს.

რას გვეტყოდით ყოველივე ამის შესახებ?

რ. მ.: ახლა, როცა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა დავიწყეთ, უნივერსიტეტის პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე განსაკუთრებულია.

განსაკუთრებულია მისი როლიც. სწორედ ამ განსაკუთრებულობის გამო მას თავისი დივიდენდები სჭირდება და მეტად დროულად გადაიდგა საჭირო ნაბიჯი.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს განსაკუთრებული სტატუსი მიენიჭა.

ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ შეღავათს გვიწევენ.

თუ მოსკოვის და კიევის უნივერსიტეტები თავიანთ ქვეყნებში ასეთივე ყურადღებით და პრივილეგიებით სარგებლობენ, ეს აუცილებლობითაა ნაკარნახევი. ასეა ჩვენთანაც და, ბუნებრივია, ეს გადაწყვეტილება თბილისის უნივერსიტეტელებს უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

1998 წ.

გზა გავლილი და გასავლელი
ჟამი დიდი არჩევანისა

როინ მეტრეველი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ასრულებს აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობას. გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე არაერთხელ დაბეჭდილა მისი მეცნიერული, პუბლიცისტური წერილები.

ამჯერად გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის ინტერვიუს როინ მეტრეველთან.

– ბატონო როინ, ეს ორი კვირაა თქვენი ნახვა კი არა, თქვენთან შეხმიანებაც გაჭირდა. მეტად მოუცლელი ბრძანდებით. რაიმე არსებითი ხომ არ ხდება აკადემიაში, კერძოდ, თქვენ სფეროში?

– უკანასკნელ ხანს ძალზე ბევრმა პრობლემამ მოიყარა თავი. ეს არის როგორც მეცნიერული, ისე ორგანიზაციული საკითხები. საქმე ის არის, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება მრავალდარგოვანი და, შესაბამისად, სხვა

განყოფილებებთან შედარებით მრავალრიცხოვანია. ხშირად უცებ წამოჭრილ მიმდინარე საკითხებზეც გვიხდება მუშაობა. განსაკუთრებით დაძაბულია სვეტერ-ბერ-ოქრომბერი, როდესაც განყოფილების ბევრ დაწესებულებაში და უშუალოდ განყოფილებაში ეწყობა სხვადასხვა სახის სამეცნიერო ღონისძიებები. მხედველობაში მაქვს სამეცნიერო შეხვედრები, დიალოგები, სიმპოზიუმები. ახლახან დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ეკონომისტების საინტერესო შეხვედრა – დიალოგი, სადაც მრავალი პრობლემა განიხილეს, მათ შორის – საქართველოს ეკონომიკის კონკრეტული საკითხებიც. ეტალონად აღებულია საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა და პრობლემები ამ ჭრილში განიხილება. ამერიკელი მეცნიერები სოვეტოლოგები არიან და კარგად იცნობენ საქართველოს ცხოვრებას, მის ეკონომიკას და მათი მოსაზრებები მეტად საყურადღებო და აუცილებლად გასათვალისწინებელია.

ორი კვირის წინ დასრულდა არქეოლოგთა სიმპოზიუმი ვანში. იგი ანტიკური არქეოლოგიის პრობლემებს მიეძღვნა და თავისი მასშტაბით ძალზე ფართო იყო. მასში მონაწილეობდნენ მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები. ასევე მინდა მოგახსენოთ, რომ თბილისში შედგა შეხვედრა გერმანელ მეცნიერებთან, რომლებიც იკვლევენ ბიზანტიის სამართლის გავლენას სლავურ და კავკასიურ სამართალზე.

დაგისახელეთ მარტო ორიოდ კვირაში გამართული ღონისძიებები. დღეს მრავალი პრობლემა დგას მეცნიერებათა აკადემიის წინაშე, მაგრამ უპირველესი მაინც მისი დამოუკიდებლობის სტატუსის მოპოვებაა.

– როგორ წარმოგიდგენიათ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მომავალი დამოუკიდებელ საქართველოში?

– დღეს, როდესაც ქართველი ერი ისწრაფვის თვითგამორკვევის უფლებათა განხორციელებისა და საქართველოს სუვერენიტეტის მიღწევისათვის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თავისუფალი მეცნიერული შემოქმედების აუცილებლობა, ესე იგი აკადემიური თავისუფლება, ამჟამად ხორციელდება ღონისძიებები აკადემიური მეცნიერების მართვის თანმიმდევრული დემოკრატიზაციისა და დეცენტრალიზაციისათვის, საკუთრების განსახელმწიფოებრიობისა და აკადემიის ინსტიტუტებისათვის ფართო უფლებების მინიჭებისათვის.

მეცნიერებათა აკადემია ერთ-ერთ ძირითად ამოცანად თვლის უშუალო საერთაშორისო კავშირების დამყარებას საზღვარგარეთის ქვეყნებთან. ამასთან, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ერთობლივი ორგანიზაციებისა და ცენტრების შექმნას, მეცნიერებათა გაცვლას და თანამედროვე საერთაშორისო მეცნიერებათა თანამშრომლობის სხვა ფორმების გამოყენებას.

– ახლა საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს შორის აზრთა დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია. ასეთ პირობებში როგორ გესახებათ მრავალპარტიული პარლამენტის მოღვაწეობა?

– იმ წარმოდგენილი პროგრამებისა და წინასაარჩევნო პლატფორმების მიხედვით ყველა პარტია თავისი მიზანდასახულობით საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება. მთავარი ისაა, რომ ყველა პარტიას და ბლოკს თავის აუცილებელ

ამოცანად მიაჩნია საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვება. ჩემი აზრით, ეს დებულება პარლამენტში არჩეული პარტიების ერთიანობის საწინდარი უნდა გახდეს. წინა პლანზე სრულიად საქართველოს კეთილდღეობისათვის, მისი უკეთესი მომავლისათვის ზრუნვა უნდა დადგეს. აუცილებელი უნდა გახდეს საქართველოს გამოყვანა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან. ფაქტობრივად მოთხოვნა ახალს არაფერს შეიცავს, ლაპარაკია 1918-1921 წლებში არსებულ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენაზე. ვფიქრობ, ყველაზე მთავარი პარლამენტში მისი წევრების თანამოაზრეობა იქნება, რადგან დასახული ერთიანი მიზნის მისაღწევად შეთანხმებული ღონისძიებები უნდა გატარდეს.

– თქვენ რომ პარლამენტის წევრი გახდეთ?

– უყოყმანოდ მხარს დავუჭერ საკითხების გონივრულ გადაწყვეტას განურჩევლად იმისა, რომელი პარტიაც არ უნდა იყოს მისი დაყენების თაოსანი.

– თანამდებობრივად ორგანიზაციული საქმეები მოგეძალათ. მეცნიერებისათვის გასაღები „ხარკი", ალბათ, თავისას მოითხოვს...

– თქვენ ალბათ მხედველობაში გაქვთ პირადად ჩემი მეცნიერული გეგმების განხორციელება, ამ შემთხვევაში მართლაც განვიცდი დროის დეფიციტს. მაგრამ საერთო საქმიანობაც უშუალოდ მეცნიერებასთანაა დაკავშირებული და ამჯერად საერთოდ დახარჯული დრო ვფიქრობ, უსარგებლოდ არ იკარგება.

აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკაში დაძაბული ვითარების გამო ბევრჯერ ისეთ საკითხებზე გვიხდება მუშაობა, რომლებიც, ალბათ, სხვა შემთხვევაში არ იქნებოდა საჭირო. მხედველობაში მაქვს ის რთული პროცესები, სხვადასხვა რეგიონში რომ მიმდინარეობს – ეთნოკონფლიქტებსა თუ ავტონომიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. ყველა ასეთ საკითხს გარკვეული პასუხი უნდა გაეცეს, მხედველობაში მყავს ისტორიკოსები, რომლებიც აღნიშნულ საკითხებზე მუშაობენ და შეძლებისდაგვარად ინფორმაციას აწვდიან მოსახლეობას, უპასუხოდ არ ტოვებენ ჩვენი ისტორიის გაყალბებისა და დამახინჯების ცდებს. ჩვენ ტელევიზიითაც ხშირად გვიხდება გამოსვლა მრავალ საჭირბოროტო საკითხზე. ამოცანა ის არის, საზოგადოებამ იცოდეს ამა თუ იმ პრობლემის ჭეშმარიტი ისტორია. არსებითია, ისიც, რომ ეს ჭეშმარიტება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ფართოდ იქნას გატანილი. ქართველი ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, სამართალმცოდნეები, ეკონომისტები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო სიმპოზიუმების მუშაობაში, სადაც წარსულთან ერთად თანამედროვე საკითხებიც განიხილება. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მიმდინარე წლის ივლისში, ლონდონში ბრიტანეთის საზოგადოებისა და ლონდონის უნივერსიტეტის ინიციატივით გამართული კონფერენცია ამიერკავკასიის უახლესი ისტორიის საკითხებზე. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ისტორიკოსები ამერიკიდან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან, ისრაელიდან, აგრეთვე ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლები. კონფერენციის რეალური მასპინძლები ჩვენი თანამემამულეები – თამარ დანგაძე და რამაზ კლიმიაშვილი იყვნენ.

საქართველოს დელეგაციის წევრებმა პროფესორებმა მერაბ მამარდაშვილმა, ვახტანგ შამილაძემ, გურამ ყორანაშვილმა, გიორგი ცაგარელმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ადა მარშანიამ თავიანთ მოხსენებებში ფართო საზოგადოებას საქართველოში უკანასკნელ ხანს მიმდინარე პროცესების რეალური სურათი წარმოუდგინეს. კონფერენციაზე ჩვენც მოგვიხდა მოხსენებით გამოსვლა, ამგვარ სამეცნიერო შეხვედრებში მონაწილეობა აუცილებელია იმიტომაც, რომ ვუპასუხოთ ზოგიერთ ანტიქართულ გამოხტომას. მხედველობაში მაქვს, მაგალითად, ანდრია სახაროვისა და ალექსანდრე სოლჟენიცინის პუბლიკაციები, რომელსაც გარკვეული რეზონანსი ჰქონდა საზღვარგარეთაც. საგულისხმოა, რომ სრულიად ობიექტურ საწყისებზე ერთ-ერთმა ამერიკელმა მეცნიერმა წარმოადგინა მოხსენება „საქართველოს პოლიტიკა 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ". ხაზს ვუსვამ მოხსენების ობიექტურობას იმიტომაც, რომ მისი ავტორი უცხოელი სპეციალისტი იყო და ძირითადად რეალურ წყაროებს ემყარებოდა.

შემდგომი ამგვარი კონფერენცია მსოფლიო მეცნიერების ფართოდ მოწვევით გათვალისწინებულია გაიმართოს თბილისში. მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ჩატარდა ქართველოლოგთა შეხვედრა, სადაც სამი კვირის განმავლობაში მსოფლიოს თითქმის ყველა ცნობილი ქართველოლოგი, სტაჟირების გავლასთან ერთად, იღებდა ზუსტ ინფორმაციას რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებზე.

ჩვენ ვთვლით, რომ ამ მხრივ მეტის გაკეთებაა საჭირო. მარტო ის, რომ სამეცნიერო წრეებმა მიიღონ ინფორმაცია და აღიარონ ქართველ მეცნიერთა კვლევის შედეგები, არ კმარა. აუცილებელია საზღვარგარეთის საზოგადოებამაც ფართოდ იცოდეს ამის შესახებ. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ავცდებით იმ გაუგებრობებს, უცხოეთის პრესაში თუ ცალკეულ გამოცემებში რომ გვხვდება. მე არ გამოვრიცხავ ზოგჯერ ფაქტების შეგნებულ გაყალბებასაც. თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსი ჟ. ლეგოფი ამბობს: როცა საზოგადოება თვლემს, ისტორიკოსები უნდა ფხიზლობდნენო. საბედნიეროდ, ჩვენი საზოგადოება ფხიზლადაა, შემართულია ეროვნული პრობლემების მოსაგვარებლად და, ბუნებრივია, მეცნიერებიც მათ გვერდით უნდა იდგნენ.

საზღვარგარეთ სხვადასხვა ფორუმებზე ქართველი მეცნიერები თავიანთ გამოსვლებში შუქს ჰფენენ მრავალ საჭირბოროტო საკითხს, რომელთა მიმართ ინტერესი საგრძნობლად გაზრდილია. აკადემია თვლის, რომ მაქსიმალურად უნდა გაფართოვდეს კონტაქტები საზღვარგარეთელ მეცნიერებთან იმ ვარაუდით, რომ კვალიფიკაციის ამაღლებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებასთან ერთად უცხოელებს მივაწოდოთ ჭეშმარიტი ისტორიული ფაქტები საქართველოს წარსულისა და მისი დღევანდელობის შესახებ.

მთელ რიგ პრობლემებზე, იქნება ზოგადქართული საკითხი თუ რეგიონალური, ვთქვათ აფხაზეთის, ან ოსეთის ისტორიის შესახებ, არაერთი ნაშრომია გამოქვეყნებული. სულ ცოტა ხნის წინათ კი შეზღუდული ვიყავით, საშუალებას არ გვაძლევდნენ, სათანადო პასუხი გაგვეცა საქართველოს ისტორიის გამყალ-

ბებელთათვის. უფრო მეტიც, რეალურად დაგვეწერა ესა თუ ის ისტორია, რომელიც კონიუნქტურას ეწინააღმდეგებოდა. „იკრიჭებოდა“ გამოსაცემი წიგნები, საკმაოდ სოლიდური გამოცემები, ზოგი მათგანი საერთოდ ვერ ნახულობდა დღის სინათლეს. ავტორები კი ოფიციოზისაგან შეირისხებოდნენ, აქაოდა წარსულის გამოჩენილ მოღვაწეთა იდეალიზაციას ახდენთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიტანთ ერთ მაგალითს, 1974 წლის 8 თებერვალს „კომუნისტში“ დაიბეჭდა რესპუბლიკის ხელმძღვანელის გამოსვლა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXV კონფერენციაზე, სადაც ითქვა:

„წინათ რესპუბლიკის იდეოლოგიურ ცხოვრებაში იყო ფაქტები, როცა პოპულარიზაციას უწევდნენ საქართველოს ისტორიაზე ანტიმარქსისტულ შეხედულებებს, აზვიადებდნენ მეფეებისა და დედოფლების როლს, იყო ფეოდალური საქართველოს კულტი და სხვ.

ჩვენ სავსებით რეალურად ვაფასებთ იმას, რომ საჭიროა ისტორიული წარსულის მეცნიერული შესწავლა, მაგრამ ეს უნდა გვეხმარებოდეს მომავლის უკეთ განჭვრეტაში. ესე იგი, წარსულს რომ ვსწავლობთ, ფაქტიურად მომავლისაკენ უნდა ვიყურებოდეთ. ხატოვნად რომ ვთქვათ, წარსულს უნდა ვუყურებდეთ მომავლის თვალით, თორემ წარსულის შესწავლა თვითმიზანი გახდება.

ბევრ მეცნიერულ შრომაში საქართველოს ისტორიის მრავალი საკითხის მცდარ გაშუქებას, წარსულის იდეალიზაციის ზოგიერთ ტენდენციას ყურადღებას აქცევს სკკპ ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებაში თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. ასეთი შეცდომები იყო არა მარტო რიგით მეცნიერთა, არამედ ცალკეულ ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა შრომებშიც. მათ შორის სცოდავდა ცენტრალური კომიტეტის წევრი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილე ამხ. მეტრეველი.

პარტიულმა აქტივმა იცის, რომ იგი გაკრიტიკებული იყო სრულიად საკავშირო თათბირების ტრიბუნებიდან, შემდეგ იგი გააკრიტიკა ცენტრალურმა პრესამ. ცენტრალური პრესის ეს სტატიები (? – მხოლოდ ერთი სტატია იყო – რ. მ.) ითარგმნა და გამოქვეყნდა ქართულ პრესაში. ამხ. მეტრეველის კრიტიკა ამას წინათ კვლავ გაისმა საკავშირო ტრიბუნიდან. ბუნებრივია ისმება კითხვა: როგორ უყურებს ამ კრიტიკას თვითონ ავტორი?

იგი დუმს. იგი უბრალოდ უგულებელყოფს კრიტიკას, რაც მიუტევებელია არა მარტო ცენტრალური კომიტეტის წევრისათვის, არამედ ყოველი რიგითი კომუნისტისთვისაც. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამხ. მეტრეველი სერიოზულად არ ეკიდება პარტიული ცხოვრების ელემენტარულ ნორმებს. სხვაგვარად რით უნდა ავხსნათ პარტიული კრიტიკის უგულებელყოფა? ასე არ ხდება ხოლმე, კრიტიკას ან ეთანხმებიან, ან უარყოფენ. თანაც ეს, როგორც წესი, საჯაროდ კეთდება, მეტრეველი კი დუმს, არა სურს აზრის საჯაროდ გამოთქმა. ეს კი სწორი არ არის! სამწუხაროდ, ამხ. მეტრეველი გამონაკლისი როდია, მწვავე მომენტებს თავს არიდებს ზოგიერთი სხვა კომუნისტიც. ვფიქრობ, რომ ეს არ შეშვენით ლენინური პარტიის წევრებს“...

ასეთი კრიტიკის შედეგების კომენტარისაგან ამჯერად თავს ვიკავებთ. მკითხველს კი ვაცნობებ, რომ საკავშირო პრესაში, კერძოდ „ლიტერატურნაია გაზეტაში“ მართლაც დაიბეჭდა 1972 წლის 15 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილის – ა. იაკოვლევის ვრცელი სტატია: „Против антиисторизма“.

ამ სტატიაში, სხვათა შორის, ასეთ დებულებას ვხვდებით: „Когда нарочито идеализируется прошлое, да еще при нечетких социальных позициях, возникает нелепый спор, чей царь лучше, а заслуги тех или иных деятелей доводятся до превосходных степеней“...

ამის მაგალითად მოტანილია ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ 1970 წლის მერვე ნომერში დაბეჭდილი სტატია ავტორისა და სათაურის მოუხსენიებლად(!). ავტორი კი მე გახლავართ, სტატიის სათაურია „თამარის სახე ხალხურ შემოქმედებაში“ (სხვათა შორის, ეს სათაური არც „კომუნისტში“ დაბეჭდილ გამოსვლაშია მოხსენიებული. ეს სტატია 1966 წელს დაიბეჭდა „ცისკარში“, 1970 წელს კი შემოკლებული თარგმანი დაბეჭდა „ლიტერატურნაია გრუზიამ“).

საქმე ის გახლავთ, რომ ხალხური შემოქმედება ის ფენომენია, რომლის „нечетких социальных позициях“-ზე ლაპარაკი (ჩვენ თამარის შეფასებისას სწორედ ხალხის აზრი მოგვაქვს) ცოტა უხერხულია. ეს არ შეიძლებოდა ა. იაკოვლევს არ სცოდნოდა. ახლა ძნელია იმის მტკიცება, მას უშუალოდ აქვს თუ არა ბოლომდე წაკითხული ეს სტატია. მე ამაში ეჭვი მეპარებოდა. ერთი კი ფაქტია: შემთხვევითი არ არის სათაურის მოუხსენებლობა. რაც შეეხება მის მტკიცებას „возникает нелепый спор, чей царь лучше“ – ამგვარი რამ არათუ ისტორიკოსს, ჭკუათმყოფელ საშუალო განათლების ქართველსაც არ მოსვლია აზრად და არც არასდროს ყოფილა. ა. იაკოვლევმა ალბათ არ იცოდა, რომ დიდ ქართველ მოღვაწეებზე, მათ შორის თამარზეც, სწორედ კონიუნქტურის გამო, სრულყოფილი მონოგრაფიაც კი არ გაგვაჩნია, თორემ ვერ იტყოდა ასე ხმამაღლა: „заслуги тех или иных деятелей доводятся до превосходных степеней...“.

ამჯერად, საბედნიეროდ, საშუალება მოგვეცა, რომ ობიექტური პასუხი გაეცეს ყველა საკითხს, რომელიც კი ჩვენს წინაშე დადგება. ჩვენ სულ ახლახან გამოვეცით თავისი პირვანდელი სახით ნიკო ბერძენიშვილის წიგნი – „საქართველოს ისტორიის საკითხები“ (მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის), რომელშიც განხილულია საქართველოს ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის პოლიტიკური, ეთნიკური, სოციალური გეოგრაფიის, აგრეთვე ტოპონიმიკის საკითხები. აქ მოცემულია მეცნიერის მოსაზრებანი საქართველოს სხვადასხვა კუთხის („ქვეყნების“) ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების საკითხებზე. დიდი ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა მონაწილეობას ქართული სახელმწიფოს ერთიანი ორგანიზმის ჩამოყალიბებაში.

სამწუხაროა, რომ ზოგჯერ შეუთანხმებლობაა ქართველ და აფხაზ ისტორიკოსებს შორის სრულიად ცხად და ჭეშმარიტ საკითხებზეც კი. წინა თაობა უფრო მარტივად წყვეტდა ამგვარ პრობლემას.

ვფიქრობ საინტერესო მასალები გამოქვეყნდა აკადემიის ჟურნალ „მაცნეში“ (ისტორიის სერია). მხედველობაში მაქვს 1-2-3 ნომრები, სრულიად დამაჯერებელი იყო ცალკეული ისტორიკოსების პუბლიკაციები ოსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე. აქვე მინდა აღვნიშნო ქართველ ისტორიკოსთა, ფილოსოფოსთა და სამართალმცოდნეთა აქტიური მონაწილეობა საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ გამოყოფილ ოსეთის პრობლემების შემსწავლელ კომისიაში. ჭეშმარიტ ისტორიულ წყაროებსა და ღრმა მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებული მასალა სათანადო დასკვნებით რამდენიმე თვის წინ წარედგინა უზენაეს საბჭოს, მთელი რიგი მასალები ქვეყნდება „მაცნეს“, მე-3, მე-4 ნომრებში.

– პირადად თქვენ რაზე მუშაობთ ამჟამად?

– ჩემი კვლევითი ინტერესები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიას ეხება, სხვადასხვა დროს უშუალოდ საქართველოს ისტორიის გარდა, გამოქვეყნებული მაქვს შრომები ქართული ისტორიოგრაფიისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში. ვფიქრობ, უახლოეს ხანში გამოვცე მონოგრაფია მეფე თამარის შესახებ.

რაც შეეხება მუშაობის დაძაბულობას, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ასე იყო კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე ყოფნისას. კომკავშირის 10 წელი და პარტიული საქმიანობის ორნახევარიც მძიმე და რთული იყო.

როცა ქართული ენციკლოპედიის გამოცემაზე ვმუშაობდით, იყო შემთხვევა, რომ ღამეებს ვათევდით. ასე ხდებოდა სულხან-საბა ორბელიანის (ყოფილი პუშკინის) სახელობის პედინსტიტუტში ჩემი რექტორად მუშაობის დროსაც. პირველ დაწესებულებაში 1972 წლიდან მოკიდებული 13 წელზე მეტი ვიმუშავე, მეორეში – სამი. ყველაფერს ამას ისიც ემატება, რომ 1965 წლიდან, ასპირანტურის დამთავრებისა და საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ, თითქმის უწყვეტლივ ვმოღვაწეობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – ვკითხულობ საქართველოს ისტორიის ზოგად კურსს, სპეცკურსებს.

კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბერში მონაწილეობა მივიღე მსოფლიო ისტორიული მეცნიერების XVII კონგრესის მუშაობაში, რომელიც მადრიდში გაიმართა. იქ მოხსენება მქონდა საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხის შესახებ. ამჯერად კვლავ ვაგრძელებ ამ მიმართულებით მუშაობას, ზოგი რამ კიდევ დაემატა ჩემს დატვირთვას: ამირჩიეს გელათის სახალხო აკადემიის რექტორად. იმავე დღეს დაარსდა გელათის სასულიერო აკადემია (რექტორი ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი კალისტრატე), ორივე რექტორმა მივიღეთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეს ლოცვა-კურთხევა. შევთანხმდით, რომ ერთობლივად ვიღვაწებთ სასულიერო აკადემიასთან ერთად. ეს შეთანხმება ხორციელდება კიდეც. ამ ორიოდე დღის წინ დიდი პატივი მხვდა წილად – გელათის სასულიერო და სახალხო აკადემიების ერთობლივ სხდომაზე პირველი ლექცია წავიკითხე. შემდეგ კი სასულიერო აკადემიის მსმენელებისათვის საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსის კითხვა დავიწყე. სპეცკურსი – „საქართველო XII საუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კუნეში“ კი – ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის II-III კურსის სტუდენტებთან.

ასე, რომ, საქმე ბევრია.

1990 წ.

ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება

გვესაუბრება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ბატონი როინ მეტრეველი

– ბატონო როინ, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ძალზე სერიოზული პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ცვლილებების ფონზე განსაკუთრებული ადგილი უკავია განათლების სისტემის რეფორმას. თქვენ რა მნიშვნელობას ანიჭებთ ამ მოვლენას და როგორ გესახებათ მისი განხორციელება?

– განათლების მომავალი დღეს არამარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს კულტურული საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ყურადღების საგანია. დღეს, ორი საუკუნის მიჯნაზე, უნდა შევაჯამოთ გაწეული საქმიანობა, დავსახოთ ახალი გზები და მიმართულებები. უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუ რას გადასცემს XXI საუკუნეს ჩვენი ურთულესი, წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქა. უმნიშვნელოვანესი, მსოფლიო მასშტაბის პრობლემები მჭიდროდ უკავშირდება ადგილობრივ, რეგიონალურ საკითხებს. სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ განათლების კერების, და კერძოდ, უნივერსიტეტების ფუნქცია ქვეყნის განვითარების პროცესში. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ უნივერსიტეტებს ყოველთვის განმსაზღვრელი როლი ენიჭება ქვეყნის განვითარების საქმეში. ვგულისხმობ ტრადიციულ, კლასიკური ფორმის უნივერსიტეტს. ვთქვათ ისეთს, როგორიცაა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დღევანდელ საქართველოში რეალურად დგას განათლების სისტემის საფუძვლიანი გარდაქმნის საკითხი. საერთოდ, განათლების სისტემის სრულყოფა მუდმივი პროცესია. ეს სისტემა მუდმივად უნდა ვითარდებოდეს და ახალ-ახალ თვისებებს იძენდეს ქვეყანაში პოლიტიკური თუ ეკონომიკური სიტუაციის შესაბამისად. ჩემი აზრით, დღეს ჩვენი უპირველესი ამოცანაა უმაღლესი განათლების მაქსიმალურად რაციონალური მოდელის შექმნა. ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებმა მოძებნეს საკუთარი გზა და სწავლების რამდენამდე მარჯვე სისტემაც შექმნეს. ჩვენ ამგვარ სრულყოფამდე ჯერჯერობით ბევრი გვაკლია. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, განათლების სისტემის გარდაქმნის საკითხი რეალურად დგას. ამ პროცესში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის მიღწევები, რაც აქამდე გვქონდა. არ შეიძლება ხელი ვკრათ ათეული წლების განმავლობაში შეთვისებულ და მიღებულ ნორმებს.

ყოველგვარი სიახლე ამ საფუძველზე უნდა აშენდეს, მას უნდა შეერწყას. რეფორმა აუცილებელია და ეს რეფორმა ევოლუციური გზით უნდა გატარდეს, ნგრევა უნდა გამოირიცხოს. განათლება კონსერვატული დარგია და ცვლილება თანდათანობით, ნელ-ნელა უნდა მოხდეს.

– ცნობილია, რომ ბოლო წლებში ჩვენი სპეციალისტები საუნივერსიტეტო კონცეფციაზე მუშაობდნენ. რას ითვალისწინებს ეს კონცეფცია, საერთოდ რას გვეტყვით მის შესახებ?

– განათლების კონცეფცია გახლავთ ის მძლავრი ბერკეტი, რომელიც აუცილებლად სჭირდება ქვეყანას თავისი საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმართვისათვის. ამდენად, მისი შექმნა გარდაუვალია, თუკი ქვეყანა განვითარების ახალ გზას ადგას. საერთოდ, მიგვაჩნია, რომ საქართველოს ყაიდის ქვეყანაში განათლებას უთუოდ პრიორიტეტი უნდა ენიჭებოდეს. სხვაგვარად ქვეყანა დაიღუპება. აუცილებელია არა მხოლოდ უმაღლესი განათლების, არამედ ზოგადად განათლების კონცეფცია, სადაც გათვალისწინებული იქნება პრობლემები დაწყებული ნული კლასიდან, დამთავრებული უმაღლესი სასწავლებლის ბოლო კურსით.

დღევანდელი გართულებული ამოცანების გადასაწყვეტად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა საუნივერსიტეტო განათლების კონცეფცია, რომელიც საუნივერსიტეტო საბჭომ დაამტკიცა. მოგეხსენებათ, ჩვენ ავტონომიური, დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებელი ვართ, ასე რომ, გვაქვს ჩვენს მიერ დამტკიცებული პროგრამა და ამ ახალი კონცეფციით უკვე სამი წელია, ვმუშაობთ.

ამ კონცეფციის მიხედვით, სტუდენტები უმაღლეს განათლებას იღებენ ორ ეტაპად. სასწავლებელში შემოსული სტუდენტი ოთხი წლის შემდეგ ბაკალავრის ხარისხთან და კურსდამთავრებულის სტატუსთან ერთად იღებს უფლებას, იმუშაოს განათლების, სახალხო მეურნეობისა თუ კულტურის შესაბამის სფეროებში. მეორე ეტაპი – მაგისტრატურა – განკუთვნილია წარჩინებული სტუდენტებისათვის, აქ ახალგაზრდები ორი წლის განმავლობაში სწავლობენ კონკრეტულ სპეციალობას. სამაგისტრო გამოცდების ჩაბარებისა და ნაშრომის წარდგენის შემდეგ იღებენ მაგისტრის წოდებასა და უფლებას, დაიკავონ შედარებით მაღალი თანამდებობა; გარდა ამისა, მაგისტრს შეუძლია სწავლის გაგრძელება ასპირანტურაში.

საუნივერსიტეტო კონცეფციაში, ფაქტობრივად, გათვალისწინებულია მსოფლიოს საუკეთესო უმაღლესი სკოლების გამოცდილება, მიღწევები, ქართული საგანმანათლებლო სკოლის საკმაოდ მდიდარი ტრადიციები, სპეციფიკა. ასე მივიღეთ უმაღლესი განათლების ახალი მოდელი, რომელიც, ჩვენი აზრით, სავსებით პასუხობს დღევანდელობის მოთხოვნებს.

– როგორც ვიცი, კონცეფციაზე მუშაობა კვლავ გრძელდება.

– დიახ, გრძელდება. საქმე ისაა, რომ ჩვენი კონცეფცია საფუძვლად დაედო სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების კონცეფციას. როდესაც სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭომ დასვა ეს საკითხი, შევთავაზეთ

ჩვენი კონცეფცია რომელიც ამ საბჭომ გარკვეული ცვლილებების შემდეგ მიიღო. ამის მერე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ისევე, როგორც სხვა უმაღლესი სასწავლებლები, ჩაერთო განათლების ზოგადი კონცეფციის შექმნაზე მუშაობაში. პრაქტიკულად ეს კონცეფცია უკვე მზად არის. სამინისტროში მიღებულია; რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სამთავრობო დონეზეც აპრობირებულია. ახლა ალბათ პარლამენტმა უნდა მიიღოს რაღაც დოკუმენტი კანონის სახით. რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი უკვე მუშაობს ამ კონცეფციით, რომელიც გაცილებით რაციონალურია არსებულთან შედარებით. ეს ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია.

საერთოდ, უმაღლესი განათლების რეფორმის გზაზე არაერთი მნიშვნელოვანი კონსულტაცია, შეხვედრა, თათბირი, სემინარი ჩატარდა. უნივერსიტეტში მოვაწყეთ საერთაშორისო მასშტაბის რამდენიმე ღონისძიება. უცხოელი ექსპერტების მონაწილეობამ საშუალება მოგვცა მაქსიმალურად მისაღები და რაციონალური კონცეფცია მოგვემზადებინა.

– სახელმწიფო სწავლებასთან ერთად დღევანდელობამ ფასიანი სწავლების აუცილებლობაც მოიტანა. ცნობილია თქვენი დამოკიდებულება ფასიანი სასწავლებლების მიმართ, მაგრამ საერთოდ ფასიანი სწავლების ფორმაზე რა არის ბრძანდებით?

– პრინციპულად ფასიანი სწავლების წინააღმდეგი არ გახლავართ. ამ ფორმას ნამდვილად აქვს არსებობის უფლება. მეტსაც გეტყვით – ისეთ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებშიც კი, როგორიცაა, ვთქვათ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური უნივერსიტეტი თუ სხვა. გარკვეულწილად შემოვიღეთ ფასიანი სწავლება. დრომ და ვითარებამ გვაიძულა, ეს ნაბიჯი გადაგვედგა. სამწუხაროდ, ფასიანი სწავლება ცოტა არ იყოს, დამახინჯებულად გვესმის. დღეს კომერციული სასწავლებლები შეკრებენ გარკვეულ თანხას, დაიქირავებენ ოთახს და იწყებენ „მუშაობას". ფასიანი სწავლება სულ სხვა რამ არის. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპაში ამგვარ სწავლებას სრულიად განსხვავებული ფორმა აქვს. ვთქვათ, გერმანიაში ყველა უმაღლესი სასწავლებელი სახელმწიფოა, დიდ ბრიტანეთში ძირითადად სახელმწიფო სასწავლებლებში იღებენ უმაღლეს განათლებას, ამერიკაში არსებობს ფონდები სტუდენტების დასაფინანსებლად. წარჩინებული სტუდენტი თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისგან, მეტსაც გეტყვით – სტიპენდიაც ეძლევა. დანარჩენი სტუდენტებისთვის აშშ ფედერალური მთავრობა ყოველწლიურად გამოჰყოფს 20 მილიარდ დოლარს სესხად. ეს იმას ნიშნავს, რომ სტუდენტს შეუძლია, ამ ფულით ისწავლოს, მაგრამ სწავლის დასრულების შემდეგ ოცი წლის განმავლობაში ვალი უნდა გაისტუმროს. ეს არც ისე ძნელია, რადგან უმაღლესი სასწავლებელი გარკვეულ გარანტიებს იძლევა. მაღალი დონის – ვთქვათ, ჰარვარდის, ბერკლის – კურსდამთავრებულებს უწყებები თვითონ ეძებენ და ასეთ კაცს სამსახურის პრობლემა აღარა აქვს. ხდება, რომ ვიღაც ამ თანხას მთლიანად ვერ იხდის. ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში სახელმწიფო

გარკვეულ დათმობაზეც მიდის და შეღავათს უწევს პიროვნებას. ეს ძალიან კარგად მოფიქრებული სისტემაა. ახალგაზრდა თავიდანვე გრძნობს პასუხისმგებლობას, სწავლაზეც გაფაციცებულია, რადგან ფულს იხდის, ეს თანხა გასასტუმრებელი აქვს და ამიტომ, მაქსიმალურად უნდა შეიძინოს ცოდნა, რომ მერე ხელფასიც უკეთესი ჰქონდეს და ვალის გადახდაც გაუადვილდეს.

დიდ ბრიტანეთში, როგორც მოგახსენეთ, ძირითადად, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებია. ფულს უშუალოდ ძალზე მცირე პროცენტი იხდის. ის გადასახადიც სიმბოლურია.

ახლა რაც შეეხება ჩვენს ფასიან სასწავლებლებს. მე მიმაჩნია, რომ ჩვენში ასე სოკოებივით მომრავლებულ დაწესებულებებს ნაკლებად შეეფერება ტერმინი „უმაღლესი სასწავლებელი". ახლა სახელები ნახეთ – აკადემია, უნივერსიტეტი. ასე არ შეიძლება. თვითონ სიტყვა „უნივერსიტეტი" გვეუბნება, რომ ამ სახელის დაწესებულება უნივერსალურ ცოდნას უნდა იძლეოდეს. უნივერსიტეტში, სხვას რომ თავი დავანებოთ, სადოქტორო დისერტაციას მაინც უნდა იცავდნენ.

მე მიმაჩნია, რომ უნდა არსებობდეს უმაღლესი განათლების სახელმწიფო სტანდარტი, რომელიც ერთი უნდა იყოს ყველასთვის – როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სასწავლებლებისათვის. ნებისმიერი სასწავლებელი უნდა ემორჩილებოდეს ამ კანონს, დიპლომიც შესაბამისად უნდა გაიცეს. ჩვენთან ამ მხრივ სრული განუკითხაობაა. ამის მიზეზად მე სახელმწიფოს დაუდევრობა მიმაჩნია. გაუმართლებლად დაგვიანდა ახლადშექმნილი კომერციული სასწავლებლების აკრედიტაცია. ეს სისტემა თავის ნებაზეა მიშვებული, ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს. არ გამოვრიცხავ, რომ აქა-იქ რამდენიმე კომერციული სასწავლებელი ნორმალურად მუშაობდეს, მაგრამ ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია.

აბსურდად მიმაჩნია, რომ საქართველოში 300 უმაღლესი სასწავლებელია. მეტსაც გეტყვით. ჩვენს ქვეყანაში დღეს ოცზე მეტი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელია, და ჩემი აზრით, ესეც ზედმეტია. ქვეყანა უნდა ითვალისწინებდეს საკუთარ მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს. უნდა ვიცოდეთ, რისი საშუალება გვაქვს. ვგულისხმობ პოტენციას, სასწავლო ძალას, პროფესურას, ბაზებს. უნდა გითხრათ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უჭირს ამ მხრივ. წარმომიდგენია, სოფლებსა და დაბებში გახსნილ უნივერსიტეტებში რა მდგომარეობაა.

ერთი სიტყვით – საერთოდ ფასიანი სწავლების მომხრე ვარ, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ამგვარი სწავლების ჩვენში გავრცელებული, დამახინჯებული ფორმისა.

– ბაზების გასაჭირზე ბრძანებდით. ბოლო პერიოდში, როცა ქვეყანაში ყოველგვარი სისტემა დაინგრა და მოიშალა, უნივერსიტეტის ქონებაც ხომ არ დაიტაცეს, ხომ არ განიავდა?

– დატაცებით არა; იყო ძარცვის შემთხვევები, კომპიუტერები წაიღეს. საერთოდ კი ძალიან გვიჭირს. დღეს უნივერსიტეტში საკმაოდ მძლავრი ბირთვია. სულ 30.000 სტუდენტი გვყავს, აქედან 20.000 თვითონ უნივერსიტეტში, დანარჩენები – ფილიალებში. გვაქვს 18 ძირითადი ფაკულტეტი, ორი სპეცფაკულტეტი, ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი – გამოყენებითი მათემატიკისა და მაღალი ენერგეტიკის ფიზიკის, გვაქვს დიდი ბიბლიოთეკა, გამომცემლობა, 15 კათედრა, 80-მდე ლაბორატორია. ამას ყველაფერს მიხედვა უნდა.

აქვე მინდა შემთხვევით ვისარგებლო და მადლობა ვუთხრა ჩვენს მზრუნველებს, რომელთა დახმარების გარეშე ძალიან გაგვიჭირდებოდა. არსებობს საუნივერსიტეტო ფონდი, რომელიც ხელს გვიმართავს. ამას წინათ სოლიდური თანხა გამოგვიყო რუსთავის მეტალურგიულმა კომბინატმა. ეს თანხა ბანკ „გულანში" შევიტანეთ და დივიდენდებით და სხვა შემოწირულობებით ავაშენეთ დავით აღმაშენებლის ეკლესია. მე პირადად, ძალიან მიხარია, რომ ეს აუცილებელი საქმე გაკეთდა. დავით აღმაშენებლის დღეს გახსნილ თბილისის უნივერსიტეტში ამ დიდი მამულიშვილის სახელზე აიგო ტაძარი.

– როგორც ვიცით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალები წარმატებით მუშაობენ...

– დიახ, ფილიალები გვაქვს ახალციხეში, სოხუმში... ეს ფილიალი, სამწუხაროდ, ახლა აქ არის. წელს სიღნაღში გავხსენით კიდევ ერთი ფილიალი, რომელიც, სხვათაშორის, ძალიან საინტერესო ფორმით შეიქნა. თვითონ რაიონის ხელისუფლებამ დააფინანსა ეს საქმე – გამგეობებმა, სოფლებმა. ამ სოფლების წარმომადგენლები სწავლობენ კახეთის ფილიალში, დამთავრების შემდეგ კი უკან დაბრუნდებიან, სახელმწიფოს არაფერი არ ეხარჯება.

მომავალი მე ასე მესახება: ქვეყანა უნდა განიტვირთოს უმაღლესი სასწავლებლებისგან. მას შეუძლია დაიტოვოს მაქსიმუმ – ორი უმაღლესი სასწავლებელი. დანარჩენებს მუნიციპალიტეტებმა მიხედონ და მდგომარეობა ნამდვილად გაუმჯობესდება.

– რა დასამალია, და ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები სავალალო მდგომარეობაში არიან. კვლავ სიმბოლურია მათი ხელფასი, პროფესორი თავისი ხელფასით, სურსათს რომ თავი დავანებოთ, წიგნს, ჟურნალ-გაზეთებს ვეღარ ყიდულობს... როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს?

– ამ საკითხის მოგვარება დღეს ძალზე მნიშვნელოვან საქმედ მიმაჩნია. პროფესორი მართლაც უმძიმეს მდგომარეობაშია მატერიალურად. უკიდურესი დაძაბულობა და ძალისხმევაა საჭირო, რომ კაცმა ამ ვითარებაში ღირსება არ დაკარგოს. ჩვენ დასმული გვაქვს ეს საკითხი პრეზიდენტის წინაშე და იმედი გვაქვს, დადებითად გადაიჭრება. ხელფასების თანრიგების საკითხია გადასაწყვეტი. აქ მარტო მომატებაზე არ არის ლაპარაკი. 10-15 წლის წინ პროფესორს მინისტრზე მაღალი ხელფასი ჰქონდა და დალხინებით არა, მაგრამ ნორმალურად ცხოვრობდა. დღეს, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით. მინისტრი მაღალ დონეზე დარჩა, პროფესორი კი რამდენიმე თანრიგით ჩამოქვეითდა. ეს დაუშვებლად მიმაჩნია, და იმედი მაქვს, რომ ეს ხარვეზი გამოსწორდება. ნეღანაც მოგახსენეთ – განათლებას პრიორიტეტი უნდა ჰქონდეს. სწორედ ამ გზით მიაღწიეს უდიდეს წარმატებებს უმწირესმა ქვეყნებმა – იაპონიამ და ისრაელმა. უკეთესი ხვალინდელი დღისთვის ქვეყანამ ყველაფერი უნდა გააკეთოს; ხელი უნდა შეგვიწყონ. ასეთ

პირობებში ბევრი იძულებულია, სხვაგან წავიდეს, დარჩეს... დღეს ვფიქრობთ, რომ ქვეყანაში ბევრი სასიკეთო ძვრა მოხდა და უმაღლესი განათლება გადარჩა, მაგრამ გადარჩენის აუცილებელი პირობაა სოციალური საკითხის მოგვარება, როგორც მეცნიერებისთვის, ისე პროფესორ-მასწავლებლებისთვის.

– ბუნებრივია, საერთო მდგომარეობა განსაკუთრებულ დაღს ასვამს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. თქვენ, როგორც უნივერსიტეტის რექტორი და მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, როგორ ფიქრობთ, საფრთხე ხომ არ ემუქრება ეროვნული მეცნიერების განვითარებას? როგორ გესახებათ ქართული მეცნიერების მომავლი?

– დღეს ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაშია, ამიტომ, ჩემი აზრით, უნდა ზუსტად განვსაზღვროთ და გავანაწილოთ პრიორიტეტები, გადავწყვიტოთ, რა სფეროს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა დაფინანსებისას. მე მგონია, რომ ქვეყანამ როგორმე აუცილებლად უნდა მოახერხოს შენარჩუნება იმ სამეცნიერო პოტენციალისა, რაც საქართველოს გააჩნია. ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ უდიდესი, უმდიდრესი ქვეყნები, რომლებსაც ეროვნული მეცნიერება საერთოდ არა აქვთ. თუნდაც ინდოეთი. ამ ერთობ მრავალრიცხოვან ქვეყანას არ გააჩნია ისეთი სამეცნირო პოტენციალი, რომელიც გაუძლებდა მსოფლიო კონკურენციას. უმდიდრესი ქვეყანაა ემირატები, მაგრამ მეცნიერება არა აქვს. ჩვენში მეცნიერების ბევრი დარგი საკმაოდ მაღალ დონეზეა. ამის დაკარგვა არ მიმაჩნია სწორად. რაღაც საშუალება უნდა გამოინახოს მეცნიერების გადასარჩენად. ჩვენი სახალხო მეურნეობა ნაკლებად იყენებს მეცნიერების მიღწევებს. საერთოდ, ჩვენში სახალხო მეურნეობა ყოველთვის კონსერვატორული იყო და ეჭვით უყურებდა ყოველგვარ სიახლეს. უნივერსიტეტში ბევრი საინტერესო მიღწევა თუ აღმოჩენა გვაქვს. სოფლის მეურნეობისა და მრეწველობისთვის მათი დანერგვა ძალზე სასარგებლო იქნება. თქვენ წარმოიდგინეთ, გერმანიასთან გამოვნახეთ საერთო და ჩვენი ლაბორატორიების თანამშრომლებს უამრავ საკითხს უკვეთავენ დასამუშავებლად. საქართველოში კი ინტერესს არავინ იჩენს. მესმის, რომ რაღაც შეიძლება დღევანდელი მდგომარეობის ბრალიც იყოს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საკუთარ მიღწევებს ყოველთვის ეჭვის თვალით ვუყურებთ.

ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს მეცნიერების გადასარჩენად. მე არ ვლაპარაკობ ფორმებზე. შეიძლება რეორგანიზაციაც მოხდეს, შეიძლება აუცილებელი გახდეს გარკვეული ცვლილებები, მაგრამ არსებითად მეცნიერება უნდა გადარჩეს. ჩვენ უზარმაზარი სკოლები გვაქვს – მათემატიკის, ფიზიოლოგიის, კავკასიოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის... ამას ყველაფერს სახელმწიფომ უნდა მოუაროს. რა თქმა უნდა, თუ ხვალინდელ დღეზე ვფიქრობთ, თუ გვინდა, რომ რეალურად გადავრჩეთ.

– პირადად თქვენ თუ ახერხებთ სამეცნიერო მუშაობას?

– რექტორის დროის უდიდესი ნაწილი იხარჯება საორგანიზაციო საქმიანობაზე. თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი უამრავი საქმითაა დაკავებული; გარდა იმისა, რომ უნდა მიხედოს სასწავლო პროცესს, უნდა მიხედოს

მეცნიერებს, სტუდენტებს, კიდევ ათასი წვრილმანი აქვს მოსაგვარებელი. მითუმეტეს, დღევანდელ პირობებში. რაღა თქმა უნდა, ადრე უფრო მეტი დრო მქონდა სამუშაოდ, მაგრამ ახლაც ვცდილობ რაღაცის გაკეთებას. ჩემი აზრით, უნივერსიტეტს არ სჭირდება ისეთი რექტორი, რომელიც მეცნიერებას მოწყვეტილი იქნება. ესეც გასათვალისწინებელია. უნივერსიტეტში ტრადიციულად, რექტორები მეცნიერები იყვნენ.

1996 წ.

როცა ზვიად გამსახურდიამ პარლამენტიდან დამითხოვა, მითხრა: „სწორად გამიგე, ასეა საჭირო“.

ნებისმიერი ქვეყნის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მიმართ საზოგადოების ინტერესი ალბათ საფუძველსს მოკლებული არ უნდა იყოს.

ახლა გთავაზობთ ინტერვიუს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან.

როინ მეტრეველი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

– რას ნიშნავს დღეს თქვენთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობა?

– ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობა, უპირველეს ყოვლისა, დიდი პატივია, უფრო დიდი პასუხისმგებლობაც. იყო ამ ურთულეს დროს (მე რექტორად დავინიშნე 1991 წლის 15 ოქტომბერს, ამირჩიეს – 1992 წლის 18 აპრილს, მეორედ – 1997 წლის 21 აპრილს) ქვეყნის უპირველესი უმაღლესი სასწავლებლის რექტორი, როცა ქვეყანას უჭირს და პრაქტიკულად უმნიშვნელოვანესი სოციალური საკითხები მოუგვარებელია, მეტად მძიმეა... ჩვენი პროფესურის სასახელოდ უნდა ვთქვა, რომ მათ ცხოვრებისეულ გამოცდას ღირსეულად გაუძლეს. სიცივის, უსინათლობის და ეკონომიკური შეჭირვებულობის მიუხედავად, უნივერსიტეტში ლექცია არ გაცდენილა. მახსოვს, ზამთრის ერთ დღეს აშშ-ის ელჩი, ბატონო კენტ ბრაუნი გვეწვია მეუღლითურთ, უნივერსიტეტი დაათვალიერა და, როცა აუდიტორიები სტუდენტებით ნახა სავსე, ხმამაღლა თქვა, თქვენი პროფესორები და სტუდენტები ნამდვილი გმირები არიანო.

– მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმის ობიექტი ხდება ხოლმე. როგორ გგონიათ, რა არის

ამის მიზეზი, აქვს თუ არა საზოგადოებას ამის თქმის საფუძველი თქვენი რექტორობის პერიოდში?

– მე არ ვიცი, რა მითქმა-მოთქმაზეა ლაპარაკი. ერთი რამის თქმა გადაჭრით შეიძლება – ყველა სათანადოდ მომზადებული და ნიჭიერი აბიტურიენტი კმაყოფილი დარჩება გამოცდებზე. ბევრჯერ ჩაჭრილებისაგანაც მომისმენია მადლობის სიტყვები, გამოცდა ობიექტური იყო, მე ვერ შევძელი სათანადო ცოდნის გამომუღვანებაო, ჩვენ დაახლოებით 6-7 ათას აბიტურიენტს ველოდებით; ჩასარიცხი კი მხოლოდ 1700 ადგილია. ბუნებრივია, გარეთ დარჩენილი 4-5 ათასი პირი სხვადასხვა დამოკიდებულებისა იქნება მისაღები გამოცდებისადმი. დღეს, როცა ყველა სპეციალობაში არასაბიუჯეტო (ფასიანი) განყოფილებებია გახსნილი, რაიმე მითქმა-მოთქმის ობიექტური საფუძველი არ არსებობს.

– თქვენი კარიერა კომკავშირით დაიწყო. საინტერესოა, რა ურთიერთობა გქონდათ მაშინდელი პარტიის ცკ-ის პირველ მდივანთან, ვასილ მჟავანაძესთან, იქნებ კონკრეტულად გაიხსენოთ რაიმე მასთან დამოკიდებულებიდან?

– დიახ, მე უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნობით დავიწყე ჩემი კომკავშირული საქმიანობა და საქართველოს კომკავშირის ცკ-ს პირველი მდივნობით დავასრულე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ პერიოდში მე უნივერსიტეტი არ დამიტოვებია, დავამთავრე ასპირანტურა, დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია, 1965 წლიდან ვკითხულობდი ლექციებს. რაც შეეხება ჩემს ურთიერთობას ხელმძღვანელობასთან, მაშინ პარტიის ცკ-ის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე იყო. იგი ზნეკეთილი კაცი იყო. დიდი სამხედრო სკოლა ჰქონდა გავლილი და ახალგაზრდული ღონისძიებები მოსწონდა. პირველი მდივნისაგან მხარდაჭერა არასდროს ჰკლებია კომკავშირს და არც მე მაკლდა. 60-ანი წლები ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა ახალგაზრდობის ცხოვრებაში, განსაკუთრებით გამოცოცხლდა საქმიანი ურთიერთობა შემოქმედებით და სამეცნიერო ინტელიგენციასთან. ყველა სიახლე ხელმძღვანელობის მხარდაჭერით სარგებლობდა.

– გწამდათ იმ საქმის, რასაც ემსახურებოდით? კომკავშირს ვგულისხმობ.

– გარკვეულ პერიოდში ლიტერატურით გაცნობილი კომკავშირული რომანტიკა მომწონდა. შემდეგ თანდათან გაცნობიერდა, რომ ორთოდოქსული, განსაკუთრებით 20-30-ანი წლების, კომკავშირული ცხოვრება-საქმიანობის პრინციპები მიუღებელი იყო. 60-ან წლებში ბევრი სასიკეთოს გაკეთებაც შეიძლებოდა. სწორედ ამ ხანებში დაიწყო მჭიდრო ურთიერთობა მწერლებთან, მხატვრებთან, კინოსა და თეატრის მოღვაწეებთან, შემოქმედებითი და სამეცნირო ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. ყოველწლიურად ვატარებდით „ბაკურიანის სემინარებს". აქ თავს იყრიდა მთელი ქართველი ახალგაზრდა ინტელიგენცია. ჩამოდიოდნენ რუსეთიდან და ბალტიისპირა რესპუბლიკებიდანაც. აქ ბევრჯერ იმ დროისათვის მიუღებელი საკმაოდ თამამი აზრებიც გამოითქმებოდა. მახსოვს, აღფრთოვანებული რუსი რეჟისორი და მსახიობი როლან ბიკოვი სინანულით ამბობდა – ნეტავ ჩვენთანაც ტარდებოდეს მსგავსი ღონისძიებებიო. სხვათა შორის, ჩვენი საქმი-

ანობა ინტელიგენციასთან მთელს კავშირში განზოგადდა. კომკავშირი ხელს უწყობდა ინტელიგენციას. შემოღებულ იქნა კომკავშირის პრემიები ხელოვნებისა და მეცნიერების დარგში. ნიშანდობლივია, რომ საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემია ერთ-ერთმა პირველმა ნოდარ დუმბაძემ მიიღო.

ჩემი აზრით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდთა და სტუდენტთა ფესტივალებში ქართველი ახალგაზრდების წარმატებულ მონაწილეობას. ყოველივე ამას კომკავშირი ხელს უწყობდა. კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება...

რა თქმა უნდა, ის ეპოქა რთული, წინააღმდეგობრივი კატაკლიზმებით აღსავსე იყო და ჩემი თაობის კომკავშირლებმა გარკვეული ხარკი გადავუხადეთ მას. ამასთან, უნდა ვთქვა, რომ ამ დროს დავწერე და გამოვეცი (ჩემს კოლეგა შ. ბადრიძესთან ერთად) პირველი მონოგრაფია ექვთიმე თაყაიშვილზე, მონოგრაფია დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივ რეფორმებზე და სხვა. ერთიც და მეორეც იმ პერიოდისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო (შედეგი მწარედ ვიწვნიე ცოტა ხნის შემდეგ).

– როგორ შეხვდით ჩვენში ეროვნულ მოძრაობას. თუ არ ვცდები, მაშინ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ბრძანდებოდით?

– მე არ მიმაჩნია, რომ ეს მოძრაობა ჩემი სულხან-საბა ორბელიანის (მაშინ ა. პუშკინის) სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში რექტორობის დროს დაიწყო. ვთვლი, რომ ეროვნული მოძრაობა საქართველოში მეტ-ნაკლები გამოვლინებით მთელი 70 წლის მანძილზე (საბჭოთა პერიოდი) მიმდინარეობდა. ჩვენი მწერლები, თეატრისა და კინოს მოღვაწეები, მეცნიერები თავიანთი შემოქმედებით ბევრჯერ გამოხატავდნენ პროტესტს არსებულის მიმართ. რაც შეეხება 80-ანი წლების ბოლო პერიოდს, ეს მართლაც მნიშვნელოვანი ეტაპია ქართველი ხალხის ეროვნულ მოძრაობაში. ეპოქამ რეალურად დააყენა ძველის დანგრევის საკითხი. ქართველი ახალგაზრდები თავდაუზოგავად იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის მარწუხებისაგან თავის დასაღწევად. ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტობა ამ ბრძოლის ავანგარდში იყო. მე ეს გულწრფელად მახარებდა და ყოველნაირად ვუჭერდი მხარს. 1988 წლის ოქტომბრიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობას ვასრულებდი. აქედანაც მომიხდა არა უბრალოდ მხარდაჭერა, არამედ მოძრაობის შუაგულში ყოფნა.

– ეროვნული მოძრაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

– ეროვნული მოძრაობის უდაოდ დადებითი მხარეა ის, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. უარყოფითი კი ის, რომ ფაქტობრივად ვერ დავიცავით თავი ძველის ნგრევის დროს და ნაწილობრივ ამ ნანგრევებში მოვყევით – დაიღვარა ქართველი კაცის სისხლი. აი, ეს არის მოკლედ, ვრცლად კი სხვა დროს სპეციალურად შეიძლება ამ საკითხებზე საუბარი.

– რა ურთიერთობა გქონდათ ბატონ ზვიად გამსახურდიასთან?

– ზვიად გამსახურდიასთან ნორმალური ურთიერთობა მქონდა. ჩვენ ერთი ასაკისა ვიყავით და ერთდროულად ვსწავლობდით უნივერსიტეტში. ის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, მე – ისტორიულზე. გარკვეული ურთიერთობა მქონდა გამსახურდიების ოჯახთან. ზვიადის და თამრიკო და მე ერთად ვსწავლობდით ასპირანტურაში, კარგად ვიცნობდი კონსტანტინე გამსახურდიას. ბატონმა კონსტანტინემ იცოდა, რომ მე დავით აღმაშენებლის პრობლემებზე ვმუშაობდი და ყოველი შეხვედრისას მახალისებდა. ერთხელ, როცა რესპუბლიკის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჩემი თავი წარუდგინა კონსტანტინე გამსახურდიას, ბატონმა კონსტანტინემ ღიმილით უთხრა, კარგად ვიცნობ, შენსავით მაუზერით კი არ დამდევს (როგორც ჩანს, ადრე ჰქონია ამგვარ ფაქტს ადგილი), დავით აღმაშენებელზე წიგნი დაწერაო. ბატონ კონსტანტინეს რამდენჯერმე ლიძავაში შევხვდი და მეტად საინტერესო საუბრები მქონდა მასთან, დღესაც ჩემთან ინახება ბატონი კონსტანტინეს 2 წერილი, რომლებიც გარკვეული დანიშნულებით გადმომცა.

როცა ზვიად გამსახურდია ხელისუფლებაში მოვიდა, მე პარლამენტის წევრი გახლდით. სწორედ პარლამენტმა აირჩია იგი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ, შემდეგ კი ქვეყანამ – პრეზიდენტად.

პარლამენტში ჩვენი ურთიერთობა კორექტული იყო. როცა მან კომუნისტების პარლამენტიდან დათხოვა გადაწყვიტა, მიხმო და მითხრა: „სწორად გამიგე, ასეა საჭირო". მე, მართალია, ამ დროს პარტიის წევრი აღარ ვიყავი, მაგრამ კომუნისტური პარტიის ბლოკიდან ვიყავი არჩეული, ბატონმა ზვიადმაც ამიტომ ჩათვალა საჭიროდ ჩემთან ამ საკითხზე დალაპარაკება. მე მივხვდი, რომ ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო და არაფერი მითქვამს. ვფიქრობ, შეცდომა იყო ქართველი ინტელიგენციის 64 წარმომადგენლის (მათ შორის ევგენი ხარაძე, ანდრია აფაქიძე, მინდია სალუქვაძე, აპოლონ სილაგაძე, ლევან ჭილაშვილი და სხვა) დათხოვა, მითუმეტეს, რომ ისინი რეალურად ზვიად გამსახურდიას უჭერდნენ მხარს.

ბატონმა ზვიადმა ამის შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის რექტორობა რამდენჯერმე შემომთავაზა. 1991 წლის 14 ოქტომბერს კი თავისი ბრძანებულებით დამამტკიცა ამ თანამდებობაზე.

– თქვენ და სამეცნიერო მუშაობა.

– მე საქართველოს ისტორიის სპეციალისტი გახლავართ. ვმუშაობ შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის პრობლემებზე. ისტორიოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხებზე, საზოგადოებრივი აზრის ისტორიაზე. ამჟამად ვარ თსუ-ის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე. 1992 წელს დავაფუძნეთ ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ლაბორატორია, რომელიც შემდეგ ცენტრად გადაიქცა. ჩემი ხელმძღვანელობით და რედაქტორობით გამოიცა ქართული დიპლომატიის ისტორიის ორტომეული, ქართული დიპლომატიური ლექსიკონის I ტომი, II ტომი გამოვა უახლოეს პერიოდში; გამოიცა წელიწდეულის – „ქართული დიპლომატია" – ხუთი ტომი, ჩაშვებულია მე-6 ტომი. ამჟამად

საქართველოს ისტორიის მთელი კათედრა მუშაობს ივანე ჯავახიშვილის ენციკ-ლოპედიურ ლექსიკონზე. მიმდინარე წელს ჩემი რამდენიმე წიგნი გამოვა.

– როგორ აღწევს თქვენამდე ჭორები?

– მიუხედავად იმისა, რომ არავითარ დაინტერესებას ჭორებისადმი არ ვიჩენ, ელვისებურად აღწევს ჩემამდე. რა მანქანებით ხდება ეს, ვერ გეტყვით, სხვა-დასხვა გზით.

– რას იტყვით თქვენს ოჯახზე?

– მყავს მეუღლე – ლუიზა ნიკოლაიშვილი-მეტრეველისა, პედაგოგიკის ეროვნული ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, გერმანული ენის სწავლების მეთოდიკის სპეციალისტი, საშუალო სკოლის გერმანული ენის რამდენიმე სახ-ელმძღვანელოს ავტორი.

ქალიშვილი – ნინო მეტრეველი, ხელოვნებათმცოდნეა, ხელოვნებათმცოდნე-ობის კანდიდატი, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, „N" გალერეის დირექტორი. ჰყავს მეუღლე – ირაკლი მეძმარიაშვილი.

ვაჟი – ვიქტორ მეტრეველი, მსოფლიო ბანკის ჯანმრთელობის დაცვის პრო-ექტის აღმასრულებელი დირექტორია. ჰყავს მეუღლე – ნინო ციციშვილი.

შვილიშვილები ნიკუშა მეძმარიაშვილი, მარიამ და როინ მეტრეველები ივ. ჯა-ვახიშვილის სახელობის თბილისის 53-ე სკოლის მოსწავლეები არიან, სანდრო მეძმარიაშვილი 5 წლისაა.

– როგორი ხართ სამსახურსა და ოჯახში?

– ჩემი აზრით, სამსახურში მომთხოვნი რექტორი ვარ, ოჯახში – მოყვარული მეუღლე, მამა და ბაბუა. ეს ჩემი აზრია. ალბათ ამის შესახებ თვით უნივერსიტე-ტელებისა და ოჯახის წევრების აზრი უფრო მნიშვნელოვანია.

1999 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

ალუვსეგელი საწყაული ანუ ამაოეგა ამაოთა 3

კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური
პროცესების კონტექსტში 29

გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები ... 89

„რანი ვიყავით, რანი ვართ...“
ილია ჭავჭავაძე და ისტორია 113

წმიდა და პატიოსანი წიგნი
„ქართლის ცხოვრების“ (2008 წ.) წინათქმა 128

დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების
საქართველოში (V-XII სს.) 144

საქართველოს ისტორიის ერთი ფურცელი
ბიზანტია-ბულგარეთის 1014-18 წწ. ომი და საქართველო 178

ВИЗАНТИЙСКО-ГРУЗИНСКИЕ ОТНОШЕНИЯ XI В. В СВЕТЕ
НУМИЗМАТИЧЕСКИХ МАТЕРИАЛОВ И ТИТУЛЯРНИКОВ
ГРУЗИНСКИХ ЦАРЕЙ 184

გიორგი მეორის მოღვაწეობის შეფასების საკითხი 189

ქრონოლოგიის საკითხები 205

ორგელთა ამბოხება 229

თბილისის ეტიმოლოგიის საკითხები
რეპლიკა 258

ქვეყნის თვალი, მზისა დარი
თამარ მეფის სახე ხალხურ შემოქმედებაში 261

ეგრაელები საქართველოში 271

ალტრუიზმი საქართველოში 282

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიტყვის კონა ანუ ცოდნის სალარო
საენციკლოპედიო მუშაობის წარსული, აწმყო და მომავალი 298

ГРУЗИНО-АБХАЗСКИЙ КОНФЛИКТ И ВОЗМОЖНЫЕ ПУТИ
ЕГО РАЗРЕШЕНИЯ 309

ღვაწლისა და წამების გვირგვინით შემკული
ივანე ჯავახიშვილი – 130 316

მცირე განსჯა ჟაკ ლე გოფის წიგნის „წარმოსახვითის
შუასაუკუნეობრივი სამყარო“ წაკითხვის შემდეგ 331

„ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლის ნუსხის
ე. თაყაიშვილისეული მარგინალიები 349

ზოგიერთი ქართული დიპლომატიური ტერმინის შესახებ
მოციქული, დესპანი, ელჩი 364

საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები
XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის I მეოთხედში
დავით აღმაშენებლის დიპლომატია 371

ვისწავლოთ ღრმა აზროვნება 406

ოთხი ათასწლეულის სამოცი წელიწადი
ისრაელის სახელმწიფო 60 წლისაა 409

«РАЙ ГРУЗИИ»: КАКИМ ЕГО ВИДЕЛ МИХАИЛ САБИНИН 423

ИЗ ПРОШЛОГО ГРУЗИНО-РУССКИХ ОТНОШЕНИЙ 428

სააკადემიო საქმიანობის სათავე 438

ადამიანები, მოვლენები 447

მიმართვები 491

ინტერვიუები 497

n4/619

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო ჯგუფი

ეთერ ბაიდოშვილი
ბუბა კუდავა
ჯაბა სამუშია

საგამომცემლო ჯგუფი

ირმა ბერიძე
ვიოლა ტულუში
მართა წიკლაური
ნატა ხარაძე
ილია ხელაია
ალექსანდრე ჯიქურიძე

გამომცემლობა **არტანუჯი**
0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 17ᵃ. 25-05-22, 91-22-83.

www.artanuji.ge artanuji@artanuji.ge

31.058
4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა
არტანუჯი